ბესარიონ გუგუშვილი

მკვლელობის დაკვეთა

საქართველოს პირველი პრეზიდენტის **ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული** საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის დოკუმენტების კრიტიკა და მხილება

თბილისი
2012

წიგნის მიზანია ამხილოს და გააკრიტიკოს საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების ბოროტმოქმედება, მისი კონკრეტული დოკუმენტები და კერძოდ – ე.წ. „საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზ.გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის“ დასკვნითი დოკუმენტები.

წიგნის მიზანია დაანახოს საზოგადოებას თუ როგორ ბინძურ, არაკაცურ, თახსირ მეთოდებს იყენებენ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის ვერსიის პროპაგანდისტები; თუ რამდენ ცილისწამებას, ბოროტებას, სიყალბესა და სიცრუეს ნერგავენ და უწევენ პროპაგანდას.

ავტორმა ისიც კარგად იცის, რომ „დაეჭვებულ“ მკვლელობა-მადიდებელ და მკვლელობა-თაყვანისმცემელ მკითხველს კვლავ და ისევ არაერთი გამჭრიახი და კაპიტალური „შეკითხვა“ ექნება ჯიბეში გადამალული და – ასეც უნდა იყოს...

ავტორი გულითად მადლობას უძღვნის ქალბატონ ლია ბერუაშვილს, რომლის მეგობრული დახმარებაც გადამწყვეტი იყო ამ წიგნის გამოცემისას.

რედაქტორი იოსებ ღუდუშაური

წიგნს დაერთვის DVD რომელიც შეიცავს როგორც წიგნის ავტორისეულ ორიგინალურ, ასევე – სხვადასხვა წყაროებიდან, გარეშე ავტორთა (მათი საავტორო უფლება დაცულია) მნიშვნელოვან და არსებით ვიდეო საილუსტრაციო დოკუმენტებსა და პუბლიკაციებს

ISBN 978-9941-0-5050-3

© ბესარიონ გუგუშვილი

მკითხველს ვთხოვთ მიაქციოს ყურადღება, რომ წიგნის ავტორისეული ტექსტები და კომისიის ტექსტები სხვადასხვა, ადვილად ამოსაცნობი შრიფტებითაა დაბჭედილი და მეტიც, კომისიის ტექსტებში ჩართული ავტორისეული ტექსტების სათაურები მონიშ-ნულია ◈ სიმბოლოთი.

ავტორისეული ტექსტების შრიფტი: აბგდევზთიკლმნოპჟრსტუფქღყშჩცძწჭხჰ

კომისიის ტექსტების შრიფტი: აბგდევზთიკლმნოპჟრსტუფქღყშჩცძწჭხჰ

შინაარსი

01. კოკოს კომისიის ფიასკო ვ.სანაიას ტელეგადაცემაში 9
02. ჭეშმარიტების ერთი მომენტი 10
03. ამ წიგნის მიზანი 10
04. დამშეულ მოშურნეთა ჩვენებები? 10
05. რატომ არ დაინტერესდა კომისია მთავარი, განმაპირობებელი, საკვანძო საკითხებით? 12
06. რატომ „პირველი პრეზიდენტის გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისია“? 13
07. წინათქმის მაგიერ: კვლავ პირში გახლით ხისტად – გამსახურდიამ თავი მოიკლა! 14
08. შენ ხარ მკვლელობის დამკვეთიც და შემსრულებელიც 15
09. მოწმეების ტოტალური, ყოველმხრივი ტერორიზება და დაშინება 19
10. დაუძლეველი წინაღობა: ოჯახის ბოროტი, კრიმინალური განზრახვები 20
11. წინასიტყვაობა: ვარდული „გამოძიება“ 22
11.01. გამოძიება – არგამოძიება 23
11.02. „თამარ დედოფალი“ 24
11.03. შეთანხმება საქართველოსა და ჩეჩნეთს შორის, ოჯახსა და მოწმეებს შორის შეთანხმება 26
11.04. შეთანხმება ჩეჩნეთსა და საქართველოს დე-ფაქტო ძალაუფლებას შორის 27
11.05. ვითხოვთ სამედიცინო ექსპერტიზას 29
11.06. ბაჩუკის დაჭრა 31
11.07. ზვიადი მარტო არ დარჩენილა! ზვიადი არ მივატოვეთ! 32
11.08. „ვარდული გამოძიება“ 33
11.09. გასროლა 35
11.10. ჯანმრთელობა 36
11.11. იანდარბიევის ინტერვიუ 38
11.12. ცხედრის დათვალიერება და შესწავლა სპეციალისტების მიერ 39
11.13. ცოდვა? 40
11.14. ისევ ექსპერტიზის მოთხოვნა 41
12. პრეამბულა: ე.შევარდნაძე — ზვიად გამსახურდიას „მკვლელობის კურთხეული დამკვეთი“? 42
13. შესავალი: გ.შარაძე, ზვიად გამსახურდიას სიკვდილი და დასაფლავება 43
14. ზურაბ გუჩუა: ნუთუ ეს საჭირო? 46
15. მ.კიკნაძე: პრეზიდენტ გამსახურდიას გადასვენება გროზნოში 55
17. ბ.გუგუშვილის შენიშვნები თვითმკვლელობის ზოგად კრიმინალისტიკურ-საექსპერტო ასპექტებთან დაკავშირებით 59
17.01. სახელმძღვანელო სასამართლო გადაუდებელი მედიცინისთვის: გზამკვლევი მედიკოსებისთვის 60

17.02. გაკვეთის მახასიათებლები თვითმკვლელობითი და მკვლელობითი ცეცხლსასროლი იარაღით ჭრილობებს შორის განსხვავებების დასადგენად 60
17.03. ცეცხლსასროლო იარაღით თვითმკვლელობების დახასიათება 60
17.04. ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობები 61
17.05. თავში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული თვითმკვლელობითი ჭრილობები: 406 შემთხვევის რეტროსპექტიული მიმოხილვა 61
17.06. იარაღის მდებარეობა თვითმკვლელობის შემდგომ 61
17.07. ცეცხლსასროლი იარაღით თვითმკვლელობის შედეგად გარდაცვლილთა გაკვეთის შედეგები 61
17.08. მითოსები თვითმკვლელობის შესახებ 62
17.09. დანაშაულებრიობის მეცნიერება სასამართლო ექსპერტიზის მეთოდები .. 62
17.10. შესავალი სამედიცინო ექსპერტის მუშაობისთვის: სიკვდილის გარემოდან გაკვეთამდე 62
17.11. კრიმინალური გამოძიება: კანონი და პრაქტიკა 63
17.12. გაკვეთის მახასიათებლები თვითმკვლელობითი და მკვლელობითი ცეცხლსასროლი დაზიანებებისას. 63
17.13. ცეცხლსასროლი იარაღით თვითმკვლელობები ჩრდილო პორტუგალიაში 63
17.14. ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობები 63
17.15. ბ.გუგუშვილის დასკვნები: 64
18. ➤ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის (პირველი) შუალედური დასკვნა 64
18.01. საქმის მოკლე საპროცესო ისტორია 64
18.02. რამდენად დამაჯერებელია და სარწმუნო თვითმკვლელობის ვერსია 67
18.03. რამდენად დამაჯერებელია მარგველანი გვანცელაძის ვერსია, ... 68
18.04. ვინ დაინახა თვითმკვლელობის მომენტი 68
18.05. შემავალი ჭრილობის დიამეტრი 69
18.06. სად მდებარეობს გამომავალი ჭრილობა? 70
18.07. როგორ მიაყენა თვითმკვლელმა თავის თავს სხვა დაზიანებები? 71
18.08. თვითმკვლელმა მაყუჩი გამოიყენა? 73
18.09. რა მანძილიდან განხორციელდა გასროლა? 74
18.10. თუ გასროლა ზვიად გამსახურდიამ განახორციელა, რატომ არ იყო დენთის კვალი მის ხელებზე? 75
18.11. სად არის იარაღი, რომლისგანაც გასროლა განხორციელდა? 75
18.12. სად არის ტყვია და მასრა, რომლისგანაც დაიღუპა პრეზიდენტი? 76
18.13. დასკვნა 76
19. ◈ ბ.გუგუშვილის დასკვნა საპარლამენტო კომისიის (პირველ) შუალედურ დასკვნაზე 78
19.01. ◈ საქმის მოკლე საპროცესო ისტორია 78
19.02. ◈ ვინ დაინახა თვითმკვლელობის მომენტი 79
19.03. ◈ შემავალი ჭრილობის დიამეტრი 79
◈ პრეზიდენტის ცხედრის მიმართ მოკრძალებისა და რიდის ფაქტორი 79
◈ პრობლემის არსი 79
19.04. ◈ სად მდებარეობს გამომავალი ჭრილობა? 80
19.05. ◈ როგორ მიაყენა თვითმკვლელმა თავის თავს სხვა დაზიანებები? 81
19.06. ◈ თვითმკვლელმა მაყუჩი გამოიყენა? 81
19.07. ◈ რა მანძილიდან განხორციელდა გასროლა? 81
19.08. ◈ თუ გასროლა ზვიად გამსახურდიამ განახორციელა, რატომ არ იყო დენთის კვალი მის ხელებზე? 82
19.09. ◈ სად არის იარაღი, რომლისგანაც გასროლა განხორციელდა? 83
19.10. ◈ სად არის ტყვია და მასრა, რომლისგანაც დაიღუპა პრეზიდენტი? 83
19.11. ◈ დასკვნა 83
20. ➤ საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი

საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის თავმჯდომარის, კონსტანტინე გამსახურდიას მეორე შუალედური მოხსენება 84
20.01. ◈ ბ. გუგუშვილის „განმშიფრავი“ წინასიტყვაობა 84
20.02, პატივცემულო კოლეგებო, ... 84
20.03. (1) 85
20.04. (2). 86
20.05. (3) 88
20.06. (4) 88
21. ◈ კრიტიკული შენიშვნები და შეკითხვები საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის პირველი და მეორე შუალედური დასკვნების მიმართ 92
22. ➤ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზ.გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქ. პარლამენტის დროებითი კომისიის დასკვნითი დოკუმენტი 110
22.01. ◈ ბ.გუგუშვილისეული წინასიტყვაობა 110
◈ „პარლამენტის“ 2011 წ 22 თებერვლის კლენარული სხდომის ოქმი N127 112
◈ საკითხის უმოკლესი ისტორია და ანატომია 113
◈ საკვანძო მოწმეების გამოქვეყნებული ჩვენებების სრული იგნორირება 116
22.02. სისხლის სამართლის №7494802 საქმის აღწერილობითი ნაწილი და მისი მოკლე საპროცესო ისტორია 116
22.03. საქართველოს მთავარი პროკურატურის არქივში დაცული №7494802 სისხლის სამართლის საქმის მასალები 123
შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძის 2004 წლის 26 აპრილის დამატებითი ჩვენებიდან: 124
შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძის 2004 წლის 27 აპრილის დამატებითი ჩვენებიდან: 126
კ.ღურწკაიას მეუღლის, ლ.აბშილავას 1999 წლის 5 თებერვლის ჩვენებიდან: 128
კარლო ღურწკაიას 1999 წლის 5 თებერვლის ჩვენებიდან: 129
ლუდმილა ღურწკაია-აბშილავას 2004 წლის 2 მარტის ჩვენებიდან: 131
ვალიკო ზარანდიას 1994 წლის 10 თებერვლის ჩვენებიდან: 131
ნათელა ავალიანი-ზარანდიას 1994 წლის 1 თებერვლის ჩვენებიდან: 131
რობერტ (რობინზონ) მარგველანის 1997 წლის 5 თებერვლის ჩვენებიდან: 132
რობერტ (რობინზონ) მარგველანის 1997 წლის 6 თებერვლის ჩვენებიდან: 133
რობერტ (რობინზონ) მარგველანის 1997 წლის 10 თებერვლის ჩვენებიდან: 133
რობერტ (იგივე რობინზონ) მარგველანის 1997 წ. 19-20-21 თებ. ჩვენებებიდან: 134
ჯუმბერ (ზაურ) ჩუხუას 1999 წლის 10 თებერვლის ჩვენებიდან: 137
ანატოლი ჩუხუას 1999 წლის 12 თებერვლის ჩვენებიდან: 138
ანზორ მებონიას 2004 წლის 21 ივნისის ჩვენებიდან: 139
კარლო გუჩუას 2004 წლის 23 ივლისის ჩვენებიდან: 140
ზურაბ გუჩუას 2004 წლის 7 აგვისტოს ჩვენებიდან: 140
ფრაქცია “XXI საუკუნის” 2001 წლის 20 აპრილის მიმართვა საქართველოს გენერალურ პროკურორს, ბატონ გია მეფარიშვილს: 140
ჯონსონ კვარაცხელიას 1999 წლის 12 თებერვლის ჩვენებიდან: 141
გორა კეკენაძის 2004 წლის 12 მარტის ჩვენებიდან: 142
ჯონსონ **კვარაცხელიას** 2004 წლის 21 ივლისის ჩვენებიდან: 144
ზაზა ბურჯანაძის 2004 წლის 15 მარტის ჩვენებიდან: 145
22.04. საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებში გამოვლენილი შეუსაბამობანი 147
რობინზონ მარგველანის 1997 წლის თებერვლის ჩვენების მიხედვით: 147
კარლო ღურწკაიას მეუღლის ლუდმილა აბშილავას 1999 წლის 5 თებერვლის ჩვენების მიხედვით: 147
აგრეთვე გაკვირვებას იწვევს რობინზონ (იგივე რობერტ) მარგველანის 1997 წლის თებერვლის ჩვენების მიხედვით: 148
წალენჯიხის ყოფილი პრეფექტის ზ.გუჩუას 2004 წ 6 აგვ. ჩვენების მიხედვით : 148
ანზორ მებონიას 2004 წლის 21 ივნისის ჩვენების მიხედვით: 148
გორა კეკენაძის 2004 წლის 12 მარტის და ზაზა ბურჯანაძის 2004 წლის 3 მაისის ჩვენებების მიხედვით: 149
რობინზონ მარგველანის 1997 წლის 20 თებერვლის ჩვენების მიხედვით: 149
22.05. დასკვნითი ნაწილი 150

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან
დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი
კომისიის შექმნა და მის მიერ გაწეული საქმიანობის მოკლე აღწერილობა 150
22.06. დროებითი საპარლამენტო კომისიის გამოკითხვები და კომისიის მიერ
მოპოვებული ქალაქ ზუგდიდის კომენდანტის ბადრი ზარანდიას დღიური 153
◈ ბ.გუგუშვილის შენიშვნა..... 153
თენგიზ კიტოვანის გამოკითხვიდან :..... 154
იგორ გიორგაძის გამოკითხვიდან :..... 155
თენგიზ სიმუას გამოკითხვიდან: 157
შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძის გამოკითხვიდან:..... 159
გორა კეკენაძის გამოკითხვიდან:..... 160
ჰამლეტ გულორდავას გამოკითხვიდან: 160
ქ.ფოთის უშიშროების ყოფილი უფროსის მურმან წაქაძის გამოკითხვიდან: 161
ქ.ზუგდიდის უშიშროების ყოფილი უფროსის თემურ გაბუნიას გამოკითხვიდან: 162
ჯონსონ კვარაცხელიას გამოკითხვიდან:..... 163
კარლო ღურწკაიას გამოკითხვიდან:..... 165
ექსპერტ–პათოლოგანატომების ლევან ჩაჩუასა და ზაზა ოქრუაშვილის
გამოკითხვიდან:..... 166
ზაზა ბურჯანაძის გამოკითხვიდან:..... 167
რომეო კუჭუხიძის გამოკითხვიდან:..... 168
ვალერი შურღაიას გამოკითხვიდან : 168
სოსო თორიას გამოკითხვიდან:..... 169
ბატალიონ ჯიხას უფროსის ვახტანგ ზარანდიას გამოკითხვიდან: 170
ირანდა კალანდაძის გამოკითხვიდან:..... 174
ზუგდიდის კომენდანტის ბ.ზარანდიას დის მარინა ზარანდიას გამოკითხვიდან: 175
უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმების კომისიის თავმჯდომარის, გივი
თაქთაქიშვილის გამოკითხვიდან: 176
ავთანდილ რცხილაძის გამოკითხვიდან:..... 177
რობინზონ მარგველანის გამოკითხვიდან: 178
ზაურ ჩუხუას გამოკითხვიდან:..... 192
ანატოლი ჩუხუას გამოკითხვიდან:..... 194
გიორგი სარიას პროკურატურის დაკითხვიდან:..... 196
გოჩა სარიას პროკურატურის დაკითხვიდან:..... 199
არსენ მესხიას გამოკითხვიდან:..... 202
დავით ქარდავას გამოკითხვიდან: 202
ნუკრი ღურწკაიას გამოკითხვიდან:..... 203
არკადი შონიას გამოკითხვიდან:..... 204
გოდერძი მეგობნიას გამოკითხვიდან: 204
კახა მოლაშხიას გამოკითხვიდან:..... 206
მამრიკო ზარანდიას გამოკითხვიდან:..... 208
კახა მიქაიას გამოკითხვიდან : 209
პრეზიდენტის პირადი დაცვის წევრის ბადრი გოგელაშვილის გამოკითხვიდან :.... 210
თამარ ძველაძის გამოკითხვიდან: 211
ნანა ზულიაშვილის გამოკითხვიდან:..... 211
ლამარა კერვალიშვილის გამოკითხვიდან:..... 212
ნორა ნიკოლაძე-ლომსიანიძის გამოკითხვიდან: 213
22.07. წინააღმდეგობის მოძრაობის წევრის, ქალაქ ზუგდიდის კომენდანტის
ბადრი ზარანდიას **ჩანაწერებიდან**:..... 213
1992 წლის თებერვალი, აბაშა. 213
1992 წლის მარტი (პარტიზანული მოძრაობა)..... 213
1992 წელი, წალენჯიხა, ივლისი..... 214
რა ხდება გაქცევის წინ?..... 215
რა ხდება ბანაკში პირველ დღეებში? 216
რა როლი ითამაშა ოთარ ფაცაციამ ზუგდიდის ბინძურ თამაშებში? 220
ვინ გადავიდა ეროვნული მოძრაობიდან საწინააღმდეგო დაპირისპირებაში?..... 221
რა უნდოდა გურამ აბასაძეს? 221
22.08. №7494802 სისხლის სამართლის საქმეზე დაკითხულ პირთა
პროკურატურისათვის მიცემულ ჩვენებებსა და საპარლამენტო კომისიის
გამოკითხვებში გამოვლენილი ფაქტების შეუსაბამობები და ურთიერთ
წინააღმდეგობები 222

◈ ბ.გუგუშვილის ჩანართი 222
1 დევნილი პრეზიდენტის გზა სამეგრელოს რეგიონში 222
2. პრეზიდენტის პირადი დაცვის ჩამოცილება და ულტიმატუმი მუშავაში....225
3. პრეზიდენტის ჯიხაშკარიდან ძველ ხიბულაში გადაყვანის მიზეზი 227
4. პრეზიდენტის სოფ. ჯიხაშკარიდან ძველ ხიბულაში გადაყვანის გარემოებები ...229
5. პრეზიდენტის ჩაცმულობა სოფელ ჯიხაშკარიდან ძველ ხიბულამდე მიმავალ გზაზე 232
6. პრეზიდენტის გარდაცვალების თარიღი და საათი 233
7. გარდაცვლილი პრეზიდენტის ჩაცმულობა და მდგომარეობა საწოლში 234
8. პრეზიდენტის თავის ქალაზე შემავალი და გამომავალი ნატყვიარის აღწერილობა და დაზიანება საწოლის დაფაზე 236
9. ავადმყოფობდა თუ არა პრეზიდენტი 239
10 **მკვლელობის** იარაღი და გარდაცვლილის სხეულზე აღბეჭდილი ტყვიის დიამეტრი 241
12. ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის წევრების დაკავება პრეზიდენტის სამშობლოში დაბრუნებამდე 246
13. პრეზიდენტის თანმხლები პირები მისი გარდაცვალების შემდეგ 247
14. პრეზიდენტის სამარხისა და გვამის მდგომარეობა 248
22.09. დროებითი საპარლამენტო კომისიის მიერ მოწვეული ექსპერტების დასკვნები №7494802 სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით 250
მოცემულობა:....250
ამონარიდი ქ. როსტოვში ჩატარებული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნიდან : 250
2. საქმეში არსებული ჩვენებები; 252
3. საგამოძიებო კომისიის მიერ მოპოვებული ჩვენებებმ; 252
4. ცეცხლსასროლი იარაღების აპს-ის (პისტოლეტი “სტეჩკინი”) და აპნს (პისტოლეტი “სტეჩკინი” მაყუჩით) ტექნიკურ–ტაქტიკური მონაცემები;....252
5. ცეცხლსასროლი იარაღი აპს–დან (პისტოლეტი “სტეჩკინი”) ექსპერიმენტული გასროლის შედეგები :....253
6. შემთხვევის ადგილიდან ამოღებული დაპრესილი ნახერხისგან (დსპ) დამზადებული საწოლის დაფა. 253
22.10. მოცემულობის ანალიზი 254
თავის ქალა....257
სასამართლო - სამედიცინო ექსპერტ ლ.ჩაჩუას საპარლამენტო კომისიის გამოკითხვით:....259
დროებითი საპარლ. კომისიის მიერ ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტი 259
ზ.ხუციშვილი სამხედრო ექსპერტი ფილმი “დინების საწინააღმდეგოდ” 2007....262
დროებითი საპარლამენტო კომისიის კომენტარი 263
22.11. ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობისას ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირთა ჩვენებები:....263
2010 წ 25 იანვ. გვარდიის ყოფილი სარდალი და თავდაცვის ყოფილი მინისტრი თ.კიტოვანი პრეზიდენტ ზ.გამსახურდიას **მკვლელობის** შესახებ 263
2010 წლის 27 იანვარი. უშიშროების ყოფილი მინისტრი იგორ გიორგაძე პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას **მკვლელობის** შესახებ....264
2010 წლის 25 თებერვალი. ყოფილი პრემიერ მინისტრი თენგიზ სიგუა ზვიად გამსახურდიას **მკვლელობის** შესახებ....265
22.12. საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის მიერ ჩატარებული გამოკითხვებისა და საქართველოს მთავარი პროკურატურიდან გამოთხოვილი №7494802 სისხლის სამართლის საქმის მასალების შემაჯამებელი დასკვნები....266
◈ ბესარიონ გუგუშვილი შენიშვნები „დასკვნის“ ამ ნაწილთან დაკავშირებით 266
საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის მიერ ჩატარებული გამოკითხვებისა და საქართველოს მთავარი პროკურატურიდან გამოთხოვილი №7494802 სისხლის სამართლის საქმის მასალების შემაჯამებელი დასკვნები და შეფასებები....268
22.13. დანართები....278

რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის მე-16 სასამართლო-სამედიცინო და კრიმინალისტიკური ექსპერტიზების სახელმწიფო ცენტრის ექსპერტთა კომისიის დასკვნა 278
საექსპერტო გადაწყვეტილების მისაღებად დასმულია კითხვები: 278
საქმის ვითარება 279
გამოკვლევა 279
გამოკვლევაზე ნეშტთან ერთად წარმოდგენილი ტანსაცმლისა და საგნების აღწერილობა 282
უცნობი ადამიანის გვამთან აღმოჩენილი საგნების გამოკვლევა 282
ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევები 282
სასამართლო–სამედიცინო დიაგნოზი 284
დასკვნები 285
ქიმიურ–კრიმინალისტიკური გამოკვლევა 287
გამოკვლევა რენტგენოსკოპეტრული ფლუორესცენტული ანალიზის მეთოდით 287
22.14. ◈ ბ.გუგუშვილის საგანგებო შენიშვნა 287
23. ზ.გამსახურდიას თვითმკვლელობის იარაღზე თითების ანაბეჭდებით სპეკულაციების უსუსურობა 290
24. ჩეჩნეთის პროკურორი კუზნეცოვი ექსჰუმაციის შედეგებზე 291
25. ჩონჩხის დამსხვრევის მთავარი მიზეზი: გროზნოში საფლავის სასტიკი დაბომბვები 292
26. სურათები რომელსაც კომისია მალავს 293
27. კომისიის მიერ ვიზუალური მასალის ფალსიფიცირება 295
28. კოკოს კომისიის ბრიყვული შეცდომები: ტრაექტორია 296
29. ზ.გამსახურდიას ხორხის ხრტილები და ენისქვეშა ძვალი დაუზიანებელი აღმოჩნდა 298
30. დერეფნებისა და „კოლიდორების“ გასაოცარი პარადოქსი 300
31. მოკლედ: ზ.გამსახურდიას სიკვდილის გარემოებები და საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლება 305
32. В.ГУГУШВИЛИ: ОБРАЩЕНИЕ К СЕЙМУ ЛИТОВСКОЙ РЕСПУБЛИКИ 306
33. ЗАЯВЛЕНИЕ ЧЛЕНА ПАРЛАМЕНТА ЛИТОВСКОЙ РЕСПУБЛИКИ АЛЬГИРДАСА ПАТАЦКАСА — ЧЛЕНА ПАРЛАМЕНТСКОЙ ДЕЛЕГАЦИИ, МЕЖДУНАРОДНОГО СВИДЕТЕЛЯ ПРИ ПЕРЕЗАХОРОНЕНИЙ ОСТАНКОВ ПРЕЗИДЕНТА ЗВИАДА ГАМСАХУРДИА ИЗ ГРУЗИИ В ГРОЗНЫЙ 1994 Г 309
34. ОБРАЩЕНИЕ К ИММИГРАЦИОННЫМ ВЛАСТЯМ АВСТРИИ В ЗАЩИТУ И ОБОСНОВАНИЕ ПРАВА НА ПОЛИТИЧЕСКОЕ УБЕЖИЩЕ ГРАЖДАНИНА ГРУЗИИ РОБЕРТА (РОБИНЗОНА) МАРГВЕЛАНИ 310
35. რედაქტორისგან 314
გულიდან ამოხეთქილი „მართლმადიდებელი პრეზიდენტი თავს არ მოიკლავდა“-თი დაეჭვებულ მამულიშვილებს 314
36. ბ.გუგუშვილის მიმართვა საქ. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ მ.კიკნაძეს 11 მარტი 1994 316

01. კოკოს კომისიის ფიასკო ვ.სანაიას ტელეგადაცემაში

„ვახო სანაიას რეპორტაჟი“ 19.02.2011

სატელევიზიო გადაცემა შედგა საპარლამენტო კომისიის მუშაობის დასრულებისა და მისი დასკვნითი დოკუმენტის შექმნის შემდეგ და არსებით წილად დასკვნითი დოკუმენტის სატელევიზიო პრეზენტაციას წარმოადგენდა.

ტელეგადაცემაში მონაწილე კომისიის წამყვანმა წევრებმა და მიწვეულმა სპეციალისტებმა კატეგორიულად უარყვეს კომისიის პიარ-კამპანიის სამიზნე დებულება თითქოს კომისიამ ცალსახად და უცილობლად დაამტკიცა მკვლელობის ვერსია:

- **ვ.სანაია:** ბატონო ლაშა (თორდია)... თქვენ ხართ კომისიის წევრი... ხელისუფლების წარმომადგენელი... **ამ კომისიის მუშაობას... მთავარ შეკითხვაზე ალბათ უნდა ეპასუხა** – ყოველ შემთხვევაში ასე იყო ეს ყველაფერი წარმოდგენილი — **თავი მოიკლა თუ მოკლეს პირველი პრეზიდენტი.** თქვენ, კომისიის წევრს რისი თქმა შეგიძლიათ?
- **ლ.თორდია:** საბოლოოდ **იმისათვის, რო ჩვენ ვთქვათ რომ ეს იყო მკვლელობა აუცილებელია ამისთვის იყოს შესაბამისი მტკიცებულებები წარმოდგენილი...** არ არის ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, ეს ჩატარდა მხოლოდ 14 წლის შემდეგ (გარდაცვალების შემდეგ, ვიძახი) — თუმცა თითონ დასკვნაც ისე არის შედგენილი რომ ნებისმიერ ექსპერტს — **რომ მოვიწვიოთ აქ ათი ექსპერტი — ათივე ექსპერტს ექნება შესაძლებლობა, რომ სხვადასხვა მხრიდან გამოიტანოს სხვადასხვანაირი დასკვნები.**
- **ვ.სანაია:** ანუ თქვენ მიგაჩნიათ რომ ასე მკაფიოდ **დღეს თქმა არ შეგიძლიათ — თავი მოიკლა პრეზიდენტმა თუ ის მოკლეს?**
- **ლ.თორდია:** <u>მე ნამდვილად მკაფიოდ ამის თქმა არ შემიძლია</u>...
- **ვ.სანაია:** გამომძიებელს ზურაბ ბაცანაძეს (კომისიის დაქირავებულ ექსპერტი) მინდა ვკითხო — მე როგორც ვიცი თქვენც იზიარებთ მკვლელობის ვერსიას. აი **გაქვთ შესაძლებლობა მაყურებელს უთხრათ ის არგუმენტები რატომაც მათ უნდა ირწმუნონ, რომ ზვიად გამსახურდია მოკლეს?**
- **ზ.ბაცანაძე:** ამ ეტაპზე, ეხლა **პირდაპირ რომ <u>განვაცხადო რომ მოკლულია მე მაგის უფლება არ გამაჩნია</u>...** ისე, რომ კატეგორიულად განვაცხადო, **რომ ეს არის <u>თვითმკვლელობა</u> ამ ეტაპზე ვერც დავადასტურებ და <u>ვერც ვუარყოფ</u>...**
- **ვ.სანაია:** ბატონ გია დეკანოზიშვილს მინდა მივმართო, ექსპერტ კრიმინალისტს (კომისიის დაქირავებული ექსპერტი). ბატონო გია... მე გავეცანი თქვენს საგაზეთო ინტერვიუს, სადაც **დარწმუნებით ამბობდით რომ ეს იყო მკვლელობა.** შეგიძლიათ თქვათ ჩვენს გადაცემაში რატომ ფიქრობთ დღეს ასე, რომ ეს იყო მკვლელობა?
- **გ.დეკანოზიშვილი: დარწმუნებით? — <u>მთლად ისე დარწმუნებით არა</u>...**[1]

[1] იხილეთ „ვახო სანაიას რეპორტაჟის“ სატელევიზიო გადაცემის კლიპი DVD-ზე: Video/komisiis_fiasko_sanaia.flv

02. ჯეშმარიტების ერთი მომენტი

2012 წლის მარტში, კოკოს კომისიის „დასკვნითი დოკუმენტის“ გამოქვეყნებიდან თითქმის ზუსტად ერთი წლის თავზე ძალზე მნიშვნელოვანი და არსებითი სამართლებრივი მოვლენა მოხდა: ზ.გამსახურდიას გარდაცვალების მოწმეს, საპრეზიდენტო დაცვის უფროსს რობერტ (რობინზონ) მარგველანს ავსტრიაში პოლიტიკური თავშესაფარი მიეცა სწორედ და ზუსტად კოკოს კომისიისა და ზოგადად საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ ზ.გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებების საპროკურორო გამოძიებისა და საპარლამენტო კომისიის მუშაობის პროცესში გარდაცვალების მოწმეების ადამიანის უფლებების უხეში დარღვევების, მათ მიმართ ცილისწამების კამპანიის, მას მედიის მეშვეობით ზეწოლისა და ზოგადად უხეში სამართლებრივი და პროცესუალური დარღვევების გამო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ზ.გამსახურდიას გარდაცვალების მოწმეების მიმართ სახელმწიფოსა და მას მედიის მხრივ კრიმინალურ ზემოქმედებას — სიცრუითა და ცილისწამებით მათი უფლებების დარღვევას აქვს ადგილი.

03. ამ წიგნის მიზანი

ამ წიგნის მიზანი არაა ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის ვერსიის დამტკიცება ან ვინმეს რამეში დარწმუნება-გადარწმუნება – რამდენადაც მრწამსი: „ზვიადი თავს არ მოიკლავდა“ უკვე კარგა ხანია კერპთაყვანისმცემლურ სარწმუნოებად და ფეტიშად იქცა.

წიგნის მიზანია ამხილოს და გააკრიტიკოს საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების ბოროტმოქმედება, მისი კონკრეტული დოკუმენტები და კერძოდ – ე.წ. „საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზ.გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის“ დასკვნითი დოკუმენტები.

წიგნის მიზანია დაანახოს ობიექტურ საზოგადოებას თუ როგორ ბინძურ, არაკაცურ, თახსირ მეთოდებს იყენებენ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის ვერსიის პროპაგანდისტები; თუ რამდენ ცილისწამებას, ბოროტებას, სიყალბესა და სიცრუეს ნერგავენ და უწევენ პროპაგანდას.

ავტორმა ისიც კარგად იცის, რომ „დაეჭვებულ“ მკვლელობა-მადიდებელ და მკვლელობა-თაყვანისმცემელ მკითხველს კვლავ და ისევ არაერთი გამჭრიახე და კაპიტალური „შეკითხვა“ ექნება ჯიბეში გადამალული და – ასეც უნდა იყოს...

დანართებში, DVD-ზე მკითხველს შეუძლია გაეცნოს ზემოხსენებული კომისიის დასკვნით დოკუმენტს იმ სახით, როგორითაც იგი წარუდგინეს „პარლამეტს“; გაეცნოს კომისიისთვის ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ ტელევიზიით მოწყობილი გააფთრებული ცილისმწამებლური პიარული კამპანიის დოკუმენტურ ვიდეო მასალას და მას მედიის სხვა მასალებს.

04. დამშეულ მოშურნეთა ჩვენებები?

კოკო გამსახურდიას კომისიის მიერ „ბატალიონ ჯიხას უფროსის ვახტანგ ზარანდიას გამოკითხვიდან“ (ქ.თბილისი, 2010 წლის 9 ივნისი): «ბესარიონი და დაცვის წევრები სვამდნენ, ქეიფობდნენ, დროს ატარებდნენ პრეზიდენტის გარდაცვალების შემდეგ, მთელს სოფელს ხორცი არ უჭამია, ისინი კი მიირთმევდნენ.»

ზ.გამსახურდიას ჯგუფი აფხაზეთიდან გამოძევებისას სამ თუ ოთხ ავტომანქანა „ვილგაში“ ეტეოდა ანუ 15-20 ადამიანს შეადგენდა. ამათ შორის იყო ჯგუფს მიერთებული ორი ეროვნული მოძრაობის ახალგაზრდა აქტივისტი ქალი, რომლებიც რამდენიმე დღეში ჯგუფს ჩამოცილდენ. ამდენად, თავდაპირველად პრეზიდენტ გა-

მსახურდიას ჯგუფში სულ 20-იოდე ადამიანი თუ შედიოდა და ამათგან 1-2 ადგილობრივი გამყოლი, მეგზური იყო.

ამრიგად, ვ.ზარანდიას მონათხრობი ასახავს, თუ რაოდენ პრობლემატური და სავალალო იყო, თუნდაც ეკონომიკური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით (ფიზიკურ საშიშროება რომ არც გავითვალისწინოთ), ზ.გამსახურდიას ჯგუფის (ანუ მაქსიმუმ 10-15 ადამიანის, საშუალოდ კი 6-8 ადამიანის) მოვლა-გამოკვება იმ სოფლებისთვის (ცალკეულ ოჯახებს რომ თავი დავანებოთ) რომლებსაც ისინი ეკედლებოდნენ: ამ შემთხვევაში მამაცი ოფიცერი ვ.ზარანდია ჩივის, რომ მთელი სოფლის საჭმელი ხორცი ბ.გუგუშვილს და ზ.გამსახურდიას სამ დარჩენილ მცველს (დანარჩენი ორი დასაფლავებისთანავე გროზნოში წავიდა) ანუ სულ ოთხ ადამიანს გამოუჭამია.

ზ.გამსახურდიას ჯგუფის ჩქვალერის მიმდებარე მთებში შეფარვის პერიოდში გამოკვების სირთულეებზე საუბრობს აგრეთვე ზურაბ ფიფია:

• ზ.ფიფია: — ჩემმა „ოჯახმა“, ანუ ჩემმა სოფელმა **ორი დეკეული, ორი ღორი, თიკანი** დაუკლა პრეზიდენტს! წაბლით ვიკვებებოდითო, ბატონმა ბესარიონ გუგუშვილმა რომ თქვა, ძალიან მეხამუშა. პრეზიდენტის პატივისცემაზე ფიქრობდა ყველა და გეტყვით მათ ვინაობასაც: ომიკო შეროზია, გია ფიფია, ელგუჯა ფიფია, ნიკო კვარაცხელია, გოჩა ფიფია, ჯანი და ნიკა შეროზიები... ამ ხალხს არაფერი დაუკლია ბატონი ზვიადისთვის!

• გ.მამაცაშვილი: — და ამდენმა ადამიანმა, ყველამ იცოდა, სადაც აფარებდა თავს დევნილი პრეზიდენტი?

• ზ.ფიფია: — კი, **ეს ყველამ იცოდა! აბა რა?!**

...ორმოცდაათ კაცამდე იყო იმ დროს პრეზიდენტის გარემოცვაში...

„ასავალ დასავალი“, 2010, 4 ნოემბ., გვ. 24.

მიაქციეთ ყურადღება: ზ.ფიფიას ეჩვენება, რომ ზ.გამსახურდიას 15 კაციანი დაცვა „ორმოცდაათ კაცამდე“ იყო! ამას ალბათ ან ზ.გამსახურდიას გარემოცვის კოლოსალური მადა და ჭამისუნარიანობა აფიქრებინებს ან კი ზემოთ ჩამოთვლილი **„ორი დეკეული, ორი ღორი, თიკანი“** ვიღაც სხვებსაც ერგოთ...

ამის მერე წესით უნდა გაჩნდეს კითხვა – თუ ზ.გამსახურდიას პაწაწინა პარტიზანული ჯგუფის გამოკვება ასეთი ურთულესი ფაქტორი იყო და მათ გამოკვებას ერთ სოფელში ათობით ადამიანის ჩარევა დასჭირდა (და აგრეთვე მათი ოჯახის წევრების საქმის კურსში ჩაყენება – რაც ჯამში ალბათ ასამდე ადამიანს უდრის), და რაც თავის მხრივ ნიშნავს იმას, რომ უკიდურესად ფართო იყო იმ ადამიანთა წრე და დიდი იყო რიცხოვნობა ვინც მეტ-ნაკლები სიზუსტით იცოდა ზ.გამსახურდიას ჯგუფის ადგილმდებარეობა, ხოლო სოფელი კი საკვებისგან გაიცალა და დაიმშა – როგორ იქნებოდა შესაძლებელი მართლაც სერიოზული რიცხოვნობის დაცვის გამოკვება-უზრუნველყოფა?

აგრეთვე: ადგილობრივი მცხოვრებლების გამომკვებავ-უზრუნველმყოფი ჯგუფის ასეთი გარემოებებით განპირობებული მრავალრიცხოვნების პირობებში და მათზე ასეთი დიდი ეკონომიკური ზეწოლის ვითარებაში როგორ და რით, რა ხერხებით და მეთოდებით შეიძლებოდა ზ.გამსახურდიას ჯგუფის ადგილმდებარეობის სანდო გასაიდუმლოება?

და, ბოლოს, ვ.ზარანდიასა და ზ.ფიფიას მონათხრობი (რასაც კოკოს კომისია პოპულარიზებას უწევს, თითქოს იგი ასე თუ ისე ასახავს საკმაოდ გავრცელებულ შეხედულებას) – რა შუქში წარმოსახავს სამეგრელოს იმ წრეების მდგომარეობასა და ზ.გამსახურდიას რაზმის რჩენა-უზრუნველყოფისადმი დამოკიდებულებას, რომლებიც ნებით თუ უნებლიეთ იძულებულნი გახდნენ დახმარებოდნენ დევნილ ზ.გამსახურდიას? ალბათ როგორი სიძულვილითა და შურით უყურებდა ეს დამშეული ხალხი მგლური მადის მქონე გამსახურდიას გარემოცვას რომელიც დეკეულების, ღორებისა და თიკნის ხორცით სკდებოდა და გამუდმებით ქეიფობდა...

და, კიდევ ერთი ფრიად მწვავე და ეკლიანი შეკითხვა: წამოგიდგენიათ თუ არა, როგორი უკმაყოფილება და გაღიზიანება წარმოიქმნებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ერთ ნაწილში, მისი სარჩენი პრეზიდენტ ზ.გამსახურდიას თუნდაც

ასი მებრძოლისგან დაკომპლექტებური პარტიზანული რაზმი რომ გამხდარიყო და თანაც დიდი ხნის განმავლობაში? რამდენი დამსმენი და უკმაყოფილო პროვოკატორი გაჩნდებოდა?

ახლა თვით გაეცით პასუხი შეკითხვას: შეიძლებოდა თუ არა ასეთ პირობებში პრეზიდენტს **მრავალრიცხოვანი დაცვა** ჰყოლოდა? და, ამასთან, დაცვის რა რაოდენობა იყო **საკმარისი** ბალტინის მრავალ ათასიანი საექსპედიციო ძალებისა და შევარდნაძის ხუნტის მრავალათასიანი ბანდების მიერ სამეგრელოს ოკუპაციის ვითარებაში პრეზიდენტის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის?

ზემოთქმულისგან განსხვავებით უნდა აღვნიშნო სამეგრელოს მოსახლეობის, ჩვენი მასპინძლების რაინდობა, თავდადება და კეთილშობილება რის გათახსირებასაც კოკოს კომისია ცდილობს!

05. რატომ არ დაინტერესდა კომისია მთავარი, განმაპირობებელი, საკვანძო საკითხებით?

რამდენადაც კოკო გამსახურდიას კომისია „პარლამენტის“ ანუ სამართალშემოქმედებითი ორგანოს ბაზაზე მოქმედებდა მოსალოდნელი და სავალდებულოც იყო სამართლებრივი საკითხები მის მუშაობაში საკვანძო გამხდარიყო.

კომისიას არც კი უცდია აეხსნა რა სამართლებრივ ბაზაზე, საფუძველზე დაყრდნობით დაირღვა 1994 წელს ჩეჩნეთის მთავრობისა და საქართველოს მთავრობის მიერ ზ.გამსახურდიას გარდაცვალების მოწმეებისადმი მიცემული **გარანტიები** გამოძიების არ-ჩატარების შესახებ, რასაც ზ.გამსახურდიას ცხედრისთვის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებაზე ოჯახის კატეგორიული წინააღმდეგობისა და ექსპერტიზის არჩატარების გამო გარდაცვალების მოწმეების თვითმკვლელობის მამტკიცებელი დასაბუთების შესაძლებლობის წართმევა გარკვეულწილად უნდა დაებალანსებინა.

ამასთანავე, ნიშანდობლივია, რომ კომისია სავსებით არ დაინტერესებულა დაედგინა, გაეგო გამოკითხული პირებისგან, ზ.გამსახურდიას მასპინძელი ოჯახების წევრებისგან და სხვა პირებისგან, რომლებიც მას კრიტიკულ პერიოდში შეხვდნენ და გაესაუბრნენ:

- ზოგადად რა არსებითი, სერიოზული, სახელმწიფოებრივი დონის გეგმები ჰქონდა ზ.გამსახურდიას — ანუ რატომ, რა სამართლებრივ საფუძველზე ეწეოდა იგი საკუთარი და ამას გარდა მის გარშემო მყოფ ათეულობით ადამიანის, ოჯახების სიცოცხლის უკიდურეს რისკს კატასტროფული სამხედრო დამარცხებისა და სამეგრელოს საერთაშორისო ოკუპაციის (ბალტინის დაქვემდებარებაში მყოფი რუსეთ-უკრაინის სამხედრო ძალები) პირობებში?
- აპირებდა, ცდილობდა თუ არა ზ.გამსახურდია სამეგრელოში ალყიდან ჩეჩნეთში დაბრუნებას ან სადმე სხვაგან წასვლას, რაც მის სამართლებრივ სტატუსს შეცვლიდა (ანუ მას კვლავ დევნილად, ემიგრანტად გადააქცევდა)?
- ჰქონდა თუ არა ზ.გამსახურდიას იმ ოჯახის წევრების — რომლებთანაც თავს აფარებდა ან სხვა კონტაქტების მეშვეობით საკუთარი ოჯახისთვის, ეროვნული მოძრაობის ორგანიზაციებისთვის, ქართული საზოგადოებრივობისთვის ან დუდაევისთვის რაიმე მიმართვის, წერილს, ცნობების ან თუნდაც მოკითხვის გადაცემის მცდელობა. და, თუ ასეთი მცდელობა მას არ ჰქონია რისი მანიშნებელი იყო ეს გარემოება?
- მიმართა თუ არა ზ.გამსახურდიამ ვისმეს იმდროინდელი კონტაქტებიდან და რაიმე თვალსაზრისით სპეციფიკურად და კონკრეტულად შველისთვის ან დახმარებისთვის?
- როგორ, რა გარემოებებისა და ფაქტორების გავლენით ჩამოყალიბდა ზ.გამსახურდიას გარემოცვა დაწყებული მისი აფხაზეთში გადასვლიდან?
- რა სამართლებრივი სტატუსი ჰქონდა ზ.გამსახურდიას სამეგრელოში მალვის პერიოდში?

- რა სამართლებრივი სტატუსი, მოვალეობები, უფლებები და შესაძლებლობები გააჩნდათ ზ.გამსახურდიას სამეგრელოში მალვის პერიოდში მისი გარემოცვის ცალკეულ წევრებს. რას წარმოადგენდა სამართლებრივად მთლიანად ეს გარემოცვა. რა სამართლებრივი ფაქტორები ავალდებულებდა ამ გარემოცვას უკიდურეს საშიშროებაში ჩაეგდოთ საკუთარი სიცოცხლე, ჯანმრთელობა და თავისუფლება?
- რა სამართლებრივი მოვალეობები და ვის წინაშე ეკისრებოდა ზ.გამსახურდიას გარდაცვალების შემდგომ მის გარემოცვას მისი ცხედრისა და ნივთიერი გარემოს მიმართ. ევალებოდა თუ არა გარემოცვას გამოძიებისა და სამედიცინო-სასამართლო ექსპერტიზის დამახასიათებელი რაიმე ფუნქციების შესრულება?

კომისია, იმის და მიუხედავად, რომ არაჯანსაღი ჩაკირკიტებითა და გამრუდებებით დაეწაფა სავსებით უმნიშვნელო და მეათეხარისხოვან ასპექტებს, სრულებითაც არ დაინტერესდა და მიჩქმალა ზ.გამსახურდიას ბედ-იღბლისა და მდგომარეობის განმსაზღვრელი ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, როგორიცაა ვთქვათ მის განკარგულებაში არსებული სამხედრო ძალების შესაბამისობა გაჩაღებული რუსეთ-საქართველოს ომის შესაბამის აუცილებელ საბრძოლო ამოცანებთან. თუმცა ამ საკითხზე არსებობს და ფართოდაა ცნობილი თვით ზ.გამსახურდიას გამონათქვამები დაფიქსირებული ვიდეო დოკუმენტებში.

ამ თვალსაზრისით სამაგალითოა ზ.გამსახურდიას მოწოდება „სახალხო ლაშქრის“ შექმნის თაობაზე ანუ არსებითად მობილიზაციაზე — რომელიც ხობში გაჟღერდა მისი ჩამოსვლისთანავე; და სიტუაციის უკიდურესი გამწვავებისა და რეგიონში ბალტინისა და ხუნტის ხროვების შემოჭრის რეალური საშიშროების ფონზე არსებითად ტოტალური მობილიზაციის კატეგორიული და საჯაროდ მოთხოვნა 23 ოქტომბერს ზუგდიდში მრავალათასიან მიტინგზე (რომელიც ზუგდიდის ტელევიზიამ მთელს რეგიონს გააცნო)[2].

პრეზიდენტ ზ.გამსახურდიას „სიყვარულზე თავწაკლულებს“ და ოცი წლის შემდეგ ვითომც მისთვის „თავგანწირულებს“ უნდა საყვედურით შევახსენო, რომ მის აქ დამოწმებულ ხვეწნა-მუდარას პრაქტიკულად არც არავინ გამოეხმაურა, „სახალხო ლაშქარში“ არც არავინ შევიდა, საყოველთაო მობილიზაცია ჩაიშალა და ამითი მთელი რეგიონი, კანონიერი ხელისუფლება და პირადად ზ.გამსახურდია სრული სამხედრო-საბრძოლო ფიასკოს წინაშე აღმოჩნდნენ.

06. რატომ „პირველი პრეზიდენტის გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისია“?

დიახ, რატომ „პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისია“ და არა „პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისია“?

ვინმე მარტივად მოაზროვნეს ეს საკითხი შეიძლება ნაკლებმნიშვნელოვნად მოეჩვენოს, განსაკუთრებით თუ არ იცნობს „მამისიმედ“ კოკო გამსახურდიასა და ფაქტობრივი ხელისუფლების გაიძვერობას.

მაგრამ დააკვირდით რა ძალზე მნიშვნელოვანი განსხვავებებია ამ ორ დასახელებას შორის: დასახელება „პირველი პრეზიდენტი“ **არ მიუთითებს** იმაზე, რომ **გარდაცვალების მომენტში ზ.გამსახურდია ლეგიტიმური პრეზიდენტი იყო და პრეზიდენტის ფუნქციებსა და მოვალეობას ასრულებდა!**

[2] იხ. DVD-ზე: Video/z-gamsaxurdia_saxalxo_lashqari_seqt-oqt-1993.wmv

ამით კოკომ პრინციპულად ჩამოახურდავა მამამისის დონე გარდაცვალების წინა პერიოდში, ვინაიდან „პირველი პრეზიდენტი“ მისი გარდაცვალების მომენტისთვის შესაძლოა დიდი ხნის გადამდგარიც, გადაყენებულიც და თუნდაც საპრეზიდენტო ვადის გასვლის გამო ყოფილი პრეზიდენტიც ყოფილიყო, თუმცა „პირველ პრეზიდენტად“ მაინც დარჩებოდა! ასე ასიამოვნა გმირის ლენჩმა ვაჟმა მამამისის მტრები. ვთვლი, რომ ესეც ძალზე არსებითი სამხელია საქართველოს საოკუპაციო, არალეგიტიმური ძალაუფლების ბოროტი და ქვენა მიზნების და ხრიკებისა.

07. წინათქმის მაგიერ: კვლავ პირში გახლით ხისტად – გამსახურდიამ თავი მოიკლა!

იმთავითვე, როდესაც საქართველოში უკვე დაწყებული პუტჩისა და სახელმწიფო გადატრიალების პერიოდში ზვიად გამსახურდიას მხარეს დავდექი — ყველაზე სუსტი და წამგებიანი პოზიცია დავიკავე, ურყევად ვიდექი და ვიცავდი.

როდესაც თბილისში დამარცხებული ზვიად გამსახურდია გაიხიზნა საქართველოდან და დროებით ჩეჩნეთს შეეკედლა — მას შევუერთდი – ყველაზე სუსტი და წამგებიანი პოზიცია დავიკავე, ურყევად ვიდექი და ვიცავდი.

როდესაც რუსეთის ბალტინის საინტერვენციო ძალებისგან დამარცხებული ზვიად გამსახურდია კვლავ გაიხიზნა და სამეგრელოში **დაეხეტებოდა გამარჯვების მომტანი სიკვდილის ძებნაში,** მას შევუერთდი – ყველაზე სუსტი და წამგებიანი პოზიცია დავიკავე, ურყევად ვიდექი და ვიცავდი.

როდესაც ზვიად გამსახურდია გარდაიცვალა და გარდაცვალების გარემოებების საკითხი დადგა — მაშინაც ყველაზე სუსტი და წამგებიანი პოზიცია დავიკავე, მასზე ურყევად ვდგავარ და ვიცავ: ვამტკიცებ რომ — ზვიად გამსახურდიას სიკვდილის ჟამს, სასიკვდილო გასროლის წამს — იმ ოთახში, მის უშუალო სიახლოვეს, რაიმე იარაღით მისაწვდომ მანძილზე მხოლოდ მე ვიყავი და სხვა არავინ სასროლ მანძილსა და პოზიციაში არ ყოფილა.

ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებიდან გასული მთელი დროის განმავლობაში, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების შედეგები ადასტურებდნენ, რომ გამოკითხულთა არანაკლებ 75%-ს მხოლოდ მკვლელობის ვერსიის მიღება შეუძლია, მკვლელობის ვერსია სჭირდება და სწყურია — რადგან „გამსახურდია თავს არ მოიკლავდა“!

ახლაც — როდესაც სიცრუის კიდევ ერთი გოდოლი ააგეს „საპარლამენტო“ კომისიის დასკვნის სახით — **მე ისევ და როგორც ყოველთვის, ჩემს სიმართლეში ჯიუტად და მტკიცედ დარწმუნებული — მარადჟამს და კვლავ ყველაზე სუსტ და წამგებიან პოზიციაზე ვდგავარ მტკიცედ, ურყევად და მას ვიცავ** — ჩემს და ჩემი თანამებრძოლების, გარდაცვალების მოწმეების სიმართლეში ვნებიანად დაეჭვებულ **საზოგადოებრიობას კვლავ პირში ვახლი ხისტად: ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა!**

ყველასა და ყოველს — ვისაც ცილისწამების ჟინი და ვნება გიდუღთ – გეპატიჟებით მე დამწამოთ ცილი მკვლელობაში — ჩემი პოზიცია ყველაზე სუსტი და წამგებიანია!

არაერთმა — კიტოვანმა, ხაინდრავამ, სხვებმა უკვე დასძლიეს ეს პრობლემა, წინაღობა... — მაგალითი სახეზეა... — შეუერთდით “მამულიშვილებს”...

ზვიად გამსახურდიას მთავრობის პრემიერ მინისტრი
საქართველოს რესპუბლიკის ემიგრაციული მთავრობის
პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბესარიონ გუგუშვილი
2011 4 მარტი

08. შენ ხარ მკვლელობის დამკვეთიც და შემსრულებელიც

> რობინზონ მარგველანი:
>
> «ვიყავი წმინდა კვირიკეს ეკლესიაში და იქ დავიფიცე. მე თუ ბრალი მიმიძღოდეს ზვიად გამსახურდიას, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ღალატში, ჩემი მოდგმა და ჯილაგი აღიგავოს პირისაგან მიწისა, თუ არა და – ვინც მე უსამართლოდ ბრალს მდებდეს, მათი მოდგმა და ჯიშ-ჯილაგი, უკუნითი უკუნისამდე!»

სანამ ამ წიგნის კითხვას განაგრძობდე მკითხველო, რათა აქ, შემდგომ აღწერილი თვალნათლივ წარმოიდგინო და ღრმად ჩაწვდე, **სავალდებულოა ამ ვიდეო დოკუმენტის ნახვა,** იხ DVD-ზე:

Video/ realuri tvitmkvleloba/realuri_tvitmkvleloba.wmv

გაფრთხილებ – ნურაფერს სასიამოვნოს, გულის გადასაყოლებელსა და გასართობს ამ წიგნის წაკითხვისგან ნუ ელი! წიგნში თავმოყრილი ცნობებისა და ინფორმაციის უდიდესი ნაწილი გაბოროტებითაა გამსჭვალულ-დამძიმებული, ცილისმწამებლური, არაობიექტური და ბინძურია. ეს უმეტესწილად არის კოკო გამსახურდიასა და მისი ე.წ. „საპარლამენტო კომისიის“ მიერ 15 თვის განმავლობაში საგულდაგულოდ შეგროვებული, მდაბალ-მანკიერი აზროვნებისა და შეხედულებების კლოაკიდან ჟინიანი ვნებით ამოკრეფილი მყრალი ექსკრემენტული ცნობები – რომელთან შეხება და რომლის მხილებაც შენ, მტრის პროპაგანდით მოტყუებულო, მართალ ხალხში დაეჭვებულო, ცილისმწამებელო, „მართლმადიდებელი პრეზიდენტი თავს არ მოიკლავდა“ – მრწამსით შეპყრობილმა და ამისი კერპთაყვანისმცემლურ სარწმუნოებად გამფეტიშებელმა მაიძულე.

მოყოლებული 1994 წლის მარტიდან, აგერ უკვე ლამის ოცი წელიწადია – ადამიანები რომლებმაც ეროვნული მოძრაობის ლიდერსა და ქართული სახელმწიფოს მეთაურს, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მისი სიცოცხლის ბოლო წუთამდე უერთგულეს და მასთან ერთად სიცოცხლის რისკს ეწეოდნენ – ზ.გამსახურდიას მკვლელობის ქვემოთ მითითებული დამკვეთების ბოროტი განზრახვების გამო, გამუდმებული და უწყვეტი ცილისწამებისა და სიცრუით შეურაცხყოფის მსხვერპლნი არიან. ისინი იძულებულნი არიან გამუდმებით გაიხსენონ, იფიქრონ, თვალწინ ჰქონდეთ, მოჰყვნენ, მოუთხრონ, გაუთავებლად იმეორონ ქართველი ერის მტრების მიერ სასიკვდილოდ განწირული და იმ ჟამად უკვე მძიმედ ავადმყოფის მიერ ჩადენილი თვითმკვლელობის სისხლიანი, სასტიკი, დამთრგუნველი სცენები.

ამ წიგნში შენ, პრეზიდენტისა და ეროვნული ხელისუფლების ერთგული თანამებრძოლების პატიოსნებაში, კაცობაში და ერთგულებაში დაეჭვებულო მკითხველო დაპატიჟებული ხარ ოდნავ მაინც შეეხო იგივე ტრაგიკულ სცენებსა და გარემოებებს, იყნოსო სისხლისა და დენთის სუნი, გაიგონო სისხლის საფეთქლიდან იატაკზე ჩამოღვრის ხმა. იგრძნო არაკაცური, კრიმინალური, ბოროტი და ბინძური ცილისწამებებისა და განზრახვების ცივი და შავი სუსხი.

პირველ რიგში საგანგებოდ უნდა აღვნიშნო რომ მეც, ამ წიგნის ავტორს და თვითმკვლელობის სხვა მოწმეებსაც აქ ხსენებული მკვლელობის დამკვეთების მიმართ — რომელთა ვნებიანმა არაკაცობამ, ბოროტმა სიბილწემ და ცვედნურმა სიბინძურემ: ზვიად გამსახურდია ათობით კეთილი ოჯახისთვის მაოხრებელ მკვდრად აქცია, ამ სათნო ოჯახებს სახელი გაუტეხა, მოაოხრა და მოსპო; ათობით სიკეთის დამთესავ და თავგანწირული საქციელის ჩამდენ ადამიანს ბოროტი ცილი დასწამა, მოხვეჭილი კეთილი სახელისგან გაძარცვა, დათესილი მადლი შეუგინა; ათობით ადამიანი გააფუჭა-გაათახსირა, თვით გახადა ცილისმწამებელი, გაბოროტებული დამბეზღებელი და ამითი ნამუსი ახადა და გააუპატიურა — ზიზღზე უკეთესი არავითარი სხვა გრძნობა არ გაგვაჩნია (ესეც იმ შემთხვევაში თუ შევძელით

სიძულვილის დაოკება), აქედან გამომდინარე და მასთან დაკავშირებული ყველა სხვა ასოციაციის ჩათვლით.

მაშ, ასე! — განვიხილოთ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის ბილწი დამკვეთები და მკვლელობის მათი ბინძურ მოტივები და დაინტერესება — არაჯანსაღი საზოგადოებრივი გავლენის ზომისა და სიძლიერის გათვალისწინებით.

1. ამ ეტაპზე (ანუ 2004 წლიდან მოყოლებული) ყველზე ძლიერი და გავლენიანი მკვლელობის დამკვეთია პირადად საქართველოს არალეგიტიმური **რეჟიმის პრეზიდენტი სააკაშვილი** და მის ზურგს უკან მდგომი მმართველი კომპრადორული კლასი. ამავე დროს დამკვეთთა ამ ჯგუფს ყველაზე კაპიტალური, შორსგამიზნული და მრავალმხრივი მიზნები, მოტივები აქვს და იგი უზარმაზარი პროპაგანდისტული პოტენციალითაა აღჭურვილი.

მისი მიზანია:

- პირადად ზვიად გამსახურდიას, როგორც პრეზიდენტის, უმაღლესი რანგის ადმინისტრატორის, სამხედრო მეთაურისა და ლიდერის დისკრედიტირება – იმის ჩვენება და დემონსტრირება, რომ იგი იყო ძლიერი პიროვნების, ლიდერის აუცილებელ თვისებებს სავსებით მოკლებული ადამიანი – რომელიც გამუდმებით იღებდა ქაოტურ და ნაუცბათევ, მოუზომელ, მცდარ გადაწყვეტილებებს; რომელიც შეპყრობილი იყო ერთი მხრივ პარანოიდალური უნდობლობითა და ეჭვიანობით და მეორე მხრივ ავადმყოფური მიდრეკილებით დაეახლოვებინა მხილებული მოღალატეები და უუნარო პირები; მისი წარმოჩენა ისე, რომ მას არ გააჩნდა უნარი შემოეკრიბა (თუნდაც ათიოდე მებრძოლი პირად დაცვაში) სანდო და კვალიფიცირებული ადამიანები; დაანახონ საზოგადოებას ზ.გამსახურდია როგორც ადამიანი, რომელიც იბრალებდა სახელმწიფოს უზენაეს მხედართმთავრობას, მთავარსარდლობას და ამავე დროს ვერ შეძლო თუნდაც საკუთარი, პირადი დაცვის აწყობა და საკუთარი თავის დაცვა.
- საპარლამენტო კომისიის ყველა დასკვნაში სავსებით იგნორირებულია ზ.გამსახურდიას მიერ მისი სიცოცხლის ბოლო პერიოდში რაიმე გადაწყვეტილებების მიღებაში აქტიური მონაწილეობა, ლიდერობა ან მეთაურობა. მკითხველს ექმნება შთაბეჭდილება, რომ მას – ნებასა და ნებისყოფას მოკლებულს – თოჯინასავით, ტიკინასავით ექცეოდნენ და აქეთ-იქით რაღაც ბოროტი მიზნით დააბორიალებდნენ;
- მკვლელობის დამკვეთთა არსებითი მიზანია საქართველოს ეროვნული ხელისუფლების ყველა შტოს დისკრედიტირება – ხელისუფლების პრაქტიკულად ყველა წევრის დისკრედიტირება – რომლებმაც ვითომც ვერ მოახერხეს ვერც საკუთარი ხელისუფლების და ვერც პრეზიდენტის დაცვა – აღარაფერი რომ ვთქვათ სახელმწიფოს გადარჩენაზე;
- მთლიანად ეროვნული მოძრაობის, მისი ორგანიზაციების, მისი შეიარაღებული ძალების დისკრედიტირება, მათი სრული სულმდაბლობის, უუნარობისა და გამყიდველობის დემონსტრირება;
- ადამიანი, რომელიც ყურადღებით წაიკითხავს კომისიის მრუდე სარკეში ასახულ იმ ადამიანების ჩვენებებს, რომლებიც ზ.გამსახურდიას „შიგა“ და „გარე“ გარემოცვას შეადგენდნენ არ შეიძლება არ გააოცოს იმან, რომ მათში თუნდაც ერთი პატიოსანი, თავდადებული, სერიოზული, განათლებული, სახელმწიფოს და ეროვნული მოძრაობის ერთგული ადამიანიც კი არ ჩანს. როგორც „შიგა“, ასევე „გარე“ გარემოცვა უკლებლივ მხდალების, ცრუ-პენტელების, დამბეზღებლების, ინტრიგანების, გამყიდველების, მოღალატეებისა და გარეწრებისგან შედგება; აღმოაჩენს, რომ ყველა ყველას აბეზღებს და ათახსირებს – ყველა ცდილობს სხვა გათხვაროს, რათა საკუთარი თავი სუფთად წარმოაჩინოს.
- და ბოლოს – მკვლელობის დამკვეთთა კაპიტალური და ფუნდამენტური მიზანია ემიგრაციაში მყოფი საქართველოს ლეგიტიმური, ეროვნული მთავრობის დისკრედიტაცია, რამდენადაც მას მეთაურობს ზ.გამსახურდიას გარდაცვალების მთავარი მოწმე, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელდასმული პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი.

2. მკვლელობის ძირძველი, ყველაზე თახსირ-ბინძური[3] და (მმართველი უკანონო რეჟიმებისა და მმათველი კლასის რესურსების ხარჯზე) – ხმამაღალი და წიოკა დამკვეთია ზ.გამსახურდიას **ოჯახი მთელი შემადგენლობით,** „ოჯახიონი“ – როგორც ქვრივი, ასევე სამივე შვილი. მათი მოტივებია:

- მკვლელობა მათ საშუალებას აძლევთ პირადი გამორჩენისთვის, რესურსების გამოძალვისთვის და კარიერის მშენებლობისთვის გამოიყენონ მიცვალებული – რისი ძალზე თვალნათელი მაგალითი იყო თუნდაც ფართოდ გაპიარებული მთაწმინდაზე ზ.გამსახურდიას საფლავზე ბარ-ნიჩბებით ყაჩაღურ-მეკობრული თავდასხმა რომელიც ქვრივმა და მისმა წიოკა სეთურისტულმა ხროვამ განახორციელა;
- საკუთრივ ქვრივმა მკვლელობის დაკვეთით მოიხვეჭა „საქართველოს ლეგიტიმური პრემიერ მინისტრობა“, „მრგვალი მაგიდის სპიკერობა“; არც თუ მცირე მატერიალური ანგარებითი რესურსი, და ასე შემდეგ;
- ძალზე მძლავრად და მომგებიანად გამოიყენა მკვლელობის დაკვეთა კოკო გამსახურდიამ – რომელიც დამშეული რეპატრიანტიდან და ქუჩის ნაგავში მოფუთფუთე ოპოზიციონერიდან „პარლამენტის კომისიის“ კაბინეტიან-სავარძლიანი თავმჯდომარე გახდა და ამ ტრამპლინიდან მაღალ დიპლომატიურ სავარძელზე და პატიოსანი პოლიტიკური (რომელიც მას არ შეეფერება) ემიგრანტისთვის თითქმის აბსოლიტურად მიუღწეველ „ესტებან“ რაშზეც წამოსკუპდა.

3. მკვლელობის ძალზე არსებითი დამკვეთის სახით ჩამოყალიბდა ამქარი „ზვიადის სიკვდილმცოდნეობა“ – სპეკულიანტების ხროვა, რომელიც კარიერას პრეზიდენტ ზ.გამსახურდიას გარდაცვალების საკითხის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟზე აგებს.

- ამ დარგის შემქმნელი და ჩამომყალიბებელი „მდედრ სეთურთან“ ერთად მოჩეკისტო „პროფესორი“ გ.შარაძეა. საზოგადოებისთვის სავსებით უცნობმა ამ ავანტიურისტმა თავისი კარიერა და ცნობადობა ზ.გამსახურდიას სიკვდილის გარემოებების სენსაციური გაყალბებით უზრუნველყო — იგია ავტორი იმ სიცრუისა, რომლითაც მკვლელობის დამკვეთები საზრდოობდენ ლამის 20 წლის განმავლობაში: თითქოს ზ.გამსახურდიას საფეთქელში შესული ტყვია ლოყაში ჰქონოდეს გამოსული[4].
- შარაძის სიკვდილის შემდეგ „ზვიადის სიკვდილმცოდნეობის“ ალამი ხელთ იპყრა და ყოველგვარი არსებითი კონკურენციის გარეშე უპყრია „მამისიმედ“ კოკო გამსახურდიას, რომელმაც ამ დარგიდან ფრიად ისარგებლა მატერიალურად და „დიდი კაცი“ გახდა.

4. და, ბოლოს – მკვლელობის მუდმივი და ქრონიკული დამკვეთია ეროვნული ხელისუფლებისა და ზვიადმოძულეების („პუტჩისტი პატრიარქის“ – როგორც მას ზ.გამსახურდია უწოდებდა – ამქარი, ჯ.იოსელიანი, ე.შევარდნაძე, მ.სააკაშვილი, თ. სიგუა და ა.შ.) მსგავსად მოაზროვნე **ქართული საზოგადოების** დიდი ნაწილი[5] (და პირადად შენ, ცილისმწამებელო მკითხველო):

---

[3] ბინძური და თახსირი პირველ რიგში იმიტომ, რომ მათ შესანიშნავად იციან და შინაგანადაც დარწმუნებულები არიან, რომ ზ.გამსახურდიამ მართლაც მოიკლა თავი! ბინძური და თახსირი – რამდენად ზ.გამსახურდიას ჩეჩნეთში გადასვენებისას სწორედ მათს გამო არ ჩატარდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა – რაც ოჯახს საშუალებას აძლევს უსასრულოდ აბურთავოს და წველოს დაკვეთილი მკვლელობა – დაამციროს და ტალახში თხვაროს ზვიადის ეროგული ადამიანები. ამას უნდა დავამატოთ, რომ დადებული პირობით სწორედ ოჯახი უნდა ყოფილიყო თვითმკვლელობის ვერსიის გარანტი და უზრუნველმყოფი.

[4] იხ. ვიდეო დოკუმენტი შარაძის სიცრუით, DVD-ზე: Video/crupentelebi_sharadze_da_toria.flv

[5] ქართული საზოგადოებრიობა – რომელსაც ვითომ სიმართლე წყურია და ამ სიმართლის არცოდნა ტანჯავს – მაგრამ, როდესაც ზვიადის პირმშო კოკო ამ საზოგადოებრიობისგან 10.000 დოლარის მოკრებას მათხოვრობდა სიკვდილის ვერსიის 100%-იანი „შემკერავი“ ამერიკელი სპეციალისტის საყიდლად – ეს მათხოვრული თანხაც ვერ შეაგროვა! – მთელმა სიმართლეზე თავწაკლულმა საქართველომ...

- ერთნი იმიტომ, რომ „უყვართ“ ზ.გამსახურდია და ურჩევნიათ ცილისწამების ცოდვა დაიდონ და მოაკვლევინონ იგი, — ვიდრე შეურიგდნენ სიმართლეს — თვითმკვლელობას;
- მეორენი იმიტომ, რომ ზ.გამსახურდიას წმინდანად შერაცხვის ღირსად ასახელებენ, რაც მათი ურწმუნოებიდან გამომდინარე თავისთავად უნდა გამორიცხავდეს თვითმკვლელობას — რომელთაც ურჩევნიათ ცილისწამების ცოდვა დაიდონ — ოღონდ კი მათი გმირის გაწმინდანებას არაფერმა შეუშალოს ხელი;
- მესამენი კი იმიტომ, რომ სძულთ გამსახურდია და ამიტომ დაუშვებლად მიაჩნიათ მის მიერ მეგობრების გადასარჩენად ჩადენილი, ღვთისთვის სათნო, ვაჟკაცური და თავგანწირული საქციელი.

მკვლელობის დამკვეთთა მხრივ საკმაოდ ფართო სპექტრია მკვლელობის განხორციელების ხერხებისა და მეთოდების დაკვეთის თვალსაზრისითაც:

- ყველაზე სადისტური მკვლელობის დაკვეთა აქვს ზვიადის პირმშო კოკოს – იგი ჯერ სასტიკად და ხანგრძლივად აწამებინებს მამამისს და შემდეგ კი წამებით სულთამბრძოლს და უკვე მომაკვდავს ორჯერ შეუბრალებლად დაახლის პისტოლეტით ტყვიას; თანაც კოკო ჯერ შორიდან სროლას ამჯობინებდა, ხოლო შემდგომ დაიხვეწა, პისტოლეტი თანდათან სულ უფრო და უფრო დაუახლოვა მამამისის საფეთქელს...
- მანანა არჩვაძემ ზვიადი ჯერ დარიშხანით მოწამლა, შემდეგ დაუძლურებული გუგუშვილს, აბსანძეს და მარგველანს მოაკვლევინა — რიგ-რიგობით. ესეც არ იკმარა და მიცვალებულის გვამი ჯერ „თერმულად“ დაამუშავა და შემდეგ კი „ქიმიური“ დამუშავებაც ჩაუტარა — რის შედეგად გვამი ზომა-წონაში ძლიერ შემცირდა[6];
- სხვებს უფრო რომანტიკულად მიაჩნიათ ზ.გამსახურდიას მკვლელობა დახელოვნებული პროფესიული მკვლელის მიერ მის საძინებელში უჩუმრად და ფეხაკრეფით შეპარული მკვლელის მიერ, როდესაც მისი თანმხლებებს ნებიერად და უდრტვინველად ეძინათ;
- ზოგს უფრო იტაცებს ზ.გამსახურდიას მოკვლა ჩასაფრებული სნაიპერის მიერ;
- ზოგიერთისთვის სასურველია ზ.გამსახუდრიასა და მისი თანმხლები ჯგუფის მხუთავი თუ დამაძინებელი სპეციალური გაზით (აირით) მოწამვლა-დაძინება და ასეთ სიტუაციაში ზ.გამსახურდიას მოსპობა;
- მკვლელობის ჯგუფურ განმახორციელებლებშიც დიდი არჩევანია – სპეცრაზმები „ალფა“, „ლეტუჩიე მიში“ და ასე შემდეგ;
- დამსახურებული პროვოკატორი შურღაია ზვიადის მოკვლას მხოლოდ და მხოლოდ ენთუზიასტ შეთქმულ მეგრელებს ავალებს ჟინიანი ატაცებით და ეს მეგრელების უდავო მონოპოლიად მიაჩნია;
- საქართველოს ჩირქმა ჯ.იოსელიანმა ზ.გამსახურდია დუდაევის ჩეჩნებს მოაკვლევინა გროზნოში და გვამი საქართველოში ჩამოატანინა;
- მკვლელობის დამკვეთთაგან ყველაზე დახვეწილ, გურმან ფანებს კი განსაკუთრებით ბილწად აღაგზნებთ ზ.გამსახურდიას მოკვლა მასთან ერთ ლოგინში მწოლიარე და მისი ბოლო პერიოდის განუყრელი მეგობრისა და თანამგზავრის მიერ – რომელმაც ჯერ წინასწარ ახლო მახლო ყველა მყოფი მძლავრი დასაძინებელი წამლით (ან სპეციალური აირით-გაზით) მიაძინა – რათა თავისი ბოროტი განზრახვა აუჩქარებლად, უსაფრთხოდ და მშვიდ ვითარებაში განეხორციელებინა...
- და სხვა მრავალი – რომელთაც გაეცნობით საპარლამენტო კომისიის ქვემოთ მოტანილი დოკუმენტების კითხვისას

დავამთავრე იმითი, რითიც ეს თავი დავიწყე: მხოლოდ ზიზღი გაგვაჩნია შენს მიმართ – მკვლელობის ბინძურო დამკვეთო მკითხველო – და, ვიმედოვნებ წიგნის წაკითხვისას ამას იგრძნობ! პოზიტიურის მოლოდინში კი ველი, რომ ამ წიგნის ყუ-

[6] იხ. DVD-ზე: Documents\asavali_2009-febr-23_archvadze_gugushvilebze.pdf

რადღებით წაკითხვა შენც შეგაზიზღებს საკუთარ ცილისწამების ცოდვით დამძიმებულ თავს...

რამდენადაც, სახელი – მოსახვეჭელთა შორის უპირველესი და უმჯობესია, **შენ, მკვლელობის დამკვეთო უსინდისო მკითხველო – ზ.გამსახურდიას თავდადებული და ერთგული გარემოცვის წევრების სახელის ბილწი ქურდი და ბოროტი ყაჩაღი ხარ!**

09. მოწმეების ტოტალური, ყოველმხრივი ტერორიზება და დაშინება

საქართველოს უკანონო ხელისუფლებების მიერ და მის გარემოში, გავლენის სფეროში პრეზიდენტ ზ.გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებების ნებისმიერი გამოძიება, შესწავლა და თუნდაც ნებისმიერი განხილვა მას მედიაში ყოველთვის ხდება, მიმდინარეობს გარდაცვალების თვითმხილველებისა და მოწმეებისა ან ამ საკითხის შესახებ თუნდაც რაიმე ობიექტური, რეალური ინფორმაციის მქონე ადამიანების ტოტალური, საყოველთაო ტერორიზებისა და დაშინების გარემოში.

მკვლელობის ვერსიის – მთელს ქართულ სოციუმში, საზოგადოებრიობაში შექმნილი დაკვეთა – წარმოშობს ისეთი ფსიქოლოგიურ გარემოს, რომელშიც თვითმკვლელობის ვერსიის გამმაგრებელი ფაქტების მფლობელი მოწმეები თავისთავად და უპირობოდ „მკვლელობის“ თანამონაწილეებად, ერის მოღალატეებად, ერის მტრებად, მატყუარებად, ცრუპენტელებად ცხადდებიან და ასეთებად გამოიყვანებიან! მეტიც და უარესიც – თვითმკვლელობის ვერსიის გამჟღერებლები და თუნდაც მკვლელობის ვერსიაში დაეჭვებულები ლამის მკვლელობის თანამონაწილეებად ითვლებიან და ასეთად ცხადდებიან! სოციუმი, საზოგადოებრიობა ცალსახად მოითხოვს უპირობოდ, კატეგორიულად მკვლელობის ვერსიის გამაგრებას, მხარდაჭერასა და მკვლელობის ვერსიის პროპაგანდას.

მოდურ ლოზუნგს: „მე არ მჯერა, არ მწამს თვითმკვლელობა“ დამონებული საზოგადოებრიობა კეთილგანწყობითა და ტაშისკვრით ხვდება ნებისმიერ მონაჭორს, სიცრუეს, ბინძურ ცილისწამებას რომელიც კი მკვლელობის ვერსიას ამაგრებს.

ყველაფერს ამას განსაკუთრებით კიდევ ის გარემოება ამძაფრებს, რომ თავად დიქტატორმა „პრეზიდენტმა“ მ.სააკაშვილმა და მისმა მონა „პარლამენტმა“ ზ.გამსახურდიას გარდაცვალება აპრიორი მკვლელობად გამოაცხადა და მკვლელობის ვერსია ოფიციალურ სახელმწიფო, სამთავრობო ვერსიად გახადა.

ასეთი საყოველთაო ტერორისა და დაშინების ვითარებაში სავსებით გასაგები და მოსალოდნელია, რომ ზ.გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებების შესახებ ნებისმიერ ინფორმაციასთან დაკავშირებული და/ან ინფორმაციის მფლობელი პირები ტყავიდან ძვრებიან, ცრუობენ და თაღლითობენ რათა ინფორმაცია ისე მოაქციონ, ისე შეკმაზონ და ისე მიაწოდონ საზოგადოებრიობას, რომ იგი მკვლელობის ვერსიას ამაგრებდეს. მრავლადაა „ინფორმატორები“ რომლებიც ყურმოკრული ჭორებით, ფანტაზიებით, სხვა თითიდან გამოწოვილი „ინფორმაციით“ ტბორავენ სენსაციებზე დამშეულ მას მედიას.

არსებული ტოტალური ტერორისა და დაშინების ვითარებაში არაერთი მოწმე ოჯახი და პიროვნება, რომელმაც უზადო და კაცური დახმარება გაუწია პრეზიდენტ ზ.გამსახურდიას მისი სიცოცხლის მოლო პერიოდში გაილანძღა, შეურაწყოფილ იქნა, დევნის ობიექტი შეიქნა და გაუბედურდა.

ასეთი სამარცხვინო გახდა ზ.გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებების შესწავლის მთელი პროცესი და შემსწავლელი საზოგადოებრიობა.

10. დაუძლეველი წინაღობა: ოჯახის ბოროტი, კრიმინალური განზრახვები

რამდენჯერაც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებების შესწავლასა თუ გამოძიებაზე (რაც წესით და სინდის-ნამუსის არსებობისას არ უნდა მომხდარიყო) მიდგა საქმე – იმდენჯერ, და ეს იძულებულნი იყვნენ ყოველი ასეთი ქმედების ფინალში ხაზგასმით აღენიშნათ – შესწავლა-გამოძიებას დაუძლეველი წინაღობის სახით მოევლინა ის, რომ გამსახურდიას ოჯახისა და პირველ რიგში ქვრივის, მანანა არჩვაძის ბოროტი, კრიმინალური განზრახვის გამო (რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ზვიადის შვილები) **ზ.გამსახურდიას ცხედარს არ ჩაუტარდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა!**

პრეზიდენტ ზ.გამსახურდიას გროზნიში გადასვენებამდე მ.არჩვაძე თავის განცხადებებში ცბიერად და ფლიდად – **ცალსახად და მხოლოდ თვითმკვლელობის ვერსიას ახმოვანებდა** – რათა თავიდან აეცილებინა და არ გამოეწვია ზ.გამსახურდიას მომხრეების, თანამებრძოლების, კანონიერი ხელისუფლებისა და გარდაცვალების მოწმეების მხრივ სამედიცინო-სასამართლო ექსპერტიზისა და ობიექტური საერთაშორისო გამოძიების ჩატარების კატეგორიული, გამწვავებული და ცხარე მოთხოვნები[7].

მაგრამ, რაც უფრო ახლოვდებოდა გროზნოში ზ.გამსახურდიას დასაფლავების დღე, როდესაც უკვე დაიწყო პანაშვიდები, როდესაც დაკრძალვის პროცესი მსოფლიო მას მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა და ამიტომ გამოირიცხა ცერემონიების ჩაშლა და სკანდალები სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებაზე – მ.არჩვაძემ დაიწყო მკვლელობასა და მკვლელებზე აღმავალი წიოკი[8]. ამასთან მკვლელობას შევარდნაძის რეჟიმს კი არ აბრალებდა – არამედ ცილისმწამებლური შეტევა მიიტანა ზ.გამსახურდიას უერთგულეს ადამიანებზე – გარდაცვალების თვითმხილველ მოწმეებსა და პირველ რიგში ბ.გუგუშვილზე[9]. მაშინ, გლოვის იმ დღეებში არავინ დაიჯერებდა, რომ ბ.გუგუშვილისთვის ზ.გამსახურდიას წინაამდეგ შეთქმულებაში მონაწილეობის დაბრალება მ.არჩვაძეს სჭირდებოდა მისთვის თანამდებობის წართმევისა და საკუთარი თავის გა-პრემიერ-მინისტრების მიზნით, ზოგადად ეროვნული მოძრაობის მოსპობა-განადგურებისთვის – რაც მან საბოლოოდ შესანიშნავად და წარმატებულად განახორციელა.

ზოგადად სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩაუტარებლობაში და ამით დოკუმენტური მასალისა და ფაქტების ანუ **სიმართლის სამუდამო მიჩქმალვაში ბრალი დიდი ზომით მიუძღვით უზენაესი საბჭოსა და მთავრობის მხდალ, ცვედან წევრებს,** რომლებსაც არ ეყოთ ვაჟკაცობა, კაცობა და გულადობა აღეკვეთათ და აელაგმათ ქვრივის ბოროტი განზრახვით თავნებობა – **რომლებმაც არ დაუჭირეს მხარი მოწმეების კატეგორიულ მოთხოვნას დაუყონებლივ, დაკრძალვამდე ჩატარებულიყო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა გროზნიში** – დუდაევის სანდო ექსპერტებისა და შემოთავაზებული ლიტველი ექსპერტების მონაწილეობით.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების კატეგორიულმა აკრძალვამ ოჯახის ბოროტი, კრიმინალური განზრახვის გამო, გამოიწვია:

---

[7] Ex-georgian President A Suicide. „Chicago Tribune“, January 05, 1994. Zviad Gamsakhurdia, the ousted Georgian president who has been leading a rebellion, **killed himself** after being surrounded by pro-government forces, Russian **news agencies quoted his wife** as saying Wednesday.

[8] „ეს პატარები მოუკვდესო მკვლელს“ წიოკობდა პანაშვიდზე გაალქაჯებული მდედრი სეთური მ.არჩვაძე ასინეთა-კუდიანების ბოროტი ქოროსის ექოს თანხლებით – მიუთითებდა რა პანაშვიდზე დამსწრებ და სანთლებით ხელში მდგომ ბ.გუგუშვილის მცირე ასაკოვან შვილებზე.

[9] Radio Free Europe / Radio Liberty, 20 April 2001, Volume 4, Number 15, FORMER GEORGIAN PRESIDENT'S SUICIDE AGAIN CALLED INTO QUESTION: As predicted, **Archvadze-Gamsakhurdia** did subsequently claim that, rather than commit suicide, her husband had been murdered. In August 1994 Interfax quoted her as **saying that he was killed on orders from his former premier, Bessarion Gugushvili**.

- ის, რომ გადასვენების პროცესი გაჭიანურდა თითქმის თვენახევარი – რომლის განმავლობაში ცხედარმა ლპობა და ხრწნა დაიწყო, მას მატლები შეესია, კანი ობის სქელმა ფენამ დაფარა და ამდენად გართულდა დაზიანებების არსებობა-არარსებობის მტკიცე და ობიექტური დადგენა ვიზუალური ხერხებით (რამდენადაც მხოლოდ ეს იქნა დაშვებული ოჯახის მიერ);
- გადასვენების პირობებზე კამათისა და ვაჭრობის თვე-ნახევრამდე გაწელილ პერიოდში, შევარდნაძის რეჟიმი დაჟინებით მოითხოვდა უკვე მიწვეული საერთაშორისო ექსპერტების მიერ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებას, ხოლო ოჯახი ისტერიულად და კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ამას[10]. ამით შეუძლებელი გახდა:
    - გარდაცვალების მოწმეების მონაწილეობა საგამომძიებლო ქმედებებში,
    - ვერ განხორციელდა „ცხელ კვალზე“ ჩასატარებელი ყოვლად აუცილებელი საგამომძიებლო ქმედებები,
    - ვერ იქნა მოძიებული და ვერ შეგროვდა ყოვლად აუცილებელი ნივთმტიკეცებულებები,
    - ვერ დაფიქსირდა თვითმხილველთა და სხვა მოწმეების ახლო მეხსიერებაში აღბეჭდილი და ამითი მეტად სანდო ჩვენებები.

ზ.გამსახურდიას გროზნიში გადასვენების პერიოდში, მისი თანამებრძოლებისა და თანამებრძოლების მხრივ, მით უმეტეს გარდაცვალების მოწმეების მხრივ მომხდარი ტრაგედიისა და გლოვის ფონზე – შეუძლებელი იყო ქვრივის ქმედებებში ბოროტი, ანგარებითი განზრახვის მხილება, ამას მაშინ არავინ დაიჯერებდა.

თუმცა შევარდნაძის რეჟიმის წევრების მხრივ ქვრივის მხრივ ასეთი ბოროტი განზრახვა მაშინათვე იქნა მხილებული:

გაზეთმა „გარდიანმა“ იმ დღეებში გამოაქვეყნა შევარდნაძის რეჟიმის მოხელის ა.იოსელიანის ინტერვიუ სადაც იგი მ.არჩვაძეს განზრახვას აშუქებს – „მანანამ **არ მოგვცა ნება ჩაგვეტარებინა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რათა ორიოდ წლის შემდეგ საშუალება ჰქონდეს განაცხადოს, რომ გამსახურდია მოკლულია“** – ამ დროს მ.არჩვაძე გარდაცვალების მიზეზად ჯერ კიდევ თვითმკვლელობას აცხადებს [11].

მას შემდეგ, რაც მ.არჩვაძემ შორსგამიზნული ბოროტი გეგმებით აუმხედრა ბ.გუგუშვილს არჩვაძის მორჩილი ან გასულელებულ-მოტყუებული უზენაესი საბჭოს დეპუტატების ერთი ნაწილი და მოახდინა შინაგანი პუტჩი, თავისი ჭკუით დაითხოვა ბ.გუგუშვილი პრემიერ მინისტრობიდან. შემდეგ მან მიივიწყა, რომ „მკვლელი გუგუშვილია“ და შეტევა გადაიტანა ვიცე პრემიერ გ.აბსანძეზე – მას დასწამა ზ.გამსახურდიას მკვლელობის ორგანიზება[12].

მას შემდეგ რაც ბოროტი განზრახვით მ.არჩვაძის მეთაურობით ოჯახმა გროზნიში სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებია არ დაუშვა – **იგივე ხრიკი გაიმეორა** და კიდევ ერთხელ ჩაიდინა ბოროტება – ზ.გამსახურდიას ნეშტის გროზ-

---

[10] იხილეთ გადასვენების კომისიის მუშაობის ვიდეო დოკუმენტები თბილისსა და გროზნიში, რომლებშიც ცალსახად ჩანს, რომ შევარდნაძის რეჟიმი დაჟინებით ითხოვდა სასამართლო-სამედიცინო ექპერტიზის ჩატარებას, ხოლო ჩეჩნეთის მხარე და დუდაევის მიერ მოწვეული საერთაშორისო დამკვირვებლები (ლიტვიდან და ინგუშეთიდან) უარყოფენ სასამართლო-სამედიცინო ექპერტიზის აუცილებლობას იმ მოტივით, რომ **ოჯახი სრულად იზიარებს თვითმკვლელობის ვერსიას და ოჯახია თვითმკვლელობის ვერსიის გარანტი**, იხ. ვიდეო დოკუმენტები DVD დისკოზე:
z_gamsaxurdias_gadmosvenebis_komisia_groznishi.wmv
z_gamsaxurdias_gadmosvenebis_komisia_tbilisshi.wmv
z-jandarbievi_z-gamsaxurdias_tvitmkvlelobaze.wmv

[11] Radio Free Europe / Radio Liberty, 20 April 2001, Volume 4, Number 15: “The Guardian” quoted then Georgian Deputy Security Minister Avtandil Ioseliani as saying... “**Manana refused to let us perform an autopsy so that in two years time she can say he was murdered** and hold it against the Georgian state,” Ioseliani added.

[12] Radio Free Europe / Radio Liberty, 27 March 1998, WHO KILLED ZVIAD GAMSAKHURDIA? **Manana Archvadze-Gamsakhurdia**, widow of the former Georgian president, has **accused** former Georgian Finance Minister **Guram Absandze of instigating her husband’s murder**.

ნოდან თბილისში გადასვენებისასაც. იმის მიუხედავად, რომ ამჯერად სამედიცინო-სასამართლო ექსპერტიზის ჩატარებას მოითხოვდნენ გარდაცვალების თვითმხილველებიც, გადასვენების სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე ე.ხერხეულიძეც და ასე განსაჯეთ აქ განხილული კომისიის მომავალი თავმჯდომარე კ.ზ.გამსახურდიაც[13].

ამრიგად, მოვლენების განვითარებამ ამ დროისთვის დაადასტურა, რომ 1994 წელს გროზნოში დასაფლავებისასაც და თბილისში გადმოსვენებისასაც ზ.გამსახურდიას ოჯახმა არ დაუშვა ცხედრის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა იმ ბოროტი მიზნითა და განზრახვით, რათა ჰქონდეს, ისარგებლოს – ზუსტი და სანდო ინფორმაციის არ-არსებობის ვითარების ანგარებითი, გამორჩენითი გამოყენებისა და ამით გამუდმებული სპეკულაციური მიზნით გამოყენების საშუალება.

და ბოლოს – გამსახურდიას მთელი ოჯახი ანუ „ოჯახიონი“ – კოკო გამსახურდიას ჩათვლით ფრიად საეჭვოდ ასაიდუმლოვებენ და საზოგადოებრიობას უმალავენ როსტოვის ექსპერტიზის აქტის რუსულ დედანსა და სხვა უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს.

ამდენად, რახან დამტკიცებული და უდავოა მთელი ოჯახისა და თავად კოკოს ავადმყოფური მიდრეკილება გაყალბებისა და ფალსიფიცირებისადმი – ფრიად საეჭვოა, რომ კომისიის დასკვნაში როსტოვის ექსპერტიზის დასკვნის ქართული მონათხრობი მთლიანად და ზუსტად შეესაბამებოდეს რუსულ დედანს. მით უმეტეს, რომ თავად კოკო გამსახურდია საჯაროდ აცხადებდა, რომ როსტოვის ექსპერტიზის აქტი „დაშიფრულია“ და ცრუობდა, რომ მან აქტის რუსული დედანი „განსაშიფრად“ ევროპაში წაუღო იქაურ სპეციალისტებს[14].

11. წინასიტყვაობა: ვარდული „გამოძიება“ [15]

საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ადამიანების დაღუპვა ყოველთვის იყო და იქნება მოცული გარკვეული ბურუსით, მრავალაზროვნებითა და ყოველგვარი ეჭვებით. ამასთანავე, არა აქვს მნიშვნელობა – მოხდა ეს სადღაც მთაში და ტყეში, სულ რამდენიმე მოწმის თვალწინ თუ – მოხდა მრავალ მილიონიანი ტელე-აუდიტორიის თვალწინ.

საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ადამიანების დაღუპვასთან დაკავშირებით ყოველთვის მძლავრობს ამა თუ იმ ადამიანის სუბიექტური განწყობა ამ დაღუპვისადმი და არა საკუთრივ ობიექტური ფაქტები. ანუ – ვისაც როგორ მოეხერხება და როგორც აწყობს იმ ვერსიას განიმტკიცებს, იმ ვერსიას ეპოტინება (საქართველოში სულ რამდენიმე თვის წინ მომხდარი და დიდი საერთაშორისო რეზონანსის მქონე გახმაურებული სიკვდილის შემთხვევა საკმარისია ამის საილუსტრაციოდ).

სწორედ ამის გათვალისწინებით – მე არასოდეს ვცდილობდი და არც ახლა ვცდილობ ვინმე რამეში დავარწმუნო ან გადავარწმუნო, ვინმეს რამე დავუმტკიცო ან დავაჯერო – რამდენადაც, თუ ადამიანს რაღაცის დაჯერება არ აწყობს – იგი ამას არ დაიჯერებს.

ჩემს განმარტებებს ერთი ფრიად მარტივი მიზანი აქვთ – დაფიქსირდეს ზვიად გამსახურდიას დაღუპვის თვითმხილველისა და მოწმის ჩვენებები, რომლებიც ადრე არ ყოფილა გამოქვეყნებული – ქართველ მკითხველს გავაცნოთ ზოგი აქამდე უცნობი დოკუმენტი და ფაქტი (ნებისმიერი ჩემი ქვემორე გამონათქვამი რაიმე დოკუმენტს ეყრდნობა, მათი მოწმეები არსებობენ და იოლი გადამოწმებადია).

ამას გარდა – ზოგადი პასუხი უნდა გავცე საზოგადოებრიობის ერთ ნაწილში გაბატონებულ იმ მოსაზრებას, თითქოს ზვიად გამსახურდიას დაღუპვის გარემოებებთან დაკავშირებით „ჭეშმარიტებისა და სიმართლის“ დადგენა შეუძლია ვთქვათ პროკურატურას ან რაიმე იურიდიულ კომისიას. ასეთებს უნდა განვუმარტო – პროკურატურებსა და კომისიებს რომ სიმართლისა და მით უმეტეს ჭეშმარიტების დადგენის უნარი გააჩნდეთ – არ იარსებებდა არც მეცნიერება და არც რელიგია – პროკურატურები და იურიდიული კომისიე-

---

13 იხილეთ ვიდეო დოკუმენტი DVD დისკოზე: Video/mocmeebi_itkhoven_expertizas.wmv

14 იხ. ვიდეო დოკუმენტი DVD-ზე: Video/kokos_komisia_ganshifrva_28-04-2010.mp4

15 ინტერვიუ გაზეთ „ასავალ-დასავალს“ № 48(587), 2005 წლის 28 ნოემბერი – 4 დეკემბერი.

ბი გააკეთებდნენ მათ საქმეს... ჩემთვის ნათელია, რომ ასეთი ადამიანები ვერ განასხვავებენ სიმართლესა და სამართალს (იურისპუდენციას)...

ერთად ერთი – რაც შეიძლება ახლა და საერთოდაც რეალურად გაკეთდეს ისტორიისათვის – ობიექტურად და მიუკერძოებლად მოიკრიბოს და დაფიქსირდეს თვითმხილველთა ჩვენებები და მათ მიერ მოწოდებული ობიექტური ფაქტობრივი ინფორმაცია (და არა – „მე ასე მგონია“, „მე ასე ვთვლი“, „მე ასე ვფიქრობ“; „თავს არ მოიკლავდა“). ხოლო, „სიმართლე“ და „ჭეშმარიტება“ ამასთან დაკავშირებით იმდენი იქნება – რამდენიც ამაზე დაფიქრებული ადამიანი იარსებებს.

მე საშუალება მქონდა შედარებით ვრცლად გამეცნო ქართველობისთვის ზვიად გამსახურდიას დაღუპვის გარემოებები ტელევიზია „იმედის“ 2004 წლის 6 ივნისის „დროების“ ექსკლუზიურ გადაცემაში და ამიტომ ამჯერად არ შევჩერდები საკითხებზე და ფაქტებზე, რომლებიც იმ გადაცემამ უკვე მოიცვა.

რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი ფაქტი და ასპექტი სხვაც ბევრია – იმის გარდა რაზეც ქვემოთ იქნება საუბარი, მაგრამ მათი დრო ჯერ არ მოსულა (თუ საერთოდ ოდესმე მოვა...). ვგულისხმობ იმ დროს, როდესაც საქართველოს თავგანწირული გმირი, თავგანწირული ზვიადი დასჭირდება... და არა „საპატიო“ პენსიაზე გასული, უსაქმურობისგან გალოთებული და არაფრისმთქმელი, გაყალბებული მემუარების მწერალი „გმირი“... გარკვეული თვალსაზრისით – მე ვგულისხმობ იმასაც, რომ ზვიადმა დატოვა მაგალითი, თუ როგორ შეიძლება მილოშევიჩის ან სადდამ ხუსეინის ხვედრის თავიდან აცილება – და როგორი უნდა იყოს ზნეობრივი გმირის: ზვიადის, ჯოჰარის, ასლანის ხვედრი.

ზვიად გამსახურდიას დაღუპვის შემდგომ და მისი გროზნიში გადასვენების თაობაზე გროზნისა და თბილისს შორის მოლაპარაკების პერიოდში არავითარი სხვა ოფიციალური თუ არაოფიციალური ვერსია მის დაღუპვაზე – თვითმკვლელობის გარდა – არც ერთი მხრიდან ღიად, საჯაროდ არ გამოთქმულა და არ დაფიქსირებულა.

11.01. გამოძიება – არგამოძიება

მაგრამ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ მხოლოდ ზვიადის გროზნიში დაკრძალვის შემდგომ გავიგე, რომ თურმე ჩვენს მიერ გროზნიში ზვიადის დაღუპვის ცნობის მიწოდებისთანავე – ანუ ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც მე სამეგრელოში ზვიადის საფლავის გვერდზე ვიყავი და მას არ ვშორდებოდი – მისი ქვრივის პრესისადმი მიცემული განცხადების საფუძველზე შევარდნაძის პროკურატურას უკვე წამოწყებული ჰქონია გამოძიება!

მეტიც – თურმე ოჯახს პრესისადმი მიცემულ მასალაში გაუცია არსებითი ინფორმაცია ჩვენი დაახლოებითი ადგილმდებარეობის შესახებ. ამდენად – ხუნტას ჩვენი დევნა და გამოძიება დაუწყია ზ.გამსახურდიას ოჯახის განცხადებისთანავე რაზეც ოჯახმა იცოდა და მაშინათვე პროტესტი არ გამოუთქვამს – მხოლოდ შემდეგ, ჩეჩნეთის ხელისუფლების რჩევით, კატეგორიული უარი თქვა სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზისა და ყოველგვარი გამოძიების ჩატარებაზე – შეაჩეჩა რა გაბრიყვებულ ბალუაშვილს გამოუძიებადი საქმე!

ეს ყველაფერი ზ.გამსახურდიას ოჯახის წევრების თანდასწრებით განაცხადა პროკურორმა ბალუაშვილმა ზ.გამსახურდიას გადმოსვენების კომისიის სხდომაზე თბილისში და დაფიქსირებულია ჩემს ხელთ არსებულ და ვებში გამოქვეყნებულ ვიდეოფირზე. მე ამ დოკუმენტური ვიდეოფირის ეგზემპლიარი მხოლოდ ზვიადის გროზნიში დასაფლავების შემდეგ გადმომცა ჩეჩნეთის ტელევიზიამ და მანამდე სამწუხაროდ ამ ფაქტებს არ ვიცნობდი...

კიდევ კარგი, რომ ბაჩუკისა და ზაზას ჭკუა ეყოთ და გროზნიში ჩასვლის შემდეგ არც სამეგრელოში ზვიადის სასაფლაოსა და არც ჩვენი ზუსტი ადგილსამყოფელი ქვრივისთვის არ გაუმხელიათ – თორემ იქვე ჩაახოცვინებდა „ოჯახი“ ჩვენს თავს ხუნტის ჯალათებს.

ზ.გამსახურდიას ქვრივმა – ჯერ კიდევ ზ.გამსახურდიას ცხედრის გროზნიში გადმოსვენების თაობაზე თბილისთან წარმოებული მოლაპარაკების პერიოდში, საგანგებოდ დამიბარა და სიტყვა–სიტყვით ასე განმიცხადა: „ბატონო ბესარიონ. თქვენ უნდა თქვათ, რომ ზვიადი ბრძოლაში მოკლეს. მე არ მაწყობს მისი თვითმკვლელობა – ამის თქმას მე ყოველთვის მოვასწრებ. თუ ასე არ იტყვით, მაშინ მე იძულებული ვიქნები თქვენ დაგაბრალოთ ზვიადის მოკვლა“. ამაზე მე ვუპასუხე, რომ მე არაფრის არ მეშინია, სიმართლის მეტს ვერაფერს ვიტყვი და სიმართლე კი თვითმკვლელობაა. ამას დავამატე – რახან ასეთი ეჭვები შეიძლება გაჩნდეს – მაშინ ჩვენ, მოწმეები კატეგორიულად მოვითხოვთ ჩატარ-

დეს სრულმასშტაბოვანი სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზა და გამოძიება, რადგან მხოლოდ ეს შეიძლება გახდეს ჩვენი სიმართლის დამტკიცების საშუალება.

თუ ამას დავუმატებთ ქვრივის, მისი დისა და ზოგიერთი მათი დამქაშის ისტერიულ და გამუდმებულ „რეჩიტატივებს“ თემაზე „არავის არ ვაპირველებ“ (თუმცა იმდენად დაღლილი და იმედ გატეხილი ვიყავი, რომ სრულებითაც არ ვაპირებდი დევნილ ხელისუფლებაში არა–თუ პირველკაცობას და მით უმეტეს ზვიადის ადგილის დაკავებას, არამედ რაიმე გამორჩეულ აქტიურობას) – ფრიად უსიამოვნო, მძიმე და დაძაბული ვითარება შეიქმნა.

მახსენდება, ქვრივმა რეზიდენციაში დაიბარა ზვიადის დაკრძალვაში მონაწილეობის მისაღებად გროზნიში ჩამოსული უზენაესი საბჭოს დეპუტატები (ორი თუ სამი ათეული კაცი) და ჩემი თანდასწრებით განუცხადა – „რახან ზვიადმა მე მომაწერინა ხელი დამოუკიდებლობის დეკლარაციაზე – ამითი გაგრძნობინათ, რომ მისი სიკვდილის შემდეგ მე უნდა დამიჯეროთო“.

ამაზე ქვრივთან ძალზე ცხარე და უხეში შეკამათება მომივიდა (თავი ვერ შევიკავე) – „ჯერ ადამიანი არ დაგვიმარხავს და რა დროს ჩინ–მედლებისა და თანამდებობების გადანაწილებაა“ მეთქი და მეტიც – საჯაროდ, ყველას წინაშე ვამხილე, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაციის ოფიციალურ ეგზემპლიარზე მას ხელი არ ჰქონდა მოწერილი და ცრუობდა. სინამდვილე ისაა, რომ არჩვაძეს ხელი მოაწერინეს დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაციის „სასაჩუქრო“ ანუ მერაბ კოსტავას სახელობის ეგზემპლიარზე – რომელიც შემდგომ საზეიმოდ მერაბის დედის – ოლღა დემურიასათვის გადასაცემად იყო სპეციალურად და საგანგებოდ მომზადებული „სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების“ გამგეობის თხოვნით.

11.02. „თამარ დედოფალი“

ქვრივს ყველას თანდასწრებით განვუცხადე – „არ გამოგივათ ციან ცძინობა (მაო ძე დუნის ცნობილი ქვრივის სახელია, რომელიც მაოს გარდაცვალების შემდეგ ჩინეთის მეთაურობას ეპოტინებოდა) – არც სამაგისო ცოდნა და არც სამაგისო ნიჭი არ გაგაჩნიათ, ჯობია ზვიადის ოჯახსა და შვილებს მიხედეთ. უკეთესს ვერაფერს გააკეთებთ“ – მეთქი. ზუსტად და სიტყვა–სიტყვით ეს ვუთხარი. თან დავაყოლე – ნუ ეცდებით გროზნიში ზვიად გამსახურდიას საფლავი და რეზიდენცია ლენინის მავზოლეუმივით სამარცხვინო კერპად გადააქციოთ – რომლის ტრიბუნასაც თქვენ დაეპატრონებით – მეთქი. ჩემს ამ სიტყვებზე ქვრივი გაშრა, ტუჩები აუკანკალდა, გაფითრდა და ოთახიდან ხმის დაუძრავად გაწბილებული გავიდა (თუმცა დერეფნიდან კარგა ხანს ისმოდა მისი დის გაღიზიანებული წკავ–წკავი), ხოლო შეკრებილი დეპუტატები კი მძიმე პროსტრაციის მდგომარეობაში ჩავარდნენ, გაითიშნენ...

სიტუაცია კიდევ უფრო გაამწვავეს და გაამძაფრეს მოსკოვიდან შემოგდებულმა პროვოკაციულმა სტიმულებმა – ზუსტად დაკრძალვის წინა დღეებში „კომსომოლსკაია პრავდამ“ ნიშანდობლივი სტატია დაბეჭდა ზვიადის დაღუპვაზე – რომელშიც ჩამოყალიბებული და დასაბუთებული იყო მოსაზრება, რომ ზვიადის დაღუპვის შემდეგ საქართველოს ეროვნულ-სარწმუნოებრივ მოძრაობასა და დევნილ ხელისუფლებას სათავეში ზ.გამსახურდიას ქვრივი ჩაუდგება. „კომსომოლსკაია პრავდას“ მაშინათვე აუბეს მხარი სხვა რუსულმა ჟურნალ–გაზეთებმაც – რომლებსაც ზვიადის პანაშვიდებზე გლოვისათვის სავსებით შეუფერებელი გამარჯვებული სახეებითა და ნიშნისმოგებით დააფრიალებდნენ და აღფრთოვანებულები განიხილავდნენ უკვე ლამის ფრაქციად ჩამოყალიბებული „მანანისტები“ და ახლადმოვლენილ „თამარ დედოფალს“ ადიდებდნენ (ზუსტად ასე მიმართა მას წერილით ციხის იზოლაციიდან ერთ–ერთმა პატივცემულმა პოლიტპატიმარმა – რომელ წერილსაც ასევე დიდ რეკლამას უკეთებდნენ, როგორც სამაგალითო ქცევას).

მოკლე ხანში კი ჩემთვისაც და მრავალი იქ მყოფისთვისაც ნათელი გახდა, რომ ქვრივი ცდილობს რამენაირად და როგორღაც პირადად მე გამამტყუნოს ზვიადის დაღუპვაში, ამიმხედროს უზენაესი საბჭოს დეპუტატები და მინისტრთა კაბინეტის წევრები – რათა თავისი ჭკუით დევნილი ხელისუფლების პრემიერ მინისტრობა წამართვას და ამით „პირველკაცობა“ ჩაიგდოს ხელში. რაღაც ასპექტში სულ მალე ქვრივმა მართლაც „მოაკვარახჭინა“ ასეთი „შინაგანი პუტჩის“ მოწყობა – ამისთვის ჯერ თავიდან მოიცილეს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი მ.კიკნაძე და შემდეგ მე – ლეგიტიმური

პრემიერი (რითაც ზვიად გამსახურდიას მიერ ხელდასმული ყველა ლეგიტიმური პირველი პირი მათი ჭკუით დევნილ ხელისუფლებას ჩამოაშორეს). ლეგიტიმურობის მისეული წარმოსახვით – ასეთი რამ მას სავსებით დასაშვებად და შესაძლებლადაც მიაჩნდა.

ჩემს შემდეგ – არჩვაძემ პრემიერის პირველ მოადგილეზე გ.აბსანდძეზე (ზვიადის ხელდასმულ ბოლო შემორჩენილ მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეზე) მიიტანა იერიში, ამჯერად მას დააბრალა და ცილი დასწამა საჯაროდ ზვიადის „მოკვლის ორგანიზებაში“ (რამდენადაც მე უკვე დევნილ ლეგიტიმურ ხელისუფლებას ჩამოშორებულად მივაჩნდი) – აბსანძეს შეუსია თავისი ხროვა და დევნილი უზენაესი საბჭოს „მანანისტ“ ფრაქციონერებს ისიც „გაანთავისუფლებინა“ თანამდებობიდან. ამით არჩვაძემ დაასრულა ლეგიტიმური ხელისუფლებაში „შინაგანი პუტჩი“, შემომმტკიცა ცვედანი, უნებისყოფო და მარიონეტი პირების ხროვა ლეგიტიმური უზენაესი საბჭოდან და მისი აზრით სავსებით საკმარისი ბაზა შეიქმნა „გა–თამარ–დედოფლებისათვის“.

ამ მიმდინარე „შინაგან პუტჩზე“ და მის შესაძლო განვითარებასა და შედეგებზე საკმაოდ ღრმა და დეტალური მსჯელობა გვქონდა დაკრძალვის მომდევნო დღეებში გროზნიში შეკრებილ „მრგვალი მაგიდის“ წევრებთან – თუმცა ბოლოს გადავწყვიტეთ არ შევბრძოლებოდით და უაზრო წინააღმდეგობა არ გაგვეწია – „გიჟი მიუშვი ნებასა – თვით გადეყრება ვნებასა“ პრინციპით.

მართლაც – უკვე თბილისში დაბრუნების შემდეგ – არჩვაძე „მრგვალ მაგიდასაც“ და „მრგვალი მაგიდის“ ყველა წევრ ორგანიზაციასაც „დაეპატრონა“, აბსოლუტურად „გა–პირველ–დედა–კაცდა“ და თავისი აზრით დევნილი ლეგიტიმური ხელისუფლების ყველა შტო ჩაიგდო ხელთ – ამით, იგი თავისი აზრით საქართველოს დევნილი ლეგიტიმური ხელისუფლების ერთპიროვნული ბელადი გახდა და „კომსომოლსკაია პრავდაში“ ზემოთხსენებული პროგნოზიც მთლიანად და სრულად გაამართლა – საქართველოს ახალი „ქუჩის თამარ დედოფალი“ მოუვლინა.

მაგრამ ისევ საქმეთა მიმდინარეობას დავუბრუნდეთ...

მდგომარეობის ასეთი შეცვლის გამო მე ზ.გამსახურდიას გარდაცვალების სხვა მოწმეებთან შეთანხმებით მივმართე ჯოჰარ დუდაევსა და ზელიმხა იანდარბიევს (რომელიც უძღვებოდა მოლაპარაკებებს ზვიადის გადმოსვენების თაობაზე და საერთაშორისო შუამავლების კომისიას – რომელიც ჩეჩნეთის ხელისუფლებამ შექმნა ზ.გამსახურდიას ქვრივის მ.არჩვაძის ოფიციალური წერილობითი მიმართვის საფუძველზე) მოთხოვნით – ყოველ მიზეზ გარეშე და დაუყოვნებლივ ჩაეტარებინათ ჩეჩნეთში სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზა (ზ.გამსახურდიას თხოვნიდან გამომდინარე და ჩვენი მდგომარეობის ასეთი გაუარესების მიუხედავად, ვერ გავწირე იგი მკვდარიც კი ჩამეგდო ხუნტის ხელში). თანაც დავემუქრე, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ჩეჩნეთშიც არ ჩაატარებენ ექსპერტიზას – მაშინ სხვა გზა არ დაგვრჩება და გავუმხელთ ხუნტას ზ.გამსახურდიას დასაფლავების ადგილსამყოფელს – რათა შევარდნაძის მხარემ ჩაატაროს სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზა სრული მასშტაბით (უკვე ვიცოდით, რომ ექსპერტიზის ჩასატარებლად თბილისს უკვე ჰყავდა მოწვეული საერთაშორისო ექსპერტები).

ჯოჰარ დუდაევს ისიც მოვახსენე, რომ ქვრივი ასე ვთქვათ „თანამდებობაში მეცილება“ და ეს მთავარი მოტივი და მიზეზია იმისა, რომ მან დაიწყო ჩემს მიმართ ბინძური ცილისწამება და ჩემს წინააღმდეგ ამხედრებს ჩემს ყოფილ თანამებრძოლებს.

ჯოჰარმა მითხრა: ეგ ვიცი, სხვებიც მეუბნებიან მაგასო. მაგ „ნახირისაგან (რუს. ბიდლა)“ აწი, ზვიადის გარეშე (მწყემსის გარეშეო – დააყოლა) რაიმე პოლიტიკური ძალის მობილიზება ვეღარ მოხერხდება (სამხედროს რომ თავი დავანებოთ) და უმჯობესია თქვენი ცოდნა და ენერგია ახლა ჩეჩნეთს მოახმაროთ, ჩვენ ჩეჩნები იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლას განვაგრძობთ და ბოლომდე ვიბრძოლებთ – ჩვენს მთავრობას ამოუდექით მხარშიო. ტყუილად მაგათთან დავაში ნუ მოცდებით – რაღაც ხანში სტრესი გაუვლით, იქნებ გონს მოეგონ და მერე ახლიდან ერთად ვცადოთ დევნილობაში საქართველოს ხელისუფლების ხელახალი კონსოლიდაციაო (რაც მაშინ ვერ მოხერხდა). მართლაც რამდენიმე დღეში უკვე ჩეჩნეთის მინისტრთა კაბინეტისა და მთავრობის წევრად დამნიშნა.

სხვათა შორის – სულ მალე კი ჯოჰარმა ჩეჩნეთის პარლამენტის (კიდევ ერთი „ნახირის“) მუშაობა შეაჩერა და ყველა დეპუტატს სამხედრო მოსამზადებელ ბანაკებში წასვლა მოუწოდა – ლაყბობის დრო მოთავდა და საჭირო იყო მომავალი ომისათვის სერიოზული

მომზადება. ხოლო – ჩეჩნეთის კანონებით პარლამენტის წევრობა არ ათავისუფლებდა ომის დროს სამხედრო სამსახურისაგან – პარლამეტის წევრები პირველსავე ეშელონში უნდა წასულიყვნენ ფრონტზე, ცეცხლის ხაზზე – რათა პირადი მაგალითი მიეცათ რიგითი მოქალაქეებისათვის. რაც შეეხება პრეზიდენტს, მინისტრთა კაბინეტსა და სამინისტროებს – ისინი უკვე გადასული იყვნენ სამხედრო რეჟიმზე – უნიფორმის ჩათვლით და კვირაში ორ–სამ დღეს უკვე სამხედრო ბანაკში წვრთნებზე ატარებდნენ (თქვენი მონა–მორჩილიც).

თემას ისევ ცოტათი გადავუხვიეთ...

11.03. შეთანხმება საქართველოსა და ჩეჩნეთს შორის, ოჯახსა და მოწმეებს შორის შეთანხმება

ამ საკითხის განხილვისას საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ და განვმარტოთ ის ძალზე არსებითი გარემოება, რომ ზ.გამსახურდიას ქვრივისა (და, აგრეთვე, გარდაცვალების მოწმეების) აქ განხილული მოთხოვნების საფუძველზე შევარდნაძის რეჟიმსა და ჩეჩნეთის მთავრობას შორის მოლაპარაკება ცხედრის გადასვენებაზე და მის კონკრეტულ პირობებზე დაიწყო ჯერ კიდევ 1994 წლის 13 იანვარს, როდესაც ქვრივის მოთხოვნები უკვე ჩამოყალიბებული სახით გადაეგზავნა შევარდნაძის რეჟიმს.

ამ დროს ზ.გამსახურდიას გარდაცვალების მოწმეებიდან გროზნიში იყვნენ მხოლოდ „უმცროსი“ და არსებითად ზ.გამსახურდიას გარდაცვალების სხვა მოწმეების მხრივ ამ დონის უფლებამოსილებას მოკლებული წევრები ბ.გვანცელაძე და ზ.ბურჯანაძე – ხოლო, ბ.გუგუშვილი, მცველების უფროსი რ.მარგველანი და გ.კეკენაძე ჯერ კიდევ სამეგრელოში იყვნენ და სავსებით არაფერი იცოდნენ არც მოლაპარაკებებზე და არც მიღწეულ შეთანხმებაზე და მის პირობებზე.

ამიტომ, საფუძველს მოკლებულია მოარული მოსაზრება, თითქოს ზ.გამსახურდიას ოჯახსა და გარდაცვალების მოწმეებს შორის შეთანხმებაში ან ჩეჩნეთ-საქართველოს შორის მოლაპარაკებასა და შეთანხმებაში რაიმე მონაწილეობა მიეღოს ბ.გუგუშვილს ან რ.მარგველანს! ამ შეთანხმებაში გარდაცვალების მოწმეთა მხრივ, მინიმალური შესაძლებლობებით, მონაწილეობდნენ მხოლოდ – არსებითად უუფლებო, უკიდურესი ფსიქოლოგიური წნეხით დაჩაგრული, გარემოს მხრივ უხეში, ბინძური ზეწოლის ქვეშ მყოფი ბ.გვანცელაძე და ზ.ბურჯანაძე – რაც თავისთავად გარდაცვალების მოწმეების ერთიანი ნების არსებითი და უხეში უგულველყოფა იყო.

ბ.გუგუშვილი და რ.მარგველანი სიტუაციის შეცვლას და ჩეჩნეთსა და შევარდნაძის რეჟიმს შორის შეთანხმებაში გარკვეული ცვლილებების (თუნდაც ჩეჩნეთში ჩამოსვენების შემდგომ) შეტანისთვის ბრძოლის შესაძლებლობა და ჯ.დუდაევისადმი დახმარებისთვის მიმართვის შესაძლებლობა გაუჩნდათ პრაქტიკულად პროცესის უკიდურეს მიწურულს, როდესაც ცხედარი უკვე ჩეჩნეთში იყო ჩამოსვენებული – და სავსებით უშედეგოდ...

წინა თავში ხსენებული შეხვედრის შემდეგ, ჯოჰარ დუდაევი, ზელიმხა იანდარბიევი და საერთაშორისო შუამავლები ლიტვიდან (ლიტვის პარლამენტის დეპუტატი რომუალას ოზოლასი და ვ.ეიდუკაიტისი) – ჩეჩენ იურისტებთან კონსულტაციების შემდეგ ამ პრობლემასთან დაკავშირებით საგანგებოდ შეხვდნენ არჩვაძეს, გადასცეს ჩვენი მოთხოვნა და აუხსნეს, რომ ეს ჩვენი მოთხოვნა სავსებით კანონიერია და არჩვაძე ვალდებულია ჩვენი (თვითმკვლელობის მოწმეების) ეს სამართლიანი მოთხოვნა გაითვალისწინოს.

ეს ოფიციალური, შუამავლების მეშვეობით და ჩარევით ჩატარებული მრავალმხრივი მოლაპარაკება იყო ქვრივთან, რომლის შედეგადაც:

ერთის მხრივ ჩვენს – ზ.გამსახურდიას თვითმკვლელობის მოწმეებსა და მეორეს მხრივ ზ.გამსახურდიას ოჯახს შორის – მისი ქვრივის მანანა არჩვაძის სახით – <u>დაფუძნებული ჩეჩნეთისა და საქართველოს რეჟიმის შეთანხმებაზე</u>(!) – საერთაშორისო შუამავალთა მონაწილეობით და მოწმეობით მიღებული ანუ ადოპტირებული იქნა ქვემორე შეთანხმება (რომელიც უფრო ადრე ჩეჩნეთსა და საქართველოს შორის დაიდო) და ხელშეკრულება ზ.გამსახურდიას თვითმკვლელობითი სიკვდილის შესახებ (რაც მთლიანად ეფუძნებოდა და ეთანხმებოდა მ.არჩვაძის 13 იანვრის მოთხოვნებს):

«ზვიად გამსახურდიას ოჯახი, მისი ქვრივის სახით, არასოდეს არ წამოაყენებს რაიმე სხვა ვერსიას ზ.გამსახურდიას სიკვდილის შესახებ გარდა თვითმკვლელობისა.

ხოლო

ჩვენ, ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის მოწმეები არ მოვითხოვთ ცხედრის მიმართ სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზას არც ჩეჩნეთში და არც საქართველოში და არ მივიღებთ მონაწილეობას ამასთან დაკავშირებულ არავითარ გამოძიებაში.»

ეს შეთანხმება შეჯერებული და ჩამოყალიბებული სახით ასახულია გამოქვეყნებულ დოკუმენტებშიც:

«პრეზიდენტის ოჯახის ხუთი მოთხოვნა[16]

მიეცეს შესაძლებლობა დამოუკიდებლად და დაუყონებლივ გადმოასვენონ ცხედარი ჩეჩნეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, სადაც დროებით ცხოვრობს ოჯახი.

მიეცეს ხელშეუხებლობისა და საქართველოდან დაუყონებლივ გამოსვლის გარანტიები ოჯახს, სიკვდილის მოწმეებსა და სხვა პირებს, რომლებიც მონაწილეობენ ცხედრის გადასვენებასთან დაკავშირებულ მოქმედებაში.

ოჯახის წევრები და სიკვდილის მოწმენი კატეგორიულად უარს ამბობენ გამსახურდიას სიკვდილთან დაკავშირებულ გამოძიებასა თუ რაიმე გამოკვლევაში მონაწილეობაზე.

პრეზიდენტ გამსახურდიას ოჯახი კატეგორიულად უარს ამბობს, რომ გარდაცვლილის ცხედარი გაკვეთონ, გამოიკვლიონ ანდა განახორციელონ რაიმე სხვა მოქმედება, გარდა უშუალოდ ადგილზე ამოცნობისა.

გარდაცვლილის ოჯახი მოითხოვს შეიქმნას საერთაშორისო ჯგუფი, რომელიც კონტროლს გაუწევს ზემოაღნიშნულ მოთხოვნათა შესრულებას.

ოჯახი დაბეჯითებით მოითხოვს ამ მოთხოვნების შესრულებას.[17] »

ანუ – ბ.გუგუშვილისა და რ.მარგველანის გროზნიში ჩასვლის შემდგომ კიდევ ერთხელ იქნა გამახვილებული ყურადღება ზ.გამსახურდიას სიკვდილის მოწმეების უფლებებზე და ეს უფლებები კიდევ ერთხელ დადასტურდა ჩეჩნეთის რესპუბლიკისა და საერთაშორისო დამკვირვებელთა ჯგუფის გარანტიებით!

მიაქციეთ ყურადღება – ზ.გამსახურდიას სიკვდილთან დაკავშირებულ რაიმე გამოძიებასა და გამოკვლევაში მონაწილეობა არა მხოლოდ ზ.გამსახურდიას სიკვდილის მოწმეებისთვისაა უარყოფილი, არამედ – და რაც არსებითია რიგი თვალსაზრისით – ამაზე უარს ამბობენ ზ.გამსახურდიას ოჯახის წევრებიც... ღირს, რომ ამის წამკითხველი კარგად დაუფიქრდეს, თუ რატომ იქნენ ამ მუხლში საგანგებოდ მოხსენიებული ოჯახის წევრებიც....

11.04. შეთანხმება ჩეჩნეთსა და საქართველოს დე-ფაქტო ძალაუფლებას შორის

ზემოთხსენებული შეთანხმების მოწმეობა, შუამავლობა და შესრულების **გარანტობა** იკისრა ჩეჩნეთში მყოფმა საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლების უზენაესმა საბჭომ დროებითი თავმჯდომარის მ.კიკნაძის მეთაურობით (რომელიც შემდეგ მ.არჩვაძის მორჩილმა დეპუტატთა ნაწილმა მზაკვრულად და არაკაცულად დაარღვია) და ჩეჩნეთის ხელისუფლებამ. ამის საფუძველზე გამართული თითქმის ორთვიანი მოლაპარაკების შედეგად ჩეჩნეთსა და საქართველოს დე-ფაქტო ხელისუფლებას შორის მოხდა შეთანხმება, რომელიც არსებითწილად ოჯახსა და სიკვდილის მოწმეებს შორის შეთანხმებას ეფუძნებოდა – კერძოდ ამაში მონაწილეობდნენ ჩეჩნეთის ვიცე პრეზიდენტი გადმოსვენების კომისიის თავმჯდომარე **ზელიმხა იანდარბიევი,** ჩეჩნეთის პარლამენტის საგარეო კომისიის თავმჯდომარე **მათე ციხესაშვილი,** ლიტვის მხარე – რომელშიც ლიტვის პარლამენტის დელეგაციის წევრები იყვნენ (**რომულას ოზოლასი** და **ვიტატუტას ეიდუკაიტისი)** და ინგუშეთის ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ–ერთი ლიდერი **ისა კაძოევი.**

---

[16] პრეზიდენტის გადმოსვენებისას ოჯახის წარმომადგენელი და უზენაეს საბჭოს დროებითი თავმჯდომარე მ.კიკნაძე, რომელიც პირადად მონაწილეობდა ოჯახის მოთხოვნების ჩამოყალიბებასა და დაცვაში თავის მოგონებაში იხსენებს: „დიდი ყოყმანის შემდეგ, თებერვლის შუა რიცხვებში, ოჯახის ხუთივე მოთხოვნას დათანხმდნენ“. გაზ. „24 საათი“ 2006 5 აგვისტო N175 (1327) გვ.8.9, იხ.: დანართები დისკოზე.

[17] წყარო: „საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია“. გვ.33. [დაბადებიდან 65 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოცემა]. თბილისი, 2004. გამომცემლობა „ზანი“. აგრეთვე შარაძე, გურამ. ზვიად გამსახურდიას სიკვდილი და დასაფლავება. - თბ. : სახალხო წიგნი, 1995 ("ჯილი"-ს სტ.). – 133 გვ. : ილ. ; 16სმ.. - [3ლ. 75თ.]

გადმოსვენების კომისიაში იყვნენ და ამით ასრულებდნენ გარდაცვლილის ოჯახისა და თვითმკვლელობის მოწმეებს შორის დადებული ხელშეკრულების, ჩეჩნეთსა და საქართველოს შორის მიღწეული შეთანხმების შესრულების ზედამხედველებისა და გარანტების როლს – შუამავლის სახით: გ.შარაძე. ოჯახის წარმომადგენლების სახით: ნ.ტიტვინიძე, ი.აფაქიძე, ჯ.ბარამიძე, ი.ბარდაველიძე, ს.გახარინა–შარაძე. კომისიის წევრები: ც.ბუჩუკური და რ.კობახიძე. საქართველოს რეჟიმის წარმომადგენლები: ჯ.კეკელია, თ.მახარაძე, ლ.კვესელავა. როგორც ხედავთ აღნიშნული ხელშეკრულების შესრულებაში მრავალი ქვეყნის მრავალი წარმომადგენელი მონაწილეობდა და საქმის კურსში იყო!

ძალზე მნიშვნელოვანი და არსებითია, რომ ეს საერთაშორისო მოლაპარაკებების დონეზე მიღწეული შეთანხმება მიღებული, დაფიქსირებული და გათვალისწინებული იყო აგრეთვე საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლებისა და თვით მისი პროკურატურის მხრივ (რომელსაც საგამომძიებლო საქმე უკვე წამოწყებული ჰქონდა) – პროკურორი ჯ.ბალუაშვილი.

გადასვენების კომისიის მუშაობის ამსახველ ვიდეოფირებზე აღბეჭდილია კიდევ ათობით სხვა პირი, რომელიც აგრეთვე საქმის კურსში იყო ამ შეთანხმების, ხელშეკრულების შესახებ!

ეს შეთანხმება და მისი შინაარსი განმტკიცებულია არაერთი საჯარო განცხადებით როგორც ზ.გამსახურდიას გადმოსვენების შესახებ საერთაშორისო მოლაპარაკებებზე შუამავალი მხარეების მხრივ, ასევე პრესაში და ასევე აისახა ოჯახისა და ზ.გამსახურდიას თვითმკვლელობის მოწმეების ერთობლივ განცხადებაში (იხილეთ ვიდეო ოქმები და დოკუმენტები). ეს ზუსტად ასევეა აგრეთვე დოკუმენტირებული აგრეთვე რამდენიმე უცხოეთში ოფიციალური შუამავლების მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტშიც რომელიც ხელთ მაქვს[18]. ამის ცოცხალი მოწმეები ჯერ კიდევ არსებობენ ლიტვაში, ჩეჩნეთში, ინგუშეთსა და საქართველოშიც...

ზ.გამსახურდიას სიკვდილის მოწმეებსა (ბ.გვანცელაძე და ზ.ბურჯანაძე) და მის ოჯახს შორის პირველადი შეთანხმება საფუძვლად დაედო ზ.გამსახურდიას ცხედრის გროზნიში გადასვენების თაობაზე მოლაპარაკებასა და მოლაპარაკების შედეგად მიღწეულ შეთანხმებას ჩეჩნეთის მთავრობასა და საქართველოს ფაქტობრივ ძალაუფლებას ანუ ხუნტას შორის. გამომდინარე აქედან, ეს შეთანხმება მოქმედებს და აქტუალურია, არა მხოლოდ ზ.გამსახურდიას ოჯახსა და მისი სიკვდილის მოწმეებს შორის — არამედ საქართველოს სახელმწიფოებრივ დონეზეც, რომელმაც ვალდებულება აიღო არ ჩაეტარებინა რაიმე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა და არც გამოძიება.

ამდენად – მტკნარი სიცრუე და დეზინფორმაციაა, თითქოს 1994 წელს საქართველოს პროკურატურამ ზვიადის დაღუპვის შესახებ საქმე და გამოძიება თავისი ნებით ან რეჟიმის დაძალებით შეწყვიტა – ეს გამოძიება შეწყდა ზ.გამსახურდიას ოჯახსა და მისი თვითმკვლელობის მოწმეებს შორის ზემოთხსენებული შეთანხმების საფუძველზე (რომელიც ეფუძნებოდა ოჯახის 13 იანვრის მოთხოვნებს), ჩეჩნეთსა და საქართველოს შორის მთავრობების დონეზე მიღწეულ შეთანხმებაზე და ოჯახის კატეგორიული მოთხოვნით, რომელმაც შეუძლებელი გახადა არა თუ მოწმეების რაიმე გამოძიებასა თუ გამოკვლევაში მონაწილეობა, არამედ და რაც მთავარია – შეუძლებელი გახადა ცხედრის სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზა – ურომლისოდაც გამოძიება ვერაფრით ვერ ჩატარდებოდა (და ვერასოდეს ვერ ჩატარდება).

ეს ყველაფერი დღესაც ძალიან კარგად იცის და გაეგება საქართველოს პროკურატურას – მთლად ეგეთი უვიცებიც არ არიან... მაგრამ რა ჰქნან? მბრძანებელს ხომ ვერ შეეკამათებიან? ცოტაც მოიცადონ, დრო გაწელონ და ეგების თვით მბრძანებელიც შეიცვალოს – რაც ეს „საქმე“ არსებობს, ერთხელ ხომ უკვე შეიცვალა... მბრძანებლები მიდიან და მოდიან – პროკურატურა კი რჩება...

ზ.გამსახურდიას ცხედრის გროზნიში გადმოსვენებისთანავე და განსაკუთრებით დაკრძალვის უშუალოდ წინა დღეებში არჩვაძემ გააძლიერა საჯარო ცილისწამება იმაზე, რომ ვითომ ზ.გამსახურდიას თავი არ მოუკლავს და რომ იგი გარემოცვიდან ვიღაცამ მოკლა.

---

[18] *Vitautas Eidukaitis*. Vienis'os vilkes vaikai. Kario Dienoras'tis, 2001, Kaunas.

11.05. ვითხოვთ სამედიცინო ექსპერტიზას

ამით აღშფოთებულმა, დასაფლავებამდე ორი თუ სამი დღით ადრე ოფიციალურად, მოწმეების თანდასწრებით მივმართე ჩეჩნეთის პროკურატურას, ჯოჰარ დუდაევს და ზელიმხა იანდარბიევს კატეგორიული მოთხოვნით დაუყონებლივ ჩაეტარებინათ სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზა. ჯოჰარ დუდაევმა მთხოვა თავი შემეკავებინა ამ მოთხოვნისაგან, რამდენადაც ისეთ ვითარებაში, როდესაც მსოფლიოს ყურადღება გროზნიზე და ზ.გამსახურდიას დაკრძალვაზე იყო კონცენტრირებული ეს ფრიად არასასურველ სკანდალს გამოიწვევდა. სამაგიეროდ ჯოჰარ დუდაევი შემპირდა, რომ დაკრძალვაზე თავის გამოსათხოვარ სიტყვაში საგანგებოდ გაამახვილებდა ყურადღებას თვითმკვლელობის ფაქტზე – რათა ეს საერთაშორისო მედიის მიერ დაფიქსირებულიყო, და, რამდენადაც, ჩეჩნეთის პრეზიდენტის გამოსათხოვარი სიტყვა საქართველოს პრეზიდენტის დაკრძალვის ოფიციალურ ცერემონიაზე სახელმწიფო და სახელისუფლებო დონის დოკუმენტია, – იგი (ჯოჰარ დუდაევი) ამით შეასრულებდა ზ.გამსახურდიას თვითმკვლელობის მოწმეებსა და ზ.გამსახურდიას ოჯახს შორის ზემოაღნიშნული შეთანხმების გარანტის ფუნქციას.

ჯოჰარ დუდაევმა პირნათლად შეასრულა თავისი კაცური დაპირება (მით უფრო, რომ მისთვის უკვე სავსებით ნათელი გახდა ზ.გამსახურდიას ქვრივის ანგარებითი მოტივაცია ჩემს წინააღმდეგ წარმოებულ ცილისმწამებლურ კამპანიაში ანუ „პირველკაცობის“ მოტივი) და ზ.გამსახურდიას დაკრძალვაზე თავის ოფიციალურ გამოსათხოვარ სიტყვაში, რომელსაც არაერთი მსოფლიო საინფორმაციო სამსახური იწერდა აუდიო საშუალებებით და იღებდა ვიდეო–აუდიო ფირზე და რომელიც უპირობოდ და ცალსახად მიღებული უნდა იქნას არა მხოლოდ ოფიციალურ სახელმწიფო რანგის დოკუმენტად, არამედ – ზემოთხსენებული შეთანხმებისა და გარიგების შუამავალი მხარის ოფიციალურ დოკუმენტად – პირდაპირ და არაორაზროვნად და რამდენიმე ვარიანტში განაცხადა, რომ ზვიად გამსახურდიამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

კერძოდ მან თქვა:

«ზვიად კონსტანტინეს ძე **ნებაყოფლობით წავიდა ამ ცხოვრებიდან,** გააკეთა რა ყოველივე, რისი გაკეთებაც შეეძლო საქართველოსა და კავკასიისათვის.

ცხოვრებაში თავისი ამ გაბრეული ნაბიჯის გადადგმისას მან თავი გაიღო საქართველოსა და კავკასიის ხალხთა პატივის, სინდისის, ღირსების, დამოუკიდებლობისა და ამ მიწაზე მათი უფლებების დაცვისათვის.

და **თავისი უკანასკნელი ნაბიჯი მან გადადგა მარადისობაში, რათა წინ აღდგომოდა მისი სახელითა და დროშით შემდგომ სისხლისღვრას.**

მე კარგად ვიცი, რატომ წავიდა იგი (ამქვეყნიური) საქართველოდან. ზვიად კონსტანტინეს ძე არ იყო მხდალთა რიგებიდან. ის იყო გმირული, ძლიერი, ნიჭით თვით ღვთისა და ბუნებისაგან დაჯილდოებული ადამიანი. ასეთ ადამიანს კი შეუძლებელია, გადაედგა თუნდაც ერთი გაუცნობიერებელი ნაბიჯი. და გადადგა კიდეც ეს ნაბიჯი, რათა კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი თავისი ერთგულებისა და სიყვარულისათვის საქართველოსა და მისი ხალხისადმი»[19].

ხოლო საფლავის ქვაზე, რომელიც დუდაევმა დაუკვეთა და დასაფლავებიდან რამდენიმე დღეში დადგეს ზვიადის საფლავზე ჯოჰარმა გააკეთებინა წარწერა „ჩემს მასწავლებელსა და მეგობარს ზვიად გამსახურდიას რომელიც თავისი ნებით წავიდა ამ ქვეყნიდან“–ო. სიტყვები „რომელიც თავისი ნებით წავიდა ამ ქვეყნიდან“ ქვრივმა მეორე დღესვე ამოამტვრევინა და დიდ ხანს ეს საფლავის ქვა ასე დამახინჯებულ–ამომტვრეული იდგა...

სხვათა შორის – ჯოჰარ დუდაევის გამოსათხოვარი სიტყვის რამდენიმე ვიდეო ჩანაწერი მაქვს და მათგან მხოლოდ ორზეა დატოვებული მისი სიტყვები „ზვიად კონსტანტინეს ძე თავისი ნებით წავიდა ამ ცხოვრებიდან“ – სხვებზე კი სწორედ და მხოლოდ ეს მონაკვეთია ზედმიწევნით ამოშლილი, განადგურებული – როგორც ეტყობა ვიღაც–ვიღაცეებს

---

19 იხ. დოკუმენტური ვიდეო DVD-ზე:
Video/j_dudaevis_gamosatxovari_sitkva_zg_dakrdzalvaze.wmv

ძალზე არ აწყობთ ეს სიტყვები და მით უმეტეს ასეთი დიდი და გამოჩენილი ადამიანის მიერ ასეთ დროსა და ასეთ გარემოებებში თქმული...

გამოტოვებულია ჯოჰარ დუდაევის ეს სიტყვები აგრეთვე „საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია“, დაბადებიდან 65 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოცემაში, რომელიც თბილისში, 2004 წელს გამოვიდა. სამარცხვინო ფაქტია, მაგრამ „სიმართლის გალამაზების“ ტიპობრივი ნიმუშია – მით უმეტეს, რომ ამ გამოცემის მესვეურებს ჯოჰარის სიტყვები საკუთარი ყურით აქვთ მოსმენილი და საფლავის ქვაზე წარწერის ამოტეხვის სკანდალურ და სამარცხვინო ისტორიასაც პირადად იცნობენ.

ზვიადის გროზნიში დაკრძალვიდან მცირე ხნის შემდეგ კი საქართველოს ტელევიზიის ჟურნალისტის (თუ არ ვცდები თარგამაძის) შეკითხვაზე კი ჯოჰარმა ვრცლად და დაწვრილებით გაანალიზა რა ზვიადის თვითმკვლელობის ფაქტორები ასე უპასუხა: **„იმითი, რომ გადადგა ნაბიჯი უკუნისობაში – ზვიადმა ქართველ ხალხს გზიდან აარიდა თავისი ფაქტორი“** (ამ ვრცელი და მნიშვნელოვანი ინტერვიუს ვიდეო დოკუმენტი არსებობს და მისი გაცნობა ქართველი საზოგადოებრიობისათვის ფრიად საშურ საქმედ მიმაჩნია)[20].

სერიოზულ მკვლევარსა ან ამ საკითხით სერიოზულად დაინტერესებულ ნორმალურ ადამიანს არ შეიძლება არ დაებადოს შეკითხვა – რატომ იზრუნა საგანგებოდ კავკასიის თავგანწირულმა გმირმა (თავგაუწირავი „გმირებისაგან“ განსხვავებით), ზვიადის თანამებრძოლმა და მოწაფემ ჯოჰარ დუდაევმა იმაზე, რომ ასე ხაზგასმით, დაბეჯითებით, დაჟინებით, მრავალგზის და ანალიტიკურად დააფიქსირებინა მომავალი თაობებისათვის ზვიადის სწორედ თავგანწირვითი თვითმკვლელობის ფაქტი და არა რაიმე სხვა ვერსია? რა აზრი, რა მოტივაცია ჰქონდა კავკასიის ამ ბრწყინვალე რაინდის ასეთ ქცევას? პასუხები ამ შეკითხვებზე ფრიად არსებით დასკვნებამდე მიიყვანს კაცს – დასკვნებამდე, რომელიც რომელიღაც ძალებს ძლიერ არ აწყობთ და არ მოსწონთ (დაე მკითხველმა თვით ცადოს დასკვნების გამოტანა)...

ნუ ჰგონია ზოგიერთ კაცუნას თავი დიდ ჯოჰარ დუდაევზე უფრო ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი.

ხოლო, რა კონკრეტული მოტივები ამოძრავებდა და რა გეგმის შესაბამისად მოქმედებდა ქვრივი და რატომ დასჭირდა მას ჯერ ჩემი და შემდეგ გ.აბსანძის დადანაშაულება ზვიადის დაღუპვაში ზემოთ უკვე მოგახსენეთ – რაც მოაზროვნე მკითხველს მიახვედრებს ქვრივის ანგარებით და მზაკვრობით წინასწარ გათვლილ მიზნებს.

თუ მკითხველი ჩაუკვირდება ყველაფერს ზემოთ თქმულს, ალბათ ადვილად მივა იმ დასკვნამდე – გინდაც ეჭვი დაარქვით, რომ თუ მიცვალებულის ექსპერტიზა ჩატარდებოდა – მაშინ დიდი შესაძლებლობით ობიექტურად დადგინდებოდა და უცილობელი გახდებოდა თვითმკვლელობის ფაქტობრივი ცნობაც – რაც არჩვაძეს საბოლოოდ დაუკარგავდა „პირველდედაკაცობისა“ და „ახალი თამარ დედოფლობის“ შანსს. სწორედ ეს იყო ქვრივის ასეთი და ამ გზით მოქმედების ერთ–ერთი მოტივი და მიზეზი (მაგრამ არა ერთად–ერთი – რაც ცალკე საუბრის თემაა).

საერთაშორისო სასამართლო–სამედიცინო ექსპერტების ჯგუფი მიწვეული ჰყავდა შევარდნაძის რეჟიმს – რათა თბილისში პროკურატურის მიერ დაწყებული გამოძიების შესაბამისად ჩაეტარებინათ სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზა. გროზნიში კი, ექსპერტიზისათვის მზად იყვნენ ჩეჩენი სპეციალისტები (უცხოელები მათს შორის არ შეურიეს, რათა მკაცრად ყოფილიყო დაცული საიდუმლოება და ოჯახის პრივატულობა). საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლება და მისი პროკურატურა კატეგორიულად ითხოვდნენ ექსპერტიზის ჩატარებას – ქვრივი კიდევ უფრო შეუძლებლად მიიჩნევდა ექსპერტიზის ჩატარებას და სწორედ ეს გახდა იმისი ერთად–ერთი მიზეზი, რომ გადმოსვენების პროცედურა რამდენიმე კვირას გაჭიანურდა და გაიწელა (ამას ადასტურებს ვრცელი მიმოწერა გროზნისა და თბილისს შორის რომლის დოკუმენტებიც ხელთ მაქვს). რამდენიმეჯერ ამის გამო საქმე კინაღამ სკანდალამდეც კი მივიდა. ეს ყველაფერი (გადმოსვენების კომისიის სხდომები გროზნისა და თბილისში) დოკუმენტირებულია ვიდეოფირზე, რომელსაც იღებდა ჩეჩნეთის ტელევიზია და რომელიც ხელთ მაქვს.

---

20 იხ. დოკუმენტური ვიდეო DVD-ზე:
Video/j-dudaevi_zg_tvitmkvlelobaze_dagupvaze_preskonferencia.flv

ამდენად, ერთად–ერთი მხარე რომელიც სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზის კატეგორიული წინააღმდეგი იყო – იყო ზ.გამსახურდიას ოჯახი ქვრივის სახით. მაგრამ, ეს ყველაზე ძლიერი მხარე იყო – ოჯახური ტრაგედიის საყოველთაოდ და ყველა მხრის მიერ გათვალიწინებულ ფონზე. თუმცა რა იყო ამ ექსპერტიზისადმი ზ.გამსახურდიას ოჯახის ასეთი კატეგორიული წინააღმდეგობის რეალური მიზეზი – ეს სულ სხვა საკითხი და სხვა განზომილებაა...

მას შემდეგ, რაც ზვიად გამსახურდიას გადასვენების საერთაშორისო კომისიისა და ჩეჩნეთის ხელისუფლების შუამდგომლობით მიღწეული იქნა ოფიციალური და საერთაშორისო დონეზე დოკუმენტირებული და რეგისტრირებული შეთანხმება ოჯახსა და ზ.გამსახურდიას დაღუპვის მოწმეებს შორის – აღარ იყო საჭირო ჩვენი მხრივ სხვა რაიმე ღონისძიების ან აქციის ჩატარება.

რაც შეეხება სპეკულაციებს, ჭორებს, მითქმა–მოთქმასა და ეჭვებს – ამას ვერასოდეს და ვერაფერი უშველის – როგორც ამ ინტერვიუს წინასიტყვაობაში მოგახსენეთ. ხოლო, რაც შეეხება იურიდიულად საჭირო დოკუმენტებს – ისინი შეიქმნა და არსებობს. ამ სამართლებრივმა დოკუმენტებმა – ხელშეკრულებებმა და შეთანხმებებმა უნდა იმუშაონ ანუ იმოქმედონ (თუ სამართალი არსებობს, რაც სამწუხაროდ არ ხდება).

კიდევ ერთხელ გავიმეორებ ზ.გამსახურდიას დაღუპვის მოწმეებისათვის ამ შეთანხმების ყველაზე არსებით პუნქტს: „გამსახურდიას ოჯახის წევრები და სიკვდილის მოწმენი კატეგორიულად უარს ამბობენ გამსახურდიას სიკვდილთან დაკავშირებულ გამოძიებასა თუ რაიმე გამოკვლევაში მონაწილეობაზე“. მორჩა და დამთავრდა... ეს საერთაშორისო დონეზე მიღებული და დაფიქსირებული ხელშეკრულებაა და ამ ხელშეკრულების დამრღვევი მხარე – თუ სამართალი არსებობს ან იარსებებს – უნდა დაისაჯოს. ხოლო თუ სამართალი არ არსებობს და არ იარსებებს – მაშინ ხომ ყველაფერი ფუჭია.

დაცვის წევრებთან დაკავშირებით კი, რომლებიც ფაქტობრივად ზვიადის სრულუფლებიან მოხალისე თანამებრძოლებად იქცნენ (რამდენადაც ხელფასისთვის უკვე არ მუშაობდნენ) – ზვიადის დასაფლავებიდან დაახლოებით ერთ თვეში ფრიად უსიამოვნო და სამარცხვინო ფაქტს ჰქონდა ადგილი.

11.06. ბაჩუკის დაჭრა

ზვიადის დაკრძალვის შემდეგ ბაჩუკი გროზნიში ერთ–ერთ ჩეჩნურ ოჯახს შეეკედლა. ერთ დღეს ამ ოჯახს მიადგნენ ზ.გამსახურდიას ქვრივი და ზვიადის ვაჟი ცოტნე. მათ ბაჩუკი გარეთ გამოიძახეს და აძალებდნენ „აიღე შენს თავზე ზვიადის მკვლელობა და მერე თავი მოიკალი – რაღად გინდა უზვიადოთ ეგ ძაღლური სიცოცხლეო. თუ დამტკიცდა, რომ ზვიადმა თავი მოიკლა – მაშინ მას ეკლესიისაგან შენდობა არ ექნებაო“. რა თქმა უნდა ბაჩუკი ამაზე არ დაეთანხმა. მაშინ ქვრივმა ცოტნეს უბრძანა. „ხომ იცი რისთვისაც ხარ აქ – ესროლეო“. ცოტნემ ვერ აიძულა საკუთარი თავი რომ ბაჩუკი მოეკლა, ვერ გაიმეტა (ცოტა ხნით ადრე ცოტნე და ბაჩუკი სისხლით ძმადნაფიცები გახდნენ) – მაგრამ სამი გასროლით ორი ჭრილობა კი მიაყენა ფეხებში (იქნებ დღემდე აფორიაქებს ცოტნეს სინდისს ეს მისი ათი წლის წინანდელი აფექტური და გარეშე დაძალებით გამოწვეული საქციელი? თუმცა ისიც ვიცი ზუსტად, რომ ბაჩუკიმ დიდსულოვნად შეუნდო და აპატია...). ბაჩუკის ერთი საკმაოდ მძიმე ჭრილობა აღმოაჩნდა და ორიოდ კვირა საავადმყოფოში გაატარა.

ბაჩუკის ჩეჩენი მასპინძელი უკიდურესად შეურაცხყოფილი იყო და ამ ფაქტზე გამსახურდიებს პროკურატურაში უჩივლა (თუ არა და სტუმრის სისხლის აღებით იმუქრებოდა) – რაზეც ჩეჩნეთის პროკურატურამ საქმე მართლაც აღძრა და გამოძიება წამოიწყო. ეს საქმე ისეც ღია დარჩა, თუმცა ჯოჰარ დუდაევის ჩარევის შედეგად შეჩერებული იყო. დანარჩენი კი უფრო დაწვრილებითა და დეტალურად რა თქმა უნდა თითონ ბაჩუკიმ იცის (ძმადნაფიცის ნასროლი ტყვიებით მიყენებული ჭრილობების ნაიარევებიც ხომ ასე იოლად არ წაიშლებოდა...).

ჩემთვის და რამდენადაც ვიცი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დაღუპვის მოწმე მისი თანამებრძოლებისათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს თუ რა და როგორ გესლს ანთხევენ და რა და როგორ ბოროტ ზღაპრებს თხზავენ ესა თუ ის კერძო პირები თუ ორგანიზაციები. რბილად რომ ვთქვა – ჩვენ არ ვართ მათ მიმართ ანგარიშვალდებულები.

11.07. ზვიადი მარტო არ დარჩენილა! ზვიადი არ მივატოვეთ!

ჩვენთვის ყველაზე არსებითია – არავის შეეპაროს ეჭვი, რომ პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მივატოვეთ და რომ იგი მარტო იყო მის უმძიმეს დღეებში. და ამ მინიმუმს ჩვენ უკვე საყოველთაოდ მივაღწიეთ.

ჩვენ ამაყად ვამბობდით, ვამბობთ და ვიტყვით: ბატონებო და ქალბატონებო, მეგობრებო – ჩვენ საქართველოს ლეგენდარული პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას უერთგულესი თანამებრძოლები ვართ. ჩვენ მასთან ერთად ბოლომდე გავიარეთ ის იდუმალი ლეგენდა რომელიც საუკუნეები იარსებებს. ამიერიდან და სანამ ქართველი ერი იარსებებს, ჩვენ: მე – ბესარიონი, რობინზონი, ბაჩუკი, გოჩა და ზაზა ამ ლეგენდის, საქართველოს ისტორიის განუყოფელი ნაწილი ვართ – ჩვენ და უნებლიედ... აწი ზვიადის შესახებ დაწერილ ნებისმიერ ისტორიაში ჩვენ ჩვენი საკუთარი ადგილი გვაქვს – ასეთი კი ბევრი და ბევრჯერ დაიწერება... თქვენ კი, ზოგიერთს – სწორედ ამიტომ და ამ მიზეზით – შური განთხევინებთ შხამს! მოგეხსენებათ: „ადამიანი მისი გარყვნილებისამებრ მსჯელობს“.

უკვე საზოგადოებრივად და ისტორიულად ცნობილი ფაქტია რომ მე, თქვენი მონა–მორჩილი ბესარიონი ვიყოფდი მეომრის მკაცრ სარეცელს ზვიად გამსახურდიასთან მისი სიცოცხლის ყველაზე მძიმე და ტრაგიკულ დღეებში. ცნობილია – განგების ნებით ზვიადმა მებრძოლის ჩვენს საერთო სარეცელზე, ჩემს გვერდით დალია სული, გასწირა თავი – რათა მე, ანუ ბესარიონ პაატას ძე გუგუშვილი – მისი დედ–მამის მეგობარი ოჯახის, მისი დედ–მამის ქორწინების ოფიციალური მოწმეების ოჯახის შვილი, ზვიადის ერთგული მეგობარი და თანამებრძოლი გადავერჩინე (და კიდევ სხვა მრავალი).

მთელი ჩვენი შინაგანი არსით და რაც უფრო მეტი დრო გადის უფრო მეტად და მძლავრად ვგრძნობთ თუ რა საოცარი ჯილდო და საჩუქარი გვარგუნა უზენაესმა – ვყოფილიყავით საქართველოს ყველა დროის ერთ–ერთი უდიდესი გმირის გვერდში მის ყველაზე ტრაგიკულ და გმირულ დღეებში – მის უკანასკნელ გზაზე. ამას მე და ჩვენ – უკვე ვერავინ, ვერასოდეს და ვერაფრით ვერ ჩამოგვიხურდავებს და ვერ დაგვიკნინებს – რაც უფრო მეტი დრო გავა, მით უფრო მეტად.

ისინი კი, ვინც (თუნდაც ვითომ ჩვენდამი კეთილი განზრახვითა და გაწყობით) ჩვენს სიტყვებსა და ჩვენებებს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე – მხოლოდ მათი საკუთარი ცვედნური არასრულფასოვნების კომპლექსით გამოწვეულ ბუნდოვან მოსაზრებებზე დაყრდნობით – ეჭვის ქვეშ აყენებენ – საშინელ ცოდვას ჩადიან არა მარტო ჩვენს მიმართ, არამედ უფლის მიმართაც.

პირველ რიგში უნდა აღვნიშნო, რომ თქვენს მიერ ხსენებული მეორე, ზ.გამსახურდიას დაღუპვიდან 10 წლის შემდეგ ხელახლა წამოწყებული და 2004 წლიდან მიმდინარე უკანონო „გამოძიების“ ხელახალი დაწყების მთავარი ინიციატორი პერსონალურად ზ.გამსახურდიას ქვრივი იყო[21]. ეს იმ პერიოდში მოხდა როდესაც სააკაშვილის ხელისუფლება ქვრივს ზვიადის თბილისში გადმოსვენების პიარული კამპანიის შესახებ ევაჭრებოდა და ეს „გამოძიება“ ამ ვაჭრული, ორმხრივ–ანგარებითი გარიგების არსებითი ნაწილი იყო. ამით ქვრივმა კიდევ ერთხელ ჩვეული მუხანათობით დაარღვია ჩვენს შორის საერთაშორისო დონეზე დადებული შეთანხმება.

ქვრივმა ცბიერად შეაცდინა „ვარდების“ ხელისუფლება – ჯერ შეაქმნევინა ე.წ. „საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის“ შემსწავლელი კომისია (საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება 174, 2004 წლის 21 თებერვალი) თავისი პირადი და პერსონალური მონაწილეობით. მერე კი, როდესაც ზვიადის გადმოსვენებისათვის მისაღებ საზღაურზე, ჯილდოზე ვერ შეთანხმდნენ – ამ კომისიიდან თვითონ გაძვრა და მთელი ეს ნაგავი და ბინძური პროვოკაცია სააკაშვილის ხელისუფლებას შეაჩეჩა – აჰკიდა. შეგახსენებთ, რომ ეს კომისია არჩვაძის გასვლის შემდეგ ერთხელაც არ შეკრებილა – იმის გამო, რომ ჩაიშალა თვით კომისიის შექმნის პიარული კამპანიის გარიგება.

---

[21] მ.არჩვაძე საქართველოში დაბრუნებისთანავე ჯერ შევარდნაძის, შემდეგ კი სააკაშვილის რეჟიმების ინსტიტუცია, ორგანო გახდა. ორგანო, რომლიც ეროვნული მოძრაობის ორგანიზაციებისა და ეროვნული, ლეგიტიმური ხელისუფლების საბოლოო დესტრუქციას, სახელის გატეხვასა და გარყვნას ემსახურება.

11.08. „ვარდული გამოძიება“

აღნიშნული გამოძიების წამოწყებას წინ უსწრებდა სააკაშვილის როგორც სახელმწიფოს ფაქტობრივი მეთაურის მხრიდან ძალზე უხეში და მიუტევებელი იურიდიული ლაფსუსი. გაგაცნობთ ამონარიდს სააკაშვილის სიტყვებით:

«პრეზიდენტი სააკაშვილი კი საპატრიარქოდან იძლეოდა კომენტარს: „მე როგორც **ქრისტიანი ადამიანი, დარწმუნებული ვარ,** ზვიად **გამსახურდია თავს არ მოიკლავდა“**. სააკაშვილის თქმით, ასეთი დიდბუნებოვანი ადამიანი იმ დროისათვის მიუღებელი იყო და იგი მოკლეს იმ ადამიანებმა, რომელთაც საქართველოს დამოუკიდებლობა არ უნდოდათ»[22].

სააკაშვილის ეს სიტყვები ცალსახად ადასტურებს, რომ „საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის“ შესახებ არჩვაძის წაქეზებითა და სააკაშვილის ბრძანებით პროკურატურის მიერ წამოწყებული ყოვლად უპერსპექტივო და უკანონო „საქმე“ პირადად სააკაშვილის ექსტრაიურიდიულ ანუ არასამართლებრივ, პიროვნულ და სუბიექტურ ფსევდო რელიგიურ თვალთახედვაზეა დაფუძნებული, აგებული და მოტივირებული.

მეორე მხრივ – სააკაშვილის ზემოთხსენებული სიტყვები იმას ნიშნავს და სხვა არაფერს, რომ თუ ზვიადის თვითმკვლელობა დამტკიცდა და დადასტურდა – იქმნება უდიდესი საშიშროება იმისა, რომ სააკაშვილს („როგორც ქრისტიან ადამიანს“) გული გაუტყდება ქრისტეს სჯულზე, მოუწევს უარის თქმა ქრისტიანობაზე (მართლმადიდებლობას რომ თავი დავანებოთ) და იგი ალბათ მუსლიმი, ბუდისტი, იუდეველი, ათეისტი ან კიდევ უარესი – სატანისტი გახდება... ამას კი საქართველოსთვის ფრიად სავალალო შედეგები შეიძლება მოჰყვეს! ხომ არ აჯობებდა ასეთ კრიტიკულ ვითარებაში კიდევ ერთხელ გაგვეწირა თავი ზვიადის თვითმკვლელობის მოწმეებს და დავთანხმებულიყავით რაიმე სხვა – პოლიტიკურად და არჩვაძე–სააკაშვილისთვის უფრო მისაღებ ვერსიაზე? საქართველოს გადასარჩენად...

მაგრამ, არა – კიდევ ერთხელ, ჯიუტად და დაუზარებლად გავიმეორებ ზ.გამსახურდიას ოჯახსა და მისი თვითმკვლელობის მოწმეთა ზემოთხსენებულ შეთანხმების ყველაზე არსებით პუნქტს: „გამსახურდიას ოჯახის წევრები და სიკვდილის მოწმენი კატეგორიულად უარს ამბობენ გამსახურდიას სიკვდილთან დაკავშირებულ გამოძიებასა თუ რაიმე გამოკვლევაში მონაწილეობაზე“. – ხომ კითხულობთ? კატეგორიულად უარს ამბობენ – აწ, და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე... ეს საერთაშორისო დონეზე დაფიქსირებული ხელშეკრულებაა და ამ ხელშეკრულების დამრღვევი მხარე – კერძო პირი იქნება ეს თუ სახელმწიფო ორგანო – უნდა დაისჯოს.

წესით – საქართველოში განუკითხავობა რომ არ იყოს გამეფებული და კანონი რომ კანონობდეს – ამ სტატიის გამოქვეყნებისთანავე საქართველოს პროკურატურამ დაუყოვნებლივ უნდა წამოიწყოს საქმე ხსენებული ხელშეკრულების (რომლის არსებითი და აქტიური მონაწილე მხარე, მოწმე და სუბიექტი თვით საქართველოს პროკურატურა იყო) დარღვევის თაობაზე – პირველ რიგში კი სააკაშვილისა და არჩვაძის წინააღმდეგ. მეორე მხრივ – სწორედ ამ ხელშეკრულების არსებობის გამო და მის შესაბამისად ზვიად გამსახურდიას დაღუპვისა და მით უმეტეს „ფიზიკური ლიკვიდაციის“ შესახებ ვერავითარი გამოძიება ან გამოკვლევა ვერ და არ ჩატარდება! შეუძლებელია!

მე საქართველოს პროკურატურამ მესამე პირების ხელით გადმომიგზავნა ძალზე საეჭვოდ შედგენილი ქაღალდი – (23.09.2004, №18–2–8/2) ხელმოწერილი საგამომძიებლო ნაწილის უფროსი პროკურორის რ.ზარანდიას მიერ:

«გაცნობებთ, რომ 1993 წლის 5 ოქტომბერს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში აღძრულ №7493846 სისხლის სამართლის საქმეზე თქვენს მიმართ სისხლის სამართლის საქმე და სისხლისსამართლებრივი დევნა „1991–1992 წლებში დაწყებული სამოქალაქო დაპირისპირების შედეგების აღმოფხვრისა და ეროვნული თანხმობის მიღწევის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილების მე–2 ნაწილის „ა“ პუნქტისა და საქართველოს სისხლის სა-

[22] გაზეთი „რეზონანსი“,№90, ორშაბათი, 5 აპრილი, 2004 წელი

მართლის საპროცესო კოდექსის 28–ე მუხლის პირველი ნაწილის „ო“ პუნქტის საფუძველზე 2001 წლის 28 მაისის დადგენილებით შეწყვეტილია.

იმავდროულად გაუქმდა **დადგენილება თქვენი დაპატიმრების, ძებნის გამოცხადებისა და ეტაპირების შესახებ.**

ამასთან, როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ფაქტზე საქართველოს გენერალურ პროკურატურაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება.

რიგი გარემოების უტყუარი გამორკვევისა და დადგენისათვის აუცილებელია საქმეზე თქვენი მოწმის სახით დაკითხვა, რამდენადაც დაღუპვის მომენტში ზვიად გამსახურდიას გვერდით თქვენ იმყოფებოდით და წარმოადგენთ თვითმხილველ მოწმეს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, 2004 წლის ოქტომბერში, თქვენთვის მისაღებ დღისათვის გიბარებთ საქართველოს გენერალურ პროკურატურაში...»

ეს ქაღალდი გავაცანი ჩემს ფინელ იურისტებს, რომლებმაც მასში არაერთი უხეში შეცდომა აღმოაჩინეს:

კერძოდ, ამ დოკუმენტში არ არის მითითებული პროკურატურის მიერ წამოწყებული საქმის საოქმო ნომერი და ზუსტი საოქმო დასახელება – რაც სავსებით და აბსოლუტურად აუცილებელია იმიტომ, რომ პროკურატურის ქაღალდში ხსენებული „ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ფაქტი“ ზემოთხსენებულ და უფრო მნიშვნელოვან სხვა სახელმწიფო დოკუმენტებში – რომლებმაც ეს გამოძიება წამოაწყებინეს პროკურატურას „საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის“ ანუ მისი მკვლელობის საქმედაა ნახსენები. ეს კი იურიდიული თვალსაზრისით იმას ნიშნავს, რომ ზ.გამსახურდიას მკვლელობა უკვე დადგენილ და უცილობელ ფაქტად ითვლება (რამდენადაც სააკაშვილი მტკიცედ დარწმუნებულია ამაში – როგორც ქრისტიანი) და პროკურატურა მხოლოდ ამ მკვლელობის გარემოებებს იძიებს.

ამავე დროს, ეს დოკუმენტი შეიცავს სხვა, ძალზე არსებით ორაზროვნებას ან უზუსტობას. რასთანაც დაკავშირებით საჭიროა გავეცნოთ სხვა ოფიციალურ დოკუმენტს – რომელიც გამომიგზავნა საქართველოს პარლამენტის ეროვნული თანხმობის დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარემ ვ.მაღლაფერიძემ (№118, 5 ივლისი 2000):

«საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილების „1991–1992 წლებში დაწყებული სამოქალაქო დაპირისპირების შედეგების აღმოფხვრისა და ეროვნული თანხმობის მიღწევის შესახებ“ მოთხოვნიდან გამომდინარე კომისიამ სთხოვა საქართველოს გენერალურ პროკურატურას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით განეხილა და გადაეწყვიტა საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ მყოფი იმ პირების სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხი, რომლებიც პასუხისგებაში არიან მიცემული 1991–1992 წლებიდან დღემდე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით.

თქვენს მიმართ დაუყონებლივ იქნება საქმე შეწყვეტილი, **როცა გამოცხადდებით საქართველოს გენერალურ პროკურატურაში და საქმის შეწყვეტის შესახებ განაცხადებთ თანხმობას**, ვინაიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28–ე მუხლის მე–7 ნაწილის შესაბამისად ამავე მუხლის პირველი ნაწილის „ო“ პუნქტის საფუძველზე („ვითარების შეცვლის შედეგად ქმედება აღარ არის საშიში“) საქმის შეწყვეტა დაუშვებელია, თუ ბრალდებული ამის წინააღმდეგია.»

როგორც ხედავთ მითითებული ორივე წერილი საპროცესო კოდექსის ერთსა და იმავე – 28–ე მუხლის მე–7 ნაწილს შესაბამისად ამავე მუხლის პირველი ნაწილის „ო“ პუნქტს იმოწმებს. პროკურატურა წერს საქმე უკვე შეწყვეტილიაო (მე კი ამის თანხმობა არ მიმიცია) – პარლამენტი კი წერს – საქმის შეწყვეტა თქვენი თანხმობის გარეშე დაუშვებელიაო.

ახლა თქვენ თითონ განსაჯეთ – ძალიანაც რომ მინდოდეს ამ საქმეში მოწმედ მონაწილეობა – ასეთი გაურკვევლობის ვითარებაში როგორ უნდა ვენდო პროკურატურას?

საქართველოს პროკურატურას აღნიშნული გამოძიება ჯერ კიდევ 2004 წლის ბოლოს უნდა დაესრულებინა. მას შემდეგ წლები გავიდა და ჯერაც ვერ მოათავეს და ვერც ვერასოდეს მოათავებენ... იმიტომ, რომ – შეუძლებელია...

11.09. გასროლა [23]

როდესაც გასროლის ხმის გაგონებისთანავე მე ფეხზე წამოვვარდი (სათვალეების აღება და გაკეთება რა თქმა უნდა ვერ მოვასწარი) ყვირილით „არიქა გული ერევა“ მეთქი და ჭრაქით ძლივს განათებული ოთახის ბინდ–ბუნდში საწოლს შემოვუარე და ლოგინს მარჯვენა მხრიდან დავხედე – ზვიადს სქელი საბანი ეხურა (ისევე როგორც ყველას, რადგანაც სახლში ძალზე ციოდა) და საბნიდან მხოლოდ თავი და ხელები უჩანდა[24]. თვალი უნებლიედ მიიტაცა მის ხელში პისტოლეტმა, ჭრილობამ საფეთქელზე, რომლიდანაც სისხლი გადმოდიოდა და აგრეთვე სისხლმა რომელიც პირიდან გადმოდიოდა. თვალები ღია ჰქონდა და პირდაპირ, თითქოს სადღაც შორს იყურებოდა...

ამის მერე ჩემი მზერა შეჩერდა ბაჩუკიზე, რომელიც ჩუმად, მაღალი ხმით კიოდა, და კედელს ურახუნებდა თავს. მერე რობინზონს შევხედე – გახევებული სახით და ამ სამინელებისაგან გაყინული, გადმოკარკლული თვალებით – ჩემს გვერდით იდგა...

ოთახში „სალიარკის“ (რომელიც ჭრაქში იწვოდა), დენთისა და სისხლის აუტანელი სუნი იდგა და უცებ მომესმა როგორ ისხმება ზვიადის სისხლი იატაკზე... უნებლიედ ბნელში იატაკს დავხედე – ზვიადის სისხლის გუბეში ხომ არა ვდგავარ მეთქი – შიშველი ფეხით თითქოს ზვიადის სისხლის სითბოც კი ვიგრძენი...

ბნელ იატაკს მივჩერებოდი, რომ სრული განზომილებით და მასშტაბით წარმომიდგა და წარმომესახა რა უბედურებაც შეგვემთხვა. საშინელმა, ძნელად აღსაწერმა გრძნობამ შემიპყრო – ძარღვებში სისხლი თითქოს ამიდუღდა, თვალთ დამიბნელდა...

ამის მერე არსებითად არაფერი მახსენდება – მეხსიერება და აზროვნება რომ აღმიდგა – უკვე დილა იყო, პირველ სართულზე ბუხართან ვიჯექი. ასე, რომ არ ვიცი თუ რა ეცვა ზვიადს გასროლის მომენტში – არ მინახავს იგი საბან გადახდილი.

მე ზვიადის მარცხენა მხარეს ვიწექი. როდესაც გასროლის ყრუ ხმა გავიგე, რომელიც თასის იატაკზე ბრახუნად მივიჩნიე. პირველ რიგში მყისიერად მარჯვენა მხარეს შემოვბრუნდი და ზვიადს შევხედე. ბინდ–ბუნდში მხოლოდ ის დავინახე, რომ პირიდან მუქი სითხე გადმოსდიოდა და ჩავთვალე, რომ პირღებინება ჰქონდა. ჩემკენ მოქცეულ – მარცხენა მხარეს თავზე არავითარი ჭრილობა არ შეემჩნეოდა, არც სისხლი არ სდიოდა.

უკვე მომდევნო დღეს, კვარაცხელიას სახლში, როდესაც ზაზა მიცვალებულს ბანდა, პარსავდა და აპატიოსნებდა – ვაიძულე თავი და მისი სიკვდილის მერე პირველად და შედარებით ყურადღებით შევხედე ზვიადს – განსაკუთრებით მის თავს და თავის მარცხენა მხარესაც – ტყვიის ვერავითარი ჭრილობა თავისქალის მარცხენა მხარეს ვერ შევამჩნიე. როდესაც სხვა თვითმხილველებთან ამაზე ვისაუბრე გაირკვა, რომ ისინი თვლიდნენ, რომ ტყვია ყურის ნახვრეტიდან გამოფრინდა გარეთ. ტყვიაც ბევრი ეძებეს – მაგრამ ვერ იპოვეს (გილზა კი იპოვეს).

აგრეთვე დიდი ეჭვი მეპარება, რომ ლოგინის თავზე პატარა ამოტეხილი, რომელიც სხვა თვითმხილველებმა თავის ქალიდან გარეთ გამოსული ტყვიის ნაკვალევად მიიჩნიეს – ნამდვილად ასეთი იყო. ამაში ჩემი დაეჭვების მთავარი საფუძველი ისაა, რომ თუ თავის ქალიდან გამოფრენილი ტყვია ლოგინის თავს მოხვდა (თავიდან 20–30 სანტიმეტრის სიშორეზე) – ლოგინის თავიც, მასზე ვითომ ტყვიის ამონატეხიც და ზვიადის ბალიშისა და ლოგინის მარცხენა მხარეც აუცილებლად სისხლის ჭავლის რაიმე, თუნდაც უმნიშვნელო კვალს უნდა ატარებდნენ. ამ ადგილებზე კი როდესაც ისინი საკმაოდ დაკვირვებით – ზვიადის სიკვდილის დილით – დღის შუქზე დავათვალიერე (იმ დროს, როდესაც სხვები გასროლილ ტყვიას ეძებდნენ მთელს ოთახსა და იატაკზე) – სისხლის არავითარი კვალი ან ნაკვალევი არ იყო.[25]

---

[23] იხ. DVD-ზე **მოდელირებული** ვიდეო: Video/khibula_31-12-1993_00-30.wmv

[24] საწოლიდან რომ წამოვხტი და ზვიადის მხარეს საწოლის შემოსავლელად გავემართე – კარებში შემომეფეთენ ჯერ რობინზონი (რომელიც ჩემზე წინ მოექცა) და შემდეგ ბაჩუკი. როდესაც ლოგინს ზვიადის მხარეს მივადექი, ლამფის მბჟუტავ და მოციმციმე შუქზე ისე ჩანდა, რომ თითქოს ხელები (და სხეულიც) ოდნავ მოძრაობდა. რობინზონმა, როგორც კი ზვიადის ხელში პისტოლეტი შეამჩნია – ეცა და გამოგლიჯა ხელიდან – თითქოს შეეშინდა არ გაისროლოსო...

[25] სხვათა შორის კომისიის საბოლოო დოკუმენტშიც ვერ გაექცნენ ამას და წერენ: „საწოლის საზურგეზე არსებული დაზიანება გაურკვეველი წარმომავლობისაა“.

სხვათა შორის, ლოგინის თავზე ამონატეხი არის თუ არა ტყვიის მოხვედრის შედეგი – ძალზე ადვილი შესამოწმებელია და ექსპერტიზისათვის ახლაც სავსებით ხელმისაწვდომია. ის ლოგინის თავი ხომ გადარჩა და არსებობს! საკმარისია მას ესროლონ ტყვია „სტეჩკინის“ მარკის პისტოლეტიდან (რომელიც ჯერ შესაბამის წინაღობაში გაივლის – ვთქვათ რამე ცხოველის თავის ქალაში) და შემდეგ ახალი ნატყვიარი იმ ძველ ამონატეხს შეადარონ. ლოგინის თავი დიდია და ათობით ასეთ ექსპერიმენტს გაუძლებს. ჩაატაროს პროკურატურამ ასეთი რამდენიმე ექსპერიმენტი და საზოგადოებრიობას ტელევიზიით გააცნოს სანდო დოკუმენტური ვიდეო და ფოტო მასალა ექსპერიმენტის მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ. ეს თუნდაც რაღაც არსებითი შედეგი იქნება მათი ორი წლის „მუშაობით“ მიღებული. ვინ და რა უშლით ხელს? რატომ არ აკეთებენ ამას? ან იქნებ უკვე ჩაატარეს კიდეც ასეთი ექსპერიმენტი, მაგრამ ისეთი შედეგები მიიღეს, რომლის საზოგადოებისთვის გაცნობა არ აწყობთ?..

სხვათა შორის მსგავსი, მიახლოებითი ექსპერიმენტის ჩატარებას ჟურნალისტებიც კი შეძლებენ თავისი ძალებით – იმედია ერთი „სტეჩკინი“ და მსგავსი ლოგინის თავი ჯერ კიდევ მოიძებნება საქართველოში. ცადეთ ბატონო ჟურნალისტებო – იქნებ სენსაციური შედეგები მიიღოთ!..

ათიოდე წლის წინ კი, ტყვიის გამოსასვლელი ადგილის (თუ ასეთი საერთოდ არსებობდა) სანდო და დოკუმენტირებული დადგენა ძალზე იოლად შეიძლებოდა სამედიცინო ექსპერტიზით – შუნტირებით და კიდევ უკეთესად თავისქალის რენტგენული გადაღებით – მაგრამ ეს არ გაკეთდა, ამით კი ეს საკითხი სამუდამოდ კითხვის ნიშნის ქვეშ დარჩება და ამაზე ათასგვარი დაუსაბუთებელი და ფანტასტიკური მოსაზრება იტრიალებს. მე მაინც სუბიექტურად მგონია, რომ ტყვია გარეთ არ გამოსულა და იგი თავისქალაში ჩარჩა (იმიტომაც ვერ იპოვეს).

ოთახს, რომელშიც ზვიადი და მე ვიწექით – გარეთ აივანზე გასასვლელი ყრუ კარი და აივანზე გამავალი ფანჯარა ჰქონდა. ფანჯარა მოწყობილი იყო მასიური ხის ყრუ დარაბებით, რომლებიც მუდმივად – დღისითაც და ღამითაც დახურული იყო. ისე, რომ გარედან ოთახში შემოხედვა შეუძლებელი იყო.

ამას გარდა – როგორც დილით ოთახის დათვალიერებით დავრწმუნდი – ფანჯრის მინები მთელი იყო და საერთოდ არავითარი ნატყვიარი ოთახს სადმე (კედლებზე, ჭერზე ან იატაკზე) არ ეტყობოდა. ამიტომ ამ ვერსიას არავითარი რეალისტური დასაბუთება არ გააჩნია, გარემოებების არ ცოდნითა და სენსაციის მოხდენის სურვილითაა გამოწვეული.

11.10. ჯანმრთელობა

უშუალოდ სიკვდილის წინ ზვიადის ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, კრიტიკული გახდა და იგი უკვე მძიმედ ავადმყოფი ადამიანი იყო. განსაკუთრებით აწუხებდა მუდმივი ძლიერი ტკივილები მუცლისა და მუცლის ქვედა (პროსტატის) არეში. ძლიერ გახდა, ვერ ჭამდა საჭმელს და ჩიოდა „ყველაფერი გადამეკეტა“–ო. მისი ასეთი საგანგაშო მდგომარეობის გამო ფრიად შეზღუდული გახდა ჩვენი გადაადგილებების მოწყობა – ფეხით დიდი მანძილების გავლა მას უკვე აღარ შეეძლო.

ბოლო სადგომზე რომ ვიყავით დიდი გაჭირვებით ჩუხუამ იპოვა და მოიყვანა ექიმი, მაგრამ ზვიადმა ექიმს თავი ხელით არ გაასინჯა და ექიმი იძულებული იყო გარეგანი დათვალიერებითა და გამოკითხვით დაკმაყოფილებულიყო. ექიმის მოსაზრებით ავადმყოფობის ყველაზე რეალური მიზეზი იყო შაქრის დიაბეტის გამწვავება და ამიტომ მან გამოუწერა წამალი „მანილინი“. ექიმმა გაგვაფრთხილა, რომ ჩაურევლობის შემთხვევაში არ იყო გამორიცხული ზვიადს დამართოდა „კომა“. „მანილინი“ ჩუხუამ მეორე დღესვე იშოვა და მოიტანა. მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, რომ ზვიადი წამალს ნამდვილად ყლაპავდა და მალულად ისევ არ აფურთხებდა.

სიკვდილის წინა დღეს, დაახლოებით შუადღისას, ზვიადმა გონება დაკარგა, თვალები გადაუტრიალდა და ხროტინი ამოუშვა – მაგრამ, ოციოდე წუთში ისევ გონს მოვიდა, დაილაპარაკა და მოითხოვა მისი ბალიშის ქვეშ ბიბლიის წიგნი ამოედოთ. საღამოსაკენ მან უკვე ფეხზე სულ მცირე ხნით ადგომაც მოახერხა...

ავადმყოფობის ის ნიშნები – ფიზიოლოგიურიც და ფსიქიურიც, რომლებიც ზვიადს შეემჩნეოდა (და აქ საკმაოდ დაწვრილებითაა აღწერილი) – ძალზე ჩამოჰგავდა მწვავე შაქ-

რის დიაბეტს. ამასთან, კარგად ცნობილია, რომ შაქრის დიაბეტი გამწვავებისას მძიმე ფსიქიურ დარღვევებს იწვევს, რამაც შესაძლოა თვითმკვლელობის საფუძველი შექმნა.

სამწუხაროდ, სამედიცინო ექსპერტიზის არ–ჩატარების გამო ეს საკითხიც სამუდამოდ საიდუმლოებით შებურული დარჩება, შეუძლებელი იქნება დამაჯერებელი პასუხის გაცემა შეკითხვაზე თუ რა დაავადება სჭირდა ზვიადს – თუმცა ჭორები და ვარაუდები ამის შესახებ ბევრია – პროსტატის კიბოდან დაწყებული და მოწამვლით დამთავრებული. ყველა თანმხლების თანდასწრებით ზვიადის წარმოთქმული მისი ასეთი სიტყვებიც კარგად მახსოვს: „არსებობენ ისეთი საწამლავებიც, რომლებიც რამდენიმე თვის შემდეგ იწყებენ მოქმედებასო“...

იმის გამო. რომ ქვრივმა არ მისცა ჩეჩნეთის ხელისუფლებას ნება ჩაეტარებინა ჩეჩნეთის კანონების შესაბამისად ზ.გამსახურდიას ცხედრის სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზა სამუდამოდ დაიკარგა იმის შანსი, რომ მტკიცედ, ობიექტურ მასალაზე დაყრდნობით დადგინდეს არა მხოლოდ მისი სიკვდილის მიზეზები და გარემოებები.

არ არსებობს ობიექტური (იგულისხმება მოწმეების ჩვენებებისაგან დამოუკიდებელი) საექსპერტო მასალა იმის შესახებ თუ რა გახდა ზ.გამსახურდიას სიკვდილის ნამდვილი მიზეზი შემდეგი შესაძლო ვარიანტებიდან (და ვერასოდეს ცალსახად ვერ დამტკიცდება): – სიკვდილი ავადმყოფობის გამო (კიბო, კომა, გულის შეტევა); – სიკვდილი მოწამვლის გამო (რა საწამლავით?); – სიკვდილი ტყვიით ან სხვა სახის იარაღით მიყენებული ჭრილობის შედეგად; – სიკვდილი შემთხვევითი ტრავმის გამო (დავარდნა, წაქცევა).[26]

თუ ჩაითვლება, რომ მარჯვენა საფეთქელზე ნამდვილად ტყვიით მიყენებული (შემავალი) ჭრილობა იყო, მაშინ შეუძლებელია ობიექტურად დამტკიცდეს: – იყო ამ ტყვიით მიყენებული ჭრილობა სიკვდილის მიზეზი თუ ტყვია უკვე მკვდარს მოხვდა; – რა მანძილიდან იყო ტყვია ნასროლი; – რა ბალისტიკური მახასიათებლები ჰქონდა ტყვიას (სროლის კუთხე, მიმართულება, წინაღობა ფრენის გზაზე და ასე შემდეგ).[27]

ვერც ერთ ამ ყოვლად აუცილებელ და ნებისმიერი გამოძიებისათვის სავალდებულო შეკითხვაზე ობიექტური, სანდო საექსპერტიზო მასალაზე და ობიექტურ ფაქტოგრაფიასა და გამოკვლევაზე დაფუძნებული პასუხი ვერასოდეს ვერ გაიცემა და ამდენად ნებისმიერი ფორმალური გამოძიება ამ ფაქტორების გაურკვევლობის ვითარებაში იმთავითვე განწირულია.

სწორედ ამაზე საუბრობდა და ამას გულისხმობდა ზ.გამსახურდიას გროზნიში გადმოსვენების კომისიის თავმჯდომარე ზ.იანდარბიევი თბილისში მიცემულ მის ინტერვიუში – რომლის ვიდეოჩანაწერის გაცნობა მკითხველს უფრო ზუსტად გაარკვევს პრობლემაში, ზ.გამსახურდიას ოჯახსა და სიკვდილის მოწმეებს შორის ხელშეკრულების არსში და ამასთან დაკავშირებით იმაში – თუ რა შედეგები გამოიწვია ოჯახის მიერ სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზაზე უარის თქმას...

მცირეოდენი ობიექტური ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდა ზ.გამსახურდიას თბილისში გადმოსვენებისას როსტოვში ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის შინაარსის ფრიად საეჭვო ქართული თარგმანის გამოქვეყნებით (რომელის რუსულ დედანსაც საგულდაგულოდ მალავენ როგორც ზ.გამსახურდიას ოჯახი, ასევე – საპარლამენტო კომისია კოკო გამსახურდიას თავმჯდომარეობით). კერძოდ ექსპერტიზის დასკვნაში აღნიშნულია, რომ ტყვიის შემავალი ხვრელის ძვალში აღმოჩენილია სტიბიუმის კვალი, რაც ცალსახად ამტკიცებს რომ გასროლა მიბჯენასთან დაახლოებული მანძილიდან მოხდა. რომ, ტყვიის გამოსასვლელი ხვრელი მარცხენა საფეთქლის მიდამოებშია და რომ შესასვლელი ხვრელის დიამეტრი 9 მილიმეტრია. ამ ობიექტურმა მასალამ სავსებით გააქარწყლა წლების განმავლობაში გავრცელებული დეზინფორმაცია.

---

26 საპარლამენტო კომისიამ 2010–11 წლებში კიდევ უფრო გაამრავალფეროვნა ეს სია და სასტიკი წამებით სიკვდილიც დაამატა.

27 მცირეოდენი სინათლე ამ მხარეს როსტოვის ექსპერტიზამ მოჰფინა, რომელმაც ტყვიის შემავალ ხვრელში სტიბიუმის კვალი აღმოაჩინა და ამით სროლის შესაძლო მანძილი მინიმალური გახადა.

11.11. იანდარბიევის ინტერვიუ

იანდარბიევის ინტერვიუში ალბათ მიაქცევთ ყურადღებას მის სიტყვებს იმის შესახებ, რომ მიღწეული შეთანხმებით ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის ვერსიაზე პასუხისმგებლობა ზვიადის ოჯახმა იკისრა!.. ამდენად, ხსენებული მოლაპარაკების, ხელშეკრულების, პირობისა და ოჯახის მიერ მოცემული პატიოსანი სიტყვის შესაბამისად – ზვიადის თვითმკვლელობის ვერსიას ზვიად გამსახურდიას ოჯახი უნდა იცავდეს უპირველეს ყოვლისა... გაიხნიათ განა პატიოსნება?

ოჯახის დაჩემებით ექსპერტიზის ჩაუტარებლობის გამო – ერთად ერთი მასალა რაც ზვიადის დაღუპვაზე არსებობს და იარსებებს – ეს მოწმეთა და თვითმხილველთა მოგონებებია – რომელთა უმეტესობა ათი და მეტი წლის შემდეგ იკრიბება და რომლებიც არსით ფრიად სუბიექტურია, ფორმალური და საზოგადოებრივი სტრუქტურების განუწყვეტელი ფსიქოლოგიური წნეხის ზეგავლენას განიცდიან ანუ ხშირად მოწმეები ლაპარაკობენ იმას, რასაც მათგან საზოგადოებრიობა ელოდება – რათა სოციუმთან კონფლიქტი აიცილონ თავიდან და არ ლაპარაკობენ მთელსა და სრულ სიმართლეს. ყოველივე ამის გამო ამ მოგონებათა დიდი ნაწილი ნებისმიერი ფორმალური გამოძიებისათვის არსებითად გამოუსადეგარია.

ყველა ეს ფაქტორი არსებითია იმ შემთხვევაშიც კი – თუ საერთოდ შესაძლებელი გახდა ოდესმე ობიექტური და მიუკერძოებელი გამოკვლევა–გამოძიება. არსებულ ვითარებაში, კი უდიდეს ასპარეზია ყოველგვარი ფანტაზიებისათვის, მონაჭორებისათვის, ფალსიფიკატებისათვის...

მაშინ, ზვიადის დაკრძალვის ჟამს, ჩემს ამ სიტყვებს არ ჩავღრმავებივარ – იმას ვლაპარაკობდი, რაც ენაზე მომადგებოდა – ხან რუსულად და ხან ქართულად. არც კი მახსოვდა ზუსტად რა ვილაპარაკე – სანამ ვიდეოჩანაწერი არ ვნახე. იმ პერიოდში ძალზე მძიმე დეპრესიას განვიცდიდი, არც სიტყვა წინასწარ არ მომიმზადებია და ისიც კი არ ვიცოდი, რომ დაკრძალვის პროტოკოლით ჩემი გამოსვლა იყო თურმე დაგეგმილი (უკვე აღვნიშნე თუ როგორ დაიძაბა იმ დროს მდგომარეობა ქვრივის ცილისმწამებლური გამოხდომების გამო ჩემსა და ლეგიტიმური ხელისუფლების სხვა წევრებს შორის, რომლებიც პროტოკოლს აჯერებდნენ). დაკრძალვამდე ორე საათით ადრე მითხრეს, რომ ჯოჰარის შემდეგ მე უნდა მეთქვა გამოსათხოვარი. მაგრამ ახლა ვხვდები, რომ თურმე ჩემს ამ უნებლიე სიტყვებს მომავალი ქართველი რაინდების თაობებისათვის (თუ ასეთები ოდესმე ეღირსება საქართველოს) მართლაც დიდი და არსებითი ზნეობრივი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს.

ზელიმხა იანდარბიევი ზ.გამსახურდიას სიკვდილზე:

• Вопрос журналистки: Вы сказали, что семья президента против вскрытия, означет ли это, что судебно-медицинская экспертиза не будет проведена?

• Ответ председателя Правительственной Комиссии ЧРИ, Вице Президента ЧРИ Зелимхана Яндарбиева: Не должна быть. Да, мы договорились что не будет. Грузинское руководство согласно что никакой судебно-медицинской экспертизы не будет. Только на этом условии мы можем дальше предпринимать какие либо шаги. Только на этом условии. Мы, кроме того, ни один человек, из нас ни другой, не должен притрагиваться - только визуальный осмотр. Вот такие условия поставлены перед нами семьей.

• Вопрос: Извините. Не считаете ли, что **в будущем это вызовет толки, сплетни через много лет может значить что отсуствие в документах свидетельства экспертизы могут вызвать разные толки**.

• Ответ З.Яндарбиева: Я думаю что воля семьи которая выражалась многократно и закреплена документами, - для истории также, это дает полное право правительству Грузии действовать таким образом. **Потому что семья на себя берет ответственность за толкование версии случившегося - если они сами отказываются категорически от судебной экспертизы**[28]. Это одно, и во вторых Я не думаю что кто нибудь мог бы например выдвинуть другую версию на основе каких то доказательств или исследований кроме той которую толкуют, выдвигают очевидцы. Другой версии никто ни в состоянии, по мое-

---

28 აქ ჩეჩნეთის ვიცე–პრეზიდენტის მიერ არაორაზროვნადაა მითითებული, რომ ჩეჩნეთის მთავრობასა და საქართველოს შევარდნაძის რეჟიმს შორის შეთანხმება ეფუძნება იმ გარემოებას, რომ: **ოჯახით თავის თავზე იღებს თვითმკვლელობის ვერსიაზე პასუხისმგებლობას რამდენადაც** იგი **უარს ამბობს სამედიცინო–სასამართლო ექსპერტიზაზე**. ანუ: „Нам семья сказала - "Звиад Гамсахурдиа добровольно ушел из жизни. Сам, Добровольно ушел из жизни“!

му, если так риторически проанализировать – не в состоянии ни доказать ни выдвинуть. Выдвинуть можно но доказывать... Потому что только очевидцы могут знать как все происходит. По этому я думаю разумно будет решить этот вопрос как семья хочет.

• Вопрос: Господин Яндарбиев, сюда доходило очень много версий но мы не встречались с семьей и мы не знаем той версии, мы не видели очевидцев которые могли бы сказат какова действительность. Вы не знаете ее? Вы не могли бы нам сказать?

• Ответ З.Яндарбиева: Нам семья сказала - "**Звиад Гамсахурдиа добровольно ушел из жизни. Сам, Добровольно ушел из жизни**"[29].

11.12. ცხედრის დათვალიერება და შესწავლა სპეციალისტების მიერ

პირველი სპეციალისტი, რომელმაც ცხედარი ძალზე დეტალურად დაათვალიერა და შეისწავლა – იყო ექიმი დავით ჯალაღონია. იგი ჯ.კვარაცხელიას სახლში მოიწვიეს ზ.გამსახურდიას ცხედრის ბალზამირებისათვის მიცვალებულის აქ მიყვანის მეორე დღესვე[30].

დ.ჯალაღონია: «ზუსტად მარჯვენა საფეთქლის ოდნავ დაბლა, თვალის გასწვრივ მოჩანდა შემავალი ტყვიის ადგილი და გამოდიოდა მარცხენა მხარეს, უკან, დვრილისებრ მორჩში და ყველაფერი გამონგრეული ჰქონდა... იარაღი ზედ საფეთქელზე არ იყო მიდებული, ოდნავ შორიდან არის ნასროლი... თვალის გასწვრივ ძვალი დამტვრეული არ არის. დამწვარიც კი არ იყო, მაგრამ დენის ნაკვალევი შეიმჩნეოდა.»

საქართველოდან ჩენეთში ცხედრის გადასვენებისას სენაკის აეროპორტზე საქართველოს რეჟიმის პროკურატურის მოთხოვნით ცხედარი (არსებითად თავი და ყელი, რომელიც ტანსაცმლით არ იყო დაფარული) დეტალურად დაათვალიერეს პათანატომებმა თამარ დეკანოსიძემ და ვახტანგ ბოჭორიშვილმა. ამას გარდა თვითმფრინავში (შვეულმფრენში?) ცხედარს დეტალური ფოტოები გადაუღო პროკურატურის ფოტო სპეციალისტმა [31] [32].

ცხედრის გროზნიში გადაყვანისთანავე აეროპორტიდან იგი დაასვენეს გროზნის პროზექტურაში სადაც გიორგი (და ცოტნე) გამსახურდიების თანდასწრებით ჯ.დუდაევის სანდო პროკურატურის სასამართლო–სამედიცინო ექსპერტმა–პათანატომებმა და მათ შორის **რუსლან აბუს ძე აჰმედხანოვმა** და მცველებმა მიცვალებული ამოასვენეს იმ კუბოდან, რომელშიც იგი სამეგრელოში ჩაასვენეს. ცხედარს ტანთ გახადეს, დაბანეს (ზაზა ლიპარტელიანმა და ზაზა ბურჯანაძემ) და შემდგომ პათანატომმა იგი დეტალურად დაათვალიერა და ბალზამირება ჩაუტარდა – ამასთანავე შედგენილი იქნა გარეგანი დათვალიერების შედეგების ოფიციალური აქტი–ოქმი, რომელიც გადაეცა ჯ.დუდაევსაც. ამის შემდგომ ცხედარს ახალი ტანსაცმელი ჩააცვეს და იმ კუბოში ჩაასვენეს, რომელითაც იგი გროზნიში დაიკრძალა. გროზნოელმა პათანატომმა დაწვრილებით მოახსენა ჯ.დუდაევსა და ზ.იანდარბიევს ცხედრის დათვალიერების შედეგები, იგი დაკრძალვამდე ყოველ დღე მიდიოდა ცხედართან და მას შესაბამის დამუშავებას უტარებდა (მისი განცხადებით ცხედარი თითქმის გაუხრწნელი იყო). გროზნის პროზექტურაში ზვიად გამსახურდიას ცხედრის დათვალიერებას ესწრებოდა **მირიან წიკლაური** (მისი სიტყვებით) ზ.გამსახურდიას ხელისუფლების ყაზბეგის პრეფექტი, აგრეთვე აწ გარდაცვლილი ფოთის პრეფექტი ბარამიძე.

იმის და მიუხედავად, რომ გროზნიში ცხედრის დეტალური, ყოველმხრივი და სანდო გარეგანი დათვალიერება განხორციელდა მაღალკვალიფიცირებული პათანატომის, სასამართლო–სამედიცინო ექსპერტის მიერ (არ განხორციელებულა მხოლოდ გაკვეთა) და პრეზიდენტის ცხედრის მდგომარეობას ძალზე კარგად იცნობდნენ ც– და გ.გამსახურდიები (რომლებიც, მათი ზედმიწევნით ინფორმირებულობის მიუხედავად, არაკაცურად იქცევიან და არასოდეს, არც–ერთხელ არ გაუბათილებიათ მრავალი ბინძური ჭორი ცხედრის მდგომარეობის, „მრავლობითი ნატყვიარებსა“ და სხვ. შესახებ) – პირველ რიგში ჩენეთში გა-

---

[29] იხ. ვიდეო დოკუმენტი – ზელიმხა იანდარბიევი ზ.გამსახურდიას თვითმკვლელობაზე – DVD-ზე: Video/z-jandarbievi_z-gamsaxurdias_tvitmkvlelobaze.wmv

[30] გაზეთი „მამული“, 19, ოქტ., 2005. №19, გვ. 14.

[31] იხ. ვიდეო DVD-ზე: Video/zg_natkviari_safetqelze.wmv

[32] იხ. ტყვიის შემავალი ხვრელის ფერადი ფოტოები DVD-ზე: Images/natkviari03.jpg და სხვა იქვე.

დასვენებაში მონაწილე გ.შარაძის ბილწი და დაჟინებული ფანტაზიებით (რომელსაც ცხედარი შორიახლო ჰქონდა ნანახი) ათ წელიწადზე მეტ ხანს მოტყუებული ქართული საზოგადოება თვლიდა, რომ საფეთქელში შესული ტყვია ლოყაში იყო გამოსული და აქედან გამომდინარე ათასგვარ ფანტასტიკურ დასკვნებს აკეთებდა.

ინფორმაციული ქაოსი საკითხთან დაკავშირებით რამდენადმე გაიფანტა მას შემდეგ, რაც თბილისში გადმოსვენების წინ რუსეთში, როსტოვში ჩატარდა ნეშტის მინიმალური სასამართლო ექსპერტიზა (რომლის დედანი ზ.გამსახურდიას ოჯახმა ისეც არ გააცნო საზოგადოებრიობას და საზოგადოება მხოლოდ ზოგად შინაარსს იცნობს). ექსპერტიზამ ზედმიწევნით ზუსტად დაადასტურა ინფორმაცია, რომელსაც სიკვდილის მოწმეები და ექიმი დ.ჯალაღონია წლების განმავლობაში აწვდიდნენ საზოგადოებას.

სხვა ფანტასტიკური მონათხზავებია კ.ზ.გამსახურდიას ტელე ფალსიფიკატებში – დაწყებული იმით, რომ პრეზიდენტს კიდევ ერთი ჭრილობა ჰქონდა ყელის არეში და დამთავრებული იმითი, რომ იგი თურმე „სადისტურად დახვრიტეს 29 დეკემბერს“.

ძალზე ნიშანდობლივია, რომ ზ.გამსახურდიას ნეშტის საქართველოში გადმოსვენებისასაც ოჯახმა ისე მოაწყო, რომ პრეზიდენტის სიკვდილის მოწმეებისა და ზოგადად ქართული საზოგადოების დიდი უმეტესობის მოთხოვნის მიუხედავად ისევ არ ჩაატარებინეს სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზა – ისიც ნიშანდობლივია, რომ ამას იოლად შეურიგდა კ.ზ.გამსახურდიაც, რომელიც მანამდე აგრეთვე დაჟინებით ითხოვდა ექსპერტიზის ჩატარებას.

11.13. ცოდვა?

მტრის გარემოცვაში, რომელშიც ჩვენ აღმოვჩნდით, თუ ზვიად გამსახურდია წინააღმდეგობის გაგრძელებას გადაწყვეტდა – ადრე თუ გვიან მოგვიწევდა სასტიკი და სისხლისმღვრელი ბრძოლის მიღება (ჩვენ რომ ამის უნარი შეგვწევს 1991–1992 წლების მიჯნაზე თბილისში გამართულმა ბრძოლებმა თვალნათლივ დაადასტურა) და მოგვიწევდა ამ ბრძოლაში დაღუპვა.

ბრძოლაში დაიღუპებოდა თვით ზვიადიც (იგი ცოცხალი მტერს არ ჩაბარდებოდა – რაზეც არაერთხელ მოგვმართა დაუფარავად და კატეგორიულად) და ალბათ დაიღუპებოდა ჩვენი უმეტესობაც და შესაძლოა დაიღუპებოდნენ სხვა, გარეშე ადამიანებიც – ჩვენი მასპინძლების ოჯახები ან ჩვენი გამყოლები.

ქრისტიანული თვალსაზრისით კი, თვითმკვლელობა ვერ და არ ჩაითვლება ცოდვად – თუ ამ თვითმკვლელობით და საკუთარი სიცოცხლის ხარჯზე ადამიანმა სხვისი სიცოცხლეები გადაარჩინა. ეს ნებისმიერმა ასე–თუ ისე განათლებულმა მღვდელმა და ღვთისმეტყველმა იცის (თუ საგანგებოდ და ბოროტი განზრახვით არ დამალა). სწორედ და ზუსტად ასეთ მაღალზნეობრივ თავგანწირვის შემთხვევასთან გვქონდა ჩვენ შეხება.

საბუთის სახით მოვიტან ამონარიდს მართლმადიდებელი მოძღვრის დარიგებიდან:

«შეკითხვა – არის თუ არა ცოდვა, როდესაც მეომარი საკუთარ თავს აიფეთქებს მტრის გარემოცვაში?

პასუხი – ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია მოტივაცია. თუ მეომარმა თავი აიფეთქა, რომ ტყვედ არ ჩავარდნილიყო, მას ეს ქმედება თვითმკვლელობად ჩაეთვლება. ხოლო თუ ეს თანამებრძოლის გადასარჩენად გააკეთა, მაშინ ამგვარი საქციელი გმირობა, მოყვასისადმი თავის დადება, ანუ სათნოებაა» (მამა თეოდორე გიგნაძე[33]).

ზვიადის დაკრძალვაზე ჩემს უნებლიე და ამით მართალ სიტყვებს არსებითი მნიშვნელობა აღმოაჩნდა – ჩემდა უნებურად... ალბათ სწორედ ამიტომ წამომაცდინა განგებამ ეს სიტყვები მაშინ და კიდევ იგივე უნდა გავიმეორო – ზვიადმა თავი ჩემთვის (ჩვენთვის – ყოველი ჩვენთაგანისათვის) გაწირა, – რათა თავისი სიცოცხლის ხარჯზე ჩემთვის (მრავალი ჩვენთაგანისთვის) სიცოცხლე ეჩუქებინა! არსებობს ასეთი თავგანწირვაც – თურმე... სწორედ და ზუსტად ამიტომ – ეს თვითმკვლელობა ზვიადს არა თუ ცოდვად ვერ და არ ჩაითვლება – არამედ ზვიადის დიდი სათნოებისა და მოყვასისადმი თავის დადების – ზნეობრივი გმირობის დადასტურებაა!

11.14. ისევ ექსპერტიზის მოთხოვნა

როდესაც გაირკვა, რომ დაგეგმილია პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ნეშტის ჩეჩნეთიდან საქართველოში გადმოსვენება სიკვდილის მოწმეებმა კიდევ ერთხელ მიმართეს ქართულ საზოგადოებრიობას მოთხოვნით ჩატარებულიყო სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზა – ეს მოთხოვნა ყველა ტელევიზიით გადაიცა და უმთავრესმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს.

ღია წერილი ქართულ საზოგადოებრიობას

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სიკვდილის მოწმეთა მოთხოვნები:

- რადგან, პრაქტიკულად გადაწყვეტილია პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ნეშტის საქართველოში გადმოსვენება
- რადგან, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ნეშტის საქართველოში გადმოსვენებით ნეშტი საქართველოს რესპუბლიკის იურისდიქციის ფარგლებში მოექცევა
- რადგან, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ცხედრის სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზა 1994 წელს ჩეჩნეთის რესპუბლიკაში მისი გადასვენების დროს ოჯახის დაჟინებული მოთხოვნის გამო არ ჩატარებულა
- რადგან, საქართველოს ფაქტობრივ ხელისუფლებას წამოწყებული აქვს გამოძიება „პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გარემოებებთან დაკავშირებით“
- რადგან, საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოები საზოგადოებრივად არაერთხელ მხილებულნი არიან არაობიექტურობასა, სიყალბესა და მიკერძოებაში

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სიკვდილის მოწმეები **კატეგორიულად მოვითხოვთ:**

- ჩატარდეს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ნეშტის ყოველმხრივი, კომპლექსური სასამართლო–სამედიცინო ექპერტიზა
- ნეშტის სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზის ჩასატარებლად მიწვეულნი იქნან პრეზიდენტ ზ.გამსახურდიას სიკვდილის მოწმეების – როგორც დაინტერესებული მხარის – ნდობით აღჭურვილი ობიექტური და მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტები და მათ შორის უცხოელი სპეციალისტები

[33] http://www.orthodoxy.ge/pasukhebi/8.htm

- სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზის სამუშაოების დასრულებისთანავე მასალები სრულად, შეუზღუდავად და ფართოდ გაეცნოს ქართულ საზოგადოებრიობას

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სიკვდილის მოწმეების სახელით
ზვიად გამსახურდიას მთავრობის პრემიერ–მინისტრი
ბესარიონ გუგუშვილი, 2006 წლის 16 ივლისი

მაგრამ, რა თქმა უნდა ამჯერადაც ექსპერტიზა ოჯახის წინააღმდეგობის გამო არ ჩატარდა...

12. პრემამბულა: ე.შევარდნაძე — ზვიად გამსახურდიას „მკვლელობის კურთხეული დამკვეთი“?

ახლახან მუშაობდა დაასრულა და საქართველო „კაპიტალური“ დასკვნითი დოკუმენტით გაახარა „საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელმა საქართველოს პარლამენტის დროებითმა კომისიამ“ ანუ ხალხურად — „კოკოს კომისიამ“.

ერთი კია — რომ საპარლამენტო, ანუ საკანონმდებლო ორგანოს, ანუ მთავარი სამართალ-საფუძველთა დამდგენი ორგანოს კომისიამ უპასუხოდ დასტოვა ყველაზე არსებითი სამართლებრივი საკითხი ზ.გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით: რას წარმოადგენდა საქართველოში 1993 წლის 24 სექტემბერს დაბრუნებული ზვიად გამსახურდია და ამითი მთელი მისი ფართო გარემოცვა (უზენაესი საბჭო, მინისტრთა კაბინეტი, პრეფექტები, გვარდია და ასე შემდეგ) — იყვნენ ეს სუბიექტები საქართველოს კანონიერი, ლეგიტიმური ხელისუფლება თუ იყვნენ როგორც მათ მაშინ უწოდებენ „რევანშისტები“ და „პროვინციელი ფაშისტები“ ანუ უკანონო, და გარკვეულწილად შეიარაღებული დაჯგუფებები, რომლებსაც მიზნად ჰქონდათ საქართველოს ლეგიტიმური (ანუ შევარდნაძის) ხელისუფლების დამხობა.

ამ საკითხის გაურკვევლობა კი გაურკვევლად ტოვებს 1993 წლის ნოემბერ-დეკემბერში აფხაზეთიდან გამოძევებული და სამეგრელოში მოხეტიალე იმ პატარა ჯგუფის სამართლებრივ სტატუსს, რომელშიც ძირითადში შედიოდნენ ზვიად გამსახურდია, ბესარიონ გუგუშვილი და რამდენიმე თანმხლები (რომლებსაც ხშირად „მცველებს“ უწოდებენ).

ამ ასპექტში ორი არსებითი მომენტია:

1. 1993 წლის 14 სექტემბერს თბილისში მწვავედ დადგა შევარდნაძისადმი მისივე მარიონეტული „პარლამენტის“ მხრივ დაუმორჩილებლობის საკითხი და საპასუხოდ შევარდნაძე გადადგომით დაიმუქრა და განაცხადა, რომ უკან ნაბიჯს აღარ გადადგამდა. შევარდნაძის მხარდასაჭერად კათალიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით შეკრებილი იქნა მრავალათასიანი ბრბო — რომელმაც შევარდნაძეს დაუჩოქა და დაჩოქილმა სთხოვა „დაფურთხებულს ჩვენ ავლოკავთო“ ოღონდ კი დარჩი საქართველოს მეთაურადო. აღნიშნული ქმედება აკურთხა კათალიკოს-პატრიარქმა სიტყვებით: „მთელი საქართველო ღელავს. ამიტომ მე უფლება მაქვს როგორც საქართველოს სულიერ მამას და პირადად თქვენს სულიერ მამას მოგცეთ ლოცვა-კურთხევა რომ მთელ საქართველოს განვუცხადოთ რომ თქვენ ბრძანდებით საქართველოს მეთაური.“

ამდენად — თუნდაც სავსებით სამართლიანად ჩავთვალოთ შევარდნაძე არალეგიტიმური, ფალსიფიცირებული არჩევნებით გა-პრეზიდენტებულ დიქტატორად – კათალიკოს-პატრიარქის მიერ მისი კურთხევა მას რელიგიური და სარწმუნოებრივი თვალსაზრისით ლეგიტიმურ ანუ ფაქტობრივად მირონცხებულ საქართველოს მეთაურად აქცევდა!

2. მეორე მხრივ არსებობს საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების პარლამენტის 2005 წლის 11 მარტის დადგენილება სადაც ვკითხულობთ: „საქართველოს პარლამენტი კვლავ ადასტურებს 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოსა და 1991 წლის 26 მაისს არჩეული საქართველოს პრეზიდენტის, აგრეთვე მათდამი დაქვემდებარებული სტრუქტურების (შეიარაღებული ძალების ჩათვლით) და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ლეგიტიმურობას სათანადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.“

ამდენად — საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების პარლამენტი ადასტურებს, რომ 1993 წლის სექტემბერშიც და მომდევნო პერიოდშიც ზვიად გამსახურდია იყო საქარ-

თველოს ლეგიტიმური პრეზიდენტი! და ამდენად — სამეგრელოში 1993 წლის ნოემბერ-დეკემბერში შეფარვით მოხეტიალე შეიარაღებული ჯგუფი ზვიად გამსახურდიას, ბესარიონ გუგუშვილისა და რამდენიმე თანმხლები პირის შემადგენლობით — საქართველოს უზენაესი ხელისუფლება და სავსებით ლეგიტიმური და კანონიერი დაჯგუფება იყო!

როგორც ვხედავთ — ამჟამად ზ.გამსახურდიას და მის თანმხლებთა ჯგუფისადმი მიმართებაში 1993 წლის ნოემბერ-დეკემბერის პერიოდისათვის, ანუ ზ.გამსახურდიას სიკვდილის დროით ფარგლებში არსებობს ორი მკვეთრად განსხვავებული მიმართება:

- საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ე.შევარდნაძეს აღიარებს და ლოცავს-აკურთხებს საქართველოს ლეგიტიმურ ხელისუფლად (რამდენადაც არ დაუგმია 1993 წ. მისი „კურთხევა“)
- საქართველოს ფაქტობრივი (სააკაშვილის) ხელისუფლება ზ.გამსახურდიას აღიარებს საქართველოს ლეგიტიმურ ხელისუფლად

ყოველივე ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმიტომ, რომ ზ.გამსახურდიას თვითმკვლელობის ეჭვის ქვეშ დაყენების უმთავრესი არგუმენტი რელიგიურ-სარწმუნოებრივია: „გამსახურდია, როგორც ღრმადმორწმუნე ქრისტიანი თავს არ მოიკლავდა“. და — სწორედ და ზუსტად ამ რელიგიურ-სარწმუნოებრივი საჭვრეტიდან გამსახურდიას სიკვდილისას საქართველოს კურთხეული მეთაური იყო ე.შევარდნაძე — რომელსაც ახლა, კოკოს კომისია არაპირდაპირ „გამსახურდიას მკვლელობის დამკვეთად“ წარმოაჩენს!

ე.შევარდნაძე — ზვიად გამსახურდიას „მკვლელობის კურთხეულ-მირონცხებული დამკვეთია“?

ხოლო ამ „დასკვნის“ ავტორი კოკოს საპარლამენტო კომისია, ფაქტობრივი პარლამენტი და ფაქტობრივი პრეზიდენტი სააკაშვილიც ხომ აგრეთვე და თავის-თავად „კურთხეულები“ და მკვლელობის (ვერსიის) დამკვეთები არიან!

13. შესავალი: გ.შარაძე, ზვიად გამსახურდიას სიკვდილი და დასაფლავება

...[გვ.12] გროზნოდან თბილისში ვიცე პრეზიდენტის ზელიმხან იანდარბიევის მეთაურობით ჩამოსულმა ჩეჩნეთის რეპუბლიკის ოფიციალურმა დელეგაციამ დაადასტურა ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობით დაღუპვის ცნობა და გროზნოში მივლინებულმა საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმაც იგივე ამბავი ჩამოიტანეს. ამასობაში, ვიცე-პრემიერის ავთანდილ მარგიანის ხელმძღვანელობით შეიქმნა კომისია, რომელშიც საზოგადოებრიობის წარმომადგენლად მეც ჩამრთეს. კომისიის შექმნის მთავარი მიზეზი გახლდათ ზვიად გამსახურდიას ოჯახის კერძოდ მისი მეუღლის მანანა არჩვაძე-გამსახურდიას მიერ საქართველოს ხელისუფლებისათვის **13 იანვარს გამოგზავნილი მოთხოვნების**[34] განხილვა და მათი განხორციელების [გვ.13] შესაძლებლობის შემთხვევაში სისრულეში მოყვანა.

აი, ეს მოთხოვნებიც (მოგვყავს ქართული თარგმანი, დედანი შესრულებულია რუსულ ენაზე):

«1. მოგვეცეს გარანტიები დაუბრკოლებლად და დაუყონებლივ ცხედრის გადასასვენებლად ჩეჩნეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, სადაც დროებით ცხოვრობს მიცვალებულის ოჯახი.

2. **მოგვეცეს გარანტიები ხელშეუხებლობისა და საქართველოდან დაუბრკოლებლად გასვლისა** ოჯახის წევრების, **სიკვდილის თვითმხილველებისა** და სხვა პირებისა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ცხედრის გადასვენებაში.

---

34 და ეს იმ დროს, როდესაც გამსახურდიას საფლავთან დარჩენილი მისი თანამებრძოლები სულმოუთქმელად ელოდებოდნენ ობიექტური და მიუკერძოებელი საერთაშორისო საგამომძიებლო და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების მიერ „ცხელ კვალზე“ გამოძიება-გამოკვლევის ჩატარებას – რაც უცილობლად დაამტკიცებდა თვითმკვლელობა! სულმოუთქმელად ელოდებოდნენ როდის გაეცნობოდნენ გვამსა და ნივთმტკიცებებს გამსახურდიას ოჯახის წევრები და საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლების პასუხისმგებელი წევრები – რათა ისინი საკუთარი თვალით დარწმუნებულიყვნენ თვითმკვლელობაში!

3. **ოჯახის წევრები და სიკვდილის თვითმხილველები კატეგორიულ უარს აცხადებენ პრეზიდენტ გამსახურდიას სიკვდილთან დაკავშირებით რაიმე გამოძიებაში მონაწილეობის მიღებაზე.**

4. პრეზიდენტ გამსახურდიას **ოჯახი კატეგორიულ უარს ამბობს მიცვალებულის ცხედრის გაკვეთაზე, გამოკვლევაზე ან სხვა რაიმე მოქმედებაზე, გარდა გამოცნობისა უშუალოდ ცხედრის ადგილსამყოფელზე.**

5. მიცვალებულის **ოჯახი მოითხოვს შეიქმნას საერთაშორისო ჯგუფი,** რომელიც უზრუნველყოფს **ზემოთდასახელებულ მოთხოვნათა შესრულებაზე მეთვალყურეობას.**

[გვ.14] ოჯახი მოითხოვს ზემოთაღნიშნულ მოთხოვნათა უმოკლეს ვადაში განხორციელებას.

მანანა არჩვაძე-გამსახურდია 13.1.1994.»

ამ მოთხოვნებში ყველაზე მძიმედ გამოიყურებოდა მეოთხე მუხლი, რომელშიც უარყოფილი იყო ცხედრის გაკვეთა და სიკვდილის ნამდვილი მიზეზების დასადგენად სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება და მეტი ობიექტურობის დაცვის მიზნით თბილისში მოიწვიეს საერთაშორისო ექსპერტები დოქტორი ზანეზისი ინგლისიდან, დოქტორი ვბოტე გერმანიიდან, პროფესორები ისაევი და პანოვი რუსეთიდან. ამიტომ თბილისში თითქმის ორკვირიანი უშედეგოდ ყოფნის შემდეგ ზემოთდასახელებული საერთაშორისო ექსპერტები იძულებულნი გახდნენ სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ...

[გვ.15]... 20 იანვარს ოჯახის ახლობლებთან ერთად გავემგზავრეთ გროზნოში (თვითმფრინავში დაგვხვდნენ საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებიც, რომელთაც ოფიციალური მოლაპარაკება უნდა ეწარმოებინათ ზ.გამსახურდიას ოჯახის მოთხოვნების დაკმაყოფილების თაობაზე)... მანანა არჩვაძე-გამსახურდია მხოლოდ ჩვენ დაგვთანხმდა ვიდეოინტერვიუზე, რომელშიც მან უყოყმანოდ დაადასტურა ზვიად გამსახურდიას დაღუპვის ფაქტი, რადგან საქართველოში ვინც მას უკანასკნელად თვალები დაუხუჭა და მიწა მიაყარა, აქ, გროზნოშია ჩამოსულიო (სხვათა შორის იგივე გაიმეორა პრეზიდენტმა ჯოჰარ დუდაევმაც საღამოს შეხვედრაზე, რომელმაც იმავე პირველწყაროზე დაყრდნობით განგვიცხადა, რომ ზვიად გამსახურდია თავისი ნებით განშორდა ამ ქვეყანას და თავი მოიკლა „სტეჩკინის" [გვ.16] ტიპის პისტოლეტით და ტყვია დახლილი აქვს თავის ზედა არეში, მარჯვენა საფეთქელთანო.

გროზნოში ყოფნისას... შემახვედრეს გროზნიში **საერთაშორისო მეთვალყურეებად ჩამოყვანილ ლიტვის სეიმის წევრებს პატაცკასს და რომუალდ ხოფერტინენს** [35]...

იმავე ღამით, გვიან დაგბრუნდით თბილისში და ეს ამბავი მეორე დღესვე რადიო ტელევიზიის საშუალებით ოფიციალურად ვაცნობე საქართველოს მოსახლეობას...

[გვ.33] ...16 თებერვალს გროზნოდან თბილისში ჩამოვიდა ჩეჩნეთის რესპუბლიკის სამთავრობო დელეგაცია ვიცე-პრეზიდენტ ზელიმხან იანდარბიევის მეთაურობით. დელეგაციაში ჩეჩნეთის რესპუბლიკის ოფიციალურ პირებთან ერთად შედიოდნენ საერთაშორისო მეთვალყურეებად მოწვეული წარმომადგენლები ლიტვისა და ინგუშეთის რესპუბლიკებიდან.

16 თებერვალს, დღის მეორე ნახევარში საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახლში, ვიცე-პრემიერ ავთანდილ მარგიანის კაბინეტში დოკუმენტურად გაფორმდა შეთანხმება ზვიად გამსახურდიას ცხედრის ადგილსამყოფელის მოძიებისა და გროზნიში გადასვენების თაობაზე **იმ მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც წამოყენებული იყო მანანა არჩვაძე-გამსახურდიას 13 იანვრის ოფიციალურ წერილში** [36].

მეორე დღეს, 17 თებერვალს, 14 საათზე თბილისიდან სენაკისკენ გაფრინდა ორი თვითმფრინავი... საქართველოს დელეგაცია...: **ა.მარგიანი,** [გვ.34] **გ.შარაძე, გ.ლომინაძე, ა.გოგელია, ჯ.მიქელაძე, ა.იოსელიანი, ვ.გიორგაძე, ა.ბალუაშვილი.**

გარდა ჩამოთვლილი ოფიციალური პირებისა, დელეგაციაში შედიოდნენ სპეციალისტი-მედიკოსები: **ვახტანგ ბოჭორიშვილი** – აკადემიკოსი; პროფესორი; **თამარ დეკანოსი-**

---

35 საგულისხმოა, რომ კომისიას არც კი უცდია ამ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მფლობელ ადამიანებთან დაკავშირება. ბოლოში იხ. ბ-ნ პატაცკასის მიმართვა საქართველოს ფაქტობრივ ხელისუფლებას (რუსულ ენაზე).

36 ანუ, კიდევ ერთხელ იქნა განხილული ოჯახის მოთხოვნა არ ჩატარებულიყო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა.

ძე – მთავარი პათოლოგ-ანატომი; **რევაზ კაპანაძე** – პროფესორი, პათო-მორფოლოგი; [გვ.34] **ოლეგ ოქრუაშვილი** – მთავარი სასამართლო ექსპერტი; **ლევან ჩაჩუა** – უმაღლესი კატეგორიის ექსპერტი.

მოწვეული პირები: **სერგო ედიშერაშვილ**ი – სპეციალისტი ფოტოგრაფი, **აბესალომ რობაქიძე** ტელეჟურნალისტი, **ზურაბ შანიძე** – კინორეჟისორი; **ზურაბ ჭელიძე** – ზ.გამსახურდიას ნათესავი და ნდობით აღჭურვილი პირი.

[გვ.40] ... კუბო ზ.გამსახურდიას ნეშტით და საქართველოსა და ჩეჩნეთის დელეგაციათა წევრების თანხლებით გადმოსვენებული იქნა სენაკის აეროდრომზე. აქ ვერტმფრენიდან 10 მეტრის მოცილებით იგი დასვენებული იქნა აეროდრომის საფრენ მოედანზე, სადაც **კუბოს კვლავ აეხადა თავი და ექიმ-სპეციალისტების ვ.ბოჭორიშვილის, თ.დეკანოსიძის, რ.კაპანაძის და ლ.ჩიჩუას მონაწილეობით გაგრძელდა გვამის გარეგანი დათვალიერება.**

დათვალიერდა გვამის ტანსაცმლით დაუფარავი ხილული ნაწილები, კერძოდ, თხემის და **ორივე საფეთქლის არე,** სახის არე, კისრის ზედა მესამედის წინა ზედაპირი და [გვ.41] ორივე ზედა კიდურის ხელის მტევნების ზურგის ზედაპირი.

თხემი და საფეთქლები დაფარულია ჭაღარა თმით, რომელიც შუბლის და საფეთქლების წინა ნაწილში შემელოტებულია, თვალების ნაპრალები დახუჭულია. პირის ნაპრალი ოდნავ ღიაა. კბილები და ენა არ ჩანს. ზედა ტუჩთან აღინიშნება ჭაღარაშერეული ულვაში. კანის ფერი სახის ნაწილში მორუხოა და დაფარულია <u>მოთეთრო ფერის ობით</u>, რომელიც განსაკუთრებით ინტენსიურად არის გამოხატული შუბლის მარჯვენა ნახევარში, მარცხენა თვალბუდის შიგნითა კუთხესთან, ორივე ტუჩის მიდამოში, ნიკაპზე, კისრის ზედა მესამედის წინა ზედაპირზე, მარცხენა ყურის ბიბილოზე, მარჯვენა საფეთქლის მიდამოში აღინიშნება მრგვალი ფორმის დაახლოებით 0,6-0,7 სმ. დიამეტრის მქონე მოშავო ფერის უბანი. ასეთივე ხასიათის ოვალური ფორმის მოშავო ფერის უბანი ზომით 1,5×1,0 სმ აღინიშნება მარცხენა ყვრიმალის უკანა ნაწილში საფეთქლის თმოვან ნაწილთან ახლოს. ზედა ტუჩის შუა მესამედის წინა ზედაპირზე აღენიშნება დაახლოებით 1 სმ სიგრძის მოშავო ფერის ჩაღრმავებული უბანი. მარჯვენა ყვრიმალის არეში დაახლოებით 1,5×1,0 სმ ნიკაპის შუაში დაახლოებით 3,0×2 სმ მარცხენა ყვრიმალზე დაახლოებით 5,0×4,0 სმ და შუბლთხემსაფეთქლის საზღვარზე მარცხნივ დაახლოებით 3,0×2სმ-ზე აღენიშნება მორუხო ფერის გამუქებული უბნები. აღნიშნული უბნებიც დაფარულია [გვ.42] ობის თხელი ფენით. ორივე ხელის მტევნების ზურგის ზედაპირზე კანის საფარი ერთგვაროვანი მორუხო მოვარდისფროა, დანაოჭებულია, ობით დაფარული არ არის. დამატებით სხვა რაიმე მონაცემების რეგისტრაცია შეუძლებელია იმის გამო, რომ **საქართველოსა და ჩეჩნეთის რესპუბლიკების სამთავრობათაშორისო შეთანხმების შესაბამისად დაკმაყოფილებული იქნა ზ.გამსახურდიას ოჯახის მოთხოვნა** – არ ჩატარებულიყო გვამის საგამომძიებლო და სასამართლო ექსპერტიზა[37], შესაბამის სამსახურებს შესაძლებლობა არ მიეცათ გვამის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩასატარებლად და სიკვდილის მიზეზების დასადგენად.

... დაკრძალვის ადგილზე ზ.გამსახურდიას ცხედრის ამოღება და გარეგანი დათვალიერება **ა.რობაქიძისა და ზ.შანიძის მიერ გადაღებული იქნა ვიდეოფირზე, ხოლო სპეციალისტმა ფოტოგრაფმა ს.ედიშერაშვილმა ფოტოზე აღბეჭდა...** <u>გვამის სხვადასხვა მხრიდან</u>[38] (გადაღება წარმოებდა ფოტოაპარატ [გვ.43] „ნიკონ ფ-4-ით“, ობიექტივი „ნიკონ-28-85,88“ შუქფილტრის გარეშე ფერად და შავ ფირზე).

ყოველივე აღნიშნულთან დაკავშირებით შედგენილი ოქმი, რომელსაც ხელი მოაწერა კომისიის ყველა წევრმა, ინახება საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურაში...

---

37 კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ ექსპერტიზების ჩაუტარებლობის გადაწყვეტილებისას სავსებით უგულველყოფილი იქნა ზ.გამსახურდიას თვითმკვლელობის მოწმეების ინტერესები.

38 იმის და მიუხედავად, რომ გვამი გადაღებული იქნა ძლიერი და მაღალხარისხოვანი ფოტო და ვიდეო აპარატურით „**სხვადასხვა მხრიდან**“ კომისია იყენებს და **აქვეყნებს მხოლოდ გვამის მარცხენა მხარის ფოტოსურათებს** და **არ აქვეყნებს (მალავს) თავისქალის <u>მარჯვენა მხარის</u> ფოტოსურათებს:** რომლებზეც გარკვევით მოჩანს <u>ტყვიის შემავალი ხვრელი, და ხვრელის გარშემო დამწვარი და დენთისგან გაშავებული კანი და დენთის ალისგან შეტრუსული თმები და ბალანი</u>!

[გვ.44]... **მოსკოვის სატელევიზიო არხებმა და „ამერიკის ხმამ“** გაავრცელეს[39] თბილისიდან მიღებული ორი ურთიერთ-გამომრიცხავი ინფორმაცია: ერთი, თითქოს მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ ცხედარში ვერ გამოიცნო ზვიად გამსახურდია, და მეორე: გროზნიში გასინჯვა-დათვალიერების დროს, მარჯვენა საფეთქელთან დახლილი ტყვიის გარდა, ზვიად გამსახურდიას ტანზე (მუცლისა და **ყელის არეში) აღმოაჩნდა კიდევ სამი ნატყვიარიო!** ბარემ ახლავე ვიტყვი, რომ ორივე ეს ინფორმაცია ყალბი გამოდგა: პირველი იმდენად აბსურდულია, რომ მასზე არც ღირს შეჩერება, ხოლო რაც შეეხება მეორეს, **გროზნოში ჩასვლისთანავე (23 თებერვალს) მე საგანგებოდ ვკითხე ამის თაობაზე ზვიად გამსახურდიას ვაჟიშვილებს — ცოტნესა და გიორგის, აგრეთვე პირადი დაცვის წევრს მ.ჭიჭინავას, რომლებიც დაესწრნენ მიცვალებულის დაკრძალვისათვის მომზადება-გაპატიოსნებას (ჭიჭინავამ მითხრა, — მე დავბანეო!). მათ კატეგორიულად უარყვეს საფეთქლისა და ლოყის გარდა, ზვიად გამსახურდიას სხეულზე რაიმე ნატყვიარის კვალის არსებობა**[40]. ოღონდ, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ თქვეს, ტანზე რაღაც ლურჯი ზოლები შეემჩნეოდაო, რაც ალბათ მოწამვლით უნდა აიხსნასო! (სხვათა შორის, ეს ვერსია დაკრძალვის დღეს [გვ.45] 24 თებერვალს მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ თავის მოთქმა-გოდებაში არაერთხელ აღნიშნა, რაც დადასტურებულია ჩანაწერით ვიდეოფირზე).

14. ზურაბ გუჩუა: ნუთუ ეს საჭიროა? [41]

საქართველოს პირველი პრეზიდენტის, მოწამებრივი ცხოვრება და ტრაგიკული აღსასრული, წლების მანძილზე მრავალი განსჯისა და შეფასების საგანი იყო. ამ დღეებში, მისი ნეშტის სამშობლოში დაბრუნებამ, საზოგადოების ახალი აღტკინება გამოიწვია. ტელევიზია და მასმედიის ყველა საშუალებები დაინტერესებულნი არიან რაღაც ახალი ფაქტებით, ან სენსაციით შეავსონ გამსახურდიას უკანასკნელი ტრაგიკული დღეების შესახებ ადრე არსებული მოსაზრებები. რაც უფრო მეტი დრო გადის, აშკარად შეინიშნება ნაკლები ნდობა პრეზიდენტის იმ გარემოცვისადმი, რომელიც მას თან ახლდა დევნილობაში.

...

წერა-კითხვა, ადამიანისათვის ღვთივ ნაბოძები მადლია, მაგრამ შინაგანი ცენზორის გარეშე, იგი წყევლად იქცევა. განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს წყალობა მავანს პროფესიად აურჩევია. ყველას არ შევკადრებ, მაგრამ ჩვენ, ნამდვილად შევიქმენით ზოგიერთი ასეთი ჟურნალისტის მსხვერპლი.

სიმართლე თუ გნებავთ, ამ საქმესთან დაკავშირებით ჟურნალისტებთან ფრთხილი დამოკიდებულება თემისადმი ზოგიერთი მათგანის სპეკულაციურმა მიდგომამ, გულგრილობამ და არა პროფესიონალიზმმა უფრო განაპირობა. ისე ჭრიან და კერავენ, როგორც თვითონ აწყობთ. შედეგად, რეალობა განზე რჩება. დაგროვდა უამრავი ურთიერთ საწინააღმდეგო და ერთმანეთის გამომრიცხავი ინფორმაციები, რაც სულ უფრო ბუნდოვანს ხდის მომხდარ უბედურებაში გარკვევის პერსპექტივას.

ამის გარდა, თუ მართლაც ობიექტური გამოძიების სურვილი გვამოძრავებს, არ უნდა დაგვავიწყდეს გამოსაკვლევი მოვლენის ხასიათი და მნიშვნელობა. პირველ რიგში, საჭიროა, ტრაგედია განვიხილოთ, როგორც სამოქალაქო დაპირისპირების შედეგი. ჟურნალი-

---

39 არსებითია, რომ რუსეთი და ამერიკა შეხმატკბილებულად ავრცელებენ სიცრუეს. ამასთან: დოკუმენტურადაა დამტკიცებული, რომ შევარდნაძის რეჟიმი უკიდურესად დაინტერესებული იყო ზ.გამსახურდიას მისივე გარემოცვის მიერ მკვლელობის ვერსიით: Ex-georgian President A Suicide. „Chicago Tribune“, January 05, 1994. Zviad Gamsakhurdia, the ousted Georgian president who has been leading a rebellion, killed himself after being surrounded by pro-government forces, Russian news agencies quoted his wife as saying Wednesday. The reports by Interfax and ITAR-Tass could not be immediately confirmed. **Georgian officials suggested Gamsakhurdia, 54, may have been shot in a quarrel with his supporters**. ანუ **ზ.გამსახურდია მის მხარდამჭერებთან შეკამათებისას მოკლესო!**

40 ნიშანდობლივია, რომ კომისია არ დაინტერესებულა და არ გამოუკითხავს გ.შარაძის მიერ ნახსენები ცოტნე, გიორგი და არც **მ.ჭიჭინავა** — მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ეს ადამიანები ვერაფრით გაამაგრებდნენ მკვლელობის ვერსიას რომელიც სჭირდებოდა კომისიას და პირიქით — დაადასტურებდნენ რომ ზ.გამსახურდიას ერთი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი!

41 გამოქვეყნდა, იხ. DVD-ზე: Documents\asavali_2010-jul-19_gugushvili_guchua.pdf

სტს უნდა ახსოვდეს, რომ პრეზიდენტის დაღუპვის მიზეზების გამოკვლევის მიზნით მასალების მოპოვებისას მას ურთიერთობა უწევს ისეთ ადამიანებთან, რომლებიც მოტივირებულნი არიან, როგორც პოლიტიკურად, ასევე სუბიექტურ-ფსიქოლოგიური ფაქტორებით. აქედან გამომდინარე, საგაზეთო წყაროების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ზოგიერთი რესპოდენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, საერთოდ სცილდება რეალობას და ფანტაზიაში გადადის. მე, პირადად, მქონია შემთხვევა, როდესაც პრეზიდენტის გარდაცვალებიდან რამოდენიმე წლის შემდეგ, ერთერთი პიროვნება თავგამოდებით მიმტკიცებდა, თუ, იგი, როგორ ელაპარაკებოდა ზვიად გამსახურდიას, სამეგრელოს რომელიღაცა უდაბურ ტყეში. თანაც, ამას ისეთი დამაჯერებლობით მიყვებოდა, რომ საკუთარი თავისა მე თვითონ შემეშინდა. ვინაიდან, პრეზიდენტის ცხედარსაც შევხებივარ და მისი პირველი დასაფლავების თვითმხილველიც ვიყავი.

ალბათ, სხვებიც შენიშნავდნენ, სატელევიზიო გადაცემებში, სადაც აღნიშნული საკითხის გარშემო კამათი მიმდინარეობდა, ეკრანზე რამოდენიმეჯერ გამოჩნდა „ესემესები“, რომელთა ავტორებისათვის პრეზიდენტის სიკვდილი დაუჯერებელია. კაცმა რომ თქვას, ასეთ ადამიანებისათვის საწინააღმდეგო მოსაზრების მტკიცება არც არის საჭირო, მაგრამ როცა საქმე ეხება საზოგადოებისა და ერის ინტერესებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე მოვლენის ობიექტურად გამოძიების პრეტენზიას, მაშინ არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს არა, თუ უკიდურესი ფანატიზმის, არამედ თუნდაც მის ნაწილობრივ გამოვლინების ფაქტსაც.

ყველაზე ცუდი ის არის, როცა ასეთი გავლენის ქვეშ არამარტო რესპონდენტები, არამედ თვით ჟურნალისტები იმყოფებიან...

ახლა იმაზე, თუ როგორია ჟურნალისტის დამოკიდებულება თვით კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებით. *ჟურნალისტი* ბრძანებს: „ექვს ნოემბერს 5 საათზე, ზვიადი ჩქვალერის გამგებლის ოჯახში მიიყვანეს, იქ მას დახვდა წალენჯიხის გამგებელი ზურაბ გუჩუა.“ (ჩვენს დროს პრეფექტურის ინსტიტუტი არსებობდა, ბუნებრივია, მე, გამგებელი ვერ ვიქნებოდი) ჯერ ერთი, პრეზიდენტი ჩქვალერის გამგებლის ოჯახში არავის არ მიუყვანია, იგი მიიყვანეს მისი მეზობლის, გამსახურდიას ერთ-ერთი დაცვის წევრის, ცეზარ ბაჯალაძის, ბიძის სახლში. თავად, ამის შესახებ, სოფლის გამგებელმა, როინ ფიფიამ, მხოლოდ მერე გაიგო. რაც შეეხება, ჩემს „დახვედრას“, როგორც ჟურნალისტი აღნიშნავს, მტკნარი სიცრუეა. ვინაიდან, არც მე და არც ჩემი მეგობრები, ამ დროისათვის, საერთოდ აზრზე არ ვიყავით პრეზიდენტი სად იმყოფებოდა. მითუმეტეს, ალყა შემორტყმულ წალენჯიხის რაიონში მის შემოყვანას ნამდვილად არ მოველოდით.

სინამდვილეში, ჩვენი შეხვედრა მოხდა სრულიად შემთხვევით. როცა პრეზიდენტის ჯგუფი სოფელ ჩქვალერში შემოვიდა, იმ დროს, ჩვენ ზურაბ ფიფიას (წრუწუნას) ოჯახში ვიმყოფებოდით. მასპინძელს მეზობელმა აცნობა, სოფელში უცხო, შეიარაღებული ხალხის შემოსვლის შესახებ. ჩვენ, მთებში გასვლას მაინც ვაპირებდით, მაგრამ ამ ინფორმაციის შემდეგ, დარწმუნებულები იმაში, რომ სოფელში მხედრიონელები შემოვიდნენ, სასწრაფოდ დავტოვეთ ადგილსამყოფელი და ტყისკენ გზას გაუყევით. გარკვეული მანძილი რომ გავიარეთ, მეგზურმა, (იგივე მასპინძელმა) ზურაბ ფიფიამ, გადაწყვიტა, ინფორმაცია გადაემოწმებინა და ამბის გასაგებად უკან სოფელში გაბრუნდა. დაახლოებით, ერთი საათის შემდეგ, მოვიდა, და გვაუწყა, რომ სოფელში მხედრიონი კი არა, პრეზიდენტი, პრემიერი და დაცვის ჯგუფი იყო შემოსული. მხოლოდ ამის შემდეგ გავემართეთ ჩვენ მათთან შესახვედრად.

ჟურნალისტი წერს, რომ მე დავხვდი გამსახურდიას ფიფიების სახლში და თანაც დაბეჯითებით ვაფრთხილებდი მას მოსალოდნელი ანგარიშსწორებისა და უბედურების შესახებ. ჯერ ერთი, ამის მსგავსი არაფერი არ მილაპარაკია. რაც მთავარია, ტყეში, რამოდენიმე კაცის ამარა გახიზნული პრეზიდენტისათვის რა დამატებით ახსნა-განმარტება იყო საჭირო მოსალოდნელ საშიშროებასთან დაკავშირებით. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჟურნალისტს ასეთი წანამძღვარი აუცილებლად სჭირდება, რათა შემდგომ უფრო შორს მიმავალი დასკვნები გააკეთოს. თუმცა, ამჯერად, მინდა, „ბრძნული“ ლოგიკის ჯაჭვი დროებით გავწყვიტო და მორჩილად შევთხოვო ქალბატონს ჩვენდამი მისი ძვირფასი ყურადღების ოდნავი დათმობა.

ჩვენ, დევნილ პრეზიდენტს და მის ჯგუფს ტყეში ნამდვილად შემთხვევით შევხვდით, მაგრამ ეროვნული მოძრაობისა და თვით გამსახურდიასათვის მთლად შემთხვევითი ხალხი არ ვყოფილვართ. ამას თავმოწონების მიზნით როდი ვლაპარაკობ (ღმერთმა დამიფაროს), უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ პიროვნების წარსულში, გარკვეულწილად მისი მომავალი მოქმედების ლოგიკაც დევს. სწორი ორიენტაციისათვის ამის გათვალისწინება ურიგო არ იქნებოდა. ამ მხრივ, წალენჯიხელთა მსხვერპლი საქვეყნოდ ცნობილია, ამის მტკიცებას ახლა მე არ შეუდგები. ჩვეულებრივ, შევახსენებ, რომ ეს ის პატარა ქალაქია, რომელზედაც ქვეყნის პირველმა პრეზიდენტმა, თავის დროზე განაცხადა: „წალენჯიხა საქართველოს სიმბოლოა“-ო ბუნებრივია, ასეთი შეფასება, შემთხვევითი არ ყოფილა. როგორც რაიონის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, ასევე პირველ რიგში ადგილობრივი პრეფექტურის ხელმძღვანელებმა, თავიანთ თავზე გადაიტანეს ძალადობის, დევნისა და ტანჯვა-წამების მწარე განსაცდელი. არ დაგვკლებია ციხე, ფიზიკური წამება და სულიერი ტრამვები. ერთ-ერთ ჩემს თანამოაზრესა და მეგობარს -- სოსო ჟვანიას, მხედრიონმა პირწმინდად გადაუწვა ათეული წლების განმავლობაში მშობლების მიერ რუდუნებით ნაშენი სახლ-კარი. მას, მხეცურად მოუკლეს ყოვლად უდანაშაულო, 25 წლის ახალგაზრდა სიძე, უდიდეს ტკივილებს და მათ გარშემო შექმნილ აუტანელ დამამცირებელ გარემოს ვერ გაუძლეს საშინელი ტრავმის ქვეშ მყოფმა ადამიანებმა და ჯერ სოსოს დედა, შემდეგ კი მამა და ახალგაზრდა და, მიყოლებით გამოეთხოვნენ წუთისოფელს. დანარჩენებს, უბრალოდ, საშუალებაც კი არ მოგვეცა ჩვენი გატანჯული მშობლები და უახლოესი ადამიანები დაგვტირა.

მინდა, ჟურნალისტმა გაითვალისწინოს, რომ პატარა კომპრომისების შემთხვევაში, ჩვენ ძალიან ადვილად შეგვეძლო თავიდან აგვეცილებინა ყველა უბედურება და თბილი ადგილებიც გვეშოვა მოძალადე ხელისუფლების სამსახურში, როგორც ეს ბევრმა გააკეთა. ასე რომ მომხდარიყო, რა თქმა უნდა, ტრაგიკული დევნილობის მონაწილეც არ ვიქნებოდით და შესაბამისად, ქალბატონის რისხვასაც გადავრჩებოდით.

ახლა, ჩვენი, არც თუ ისე, სასიამოვნო წარსულის მოკლე მიმოხილვის შემდეგ, ვეკითხები პატივცემულ ჟურნალისტს: რატომ ჰგონია მას, რომ ჩვენ მასზე ნაკლები ერთგულება გაგვაჩნდა ეროვნული იდეალებისა და თვით ზვიად გამსახურდიასადმი? მაგრამ როგორც ჩანს, ასეთი რამ მისთვის წარმოუდგენელია. უფრო მეტიც, *ჟურნალისტს ჰ*გონია, რომ მე, პირველი შეხვედრისთანავე ვცდილობ ჩემი გავლენის ქვეშ მოვაქციო პრეზიდენტი, შევთავაზო მას ჩემთვის სასურველი სამოძრაო მარშრუტი, რათა დევნილობა მზაკვრული ფინალით დავაგვირგვინო. სინამდვილეში, რა მსგავს წინადადებებზე შეიძლებოდა ყოფილიყო ჩემის მხრიდან ლაპარაკი. პრეზიდენტის კონსპირაციისათვის საჭირო, რომელი გეგმა-პროექტით უნდა ვყოფილიყავი მე აღჭურვილი, როცა თვითონ არ ვიცოდი სად უნდა წავსულიყავი.

ისე, ურიგო არ იქნებოდა, ჟურნალისტი, ცოტა უფრო მეტი, იმაზე დაფიქრებულიყო, თუ როგორ აღმოჩნდა სრულიად შეუფერებელ ადგილას, ქვეყნის პირველი პირი, რამოდენიმე კაცის ამარა. როცა, გარკვეულ უწყებებს, წარუმატებლობის შემთხვევაში, ევალებოდათ, სულ მცირე, პრეზიდენტისა და ხელისუფლებისათვის უკან დახევის მარტივი გეგმა მაინც შეეთავაზებინათ. თუნდაც, ამ დეტალიდანაც ნათლად ჩანს, რომ ტრაგედიის მიზეზი სადმე ტყეში კი არა, მის გარეთ უნდა ვეძიოთ, მაგრამ ამის დანახვას სხვა მონაცემები სჭირდება, რაზედაც ჭეშმარიტების მაძიებელი ჟურნალისტი ნამდვილად მწყრალად გახლავთ.

*ჟურნალისტს ჰ*გონია, რომ იგი, ძალიან ფხიზლად ადევნებს თვალს ჩვენს სამარშრუტო მოძრაობას, მაგრამ სცდება. სინამდვილეში, მისმა მახვილმა მზერამ მთებისკენ გაგვაცილა, გზაზე შემხვედრი მწყემსის კარავში ჩვენი ყოფნაც დააფიქსირა. ამის შემდეგ, მას, რაღაც გაუგებარი ემართება. რის გამოც: ჩვენი მარშრუტი, რეგიონის გეოგრაფია, ოჯახები, პიროვნებები, ყველაფერი ერთმანეთში აქვს არეული. მოვლენათა შეფასება კი გაუგონარი სიყალბის ნაზავს წარმოადგენს. ისეთ რამეებს ყვება, რომელსაც მე პირადად, თავი და ბოლო ვერ გაუგე. „იმავ საღამოს“ -- ამბობს ის -- „პრეზიდენტი, ბესარიონ გუგუშვილი, დაცვის სამ წევრთან და ზურაბ გუჩუასთან ერთად ფიფიების დასახლებაში მივიდნენ“. გაუგებარია, რა შუაშია ფიფიების დასახლება. აღნიშნული კარავში შეყოვნების შემდეგ, ჩვენ გავაგრძელეთ გზა მთების სიღრმეებში და ერთი კვირა იქ დავყავით. მხოლოდ ამის შემდეგ, მოგვიწია უკან, ბარში ჩამოსვლამ. კონკრეტულად, ერთი დღე გავჩერდით რაულ ფი-

ფიას სახლში, სოფელ ჩქვალერში, *ჟურნალისტს* კი, პირველი მწყემსის კარვიდან, პირდაპირ სოფელ მუჟავაში გადავყავართ, მაგრამ საინტერესო ისაა, რომ რაღაცნაირად, ამ სოფელში, ჩქვალერელი კაცის ოჯახში ვხვდებით. ჟურნალისტი წერს, „ამის მერე მივიდნენ სოფელ მუჟავაში, „წრუწუნას“ ოჯახში. როგორც ითქვა, „წრუწუნა“, იგივე ზურაბი, ცხოვრობს არა მუჟავაში, არამედ ჩქვალერში, ამ სოფლებს შორის კარგა მახძილია, ჩვენ ამ გზის გავლას საღამოდან, გამთენიამდე, უკუნ ღამეში, თოვლსა და ზამთრის სუსხში 14 საათი მოვანდომეთ. სწორედ ამ გზაზე მოგვიწია ტანსაცმლიანად მდინარეზე გადასვლამ, მაგრამ „წრუწუნა“ აქ არაფერ შუაშია. კაცი იტყვის, რა მოხდა მერე, ადამიანს სოფელი და მისი მოსახლე ერთმანეთში აერიაო. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჟურნალისტის დაჟინებულ კვლევა-ძიებას ახალი აღმოჩენებისკენ მივყავართ. იგი ყოველგვარი ეჭვისა და ყოყმანის გარეშე წერს: „სხვათა შორის, მინდა აღვნიშნო, რომ ზემოთ ხსენებულ „წრუწუნას“ ოჯახში პრეზიდენტს ორი ჭიქა ღვინო დაულევია და მაშინვე დასძინებია.” ამ ფრაზებს არა მგონია დიდი განმარტება სჭირდებოდეს. მარტივი ლოგიკით, ამ ოჯახში პრეზიდენტი მოწამლეს.

ჟურნალისტის სამზერიდან, ჩვენ რანაირები ვჩანვართ და ვინცა ვართ გასაგებია, მაგრამ ოჯახის ღირსებაზე, ცოტა ხომ მაინც უნდა ეფიქრა ამ დალოცვილს.

ჩვენთან ერთად, ყველა ჩვენმა მასპინძლებმა, განსაკუთრებული, მძიმე დღეები გამოიარეს. მათი დევნა და შევიწროება გაგრძელდა გამსახურდიას დაღუპვის შემდეგაც. ერთგულებისა და მსხვერპლის საფასურად უკეთეს შეფასებას მართლა ვერ მოიფიქრებდა კაცი. ღმერთო, დაილოცოს შენი სახელი! შენ რომ არ იყო, როგორ ეცხოვრება ადამიანს ამ ქვეყანაზე.

ერთობ საინტერესოა, ჟურნალისტური კვლევა-ძიების ფინალი. ირკვევა, რომ: „ბადრი ზარანდია, ისევე როგორც ზურაბ გუჩუა, გეგმაზომიერად და საკმაოდ ხშირად ახსენებდა პრეზიდენტს, რომ მისი ადგილ-სამყოფელი გაყიდული იყო, რომ მისი ცოცხლად ჩაგდება სურდათ ხელში...“ და, შემდეგ, თურმე მე და ბადრი — „ასეთი გაუგონარი ღალატის, დაქსაქსულობისა და ფსიქოლოგიური ტერორის პირობებში ამყოფებდნენ პრეზიდენტს, პრემიერს და დაცვის წევრებს“. მოყვანილი ციტატების მიხედვით, ვფიქრობ, მკითხველს არ გაუჭირდება იმაში გარკვევა, რომ ჟურნალისტს მთავარ დამნაშავედ ბადრი ზარანდია, მე, და საერთოდ წალენჯიხის ჯგუფი მიაჩნია. ამ უკანასკნელთა მთავარი ბრალდება ალბათ ის არის, რომ ჟურნალისტის აზრით მათ პრეზიდენტი მიატოვეს.

მინდა ჟურნალისტს მივმართო: მე, ადამიანი ვარ და ჩემი სისუსტეები გამაჩნია, მაგრამ შე დალოცვილო, რომელი შადიმან ბარათაშვილი მე მნახე, ასეთი ავკაცური მისია ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, რომ ამკიდე, როცა ასეთ როლს ცხოვრებაში კი არა, კინოში მოვერიდებოდი.

მართალი გითხრათ, ამის შემდეგ, *ჟურნალისტთან* დებატების გამართვის ინტერესი სულაც არა გამაჩნია. მჯერა, ამ წერილის შემოქმედ გონებას ერთდღიანი ბიოგრაფია არა აქვს და ერთბაშად მისი განათების ცდა, ჩემნაირი, უბრალო მოკვდავისათვის, ნამდვილად უნაყოფო სურვილია. მაგრამ საქმე განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე მოვლენას და მრავალი ადამიანის ღირსებას უკავშირდება. ამიტომ, იძულებული ვარ გარკვეული ახსნა-განმარტებები გავაგრძელო.

ბადრი ზარანდიასთან, ჩვენი შეხვედრა მოხდა თავად პრეზიდენტის ინიციატივით. ეს იყო სოფელ მუჟავაში, ჩემი მეგობრის, ვახტანგ არქანიას ოჯახში. მისი მეორე ძმა — ოთარი მეგზურობას გვიწევდა იმ მძიმე გზაზე, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. რაც შეეხება, ზარანდიასთან საუბარს, მას, არც მე და არც სხვა ვინმე, არ დასწრებია, ვინაიდან, პრეზიდენტმა, მასთან ცალკე ლაპარაკი მოისურვა. ფაქტი ისაა, რომ ამ საუბრის შედეგად, ბატონმა ზვიადმა, ჩვენს მიერ შეთავაზებული გადაადგილების გეგმა უარყო და გადაწყვიტა, ჯგუფთან ერთად, ზარანდიას ბანაკში გადასულიყო. სხვა მარშრუტით ჩვენი მგზავრობის შესაძლებლობა ჩაიშალა და სპეციალურად ამ მიზნით, ჩვენს წასაყვანად მოსული ჩემი ბიძაშვილები უკან ხელცარიელი დაბრუნდნენ. საღამო ხანს, ყველა ბადრის ბანაკში (ჩვინარეში სოფ.მუჟავას უბანია) გადავიდა. ერთი დღის შემდეგ, მეც წამიყვანეს და პრეზიდენტმა თავის გვერდით მიმიჩინა ლოგინი.

ახლა, რამდენად სწორი იყო ასეთი გადაწყვეტილების მიღება? მე, ეს, არც დღეს და არც მაშინ, გამართლებულად არ მიმაჩნდა. უბრალოდ, ბანაკში სამოც კაცთან ერთად ჩვე-

ნი ყოფნა, არც კონსპირაციისა და არც უსაფრთხოებისათვის მიზანშეწონილი არ იყო, მაგრამ პრეზიდენტის სურვილი ასეთი აღმოჩნდა. ხომ არ დაიჩემებდი, გინდა თუ არა ჩემი შეთავაზებული მარშრუტით იარეო. ნუ დაგავიწყდებათ, რომ დევნაში ვიყავით, მაგრამ პრეზიდენტი იქაც პრეზიდენტი იყო. ამასთან, ისიც ცხადია, რომ ჩვენ, საგანგებო სიტუაციაში ვიმყოფებოდით და ყოველგვარ ინიციატივებს განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვკიდებოდით. ამ რიგად, ასე, თუ ისე, ჩვენ შეუსაბამო გარემოში ავღმოვჩნდით, ამას დაემატა ზვიადის უნდობლობა ზარანდიასადმი, რის გამოც, აღნიშნული ბანაკი მალე დავტოვეთ და მთებს შევეხიზნეთ. აქ, მძიმე კლიმატურ პირობებში სულ სამიოდე დღე დავყავით, შემდეგ, ჩემი მეგობრის, ნუგზარ არქანიას და მისი ძმის დახმარებით, ბარში ჩამოვედით და აჩიკო და ზაურ ანთიების ოჯახში დავბანაკდით. საინტერესო ის იყო, რომ ბატონმა ზვიადმა, ზარანდიასთან კავშირის აღდგენა კვლავ მოისურვა. ამას, იგი საჭირო ინფორმაციის მიღების აუცილებლობით ხსნიდა. ჩემთვის ეს მაშინ გაუგებარი იყო, ამის თაობაზე მაშინ კიდევაც აღვნიშნე, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ **ბადრის ბანაკიდან ჩვენ მართლაც მივიღეთ ინფორმაცია მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ, რომელიც სწორი გამოდგა.**

მე, შევეცადე, მოკლედ, მაგრამ კეთილსინდისიერად აღმედგინა დევნილობის მძიმე დღეების ამ შემთხვევისათვის საჭირო დეტალები. რაც შეეხება ზარანდიასთან ჩემს „მზაკვრულ ალიანსს“, აღნიშნული მონათხრობიდან, თუ ასეთი დასკვნის გაკეთება შეიძლება, ეს მკითხველისათვის მიმინდია.

ახლა, *ჟურნალისტის* იმ ბრალდებაზე, რომლის თანახმადაც, ჯგუფის ადგილობრივმა წევრებმა პრეზიდენტი მიატოვეს. ფაქტიურად, იგი წალენჯიხელებს არსად არ მიუტოვებიათ. პირიქით, ისინი მთებში პრეზიდენტის სურვილით დარჩნენ. ერთი სიტყვა, რომ ეთქვა მათთვის ბატონ ზვიადს, ბუნებრივია, ისინი ჩვენთან ერთად წამოვიდოდნენ. ასეთი საქციელი, ერთი შეხედვით, შეიძლება გარეშე შემფასებლისათვის გაუგებარი ჩანდეს, მაგრამ კონსპირაციის პირობებში მას თავისი ახსნა ჰქონდა. კერძოდ, **მცირერიცხვოვანი ჯგუფი, დასამალად უფრო მობილური და მოხერხებულია,** თვრამეტი, ოც კაციანი შემადგენლობასთან შედარებით, რომ არაფერი ვთქვათ **ოჯახებში მათ შენახვაზე**[42]. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ამ მოტივაციით, ჯგუფიდან დაცვის ხელმძღვანელის, მარგველანის ჩამოშორება ალბათ, გაუმართლებელი იყო. მე, არც კი ვიცი, პრეზიდენტმა როგორ აუხსნა დაცვის უფროსს თავისი გადაწყვეტილებაზე, მაგრამ ვინაიდან, ამის თაობაზე დღეს რობინზონი უკმაყოფილებას გამოთქვამს, მაშინ, უკეთესი იქნებოდა, ადგილზე უფრო გარკვეულიყო სიტუაციაში. თუმცა, რა შედეგები მოჰყვებოდა ამას ნამდვილად ვერ ვიტყვი.

ანთიების ოჯახში, მეც იგივე მდგომარეობაში აღმოვჩნდი. იქ, ჩემი დატოვებაც გადაწყდა. ზემოთ მოყვანილი მოსაზრებებიდან გამომდინარე, მე ეს არ გამკვირვებია. მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ ჩემი რაიონის ტერიტორიაზე, მე ჯგუფის უბრალო წევრი არ ვიყავი. ფაქტიურად, ყველა გადაადგილება, ჩემი ნათესავებისა და მეგობრების მეშვეობით ხდებოდა. რობინზონ მარგველანმა, პრეზიდენტს უთხრა კიდევაც, რომ აღნიშნულის გამო, ჩემი დატოვება არ შეიძლებოდა. მაგრამ ბატონმა ზვიადმა ეს დასაშვებად ჩათვალა, ვინაიდან ისინი, ზუგდიდის ტერიტორიაზე გადადიოდნენ. ჩემთვის გასაგები შეიქმნა, რომ მე უკვე დავკარგე ჯგუფისათვის საჭირო ფუნქცია და ძალად თავს ვერავის შევაკედლებდი.

მკითხველს მინდა შევახსენო, ეს ის მომენტია, როცა ზარანდიას შუამავლებმა, პრეზიდენტს მეორე დღის, მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ აცნობეს (ამის შესახებ, მე, თავიდან არაფერი არ ვიცოდი, მხოლოდ შემდეგ მითხრეს დაცვის ბიჭებმა). ბუნებრივია, ასეთ დროს, მე ჩემი წალენჯიხელობა ვერაფერს ვერ მიშველიდა. ამიტომ, როცა შევიტყვე, მათი მარშრუტი სოფელ ფახულანზე გადიოდა, (სადაც ისინი, მდინარე ენგურზე უნდა გადასულიყვნენ,) პრეზიდენტს ვთხოვე, დავემგზავრებინე, რადგან ამ სოფელში ჩემი ბიძაშვილი ცხოვრობდა და დროებით, თავს იმასთან შევაფარებდი. იგი, ამაზე სიამოვნებით დამთანხმდა. კიდევ კარგი, რომ ასე მოხდა, თორემ, ენგურის სანაპიროზე, საშინელ თოვლიან ღამეს, მათ ღია ცის ქვეშ მოუწევდათ ყოფნა.

საქმე ისაა, რომ წასაყვანად შეპირებული კაცი, დათქმულ ადგილას არ მოვიდა. რომ არა, ჩემი ბიძაშვილი, რომელიც ფახულანში, დაცვის ბიჭების თხოვნით, მათ გავაყოლე, მე ამ პრობლემას ვერც გავიგებდი.

---

[42] აქ ზ.გუჩუა თავად აღნიშნავს პარტიზანული რაზმის, თუნდაც მხირეს მატერიალური უზრუნველყოფის სირთულეებს.

როდესაც ბიძაშვილმა საკმაოზე მეტად დაიგვიანა, იძულებული გავხდი მათ კვალს გავყოლოდი. გაწბილებულები და გაცივებულები უკან წამოვიყვანე. იმ ღამეს, ბიძაშვილთან დავრჩით. შემდეგ კი, ისევ ჩემი ნათესავებისა და მეგობრების შემწეობით ჩვიდმეტი ოჯახი გამოვიარეთ. ახლა, სათქმელად ეს ძალიან ადვილია, მაგრამ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, ეს იყო ნამდვილი ჯოჯოხეთის გზა. რომლის წარმოდგენაც კი არ შეუძლია ჩვენს გამჩინებელ *ჟურნალისტს* და ზოგიერთ უგულო კრიტიკოსს. შესაძლებელი რომ იყოს, ასეთი ხალხის მონაწილეობით, მსგავსი, თუნდაც, მიახლოებული მარშრუტის გამეორება, მაშინ ნახავდნენ ისინი, თუ რა ხასიათზეც დადგებოდნენ.

ერთი რამ ცხადია, ამ საქვეყნო მნიშვნელობის ტრაგედიას იმდენი უგულო შემფასებელი ყავს, მათგან ყველაფერს უნდა ელოდე. ჩემთვის გულსატკენი უფრო ის არის, როცა, ზოგიერთი, ჩვენი, გაჭირვებაში ნამყოფი მეგობარი, ხანდახან პროვოკაციის გავლენის ქვეშ რომ მოყვება ხოლმე.

ვიღაცებს ძალიან უნდათ მღვრიე წყალში თევზის დაჭერა. მტრისა და მოყვრის ერთმანეთში არევა. ეძიონ დამნაშავე იქ, სადაც ფაქტიურად, ის არ არის. დიდი ინტერესით იკვლევენ ყველა ჩვენთაგანის სიტყვებსა თუ გამონათქვამებს, რათა წარმოაჩინონ მათ შორის წინააღმდეგობები და შეუსაბამობანი. დამერწმუნეთ, როცა ბრალდებული, მაძიებლის ინტერესებში წინასწარ განსაზღვრულია, ამ მიმართულებით სურვილის დაკმაყოფილება დიდ სიძნელეს ნამდვილად არ წარმოადგენს. მით უფრო, როცა საკითხი ეხება მძიმე ემოციებისა და სტრესის ქვეშ მყოფ ადამიანთა გამონათქვამებს.

მაგალითად მოვიყვან, ადგილებს, სპეციალურად გადაღებული, სატელევიზიო დოკუმენტალური კინოფილმიდან, სადაც ბატონი ბესო გუგუშვილი, დევნილობაში, კვების პრობლემებზე ლაპარაკობს. შემდეგ, ამას იმეორებს მარგველანი. მე კი, საწინააღმდეგოს ვამტკიცებ. ერთი შეხედვით, გარკვეული შეუსაბამობა, აქ, მართლაც სახეზეა, მაგრამ ჩავიხედოთ ცოტა სიღრმეში. გუგუშვილი არის ადამიანი, რომელმაც თავისთავზე გამოსცადა უმძიმესი დღეები. თოვლში, ქარში, წვიმაში, ყოველ წუთს თავდასხმის მოლოდინში, მთელი ორი თვის განმავლობაში, მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. სხვათაშორის, უკუნ ღამეებში, როდესაც მთებში, ქარაფებზე ხელიხელ ჩაკიდებულნი გადავდიოდით, იგი რამოდენიმეჯერ გადავარდა და სიკვდილს ძლივს გადაურჩა. და ბოლოს, მის გვერდით მწოლი, პრეზიდენტის ტრაგიკული აღსასრულის საშინელი ღამე. რაც მთავარია, შემდეგ, არავის არ სურს, მას სიმართლე დაუჯეროს და საზიზღარ ცილს წამებენ. ახლა, მე, ვსვამ კითხვას: განა შეეძლო ასეთი განწყობის ქვეშ მყოფ კაცს, რეალურად ეფიქრა კვების რაციონზე და საკვებ პროდუქტებზე? თუ, ამ კონტექსტში ჩავსვამთ სიტყვებს: „გვშიოდა და და გვწყუროდა“, მაშინ ალბათ ყველაფერი გასაგები ხდება.

რაც შეეხება ჩემს გამონათქვამს, მე, იძულებული შევიქმენი უფრო კორექტული ვყოფილიყავი, ვინაიდან, აღნიშნულმა განცხადებებმა, იმ ადამიანთა უარყოფითი რეაქცია გამოიწვია, რომლებიც დევნილობის დროს ამ მხრივ ჩვენს უზრუნველყოფაზე ზრუნავდნენ. ეს არ ნიშნავს, რეალობის შელამაზებას ვინმეს მაამებლობის მიზნით, მგრამ ფაქტია, კეთილმოსურნე მოსახლეობის წყალობით, ჩვენ თუნდაც ტყეშიც, შიმშილობის პრობლემა არ გვქონია. ამ საკითხის უფრო დაკონკრეტება, ამ ჯერად, საჭიროდ არ მიმაჩნია. ხოლო, ოჯახებში, ჩვენდამი ზრუნვა, თუ რომელიმე ჩვენთაგანს შეუძლია უკმაყოფილებით გაიხსენოს, მაშინ, მთელი ქვეყნის წინაშე, მე თვითონ მოვიხდი ბოდიშს.

ზოგიერთებს, არ სურთ დაიჯერონ ბატონი გუგუშვილის ნათქვამი, დევნილობის ბოლო პერიოდში პრეზიდენტის მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. მას, უპირისპირებენ ერთ-ერთი ჩვენი მასპინძლის მონათხრობს, რომლის თანახმად, ბატონი ზვიადი, ნორმალურად გამოიყურებოდა. ხალხო! არ არის ეს მართალი. სამწუხაროდ, პირველი დღეების შემდეგ, **<u>პრეზიდენტი ღრმა დეპრესიაში</u> იყო და ფიზიკურადაც მის მდგომარეობას არა ნაირად არ შეიძლება ნორმალური რქმეოდა.** თუ, ნდობა არ არის, მაშინ რას გააწყობს კაცი, მაგრამ სხვა შემთხვევაში, სიმართლის მოსურნეს, ამ საქმეში, ჩვენზე უკეთესი წყარო არ ეყოლება.

უმართებულოა ეჭვი, იმის გამო, თითქოს პრეზიდენტის დაცვა თავის ფუნქციას არ ასრულებდა. როცა, ტყეში ვიყავით, ისინი დღე-ღამის განმავლობაში მორიგეობდნენ, მაგრამ ოჯახებში ყოფნისას, ბუნებრივია, მათ არ შეეძლოთ ავტომატებით გარეთ დგომა.

ახლა, რა შეიძლება ითქვას ტრაგედიის ბოლო დღეების შესახებ. ამ პერიოდისათვის ჩვენ ვიმყოფებოდით ჩემი მეგობრის, ანზორ მებონიას ოჯახში. აქ, თითქმის ათი დღე დავყავით. ბოლოს მასპინძელმა გვითხრა, „ვფიქრობ, თქვენი აქ ყოფნის შესახებ ინფორმაციამ გაჟონა“–ო და სხვაგან გადასვლა შემოგთავაზა.

თუ, გავითვალისწინებთ რეალურ ვითარებას, მასპინძლის სიფრთხილე სრულიადაც არ იყო უსაფუძვლო. თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, ის ადგილები სადაც ჩვენ დავდიოდით, სავსე იყო მოწინააღმდეგეთა სამხედროებით. ფაქტიურად, ისინი ამ რეგიონის ყოველ კუთხე–კუნჭულს აკონტროლებდნენ. **ამას დაუმატეთ, ლტოლვილთა სიმრავლე, რომელთაგან ბევრს გულზე არ ვეხატებოდით.** გავითვალისწინოთ, ისიც, რომ გამოვლილი გვქონდა ბადრი ზარანდიას ბანაკი, სადაც ნებით, თუ უნებლიედ, ჩვენი იქ ყოფნის გამჟღავნების შესაძლებლობა ნამდვილად არსებობდა. ასე, რომ, ეს საშიშროება ჩვენ რეალურად თან დაგვყვებოდა, მაგრამ ყველა ჩვენი მასპინძლებისა და მეკავშირეების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ, არცერთი ჩავარდნა არ გვქონია.

იქნებ, გულუბრყვილობაში ჩამომართვან, მაგრამ მე, პირადად, მაშინ, არც ჯგუფის წევრებისა და არც იმ ადამიანებისადმი, რომელთანაც ურთიერთობა მიწევდა, ერთი წუთით ეჭვი არ შემპარვია. მართალი გითხრათ, მერე უფრო შემეშინდა, როცა გარედან შევხედე სიტუაციას და უამრავ უსულგულობას წავაწყდი. ადრე, ამის შესაძლებლობა არ გამაჩნდა. ეს, კიდევ უფრო ადასტურებს პრეზიდენტისადმი მისი გარემოცვისა და მოსახლეობის ერთგულებას, რაც ასე ჯიუტად არ სურთ დაიჯერონ ზოგიერთებმა. სხვათა, შორის, შევარდნაძის უშიშროების ყოფილ მინისტრს, ბატონ იოსელიანს, ეყო სამართლიანობის გრძნობა, ტელევიზიის მეშვეობით საქვეყნოდ გამოეცხადებინა, რომ მისი სამსახური ინფორმაციას დევნილი პრეზიდენტის შესახებ, უშუალოდ მისი გარემოცვიდან არ ღებულობდა. რაც შეეხება ასეთი ინტერესების დაკმაყოფილების გარე შესაძლებლობებს, ამას, ისინი, ნამდვილად იყენებდნენ და ამის თაობაზე, ზემოთ მეც მოგახსენეთ. ახლა, ერთი წუთით, წარმოიდგინეთ, ბატონ იოსელიანს ეთქვა საწინააღმდეგო რამ. მიდი და ამტკიცე მერე შენი სიმართლე. ჯიუტი დაყრუებისა და დაბნელების ვითარებაში, ეს ხომ ნამდვილი წყლის ნაყვაა. საოცარია, ცხოვრება მერამდენედ გვიმტკიცებს, რომ ზოგჯერ, **უტვინო მოყვარეს, ჭკვიანი მტერი ჯობია.**

გავაგრძელებ ტრაგედიის დღეებზე. მასპინძელმა, ანზორ მებონიამ, ჩვენს ახალ თავშესაფარზე ზრუნვა დაიწყო. მასთან ყოფნის, მეათე დღეს, მოიყვანა ჯიხასკარელი –– ვახო ზარანდია, რომელიც გვპირდებოდა სანდო ოჯახს, მოხერხებულ ადგილას. სხვათაშორის, ეს ის პიროვნებაა, რომელსაც ჩვენი ჯგუფი, ადრე, ენგურს გამოღმა, ზუგდიდის ტერიტორიაზე უნდა გადმოეყვანა. მაშინ, ეს, როგორც ის ამბობდა, ვერ მოხერხდა. ახლა, კვლავ აიღო თავისთავზე ჩვენი მფარველობა.

ამჯერად, შვიდნი ვიყავით. **როგორც წესი, ახალ მასპინძელსაც ერჩია <u>ნაკლები რაოდენობის ხალხი</u> ყოლოდა**[43]. გამოითქვა სურვილი, ადგილზე, ბატონ ბესოს დატოვებაზე[44]. მე, ეს, არასწორად მივიჩნიე. ამიტომ, მეგობრის სახლში თვითონ დავრჩი. ისინი წავიდნენ. მეორე დღეს, მასპინძელთან და უკვე პრეზიდენტის ჯგუფის ახალ მეურვესთან, ვახო ზარანდიასთან და ერთ–ერთ ჩვენს გვარდიელთან, გოჩა ოთხოზორიასთან ერთად, სოფელ ნარაზენში, ჩემი ბიძაშვილის ოჯახში წავედი, სადაც იმ დროს, აგრეთვე ჩემი ცოლ–შვილიც იმყოფებოდა. აქვე, მინდა აღვნიშნო, მებონიასთან ყოფნისას, ვახო ზარანდიამ გვაცნობა, რომ გურამ აბსანძის ხალხი გვეძებდა. ეს გარკვეული იმედის მომცემი ინფორმაცია იყო. მათთან შეხვედრას შეიძლებოდა, <u>საქართველოდან პრეზიდენტის გაუსვლელობის გადაწყვეტილებაში</u> რაიმე ცვლილებებიც შეეტანა, ყოველ შემთხვევაში, მე დაცვის ბიჭებს ვთხოვე, თუ ასეთი რამ მოხდებოდა, მათ არ დავეტოვებინეთ და ბათუმელი ნაცნობების მისამართი გამოვართვი, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში საქართველოდან გამგზავრებაში დამეხმარებოდნენ. სამწუხაროდ, ჩვენი ვარაუდი ვერ გამართლდა. მოსკოვიდან ჩამოსულებმა დროულად ვერ გვიპოვეს.

ცნობისათვის, მათ შორის იყო ავთანდილ კინწურაშვილი, რომლის მიერ ჩვენდამი ბარათის გამოგზავნის შესახებ, ეჭვიანად ლაპარაკობს *ჟურნალისტი.* უპასუხოდ, რომ არ

---

43 კვლავ რაზმის შენახვის სირთულეზე...

44 იმის გამო, რომ წინა ღამით თიტკმლის სასტიკი შეტევა გადავიტანე და ძალზე დასუსტებული ვიყავი.

დაგვრჩეს ეს კითხვა, დავამატებ. იმ წერილში, ბიჭები იწერებოდნენ, თუ რა უნდა ექნათ. ადგილზე დარჩენილიყვნენ, თუ სადმე გადაადგილებულიყვნენ. საჭიროების შემთხვევაში, ისინი, ჩეჩნეთში ქალბატონ მანანასთან გამგზავრებას გვპირდებოდნენ, მაგრამ ამაზე, პრეზიდენტმა უარი განაცხადა. ამის შემდეგ, რა აზრი ჰქონდა, ტყეში მათ დარჩენას. ამიტომ, მე შეუთვალე, როგორც თვითონ ჩათვლიდნენ საჭიროდ ისე მოქცეულიყვნენ.

ავთანდილი, მოსკოვიდან კვლავ ჩვენს საძებნელად ჩამოვიდა. სამშვიდობოზე გასულმა კაცმა, თავი ისევ ხიფათში ჩაიგდო. არ ვიცი, *ჟურნალისტის* ეჭვები რამდენად გავაქარწყლე, მაგრამ ვფიქრობ, ზემოთ მოყვანილი მოქმედების გამო, ის, ქებას, თუ არა, უნდობლობას მაინც არ იმსახურებს.

ბარემ, აქვე ერთ მომენტსაც შევეხები. საქმე პრეზიდენტისადმი ინფორმაციის მიწოდებას უკავშირდება. ეს, წერილში, ჩვენი ბრალდების უმნიშვნელოვანესი პუნქტია. ეს, იყო ჩქვალერის მთებში. ბარიდან ინფორმაცია მოვიდა, რომ სოფლის გამგებელი, როინ ფიფია, ფაქტიური ხელისუფლების წარმომადგენლებს დაუბარებიათ. უთქვამთ: „გვაქვს ინფორმაცია, რომ სოფლის ტყეებში თავს აფარებს გამსახურდია და მისი გარემოცვა, თუ ეს გამართლდა, მათ დასაჭერად თქვენს ქალებს და ბავშვებს წინ გავიყოლიებთ და შედეგსაც მერე ნახავთ“-ო. როგორ ფიქრობთ, ეს ამბავი პრეზიდენტისათვის უნდა დაგვემალა? სხვათა შორის, მაშინ ამაზე, მას არავითარი რეაგირება არ მოუხდენია. რაც შეეხება, ამ ამბის მომტანებს და თვით პირველ წყაროს, როინ ფიფიას, ღვთის წყალობით ისინი დღესაც კარგად არიან. ვისაც სურვილი აქვს შეუძლია ჩვენი მონათხრობი მათთან დააზუსტოს.

28 დეკემბერს, მე უკვე სოფელ ნარაზენში ვარ. 29-ში, ჩემთან ისევ მოდის ყოფილი მასპინძელი, ანზორ მებონია და მაფრთხილებს, რომ ვახო ზარანდია და გოჩა ოთხოზორია, დაკავებულები არიან. ძალიან შევშინდი. ვიკითხე, თუ რა უნდა გვეღონა პრეზიდენტის უსაფრთხოებაზე. მან მიპასუხა, რომ იგი გადაყვანილი იყო სანდო ადგილას. მირჩია, თვითონ მომეძებნა სხვა თავშესაფარი.

თავიდან მახლობელ ტყეში მომიწია გასვლამ, მაგრამ იმავე საღამოს ბიძაშვილის წყალობით საიმედო ოჯახი მომიძებნეს და იქ გადავბარგდი. მეორე დღეს, ეს უკვე 30 დეკემბერია, ანზორი ისევ მეწვია და მითხრა, რომ პრეზიდენტი ცუდად გამხდარაო და შენს ნახვას ითხოვსო. ბუნებრივია, მე ძალიან შევწუხდი.

მაშინ, ბენზინის დიდი პრობლემა იყო, ჩვენ, არც ტრანსპორტი გაგვაჩნდა, მაგრამ ნათესავების მეშვეობით ყველაფერი მოგვარდა. დაახლოებით, ღამის 11-12 საათისათვის, ჩვენ: მე, ანზორი და ჩემი მეუღლე (ის ექიმია და საჭიროდ მივიჩნიე თან წამეყვანა), სოფელ ჭაქვინჯში, ანზორის ერთ-ერთ ნაცნობთან მივედით. ამ კაცს, პრეზიდენტთან ჩვენს მისაყვანად, შუამავლობა უნდა ეკისრა. ჩვენი მისვლისთანავე, იგი საქმის მოსაგვარებლად წავიდა. დაახლოებით, საათნახევარი, ორი საათი ველოდებოდით. ბოლოს მოვიდა და გვითხრა, რომ „ამაღამ ბატონ ზვიადთან შეხვედრა ვერ მოხერხდებაო“. მისი თქმით, ის პირი, რომელსაც პრეზიდენტთან უნდა მივეყვანეთ, ადგილზე არ აღმოჩნდა. არადა, ეს ყველაფერი ანზორის მხრიდან, წინასწარ იყო შეთანხმებული. მე, ცოტა არიყოს, წონასწორობა დავკარგე. ანზორსაც მწარე სიტყვები შევკადრე. სინამდვილეში, მას არავითარი ბრალი არ ჰქონდა. უბრალოდ, ჩვენ, ორივე მოტყუებულნი ავღმოჩნდით.

იმ ღამეს, ადგილზე, დეტალურად, რაიმეს გარკვევა, რა-თქმა-უნდა, არ შეგვეძლო. იქ დარჩენაც საშიში იყო, ამიტომ, დავბრუნდით უკან, საიდანაც წამოვედით. შემდეგ, მე შევიტყვე, რომ ჩვენი იმღამინდელი შეფერხების მიზეზი იყო უნდომლობა, რომელიც გარკვეულ პირებს, შუამავლისადმი გაუჩნდათ. მაგრამ, რატომ, მაინცდა მაინც, იმღამეს გაჩნდა ასეთი ეჭვი, ეს ალბათ, უფრო დამაჯერებლად გასარკვევი საკითხია.

...

31 დეკემბერს ანზორ მებონია კვლავ გამომეცხადა სოფელ ნარაზენში. ამჯერად, მან პრეზიდენტის დაღუპვა მაუწყა. მითხრა, რომ მას თავი მოუკლავსო. ჩემს განცდებზე ეხლა აქ ვერ ვილაპარაკებ. მომხდარზე არავისთან არაფერი არ გვითქვია. ჩავჯქი ანზორის მიერ მოყვანილ მანქანაში და წავედით სოფელ ჭაქვინჯში, ზაურ ჩუხუასთან. სოფელ ხიბულაში, ღურწკაიებთან, სადაც უბედურება მოხდა, პირდაპირ მისვლა არ შეიძლებოდა. ჩუხებთან დაღამებას დაველოდეთ[45]. დაახლოებით, 12 სათზე უკვე ღურწკაიებთან ვიყავით. საშინე-

[45] ფრიად არსებითი გარემოება და მისგან გამომდინარე აუცილებლობა.

ლი სურათი დაგვხვდა. ამის აღწერა, ჩემს შესაძლებლობებს აღემატება. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ პრეზიდენტის თანმხლები პირები გაოგნებულნი იყვნენ თავს დამტყდარი გასაჭირის გამო. ყოველივე ამას, ისიც დაემატა, რომ ჩვენ იმ ღამესვე უნდა დაგვეტოვებინა ადგილ-სამყოფელი, რადგანაც მასპინძელი მეორე დილით, ე.ი. ახალ წელს, თბილისიდან სტუმრებს ელოდა.

ღამის 3 საათზე, პრეზიდენტის ცხედრის, ღურწკაიების სახლიდან გასვენება მოვახერხეთ. გამთენიისას, ის, ჯონსონ კვარაცხელიას ოჯახში, სოფწლ ჯიხაშკარში დავასვენეთ. მეორე დღეს, იქვე მოხდა პრეზიდენტის ცხედრის პირველი დასაფლავება. ამის შემდეგ, მე და ანზორი ბენზინის მოსატანად წავედით. საღამოს, მან ჩემს ადგილ-სამყოფელში დამაბრუნა. შემპირდა, მაგრამ მეორე დღეს ვერ მოვიდა. მაშინ, მე და ჩემი ბიძაშვილი ჩიგო, ჯონსონის სახლში წავედით. იქ არავინ არ დაგვხდა. მეორე დღეს, კვლავ ავედით მალულად. ეზოში ჯონსონის ქალიშვილი შევნიშნე, მოუხმე და გუგუშვილისა და დაცვის ბიჭების ადგილ-სამყოფელზე შევეკითხე. მან მითხრა, რომ ისინი წასულები იყვნენ. მე ეს გამიკვირდა, რადგანაც შეპირებული ვიყავი, მათთვის ახალ ადგილას საიმედო თავშესაფარი მეშოვა. ორიოდე ოჯახი, უკვე გააფრთხილა, ამის თაობაზე, ჩემმა ბიძაშვილმა. ამის შემდეგ, ისინი, მე, ბევრი ვეძებე, მგრამ მათი ნახვა ვერ შევძელი. ათი-თუთხმეტი დღის შემდეგ, კი რუსეთში გადასვლა მოვახერხე.

ყოველივე ზემო თქმულის შემდეგ, მე, მიზანშეწონილად მიმაჩნია, მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით ჩემი სუბიექტური შეხედულებებიც გამოვთქვა. ბოლოსდა-ბოლოს, თითქმის ორი თვის განმავლობაში დევნილებთან ერთად ვიყავი. სხვას, მარჩიელობის დონეზე, თუ შეუძლია საუკუნო მსჯავრი გამოგვიტანოს, თავის მრთლების უფლება მაინც მეკუთვნის.

მაშ ასე, მე ვთვლი, რომ შესაძლებლობის ფარგლებში, ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ. რაც მთავარია, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ არც ჩვენს შორის და არც იმ ადამიანების სახით, რომლებთანაც დევნილობისას ურთიერთობამ მოგვიწია, მე მოღალატე არ მეგულება. თუ, გარედან ჩარევა არ ყოფილა, მაშინ ასეთი შემთხვევისაგან დაზღვეული არავინ არ არის. „თუ“ ამჯერად, ჩემს პოზიციას არ გამოხატავს, იგი ურწმუნოებისადმი კომპრომისია. მაგრამ როგორც ზემოთ ითქვა, ეს, ჩემი, პირადი შეხედულებაა. თუ, გვინდოდა ასეთი სუბიეტური მსჯელობებისაგან თავი დაგვეზღვია, ამისათვის არსებობდა, ყველაზე კარგი გამოსავალი – სამედიცინო ექსპერტიზა, რომელსაც თავის დროზე, <u>თავგამოდებით ითხოვდა გუგუშვილი და დაცვის ყველა წევრი</u>. მათი სურვილის გაზიარება უდავოდ, სასარგებლო იქნებოდა, არამარტო, ობიექტური ძიებისათვის, არამედ, ზნეობრივი თვალსაზრისითაც, იგი ყველავერს თავის ადგილს მიუჩენდა. სმწუხაროდ, თავიდან ეს არ გაკეთდა. ბოლოს კი, როგორც ამბობენ, შეუძლებელი აღმოჩნდა.

პროფესიონალ იურისტებს მიაჩნიათ, რომ ექსპერტიზის გარეშე, მომხდარი ტრაგედიის სერიოზული გამოძიება შეუძლებელია და ამ სახით, მსგავსი მცდელობა ვარაუდების დონეს ვერ გაცდება. საერთოდ, ამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ჭეშმარიტების დადგენის ყოველგვარი შანსი იწურება. სამაგიეროდ, გაჩნდა სენსაციების, ჭორის, სპეკულაციის, დიდი შესაძლებლობები, უგულობისა და უნიჭობის სანატრელი ასპარეზი. ზოგიერთმა გაზეთებმა წლების განმავლობაში ეს შესაძლებლობა, პოპულარობისა და შემოსავლის წყაროდ აქციეს. ამ განუკითხაობაში მთავარ სამიზნედ ჩვენ ვიქეცით. ვისაც როგორიც მოესურვება, ისეთ იარლიყებს გვაკერებს, მთავარია ჟურნალისტის რეიტინგი და „სამართლიანობის დადგენის უანგარო წყურვილი“.

საერთო დაბნეულობით კარგად სარგებლობენ სწორედ ის ძალები, რომლებიც ყველაზე მეტად არიან დამნაშავეები ამ ეროვნული მნიშვნელობის მქონე ტრაგედიაში. ისინი, გულმოდგინედ ცდილობენ, პრეზიდენტის დაღუპვასა და კანონიერი ხელისუფლების დამხობას შორის მყარი მიჯნა გაავლონ, სინამდვილეში, ყველა ნაორმალური ადამიანისათვის თვალსაჩინო უნდა იყოს, რომ მომხდარი უბედურება არის პუტჩის ლოგიკური დასასრული.

რა უნდოდა პრეზიდენტს ტყეში და გამოქვაბულებში? ვინ გვდევნიდა ჩვენ ფეხ-დაფეხ, ვინ აწიოკებდა მოსახლეობას ჩვენი თანადგომისა და შეფარების გამო? ნუთუ ამის შემდეგ ცინიზმი არ არის მკვლელები სადღაც ტყეში და სოფლებში ვეძიოთ? პირადად ჩემთვის, სულაც არა აქვს, გადამწყვეტი მნიშვნელობა, თუ ვინ გამოჰკრა სასხლეტს თითი,

ყველა მართებული ანგარიშით, მთავარი დამნაშავეები პუტჩისტები და მისი ხელისუფალნი არიან.

რაც შეეხება, დევნილობაში პრეზიდენტის უშუალო გარემოცვას, ჩვენი მთავარი დანაშაული ის არის, რომ ცოცხლები გადავრჩით. ყოველგვარი ეჭვის გარეშე შემიძლია ვამტკიცო, რომ თავდასხმის შემთხვევაში, ჩვენს უგულო ოპონენტებს, ამ მხრივ სალაპარაკოს ნამდვილად არ დაუტოვებდით. ამის თქმის უფლებას მაძლევს ის ერთგულება, რომელსაც მე ყოველდღიურად ვხედავდი დაცვის ბიჭების ქცევასა და მოქმედებაში.

ადრე მითქვია და დღესაც ვიმეორებ – კითხვას: რა აუცილებელი, ერისათვის სამომავლო ინტერესები დევს იმ სულისკვეთებაში, რომ კიდევ ერთი, მოგონილი, ვერაგული ღალატის ეპიზოდით შევავსოთ ორგულობითა და გაუტანლობით ისედაც დამძიმებული ჩვენი ხალხის ისტორია? თუ პირველ პრეზიდენტს სჭირდება ამნაირი მსხვერპლ-შეწირვა (რაც არანაირად არ ჯდება მის სულიერებაში), მაშინ ვიტყვით; გაუთავებელ უმსგავსობას, ნებისმიერი დასასრული ჯობია. მორჩილად დაველოდებით „წმინდანთაგან“ პირველი ქვის გამოსროლას. მაშ, მიდით, ძვირფასო ჟურნალისტებო, აღასრულეთ თქვენი მისია და აზეიმეთ სამართალი.

დასასრულ, კიდევ ერთს დაუმატებდი. ყველანაირად ჩანს, რომ ჟურნალისტური გამოძიების მიხედვით, *ჟურნალისტი,* თავს გამსახურდიას გულშემატკივრად მიიჩნევს, შევარდნაძეს კი, მწყრალად ეკიდება. მაპატიეთ, მაგრამ მედალს, მეორე მხარე, ყოველთვის თან დასდევს. სინამდვილეში, საზოგადოებაში დაპირისპირებულთა ბრძოლის კანონზომიერება, არა მხოლოდ ურთიერთ გამორიცხვის, არამედ ზოგჯერ ერთმანეთში გადასვლის პროცესსაც გულისხმობს. ამ აზრით, ჟურნალისტის პიროვნული მონაცემები, იმ მენტალიტეტთან წილნაყარია, რომელიც ნოყიერი ნიადაგი აღმოჩნდა საქართველოში შევარდნაძის დაბრუნებისა და კომუნისტური იდეოლოგიის ხელახალი რეანიმაციისათვის.

26.04.2007, გერმანია

15. მ.კიკნაძე: პრეზიდენტ გამსახურდიას გადასვენება გროზნოში[46]

გაზ. „24 საათი“. - 2006. - 5 აგვისტო. - N175 (1327). - გვ.8.9

1994 წლის 5 იანვარს დილის 4 საათზე გროზნოში, "ნეფტიანკაზე", ნაქირავებ ბინაში, სადაც ცოლთან და მცირეწლოვან ვაჟთან ერთად ვცხოვრობდი, ტელეფონის ზარმა გამაღვიძა. ბესარიონ გუგუშვილის ცოლმა, ლია ერგემლიძემ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ამბავი შეგვატყობინა. რამდენიმე წუთში სოსო თორია მოვიდა და ერთად სასტუმრო "კავკაზში“ წავედით, სადაც სამეგრელოდან ამ ამბის ჩამომტანი ზვიადის ორი მცველი - ბაჩუკი გვანცელაძე და ზაზა ბურჯანაძე იმყოფებოდნენ. ბესო გუგუშვილი ორ სხვა მცველთან - რობინზონ მარგველანთან და გოჩა კეკენაძესთან ერთად სამეგრელოში დარჩა. იქაური ამბების აღწერას აქ არ მოვცვები - ეს ყველაფერი დეტალურად აქვს მოთხრობილი თავად ბესარიონ გუგუშვილს და სხვა თვითმხილველებსაც. ერთს კი ვიტყვი: არავითარი საფუძველი ამ ხალხის პატიოსნებასა და ერთგულებაში ეჭვის შეტანისა არასოდეს გამჩენია. სამწუხაროა, რომ გარკვეულ მიზეზთა გამო ეს აუტანელი ტვირთი ძირითადად ამ ადამიანებს დააწვა.

ასე დასრულდა სრული გაურკვევლობა, რომელმაც 1993 წლის 5 ნოემბრიდან - ზუგდიდში ადმირალ ბალტინის "ძლევამოსილი მარშის“ შემდეგ დაისადგურა. ამ ორი თვის განმავლობაში ზვიადის შესახებ გროზნოში არაფერი ვიცოდით, გარდა რამდენიმე მწირი ცნობისა. 16 თუ 17 დეკემბერს სამეგრელოდან გურამ აბსანძემ ჩამოაღწია - როგორც ყოველთვის, მხნე და ოპტიმისტურად განწყობილი ჩანდა. ეს იყო და ეს. მანამდე კი ჩვეულებრივად გაცხოველებული მიმოსვლა საქართველოდან შეწყდა, თუ არ ჩავთვლით ბესო გუგუშვილის სიყმაწვილის მეგობრის, აწ უკვე გარდაცვლილი არჩილ საჯაიას რეგულარულ ჩამოსვლებს. ამ კაცის მეგობრული ერთგულება და თავდადება საარაკოა. 1992 წლიდან

---

46 კოკოს კომისიამ არც ამ, ერთ-ერთ ყველაზე ინფორმირებულ მოწმეს მოუსმინა – მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ მ.კიკნაძე ვერაფრით განამტკიცებდა კომისიის აკვიატებულ მკვლელობის ვერსიას.

მოყოლებული, გროზნოში ოცჯერ თუ მეტად მოახერხა ჩამოსვლა და მთელს იქაურ ქართველობას, რითაც შეეძლო, გვამაგრებდა.

იმ დღესვე თბილისში ჩეჩნეთიდან სამთავრობო დელეგაცია გაფრინდა. ასეთი ოპერატიულობა გარდა ჭირისუფლობის ბუნებრივი გრძნობისა, იმითაც იყო გამოწვეული, რომ პრეზიდენტის გარდაცვალების შესახებ ცნობის გავრცელებისთანავე ჯ.იოსელიანმა განაცხადა: **„გამსახურდია ჩეჩნებმა თავად მოკლეს გროზნოში და გვამი საქართველოში ჩამოიტანესო“**[47]. ამ დელეგაციამ შევარდნაძეს ჯოხარ დუდაევის სურვილი გადასცა – საქართველოს პირველი პრეზიდენტის თბილისში შესაფერისი პატივით დაკრძალვის შესახებ და იმ დღესვე დაბრუნდა (თუ მეორე დღეს, ზუსტად არ მახსოვს).

ჩეჩნებს თბილისიდან ქართული დელეგაცია ჩამოჰყვა. მათთან სამუშაო შეხვედრაზე მეც დამიძახეს. შეხვედრას ვიცე-პრეზიდენტი ზელიმხან იანდარბიევი და ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ესწრებოდნენ. უკვე ამ დროისათვის, მიუხედავად უმძიმესი სულიერი მდგომარეობისა, პრეზიდენტ გამსახურდიას ქვრივმა ქ-ნმა მანანამ სავსებით ნათლად ჩამოაყალიბა ზვიად გამსახურდიას ნეშტის გროზნოში გადმოსვენების სურვილი. ამის გამო მეც მკითხა რჩევა და დავეთანხმე, თუმც ისიც ვუთხარი: – ამით ოჯახი გროზნოს მიეჯაჭვება, რისთვისაც ძალიან მეცოდებით–მეთქი. ცხადი იყო, რომ ჩეჩნეთში ომის ზღვარზე ბალანსირების მდგომარეობა დიდხანს აღარ გასტანდა. ამ გადაწყვეტილებით მივედი ზემოხსენებულ შეხვედრაზე, როგორც პრეზიდენტის ოჯახის წარმომადგენელი, და არა დევნილი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე.

შეხვედრაზე მისულმა აღმოვაჩინე, რომ "ქართული დელეგაცია“ პროკურატურის, უშიშროებისა და შსს გამომძიებლებით დაკომპლექტებული ჩვეულებრივი საგამოძიებო ჯგუფია, რომელიც საგამოძიებო ქმედებათა ჩასატარებლადაა ჩამოსული. "უბრალო საქმე ხომ არაა, ის კაცი საქართველოს პრეზიდენტი იყო... **მოწმეები უნდა დაკკითხოთ...**" – **განაცხადეს**[48]. მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. "თოფს რომ ესროდით, მაშინ არ იყო პრეზიდენტი?" – ვკითხე. ამან გარკვეულწილად ჩეჩნების შეშფოთებაც გამოიწვია – განსაკუთრებით შს მინისტრის. საუბარი ჩემი მოთხოვნით რუსულად მიდიოდა. "ამ ხალხმა (ჩეჩნებს ვგულისხმობდი) შუამავლობის უკიდურესად საპასუხისმგებლო ტვირთი იკისრა და აქ მათთვის გაუგებარი არც ერთი სიტყვა არ უნდა ითქვას“ – მეთქი. ჩეჩნებს პრეზიდენტის ოჯახის გადაწყვეტილება ვაცნობე, ცხადი იყო, რომ "დელეგაციას“ არანაირი ასეთი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება არ გააჩნდა, ამიტომ ვურჩიე, რომ ეს "უფროსებისათვის“ გადაეცათ. ვეცადე ისიც ამეხსნა, რომ ეს გადაწყვეტილება შევარდნაძის რეჟიმისათვისაც მაქსიმალურად ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო, რადგან თავიდან აარიდებდა სავარაუდო მასობრივ გამოსვლებსა და არეულობას. ამის შემდეგ შეხვედრა დავტოვე და თათბირი უჩემოდ გაგრძელდა.

იმავე საღამოს "კოშკში“ პრეზიდენტის გვარდიის მეთაური, აბუ არსანუკაევი მოვიდა – "ბაჩუკის ჯოჰარი იბარებსო“. "ბაჩუკიმ მხოლოდ დაკრძალვის ადგილი იცის, რაც შეეხება ოჯახის აზრს, ჯოჰარს მე უკეთ გადავცემ“–მეთქი. ამას მცირე შელაპარაკებაც მოჰყვა, მაგრამ საბოლოოდ ჯოჰართან მე და აბუ წავედით. იქ უკვე დაგვხვდნენ თვით ჯოჰარ დუდაევი, ზელიმხან იანდარბიევი, ჩეჩნეთის პარლამენტის წევრი, ქისტი მათე ციხესაშვილი და რამდენიმე ადამიანი, ვისი ვინაობაც აღარ მახსოვს. ჯოჰარს პრეზიდენტის ოჯახის თხოვნა გადავეცი ზვიადის ნეშტის გროზნოში გადმოსვენების შესახებ – რა თქმა უნდა, თუ ეს შესაძლებლად ჩაითვლებოდა. ისიც ვუთხარი, რომ **თბილისიდან ჩამოსული ხალხი დელეგაცია კი არა, საგამოძიებო ჯგუფია, რომელიც ზვიადის ერთგულ თანამებრძოლებს – სულ ცოტა – დაკითხვას უპირებს**[49]. ჯოჰარმა წუთიერი ფიქრის შემდეგ თქვა: "ჩვენთვის ოჯახის სურვილი – კანონია“ და ამ საკითხზე დისკუსია ჩანასახშივე შეწყვიტა. შემდეგ იან-

---

[47] კიდევ ერთი დადასტურება, რომ **პუტჩისტების რეჟიმი ფრიად დაინტერესებული იყო სწორედ რომ მკვლელობის ვერსიით!**

[48] ეს კიდევ ერთი მოწმობა იმისა, რომ **გამოძიება ზოგადად და მოწმეებს დაკითხვა კერძოდ არ უნდა მომხდარიყო** გაფორმებული შეთანხმების იმ პირობებიდან გამომდინარე, რომელიც ზ.გამსახურდიას ქვრივმა წამოაყენა 13 იანვარს და რომელიც დაედო საფუძვლად ჩეჩნეთის მთავრობასა და საქართველოს რეჟიმს შორის მოლაპარაკებას.

[49] კიდევ ერთი, ზემოთქმულის დამადასტურებელი ინფორმაცია.

დარბიევს მიუბრუნდა და სთხოვა, ყველაფერი გადაედო და ამ საქმისათვის მიეხედა, რასაც ზელიმხანი უსიტყვოდ დაეთანხმა.

მეორე დღიდან დაიწყო სატელეფონო მოლაპარაკების 40-დღიანი უაზრო მარათონი, რომელსაც ზელიმხანი **მათე ციხესაშვილის**[50] დახმარებით აწარმოებდა. ოჯახის მოთხოვნები ხუთ პუნქტად ჩამოვაყალიბეთ: იქმნება შერეული საერთაშორისო კომისია; ადგილზე ხდება მხოლოდ ამოცნობა; **არ ტარდება სამედიცინო ექსპერტიზა (ქ-ნ მანანას განსაკუთრებული მოთხოვნა)**; ნეშტი დაუყოვნებლივ უნდა იქნას გადასვენებული ჩეჩნეთში; ამ საქმეში ჩართულ ყველა ადამიანს ეძლევა პირადი უსაფრთხოებისა და ხელშეუხებლობის გარანტიები.

"ოფიციალური თბილისის" მხრიდან ამ მოლაპარაკებაში თავიდან უშიშროების მინისტრის მოადგილე ა.იოსელიანი მონაწილეობდა, მოგვიანებით "სამთავრობო კომისია" შეიქმნა და სათავეში ავთანდილ მარგიანი ჩაუყენეს - როგორც ჩანს, ამ საქმისათვის შესაფერისი გონებაგახსნილობის გამო. მოლაპარაკებებში საკმაოდ აქტიურად მონაწილეობდა გურამ შარაძეც, რომელიც თავს ორივე მხარეს შინაურად თვლიდა.

მოთხოვნების თითოეული მუხლი გაუთავებელი და მომქანცველი კამათის საგნად იქცა. ცხადი იყო, რომ თბილისიდან უბრალოდ დროს ჭიმავდნენ - სავარაუდოდ, პრეზიდენტის საფლავის მიგნების იმედით. ნერვები ისე გადაიძაბა, რომ დაცვის ბიჭები ჩეჩნებთან ერთად პრეზიდენტის ნეშტის ფარულ გადმოსვენებაზეც კი ალაპარაკდნენ. ზელიმხან იანდარბიევმა გასაოცარი მოთმინება და პრინციპულობა გამოიჩინა და ჯიუტად, მეთოდურად იცავდა მოთხოვნების თითოეულ მუხლს. მოლაპარაკების მიმდინარეობის შესახებ ლამის ყოველდღიურად ანგარიშს აბარებდა ჯოჰარ დუდაევს.

თუ სწორად მახსოვს, იანვრის ბოლოს საქართველოდან გროზნოში მეორე, "საზოგადოებრიობის წარმომადგენელთაგან" შედგენილი დელეგაცია ჩამოფრინდა - ამჯერად ბევრად უფრო ხალხმრავალი და შეუდარებლად უფრო ეკლექტური, რადგან სანახევროდ "ზვიადისტებისაგან", სანახევროდ კი "სამოქალაქოში გამოწყობილი ბიჭებისაგან" შედგებოდა. ერთ-ერთი ამათგანი, რომელიც წინა დელეგაციის შემადგენლობაშიც იმყოფებოდა, დუდაევთან გამართულ მიღებაზე სატაბელო იარაღით შესვლას ცდილობდა... დელეგაციას გურამ შარაძე ხელმძღვანელობდა.

ამ მისვლა-მოსვლისა და ყოველდღიური სატელეფონო საუბრების მიუხედავად, საქმე ადგილიდან არ დაძრულა. თბილისში ელცინის ჩამოსვლა იყო დაგეგმილი თებერვლის პირველ რიცხვებში და როგორც ჩანს, ამ საქმეში "დიდი ძმის" სანქციას ელოდებოდნენ.

ჩეჩნური მხარე ბევრს ეცადა, რომ საერთაშორისო დამკვირვებლები მოეზიდა, მაგრამ ამ მოწოდებას მეზობელი ინგუშებისა და ლიტველების გარდა არავინ გამოეხმაურა. ლიტვიდან საგანგებოდ ოთხკაციანი ჯგუფი ჩამოვიდა, მათ შორის - ორი ლიტვის სეიმის წევრი და ერთი დამოუკიდებლობის აქტის ხელმომწერი, მაგრამ ერთკვირიანი ლოდინის შემდეგ უკანვე გაბრუნდა. "როგორც კი გადაწყდება გადმოსვენება, მაშინვე დავბრუნდებითო," - დაგვპირდნენ.

ამასობაში თბილისში ჩამოსულ ელცინს თეთრი ჩოხით და ქამარ-ხანჯლით მოკაზმულმა ჯაბა იოსელიანმა წარმატებით უმასპინძლა და საქმე მკვდარი წერტილიდან დაიძრა. **დიდი ყოყმანის შემდეგ, თებერვლის შუა რიცხვებში, ოჯახის ხუთივე მოთხოვნას დათანხმდნენ.** ამ დროისათვის გროზნოში ჯერ პრეზიდენტის დაცვის დარჩენილმა ორმა წევრმა - რობინზონ მარგველანმა და გოჩა კეკენაძემ, მოგვიანებით კი - ბესარიონ გუგუშვილმაც ჩამოაღწიეს[51]. საგანგებო აღნიშვნის ღირსია ბესოს მეუღლის - ლია ერგემლიძის უმაგალითო თავშეკავება და მხნეობა, რომელიც მთელი ამ აუტანელი გაურკვევლობის პერიოდში გამოავლინა.

---

50 კოკოს კომისიას არც კი უცდია გამოეკითხა ისეთი მნიშვნელოვანი მოწმე როგორიცაა მ. ციხესაშვილი - რომელმაც ზ.გამსახურდია ინახულა აფხაზეთში და უშუალოდ, აქტიურად მონაწილეობდა ზ.გამსახურდიას გადასვენების კომისიაში და თვითმხილველია ცხედრის დათვალიერებისა.

51 დასტური იმისა, რომ ესენი ვერ მიიღებდნენ მონაწილეობას ოჯახის ფრიად პრობლემური მოთხოვნების ჩამოყალიბებაში, რომელთა აღსრულებაც 13 იანვარიდან მიმდინარეობდა. და კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ **სიკვდილის მოწმეების საქართველოდან დაუბრკოლებელი გამოსვლა თვით ოჯახის მოთხოვნა იყო** რომელსაც დაეთანხმა საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლება.

16 თებერვალს, დილით, ტუ-135 თვითმფრინავი გროზნოდან თბილისში გამოფრინდა. დელეგაციაში შედიოდნენ: ჩეჩნეთის ვიცე-პრეზიდენტი **ზელიმხან იანდარბიევი,** საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ჩეჩნეთის პარლამენტის წევრი **მათე ციხესაშვილი,** ინგუში დისიდენტი და ზვიადის მეგობარი **ისა კაძოევი,** ლიტველები: ჯოჰარის მეგობარი და თანამებრძოლი **ვიტაუტას ეიდუკაიტისი,** სეიმის წევრი **ალგირდას პატაცკასი**[52], აგრეთვე ზელიმხანის დაცვის რამდენიმე წევრი; ქართველებიდან - რობინზონ მარგველანი და მე.

მიღწეული შეთანხმების თანახმად, თბილისში პროცედურული დეტალების საბოლოო დაზუსტების შემდეგ თვითმფრინავი სენაკში უნდა გადაფრენილიყო. თბილისში დაფრენისთანავე დელეგაცია სრული შემადგენლობით მოსალაპარაკებლად გაემართა. მე და რობინზონს წინასწარ გადაწყვეტილი გვქონდა, რომ მოლაპარაკებაზე არაფერი გვესაქმება, თუ რაიმე აუცილებლობა არ მოითხოვს და რომ პროცედურაში საბოლოო სტადიაზე ჩავერთვებით. ასეც მოხდა და თვითმფრინავში მარტონი დავრჩით. დაშვებისთანავე თვითმფრინავში გურამ შარაძე ამოვიდა, რომელსაც ჩემს დანახვაზე ფერი ეცვალა: "შეუთანხმებლად რატომ ჩამოხვედით, ახლა აქ ავთანდილ იოსელიანი ამოვა, მე პასუხს თქვენს უსაფრთხოებაზე ვერ ვაგებო" - და მალევე უკან გაბრუნდა. იოსელიანმაც, რომელსაც მაშინ არ ვიცნობდი, არ დააყოვნა. "თბილად" მოგვესალმა და ხელიც გამოიშვირა. მე არ ჩამოვართვი. "ხელს რატომ არ მართმევ?"- იკითხა. "არ გიცნობ და იმიტომ"-მეთქი. "მალე გამიცნობ!" - თქვა და წავიდა. თვითმფრინავს ტრაპი მოხსნეს და დაცვა დაუყენეს.

გამოირკვა, რომ "დეტალების დაზუსტებამ" ახალი სიმწვავე და დამხვდურების მხრიდან ყოყლოჩინობის ხასიათი შეიძინა. განსაკუთრებულად თურმე ანზორ ბალუაშვილი ცხარობდა: "თვითმფრინავში კრიმინალები გყავთ და ახლავე მათი დაკავების განკარგულებას გავცემო." "თვითმფრინავი ჩეჩნეთის ტერიტორიაა და ამის გაკეთებას არ გირჩევთო," - აუღელვებლად უპასუხა ზელიმხანმა. საბოლოოდ ზელიმხანის წყნარმა შეუვალობამ გაჭრა. გადაწყდა, რომ მეორე დღეს დილით სენაკში გადავფრინდებით და ყველაფერი პრეზიდენტის ოჯახის მოთხოვნების თანახმად ჩაივლის. ბალუაშვილის ყელყელაობასთან დაკავშირებით შარაძეს დანარჩენებისათვის უთქვამს: "რა გჭირთ, საქმე რომ ისრაელის პრეზიდენტს ეხებოდეს, ქართველს ამდენს ალაპარაკებდნენო?"

მოლაპარაკებების შუალედში თვითმფრინავში მათე ციხესაშვილი, გივი ლომინაძე, მიქელაძე და ავთანდილ იოსელიანი ამობრუნდნენ. იოსელიანმა რობინზონ მარგველანი დაიმარტოხელა და ეუბნება: "დაკრძალვის ადგილი უნდა გაამხილო - სხვანაირად არაფერი გამოვა. ხვალ იქ ხომ უსაფრთხოება უნდა უზრუნველვყო." რობინზონი შეცბუნებული ჩანს... "მითხარი, ჯაღრაშია, არა?" რობინზონმა თავი დაუქნია. "ასეც ვიცოდი!" - კმაყოფილმა იოსელიანმა[53] ტაში შემოჰკრა.

მე ეს საუბარი ყურმოკვრით მესმოდა და ფერი მეცვალა. აკი მოვილაპარაკეთ, რომ დაკრძალვის ადგილს არ გავამხელთ, სანამ უშუალოდ იქ არ აღმოვჩნდებით! ზუსტი ადგილი მე არც ვიცოდი - რაში მჭირდებოდა? რობინზონისაკენ უკმაყოფილო მზერა გამეპარა. რობინზონს ჩაეღიმა და თვალი სხვებისათვის შეუმჩნევლად ჩამიკრა. ჩეკას "მზაკვრობას" სვანურმა "გულუბრყვილობამ" აჯობა...

მეორე დილას თბილისიდან სენაკში ერთი ვერტმფრენის თანხლებით გავფრინდით. ქართული მხარის თხოვნით, თვითმფრინავში დამატებით უშიშროების სპეცრაზმიც განთავსდა, რადგან ვერტმფრენში ვერ დაეტია. თვითმფრინავში საწვავის ჩამატება გახდა აუცილებელი, რაშიც "გულუხვმა მასპინძლებმა" ჩეჩნებს თანხა საერთაშორისო ნიხრის მიხედვით გამოართვეს. ამაზეა ნათქვამი: "ძმამ ძმას ანგარიში უყოო..." ერთმა ჩეჩენმა, რომელზეც სპეცრაზმმა სათანადო შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, მითხრა: "ასეთი ჯარით საქართველოს ძალიან გაუჭირდებაო." - ამათ ქართულ ჯართან არაფერი ესაქმებათ-მეთქი. სხვა რა მეთქმოდა...

ჩავფრინდით სენაკში. დელეგაციამ ვერტმფრენში გადაინაცვლა და რობინზონის მეგზურობით ჯიხაშკარისაკენ გაფრინდა, სადაც პრეზიდენტ გამსახურდიას ნეშტი დროებით

---

52 კოკოს კომისიას არც კი უცდია დაკავშირებოდა ამ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მფლობელ პირებსა და ზ.გამსახურდიას ცხედრის ამოსვენებისა და ამოცნობის თვითმხილველებს. ბოლოში იხ. ბ-ნ პატაცკასის მიმართვა საქართველოს ფაქტობრივ ხელისუფლებას (რუსულ ენაზე).

53 ეს ის იოსელიანია, რომელიც გამსახურდიას მთავარი მდევარი იყო და რომელმაც ვითომ ყველაფერი იცოდა...

ზარანდიების ოჯახში დაეკრძალათ. რობინზონმა ადგილი ჰაერიდანვე იპოვა. ყველაფერი საკმაოდ სწრაფად დამთავრდა. ზელიმხან იანდარბიევმა მარგიანს ხელშეუხებლობის პირობა შეახსენა. მარგიანმა თურმე იუკადრისა: "რა დევნა, როგორ გეკადრებათ, კვირიკეს ხატზე დავიფიცებ, რომ ამათ არავინ ხელს არ ახლებს. პირიქით, მადლობა უნდა გადავუხადოთ ამ ოჯახს, რადგან პრეზიდენტს საკადრისი პატივი მიაგესო." (გროზნოში დაბრუნების შემდეგ შევიტყეთ, რომ ოჯახის ოთხმოც წელს გადაცილებული უფროსი სენაკის პოლიციაში წაიყვანეს და სასტიკად გაუსწორდნენ. მცირეოდენი დროის შემდეგ ეს კაცი გარდაიცვალა. იანდარბიევმა ჩემი თანდასწრებით ტელეფონით უთხრა მარგიანს: "ეს იყო თქვენი პირობაო?" რა პასუხი მიიღო, არ ვიცი).

პრეზიდენტის ნეშტი ვერტმფრენით სენაკის აეროდრომზე გადმოასვენეს, სადაც კვლავ წამოიწია ექსპერტიზის საკითხმა.[54] ზელიმხანმა და ლიტველებმა თავისი გაიტანეს და ყველაფერი ვიზუალური დათვალიერებით შემოიფარგლა, რომელშიც პათანატომი თამარ დეკანოსიძე და პროფესორი ვახტანგ ბოჭორიშვილი მონაწილეობდნენ. ვიტას ედუკაიტისი და ალგირდას პატაცკასი აბეზარი ფოტოკორესპონდენტების მოგერიებას უნდებოდნენ. დაახლოებით საათნახევრის შემდეგ ჩეჩნეთიდან წამოღებული ქართული დროშა კუბოს გადავაფარეთ, თვითმფრინავში დავასვენეთ და გროზნოსაკენ გავფრინდით.

17. ბ.გუგუშვილის შენიშვნები თვითმკვლელობის ზოგად კრიმინალისტიკურ-საექსპერტო ასპექტებთან დაკავშირებით

იმის და მიუხედავად, რომ კომისიის თავმჯდომარე მას მედიაში უძლიერესი პიარ-კამპანიისას გამუდმებით ტრაბახობდა, რომ კომისია „მეცნიერული“ მეთოდებით მუშაობდა და „მეცნიერულად დასაბუთებულ დასკვნებს“ ამზადებდა — კომისიის დასკვნის ერთი გადახედვაც კი საკმარისია იმაში დასარწმუნებლად, რომ კომისიას ცეცხლსასროლი იარაღით თვითმკვლელობებთან დაკავშირებული, კრიმინალისტური და სამედიცინო-საექსპერტო **არც ერთი მეცნიერული ნაშრომი** და **არავითარი კრიმინოლოგიური სტატისტიკა არ აქვს გამოყენებული და განხილული!**

ძალზე ნიშანდობლივია, რომ კომისიას არ აქვს მოძიებული და გამოყენებული არავითარი **პრეცედენტული ხასიათის კრიმინოლოგიური** და სხვა მსგავსი ყოვლად აუცილებელი მასალა — კომისიონერები ისე წარმოადგენენ საქმეს, რომ თითქოს ზ.გამსახურდიას სიკვდილის მსგავსი (განსაკუთრებით კი ცეცხლსასროლი იარაღით მსგავსი თვითმკვლელობა) არასოდეს მსოფლიოში არსად არ მომხდარიყოს და თითქოს ეს **უპრეცედენტო** შემთხვევა იყოს.

ამას გარდა, ნიშანდობლივია, რომ კომისიის დასკვნა ისე მიიღო და დაამტკიცა ფაქტობრივი ხელისუფლების პარლამენტმა, რომ **დასკვნა არ ყოფილა აპრობირებული და რეცენზირებული პროფესიული კრიმინალისტების რაიმე სერიოზული და ანგარიშგასაწევი გუნდის მიერ.**

ეს მით უფრო სამარცხვინო და სავალალოა რადგან მიუთითებს საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების პარლამენტის ინტელექტუალურ უძლურებასა, სუბიექტურობასა და უსამართლობაზე.

იმისათვის, რომ თუნდაც ცოტაოდენი სინათლე შევიტანოთ ამ სიბნელეში და მკითხველს მივუნიშნოთ იმ ზღვა მეცნიერულ და სტატისტიკურ მასალაზე რომელიც ყოვლად აუცილებელია ზ.გამსახურდიას სიკვდილის გარემოებების შესასწავლად — ჩვენ, კომისიის მიერ ყველაზე ჩაკირკიტებულ საკითხებთან დაკავშირებით ქვემოთ მცირე მიმოხილვითი ამონაკრები დავურთეთ – რაც პირველ რიგში და გაცილებით დიდი მასშტაბით უნდა გაეკეთებინა თითონ კომისიას და უნდა გააკეთოს საპროკურორო გამოძიებამ, რომელსაც პარლამენტის მიერ მიეცა განკარგულება განაახლოს გამოძიება ზ.გამსახურდიას სიკვდილის გარემოებების დასადგენად – ამჯერად უკვე მკვლელობის დადგენის ფაქტობრივი ბრძანებით.

---

54 ეს კამათი და პერიპეტიები დეტალურადაა დოკუმენტირებული ვიდეო მასალაზე, იხილეთ ვიდეო დოკუმენტები DVD დისკოზე.

ბ.გუგუშვილის მიერ ამოკრეფილი ფაქტები სამეცნიერო ლიტერატურიდან:

17.01. სახელმძღვანელო სასამართლო გადაუდებელი მედიცინისთვის: გზამკვლევი მედიკოსებისთვის

Manual of Forensic Emergency Medicine: A Guide for Clinicians
By Ralph Riviello.
Jones & Bartlett Learning, 2010, Medical, 303 pages. P.13.

> «The location of the gun at the time of death can also help a physician determine whether the death is a suicide. In the case of handgun use, the **gun is found in the hands of the deceased person 25% of the time**... In addition, the **gun is much more likely to be found in the victim's hand if the victim was sitting or lying down** at the time of the incident as opposed to standing up.
>
> Because most studies show that only **approximately 80% of suicide wounds are contact or near contact**, it is also possible to see intermediate distance wounds on the skin. With handguns, **intermediate pattern occurs starting at 10 mm** and continues to approximately 2 m depending on the type of powder in the gun. What characterizes intermediate shots is the presence of powder tattooing around the wound. Powder tattooing occurs when the powder grains that exit the gun produce punctuate abrasions on the skin. Unlike soot marks, these cannot be washed off. At a distance of up to 1 m, there can still be burning of the skin. As the distance from muzzle to skin increases, soot marks diminish and powder tattooing increases. The diameter of powder tattooing also increases as the distance from the gun barrel does.»

„პისტოლეტით თვითმკვლელობისას შემთხვევათა **25%-ში იარაღი მიცვალებულის ხელში რჩება**... იარაღის თვითმკვლელის **ხელში დარჩენა უფრო ხშირია თუ იგი იჯდა ან იწვა გასროლისას**...“

„თვითმკვლელობისას დაახლოებით **80%-ში ჭრილობა კონტაქტურია ან კონტაქტურთან დაახლოებული,** აგრეთვე შესაძლებელია **საშუალო მანძილიდან** ნასროლის ჭრილობებიც... პისტოლეტის შემთხვევაში **საშუალო მანძილი იწყება 10 მილიმეტრიდან**...“ (ესე იგი — ჭრილობების 20% არაა არც კონტაქტური და არც კონტაქტურთან დაახლოებული - ბპგ).

17.02. გაკვეთის მახასიათებლები თვითმკვლელობითი და მკვლელობითი ცეცხლსასროლი იარაღით ჭრილობებს შორის განსხვავებების დასადგენად

Autopsy features relevant for discrimination between suicidal and homicidal gunshot injuries
B. Karger, E. Billeb, E. Koops and B. Brinkmann
Int J Legal Med. 2002 Oct;116(5):273-8. Epub 2002 Aug 16.

> «In suicidal gunshots to the right temple (n=107), only **6% of the bullet paths were directed downwards** and only 4% were directed from **back-to-front**...»

„თვითმკვლელობისას მარჯვენა საფეთქელში (107 შემთხვევა) სროლისას **6%-ში ტყვიის ტრაექტორია მიმართული იყო ქვემოთ** (რასაც კომისია შეუძლებლად მიიჩნევს - ბპგ.) და მხოლოდ 4% იყო მიმართული უკნიდან-წინ...“ (ანუ **უდიდესი ნაწილი იყო მიმართული წინიდან-უკან** - ბპგ)...

17.03. ცეცხლსასროლი იარაღით თვითმკვლელობების დახასიათება

Characterization of the gunshot suicides
Balci Y, Canogullari G, Ulupinar E. J Forensic
Leg Med. 2007 May;14(4):203-8. Epub 2007 Feb 23.

> «In the majority of cases, **(72.3%) the shooting distance was contact or near contact**. Most of the entrance wounds **(75.0%) were located in the head and neck region and the direction of the bullet path was upward and front-to-back**...»

„თვითმკვლელობების 72.3%-ში სროლის მანძილი კონტაქტურია ან კონტაქტურთან დაახლოებული... (რაც ნიშნავს, რომ თვითმკვლელობების 27%-ში სროლის მანძილი კონტაქტურზე ან კონტაქტურთან დაახლოვებულზე მეტია — ბპგ.)... 75% შემთხვევაში ტყვიის მიმართულება იყო ზემოთ და წინიდან უკან... (რაც იმას ნიშნავს, რომ **შემთხვევების 25%-ში ტყვიის მიმართულება იყო ქვემოთ** - ბპგ)“

17.04. ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობები

Gunshot Wounds
Lecture Notes,
Department of Forensic Medicine, University of Dundee, p.18.

«In **about 20% of suicides the weapon is found clutched in the hand**...»

„**თვითმკვლელობის შემთხვევათა 20%-ში იარაღი თვითმკვლელის ხელში ჩაბღუჯული დარჩა.**..“

17.05. თავში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული თვითმკვლელობითი ჭრილობები: 406 შემთხვევის რეტროსპექტიული მიმოხილვა

Suicidal gunshot wounds to the head : a retrospective review of 406 cases
Blumenthal, Ryan.
Am J Forensic Med Pathol. 2007 Dec; 28(4) : 288-91.

«Of those examined, 81% were contact gunshot wounds. The trajectory was upward in 51% of cases and horizontal in 24% of cases...»

„თვითმკვლელობების 81% კონტაქტური ჭრილობებია. შემთხვევათა 51% ტყვიის ტრაექტორია ზემოთაა მიმართული და 24%-ში ჰორიზონტულია... “ (ანუ **შემთხვევათა 25%-ში ტრაექტორია ქვემოთაა მიმართული** - ბპგ)...

17.06. იარაღის მდებარეობა თვითმკვლელობის შემდგომ

Weapon location following suicidal gunshot wounds
Garavaglia JC and Talkington B
The American journal of forensic medicine and pathology : official publication of the National Association of Medical Examiners 20(1) : 1-5,**1999 Mar**
PubMed ID: 10208326

«In the... 498 cases, the **gun remained in the deceased's hand in 24% of the cases**. In the case of **handguns, the gun was found in the hand in 25.7% of individuals**. The gun had a **greater chance of remaining in the deceased's hand if the person was lying** or sitting when the gunshot wound was received.

Variables such as gender of the individual, wound location, and **caliber of handgun were not significant in predicting whether the gun stayed in the hand** after a suicidal gunshot wound...»

„**იარაღის მდებარეობა თვითმკვლელობითი სროლის შემდგომ.**

შესწავლილი 498 შემთხვევიდან, 24%-ში იარაღი დაზარალებულის ხელში რჩებოდა... იარაღად პისტოლეტის გამოყენების შემთხვევაში იგი **თვითმკვლელის ხელში რჩებოდა 25.7%-ში.**... **თუ თვითმკვლელი იწვა ან იჯდა იარაღის მის ხელში დარჩენის შანსი იზრდება.**..

პისტოლეტის <u>კალიბრს</u> (რაც დაკავშირებულია „სიძლიერესთან“ - ბპგ) **არ აქვს არსებითი გავლენა იმაზე, დარჩება თუ არა იარაღი თვითმკვლელის ხელში.**..“

17.07. ცეცხლსასროლი იარაღით თვითმკვლელობის შედეგად გარდაცვლილთა გაკვეთის შედეგები

Autopsy findings of suicidal deaths committed by firearms in Ankara, Turkey

Gurol Canturk, Nergis Canturk, Aysun Balseven Odabasi, Zerrin Erkol, Memnune Bosgelmez Dt
Medicine, Science and the Law, Vol 49, Nr 3, Pp. 207-212

> «Out of 143 bullet entries, 116 (81.12%) were caused by gunshots fired from contact or near contact range...»

„თვითმკვლელობის 143 შემთხვევიდან 81.12%-ს ნასროლი ჰქონდა კონტაქტური ან დაახლოებით კონტაქტური მანძილიდან...“ (ესე იგი **დაახლოებით 19% ნასროლი ჰქონდა საშუალო და შორი მანძილიდან** - ბპგ).

17.08. მითოსები თვითმკვლელობის შესახებ

Myths about Suicide
Thomas E. Joiner
Harvard University Press, 2010, Psychology, 288 pages. p. 11-12.

> «A 2001 report from the same journal reviewed over 1,700 cases of suicide by self-inflicted gunshot wound. **In sixty-eight of the cases, the entrance wound was to the back of the head**, contradicting a popular idea that such cases invariably involve homicide. In over thirty cases, the **gun had been fired at intermediate range (e.g., more than two feet away)**, again contrary to the dictum that this signifies homicide.
>
> A report from 1999 adds to the list of "sure-fire" indications of homicide that are not so sure-fire. When people die by self-inflicted gunshot wound, the **weapon remains in their hand in only around 25 percent of the cases**...»

„**თვითმკვლელობების** შესწავლილი 1700 შემთხვევიდან **68 შემთხვევაში ტყვიის შემავალი ხვრელი კეფაში იყო,** რაც ეწინააღმდეგება იმ პოპულარულ აზრს, რომ ეს შეუძლებელია. **30-ზე მეტ შემთხვევაში იარაღი ნასროლი იყო საშუალო მანძილიდან (ანუ 60 სანტიმეტრზე შორიდან)**...“

„თვითმკვლელობის შემდეგ **25%-ში იარაღი თვითმკვლელის ხელში რჩება.**..“

17.09. დანაშაულებრიობის მეცნიერება სასამართლო ექსპერტიზის მეთოდები

Crime science: methods of forensic detection
By Joe Nickell, John F. Fischer, 1999, Law, Pp. 300

> «The presence of the weapon tightly gripped in the hand (by cadaveric spasm) is a strong indication of suicide...» p. 257

„მკვლელობისგან განსხვავებით **თვითმკვლელობის ფაქტის დადასტურებაა თვითმკვლელის ხელში ჩაბღუჯული იარაღი** (მკვდრის სპაზმით)“

> მკვდრის სპაზმი (cadaveric spasm, трупный спазм):
>
> Cadaveric spasm, also known as instantaneous rigor, cataleptic rigidity, or instantaneous rigidity, is a rare form of muscular stiffening that occurs at the moment of death, persists into the period of rigor mortis. The cause is unknown, but is usually associated with violent deaths happening under extremely physical circumstances with intense emotion. Cadaveric spasm may affect all muscles in the body, but typically only groups, such as the forearms, or hands. Cadaveric spasm often crystallizes the last activity one did prior to death and is therefore significant in forensic investigations, e.g. holding onto a knife tightly.
>
> ეს — მკვდრის სპაზმი (cadaveric spasm, трупный спазм) — ძალზე არსებითი ფაქტორია...

17.10. შესავალი სამედიცინო ექსპერტის მუშაობისთვის: სიკვდილის გარემოდან გაკვეთამდე

An introduction to the work of a medical examiner: from death scene to An introduction to the work of a medical examiner: from death scene to Autopsy Suite

By John J. Miletich, Tia Laura Lindstrom, Cyril H. (FRW) Wecht, p.74

«It's also possible for a person to shoot herself twice due to cadaveric spasm...»

„**მკვდრის სპაზმის გამო შესაძლებელია თვითმკვლელმა ორჯერაც კი გაისროლოს...**“ (ნახევრად-ავტომატური იარაღით როგორიც "სტეჩკინია“ - ბპგ)...

17.11. კრიმინალური გამოძიება: კანონი და პრაქტიკა

Criminal investigation: law and practice
Michael F. Brown,
Butterworth-Heinemann, 2001,Law, 348 pages, p. 193-194

«Occasionally investigators will encounter a cadaveric spasm or "death grip" For example. in cases of suicide involving a firearm, the weapon may still be clutched tightly in the victim's hand. In other cases, drivers killed in automobile accidents have been found with both hands gripping the steering wheel, even though the arms may have suffered numerous fractures on impact...»

«ზოგჯერ გამომძიებლები წააწყდებიან "cadaveric spasm"-ს ანუ "მკვდრის სპაზმის“ შემთხვევებს. მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღით თვითმკვლელობის შემთხვევებში, შეიძლება **იარაღი მჭიდროდ ჩაბღუჯული დარჩეს დაზარალებულის ხელში.** სხვა შემთხვევებში, **საავტომობილო ავარიებისას დაღუპული მძღოლის ორივე ხელს შეიძლება კვლავ ჩაბღუჯული ჰქონდეს საჭე, მიუხედავად იმისა, რომ ამ ხელებს შეიძლება რამდენიმე დაზიანება გააჩნდეს...**»

17.12. გაკვეთის მახასიათებლები თვითმკვლელობითი და მკვლელობითი ცეცხლსასროლი დაზიანებებისას.

Autopsy features relevant for discrimination between suicidal and homicidal gunshot injuries
B. Karger, E. Billeb, E. Koops and B. Brinkmann, p. 275.
International Journal of Legal Medicine, Volume 116, Number 5, 273-278.

«Entrance wound right temple, horizontal and frontal plane. The direction of the bullet path in 123 cases: Front-to-back 69 (64.5%), Parallel 34 (31.8%), Back-to-front 4 (3.7%); Upwards 65 (60.7%), Parallel 36 (33.6%), **Downwards 6 (5.7%)**.»

«თვითმკვლელობისას შემთხვევების **დაახლოებით 6%-ში გასროლის მიმართულებაა ზევიდან-ქვემოთ.**»

17.13. ცეცხლსასროლი იარაღით თვითმკვლელობები ჩრდილო პორტუგალიაში

Firearm Suicides in the North of Portugal
Ana Faceira, Agostinho Santos, Lino Aranda Assunção
Faculdade de Medicina da Universidade do Porto, 2010/2011

«In the 170 cases of suicide by firearm were found 172 entrance wounds, because **in two cases (1.2%) there were two entrance wounds**. The shooting was carried out with the firearm at a **"near contact" distance in 39 (55.7%)** of the 70 cases in which information about the shooting distance was available. The remaining **31 shots (44.3%) were carried out with the firearm at "contact" distance**.»

«ორ შემთხვევაში (სულ 172) **აღინიშნა ორი შემავალი ჭრილობა... 55%-ში ნასროლი იყო „კონტაქტურთან მიახლოებული“ მანძილიდან.** 44.7%-ში ნასროლი იყო „კონტაქტური მანძილიდან“.»

17.14. ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობები

Firearm injuries
Written by Dr. D. Rao
Forensic pathology online

«**Close Range Wounds: Within a distance of about 15cm**, the pellets strike the target as a tightly knit mass and **produce a single defect, circular or oval usually 3 to 4 cm. in diamer**. The margins of the skin wound may be clean cut or slightly ragged. The deeper tissues show marked disruption. The skin surrounding the defect is blackened by smoke and burnt by flame. Unburnt

particles of powder are embedded in the skin, producing tattooing, powder stippling or peppering.»

«ახლო მანძილიდან ნასროლის ჭრილობები: 15 სანტიმეტრიდან და უფრო ახლოდან... წარმოშობს მრგვალ ან ოვალურ, ჩვეულებრივ **3 დან 4 სანტიმეტრამდე დიამეტრის დაზიანებას.** დაზიანების შიგნით კანი გამუქებულია ბოლით და დამწვარია ალით. დენთის დაუმწვარი ნანილაკები შეაღწევენ კანში და იწვევენ მის ტატუირებას (დასვირინგებას)»

17.15. ◈ ბ.გუგუშვილის დასკვნები:

დასავლურ მეცნიერულ კრიმინალისტიკასა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზას ზ.გამსახურდიას თვითმკვლელობის მოწმეების მიერ აღწერილის **ზედმიწევნით მსგავსი, იდენტური** <u>**ათასობით**</u> **შემთხვევა აქვს აღრიცხული, შესწავლილი და კვალიფიცირებული** — რომლებიც **ადასტურებენ თვითმკვლელობის მოწმეების ჩვენებათა დიდ სიზუსტეს, ობიექტურობასა და მათს სიმართლეს!**

ზემოთ მითითებული მეცნიერული მასალა ცალსახად და ძირეულად **აბათილებს კომისიისმიერი „შეუძლებლობის“ ყველა მტკიცებულების მცდელობებს:**

- გასროლის მანძილზე — რომ თვითმკვლელობების არსებითი ნაწილი საკმაოდ დაშორებული მანძილიდან გასროლით ხდება - თუმცა <u>როსტოვის დასკვნაში</u> <u>**ცალსახადაა მითითებული ძალზე ახლო მანძილი**</u>**.**
- გასროლის კუთხეზე — სამივე განზომილებაში — ამასთან: წინიდან უკან მიმართულება სტატისტიკურად არსებითია, ხოლო — ზევიდან ქვევით მიმართულება კი ფრიად არსებითი სიხშირით (6-25%-მდე) ხდება. აქვე უნდა საგანგებოდ აღვნიშნო, რომ კომისია თვალთმაქცურად და გაუგებრობის გასაძლიერებლად მიმართულებებს აფიქსირებს ხან ტერმინით „**ოდნავ** чуть, слегка“ –როსტოვის დასკვნაში კი (ფილმში „დინების საწინააღმდეგოდ“თვით კომისიის მიერ თარგმნილ ქართულ ტექსტში)[55] დახრის კუთხე მითითებულია ტერმინით „**რამდენადმე** несколько“(!), მხოლოდ და მხოლოდ რამდენიმე გრადუსით ქვემოთ მიმართულებაზე — რასაც ვერაფრით გაუკეთდება კლასიფიცირება „ზევიდან-ქვემოთ“!
- თვითმკვლელის ხელში იარაღის ჩარჩენაზე — (კალიბრისა და ამდენად სიმძლავრის მიუხედავად) — რომ ეს ტიპობრივი მომენტია თვითმკვლელობებისას და საყოველთაოდაა აღიარებული (მით უმეტეს, გამორიცხული არაა, რომ გასროლისას ზ.გამსახურდია ლოგინზე წამომჯდარი იყო)

ანუ ეს მასალა ცალსახად უჩვენებს და ადასტურებს, რომ **ის რასაც კომისია „შეუძლებლად“ თვლის — მსოფლიოს მასშტაბით ყოველწლიურად ასობით და ათასობით შემთხვევაში ხდება** — რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საპარლამენტო კომისიის დასკვნები ძლიერ წინააღმდეგობაშია საყოველთაოდ ცნობილ კრიმინალისტურ პრაქტიკასთან და ფაქტოგრაფიასთან – ზოგადად კი, საღ და ობიექტურ აზრთან.

18. ➤ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის (პირველი) შუალედური დასკვნა

18.01. საქმის მოკლე საპროცესო ისტორია

"ოფიციალური ვერსიით, საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია გარდაიცვალა 1993 წლის 31 დეკემბერს, 00 სთ სა და 01 სთ-ს შორის პერიოდში, ხო-

[55] ფილმი იხ. DVD-ზე: Video/kokos_dinebis-sacinaagmdegod.flv

ბის რაიონის სოფელ ძველ ხიბულაში, კარლო ღურწკაიასა და ლუდმილა აბშილავას სახლში სტუმრობისას, თვითონ ზვიად გამსახურდიას მიერ ცეცხლსასროლი იარაღიდან თავის ქალის არეში განხორციელებული გასროლის შედეგად.

1994 წლის 10 იანვარს საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილემ ანზორ ბალუაშვილმა რუსეთის ფედერაციის საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნებული ინფორმაციებისა და მანანა არჩვაძე – გამსახურდიას განცხადების საფუძველზე აღძრა და თავის წარმოებაში მიიღო სისხლის სამართლის №7494802 საქმე – ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ფაქტზე (თუმცა საქმის აღძვრის დადგენილებაში მითითებული არ არის, როგორც თვით ზ.გამსახურდიას გარდაცვალების ფაქტი, ისე, სისხლის სამართლის კოდექსის, რომელი მუხლით დაიწყო გამოძიება).

1994 წლის 12 იანვარს ა.ბალუაშვილმა გამოიტანა დადგენილება დაკრძალვის ადგილიდან გვამის ამოღებისა და დათვალიერების შესახებ. **აღნიშნული დადგენილება შესრულდა**[56] 1994 წლის 17 თებერვალს, როდესაც ზუგდიდის რაიონ სოფელ ჯიხაშკარში, ვალიკო ზარანდიას საცხოვრებელი სახლის ახლოს მდებარე დამხმარე ნაგებობიდან, მიწის ამოთხრის შედეგად, ამოსვენებული იქნა კუბო, ზვიად გამსახურდიას ცხედრით. იმავე დღეს, 1994 წლის 17 თებერვალს, სენაკის აეროპორტში ჩატარდა ზვიად გამსახურდიას ცხედრის გარეგნული დათვალიერება. ცხედრის ამოღებისა და დათვალიერების ოქმს ხელს აწერენ საქართველოს რესპუბლიკის იმდროინდელი ვიცეპრემიერი ავთანდილ მარგიანი,

ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწენი: გურამ შარაძე; საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრი გივი ლომინაძე; საქართველოს რესპუბლიკის ტელერადიო იმდროინდელი თავმჯდომარე არჩილ გოგელია; საქართველოს რესპუბლიკის იმდროინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ჯემალ მიქელაძე; საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების მინისტრის იმდროინდელი პირველი მოადგილე ავთანდილ იოსელიანი; მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თამარ დეკანოსიძე; მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი რევაზ კაპანაძე; საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილე ანზორ ბალუაშვილი და სხვები, სულ 21 პირი. ოქმის აღნიშნულ პირს, სხვებთან ერთად, ასევე ხელს აწერს ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის უფროსი რობინზონ მარგველანი, რომელიც გარდაცვალების მომენტში ზვიად გამსახურდიასთან იმყოფებოდა. იმავე დღეს, 1994 წლის 17 თებერვალს, ზვიად გამსახურდიას ნეშტი გადაფრინეს ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოში, სადაც ის დაკრძალული იქნა.

ამის შემდეგ, გამოძიების მიერ, ჩატარებული იქნა სულ რამდენიმე საგამოძიებო მოქმედება, დაიკითხა რამდენიმე მოწმე, მათ შორის ვალიკო ზარანდია და მისი მეუღლე, რომელთა სახლის დამხმარე სათავსოდანაც იქნა ამოღებული ზვიად გამსახურდიას ცხედარი. თუმცა, გაუგებარი მიზეზით[57], მაშინვე არ დაკითხულან ის პირები, რომლებიც უშუალოდ გარდაცვალების მომენტში, საქართველოს პრეზიდენტთან იმყოფებოდნენ. არ ჩატარდა ჩხრეკა და ნივთმტკიცებების ამოღება კარლო ღურწკაიას სახლში, სადაც გარდაიცვალა პრეზიდენტი, არ იქნა მიღებული ზომები, რათა მოძებნილიყო ცეცხლსასროლი იარაღი, საიდანაც მოხდა გასროლა და სხვა.

---

56 კომისია ცრუობს: შესრულდა არა კომისიის დადგენილება არამედ ზედმიწევნით შესრულდა ქვრივის მოთხოვნები. ხოლო პროკურატურის კატეგორიული მოთხოვნა სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზის შესახებ არ შესრულდა.

57 ნიშანდობლივია, რომ „**გაუგებარ მიზეზზე**“ წერს კომისია, და ამ დროს მანაც და მთელმა ქართულმა საზოგადოებრიობამ მშვენივრად იცის, რომ გამსახურდიას **ოჯახის დაჟინებული მოთხოვნით** საქართველოს ფაქტობრივმა ხელისუფლებამ და ჩეჩნეთის მთავრობამ უცხოელი დამკვირვებლების ზედამხედველობით მიაღწიეს **საერთაშორისო დონის შეთანხმებას**, რომ: „**ოჯახის წევრები და სიკვდილის მოწმენი კატეგორიულად უარს ამბობენ გამსახურდიას სიკვდილთან დაკავშირებულ გამოძიებასა თუ რაიმე გამოკვლევაში მონაწილეობაზე.**“ ამას გარდა – ზემოთ, მ.კიკნაძის მოგონებაში ძალზე ზუსტად და სხარტადაა აღწერილი, რომ ჩეჩნეთის მთავრობა და ოჯახის წარმომადგენლები წინ აღუდგენ შევარდნაძის რეჟიმის მოხელეთა მცდელობებს ჩაეტარებინათ მოწმეთა დაკითხვები და გამოძიება.

1994 წლის 10 მარტს საგამოძიებო ჯგუფის გამომძიებელმა ო.ჯაფარიძემ გამოიტანა დადგენილება "**თვითმკვლელობით ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ფაქტზე** აღძრული №7494802 სისხლის სამართლის საქმის დანაშაულის შემთხვევის არარსებობის გამო შეწყვეტის“ შესახებ. საინტერესოა, რომ საქმის მასალებიდან არ ჩანს, თუ როდის გადაეცა საქმე წარმოებაში ბატონ ო.ჯაფარიძეს. 1997 წლის 15 თებერვლის დადგენილებით, საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილემ ა.ბალუაშვილმა განაახლა წარმოება №7494802 სისხლის სამართლის საქმეზე. საქმის წარმოების განახლების ოფიციალურ მიზეზად, დადგენილებაში, მითითებული იქნა ის გარემოება, რომ მანამდე მოწმის სახით არ ყოფილა დაკითხული "თვითმკვლელობის“[58] უშუალო მხილველი დაცვის უფროსი რობინზონ მარგველანი. სისხლის სამართლის საქმე წარმოებაში იმავე ო.ჯაფარიძეს გადაეცა, რომელმაც სამი წლით ადრე შეწყვიტა სისხლის სამართლის საქმის წარმოება "დანაშაულის შემთხვევის არარსებობის გამო“. ზვიად გამსახურდიას დაცვის უფროსი რობინზონ მარგველანი ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებისა და სხვა გარემოებების ირგვლივ პირველად 1997 წლის 5 თებერვალს დაიკითხა. იგი საქმეზე დაკითხულია თექვსმეტჯერ. როგორც მოწმის სახით დაკითხვებში, ისე საგაზეთო ინტერვიუებში იგი აცხადებს, რომ ზვიად გამსახურდიამ სიცოცხლე პისტოლეტის გამოყენებით თვითმკვლელობით დაასრულა.

ასეთივე ჩვენებებს იძლევიან ზვიად გამსახურდიას დაცვის სხვა წევრებიც, რომლებიც მოწმის სახით დაიკითხნენ მხოლოდ 2004 წლის მარტ – აპრილში, ანუ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებიდან ათზე მეტი წლის გასვლის შემდეგ. მათ შორის არიან შემთხვევის ადგილზე მყოფი შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძე, აგრეთვე ზაზა ბურჯანაძე და გოჩა კეკენაძე, რომლებიც რობინზონ მარგველანისა და შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძისაგან განსხვავებით, ზვიად გამსახურდიას, კარლო ღურწკაიას სახლში თან არ ახლდნენ და დანარჩენებს ზვიად გამსახურდიას დაღუპვის შემდეგ შეუერთდნენ.

დღემდე, საერთოდ არ დაკითხულა ბესარიონ გუგუშვილი[59], რომელიც ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების მომენტში ასევე შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა. ამის ოფიციალური მიზეზი ის არის, რომ ბესარიონ გუგუშვილი ფინეთში ცხოვრობს. თუმცა, საქმის მასალებით არ ირკვევა მიმართა თუ არა საქართველოს გენერალურ პროკურატურამ შესაბამის ზომებს, რომლებსაც ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და საერთაშორისო სამართალიც, რათა მოხდეს აღნიშნული პირის დაკითხვა ფინეთის შესაბამისი უწყებების თანხმობით და დახმარებით [60].

გამოძიების მიერ მხოლოდ 1999 წლის თებერვალში იქნენ მოწმის სტატუსით დაკითხულნი კარლო ღურწკაია და ლუდმილა აბშილავა ცოლ ქმარი, რომელთა სახლშიც დაიღუპა საქართველოს პირველი პრეზიდენტი. მხოლოდ 1999 წლის თებერვალში იქნენ დაკითხულნი მოწმის სახით ჯუმბერ (ზაურ) და ანატოლი ჩუხუებიც, რომლებსაც ახლო კონტაქტი ჰქონდათ ზვიად გამსახურდიასთან მის გარდაცვალებამდე გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

იმავე პერიოდში, ანუ 1999 წლის თებერვალში, დაიკითხა მოწმის სახით ჯონსონ კვარაცხელიაც, რომლის სახლშიც სტუმრობდა პრეზიდენტი გარდაცვალებამდე ცოტა ხნით

---

[58] ამ კომისიის მიკერძოება იქიდანაც ჩანს, რომ აქ და სხვაგანაც სიტყვა თვითმკვლელობა ბრჭყალებში აქვთ, ხოლო სადაც კი მკვლელობა აქვთ ხსენებული – ყველგან ბრჭყალების გარეშე.

[59] ბესარიონ გუგუშვილმა ქართულ საზოგადოებრიობას უაღრესად დეტალურად და ზედმიწევნით დაწვრილებით გააცნო ზ.გამსახურდიას სიკვდილთან დაკავშირებული მის მიერ დანახული და მოსმენილი ტელეარხ „იმედის“ სპეციალურ საათიან დოკუმენტურ გადაცემა-ფილმში, მრავალ საგაზეთო სტატიაში და ბოლოს, უკვე კომისიის მუშაობის დასრულების შემდეგ გაზეთ „ასავალ დასავალის“ სტატიების სპეციალურ სერიაში „ბესარიონ გუგუშვილის დაკითხვის ოქმი“ რომელიც ქვეყნდებოდა 2011 წლის 14 მარტიდან 2011 წლის 23 მაისამდე. იხილეთ DVD-ზე:
Video/imedi_besarion1_compact.wmv
Video/imedi_besarion2_compact.wmv
Documents/1_nakrebi_asavali_2011_gugushvilis_dakitxvis_oqmi.pdf

[60] გენერალური პროკურატურის ამ „შეცდომის“ გამოსწორება ცადა თვით კომისიამ და მიმართა შესაბამისი წერილით ფინეთის პროკურატურას – მაგრამ კომისიამ პირში წყალი დაიგუბა იმის თაობაზე თუ რა პასუხი მიიღო აღნიშნულთან დაკავშირებით ფინეთის პროკურატურისგან – ალბათ ან საერთოდ ვერ ეღირსა პასუხს ან პასუხი კომისიისთვის ფრიად სამარცხვინოა!

ადრე და რომლის ეზოშიც იქნა დამარხული მისი ნეშტი მოკლე ხნით, ვიდრე მას ვალიკო ზარანდიას სახლში გადაასვენებდნენ.

მხოლოდ[61] 2004 წლის მარტში, ანუ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებიდან ათზე მეტი წლის გასვლის შემდეგ მოხდა შემთხვევის ადგილის დათვალიერება კარლო ღურწკაიასა და ლუდმილა აბშილავას სახლში, სადაც გარდაიცვალა პრეზიდენტი. 2004 წლის 2 მარტით დათარიღებული შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმისა და 2004 წლის 3 მარტის საგნის დათვალიერების ოქმის თანახმად, **კარლო ღურწკაიასა და ლუდმილა აბშილავას სახლიდან სხვა საგნებთან ერთად ამოღებულ იქნა დასისხლიანებული ბალიში[62], რომელზეც ედო თავი გარდაცვლილ პრეზიდენტს და საწოლის თავის დაფა,** რომელსაც ამჩნევია ტყვიის კვალი. თუმცა საქმის მასალებში არ ჩანს, თუ შემდგომ რა საგამოძიებო მოქმედებებში (ექსპერტიზა თუ სხვა) იქნა განხორციელებული აღნიშნული, ძალზე მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მიმართ.

2004 წლის შემდეგ რაიმე მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედება მოცემულ საქმეზე არ ჩატარებულა, თუმცა, ოფიციალურად სისხლის სამართლის №7494802 საქმეზე გამოძიება ჯერ კიდევ არ არის დასრულებული.

2007 წლის მარტის ბოლოს, ზვიად გამსახურდიას ნეშტი გროზნოდან გადმოსვენებული იქნა თბილისში და დაკრძალული იქნა მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. გადმოსვენებამდე, ზვიად გამსახურდიას ნეშტს ჩაუტარდა სასამართლო – სამედიცინო ექსპერტიზა, რუსეთის ფედერაციის ქალაქ დონი როსტოვში.[63]

უცნაურია, თუმცა ფაქტია, რომ აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნა №7494802 სისხლის სამართლის საქმის მასალებში არ მოიპოვება.

18.02. რამდენად დამაჯერებელია და სარწმუნო თვითმკვლელობის ვერსია

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა და ამავე საქმის მოკლე საპროცესო ისტორიიდანაც ჩანს, 1994 წლის 10 იანვარს აღძრული სისხლის სამართლის №7494802 საქმეზე აქამდე ჩატარებული გამოძიების მთავარ, რომ არა ვთქვათ ერთადერთ ვერსიად მიჩნეულია ის, რომლის თანახმადაც, საქართველოს პირველი პრეზიდენტის გარდაცვალება, მის მიერ განხორციელებული თვითმკვლელობის შედეგია. შესაბამისად, ჩემი მოხსენების შემდეგი ნაწილი დაეთმობა შეფასებას იმისას, თუ რამდენად დამაჯერებლად და სარწმუნოდ გამოიყურება ეს ვერსია.

უპირველეს ყოვლისა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, **რომ თვითმკვლელობის ვერსია მომდინარეობს თვითონ იმ პირებისაგან, რომლებიც ზვიად გამსახურდიას უახლოეს გარემოცვას წარმოადგენდნენ** და რომლებიც მის გვერდით იმყოფებოდნენ, როგორც უშუალოდ გარდაცვალების მომენტში, ისე გარდაცვალებამდე რამდენიმე თვის განმავლობაში. ამ პირებს შორის განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ სამი: რობინზონ მარგველანი, შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძე და ბესარიონ გუგუშვილი[64].

---

[61] აქ კომისიის მიერ ვირ–ეშმაკურად მიჩქმალულია, რომ საპარლამენტო კომისიის შექმნამდე შექმნილი იყო „**პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის**“ შემსწავლელი **ოთხი კომისია** გამსახურდიას ოჯახის შემადგენლობით.

[62] ეს ფაქტი აცამტვერებს კომისიის სპეკულაციებს თითქოს თვითმკვლელობის მოწმეებს „ყველა“ ნივთმტკიცება მოესპოთ იხ. დასკვნის თავი „11. შემთხვევის ადგილიდან ექსპერტიზისთვის საჭირო **ყველა მტკიცებულებების განადგურება**“.

[63] კოკოს კომისია აქ ცბიერად ჩქმალავს იმ ფაქტს, რომ თბილისში გადასვენებისას არ შესრულდა თვით კოკოს მოთხოვნა ნეშტს ჩატარებოდა სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზა

[64] კომისიის გასაოცარი გამჭრიახობა გამოჩნდა ამ ღრმააზროვანი დასკვნით – თურმე თვითმკვლელობის ვერსიას იცავენ თვითმხილველი მოწმეები! – ხოლო ისინი კი, ვინც სიკვდილის ადგილს ათობით, ასობით და ათასობით კილომეტრებით იყვნენ დაშორებულები – ნათელ–მხედველობის წყალობით უფრო მკვლელობის ვერსიისკენ იხრებიან... კიდევ – აქ მკითხველს დამატებით უნდა შევახსენო, რომ განსხვავებით თვითმხილველების მიერ დანახული თვითმკვლელობისა, მკვლელობის ვერსიას და მის დასამტკიცებლად წამოწყებულ სპროკურორო გამოძიებას გაეჩინა კონკრეტული დამკვეთი საქართველოს ფაქტობრივი პრეზიდენტის მ.საკაშვილის სახით რომელმაც დაუფარავად და აშკარად განაცხადა: «**მე როგორც ქრის–**

პირველ ორ მათგანს გამოძიებისთვის მიცემული აქვს ჩვენებები, რომლებშიც ისინი ერთხმად და კატეგორიულად აცხადებენ, რომ ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა "სტეჩკინის“ სისტემის პისტოლეტიდან, მარჯვენა საფეთქლის არეში განხორციელებული გასროლის შედეგად.

რაც შეეხება ბესარიონ გუგუშვილს, როგორც უკვე აღინიშნა, იგი გამოძიებას არ დაუკითხავს[65] იმ მიზეზით, რომ იგი პოლიტიკური მიგრანტის სტატუსით ფინეთში ცხოვრობს და ამიტომ მისი დაკითხვა დღემდე ვერ მოხერხდა. თუმცა, ტელევიზიისა და პრესისთვის მიცემულ ინტერვიუების საფუძველზე, ცნობილია, რომ ბესარიონ გუგუშვილიც თვითმკვლელობის ვერსიას უჭერს მხარს. თვითმკვლელობის ვერსიას ასევე ადასტურებენ ზვიად გამსახურდიას უახლოესი გარემოცვის სხვა წევრებიც, რომლებიც პრეზიდენტის სიკვდილის მომენტში მის გვერდით არ ყოფილან, მაგრამ მთლიანად ეყრდნობიან ზემოდასახელებული პირების მიერ მათთვის მიცემულ ინფორმაციას.

მაშასადამე, ცალსახად იკვეთება ის გარემოება, რომ თვითმკვლელობის ვერსიის ძირითადი წყარო არის სამი პირი რობინზონ მარგველანი, შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძე და ბესარიონ გუგუშვილი. თუმცა, ოფიციალურად ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ მხოლოდ ორ წყაროზე მარგველანსა და გვანცელაძეზე,

რადგან გუგუშვილს გამოძიებისთვის ჩვენება არ მიუცია, საქმეში არ ფიგურირებს, არც მისი ინტერვიუ, რომელიც მან 2004 წელს "იმედს“ მისცა[66].

18.03. რამდენად დამაჯერებელია მარგველანი გვანცელაძის ვერსია,

რომელსაც არაორაზროვნად და უკრიტიკოდ ღებულობს გამოძიება? მიგვაჩნია, რომ იგი ყოვლად არადამაჯერებელია ქვემოთ აღწერილი რამდენიმე სრულიად აშკარა და დაუძლეველი შეუსაბამობის გამო.

18.04. ვინ დაინახა თვითმკვლელობის მომენტი

უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა, რომ მათივე თქმით, არც ერთ მათგანს არც მარგველანს და არც გვანცელაძეს უშუალოდ არ დაუნახავს, თუ როგორ მიიდო პრეზიდენტმა "სტეჩკინის“ სისტემის პისტოლეტი საფეთქელთან და როგორ განახორციელა გასროლა. მიუხედავად ამისა, ისინი დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა. თითოეული მათგანი ასეთ დასკვნას აკეთებს ვარაუდის საფუძველზე, რომელიც მათივე განცხადებებიდან გამომდინარეობს, რომ გასროლის ხმის მათ მიერ გაგონების მომენტში

1. მარგველანის, გვანცელაძეს და გუგუშვილის გარდა, სახლის მეორე სართულზე არავინ ყოფილა და

2. უკვე გარდაცვლილ პრეზიდენტს ხელში ეჭირა "სტეჩკინის“ პისტოლეტი.

ეს ორი ფაქტი[67], რომლის საფუძვლიანობაშიც ცდილობენ ჩვენს დარწმუნებას მარგველანი და გვანცელაძე, თავისთავად არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ პრე-

---

ტიანი ადამიანი, დარწმუნებული ვარ, ზვიად გამსახურდია თავს არ მოიკლავდა... იგი მოკლეს» და ამდენად **მკვლელობის ვერსია დაკვეთილია!**

[65] ბესარიონ გუგუშვილმა ქართულ საზოგადოებრიობას უაღრესად დეტალურად და ზედმიწევნით დაწვრილებით გააცნო ზ.გამსახურდიას სიკვდილთან დაკავშირებული მის მიერ დანახული და მოსმენილი ტელეარხ „იმედის“ სპეციალურ საათიან დოკუმენტურ გადაცემა-ფილმში, მრავალ საგაზეთო სტატიაში და ბოლოს, უკვე კომისიის მუშაობის დასრულების შემდეგ გაზეთ „ასავალ დასავალის“ სტატიების სპეციალურ სერიაში „ბესარიონ გუგუშვილის დაკითხვის ოქმი“ რომელიც ქვეყნდებოდა 2011 წლის 14 მარტიდან 2011 წლის 23 მაისამდე.
Documents/!_nakrebi_asavali_2011_gugushvilis_dakitxvis_oqmi.pdf

[66] თუ რამ არის გასაოცარი – გასაოცარი ისაა და კომისიის მიკერძოების დამადასტურებელია, რომ კომისია არსებითად უგულველყოფს უმნიშვნელოვანესი მოწმის, გუგუშვილის ისეთ იდეალურად დოკუმენტირებული ჩვენებებსა და მონათხრობებს რომელიც სატელევიზიო ვიდეოდოკუმეტის სახით არსებობს – და ეს მაშინ, როდესაც იგი უდიდესი მზადყოფნით იყენებს და დასკვნაში აფიქსირებს ძალზე საეჭვო ჭორებით მოსაზრდოვე „მოწმეების“ მონაჩმახებს! იხილეთ DVD-ზე:
Video/imedi_besarion1_compact.wmv
Video/imedi_besarion2_compact.wmv

ზიდენტის მიმართულებით გასროლა განეხორციელებინა, მაგალითად, **ზემოთ დასახელებულ სამ პირს შორის რომელიმეს**[68], ან თუნდაც სულ სხვა უცნობ პირს და შემდგომში თვითმკვლელობის იმიტაციის მიზნით, მკვლელობის იარაღი ჩაედო გარდაცვლილის ხელში[69]

18.05. შემავალი ჭრილობის დიამეტრი [70]

რამდენადაც ცნობილია, "სტეჩკინის“ პისტოლეტს 9 მმ–იანი კალიბრი აქვს. შესაბამისად, თუ გასროლა მართლაც "სტეჩკინის“ პისტოლეტიდან მოხდა, მაშინ შემავალი ჭრილობის დიამეტრი 9 მმ–ზე ნაკლები ვერ იქნებოდა.

დაკრძალვის ადგილიდან ცხედრის ამოღების და გარეგანი დათვალიერების 1994 წლის 17 თებერვლის ოქმის თანახმად, რომელსაც, სხვათა შორის სხვებთან ერთად რობინზონ მარგველანიც აწერს ხელს, ზვიად გამსახურდიას ცხედარს, მარჯვენა საფეთქლის მიდამოში აღენიშნებოდა მრგვალი ფორმის დაახლოებით 0,6–0,7 სმ-ს (ანუ 6–7 მმ–ის) დიამეტრის მქონე მოშაო ფერის უბანი. მოწმე ზაზა ბურჯანაძე, რომელმაც მისივე თქმით, გაპარსა და გააპატიოსნა გარდაცვლილის ცხედარი, დაკითხვისას აცხადებს, რომ შემავალი ჭრილობის დიამეტრი 5–6 მმ. იყო. მოწმე, შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძის ჩვენებით კი შემავალი ჭრილობის დიამეტრი სულ რაღაც 4–5 მმ. იყო. მაშასადამე, თუ ზემოთ აღწერილი ცნობები სწორია, ზვიად გამსახურდიას ცხედარზე შემავალი ჭრილობის დიამეტრი "სტეჩკინის“ პისტოლეტის კალიბრზე ნაკლები ყოფილა, რაც ნიშნავს, რომ მარგველან – გვანცელაძის ვერსია, რომ გასროლა "სტეჩკინის“ პისტოლეტიდან მოხდა, არასწორია[71].

---

[67] აქ კომისია ფუნდამენტურ სიცრუეს ნერგავს — თითქოს თვითმკვლელობის თვითმხილველი მოწმეები მხოლოდ ზემოთ მითითებულ ორ ფაქტორზე დაყრდნობით ემხრობიან თვითმკვლელობის ვერსიას! კომისია ჩქმალავს, რომ თვითმხილველი მოწმეების ყველაზე არსებით არგუმენტი თვითმკვლელობის ვერსიისათვის ის არის, რომ — **მათ თვითმკვლელობის სცენა–გარემო თვალნათლივ და გარკვევით დაინახეს პრაქტიკულად გასროლისთანავე, ანუ გასროლის შემდეგ 1–2 წამში**! იხილეთ DVD–ზე მოდელირებული ვიდეო
Video/khibula_31-12-1993_00-30.wmv

[68] აქ ნათლად და ცალსახადაა დაფიქსირებული კომისიის მთელი ცილისმწამებლური საქმიანობის მთავარი სამიზნე — თვითმკვლელობის მოწმეები ზოგადად და ბ.გუგუშვილი განსაკუთრებით — რომელიც დაჟინებით იმას იმეორებს, რომ გასროლისას მისა და ზ.გამსახურდიას გარდა ოთახში სხვა არავინ იყო. ამავე დროს, აქ მინიშნებულია კომისიის იდეოლოგიური სამიზნე და სანუკვარი ბილწი ცილისწამება, რომ **გუგუშვილმა ესროლა მძინარე ზ.გამსახურდიას** და სანამ მარგველანი და გვანცელაძე ოთახში შემოვარდებოდნენ — მოასწრო პისტოლეტის ზ.გამსახურდიას ხელში ჩადება და კვლავ ორ ადგილიანი ლოგინის თავის მხარეს მიღწევა და ლოგინში ჩაწოლა — საიდან წამომხტარიც დაინახეს იგი ოთახში გასროლისთანავე შემოვარდნილმა მარგველანმა და გვანცელაძემ...

[69] ამით კომისია ცდილობს უგულველყოფს მოწმეების მიერ მრავალგზის დაფიქსირებული ის ფაქტი, რომ მარგველანმა და გვანცელაძემ ზ.გამსახურდიას სხეული მთლიანად დაინახეს და მდგომარეობა ვიზუალურად დააფიქსირეს გასროლიდან მაქსიმუმ 1–2 წამის შემდეგ (მანამდე მარგველანი ხედავდა მხოლოდ ლოგინში მწოლიარე ზ.გამსახურდიას ფეხების ნაწილს), ხოლო და რაც მთავარია — გუგუშვილმა ზ.გამსახურდიას შეხედა გასროლისთანავე, დაუყონებლივ!

[70] შემავალი ჭრილობის დიამეტრით სპეკულაციები — რომლითაც ათწლეულზე მეტ ხანს ბოროტად სარგებლობდნენ თვითმკვლელობის ვერსიის მოწინააღმდეგეები, კომისიის წევრების ჩათვლით — ძირფესვიანად გააქარწყლა როსტოვის ექსპერტიზის დასკვნამ, რომელმაც მტკიცედ დაადასტურა სიკვდილის მოწმეთა ჩვენებები, რომ თვითმკვლელობა 9 მილიმეტრიანი „სტეჩკინით“ მოხდა.

[71] დასკვნის ამ ნაწილის მთავარი კომიკური მომენტი ისაა, რომ ამ დროს კომისიის თავმჯდომარემ და რეჟისორმა კოკო გამსახურდიამ ჯერ კიდევ არც იცის და არც გაუგონია, რომ „სტეჩკინი“ „მაკაროვის“ ანუ პისტოლეტებში ერთ–ერთი ყველაზე სუსტ ვაზნებს იყენებს! — ამას, სამარცხვინო კოკო, მხოლოდ თვეების შემდეგ — რ.მარგველანის გამოკითხვისას გაიგებს...

18.06. სად მდებარეობს გამომავალი ჭრილობა? [72]

ამ კითხვაზე პასუხები ისევ არაერთგვაროვანი და წინააღმდეგობრივია. დაკითხვის ადგილიდან ცხედრის ამოღებისა და გარეგანი დათვალიერების 1994 წლის 17 თებერვლის ოქმის თანახმად, მიცვალებულს აღენიშნებოდა "ოვალური ფორმის მოშაო ფერის უბანი“, ზომით 1,5x1 სმ–ზე, "მარცხენა ყვრიმალის უკანა ნაწილში, საფეთქლის თმოვან ნაწილთან ახლოს“. **იგორ გიორგაძე ანდრეი კარაულოვთან ინტერვიუში აცხადებს, რომ ზვიად გამსახურდიას გვამს გამომავალი ჭრილობა სადღაც მარცხენა ყბასთან აღენიშნებოდა**[73]. მეორე მხრივ, რობინზონ მარგველანი თავის ჩვენებაში, რომელიც გამოძიებას 1997 წლის თებერვალში მისცა, ირწმუნება, რომ ტყვია "გამოსული იყო მარცხენა ყურის არის ზედა ნაწილში“, ცხადია, რომ ამ ნაწილში ეს ჩვენება აშკარა წინააღმდეგობაშია 1994 წლის 17 თებერვლის ოქმთან, რომელსაც სხვებთან ერთად თვით მარგველანიც აწერს ხელს.

გადაჭრით უჭერს მხარს მარცხენა ყურის ზედა ვერსიას ზაზა ბურჯანაძე, რომელიც აცხადებს, რომ გამოსვლისას ტყვიის "მარცხენა მხარეს ყურის ზედა ბიბილო მრგვლად ჰქონდა მოწყვეტილი“. უფრო მეტიც, ზაზა ბურჯანაძეს ორივე შემავალი და გამავალი, ჭრილობის მდებარეობისა და ტყვიის ტრაექტორიის საკუთარი ვერსიის გასამყარებლად თავისი ხელით ნახაზიც კი აქვს შედგენილი. მთავარი და გასაოცარი კი ის არის, რომ თუ ტყვიას მართლაც ჰქონდა მოწყვეტილი მარცხენა ყურის ზედა ბიბილო – მოწმე აქ ცალსახად ყურის ნიჟარის ზედა ნაწილს გულისხმობს რატომ გამორჩა ეს 1994 წლის 17 თებერვლის ოქმის 21 პირს, რომელთა შორისაც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებიც იყვნენ გენერალური პროკურორის მოადგილის ჩათვლით და გამოცდილი ექიმებიც? თუ ტყვია მართლაც მარცხენა ყვრიმალის უკანა ნაწილში გამოვიდა, რა დასკვნაც შეიძლება ოქმის აღწერილობიდან გამოვიტანოთ, იგი ცხადია, ყურის ნიჟარის ზედა ნაწილს მოწმის მიერ "ზედა ბიბილოდ“ მოხსენიებულს, ვერ მოწყვეტდა.

მეორე მხრივ, თუ ზაზა ბურჯანაძის ჩვენება სწორია და ტყვიამ მართლაც ყურის **ზედა ბიბილო** მოწყვიტა, მაშინ სადღაა თავის ქალიდან გამომავალი ჭრილობა? ტყვია ხომ ჯერ თავის ქალიდან უნდა გამოსულიყო და მერე მოეწყვიტა ყურის ზედა ბიბილო? ასეთ შემთხვევაში ოქმის ხელმომწერთა მიერ მითითებული ადგილი სწორი ვერ იქნება, რადგან გამომავალი ჭრილობა არა ყვრიმალის უკანა მხარეს, არამედ სადღაც ყურის ზედა არეში, ფაქტიურად, მარცხენა საფეთქლის მიდამოებში უნდა არსებულიყო. თუმცა ზაზა ბურჯანაძე საკუთრივ თავის ქალიდან გამომავალი ჭრილობის შესახებ არაფერს ამბობს. უფრო მეტიც, იგი პირდაპირ ამბობს, რომ თავის ქალაზე სხვა დაზიანება მე არ მინახავსო.

ამ ორი, ერთმანეთის გამომრიცხავი ვარიანტის ერთმანეთთან შეჯერებას ცდილობს შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძე, რომელიც, ერთი მხრივ აცხადებს, რომ როდესაც ზაზა ბურჯანაძე მიცვალებულ პრეზიდენტს წვერს პარსავდა, რაშიც მას შალვა გვანცელაძეც ეხმარებოდა, ისინი "შემთხვევით წააწყდნენ“ გამავალ ჭრილობას, რომელიც მდებარეობდა "მარცხენა ყურის ძირში“. თუმცა იქვე გვანცელაძე ამბობს, რომ ტყვიას "მოწყვეტილი ჰქონდა ყურის ზედა ნაწილი“.

როგორ მოხდა, რომ ტყვია ყურის ძირში გამოვიდა, მაგრამ ყურის ზედა ნაწილში მოწყვიტა?. უცნაურია ისიც, რომ ყურის ძირში არსებული ჭრილობა, რომელიც მისი მდებარეობის აღწერის მიხედვით სრულიად თვალსაჩინო ადგილას უნდა ყოფილიყო, გვანცელაძემ "შემთხვევით“ აღმოაჩინა, ხოლო ბურჯანაძემ საერთოდ "ვერ აღმოაჩინა“. [74]

---

[72] ფრიად დამახასიათებელი მომენტია ამ კომისიის არაობიექტური ხასიათს დასანახად: კომისია ეჭვს ქვეშ აყენებს თვითმხილველი მოწმეების თვალით დანახულზე მონათხრობს, სამაგიეროდ — დაუჯინებით ექიდება ისეთი ადამიანების მონაჭორებს, რომელთაც მიცვალებული თვალით არ ჰყავდათ ნანახი! ამასთან, შემდგომ, კომისიისთვის სამარცხვინოდ სწორედ და ზუსტად თვითმხილველების ჩვენებები დაადასტურა ობიექტური მასალით — როსტოვის ექსპერტიზის დასკვნით.

[73] ნიშანდობლივია ამ საკითხში გიორგაძის მონაჭორის მტკიცებულების სახით გამოყენება და კიდევ უფრო ნიშანდობლივია, რომ **გიორგაძის ეს მონაჭორი კომისიამ სავსებით „მიივიწყა“ გიორგაძის გამოკითხვისას** — რომელიც კომისიის დასკვნით დოკუმენტშია წარმოდგენილი!

[74] დამახასიათებელია, რომ გამომავალი ხვრელის ადგილმდებარეობის დადგენის ვითომ მცდელობისას კომისია ეფუძნება თვითმხილველთა ზეპირ, სიტყვიერ გამოთქმებს როდესაც ისინი თავისუფალი, პირზე

საქმე იმაშია, რომ გამომავალი ჭრილობის მდებარეობის დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს თვითმკვლელობის ვერსიის დადასტურების, ან უარყოფის მიზნებისთვის. თუ გამომავალი ჭრილობა ზვიად გამსახურდიას ცხედარს მართლაც მარცხენა ყვრიმალის უკანა ნაწილში აღენიშნებოდა, როგორც ეს 1994 წლის 17 თებერვლის ოქმის მიხედვით ირკვევა, და გვანცელაძის ჩვენებაში და გიორგაძის სატელევიზიო განცხადებაში არის დაფიქსირებული, მაშინ იარაღის ლულის დახრილობის კუთხე გარდაცვლილის თავის ქალის მიმართ იმდენად დიდი უნდა ყოფილიყო, რომ თვითმკვლელობის განზრახვის მქონე ადამიანს არ უნდა შეძლებოდა ასეთი კუთხით 25 სმ – ის სიგრძის "სტეჩკინის“ პისტოლეტის დაჭერაც კი, რომ არაფერი ვთქვათ მეტისმეტად მძიმე, სავსე მჭიდით დაახლოებით 2–კილოგრამიანი იარაღის[75] სასხლეტზე სათანადო ძალით თითის გამოკვრასა და გასროლის განხორციელებაზე. ხოლო თუ ტყვია ყურის ზედა არეში გამოვიდა, როგორც ამას ჯიუტად ამტკიცებენ მარგველანი, ბურჯანაძე და იგივე გვანცელაძე, (თუმცა საკუთრივ თავის ქალის დაზიანებაზე ამ არეში არავინ საუბრობს, ისინი მხოლოდ ყურის დაზიანებაზე მიუთითებენ.) მაშინ თვითმკვლელობის ვერსიის შესაძლებლობა იზრდება. (თუმცა არც ამ შემთხვევაში არ გამოირიცხება მკვლელობის ვერსია) იარაღის დახრილობის კუთხე ამით ბევრად მცირდება, რაც უფრო დამაჯერებელს ხდის თვითმკვლელობის შესაძლებლობას.

სწორედ თვითმკვლელობის ვერსიის გამყარებას ემსახურება გამომავალი ჭრილობის უფრო ზემოთ ლოკალიზების მტკიცება. მარცხენა ყურის ზედა არეში ჭრილობის შესახებ ირწმუნებიან სწორედ ის პირები, რომლებიც დაჟინებით ცდილობენ გამოძიება თვითმკვლელობის ვერსიის ქეშმარიტებაში დაარწმუნონ. თუმცა, ასეთ ვითარებაში ცხადია ბევრად უფრო მეტ ნდობას იმსახურებს 1994 წლის 17 თებერვლის ოქმი, რადგან მისი ხელმომწერი პირების გარკვეული ნაწილი მაინც ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის ვერსიის დამკვიდრებაში დაინტერესებული ვრ იქნებოდა.

18.07. როგორ მიაყენა თვითმკვლელმა თავის თავს სხვა დაზიანებები?

მართალია პრეზიდენტის დაცვის წევრებმა რაიმე სხვა დაზიანება მიცვალებულზე "ვერ აღმოაჩინეს“, 1994 წლის 17 თებერვლის ოქმში დაფიქსირებულია სხვა დაზიანებებიც[76]. კერძოდ, მარჯვენა საფეთქლისა და მარცხენა ყვრიმალის უკანა ნაწილში აღმოჩენილი დაზიანების გარდა, რომლებზედაც ზემოთ იყო საუბარი, ოქმში აღწერილია კიდევ ხუთი სხვა დაზიანებაც. ოქმის თანახმად, გვამს "ზედა ტუჩის შუა მესამედის წინა ზედაპირზე აღენიშნება დაახლოებით 1 სმ – ის სიგრძის მოშაო ფერის ჩაღრმავებული უბანი, მარჯვენა ყვრიმალის არეში დაახლოებით 1,5x1 სმ, ნიკაპზე შუაში დაახლოებით 3x2,5 სმ, მარცხენა ყვრიმალზე დაახლოებით 5x4 სმ და შუბლ–თხემ-საფეთქლის საზღვარზე მარცხნივ დაახლოებით 3x2 სმ–ზე აღენიშნება მუქი მორუხო ფერის გამუქებული უბნები.

მომდგარი ტერმინებით მიუნიშნებენ ტყვიის გამოსასვლელი ხვრელის მდებარეობას — მაშინ, როდესაც სერიოზული გამოძიება უნდა ეფუძნებოდეს თვითმხილველების მიერ ადამიანი თავის მულიაუზე, ქანდაკებაზე თითის დადებით მითითებულ ანუ თვითმხილველების მიერ ობიექტურად მითითებულ ადგილმდებარეობას!

აგრეთვე დამახასიათებელია, რომ ამ დასკვნაში სავსებით მიჩქმალულია ისეთი ძვირფასი მოწმის ჩვენება როგორიცაა **პროფესიონალი, ექიმი ჯალაღონია**, რომელმაც ცხედარს ბალზამირება გაუკეთა და **რომელმაც საგაზეთო ინტერვიუში ზუსტად და სამედიცინო ტერმინებით აღწერა ტყვიის გამომავალი ხვრელის ადგილიც და მდგომარეობაც**! ამავე დროს ცნობილია, რომ ექიმი ჯალაღონია კოკო გამსახურდიას ჯგუფმა გამოჰკითხა ჯერ კიდევ გაპიარებული ცილისმწამებლური, ყალბი ვითომ დოკუმენტური ფილმის „დინების საწინააღმდეგოდ“ გადაღებისას.

[75] აქ კომისიამ „სტეჩკინს“, რომლის წონა 1,22 კილოგრამია — ლამის ერთი კილოგრამი თვალის დაუხამხამებლად წაუმატა რათა საკუთარი მსჯელობა უფრო დამაჯერებელი გაეხადა!

[76] კომისია კვლავ ცრუობს — 1994 წლის 17 თებერვლის ოქმში აღნიშნულია არა სიცოცხლეში მიყენებული დაზიანებები, არამედ თითქმის 50 დღეღამის განმავლობაში, ორი გადასვენების პირობებში, ცხედრის ლპობისა და ხრწნის შედეგები.

თუ პრეზიდენტმა მართლაც ერთი გასროლით მოიკლა თავი, როგორც ამას მარგველანი, გვანცელაძე და სხვები ირწმუნებიან, მაშინ **რაღას ნიშნავს** ეს შვიდი სხვა დაზიანება?[77] აღნიშნულთან დაკავშირებით, იხილეთ, ექსპერტ – კრიმინალისტ (თექვსმეტი წლის სამუშაო სტაჟით) ო.ჯოხაძის ცნობის სახით წარმოდგენილი დოკუმენტი შემდეგი განმარტებით: ზემოაღნიშნულ მასალებზე დაყრდნობით, ცნობის სახით წარმოგიდგენთ შემდეგს:

როგორც თქვენთვის უკვე ცნობილია, 1994 წლის 17 თებერვალს ჯიხაშკარსა და სენაკში, დაკრძალვის ადგილიდან გვამის ამოღებისა და გარეგნულ დათვალიერებასთან დაკავშირებით შედგა სათანადო ოქმი, გვამის გარეგნულ დათვალიერებაზე მონაწილეობდნენ, როგორც მთავრობის წარმომადგენლები, ასევე სპეციალისტ–მედიკოსები: ვ.ბოჭორიშვილი, თ.დეკანოსიძე, რ.კაპანაძე, ო.ოქრუაშვილი და ლ.ჩაჩუა. გვამის გარეგანი დათვალიერების შედეგად, სპეციალისტ – მედიკოსების მიერ დაფიქსირებული იქნა შემდეგი დაზიანებები[78] თავის არეში: "მარჯვენა საფეთქლის მიდამოში აღინიშნება მრგვალი ფორმის დაახლოებით 0,6x0,7 სმ. დიამეტრის მქონე მოშაო ფერის უბანი ზომით 1,5x1,0 სმ. აღენიშნება მარცხენა ყვრიმალის უკანა ნაწილში საფეთქლის თმოვან ნაწილთან ახლოს. ზედა ტუჩის შუა მესამედის წინა ზედაპირზე აღინიშნება დაახლოებით 1 სმ სიგრძის მოშავო ფერის ჩაღრმავებული უბანი მარჯვენა ყვრიმალის რეში დაახლოებით 1,5x1,0 სმ, ნიკაპზე შუაში დაახლოებით 3,0x2,5 სმ, მარცხენა ყვრიმალზე 5,0x4,0 სმ, და შუბლ – თხემ საფეთქლის საზღვარზე მარცხნივ დაახლოებით 3,0x2,0 სმ – ზე აღენიშნება მუქი მორუხო ფერის გამუქებული უბნები".

საწოლში მწოლიარე ადამიანს აღნიშნული შვიდი სხვადასხვა სახის დაზიანება თავის არეში არ შეიძლება მიეყენებინა თავისივე ხელით, თავისივე თავისათვის. მოწმეთა ჩვენებებიდან, რომ პრეზიდენტს ხელში ეჭირა და მუცელზე ედო "სტეჩკინის" ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი (რომლის წონაა 1 კგ. 22 გრ, სიგრძე – 225 მმ) გვამისა და პისტოლეტ "სტეჩკინის" ურთიერთ მდგომარეობა გასროლის მომენტში ეჭვს იწვევს ვივარაუდოთ თვითმკვლელობის ვერსია[79].

თუ პრეზიდენტის მიერ მოხდა გასროლა "სტეჩკინის" სისტემის პისტოლეტიდან, რომელმაც პრეზიდენტს თავის არეში მიაყენა გამჭოლი ჭრილობა, მაშინ გამსახურდიას თავის ქალიდან გამომავალ ტყვიის გულას უნდა მიეყენებინა მის გვერდით მწოლიარე ბესარიონ გუგუშვილისთვის სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება მაინც.

პრეზიდენტის დაცვის წევრის, ბაჩუკი გვანცელაძის ჩვენებიდან: **"პრეზიდენტის თავის არეში ნატყვიარის გარშემო ადგილი გაშავებული და მის ახლოს თმაც შესამჩნევად შეტრუსული იყო"**. აღნიშნული დაზიანება მიუთითებს რომ თერმული მოქმედების ნიშნები დენთის აირის გამონაბოლქვისა და დენთის მარცვლების სახით გამოხატავს ახლო მანძილიდან ნასროლს და არა მიბჯენით, რადგან მიბჯენის დროს წარმოიქმნება ადამიანის კანზე ლულის ანაბეჭდი, ე.წ. "შტანც–მარკა", რაც სპეციალისტ – მედიკოსების მიერ გვამის დათვალიერების დროს აღნიშნული არ ყოფილა[80].

---

[77] ნიშნავს იმას, რაც არაერთხელ აღვნიშნეთ – თითქმის 50 დღეღამის განმავლობაში, ორი გადასვენების პირობებში, ცხედრის ლპობისა და ხრწნის შედეგებს...

[78] აქ კომისია „დაზიანებებად" ანუ ტრავმებად ასაღებს 50 დღიანი ცხედრის დაობების, გახრწნისა და ლპობის გარეგნულ ნიშნებს – რათა შემდგომ „ანალიზისას" ეს მონაცემები ისე წარმოადგინოს, თითქოს ზ.გამსახურდია ტყვიით მოკვლამდე აწამეს.

[79] ზემოთ, განყოფილებაში: „ბ.გუგუშვილის შენიშვნები თვითმკვლელობის ზოგად კრიმინალისტიკურ–საექსპერტო ასპექტებთან დაკავშირებით" მოტანილი გვაქვს ზღვა ფაქტები იმის მამტკიცებელი, რომ პისტოლეტით თვითმკვლელობის სულ ცოტა 25%–ში იარაღი თვითმკვლელის ხელში რჩება მისი კალიბრის (სიმძლავრის) მიუხედავად – რაც კვლავ კომისიის უკიდურეს არაკომპეტენტურობას და მიკერძოებულობას ასაბუთებს.

[80] აქ კომისია ებრძვის მის მიერვე მოგონილ ზღაპარს „მიბჯენით" გასროლაზე რომელსაც არც ერთი მოწმე არც კი ახსენებს. და – ეს კომისიის საკუთარ ფალსიფიკაციასთან კომისიისვე „შეკამათება" ისევ იმისთვის ხდება, რათა ნებისმიერ ფასად უარყონ თვითმკვლელობის ვერსია. ზოგიერთი მოწმის ზოგიერთ ჩვენებაში (რომელთაც არ დაუნახავთ საკუთრივ გასროლა) გამოთქმულია მოსაზრება და არა მიბჯენით (მიჭერით) გასროლაზე, არამედ – **ახლო მანძილიდან გასროლაზე** (გამომდინარე მათ მიერ დანახული კანის დამწვრობიდან და თმების შეტრუსვიდან) – რაც ზუსტად დადასტურებულია როსტოვის ექსპერტიზით!

ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობის დროს, დარღვეულია ქსოვილის მთლიანობა, რომელიც აღნიშნული შვიდი დაზიანებიდან სპეციალისტ – მედიკოსების მიერ არ არის მითითებული 1994 წლის 17 თებერვლის ჯიხაშკარსა და სენაკში შედგენილ ოქმში. მოწმეთა ჩვენებებით, რომ ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა "სტეჩკინის“ სისტემის ცეცხლსასროლი პისტოლეტით, იწვევს ეჭვს[81] რადგან, სპეციალისტ – მედიკოსების მიერ აღწერილი დაზიანებების ზომები თავის არეში: მარჯვენა საფეთქლის მიდამოში

მრგვალი ფორმის 0,6x0,7 სმ. დიამეტრის მქონე მოშაო ფერის უბანი, ზომით 1,5x1 სმ აღენიშნება მარცხენა ყვრიმალის უკანა ნაწილში, საფეთქლის თმოვან ნაწილთან ახლოს, ზედა ტუჩის შუა მესამედის წინა ზედაპირზე აღინიშნება დაახლოებით 1 სმ. სიგრძის მოშაო ფერის ჩაღრმავებული უბანი. მარჯვენა ყვრიმალის არეში დაახლოებით 1,5x1 სმ–ზე; ნიკაპზე შუაში დაახლოებით 3,0x2,5 სმ–ზე; მარცხენა ყვრიმალზე 5,0x4,0 სმ და შუბლ–თხემ-საფეთქლის საზღვარზე მარცხნივ დაახლოებით 3,0x2,0 სმ–ზე აღენიშნება მუქი მორუხო ფერის გამუქებული უბნები, არ შეესაბამება "სტეჩკინის“ 9 მმ. ყალიბის ზომებს.

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გამოითქვას საფუძვლიანი სავარაუდო ეჭვი, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის ვერსია გამორიცხულია[82].

18.08. თვითმკვლელმა მაყუჩი გამოიყენა? [83]

საქმის მასალებს შორისაა საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებლის ო.ჯაფარიძის №18212001 წერილი სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტის გიორგი კერვალიშვილის მიმართ, სადაც წერილის ავტორი აცხადებს, რომ "რ.მარგველანის განმარტებით, ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა "სტეჩკინის“ კონსტრუქციის მაყუჩიანი პისტოლეტით, რაც ამოღებული და გამოკვლეული არ ყოფილა“.

მაყუჩის არსებობას ასევე ადასტურებს თვითონ მარგველანის განაცხადი, რომ მას შემოესმა სროლის ყრუ ხმა. დაახლოებით იგივეს ამბობს ლუდმილა აბშილავა. ბესარიონ გუგუშვილის ტელეინტერვიუში, რომელიც მან 2004 წელს "იმედს“ მისცა, საუბარია "თასის“ დავარდნის ხმაზე, რომელიც მას ძილში ჩაესმა. ასეთი ტიპის ხმა სწორედ მაყუჩიანი იარაღიდან განხორციელებულ გასროლას აქვს[84].

მაყუჩის არსებობა, თუ იგი მართლაც არსებობდა, **კიდევ უფრო შეუძლებელს ხდის თვითმკვლელობის ვერსიას**[85]. ლოგიკურად თვითმკვლელს მაყუჩი არ ჭირდება. ეს ჩვეულებრივ, ჭირდება მკვლელს, რომელსაც სურს დროებით მაინც დაფაროს მკვლელობის

---

[81] კვლავ კომისიის სუბიექტურობით გამოწვეული „ეჭვი“ — შემდგომ, როსტოვის ექსპერტიზამ დაადასტურა სიკვდილის მოწმეების სიმართლე იმის თაობაზე, რომ გამოყენებული იყო სწორედ 9 მილიმეტრის კალიბრის პისტოლეტი, კერძოდ „სტეჩკინი“.

[82] ტიპობრივი მომენტი კომისიის აზროვნებაში — მცდარ და ყალბ საწყისებზე (რომელებიც როსტოვის ექსპერტიზამ სავსებით გააბათილა და გააქარწყლა) დაყრდნობით დაჟინებით ცდილობენ აკვიატებული მკვლელობის ვერსია „დაამტკიცონ“. ამას გარდა აქ უნდა მივუთითოთ კომისიის საყვარელ „ეჭვების“ გაზზომილებებზე — რომელსაც კომისია ალბათ რაღაც საიდუმლო ეჭვმზომით ზომავდა...

[83] კომისიის მიერ მკვლელობის ვერსიის დამადასტურებელი ეს ერთ–ერთი გამორჩეული ფაქტორი „მაყუჩი“ ბოლოს კომისიას ხელში შემოეცარა და საბოლოო დასკვნაში კი უკვე დაეკარგათ — ძალზე ნიშანდობლივია და ფრიად დამახასიათებელი მკვლელობის ვერსიის „ნებისმიერ ფასად“ დამტკიცების მცდელობებისას.

[84] „მაყუჩი“ კომისიის მიძინებული სინდისის პროდუქტია მხოლოდ და საბოლოო დასკვნაში სავსებით გაქრა...

[85] „მაყუჩით“ სპეკულაციები — რომელიც კომისიის დასკვნის შესაბამისად „კიდევ უფრო შეუძლებელს ხდის თვითმკვლელობის ვერსიას“— ისევე ჩარეცხა როსტოვის ექსპერტიზის დასკვნამ, როგორც კომისიის სხვა მრავალი ფანტაზია. იმდენად, რომ უკვე საბოლოო დასკვნაში და კომისიის პისტოლეტით ჩატარებულ „ექსპერიმენტებში“ კრინტიც აღარაა ამაზე დაძრული — „მაყუჩის“ ფაქტორი უგზო–უკვლოდ გაქრა. ვერ გახდა „კიდევ უფრო შეუძლებელი“ თვითმკვლელობის ვერსია.

ფაქტი. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ მაყუჩი მნიშვნელოვნად აგრძელებს მთლიანად იარაღის სიგრძეს და შესაბამისად აბსოლუტურად გამორიცხავს თვითმკვლელობას თავის ქალის მიმართ იარაღის დახრილობის ისეთი მახვილი კუთხის პირობებში, რომელსაც უნდა ჰქონოდა ადგილი იმ შემთხვევაში, თუ შემავალი და გამომავალი ჭრილობები მართლაც ისეთ ადგილებში არსებობდა, რომლებიც 1994 წლის 17 თებერვლის ოქმშია აღწერილი.

18.09. რა მანძილიდან განხორციელდა გასროლა? [86]

რობინზონ მარგველანი ირწმუნება, რომ გასროლა მოხდა მიბჯენით, რადგან ჭრილობის ირგვლივ, მისი თქმით, შეინიშნებოდა კანის ქსოვილის ამოწვის კვლები დაახლოებით იგივეს ამტკიცებს ზაზა ბურჯანაძეც[87], მაგრამ ამ შემთხვევაში ისინი წინააღმდეგობაში შედიან 1994 წლის 17 თებერვლის ოქმთან, რადგან ამ ოქმში კანზე ამოწვის კვალის შესახებ არაფერია ნათქვამი[88].

კრიმინალისტიკაში ცნობილია[89], რომ როდესაც გასროლა ხდება მიბჯენით[90], კანზე უბრალოდ ამოწვის კვალი კი არ რჩება, არამედ ბევრად უფრო შესამჩნევი დაზიანებები, როგორიცაა დენთის და ქვარტლის ინტენსიური კვალი, იარაღის ლულის ანაბეჭდი – ე.წ. "შტანც–მარკა", ანდა ვარსკვლავისებრი იარა კანზე[91]. არაფერი ამის მსგავსი არ არის აღწერილი არც 1994 წლის 17 თებერვალის ოქმში და არც თავად მარგველანის, ბურჯანაძის და სხვათა ჩვენებებში. უფრო მეტიც, 1994 წლის 17 თებერვლის ოქმის თანახმად, ისევე როგორც მოწმეთა, მათ შორის თვითონ მარგველანის, ბურჯანაძის და სხვათა ჩვენებების თანახმად, მარჯვენა საფეთქელზე მთელი დაზიანების დიამეტრიც, თვითონ ჭრილობის და მისი გარემომცველი რკალების ჩათვლით 0,6–0,7 სმ–ს არ აღემატება. სად რჩება აქ ადგილი მიბჯენით განხორციელებული გასროლის კვალისთვის?

ცხადია, რომ მიბჯენით გასროლის ფაქტის არსებობას ან არარსებობას დიდი მნიშვნელობა აქვს მათთვის, ვინც ცდილობს გამოძიება თვითმკვლელობის ვერსიაზე შეაჩეროს. სხვა საქმეა, რომ ფაქტობრივი მასალა მიბჯენით გასროლის ფაქტის დასამტკიცებლად აშკარად არასაკმარისია და მეტიც, წინააღმდეგობრივია.

---

[86] თვით კოკო გამსახურდია არაერთ სატელევიზიო პიარულ გამოსვლაში აცხადებდა, რომ ზ.გამსახურდიას ტყვია ნასროლი აქვს „50 სანტიმეტრზე შორი მანძილიდან“ და რომ ეს მკვლელობის უთუო დამადასტურებელი ფაქტია! შემდგომ თანდათანობით კოკომ მანძილი შეამცირა და როსტოვის ექსპერტიზის მონაცემების გავლენით ბოლოს გაცილებით ახლო მანძილზე – 20 სანტიმეტრზე და ნაკლებზეც ჩამოხურდავდა...

[87] აქ კომისია მარგველანსაც და ბურჯანაძესაც ბოროტად მიაწერს იმას, რაც მათ არასოდეს უთქვამთ! ისინი ლაპარაკობდნენ ტყვიის შესასვლელი ხვრელის გარშემო კანის დამწვრობაზე, თმებისა და ბალნის შეტრუსვაზე და არასოდეს მიუთითებენ სროლის მანძილს და მით უმეტეს **არ ლაპარაკობენ მიბჯენით ანუ მიჭერით გასროლაზე**! თუნდაც გაყალბების ეს ფაქტი საკმარისია ამ **კომისიისთვის სრული და კატეგორიული უნდობლობის** გამოცხადებისთვის.

[88] სამაგიეროდ კარგად ჩანს დენთით დამწვარი კანი, დენთის კვალი, შეტრუსული თმები და ბალანი საქართველოს პროკურატურის მიერ პროფესიული ფოტოაპარატით და პროფესიონალი ფოტოგრაფის მიერ ქუთაისში გადაღებულ ფოტოსურათებზე – რომლებსაც კომისია საგულდაგულოდ მალავს და ასაიდუმლოებს.

[89] შესანიშნავი მომენტია – ამას წერს კომისია, რომელიც არავითარ კრიმინალისტიკურ ფაქტოგრაფიასა და სტატისტიკას არ იმოწმებს და მხოლოდ „კრიმინალისტიკური ფანტაზიებით“ შემოიფარგლება.

[90] კვლავ კომისიის აკვიატებული „მიბჯენით“ გასროლა, რომელზე არც ერთი მოწმე არ საუბრობს თუნდაც იმის გამო, რომ მათ არ დაუნახავთ გასროლის მომენტი!

[91] კოკოს ძალიან და დაჟინებით მოსწონს ეს უცხოური ტერმინი "შტანც–მარკა" და ძალზე ხშირად იმეორებს მას (ღრმად განსწავლული კაცის გამომეტყველებით) თითქოს თვითმკვლელობისას სავალდებულო იყოს "შტანც–მარკის" არსებობა, ხოლო "შტანც–მარკის" არარსებობა ცალსახად ადასტურებდეს მკვლელობას. ჩვენს მკითხველს უნდა ავუხსნათ, რომ „შტანც-მარკა“ ჩნდება მხოლოდ მჭიდროდ ბჯენით, ადამიანის კანზე პისტოლეტის ლულის მოჭერით სროლისას. კრიმინალისტიკის მონაცემებით "შტანც–მარკა" უმეტესწილად მკვლელობის დროს ჩნდება – როდესაც მკვლელს ლულა მიჭერილი აქვს ადამიანის კანზე და არა სხვა პირობებში.

18.10. თუ გასროლა ზვიად გამსახურდიამ განახორციელა, რატომ არ იყო დენთის კვალი მის ხელებზე?

ეს კიდევ ერთი საკითხია, რაშიც თვითმკვლელობის ვერსია წინააღმდეგობაში შედის 1994 წლის 17 თებერვლის ოქმის აღწერილობებთან. კერძოდ, ყველა მოწმეს შორის მხოლოდ რობინზონ მარგველანი ირწმუნება თავის ჩვენებაში, რომ მიცვალებულის "მარჯვენა საჩვენებელი თითის შუაში შეიმჩნეოდა მოშაო ფერის ხაზი, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ ამ თითზე ზემოქმედების კვალი დაუტოვებია ცეცხლსასროლი იარაღის სასხლეტს“, მაგრამ უცნაურია, რომ ამგვარი რამ არ დაუფიქსირებიათ არც 1994 წლის 17 თებერვლის ოქმის ხელმომწერებს, რომლთა შორის თვითონ მარგველანიც იყო, და არც რომელიმე სხვა პირს, რომელმაც გააპატიოსნა ზვიად გამსახურდიას ცხედარი.

თუ ეს "მოშაო ფერის ხაზი“ მართლაც ასეთი თვალსაჩინო იყო, რატომ ვერ დაინახეს იგი მარგველანზე უფრო დიდი გამოცდილების მქონე სხვა დამკვირვებლებმა? უფრო მეტიც, ეს კვალი მარგველანმა ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებიდან დაახლოებით თვენახევრის შემდეგ, უკვე გროზნოში ყოფნისას აღმოაჩინა[92].

18.11. სად არის იარაღი, რომლისგანაც გასროლა განხორციელდა?

ამ ძალზე მნიშვნელოვან საკითხზეც ერთმანეთის გამომრიცხავი ჩვენებები არსებობს.

რობინზონ მარგველანს თუ დავუჯერებთ, ზვიად გამსახურდიას ორივე იარაღი – ერთი "სტეჩკინი“, რომლისგან განხორციელებული გასროლით მარგველანის და სხვათა მტკიცებით, დაიღუპა საქართველოს პირველი პრეზიდენტი, ხოლო მეორე "ნაგანი“[93], რომლის არსებობის შესახებ მარგველანმა მხოლოდ პრეზიდენტის გარდაცვალების შემდეგ შეიტყო – მარგველანმა თვითონ დაიტოვა. შემდგომ გროზნოში წაიღო და ვიღაც ჩეჩენ მეგობარს მიაბარა, ხოლო მანანა არჩვაძე–გამსახურდიას კი უთხრა, თითქოს, ორივე იარაღი სამეგრელოში იყო დამალული. გოჩა კეკენაძის განცხადებით კი, მარგველანმა და თვითონ კეკენაძემ ეს იარაღები პრეზიდენტის სხვა ნივთებთან ერთად ჯონსონ კვარაცხელიას ეზოს შორიახლოს მიწაში ჩამარხეს. ამას ნაწილობრივ თავად ჯონსონ კვარაცხელიაც ადასტურებს, რომელიც იმაზე ამბობს, რომ 1994 წლის გაზაფხულზე მან ჩამარხული ნივთები მანანა არჩვაძე – გამსახურდიას გამოგზავნილ პირებს გადასცა და, რომ ამ ნივთებს შორის იყო "სტეჩკინის“ პისტოლეტი[94], მაგრამ "ნაგანის“ რევოლვერი იქ არ ყოფილა.

ამ ორი ურთიერთგამომრიცხავი ვარიანტიდან რომელია სწორი? გამოდის, რომ რომელიღაც მოწმე გამოძიებას ცრუ ჩვენებას აძლევს? თუმცა რომელი მათგანიც არ უნდა იყოს სწორი, უდავოა რომ:

1) საქმეში არ არსებობს იარაღი, რომლისგანაც თითქოს გასროლა განხორციელდა და

2) ის ფაქტი, რომ ეს იარაღი უკვალოდ გაქრა, თვით რობინზონ მარგველანის და ზვიად გამსახურდიას გარემოცვის სხვა წევრების მოქმედების ან უმოქმედობის შედეგია.

---

[92] აქ კიდევ ერთხელ ჩანს კომისიის პროფესიული შეუსაბამობა, უსუსურობა და ზოგადი სიბრიყვე — კომისიას ჰგონია, რომ პისტოლეტის გასროლის შემდეგ მსროლელის ხელზე რჩება შეუიარაღებელი თვალისთვის შესამჩნევი რაღაც დამახასიათებელი კონტრასტული კვალი, ანაბეჭდი. კომისიამ არ იცის, რომ პისტოლეტის მსროლელის ხელზე დენთის კვალის აღმოჩენა მხოლოდ სპეციფიური საგამომძიებლო პროცედურით, არის შესაძლებელი — რაც რა თქმა უნდა არასოდეს ჩატარებულა ზ.გამსახურდიას მიმართ. დენთის კვალის თვალით დანახვა მით უმეტეს შეუძლებელი იყო გადასვენებისას, იმიტომ რომ დასაფლავებამდე ზ.გამსახურდიას ცხედარი „გააპატიოსნეს“–დაბანეს.

[93] ესეც სიცრუე — არავითარი „ნაგანი“ არ არსებობს. ჩანთაში აღმოჩნდა ძალიან პატარა, მცირე კალიბრიანი რევოლვერი — ლათინურ–ამერიკული წარმოებისა.

[94] ამ ბრიყვულ მსჯელობისას კომისია საკუთარ თავს ეკამათება: დოკუმენტის ქვეთავი შეკითხვაა: „სად არის იარაღი, რომლისგანაც გასროლა განხორციელდა?“ მაგრამ შემდგომ კომისია უკვე აღარ ინტერესდება იმ „სტეჩკინით“, რომლითაც გასროლა განხორციელდა და რომელიც დადასტურებულად მანანა არჩვაძემ მიიტაცა და ყურადღება გადააქვს სხვა, მცირეკალიბრიან რევოლვერზე რომელსაც არავითარი როლი და ფუნქცია გამოძიებისთვის არ გააჩნია.

ცხადია, რომ ამ იარაღის არსებობა დიდ როლს ითამაშებდა თვითმკვლელობის ან რომელიმე სხვა ვერსიის დადასტურების ან უარყოფისთვის. შესაბამისად, არსებობს გონივრული ეჭვი საიმისოდ, რომ იარაღი სპეციალურად იქნა გადამალული იმისთვის, რომ ის გამოძიებას არ ჩავარდნოდა ხელთ.

18.12. სად არის ტყვია და მასრა, რომლისგანაც დაიღუპა პრეზიდენტი?

ამ შემთხვევაშიც ერთობ საეჭვო გარემოებები იკვეთება. რობინზონ მარგველანი ირწმუნება, რომ ტყვიის გულა და მასრა ეძებეს, მაგრამ ვერ იპოვნეს. ამის საწინააღმდეგოდ კარლო ღურწკაია, რომლის სახლშიც გარდაიცვალა პრეზიდენტი, გადაჭრით ამბობს, რომ მასრა იმავე ღამეს იპოვნეს, მაგრამ რომელმა აიღო იგი – მარგველანმა, გვანცელაძემ თუ გუგუშვილმა – მან არ იცის. იმავე მოწმის ცნობით, ტყვიის გულა ნაპოვნი არ ყოფილა[95].

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც ადგილი აქვს სერიოზულ წინააღმდეგობას სხვადასხვა პირების ჩვენებებს შორის, თანაც ისეთ მნიშვნელოვან ნივთმტკიცებასთან დაკავშირებით, როგორიც არის გასროლილი ტყვიის გულა და მასრა. ამ შემთხვევაშიც რომელიღაც მოწმე ცრუობს. უფრო მეტიც, თუ ღურწკაიას ჩვენება სწორია, და ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში სწორედ ღურწკაიას ჩვენებაა უფრო სანდო, ვიდრე მარგველანისა, რადგან პრეზიდენტის გარდაცვალების ფაქტის მიმართ ღურწკაია ნეიტრალური პირია, უნდა ვივარაუდოთ, რომ მარგველანმა, პრეზიდენტის გარემოცვის დანარჩენმა პირებმა ან სულაც სხვა, უცნობმა გარეშე პირმა რაღაც მოსაზრებით შეგნებულად გააქრეს საქმისთვის ესოდენ დიდი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულება.

18.13. დასკვნა[96]

ყოველივე ზემო აღნიშნული წინააღმდეგობა განხილულ ჩვენებებში, რომლებიც დღემდე არ ყოფილა არც აღმოფხვრილი, არც ახსნილი, გვაძლევს სერიოზულ საფუძველს ეჭვი შევიტანოთ მარგველანის, გვანცელაძის და სხვათა მიერ წარმოდგენილ თვითმკვლელობის ვერსიაში. ასევე სრულიად ცალსახად იკვეთება გამოძიების არათანმიმდევრული და ტენდენციური მოქმედება სისხლის სამართლის საქმის მიმართ.

უპირველეს ყოვლისა, გამოძიება ვალდებული იყო დაემუშავებინა და შეემოწმებინა ყველა სხვა ვერსია, რომელსაც მოცემულ სიტუაციაში არსებობის უფლება ჰქონდა[97]. რატომ დაიჯერა გამოძიებამ ასე იოლად თვითმკვლელობის ვერსია? <u>რატომ არ მიმდინარეობდა მუშაობა მკვლელობის მიმართულებით</u>? **რატომ არ გამოითქვა ეჭვი, რომ მკვლელობა შეეძლოთ ჩაედინათ მარგველანს, გვანცელაძეს, გუგუშვილს ან ზვიად გამსახურდიას ახლო გარემოცვის რომელიმე სხვა პირს**[98], ანდა სულაც სხვა, უცნობ ანუ გარეშე პირს ან პირების ჯგუფს, რომლებსაც შეეძლოთ სიკვდილის მუქარით იძულებული გაეხა-

---

95 ფართოდ ცნობილი და დოკუმენტირებულია, რომ გასროლილი მასრა ნაპოვნი იქნა, პისტოლეტ „სტეჩკინთან“ ერთად ინახებოდა და ბოლოს ისინი მიიტაცა მანანა არჩვაძემ. რაც შეეხება ტყვიას ანუ ტყვიის გულას, მისი მოძებნის დრო და რაც მთავარია ტექნიკური საშუალება (ლითონმძებნი) ზ.გამსახურდიას თვითმკვლელობის მოწმეებს არ ჰქონდათ და ეს წესითა და კანონით უნდა განეხორციელებინა ან საერთაშორისო საგამომძიებლო ჯგუფს რომლის გამოგზავნის დიდი იმედიც მოწმეებს ჰქონდათ – ან გულდამწვარ და სიმართლით დაინტერესებულ ზ.გამსახურდიას ნათესავებსა და ახლობლებს თავად კოკოს ჩათვლით!

96 კომისიის ამ დოკუმენტის „დასკვნა“ მხოლოდ ის შეიძლება იყოს, რომ კომისიამ ყოველგვარი ხრიკი, სიყალბე, სიცრუე და დეზინფორმაცია გამოიყენა, რათა სააკაშვილის დავალება შეესრულებინა და მკვლელობის ვერსია „ნებისმიერ ფასად“ დაესაბუთებინა. შეძლო თუ არა კომისიამ ამ მიზნის შესრულება ეს ობიექტური მკითხველისთვის მიგვინდია.

97 აქ კომისია კვლავ „ივიწყებს“, რომ საქართველოს რეჟიმსა და ჩეჩნეთის მთავრობას შორის, საერთაშორისო დამკვირვებლების მეთვალყურეობით გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად – არავითარი გამოძიება არ უნდა ჩატარებულიყო, რამდენადაც ოჯახმა თავის თავზე აიღო თვითმკვლელობის ვერსიის გარანტობა და უარი თქვა ცხედრის სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზაზე.

98 აქ კოკომ და მისმა კომისიამ ვერ დამალეს და წარმოაჩინეს მათი სანუკვარი მიზანი და სამიზნე – მთელი ამ დაკვეთილი კამპანიის არსი ხომ ზ.გამსახურდიას უერთგულესი თანამებრძოლის, საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლის, ლეგიტიმური პრემიერ მინისტრის ბ.გუგუშვილის ტალახში გათხვრაა.

დათ მარგველანი, გვანცელაძე, გუგუშვილი და გარემოცვის სხვა პირები მიეცათ ჩვენებები და განმარტებები თვითმკვლელობის ვერსიის სასარგებლოდ?

სისხლის სამართლის მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არსად იკვეთება ის გარემოება, რომ გამოძიებას ჰქონდა რაიმე სხვა ვერსია გარდა იმისა, რასაც მას მარგველანი და სხვანი სთავაზობდნენ[99].

ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე მისი აღძვრიდან სულ რაღაც ორ თვეში შეწყდა. ასევე არ ჩანს საქმის გარემოებათა ყოველმხრივ, ობიექტურად და სრულად გამოკვლევის სურვილი გამოძიების მოქმედებაში სისხლის სამართლის საქმის წარმოების განახლების შემდეგაც. ამას მოწმობს გამოძიების მიერ განხორციელებული არათანმიმდევრული, სპორადული და ძლიერ დაგვიანებული საგამოძიებო მოქმედებები, რომლებიც ამ მოხსენების პირველ ნაწილშია აღწერილი.

ჩვენ შეიძლება გვითხრან, რომ ასეთი ვერსიები არსებობდა, მაგრამ მათი დამადასტურებელი მტკიცებულებები საქმეში არ მოიპოვებოდა: მიგვითითებენ იმ დროს ცხედრის კიდევ ერთხელ დათვალიერების შეუძლებლობაზე, რომ არაფერი ვთქვათ ექსპერტიზაზე. მაგრამ საქმე ის არის, რომ მარგველანის, გვანცელაძის და სხვათა დაკითხვის ოქმები არ შეიცავს არავითარ მინიშნებას იმისას, რომ გამოძიება ოდესმე სერიოზულად დაინტერესებულა იმ აშკარად წინააღმდეგობრივი, ურთიერთ გამომრიცხავი, რეალობასთან შეუსაბამო და ხშირად საღ აზრს მოკლებული განცხადებებით, რომლებსაც ეს პირები აკეთებდნენ დაკითხვის დროს. მათი დაკითხვის ოქმები მხოლოდ მოწმეთა თხრობითი ჩვენებებისგან შედგება, ხოლო გამომძიებლის მიერ აქა – იქ დასმული კითხვები არცერთ შემთხვევაში არ არის მიმართული იქითკენ, რომ გამოაშკარავებულიყო და ახსნილიყო ის წინააღმდეგობები, რომლებზედაც ვფიქრობ, საკმაოდ ფართოდ ვისაუბრეთ დღეს.

მიმაჩნია, რომ ჯერ კიდევ არის საკმარისი რეზერვები იმისათვის, რომ საქმეზე დადგენილი იქნეს ჭეშმარიტება. ამისთვის შეიძლება საჭირო იყოს მოწმეების ხელახლა დაკითხვა, შემთხვევის ადგილიდან ამოღებული მტკიცებულებების დეტალური შესწავლა, დამატებითი დოკუმენტური მასალების მოძიება, მათ შორის იმ სასამართლო – სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნისა, რომელიც რუსეთში მომზადდა და, რომელიც რატომღაც ამ საქმეში არ დევს. გარდა ამისა, თუ არსებობს შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები[100], მათი საშუალებით აუცილებელია ბესარიონ გუგუშვილის დაკითხვის ორგანიზება და ა.შ.

მთლიანობაში საჭიროა გამოვლინდეს სურვილი და ნება იმისა, რომ საქმის გარემოებები გმოკვლეულ იქნეს ყოველმხრივ, ობიექტურად და სრულად, რასაც ავალდებულებს საგამოძიებო ორგანოებს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა. მიმაჩნია, რომ ასეთი სურვილი სისხლის სამართლის საქმეზე დღემდე შეკრებილ მასალებში არ ჩანს. **გამოძიება ფაქტიურად იქცა თვითმკვლელობის ვერსიის დადასტურების და ლეგიტიმაციის იარაღად**[101]. სხვაგვარად რომ არ მოხდა, ნიშნავს იმას, რომ შესაბამისი პოლიტიკური ნება შევარდნაძის მმართველობის პერიოდში არც არსებობდა. თუ რატომ არა, ესაა ის შეკითხვა, რასაც თვით შევარდნაძემ და მისი ხელისუფლების ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელებმა პასუხი უნდა გასცენ.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, შემოვდივართ წინადადებით, გაგრძელდეს კომისიის მოქმედების ვადა დამატებითი 3 თვით[102]".

პარლამენტის გადაწყვეტილებით, კომისია კიდევ სამი თვით განაგრძობს მუშაობას.

---

[99] ისევ მიჩქმალულია ის, რომ თვითმკვლელობის ვერსიაზე პასუხისმგებელი და თვითმკვლელობის ვერსიის გარანტი იყო ზ.გამსახურდიას ოჯახი.

[100] აქ მთავარი საერთაშორისო მექანიზმი ისაა, რომ სიკვდილის მოწმეებს სწორედ საერთაშორისო დონეზე მიეცათ გარანტია, რომ მათ არასოდეს არ აიძულებენ მიიღონ მონაწილეობა რაიმე გამოძიებაში.

[101] აქ კოკო თავხელიშვილი ცრუობს — ადანაშაულებს რა ვიღაცას იმაში, რომ მან (მათ) ვერ შეძლო/ეს დაეს აბუთებინა/თ მკვლელობა, ანუ ის რაც არ მომხდარა და არ ყოფილა. ამავე დროს განსახილველად გამოტანილ ამ დასკვნაში სანუკვარი მიზნის მისაღწევად ყოველგვარი ხრიკის, სიყალბის, სიცრუისა და დეზინფორმაციის უსინდისო და უნამუსო გამოყენების მაგალითს იძლევა.

[102] ეს ამ დასკვნაში ერთად–ერთი ობიექტური ცნობა და ინფორმაციაა.

19. ◈ ბ.გუგუშვილის დასკვნა საპარლამენტო კომისიის (პირველ) შუალედურ დასკვნაზე

კომისიის პირველ შუალედურ დასკვნაში დოკუმენტის თავებად, განყოფილებებად ჩამოთვლილია ის ფაქტორები, რომლებიც კომისიის აზრით ასუსტებენ, აბათილებენ, ეჭვქვეშ აყენებენ თვითმკვლელობის ვერსიას და ამით განამტკიცებენ მკვლელობის ვერსიას. ქვემოთ მოტანილია ჩვენი კრიტიკული არგუმენტები თითოეული თავის მიმართ.

19.01. ◈ საქმის მოკლე საპროცესო ისტორია

აქ მიჩქმალულია ის განმსაზღვრელი და ფუნდამენტური სამართლებრივი გარემოება და ფაქტორი, რომ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების ნებისმიერი გამოძიება არღვევდა და არღვევს საქართველოსა და ჩეჩნეთის რესპუბლიკების მთავრობების დონეზე ანუ საერთაშორისო დონეზე, საერთაშორისო დამკვირვებლების გარანტიებით დადებულ შეთანხმებას და ხელშეკრულებას, რომლიც – სიკვდილის მოწმეების ინტერესების საპირისპიროდ და საზიანოდ – აკმაყოფილებდა, ანგარიშს უწევდა და ეფუძნებოდა გამსახურდიას ოჯახის (რომლის ერთ-ერთი წევრიც თვით საპარლამენტო კომისიის მეთაურად მოგვევლინა) კატეგორიულ მოთხოვნას **არ ჩატარებულიყო მიცვალებულის ცხედრის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა** – გაკვეთა, გამოკვლევა ან სხვა რაიმე მოქმედება, **რის გამოც სიკვდილის თვითმხილველები კატეგორიულ უარს აცხადებენ პრეზიდენტ გამსახურდიას სიკვდილთან დაკავშირებით რაიმე გამოძიებაში მონაწილეობის მიღებაზე.** რამეთუ მიცვალებულის ცხედრის კომპლექსური და სრული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის გარეშე გამორიცხული იყო და გამორიცხულია ნებისმიერი და რაიმე ობიექტური გამოძიება და შესწავლა – საკუთრივ ამ საპარლამენტო კომისიის ჩათვლით.

კომისიის მიერ მიჩქმალული და მიმალულია ის ფაქტი, რომ საპარლამენტო კომისიის შექმნამდე, უკვე „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ – შექმნილი იყო „პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას **ფიზიკური ლიკვიდაციის“** შემსწავლელი სულ მცირე ოთხი **სამთავრობო** კომისია, რომლებშიც მონაწილეობდნენ გამსახურდიას ოჯახის წევრებიც. ტერმინის **„ფიზიკური ლიკვიდაცია“** გამოყენება სამთავრობო კომისიების დასახელებაში უკვე მიუთითებს სახელმწიფო პოლიტიკის პოზიციას ამ საკითხზე და ამითი მიუთითებს სახელმწიფოს პოზიციის სუბიექტურობასა და მიკერძოებას.

ამავე დროს დასკვნის ამ თავიდან კარგად ჩანს, რომ ჯერ კიდევ 1994 წლის 10 იანვარს საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის მიერ ზვიად გამსახურდიას სიკვდილის ფაქტზე ზემოხსენებული საერთაშორისო შეთანხმებისა და ხელშეკრულების დარღვევითა და საწინააღმდეგოდ აღძრული საქმე №7494802, რომელიც მეტ-ნაკლებად აქტიურად გრძელდება აგერ უკვე 18 წელია (და რომლის დროსაც დაიკითხა ასობით ადამიანი და დაიწერა ათასობით გვერდი ჩვენებები) – ვერაფრით ვერ განამტკიცა და მით უმეტეს ვერ დაამტკიცა გამსახურდიას მკვლელობის ვერსია – უპირველეს ყოვლისა პროკურატურის მიერ დასახელებული იმ გარემოების გამო, რომ **არ არსებოს გარდაცვლილის ცხედრის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა!**

დასკვნაში მიჩქმალულია ის არსებითი გარემოება, რომ 2007 წელს გამსახურდიას ნეშტის გროზნიდან თბილისში გადასვენებამდე გამსახურდიას სიკვდილის მოწმეები (სხვათა შორის – ისევე როგორც თავად კომისიის თავმჯდომარე კ.ზ.გამსახურდია და გადასვენების სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე ე.ხერხეულიძე, აგრეთვე ქართველი საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენლები) კატეგორიულად ითხოვდნენ ნეშტის სასამრთლო-სამედიცინო ექსპერტიზას[103] – რაც ამჯერადაც გამსახურდიას ოჯახის (ქვრივის) ისტერიული წინააღმდეგობის გამო არ

[103] იხილეთ DVD-ზე ტელევიზიის დოკუმენტური ვიდეო: video/mocmeebi_itkhoven_expertizas.wmv

ჩატარდა. გამსახურდიას თბილისში გადმოსვენებისას (ისევე, როგორც გროზნოში) სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩაუტარებლობა მოწმობს, რომ გამსახურდიას ოჯახი და ხელისუფლებაც შიშობენ, რომ ექსპერტიზა დაამტკიცებს სწორედ თვითმკვლელობის ვერსიას, რაც მათ კატეგორიულად არ აწყობთ და მათს ინტერესებს ეწინააღმდეგება!

19.02. ◈ ვინ დაინახა თვითმკვლელობის მომენტი

აქ კომისია ფუნდამენტურ სიცრუეს ნერგავს – თითქოს თვითმკვლელობის თვითმხილველი მოწმეები თვითმკვლელობას ამტკიცებენ **მხოლოდ** შემდეგი ორი გარემოების გამო: მარგველანის, გვანცელაძეს და გუგუშვილის გარდა, სახლის მეორე სართულზე არავინ ყოფილა და, რომ უკვე გარდაცვლილ გამსახურდიას ხელში ეჭირა "სტეჩკინის" პისტოლეტი.

კომისია ჩქმალავს, რომ თვითმხილველი მოწმეების ყველაზე არსებით არგუმენტი თვითმკვლელობის ვერსიისათვის ის არის, რომ – მათ თვითმკვლელობის სცენა-გარემო თვალნათლივ და გარკვევით დაინახეს პრაქტიკულად გასროლისთანავე, ანუ გასროლის შემდეგ მაქსიმუმ 1-2 წამში![104]

ამავე დროს, აქვე მინიშნებულია კომისიის იდეოლოგიური სამიზნე და სანუკვარი ბილწი ცილისწამება, რომ **გუგუშვილმა ესროლა მძინარე გამსახურდიას** და – სანამ მარგველანი და გვანცელაძე ოთახში შემოვარდებოდნენ – მოასწრო პისტოლეტის გამსახურდიას ხელში ჩადება და კვლავ ორ ადგილიანი საწოლის მეორე, თავის მხარეს მიღწევა და ლოგინში შეწოლა – საიდან წამომხტარიც დაინახეს იგი ოთახში გასროლისთანავე შემოვარდნილმა მარგველანმა და გვანცელაძემ...

19.03. ◈ შემავალი ჭრილობის დიამეტრი

◈ პრეზიდენტის ცხედრის მიმართ მოკრძალებისა და რიდის ფაქტორი

მკვლელობის ვერსიით დაინტერესებულები ბინძურად და საძაგლად იყენებენ და ექსპლუატაციას უწევენ იმ ადამიანურ, ჰუმანურ ფაქტორს, რომ პრეზიდენტ ზ.გამსახურდიას გარემოცვა მას ღრმა მოწიწებით, პატივისცემით, რუდუნებით და რიდით ექცეოდა, რაც მათ არ აძლევდათ ფსიქოლოგიურ საშუალებას (პროფესიული პათანატომის მსგავსად) ჩაკირკიტებით და ნეიტრალური ინტერსით ეჩხრიკათ და ეკვლიათ მისი სხეულის დაზიანებების დეტალები (ცნობილია, რომ ადამიანების უმეტესობას ბუნებრივად, თავისთავად არ შეუძლია, არ ძალუძს მიცვალებულს ჩაჟინებით უცქიროს, დააკვირდეს და მით უმეტეს ხელით შეეხოს). ეს კოკო გამსახურდიას და მის მსგავსებს შეუძლიათ ცივსისხლიანად ვნებიანი ჩაჟინებით ჩხრიკონ და წეწონ საკუთარი მამის ცხედარი.

იმისთვის, რომ მკითხველმა ამ ასპექტში საკუთარი თავი შეამოწმოს, წიგნის ყდაზე ზ.გამსახურდიას ჩავისქალის ფოტოებია გამოტანილი და წიგნში არის ცხედრის სხვა ფოტოებიც.

◈ პრობლემის არსი

მკვლელობის ვერსიის პროპაგანდისტთა და ამ კომისიის საყვარელი სპეკულაციების საგანია „შემავალი ჭრილობის დიამეტრი“ – რომლითაც ათწლეულზე მეტ ხანია თვალთმაქცობენ, მანიპულირებენ და სპეკულიანტობენ თვითმკვლელობის ვერსიის მოწინააღმდეგეები, კომისიის წევრების ჩათვლით.

ამ შემთხვევაში ჟონგლიორობენ და სპეკულიანტობენ იმ გარემოებით, რომ თვით შეკითხვა ბუნდოვანია, არაერთაზროვანია, არასწორად და თვალთმაქცურად არის დასმული! არ არის დაზუსტებული, გაუგებარია ამ შეკითხვის უკან იგულისხმება <u>შეშუპებულ და დამწვარ რბილ ქსოვილში</u> შემჩნეული და **თვალზომით**

---

104 იხილეთ DVD-ზე მოდელირებული ვიდეო: video/khibula_31-12-1993_00-30.wmv

შეფასებული ჭრილობის დიამეტრი თუ თავის ქალის ძვალში (ანუ გარეგნულად უხილავ ადგილას) არსებული ტყვიის მიერ შეტეხილი ხვრელის დიამეტრი!

როსტოვის ექსპერტიზის დასკვნამ, მტკიცედ დაადასტურა სიკვდილის მოწმეთა ჩვენებები, რომ თვითმკვლელობა 9 მილიმეტრიანი „სტეჩკინით“ მოხდა და რომ თავისქალაზე არსებული შემავალი ხვრელი სწორედ 9 მილიმეტრია. მაგრამ როსტოვის დასკვნას არ შეეძლო ეპასუხა და არც უპასუხია იმაზე თუ რა ზომისა **მოჩანდა** შემავალი ხვრელის ხილული ჭრილობა თავისქალის კანზე.

დასკვნით დოკუმეტში კომისია განაგრძობს შეკითხვის ბუნდოვანებიდან გამომდინარე თვალთმაქცობებს. აქ კომისია ძალუმად ჩქმალავს იმ არსებით და განმსაზღვრელ ფაქტორს, რომ **ტყვიის შემავალი და გამომავალი ხვრელების ჭრილობა არასოდეს და არავის მიერ არ გაზომილა რაიმე საზომი ხელსაწყოთი!** კომისია ჩქმალავს, რომ მოწმეთა ჩვენებები მხოლოდ-ღა შეშუპებულ-დასიებული ჭრილობის თვალზომით ფრიად მიახლოებულ, არსით არაზუსტ შეფასებას ემყარებოდა და ამდენად სხვადასხვა თვითმხილველთა შეფასებები ვერაფრით ვერ იქნებოდა ერთგვაროვანი. ხოლო ამ ბუნებრივ, გარდუვალ და აუცილებელ განსხვავებებს ცალკეულ თვითმხილველ მოწმეთა თვალზომითი შეფასებებს შორის სპეკულაციურად იყენებენ მოწმეთა ნაამბობში „ეჭვის“ შესატანად და მეტიც – თვითმხილველ მოწმეთა მხრივ რაღაც „შეთქმულების“ დასასაბუთებლად!

იმისთვის, რომ საკითხის ჩახლართოს და გააბუნდოვანოს კომისიამ არ დაურთა თავის საბოლოო დასკვნას, დამალა 1994 წელს საქართველოს პროკურატურის მიერ ცხედრის გროზნიში გადასვენებისას გადაღებული მაღალხარისხოვანი სურათები – რომლებზეც გარკვევით მოჩანს მარჯვენა საფეთქელზე მდებარე შემავალი ჭრილობა და რომელებიც თვალნათლივ ასაბუთებენ, რომ შემავალი ჭრილობის თვალზომით, სუბიექტურად გაკეთებული შეფასება პრინციპულად არ შეიძლება ცალსახა იყოს.

19.04. ◈ სად მდებარეობს გამომავალი ჭრილობა?

შემავალი ჭრილობის დიამეტრისა არ იყოს, ტყვიის გამოსავალი ხვრელის მდებარეობის თვალსაზრისითაც კომისია ჟონგლიორობს და სპეკულირებს იმ გარემოებით, რომ თვითმხილველ მოწმეებს არ გააჩნიათ რა რაიმე სამედიცინო განათლება – ამდენად ისინი ვერ განსაზღვრავენ ზუსტად თავის იმ მორფოლოგიურ ნაწილის დასახელებას სადაც გამომავალი ხვრელი დაინახეს (არაზუსტ ტერმინებს იყენებენ) ან იგრძნეს (რამდენადაც ზოგმა გამომავალი ხვრელი ხელით გასინჯვისას შენიშნა-შეამჩნია და თვალით არც დაუზუსტებია).

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სერიოზული გამოძიება უნდა ეფუძნებოდეს თვითმხილველების მიერ ადამიანის თავის მულიაჟზე, ქანდაკებაზე თითის დადებით მითითებულ ანუ თვითმხილველების მიერ ობიექტურად მინიშნებულ ადგილმდებარეობას!

აგრეთვე დამახასიათებელია, რომ ამ დასკვნაში სავსებით მიჩქმალულია ისეთი ძვირფასი მოწმის ჩვენება როგორიცაა პროფესიონალი, ექიმი ჯალაღონია, რომელმაც ცხედარს ბალზამირება გაუკეთა და რომელმაც საგაზეთო ინტერვიუში ზუსტად და სამედიცინო ტერმინებით აღწერა ტყვიის გამომავალი ხვრელის ადგილიც და მდგომარეობაც! ამავე დროს ცნობილია, რომ ექიმი ჯალაღონია კოკო გამსახურდიას ფილმის გადამღებმა ჯგუფმა გამოჰკითხა ჯერ კიდევ გაპიარებული ცილისმწამებლური, ყალბი ვითომ დოკუმენტური ფილმის „დინების საწინააღმდეგოდ“ გადაღებისას[105] – თუმცა მისი მონათხრობი ვიდეოზე არ გადაუღიათ – რამდენადაც მედიკოს-თვითმხილველის მონათხრობი ქვას-ქვაზე არ ტოვებდა ფილმის დამკვეთთა იდეოლოგიისგან და „მტკიცებულებებისაგან“[106].

---

[105] ფილმი იხ. DVD-ზე: Video/kokos_dinebis-sacinaagmdegod.flv

[106] იხ:. ჯალაღონიას ინტერვიუ ასლი ამ წიგნის ბოლოს და ინტერვიუს გაზეთის PDF ასლი: Documents/jalagonia_mamuli_2005.pdf

ამას გარდა კომისია ფართოდ იყენებს მანკიერ, „გაფუჭებული ტელეფონის“ პრინციპს – როდესაც შეფასებებისას ეყრდნობა და იყენებს ისეთი ადამიანების „შელამაზებულ-მორგებულ“ მონათხრობებს (მონათხრობის-მონათხრობს) რომელთაც „ამბავი“ ვითომ მოსმენილი აქვთ თვითმხილველი მოწმეებისგან.

19.05. ◈ როგორ მიაყენა თვითმკვლელმა თავის თავს სხვა დაზიანებები?

ამასთან დაკავშირებით, პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ კომისია „სხვა დაზიანებების“ არსებობას ფაქტობრივად დამტკიცებულად წარმოაჩენს, მაშინ როდესაც სიცოცხლეში ან სიკვდილისთანავე „სხვა დაზიანებების“ მიყენება ან არსებობა თავად საგამომძიებლო თვალსაზრისით ვერაფრით ვერაა დამტკიცებული. და – ასეთ საეჭვო ამოსავალ დებულებაზე კომისია აგებს ზედნაშენ დებულებას: „როგორ მიაყენა?“.

უფლება გვაქვს და შეგვიძლია ეს დებულება კომისიას ასე შევუცვალოთ: „როგორ მიაყენა თვითმკვლელმა თავის თავს დაზიანებები **რომლებიც მას არ გააჩნდა“**...

ამ დებულების დამტკიცების მცდელობისას კომისია ძირითადად ეყრდნობა 1994 წლის 17 თებერვლის ოქმში აღნიშნულ 50 დღის გარდაცვლილი, ორჯერ გადასვენებულ-გადამარხული და უკვე ხრწნა და ლპობა დაწყებულ ცხედრის კანზე შენიშნულ სავსებით ბუნებრივ ზედაპირულ დაზიანებებს, რომლებსაც კომისია ასაღებს როგორც სიცოცხლეში ან სიკვდილისთანავე მიყენებულ-მიღებულ დაზიანებებს.

დასკვნის ამავე ნაწილში კომისია შეუპოვრად ებრძვის მის მიერვე მოგონილ ზღაპარს „მიბჯენით“ გასროლაზე რომელსაც არც ერთი მოწმე არც კი ახსენებს. და – კომისიას ამ, მის მიერვე შეთხზულ ფალსიფიკაციასთან „შეკამათება“ ისევ იმისთვის ხდება, რათა ნებისმიერ ფასად უარყონ თვითმკვლელობის ვერსია. მოწმეების ჩვენებებში ლაპარაკია არა მიბჯენით (მიჭერით) გასროლაზე (ხაზგასმულია, რომ გასროლა არავის დაუნახავს), არამედ – შესაძლო ახლო მანძილიდან გასროლაზე (რაც ეფუძნება თმებისა და კანის დამწვრობებს) – რაც ზუსტად დადასტურებული და დამტკიცებულია(!) როსტოვის ექსპერტიზით!

19.06. ◈ თვითმკვლელმა მაყუჩი გამოიყენა?

„მაყუჩის გამოყენების“ ეპიზოდი კომისიის აზროვნების ერთ-ერთი ზენიტი და პიკანტური მომენტია!

„მაყუჩობანა“ კომისიას ფრიად კომიკურად მოუთავდა – ბოლოს კომისიას მისი ამ ძალზე „ძლიერი“ და ზუსტად მკვლელობის მამტკიცებელი ფაქტორის, საბუთის ავტორი, მოწმე თუ მთხრობელი სრულიად დაეკარგა და გაუჩინარდა... „მაყუჩობანა“ იმდენად უპერსპექტივო აღმოჩნდა, რომ კომისიის საბოლოო დასკვნაში იგი სავსებით და უბოდიშოდ მიივიწყეს...

19.07. ◈ რა მანძილიდან განხორციელდა გასროლა?

გასროლის მანძილი კომისიისა და მისი თავმჯდომარე კოკოს ავადმყოფურად აკვიატებული „პუნქტია“, მისი ავადმყოფური კომპლექსის ერთ-ერთი მთავარი ღერძია, შამფურია.

იმის დამტკიცება-დასაბუთება, რომ გასროლა თვითმკვლელისთვის შეუძლებელი მანძილიდან მოხდა – კომისიასაც და კოკოსაც იმის ურყევ და მტკიცე ბაზისს უქმნიდა, რომ მკვლელობის ცრუ ვერსიისთვის იურიდიულ-სამართლებრივი თვალსაზრისით კვლავ სული შთაებერათ და გაეცოცხლებინათ.

კომისიის „მუშაობის“ ამ პერიოდში და მოგვიანებითაც – კომისიის სატელევიზიო პირ კომპანიაში ინტენსიურად ინერგებოდა **„50 სანტიმეტრზე შორიდან“** ნასროლის ფალსიფიკატი, რომელიც თან-და-თან, როსტოვის ექსპერტიზის შინაარ-

სის ქართული სოციუმის მიერ გაცნობა-ათვისებასთან ერთად სულ უფრო მცირდებოდა და ბოლოს **„10 სანტიმეტრამდე“** დავიდა...

აქვე კომისია არათვითმხილველებს, მარგველანსაც და ბურჯანაძესაც ბოროტად მიაწერს იმას, რაც მათ არასოდეს უთქვამთ – თითქოს ისინი მიუთითებდნენ მიბჯენით-მიჭერით გასროლასა და ასეთი გასროლის კვალზე! და ეს მაშინ, როდესაც მარგველანიც და ბურჯანაძეც ლაპარაკობდნენ ტყვიის შესასვლელი ხვრელის გარშემო კანის დამწვრობაზე, თმებისა და ბალნის შეტრუსვაზე და არასოდეს მიუთითებენ არც სროლის მანძილს და მით უმეტეს არ ლაპარაკობენ მიბჯენით ანუ მიჭერით გასროლაზე – რამდენადაც არ დაუნახავთ გასროლა! თუნდაც გაყალბების ეს ფაქტი საკმარისია ამ კომისიისთვის სრული და კატეგორიული უნდობლობის გამოცხადებისთვის.

საქართველოს პროკურატურის მიერ პროფესიული ფოტოაპარატით და პროფესიონალი ფოტოგრაფის მიერ ქუთაისში, აეროპორტში გადაღებულ ფოტოსურათებზე – რომლებსაც კომისია საგულდაგულოდ მალავს და ასაიდუმლოვებს – გარკვევით მოჩანს დენთით დამწვარი და ტატუირებული (დასვირინგებული) კანი, დენთის კვალი, შეტრუსული თმები და ბალანი.

კოკოს ძალიან და დაუინებით მოსწონს უცხოური ტერმინი "შტანც–მარკა“ და ძალზე ხშირად იმეორებს მას „განსწავლულის“ გამომეტყველებითა და ისეთ კონტექსტში თითქოს თვითმკვლელობისას სავალდებულო იყოს "შტანც–მარკის“ არსებობა, ხოლო – "შტანც–მარკის“ არარსებობა ცალსახად ადასტურებდეს მკვლელობას. ჩვენს მკითხველს უნდა ავუხსნათ, რომ „შტანც-მარკა“ ანუ დენთის გაზების მიერ კანის ჩახევები ჩნდება მხოლოდ ადამიანის კანზე პისტოლეტის **ლულის მჭიდრო ბჯენით, მიჭერით სროლისას.** კრიმინალისტიკის მონაცემებით "შტანც–მარკა“ უმეტესწილად მკვლელობის დროს ჩნდება – როდესაც მკვლელს ლულა მიჭერილი აქვს ადამიანის კანზე და არა სხვა პირობებში.

როსტოვის ექსპერტიზის მიერ ტყვიის შემავალ ხვრელში ნივთიერება **სტიბიუმის** აღმოჩენამ ზღვარი დაუდო ნასროლის მანძილზე ყოველგვარ მაქინაციებს, დეზინფორმაციებსა და ტყუილებს. როსტოვის ექსპერტიზის დასკვნაში სტიბიუმის აღმოჩენის საფუძველზე ჩაწერილია თანამედროვე მსოფლიო კრიმინალისტიკისთვის სტანდარტული, ტიპობრივი დასკვნა, რომ: «ცეცხლნასროლი დაზიანება შესაძლოა მიყენებული ყოფილიყო **ახლო მანძილიდან, ჭვარტლის მოქმედების ფარგლებში,** არ არის გამორიცხული, რომ **მიბჯენითთან მიახლოებული მანძილიდან.**»

19.08. ◈ თუ გასროლა ზვიად გამსახურდიამ განახორციელა, რატომ არ იყო დენთის კვალი მის ხელებზე?

მორიგი, კრიმინალისტიკასა და საღ აზრთან შეუთავსებელი და არსით კომიკური პასაჟი კომისიის დასკვნაში.

ამ პასაჟში კიდევ ერთხელ ჩანს კომისიის პროფესიული უსუსურობა და ზოგადი სიბრიყვე – კომისიას დილეტანტურად ჰგონია, რომ პისტოლეტის გასროლის შემდეგ მსროლელის ხელზე რჩება შეუიარაღებელი თვალისთვის შესამჩნევი რაღაც დამახასიათებელი კონტრასტული კვალი, ანაბეჭდი.

კომისიის წევრებს ეტყობათ, რომ არასოდეს უსვრიათ პისტოლეტიდან და შემდეგ არასოდეს დაუთვალიერებიათ საკუთარი ხელები. კომისიამ არ იცის, რომ პისტოლეტის მსროლელის ხელზე დენთის კვალის აღმოჩენა მხოლოდ სპეციფიური საგამომძიებლო პროცედურით არის შესაძლებელი – რაც რა თქმა უნდა არასოდეს ჩატარებულა ზ.გამსახურდიას მიმართ.

ზ.გამსახურდიას ცხედრის ხელებზე დენთის კვალის თვალით დანახვა მით უმეტეს შეუძლებელი იყო 1994 წლის გადასვენებისას, იმიტომ რომ დასაფლავებამდე გამსახურდიას ცხედარი საგულდაგულოდ „გააპატიოსნეს“-დაბანეს და ამას გარდა ხელების კანი (ისევე როგორც სახისა) ცხედარს დაფარული ჰქონდა ობის საკმაოდ სქელი ფენით.

19.09. ◈ სად არის იარაღი, რომლისგანაც გასროლა განხორციელდა?

აქ კომისია საკუთარსავე შემოგდებულ ინფორმაციას, ყალბ ცნობას ეკამათება, რამდენადაც იცის და წერს, რომ მარგველანმა და კეკენაძემ ეს იარაღები პრეზიდენტის სხვა ნივთებთან ერთად ჯონსონ კვარაცხელიას ეზოს შორიახლოს მიწაში ჩამარხეს. მით უმეტეს, რომ ამას კვარაცხელიაც ადასტურებს, რომელიც იმასაც ამბობს, რომ 1994 გაზაფხულზე მან ჩამარხული ნივთები მანანა არჩვაძის გამოგზავნილ პირებს გადასცა და, რომ ამ ნივთებს შორის იყო "სტეჩკინის“ პისტოლეტი.

თუმცა დოკუმენტის ქვეთავის შეკითხვაა: „სად არის იარაღი, რომლისგანაც გასროლა განხორციელდა?“, მაგრამ შემდგომ კომისია უკვე აღარ უღრმავდება საკითხს და აღარ ინტერესდება იმ „სტეჩკინით“, რომლითაც გასროლა განხორციელდა და რომელიც დადასტურებულად მანანა არჩვაძემ მიიტაცა – რამდენადაც მ.არჩვაძის მეტი გაღიზიანებისა მას ცეცხლივით ეშინია და ყურადღება ცბიერად გადააქვს სხვა, მცირეყალიბიან რევოლვერზე რომელსაც არავითარი როლი და ფუნქცია გამოძიებისთვის არ გააჩნია – მით უმეტეს როსტოვის ექსპერტიზის დასკვნის ფონზე – რომელმაც საბოლოოდ დაამტკიცა, რომ ჭრილობა მიყენებულია 9 მმ კალიბრის იარაღით.

19.10. ◈ სად არის ტყვია და მასრა, რომლისგანაც დაიღუპა პრეზიდენტი?

ქართველი საზოგადოებრიობისთვის კარგად ცნობილი და დოკუმენტირებულია, რომ გასროლილი მასრა ნაპოვნი იქნა და იგი პისტოლეტ „სტეჩკინთან“ ერთად ინახებოდა ჯიხაშკარში და ბოლოს ისინი მიიტაცა მანანა არჩვაძემ.

რაც შეეხება ტყვიას ანუ ტყვიის გულას – მისი მოძებნის დრო გამუდმებული დევნის პირობებში მყოფთ და რაც მთავარია ტექნიკური საშუალება (ლითონ საძებნი მოწყობილობა) გამსახურდიას თვითმკვლელობის მოწმეებს არ ჰქონდათ – ურომლისოდაც იატაკის ბზარებსა და ხვრელებში ან ლოგინის თეთრეულში – ლეიბებში, საბნებში, ბალიშებში და სხვ. შემალული ტყვიის გულას პოვნა მოცემულ სიტუაციაში პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

მეტიც – წესითა და კანონით ეს ძებნა უნდა განეხორციელებინა ან საერთაშორისო საგამომძიებლო ჯგუფს რომლის გამოგზავნის დიდი იმედიც მოწმეებს ჰქონდათ – ან გულდამწვარ და სიმართლით დაინტერესებულ გამსახურდიას ნათესავებსა და ახლობლებს თავად კოკოს ჩათვლით!

19.11. ◈ დასკვნა

ზემოთ საკმაოდ დაწვრილებით განვიხილეთ ის ხრიკები, ფალსიფიკაციები, გაყალბებები და ცრუ-პენტელობები, აგრეთვე დილეტანტური, ქარაფშუტული და არაპროფესიული მსჯელობები და დასკვნები – რომელთა მეშვეობითაც კომისიის ამ დოკუმენტის „დასკვნა“ მხოლოდ ის შეიძლება იყოს, რომ კომისიამ ყოველგვარი ხრიკი, სიყალბე, სიცრუე და დეზინფორმაცია გამოიყენა, რათა სააკაშვილის დავალება შეესრულებინა და მკვლელობის ვერსია ნებისმიერ ფასად „დაესაბუთებინა“.

ყველაზე არსებითი მაინც ისაა, რომ **კომისიის შემდგომ დასკვნებში ამ, პირველი დასკვნის მასალის უდიდესი ნაწილი გაქრა** – თუმცა ამას სულაც არ შეუშლია ხელი კომისიისთვის რათა მისი ეჭვები თვითმკვლელობის მიმართ კვადრატული მატების პროპორციით გაზრდილიყო.

დასანანი მხოლოდ ისაა, რომ არ არსებობს ეჭვმზომი ხელსაწყო – რათა უკეთ გავერკვეთ კომისიის ნამდვილი თუ ყალბი ეჭვების ძაბვაში!

20. ➤ საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის თავმჯდომარის, კონსტანტინე გამსახურდიას მეორე შუალედური მოხსენება

20.01. ◈ ბ. გუგუშვილის „განმშიფრავი“ წინასიტყვაობა[107]

კომისიის მეორე შუალედური მოხსენება იმ შოკისა და თავზარდაცემულობის ასახვა და შედეგია, რომელიც კომისიას თავს დაატყდა როსტოვის ცნობილი ექსპერტიზის აქტის მიღებისა და მისი გაცნობის შემდეგ – რომელმაც გააცამტვერა კოკოს გაპიარებული „დოკუმენტური“ პროპაგანდისტული ფილმიც „დინების საწინააღმდეგოდ“[108], კომისიის მთელი წინა პროპაგანდისტული პიარ კომპანიაც და საერთოდ დედაბოძი მოუშალა კომისიის მიერ შეკოწიწებულ „მკვლელობის ვერსიას“.

კომისიის დაბნეულობა და დავზარდაცემა როსტოვის ექსპერტიზის აქტით იმდენად დიდი იყო, ამ აქტმა იმდენად დასცა და მოშალა კომისიის მიერ რუდუნებით სიცრუესა და ფალსიფიკაციაზე აგებული „მკვლელობის მძაფრი ეჭვების“ საძირკვლები, რომ თავიდან, ჯერ – კომისია შეეცადა საზოგადოებრიობა გაებითურებინა და გაეპამპულებინა იმის მტკიცებით, თითქოს როსტოვის ექსპერტიზის აქტი „დაშიფრული“ ყოფილიყოს! საზოგადოებრიობაში ამ აზრის დასანერგად საქართველოს ტელევიზიის ყველა არხით გაპიარებული იქნა კოკო გამსახურდიას ევროპაში „მნიშვნელოვანი, მძიმეწონიანი“ ვიზიტი ევროპელი სპეციალისტების დახმარებით როსტოვის აქტის „განსაშიფრად“ (სინამდვილეში კი სახელმწიფოს ხარჯზე უცხოეთში მცხოვრები კოკოს ოჯახის მოსანახულებლად ჩასვლა).

როსტოვის აქტის „განშიფრვის“ აფერისტობა შემდეგ კომისიამ გულდაგულ მიივიწყა და საზოგადოებრიობასაც „მიავიწყა“. კომისიის საბოლოო დასკვნით დოკუმენტში უკვე არავითარი „დაშიფვრები“ და „განშიფვრებით“ აღარ ფიგურირებს.[109]

აქვე, მკითხველს კიდევ ერთხელ უნდა შევახსენო, რომ არაერთგზის შეპირების და დაფიცების მიუხედავად კომისიამ ისეც არ გააცნო საზოგადოებრიობას, არ გამოაქვეყნა როსტოვის ექსპერტიზის აქტისა და სხვა თანამდევი დოკუმენტების რუსული დედანი – რაც იმის მართლაც რომ ფრიად სერიოზულ ეჭვს ბადებს, რომ კომისიის მიერ გაკეთებული ქართული თარგმანი „გალამაზებულ-შელამაზებულია“ და ან ტექსტის რაღაც ნაწილები კომისიის მიერ გასაიდუმლოებული და მიმალულია.

20.02. პატივცემულო კოლეგებო,

2010-06-29

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის პირველი შუალედური მოხსენების წარმოდგენიდან რამდენიმე თვის შემდეგ, მაქვს პატივი, კვლავ წარვდგე თქვენს წინაშე – ამჯერად, მეორე შუალედური მოხსენებით - და მოგახსენოთ იმ საქმიანობის შესახებ, რომელიც კომისიამ პირველი შუალედური მოხსენების შემდგომ პერიოდში ჩაატარა, აგრეთვე იმ გეგმების შესახებაც, რომლებიც უახლოეს მომავალში გვსურს, რომ განვახორციელოთ.

---

107 ◈ – ამ ნიშნით მონიშნულია ბესარიონ გუგუშვილისეული ტექსტები.

108 ფილმი იხ. DVD-ზე: Video/kokos_dinebis-sacinaagmdegod.flv

109 იხ. ვიდეო დოკუმენტი DVD-ზე: Video/kokos_komisia_ganshifrva_28-04-2010.mp4

შეგახსენებთ, რომ პირველი შუალედური მოხსენების მთავარი აზრი ის იყო, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალების ყურადღებით შესწავლის შედეგად გამოვლინდა მთელი რიგი არსებითი და აშკარა წინააღმდეგობებისა საქმეში არსებულ მოწმეთა ჩვენებებს და სხვა მტკიცებულებებს შორის, რომელთა საფუძველზეც კომისიამ თავს უფლება მისცა სერიოზული ეჭვი შეეტანა ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის დღემდე გავრცელებული ვერსიის მართლზომიერებაში და, უფრო მეტიც, პრაქტიკულად გამოერიცხა კიდეც ასეთი ვერსიის შესაძლებლობა.

განვლილ პერიოდში ჩატარებულმა მუშაობამ **ჩვენი ეს რწმენა**[110] **კიდევ უფრო გაამყარა.** არსებობს რამდენიმე მტკიცებულება, რომლებიც ამგვარი განცხადების გაკეთების შესაძლებლობას გვაძლევს. ნება მიბოძეთ მოკლედ შევეხო თითოეულ მათგანს:

20.03. (1)

განვლილი პერიოდის განმავლობაში, კომისიამ, ოფიციალურად გამოითხოვა რუსეთის ფედერაციის სათანადო უწყებებისაგან და მიიღო კიდეც, რუსეთის ქალაქ დონის როსტოვში ზვიად გამსახურდიას ნეშტზე 2007 წლის მარტში ჩატარებული სასამართლო - სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა. აღნიშნული ექსპერტიზის თანახმად, რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება იქნა დადგენილი. კერძოდ:

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი გვამის ნარჩენები ნამდვილად ზვიად გამსახურდიას გვამის ნარჩენებია;

გვამს თავის ქალის არეში აღენიშნება გამქოლი ცეცხლსასროლი დაზიანება, რომლის შემავალი ჭრილობა მდებარეობს მარჯვენა საფეთქლის მიდამოებში, ხოლო გამომავალი ჭრილობა მარცხენა საფეთქლის არეში[111];

ნატყვიარი არხის მიმართულებაა: მარჯვნიდან მარცხნისაკენ, **რამდენადმე** ზევიდან ქვევით და **რამდენადმე** წინიდან უკან[112];

გასროლა შეიძლებოდა მომხდარიყო **ახლო მანძილიდან, გამორიცხული არ არის, <u>მიბჯენით გასროლასთან მიახლოებული მანძილიდანაც</u>**[113];

შემავალი ჭრილობის დიამეტრი დაახლოებით 9 მმ-ია[114];

თავის ქალა მთლიანი სახით კი არ იქნა წარმოდგენილი, არამედ მისი სტრუქტურის აღდგენა მოხდა თავის ქალის სამი ძირითადი ფრაგმენტის შეერთების გზით; ამასთან მოტეხილობის ხაზები, რომლებიც ამ ფრაგმენტებს ერთმანეთისგან ყოფს, არასწორია და მათ ალაგ - ალაგ აკლია საძვლე ქსოვილი[115];

მრავალმხრივი დაზიანებები იქნა აღმოჩენილი ზვიად გამსახურდიას სხეულზეც. კერძოდ, ექსპერტიზის თანახმად, დადგენილია, რომ ზვიად გამსახურდიას ნარჩენებს აღენიშნებოდა VII და VIII მარცხენა ნეკნების და II მარჯვენა ნეკნის არასრული მოტეხილო-

---

110 ნიშანდობლივია „**რწმენაზე**“ საუბარი... – კიდევ უფრო ძლიერი იქნებოდა „**მკვლელობის სარწმუნოებაზე**“ აქცენტი...

111 ანუ – შესანიშნავად დადასტურდა, რომ ზ.გამსახურდიას სიკვდილის თვითმხილველები შემავალი და გამავალი ხვრელების მდებარეობაზე სრულ სიმართლეს ამბობდნენ – ხოლო კომისია კი უსინდისოდ და ძალუმად სიცრუეს და ცილისწამებას ავრცელებდა.

112 როსტოვის ექსპერტიზის აქტში წერია: несколько.

113 ანუ – შესანიშნავად დადასტურდა, რომ ზ.გამსახურდიას სიკვდილის თვითმხილველები სრულ სიმართლეს ამბობდნენ – ხოლო კომისია კი უსინდისოდ და ძალუმად სიცრუეს, ცილისწამებას ავრცელებდა. როსტოვის კომისიის დასკვნაში მითითებული მანძილი უაღრესად დამახასიათებელია თვითმკვლელობისთვის და მაღალი სტატისტიკური სიხშირით ვლინდება.

114 ანუ – შესანიშნავად დადასტურდა, რომ ზ.გამსახურდიას სიკვდილის თვითმხილველები სრულ სიმართლეს ამბობდნენ როცა თვითმკვლელობის იარაღად 9 მილიმეტრია „სტეჩკინს“ ასახელებდნენ – ხოლო კომისია კი უსინდისოდ და ძალუმად სიცრუეს და ცილისწამებას ავრცელებდა – თითქოს შემავალი ხვრელის დიამეტრი საეჭვოდ ხდიდა „სტეჩკინის“ გამოყენებას.

115 ძალზე არსებითი ფაქტორია – ამტკიცებს, რომ ცხედარი, ჩონჩხი გროზნიში, საფლავშივე დაზიანდა და დაიმტვრა! რომ ჩონჩხის ნაწილები დალეწილ-დამსხვრეული კუბოდან გადაიყარა და ექსჰუმაციის დროს მათი შეკრება ვერ მოხერხდა. თორემ თავისქალის საძვლე ქსოვილი რომ კლებოდა ამას გადასვენების დროს შენიშნავდნენ ქუთაისშიც და დაბანა-გაპატიოსნებისას გროზნოშიც!

ბა - ბზარი; VIII მარცხენა და III-X მარჯვენა ნეკნების სრული მოტეხილობა; ბოქვენის ძვლის ზედა განშტოებისა და მარცხენა მენჯის ძვლის ქვედა განშტოების მოტეხილობა.

ექსპერტიზის შედეგად დადგენილი გარემოებები გარკვეული დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა:

კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ გასროლას ვერ განახორციელებდა თავად ზვიად გამსახურდია. ზემოდან ქვემოთ და წინიდან უკანისკენ მიმავალი გამჭოლი დაზიანება თავის ქალის მიმართ იარაღის ლულის ისეთ პოზიციაზე მიუთითებს, რომლისგანაც საკუთარი თავის მიმართ გასროლის განხორციელება ფიზიკურად შეუძლებელია[116];

ყურადღებას იპყრობს ნეკნების და სხვა ძვლების დაზიანებებიც. ექსპერტიზის ავტორები ვარაუდობენ, რომ ეს დაზიანებები შესაძლოა გრუნტის სიმძიმის ქვეშ კუბოს ფიცრების დაწოლის შედეგად წარმოიშვა. **თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ ისინი ფიზიკური ძალადობის შედეგიც ყოფილიყო**[117].

20.04. (2).

მართალია, მოწმეები, რომლებიც ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების დროისთვის მის გვერდით იყვნენ, გადაჭრით ირწმუნებიან, რომ ზვიად გამსახურდიამ მარჯვენა საფეთქლის არეში ერთი გასროლის განხორციელებით მოიკლა თავი, ამგვარი ჩვენებების მართებულობას და სისწორეს ასევე გამორიცხავს რამდენიმე მტკიცებულება, რომელთა ერთობლიობა და ურთიერთშეჯერებითი ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ სინამდვილეში ადგილი შეიძლებოდა ჰქონდა არა ერთ, არამედ ორ გასროლას[118].

უპირველეს ყოვლისა, ვიდეოფირზე, რომელიც გადაღებულ იქნა 1994 წლის 17 თებერვალს და, რომელზედაც აღბეჭდილია სოფელ ჯიხაშკარში ზვიად გამსახურდიას პირველი დაკრძალვის ადგილიდან ამოსვენებული კუბო, შიგ ჩასვენებული ზვიად გამსახურდიას ცხედრით, სრულიად აშკარად ჩანს, რომ გვამს ნიკაპის ქვემოთ, ცენტრიდან ოდნავ მარჯვნივ აღენიშნება ოვალური ფორმის ჩაღრმავებული დაზიანება. აწ განსვენებული ცნობილი ქართველი მეცნიერ - პათანატომის, აკადემიკოს თამარ დეკანოსიძის აზრით ეს იყო მეორე ცეცხლსასროლი შემავალი ჭრილობა, რომლის შესაბამისი გამომავალი ჭრილობა კისრის ან თავის ქალის უკანა ქვედა არეში უნდა არსებულიყო. უნდა აღინიშნოს, რომ ქალბატონი თამარ დეკანოსიძე იმ კომისიის წევრიც იყო, რომელმაც დაათვალიერა ზვიად გამსახურდიას გვამი 1994 წლის 17 თებერვალს და შეადგინა ამავე დღით დათარიღებული ოქმი.

ქალბატონი თამარ დეკანოსიძის ამ ვარაუდს ეხმიანება მოწმე კარლო ღურწკაიას ჩვენება, რომელიც მან გამოძიებას 1999 წლის 5 თებერვალს მისცა. კერძოდ, კარლო ღურწკაია ამბობს: «როდესაც ხელი მოვკიდე ზ. გამსახურდიას ცხედარს, იგი ჯერ კიდევ თბილი იყო, ხელი თავზე მოვკიდე და ვიგრძენი როგორ ჩამივარდა, კერძოდ, თავის ქალის უკანა მარცხენა ადგილას დიდი დაზიანება აღენიშნებოდა, ძვალი გატეხილი იყო. მივხვდი, რომ ეს გამოსასვლელი ხვრელი იყო.” ხოლო მისი მეუღლე, ლუდმილა ღურწ-

---

116 მე მსოფლიო კრიმინალისტიკის გამოცდილებიდან და ფაქტოგრაფიიდან საკმარისზე მეტი და მასობრივი მასალა მოვიტანე ამავე წიგნში რომელიც ცალსახად და მტკიცედ ადასტურებს, რომ ზუსტად ისეთი და იმ ტიპის გასროლის შედეგად რომელიც დაფიქსირებული იქნა როსტოვის ექსპერტიზის მიერ ზ.გამსახურდიას ნეშტის მიმართ მსოფლიოში ყოველწლიურად ასობით თვითმკვლელი იღუპება!

117 ეს „თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ ისინი ფიზიკური ძალადობის შედეგიც ყოფილიყო“ – რომელიც კომისიამ თვალთმაქცურად „მიაწება“ როსტოვის ექსპერტიზის დასკვნას – სინამდვილეში როსტოვის დასკვნაში არ წერია! ამ თვალთმაქცობით კომისია ცდილობს მკითხველი დაარწმუნოს, ვითომც როსტოვის დასკვნაშიც არის გამოთქმული ეჭვი ჩონხხის ფიზიკური ძალადობის შედეგად დამტვრევის შესახებ.

118 არავითარი სერიოზული და მოწმეების სანდოდ დასაბუთებული ინფორმაცია და ცნობები ორი გასროლით ზ.გამსახურდიას მოკვლის შესახებ კომისიას არ გაჩნია – **მეტიც, პრაქტიკულად ყველა მოწმე**, რომელსაც კი საშუალება ჰქონდა ახლოდან დაეთვალიერებინა ცხედარი, განსაკუთრებით კი მისი სიკვდილიდან მოკლე ხანში (მათ შორის ყველაზე ძვირფას მოწმეს ექიმ ჯალაღონიას) ან გროზნოს პროზექტურაში ცხედრის გასინჯვა–გაპატიოსნებისას ზ.გამსახურდიას შვილების ჩათვლით (ჩემთვის ზუსტად ცნობილია რომ ცხედარი პროზექტურაში დაათვალიერა გიორგიმ რაზეც პირადი საუბარი გვქონდა) – **ერთხმად აცხადებს, რომ არავითარი სხვა ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა ცხედარს არსად არ შეემჩნეოდა**. ერთადერთი ცრუპენტელას, თორიას სიცრუე კი ამავე წიგნში ცალსახადაა მხილებული ქვემოთ!

კაია-აბშილავა ადასტურებს, რომ იმ ღამეს, როდესაც დაიღუპა პრეზიდენტი, გაიგონა ორი გასროლის ხმა. **კომისიამ ეს ცნობა რამდენიმე დღის წინ მოიპოვა**[119].

დეკანოსიძის განცხადებას და ღურწკაიას ჩვენებას ასევე ადასტურებს კიდევ ერთი პირი[120], რომელმაც განმარტებები მისცა კომისიასაც და ასევე გააკეთა საჯარო განცხადებები მედიაში (იხ. მაგალითად, "რუსთავი-2"-ის 2010 წლის 27 აპრილის საღამოს 9 საათიანი «კურიერის» გამოშვება და ასევე გაზეთ «კვირის პალიტრის» 2010 წლის 3-9 მაისის გამოშვება). ეს პირი ირწმუნება, რომ მან თავად დაათვალიერა ზვიად გამსახურდიას გვამი მისი გროზნოში ჩასვენების შემდეგ და ადასტურებს, რომ თავის არეში გვამს ორი შემავალი ცეცხლსასროლი ჭრილობა ჰქონდა, მათ შორის ერთი ნიკაპის ქვედა არეში, რომლის გამომავალი ჭრილობა კისრის არეში იყო.

მეორე ცეცხლსასროლი ჭრილობის არსებობაზე არაფერს ამბობს როსტოვის ექსპერტიზის დასკვნა. უფრო მეტიც, დასკვნაში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ გვამს თავის ქალის არეში აღენიშნება ერთი ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული გამჭოლი დაზიანება. მაგრამ გარკვეული მიზეზების, მათ შორის პოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ როსტოველი ექსპერტი შესაძლოა შეგნებულად დუმდეს ამ მეორე ჭრილობის შესახებ[121]. თუმცა, მეორე მხრივ, ეს ფაქტი შესაძლოა იმითაც აიხსნას, რომ როსტოვში ექსპერტიზა ზვიად გამსახუდიას გვამს გარდაცვალებიდან 13 წლის შემდეგ ჩაუტარდა, როდესაც ზვიად გამსახურდიას ცხედრის ნარჩენები, იმავე ექსპერტიზის თანახმად, სრული სკელეტიზაციის პირობებში იმყოფებოდა. ამავე დროს, ნიკაპს ქვემოთ შესულ და კისრის არეში გამოსულ ტყვიას შეეძლო საერთოდ არ დაეზიანებინა თავის ქალის ძვლოვანი არე და მთლიანად სხეულის რბილი ქსოვილი დაეზიანებინა[122]. ასეთ შემთხვევაში ჩონჩხის მდგომარეობაში არსებულ ნარჩენებზე ასეთი კვალის არსებობა ბუნებრივია შეუმჩნეველი დარჩებოდათ ექსპერტიზის ჩამტარებელ პირებს. მაგრამ თუნდაც გამოსვლისას რომ ტყვია შეხებოდა თავის ქალის ძვლოვან ნაწილს, მისი ნაკვალევის ლოკალიზაცია შესაძლოა მაინც შეუძლებელი ყოფილიყო, თავის ქალის გარკვეული ფრაგმენტების სრული განადგურების გამო. აქედან გამომდინარე, **როსტოვის ექსპერტიზის დასკვნაში მხოლოდ ორი – შემავალი და გამომავალი ცეცხლსასროლი ჭრილობების არსებობა ვერ შეარყევს**[123] ზემოთ აღწერილი მტკიცებულებების საფუძველზე ჩამოყალიბებულ მყარ ვარაუდს, რომ ზვიად გამსახურდიას თავის ქალის არეში განხორციელებულია არა ერთი, არამედ ორი გასროლა.

---

119 ეს **სენსაციური „მოპოვებული“ ცნობაც** კომისიას შემდგომ დაეკარგა, შემოეძარცვა და დასკვნით დოკუმენტში უკვე აღარ ჩანს, მაგრამ ჩვენ მასზე ყურადღება უნდა გავამახვილოთ, როგორ ძალი–ძალაზე და ნებისმიერი გაიძვერობის ფასად მკვლელობის ვერსიის დასაბუთების მცდელობის კიდევ ერთ ფაქტს.

120 ეს „უხსენებელი“ პირი, რომლის მოროშილი სიცრუეები და ზღაპრები კომისიამ ეგრერიგად მზადყოფნით ჩართო ამ დოკუმენტში – აგრეთვე ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ კომისია მზადაა ნებისმიერი ბინძური მონაჩმახი აიტაცოს ოღონდ კი ეს მკვლელობის მისთვის დავალებულ ვერსიას ამაგრებდეს! ხოლო ხსენებული „ერთი პირი“ არის გაიძვერა სოსო თორია, რომლის მიერაც ინტერვიუებში გამოთქმული მტკნარი სიცრუე ქვემოთაა დეტალურად **მხილებული**.

121 „პოლიტიკური“ ფაქტორი რატომღაც მხოლოდ ახლაღა გაახსენდა კომისიას – სხვა როსტოვის ექსპერტიზის მთელს შინაარსში მხოლოდ იქ გამოაჭყიტა „პოლიტიკურმა“ ფაქტორმა სადაც და რომელიც მკვლელობის ვერსიას ვერაფრით ამაგრებს.

122 ეს ალბათ კომისიის **ყველაზე ბრიყვული, ბავშვური და უსუსური მსჯელობა და მოსაზრებაა** – საკმარისია ნახოთ ადამიანის თავკისრის ჩონჩხის მულაჟი ან თუნდაც თავკისრის ჩონჩხის სურათი, რომ იოლად დარწმუნდეთ – ტყვია ვერც ერთი ტრაექტორიით ისეთ ხშირ, მჭიდრო და ინტენსიური ძვლოვან–ხრტილოვან სტრუქტურაში გამჭოლად ვერ გაივლიდა ნიკაპის ქვემოდან კისრის არეში მის დაუზიანებლად. ამ შემთხვევაში კომისია ამსუბუქებულად ატაცებულია გაიძვერა სოსო თორიას შეგდებული სიცრუით. – იხილეთ აგრეთვე ამ წიგნის ბოლოში თავი „ზ.გამსახურდიას ხორხის ხრტილები და ენისქვეშა ძვალი დაუზიანებელი აღმოჩნდა“

123 არათუ როსტოვის დასკვნა – საერთოდ ვერაფერი შეარყევს – არა მხოლოდ კოკოს, არამედ ზ.გამსახურდიას მთელი ოჯახის დაუოკებელ სწრაფვას გამორჩენისა და სპეკულაციური მიზნებით, ზ.გამსახურდიას ერთგული კანონიერი ხელისუფლების წევრთათვის სახელის გატეხის მიზნით ექსპლუატაცია გაუწიოს მკვლელობის ვერსიას! – კოკოსგან განსხვავებით მანანა არრვაძემ ჩემს წინაშე ეს უფრო დაუფარავად და თამამად წარმოთქვა: „მე არ მაწყობს თვითმკვლელობა“!

ბუნებრივია, რომ **ორი შემავალი და ორი გამომავალი ცეცხლსასროლი ჭრილობის არსებობა აბსოლუტურად გამორიცხავს თვითმკვლელობას.** <u>სხვა რომ არაფერი, მარტო ეს გარემოება იქნებოდა საკმარისი</u>[124] იმისათვის, რათა დაგვესკვნა, რომ ზვიად გამსახურდია არა საკუთარი ხელით, არამედ სხვა პირის ხელით განხორციელებული გასროლების შედეგად გარდაიცვალა.

20.05. (3)

ამ კონტექსტში მართებული იქნება გავიხსენოთ, რომ 1994 წლის 17 თებერვლის გვამის დათვალიერების ოქმის თანახმად, გვამს **თავის არეში სულ შვიდი დაზიანება აღენიშნებოდა**[125]. ეს ნაწილობრივ ჩანს <u>ვიდეოფირზეც</u>[126]. კერძოდ, წინა პუნქტში აღნიშნული დაზიანებების გარდა <u>ვიდეოფირზე</u> აშკარად მოჩანს, რომ გვამს აქვს ცეცხლსასროლი ჭრილობის მსგავსი კიდევ ერთი დაზიანება მარცხენა ყვრიმალის მიდამოებშიც. ამ და კიდევ სხვა დაზიანებების წარმოშობასა და ხასიათზე რატომღაც დღემდე არავინ საუბრობდა. ბუნებრივია, რომ ვერავითარი გამოძიება ვერ იქნება სრულყოფილი, თუ არ იქნა დადგენილი ეს გარემოებებიც.

20.06. (4)

მთლად ცალსახად არ არის დადგენილი ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების დღე-[127]. მოწმეები, რომლებიც ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების დროს მასთან იყვნენ, ირწმუნებიან, რომ ზვიად გამსახურდია გარდაიცვალა 1993 წლის 31 იანვარს ღამის პირველის ნახევარზე. იგულისხმება ღამე, როდესაც დასრულდა 30 იანვარი და უნდა გათენებულიყო 31 იანვარი. ამავე დროს, არსებობს რამდენიმე მოწმე (მამრიკო ზარანდია, გულიკო ტიბუა და სხვები), რომლებიც გადაჭრით აცხადებენ, რომ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების შესახებ მათ 30 იანვარს შეიტყვეს[128].

შესაძლებელია, რომ ამ მოწმეებს კარგად არ ახსოვდეთ ზუსტი დღე, როდესაც მათ გაიგეს ამ ფაქტის შესახებ; მაგრამ თუ ამ მოწმეებს მეხსიერება ნამდვილად არ ღალატობთ, მაშინ ადგილი აქვს ორიდან ერთ გარემოებას:

1) ან ზვიად გამსახურდია მართლაც 30 იანვარს გარდაიცვალა და არა 31 იანვარს, ხოლო მოწმეები, რომლებიც საპირისპიროს აცხადებენ, ამ შემთხვევაშიც ცრუობენ;

2) ანდა, ზვიად გამსახურდია 30 იანვარს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მაგრამ ხმები მისი გარდაცვალების შესახებ უკვე გავრცელდა.

ამ ორი შესაძლებლობიდან უფრო მეტად სავარაუდოა პირველი, რადგან გარდაცვალების შესახებ ცნობების დაყოვნება შესაძლოა კვალის დაფარვის მიზნით ყოფილიყო მოტივირებული. ასე მაგალითად, რობინზონ მარგველანმა პრეზიდენტის გარდაცვალების ამბავი დაუმალა დეპუტატ ვალტერ შურღაიას[129], რომელიც 31 დეკემბერს პრეზიდე-

---

124 ეს, სანუკვარი „საკმარისი გარემოება“ ვერ განხორციელდა. კომისიისთვის სავალალოდ, მან ვერაფ–რით ვერ დაასაბუთა და დაამტკიცა „ორი ნატყვიარის“ ეს „საკმარისი“ გარემოება – თუმცა ძალისხმევა და ყოველგვარი ბინძური ხერხისა და ხრიკის გამოყენება არ ითაკილა.

125 კოკოს კომისია თვალთმაქცურად ცდილობს 50 დღის დამარხული და ორჯერ გადასვენებული ცხედრის ხრწნისა და ლპობის შედეგები გაუთანასწოროს მომაკვდინებელ ჭრილობებს, ნატყვიარებს.

126 ესეც თვალთმაქცობაა, რადგანაც ცხედარი საქართველოს პროკურატურის მიერ ფრიად მაღალხარის–ხოვანი ფოტომასალებით იქნა დოკუმეტირებული და ამდენად მცირე ხარისხიანი ვიდეო მასალის მოშვე–ლება კომისიას მხოლოდღა მის მიერ მოგონილი სიცრუის „სამტკიცებლად“ სჭირდება.

127 ეს მართლაც რომ მომაკვდინებელი გარემოებაა და მოწმობს კომისიის მცდელობაზე სრულ თავგზაბ–ნეულებამდე მიიყვანოს საზოგადოებრიობა. თურმე გარდაცვალების დღეც კი უცნობი და საეჭვო ყოფილა. და ეს მაშინ, როდესაც კომისია კაპიტალურად და ფუნდამენტურად ეყრდნობა ფრიად საეჭვო და სავსებით დაუსაბუთებელ ცნობებსა და ვაი–მოწმეების „ჩვენებებს“.

128 აქ მაგარია გამოთქმა „მთლად ცალსახად“, უნდა ვივარაუდოთ რომ გარდაცვალების დღე „ოდნავ ცალსახადაა“ დადგენილი. ზოგადად კომისია აქაც მისთვის ჩვეულ და მოხერხებულ მეთოდს იყენებს – მრავალრიცხოვანი მოწმეების ურთიერთ დამადასტურებელ, ობიექტურ ჩვენებაში „ეჭვი შეაქვს“ თითო–ოროლა არასანდო და მეზღაპრე ფსევდო–მოწმეების ნალაყბევისა და მონაჭორის საფუძველზე.

129 „– მე ჩემს მოსისხლე მტერსაც არ ვუსურვებ იმ მდგომარეობაში ყოფნას, როგორშიც ბესარიონი და რობინზონი არიან! თუ მართლები არიან და ამდენი ხნის მანძილზე ასეთი მოთმინებით იტანენ ამდენ

ნტთან შესახვედრად იყო დაბარებული[130]. თუმცა, გარკვეული მოტივი შეიძლება იმალებოდეს ცნობების ნაადრევად გავრცელებაშიც. მაგალითად, ასეთი გეგმის შემდგენელს და განმახორციელებელს შესაძლოა აინტერესებდეს საზოგადოებრივი აზრის მოსინჯვა მანამდე, სანამ გეგმას განახორციელებდეს.

ნებისმიერ შემთხვევაში თვით ის ფაქტი, რომ არც გარდაცვალების ზუსტი დღეა ზედმიწევნით დადგენილი და საქმეში ამ მხრივაც არსებობს გარკვეული შავი ლაქები, თავისთავად უკვე ბევრის მთქმელია. აქვე დავძენთ, კომისიის სხდომაზე მოწვეულმა პათანატომებმა, ბატონებმა ლევან ჩაჩუამ და ზაზა ოქრუაშვილმა აღნიშნეს, რომ გარდაცვლილს კუნთების სრული მოშვება ეწყება 72 საათის შემდეგ, რაც მიუთითებს, რომ პრეზიდენტის გარდაცვალების თარიღი არა 30-31, არამედ 28-29 დეკემბერია. ამავე დროს გარდაცვლილი პრეზიდენტის ცხედარს დაკრძალვამდე არაერთხელ შეუცვალეს პიჯაკი და პერანგი, რაც კუნთების გახევების შემთხვევაში პრაქტიკულად შეუძლებელია.

კომისიაზე მოწვეული მოწმეების ჩვენებიდან ასევე ირკვევა, რომ პარტიზანული მოძრაობის აქტივისტის, ბადრი ზარანდიას თავისი კუთვნილი, გია გულუას ნაჩუქარი "სტეჩკინის" სისტემის პისტოლეტი თვითონვე ჰქონია გარდაცვალებამდე, რაც გამორიცხავს მის მიერ პრეზიდენტზე ამავე სისტემის იარაღის ჩუქებას. პრეზიდენტისთვის ნაჩუქარი "სტეჩკინის" სისტემის იარაღი, რომელიც მას ზუგდიდში ვახტანგ (ლოთი) ქობალიას სახლში, ჩეჩნეთიდან ჩამოსვლის პირველსავე დღეს აჩუქა ერთ - ერთმა მებრძოლმა ავთო პაკელიანმა, კომისიაზე დაკითხული ერთ - ერთი მოწმის ჩვენებით, პრეზიდენტის გარდაცვალებამდე, ერთი კვირით ადრე, დაცვის ერთ - ერთმა წევრმა გადასცა სამეგრელოში, კერძოდ, ზუგდიდის რაიონში პრეზიდენტის ნდობით აღჭურვილ ერთ - ერთ ოჯახს. ეს ოჯახი კომისიისთვის ცნობილია.

კომისიის სხდომაზე მოწვეულმა ჯიხაშკარის ბატალიონის უფროსის მოადგილემ, გვარდიის მაიორმა ვახტანგ ზარანდიამ, რომელმაც ზვიად გამსახურდია 1993 წლის დეკემბერში კონსპირაციულად გადაიყვანა 2 ახალ სახლში, კერძოდ, ჯაღრასა და ჯიხაშკარში, განაცხადა შემდეგი:

პრეზიდენტს მისთვის გაუმხელია ძველი სამხედრო საბჭოს სრული შემადგენლობით დათხოვნის ფაქტი – იგულისხმება ვახტანგ - ლოთი ქობალია და მისი პირადი შემადგენლობა - და მის მიერ ახლად დანიშნული სამხედრო საბჭო, ასევე ახალი ტაქტიკის მონახაზი. აქედან ჩანს, რომ **პრეზიდენტს მკაფიო სამოქმედო გეგმა ჰქონდა,** თავისი **გაწერილი ვადებით,** რომლის განხორციელებასაც ფიქრობდა **გაზაფხულის დადგომისთანავე**[131]. ამასვე ადასტურებს თავის ჩვენებაში მოწმე ჯონსონ კვარაცხელიაც, რომლის სახლში დარჩენასაც პრეზიდენტი **გაზაფხულამდე** გეგმავდა[132].

ვახტანგ ზარანდიას ჩვენებით, სოფელ ჯიხაშკარში, ჯონსონ კვარაცხელიას კუთვნილ სახლში პრეზიდენტისა და მის თანმხლებ პირთა ყოფნა 27 დეკემბრამდე ატარებდა სრულიად კონსპირაციულ ხასიათს და იგი შეთანხმებისამებრ, ბატალიონის მეთაურის, გუჯუჯი ებრალიძის გარდა, არ უნდა სცოდნოდათ სხვა, უცნობ პირებს. მაგრამ მოხდა საპირისპირო რამ: ამ ოჯახში იგივე გუჯუჯი ებრალიძემ მოიყვანა სხვა სოფელში მცხოვრები ზაურ და ანატოლი ჩუხუები. სხვათა შორის, სწორედ ამ პირთაგან მომდინარეობს იდეა, პრეზიდენტი გადაეყვანათ ვითომდაც უფრო უსაფრთხო ადგილას სოფელ ძველ ხიბულაში, რაც სავალალო შედეგით დასრულდა. გუჯუჯი ებრალიძემ უცნობი პირების პრეზიდენტთან მიყვანის მიზეზად დაასახელა ინფორმაცია მისი უახლოეს მომავალში გარდაუვა-

---

ცილისწამებასა და ბრალდებას, მართლა საშინელებაა! მაგრამ“... (ვ.შურღაიას ინტერვიუ გაზ. „ასავალ-დასავალს“, 26 მარტი 2012).

[130] აქვეა მოწმის, ვახტანგ ზარანდიას ჩვენება, რომელიც ადასტურებს (რაც ყველა თანმხლებმა ვიცოდით), რომ ზ.გამსახურდიამ უარი თქვა შურღაიასთან შეხვედრაზე და მეტიც მას საჯაროდ მოღალატეს უწოდებდა.

[131] ამ შემთხვევაშიც გამოსჭვივის კომისიის სრული დაბნეულობა და იმ მომენტის არსის უცოდინრობა რომელზეც იგი მუშაობს. რა „მკაფიო გეგმები“ უნდა ჰქონოდა რამდენიმე კაცის-ღა იმედად დარჩენილ ტყე-ტყე მოხეტიალე ზ.გამსახურდიას? ან კიდევ – რომელ სამხედრო მოქმედებებზეა ლაპარაკი უმძიმესი დამარცხების პირობებში? ნუთუ კომისია თვლის რომ ზ.გამსახურდია გაგიჟდა?

[132] ეს კიდევ ერთი სისულელე – კვარაცხელიას სახლი ზ.გამსახურდიამ მიატოვა იმის გამო რომ ეჭვი იყო რომ ეს საფარი უკვე „გაყიდული“ იყო ან უახლოეს ხანში „გაიყიდებოდა“. – ასეთ ვითარებაში რა და რომელ „გაზაფხულამდე ყოფნაზე“ შეიძლებოდა სერიოზული საუბარი?

ლი დაპატიმრების შესახებ. გუჯუჯი ებრალიძის დაკავება ძალიან მალე, პრეზიდენტის ბოლო სახლში გადაყვანამდე მართლაც მოხდა. დაკავებიდან 3 საათის შემდეგ იგი პირადი თავდებობით ფოთის უშიშროებიდან გამოიყვანა აფხაზეთის უშიშროების სამსახურის ოფიცერმა, პრეზიდენტის დევნის ერთ - ერთმა ორგანიზატორმა გია მხეიძემ. სხვათა შორის, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჩანდეს, იგივე მხეიძე აქტიურად მონაწილეობდა პრეზიდენტის ცხედრის გადასვენებაში კვარაცხელიას სახლიდან ზარანდიას სახლში, ვითომდაც დამალვის მიზნით. ამას ადასტურებენ მოწმეები. ისინი ადასტურებენ იმასაც, რომ ხსენებული ოფიცერი თავისი აფხაზეთის ნომრიანი თეთრი "ნივით" პრეზიდენტის გადაადგილების თითქმის ყველა ე.წ. კონსპირაციულ სახლთან ჩნდებოდა. ხოლო გუჯუჯი ებრალიძე პრეზიდენტის გარდაცვალების შემდეგ სოფელ ჯიხაშკარის გამგებლადაც კი დაინიშნა.

ცნობისთვის, კარლო და ლუდმილა ღურწკაიების კუთვნილი ქუჩის პირას მდებარე ხის სახლი, თავისი მრავალი ფანჯრით და ეზოდან სამი შესასვლელი კარით, თვით არასპეციალისტის შეუიარაღებელი თვალით დანახულიც კი, არ აკმაყოფილებს უსაფრთხოების ელემენტარულ მოთხოვნებს[133].

კომისიის სხდომაზე ერთ-ერთმა მოწვეულმა მოწმემ[134] ასევე პირდაპირ მიუთითა პრეზიდენტის ლიკვიდაციის შემსრულებელზე. ასევე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი კომისიის მიერ დაკითხულ ჯონსონ კვარაცხელიას მიერ დადასტურებულ იქნა, რომ პრეზიდენტი სოფელ ჯიხაშკარიდან გაყვანილი იქნა 1993 წლის 28 დეკემბერს დაახლოებით 17 საათზე, როდესაც ჯერ კიდევ ბუნებრივი განათება იყო[135]. ხოლო სოფელ ძველ ხიბულაში პრეზიდენტის, კარლო და ლუდმილა ღურწკაიების სახლში მიყვანის დროს აფიქსირებენ 23 საათსა და 45 წუთს. გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ დაახლოებით 4 კილომეტრის გავლას ავტომანქანით დაახლოებით 6 საათი მოანდომეს. კომისიაზე ასევე დაკითხულმა დაცვის წევრმა, შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძემ, კითხვაზე, თუ ვინ გააჩერა ისინი გზაზე, პირდაპირ განუცხადა კომისიის წევრებს, რომ ახლა ამას ვერ გვეტყოდა. არადა, ინფორმაცია პიკეტზე პრეზიდენტის და მის თანმხლებ პირთა გაჩერების შესახებ ჯონსონ კვარაცხელიას კუთვნილი ჯიხაშკარის სახლის ძველი ხიბულას მიმართულებით დატოვების შემდეგ, მომდინარეობს ზაურ ჩუხუას ჩვენებიდან, რომელიც მან მისცა ჟურნალისტს ფილმისთვის "დინების საწინააღმდეგოდ". (2007 წ.)[136]

ზემოთ აღწერილი გარემოებები თავისთავად გვკარნახობს შემდეგი ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობას. უპირველეს ყოვლისა, გასარკვევია, რა სახისაა დაზიანებები, რომლებიც ზვიად გამსახურდიას გვამს ვიდეოფირის[137] მიხედვით აღენიშნება. არის თუ არა ნიკაპზე, მარცხენა ყვრიმალზე და მოწმეების თანახმად კეფის არეში არსებული დაზიანებები ცეცხლსასროლი იარაღის შედეგად მიყენებული ჭრილობები? ამ კითხვაზე საბოლოო პასუხის გასაცემად საჭიროა გარკვეული დამატებითი გამოკვლევების ჩატარება.

კომისიამ უკვე მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს თხოვნით, რათა გადმოეცეს მას საქმეში არსებული ყველა სახის ვიდეო, ფოტო და სხვა ვიზუალური მტკიცებულებები. იმედი გვაქვს, რომ ეს თხოვნა დროულად და სრულად დაკმაყოფილდება. ჩვენ იმავე უწყებას ასევე მივმართეთ თხოვნით, რათა გადმოგვცენ ზოგიერთი მოწმის დაკით-

---

133 გაშვეიცარულებულ კოკოსა და მის მაძღარ კომისიის წევრებს ეტყობა ჰგონიათ, რომ ზ.გამსახურდიას თავშესაფრის გარკვეული არჩევანი გაეჩნდა. ამ კანცელარიის ვირთხებისთვის ძნელი წარმოსადგენია, რომ დევნილი პრეზიდენტი აბსოლუტურად შეზღუდული იყო თავშესაფარი ბინის არჩევანში და უმეტესწილად ამ არჩევანის სიმრავლე უალტერნატივო ერთით შემოიფარგლებოდა.

134 კოკოს კომისიის ჩვეული ფანდი – ვიღაც ანონიმური „მოწმის“ მოშველიება. არსებითია ისიც, რომ ეს და მრავალი ასეთი „დროებითი, ერთჯერად ხრიკი“ კომისიის საბოლოო დასკვნაში აღარ ფიგურირებს.

135 ბუნებრივი განათების პირობებში ზ.გამსახურდიას შეიარაღებული ჯგუფის ღია სივრცეში გამოჩენა და კვარაცხელიას მთა-კორტოხზე დადგმული სახლიდან შარაგზაზე ჩამოსვლას მთელი სოფელი დაინახავდა – მით უმეტეს საღამოს ისეთ პერიოდში, რომელიც სოფელში ყველაზე გამოცოცხლებულია. – თუმცა საკანცელარიო ვირთხებით დაკომპლექტებულ კომისიისთვის ეს გაუგებარია.

136 მტკნარი, თითიდან გამოწოვილი სიცრუე – არავითარ გაჩერებას არავითარი შეიარაღებული დაჯგუფებისა თუ პირის მიერ ადგილი არ ჰქონია. ფილმი იხ. DVD-ზე:
Video/kokos_dinebis-sacinaagmdegod.flv

137 კვლავ უხარისხო ვიდეოფირზეა აკვიატება, მაშინ როდესაც პროკურატურის ძალზე ხარისხოვანი პროფესიული ფერადი და შავ-თეთრი ფოტოები არსებობს.

ხვის ოქმები, რომელთა ჯეროვნად შესწავლის საშუალება კომისიას ჯერ არ მისცემია, აგრეთვე მოგვცენ შესაძლებლობა შევისწავლოთ ზვიად გამსახურდიას საწოლის დაფაზე არსებული ნატყვიარის ბალისტიკური ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობა.

გარდა ამისა, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მოიპოვოს კომპეტენტური საექსპერტო დასკვნა, რომლის ფარგლებშიც შემოწმდება 1994 წლის 17 თებერვლის გვამის დათვალიერების ოქმის, როსტოვის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის, ვიდეოფირის მასალების და ზოგიერთი სხვა მტკიცებულებების ურთიერთშეჯერებითი ანალიზი, რის შედეგადაც საბოლოოდ უნდა მოხდეს ამ მტკიცებულებებს შორის არსებული წინააღმდეგობების აღმოფხვრა და საბოლოო ქეშმარიტების დადგენა[138]. **ამ მიზნით, კომისიამ დაამყარა კონტაქტი კომპეტენტურ ამერიკელ სასამართლო - სამედიცინო ექსპერტთან, რომელიც თანახმაა ჩაატაროს სათანადო სამუშაოები ჩვენს მიერ მისთვის გაგზავნილ მასალებზე. თუმცა, იგი ცხადია ამისათვის გარკვეულ ანაზღაურებას ითხოვს.** როგორც მე ამას წინათ პარლამენტის საორგანიზაციო ნაწილის ხელმძღვანელმა ბატონმა ჯანიაშვილმა განმიმარტა, პარლამენტს თურმე საამისოდ სახსრები არ გააჩნია.

მივმართავ საქართველოს პარლამენტის ხელმძღვანელობას, რათა დაინტერესდეს ამ საკითხით და გაარკვიოს, ნუთუ მართლა არ გააჩნია საქართველოს პარლამენტს არცთუ დიდი ოდენობის სახსრები, რათა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა იმის დასადგენად, თუ რა გახდა საქართველოს პირველი პრეზიდენტის გარდაცვალების მიზეზი. დიდი იმედი მაქვს, რომ პარლამენტის ხელმძღვანელობა ამ საკითხში კომისიას სრულ მხარდაჭერას გამოუცხადებს[139].

წინსვლა არის ძირეული დოკუმენტის შესავალ ნაწილთან დაკავშირებითაც. პროფესორმა იგორ კვესელავამ მოგვაწოდა ფასეული დასკვნა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დევნის ისტორიულ -პოლიტიკური ფონის და წანამძღვრების შესახებ. ეს წარმოადგენს ძირეული დოკუმენტის შესავალ ნაწილს, რამდენადაც გააზრებულია ისტორიულ - პოლიტიკურ ჭრილში და მოიცავს ექვს თემატურ ნაწილს:

ზვიად გამსახურდიას მოსვლა ხელისუფლების სათავეში, პირველი შედეგები და წინააღმდეგობები,

ზვიად გამსახურდია რეპრესიებისა და პროკურატურის სარკეში,

შევარდნაძე ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ,

შევარდნაძის მომხრეები ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ,

ზვიად გამსახურდიას გასაიდუმლოებული გარდაცვალების ვერსიები,

დასკვნები და რეკომენდაციები.

და ბოლოს, უნდა მოგახსენოთ, რომ ყველა დასახული გეგმის განხორციელებას კიდევ სჭირდება გარკვეული დრო. ამისათვის მივმართავ საქართველოს პარლამენტის ხელმძღვანელობას, რათა გააგრძელოს კომისიის საქმიანობის ვადა კიდევ ოთხი თვით[140].

მადლობას მოგახსენებთ ყურადღებისთვის.

კონსტანტინე გამსახურდია 29. 06. 2010წ.

---

138 და, რახან, ამერიკული კომპეტენტური ჭეშმარიტება ვერ დადგინდა – კომისიის მთელი ნამუშევარი ქართული არაკომპეტენტურების დონეზე დარჩა და წყალში გადაიყარა.

139 ეს არის სწორედ ის **ანეკდოტური შემთხვევა**, როდესაც საქართველომ, საქართველოს ხელისუფლებამ, რომელიც მილიონებს ხარჯავს უცხოელი როკ–მომღერლების კონცერტების მოსაწყობად – ვერ შეაგროვა 10.000 დოლარი „სიმართლის“ საყიდლად! თუ ეგრერიგად სურს სიმართლე კოკოს – გაეყიდა თავისი ერთ–ერთი ბინა და ეყიდა ამერიკული სიმართლე მამამისის სიკვდილის შესახებ! – უფასო სიმართლის მოყვარულები...

140 ეს ყველაზე ობიექტური და უეჭველი მომენტია ამ დასკვნაში რომელიც კოკოსთვის მომავალ მსუყე შემოსავლებს განაპირობებს.

21. ◈ კრიტიკული შენიშვნები და შეკითხვები საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის პირველი და მეორე შუალედური დასკვნების მიმართ[141]

1. კოკოს კომისიას ოფიციალურად ჰქვია „საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისია“, მაგრამ ამ კომისიის არც ერთ დოკუმენტში და კომისიის წევრების არც ერთ საჯარო გამოსვლაში **არ გაჟღერებულა თვითმკვლელობის დამადასტურებელი არც ერთი არგუმენტი – აგრესიული დაჟინებით მხოლოდ მკვლელობის ვითომ დამადასტურებელ ფაქტებსა და გარემოებებზეა გამახვილებული ყურადღება.**

შეკითხვა:

- ასეთი მკაფიოდ გამოხატული ცალმხრივობით და არაობიექტურობით ხომ არ იქცა ეს კომისია „საქართველოს პირველი პრეზიდენტის, **ზვიად გამსახურდიას მკვლელობის**(!) საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებით კომისიად“?

2. კოკოს კომისიას ოფიციალურად ჰქვია „საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისია“.

შეკითხვები:

- კომისიის დასახელებიდან გამომდინარე – არსებობს თუ არა ამ კომისიის შემადგენლობაში თუნდაც ერთი წევრი, რომელიც იმთავითვე (კომისიამდე და გამოძიებამდე) არ იზიარებდა გამსახურდიას მკვლელობის ვერსიას და ემხრობოდა თვითმკვლელობის ვერსიას? და – თუ არის კომისიის წევრი რომელიც ან ადრე ან ახლა ემხრობა თვითმკვლელობის ვერსიას – სად და როდის გამოთქვა მან თუნდაც მცირედი ეჭვი მკვლელობის ვერსიაში?
- ხომ არ მოწმობს კომისიის დაკომპლექტება მხოლოდ ისეთი ადამიანებით რომლებიც მტკიცედ არიან განწყობილნი რომ „გამსახურდია თავს არ მოიკლავდა“ კომისიის ცალმხრივობასა და არაობიექტურობაზე?
- აგროვებს თუ არა კომისია მასალებს ზ.გამსახურდიას თვითმკვლელობის დამასაბუთებელ ფაქტებსა და მასალებსაც – თუ მხოლოდ მკვლელობის დამასაბუთებელი მასალებისა და დოკუმენტების შეგროვებითაა გატაცებული?

3. პარლამენტის კუთვნილ კოკოს კომისიის ვებ გვერდზე გამოქვეყნებულია „საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის თავმჯდომარის, კონსტანტინე გამსახურდიას მეორე შუალედური მოხსენება“ – მაგრამ **არაა გამოქვეყნებული ამავე კომისიის პირველი მოხსენება** (იგი მოიპოვება მხოლოდ ამონარიდების სახით, 25.02.2010, რომლის შესაბამისადაც მას ვადა გაუგრძელეს).

შეკითხვა:

- **ამ ორ დოკუმენტს შორის დიდი და ძალზე არსებითი წინააღმდეგობებია** პირველ რიგში მკვლელობის ვერსიის საეჭვოობისა და ამ ვერსიის მიმართ კომისიის არაობიექტური დამოკიდებულების თვალსაზრისით, ხომ არ უნდა დაბადოს ამ ფაქტმა ეჭვი იმაში, რომ ახლა კომისია ცდილობს მიმალოს და

---

141 საგაზეთო ვერსია გამოქვეყნებულია გაზეთ „ასავალ დასავალში“ ნომრებში 2010 წლის 2 აგვისტოდან – 2010 წლის 23 აგვისტოს ჩათვლით. ასლი იხილეთ DVD-ზე: Documents/!_nakrebi_asavali_2010_gugushvili_100shekitxva.pdf

მიჩქმალოს „პირველი შუალედური დასკვნა“ მისი სრული არაადეკვატურობის, მიკერძოების, არაობიექტურობისა და არაპროფესიულობის გამო?

4. კოკოს კომისიის პირველ (შუალედურ) „დასკვნაში“ აღნიშნულია: კომისია ამტკიცებს, რომ: «1994 წლის 12 იანვარს ა.ბალუაშვილმა გამოიტანა დადგენილება დაკრძალვის ადგილიდან გვამის ამოღებისა და დათვალიერების შესახებ. აღნიშნული დადგენილება შესრულდა 1994 წლის 17 თებერვალს, როდესაც ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხაშკარში, ვალიკო ზარანდიას საცხოვრებელი სახლის ახლოს მდებარე დამხმარე ნაგებობიდან, მიწის ამოთხრის შედეგად, ამოსვენებული იქნა კუბო, ზვიად გამსახურდიას ცხედრით.»

ამავე დროს კარგად ცნობილია და შესანიშნავად დოკუმენტირებულია, რომ ზ.გამსახურდიას გროზნიში გადასვენების მიზნით(!) დაკრძალვის ადგილიდან ცხედრის ამოღება და დათვალიერება მოხდა პირველ რიგში და უმთავრესად გამსახურდიას ქვრივის (ოჯახის) მოთხოვნითა და გამსახურდიას გროზნიში გადასვენების საერთაშორისო კომისიის (ჩეჩნეთის ვიცე-პრემიერისა და პარლამენტის წევრების, ლიტვის პარლამენტის წევრებისა და ინგუში პოლიტიკოსის მონაწილეობით) მეთვალყურეობითა და ხელმძღვანელობით, გამსახურდიას ოჯახის წარმომადგენელთა მეთვალყურეობის ქვეშ – ხოლო ბალუაშვილის მხარემ არც კი იცოდა სადაა გვამი დასაფლავებული.

შეკითხვები:

- რატომ ამახვილებს კომისია ყურადღებას მხოლოდ ბალუაშვილის „დადგენილებაზე“ და სავსებით ჩქმალავს გამსახურდიას ოჯახისა და განსაკუთრებით გროზნიში გადასვენების საერთაშორისო კომისიის წვლილსა და პასუხისმგებლობას (რომელნიც გამსახურდიას თვითმკვლელობას აღიარებენ)?
- ხომ არ ასაბუთებს კიდევ ერთხელ კომისიის ეს ცალმხრივობა მის განსაკუთრებულ მიკერძოებულობას მხოლოდ მკვლელობის ვერსიის მიმართ და მის არაობიექტურობას?

5. კოკოს კომისიის პირველ (შუალედურ) „დასკვნაში“ მკვლელობის ვერსიის დამადასტურებელ ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ ფატორად განიხილება და დიდი ადგილი აქვს დათმობილი „**შემავალი ჭრილობის დიამეტრს“** და საბოლოოდ კი აღნიშნულია: «ზვიად გამსახურდიას ცხედარზე **შემავალი ჭრილობის დიამეტრი "სტეჩკინის“ პისტოლეტის კალიბრზე ნაკლები ყოფილა,** რაც ნიშნავს, რომ მარგველან – გვანცელაძის ვერსია, რომ გასროლა "სტეჩკინის“ პისტოლეტიდან მოხდა, არასწორია.»

შეკითხვა:

- მას შემდეგ, რაც როსტოვის ექსპერტიზის დასკვნამ კოკოს კომისიის ეს ერთ-ერთი ყველაზე „სერიოზული“ დებულება გააქარწყლა და დაადასტურა რომ „მარგველან – გვანცელაძის ვერსია“ სავსებით სწორი ყოფილა ანუ შემავალი ჭრილობის დიამეტრი სწორედაც რომ "სტეჩკინის“ პისტოლეტის კალიბრისა ყოფილა – რატომ არ მოუხადა კომისიამ საჯარო ბოდიში მარგველანსა და გვანცელაძეს საჯარო ცილისწამებისათვის და უნდობლობისათვის, ხოლო – ქართველ ხალხსა და ქართულ მას მედიას მიკერძოებული და ყალბი ინფორმაციის გავრცელებისთვის?

6. კოკოს კომისიის პირველ (შუალედურ) „დასკვნაში“ მკვლელობის ვერსიის დამადასტურებელ ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ ფატორად განიხილება თუ „**სად მდებარეობს გამომავალი ჭრილობა?**“ და კვლავ ეჭვებია გამოთქმული გამსახურდიას სიკვდილის მოწმეებისა და ცხედრის ჯიხაშკარში „გაპატიოსნება“-ბალზამირებისა და დამკრძალავთა პატიოსნების მიმართ.

შეკითხვა:

- მას შემდეგ, რაც როსტოვის ექსპერტიზის დასკვნამ კოკოს კომისიის ეს აგრეთვე ერთ-ერთი ყველაზე „სერიოზული“ დებულება გააქარწყლა და დაადასტურა რომ გამომავალი ჭრილობა სწორედ და ზუსტად იქ მდებარეობს სადაც მასზე სიკვდილის მოწმეები და ცხედრის ჯიხაშკარში „გაპატიოსნება“-

ბალზამირებისა და დამკრძალავები მიუთითებდნენ – რატომ არ მოუხადა კომისიამ საჯარო ბოდიში შესაბამის პირებს საჯარო ცილისწამებისათვის და უნდობლობისათვის, ხოლო – ქართველ ხალხსა და ქართულ მას მედიას მიკერძოებული და ყალბი ინფორმაციის გავრცელებისთვის?

7. კოკოს კომისიის პირველ (შუალედურ) „დასკვნაში“ მკვლელობის ვერსიის დამადასტურებელ ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ ფატორად განიხილება თუ „**რა მანძილიდან განხორციელდა გასროლა?**“ და კვლავ ეჭვებია გამოთქმული გამსახურდიას სიკვდილის მოწმეების ჩვენებათა და მათი პატიოსნების მიმართ და აღნიშნულია: «ფაქტობრივი მასალა მიბჯენით გასროლის ფაქტის დასამტკიცებლად აშკარად არასაკმარისია და მეტიც, წინააღმდეგობრივია.»

გასროლის მანძილზე სპეკულაციებია აგრეთვე კოკოს ფილმში „დინების საწინააღმდეგოდ“, სადაც აღნიშნული იყო, რომ თითქოს როსტოვის ექსპერტიზის დასკვნაში ეწერა (კადრში უჩვენებენ რაღაც რუსულ ტექსტს, ვითომ როსტოვის დასკვნისა, რომელიც იმ დროს კოკოს არ გააჩნდა) რომ ტყვია, რომელმაც მოკლა ზვიად გამსახურდია ნასროლი იყო „**50 სანტიმეტრის სიშორიდან**“.

შეკითხვა:

- მას შემდეგ, რაც როსტოვის ექსპერტიზის დასკვნამ კოკოს კომისიის ეს აგრეთვე ერთ-ერთი ყველაზე „სერიოზული“ დებულება გააქარწყლა და დაადასტურა რომ გასროლა განხორციელდა „**არა უშორეს 50 სანტიმეტრისა**“, გნებავთ „**50 სანტიმეტრზე უფრო ახლო მანძილიდან**“ და მეტიც, - **მიბჯენით გასროლის შესაძლებლობით** – რატომ არ მოუხადა კომისიამ საჯარო ბოდიში შესაბამის პირებს საჯარო ცილისწამებისთვის და უნდობლობისათვის, ხოლო – ქართველ ხალხსა და ქართულ მას მედიას მიკერძოებული და ყალბი ინფორმაციის გავრცელებისთვის?

8. კოკოს კომისიის პირველ (შუალედურ) „დასკვნაში“ მკვლელობის ვერსიის დამადასტურებელ ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ ფატორად განიხილება თუ „**როგორ მიაყენა თვითმკვლელმა თავის თავს სხვა დაზიანებები?**“ და კვლავ ეჭვებია გამოთქმული გამსახურდიას სიკვდილის მოწმეების ჩვენებათა და მათი პატიოსნების მიმართ იმ საბაბით, რომ ვითომ ცხედარს შეემჩნეოდა ნატყვიარი აგრეთვე ყელის არეში.

შეკითხვა:

- მას შემდეგ, რაც როსტოვის ექსპერტიზის დასკვნამ კოკოს კომისიის ეს აგრეთვე ერთ-ერთი ყველაზე „სერიოზული“ დებულება გააქარწყლა და დაადასტურა რომ ნეშტს აღმოაჩნდა მხოლოდ ერთი ნასროლის კვალი – რატომ არ მოუხადა კომისიამ საჯარო ბოდიში შესაბამის პირებს საჯარო ცილისწამებისათვის და უნდობლობისათვის, ხოლო – ქართველ ხალხსა და ქართულ მას მედიას მიკერძოებული და ყალბი ინფორმაციის გავრცელებისთვის?

ამ, „**ყელში არსებულ მეორე ნატყვიარ ჭრილობასთან**“ დაკავშირებით კოკოს კომისიის „მეორე შუალედურ მოხსენებაში“ აღნიშნულია, რომ: «დეკანოსიძის განცხადებას და ღურწკაიას ჩვენებას ასევე ადასტურებს კიდევ ერთი პირი, რომელმაც განმარტებები მისცა კომისიასაც და ასევე გააკეთა საჯარო განცხადებები მედიაში (იხ. მაგალითად, "რუსთავი-2"-ის 2010 წლის 27 აპრილის საღამოს 9 საათიანი «კურიერის» გამოშვება და ასევე გაზეთ «კვირის პალიტრის» 2010 წლის 3-9 მაისის გამოშვება). **ეს პირი** ირწმუნება, რომ მან თავად დაათვალიერა ზვიად გამსახურდიას გვამი მისი გროზნოში ჩასვენების შემდეგ და ადასტურებს, რომ თავის არეში გვამს ორი შემავალი ცეცხლსასროლი ჭრილობა ჰქონდა, მათ შორის ერთი ნიკაპის ქვედა არეში, რომლის გამომავალი ჭრილობა კისრის არეში იყო.»

და ეს მაშინ, როდესაც „პირი“ რომლის გვარიც კოკოს მოხსენებაში უხსენებელია და რომელმაც «გააკეთა საჯარო განცხადებები მედიაში (იხ. მაგალითად, "რუსთავი-2"-ის 2010 წლის 27 აპრილის საღამოს 9 საათიანი «კურიერის» გამოშვება)“» – ანუ სოსო თორია ტელეინტერვიუში საკუთარ თავზე ხელის დადებით(!) ზუსტად მიუთითებს, რომ ყელის არეში მის მიერ ვითომც შემჩნეული ნატყვიარის

„გამომავალი ჭრილობა იყო შედარებით დიდი, უკან ესე იგი ფუძის ძვალთან ახლო“. ანუ, ამ უხსენებელი მოწმის ჩვენებით, რომელსაც კოკოს კომისია ენთუზიასტურად ეყრდნობა „მეორე“ ტყვიას აუცილებლად უნდა დაეზიანებინა როგორც კისრის მალები, აგრეთვე – თავის ქალაც! და ეს მაშინ, როდესაც როსტოვის ექსპერტიზის დასკვნა არავითარ მეორე გამომავალ ჭრილობას თავის ქალაზე არ აღნიშნავს და არც კისრის მალების რაიმე დაზიანებას!

შეკითხვა:

- ხომ არ ნიშნავს ამგვარი „უხსენებელი“ მოწმეების ფრიად სადავო და საეჭვო „ჩვენებების“ ასეთი ენთუზიასტური და ინტენსიური გამოყენება კოკოს კომისიის მიერ, რომ კომისია უკიდურესად შეიზღუდა და ჩიხში მოექცა მკვლელობის ვერსიის დასაბუთებაში?

9. კოკოს ნდობით აღჭურვილმა, მისი პარტიის წევრმა ს.ბრეგაძემ „ქრონიკისთვის“ 04.05.2010 მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ «**გამსახურდია ჯერ აწამეს და შემდეგ მოკლეს... ცხედარს... ცალ ხელზე არა აქვს ფრჩხილები...**».

ამავე დროს, კომისიის „მეორე შუალედური მოხსენებაში“ სიკვდილამდე გამსახურდიას მხეცური წამების ეს ძალზე არსებითი – ცალ ხელზე ფრჩხილების არარსებობის ფაქტი სავსებით არაა მოხსენიებული.

შეკითხვა:

- რატომ და რა მიზნით მიიჩქმალა კომისიის „მეორე შუალედური მოხსენებაში“ გამსახურდიას წამებისას მისთვის ფრჩხილების დაძრობის ვითომ ფაქტი?

10. კოკო გამსახურდიამ არაერთხელ საჯაროდ განაცხადა, რომ როსტოვის ექსპერტიზის დასკვნა არის „დაშიფრული“ და რომ მან იგი **განსაშიფრად წაუღო გერმანელ სპეციალისტებს.**

შეკითხვები:

- ვინ არიან ეს „გერმანელი სპეციალისტები“?
- რომელ ფირმაში, კომპანიაში ან ორგანიზაციაში მუშაობენ ეს „სპეციალისტები“?
- შესაძლებელია თუ არა ამ „სპეციალისტებთან“ დაკავშირება კოკოს ცნობის რეალურობის გადასამოწმებლად და რა გზით შეიძლება?
- რატომ არ აქვეყნებს კომისია ამ „გერმანელი სპეციალისტების“ მიერ გაკეთებულ განშიფრვას?
- რაოდენი თანხა გადაეხადათ ამ „გერმანელ სპეციალისტებს“ და რა წყაროებიდან?

11. როსტოვის ექსპერტიზის დოკუმენტი უკვე ორ ეგზემპლიარად არსებობს საქართველოში და არც ერთი მათგანი არ არის გამოქვეყნებული.

შეკითხვა:

- რატომ არ აქვეყნებს კომისია როსტოვის ექსპერტიზის დოკუმენტის ორიგინალს?

ეს ეჭვს ბადებს, რომ დოკუმენტი შეიცავს ისეთ ფაქტებს, რომლებიც ადასტურებენ თვითმკვლელობას და ამითი არასასურველია კოკოს კომისიისათვის!

12. კოკოს კომისიის „მეორე შუალედური მოხსენებაში“ აღნიშნულია: «კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ გასროლას ვერ განახორციელებდა თავად ზვიად გამსახურდია. **ზემოდან ქვემოთ და წინიდან უკანისკენ** მიმავალი გამჭოლი დაზიანება თავის ქალის მიმართ **იარაღის ლულის ისეთ პოზიციაზე** მიუთითებს, რომლისგანაც საკუთარი თავის მიმართ გასროლის განხორციელება ფიზიკურად შეუძლებელია;»

შეკითხვა:

- რატომაა ყურადღება გამახვილებული მხოლოდ „იარაღის ლულის ისეთ პოზიციაზე“ და რატომ უგულველყოფს კომისია იმის შესაძლებლობას, რომ თავი სხეულზე ფრიად მოძრავი კისრის მალებითაა დაკავშირებული და,

რომ, ამდენად – შესაძლებელია თვითმკვლელს თავი ტანის მიმართ სავსებით გამართული არ ჰქონდა ანუ **თავი გადახრილი ჰქონდა?**

13. გაზეთ „ასავალ-დასავლისათვის“ (2010, 5-11 ივლისი) მიცემულ ინტერვიუში კოკო გამსახურდია აწ გარდაცვლილ ექიმ დავით ჯალაღონიაზე, რომელმაც ბალზამირება გაუკეთა ჯიხაშკარში გამსახურდიას ცხედარს, განაცხადა: «ფილმის (ფილმი „დინების საწინააღმდეგოდ“) შემქმნელი ჯგუფის წევრმა ნათია თოიძემ ინახულა ეს პიროვნება, **თუმცა, მასთან საუბრის ჩანაწერი არ არსებობს.** სხვათა შორის, როგორც ნათია იხსენებს, ბატონი ჯალაღონია, მძიმე ავადმყოფობის გამო, **შეკითხვებზე არაადეკვატურ პასუხებს სცემდა.**»

შეკითხვა:

- რატომ არ ჩაიწერა ფილმის გადამღებმა ჯგუფმა ასეთი მნიშვნელოვანი მოწმის საუბარი – რათა ხალხს საშუალება ჰქონოდა თვით გაეკეთებინა დასკვნა მისი პასუხების „არაადეკვატურობაზე“?

ამავე დროს – ექიმ ჯალაღონიას უაღრესად ფასეული და საინტერესო ინტერვიუ გამოქვეყნებული აქვს გაზეთ „მამულს“ (19, ოქტ., 2005. №19, გვ. 14.). ინტერვიუში ჯალაღონია პროფესიულად აღნიშნავს: «ზუსტად **მარჯვენა საფეთქლის ოდნავ დაბლა, თვალის გასწვრივ მოჩანდა შემავალი ტყვიის ადგილი** და **გამოდიოდა მარცხენა მხარეს, უკან, დვრილისებრ მორჩში** და ყველაფერი გამონგრეული ჰქონდა... იარაღი **ზედ საფეთქელზე არ იყო მიდებული, ოდნავ შორიდან არის ნასროლი...** თვალის გასწვრივ ძვალი დამტვრეული არ არის. დამწვარიც კი არ იყო, მაგრამ **დენთის ნაკვალევი შეიმჩნეოდა.**»

როსტოვის ექსპერტიზის დასკვნამ ბრწყინვალედ დაადასტურა ექიმ ჯალაღონიას სიტყვების ჭეშმარიტება და სიზუსტე!

შეკითხვა:

- ხომ არ გახდა ექიმ ჯალაღონიას სიმართლე, დადასტურებული როსტოვის ექსპერტიზის დასკვნით, და რომელიც არ აწყობს კოკოს კომისიას – იმის მიზეზი, რომ ამ ადამიანს ახლა კოკო „არაადექვატურად“ აცხადებს?

14. კოკოს კომისიის „მეორე შუალედური მოხსენებაში“ აღნიშნულია: «კარლო ღურწკაიას ჩვენება, რომელიც მან გამოძიებას 1999 წლის 5 თებერვალს მისცა. კერძოდ, კარლო ღურწკაია ამბობს: „როდესაც ხელი მოვკიდე ზ.გამსახურდიას ცხედარს, იგი ჯერ კიდევ თბილი იყო, ხელი თავზე მოვკიდე და ვიგრძენი როგორ ჩამივარდა, კერძოდ, **თავის ქალის უკანა მარცხენა ადგილას** დიდი დაზიანება აღენიშნებოდა, ძვალი გატეხილი იყო.“»

შეკითხვა:

- რატომ მიიჩნევს კომისია რომ ამ შემთხვევაში საუბარია რომელიღაც „მეორე“ ნატყვიარის ხვრელზე და არაა საუბარი სწორედ და ზუსტად იმ ერთადერთი ტყვიის გამოსასვლელ ხვრელზე – რომელსაც აღნიშნავდა ექიმი ჯალაღონია, სხვა მოწმეები და აღნიშნავს როსტოვის ექსპერტიზის დასკვნა – ყველა ესენი ერთხმად ადასტურებენ, რომ გამოსასვლელი ხვრელი სწორედ რომ თავისქალის **მარცხენა და უკანა ადგილას,** გნებავთ **- უკანა მარცხენა ადგილას** იყო?

15. კოკოს კომისიის პირველ (შუალედურ) „დასკვნაში“ მკვლელობის დამადასტურებელ მნიშვნელოვან ფაქტორად აღნიშნულია: **„თვითმკვლელმა მაყუჩი გამოიყენა?“** და წერია: «მაყუჩის არსებობა, თუ იგი მართლაც არსებობდა, კიდევ უფრო შეუძლებელს ხდის თვითმკვლელობის ვერსიას. ლოგიკურად თვითმკვლელს მაყუჩი არ ჭირდება. ეს ჩვეულებრივ, ჭირდება მკვლელს, რომელსაც სურს დროებით მაინც დაფაროს მკვლელობის ფაქტი.»

კომისიის პირველ (შუალედურ) „დასკვნაში“ აგრეთვე აღნიშნულია, რომ კომისია მკვლელობის ვერსიის გამაგრებად მიიჩნევს, რომ: «პრეზიდენტის მიმართულებით გასროლა განეხორციელებინა, მაგალითად, ზემოთ დასახელებულ სამ პირს შორის რომელიმეს (მარგველანი, გვანცელაძე, გუგუშვილი), ან თუნდაც სულ სხვა უცნობ პირს და შემდგომში თვითმკვლელობის იმიტაციის მიზნით, მკვლელობის იარაღი ჩაედო გარდაცვლილის ხელში.»

მაგრამ, კოკოს კომისია „მეორე შუალედური მოხსენებაში“ ზ.გამსახურდიას მკვლელების მიერ წამების, მრავალი მოტეხილობისა და ტრავმების მიყენების სრულიად ახალ და განსხვავებული ვერსის დამტკიცებას ცდილობს!

შეკითხვა:

- როგორ შეესაბამება სასტიკი და კომისიის აღწერით ზ.გამსახურდიას საკმაოდ ხანგრძლივი (და უნდა ვიფიქროთ **ფრიად ხმაურიანი)** წამების ეს „ახალი“ ვერსია, აგრეთვე „მეორე ნატყვიარის“ ვერსია, კოკოსა და კომისიის ადრინდელ საჯარო მტკიცებებს, რომ გამსახურდიას მკვლელი/ები ჩუმად, შეფარვით, შეპარვით მოქმედებდნენ? რომ – მიაძინეს გამსახურდიას თანმხლებები; რომ სანამ ამათ ეძინათ ესროლეს და შემდეგ ნასროლი პისტოლეტი ჩაუდეს ხელში; და სხვა მსგავსი ფანტასმაგორიები, რაც მრავლადაა კომისიის პირველ დასკვნასა და კომისიის წევრების საჯარო გამოსვლებში?

15. როგორც ცნობილია საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების ე.წ. პარლამენტმა 2005 წლის 11 მარტს მიიღო დადგენილება (N 1104-Iს) რომელშიც აღნიშნულია:

«1. საქართველოს პარლამენტი კვლავ ადასტურებს 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოსა და 1991 წლის 26 მაისს არჩეული საქართველოს პრეზიდენტის, აგრეთვე მათდამი დაქვემდებარებული სტრუქტურების (შეიარაღებული ძალების ჩათვლით) და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ლეგიტიმურობას სათანადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. შესაბამისად გადაისინჯოს სისხლის სამართლის საქმეები იმ პირთა მიმართ, რომელთა ბრალდება ემყარებოდა მითითებულ სახელისუფლებლო სტრუქტურებში მათ მონაწილეობას და მათ პოლიტიკურ მრწამსს.»

შეკითხვები:

- გამომდინარე ზემორე დადგენილებიდან – მიიჩნევს თუ არა კომისია, რომ სიკვდილის მომენტისთვის ზვიად გამსახურდია იყო საქართველოს ლეგიტიმური პრეზიდენტი და საქართველოს ლეგიტიმური მთავრობა იყო მინისტრთა კაბინეტი ბესარიონ გუგუშვილის მეთაურობით? (ხო-არა).
- გამომდინარე ზემორე დადგენილებიდან – მიიჩნევს თუ არა კომისია, რომ ზვიად გამსახურდიას სიკვდილის მომენტისათვის საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლება ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით არ იყო საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლება და ამდენად კრიმინალური, დანაშაულებრივი სტრუქტურა იყო? (ხო-არა).
- დამატებით:
  თუ კომისია მიიჩნევს, რომ „ზვიად გამსახურდიას სიკვდილის მომენტისათვის საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლება ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით არ იყო საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლება და ამდენად კრიმინალური, დანაშაულებრივი სტრუქტურა იყო“ – რატომ არაა წამოწყებული სამართლებრივი დევნა მთლიანად საქართველოს იმდროინდელ ფაქტობრივი ხელისუფლების მიმართ, როგორც კრიმინალური სტრუქტურის მიმართ – და, რატომ შემოიფარგლება კომისია მხოლოდ ცალკეული პირებისადმი ინტერესით?

16. ელექტრონულ მას მედიაში უკვე რამდენიმე წელიწადია გამოქვეყნებულია 1994 წელს ზვიად გამსახურდიას ცხედრის საქართველოდან ჩეჩნეთში გადასვენების საერთაშორისო კომისიის მუშაობის ვიდეო დოკუმენტები – როგორც ჩეჩნეთში, აგრეთვე – საქართველოში. ამის მიუხედავად და ზვიად გამსახურდიას სიკვდილთან დაკავშირებული უდიდესი აჟიოტაჟის მიუხედავად კომისიას (და არც საქართველოს ტელევიზიებს) არ უზრუნიათ რათა ქართული საზოგადოებრიობისთვის გაეცნოთ აღნიშნული ვიდეო დოკუმენტები.

შეკითხვა:

- რატომ, რა მიზეზითა და საბაბით უმალავენ ქართულ საზოგადოებრიობას კოკოს კომისია და საქართველოს ტელევიზიის არხები ამ საკვანძო და უაღრესად მნიშვნელოვან ინფორმაციას?

17. როგორც ცნობილია ზ.გამსახურდიას თბილისში გადასვენებისას რუსეთის ფედერაციის ჩეჩნეთის პროკურორმა ვალერი კუზნეცოვმა არაერთხელ განაცხადა: "в связи с обнаружением гроба с человеческими останками и по результатам этой проверки будет решен вопрос о возбуждении уголовного дела". „Валерий Кузнецов заявил, что по факту обнаружения останков назначена доследственная проверка, по результатам которой будет решен вопрос о возбуждении уголовного дела. По словам Кузнецова, решение о возбуждении дела будет зависеть от того, найдут ли при проведении экспертизы признаки насильственной смерти или нет."

შეკითხვა:

- კუზნეცოვის სიტყვების შესაბამისად – აქვს თუ არა კოკოს კომისიას მოპოვებული ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა შედეგით დამთავრდა ჩეჩნეთის პროკურატურის წინა საგამომძიებლო შემოწმება (доследственная проверка), იპოვა თუ არა ჩეჩნეთის პროკურატურამ ძალადობრივი სიკვდილის ნიშნები? ხოლო – თუ ხო და იპოვა – აღძრა თუ არა, შესაბამისად, სასამართლო საქმე ზვიად გამსახურდიას ძალადობრივი სიკვდილის გამო? რატომ არ მოიპოვა ან რატომ უმალავს კომისია ჩეჩნეთის პროკურატურის შემოწმების შედეგებს ქართულ საზოგადოებას?

18. კოკო გამსახურდიამ მას მედიაში არაერთხელ განაცხადა, რომ **„ზვიად გამსახურდია სადისტურად დახვრიტეს 1993 წლის 29 დეკემბერს“**.

შეკითხვები:

- მოინახა თუ არა კოკოს ამ მორიგი ფალსიფიკაციის რაიმე დადასტურება კომისიის მიერ?
- რატომ ავრცელებს კოკო გამსახურდია და კომისიის სხვა წევრები სისტემატურად შეუმოწმებელ და ფრიად საეჭვო ინფორმაციებს, რომლებიც – შემდგომ არ მტკიცდება?
- შესაძლებელია თუ არა იმ ადამიანისა და ისეთი კომისიის მიმართ საზოგადოების ნდობა, რომელიც სისტემატურად ავრცელებს შეუმოწმებელ და მცდარ ინფორმაციას?

19. კოკოს კომისიის „მეორე შუალედურ მოხსენებაში“ აღნიშნულია, რომ: «გარკვეული მიზეზების, მათ შორის **პოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებით,** შეიძლება ვივარაუდოთ, რომ როსტოველი ექსპერტი შესაძლოა შეგნებულად დუმდეს ამ მეორე ჭრილობის შესახებ.»

შეკითხვა:

- კოკოს კომისია როსტოვის ექსპერტიზის დასკვნაში „პოლიტიკურ ფაქტორებს“ მხოლოდ იმ შემთხვევებში ხედავს როდესაც ეს მკვლელობის ვერსიას არ შეესაბამება და არ ამაგრებს თუ ზოგადად ან სხვა შემთხვევებშიც ხედავს? კონკრეტულად რომელ სხვა შემთხვევებში ჩანს კიდევ ეს „პოლიტიკური ფაქტორი“?

20. კოკოს კომისიის დოკუმენტებსა და კომისიის წევრების საჯარო გამოსვლებში ხშირადაა საუბარი იმ დაზიანებებზე, რომლებიც ნეშტს გააჩნია როსტოვის ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად. მაგრამ მათ არც ერთხელ არ უხსენებიათ თუ რა მდგომარეობაში იყო კუბო, რომელშიც ზ.გამსახურდია გროზნიში იპოვეს, არც ის გაუმხელიათ თუ რაოდენ ძლიერად იყო **გროზნიში ზ.გამსახურდიას საფლავი დაბომბილი.** ამავე დროს, ზ.გამსახურდიას თბილისში გადმოსვენების დროს რუსეთის ტელევიზიით ნაჩვენებ კადრებში კარგად შეიმჩნეოდა, ისიც, რომ საფლავის ტერიტორია მთლიანად მიწასთან იყო გასწორებული დაბომბვებით და რომ **კუბო მთლად ჩალეწილი იყო.** ეს აღნიშნულია ზ.გამსახურდიას ნეშტის ექსჰუმაციის დო-

კუმენტშიც, რომელიც გროზნიში, **ჩეჩნეთის პროკურატურის მიერ მომზადდა და საგულისხმოა როსტოვის ექსპერტიზის დასკვნაშიც.**

შეკითხვა:

- რა მიზნით უმალავს კოკოს კომისია ასეთ საკვანძო, არსებით და მნიშვნელოვან ინფორმაციას ქართულ საზოგადოებრიობას?

21. კოკოს კომისიის პირველ (შუალედურ) „დასკვნაში“ აღნიშნულია: «შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია... საწოლის თავის დაფა, რომელსაც ამჩნევია **ტყვიის კვალი**». კომისიის „მეორე შუალედური მოხსენებაში“ აღნიშნულია: «მოგვცენ შესაძლებლობა შევისწავლოთ ზვიად გამსახურდიას საწოლის დაფაზე არსებული **ნატყვიარის** ბალისტიკური ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობა.»

შეკითხვა:

- გააჩნია თუ არა კომისიას რაიმე სერიოზული და სანდო ექსპერტული ანალიზის საბუთი, დასკვნა იმის თაობაზე, რომ „საწოლის თავის დაფაზე“ არსებული დაზიანება ნამდვილად „ტყვიის კვალია“ ანუ „ნატყვიარია“? და – თუ კომისიას ამისი სანდო და ცალსახა დამადასტურებელი საბუთი არ გააჩნია, რატომაა მის ორივე დასკვნაშიც და მას მედიაშიც ასე დაჟინებითა და აკვიატებულად ავრცელებს საეჭვო და დაუსაბუთებელ ინფორმაციას, რომ ეს ამოტეხილი „ტყვიის კვალია“ ანუ „ნატყვიარია“?

თორია მიუთითებს ვითომც მის მიერ შემჩნეულ ტყვიის შემავალ და გამავალ ხვრელებს: „გამომავალი ჭრილობა იყო შედარებით დიდი, უკან ესე იგი ფუძის ძვალთან ახლო“. მაგრამ, ასეთის შემთხვევაში ტყვიას უნდა დაელეწა არა მხოლოდ კისრის მალები, არამედ უნდა ჯერ შესულიყო თავისქალაში (შეექმნა შემავალი ხვრელი) და შემდეგ კეფაში უნდა გამოსულიყო (შეექმნა გამომავალი ხვრელი).

22. კომისიის მეორე მოხსენებაში მნიშვნელოვანი მოწმის სახით, გვარის მითითების გარეშე გამოყენებულია ს.თორიას ინტერვიუ გაზ. "კვირის პალიტრა“-ში ანუ: **სოსო თორია** "ერისთვის არ უნდა ეკადრებინათ ტყუილი, გამსახურდიამ თავი მოიკლა და გულზე ხელი დაიდოო“, 03-05-2010.

სადაც წერია: **–** [რამდენი ჭრილობა ჰქონდა პრეზიდენტს?- **ო**რი ტყვია ჰქონდა ნასროლი. ერთი - მარჯვენა საფეთქელთან, მეორე - ნიკაპქვეშ და კეფაში გამოდიოდა**.**]

შეკითხვა:

- როსტოვის ექსპერტიზის დასკვნის ფონზე, რომელშიც მხოლოდ ერთ ნატყვიარს ადასტურებს (შემავალსა და გამავალს) - მაინც სარწმუნოდ იღებს თუ არა კომისია თორიას ამ განცხადებას იმის გათვალისწინებით, რომ - თუ თორიას ნათქვამი სიმართლეს შეესაბამება **ნეშტს აუცილებლად დაზიანებული უნდა ჰქონდეს როგორც კისრის მალები, აგრეთვე - თავისქალაში უნდა აუცილებლად იყოს მეორე შემავალი და კეფაში მეორე გამავალი ხვრელი.**

23. იმ მოვლენებსა და ფაქტებს, რომლებიც აღწერილი და მოტანილია კომისიის მოხსენებებსა და მისი წევრების საჯარო გამოსვლებში – ესწრებოდა, მოწმო-

ბდა როგორც წესი რამდენიმე ადამიანი (უფრო ხშირად 5-7). ამ მოწმეების უმეტესობას თავისი მოგონებები, ჩვენებები და მოსაზრებები უკვე გამოთქმული აქვთ მას მედიასა და გამომძიებელ ორგანოებში.

შეკითხვა:

- რატომაა ყოველთვის და დაჟინებით კომისიის აქცენტი გაკეთებული იმ გამონაკლის ჩვენებებზე, რომელიც კომისიის აზრით სწორედ და ზუსტად მკვლელობის ვერსიას აწყობს (ან/და სხვა მოწმეების ჩვენებებს ეწინააღმდეგება, არ ემთხვევა, განსხვავდება) და მიჩქმალულია, საეჭვოდაა გამოცხადებული ის ჩვენებები, რომლებსაც მოწმეთა უმეტესობა იზიარებს და იმავდროულად თვითმკვლელობის ვერსიას ამაგრებს?

24. საჯარო გამოსვლებში კომისიის წევრები, აგრეთვე – მას მედია კომისიის მუშაობის გაშუქებისას ხშირად იყენებენ ტერმინს **„დაკითხვა“** (Interrogation, Допрос), რომელიც საყოველთაოდ და საზოგადოებრივი შეხედულებების შესაბამისად გულისხმობს სპეციალიზებული პროცესუალური საგამომძიებლო მეთოდიკებისა და ხერხების გამოყენებას.

შეკითხვა:

- გააჩნია თუ არა დროებით საპარლამენტო კომისიას უფლება „დაკითხოს“ ანუ „დაკითხვა ჩაუტაროს“?..
- თუ კომისიას „დაკითხვის“ უფლება არ აქვს – მაშინ რატომ იყენებენ მისი წევრები ამ ტერმინს და რატომ არ მიუთითებენ, შენიშნავენ მას მედიას არ გამოიყენოს კომისიის მუშაობის გაშუქებისას ტერმინი „დაკითხვა“?

25. რუსიკო მუმლაძე (პრესა.ge, 05.07.2010)

მიცემულ ინტერვიუში კომისიის წევრი ბაღათურია აცხადებს: «ექსპერტიზის დასკვნაში წერია, რომ შემავალი ხვრელი უფრო ვიწროა, ვიდრე ტყვია, რომელზეც მოწმეები ამბობენ, რომ ამით მოიკლა თავი. ან მოწმე იტყუება, ან ექსპერტიზა.» ამავე დროს მეორე შუალედურ მოხსენებაში როსტოვის დასკვნის საფუძველზე უწერიათ: «**შემავალი ჭრილობის დიამეტრი დაახლოებით 9 მმ-ია.**»

შეკითხვები:

- ნუთუ როსტოვის ექსპერტიზის აქტის მიღებისა და გერმანიაში „განშიფრვის“ შემდეგაც ვერ გაირკვა რა დიამეტრისაა შემავალი ხვრელი?
- მაინც რა წერია იმ „განშიფრულ“ აქტში განსხვავებული მეორე შუალედური მოხსენებისგან?
- ან – იქნებ ვერ „განშიფრეს“ გერმანელმა სპეციალისტებმა სწორედ როსტოვის ექსპერტიზის „დაშიფრული“ აქტი?

26. გაზეთ „ვერსიის“ 2010 წლის 17-18 მაისის №53 (402) ნომერში გამოქვეყნებულ ინტერვიუში კოკო როსტოვის დასკვნაზე აღნიშნავს: «დასკვნაში... მეორე ნასროლზე საუბარი არაა. სერიოზულ ექსპერტებთან ისიც საკითხავია, რამდენად შეეძლო 9 მილიმეტრიანი ნახვრეტის დატოვება „სტეჩკინს“. არ მინდა, სპეკულაციების დონეზე დავრჩე, ამიტომაც, **მივმართე უცხოელ ექსპერტებს გერმანიასა და შვეიცარიაში** და ველოდები მათ პასუხს..»

შეკითხვები:

- ესე იგი დადასტურდა, „განშიფრულ“ როსტოვის დასკვნაში წერია, რომ შემავალი ნახვრეტი 9 მილიმეტრია, ანუ ზუსტად „სტეჩკინის“ კალიბრისაა – არა?
- მაისის შემდეგ საკმაო დრო გავიდა – მოვიდა თუ არა პასუხი კომისიის უცხოელი ექსპერტებისაგან გერმანიიდან და შვეიცარიიდან?
- თუ გერმანელი ან/და შვეიცარიელი ექსპერტების პასუხი მოვიდა – რას წარმოადგენს ეს პასუხი - რაო, შეიძლებაო „სტეჩკინის“ ტყვიის შემავალი ხვრელის დიამეტრი 9 მმ იყოსო?

- თუ გააცნო კომისიამ ქართველ საზოგადოებრიობას, რომელიც მოუთმენლად ელოდება მისგან დამაიმედებელ სიახლეებს კომისიის **გერმანელი და შვეიცარიელი ექსპერტების პასუხი – როდის და სად გააცნო?**
- რომელ ფირმებს, ორგანიზაციებს, სპეციალისტებს დაუკვეთა შემოწმება კომისიამ?
- **რა დაჯდა** მათი მომსახურება?
- როგორ შეიძლება კომისიის ნათქვამის **გადამოწმება?**

27. ახალი 7 დღე, 10-03-2010, მადლენ მაჭარაშვილი

კომისიის წევრი ჯ.ბაღათურია საზოგადოებას ამცნობდა: «საეჭვოა ნასროლის კვალიც – შემავალი ხვრელი არის თავის ქალაზე, საფეთქლის ზემოთ, გამომავალი ხვრელი – ქვედა ყბაში.»

ამ დროს მეორე შუალედურ მოხსენებაში როსტოვის დასკვნის შესაბამისად უწერიათ: «**შემავალი ჭრილობა მდებარეობს მარჯვენა საფეთქლის მიდამოებში, ხოლო გამომავალი ჭრილობა – მარცხენა საფეთქლის(!) არეში;**» ანუ – ტყვიამ ერთი საფეთქლიდან მეორე საფეთქელში გაიარა! არავითარი ქვედა ყბა ან კიდევ კეფა და სხვა მსგავსი ფანტასმაგორიები.

ამითი კომისიის აღნიშნული დებულება „ქვედა ყბაში“ გამომავალი ხვრელის შესახებ და სხვა მსგავსი სპეკულაციები სამარცხვინოდ ჩაფლავდა და დადგინდა, რომ სწორი ყოფილა სიკვდილის მოწმეთა ჩვენებები.

შეკითხვა:

- მას შემდეგ, რაც დადგინდა და დადასტურდა, რომ ბაღათურიას წარმოდგენილი მტკიცება სიყალბეა - იგრძნეს თუ არა მან და კომისიის სხვა წევრებმა სირცხვილისა და სინდისის გატოკება?

29. ახალი 7 დღე, 12-05-2010, მადლენ მაჭარაშვილი, ნათია პავლიაშვილი, რაც უკვე დადგენილია: გამსახურდიას სიკვდილამდე სცემეს

ინტერვიუში კოკო აღნიშნავს: «დღეს თვითმკვლელობის ვერსიის სასარგებლოდ მთელი სახელმწიფო მანქანა მუშაობს, ასე იყო 2004 წლამდეც.»

შეკითხვები:

- კონკრეტულად რაში გამოიხატა „თვითმკვლელობის ვერსიის სასარგებლოდ მთელი სახელმწიფო მანქანის მუშაობა“?
- შესაძლებელია თუ არა ითქვას, რომ მას მედია თვითმკვლელობის ვერსიას მეტად უჭერს მხარს ვიდრე მკვლელობის ვერსიას?

30. ახალი 7 დღე, 12-05-2010, მადლენ მაჭარაშვილი, ნათია პავლიაშვილი, რაც უკვე დადგენილია: გამსახურდიას სიკვდილამდე სცემეს

ინტერვიუში კოკო აღნიშნავს: **«რაც შეეხება გასროლის დისტანციას, როსტოვის ექსპერტიზაში საუბარია “ახლო მანძილზე“, რაც გულისხმობს მანძილს <u>50 სანტიმეტრიდან</u> მიბჯენამდე. ეს ფაქტი, სწორედ, ასეა გადმოცემული ფილმში „დინების საწინააღმდეგოდ“**»[142].

მაგრამ მეორე შუალედურ მოხსენებაში როსტოვის დასკვნის შესაბამისად უწერიათ: «**გასროლა შეიძლებოდა მომხდარიყო ახლო მანძილიდან, გამორიცხული არ არის, მიბჯენით გასროლასთან მიახლოებული მანძილიდანაც;**»

შეკითხვა:

- მაინც - ზუსტად, რა და როგორ წერია, რა ტექსტია როსტოვის ექსპერტიზის დასკვნაში გასროლის დისტანციაზე – წერია სიტყვა-სიტყვით „ახლო მანძილი“, წერია 50 სანტიმეტრი, თუ სხვა რამ?

---

142 შესანიშნავი მაგალითი იმისა, თუ როგორ მოიყვანა მელიამ მოწმედ თავისი კუდი – საბოლოოდ კომისია იძულებული გახდა სახელგანთქმულ „50 სანტიმეტრზე“ მტკიცე უარი ეთქვა და გაცილებით ახლო მანძილზე ჩამოხურდავებულიყო.

- რას ეფუძნება კომისიის მტკიცება, რომ "ახლო მანძილი" გულისხმობს მანძილს 50 სანტიმეტრიდან მიბჯენამდე – რატომ მაინც-და-მაინც 50 სმ და არა მეტი ან ნაკლები?
- კომისიისა და თვით კოკოს შემდგომ განცხადებებში **სად გაქრა „50 სანტიმეტრი" და რატომ შემცირდა იგი „10 სანტიმეტრამდე"**?

31. ახალი 7 დღე, 12-05-2010, მადლენ მაჭარაშვილი, ნათია პავლიაშვილი, **რაც უკვე დადგენილია: გამსახურდიას სიკვდილამდე სცემეს**

ინტერვიუში კოკო აღნიშნავს: «რაც შეეხება კომისიის მიერ ექიმ დავით ჯალაღანიას და კითხვას, აღვნიშნავ, რომ მოწმეთა დაკითხვა ჯერ არ დასრულებულა და ამ მიმართულებით დასკვნების გაკეთება ადრეა. თუმცა დავით ჯალაღანია, ბესარიონ გუგუშვილის თქმით, მიიჩნევს, რომ გასროლა, რომლითაც პრეზიდენტი დაიღუპა, მთლად მიბჯენით არ არის განხორციელებული, ესეც, თავისთავად, დამაფიქრებელი გარემოებაა და ეწინააღმდეგება თვითმკვლელობის თეზას.»

ხოლო მცირე ხნის შემდეგ კი სხვას ამბობს: «გაზეთ „ასავალ-დასავალისთვის" (2010, 5-11 ივლისი) მიცემულ ინტერვიუში კოკო გამსახურდიამ აწ გარდაცვლილ ექიმ დავით ჯალაღონიაზე, რომელმაც ბალზამირება გაუკეთა ჯიხაშკარში გამსახურდიას ცხედარს, განაცხადა: «ფილმის (ფილმი „დინების საწინააღმდეგოდ") შემქმნელი ჯგუფის წევრმა ნათია თოიძემ ინახულა ეს პიროვნება, თუმცა, მასთან საუბრის ჩანაწერი არ არსებობს. სხვათა შორის, როგორც ნათია იხსენებს, ბატონი ჯალაღონია, მძიმე ავადმყოფობის გამო, შეკითხვებზე არაადეკვატურ პასუხებს სცემდა.»

შეკითხვა:

- კოკოს დაავიწყდა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოწმის - ჯალაღონიას სიკვდილი და მისი „არაადეკვატური" პასუხები – მაისის შუა რიცხვებში, თუ – საერთოდ არ იცოდა იმ დროს, რომ მისმა ჯგუფის წევრმა ნ.თოიძემ ინახულა ჯალაღონია?
- რატომ არ დააფიქსირა გადამღებმა ჯგუფმა ჯალაღონიას „არაადეკვატური პასუხები" – რათა საზოგადოებრიობას ეჭვი არ გაჩენოდა მათ ჯგუფის მიკერძოებაში და იმაში, რომ ჯგუფმა იმ მიზეზით დასწამა ჯალაღონიას „არაადეკვატურობა", რომ მისი ნათქვამი აბათილებდა კომისიის სანუკვარ მკვლელობის ვერსიას!

32. ახალი 7 დღე, 12-05-2010, მადლენ მაჭარაშვილი, ნათია პავლიაშვილი, რაც უკვე დადგენილია: გამსახურდიას სიკვდილამდე სცემეს

ინტერვიუში კოკო აღნიშნავს: «ჩვენ გვაქვს ორი საექსპერტო დასკვნა: 1994 წლის 17 თებერვლის დასკვნა, რომელსაც ხელს აწერენ მაშინდელი პოლიტიკური მოღვაწეები, ძალოვნები, ექსპერტები და ცნობილი ექიმები, მათ შორის, ვახტანგ ბოჭორიშვილი, თამარ დეკანოსიძე და სხვები.»

შეკითხვა:

- რატომ არაა გამოქვეყნებული, თუნდაც კომისიის საპარლამენტო ვებ გვერდზე, 1994 წლის 17 თებერვლის დასკვნა – ნუთუ ისიც „დაშიფრულია"?

33. მეორე შუალედურ მოხსენებაში როსტოვის დასკვნის საფუძველზე უწერიათ: «გვამს თავის ქალის არეში აღენიშნება გამჭოლი ცეცხლსასროლი დაზიანება, რომლის შემავალი ჭრილობა მდებარეობს მარჯვენა საფეთქლის მიდამოებში, ხოლო გამომავალი ჭრილობა – მარცხენა საფეთქლის არეში; **ნატყვიარი არხის მიმართულებაა: მარჯვნიდან მარცხნისაკენ, რამდენადმე ზევიდან ქვევით და რამდენადმე წინიდან უკან;**»[143]

შეკითხვა:

- რა სიდიდეებით (სანტიმეტრები, გრადუსები) გამოიხატება ზემოთ მითითებული **„რამდენადმე"**?

[143] როსტოვის ექსპერტიზის აქტში წერია: несколько.



ტყვიის ტრაექტორიის დახრილობა სურათზე - დაახლ. 13-14°

დაახლ 20° ძალზე ბუნებრივად და დაუძალებლად გადახრილი თავები - ტყვიის ტრაექტორიის დახრილობა სურათზე - დაახლ. მინუს 5

წყარო: 1TV, გამსახურდიას გარდაცვალების შემსწავლელ კომისიას ვადა გაუხანგრძლივდება, პოლიტიკა, 2010-05-04

ფოტოზე „თვითმკვლელს“ თავი დახრილი აქვს...

კოკოს კომისიის: «ზემოდან ქვემოთ და წინიდან უკანისკენ მიმავალი გამჭოლი დაზიანება თავის ქალის მიმართ იარაღის ლულის ისეთ პოზიციაზე მიუთითებს, რომლისგანაც საკუთარი თავის მიმართ გასროლის განხორციელება **ფიზიკურად შეუძლებელია;**»-ს საპასუხოდ.

ნახეთ: თვითმკვლელობის მოდელირებისას პისტოლეტის მდგომარეობა, რომლის გასროლისასაც დაახლოებით ისეთსავე ადგილებში და დახრის იმავე კუთხეებით იქნებოდა ტყვიის შემავალი და გამავალი ხვრელები, რომელიც გაჰნდა ზ.გ.-ს.

- აღნიშნული **„რამდენადმე ზევიდან ქვევით და რამდენადმე წინიდან უკან“: „რამდენადმე“**-ს როგორი და რა გამოთვლების შედეგად დაასკვნა კომისიამ, რომ: «გასროლას ვერ განახორციელებდა თავად ზვიად გამსახურდია. ზემოდან ქვემოთ და წინიდან უკანისკენ მიმავალი გამჭოლი დაზიანება თავის ქალის მიმართ იარაღის ლულის ისეთ პოზიციაზე მიუთითებს, რომლისგანაც საკუთარი თავის მიმართ **გასროლის განხორციელება ფიზიკურად შეუძლებელია;**»?

- ემყარება თუ არა ეს **„გასროლის განხორციელება ფიზიკურად შეუძლებელია“** რაიმე პრეცედენტულ მასალას თუ მხოლოდ კომისიის უკიდეგანო ფანტაზიებისა და მაინც და მაინც მკვლელობაზე საქმის დაყვანის დაუოკებელი სურვილის შედეგია?

34. კომისიის მეორე შუალედურ მოხსენების ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და თავზარდამცემი მომენტი ესაა: «თავის ქალა მთლიანი სახით კი არ იქნა წარმოდგენილი, არამედ მისი სტრუქტურის აღდგენა მოხდა თავის ქალის სამი ძირითადი ფრაგმენტის შეერთების გზით; ამასთან მოტეხილობის ხაზები, რომლებიც ამ ფრაგმენტებს ერთმანეთისგან ყოფს, არასწორია და მათ **ალაგ - ალაგ აკლია საძვლე ქსოვილი**»

შეკითხვა:

- ესე იგი, ალაგ-ალაგ თავის ქალის საძვლე ქსოვილ-დაკარგული ცხედარი ჩაასვენეს გროზნიში და ვერავინ შენიშნა?
- სად, რომელ ადგილებში აკლია საძვლე ქსოვილი - ნუთუ ისეთ ადგილებში, რომლებიც საკმაოდ კარგად ჩანს გადასვენების დროს გადაღებულ ვიდეო კადრებში?

35. მიუხედავად კოკოსა და კომისიის მცდელობისა გაასაიდუმლოვოს როსტოვის ექსპერტიზის დოკუმენტის ორიგინალი - რომელსაც ძალზე წინდახედულად და ჭკვიანურად საკმაო ხნის განმავლობაში მალავდნენ ქვრივი და მისი შვილები - წარმოადგინოს იგი „დაშიფრულად“ ან პოლიტიკურად ანგაჟირებულად, ცადოს მოძებნოს „უცხოელი სპეციალისტები“ რომლებიც ფულით „შეკერავენ საქმეს“ - ზოგადად, ქართულ საზოგადოებაში უკვე საკმაოდ ფეხგადგმული მოსაზრებით, როსტოვის ექსპერტიზის დასკვნის მოპოვებამ ძალზე მძიმე ლახვარი ჩასცა ჯერ კოკოს ფილმის „დინების საწინააღმდეგოდ“ და შემდგომ კოკოს კომისიის მთელს ნამოღვაწარს - პრაქტიკულად გაცამტვერდა მთელი მათი უწინდელი მცდელობა მანიპულაციებით, ფალსიფიკატებითა და დეზინფორმაციით „დაემტკიცებინათ“ მკვლელობის ვერსია და ცილი დაეწამათ ზვიად გამსახურდიას ერთგული თანამებრძოლებისთვის, ამავე დროს საკმაოდ ძლიერად დაადასტურა და განამტკიცა ამ თანამებრძოლთა წინა წლების განმავლობაში საზოგადოებისადმი წარდგენილი ფაქტები.

შეკითხვა:

- რამდენად მისაღები და აღსრულებადი იქნება კოკოს კომისიის ექსტრაიურიდიული და ექსტრასაგამომძიებლო, ფრიად დილეტანტური და არაპროფესიონალების ფანტაზიებზე დაფუძნებული საბოლოო დოკუმენტი საგამომძიებლო ორგანოებისთვის და პირველ რიგში პროკურატურისთვის?
- ხომ არ ფიქრობენ კომისიონერები ასე: „ჩვენ შევთითხნით დოკუმენტს ისე, როგორც ჩვენ მოგვეხერხება, და პროკურატურას კი ქვა უხლია თავშიო?“
- ხომ არ გახდება კომისიის, როგორც საკანონმდებლო ორგანოს საბოლოო დოკუმენტი ანუ არსებითად კანონს მიახლოებული ძალის დოკუმენტი, დამძალებელი ფაქტორი პროკურატურისათვის, რათა საქმე მაინც-და-მაინც მკვლელობისაკენ წაიყვანონ ანუ „მკვლელობა შეკერონ“?
- ან - ხომ არ გახდება პროკურატურა იძულებული ამხილოს კოკოს კომისიის არაკომპეტენტურობა, რითაც ძალზე ძლიერ შესუსტდება მკვლელობის ვერსია თვითმკვლელობის ვერსიის სასარგებლოდ?
- ან - ხომ არ შეიტყუეს კოკო ამ კომისიაში აგრეთვე იმისათვის, რომ ამჟამად უკვე ზვიად გამსახურდიას შვილის ხელმოწერით განმტკიცდეს მისი თვითმკვლელობის ვერსია, რომელსაც ვერ ასცდა 2004 წელს სააკაშვილის ინიციატივით წამოწყებული პროკურატურის გამოძიება (სწორედ ამაზე წუხილი ხომ არ იგრძნობოდა გიორგი გამსახურდიას ცნობილ სატელეფონო „გარჩევაში“ ბაღათურიასთან)?

36. კოკო და მისი კომისიის წევრები ძალზე ხშირად ახსენებენ ფილმს „დინების საწინააღმდეგოდ“, რომელიც ფაქტობრივად კომისიის მუშაობის ორიენტირად

და სვლაგეზადაა ქცეული და კომისიის იდეოლოგიის ბურჯის სახითაა წარმოდგენილი. მართლაც, ფილმი საკმაოდ შრომატევადი და რესურსტევადი ნამუშევარია!

შეკითხვები:

- რა რესურსებზე დაყრდნობით (ფინანსური, **შრომითი** და სხვ.) იქმნებოდა ეს ფილმი?
- რა დაჯდა ფილმის მომზადება და წარმოება – ფულად, დახარჯული სამუშაო საათებით?
- რატომ არაა ეს ფილმი წარმოდგენილი ინტერნეტში (ელექტრონულ მედიაში), რათა შესაძლებელი იყოს მისი დეტალური ანალიზი - ანუ რატომ მალავენ ამ ფილმს?
- როსტოვის ექსპერტიზის დასკვნამ ამ ფილმში წამოწეული კოკოსმიერი მტკიცებულებების უდიდესი ნაწილი გააქარწყლა და გაბაიბურა - რატომ არ უხდის კოკო ბოდიშს საზოგადოებას ამ ფილმის მეშვეობით მისი დეზორიენტაციისა და დეზინფორმაციისთვის?

37. საყოველთაოდ ცნობილია სააკაშვილის სიტყვები: «მე როგორც ქრისტიანი ადამიანი, **დარწმუნებული ვარ, ზვიად გამსახურდია თავს არ მოიკლავდა.** ასეთი დიდბუნებოვანი ადამიანი იმ დროისათვის მიუღებელი იყო და **იგი მოკლეს** იმ ადამიანებმა, რომელთაც საქართველოს დამოუკიდებლობა არ უნდოდათ» (გაზეთი „რეზონანსი“,№90, ორშაბათი, 5 აპრილი, 2004 წელი).

ამრიგად სააკაშვილისეული დირექტივა - „ზვიად გამსახურდია თავს არ მოიკლავდა“ ეფუძნება სააკაშვილის „დარწმუნებას“ ანუ სარწმუნოებრივ, რელიგიურ მიდგომას და არა სამართლებრივს, იურიდიულს! მეორე მხრივ - სახელმწიფოს პირველი პირის სიტყვები კომისიისათვის (უფრო ადრე კი სააკაშვილის ამ „რწმენით“ წამოწყებული სხვა ღონისძიებებისთვის საპროკურორო გამოძიების ჩათვლით) დაკვეთად, დირექტივად ჟღერს.

შეკითხვები:

- ხომ არ ახდენს ზეგავლენას კომისიის მუშაობის მიმართულებასა და განწყობაზე რესპუბლიკის ყველაზე გავლენიანი პირის ასეთი „დარწმუნებულობა“ მკვლელობის ვერსიაში?
- კომისიის აზრით - ხომ არ ეწყინება „დარწმუნებულ“ სააკაშვილს თუ დადგინდა თვითმკვლელობა?
- ხომ არ სტიმულირდება მას მედიისა და განსაკუთრებით ტელევიზიების ლტოლვა რათა კომისიის მუშაობა გაშუქდეს უპირატესად „გამსახურდია მოკლულია!“ ვერსიის სასარგებლოდ - რესპუბლიკის პრეზიდენტის (რომლის დიქტატორული მიდრეკილებები ძირითადად ოპოზიციური განწყობის კომისიისთვის კარგად ცნობილია) „დარწმუნებით“?
- ხომ არ ურევია კომისიის წევრთა და აპარატის მუშაკთა შორის ისეთები, რომლებიც სააკაშვილივით „დარწმუნებულები არიან, რომ გამსახურდია თავს არ მოიკლავდა“?

38. მართლმადიდებლურ საქართველოში ფრიად გავრცელებულია რწმენა, რომ **თვითმკვლელობა უმძიმესი ცოდვაა.**

შეკითხვები:

- ხომ არ ახდენს რაიმე თუნდაც შინაგან, ფარულ მორალურ ან ფსიქოლოგიურ ზეგავლენას კომისიის წევრებზე თვითმკვლელობის ასეთი მკვეთრად ნეგატიური რელიგიური, მართლმადიდებლური შეფასება?
- ხომ არ აფერხებს კომისიის ფრიად რელიგიური მრწამსის წევრებსა და თავმჯდომარეს **თვითმკვლელობისადმი რელიგიური მიდგომა** იმაში, რომ **ტოლერანტულები იყვნენ თვითმკვლელობის ვერსიისადმი?**
- საყოველთაოდ ცნობილია, რომ ზვიად გამსახურდიას სამღვდელოებამ წესი აუგო არა როგორც თვითმკვლელს, არამედ როგორც მოკლულს და თვითმ-

კვლელობის დადასტურება საქართველოს სამღვდელოებას საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებს. ხომ არ განიცდის კომისია რაიმე ზეწოლას ეკლესიის, სამღვდელოების ან ძალზე რელიგიურად განწყობილი მოქალაქეების მხრივ ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის ვერსიის საწინააღმდეგოდ?

- თუ დადგინდა, რომ ზვიად გამსახურდია კი არ მოკლეს, არამედ მან თავი მოიკლა - ეს კომისიის როგორც ცალკეული წევრების და/ან განსაკუთრებით კომისიის თავმჯდომარისა და იმავდროულად ზვიადის ვაჟიშვილისათვის ხომ არ შექმნის რაიმე მორალურ სირთულეებს - ზვიად გამსახურდიას „ცოდვილობიდან" გამომდინარე?

39. ნიშანდობრივია, რომ იშვიათად და გამონაკლისის სახით კომისია აღიარებს, რომ იგი არ არის კომპეტენტური, უუნაროა ყოვლად აუცილებელი საგამომძიებლო ქმედებების, ფუნქციების, ანალიზის ჩატარებაში და შესაბამისი დასკვნების გამოტანაში.

მაგალითად:

► ვერსია" 2010, 17-18 მაისი №53, კოკო: «**სერიოზულ ექსპერტებთან** ისიც საკითხავია...»

► მეორე შუალედური მოხსენება: «კომისიამ დაამყარა კონტაქტი **კომპეტენტურ ამერიკელ** სასამართლო - სამედიცინო ექსპერტთან...»

► „ვერსია", პოლიტიკა, 2010-05-11; factnews.ge, 11.05.2010, პოლიტიკა «კომისიის თავმჯდომარემ კონსულტაციები **შვეიცარიელ და გერმანელ ექსპერტებთან** გამართა.»

შეკითხვები:

- უმნიშვნელოვანეს საგამომძიებლო და საექსპერტო საკითხებში **კომისიის მძვინვარე არაკომპეტენტურობის** ვითარებაში რამდენად შესაძლებელია საბოლოო სანდო შედეგის მიღება?
- **უცხოელ სპეციალისტებზე თითის გაშვერის** ასეთი ხშირ და ინტენსიურ ვითარებაში - საერთოდ და საბოლოო ჯამში, შესაძლებელია თუ არა ქართველი სპეციალისტების ნდობა ასეთ სერიოზულ გამოძიებაში (ეს ეხება მათ მიერ ადრე ჩატარებულ და თუნდაც მომავალში ჩასატარებელ გამოძიებას, ექსპერტიზებს და სხვ.) - ხომ არ არის ყოვლად აუცილებელი გამსახურდიას სიკვდილის გამოძიება მთლიანად უცხოელ სპეციალისტებს გადაეცეს?
- და, თუ ქართველი საგამომძიებლო და საექსპერტო სპეციალისტები ვერ არიან გამსახურდიას სიკვდილის საქმეში, ამ საქმის სირთულიდან გამომდინარე უნარიანები - რითი სჯობნიან მათ სპეციალური კვალიფიკაციებით კომისიის წევრი ბატონი პარლამენტარები და რატომ უნდა ენდოს საზოგადოებრიობა ამ კომისიის პროფესიონალიზმს?
- რატომ არ არის **გამჭვირვალე და საჯარო** კომისიის მიერ უცხოელ სპეციალისტებთან ურთიერთობა და მუშაობა - არ მხილდება მათი ვინაობა, სამუშაო ადგილი და რაც მთავარია - **ყოველთვის გასაიდუმლოებულია საკუთრივ ამ სპეციალისტებისგან მიღებული დასკვნები,** რომელთა შინაარსი საზოგადოებამ ყოველთვის უნდა კოკოს კომისიის მიერ „გადამღერებული" მონაჭორებით, ფრიად საეჭვო „განშიფრვებით" ანუ **„გაფუჭებული ტელეფონის" მეშვეობით** უნდა გაიგოს?

40. ძალზე ხშირად კომისია მას მედიას, ჟურნალისტებს, საზოგადოებრიობას უმალავს და ასაიდუმლოებს ფაქტობრივ მასალასა და არსებით დოკუმენტებს იმ მიზეზი, რომ ვითომც ასეა საჭირო **„გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე"** (რა თქმა უნდა ეს ყოველთვის ხდება იმ ინფორმაციის მიმართ, რომელიც ვერ ჯდება მკვლელობის ვერსიაში).

შეკითხვა:

- კარგად ცნობილია, რომ ეს კომისია **არ არის საგამომძიებლო კომისია** და ამდენად მას არ ევალება და არც უფლება აქვს ჩაატაროს გამოძიება - მაშ

რა და რის საფუძველზე არის კომისია ამოფარებული **„გამოძიების ინტერესებს“**?

41. 1TV, კონსტანტინე გამსახურდია პარლამენტს კომისიის მუშაობის შედეგებს წარუდგენს, პოლიტიკა | 2010-02-23 ბრძანებს: «აქ არის ასეთი ლოგიკა: თუ არ იყო თვითმკვლელობა ესე იგი არის მკვლელობა (0:30)»

შეკითხვა:

- ასეთ შემთხვევაში, კომისია რატომ გამორიცხავს და არ აძლევს უფლებას იარსებოს ასეთმა ლოგიკამაც: «თუ არ იყო მკვლელობა ესე იგი არის თვითმკვლელობა»?
- თვლის თუ არა კომისია, რომ ამჟამად უფრო მეტი სანდო, შემოწმებული და უტყუარი ფაქტი, მტკიცებულება და ჩვენება არსებობს მკვლელობის ვერსიის დამტკიცებისთვის, ვიდრე – თვითმკვლელობის ვერსიის დამტკიცებისთვის?

42. მეორე შუალედურ მოხსენებაში კომისიას უწერია: «კარლო და ლუდმილა ღურწკაიების კუთვნილი ქუჩის პირას მდებარე ხის სახლი, თავისი მრავალი ფანჯრით და ეზოდან სამი შესასვლელი კარით, თვით არასპეციალისტის შეუიარაღებელი თვალით დანახულიც კი, არ აკმაყოფილებს უსაფრთხოების ელემენტარულ მოთხოვნებს.»

შეკითხვა:

- შეუძლია თუ არა კომისიას დაამტკიცოს, რომ არსებობდა უფრო უსაფრთხო თავშესაფარი და შერჩეული იქნა ნაკლებ უსაფრთხო?
- ნუთუ კომისიას, მკვლელობის ვერსიის დაჟინებით და ძალის-ძალაზე მამტკიცებელს, – ამდენად აქვს დაკარგული რეალურობის შეგრძნება და სერიოზულად ჰგონია, რომ ზ.გამსახურდიას პატარა დაჯგუფებას თუნდაც ამ თუნდაც ნებისმიერ სხვა შემთხვევაში რაიმე არჩევანის საშუალება ჰქონდა და უარესი აარჩია?
- უსაფრთხოების ელემენტარულ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდა და უაღრესად საშიში, პრაქტიკულად **თავგანწირვის დონეზე იყო ზ.გამსახურდიას ალყაში მოქცეულ სამეგრელოში ჩამოსვლაც,** იმის ნაცვლად, რომ დარჩენილიყო კოკოსთან ერთად ევროპაში. **რატომ არ აიძულა კოკომ მამამისი დარჩენილიყო უსაფრთხო ევროპაში, ან რატომ არ ატეხა კოკომ განგაში ზ.გამსახურდიას სამეგრელოში ჩასვლის გამო – ხომ არ იყო კოკოც ჩათრეული გამსახურდიას წინააღმდეგ შეთქმულებაში?**

43. «კომისიის მიერ დაკითხულ ჯონსონ კვარაცხელიას მიერ დადასტურებულ იქნა, რომ პრეზიდენტი სოფელ ჯიხაშკარიდან გაყვანილი იქნა 1993 წლის 28 დეკემბერს დაახლოებით 17 საათზე, როდესაც **ჯერ კიდევ ბუნებრივი განათება იყო.** ხოლო სოფელ ძველ ხიბულაში პრეზიდენტის, კარლო და ლუდმილა ღურწკაიების სახლში მიყვანის დროს აფიქსირებენ 23 საათსა და 45 წუთს. გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ დაახლოებით 4 კილომეტრის გავლას ავტომანქანით დაახლოებით 6 საათი მოანდომეს.»

შეკითხვები:

- ადასტურებენ თუ არა ამ დროს („დაახლოებით 17 საათზე“) სხვა მოწმეები?
- ბუნებრივი განათებისას, სოფელში აქტიური მისვლა-მოსვლის პერიოდში, სოფლის შარაგზაზე რამდენიმე მძიმედ შეიარაღებული ადამიანის გამოჩენა რომ მეზობლების ბუნებრივ და ფრიად მავნე ინტერესს გამოიწვევდა – ხომ არ მიაჩნია ეს კომისიას საკმარისად რათა დაეჭვდეს ამ "დროის“ სისწორეში?
- თუ ყველა მოწმეებიდან მხოლოდ კვარაცხელიას ახსოვს ეს "დრო“ - რატომ იღებს კომისია სანდოდ მაინც-და-მაინც ამ დამოწმებას?

44. კომისია წერს: «ვახტანგ ზარანდიამ, რომელმაც ზვიად გამსახურდია 1993 წლის დეკემბერში კონსპირაციულად გადაიყვანა 2 ახალ სახლში, კერძოდ, ჯაღრასა და ჯიხაშკარში, განაცხადა შემდეგი: 1) პრეზიდენტს მისთვის გაუმხელია **ძველი**

სამხედრო საბჭოს სრული შემადგენლობით დათხოვნის ფაქტი – იგულისხმება ვახტანგ - ლოთი ქობალია და მისი პირადი შემადგენლობა - და მის მიერ **ახლად დანიშნული სამხედრო საბჭო,** ასევე **ახალი ტაქტიკის მონახაზი.**»

შემდეგ კომისია ღრმაასზროვან დასკვნას აკეთებს: «აქედან ჩანს, რომ პრეზიდენტს **მკაფიო სამოქმედო გეგმა** ჰქონდა, თავისი **გაწერილი ვადებით,** რომლის განხორციელებასაც ფიქრობდა გაზაფხულის დადგომისთანავე.»

და აგრძელებს: «ამასვე ადასტურებს თავის ჩვენებაში მოწმე ჯონსონ **კვარაცხელიაც, რომლის სახლში დარჩენასაც პრეზიდენტი გაზაფხულამდე გეგმავდა.**»

შეკითხვები:

- რა „სამხედრო საბჭოზეა“ საუბარი (რომელსაც ვითომც ქობალია მეთაურობდა)? – ასეთი „სამხედრო საბჭოს“ არსებობის რა დოკუმენტი არსებობს?
- იმ **სავალალო, დუხჭირ და უსუსურ მდგომარეობაში,** რომელშიც **ყველასგან მიტოვებული** და თითებზე ჩამოსათვლელი თანმხლებების ამარად დარჩენილი ზ.გამსახურდია აღმოჩნდა 1993 წლის დეკემბერში - მიაჩნია თუ არა კომისიას საღ და რეალისტურ აზრთან დაახლოებულად ზემოთნახსენები „დათხოვნები“ და „დანიშვნები“?
- რამდენადაა საღ და რეალისტურ აზრთან დაახლოებული მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, **ერთ სახლში რამდენიმე თვე გაჩერება** - ინტენსიური ძებნის ვითარებაში (მაშინ, როდესაც მანამდე ყოველ 3-4 დღეში ერთხელ იცვლიდა ბინას უსაფრთხოებისთვის), მით უმეტეს ისეთ ბინაში, რომელიც თვით კომისიის აზრით უკვე „გაყიდული“ იყო გ.ებრალიძის და სხვათა მიერ?
- რამდენადაა საღ და რეალისტურ აზრთან ახლოს 1994 წლის გაზაფხულზე ზ.გამსახურდიას მიერ „ახალი ტაქტიკით“ ე.წ. „ძმათამკვლელი სამოქალაქო ომის“ განახლების გეგმა?
- კოკო და მისი კომისია (განსაკუთრებით ვითომ-ზვიადისტობა) ვერ ხვდება, რომ ზ.გამსახურდიას მიერ აღნიშნული „მოხსნა-დანიშვნებისა“ და „ძმათამკვლელი სამოქალაქო ომის“ განახლების მოტივისა და სხვა მსგავსი მონაჭორების კომისიის დოკუმენტში შეტანითა და საჯარო გავრცელებით ისინი სასტიკ მორალურ ზიანს აყენებენ პრეზიდენტ გამსახურდიას და ამითი მთლიანად ლეგიტიმურ ხელისუფლებას – თუ განგებ, სპეციალურად და ბოროტი განზრახვით აკეთებენ ამას?

45. კომისიის დოკუმენტებში განსაკუთრებული და საეჭვო ჩაკირკიტება იგრძნობა იმ ცეცხლსასროლი იარაღების მიმართ (პისტოლეტი "სტეჩკინი“ და რევოლვერი), რომლებიც ზ.გამსახურდიას თან ჰქონდა და რომლითაც მან თავი მოიკლა. ამასთან, ეს ჩაკირკიტება იქითაა მიმართული, რათა ხაზი გაუსვას, დაამტკიცოს და საჯარო გახადოს, რომ საქართველოს პრეზიდენტი ატარებდა არარეგისტრირებულ, არასატაბელო, საეჭვო წარმოშობის ცეცხლსასროლ იარაღებს და ამდენად იგი სისხლის სამართლის დასჯად დანაშაულს ჩადიოდა.

შეკითხვა:

- შეგნებულად გამოჰყავს კომისიას ზ.გამსახურდია სისხლის სამართლის დამნაშავედ, თუ - ეს უგუნურობით მოსდის?

46. როგორც მ.არჩვაძის მოხელის ტ.ფუტკარაძის მიერ კოკოს კომისიისადმი მიძღვნილი დოკუმენტიდან ირკვევა (ტ.ფუტკარაძე, „არსებითი კითხვები საქართველოსთვის“, 20.10.09): 2004 წლის ე.წ. "ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ვ.ხმალაძემ და მ.არჩვაძემ (ტ.ფუტკარაძის შუამავლობით) ოფიციალური წერილით (2004.02.02) მიმართეს მ.სააკაშვილს. წერილის პასუხად, საქართველოში მ.სააკაშვილის მიერ შეიქმნა: "1991-1993 წლებში განვითარებული მოვლენების შედეგად განხორციელებული ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლის, საქართველოს პრეზიდენტ ზვიად **გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის,** ასევე ხელისუფლების შეცვლის მიზნით ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული ფაქტების, გარემოებებისა

და თანამდევი (1991-2003 წლებში მომხდარი და სხვ.) მოვლენების შემსწავლელი **სახელმწიფო კომისია“** – დიახ, ზუსტად და სწორედ „ფიზიკური ლიკვიდაციის“.

ამ კომისიის შექმნამდე ანალოგიური მიზნით, საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით, გენერალური პროკურორის მოადგილის, უზენაესი საბჭოს წევრებისა და საზოგადოების წარმომადგენელთა შემადგენლობით **კიდევ ორი კომისია შეიქმნა,** რომელთაც იურიდიული დოკუმენტის შექმნა ვერ შეძლეს; კერძოდ: ნ.გაბრიჭიძის 2003 წლის 29 დეკემბრის №50-მ ბრძანებით შეიქმნა "ერთობლივი კომისია“ შემდეგი შემადგენლობით: გ.ჯიქია, ვ.გელაშვილი, გ.ბერძენაძე, მ.არჩვაძე, ვ.ფხალაძე, ბ.აფრასიძე, ა.ჟღენტი, ტ.ფუტკარაძე, გ.კერვალიშვილი. 2004 წლის 18 თებერვლის ი.ოქრუაშვილის № 17-მ ბრძანებით კი შეიქმნა "ერთობლივი კომისია“: კ.კობერიძე, ვ.გელაშვილი, ვ.ჯანყარაშვილი, ტ.ფუტკარაძე, მ.რაფავა, ჯ.ზარანდია.

აღნიშნული სამივე კომისია შეიქმნა მ.არჩვაძის მოთხოვნების საფუძველზე.

მალე ამ სამ კომისიას მიემატა **მეოთხე კომისიაც:** საქართველოს გენერალური პროკურორის 2004 წ. 8 ივლისის №17-მ ბრძანებით „საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მიმართ აღძრული და წარმოებით შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმის მასალების მიხედვით, 1991-1993 წლებში განვითარებული, ასევე 2003 წლის ჩათვლით თანამდევი ცნობილი მოვლენების შესწავლისათვის“ შეიქმნა საქართველოს გენერალური პროკურატურის, 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრთა და საზოგადოების წარმომადგენელთა ერთობლივი კომისია შემდეგი შემადგენლობით: გ.ჯანაშია საქართველოს გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე; გ.ბადრიაშვილი ქ.თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი; ტ.ფუტკარაძე 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი; მ.ტაბიძე ფილ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; მ.რაფავა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; გ.ანდრიაძე საქართველოს საპატრიარქოს საპარლამენტო მდივანი.

როგორც ზემოთ მოტანილი მასალებიდან მტკიცდება, მ.სააკაშვილის **„ზვიად გამსახურდია თავს არ მოიკლავდა - იგი მოკლეს“** ლიტონ სიტყვებად არ დარჩენილა და მისი ამ დოქტრინის, განკარგულებისა და ლოზუნგის შესაბამისად შეიქმნა **„ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციისა“** და სხვა შესაბამისი ელფერის კომისიები, განახლდა პროკურატურის გამოძიება, შეიქმნა კოკოს კომისია და რაც ძალზე არსებითია წამოწყებული იქნა **მასობრივი პროპაგანდისტული კამპანია პრესასა და განსაკუთრებით სამთავრობო ტელევიზიაში ლოზუნგით „გამსახურდია მოკლულია“.**

შეკითხვები:

- რატომ არ ეძლევა კოკოს კომისიის მიერ პოლიტიკური შეფასება და მიჩქმალულია ზემოთ მითითებული კომისიების მუშაობა თუ პასიურობა, წარმატება თუ წარუმატებლობა?
- ზემოთაღნიშნული ოთხი კომისიის აბსოლუტური წარუმატებლობა (კოკოს კომისიის გაპიარებული „წარმატების“ ფონზე) ხომ არ იყო გამოწვეული იმითი, რომ ის კომისიები მ.არჩვაძის ინიციატივით შეიქმნა და მისი გარკვეული მონაწილეობითა და ზედამხედველობით უნდა ემუშავა? ხომ არ არის ეს მ.არჩვაძისა და მისი ოჯახის „დაუმორჩილებელი“ წევრების შევიწროებისა და იგნორირების, მათი „შაქარლამისა და მათრახის მეთოდით წვრთნის“ ასახვა?
- მ.არჩვაძისეული ოთხი კომისიის ტოტალური წარუმატებლობისა და დამბლადაცემულობის ფონზე კოკოს კომისიის „დიდი წარმატება“ და მისი ისტერიული გაპიარება, კოკოს კარიერული აღმავლობა ხომ არ არის იმის მანიშნებელი, რომ **კოკო ოპოზიციის რიგებში ჩანერგილი სააკაშვილის შეფარული გავლენის აგენტია?**

- ხელისუფლებისა და სახელისუფლებლო მას მედიის ცალმხრივი კონცენტრირება გამსახურდიას მკვლელობის ვერსიაზე და **მკვლელობის ვერსიის გაპიარებული წარმოდგენა როგორც ფაქტობრივად დამტკიცებული ვერსიისა,** რომელის ეჭვქვეშ დაყენებას ცდილობენ თითქოს მხოლოდ-ღა ამ „მკვლელობაში“ ასე თუ ისე ჩარეული პირები – ხომ არ ახდენს **ფსიქოლოგიურ და მორალურ ზეწოლას, ტერორს მაინც და მაინც ზ.გამსახურდიას მკვლელობისა და შეთქმულების ვერსიის სასარგებლოდ მოწმეებზე** რომელთა „დაკითხვაც“ ხდება კომისიის მიერ?
- ხომ არ არის ეს „დაკითხვებისას“ მოწმეების **ფსიქოლოგიური ტერორიზების მცდელობა და გამოვლინება?**
- ნორმალურად და სამართლებრივად გამართულად მიაჩნია თუ არა საპარლამენტო (ანუ უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს) კომისიას მდგომარეობა, როდესაც ყველა პიროვნება, რომელსაც შეხება ჰქონდა ზ.გამსახურდიასთან მის ბოლო დღეებში და რომელიც **არ იზიარებს მკვლელობის ვერსიას** - კომისიის მიერ (და უფრო ადრე კი კომისიის თავმჯდომარის გაპიარებულ ფილმში) და შესაბამისად მას მედიის მიერ აპრიორი ცხადდება და წარმოდგენილია „საეჭვოდ“, „მკვლელობის თანამონაწილედ“ და/ან „ზ.გამსახურიას წინააღმდეგ შეთქმულად“?
- ხომ არ ქმნის მას მედიისა და განსაკუთრებით ტელევიზიის პიარული ტერორი და ისტერია საზოგადოებაში ისეთ ატმოსფეროს, როდესაც **ადამიანი, რომელიც თვლის რომ ზ.გამსახურდიამ თავი მოიკლა გარიყულად, დეფექტურად და დასაცინად იქცევა?**

22. ➤ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზ.გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქ. პარლამენტის დროებითი კომისიის დასკვნითი დოკუმენტი[144]

22.01. ◈ ბ.გუგუშვილისეული წინასიტყვაობა

კომისიის აქ განხილული „დასკვნითი დოკუმენტის“ (რაც ზოგადად ფრიად ახასიათებდა კომისიის მთელ „მუშაობას“) მთავარი, კატეგორიული და ამითი მისი არსის დამახასიათებელი ნაკლოვანება ისაა, რომ მას არ შეხებია და მასში სავსებით არაა ასახული კრიმინალისტიკისა და სასამართლო მედიცინის – გარეშე, დამოუკიდებელ სპეციალისტთა რაიმე სახის, თუნდაც მცირეოდენი ოპონირება და კრიტიკა. პირიქით, ხელისუფლებაც და კომისიის მთავარი ორგანიზატორი საქართველოს „პარლამენტი“ ყოველგვარად აქეზებდა კომისიის სუბიექტურობას, ექსტრემიზმსა და მკვლელობის ვერსიისადმი მიკერძოებას.

ზოგადად კომისიის მიერ შედგენილი ეს დოკუმენტი დეფექტურია იმითაც, რომ მოწმეებისა თუ სხვა დაკითხულ-გამოკითხულების მონათხრობი მასალის დიდი ნაწილი ფატებისა და მოვლენების სუბიექტურ **შეფასებებს შეიცავს** და არა რაიმე ობიექტურსა და სანდო – თვით დანახულ ან თვით გაგონილ ინფორმაციას, და მით უფრო გადამოწმებად ფაქტებს. მაგალითად, დასკვნაში მოტანილი მასალების უდიდესი ნაწილი შეიცავს არათვითმხილველთა აბსტრაქტულ მსჯელობებ-

---

144 იხ.: „დასკვნითი დოკუმენტის“ საქართველოს პარლამენტის ვებ საითიდან (2011-02-22 10:25 დათარიღებული) ჩამოტვირთული დედანი (ფაილი დათარიღებული 2011 წლის 28 11, ორშაბათი, 4:00:49): Documents/1450_30733_383876_komisiisDASKVNITIDOKUMENTI.doc
და მისი PDF ფორმატი:
Documents/1450_30733_383876_komisiisDASKVNITIDOKUMENTI.pdf

სა და „მტკიცებებს“ რომ მათი აზრითა და მათი წარმოდგენით – ამა თუ იმ დაუდასტურებელ გარემოებათა გამო – თვითმკვლელობა გამორიცხულია.

კიდევ ერთი დეფექტურობა ისაა, რომ დიდ ნაწილად დასკვნაში მოტანილია ისეთი პირების მონათხრობები, რომლებიც სხვის მოყოლილს, მონათხრობს ყვებიან საკუთარი ინტერპრეტაციითა და უზუსტობა-შელამაზებებით.

ნიშანდობრივია, რომ კომისია გამოკითხვებისას არ დაინტერესებულა გაეგო ათობით ზ.გამსახურდიას მასპინძელი ოჯახების წევრებისგან და იმ პირებისგან, რომლებიც მას სამეგრელოში მალვის პერიოდში შეხვდნენ და გაესაუბრნენ:

- ზოგადად რა არსებითი, სერიოზული, სახელმწიფოებრივი დონის გეგმები ჰქონდა ზ.გამსახურდიას — ანუ რატომ, რა სამართლებრივ საფუძველზე ეწეოდა იგი საკუთარი და ამას გარდა მის გარშემო მყოფ ათეულობით ადამიანის, ოჯახების სიცოცხლის უკიდურეს რისკს კატასტროფული სამხედრო დამარცხებისა და სამეგრელოს საერთაშორისო ოკუპაციის (ბალტინის დაქვემდებარებაში მყოფი რუსეთ-უკრაინის სამხედრო ძალები) პირობებში?
- აპირებდა, ცდილობდა თუ არა ზ.გამსახურდია სამეგრელოში ალყიდან ჩეჩნეთში გაბრუნებას ან სადმე სხვაგან გასვლას, რაც მის სამართლებრივ სტატუსს შეცვლიდა (მას კვლავ დევნილად, ემიგრანტად გადააქცევდა)?
- ჰქონდა თუ არა ზ.გამსახურდიას, იმ ოჯახის წევრების, რომლებთანაც თავს აფარებდა ან სხვა კონტაქტების მეშვეობით საკუთარი ოჯახისთვის, ეროვნული მოძრაობისთვის, ქართული საზოგადოებრიობისთვის ან დუდაევისთვის რაიმე მიმართვის, წერილის, ცნობების ან თუნდაც მოკითხვის გადაცემის მცდელობა. და, თუ ასეთი მცდელობა მას არ ჰქონია რისი მანიშნებელი იყო ეს გარემოება?
- მიმართა თუ არა ზ.გამსახურდიამ ვისმეს იმდროინდელი კონტაქტებიდან და რაიმე თვალსაზრისით სპეციფიკურად და კონკრეტულად შველის ან დახმარების შესახებ?
- როგორ, რა გარემოებებისა და ფაქტორების გავლენით ჩამოყალიბდა ზ.გამსახურდიას გარემოცვა დაწყებული მისი აფხაზეთში გასვლიდან?
- რა სამართლებრივი სტატუსი ჰქონდა ზ.გამსახურდიას სამეგრელოში მალვის პერიოდში?
- რა სამართლებრივი სტატუსი, მოვალეობები, უფლებები და შესაძლებლობები გააჩნდათ ზ.გამსახურდიას სამეგრელოში მალვის პერიოდში მისი გარემოცვის ცალკეულ წევრებს. რას წარმოადგენდა სამართლებრივად მთლიანად ეს გარემოცვა. რა სამართლებრივი ფაქტორები ავალდებულებდა ამ გარემოცვას უკიდურეს საშიშროებაში ჩაეგდოთ საკუთარი სიცოცხლე, ჯანმრთელობა და თავისუფლება?
- რა სამართლებრივი მოვალეობები და ვის წინაშე ეკისრებოდა გამსახურდიას სიკვდილის შემდგომ მის გარემოცვას მისი ცხედრისა და ნივთიერი გარემოს მიმართ. ევალებოდა თუ არა გარემოცვას გამოძიებისა და სამედიცინო-სასამართლო ექსპერტიზის დამახასიათებელი რაიმე ფუნქციების შესრულება?

კოკოს კომისიის დასკვნით დოკუმეტში მრავალჯერ და მრავალი პირისგან გამოძალულია ზ.გამსახურდიას მუჟავაში ყოფნის პერიოდში მისდამი შევარდნაძის ძალაუფლების ძალოვანი სტრუქტურების მხრივ საქართველოს დატოვებისა და უცხოეთში წასვლის რაღაც „**ულტიმატუმის**“ შესახებ ცნობები. შევარდნაძის ძალაუფლებისგან ასეთი „ულტიმატუმი“ რომ ყოფილიყო, ეს იმას ნიშნავდა, რომ <u>შევარდნაძე დაინტერესებული იყო ზ.გამსახურდიას საქართველოდან **უვნებლად** გასვლით</u>, ხოლო ზ.გამსახურდიას ამ შანსზე უარს აცახადებდა რითაც საკუთარ თავს (და მის მხლებლებსაც) გამოუვალ, სასიკვდილო საშიშროების წინაშე აყენებდა. სინამდვილეში კი ზ.გამსახურდიასადმი ეს იყო მხოლოდღა შეთავაზებები, სავალდებულო აღსრულების პირობის გარეშე რაც დამახასიათებელია ულტიმატუმისადმი. არავის ზ.გამსახურდიასთვის „ულტიმატუმი“ არ წაუყენებია. იყო მხოლოდ სა-

ქართველოდან გასვლის შეთავაზებები და გასვლის გზების შესაძლებლობების განხილვა. უფრო დეტალური განხილვისას ყოველ ჯერზე ამოტივტივდებოდა გასვლის შემოთავაზებული გზისა და ხერხის შეუძლებლობა და არარეალურობა.

არსებითია, რომ კომისიის დასკვნით დოკუმენტში აღარაა გამწვავებული და არსებითად მიჩუმათებულია ვითომც ტყვიით მოკვლამდე ზ.გამსახურდიას **სასტიკი წამების** ფანტაზიები — თუმცა ეს ასპექტი საკმაო ხნის განმავლობაში ძალზე ინტენსიურად იყო მედიის მიერ გაპიარებული. როგორც ჩანს კომისიის წევრებიც კი მიხვდნენ, რომ მოწმეებისა და სხვა გამოკითხულების მათ ხელში არსებული არავითარი მასალა წამების ვერსიას ოდნავადაც ვერ ამაგრებდა.

◈ „პარლამენტის“ 2011 წ 22 თებერვლის პლენარული სხდომის ოქმი N127

«დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ კ.გამსახურდიამ პარლამენტს წარუდგინა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის დასკვნა.

დასკვნასთან დაკავშირებით მოსაზრებებით და სიტყვით გამოვიდნენ: ლ.ვეფხვაძე, რ.სამყურაშვილი, თ.წურწუმია.

გამოსვლების შემდეგ კ.გამსახურდიამ დარბაზს გააცნო საქართველოს პარლამენტის დადგენილება "საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის დასკვნის შესახებ"

ტექსტთან დაკავშირებით მოსაზრებებით გამოვიდნენ ლ.ვეფხვაძე და ლ.თორდია.

დასკვნითი სიტყვით გამოვიდა კ.გამსახურდია.

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის დასკვნა.

...

რეგისტრაცია გაიარა 80 პარლამენტის წევრმა, კვორუმი – 76

დარბაზმა ხელის აწევით თანხმობა განაცხადა კენჭისყრების ჩატარებაზე.

კენჭისყრაზე დადგა შემდეგი საკითხები:

...

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის დასკვნა.

რეგისტრაცია – 93 მომხრე – 75

კვორუმი – 50 წინააღმდეგი – 0»

«საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლითაც საკანონმდებლო ორგანო საქართველოს მთავარ პროკურატურას მიმართავს გამოიყენოს საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის მიერ მოკვლეული მასალები და მტკიცებულებები და გამსახურდიას გარდაცვალების საქმის **ობიექტური გამოძიება**[145] ჩაატაროს. მანამდე პარლამენტმა დროებითი კომისიის დასკვნა მოისმინა. კომისიის თავმჯდომარემ, კონსტანტინე გამსახურდიამ 15 თვიანი მუშაობის შედეგად მოკველული მასალებისა და მტკიცებულებების ძირითად ასპექტებზე ისაუბრა, რაც მთლიანად გამორიცხავს ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის ვერსიას. კომისიის წევრებმა თავიანთ გამოსვლებში საკითხის ისტორიულ მნიშვნელობასა და მის მიმართ საზოგადოების ინტერესზე გაამახვილეს ყურადღება. პარლამენტმა ცნობად მიიღო კომისიის მიერ წარმოდგენილი დასკვნა.

---

[145] „ობიექტური გამოძიება“ კოკოს კომისიის ფალსიფიკატებზე და სიყალბეებზე დაყრდნობით.

კონსტანტინე გამსახურდიამ და კომისიის წევრებმა მზადყოფნა გამოთქვეს, რომ საქმის ინტერესებიდან გამომდინარე აქტიურად ითანამშრომლებენ პროკურატურასთან.»

◈ საკითხის უმოკლესი ისტორია და ანატომია

კოკოს კომისიაც და მისი „დასკვნაც“ არაობიექტურებია იმთავად და ცალსახად და დაუფარავად „დაკვეთილია“ სააკაშვილის რეჟიმის მიერ შორს გამიზნული პოლიტიკური მიზნებით:

აღნიშნული გამოძიების წამოწყებას წინ უსწრებდა სააკაშვილის სახელმწიფოს ფაქტობრივი მეთაურისათვის ძალზე უხეში და მიუტევებელი იურიდიული ლაფსუსი: «პრეზიდენტი სააკაშვილი კი საპატრიარქოდან იძლეოდა კომენტარს: „მე როგორც ქრისტიანი ადამიანი, დარწმუნებული ვარ, **ზვიად გამსახურდია თავს არ მოიკლავდა**“. სააკაშვილის თქმით, ასეთი დიდბუნებოვანი ადამიანი იმ დროისათვის მიუღებელი იყო და იგი მოკლეს იმ ადამიანებმა, რომელთაც საქართველოს დამოუკიდებლობა არ უნდოდათ» (გაზეთი „რეზონანსი“, №90, ორშაბათი, 5 აპრილი, 2004 წელი).

2004 წლის ე.წ. "ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ვ.ხმალაძემ და მ.არჩვაძემ (ტ.ფუტკარაძის შუამავლობით) ოფიციალური წერილით (2004.02.02) მიმართეს მ.სააკაშვილს. წერილის პასუხად, მ.სააკაშვილის მიერ შეიქმნა: "1991-1993 წლებში განვითარებული მოვლენების შედეგად განხორციელებული ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლის, საქართველოს **პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის,** ასევე ხელისუფლების შეცვლის მიზნით ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული ფაქტების, გარემოებებისა და თანამდევი (1991-2003 წლებში მომხდარი და სხვ.) მოვლენების შემსწავლელი სახელმწიფო კომისია“ — დიახ, ზუსტად და სწორედ „ფიზიკური ლიკვიდაციის“.

ამ კომისიის შექმნამდე ანალოგიური მიზნით, საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით, გენერალური პროკურორის მოადგილის, უზენაესი საბჭოს წევრებისა და საზოგადოების წარმომადგენელთა შემადგენლობით **კიდევ ორი კომისია შეიქმნა,** რომელთაც იურიდიული დოკუმენტის შექმნა ვერ შეძლეს; კერძოდ: ნ.გაბრიჭიძის 2003 წლის 29 დეკემბრის №50-მ ბრძანებით შეიქმნა "ერთობლივი კომისია“ შემდეგი შემადგენლობით: გ.ჯიქია, ვ.გელაშვილი, გ.ბერძენაძე, მ.არჩვაძე, ვ.ფხალაძე, ბ.აფრასიძე, ა.ჟღენტი, ტ.ფუტკარაძე, გ.კერვალიშვილი. 2004 წლის 18 თებერვლის ი.ოქრუაშვილის № 17-მ ბრძანებით კი შეიქმნა "ერთობლივი კომისია“: კ.კობერიძე, ვ.გელაშვილი, ვ.ჯანყარაშვილი, ტ.ფუტკარაძე, მ.რაფავა, ჯ.ზარანდია.

აღნიშნული **სამივე კომისია** შეიქმნა მ.არჩვაძის მოთხოვნების საფუძველზე.

მალე ამ სამ კომისიას მიემატა **მეოთხე კომისიაც:** საქართველოს გენერალური პროკურორის 2004 წ. 8 ივლისის №17-მ ბრძანებით „საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მიმართ აღძრული და წარმოებით შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმის მასალების მიხედვით, 1991-1993 წლებში განვითარებული, ასევე 2003 წლის ჩათვლით თანამდევი ცნობილი მოვლენების შესწავლისათვის შეიქმნა საქართველოს გენერალური პროკურატურის, 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრთა და საზოგადოების წარმომადგენელთა ერთობლივი კომისია შემდეგი შემადგენლობით: გ.ჯანაშია საქართველოს გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე; გ.ბადრიაშვილი ქ.თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი; ტ.ფუტკარაძე 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი; მ.ტაბიძე ფილ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; მ.რაფავა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; გ.ანდრიაძე **საქართველოს საპატრიარქოს** საპარლამენტო მდივანი.

მას შემდეგ, რაც მანანა არჩვაძესა და სააკაშვილს შორის შავმა კატამ გაირბინა, რაც ცოტნეს ხანგრძლივვადიან დატუსაღებაში გამოქანდაკდა — სააკაშვილის რეჟიმმა ქოთანს ყური მეორე მხრიდან შეაბა — ქუჩის ოპოზიციონერი კოკო გამსა-

ხურდია გააპარლამენტარეს და გაა-კომისიის-მეთაურეს (ეს ანგარიშით **მეხუთე კომისიაა)** და რაც ძალზე არსებითია წამოიწყეს მასობრივი პროპაგანდისტული კამპანია პრესასა და განსაკუთრებით სამთავრობო ტელევიზიებში ომახიანი შეძახილით „გამსახურდია მოკლულია“.

ქვემორე წარმოდგენილი დოკუმენტი სწორედ ამ პოლიტიკური გამიზნულებით შექმნილ-გაპიარებული კომისიის ქმნილებაა

ფრიად ნიშანდობლივია, რომ თანდართული ფოტომასალა არ შეიცავს თუნდაც ერთ ფოტოს, რომელზეც გამსახურდიას ცხედარის თავი გადაღებული იყოს **მარჯვენა მხრიდან** — ანუ იმ მხრიდან, სადაც, საფეთქელთან იყო ტყვიის შემავალი ხვრელი და აღინიშნებოდა ძალზე არსებითი დამწვრობა. — თუ რატომ გაკეთდა ეგრე — ამაზე ფიქრი მკითხველისთვის მიგვინდია...

კომისიის მუშაობაში ძალზე ნიშანდობლივი და დამახასიათებელი მომენტი იყო „ღირსეული ადამიანების მიერ“[146] შეგროვებულ 10.000 დოლარად ამერიკული „კვალიფიციური“ მკვლელობის ვერსიის ყიდვის მცდელობა — რომელიც ბოლოს გაურკვევლად „მიჩუმათდა“:[147]

«კომისიის თავმჯდომარე კონსტანტინე გამსახურდიამ გუშინ განაცხადა, რომ **საბოლოო დასკვნისთვის მიმართეს აშშ-ში სერიოზულ ექსპერტს,** რომელიც **კვალიფიციურ დასკვნას დადებს** პირველი პრეზიდენტის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

კონსტანტინე გამსახურდიას თქმით, ამ **ექსპერტის მიერ სათანადო სამუშაოს შესრულება გარკვეულ თანხასთან არის დაკავშირებული.** კერძოდ, კომისიის თავმჯდომარის თქმით, ექსპერტის მიერ **სამუშაოს შესრულება 8-10 ათას დოლარამდე დაჯდება.** მისივე თქმით, ამ თანხის გადახდის საშუალება პარლამენტს არა აქვს.

კონსტანტინე გამსახურდია აპირებს, პარლამენტის ხელმძღვანელობას მიმართოს, რათა გაარკვიოს ეს საკითხი, რომ საბოლოოდ დაიდოს პირველი პრეზიდენტის სიკვდილთან დაკავშირებით მიუკერძოებელი დასკვნა.

- **აუცილებლად უნდა შეიქმნას ფონდი,** ვინაიდან ექსპერტიზის ის დოკუმენტები, რომლებიც ჩვენ გაგვაჩნია, საჭიროებს კიდევ ერთხელ **გადამოწმებას მიუკერძოებელი სპეციალისტების მხრიდან.** ჩვენ საქმე გვაქვს ძალიან მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთან კალიფორნიაში, ეს ყველაფერი ღირს გარკვეული თანხა, 8-10 ათასი დოლარის ფარგლებში, რათა ეს სამუშაო იქნეს ჩატარებული, - აღნიშნა კონსტანტინე გამსახურდიამ.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, ექსპერტი ასევე მოითხოვს ძირითადი მოწმეების ჩვენებას, თუ როგორ მდგომარეობაში ნახეს მიცვალებული 1993 წლის 30 თუ 31 დეკემბერს.

რაც შეეხება ფონდს, უმრავლესობის წევრი **ეკა ხერხეულიძე მიიჩნევს, რომ საქართველოში ღირსეული ადამიანები არიან, რომლებიც უკანასკნელ თანხას გაიღებენ** იმისათვის, რომ ამ ფონდში თავიანთი შენაწირი შეიტანონ, რათა ეს თანხა მოხმარდეს ზვიად გამსახურდიას სიკვდილის დამდგენი კომისიის მუშაობას.

— ის ექსპერტი, რომელიც დაასახელა ბატონმა კონსტანტინე გამსახურდიამ, მაღალანაზღაურებადია. ეს თანხა არ გააჩნია საქართველოს პარლამენტს. **დარწმუნებული ვარ, პარლამენტის წევრები მაგალითის მიმცემი იქნებიან შემოწირულობებში, - ასეთია ეკა ხერხეულიძის პოზიცია.**

ეკა ხერხეულიძე: ნუ ხატავთ ცოტნე გამსახურდიასგან დისიდენტს!

„ახალი თაობა“, 2010-06-03, ნანა მიშელაშვილი»

საბოლოოდ გაირკვა, რომ გამსახურდიას მკვლელობის ვერსიის მომხრეთა შორის „ღირსეული ადამიანები, რომლებიც უკანასკნელ თანხას გაიღებენ“ არ არსებობენ, საჭირო თანხა ვერ შეგროვდა და ამერიკული ყაიდის დასაბუთებული,

---

146 ბოლოს, 10 ათასი დოლარი „სიმართლის“ საკურთხეველზე არ დაიდო და დამტკიცდა, რომ საქართველოში „ღირსეული ადამიანები“ არ არსებობენ!

147 იხ. ვიდეო დოკუმენტი DVD-ზე:
Video/koko_komisiaze_dolarebi_02_06_2010.flv
Video/kokos_komisia_dolarebi_08-06-2010.flv
Video/koko_foreign_experts_dollars.flv

„სერიოზული“ და დამტკიცებული „მართალი“ კვალიფიციური სიკვდილის ვერსია ვერ იქნა შეძენილი!

ნიშანდობლივია, რომ ზემოთ ხსენებული ე.ხერხეულიძე იყო გროზნოდან თბილისში გამსახურდიას გადმოსვენების სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე და თავგანწირულად იმუქრებოდა, რომ თბილისში ჩამოტანისთანავე ნეშტს ჩაუტარდებოდა სამედიცინო-სასამართლო და ყველა სხვა საჭირო საგამომძიებლო ექსპერტიზა. ამასვე მას მედიის საშუალებით ითხოვდა კ.გამსახურდიაც — მაგრამ ქვრივისა და ქვრივის შვილებმა კოკო გამსახურდიაც და თვით გადასვენების კომისიის თავმჯდომარე ე.ხერხეულიძე ძაღლადაც არ ჩააგდეს — მათი სანუკვარი სურვილი წყალში ჩაუყარეს და საგამომძიებლო ორგანოები ახლოც არ გააკარეს ნეშტს.

ამ დასკვნაში მოტანილი ინფორმაციის ძალზე დიდი ნაწილი ეხება ან მოდის ე.წ. „პრეზიდენტის მცველებისგან“ ანუ „პირადი დაცვისგან“ — ამასთანავე სავსებით გაურკვეველია ამ ადამიანების სამართლებრივი მდგომარეობა — მათი მოვალეობები და უფლებები, მათი პასუხისმგებლობის ზომა და ფარგლები, მათი საბრძოლო, სამეურნეო, მატერიალური და სხვა მომარაგების სამართლებრივი და ეკონომიკური საკითხები, შრომის ორგანიზება და რისკის ანაზღაურება, სამუშაო საათების მოწყობა, წვრთნა და დისციპლინა, ბრძოლისუნარიანობის უზრუნველყოფა — გაურკვეველია რა და როგორი ხელშეკრულების საფუძველზე მოქმედებდნენ ისინი. გაურკვეველია, იყვნენ ისინი დაქირავებული მუშაკები, ძალა (რა ხელფასით, რომელი წყაროებიდან ანაზღაურებით) თუ იყვნენ მოხალისეები (რა პირობებით, მოლაპარაკებით). სავსებით გაურკვეველია ვისი მოვალეობა იყო პრეზიდენტის უშიშროების უზრუნველყოფა (უშიშროების სამსახური) პირადი დაცვისგან (მცველის სამსახური) განსხვავებით. ამ ძალზე არსებითი სამართლებრივი ასპექტების გარკვევის გარეშე — ის შეიარაღებული ჯგუფი რომლის წევრიც თვით გამსახურდია იყო — წარმოგვიდგება როგორც შეიარაღებული უკანონო ბანდა გაურკვეველი შინაგანი ურთიერთობებითა და უფლება-მოვალეობებით, რომელიც გაურკვეველი წარმოშობის და წარმომავლობის რესურსებს ხარჯზე (ხარჯვით) არსებობდა.

ძალზე არსებითი სამართლებრივი მომენტი ისაა, რომ **ზ.გამსახურდიას საქართველოში დაბრუნების მომენტისთვის ქართული მართმადიდებელი ეკლესიის მიერ საქართველოს „კურთხეულ მეთაურად“ აღიარებული იქნა ე.შევარდნაძე:**

1993 წლის 14 სექტემბერს თბილისში მწვავედ დადგა შევარდნაძისადმი მისივე მარიონეტული „პარლამენტის“ მხრივ დაუმორჩილებლობის საკითხი და საპასუხოდ შევარდნაძე გადადგომით დაიმუქრა და განაცხადა, რომ უკან ნაბიჯს აღარ გადადგამდა. შევარდნაძის მხარდასაჭერად კათალიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით შეკრებილი იქნა მრავალათასიანი ბრბო — რომელმაც შევარდნაძეს დაუჩოქა და დაჩოქილმა სთხოვა „დაფურთხებულს ჩვენ ავლოკავთო“ ოღონდ კი დარჩი საქართველოს მეთაურადო. აღნიშნული ქმედება აკურთხა კათალიკოს-პატრიარქმა სიტყვებით: „მთელი საქართველო ღელავს. ამიტომ **მე უფლება მაქვს როგორც საქართველოს სულიერ მამას და პირადად თქვენს სულიერ მამას მოგცეთ ლოცვა-კურთხევა რომ მთელ საქართველოს განვუცხადოთ რომ თქვენ ბრძანდებით საქართველოს მეთაური.**“

ამდენად – კათალიკოს-პატრიარქის მიერ შევარდნაძის კურთხევა მას რელიგიური და სარწმუნოებრივი თვალსაზრისით ლეგიტიმურ ანუ ფაქტობრივად მირონცხებულ საქართველოს მეთაურად აქცევდა — ხოლო გამსახურდიას კი ამბოხებულ კრიმინალად!

კომისიის არაკეთილსინდისიერების მაგალითია თუნდაც ის, რომ როსტოვის ექსპერტიზის დასკვნის რუსული დედანი არაა წარმოდგენილი (და ეს იმ ფონზე, როდესაც კომისიის წევრები მას მედიით არაერთხელ საჯაროდ აცხადებდნენ დასკვნის „დაშიფრულობაზე“ და დასავლეთელი სპეციალისტების მიერ მისი „განშიფრვის“ ჩატარებაზე) — ეს კი მართლაც რომ სერიოზულ ეჭვს წარმოშობს თუ რამდენად ზუსტადაა ქართულად როსტოვის ექსპერტიზის რუსულ ენაზე დაწერილი ტექსტი ქართულად გადმოცემული.

◈ საკვანძო მოწმეების გამოქვეყნებული ჩვენებების სრული იგნორირება

კომისიის უკიდურესი მიკერძოებითობის ფრიად დამახასიათებელი ნიშანია ისიც, რომ კომისიის მასალებში სავსებით იგნორირებულია ზ.გამსახურდიას სიკვდილის ისეთი საკვანძო და სიკვდილის თვითმხილველი მოწმის მრავალი, ტელევიზიაში (მათ შორის ტელეგადაცემების ინტერნეტში გამოქვეყნებული ვიდეო ჩანაწერები), პრესაში და ინტერნეტში გამოქვეყნებული ჩვენება — როგორიცაა ბესარიონ გუგუშვილი.

არაა მითითებული და მით უმეტეს გამოყენებული იმ საკვანძო მასპინძლისა და გამყოლის ჩვენებები, რომელმაც ზ.გამსახურდიას უმასპინძლა თითქმის თვენახევრის განმავლობაში — ზურაბ გუჩუას პრესაში გამოქვეყნებული ჩვენებები.

კომისია არ დაინტერესებულა ზ.გამსახურდიას საქართველოდან გროზნიში გადასვენების საერთაშორისო კომისიის ლიტველი და ჩეჩენი წევრების ფასეული და არსებითი ინფორმაციებით და მათი მოსაზრებებით.

22.02. სისხლის სამართლის №7494802 საქმის აღწერილობითი ნაწილი და მისი მოკლე საპროცესო ისტორია

1991 წლის 22 დეკემბერს საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მოწინააღმდეგეებმა საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად და კანონიერი ხელისუფლების დასამხობად ამბოხი დაიწყეს და მთავრობის სასახლეს ცეცხლი გაუხსნეს. აღნიშნული მდგომარეობა ქვეყანაში გრძელდებოდა 1992 წლის 6 იანვრამდე, ვიდრე პრეზიდენტმა არ მიიღო გადაწყვეტილება ძმათა მკვლელი ომისა და სისხლის ღვრის თავიდან აცილების მიზნით დაეტოვებინა ქვეყანა. თბილისის დატოვებისას პრეზიდენტს და მის თანმხლებ პირებს უკანონო შეიარაღებულმა ფორმირებებმა გაუხსნეს ცეცხლი, რის შედეგადაც ორივე მხრიდან იყვნენ დაჭრილები. ასე აღმოჩნდნენ პრეზიდენტი და მისი თანმხლები პირები აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. რადგან, რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი იყო პრეზიდენტისა და მისი თანმხლები პირების დაპატიმრება, პრეზიდენტმა მარშრუტი შეცვალა და გადავიდა სომხეთის ტერიტორიაზე, ქალაქ იჯევანში. დაახლოებით 2 კვირის შემდეგ, ჩეჩნეთის პრეზიდენტთან შეთანხმების შედეგად ზვიად გამსახურდია, მისი ოჯახის წევრები და ორმოცამდე თანმხლები პირი გადაფრინდნენ ქალაქ გროზნოში, სადაც ჯოხარ დუდაევმა პრეზიდენტს საცხოვრებლად გამოუყო "ცეკას" სასტუმრო.

გროზნოში პრეზიდენტთან ჩასული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატები პრეზიდენტს არწმუნებდნენ[148], რომ საჭირო იყო მისი საქართველოში დაბრუნება, არსებული დე ფაქტო ხელისუფლებისთვის წინააღმდეგობის გაწევა და კანონიერი ხელისუფლების აღდგენა. ამასთანავე 1993 წლის ზაფხულში, ზუგდიდში, **უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება პრეზიდენტის საქართველოში დაბრუნების შესახებ**[149]. ადგილზე

---

148 კომისიის მიერ უკეთური განზრახვით არაა დასახელებული თუ კონკრეტულად რომელი დეპუტატები ცდილობდნენ ზ.გამსახურდიას საქართველოში, სამეგრელოში „ჩატყუებას" — რათა ეჭვი ყველას მიმართ იყოს, ამასთანავე სავსებით არ ახსენებენ იმათ, ვინც პრეზიდენტის დაბრუნებას ნაადრევად და საშიშად მიიჩნევდნენ (რომელთა შორისაც განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბ.გუგუშვილი)

149 საგანგებოდ უნდა აღვნიშნო, რომ უზენაესი საბჭოს დეპუტატების არსებითმა ნაწილმა, მიიღო რა ზუგდიდის სესიაზე დადგენილება პრეზიდენტ ზ.გამსახურდიასა და მთავრობის საქართველოში დაბრუნების შესახებ, თავად, რამდენიმე დღეში მხდალად, ცვედნურად გაიპარა სამეგრელოდან, საერთოდ საქართველოდან და თანაც ამათმა უმეტესობამ თავი აგრესორი იმპერიის, რუსეთის დედაქალაქ მოსკოვს შეაფარა! ეს მოღალატეობა განსაკუთრებით აშკარა გახდა ბალტინის ძალების აგრესიის გარდუვალობის ფონზე, როდესაც ზუგდიდი დატოვა და „სამშვიდობოს ილტვოდა" ზ.გამსახურდიას ხელისუფლების წევრების დიდი ნაწილი. ამ სულმოკლე ცვედანთა მათ შორის იყო მაგალითად მ.არჩვაძის ქუსლქვეშა წიოკა „პარლამენტის" „თავმჯდომარე" ა.ჟ–ი. უზენაესი საბჭოს დეპუტატი გ.გ–ნი ბალტინის აგრესის წინა დღეს ჩამოვიდა მოსკოვიდან ფოთის გავლით ზუგდიდში ვითომც პრეზიდენტის სანახავად და შემდეგ ისე თავქუდმოგლეჯილი გაიპარა ზუგდიდიდან კვლავ მოსკოვში, ფოთიდან ბათუმში გამავალი უკანასკნელი კატარღით, რომ არც ზ.გამსახურდიას ნახვას დაელოდა და არც მისი საუკეთესო მეგობრის ეული, ავადმყოფი ბავშვი არ გაიყვანა თან მომავალი ბრძოლის ველიდან. ნიშანდობლივია, რომ ამ სულმოკლე დეზერტირების პასუხისმგებლობის საკითხი არასოდეს დამდგარა და მეტიც, სწორედ ესენია ყველაზე გააფორებით,

გარემოების შესასწავლად პრეზიდენტმა საქართველოში გამოაგზავნა პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი[150]. **ბესარიონ გუგუშვილმა ჩამოსვლიდან მეორე დღეს, ზუგდიდში, ჩაატარა მრავალათასიანი მიტინგი და მოუწოდა მოსახლეობას ერთსულოვნებისა და კანონიერი ხელისუფლების მხარდაჭერისკენ[151]**.

1993 წლის 24 სექტემბერს პრეზიდენტი გროზნოდან ზუგდიდში ჩავიდა. ზვიად გამსახურდიას ზუგდიდში ჩასვლის დღესვე გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი, რის შემდეგაც ზვიად გამსახურდია გადავიდა აფხაზეთში და ჩავიდა ოჩამჩირეში. პრეზიდენტს შეხვდნენ იქ მებრძოლი ქართველები, მათ შორის, შევარდნაძის მომხრე ძალოვნებისა და სამხედრო ფორმირებათა წარმომადგენლები. ამის შემდეგ პრეზიდენტი წავიდა ტამიშში, სადაც დასავლეთის ქვეყნების კორესპონდენტებმა ჩამოართვეს მას ინტერვიუ. პრეზიდენტის პოზიცია, რომელიც მან ადგილობრივი ტელევიზიით დააფიქსირა, შეიცავდა კანონიერ და ფაქტობრივ ხელისუფლებათა შეიარაღებული ძალების გაერთიანებისკენ მოწოდებას, რათა აფხაზეთის დაცვა ერთიანი ფრონტით მომხდარიყო. (იხ. დოკუმენტური ფილმი „დინების საწინააღმდეგოდ“[152], პირველი ნაწილი) სხვადასხვა მიზეზის გამო ეს გაერთიანება არ შედგა. ამ ფაქტორმა, ასევე რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ სეპარატისტების აქტიურმა მხარდაჭერამ განაპირობა საქართველოს შეიარაღებული ძალების მარცხი, ჯერ სოხუმის, შემდეგ კი ოჩამჩირისა და გალის დაცემა.

აფხაზეთის დაცემის შემდეგ პრეზიდენტი ჩავიდა წალენჯიხაში, მარტვილში, სენაკში, აბაშაში, ფოთში და ბოლოს სამტრედიაში. მოსახლეობა პრეზიდენტს ყველგან აღფრთოვანებით ხვდებოდა და მისგან მოითხოვდა კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის ბრძოლას. ყველა ამ ქალაქსა და რაიონულ ცენტრში აღდგენილად ცხადდებოდა კანონიერი ხელისუფლება.

მას შემდეგ, რაც ჩაიშალა ბობოყვათის სამთავრობო რეზიდენციაში გამართული მოლაპარაკებები კანონიერ და ფაქტობრივ ხელისუფლებათა წარმომადგენლებს შორის, თბილისში განთავსებულმა ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებამ დახმარება კრემლს სთხოვა[153]. რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდალმა სევასტოპოლში, ადმირალმა ედუარდ ბალტინმა ჯავშანტექნიკით შეიარაღებული დესანტი გადმოსხა ფოთში და რუსეთის შეიარაღებული ძალების ჯარისკაცებმა დე ფაქტო ხელისუფლების სამხედრო დაჯგუფებებთან ერთად განახორციელეს შეტევა კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ, რის შედეგადაც დაიკავეს დასავლეთ საქართველოს არაერთი ქალაქი და დასახლებული პუნქტი.

1993 წლის 31 ოქტომბრიდან[154] პრეზიდენტსა და მის თანმხლებ პირებზე დევნას ახორციელებდნენ დე ფაქტო ხელისუფლების უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების რაზმები, აგრეთვე გენერალ გია გულუას მიერ რუსე-

---

დუუმორეულები რომ სდებენ ბრალს ზ.გამსახურდიას მცირერიცხვოვან ერთგულ გარემოცვას მის დაღუპ–ვაში.

150 ბ.გუგუშვილი უზენაესი საბჭოს სესიის ჩატარებამდე რამდენიმე დღით ადრე ჩავიდა ზუგდიდში — რათა ზოგადი ხელმძღვანელობა გაეწია სესიის მოწყობისთვის მისი თავმჯდომარის არყოფნის ვითარებაში

151 ბ.გუგუშვილის მიერ ზუგდიდში ხალხმრავალ მიტინგის ვიდეოჩანაწერის გროზნიში ზ.გამსახურდიას ოჯახისა და ახლო წრის მიერ ნახვისას მ.არჩვაძე მოსთქვამდა: „გუგუშვილი ლამის უკვე გაპრეზიდენტდა საქართველოში და ასე პრეზიდენტად ჩავა თბილისში — შენ კი იჯექი აქ, ზვიად, და უყურე ტელევიზორს...“

152 აღნიშნული ორნაწილიანი პროპაგანდისტული ვითომ დოკუმენტური ფილმი საჯაროდ, მათ შორის ინტერნეტით გავრცელებული არ ყოფილა — რამდენადაც მრავალ და უხეშ უზუსტობას შეიცავდა — რაც დადგინდა როსტოვის ექსპერტიზის აქტით. ამიტომ, ეს ფილმი პრაქტიკულად გაასაიდუმლოვეს — თუმცა მოიხსენიებენ როგორც არსებით და საკვანძო „დოკუმენტს“.

153 ეს კომისიის კიდევ ერთი უსინდისო დეზინფორმაცია და უხერხემლობის გამოვლინებაა — შესანიშნავადაა დოკუმენტირებული, რომ ბალტინის საინტერვენციო ძალები ელცინმა დასავლეთ საქართველოში ამერიკის პრეზიდენტის პირადი თხოვნის საფუძველზე გააგზავნა, რასაც აგვარებდა და უძღვებოდა რუსეთს საგანგებოდ მივლინებული აშშ სახელმწიფო მდივანი კრისტოფერი: "Briefing on Current Situation in Georgia and Implications for U.S. Policy (თანამედროვე სიტუაცია საქართველოში და დასკვნები აშშ პოლიტიკისათვის)", Commission on Security and Cooperation in Europe, Monday, October 25, 1993, Washington, DC.

154 საინტერესოა, რითი, რა დოკუმენტებზე დაყრდნობით დაამტკიცა კოკოს კომისიამ, რომ დევნას მაინც და მაინც 31 ოქტომბრიდან ახორციელებდნენ?

თიდან ჩამოყვანილი სპეციალური დანიშნულების რაზმი “ლეტუჩიე მიში”[155]. პრეზიდენტი გადავიდა აფხაზეთში, კერძოდ, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ილორში, სადაც სეპარატისტული მხარის მიერ დანიშნული ადგილობრივი ხელისუფლის, რუსლან ქიშმარიას ძმის, მერაბ ქიშმარიას სახლში მას შესთავაზეს აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება და სანაცვლოდ დაჰპირდნენ სამხედრო დახმარების აღმოჩენას კანონიერი ხელისუფლების აღსადგენად. ამაზე პრეზიდენტმა კატეგორიული უარი განაცხადა. ამის შემდეგ პრეზიდენტსა და მის თანმხლებ პირებს მოკლე ხანში დაატოვებინეს აფხაზეთი. 5 ნოემბერს პრეზიდენტი სამეგრელოს ტერიტორიაზე დაბრუნდა[156].

პრეზიდენტი თანმხლებ პირებთან ერთად გადაადგილდებოდა სამეგრელოს რეგიონის ტყეებსა და სოფლებში, ხოლო 1993 წლის 28 დეკემბერს სოფელ ჯიხაშკარიდან, ჯონსონ კვარაცხელიას სახლიდან გადავიდა სოფელ ძველ ხიბულაში, კარლო ღურწკაიას სახლში. ბესარიონ გუგუშვილის, რობინზონ მარგველანისა და ბაჩუკი გვანცელაძის თქმით, 30 დეკემბერს დაახლოებით 00.00 საათსა და 01.00 საათს შორის[157] პრეზიდენტმა კარლო ღურწკაიას სახლში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, ხოლო ბაჩუკი გვანცელაძის თქმით, პრეზიდენტმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა 30-31 დეკემბერს ღამით[158].

1994 წლის 10 იანვარს საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილემ ა.ბალუაშვილმა რუსეთის ფედერაციის საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნებული მასალებისა და მანანა არჩვაძე-გამსახურდიას განცხადების საფუძველზე[159] აღძრა და წარმოებაში მიიღო **სისხლის სამართლის №7494802 საქმე – ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ფაქტზე** (თუმცა საქმის აღძვრის დადგენილებაში მითითებული არ არის, როგორც თვით ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ფაქტი, ისე საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის რომელი მუხლით დაიწყო გამოძიება). 1994 წლის 5 იანვარს მითითებული საქმის აღძვრამდე, საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის ჯამლეთ ბაბილაშვილის სახელით ხსენებულ სისხლის სამართლის საქმეში ფიგურირებს №1 ბრძანება სპეციალური საგამოძიებო-ოპერატიული ჯგუფის შექმნის თაობაზე. აღნიშნული ჯგუფის უფროსის ა.ბალუაშვილის და მისი წევრების - ავთანდილ იოსელიანის, კორნელი ჩალაძის, ვენედი ბენიძის, ზ.ჯორჯიკიას, ა.ხვადაგიანის, ლ.კვაშილავას და ო.ქელდიშვილის შემადგენლობით, აღნიშნულ ბრძანებაში მითითებულია, რომ საქართველოს რესპუბლიკის “ყოფილმა” პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მაღალმთიან სოფელში თავი მოიკლა. აღნიშნულის შესასწავლად და გამოძიების მიზნით შეიქმნა ზემოხსენებული ჯგუფი. 1994 წლის 12 იანვარს ა.ბალუაშვილმა გამოიტანა დადგენილება “დაკრძალვის ადგილიდან ზვიად

---

155 არავითარი **საბუთი და მტკიცებულება** იმისა, რომ ზ.გამსახურდიას დევნაში საგანგებოდ და სპეციალურად მონაწილეობდა რაიმე რუსული სპეცრაზმები ვერ იქნა მოპოვებული — და ეს მითოსი კომისიას მიმდინარე ანტირუსული ისტერიის ფონის შესაქმნელად სჭირდება მხოლოდ.

156 კომისია საგანგებოდ ჩქმალავს იმ ფაქტს, რომ ეს ზ.გამსახურდიას მიერ აფხაზეთში თავის შეფარების **მეორე შემთხვევა** იყო. პირველი შემთხვევის დროს კი მოხდა შეთანხმება და განხორციელდა აფხაზების მხარესთან ერთობლივი ფრიად შედეგიანი შეტევა ბალტინისა და შევარდნაძის ძალებზე სენაკის განთავისუფლებისთვის.

157 01.00 საათი უკვე 31 დეკემბერია — და ეს ანგარიში კომისიას ძალზე ხშირად აბნევს ხოლმე — მოწმეების გამოკითხვისას.

158 როგორც წინა შენიშვნაში აღინიშნა — კომისია ვერაფრით ვერ გაერკვა რომ თვითმკვლელობა მოხდა 30 დეკემბრის დამლევს — 31 დეკემბრის დამდეგს — დღეთა მიჯნაზე– ამიტომ დასკვნაში ძალზე ხშირად გამოსჭვივის მარტივად მოაზროვნის გაოგნება.

159 უკიდურესად ნიშანდობლივი ცნობა: Ex-georgian President A Suicide. „Chicago Tribune“, January 05, 1994. Zviad Gamsakhurdia, the ousted Georgian president who has been leading a rebellion, killed himself after being surrounded by pro-government forces, Russian news agencies quoted his wife as saying Wednesday. The reports by Interfax and ITAR-Tass could not be immediately confirmed. **Georgian officials suggested Gamsakhurdia, 54, may have been shot in a quarrel with his supporters**.
ანუ — ცრუობს კომისია, როდესაც აცხადებს რომ შევარდნაძის რეჟიმს არ აწყობდა მკვლელობის ვერსია! ზემორე ცნობიდან კარგად ჩანს, რომ პირიქით – შევარდნაძის რეჟიმი, ისევე როგორც კომისია ფრიად დაინტერესებული იყო სწორედ მკვლელობის ვერსიით და უფრო ზუსტად **დაინტერესებული იყო ზ.გამსახურდიას მისივე გარემოცვის მიერ მკვლელობის ვერსიით**!

გამსახურდიას გვამის ამოღებისა და დათვალიერების შესახებ". ამ დროისთვის ნეშტის დაკრძალვის ადგილი ოფიციალურად გახმაურებული არ ყოფილა. 1994 წლის 13 იანვარს ზვიად გამსახურდიას სიკვდილის მიზეზის დასადგენად დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. აღნიშნული დადგენილება შესასრულებლად გადაეგზავნა საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს ა.ჯორბენაძეს. 1994 წლის 17 იანვრის №13 ბრძანებით ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ზემოხსენებული დადგენილების საფუძველზე ზვიად გამსახურდიას გვამის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის გამოკვლევისთვის შექმნა კომპლექსური კომისია ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით. 1994 წლის 5 იანვარს №1 ბრძანების საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები 6 იანვარს გაემგზავრნენ ქალაქ გროზნოში, სადაც შეხვდნენ ოფიციალურ პირებს — პრეზიდენტ ჯოხარ დუდაევს და ვიცე პრეზიდენტ ზ.იანდარბიევს, ასევე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრს **მერაბ კიკნაძეს**[160]. **მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ** მათთან შეხვედრა არ ისურვა და პრეზიდენტ ჯ.დუდაევის პირით შეუთვალა, რომ **კატეგორიულად წინააღმდეგი იყო** ზ.გამსახურდიას დაკრძალვის ადგილის გამხელის, **სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებისა და ასევე <u>ამ ფაქტთან საქართველოში ნებისმიერი საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიების განხორციელების თაობაზე</u>**[161] [162]. დელეგაციამ გროზნოდან წამოიღო მანანა არჩვაძე-გამსახურდიას ზ.იანდარბიევისათვის გადაცემული მიმართვის ასლები. მანანა არჩვაძე-გამსახურდიას 1994 წლის 7 იანვრით დათარიღებული რუსულენოვან ტექსტში, გამოხატულია საკუთარ და ოჯახის წევრთა ნება, ზვიად გამსახურდიას ნეშტი დაიკრძალოს ჩეჩნეთში. ანალოგიური ტექსტითა და თხოვნით მანანა არჩვაძე-გამსახურდია მიმართავს ჩეჩნეთის პრემიერ-მინისტრსა და ჩეჩნეთის მთავრობას. საქმეს ერთვის ჩეჩნეთის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 16 იანვრის №10 დადგენილების ასლი ზვიად გამსახურდიას ოჯახის თხოვნით საშუამავლო მისიით ჩეჩნეთის დელეგაციის შექმნის, გვამის ამოცნობისა და საქართველოდან ჩეჩნეთში გადასვენების მიზნით, რომელსაც დაერთვის №1 ოქმი, რომლითაც განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები.[163] საქმეშია ჩეჩნეთის რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტის 1994 წლის 13 იანვრის საქართველოს მთავრობისათვის გაგზავნილი დეპეშა ზვიად გამსახურდიას ოჯახის სახელით გარდაცვლილის ნეშტის საქართველოდან ჩეჩნეთში უსაფრთხო გადასვენების, ასევე ჩეჩნეთიდან თვითმფრინავის მიღების პირობების შექმნის თხოვნით და აღნიშნულის თაობაზე ქართული მხარის თანხმობის პასუხები.[164] [165]

---

160 მერაბ კიკნაძე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობებს ასრულებდა (დროებითი თავმჯდომარე), ლეგიტიმური ხელისუფლების ინტერესებსა და ოჯახის ინტერესებს წარმოადგენდა.

161 ამითი, თვით კომისიის დასკვნა აღნიშნავს, რომ თუნდაც საკუთრივ კომისიის მიერ ჩატარებული „გამოძიება" უკანონოა (რაც შეეხება ტერმინს „საგამომძიებლო-ოპერატიული" — ეს კომისიის შეთხზულია, საუბარი იყო ზოგადად ნებისმიერ გამოძიებაზე).

162 აქაც გამოსჭვივის კოკოს კომისიის ჩვეული თაღლითობა — „**საგამომძიებლო-ოპერატიული ღონისძიების**" თაობაზე კი არ იყო დაწერილი მ.არჩვაძის მოთხოვნებში არამედ ეწერა: «3. ოჯახის წევრები და სიკვდილის თვითმხილველები კატეგორიულ უარს აცხადებენ პრეზიდენტ ზ.გამსახურდიას სიკვდილთან დაკავშირებით **<u>რაიმე</u> გამოძიებაში** მონაწილეობის მიღებაზე.». იხ.: გ.შარაძე, ზვიად გამსახურდიას სიკვდილი და დასაფლავება, „სახალხო წიგნი", თბ., 1995, გვ.13. „**რაიმე გამოძიება**" კოკოს კომისიამ „**საგამომძიებლო-ოპერატიული ღონისძიებად**" გადააქცია რათა მიეჩქმალა, რომ მისი კომისიის მუშაობა ისევე როგორც პროკურატურის მიმდინარე გამოძიება უხეშად არღვევენ 1994 წელს სამთავრობო დონეზე გაფორმებულ საერთაშორისო შეთანხმებას.

163 ზ.გამსახურდიას სამეგრელოდან გროზნიში გადასვენების საერთაშორისო კომისიის მთელი მუშაობა და ძალზე არსებითი, მნიშვნელოვანი დეტალები დაფიქსირებულია ჩეჩნეთის მთავრობის მხარის მიერ გადაღებულ საგანგებო ვიდეო დოკუმენტებში — რომლებსაც კომისია არც კი იხსენებს და ქართველი ტელეაუდიტორიისთვის არასოდეს უჩვენებიათ (განსხვავებით გაპიარებულ-დარეკლამებული კოკოს ფილმისაგან), რაც ამ კომისიის მიერ მისი აკვიატებული მკვლელობის ვერსიისათვის არახელსაყრელი დოკუმენტური და ფაქტობრივი მასალის მიჩქმალვის კიდევ ერთი მაგალითია.

164 კომისიის დასკვნაში მიჩქმალულია, რომ საქართველოსა და ჩეჩნეთს შორის სახელმწიფო დონეზე (საერთაშორისო, ლიტველი პარლამენტის წევრების მონაწილეობით და საქართველოს ლეგიტიმური უზენაესი საბჭოსა და ოჯახის მონაწილეობით) დაიდო 5 პუნქტისაგან შემდგარი შეთანხმება რომელის შესაბამისადაც გამოირიცხა ცხედრის ყოველგვარი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, გაკვეთა და

1994 წლის 17 თებერვალს ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხაშკარში ვალიკო ზარანდიას საცხოვრებელი სახლის ახლოს მდებარე დამხმარე ნაგებობაში, მიწის ამოთხრის შედეგად, ამოსვენებული იქნა კუბო, ზვიად გამსახურდიას ცხედრით[166]. იმავე დღეს, 1994 წლის 17 თებერვალს, სენაკის აეროპორტში ჩატარდა ზვიად გამსახურდიას ცხედრის გარეგნული დათვალიერება.[167] ცხედრის ამოღებისა და დათვალიერების ოქმს ხელს აწერენ იმდროინდელი საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი ავთანდილ მარგიანი, ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები - გურამ შარაძე, იმდროინდელი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრი გივი ლომინაძე, იმდროინდელი საქართველოს რესპუბლიკის ტელერადიო კომიტეტის თავმჯდომარე არჩილ გოგელია, იმდროინდელი საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ჯემალ მიქელაძე, იმდროინდელი საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე ავთანდილ იოსელიანი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თამარ დეკანოსიძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რევაზ კაპანაძე, საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილე ანზორ ბალუაშვილი და სხვები, სულ 21 პირი. ოქმს სხვებთან ერთად ხელს აწერს ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის უფროსი რობინზონ მარგველანი, რომელიც გარდაცვალების მომენტში ზვიად გამსახურდიასთან იმყოფებოდა. იმავე დღეს, 1994 წლის 17 თებერვალს, ზვიად გამსახურდიას ნეშტი თვითმფრინავით გადაასვენეს ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოში, სადაც იგი დაიკრძალა.

ამის შემდეგ გამოძიების მიერ ჩატარდა სულ რამდენიმე საგამოძიებო მოქმედება, დაიკითხა რამდენიმე მოწმე, მათ შორის, ვალიკო ზარანდია და მისი მეუღლე, რომელთა საცხოვრებელი სახლის ახლოს მდებარე დამხმარე ნაგებობაში მიწის ამოთხრის შედეგად ამოასვენეს ზვიად გამსახურდიას ცხედარი. თუმცა, **გაუგებარი მიზეზით,** მაშინვე არ დაკითხულან საქართველოს პრეზიდენტთან უშუალოდ გარდაცვალების მომენტში

აგრეთვე — საპასუხოდ და გამაწონასწორებლად **გამოირიცხა სიკვდილის მოწმეთა რაიმე მონაწილეობა რაიმე გამოძიებაში**. ეს <u>საერთაშორისო დონეზე მიღწეული შეთანხმება უხეშად დაირღვა ჯერ 1997 წელს, ხოლო შემდგომ სისტემატურად ირღვევა მოყოლებული 2004 წლიდან</u>. განხილული კომისიის მიერ ზ.გამსახურდიას სიკვდილის გარემოებათა ეს გამოძიებაც უხეშად არღვევს მითითებულ საერთაშორისო დონეზე დადებულ შეთანხმებას და ბღალავს ზ.გამსახურდიას სიკვდილის მოწმეების ადამიანურ უფლებებს. იხილეთ პრეზიდენტის ოჯახის ხუთი მოთხოვნა, რომლის საფუძველზეც დაიდო აღნიშნული საერთაშორისო შეთანხმება:

• მიეცეს შესაძლებლობა დამოუკიდებლად და დაუყონებლივ გადმოასვენონ ცხედარი ჩეჩნეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, სადაც დროებით ცხოვრობს ოჯახი.

• მიეცეს ხელშეუხებლობისა და საქართველოდან დაუყონებლივ გამოსვლის გარანტიები ოჯახს, სიკვდილის მოწმეებსა და სხვა პირებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ცხედრის გადასვენებასთან დაკავშირებულ მოქმედებაში.

• **ოჯახის წევრები და სიკვდილის მოწმენი კატეგორიულად უარს ამბობენ ზ.გამსახურდიას სიკვდილთან დაკავშირებულ გამოძიებასა თუ რაიმე გამოკვლევაში მონაწილეობაზე.**

• პრეზიდენტ ზ.გამსახურდიას ოჯახი კატეგორიულად უარს ამბობს, რომ გარდაცვლილის ცხედარი გაკვეთონ, გამოიკვლიონ ანდა განახორციელონ რაიმე სხვა მოქმედება, გარდა უშუალოდ ადგილზე ამოცნობისა. გარდაცვლილის ოჯახი მოითხოვს შეიქმნას საერთაშორისო ჯგუფი, რომელიც კონტროლს გაუწევს ზემოაღნიშნულ მოთხოვნათა შესრულებას.

იხ.: გ.შარაძე, ზვიად გამსახურდიას სიკვდილი და დასაფლავება, „სახალხო წიგნი“, თბ., 1995, გვ.13

165 ნიშანდობლივია, რომ კოკოს კომისიამ სავსებით უგულველყო ინფორმაციის ისეთი მნიშვნელოვანი და ობიექტური წყარო როგორიც იყვნენ საერთაშორისო დამკვირვებლები ლიტვიდან, ლიტვის სეიმის წევრი **ალგირდას პატაკასი** და საზოგადო მოღვაწე **ვიტაუტას ედუკაიტისი,** აგრეთვე დამკვირვებელი ჩეჩნეთიდან **მათე ციხესაშვილი** — რომლებსაც საშუალება ჰქონდათ ცხედარი დეტალურად დაეთვალიერებინათ საქართველოში და რომლებიც საქმის კურსში იყვნენ საქართველოს მთავრობის მიერ ზ.გამსახურდიას ოჯახის მოთხოვნების დაკმაყოფილების შესახებ.

166 ანუ **გარდაცვალებიდან 48 დღეს**

167 კოკოს კომისია არ დაინტერესებულა ძალზე არსებითი და საგნობრივი-პრინციპული დავითა და შეხლა-შემოხლით, რომელიც ქუთაისის აეროპორტში გაიმართა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს რეჟიმის პროკურატურა — აღმოაჩინა რა ნატყვიარი მიცვალებულის საფეთქელზე — კვლავ კატეგორიულად მოითხოვდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებას (არსებობს ვიდეო დოკუმენტი).

მყოფი პირები[168]. ამასთანავე, პრეზიდენტის გარდაცვალების ადგილზე, კარლო ღურწკაიას სახლში, არ ჩატარდა ჩხრეკა და არ მოხდა იქედან ნივთმტკიცებათა ამოღება, ასევე არ იქნა მიღებული ზომები იმ ცეცხლსასროლი იარაღის მოსაძებნად, რომლიდანაც მოხდა გასროლა.[169]

1994 წლის 10 მარტს საგამოძიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსმა გამომძიებელმა ო.ჯაფარიძემ (ცხადია, ა.ბალუაშვილის მითითებით) გამოიტანა დადგენილება "თვითმკვლელობით, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ფაქტზე აღძრული №7494802 სისხლის სამართლის საქმის დანაშაულის შემთხვევის არარსებობის გამო შეწყვეტის შესახებ". საინტერესოა, რომ საქმის მასალებიდან არ ჩანს, თუ როდის გადაეცა საქმე წარმოებაში ბატონ ო.ჯაფარიძეს. 1997 წლის 15 თებერვლის დადგენილებით საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილემ ა.ბალუაშვილმა განაახლა წარმოება №7494802 სისხლის სამართლის საქმეზე. საქმის წარმოების განახლების ოფიციალურ მიზეზად დადგენილებაში აღინიშნა, რომ მანამდე მოწმის სახით არ დაკითხულა "თვითმკვლელობის" უშუალო მოწმე საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პირადი დაცვის უფროსი რობინზონ მარგველანი. სისხლის სამართლის საქმე წარმოებაში იმავე ო.ჯაფარიძეს გადაეცა, რომელმაც 3 წლით ადრე შეწყვიტა სისხლის სამართლის საქმის წარმოება "დანაშაულის შემთხვევის არარსებობის გამო".

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პირადი დაცვის უფროსი, რობინზონ მარგველანი, პრეზიდენტის გარდაცვალებისა და სხვა გარემოებების ირგვლივ პირველად დაიკითხა 1997 წლის 5 თებერვალს. იგი აღნიშნულ საქმეზე თექვსმეტჯერ არის დაკითხული. როგორც მოწმის სტატუსით დაკითხვებში, ასევე საგაზეთო ინტერვიუებში იგი აცხადებს, რომ ზვიად გამსახურდიამ სიცოცხლე პისტოლეტის გამოყენებით, თვითმკვლელობით დაასრულა.

ასეთივე ჩვენებებს აძლევენ ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის სხვა წევრებიც, რომლებიც მოწმის სტატუსით დაიკითხნენ მხოლოდ 2004 წლის მარტ-აპრილში, ანუ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებიდან ათ წელზე მეტის გასვლის შემდეგ. მათ შორის არიან შემთხვევის ადგილზე მყოფი შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძე, აგრეთვე ზაზა ბურჯანაძე და გოჩა კეკენაძე, რომლებიც რობინზონ მარგველანისა და შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძისაგან განსხვავებით, ზვიად გამსახურდიას კარლო ღურწკაიას სახლში არ ახლდნენ და სხვებს ზვიად გამსახურდიას დაღუპვის შემდეგ შეუერთდნენ.

დღემდე საერთოდ არ დაკითხულა ბესარიონ გუგუშვილი, რომელიც ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების მომენტში ასევე შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა. ამის ოფიციალური მიზეზი ისაა, რომ ბესარიონ გუგუშვილი ცხოვრობს ფინეთში.[170] თუმცა, აღნიშნუ-

---

168 თვალთმაქცობს კომისია: რატომა „გაუგებარი მიზეზით", როდესაც კომისიის მიერ ზემოთ უკვე აღნიშნულია, რომ ოჯახი „კატეგორიულად წინააღმდეგი იყო ... სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებისა და ასევე ამ ფაქტთან საქართველოში ნებისმიერი **საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიების განხორციელებისა**" — რაც ოფიციალურად მიღებული იქნა აღსასრულებლად. ცალკე საკითხია, რომ ოჯახის მოთხოვნებში არაა ნახსენები სიტყვა „ოპერატიული".

169 კომისიას კვლავ სკლეროტიკულად დაავიწყდა, რომ საქართველოსა და ჩეჩნეთს შორის (საერთაშორისო შუამავლების, საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლების წევრებისა და ოჯახის მონაწილეობით) მიღწეული იქნა და დაიდო დოკუმენტურად გაფორმდა საერთაშორისო შეთანხმება, რომ ზ.გამსახურდიას სიკვდილის მონაწილეები არ მიიღებდნენ მონაწილეობას არავითარ გამოძიებაში და არც არავითარი გამოძიება არ ჩატარდებოდა.

170 ბ.გუგუშვილმა მრავალჯერ განაცხადა, რომ არ მიიღებს მონაწილეობას ზ.გამსახურდიას დაღუპვასთან დაკავშირებულ არავითარ გამოძიებაში ჯერ ერთი იმიტომ, რომ არ ცნობს ლეგიტიმურად საქართველოს ფაქტობრივ ხელისუფლებას და ამდენად არც აღნიშნულ კომისიას და მეორეც — იმიტომ, რომ საქართველოსა და ჩეჩნეთს შორის ზ.გამსახურდიას საქართველოდან გროზნიში გადასვენებისას მიღწეული საერთაშორისო შეთანხმების თანახმად — ზ.გამსახურდიას სიკვდილის მოწმეები არ მიიღებენ მონაწილეობას არავითარ გამოძიებაში, რადგანაც დროულად და საერთოდაც არ ჩატარდა გვამის გაკვეთა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, არც სავსებით აუცილებელი საგამომძიებლო ღონისძიებები „ცხელ კვალზე" ხიბულაში — რითაც მოწმეებს წაერთვათ სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლით გარანტირებული უფლება გამოიყენონ თავისი ჩვენებების განსამტკიცებლად სასამართლო ექსპერტიზისა და გაკვეთის ობიექტური მასალები.

ლი სისხლის სამართლის საქმის მასალებით არ ჩანს, მიიღო თუ არა საქართველოს რესპუბლიკის გენერალურმა პროკურატურამ შესაბამისი ზომები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითა და საერთაშორისო სამართლით, რათა აღნიშნული პირი დაიკითხოს ფინეთის შესაბამისი უწყებების თანხმობითა და დახმარებით. გამოძიების მიერ მხოლოდ 1999 წლის თებერვალში მოწმის სტატუსით დაიკითხნენ კარლო ღურწკაია და ლუდმილა აბშილავა, ცოლ-ქმარი, რომელთა სახლშიც დაიღუპა საქართველოს პირველი პრეზიდენტი. მხოლოდ 1999 წლის თებერვალში დაიკითხნენ მოწმის სტატუსით ჯუმბერ (ზაურ) და ანატოლი ჩუხუებიც, რომლებსაც ურთიერთობა ჰქონდათ ზვიად გამსახურდიასთან მის გარდაცვალებამდე გარკვეულ პერიოდში.

იმავე პერიოდში, ანუ 1999 წლის თებერვალში, მოწმის სტატუსით დაიკითხა ჯონსონ კვარაცხელიაც, რომლის სახლშიც სტუმრობდა პრეზიდენტი გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე და რომლის ეზოშიც დაიმარხა მისი ნეშტი მცირე ხნით, ვიდრე მას ვალიკო ზარანდიას სახლში გადაასვენებდნენ.

მხოლოდ 2004 წლის მარტში, ანუ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებიდან ათ წელზე მეტის გასვლის შემდეგ პროკურატურის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს შემთხვევის ადგილი კარლო ღურწკაიასა და ლუდმილა აბშილავას სახლში, სადაც გარდაიცვალა პრეზიდენტი. 2004 წლის 2 მარტით დათარიღებული შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმისა და 2004 წლის 3 მარტის საგნის დათვალიერების ოქმის თანახმად, კარლო ღურწკაიასა და ლუდმილა აბშილავას სახლიდან სხვა საგნებთან ერთად ამოღებული იქნა ბალიში, რომელზედაც თავი ედო გარდაცვლილ პრეზიდენტს და საქმის მასალებში საწოლის თავის დაფა, რომელსაც ამჩნევია ტყვიის კვალი[171]. თუმცა, არ ჩანს, შემდგომ რა საგამოძიებო მოქმედებები (ექსპერტიზა თუ სხვა) განხორციელდა აღნიშნულ, ძალზე მნიშვნელოვან მტკიცებულებებიდან დაკავშირებით.

მოცემულ საქმეზე 2004 წლის შემდეგ რაიმე მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედება აღარ ჩატარებულა, თუმცა, **ოფიციალურად №7494802 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება ჯერ კიდევ არ არის დასრულებული.**

2007 წლის მარტის ბოლოს ზვიად გამსახურდიას ნეშტი ქალაქ გროზნოდან გადმოასვენეს თბილისში და დაკრძალეს მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში[172]. გადმოსვენებამდე, ზვიად გამსახურდიას ნეშტს ჩაუტარდა **სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა რუსეთის ფედერაციის ქალაქ დონის როსტოვში.**

უცნაურია, თუმცა ფაქტია[173], რომ ზემოაღნიშნული ექსპერტიზის დასკვნა №7494802 სისხლის სამართლის საქმის მასალებში არ მოიპოვება.

ბესარიონ გუგუშვილმა ქართულ საზოგადოებრიობას უაღრესად დეტალურად და ზედმიწევნით დაწვრილებით გააცნი ზ.გამსახურდიას სიკვდილთან დაკავშირებული მის მიერ დანახული და მოსმენილი ტელეარხ „იმედის“ სპეციალურ საათიან დოკუმენტურ გადაცემა-ფილმში, მრავალ საგაზეთო სტატიაში და ბოლოს, უკვე კომისიის მუშაობის დასრულების შემდეგ გაზეთ „ასავალ დასავალის“ სტატიების სპეციალურ სერიაში „ბესარიონ გუგუშვილის დაკითხვის ოქმი“ რომელიც ქვეყნდებოდა 2011 წლის 14 მარტიდან 2011 წლის 23 მაისამდე. იხილეთ DVD-ზე:
Video/imedi_besarion1_compact.wmv
Video/imedi_besarion2_compact.wmv
Documents/I_nakrebi_asavali_2011_gugushvilis_dakitxvis_oqmi.pdf

171 ამ შემთხვევაშიც ცრუ-პენტელობასთან გვაქვს საქმე, რამდენადაც საბოლოო ჯამში თვით კომისიამაც ვერ დაადგინა საწოლის დაფაზე ამონატეხი **ნატყვიარია თუ არა**.

172 აი აქ კი ვერაფერი დაფარავს კომისიის თვალთმაქცობას — ზემოთ კოკო კომისიის პირით უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ 1994 წელს რეჟიმის საგამომძიებლო ორგანოებმა ფხა ვერ გამოიჩინეს, მაგრამ — როდესაც საქმე ეხება 2007 წელს ზ.გამსახურდიას ნეშტის თბილისში გადმოსვენებისას აუცილებლად და გადაუდებლად ჩასატარებელ სასამართლო-საექსპერტო და საგამომძიებლო ღონისძიებებს (რომელსაც კვლავ დაჟინებით ითხოვდნენ სიკვდილის მოწმეები და ქართული საზოგადოებრიობა) — აქ კოკომაც, საგამომძიებლო ორგანოებსაც და ხელისუფლებასაც კვლავ „**მანანა არჩვაძის შიშის**“ სინდრომის კარგად ცნობილმა დამბლამ დაარტყათ... — მიცვალებული ამჯერადაც ყოველგვარი ექსპერტიზის გარეშე დაკრძალეს — რაც არსებითად კანონსაწინააღმდეგო ქმედება იყო.

173 სამაგიეროდ საცნაურია, რომ კოკო მისმა ნახევარ-ძმამ — ცოტნემ ძაღლადაც არ ჩააგდო და ღირსად არ ჩათვალა გადაეცა მისთვის როსტოვის ექსპერტიზის აქტის ასლი ან თუნდაც გაეცნო, წაეკითხვინებინა მისთვის ეს აქტი.

22.03. საქართველოს მთავარი პროკურატურის არქივში დაცული №7494802 სისხლის სამართლის საქმის მასალები

შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძის 2004 წლის 21 აპრილის ჩვენებიდან:

“ეროვნულ მოძრაობაში ჩავები 1988 წელს, ქუთაისში. ვიყავი წმინდა “ილია მართლის” საზოგადოების წევრი. ვმონაწილეობდი ყველა აქციაში. 1991 წლის 22 დეკემბერს კრიმინალური ოპოზიციის მიერ შეიარაღებული გამოსვლების დაწყებისას ვიყავი პრეზიდენტის გვერდით. ოპოზიციის მიერ ნასროლი ტყვიები მოხვდა პრეზიდენტის კაბინეტის ფანჯრებს, საბედნიეროდ იმ დროს პრეზიდენტი კაბინეტში არ იმყოფებოდა. “ბუნკერში” ყოფნის დროს პრეზიდენტის პირადი დაცვის უფროსად დაინიშნა რობინზონ მარგველანი. 1992 წლის 6 იანვარს დღისით, პრეზიდენტი შეგვხვდა ჩვენ და დარჩენილი მთავრობის წევრებს, რის შემდეგაც მოულოდნელად მიიღო გადაწყვეტილება სისხლის ღვრის თავიდან აცილების მიზნით დაგვეტოვებინა თბილისი. ჩვენ ავტომანქანების კოლონით გავედით უზენაესი საბჭოს შენობიდან, პრეზიდენტი იჯდა “გაზ-31-ში”. “თათრის მოედანთან” ჩვენ “იკარუსს” გაუხსნეს ცეცხლი და ჩახოცეს ჩვენი თანამებრძოლები, იქვე დაიჭრა გურამ აბსანძე. ჩვენ კი ბრძოლით გავიკვლიეთ გზა და გავემართეთ წითელი ხიდისკენ. იქ შევიკრიბეთ დაახლოებით ასორმოცდაათამდე პრეზიდენტის მომხრე. აზერბაიჯანის მხარესთან შეთანხმებით გადავედით აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ბატონი ზვიადი ტელეფონით ელაპარაკა აზერბაიჯანის პრეზიდენტს და, როგორც მე გავიგე, მან ურჩია ზვიადს დაეტოვებინა აზერბაიჯანის ტერიტორია, რადგან მოსალოდნელი იყო რუსებს დავეპატიმრებინეთ. ამის შემდეგ გადავედით სომხეთის ტერიტორიაზე. სომხეთის პრეზიდენტმა ნება დაგვრთო ქალაქ იჯევანში გვეცხოვრა. იქ დავყავით ერთი კვირა ბლოკადაში და შეუძლებელი გახდა იქ ცხოვრება, სომხები ყველანაირად გვაიძულებდნენ დაგვეტოვებინა მათი ქვეყნის ტერიტორია. ამის შემხედვარე პრეზიდენტმა ჩეჩნეთში გააგზავნა დათო გოგაძე. ჯოხარმა გამოგზავნა თვითმფრინავი, რომელსაც მართავდა სოხუმის აეროპორტის მფრინავი ზაურ ბედია. მას ჩამოჰყვა დუდაევის დაცვის უფროსი აბუ არსანუკაევი. დაახლოებით 15 იანვარს ჩვენ ყველა ჩავედით ერევნის აეროპორტში, სადაც დავტოვეთ ყველა ავტომანქანა და გავფრინდით გროზნოში. ფრენისას გზაში აგვედევნა ორი “სუ”-ს ტიპის გამანადგურებელი, რომლებიც გვთხოვდნენ დავმორჩილებოდით მათ და გავყოლოდით დასაჯდომად მათ მიერ მითითებულ ადგილზე. მაგრამ ბედია არ დაემორჩილა, თვითმფრინავი ჩამოიყვანა ძალიან დაბლა, ისე რომ რადარებს არ დაეფიქსირებინა და ამგვარად, როგორც იქნა, მივაღწიეთ გროზნომდე.

მეორე დღეს მე, რობინზონ მარგველანი, გორა კეკენაძე და დანარჩენი დაცვის ბიჭები გამოვფრინდით სოხუმში თვითმფრინავით, რომელსაც პილოტი ზაურ ბედია მართავდა. იმ ღამეს დავრჩით სოხუმში, მეორე დღეს კი გავნაწილდით: ზოგი დარჩა სოხუმში, ზოგი წავიდა ზუგდიდში. ამრიგად, ჩამოვაყალიბეთ წინააღმდეგობის ფრონტი. პირადად მე ვიყავი ზუგდიდში, საიდანაც ოჯახის სანახავად ქუთაისში ჩავედი. ქუთაისში დილის შვიდ საათზე, სახლში მომაკითხეს ომონის წარმომადგენლებმა და დამაკავეს, ბრალი წამიყენეს კომენდანტის საათის დარღვევაში, რის შემდეგაც ვერტმფრენით გადმომაფრინეს თბილისში. 20-25 დღე დაკავებული ვიყავი. ქალაქ თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობა მთავაზობდა გამოვსულიყავი ტელევიზიით და მეთქვა, რომ მე აღარ ვარ პრეზიდენტის გვერდით. მომეწოდებინა საზოგადოებისთვის თავი დაენებებინა ყოველგვარი წინააღმდეგობებისათვის, რაც მე არ გავაკეთე. განთავისუფლების მეორე დღეს ჩემთან მოვიდა ვაჟა ქინჭარაული და მითხრა, სასწრაფოდ ჩავსულიყავი გროზნოში პრეზიდენტთან. მე მეორე დღესვე გავემგზავრე გროზნოში და მას შემდეგ პრეზიდენტს აღარ მოვშორებივარ. ჩეჩნეთის ტერიტორიაზე პრეზიდენტი ეწეოდა პოლიტიკურ საქმიანობას, ხვდებოდა სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკოსებსა და ჟურნალისტებს. გროზნოში პრეზიდენტთან ჩამოდიოდნენ საქართველოს რეს-

პუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატები და ახსენებდნენ, რომ საჭირო იყო მისი საქართველოში ჩამოსვლა. 1993 წლის გაზაფხულზე[174] ზუგდიდში, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება პრეზიდენტის საქართველოში ჩამოსვლის შესახებ. ადგილზე სიტუაციის შესასწავლად პრეზიდენტმა საქართველოში გამოგზავნა გუგუშვილი, რომელსაც ვახლდით მე და გორა კეკენაძე. ზუგდიდში ბატონმა ბესარიონმა ჩაატარა მრავალათასიანი მიტინგი და მოსახლეობას ერთსულოვნებისა და კანონიერი ხელისუფლების მხარდაჭერისაკენ მოუწოდა, აგრეთვე ისაუბრა პრეზიდენტის დაბრუნებაზე. ბატონი ბესარიონი ადგილზე ეცნობოდა საქართველოში შექმნილ სიტუაციას და პრეზიდენტს რადიოგადამცემით მოახსენებდა არსებულ მდგომარეობას. მდგომარეობის ადგილზე შესწავლით **დადგინდა, რომ საქართველოში იმ დროს არ იყო მომწიფებული სიტუაცია პრეზიდენტის ჩამოსასვლელად;** მაგრამ, მიუხედავად ამისა, 1993 წლის 24 სექტემბერს პრეზიდენტი ქალაქ ზუგდიდში ჩავიდა".

შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძის 2004 წლის 26 აპრილის დამატებითი ჩვენებიდან:

"პრეზიდენტის ჩამოსვლის დღესვე ზუგდიდში გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი, სადაც პრეზიდენტმა ხალხს მოუწოდა ერთობისაკენ და ხუნტის დასამხობად ბრძოლისაკენ. ამის შემდეგ გადავედით აფხაზეთში ქალაქ ოჩამჩირეში. პრეზიდენტს იქ შეხვდნენ მებრძოლი ქართველები, მათ შორის, მხედრიონელებიც. ყველა ოვაციით ხვდებოდა კანონიერ ხელისუფალს. პრეზიდენტმა მათ შესთავაზა დაქვემდებარებოდნენ გვარდიის მეთაურ გურამ ლაკიას და გაეხსნათ გზა ევაკუირებული მოსახლეობისთვის, რათა ისინი წამოსულიყვნენ სამეგრელოსკენ და არა სვანეთის მთებისკენ. ამ წინადადებას ყველა დათანხმდა.

აფხაზეთის დაცემის შემდეგ პრეზიდენტთან ერთად ჩავედით სამეგრელოს ყველა ქალაქში და სამტრედიაში, მოსახლეობა პრეზიდენტს ყველგან აღფრთოვანებით ხვდებოდა და მისგან მოითხოვდა კანონიერი ხელისუფლების აღდგენას. აფხაზეთის დაცემის შემდეგ ჩვენ ვიყავით ქალაქ ზუგდიდში. ლოთი ქობალია ხელმძღვანელობდა ჩვენ შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც სამტრედიამდე იყვნენ მისული. ბრძოლები იყო ხონში და მარტვილში. ჩვენ შეგვეძლო განგვეხორციელებინა შეტევა და წავსულიყავით თბილისამდე, მაგრამ რატომღაც ჩვენი ძალები გაჩერდნენ სამტრედიასთან 3 დღე-ღამის განმავლობაში. ოქტომბრის შუა რიცხვებში, ხუნტის თხოვნით, დიდი თანხის გადახდის საფასურად რუსეთის ფლოტის სარდალმა, ბალტინმა, გადმოსხა დესანტი ქალაქ ფოთში და რუსეთის შეიარაღებული ძალების ჯარისკაცებმა კრიმინალურ დაჯგუფებასთან ერთად განახორციელეს შეტევა კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ, რის შედეგადაც დაიკავეს დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა დასახლებული პუნქტები და ქალაქები: სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი.

ჩვენ იძულებული ვიყავით გადავსულიყავით აფხაზეთში, რომელიც იმ დროს ოკუპირებული იყო აფხაზი სეპარატისტებისა და მათი დამხმარე რუსი ჯარისკაცების მიერ. აფხაზეთში ილორში ვცხოვრობდით. 1993 წლის 6 ნოემბერს რუსლან ქიშმარიამ პრეზიდენტი ცალკე ოთახში გაიხმო სასაუბროდ, რის შემდეგაც იქიდან გამოსულმა განერვიულებულმა პრეზიდენტმა გვითხრა, რომ აფხაზთა მოთხოვნით უნდა დაგვეტოვებინა აფხაზეთის ტერიტორია. ჩვენ ზუგდიდისკენ წამოვედით. პრეზიდენტმა და გუგუშვილმა მოილაპარაკეს და გადაწყვიტეს გასულიყვნენ ტყეში და წინააღმდეგობა გაეწიათ ხუნტისთვის. დაცვის უფროსმა, რობინზონ მარგველანმა, პრეზიდენტს შესთავაზა სვანეთში წასვლა, რადგან იმედი ჰქონდა სვანეთში დუდაევი გამოაგზავნიდა ვერტმფრენს და გადავფრინდებოდით ჩეჩნეთში, მაგრამ ამ გეგმას პრეზიდენტი არ დაეთანხმა და განაცხადა, რომ იგი ჩეჩნეთში არ დაბრუნდებოდა, გამართავდა პარტიზანულ ბრძოლას, ან აღადგენდა კანონიერებას ან მოკვდებოდა საქართველოში. ჩვენ გავჩერდით ჯვარში, სადაც მოვიდნენ წალენჯიხის პრეფექტი ზურაბ გუჩუა და გუჯა მესხია. წავედით ჩქვალერის ტყეში და

[174] უნდა იყოს „ზაფხულში"

ვიყავით ფაცხაში მწყემსებთან. იქ დაახლოებით ერთი კვირა დავყავით. იქიდან **გადავედით სოფელ მუჟავაში და იმავე დღეს, საღამოს მივედით ბადრი ზარანდიას ბანაკში**[175]. ბადრი ზარანდიაზე პრეზიდენტს ინფორმაცია ჰქონდა, რომ მან ციხიდან გააქცია შინაგანი ჯარების სარდალი გია გულუა და გარკვეულწილად შემდგომში მასთან კონტაქტები ჰქონდა. ბანაკში იმყოფებოდა 25–30 ავტომატებით შეიარაღებული პირი. ბადრი ზარანდია და მისი რაზმის წევრები ჩამოყალიბებული ნარკომანები იყვნენ. პრეზიდენტმა მიიღო ინფორმაცია, რომ ჩვენი იქ ყოფნის პერიოდში ზარანდია ორჯერ შეხვდა გულუას. გია გულუას რუსეთიდან ჩამოყვანილი ჰყავდა სპეციალური დანიშნულების რაზმი "ლეტუჩიე მიში", იცოდა პრეზიდენტის ადგილსამყოფელი და მისი აყვანა უნდოდა. აქედან გამომდინარე, პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება, დაგვეტოვებინა ეს ადგილი და გასულიყავით ტყეში. **ხუთი დღის შემდეგ ზარანდიას ბანაკში მოვიდნენ და ჩვენ შემოგვიერთდნენ რობინზონ მარგველანი, ზაზა ბურჯანაძე, ვაჟა ქინჭარაული და ირაკლი გოგაძე.** ბადრი ზარანდიას თვალ–ყურის სადევნელად დავტოვეთ ვაჟა ქინჭარაული და ირაკლი გოგაძე, რომლებიც იმის შემდეგ ცოცხალი აღარ გვინახავს. მუჟავას ტყეში ადგილი ორჯერ გამოვიცვალეთ. შემდეგ კი ჩამოვედით სოფელ მუჟავაში და ვიღაც უსინათლო კაცის ოჯახში მივედით. ამ ოჯახში დავყავით რამდენიმე დღე. იქ მოვიდა ბადრი ზარანდია, "პუშკინა" და ვიღაც ორი პირი, რომელთაც პრეზიდენტს შესთავაზეს აზერბაიჯანი–სომხეთის საზღვრამდე გაყვანა, რაზედაც უარი მიიღეს. ამ სახლიდან ღამით, ტრაქტორით წამოვედით ზურაბ გუჩუას ნათესავის სახლში, ხოლო იქიდან გადავედით სოფელ ჯაღრაში, ანზორ მებონიას სახლში. გზაში შევჩერდით წალენჯიხის ჩაის მეურნეობასთან მდებარე რომელიღაცა სახლში, დაღამებამდე იქიდან წავედით და გამთენიისას მივედით მებონიას სახლში. ვიყავით დაახლოებით ათი დღე. საიდანაც გადავედით ჯონსონ კვარაცხელიას სახლში, ჯიხაშკარში. ჯონსონმა გაშალა სუფრა, სადაც პრეზიდენტმა გვითამადა, მაგრამ ღვინო ცოტა მოსვა. **ამ სახლში პრეზიდენტმა ცუდად იგრძნო თავი, იტკივებდა მუცელს და ამბობდა, მგონი მომწამლესო.** ჯონსონის სახლში პრეზიდენტმა გვკითხა, როგორ უნდა გაესროლა პისტოლეტ "სტეჩკინიდან" ერთჯერადად და ავტომატური ჯერით. ჩვენ ავუხსენით. აფხაზეთიდან გადმოსვლის შემდეგ, პრეზიდენტი პისტოლეტს თან ატარებდა. ჩვენ ვთხოვეთ, პისტოლეტი ჩვენთვის მოეცა, მაგრამ არ დაგვთანხმდა. გვითხრა, თავდასხმა რომ მოხდეს, თქვენთან ხომ არ მოვალ პისტოლეტის სათხოვნელადო. ეს პისტოლეტი პრეზიდენტს აჩუქეს ჩვენმა მებრძოლებმა. როგორც ვიცი, გია გულუას აართვეს ჩვენმა მებრძოლებმა დაპატიმრების დროს. პრეზიდენტს ასევე ჰქონდა რევოლვერი, რომელიც გარდაცვალების შემდეგ აღმოჩნდა მის ჩანთაში. **ჯონსონის სახლში ყოფნისას, როდესაც მე და პრეზიდენტი მარტო ვიყავით ოთახში, მან მითხრა, მოდი და მესროლე, მერე თქვი, თითქოს გაგივარდაო.** მე ვუპასუხე, რას ამბობ, ბატონო ზვიად–მეთქი. ჩვენ ან ერთად წავალთ აქედან ან ერთად დავიხოცებით–თქო. პრეზიდენტმა ხელი ჩაიქნია და მითხრა ჰო! ჰო! შენ მაინც ვერ გაიგებ ამასო და წამოწვა ლოგინზე. გარდა ამისა, მეორე დღეს, როდესაც ყველა შეკრებილი ვიყავით ერთად, პრეზიდენტმა გვითხრა: მე ყველაფერი ვნახე ამ ქვეყანაზე, თქვენ კი ახალგაზრდები ხართ, მთელი ცხოვრება წინ გაქვთ, შეგიძლიათ დამტოვოთ და წახვიდეთო. ჩვენ ყველამ ვუპასუხეთ, რომ მას არასდროს არ დავტოვებდით. 21 დეკემბერს ჩვენთან მოვიდა გუჯუჯი ებრალიძე და ზაურ ჩუხუა, რომლებმაც გვითხრეს, რომ **ვახო ზარანდია დაიჭირესო.** საღამოს ჩვენთან ამოვიდა ზაურ ჩუხუა და პრეზიდენტს მოახსენა, **გუჯუჯი ებრალიძეც დაიჭირესო.** აქედან გამომდინარე, იგი დაგვპირდა, მოძებნიდა სანდო კაცს და მასთან გადაგვიყვანდა[176].

1993 წლის 26 ან 27 დეკემბერს ჩვენს წასაყვანად ავტომანქანა "ვოლგით" მოვიდნენ ძმები ანატოლი და ზაურ ჩუხუები, რომლებმაც გვითხრეს, რომ სანდო ადგილი იშოვეს, მაგრამ იქ ოთხ კაცზე მეტი არ დაეტეოდა. დაგვპირდნენ, დანარჩენს მეორე დღეს

---

175 ასეთი, თვითმხილველი მოწმეების, გადამოწმებადი ჩვენების საპირისპიროდ კომისია ურცხვად და უნამუსოდ ეყრდნობა ვითომ–მოწმეს არსენ მესხიას და „1. დევნილი პრეზიდენტის გზა სამეგრელოს რეგიონში", აგრეთვე „№749480Z სისხლის სამართლის საქმის მასალების შემაჯამებელი დასკვნები და შეფასებები"–ში უსინდისოდ აცხადებს, ვითომ ზ.გამსახურდია რამდენიმე დღე დაცვის გარეშე იყო დარჩენილი.

176 ასეთი ვითარების მიუხედავად — კოკოს კომისია არაერთ მედია ინფორმაციაში ბრიყვულად აცხადებდა, რომ თითქოს ზ.გამსახურდია ჯ.კვარაცხელიას სახლში გამოზამთრებას აპირებდა...

წაიყვანდნენ და მათ მეზობლად დააბინავებდნენ. გადაწყდა, წავიდოდნენ პრეზიდენტი, ბესარიონის, რობინზონის და ჩემი წასვლა. გოჩა და ზაზა დარჩებოდნენ, ხოლო მათ მეორე დღეს მოაკითხავდნენ ჩუხუები და გადმოიყვანდნენ ჩვენთან.

ჩუხუებმა ავტომანქანა "გაზ–24–ით" ღამით წაგვიყვანეს და მიგვიყვანეს ხობის რაიონის სოფელ ხიბულაში, კარლო და ლუდმილა ღურწკაიების ოჯახში. ჯონსონ კვარაცხელიას სახლიდან გამოსვლამდე გაიბზარა "ლამფის" შუშა, რაც ყველას ცუდად გვენიშნა. ბატონმა ზვიადმა სევდანარევი ღიმილით უთხრა ჯონსონს: – "რა იყო ბიჭო, სახლიდან მაგდებ?". ღურწკაიების სახლში მივედით ღამის 12 საათზე ან შეიძლება უფრო გვიანაც. ცოლ-ქმარ ღურწკაიების გარდა სახლში მათი ვაჟიშვილი იყო. მასპინძლებს სუფრა გაეშალათ, მაგრამ პრეზიდენტმა მოითხოვა მისთვის საძინებელი ოთახი ეჩვენებინათ. სახლში შიდა კიბით ავედით მეორე სართულზე, სადაც მე და რობინზონმა ავარჩიეთ ოთახი სახლის წინა მხარეს. იმ ოთახში ფანჯრები დახურული იყო დარაბებით და ხის გრძელი ურდულით, ხოლო კარი კი ჩვენ ჩავკეტეთ ხის ურდულით, ისე რომ სახლში ვინმეს შემოღწევა შეუძლებელი ყოფილიყო. კედელთან, ოთახის თითქმის შუა ადგილას, იდგა ორადგილიანი საწოლი. ბატონი ზვიადი დაწვა ფანჯრის მხარეს მდგარ საწოლზე, ხოლო მის გვერდით მოთავსდა ბესარიონ გუგუშვილი. პრეზიდენტი დარჩა მაღლა, ჩვენ კი პირველ სართულზე ჩამოვედით და ვივახშმეთ. ღურწკაიების სახლში ჩვენი ყოფნისას პრეზიდენტი გარეთ არ გასულა. ჩვენც არ გამოვსულვართ სახლიდან. იმ სახლში ყოფნისას პრეზიდენტი შარდავდა ვედროში, რომელსაც ვაქცევდი მე. **პრეზიდენტი მოსასაქმებლად საერთოდ არ გასულა.** ღურწკაიების სახლში პრეზიდენტს რამდენჯერმე ფეხებიც დავბანე ცხელი წყლით, მეორე დღეს ჩვენთან მოვიდნენ ჩუხუები, რომლებსაც პრეზიდენტმა ჰკითხა, რატომ არ გადმოიყვანე ჩვენი ბიჭებიო. მათ უპასუხეს, რომ გადმოიყვანდნენ. **ბესარიონმა ჩუხუებს ექიმის მოყვანა სთხოვა. 29 დეკემბერს მათ მართლაც მოიყვანეს ვიღაც სოფლის ექიმი, მაგრამ ისიც ვერ მიხვდა რა სჭირდა პრეზიდენტს.**[177] ბატონმა ზვიადმა დაგვიწყო ჩხუბი, რატომ მოიყვანეთ ექიმი, მე არც ექიმი მჭირდება და არც წამალიო. ჩვენ კიდევ ვთხოვეთ ანატოლი და ზაურ ჩუხუებს ბიჭები მოეყვანათ".

შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძის 2004 წლის 27 აპრილის დამატებითი ჩვენებიდან:

"30 დეკემბერს ჩვენთან მოვიდნენ ძმები ანატოლი და ზაურ ჩუხუები, ზაური დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში განმარტოებით საუბრობდა პრეზიდენტთან. შემდეგ ისინი წავიდნენ. მათი საუბრის შემდეგ, პრეზიდენტი ადგა, მოვიდა შიდა კიბესთან და დაგვიძახა, ჩაი მომიტანეთო. ჩვენ გაგვიხარდა. პრეზიდენტმა ჩაი მთლიანად დალია, ჩვენ ყველამ გავიხარეთ, იმედი მოგვეცა, რომ იგი გამოჯანმრთელდებოდა. პრეზიდენტმა გვითხრა: ამ საღამოს კარგად დაისვენეთ, ხვალ დიდი გზა გველისო. ამ დროს მას ეცვა კოსტუმის შარვალი, ხოლო მის შიგნით თბილი სპორტული შარვალი, ზემოდან ეცვა მონაცრისფრო პერანგი წვრილი მოთეთრო ფერის ზოლებით, ხოლო მასზე გადაცმული ჰქონდა მუქი ლურჯი ფერის პულოვერი. ფეხზე ეცვა შავი ფერის ქუსლიანი ფეხსაცმელი. ამის შემდეგ იგი წავიდა თავის ოთახში და მოისვენა. ბესარიონი ჩვენთან დარჩა. დაახლოებით ღამის 12 საათზე ის წავიდა თავის ოთახში და წამოწვა. მე და რობინზონი გაუხდელად წამოვწექით. ჩვენსა და პრეზიდენტის ოთახს შორის ფარდა გადაწეული იყო და რობინზონი ხედავდა პრეზიდენტსა და ბესარიონს წელს ქვევით. მე ვერ ვხედავდი. პრეზიდენტის გვერდით იდგა სკამი, რომელზედაც "ლამფა" იდო. მე და რობინზონი ვსაუბრობდით. პრეზიდენტმა ჩაახველა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ხელს ვუშლიდით დაძინებაში. ჩვენც გავჩუმდით. მე ძილ–ბურანში ვიყავი, როდესაც გავიგონე სროლის მაგვარი მჭახე ხმა. წამოვხტი და დავიწყე თასმიანი "ბათინკების" ჩაცმა. ამ დროს დავინახე, რომ რობინზონი უკვე ფეხზე იდგა, ხოლო ჩვენი ოთახის კართან ბესარიონი იდგა, რომელმაც გვითხრა, მგონი პრეზიდენტი ცუდად არისო. პრეზიდენტის ოთახში პირველი რობინზონი

---

177 ექიმმა ეჭვი გამოთქვა შაქრის დიაბეტის გამწვავებაზე და ურჩია მსუბუქი წამალი „მანილინი", რომელიც ჩუხუამ შემდგომ დღეს იშოვა და დიდი ხვეწნით მიაღებინა ზ.გამსახურდიას — თითონაც მიიღო, რათა უსაფრთხოება დაემტკიცებინა. ეს ექიმი გამოკითხა კომისიამ?

შევიდა, მას მე შევყევი. დავინახე პრეზიდენტი, რომელიც თავის ადგილას იწვა, ოღონდ ოდნავ მაღლა წამოწეული, თავი და ტანის კორპუსი მარცხენა მხარეს ჰქონდა გადაწეული, მარჯვენა ხელი მუცლის არესთან ცოტა ქვემოთ ჰქონდა დადებული. რომელშიც, პისტოლეტი "სტეჩკინი" ეკავა[178]. მარჯვენა მხარეს საფეთქელთან ეტყობოდა ნატყვიარი და იქიდან გადმოსდიოდა სისხლი. ფეხები გამართული ჰქონდა საწოლის გასწვრივ, ფეხსაცმელი არ ეცვა. **ნატყვიარის გარშემო ადგილი გაშავებოდა და მის ახლოს თმაც შესამჩნევად შეტრუსული ჰქონდა** [179]. პრეზიდენტს სიცოცხლის ნიშან-წყალი აღარ ეტყობოდა. მე, როდესაც პრეზიდენტი ასეთ მდგომარეობაში ვნახე, მომენტალურად გადავწყვიტე თავის მოკვლა. გავიქეცი ჩემს ოთახში, ავიღე ავტომატი, მოვირბინე პრეზიდენტის ცხედართან ახლოს, ჩავიმუხლე, ავტომატის ლულა მივიდე ნიკაპის ქვემოთ და როდესაც ხელი უნდა დამეჭირა სასხლეტისათვის ბესარიონ გუგუშვილმა შემაჩერა, მითხრა: ეს რომ გააკეთო, იტყვიან, ჯერ პრეზიდენტი მოკლა და შემდეგ თავი მოიკლაო. მე ამ სიტყვებმა გონს მომიყვანა. ამ დროს ქვემოდან ამოვიდა კარლო ღურწკაია[180], რომელიც ეხმარებოდა რობინზონს ცხედრის გაპატიოსნებაში. მე იმ მომენტში არაფრის თავი არ მქონდა, ამიტომ რას აკეთებდნენ ბესარიონი და რობინზონი არ ვიცი. მგონი ბესარიონი აღწერდა პრეზიდენტის ნივთებს[181]. გასროლიდან დაახლოებით ოცი წუთის შემდეგ რობინზონი და კარლოს შვილი წავიდნენ ბურჯანაძის და კეკენაძის მოსაყვანად. რამდენიმე ხანში მოვიდნენ კეკენაძე, ბურჯანაძე, ზურაბ გუჩუა, ანზორ მებონია, ზაურ და ანატოლი ჩუხუები. ჩვენ დავიწყეთ მსჯელობა რა გაგვეკეთებინა, სად დაგვესაფლავებინა პრეზიდენტი. გადავწყვიტეთ პრეზიდენტის ცხედარი ჯონსონ კვარაცხელიას სახლში წაგვესევინებინა. 31 დეკემბერს, როდესაც დაღამდა ჩუხუებმა მოიყვანეს ტრაქტორი, რომელსაც წინა მხარეს ლაფეტი ჰქონდა, ცხედარი ლეიბიანად დავასვენეთ ტრაქტორის ლაფეტზე. დაახლოებით ღამის 3-4 საათზე, მარგველანმა, გუგუშვილმა, ბურჯანაძემ, კეკენაძემ, გუჩუამ, მებონიამ და ძმებმა ჩუხუებმა პრეზიდენტი ჯონსონის სახლში მივასვენეთ. ტრაქტორიდან სახლამდე გადავასვენეთ ჯონსონის მიერ მოტანილი საკაცით, იქ ცხედარი დავასვენეთ სახლის "ზალაში" და ყველამ გავინაწილეთ ფუნქციები, თუ ვის რა უნდა გაგვეკეთებინა. მე და გოჩა საფლავსაც ვთხრიდით და ზაზასაც ვეხმარებოდით ცხედრის გაპატიოსნებაში. რობინზონი ჯონსონის სახლში არსებული ფიცრებისგან სასვენებელს ქედდა. პრეზიდენტს წვერი ზაზამ გაპარსა, რაშიც ჩვენც ვეხმარებოდით. ამ საქმიანობისას შევამჩნიეთ **გამავალი ჭრილობა, რომელიც მდებარეობდა მარცხენა ყურის ძირში.** ტყვიას მოეწყვიტა ყურის ზედა ნაწილი. ნატყვიარიდან გადმოდიოდა სისხლი. ამიტომ ზაზამ იმ ადგილას ჩაუდო ბამბა რის შემდეგაც სისხლდენა შეწყდა. ცხედრის გაპატიოსნების შემდეგ მე, მარგველანმა, გუგუშვილმა, ბურჯანაძემ, კეკენაძემ, გუჩუამ და მებონიამ ცხედარი ჩავასვენეთ რობინზონის მიერ გაკეთებულ ჩასასვენებელში, რის შემდეგაც მივასვენეთ ჯონსონის ეზოს ბოლოში გათხრილ საფლავთან და დავასაფლავეთ. ამის შემდეგ გაიმართა ბჭობა, ვის უნდა შეეტყობინებინა გროზნოში ოჯახისთვის ეს ტრაგედია. 2 ან 3 იანვარს ანზორ მებონიამ გაგვაცილა ცენტრალურ გზამდე, იქ სატვირთო ავტომანქანით მივედით სამტრედიამდე, იქიდან კი ჩავედით ბათუმში და სატრანსპორტო თვითმფრინავით, რომელსაც მიჰქონდა მანდარინი, გადავფრინდით ქალაქ მინვოდში. შემდეგ ტაქსით ჩავედით გროზნოში. მივედით ჩვენს რეზიდენციაში და ჩუმად გამოვიხმეთ აბუ არსანუკაევი, რომელსაც იქვე ქუჩაში მოვუყევით ყველაფერი, რაც გადაგვხდა, ზვიადის მიერ ჩადენილი თვითმკვლელობის შესახებ. აბუმ წაგვიყვანა სახლში ჯოხარ დუდაევთან. მე და ზაზამ ჯოხარს ყოველივე დაწვრილებით მოვუყევით. დუდაევმა გვითხრა: ეს ადამიანი კავკასიის გმირი იყო და ჩვენგან კავკასიის გმირად წავიდაო. ამის შემდეგ მე, ზაზა და აბუ წავედით ჩვენს რეზიდენციაში და შევხვდით მანანა არჩვაძეს, რომელსაც ცოტნეს, გიორგისა

---

178 პისტოლეტი დანახვისთანავე მაშინათვე ხელიდან გამოგლიჯა რ.მარგველანმა (ალბათ ინსტიქტურად — რათა ავტომატურ პისტოლეტს კიდევ არ გაესროლა)

179 ძალზე არსებითი ჩვენებაა და მიუთითებს, რომ სროლა განხორციელდა ძალზე ახლო მანძილიდან, თითქმის მიჯრით.

180 კ.ღურცკაიას მოსვლის მომენტისთვის პისტოლეტი ზ.გამსახურდიას უკვე ართმეული ჰქონდა.

181 ეს უკვე დღისით მოხდა — რამდენიმე საათის შემდგომ.

და ლელეს თანდასწრებით მოვუყევით ყოველივე. მე და ზაზა მანანასგან მოველოდით აგრესიულობას ჩვენს მიმართ, მან ყველაფერი ყურადღებით მოისმინა, რის შემდეგაც მე გამიყვანა მეორე ოთახში და მითხრა, მე მჯერა, რომ ეს ასე მოხდებოდაო; მაგრამ **მე არ მინდა, რომ თვითმკვლელის ცოლი ვიყოო**[182]. მისი ამ სიტყვებით გაოგნებული დავრჩი. ვერ მივხვდი, რას ითხოვდა ის ჩემგან. იმავე დღეს, როგორც მანანა, ასევე ბავშვები გვეხვეწებოდნენ, რომ ჩვენ ისინი არ მიგვეტოვებინა ცხედრის ჩამოსვენებამდე, ცოტნეს ინიციატივით, მე და ცოტნემ ბიბლიაზე ძმობა შევფიცეთ. ამის შემდეგ რამდენიმე დღეში ჩამოვიდნენ ჯერ რობინზონი და გოჩა კეკენაძე, მომდევნო დღეს კი - ბესარიონ გუგუშვილი[183]. მათ მანანამ კიდევ ერთხელ მოუსმინა და არც ამის შემდეგ ჭქონია განსაკუთრებული რეაქცია. მანანამ დაიწყო აქტიური მოქმედებები ზვიადის ცხედრის ჩეჩნეთში გადმოსასვენებლად. შეიქმნა სამთავრობო კომისია ვიცეპრეზიდენტ ზელიმხან იანდარბიევის ხელმძღვანელობით. კომისია საქართველოსკენ გამოფრინდა 1994 წლის 16 თებერვალს, მათთან ერთად საქართველოში გამოფრინდნენ რობინზონ მარგველანი, მერაბ კიკნაძე და ქისტი ეროვნების დეპუტატი[184]. მეორე დღეს ჩამოასვენეს პრეზიდენტის ცხედარი, რომელიც **დავასვენეთ გროზნოს საავადმყოფოს პროზექტურაში, სადაც პრეზიდენტის ცხედარი დაათვალიერეს ოჯახის წევრებმა, აგრეთვე დეპუტატებმა**[185]. <u>მიუხედავად ჩვენი დაჟინებული თხოვნისა, სამედიცინო ექსპერტიზა არ ჩაუტარებიათ და შემოიფარგლნენ გვამის გარეგნული დათვალიერებით</u>. პრეზიდენტის ცხედარს ლპობა ჭქონდა დაწყებული. სახეზე, ხელებსა, თითებზე ობი ჭქონდა მოკიდებული. დასაფლავებიდან მესამე დღეს მანანა არჩვაძემ ჩვენ, დაცვის წევრებს დაგვიწყო პრეტენზიების გაცხადება, თითქოს ჩვენი უყურადღებობის გამო დაღუპულიყო ბატონი პრეზიდენტი; **მაგრამ ძირითადი აქცენტი გადატანილი ჭქონდა ბესარიონ გუგუშვილზე და რობინზონ მარგველანზე.** რამდენიმე დღეში გროზნოდან წამოვიდნენ რობინზონ მარგველანი, გოჩა და ზაზა. მე გადავედი საცხოვრებლად ჯოხარ დუდაევის დაახლოებულ პირთან, საიდალი სატუევთან. მასთან ვცხოვრობდი დაახლოებით ერთი თვე, ამ დროს **ვიხსენებდი და ვწერდი ყველაფერს პრეზიდენტის ირგვლივ.** ერთ დღეს ჩემთან აღნიშნულ ბინაში მოვიდნენ მანანა და ლელე, რომელთაც **მომთხოვეს ჩემი ჩანაწერები, რომლებიც ჩემთვის დღემდე არ დაუბრუნებიათ.**

რაც შეეხება ნატყვიარს, ის დაახლოებით 4–5 მმ დიამეტრის იყო, შემავალი, ხოლო ტყვიის გამოსავალი ადგილი უფრო დიდი იყო, დაახლოებით 2 მმ–ით. იმ ადგილას ტყვიას მოგლეჯილი ჭქონდა ყურის ზედა ნაწილი. ფეხები საწოლის გასწვრივ ჭქონდა გამართული, ტანსაცმელი არ ეცვა. **ნატყვიარის გარშემო ადგილი გაშავებული იყო და მის ახლოს თმაც შესამჩნევად შეტრუსული ჭქონდა.** საწოლის ხისგან დამზადებულ ნაწილზე, რომელიც თავის მხარეს იყო მოქცეული, ნატყვიარი ეტყობოდა".

კ.ღურწკაიას მეუღლის, ლ.აბშილავას 1999 წლის 5 თებერვლის ჩვენებიდან:

"პრეზიდენტის გარდაცვალებამდე 5 დღით ადრე ჩვენთან ოჯახში მივიდნენ ზაურ და ანატოლი ჩუხუები – ძმები, რომლებმაც ორი დღით ადრე გააფრთხილეს ჩვენი ოჯახი, რომ ჩვენთან **მიიყვანდნენ ორ პარლამენტის წევრს**[186], მათ სტუმრები მოიყვანეს ოთხი

---

182 არც კოკოს არ უნდა თვითმკვლელის შვილად იცნობდნენ და ამისათვის მზადაა ნებისმიერ გარეწრობასა და თახსირობაზე...

183 ბ.გუგუშვილი გროზნიში ზ.გამსახურდიას სიკვდილიდან ერთ თვეზე მეტი ხნის შემდეგ ჩავიდა — მანამდე კი ელოდებოდა პასუხსა და ქმედებას გროზნოდან

184 ჩეჩნეთის პარლამენტის წევრი — მათე ციხესაშვილი. ამას გარდა იყვნენ კიდევ ლიტვის პარლამენტის წევრები.

185 ძალზე არსებითია, რომ გროზნიში, უკვე განბანილი და შიშველი ცხედარი, რომელსაც მოაცილეს ობი და სხვა ზედნადებები დათვალიერებული იქნა ჩეჩენი მედექსპერტების, უზენაესი საბჭოს დეპუტატებისა და ოჯახის წევრების მიერ — ანუ **საერთო ჯამში 7–9 ადამიანის მიერ**, რომლებმაც ვერაფერი საეჭვო დაზიანებები ვერ შენიშნეს. კოკოს კომისია არც კი შეცდილა გამოეკითხა ეს პირები.

186 ძალზე არსებითია, რომ ზ.გამსახურდიას მასპინძლებმა უფრო ხშირად არ იცოდნენ, რომ მოუწევდათ გაძლიერებული დევნისა და რისკის პირობებში მყოფი ზ.გამსახურდიას მიღება....

კაცის შემადგენლობით, ესენი იყვნენ: პრეზიდენტი, ბესარიონ გუგუშვილი და დაცვის წევრები: რობინზონ მარგველანი და ბაჩუკი გვანცელაძე.” [კარლო ღურწკაიამ სტუმრები შინ შეიპატიჟა. სახლში იყვნენ: კარლო და ლუდმილა ღურწკაია-აბშილავა და მათი ქალიშვილი ნანა თავის შვილთან ერთად. სტუმრებს გაუშალეს სუფრა. ლუდმილა აბშილავას მისმა ქალიშვილმა უთხრა, რომ მათთან სტუმრად იმყოფებოდა პრეზიდენტი. მასპინძლებმა სახლის უკანა კიბიდან ააცილეს მეორე სართულზე პრეზიდენტი და აჩვენეს საძინებელი ოთახი. ზვიად გამსახურდიას ნაბადი ჰქონდა მოხვეული და ყავარჯენი ეჭირა. იგი ნელი ნაბიჯით ავიდა მეორე სართულზე. ლუდმილა აბშილავამ უჩვენა საწოლი, გაუშალა და ჩამოვიდა პირველ სართულზე. ლუდმილა აბშილავამ პრეზიდენტს საძინებელში დაუტოვა ანთებული ლამფა. დარჩენილი სტუმრები დიდხანს არ გაჩერებულან სუფრასთან და მალე ავიდნენ მეორე სართულზე. მათ აჰყვა ლუდმილა აბშილავა და აჩვენა თავ-თავიანთი საწოლები. ოთახში, სადაც ზვიად გამსახურდია იწვა იყო მეორე საწოლიც, რომელშიც დაწვა ბესარიონ გუგუშვილი. გვერდით ოთახში დაწვნენ ორნი, ლუდმილა აბშილავასთვის როგორც შემდეგ გახდა ცნობილი ესენი იყვნენ რობინზონ მარგველანი და ბაჩუკი გვანცელაძე. დილით ადრე **სტუმრები ჩამოვიდნენ საქმელად, მაგრამ მათთან ერთად გამსახურდია არ ჩამოსულა, ისინი წუხდნენ, რომ პრეზიდენტი არ ქამდა, იგი პირველ სართულზე საერთოდ არ ჩამოსულა იქ ყოფნის პერიოდში. რობინზონ მარგველანის თქმით, სანამ პრეზიდენტი და მისი თანმხლები პირები ღურწკაიას ოჯახში მივიდოდნენ, გამსახურდიას მანამდეც 3 დღის განმავლობაში საკვები არ ჰქონდა მიღებული.** 30 დეკემბერს პრეზიდენტმა ჩაი მოითხოვა, ლუდმილა აბშილავამ მას ჩაი გაუმზადა და მიართვა. ზვიადმა ჩაი დალიაო, ამაზე გახარებულები იყვნენ პრეზიდენტის თანმხლები პირები. <u>ლუდმილა აბშილავამ, როგორც პრეზიდენტის თანმხლები პირებისგან გაიგო, ზვიად გამსახურდიას ჰქონდა დიაბეტი და შარდის შეკავება, ასევე აწუხებდა მუცლის არეში ძლიერი ტკივილები</u>. 30 დეკემბერს ღურწკაიების ოჯახს ესტუმრნენ ძმები ჩუხუები, ანატოლი პრეზიდენტის გარემოცვასთან საუბრობდა. ამის შემდეგ, ლუდმილა აბშილავა პირველ სართულზე დაწვა დასაძინებლად. დაახლოებით 12 საათზე, აბშილავამ გაიგონა ძლიერი ყრუ ხმა რაღაც საგნის დავარდნისა, მან კარლო ღურწკაია გააღვიძა და უთხრა, რომ ზევით რაღაც ხდებოდა. სახლის მეორე სართულიდან შემოესმა ყველას ყვირილი: – “ვაიმე დავიღუპეთ, ზვიადმა თავი მოიკლა.” **ათ წუთში** ზევით ავიდა კარლო ღურწკაია, ყვირილი გრძელდებოდა, როდესაც ლუდმილა ავიდა ზვიადს ფეხები და სახე უკვე აკრული ჰქონდა, თავის ლოგინზე ესვენა, ტანზე ეცვა შავი შარვალ–კოსტუმი, რამაც ლუდმილას გაკვირვება გამოიწვია, რადგან ლოგინში პრეზიდენტს ეცვა სპორტული პიჟამა. ლოგინზე ბალიში აღარ იყო. თავქვეშ ამოდებული ჰქონდა ოჯახის ბიბლიოთეკიდან აღებული წიგნები. იმ ღამეს კარლო ღურწკაია წავიდა ჩუხუებთან და მოიყვანა ისინი. 31–ში, დღის განმავლობაში არავინ მოსულა, საღამოს მოვიდა კიდევ 4–5 კაცი, როგორც აბშილავამ შეიტყო იქიდან ორი პრეზიდენტის დაცვიდან იყვნენ. 04 საათზე, მათ მოიყვანეს ტრაქტორი, რომელსაც ძარა წინა მხარეს ჰქონდა.

ტრაქტორზე “ლეჟანკით”, რომელიც ჩუხუებმა მოიტანეს, დაასვენეს პრეზიდენტი, ტრაქტორი იყო წითელი ფერის. მათ გაჰყვა რობინზონი, ბაჩუკი, ბესარიონი და ყველა დანარჩენი, ხოლო ანატოლი სოფელში დარჩა. მეორე დილას ლუდმილა აბშილავამ საწოლი ოთახის დალაგება დაიწყო, სადაც მისი განაცხადით **იატაკზე სისხლის გუბე იდგა.** ლოგინზე ლეიბი აღარ იყო, რადგანაც ზვიადი იმავე ლეიბით გადაასვენეს, **საბანი და ლეიბი მისივე განაცხადით ლუდმილას ახლაც შენახული აქვს პირვანდელი მდგომარეობით.**

ქალბატონი ლუდმილა მალავს თავისი შვილის ნუკრი ღურწკაიას სახლში ყოფნას იმ დროს, როდესაც მათთან სტუმრობდა პრეზიდენტი, რაც დასტურდება პრეზიდენტის დაცვის წევრის გორა კეკენაძის ჩვენებით].

კარლო ღურწკაიას 1999 წლის 5 თებერვლის ჩვენებიდან:

“ვცხოვრობ ხობის რაიონის სოფელ ძველ ხიბულაში, მყავს მეუღლე და სამი შვილი. პროფესიით ვარ დურგალი. 25 დეკემბერს, საღამოს დაახლოებით 23 საათზე, ჩემთან სახლში მოვიდნენ ანატოლი და ზაურ ჩუხუები. მათ მთხოვეს **ოთხი დღით შემენახა ორი**

<u>პარლამენტის წევრი</u> და მათი დაცვის ორი თანამშრომელი. მე თანხმობა განვაცხადე. 27 დეკემბერს, საღამოს, დაახლოებით 22 საათზე, მოვიდნენ ძმები ჩუხუები და ჩემთვის უცნობი ოთხი კაცი. მათ მოსვლამდე მე პატარა სუფრა გავშალე, მაგრამ მოსვლისთანავე ისინი მეორე სართულზე ავიდნენ, ჩემს მეუღლესთან ერთად დაათვალიერეს სახლის მეორე სართული, თავ-თავიანთი საძინებელი ადგილები. მერე კი ერთის გარდა, სამივე ქვევით ჩამოვიდა. სუფრას მიუსხდნენ, ძალიან ცოტა ჭამეს და **წუხდნენ, რომ მეოთხე შეუძლოდ იყო.** მეორე დღეს, დილით, **სამი ქვევით ჩამოვიდა, ისადილეს, ხოლო მეოთხეზე თქვეს, ცუდად არის და ვერ ჩამოვაო.** მათი ურთიერთ მიმართვით გავიგე სახელები: ბესარიონი, რობინზონი და ბაჩუკი. უფრო ზუსტად, გუგუშვილი, მარგველანი, ბაჩუკის გვარს ვერ ვიხსენებ. <u>**მეოთხე დღეს, როდესაც რობინზონს სიხარულისგან წამოსცდა, პრეზიდენტს ჩაი უნდაო, მივხვდი, რომ ის მეოთხე ჩვენი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია იყო.**</u>[187] მეოთხე დღეს დაახლოებით, 01 საათსა და 30 წუთზე, გავიგონე გასროლის ხმა, **მეგონა "შკაფი" ხომ არ დაეცა-მეთქი**[188]. მე ამ დროს მეუღლესთან ერთად ვიწექი პირველ სართულზე. ეს იყო 1993 წლის 31 დეკემბრის 01 საათი და 30 წუთი. უცებ მომესმა ზევიდან ყვირილი: კარლო ბიძია, პრეზიდენტმა თავი მოიკლაო. მაშინვე ავედი ზევით და დავინახე საშინელი სურათი. სამივე კედელს თავს ურტყამდა, პრეზიდენტმა თავი მოიკლაო. მე მთხოვეს გამეპატიოსნებინა ცხედარი. თავიდან ცუდად გავხდი, მაგრამ მერე ძალ-ღონე მოვიკრიბე და მივუახლოვდი ზვიად გამსახურდიას ცხედარს. ზვიადი იწვა–მარცხენა მხარეს, თავი ლოგინის თავთან მარცხენა მხრით ჰქონდა დადებული, მარჯვენა ხელი გაშლილი, მარცხენა ხელი გაშვერილი ჰქონდა და ტანქვეშ ჰქონდა ამოდებული. ეცვა შარვალ-კოსტუმი, ტანით მთლიანად ლოგინზე იწვა, ფეხზე მხოლოდ წინდები ეცვა. **გასისხლიანებული იყო ბალიში, ლეიბის ნაწილი, ლოგინი და იატაკი.**

როდესაც ხელი მოვკიდე ზვიად გამსახურდიას ცხედარს, იგი **ჯერ კიდევ თბილი იყო.** თავზე ხელი მოვკიდე და ვიგრძენი როგორ ჩამივარდა, კერძოდ, თავის ქალის **უკანა, მარცხენა ადგილას დიდი დაზიანება აღენიშნებოდა, ძვალი გატეხილი იყო.** მივხვდი, რომ ეს გამოსასვლელი ხვრელი იყო. დავათვალიერე ზვიადის სახე წინა მხრიდან. **მარჯვენა საფეთქლის მიდამოსთან აღენიშნებოდა დაზიანება, პატარა ზომის ნახვრეტი.** მე გავაპატიოსნე ცხედარი, როგორც შემეძლო, რის შემდეგ წავედი ძმებ ჩუხუებთან, მოვუყევი ყველაფერი. ისინი წამომყვნენ, დავბრუნდით სახლში. ღამე ჩუმად ვტიროდით, ამასობაში გათენდა. საღამოს კიდევ ორი ბიჭი მოვიდა, რომლებიც თურმე სხვა ოჯახში ყოფილან. არადა ჩემს სტუმრებთან ერთად მოვიდნენ. ამასობაში ახალი წლის ღამეც დადგა. გვიან ღამით, უკვე პირველ იანვარს 04 საათისთვის, მოიყვანეს ტრაქტორი, რომელსაც წინ ჰქონდა ძარა. ზვიად გამსახურდიას ცხედარი ესვენა ორ ლეიბზე და "ლეჟანკაზე". ასეთ მდგომარეობაში გამოასვენეს ჩემი სახლიდან, დაასვენეს ტრაქტორის ძარაზე და ყველანი ერთად, ამ ტრაქტორით წავიდნენ.

პირველად მომხდარ ფაქტზე, მხოლოდ გიორგი გამსახურდიას მოვუყევი, რომელიც ჩემთან მოვიდა 1999 წლის 1 იანვარს. თვითმკვლელობა მე არ მინახავს, როდესაც იმ ოთახში შევედი, სადაც ზვიად გამსახურდიას ცხედარი იყო, იქ უკვე იყვნენ ბესარიონ გუგუშვილი, რობინზონი და ბაჩუკი. <u>იარაღი მე არ მინახავს, არც მიკითხავს თუ სად იყო,</u> <u>**სამიდან ერთ-ერთს ექნებოდა აღებული.**</u> მათ ჰქონდათ ხელჩანთები, ჩემთან არაფერი არ დაუტოვებიათ. დარჩა მხოლოდ ზვიად გამსახურდიას კუთვნილი წყლის მათარა. პირველად როდესაც ოთახში შევედი, სადაც ზვიად გამსახურდიას გვამი ვნახე, ოთახი განათებული იყო მხოლოდ ერთი ლამფითა და ერთი სანთლით. **იქვე მოიძებნა გასროლილი მასრა,** მაგრამ, სახელდობრ, რომელმა აიღო, ვერ გეტყვით. **ისინი ასევე ეძებდნენ ტყვიის გულასაც, მაგრამ რამდენადაც მე ვიცი, ტყვიის გულა ვერ მოიძებნა.** ზვიად გამსახურდიას ხელში მე იარაღი არ მინახავს."

---

187 აქედან კარგად ჩანს, რომ ზ.გამსახურდია საჭმელად პირველ სართულზე ვეღარ ჩადიოდა...

188 ამას „სტეჩკინის" გასროლის ხმა კარადის დაცემის ხმად მოეჩვენა — არსებითია.

ლუდმილა ღურწკაია-აბშილავას 2004 წლის 2 მარტის ჩვენებიდან:

“სახლის დათვალიერების შედეგად საინტერესო ნივთიერ მტკიცებულებათა ამოღების შესახებ, რომელიც ეკუთვნოდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას, უფლება გაქვთ, ჩვენთან ერთად მონაწილეობა მიიღოთ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში. საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით დამკითხეს, როგორც მე, ასევე ჩემი მეუღლე, კარლო ღურწკაია. ჩემს პირველ ჩვენებას ვადასტურებ. ჩემთან სახლში ახლაც ინახება პრეზიდენტის ნაქონი წყლის მათარა, ბიბლია, ზვიად გამსახურდიას წერილებისა და ესეების კრებული, პრეზიდენტის პორტრეტიანი კათხა და სხვა საგნები. ოთახში დგას ორი საწოლი, რომლებზედაც იწვნენ ბატონი პრეზიდენტი და მის გვერდით, ბესარიონ გუგუშვილი. პირველი **საწოლის თავის დაფაზე, ახლაც ამჩნევია ტყვიის კვალი.** ამ საწოლზე იწვა პრეზიდენტი 1993 წლის 31 დეკემბრის ღამეს. იგი მისმა გარემოცვამ აღმოაჩინა გარდაცვლილი. **მას თავქვეშ ედო ბალიში, რომელსაც ახლაც ვინახავ ცელოფანში ჩადებულს.** მოგახსენებთ, რომ დროთა განმავლობაში ბალიშის პირი, რომელსაც სისხლის კვალი ეტყობოდა გაიცრიცა, ამიტომ მე ის გადავაგდე, ხოლო ბალიში ახალ პირში ჩავდე და ახლაც ასე დევს.”

[...ლუდმილა აბშილავას პირველ ჩვენებაში გარდაცვლილ პრეზიდენტს თავქვეშ ამოდებული ჰქონდა მისი ბიბლიოთეკიდან აღებული წიგნები.][189]

ვალიკო ზარანდიას 1994 წლის 10 თებერვლის ჩვენებიდან:

“1994 წლის 15 იანვარს დავბრუნდი ჩემს სახლში. მეუღლემ მითხრა, რომ 1994 წლის 12 იანვარს 04 საათზე ჩემთან სახლში მოსულან ვიღაც ოთხი ან ხუთი პიროვნება. ერთ-ერთს უთქვამს, მე რობინზონ მარგველანი ვარო. ჩვენ თქვენს თავლაში დავასაფლავეთ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ცხედარი და ამის შესახებ ვიცით მარტო თქვენ და ჩვენ და თუ ვინმეს ეტყვით ამის შესახებ, ყველაფერს გადაგიწვავთო. რობინზონ მარგველანს დაუბარებია, რომ ის 3 დღეში დაბრუნდებოდა. მე აღნიშნულის შესახებ არავისთვის მითქვამს. 1994 წლის 17 თებერვალს სახლში ვიყავით მე და ჩემი მეუღლე. დაახლოებით 15 საათზე გავიგონე ვერტმფრენის ხმა. ვერტმფრენი დაჯდა ჩემი სახლის წინ მდებარე მინდორზე. იქიდან ჩამოვიდა დაახლოებით 15 კაცი, როგორც მერე გავიგე, ჩამოსულან მარგიანი, ლომინაძე და სხვა ოფიციალური პირები. ერთ-ერთს დაუძახეს რობინზონი და მაშინ მივხვდი, რომ ის იყო რობინზონ მარგველანი. მერე ამოიღეს მიწიდან სასახლე, ახადეს სახურავი და დარწმუნდნენ, რომ ნამდვილად ზვიად გამსახურდიას ნეშტი იყო. მერე სასახლე ისევ დახურეს, ჩადეს ვერტმფრენში და გაფრინდნენ. მე ზვიად გამსახურდია ცოცხალი არ მინახავს. მე ვიცნობ და ვმეგობრობ გუჯუჯი ებრალიძესთან. ის იყო გვარდიელების ერთ–ერთი უფროსი და სოფელ ჯიხაშკარის გამგებელი. გუჯუჯი ებრალიძემ 1991 წლის ზაფხულში ჩემთან სახლში მოიყვანა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი, ხაზალია და კუკური როგავა. სულ იყო ექვსი დაკავებული პირი. ისინი მოვიდნენ დილას 10 საათზე და იმავე დღეს, ღამით წავიდნენ. თუ სად წავიდნენ, ჩემთვის უცნობია. გუჯუჯი ებრალიძის გარდა, ჩვენთან იყვნენ ვახო ზარანდია და მამრიკო ზარანდია. დანარჩენები ვინ იყვნენ, არ ვიცი.”

ნათელა ავალიანი-ზარანდიას 1994 წლის 1 თებერვლის ჩვენებიდან:

“დაახლოებით ერთი წლის წინ, **მგონი გაზაფხული იყო,** დაახლოებით 18 საათზე, სახლში ვიყავით მხოლოდ მე და ჩემი მეუღლე. მოულოდნელად სახლში მოვიდნენ სტუმრები, დაახლოებით ექვსი კაცი. მათ თან ახლდათ რამდენიმე ავტომატით შეიარაღებული ახალგაზრდა. სტუმრები ვინ მოიყვანა, არ ვიცი. სტუმრებმა ღამე გაათიეს და დილით ადრე წავიდნენ. სტუმრები ვასადილე, ღვინოც დალიეს. მე ამ პერიოდში გავიგე, რომ სტუმრებს შორის იყო საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი რომან გვენცაძე და სხვა პირები.

---

[189] ჯერ ბალიში ჰქონდა თავქვეშ, შემდეგ პირი აუკრეს და თავქვეშ წიგნები შეუწყეს, შემდეგ მგონი — ისევ ბალიშზე დაადებინეს თავი. ასე, რომ სიტუაცია ბალიშთან დაკავშირებით რამდენჯერმე შეიცვალა.

1994 წლის 12 იანვარს სახლში მარტო ვიყავი. ღამით, საათი არ მახსოვს, კარზე უცნობმა დამიბრახუნა. ლამფა მენთო, ნახევრად შეშინებულმა გავაღე კარი. ჩემს წინ იდგა უცნობი ახალგაბრდა კაცი, თან ახლდა მგონი ოთხი შეიარაღებული კაცი. ამ კაცმა მითხრა, თქვენს ფარდულში პრეზიდენტი დავასაფლავეთო. მის გვამს 3 დღეს დავტოვებთ და მერე წავიღებთ, იცოდეთ, არავის არაფერი არ უთხრათო. 15 იანვარს სახლში მოვიდა ჩემი მეუღლე, რომელსაც ყველაფერი მოვუყევი. გავიდა გარკვეული პერიოდი, ეზოში დაფრინდა ვერტმფრენი, საიდანაც ჩამოვიდნენ ჩემთვის უცნობი პირები. მოთხარეს პრეზიდენტის გვამი, დადეს ვერტმფრენში და წავიდნენ ისე, რომ მე, არც კუბოს ამოთხრას დავსწრებივარ. ამდენად გარდაცვლილი პრეზიდენტი მე არ მინახავს.”

რობერტ (რობინზონ) მარგველანის 1997 წლის 5 თებერვლის ჩვენებიდან:

“პრეზიდენტმა იცოდა, რომ უღალატო ვიყავი და გვერდიდან არ მიშორებდა. პრეზიდენტ გამსახურდიას დავალებით მე ვიყავი მესტიის რაიონში, სადაც მოსახლეობაში პროპაგანდას ვუწევდი აქტიურად დაეჭირათ მხარი, ბლოკ “მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოსთვის”. საყოველთაო არჩევნებში გაიმარჯვა აღნიშნულმა ბლოკმა, გამსახურდია აირჩიეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ, ხოლო შემდეგ - საქართველოს პრეზიდენტად. გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლისთანავე მე დავინიშნე მისი პირადი დაცვის წევრად. მის დაცვაში ვიყავით სულ 30 კაცი. დაცვის უფროსი იყო ანდრო კანკავა, ხოლო მის შემდეგ დაინიშნა კობა შარვაძე. ამავე წლის ოქტომბერში მე დავინიშნე პირადი დაცვის უფროსად. რაც შეეხება კანკავასა და შარვაძის განთავისუფლების ობიექტური მიზეზი მე არ ვიცი. ჩვენ დაცვას ჰყავდა 5-6 ავტომანქანა, თითოეული დაცვის წევრს თითო ავტომატური იარაღი და პისტოლეტი. ქვეყანაში დაძაბული პოლიტიკური ვითარება იყო. 21 დეკემბერს, როდესაც ხალხი ფაქტობრივად დაიშალა პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე, ოპოზიციის წარმომადგენლები ჯგუფ-ჯგუფად იყვნენ ქაშუეთის ეკლესიასთან და პირველი საშუალო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე. მათ ალაგ–ალაგ დანთებული ჰქონდათ ცეცხლი, თენდებოდა, მათში შეიარაღებული ხალხი არ შემიმჩნევია. პრეზიდენტის სამუშაო ოთახი იყო პარლამენტის მესამე სართულზე და მისი კაბინეტის ფანჯრები გადაჰყურებდა რუსთაველის გამზირს. 22 დეკემბერს დაახლოებით 08 საათზე, ჩვენთან მოვიდა ორი თუ სამი კაცი. მითხრეს, პრეზიდენტთან ინფორმაცია გვაქვსო. მათ პრეზიდენტთან ისაუბრეს, რის შემდეგაც წავიდნენ. პრეზიდენტი აპირებდა კაბინეტში შესვლას, ამის შემდეგ გარედან მომესმა ინტენსიური სროლის ხმა. ბრძოლის დაწყებიდან დაახლოებით 10 წუთში დაიჭრა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე რომან გვენცაძე. 22 თუ 23 დეკემბერს, დილით დაიჭრა ლოთი ქობალია ქაშუეთის ეკლესიასთან. ბესო ქუთათელაძემ პრეზიდენტს აცნობა, რომ იმყოფებოდა თენგიზ სიგუასთან და ურჩევდა პრეზიდენტს თავისი ოჯახით გასცლოდა სიტუაციას. ისინი უზრუნველყოფდნენ ბათუმში მის უსაფრთხო გამგზავრებას თვითმფრინავით, ხოლო თვითმფრინავის ტრაპთან მას უნდა დაეწერა პრეზიდენტობიდან გადადგომის შესახებ განცხადება. ბესო სთხოვდა პრეზიდენტს მიეღო მისი წინადადება, ამით აიცილებდა სისხლისღვრას. **ამავე აზრზე იყო ვალტერ შურღაიაც.** პრეზიდენტი ამ წინადადებას ფაქტობრივად დათანმხდა. თქვა, სისხლისღვრას სჯობს გავეცალოთო. ამ დროს ქალებმა, მათ შორის, ლელე არჩვაძემ და მანანა ძოძუაშვილმა ატეხეს ისტერიული წივილი, როგორ შეიძლება პრეზიდენტის გადადგომა, ის ხალხმა აირჩია, ამის შემდეგ პრეზიდენტმა თავი შეიკავა გადადგომისაგან. შემდეგ პარლამენტის შენობა დაიბომბა. ხელისუფლების დამცველთა შორის იყო საკმაო მსხვერპლი და დაჭრილები. პრეზიდენტის პირადი დაცვის უფროსად დანიშვნისათვის პოლკოვნიკის წოდება მომენიჭა.”

რობერტ (რობინზონ) მარგველანის 1997 წლის 6 თებერვლის ჩვენებიდან:

“**1992 წლის 5 იანვარს დაახლოებით 19–20 საათზე,** პრეზიდენტთან სამუშაო ოთახში შევიდნენ კოპალიანი, გიორგაძე, ძიძიგური, ხაბულიანი, უჩავა, მოლოდინაშვილი, დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ ყველა გარეთ გამოვიდა პრეზიდენტთან ერთად. პრეზიდენტმა მითხრა:–გაამზადე მანქანები და ბიჭები, გავდივართ ყველა, აქაურობა უნდა დავტოვოთ.” თუ რა მარშუტით უნდა გავსულიყავით ამ მომენტში შენობიდან ეს მე არ მეხებოდა, გასაიდუმლოებული იყო. ჩამოვდივართ თავისუფლების მოედანზე, ჩავედით ლესელიძეზე, თავისუფლების მოედნიდან შემოგვესმა ინტენსიური სროლის ხმა. მანქანები შეჩერდა. რამდენიმე ბიჭმა წინააღმდეგობა გაუწია, ჩვენ კი გზა განვაგრძეთ. ჩვენ წინ იკარუსი იყო დაცხრილული, ჩვენ გავჩერდით. აბსანძე მიწვენილი იყო ტროტუარზე, დაჭრილი იყო. ჩვენ გვაცილებდა ერთი “ბეტეერი” და ერთიც “ბერდეემი”. სანაპიროს გავლით გეზი ჯერ დასავლეთისკენ ავიღეთ. შემდეგ მოვბრუნდით და წითელი ხიდის გავლით აზერბაიჯანში გადავედით. პრეზიდენტმა ჰკითხა ჯიბილო ნიუარაძეს, ხომ არ იცნობდა აზერბაიჯანის ავტოინსპექციის წარმომადგენელს, რათა ისინი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გაეცილებინა. ჩავედით ყაზახში. გაგვაცილა ყაზახის მილიციამ, მიზანი იყო განჯიდან გადავფრენილიყავით სოხუმში, ბათუმში ან ქუთაისში. ჩვენთან მოვიდა ადგილობრივი უშიშროების უფროსი და გვითხრა, რუსები არიან დაინტერესებულიო, რაზედაც პრეზიდენტმა თქვა: თვითმფრინავით გადაფრენა საშიშია, შეიძლება აგვაფეთქონ ან დაგვაკავონო. ჩვენ ავტომანქანებით გამოვბრუნდით უკან სომხეთის საზღვარზე და გავჩერდით ადგილობრივი ბოევიკების დისლოკაციის ადგილზე. დაახლოებით 8 იანვარს აქ ჩამოვიდა სომხეთის პრეზიდენტის წარმომადგენელი და გადაგვიყვანეს ქალაქ იჯევანში. მიგვიყვანეს მიტოვებულ დასასვენებელ სახლში, ჩაგვიყენეს “ომონ”–ის ჯარის ნაწილები, არც შიგნით უშვებდნენ ვინმეს და არც ჩვენ გვიშვებდნენ გარეთ. პრეზიდენტი უკმაყოფილო იყო. პრეზიდენტმა ზურაბ კოპალიანის მამა და დეპუტატი გოგაძე გააგზავნა გროზნოში ჯოხარ დუდაევთან დახმარების სათხოვნელად. პრეზიდენტმა ჟურნალისტებს აუხსნა, რომ იმყოფება სრულ ბლოკადაში, ფაქტობრივად ვიყავით დატყვევებული. პრეზიდენტმა პირადი დაცვის წევრების, ოჯახის წევრებისა და მანანა ძოძუაშვილის გარდა, ყველა საქართველოში გამოუშვა. ქალაქ გროზნოში ჩვენს გამგზავრებასთან დაკავშირებით მოლაპარაკება 3–4 დღე გაგრძელდა. 1992 წლის 21 თუ 22 იანვარს ჩვენ გადაგვიყვანეს ქალაქ ერევანში, სომხეთის მთავრობის რეზიდენციაში, ხოლო საღამოს ჩაგვსხეს თვითმფრინავში და ღამით ქალაქ გროზნოში ჩავფრინდით. დაცვის წევრებიდან გვახლდნენ: გოჩა კეკენაძე, ბაჩუკი გვანცელაძე, ზაზა ლიპარტელიანი, დანარჩენების ვინაობას ვერ ვიხსენებ“.

რობერტ (რობინზონ) მარგველანის 1997 წლის 10 თებერვლის ჩვენებიდან:

“ჯოხარ დუდაევის გადაწყვეტილებით პრეზიდენტი და მისი თანმხლები პირები დაბინავდნენ სამთავრობო რეზიდენციაში. თებერვლის შუა რიცხვებში გროზნოდან სოხუმში ჩავფრინდით 18–20 ბიჭი. ჩვენ გვემსახურებოდა “ტუ–154”, რომლსაც მართავდა ზაურ ბედია. ზურაბ კოპალიანს ჰქონდა პრეზიდენტის რწმუნება, ორგანიზება გაეკეთებინა პრეზიდენტის მომხრეებისათვის და შეიარაღებული წინააღმდეგობა გაგვეწია ფაქტობრივი ხელისუფლებისათვის კანონიერი ხელისუფლების აღსადგენად. გალში დავყავი სამ დღეს. იგრძნობოდა პრეზიდენტის მომხრე გვარდიელების რიცხობრივი ზრდა, შემდეგ გადავედი ზუგდიდში. გია უჩავა თავისი შეიარაღებული რაზმით დაახლოებით 25 კაცით შემოვიდა ზუგდიდში. დანიშნული იყო შეხვედრა ქაღალდ-კომბინატის რაიონში, აქ მშენებარე ქარხნის შენობა–ნაგებობასთან. აქ მოვიდა ჯემალ ქობალია თავისი რაზმით. ზემოაღნიშნული შეკრების დროს უჩავამ და ქობალიამ მოილაპარაკეს, რომ ოპერაციას დაიწყებდნენ დილის ხუთ საათზე. ჯემალ ქობალია თავს დაესხმოდა მილიციას, ხოლო უჩავა – ქაღალდ–კომბინატის სასტუმროს. ყველანი განაწილებული იყვნენ. მე უნებლიედ აღმოვჩნდი ამ სიტუაციაში. 9 მარტს, დაახლოებით დილის ხუთ საათზე, მათ ალყა შემო-

არტყეს სასტუმროს შენობას და დაიწყო ჰაერში სროლა. სასტუმროდან შემოგვესმა ქალების კივილი. გავიგონე სვანი ქალების ხმა. მე სასწრაფოდ შევაწყვეტინე ჩვენს ბიჭებს სროლა. ჯემალ ქობალიამ აიღო ზუგდიდის მილიცია. საჯვალოზე მივედი ჩემი ნათესავის, გურამ მარგველანის, ოჯახში. გავიგე, რომ ზუგდიდში ყარყარაშვილი იყო თავისი ხალხით. არ მინდოდა მათ წინააღმდეგ ბრძოლა სოფელ რუხში, ე.წ. მეგობრობის ხიდთან. მე დაუყოვნებლივ მივედი შემთხვევის ადგილზე, სახლი უკვე ალყაშემორტყმული იყო. ამ ოპერაციას ჯემალ ქობალია ხელმძღვანელობდა. მე მივუახლოვდი შენობას და [იქ მყოფებს] დავუძახე, რომ აზრი არ ჰქონდა წინააღმდეგობის გაწევას და მოვითხოვე დაგვნებებოდნენ, რის შემდეგაც ყარყარაშვილი დაგვნებდა. თბილისში წამოვიდა და უკან აღარ დაბრუნებულა გია უჩავაც. ვერტმფრენიდან ნასროლი ჭურვით გარდაიცვალა პრეზიდენტის მდივანი ლალი მაისურაძე. გია ყარყარაშვილის დატყვევებაში მე მონაწილეობა არ მიმიღია”.

რობერტ (იგივე რობინზონ) მარგველანის 1997 წ. 19-20-21 თებ. ჩვენებებიდან:

“1993 წლის 27 დეკემბერს, სოფელ ჯიხაშკარში ჯონსონ კვარაცხელიას სახლიდან დაახლოებით 5 კილომეტრის დაშორებით, მოგვაკითხეს ანატოლი და ზაურ ჩუხუებმა ”გაზ–24”–ით და წაგვიყვანეს ხობის რაიონ სოფელ ხიბულაში. ჩვენ იქ მივედით ღამით, დღისით გარეთ არ გამოვდიოდით. 1993 წლის 20 დეკემბერს, როდესაც ჩვენ ვიყავით სოფელ ჯიხაშკარში, ჯანსუღ **კვარაცხელიას ოჯახში, გამსახურდიამ თავი ცუდად იგრძნო. ტკივილი ჰქონდა მუცლის არეში.** პრეზიდენტმა გვითხრა, რომ არის ისეთი მომწამვლელი ნივთიერება, რომელიც 2, 3 ან 6 თვის შემდეგ მოქმედებს და შეიძლება ვინმემ ასეთი ნივთიერება ჩამიყარა საჭმელშიო. ის არ უთქვამს როდის და ვის შეეძლო მისი მოწამვლა. მას არასდროს ჰქონია მუცლის არეში ტკივილი, იგი საერთოდ ჯანმრთელი იყო. **მწვავე ტკივილების გამო,** საკვების მიღებაზე უარი თქვა. **სოფელ ხიბულაში, ჩუხუებმა მოიყვანეს ვიღაც სოფლის ექიმი, ხანში შესული მამაკაცი. ჩუხუებმა წამლები მოიტანეს, მაგრამ გამსახურდიამ წამლები არ დალია.** ექიმს ავადმყოფობის ან სხვა რაიმე დიაგნოზის შესახებ არაფერი უთქვამს. გამსახურდია გვაფრთხილებდა, რაც არ უნდა მოხდეს არ დაიბნეთ და აქ დამმარხეთო. გადავწყვიტეთ მოგვენახა ზურაბ გუჩუას მეუღლე, რომელიც ექიმი იყო და ვფიქრობდით, თავზე დაადგებოდა პრეზიდენტს და მოუვლიდა, როგორც ავადმყოფს. ასე გადიოდა დღეები და **პრეზიდენტი სულ უფრო ცუდად გრძნობდა თავს, იგი ფაქტობრივად ლოგინში იწვა.** სოფელ ხიბულაში, აღნიშნულ სახლში ვცხოვრობდით მეორე სართულზე. პირველი სართული მეორე სართულთან დაკავშირებული იყო შიდა კიბით. მეორე სართულზე იყო ოთხი ოთახი. ჩვენ გვეკავა ორი ოთახი, გზიდან მარცხენა მხარეს. პირველ ოთახში, რომელიც ქუჩის მხარეს გადიოდა, მოთავსებული იყვნენ პრემიერ-მინისტრი და პრეზიდენტი. ამავე ოთახის მეზობელ ოთახში, რომელიც ფაქტობრივად სახლის უკანა მხარეს წარმოადგენდა, ვიყავით მე და ბაჩუკი გვანცელაძე. პრეზიდენტისა და ჩვენ ოთახებს შორის იყო ერთი გასასვლელი, კარის გარეშე. ჩამოკიდებული იყო ფარდა, რომელიც ჩვენ გაწეული გვქონდა ისე, რომ ჩვენი ოთახიდან ჩანდა გამსახურდიას ოთახის ნაწილი. ქუჩისკენ გამავალი ოთახის ფანჯრებს ჰქონდა დარაბები და ჩვენი იქ ყოფნის დროს დარაბები დაკეტილი იყო. გამსახურდიას და გუგუშვილის საწოლები იდგა ერთად ისე, რომ საწოლის თავები მიბჯენილი იყო. **როდესაც ჩვენ ვიწექით საწოლებზე ღია კარიდან ჩანდა გამსახურდიას და გუგუშვილის საწოლების თითქმის ნახევარი, მათ წელს ქვევით.** 1993 წლის 30 დეკემბერს პრეზიდენტი თავს **ისევ ავად გრძნობდა.** იგი იწვა, საჭმელს არ ჭამდა, ოღონდ აზროვნება [არ დაუკარგავს]. იგი ჩვეულებრივი ხმით ლაპარაკობდა, მაგრამ საუბარში აქტიურობას საერთოდ არ იჩენდა. დიდი ხვეწნის შემდეგ მიიღო ერთი კოვზი მაწონი. დაახლოებით 21 საათზე ჩვენთან მოვიდა მერაბ ჩუხუას მამა – ზაური. მას ერთი ახალგაზრდა ბიჭი მოჰყვა მეგზურის სახით. ისინი სოფელ ქაქვინჯში ცხოვრობდნენ და იქიდან მოვიდნენ. მან მოინახულა პრეზიდენტი და მოიტანა პროდუქტები. ჩუხუამ გვთხოვა, რომ უნდოდა პრეზიდენტთან ცალკე საუბარი. ყველა ჩავედით პირველ სართულზე. ჩუხუამ და გამსახურდიამ ისაუბრეს. დაახლოებით ერთ საათში ჩუხუა და ის ბიჭი წავიდნენ. შეგვპირდნენ, რომ მეორე დღეს მოიყვანდნენ კეკენაძესა და

ბურჯანაძეს. მათი წასვლის შემდეგ მე, გვანცელაძე და გუგუშვილი ავედით ზევით. სინათლე საერთოდ არ იყო. გამსახურდიას ოთახში, კუთხეში ერთი ლამფა ენთო. პრეზიდენტმა გვითხრა, დღეს კარგად დაისვენეთ და მოემზადეთ, ხვალ ახალ ადგილზე უნდა გადავიდეთო. მე და გვანცელაძე შევედით ჩვენს ოთახში და მივწექით საწოლებზე. გუგუშვილი ცოტა ხანს მიდი–მოდიოდა ოთახში და შემდგ ისიც დაწვა. მე და გვანცელაძე რაღაცაზე ვსაუბრობდით, პრეზიდენტმა ჩაახველა, მივხვდით, რომ ლაპარაკი უნდა შეგვეწყვიტა. წავედით ფიქრებში, ჩვენ არ გვეძინა. გუგუშვილმა დაიძინა თუ არა, არ ვიცი. დაახლოებით ერთი სააათის შემდეგ, ესე იგი 1993 წლის[190] დაახლოებით 01 საათზე მოულოდნელად პრეზიდენტ გამსახურდიას ოთახიდან **შემოგვესმა გასროლის ყრუ ხმა. მე და გვანცელაძე სასწრაფოდ წამოვხტით ფეხზე და გავვარდით გამსახურდიას ოთახისაკენ, აქვე კარში შემოგვხვდა გუგუშვილი, მან შემოგვძახა, არიქა ჩქარა მოდით, მგონი პრეზიდენტი ცუდად არის და აღებინებსო.** მე მივვარდი გამსახურდიასთან, შევხედე, მარჯვენა საფეთქლიდან სისხლი ჩამოსდიოდა. მარჯვენა ხელი ჩამოდებული ჰქონდა კალთაზე და ხელში ეკავა "სტეჩკინის" კონსტრუქციის პისტოლეტი. გამსახურდია იწვა, ზედა ტანი ოდნავ წამოწეული ჰქონდა, გადაწოლილი იყო მარცხნივ და თავი მიდებული ჰქონდა საწოლის თავთან ისე, რომ სახე ოდნავ მობრუნებული ჰქონდა მარცხნივ. ყოველივე ეს შევნიშნე ლამფის შუქზე. როგორც შემდეგ ვნახეთ პრეზიდენტს **ტყვია მოხვედრილი ჰქონდა მარჯვენა საფეთქელზე და გამოსული იყო მარცხენა ყურის ძირის ზედა ნაწილში.** იმავე ღამით ვეძებეთ ტყვიის გულა, მაგრამ ვერ ვიპოვეთ. ამ ფაქტმა შეგვზარა, აღმოვჩნდით გაურკვეველ მდგომარეობაში. ყველა ვტიროდით, აქ ამოვიდნენ ოჯახის პატრონებიც; მათთან ერთად გავაპატიოსნეთ პრეზიდენტის გვამი. როდესაც გონს მოვედით, მასპინძლებს მოვაყვანინეთ მეზობლის ბიჭი და წავედით ბურჯანაძისა და კეკენაძის ჩამოსაყვანად. ოჯახის უფროსი კაცი კი წავიდა ჩუხუას მამის მოსაყვანად. გათენებამდე ყველა დავბრუნდით სახლში. ჩუხუამ მოიყვანა ზურაბ გუჩუა. 31 დეკემბერს, მთელი დღე გარეთ არავინ გამოვსულვართ, მხოლოდ გათენებამდე, ჩუხუას მამა წავიდა, [ტრაქტორის მოსაყვანად.] მანამდე ჩვენ ვფიქრობდით გამსახურდიას გვამი გადაგვესვენებინა ქალაქ წალენჯიხაში და იქ დაგვეკრძალა, ჩვეულებრივ. მაგრამ აზრი შეიცვალა, რომ დავფიქრდით, მიცვალებულს წაგვართმევდა ხელისუფლება, რასაც შეიძლება გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყოლოდა. ამიტომ გადავწყვიტეთ გვამი დროებით ტყეში გადაგვემალა და ეს ფაქტი ქალაქ გროზნოში ოჯახისთვის გვემცნო. იწყებოდა 1994 წლის 1 იანვარი, [როდესაც] ღამით გამსახურდიას ცხედარი დავასვენეთ ჩუხუას მიერ მოყვანილ ტრაქტორზე, რომელსაც წინ აქვს მოთავსებული ძარა და წავედით ჯიხაშკარში. ვფიქრობდით, პრეზიდენტის ცხედარი ჯიხაშკარში ციხის მახლობლად დროებით დაგვესაფლავებინა. გზად შევუარეთ ჯონსონ კვარაცხელიას, ავუხსენით ვითარება. მან მიგვიღო ოჯახში და გამსახურდიას ცხედარი იქ დავასვენეთ. იქვე ყველაფერს გავუკეთეთ ორგანიზება. სახელდახელოდ ფიცრებისაგან დავამზადეთ ჩასასვენებელი, მოიტანეს ახალი ტანსაცმელი, გავპარსეთ პრეზიდენტის გვამი და ღამით 2 იანვარს 01 საათსა და 30 წუთზე იგი დავასაფლავეთ ჯიხას ციხის გვერდით, ტყეში. დაკრძალვის ადგილი ვიცოდით მხოლოდ მე, გუგუშვილმა და ჩვენმა დაცვის ბიჭებმა. დაკრძალვის ადგილი კვარაცხელიას სახლიდან დაახლოებით 30 მეტრის მოშორებით თუ იქნებოდა. **1994 წლის 2 იანვარს გამთენიისას გვანცელაძე და ბურჯანაძე გავაგზავნე გროზნოში.** მე, გუგუშვილი და კეკენაძე დავრჩით ჯიხაშკარში. ღამეს ვათევდით სხვადასხვა ოჯახში. მათ შორის, ერთი ღამე გავათენეთ ვალიკო ზარანდიას ოჯახში. ამ ოჯახს მანამდე არ ვიცნობდი. 1994 წელს, მგონი 5 იანვარს, სოფელ ობუჯში ყოფნისას რადიოთი გავიგე, რომ ჩვენს ბიჭებს ჩაუღწევიათ გროზნოში და ჩაუტანიათ პრეზიდენტის გარდაცვალების ამბავი. მოგვდიოდა ინფორმაცია, რომ ხელისუფლება აქტიურად ეძებდა გამსახურდიას გვამს. გადავწყვიტე, გამომეცვალა მისი დაკრძალვის ადგილი. ამავე დროს უკვე მზად იყო გამსახურდიას კუბოც. ჯიხაშკარში მცხოვრებმა ბიჭებმა მითხრეს, რომ ვალიკო ზარანდიას სახლის მახლობლად იყო ბუნებრივი გამოქვაბული და შესაძლებელი იყო გვამის დროებით იქ გადასვენება. 1994 წლის 8 თუ 9 იანვარს, ღამით, მე და გოჩა კეკენაძე სოფლის რამდენიმე ბიჭთან ერთად,

---

190 კომისიის დოკუმენტში არაა მითითებული თარიღი

რომელთა ვინაობაც არ მახსოვს, ავედით გამსახურდიას დაკრძალვის ადგილზე. ავიყვანეთ ურიკაში შებმული ცხენი, მოვთხარეთ საფლავი და გამსახურდიას ცხედარი ურიკით წამოვასვენეთ ვალიკო ზარანდიას სახლისკენ. ვალიკო ზარანდიას ავუხსენი ვითარება და ვთხოვე ცხედარი დროებით დაგვესვენებინა მის სახლში, რაზედაც იგი დაგვთანხმდა. ცხედარი დავასვენეთ მეორე სართულზე. გამთენიისას ზარანდიასთან მივედით მე, კეკენაძე და სოფლის რამდენიმე ბიჭი, გადავწყვიტეთ პრეზიდენტი დაგვესაფლავებინა ვალიკო ზარანდიას ეზოში არსებული ხის ფარდულის ბოლოში. ფარდულში მე და გოჩამ გავთხარეთ საფლავი და დავასაფლავეთ მითითებულ ადგილზე ისე, რომ საფლავზე დავაწყვეთ იქვე არსებული ჩალის კონები. ეს ადგილი ვიცოდით მე, გოჩა კეკენაძემ და ვალიკო ზარანდიამ. გამსახურდიას გვამი ნორმალურად იყო შენახული, ვინაიდან, ჩემთვის უცნობმა ექიმმა, პირველად დაკრძალვისას ცხედარს ბალზამირება გაუკეთდა. ამის შემდეგ მე, კეკენაძე და გუგუშვილი ვმოძრაობდით სხვადასხვა სოფელში. გადავწყვიტეთ გროზნოში წასვლა, ხოლო გუგუშვილი დავტოვეთ სოფელ ჯიხაშკარში. **დაახლოებით 25 იანვარს, გამთენიისას, სოფლის ბიჭებმა მოგვიყვანეს ავტომანქანა "ზაპოროუეცი"**, საჭესთან იჯდა ერთი კაცი, გვერდით ქალი ეჯდა. მათ არ იცოდნენ ჩვენი ვინაობა. ისინი მიდიოდნენ ბათუმში. ფაქტობრივად, პიკეტები აღარსად იდგა. ბათუმში ჩავედით დაახლოებით 11 საათზე, ამავე დღეს ბათუმიდან გადავფრინდით მინვოდში, ხოლო იქიდან შემხვედრი ავტომანქანით ჩავედით გროზნოში. მეორე დღეს გროზნოში გუგუშვილიც ჩამოვიდა. მანანა არჩვაძე და მთელი ოჯახი დამწუხრებული იყო. მანანა არჩვაძეს მოვუყევით ყველაფერი. მას ჩვენს მიმართ პრეტენზია არ გამოუთქვამს. ამის შემდეგ დაიწყო მოლაპარაკება სამთავრობო დონეზე საქართველოს რესპუბლიკასა და ჩეჩნეთის მთავრობებს შორის ზვიად გამსახურდიას ნეშტის ქალაქ გროზნოში გადასვენებასთან დაკავშირებით. მანანა არჩვაძე აფრთხილებდათ, თავი შეეკავებინათ პრეზიდენტის თვითმკვლელობის განცხადებაზე. 1994 წლის 16 თებერვალს, ჩეჩნეთის მთავრობის დელეგაციასთან ერთად თბილისში ჩამოვფრინდით მე და მერაბ კიკნაძე. დელეგაციას ხელმძღვანელობდა ჩეჩნეთის ვიცე–პრეზიდენტი ზელიმხან იანდარბიევი. ჩვენთან ერთად ჩამოფრინდნენ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებისა და ბალტიის ქვეყნების წარმომადგენლები. 17 თებერვალს, ამავე თვითმფრინავით დელეგაციის წევრებთან ერთად ჩავფრინდით სენაკში. მეორე თვითმფრინავით ჩამოვიდა საქართველოს დელეგაცია მარგიანის ხელმძღვანელობით. მათთან ერთად იყვნენ გურამ შარაძე, ავთანდილ იოსელიანი, ვახტანგ ბოჭორიშვილი, ანზორ ბალუაშვილი და კიდევ რამდენიმე ექიმ–ექსპერტი. ვერტმფრენით წავედით გამსახურდიას დაკრძალვის ადგილზე, ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხაშკარში. ჩემი მითითებით ვერტმფრენი დაჯდა ვალიკო ზარანდიას სახლის ეზოში, ჩვენ დაკრძალვის ადგილიდან ამოვიღეთ გამსახურდიას გვამი, აქვე ეზოში გვამი გარეგნულად დაათვალიერეს სპეციალისტებმა, რაზედაც შედგა სათანადო დოკუმენტები, რომლებსაც ხელი მოეწერა. ისევ გადმოვფრინდით სენაკში, გადმოვასვენეთ პრეზიდენტის ნეშტი. იქ მყოფმა ყველა პირმა დაადასტურა, რომ იგი ნამდვილად გამსახურდიას გვამი იყო. დაახლოებით 19 საათზე, გამსახურდიას გვამი ჩვენ უკვე გადავასვენეთ ქალაქ გროზნოში. იგი მივასვენეთ ქალაქ გროზნოს №1 საავადმყოფოში. აქ გამსახურდიას გვამს ჩააცვეს ახალი ტანსაცმელი, მანამდე **მისი სხეული გაასუფთავეს მოწვეულმა სპეციალისტებმა, რომლებმაც დაათვალიერეს გვამი.** 18 თებერვალს, გამსახურდიას ნეშტი გადავასვენეთ ქალაქ გროზნოს ქრისტიანულ, მართლმადიდებლურ ეკლესიაში. კუბო თავღია იყო და ყველა ხედავდა ცხედარს, ხოლო საღამოს იგი გადავასვენეთ იმ ადგილას, სადაც გამსახურდია ცხოვრობდა. 23 თებერვალს გამსახურდიას გვამი გადავასვენეთ ჩეჩნეთის მთავრობის სასახლის მარმარილოს დარბაზში. 24 თებერვალს გამსახურდია დავკრძალეთ მისი რეზიდენციის ეზოში. დაკრძალვამდე დაახლოებით ორი დღით ადრე, მანანა არჩვაძემ პირდაპირ ბრალი დაგვდო მე, გუგუშვილს და დაცვის ბიჭებს, რომ თითქოს ჩვენ მოვკალით პრეზიდენტი. დაკრძალვის დღეს სასაფლაოზე შევესწარი, რომ მანანა არჩვაძე იქ მყოფ თბილისიდან ჩამოსულ ჩემთვის უცნობ პირებს ეუბნებოდა, რომ პრეზიდენტი გამსახურდია მოვკალით მე და ზემოთ აღნიშნულმა პირებმა. თვითმკვლელობამდე გამსახურდია ატარებდა "დიპლომატს" და ხელჩანთას. მე ხელჩანთა და "დიპლომატი" არ გამისინჯავს. ვხედავდი, გამსახურდია იქიდან იღებდა ხატებს, ბერძნულ და ინგლისურ ენებზე გამოცემულ ბიბლიის ორ წიგნს, ტანსაცმელს და სხვა პირადი მოხმარების

საგნებს. “დიპლომატში” რა ედო არ ვიცი. გადაადგილების დროს გზადაგზა წვავდა რაღაც საბუთებს. გარდაცვალების შემდეგ, გამსახურდიას დარჩა ხელჩანთა. “დიპლომატი-” მან ტყეში მოძრაობის დროს გადააგდო. ხელჩანთაში აღმოჩნდა ტანსაცმელი, საცვლები, კოსტუმები, პერანგები, ჰალსტუხები, ფრჩხილების საწმენდი ხელსაწყოები, თავისი ხელნაწერების ჟურნალი, სადაც ეწერა თავისი ლექსები, რომლებიც გამოქვეყნებულია წიგნად “მთვარის ნიშნობა”. ხელჩანთაში აღმოვაჩინეთ “ნაგანის“ ტიპის პატარა ცეცხლსასროლი იარაღი (“გეკოს“ ვაზნებით). იგი 7–ვაზნიანი იყო[191]. იარაღში ყველა ვაზნა ადგილზე იყო, სათადარიგო ვაზნები ხელჩანთაში არ ყოფილა. ეს იარაღი მე პრეზიდენტის ხელჩანთაში პირველად ვნახე. ეს იარაღი არასდროს მინახავს გამსახურდიას ხელში, როდის, სად და ვისგან შეიძინა მან ეს იარაღი, არ ვიცი. ზუგდიდში ყოფნისას გამსახურდიას ჰქონდა ერთი ცალი “სტეჩკინის“ კონსტრუქციის პისტოლეტი, იგი ამ იარაღს ყველგან თან ატარებდა. იდებდა ქამრის წინა მხარეს. **თვითმკვლელობის შემდეგ ვნახეთ, რომ “სტეჩკინის“ კონსტრუქციის პისტოლეტიდან ერთი ტყვია იყო გასროლილი, მეორე იდო ლულაში, ხოლო დანარჩენი თვრამეტი ტყვია მოთავსებული იყო მჭიდში.** სხვა სათადარიგო ტყვიები ხელჩანთაში არ ყოფილა. ხელჩანთა იდო გამსახურდიას საწოლის გვერდზე. გამსახურდიას ხელჩანთაში აღმოვაჩინეთ პრეზიდენტის მრგვალი ბეჭედიც. თვითმკვლელობის დროს ბიბლია თავქვეშ ედო. პრეზიდენტის ხელჩანთა სოფელ ჯიხაშკარში ქალაქ სოხუმიდან ლტოლვილ ქალს დაუტოვეს, რომელიც იყო ზარანდიების ოჯახში. გამსახურდიას ორივე ზემოაღნიშნული ცეცხლსასროლი იარაღი, ასევე ჩემი და დაცვის ბიჭების კუთვნილი ოთხი ცალი “მაკაროვის“ კონსტრუქციის პისტოლეტი და ამდენივე მოკლე ავტომატი მოვახერხეთ და გადავიტანეთ ქალაქ გროზნოში. 1994 წლის 17 თებერვალს გამსახურდიას ცხედარი გადასვენებული იქნა ქალაქ გროზნოში. გამსახურდიას კუთვნილი ზემოაღნიშნული ორივე პისტოლეტი დავიტოვე მე, ვფიქრობდი, გამოვიყენებდით ექსპერტიზაზე, თუ ჩატარდებოდა. მანანა არჩვაძემ ამის შესახებ არაფერი იცოდა. მან მომთხოვა კიდეც იარაღი, მაგრამ რადგანაც მან არ მოისურვა ექსპერტიზის ჩატარება, სიმართლე აღარ ვუთხარი და განვუცხადე, რომ იარაღი დამალული იყო სამეგრელოში. ფაქტობრივად, გამსახურდიას კუთვნილი იარაღი და ჩვენი, დაცვის ბიჭების იარაღი, რომლებიც ზემოთხსენებული წესით ჩამოვიტანეთ ქალაქ გროზნოში, მივაბარე ჩეჩენ მეგობარ აზას და რუსლანს. ისინი დუდაევის დავალებით გვეკონტაქტებოდნენ. ჩემი ბათუმში ყოფნის დროს, ნაცნობი ქალი, ლამარა, გვარს ვერ ვიხსენებ, გავაგზავნე ჯიხაშკარში, რათა ჩამოეტანა გამსახურდიას ხელჩანთა ნივთებით, შემდეგ ეს ხელჩანთა წაეღო გროზნოში და ჩაებარებინა მანანა არჩვაძისათვის, მაგრამ მან ეს მოახერხა თუ არა, არ ვიცი“.

ჯუმბერ (ზაურ) ჩუხუას 1999 წლის 10 თებერვლის ჩვენებიდან:

“ჩემი უმცროსი შვილი მერაბი ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი იყო. ზვიად გამსახურდიასთან და მის ოჯახთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა, ჩემი შვილის – მერაბის მეშვეობით მეც მქონდა შეხების წერტილი ბატონ ზვიად გამსახურდიასთან, ერთმანეთს ვიცნობდით.

1993 წლის დეკემბრის მიწურულს, მგონი 24 დეკემბერი იყო, ვიმყოფებოდი სახლში, სოფ. ჭაქვინჯში. დაახლოებით 15–16 საათი იქნებოდა, ჩემთან მოვიდა სოფ. ჯიხაშკარის მკვიდრი პიროვნება, რომელსაც შორიდან ვიცნობდი, ვიცოდი რომ ეროვნულ მოძრაობაში იყო და ვცნობდი, როგორც პატიოსან კაცს. ამჟამად მის სახელსა და გვარს ვერ ვიხსენებ. მან მითხრა, რომ ზვიად გამსახურდია იყო ცუდად და ჩემი ნახვა უნდოდა.

მაშინვე გავყევი ამ პიროვნებას. მივედით სოფ. ჯიხაშკარში ვინმე ჯონსონ კვარაცხელიას სახლში. სახლი იყო პატარა ოდა, ხის, ერთსართულიანი.

იქ იმყოფებოდნენ: ბატონი ზვიად გამსახურდია, ბესარიონ გუგუშვილი, რობინზონ მარგველანი, ბაჩუკი გვანცელაძე. მათ გარდა კიდევ იყვნენ ახალგაზრდა გოგო–ბიჭი და თავად ოჯახის მასპინძელი ჯონსონ კვარაცხელია. მე პირადად შევხვდი ბატონ ზვიად გა-

[191] მე ეს რევოლვერი ხელში არ მჭერია, მაგრამ შეხედვით ასე მახსოვს, რომ 5 თუ 6 ტყვიიანი იყო.

მსახურდიას და **ჩვენი საუბარი მხოლოდ მის ავადმყოფობას შეეხებოდა.** ზვიად გამსახურდიას არ გამოუთქვამს სურვილი საცხოვრებელი ადგილის შეცვლაზე. **ზვიადი შეუძლოდ იყო და შიმშილობდა. შარდის შეკავება ჰქონდა.**

პრეზიდენტს საცხოვრებელი ადგილის შეცვლა შევთავაზე. მან მითხრა, რომ სოფელი ალყაში არის მოქცეული და აქედან ვერ წავალო. ასე დავშორდით ერთმანეთს. გარეთ როდესაც გამოვდიოდი, რობინზონ მარგველანი და ბაჩუკი გვანცელაძე მეხვეწებოდნენ, პრეზიდენტი მაინც წაიყვანეო. მე ვუთხარი, რომ არავითარი პრობლემა არ იყო, რადგან სანდო ოჯახთან უკვე შეთანხმებული ვიყავი და თუ მოისურვებთ ყველას ერთად მოგათავსებთ–მეთქი. მათ ვუთხარი, რომ საცხოვრებელი ადგილის შეცვლაზე პრეზიდენტი უარს აცხადებდა.

ამის შემდეგ დავბრუნდი სახლში. მეორე თუ მესამე დღეს იგივე პიროვნება მოვიდა ჩემთან და მითხრა: პრეზიდენტი თანახმაა საცხოვრებელი ადგილის შეცვლაზეო.

იმავე დღეს, საღამოს, შებინდების შემდეგ ჩემი ძმის ანატოლის მანქანით "გაზ 24–ით" ჯონსონ კვარაცხელიას ოჯახში მივედით. ჩვენ, პრეზიდენტი, ბესარიონ გუგუშვილი, რობინზონ მარგველანი და ბაჩუკი გვანცელაძე, უკვე 20 წუთში, ჯონსონ კვარაცხელიას სახლიდან კარლო ღურწკაიას ოჯახში მივედით.

კარლო ღურწკაია წინასწარ გავაფრთხილე, თუ შეგიძლია რამდენიმე დღით ორი პარლამენტარი და მათი მცველი შემინახეთ–მეთქი, რაზედაც კარლო დამთანხმდა. პრეზიდენტი პირდაპირ მეორე სართულზე ავიდა. მე და ანატოლიმ პრეზიდენტი და დაცვის წევრები კარლოსთან დავტოვეთ და სახლში წავედით. მეორე, მესამე და მეოთხე დღეს, საღამოობით ვაკითხავდით მათ.

პრეზიდენტთან ჩემი საუბარი მხოლოდ მის ავადმყოფობას ეხებოდა. მე ექიმის მოყვანაც შევთავაზე, მაგრამ მითხრა: ასეთი დაავადება მამაჩემსაც სჭირდა და მას მხოლოდ ოპერაცია შველისო[192]. პრეზიდენტი არ დაგვთანმხდა, რომ მის სასარგებლოდ რამე მოგვემოქმედა.

1993 წლის 30 დეკემბერს, გვიან ღამით, 31 დეკემბერი უკვე შემოსული იყო, დაახლოებით 01 საათი იქნებოდა, როდესაც შინ ვიმყოფებოდი. თითქმის ჩაძინებული ვიყავი, რომ კარის კაკუნმა გამაღვიძა. კარი გავაღე და ვნახე კარლო ღურწკაია, რომელიც ტიროდა. მაშინვე მივხვდი, რომ რაღაც უბედურება იყო მომხდარი. კარლოსგან გავიგე: პრეზიდენტმა თავი დაიღუპაო. კარლო და მე მაშინვე წავედით კარლოს ოჯახში, ანატოლიც მოვიდა. ბესარიონი, რობინზონი და ბაჩუკი ტიროდნენ.

მე პირადად მეორე სართულზე არ ავსულვარ. არ მინდოდა ჩემი თვალით მენახა ზვიად გამსახურდიას ცხედარი. მეორე დღეს, არ ვიცი ვინ შეატყობინა, წალენჯიხის პრეფექტი ზური გუჩუა მოვიდა, რომელსაც ვინმე ანზორი ახლდა. დავიწყეთ საუბარი თუ სად დაგვეკრძალა პრეზიდენტი. გადაწყდა, რომ პრეზიდენტი სანდო ადგილას გადაგვესვენებინა, ჩვენ არ უნდა გვცოდნოდა თუ სად დაკრძალავდნენ. ჩემს ძმას ანატოლის დაავალეს ტრანსპორტის მოყვანა, ანატოლიმ "დ.ვ.შ"–ს ტიპის ტრაქტორის შოვნა შესძლო. ტრაქტორს სანდო პიროვნება მურთაზი კუკურის ძე კაჭარავა მართავდა. ცხედარს გაყვნენ: ბესარიონ გუგუშვილი, რობინზონ მარგველანი, ბაჩუკი გვანცელაძე და ჩემი ძმა ანატოლი ჩუხუა, სხვა ვინმე იყო თუ არა, არ მახსოვს. ამის შემდეგ პრეზიდენტის ცხედრის შესახებ ინფორმაციას მე აღარ ვფლობ. აღნიშნულზე უფრო ანატოლის შეუძლია ისაუბროს."

ანატოლი ჩუხუას 1999 წლის 12 თებერვლის ჩვენებიდან:

"ჩემი ძმისშვილი, მერაბ ჩუხუა ზაურის ძე იყო და არის ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი, მერაბის მეშვეობით ჩვენ სახლში გვესტუმრა ზვიად გამსახურდია. ვიდრე პრეზიდენტი გახდებოდა. 1993 წლის დეკემბრის ბოლო რიცხვებში ჩემს ძმასთან მოვიდა უცნობი, რომელსაც უთქვამს, ზვიად გამსახურდიას უნდა შენი ნახვაო. ჩემი ძმა, ზაური, ადრე ზუგდიდში ცხოვრობდა ასე, რომ მან ეს ადგილები მაინცდამაინც კარგად არ იცოდა, ამიტომ მეც გამანდო აღნიშნულის შესახებ. იმავე დღეს ჩემი "გაზ–24"ის მარკის ავ-

[192] პროსტატა ჰქონდა მხედველობაში

ტომანქანით წავედით სოფელ ჯიხაშკარში, სადაც მივედით ჯონსონ კვარაცხელიას ოჯახში. იქ იყვნენ პრეზიდენტი, ბესარიონ გუგუშვილი და მათი დაცვის წევრები: რობინზონი და ბაჩუკი. მე თვითონ იმ სახლში არ შევსულვარ. ზაური სულ რაღაც ნახევარი საათით შევიდა სახლში და დაბრუნდა. ჩვენ დავბრუნდით სოფელ ქაქვინჯში და სწორედ მაშინ იყო, რომ სოფელ ქაქვინჯსა და სოფელ ხიბულას საზღვარზე მცხოვრებ კარლო ღურწკაიას ვთხოვე რამდენიმე დღით მიეღო ოთხი კაცი სტუმრად. მე და ზაური მესამე დღეს ჩავედით ჯიხაშკარში და ჯონსონ კვარაცხელიას ოჯახიდან წამოვიყვანეთ ზვიად გამსახურდია, ბესარიონ გუგუშვილი, ბაჩუკი და რობინზონი, მათ ხელჩანთები ჰქონდათ. მე და ზაურმა მივიყვანეთ ისინი კარლო ღურწკაიას სახლში; იქ ჩვენს მისვლას ელოდებოდნენ. ზვიად გამსახურდია მაშინვე მეორე სართულზე ავიდა. **იგი შეუძლოდ იყო.** კარლო ღურწკაიას სახლში მათი მისვლიდან მეოთხე დღე იქნებოდა, რომ გვიან ღამით კარლო ღურწკაიასაგან გავიგე: ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლაო. როცა მივედი კარლო ღურწკაიას სახლში, მაშინვე მეორე სართულზე ავედი. გვამი ესვენა ლოგინზე შარვალ-კოსტუმში. მე დავათვალიერე გვამი, კერძოდ, თავი, ვნახე შემავალი და გამომავალი დაზიანებების ადგილები. შემავალი იყო მარჯვენა მხრიდან ყურის უკანა ადგილას, ხოლო გასული იყო მეორე მხარეს. ლოგინის თავზე აღინიშნებოდა დაზიანების კვალი. მეორე დღეს კარლო ღურწკაიას სახლში მოვიდა წალენჯიხის ყოფილი პრეფექტი ზურაბ გუჩუა. მას ახლდა ვიღაც ანზორი. გადაწყდა, რომ გვამი გადაგვესვენებინა სოფელ ჯიხაშკარში. მე მეგულებოდა ტრაქტორი მეზობელთან. ტრაქტორს მიუჯდა მურთაზ კაჭარავა. ზვიად გამსახურდიას ცხედარი როგორც იყო ლეიბიანად დავასვენეთ "ლეჟანკაზე", შემდეგ კი–ტრაქტორ "დ.ვ.შ."–ის ძარაზე. კარლოს სახლიდან სულ რაღაც 5 კილომეტრში არის ჯონსონ კვარაცხელიას სახლი, ასე, რომ ერთ საათში ადგილზე ვიყავით. ამის შემდეგ მე და ზაური დავბრუნდით უკან, ხოლო შემდგომ რა მოხდა, არაფერი არ ვიცით".

[...აღნიშნულთან დაკავშირებით 1999 წლის 10 თებერვლის ჩვენებით ანალოგიურს ჰყვება ანატოლი ჩუხუას ძმა, ზაური, მხოლოდ დასძენს, რომ მას და პრეზიდენტს შორის საუბარი იყო **მხოლოდ პრეზიდენტის ავადმყოფობასთან დაკავშირებით.**] [193]

ანზორ მებონიას 2004 წლის 21 ივნისის ჩვენებიდან:

"1993 წლის დეკემბერში ჩემთან მოვიდნენ სოფელ პალურიდან. გადმომცეს ზურაბ გუჩუას წერილი. წერილში ზურაბი მთხოვდა, რამდენიმე დღით შემეფარებინა პრეზიდენტი. ზვიად გამსახურდია ვიდრე ჩემთან იყო არანაირ ავადმყოფობას არ უჩიოდა. პრეზიდენტმა დაახლოებით 2 კვირა დაჰყო ჩემთან, რის შემდეგაც წარმოიშვა საშიშროება თავს დასხმოდნენ ჩემს სახლს, ამიტომ გადავწყვიტეთ პრეზიდენტი დროებით სხვაგან გადასულიყო. ვახტანგ ზარანდიამ, რომელიც ჩემთან მოდიოდა და პრეზიდენტთან ერთად მიიღო გადაწყვეტილება მისი სხვაგან გადაყვანისა, მაგრამ სად მიჰყავდათ პრეზიდენტი მე არ ვიცოდი. 1993 წლის 31 დეკემბერს ჩვენთან მოვიდა ჯიხაშკარელი ბოჯგუა და მითხრა, რომ მომეძებნა ზურაბ გუჩუა. ბოჯგუასაგან გავიგე, რომ პრეზიდენტი გარდაცვლილი იყო. მე ვნახე ზურაბ გუჩუა და ერთად მივედით ძველ ხიბულაში. მე სახლში არ შევსულვარ, ადგილზე იყვნენ დაცვის წევრები და ტრაქტორისტი, რომლის ტრაქტორზედაც დავასვენეთ პრეზიდენტი და წავედით ჯიხაშკარში ჯონსონ კვარაცხელიას სახლში. **მე მოვიყვანე ექიმი ჯალაღონია, რომელმაც დაამუშავა ცხედარი,** რის შემდეგაც პრეზიდენტი დავასაფლავეთ ჯონსონ კვარაცხელიას სახლის ეზოში".

[1993 წლის დეკემბერში მებონია გამომძიებლის კითხვაზე: შეხვდა თუ არა, ზაზა ბურჯანაძეს და გოჩა კეკენაძეს ჯონსონ კვარაცხელიას სახლში და მოსთხოვა თუ არა მათ ჩაებარებინათ მისთვის ცეცხლსასროლი იარაღი და იგი გააცილებდა მათ სენაკამდე,

---

193 გასაოცარია კოკოს კომისიის მისწრაფება მოვლენებიდან ლამის 20 წლის შემდეგ იპოვოს რაიმე, თუნდა სავსებით არაარსებითი, მიკროსკოპული ხელმოსაჭიდი მკვლელობის ვერსიის ძალი–ძალაზე „დასამტკიცებლად"... — წყალწაღებული ხავსს ეჭიდება.

რადგან პრეზიდენტი და მისი თანმხლები პირები წასული იყვნენ იმ ადგილებიდან... მებონია პასუხობს, რომ ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია][194].

კარლო გუჩუას 2004 წლის 23 ივლისის ჩვენებიდან:

[განმარტავს, რომ დაახლოებით 1994–95 წლებში, ქ.მოსკოვიდან მას დაურეკა ზურაბ გუჩუამ და დაავალა მისულიყო სოფელ ჩქვალერში ზურაბ ფიფიას მეტსახელად "წრუწუნას" სახლში და წამოეღო იქიდან პრეზიდენტის მიერ იმ ოჯახში დატოვებული ნივთები]. "მე მივედი იმ სახლში და ზურაბმა გადმომცა შავი ფერის "დიპლომატი", რომელიც გავახსნევინე და იქ აღმონნდა საპრეზიდენტო კონვერტები და რაღაც უმნიშვნელო მიმოწერა, ასევე ბიბლიის დიდი წიგნი, რომელიც ბერძნულ ენაზე იყო შედგენილი. აღნიშნული ნივთები მე და იმედა ადამიამ, რომელიც ცხოვრობს ქალაქ ზუგდიდში წავიღეთ და მივუტანეთ ქალბატონ მანანა არჩვაძე–გამსახურდიას, **რომელიც იმყოფებოდა თავის სახლში ქალაქ ზუგდიდში.**"

ზურაბ გუჩუას 2004 წლის 7 აგვისტოს ჩვენებიდან:[195]

"1993 წლის 24 დეკემბერს მე დავშორდი პრეზიდენტსა და მის გარემოცვას. 30 დეკემბერს **ჩემთან მოვიდა ანზორ მებონია და მითხრა პრეზიდენტი ავად არისო,** სასწრაფოდ წავედით, მეუღლეც წავიყვანე, ექიმია და, ჩვეულებრივ, ავადმყოფს უკეთ გაუგებდა. ნაშუადღევს მივედით დანიშნულების ადგილას. დამხვედრი, [ანუ მეგზური] ვისაც უნდა მივეყვანეთ პრეზიდენტთან, ადგილზე არ დაგვხვდა. გავოგნდი. სხვა გამოსავალი არ გვქონდა, უნდა დავბრუნებულიყავით. ფაქტია, 31 დეკემბერს პრეზიდენტი დაიღუპა. არ ვიცი რომელი საათი იქნებოდა, ეზოში ანზორი შევნიშნე. რომ მოვიდა, კაცს სახეზე ფერი არ ედო. მითხრა: – პრეზიდენტმა თავი მოიკლაო. დაახლოებით 23 საათზე მივედით სოფელ ძველ ხიბულაში, სადაც ზვიადი დაიღუპა. ბატონი ზვიადი ლოგინზე ესვენა, **მას თავი თეთრი მარლით ჰქონდა შეხვეული.** საფეთქლის არეში სისხლიანი გამონაჟონი ეტყობოდა. გავგზავნეთ კაცი ავტომანქანისათვის, პრეზიდენტის ცხედარი კვარაცხელიას ოჯახში გადავასვენეთ. მეორე დღეს ანზორმა ექიმი მოიყვანა, რომელმაც წესისამებრ მიცვალებულს ბალზამირება გაუკეთა".

ფრაქცია "XXI საუკუნის"[196] 2001 წლის 20 აპრილის მიმართვა საქართველოს გენერალურ პროკურორს, ბატონ გია მეფარიშვილს:

როგორც თქვენთვის უკვე ცნობილია, ამა წლის 15 აპრილს რუსეთის ტელეკომპანია "TBC"-ზე საყოველთაოდ ცნობილ ანდრეი კარაულოვის საავტორო გადაცემაში გამოვიდა ყოფილი საქართველოს უშიშროების მინისტრი იგორ გიორგაძე, რომელმაც **პირდაპირ განაცხადა,** რომ მაშინდელი (და, მაშასადამე, დღევანდელი) მთავრობის დავალებით, მან შეადგინა გეგმა საქართველოს პირველი პრეზიდენტის, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების მთავარი ხელმძღვანელის, ბატონ ზვიად გამსახურდიას ლიკვიდაციის შესახებ, **რაც პრეზიდენტის პირადი დაცვის მოსყიდვით განახორციელა**[197]. **აქვე მან დასძინა,** რომ შემავალი ჭრილობა მარჯვენა საფეთქლის ზემო არეში, ხოლო **გამავა-**

---

[194] მსგავსი გაუგებრობები და შეუსაბამობები სიტუაციის გაურკვევლობისა და ინფორმაციის ნაკლებობის ვითარებაში არაერთი იყო...

[195] ნიშანდობლივია, რომ ზ.გუჩუას, ამ ყველაზე უკეთ ინფორმირებული მოწმისა და ზ.გამსახურდიას ჯგუფის მთავარი მეგზურის, გამყოლისა და მასპინძლის მონათხრობის მხოლოდ ზერელე, მიკერძოებით ამოკრებილ ცნობას იძლევა კომისია!

[196] ნიშანდობლივია რომელიღაც „ფრაქციის" მიერ გიორგაძის „პირდაპირ განცხადებული" მონაზღაპრის რაღაცის მტკიცებულებად კომისიის დასკვნაში მოტანა – საიდანაც ჩანს, რომ კომისია მზადაა ნებისმიერ ხაგსს ჩაეჭიდოს, ოღონდაც მკვლელობის ვერსია „გაამაგროს".

[197] ეს ძალზე მნიშვნელოვანი გარემოება, „პრეზიდენტის პირადი დაცვის მოსყიდვა" კომისიას ი.გიორგაძესთან მოსკოვში გასაუბრების დროს სადღაც დაეკარგათ და საერთოდაც მიავიწყდათ და ამდენად საბოლოო დასკვნაში ამაზე საუბარი აღარაა.

ლი ჭრილობა სადღაც მარცხენა ყბასთან[198] თვითმკვლელობას გამორიცხავს. ამას [ანუ გიორგაძის მონაცემებს] გარკვეულწილად ემთხვევა მაშინდელი დაზვერვის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ავთანდილ იოსელიანის განცხადება, რომ მისი ხალხი ფეხდაფეხ მისდევდა ზვიად გამსახურდიას, რომ ძალიან ხშირად, როცა ისინი შედიოდნენ იქ, სადაც მათ წინ ბინადრობდა, [ანუ ღამეს ათევდა] ჯერ კიდევ ჩაუქრობელი ცეცხლი ხვდებოდათ[199]. ბატონო გია, ფრაქცია "XXI საუკუნეს" მიაჩნია, დაუყოვნებლივ განახლდეს ზვიად გამსახურდიას სიკვდილის ფაქტთან დაკავშირებით შეჩერებული საქმე და სააშკარაოზე იქნეს გამოტანილი დამნაშავეთა ვინაობა და მათი კონკრეტული ქმედებები. ამ საქმეში არ შეიძლება ვიგუოთ არც ერთი ტაბუდადებული თემა. საქმეში არსებობს აგრეთვე გიორგი კერვალიშვილის "სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტის, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის **ზვიად გამსახურდიას მკვლელობის** შემსწავლელი დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-საგამოძიებო კომისიის" თავჯდომარის 24 აპრილის წერილი საქართველოს გენერალური პროკურორის ბატონ გია მეფარიშვილის სახელზე, რომელიც ანალოგიურია ზემო აღნიშნული წერილისა.

ჯონსონ კვარაცხელიას 1999 წლის 12 თებერვლის ჩვენებიდან:

"21 წელიწადი ვცხოვრობდი რუსეთში, ვმუშაობდი შახტში მუშად. საქართველოში ჩამოვედი 1980 წელს. არასდროს არ ვყოფილვარ პარტიის წევრი, არც ეროვნულ მოძრაობაში ვყოფილვარ. 1993 წლის დეკემბერში, რიცხვი ზუსტად არ მახსოვს, ჩემთან მოვიდა ჩემი თანაკლასელი გუჯუჯი ებრალიძე. მე ვიცოდი, რომ ის იყო ეროვნულ მოძრაობაში ჩართული. მან მთხოვა, რამდენიმე დღით ჩემს სახლში ეცხოვრა საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას და მის თანმხლებ პირებს. მე მარტო ვიყავი სახლში, ამიტომ თანხმობა მივეცი. რამდენიმე დღეში მან მოიყვანა ზვიად გამსახურდია და როგორც შემდეგ გავიგე – რობინზონ მარგველანი, ბაჩუკი გვანცელაძე, ბესარიონ გუგუშვილი და გოჩა, მისი გვარი არ მახსოვს.

ჩემი სახლი არის ერთსართულიანი, ხის, შედგება ოთხი ოთახისაგან. ზვიადი და ბესარიონი ერთ ოთახში მოთავსდნენ, დანარჩენები კი – სხვა ოთახებში. ზ.გამსახურდიას და ბ.გუგუშვილს რაიმე იარაღი ჰქონდათ თუ არა, ვერ გეტყვით, არ მინახავს. დანარჩენს ყველას ჰქონდა ავტომატებიც და პისტოლეტებიც. მათ ჰქონდათ ხელჩანთებიც, მაგრამ თუ რა ჰქონდათ ხელჩანთებში, არ ვიცი. ერთხელ ზვიად გამსახურდიამ მასთან მყოფ პირებს უთხრა, არავითარ შემთხვევაში შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევას არ ვაპირებო[200]. საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის შესახებ მე მითხრა გოჩამ რამდენიმე საათით ადრე, სანამ გამსახურდიას გვამს მოასვენებდნენ. ასე, რომ უკვე ვიცოდი ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების შესახებ. როდესაც მოასვენეს ცხედარი, მას გამოუცვალეს შარვალ-კოსტუმი, ჩააცვეს ახალი, გაასუფთავეს, გაპარსეს წვერი, ფიცრებისგან სასახლე გააკეთეს და იმავე დღეს ჩემი სახლის უკან, ეზოში დაასაფლავეს. ამის მერე თითქმის ორი დღე ჩემთან სახლში იყვნენ, შემდეგ წავიდნენ. მგონი მე-9 დღე იყო, [პირველი დაკრძალვიდან] დილით ვნახე, ადგილი, სადაც დაიკრძალა პრეზიდენტი, უკვე ამოთხრილი იყო. როდესაც ზვიად გამსახურდიას გვამი მოასვენეს ჩემს სახლში, მაშინ იგი იწვა ლეიბზე და ლეჟანკაზე. მე მახსოვს, ლეიბს და ბალიშს რობინზონმა სალიარი დაასხა და დაწვა ჩემი სახლის უკან".

---

[198] ამ ინფორმაციიდან კარგად მოსჩანს, რომ იგორ გიორგაძეს არ გააჩნია რაიმე დაზუსტებული ინფორ–მაცია და მოარული ჭორებით სარგებლობს — „**მარცხენა ყბაში**" გამოსავალი ხვრელის მითოსი შექმნა და ფართოდ გაავრცელა გ.შარაძემ და აგრეთვე ასახული იყო თვით კოკოს კომისიის შუალედურ დასკვნებშიც — რომელიც შემდგომში სავსებით **გაბათილდა** როსტოვის ექსპერტიზით! ასეთია ძვირფასი ინფორმაციის მფლობელი ი.გიორგაძე და მისი ძალუმად დამჭერი კომისია.

[199] ძალზე ნიშანდობლივია, რომ აქ ხსენებული იოსელიანი და მისი მსგავსი „მოწმეები" ყოველთვის ზღა–პარივით ყვებიან და არასოდეს ასახელებენ ზ.გამსახურდიას ჯგუფის დევნის რაიმე ხელმოსაკიდ და გადამოწმებად დეტალებს — თარიღებს, ადგილებს, უშუალო შემსრულებლებს, სხვა თვითმხილველებს.

[200] ასეთი რამ ზ.გამსახურდიას მცველების (და ჩემი) თანდასწრებით არ უთქვამს და აქ ჯ.კვარაცხელია ტყუილად იმოწმებს „მასთან მყოფ პირებს"

გოჩა კეკენაძის 2004 წლის 12 მარტის ჩვენებიდან:

“1980–1982 წლებში ვმსახურობდი ავღანეთში და ვმონაწილეობდი საბჭოთა ჯარების მიერ იქ წარმოებულ ბრძოლებში. ეროვნულ მოძრაობაში ვარ 1989 წლიდან. მე, როგორც ავღანელი, ვმონაწილეობდი სამხრეთ ოსეთში კონფლიქტური სიტუაციის რეგულირებაში. ზვიად გამსახურდიას დისიდენტობის დროს მე მის გვერდით ვიდექი, ხოლო მას შემდეგ, რაც ზვიად გამსახურდია გახდა ჯერ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, მერე კი–პრეზიდენტი, ვიყავი მისი პირადი დაცვის წევრი. 1991 წლის ნოემბრის შუა რიცხვებიდან, მას მერე, რაც დაიძაბა სიტუაცია, დაცვის უფროსმა გამაგზავნა კოლხურ კოშკში, სადაც იყო პრეზიდენტის ცოლ-შვილი. 1992 წლის 6 იანვარს, დაახლოებით ღამის 2–3 საათზე, “კოლხურ კოშკში ჩვენს წასაყვანად ამოვიდა ერთი “ბეტეერი” და ერთი “ბერდეემი” გვარდიელების თანხლებით. ჩვენ უნდა წაგვეყვანა პრეზიდენტის ოჯახის წევრები და მათთან მყოფი სხვა პირები. შევედით მთავრობის სასახლის ეზოში, სადაც უკვე მიმდინარეობდა მზადება მთავრობის სასახლის დასატოვებლად.

პრეზიდენტი მოვიდა ჩვენს ავტომანქანასთან და მანანას უთხრა : –”რუსია ჩარეული ამ თავდასხმაში და ბევრი ხალხი რომ არ დაიღუპოს, გადავწყვიტეთ, დავტოვოთ აქაურობა”.

სროლების მიუხედავად მოვახერხეთ და გადავედით აზერბაიჯანის მხარეს, ქალაქ განჯის მიმართულებით, ხოლო 1992 წლის 7 იანვარს, გადავედით სომხეთში, ქალაქ იჯევანში. ორი კვირის შემდეგ სომხეთში ჩამოვიდა ჩეჩნეთის მაშინდელი პრეზიდენტის ჯოხარ დუდაევის დაცვის უფროსი აბუ [არსანუკაევი.] ქალაქ ერევნის აეროპორტიდან, სადაც იდგა ჩვენი თვითმფრინავი “ტუ–134” ეკიპაჟთან ერთად, რომელსაც მეთაურობდა ზაურ ბედია, დაახლოებით 40 კაცი და პრეზიდენტის ოჯახის წევრები ჩავსხედით თვითმფრინავში და იმავე ღამეს ჩავფრინდით გროზნოში. ჯოხარ დუდაევმა პრეზიდენტ გამსახურდიას გროზნოს ცენტრში, ჩეხოვის ქუჩაზე გამოუყო რეზიდენცია. 1993 წლის აპრილში ჩავედი ზუგდიდში, სადაც იყვნენ ჩვენი დაცვის ბიჭები, ვიცავდით მოსახლეობას ბანდებისაგან.

პრეზიდენტი ხშირად გვეკითხებოდა, ღირდა თუ არა მისი ჩასვლა საქართველოში. ვპასუხობდი, რომ ჯერჯერობით არ იყო მიზანშეწონილი. დეპუტატები კი მოახსენებდნენ, რომ ხელსაყრელი დრო იყო მისი საქართველოში ჩამოსასვლელად. 1993 წლის ივნის–ივლისში, კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ზუგდიდში ჩაატარეს უზენაესი საბჭოს სესია, რომელმაც გამოიტანა დადგენილება პრეზიდენტის საქართველოში დაბრუნების შესახებ. პრეზიდენტს მისი გარემოცვა ახსენებდა, რომ მის ჩამოსასვლელად სიტუაცია არ იყო მზად. 1993 წლის 24 სექტემბერს, დღის დაახლოებით 13–14 საათზე, ზუგდიდში ესკორტის თანხლებით ჩამოვიდა ზვიად გამსახურდია. იმავე დღეს ქალაქ ზუგდიდში გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი, რის შემდეგაც დაიწყო პრეზიდენტისა და მისი გარემოცვის ხუნტის ბანდების მიერ დევნა. 7-8 დეკემბერს პრეზიდენტი თავისი გარემოცვით ვიყავით ანზორ მებონიას ოჯახში, სადაც დავყავით 10 დღე. იქიდან გადავედით ჯიხაშკარში მცხოვრებ ჯონსონ კვარაცხელიას სახლში. გაიშალა სუფრა, თამადა იყო ბატონი ზვიადი. 21 დეკემბერს, ჯ.კვარაცხელიას სახლში მოვიდა გ.ებრალიძე და ზ.ჩუხუა, რომლებმაც გვითხრეს, **ვახო ზარანდია დაიჭირესო.** საღამოს ჩვენთან მოვიდა ზაურ ჩუხუა და პრეზიდენტს მოახსენა **გუჯუჯი ებრალიძე დაიჭირესო**[201], მანვე გვირჩია ადგილი გამოგვეცვალა. 26 დეკემბერს ჩვენს წასაყვანად ავტომანქანა “ვოლგით” მოვიდნენ ზაური და ანატოლი ჩუხუები, რომლებმაც გვითხრეს, რომ იშოვეს სანდო ადგილი, მაგრამ იქ ოთხ კაცზე მეტი არ დაეტეოდა. დაგვპირდნენ, რომ მეორე დღეს ამოვიდოდნენ ჩემი და ზ.ბურჯანაძის წასაყვანად. ჩვენ არ დავეთანხმეთ, მაგრამ პრეზიდენტმა გაგვიჩერა და გვითხრა, ხვალ ამოვლენ და თქვენც წამოგიყვანენო. გადაწყდა, რომ ახალ ადგილას წავიდოდნენ: პრეზიდენტი, ბესარიონი, რობინზონი და ბაჩუკი გვანცელაძე. 28 დეკემბერს ჯ.კვარაცხელიას სახლში მოვიდა ანზორ მებონია და გვითხრა, თქვენ დაგტოვეს, არავინ მოგაკით-

---

201 ასეთ ვითარებაში კომისია კლოუნობს, რომ გამსახურდია კვარაცხელიას სახლში გამოზამთრებას აპირებდა.

ხავთ და სახლებში წადითო. ჩვენ საეჭვოდ მოგვეჩვენა მისი ნათქვამი და ამიტომ უარი ვუთხარით. ამ საუბრიდან მეორე ღამეს ჯ.კვარაცხელიას სახლში მოვიდა ჩვენთვის უცნობი პიროვნება, სახელად გულიკო და მოითხოვა მას გავყოლოდით. გავყევით, გვეგონა, პრეზიდენტთან მიგვიყვანდა. რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ მივედით რომელიღაც სახლში. იქიდან გამოვიდა რობინზონ მარგველანი. რობინზონმა გვითხრა, ბიჭებო დავიღუპეთ, ზვიადმა თავი მოიკლაო. სასწრაფოდ წავედით იმ სახლისკენ, სადაც ეს ამბავი მოხდა. მეორე სართულზე ავედით შიდა კიბით და შევედით იმ ოთახში, სადაც იწვა გარდაცვლილი პრეზიდენტი. მას ზეწარი ჰქონდა გადაფარებული. **საწოლის ქვეშ, სადაც პრეზიდენტი იწვა, შედგმული იყო ტაშტი, რომელშიც სისხლი წვეთავდა**[202]. ბესარიონი და რობინზონი პრეზიდენტის ნივთებს აღწერდნენ. ისინი მოგვიყვნენ, როგორ მოხდა ყველაფერი. იმ საღამოს პრეზიდენტს ჩაი მოუთხოვია, შემდეგ კი უთქვამს, ხვალ ბიჭები მოიყვანეთ და ახალ წელს შევხვდეთო. რობინზონი და ბაჩუკი პატარა საძინებელში წამოწოლილან, ხოლო პრეზიდენტი და ბესარიონი მეორე საძინებელში, სადაც საწოლები ერთმანეთის გვერდ-გვერდ იდგა. დაწოლიდან რამდენიმე ხანში გაუგიათ სროლის ხმა. რობინზონი შევარდნილა პრეზიდენტის ოთახში და დაუნახავს ნახევრად წამომჯდარი[203] პრეზიდენტი, რომელსაც პისტოლეტი "სტეჩკინი" მარჯვენა ხელიდან ჩამოვარდნილი ჰქონია მუცელზე. მე და ზაზა მივედით და გადავხადეთ ზეწარი, მას **საფეთქელთან კანი ჰქონდა გაშავებული,** თავი სულ გასისხლიანებული, ხოლო პირი აკრული ჰქონდა. იქვე საწოლთან იდო პისტოლეტი "სტეჩკინი". ეს ყველაფერი ხდება 1993 წლის 31 დეკემბერს. გადავწყვიტეთ გადაგვესვენებინა ჯიხაშკარში, ჯონსონ კვარაცხელიას სახლში. ბესარიონმა დაავალა ოჯახის უფროსს, კარლო ღურწკაიას, მოეძებნა ჩუხუები, რათა მათ მოეყვანათ რაიმე ტრანსპორტი. მათ მართლაც მოიყვანეს ტრაქტორი, რომელსაც ძარა ჰქონდა წინა მხარეს და თვითონ სადღაც გაქრნენ. დაახლოებით 4 საათზე, რობინზონმა, ბაჩუკიმ, ბესარიონმა და მძღოლმა, რომლის სახელი და გვარი არ ვიცი, გამოვასვენეთ პრეზიდენტი და დავასვენეთ ლეჟანკაზე. ამ ტრაქტორით ცხედარი გადავასვენეთ სოფელ ჯიხაშკარში. გავჩერდით "ჯიხასთან" ახლო მდებარე სასაფლაოსთან. ზაზა და რობინზონი წავიდნენ ჯ.კვარაცხელიასთან, რომელიც უნდა დაგვხმარებოდა პრეზიდენტის დასაფლავებაში. 1994 წლის 1 იანვარს მე და ბაჩუკიმ ჯონსონის ეზოში გავთხარეთ საფლავი. რობინზონმა რაღაც ფიცრებისაგან დაამზადა კუბო, ხოლო **ზაზამ დაბანა და გაპარსა პრეზიდენტი,** მანვე ბაჩუკისთან ერთად ჩააცვა შარვალ–კოსტუმი. **პრეზიდენტს თავიდან სულ სისხლი სდიოდა, რაც ჩვენ გვიკვირდა, ამიტომ მე და ზაზამ დავიწყეთ თავის დათვალიერება. დავათვალიერეთ საფეთქელთან არსებული ნატყვიარი, რომელიც იქნებოდა დაახლოებით 5-6 მმ დიამეტრის. საფეთქელი ნატყვიარის გარშემო გაშავებული იყო, რაც დამახასიათებელია ახლო მანძილიდან ტყვიის სროლისას.** მე და ზაზამ დეტალურად გავუსინჯეთ პრეზიდენტს თავი, მაგრამ დაზიანება ვერსად ვერ აღმოვაჩინეთ, გარდა მარცხენა ყურის არისა, სადაც **ტყვიას მრგვლად მოწყვეტილი ჰქონდა მარცხენა ყურის ზედა ხრტილი** და იქიდან სდიოდა სისხლი. 2 იანვარს დაახლოებით 2 საათზე პრეზიდენტი დავასაფლავეთ ჩვენ მიერ გათხრილ საფლავში. იმავე ღამეს ზაზა ბურჯანაძე და ბაჩუკი გვანცელაძე წავიდნენ ჯერ ბათუმში, იქიდან კი–გროზნოში. ჩვენ ადგილზე დავრჩით. ჩვენამდე მოვიდა ინფორმაცია, რომ თეთრი "ნივათი" დადიოდა ვიღაც სოხუმელი მხეიძე და ეძებდა პრეზიდენტის გვამს. 1994 წლის 7–8 იანვარს ჯ.კვარაცხელიას სახლთან მოვიდა თეთრი ფერის "ნივა", საიდანაც გადმოვიდა 2–3 კაცი, გაჩხრიკეს სახლი და ეზო. მე და რობინზონი ამ დროს, ვიყავით სახლი-

---

202 არავის სპეციალურად ეს დიდი ალუმინის თასი საწოლის ქვეშ სისხლის შესაგროვებლად არ შეუდგამს — ეს თასი აქ იყო წინა დღეებშიც და ზ.გამსახურდია მას იყენებდა ჩასაფურთხებლად — რამდენადაც ბევრი ნახველი ამოსდიოდა და ძალზე ხშირად. ზ.გამსახურდია ამ თასს ლოგინის ქვეშიდან გამოათრევდა, ზემოთ წამოწევდა, ჩაანახველებდა, შემდეგ იატაკზე დააგდებდა და ხელის კვრით ლოგინის ქვეშ შეაგდებდა. ეს ყველაფერი ხის იატაკის გათვალისწინებით დიდად ხმაურს იწვევდა — რაც ხშირად მაღვიძებდა ღამით…

203 გ.კეკენაძეს თავად ეს არ დაუნახავს და არასწორად გადმოსცემს სხვის მონათხრობს!

დან მოშორებით ტყეში და იქიდან ვხედავდით ყოველივე ამას. ჯიხაშკარის გვარდიელებმა და ჩვენ გადავწყვიტეთ გადაგვესვენებინა პრეზიდენტის ცხედარი სხვა ადგილას. კერძოდ, ვალიკო ზარანდიას საცხოვრებელი სახლის მიმდებარე სახელოსნოში. დასაფლავების შემდეგ, მე და რობინზონი აღმოვჩნდით იქვე მეზობლად მცხოვრები ოტელოს სახლში. მასთან დავყავით 2–3 დღე, ხოლო შემდეგ მანვე თავისი "ზაპოროჟეცით" წაგვიყვანა ბათუმში, იქიდან კი გადავფრინდით მინვოდში და ტაქსით ჩავედით გროზნოში. მეორე დღეს გროზნოში ჩამოფრინდა გუგუშვილიც, რომელიც ბათუმში ჩაუყვანია ისევ იმ ოტელოს. გროზნოში ყველაფერი, რაც გადაგვხვდა მოვუყევით ქალბატონ მანანა არჩვაძეს.

1994 წლის 18 თებერვალს საქართველოში გამოაგზავნეს დელეგაცია ზელიმხან იანდარბიევის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში ასევე იყვნენ რობინზონი და მერაბ კიკნაძე. მეორე დღეს ჩამოასვენეს პრეზიდენტის **გვამი და დავასვენეთ პროზექტურაში, სადაც გავხსენით კუბო, ცხედარი გახრწნილი და დაობებული იყო. დაცვის ბიჭებმა გავასუფთავეთ და ჩავაცვით ახალი ტანსაცმელი. საფეთქელთან ემჩნეოდა ნატყვიარი, რომელიც იმ დროსაც გაშავებული იყო.** ამ საკითხებთან დაკავშირებით მე არავის არ დავუკითხივარ და პირველად თქვენ მოგეცით ჩვენება. **დასაფლავების შემდეგ რობინზონმა და მე პრეზიდენტის პირადი ნივთები: ჰალსტუხები, საცვლები, პერანგი, "ბარაბნიანი" რევოლვერი წარწერით "არგენტინა" და პისტოლეტი "სტეჩკინი" გავახვიეთ ცელოფანში და ჩავმარხეთ კვარაცხელიას სახლიდან 80 მეტრის დაშორებით**[204], ეზოს გარეთ. როგორც რობინზონმა მითხრა, დაახლოებით 3 წლის წინ, იგი მისულა ჯ.კვარაცხელიასთან და მოუთხოვია იქ ჩვენ მიერ ჩამარხული ნივთები, რაზედაც მას უთქვამს: მანანა არჩვაძის ხალხს მივეციო, თუ ვის, მე არ ვიციო".

ჯონსონ **კვარაცხელიას** 2004 წლის 21 ივლისის ჩვენებიდან:

"ბატონი ზვიად გამსახურდია ჩემი სახლის ეზოში დაასაფლავეს. დასაფლავებიდან მესამე დღეს რობინზონ მარგველანმა ცელოფანში შეახვია საბრძოლო ვაზნები და ჩამარხა ჩვენს ეზოში. იქვე ახლოს ჩამარხა ასევე სახელმწიფო ბეჭედი. **პისტოლეტისა და ბეჭდის მიღება დამიდასტურა თავად მანანა არჩვაძე–გამსახურდიამ**[205]. გარდაცვლილი პრეზიდენტის **სხვა ნივთები მარგველანმა ჩაალაგა ქსოვილის დიდ ჩანთაში და დატოვა ჩემს სახლში, რომელიც შემდეგ წაიღო გენური ზარანდიამ რობინზონ მარგველანისთვის გადასაცემად.** 1994 წლის აპრილში რუსეთიდან ჩამოვიდა ჩემი შვილი და ორივე ადგილიდან ამოვთხარეთ რ.მარგველანის მიერ ჩამარხული ნივთები. სამარხში აღმოჩნდა ავტომატის **ვაზნები, რომლებიც უკვე გაფუჭებული იყო.** მეორე ადგილიდან ამოვთხარეთ "სტეჩკინის" სისტემის პისტოლეტი და ბეჭედი. ბეჭედიც და **პისტოლეტიც კარგ მდგომარეობაში იყო**[206]. რამდენიმე დღეში **მოვიდა ჩემთან თემურ შენგელია და ვიღაც ზაური, რომლებმაც მითხრეს, რომ პისტოლეტი და ბეჭედი მანანა არჩვაძისათვის გაგვეგზავნა.** მიწიდან ამოთხრილ ცელოფანში იყო "სტეჩკინის" პისტოლეტი და ბეჭედი. პატარა რევოლვერი იქ არ ყოფილა".

---

204 აქედან კარგად ჩანს, რომ ყველაზე არსებითი ნივთები სიკვდილის მოწმეებმა საგულდაგულოდ შეინახეს და არ მოსპეს.

205 ამ ჩვენების მიუხედავად კომისიას, მას მედიასა და საზოგადოებრიობას გამუდმებით აწუხებთ შეკითხვა თუ „სად გაქრა პისტოლეტი", რომლითაც გამსახურდიამ თავი მოიკლა.

206 კატეგორიულად უმნიშვნელოვანესი და ფასეული ინფორმაციაა! ამით დოკუმენტირებულია, რომ ლიონის **ნივთები, რომლებიც არ იყო საგანგებოდ დაკონსერვებული — დაიჟანგა და გაფუჭდა**, ხოლო **პისტოლეტი რომელიც დაკონსერვებული იყო არ დაიჟანგა**. ეს ჩვენება ჩინებულად ასაბუთებს თუ რატომ ჩაუტარეს ზ.გამსახურდიას მცველებმა თვითმკვლელობის იარაღ სტეჩკინს წინდახედულად **დაკონსერვება** და წარმოაჩენს იმათ სისულელეს და ცილისმწამებლობას, ვინც სპეკულაციურად იყენებს საქართველოდან ჩეჩნეთში გატანისა და საგამომძიებლო ექსპერტიზის შეუძლებლობის ვითარებაში დაკონსერვების ფაქტს.

ზაზა ბურჭანაძის 2004 წლის 15 მარტის ჩვენებიდან:

“1990 წლის ოქტომბერში კობა შარვაძემ ჩემი თავი წარუდგინა ბატონ ზვიად გამსახურდიას, რის შემდეგაც დავიწყე მუშაობა. 1991 წლის 26 მაისს ბატონი ზვიადი არჩეული იქნა პრეზიდენტად. მეც ავტომატურად გავხდი პრეზიდენტის დაცვის წევრი. 1991 წლის დეკემბრის ბოლოს სიტუაცია ძალიან დაიძაბა და 22 დეკემბერს ხუნტის მომხრე ბანდებმა ცეცხლი გაუხსნეს კანონიერი პრეზიდენტის მომხრეებს. 1991 წლის 22 დეკემბრიდან – 1992 წლის 6 იანვრამდე მე ვიყავი “ბუნკერში”. 1992 წლის 6 იანვარს, გამთენიისას, სისხლის ღვრის თავიდან აცილების მიზნით პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება დაეტოვებინა თბილისი. აზერბაიჯანის მხარესთან შეთანხმების შედეგად გადავედით აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. ბატონი ზვიადი ტელეფონით ელაპარაკა აზერბაიჯანის პრეზიდენტს, რომელმაც ურჩია დაეტოვებინა აზერბაიჯანის ტერიტორია, რადგან მოსალოდნელი იყო რუსებს დავეპატიმრებინეთ, რის შემდეგაც გადავედით სომხეთის ტერიტორიაზე, ქალაქ იჯევანში, სადაც დავყავით დაახლოებით ერთი კვირა. ჯოხარ დუდაევმა გამოაგზავნა თვითმფრინავი. დაახლოებით 15 იანვარს ყველანი ჩავედით ერევნის აეროპორტში და იმავე დღეს გადავფრინდით ქალაქ გროზნოში. 1993 წლის გაზაფხულზე, ზუგდიდში, უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება პრეზიდენტის საქართველოში ჩამოსვლის შესახებ. **ბატონი ბესარიონი ყოველდღე ახსენებდა პრეზიდენტს, რომ იმ დროს არ იყო მომწიფებული სიტუაცია პრეზიდენტის ჩამოსასვლელად**[207], მიუხედავად ამისა, 1993 წლის 24 სექტემბერს პრეზიდენტი საქართველოში ჩამოვიდა. იმავე დღეს ჩატარდა ხალხმრავალი მიტინგი, რის შემდეგაც დაიწყო ხუნტის ბანდებისგან პრეზიდენტის დევნა.

1993 წლის 18-19 დეკემბერს შევხვდით ზარანდიას, რომელმაც მისი “უაზის” მარკის ავტომანქანით წაგვიყვანა ჯიხაშკარში, ჯონსონ კვარაცხელიას სახლში, სადაც დავბინავდით. კვარაცხელიამ გაგვიწყო სუფრა, შეძლებისდაგვარად გაგვიმასპინძლდა, პრეზიდენტმა გაგვიწია თამადობა, **ჯონსონთან სახლში პრეზიდენტმა ცუდად იგრძნო თავი, იტკივებდა მუცელს და ამბობდა, მგონი მომწამლესო.** 1993 წლის 21 დეკემბერს, ჯონსონის სახლში მოვიდა გუჯუჯი ებრალიძე და ზაურ ჩუხუა, რომლებმაც გვითხრეს, რომ **ვახო ზარანდია დაიჭირესო.** საღამოს ჩვენთან მოვიდა ზაურ ჩუხუა და პრეზიდენტს მოახსენა, **გუჯუჯი ებრალიძეც დაიჭირესო.** საჭირო იყო ადგილის გამოცვლა, იგი დაგვპირდა, რომ მოძებნიდა სანდო კაცს და მასთან გადაგვიყვანდა. 1993 წლის 26 ან 27 დეკემბერს ჩვენ წასაყვანად “ვოლგის” მარკის ავტომანქანით მოვიდნენ ზაურ ჩუხუა და მისი ძმა ანატოლი, რომლებმაც განგვიცხადეს, რომ სახლი ნაშოვნი იყო, მაგრამ ოთხ კაცზე მეტს ვერ დაიტევდა. **ბატონ ზვიადს შეპირდნენ, რომ იქ ექიმსაც მოუყვანდნენ.** იმ ორ კაცს, ვინც იქ დარჩებოდა, მეორე დღეს ამოაკითხავდნენ და იქვე ახლოს სხვა ოჯახში გადაიყვანდნენ. გადაწყდა, მე და გოჩა კეკენაძე დავრჩებოდით, ხოლო ბატონი ზვიადი, ბესარიონი, რობინზონი და ბაჩუკი მათ წაჰყვებოდნენ. სად გადაიყვანეს ბატონი ზვიადი ჩვენთვის უცნობი იყო. გავიდა ორი დღე, მაგრამ ჩვენთვის არავის არ მოუკითხავს. ერთ დღეს, საღამოს, ჩვენთან მოვიდა ანზორ მებონია და გვითხრა, ჩვენ დაგვტოვეს და არავინ არ მოგვაკითხავსო. ჩამაბარეთ რაც იარაღი გაქვთ და გაგაცილებთ სენაკშიო. საეჭვოდ მომეჩვენა ეს ნათქვამი. მე და გოჩა აქ დაგვტოვა პრეზიდენტმა და აქედან არსად წავალთ-მეთქი. ამ ფაქტიდან მეორე ღამეს, დაახლოებით ღამის 3 საათზე, ჯონსონ კვარაცხელიას მოაკითხა ვიღაც პიროვნებამ, შემოვიდა ჯონსონი და გვითხრა, კაცი გამოგზავნილია და ის გადაგიყვანთო.

დაახლოებით ნახევარი გზა გავიარეთ და ერთ სახლთან გავჩერდით, ჩვენი მეგზური შევიდა სახლში და რობინზონ მარგველანი გამოიყვანა. ჩვენ რობინზონთან ერთად გავაგრძელეთ გზა. ცოტა რომ გავცდით იმ სახლს, რობინზონმა გვითხრა: დავიღუპეთ ბიჭებო, ზვიადმა თავი მოიკლაო. მივედით იმ სახლში, სადაც ეს უბედურება დატრიალდა. თენდებოდა, ალბათ, შვიდი საათი იქნებოდა. შიდა კიბით ავედით მეორე სართულზე. ბა-

---

207 იგივეს, თავად გაგონილს ამბობს კომისიის მიერ გამოკითხული თაქთაქიშვილიც გაზ. „ასავალ-დასავალში“– რაც შესანიშნავად ასაბუთებს იმ ფაქტს, რომ ბ.გუგუშვილი ზ.გამსახურდიას საქართველოში დაბრუნების პრინციპულად და დაბეჯითებით წინააღმდეგი იყო.

ტონი ზვიადი იწვა ლოგინში გარდაცვლილი, ზეწარ გადაფარებული. **ტაშტში, რომელიც ლოგინის ქვეშ იყო დადებული, წვეთ-წვეთად ჩამდინარე ბატონ ზვიადის სისხლის ხმა დღესაც ჩამესმის ყურებში,** ვიკითხე, როგორ მოხდა ეს ყველაფერი. რობინზონი და ბაჩუკი პატარა საძინებელში წამოწოლილ იყვნენ, ხოლო ბატონი ზვიადი და ბესარიონი მეორე საძინებელში, მათი საწოლები იყო გვერდი-გვერდ მიდგმული. დაწოლიდან რამდენიმე ხანში გაუგიათ სროლის ხმა, რობინზონი შევარდნილა ოთახში და დაუნახავს ნახევრად წამომჯდარი[208] პრეზიდენტი მუცელზე ხელჩამოვარდნილი, ხელში იარაღი "სტეჩკინით". ბატონ ზვიადს ზეწარი გადავხადე, **საფეთქელთან კანი ჰქონდა დამწვარი[209]**, თავი სულ სისხლიანი, ხოლო ხელები და პირი აკრული ჰქონდა. იქვე საწოლთან იდო იარაღი, ბესარიონმა ოჯახის უფროსი გააგზავნა ჩუხუების მოსაყვანად, რათა ეშოვნათ რაიმე ტრანსპორტი ბატონი ზვიადის გადასასვენებლად. ბატონი ზვიადის ცხედარი ისევ ჯიხაშკარში ჯონსონ კვარაცხელიას ოჯახში გადავასვენეთ. ეს ხდება 1993 წლის 31 დეკემბერს. იმ სახლში გაჩერება შეუძლებელი იყო რადგან დიასახლისი სტუმრებს ელოდა და ძალიან ნერვიულობდა. აღწერა გააკეთეს ბესარიონმა და რობინზონმა. პრეზიდენტს ჩანთაში აღმოაჩნდა არგენტინული წარმოების "ბარაბნიანი" პატარა იარაღი, რომელიც, თუ არ ვცდები, "გეკოს" ტყვიებს ისროდა. ღამე ჩუხუებმა მოიყვანეს ტრაქტორი, დაგვიტოვეს და თვითონ სად გაქრნენ კაცმა არ იცის. ამ ტრაქტორზე დავასვენეთ პრეზიდენტი, დავსხედით ყველა - ბესო გუგუშვილი, რობინზონი, გოჩა, ბაჩუკი, ზაზა და მძღოლი, წავედით სოფელ ჯიხაშკარში. მივედით ჯონსონ კვარაცხელიასთან სახლში და ავუხსენით რა საშინელებაც დაგვემართა. **მე ცხედარი გავპარსე, შემდეგ დავბანე,** რობინზონი ფიცრებისგან სასახლეს ქედდა, გოჩა და ბაჩუკი იქვე ყანაში საფლავს ქრიდნენ. შემდეგ მე და ბაჩუკიმ ტანსაცმელი ჩავაცვით. ამ დროს ზურა გუჩუა და ანზორ მებონია მოვიდნენ. მებონიას დანახვაზე ბინდი გადამეკრა, უნდა მომეკლა, მაგრამ ბიჭებმა გამაჩერეს. რაღაცა ვესროლე და ვუთხარი აქედან გათრეულიყო. ეს ის კაცია, ვინც ჩემთან და გოჩასთან მოვიდა და გვითხრა იარაღი ჩამაბარეთ და სენაკში გაგაცილებთ ამის შემდეგო. რობინზონის შექედილ სასახლეში ჩავასვენეთ ბატონი ზვიადი და ღამის ორი საათი იქნებოდა გადავიყვანეთ ყანაში, იქ, სადაც საფლავი იყო გაჭრილი და მიწას მივაბარეთ. ეს ხდება 2 იანვარს. მე დამავალეს წავსულიყავი გროზნოში ბაჩუკისთან ერთად, რათა ქალბატონ მანანასთვის ჩვენ ჩაგვეტანა ამბავი. ჩავედით სენაკში, სენაკიდან "ელექტრიჩკით" სამტრედიაში, იქიდან კი ბათუმში, ბათუმიდან გავფრინდით მინვოდში. მინვოდიდან ტაქსით ჩავედით გროზნოში. დავურეკეთ აბუს, ჯოხარ დუდაევის დაცვის უფროსს. იგი ნახევარ საათში შეგვხვდა. ჩვენ მოვუყევით სამეგრელოში მომხდარის თაობაზე, რომ ბატონი ზვიადი აღარ იყო ცოცხალი. იმავე დღეს აბუმ ჯოხარ დუდაევთან წაგვიყვანა. ჩვენ მოვუყევით მას ეს შემზარავი ამბავი. დილით, ათ საათზე, ჯოხარ დუდაევის მეუღლე, დაცვის უფროსი აბუ ჩეჩნეთის მთავრობის რამდენიმე წარმომადგენელთან ერთად მივედით ქალბატონ მანანასთან. ჩვენ დანახვაზე ცოტნე და გიორგი ეზოში შემოგვეხვივნენ, რა ხდებაო გვეკითხებოდნენ. ბაჩუკიმ ეზოშივე უამბო ბავშვებს ყველაფერი. ჩვენ დაწვრილებით მოვუყევით ყველაფერი ქალბატონ მანანას. ზვიადის ცხედარი გროზნოში ჩამოასვენეს, **აეროპორტიდან ბატონი ზვიადის ცხედარი პროზექტურაში გადავასვენეთ, იქ სასახლე გავხსენით და ხელმეორედ გავაპატიოსნეთ. ცხედარი დაობებული და გახრწნილი იყო. ობი მოვაშორეთ, ცხედარს მარჯვენა საფეთქელთან ჰქონდა შემავალი ნატყვიარი, საფეთქელთან აღენიშნებოდა დაახლოებით 5–6 მმ დიამეტრის ქრილობა, ხოლო მარცხენა მხარეს ზედა ბიბილო[210] მრგვლად ჰქონდა მოწყვეტილი და დაახლოებით 6-8 მმ-იანი ქრილობა ჰქონდა.** როგორც მე მახსოვს, ბატონმა ზვიადმა „დიპლომატი" დატოვა სოფელ ჩქვალერში, ტელევიზორის ეკრანივით ჰქონდა რაღაც მოწყობილობა ჩამონტაჟებული[211], ამ ოჯახში მიგვიყვანა ჯვარელმა ბიჭმა, სადაც შემდგომ მოვიდნენ ზურაბ გუჩუა და გუჯა მესხია. თან წამოიღო სპორტული ჩანთა, რომელიც ჩვენ შემდგომ დავათვალიე-

---

208 ზ.ბურჯანაძეს თავად ეს არ დაუნახავს და არასწორად გადმოსცემს სხვის მონათხრობს!

209 კვლავ ძაღზე ახლო მანძილიდან ნასროლის მტკიცებულება.

210 კომისია არ დაინტერესებულა რას ნიშნავს „ზედა ბიბილო". სხვა მონათხრობში ზ.ბურჯანაძე მიუთითებს ყურის ხრტილის ზედა–წინა ნაწილის კიდეს.

211 აქ ბურჯანაძეს ჩემი ლეფტოპი ეშლება ზ.გამსახურდიას „დიპლომატში".

რეთ, ჩანთაში აღმოჩნდა შარვალ-კოსტუმები, ჰალსტუხები, პერანგები, ბლანკები, საწერი კალამი, სურათები და „ბარაბნიანი“ პატარა რევოლვერი წარწერით „არგენტინა“. ამავე ჩანთაში აღმოჩნდა გარკვეული თანხა, თუ რამდენი - არ ვიცი“.

22.04. საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებში გამოვლენილი შეუსაბამობანი [212]

რობინზონ მარგველანის 1997 წლის თებერვლის ჩვენების მიხედვით:

“[გასროლის] შემდეგ პრეზიდენტი იწვა საწოლში, მარჯვენა საფეთქლიდან ჩამოსდიოდა სისხლი, მარჯვენა ხელი ჩამოდებული ჰქონდა კალთაზე და ხელში ეკავა “სტეჩკინის” სისტემის პისტოლეტი. ტყვიის გულა და მასრა ეძებეს და ვერ იპოვეს.”

რობინზონ მარგველანის ჩვენების აღნიშნულ ნაწილს არ ადასტურებს მოწმე კარლო ღურწკაია 1999 წლის 5 თებერვლის ჩვენებით. იგი აღნიშნავს, რომ ტყვიის გულა ვერ იქნა ნაპოვნი, მაგრამ შემთხვევის ადგილზე ნაპოვნი იქნა გასროლილი მასრა, რომელიც ვინ აიღო, არ ახსოვს[213].

კარლო ღურწკაიას მეუღლის ლუდმილა აბშილავას 1999 წლის 5 თებერვლის ჩვენების მიხედვით:

“როდესაც მას და მის მეუღლეს მათივე საცხოვრებელი სახლის მეორე სართულიდან შემოესმათ ყვირილის ხმა, იგი დაახლოებით **ათ წუთში ავიდა ზევით,** მისი გაკვირვება გამოიწვია პრეზიდენტის იმუამინდელმა მდგომარეობამ, კერძოდ: პრეზიდენტს **უკვე ეცვა შარვალ-კოსტუმი,** ხელ-პირი აკრული ჰქონდა და თავქვეშ ედო ოჯახის ბიბლიოთეკიდან აღებული წიგნები.”[214]

აღნიშნულთან დაკავშირებით გვანცელაძე, გუჩუა, მარგველანი თავიანთ ჩვენებებში მიუთითებენ: პრეზიდენტს თავქვეშ ედო ბალიში, რომელიც მთლიანად სისხლით იყო მოსვრილი. ლუდმილა აბშილავასა და ამ უკანასკნელთა [ანუ გვანცელაძის, გუჩუას და მარგველანის] საპირისპიროს აცხადებს ჯონსონ კვარაცხელია 1992 წლის 12 თებერვლის ჩვენებით: კერძოდ, “როგორც მას ახსოვს, ლეიბსა და ბალიშს რობინზონ მარგველანმა სალიარი დაასხა და კვარაცხელიას სახლის უკან დაწვა.”

იგი ფაქტს განსხვავებულად ჰყვება 2004 წლის 2 მარტის ჩვენებით ლუდმილა აბშილავა, კერძოდ, იგი ამბობს, რომ პრეზიდენტს თავქვეშ ამოდებული ჰქონდა ბალიში, რომელიც მან შეინახა და ახლაც ინახება მის საცხოვრებელ ბინაში.” შემდგომ ცნობილი

---

212 ფრიად ნიშანდობლივია, რომ ეს მიკერძოებული და ყალბისმქნელი კომისია ჩაკირკიტებით ეძებს და ჟინიანად განიხილავს მოწმეების ჩვენებებში მხოლოდ და მხოლოდ იმ „წინააღმდეგობებს“, რომლებიც თვითმკვლელობის ვერსიას აძლიერებენ და სავსებით არ ინტერესდება იმ მართლაც რომ მრავალრიცხოვან შეუსაბამობებით რომლებიც მკვლელობის ვერსის აბათილებენ. მაგალითად კომისიამ კრიტიკის გარეშე გადაყლაპა და საზოგადოებასაც გადააყლაპა ცრუჰენტელა თორიას ზღაპარი „მეორე ნატყვიარზე“ რომელიც თურმე ყელში ხორხთან შესული კეფაში იყო გამოსული...

213 მეც ასე მახსოვს და ქვემოთ რ.მარგველანი ადასტურებს რომ მასრა (გილზა) იპოვეს და მეტიც, პისტოლეტთან ერთად შეინახეს — თუმცა მაშინ ეს უწვრილმანესი და აბსოლუტურად არა არსებითი დეტალი იყო, რომლისადმი ყურადღების დათმობა და დამახსოვრება არც კი ღირდა. ამას გარდა — შეიძლება შეუსაბამობა იმითაა გამოწვეული, რომ შეკითხვაში „გილზის“ ნაცვლად (რომელიც მცველებისთვის ცნობილი სიტყვაა) გამოყენებული იყო „მასრა“.

214 სულაც არ არის გასაკვირი, რომ იმ ისტერიის ვითარებაში რაღაც დეტალები მოწმეებს სხვა და სხვაგვარად დაამახსოვრდათ. მაგალითად აქ ლუდმილა აბშილავა ისე აღწერს თითქოს ზ.გამსახურდიას შიშველს ეძინა და მოასწრეს მისი ჩაცმა — მას არც წარმოედგინა და არც ნანახი ჰქონდა, რომ ზ.გამსახურდია (და ყველა დანარჩენი) ჩაცმულები იწვნენ და ჩაცმულებს ეძინათ. — ამას გარდა გასათვალისწინებელია, ვინ დროის რომელ მომენტში დაინახა ის, რასაც აღწერენ და რამდენად უახლოვდება რეალურს დროითი ფაქტორი, დროის ხანგრძლივობა.

ხდება, რომ ეს ბალიში ამოიღო მთავარმა პროკურატურამ და როგორც ნივთიერი მტკიცებულება ინახება პროკურატურაში[215].

აგრეთვე გაკვირვებას იწვევს რობინზონ (იგივე რობერტ) მარგველანის 1997 წლის თებერვლის ჩვენების მიხედვით:

ის ნაწილი, სადაც რობინზონი განმარტავს, რომ 1993 წლის 30 დეკემბერს, ღურწკაიას სახლში, სადაც იმყოფებოდა პრეზიდენტი, მათთან მივიდა ზაურ ჩუხუა, რომელსაც თან ახლდა ახალგაზრდა ბიჭი მეგზურის სახით, აქვე აღვნიშნავთ, რაში სჭირდებოდა ბატონ ზაურ ჩუხუას მეგზური, მაშინ როცა პრეზიდენტი თანმხლებ პირებთან ერთად თვითონ ზაურ ჩუხუამ და მისმა ძმამ ავტომანქანა "გაზ 24"–ით მიიყვანეს ღურწკაიას სახლში, სოფელ ძველ ხიბულაში. მან მოითხოვა გამსახურდიასთან ცალკე საუბარი, ყველანი, მათ შორის გუგუშვილიც, რომელიც აქამდე ყველა შეხვედრას ესწრება[216], პრეზიდენტს ტოვებენ ერთი საათით მარტო ჩუხუასთან.

წალენჯიხის ყოფილი პრეფექტის ზ.გუჩუას 2004 წ 6 აგვ. ჩვენების მიხედვით [217]:

1993 წლის 30 დეკემბერს ანზორ მებონია, თავად გუჩუა და მისი ექიმი მეუღლე, არ მიიყვანეს შეუძლოდ მყოფ პრეზიდენტ გამსახურდიასთან იმ მოტივით, რომ ვითომ მებონიამ მეგზური ვერ ნახა, ისმის ბუნებრივი კითხვა: რაში სჭირდებოდა ანზორ მებონიას მეგზური, მაშინ როცა შესანიშნავად უწყოდა პრეზიდენტის ადგილსამყოფელი? ზურაბ გუჩუას ამავე ჩვენებაში ვკითხულობთ: „პრეზიდენტი ლოგინზე ესვენა და მას თეთრი მარლით ჰქონდა თავი შეხვეული", რასაც არც ერთი მოწმე თავის ჩვენებაში არც ადასტურებს და არც აღნიშნავს. ასევე საინტერესოა, თუ რატომ მალავენ ცოლ–ქმარი ღურწკაია და აბშილავა, რომ როდესაც პრეზიდენტი თავის თანმხლებ პირებთან მივიდა მათთან სახლში, იქ იმყოფებოდა აგრეთვე მათი ვაჟი[218], რასაც თავის 2004 წლის 12 მარტის ჩვენებაში აღნიშნავს გოჩა კეკენაძე.

ანზორ მებონიას 2004 წლის 21 ივნისის ჩვენების მიხედვით:

გარდაცვლილ პრეზიდენტს სოფელ ჯიხაშკარში ჯონსონ კვარაცხელიას სახლში ბალზამირება გაუკეთა ექიმმა, ვინმე დავით ჯალაღონიამ. **იმდროინდელი გამოძიება არც კი დაინტერესებულა ექიმის დაკითხვით, რომელსაც შეეძლო სრულად აღენერა გვამზე ყველა სახის დაზიანება**[219]. გამოძიებისას არ დაიკითხა ტრაქტორის მძღოლი მურთაზ კაჭარავა, რათა მას აღეწერა მომხდარი ფაქტი. ასევე, მაშინდელი პროკურატურა არ დაინტერესდა 7–8 იანვარს, პირადი ინიციატივით, ჯონსონ კვარაცხელიას სახლში მისულ აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის ვინმე მხეიძის პიროვნებით, რომელმაც ორ–სამ კაცთან ერთად ჯონსონ კვარაცხელიას სახლში ჩაატარა ჩხრეკა და შემ-

---

[215] რა უნდა ვიფიქროთ? — რომ ლუდმილა აბშილავა სახელმწიფო სტრუქტურის ანუ პროკურატურის დანაშაულს ფარავს და ჩქმალავს?

[216] უსაზღვროა ვნებით ატაცებული კომისიის ფანტაზია — არსად და არც ერთ მოწმეს არ უთქვამს რომ „გუგუშვილი პრეზიდენტის ყველა შეხვედრას ესწრებოდა"–ო. მალვის 50 დღიან პერიოდში ზ.გამსახურდია ათობით ადამიანს ერთი–ერთზე ესაუბრა, რაც კომისიის დოკუმენტებშიც არის აღნიშნული.

[217] ნიშანდობლივია, რომ ზ.გუჩუას, ამ ყველაზე უკეთ ინფორმირებული მოწმისა და ზ.გამსახურდიას ჯგუფის მთავარი მეგზურის, გამყოლისა და მასპინძლის მონათხრობის მხოლოდ ზერელე, მიკერძოებით ამოკრებილ ცნობას იძლევა კომისია!

[218] რას ნიშნავს მალავენ? რამდენადაც მე მახსოვს, მათი ვაჟი **მუდმივად** იქ არ იყო.

[219] „იმდროინდელი გამოძიების" მიმართ ასეთი პრეტენზიისას კიდევ უფრო საინტერესო და ნიშანდობლივი ისაა, თუ რატომ არ დააფიქსირეს ვიდეო დოკუმენტად და არ გამოჰკითხეს ექიმი დავით ჯალაღონია კოკოს გაპიარებული ფილმის „დინების საწინააღმდეგოდ" ავტორებმა, <u>როდესაც ისინი მას შეხვდნენ და რატომ არ გახადეს ჯალაღონიას მონათხრობი ფართო მასებისთვის ხელმისაწვდომი</u> — იმ დროს როდესაც მრავალი ჭორი და ზღაპარი გაავრცელეს?
ფილმი იხ. DVD–ზე: Video/kokos_dinebis-sacinaagmdegod.flv

დეგ კვარაცხელიას ეზოში დაიწყო გარდაცვლილი პრეზიდენტის გვამისა და დასაფლავების ადგილის ძებნა.

გოჩა კეკენაძის 2004 წლის 12 მარტის და ზაზა ბურჯანაძის 2004 წლის 3 მაისის ჩვენებების მიხედვით:

აღნიშნულ ჩვენებებში ისინი მიუთითებენ რომ როდესაც პრეზიდენტი, გუგუშვილი, გვანცელაძე და მარგველანი გადავიდნენ ახალ ხიბულაში, ხოლო თვითონ ძმები ჩუხუების განმარტებით, რომ ვითომდა მასპინძლები ოთხ კაცზე მეტს ვერ მოათავსებდნენ, რაც ღურწკაია–აბშილავას ჩვენებებით არ დასტურდება, ასევე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ორსართულიანი ბინის ფართი უპრობლემოდ დაიტევდა პრეზიდენტს და მის თანმხლებ პირებს. ბურჯანაძისა და კეკენაძისთვის ორი დღის განმავლობაში არავის არ მიუკითხავს, ხოლო მათი თქმით ერთ დღეს მათთან მივიდა ანზორ მებონია და განუცხადა: თქვენ დაგტოვეს და არავინ მოგაკითხავთო, ჩამაბარეთ იარაღები რაც გაქვთ და მე სენაკში გაგაცილებთ, შინ წადითო. მებონიას ეს განაცხადი ბურჯანაძეს და კეკენაძეს საეჭვოდ მოეჩვენათ და არ დათანხმდნენ. აქაც ისმის ბუნებრივი კითხვა: ვის დავალებას ასრულებდა ამ დროს ანზორ მებონია, მაშინ როცა მსგავსი რამ მისთვის არც პრეზიდენტს უთქვამს და არც მარგველანს.

ცალკე აღნიშვნას საჭიროებს ის გარემოება, რომ 1992 წლიდან გუჯუჯი ებრალიძე ახალი ხელისუფლების პერიოდში ჯიხაშკარის გამგებელია და ამ თანამდებობაზე 2001 წლამდე რჩებოდა. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების განდევნის შემდეგაც იგი ჯიხაშკარში ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეებში სარგებლობს ნდობით და ახალ ხელისუფლებასთან მისი თანამშრომლობა ეჭვქვეშ არ აყენებს მის ერთგულებას პრეზიდენტისა და მისი თანმხლები პირების მიმართ. ახალი ხელისუფლების პირობებში ადგილი აქვს მაღალ თანამდებობზე მყოფი გატაცებული პირების (გვენცაძე, ხაზალია, როგავა და სხვა) გადაადგილება–გაკონტროლებას გ.ებრალიძის მხრიდან.

გუჯუჯი ებრალიძეს კავშირი აქვს ამავე სოფელში მცხოვრებ აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკთან, რომელიც ჯერ მიმალვაში მყოფ ზვიად გამსახურდიას კვალს დაეძებს, ხოლო ზვიადის დაღუპვის შემდეგ კი მის ცხედარს.

გუჯუჯი ებრალიძისათვის ცნობილია პრეზიდენტის მარშრუტი და ადგილსამყოფელი სოფელ მუჟავადან ძველი ხიბულას ჩათვლით.

რობინზონ მარგველანის 1997 წლის 20 თებერვლის ჩვენების მიხედვით:

გამსახურდიას საერთოდ ჰქონდა ორი ხელჩანთა, როგორც შემდეგ გავიგე მას ხელჩანთა დაუტოვებია სოფელ მუჟავაში, მეორე ხელჩანთა გამსახურდიას თვითმკვლელობამდე თან ჰქონდა, ამავე ხელჩანთაში აღმოვაჩინეთ პრეზიდენტის მრგვალი ბეჭედი. ჩვენ გამსახურდიას ხელჩანთა სოფელ ჯიხაშკარში ზარანდიას ოჯახში დავტოვეთ. გამსახურდიას ზემოაღნიშნული ცეცხლსასროლი იარაღი, ასევე ჩემი და დაცვის ბიჭების კუთვნილი ოთხი ცალი “მაკაროვის” კონსტრუქციის პისტოლეტი და ამდენივე მოკლე ავტომატი მოვახერხეთ და გადავიტანეთ ქალაქ გროზნოში. **<u>1994 წლის 17 თებერვალს</u> გამსახურდიას ცხედარი გადასვენებული იქნა ქალაქ გროზნოში. დათვალიერებისა და გაპატიოსნების მიზნით ქალაქ გროზნოში გამსახურდიას ცხედარი ამოღებული იქნა კუბოდან. გამსახურდიას კუთვნილი ზემოაღნიშნული ორივე პისტოლეტი დავიტოვე მე.** ფაქტობრივად, გამსახურდიას კუთვნილი იარაღი და ჩვენი დაცვის ბიჭების იარაღი, რომლებიც ზემოხსენებული წესით ჩამოვიტანე ქალაქ გროზნოში მივაბარე ჩემ მეგობრებს აზას და რუსლანს. [რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს მარგველანის განაცხადის სინამდვილეს შემდეგი შინაარსის ჩვენებით გამორიცხავს 2004 წლის 21 ივლისის ჯონსონ კვარაცხელიას ჩვენება. კერძოდ, კვარაცხელია აცხადებს, რომ 1994 წლის აპრილში რუსეთიდან ჩამოვიდა მისი შვილი და მამა–შვილმა კვარაცხელიებმა ორივე ადგილიდან, სადაც მარგველანს დამარხული ჰქონდა ცელოფანში შეხვეული ნივთები ამოთხარეს. სამარხში აღმოჩნდა: ავტომატის ვაზნები, რომლებიც უკვე გაფუჭებული იყო, პრე-

ზიდენტის ბეჭედი და “სტეჩკინის” სისტემის პისტოლეტი, რომელიც მარგველანის განაცხადით, ჯერ კიდევ მარგველანმა თებერვლის თვეში გადაიტანა ქალაქ გროზნოში და ჩაბარა ვინმე რუსლანსა და აზას. თუ ყოველივე როგორც რობინზონ მარგველანი აღგვიწერს ასე მოხდა, ჩნდება ბუნებრივი კითხვა, რა “არქეოლოგიურ გათხრებს” აწარმოებდნენ მამა–შვილი კვარაცხელიები?][220]

22.05. დასკვნითი ნაწილი

ყოველივე ზემოაღნიშნულ მოწმეთა ჩვენებებში გამოვლენილი შეუსაბამობებისა, და იმ პასუხგაუცემელი კითხვებისა, რომლებიც შავით თეთრზეა აღბეჭდილი წარმოდგენილ საქმეში, საქართველოს მთავარ პროკურატურაში, 1994 წლის 10 იანვარს აღძრული სისხლის სამართლის საქმე, 2004 წლიდან დღემდე შეჩერებულია და დღემდე არ არსებობს მათ მიერ მოპოვებული არც ერთი <u>რეალური მტკიცებულება</u>[221] არც პრეზიდენტის თვითმკვლელობისა და არც მკვლელობის შესახებ.

ამავე დროს, საქართველოს პროკურატურის მასალებში ერთადერთ ვერსიად ფიგურირებს მხოლოდ თვითმკვლელობა, რომელიც მომდინარეობს როგორც მთავარი მოწმეებისგან (მარგველანი, გვანცელაძე, ბურჯანაძე, კეკენაძე), ასევე მათთან დაკავშირებული პირებისგან, რომლებიც აგრეთვე მოწმის სტატუსით არიან დაკითხული (კარლო ღურწკაია, ლუდმილა აბშილავა, ძმები: ზაურ და ანატოლი ჩუხუები)[222].

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის შექმნა და მის მიერ გაწეული საქმიანობის მოკლე აღწერილობა [223]

2009 წლის 22 ოქტომბრის, საქართველოს პარლამენტის №1902–IIს დადგენილების საფუძველზე, შეიქმნა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისია შემდეგი შემადგენლობით: კონსტანტინე **გამსახურდია** (თავმჯდომარე), ლაშა **თორდია** (მოადგილე), რატი **მაისურაძე** (მდივანი), ბეჟან **ხურციძე,** ჯონდი **ბაღათურია,** ნაული **ჯანაშია,** რომან **მარსაგიშვილი,** ნუგზარ **ერგემლიძე,** ლევან **ვეფხვაძე,** რატი **სამყურაშვილი,** თემურ **წურწუმია.**

კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის მოკლე ქრონოლოგია:

10.11.2009 წ. ჩატარდა კომისიის პირველი სხდომა, კომისიის თავმჯდომარემ მოკლედ ისაუბრა კომისიის მიერ ახლო მომავალში განსახორციელებელი საქმიანობის შესახებ.

14.12.2009 წ. №12978/7–2 გაიგზავნა წერილი მთავარი პროკურორის მურთაზ ზოდელავას სახელზე, საქართველოს მთავარ პროკურატურაში ექსპერტ–სპეციალისტების მიხეილ **ოსაძის,** ზურაბ **ბაცანაძის** და გიორგი **ჩოხელის** მივლინებასთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის №7494802 საქმის მასალების გასაცნობად.

---

220 საოცარია, რომ კოკოს კომისიას „გამორჩა“ და თავი „გამოეყრუა“ რ.მარგველანის მიერ ტელევიზიის მეშვეობით ასობით ათასი ადამიანისთვის გამხელილი საიდუმლოება, რომ 1994 წელს მან შევარდნაძის პროკურატურას არ გაუმხილა ჯ.კვარაცხელიასთან პისტოლეტის დამარხვის ფაქტი, რათა მისთვის ფრიად შესაძლო ეგზეკუცია აერიდებინა შევარდნაძის დამსჯელი ორგანოების მხრიდან.

221 საინტერესოა რას უწოდებს კომისია „რეალურ მტკიცებულებებს“? ნუთუ მომხდარის ვიდეო ჩანაწერს? ვითარებაში, როდესაც გამოძიებას არ გააჩნია ცხედრის სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა სასაცილოა რაიმე „რეალურ მტკიცებულებებზე“ საუბარი. თანაც ისეთ ვითარებაში, როდესაც თვითმხილველი მოწმეების ჩვენებებს, რომლებშიც კრებსითად და მკაფიოდ მოჩანს თვითმკვლელობის სურათი, კომისია აკვიატებულად და გაჯინჭყლებულად იგნორირებას უკეთებს.

222 კოკოს კომისია გაოცებულია, რომ პროკურატურამ კომისიისავით არ „ირწმუნა“ ცრუ მოწმეთა ჩვენებები და არ მიიღო მხედველობაში ცრუ, ყალბი და შეუმოწმებადი „მტკიცებულებანი“.

223 ძალზე საინტერესო და ნიშანდობლივია, რომ ამ კომისიის საქმიანობის დაწვრილებით ჩამონათვალში რატომღაც სავსებით არ მოიხსენება **როსტოვის ექსპერტიზის „განშიფრვის“ ღონისძიებები**, რისთვისაც — როგორც ამას ფართოს აშუქებდნენ საქართველოს ტელევიზიები — კომისიის თავმჯდომარე **კოკო გამსახურდიამ იმოგზაურა შვეიცარიასა და გერმანიაში**.

აგრეთვე არაფერია ნათქვამი იმაზე თუ რა ბედი ეწია მას მედიაში კომისიის ფართოდ გაპიარებულ **მცდელობას 10.000 დოლარად მოეპოვებინათ „სიმართლე“ ამერიკელი კრიმინალისტისგან**.

17.12.2009 წ. **ჩატარდა კომისიის რიგით მეორე სხდომა, რომელზეც კომისიის თავმჯდომარის ინიციატივით შედგა ფილმის "დინების საწინააღმდეგოდ" პირველი და მეორე ნაწილების ჩვენება**[224] .

20.01.2010 წ. კომისიის შემდგომი საქმიანობიდან გამომდინარე შედგა კომისიის თავმჯდომარის კონსტანტინე გამსახურდიას, კომისიის წევრის ბეჟან ხურციძის და კომისიის მოწვეული სპეციალისტის მიხეილ ოსაძის ვიზიტი რუსეთის ფედერაციაში, რომლის პირდაპირი შედეგია ყოფილი უშიშროების უფროსის, იგორ გიორგაძის, ასევე ყოფილი გვარდიის სარდლის, თენგიზ კიტოვანის მოსმენა, ასევე ქალაქ როსტოვში ჩატარებული სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის **მოპოვება** [225].

23.02.2010 წ. საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის თავმჯდომარემ კონსტანტინე გამსახურდიამ პარლამენტის სხდომაზე წაიკითხა შუალედური მოხსენება და მოითხოვა საპარლამენტო დროებითი კომისიისთვის ვადის გაგრძელება სამი თვით.

25.02.2010 წ. ჩატარდა კომისიის მორიგი სხდომა, რომელზეც მოწვეული იქნა **ზვიად გამსახურდიას მთავრობის პრემიერ მინისტრი თენგიზ სიგუა** [226], რომელმაც კომისიას მიაწოდა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით გარკვეული ინფორმაცია.

04.03.2010 წ. კომისიამ, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით მოუსმინა საქართველოს პირველი პრეზიდენტის პირადი დაცვის წევრს შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძეს; ამავე დღეს კომისიამ აწარმოა პრეზიდენტის პირადი დაცვის მეორე წევრის გოჩა კეკენაძის მოსმენა.

14.04.2010 წ. კომისიამ, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით მოუსმინა საქართველოს პირველი პრეზიდენტის პირადი დაცვის წევრს ზაზა ბურჯანაძეს; ამავე დღეს კომისიამ აწარმოა აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, მოქალაქეების ჰამლეტ გულორდავასა და ვლადიმერ კუჭუხიძის მოსმენა.

20.04.2010 წ. შედგა კომისიის გასვლითი სხდომა სამეგრელოს რეგიონში, სადაც იქნა მოსმენა 1993–1994 წლებში საქართველოს უშიშროების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ორგანოს მუშაკების მურმან წაქაძისა და თემურ გაბუნიას, №7494802 სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.

24.05.2010 წ. კომისიამ №7494802 სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, მოსასმენად, საქართველოს პარლამენტში კომისიამ მოიწვია პათანატომები ლევან ჩაჩუა და ზაზა ოქრუაშვილი.

25.05.2010 წ. კომისიამ, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით მოუსმინა უზენაესი საბჭოს დეპუტატს ვალტერ შურღაიას და ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის წევრს, სოსო თორიას.

27.05.2010 წ. გაიმართა საპარლამენტო კომისიის გასვლითი სხდომა სამეგრელოს რეგიონში. კომისიამ №7494802 სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, აწარმოა ზვიად გამსახურდიას ბოლო ორი მასპინძლის, კარლო ღურწკაიასა და ჯონსონ კვარაცხელიას მოსმენა.

---

224 თავისთავად, აღნიშნული ფსევდო დოკუმენტური ფალსიფიცირებული ფილმის კომისიის სახელმძღვანელო დოკუმენტად წარმოჩენა მიუთითებს კომისიის მიზანზე მორჩილად და უდრტვინველად შეასრულოს სააკაშვილის მკვლელობის ვერსიის „დაკვეთა“.

225 კომისიამ დიდ დამსახურებად მიიწერა იმ დოკუმენტის „მოპოვება“, რომელიც გამსახურდიას ოჯახს გროზნიდან გადმოსვენებისთანავე ანუ კომისიის ჩამოყალიბებამდეც ხელთ ჰქონდა და აგრეთვე აქ ცბიერად მიჩქმალა ფართოდ გაპიარებული „როსტოვის ექსპერტიზის აქტის უცხოელი სპეციალისტების მიერ **განშიფრვის** ეპოპეა“.

იხ. ვიდეო დოკუმენტი DVD–ზე: Video/kokos_komisia_ganshifrva_28-04-2010.mp4

226 კვლავ სიცრუე და დეზინფორმაცია: სწორედ პრემიერ მინისტრის თანამდებობის შემოღებამ და ამითი მთავრობის მეთაურად პრეზიდენტის გახდომამ გამოიწვია **მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის** (რომელიც მანამდე მთავრობის მეთაურად ითვლებოდა) თ.სიგუას განდგომა, ლეგიტიმურ ხელისუფლებასთან დაპირისპირება და ტყეში კრიმინალურ ბანდებთან პარტიზანად გაჭრა. კანონი პრემიერ მინისტრის თანამდებობის შემოღების შესახებ სიგუას განდგომის შემდეგ იქნა მიღებული და საქართველოს პირველ პრემიერ მინისტრად კი პრეზიდენტ ზ.გამსახურდიას მიერ დანიშნული და პარლამენტის მიერ დამტკიცებული იქნა ბ.გუგუშვილი. ამდენად საქართველოს **პირველი პრეზიდენტი** იყო ზ.გამსახურდია და (ზ.გამსახურდიას ერთად–ერთი) **პირველი პრემიერ მინისტრი** კი იყო ბ.გუგუშვილი.

09.06.2010 წ. კომისიამ №7494802 სისხლის სამართლის საქმეზე აწარმოა გვარდიის მაიორ ვახტანგ ზარანდიას მოსმენა.

29.06.2010 წ. საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის თავმჯდომარემ ბატონ კონსტანტინე გამსახურდიამ პარლამენტის სხდომაზე წაიკითხა მეორე შუალედური მოხსენება და მოითხოვა კომისიისთვის ვადის გაგრძელება ოთხი თვით.

10.08.2010 წ. კომისიამ, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით №7494802 სისხლის სამართლის საქმეზე მოუსმინა უზენაესი საბჭოს დეპუტატს გივი თაქთაქიშვილს.

12.08.2010 წ. კომისიამ, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით №7494802 სისხლის სამართლის საქმეზე მოუსმინა ქალაქ ზუგდიდის კომენდანტის ბადრი ზარანდიას დას მარინა ზარანდიას და ჟურნალისტ ირანდა კალანდაძეს.

10.09.2010 წ. კომისიამ, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით მოუსმინა გაზეთ „ასავალ-დასავლის“ ჟურნალისტს ბელა შალვაშვილსა და ავთანდილ რცხილაძეს რომელიც 1991 წელს ქალაქ თელავის პრეფექტის მოვალეობას ასრულებდა.

16.09.2010 წ. კომისიამ, №7494802 სისხლის სამართლის საქმეზე საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით მოუსმინა პრეზიდენტის დაცვის უფროსს რობინზონ მარგველანს.

04.10.2010 წ. გაიგზავნა წერილი №10068/5–15 რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორის იური ჩაიკას სახელზე, ზვიად გამსახურდიას გვამზე ფოტოგრაფიული თანაფარდობის შედეგების გადმოგზავნასთან დაკავშირებით. (რომელიც ჩატარდა 2007 წლის 6–23 მარტს) კომისიამ 2011 წლის დასაწყისში მიიღო ეს დოკუმენტი ქსეროასლის სახით[227].

18.10.2010 წ. გაიგზავნა წერილი №10500/2–2 **ფინეთის გენერალური პროკურორის მაატი კუუსიმაკის სახელზე. ზვიად გამსახურდიას მთავრობის პრემიერ მინისტრის ბესარიონ გუგუშვილის გამოკითხვის შუამდგომლობის შესახებ**[228].

27.10.2010 წ. კომისიამ, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით №7494802 სისხლის სამართლის საქმეზე მოუსმინა ძმებს ანატოლი და ზაურ ჩუხუებს.

03.11.2010 წ. გაიგზავნა წერილი №11093/5–15 საქართველოს მთავარი პროკურორის მურთაზ ზოდელავას სახელზე. საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის ორი წევრის უგზოუკვლოდ დაკარგული **ვაჟა ჭინჭარაულისა** და **ირაკლი გოგაძისა**[229] ცხედრების სამეგრელოს რეგიონში **სავარაუდო** ადგილსამყოფლის აღმოჩენის ცნობის შესახებ[230].

05.11.2010 წ. კომისიის გასვლა სამეგრელოს რეგიონში „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ წარმომადგენლობასთან ერთად და საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება.

06.11.2010 წ. კომისიის გასვლა სამეგრელოს რეგიონში, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის, უგზოუკვლოდ დაკარგული **ვაჟა ჭინჭარაულისა** და **ირაკლი გოგაძის** სავარაუდო საფლავების ინფორმაციის მოპოვებასთან დაკავშირებით[231].

7.12.2010 წ. კომისიამ, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით №7494802 სისხლის სამართლის საქმეზე მოუს-

---

227 აუცილებლად ბოროტი, კრიმინალური განზრახვით – კომისიამ რუსეთის მხარეს, რომელიც ესოდენ ხალისიანად თანამშრომლობდა კომისიასთან – არ მოთხოვა ექსგუმაციისა და განსაკუთრებით კობოსა და მასში ნემტის მდგომარეობის ამსახველი ფოტოსურათები. საიდანაც გამოჩნდებოდა, რომ ჩონჩხი დაამტვრია კუბოს ჩატეხილმა სახურავმა.

228 რა პასუხი მიიღო კომისიამ ფინეთის გენერალური პროკურორის მ.კუუსიმაკისგან კომისიის მიერ მიჩქმალული და გასაიდუმლოებულია – როგორც ჩანს პასუხი არაა კომისიისთვის სახარბიელო.

229 ი.გოგაძე გუგუშვილის რეფერენტი ყო და არა ზ.გამსახურდიას მცველი.

230 რასთან დაკავშირებითაც კომისიის კოკომ ყველა არხზე ატეხა პიარული წიოკი აქაო და „90%-დარწმუნებული“ ეს ჭინჭარაულისა და გოგაძის ნემტებიაო... – მას შემდეგ ლამის წელი გავიდა და ეს „აღმოჩენა“ ჩაფლეს და დამარხეს...

231 ეს კომისიის უსინდისობისა და არაკაცობის კიდევ ერთი დადასტურება – პიარ კამპანიის ინტერესებში არავითარი ანგარიში არ გაუწიეს უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახების გრძნობებს და ცრუ ინფორმაციით კიდევ ერთხელ მიაყენეს სულიერი ჭრილობები.

მინა სასამართლო სამედიცინო ექსპერტს, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს თანამშრომელს, ნინო კიკაბიძეს.

კომისიამ გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, წერილობით მიმართა სახელმწიფო, საზოგადოებრივ, ადმინისტრაციულ და სამართალდამცავ ორგანოებს, რომელთა მხრიდანაც დღემდე სრული სიჩუმე და რბილად რომ ვთქვათ უყურადღებობაა გამოვლენილი, კერძოდ:

01.03.2010 წ. გაიგზავნა წერილი №2021/5–15 საქართველოს ექსპრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სახელზე, იგი დღემდე კომისიასთან თანამშრომლობისგან თავს იკავებს, შესაბამისად კომისიას მისგან არანაირი პასუხი არ მიუღია[232], პრესაში ზოგადად გაცხადებულ ინფორმაციას თუ არ ჩავთვლით, რომელსაც კომისია პასუხად ვერ ჩათვლის და ამით ვერ იხელმძღვანელებს.

02.03.2010 წ. გაიგზავნა წერილი №2100/5–15 საქართველოს სასჯელთაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრის ხათუნა კალმახელიძის სახელზე, თუ რომელ სასჯელთაღსრულების დაწესებულებაში იხდიდნენ, ან იხდიან სასჯელს და სისხლის სამართლის კოდექსის რომელი მუხლებით გია და გონა სარიები. აღნიშნული უწყების პასუხს კომისია დღემდე ელოდება[233].

15.10.2010 წ. გაიგზავნა წერილი №10459/5–15 "ტელეიმედის" გენერალური დირექტორის თემურ ხუბულავას სახელზე. 2004 წლის ზაფხულში "ტელეიმედის" ეთერით გასული ბესარიონ გუგუშვილის ინტერვიუს კომისიისთვის გადმოგზავნასთან დაკავშირებით. არც აღნიშნული ინტერვიუ და არც პასუხი დღემდე არ ჩანს[234].

22.06. დროებითი საპარლამენტო კომისიის გამოკითხვები 235 და კომისიის მიერ მოპოვებული ქალაქ ზუგდიდის კომენდანტის ბადრი ზარანდიას დღიური [236]

◈ ბ.გუგუშვილის შენიშვნა

კომისიის მიკერძოებულობასა და არაობიექტურობას თვალნათლივ ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მან მცდელობა არ მოაკლო და შორი მგზავრობებიც იკისრა რათა მოეკრიბა ჭორები ისეთი ცნობილი ცრუპენტელებისგან როგორიცაა კიტოვანი, სიგუა, გიორგაძე – რომლებსაც არავითარი სანდო და ფასეული ინფორმაცია არ გააჩნიათ ზ.გამსახურდიას დაღუპვაზე, და – ამავე დროს სავსებით უგულველყვეს ისეთი ფასეული და ობიექტური ინფორმაცია, რომელიც მოდის (დოკუმენტური ვიდეო მასალებით) თუნდაც ჯ.დუდაევისგან, ზ.იანდარბიევისგან, გროზნიში გადასვენების კომისიისგან. ასევე, არ უთხოვიათ ინფორმაცია გროზნოში გადასვენების უცხოელი დამკვირვებლებისგან რომლებიც ლიტვის პარლამენტმა მოავლინა.

---

232 ანუ, შევარდნაძემ კოკო და მისი კომისია ძაღლადაც არ ჩააგდო...

233 ნიშანდობლივია, რომ კომისიას კალმახელიძისადმი ეს მიმართვა მას მედიის საშუალებით, რომელსაც პიარული კამპანიისთვის ფართოდ იყენებდნენ არც ერთხელ არ გაუხმაურებია ანუ მედიის მეშვეობით ზეწოლა არ განუხორციელებია პასუხის მიღების მიზნით! მეტიც, კომისიის ეს ჩივილი უადგილოა რადგანაც აქვე, თვით კომისიის დასკვნით დოკუმენტშია სარიების პროკურატურის მიერ დაკითხვის ოქმები საიდანაც ჩანს, რომ ისინი არაფერ შუაში ზ.გამსახურდიას სიკვდილთან არ არიან.

234 თითიდან გამოწოვილი „სირთულე": ვითომ–დოკუმენტურ, ნაყალბევ ფილმში „დინების საწინააღმდეგოდ" კოკოს რამდენიმე ადგილას აქვს გამოყენებული გუგუშვილის ინტერვიუების ვიდეო ასლები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ხსენებული ინტერვიუს ვიდეო ასლი მას ხელთ ჰქონდა – რამდენადაც ეს მასალა ფართოდაა წარმოდგენილი ინტერნეტში და მისი მოპოვება უმარტივესი რამაა. იხ აღნიშნული ვიდეო DVD–ზე:
Video/imedi_besarion1_compact.wmv
Video/imedi_besarion2_compact.wmv

235 ნიშანდობლივი და დამახასიათებელია, რომ კიტოვანს, გიორგაძეს და სიგუას — მათი მონათხრობის არანაირი და არავითარი დამადასტურებელი დოკუმენტი, მოწმე არ გააჩნიათ — და, კომისიის აზრით ასეთი რამ მათ არც მოეთხოვებათ... — ოღონდ კი რამენაირად მკვლელობის ვერსია განამტკიცონ სიცრუითა და ცილისწამებებით...

236 აქ დოკუმენტური ფასეულობის ასაწევად მოხსენებული „**დღიური**" ქვემოთ ამავე დოკუმენტში კომისიის მიერ მოხსენებულია როგორც „**ჩანაწერები**" – კომისიის ნიშანდობლივი ხრიკია.

ამავე დროს „საპარლამენტო კომისიის გამოკითხვები“, რომლებიც ქართულ მას მედიაში ფართოდ იყო გაპიარებული როგორც „დაკითხვები“ – დასკვნაში არ-სებით წილად **წარმოდგენილია არა ოქმის სახით ანუ სიტყვა-სიტყვით** – არამედ კომისიის მიერ გადამუშავებულ-ადაპტირებული და „მკვლელობის ვერსიისათვის“ მორგებული ტექსტის სახით, რაც კრიტიკულად ამცირებს მოტანილი ინფორმაციის სანდოობას.

თენგიზ კიტოვანის გამოკითხვიდან [237]:

(ქ.მოსკოვი, 2010 წლის 25 იანვარი)

“მე ადრეც ვიძახდი და ახლაც ვიძახი: ზვიად გამსახურდიას თავი არ მოუკლავს, იგი მოკლულია შევარდნაძის სპეციალური დავალებით, რომელიც შეასრულეს შინაგან საქ-მეთა მინისტრმა შოთა კვირაიამ, გენერალმა გია გულუამ და უშიშროების მინისტრის მოადგილემ ავთანდილ იოსელიანმა, ამ საქმეში გარეულია პრემიერ-მინისტრი ავთან-დილ მარგიანიც.

ზვიად გამსახურდია ჩამოვიდა სამეგრელოში, მის მხარეს დადგა მთელი მაშინდელი ოპოზიცია (ე.ი. შევარდნაძის ოპოზიცია) და მოსახლეობის შეიარაღებული ნაწილი. არ-სებული მდგომარეობით შევარდნაძემ გამსახურდია მტრად აღიქვა და შევარდნაძის თა-ნამოაზრეებმა დაიწყეს ფიქრი, თუ როგორ მოესპოთ ზვიად გამსახურდია ფიზიკურად. დავალება მიცემული ჰქონდათ შოთა კვირაიას, გია გულუას, ავთანდილ იოსელიანსა და ავთანდილ მარგიანს, აი, ის ხალხი, რომლებიც გარეული იყვნენ ამ **მკვლელობაში.**

შევარდნაძის დავალებით მარგიანი და დევდარიანი ჩავიდნენ საზღვაო ფლოტის ად-მირალ ბალტინთან, რათა ბალტინი თავისი შეიარაღებული ძალებით გამაგრებულიყო დასავლეთ საქართველოში, რაც ასეც მოხდა. ამიტომაც ამის შემდეგ, ოპოზიციამ და შე-იარაღებულმა ძალებმა მიატოვეს ზვიად გამსახურდია და ოჯახებში დაიმალნენ.

მე ვერ გეტყვით, რა თანხა გადაუხადეს ადმირალ ბალტინს, მაგრამ თანხის გარეშე იგი საქართველოში არ ჩამოვიდოდა და მას არავითარი უფლება არც ჰქონდა, შემოსუ-ლიყო საქართველოს ტერიტორიაზე. ეს იყო შევარდნაძის დაკვეთა, რაზედაც ბალტინს აღებული ჰქონდა თავისი უფროსებისგან ნებართვა, რომლის თანახმადაც იგი შემოვიდა ფოთში. ეს იყო ის დამანგრეველი ძალა, რომელმაც დაშალა ზვიად გამსახურდიას მომ-ხრეები.

დაბეჯითებით ვამტკიცებ, რომ აუცილებელია კვირაიასა და შევარდნაძის დაპირისპი-რება იმ ფაქტთან დაკავშირებით, თუ რა დავალება მისცა შევარდნაძემ შოთა კვირაიას და იყო თუ არა ეს დავალება ზვიად გამსახურდიას ლიკვიდაცია.

ავთანდილ მარგიანმა ერთ-ერთი საუბრის დროს თქვა, მე გადავიხადე ორმოცდაათი ათასი დოლარი ზვიად გამსახურდიას მკვლელობაშიო. მან ეს ვიწრო წრეშიც თქვა. ყო-ველივე ამის შემდეგ **მე ვამტკიცებ, რომ ზვიად გამსახურდია მოკლულია**[238].

მე **ვიძახი, რომ ზვიად გამსახურდია ორი ტყვიით არის მოკლული.** არ შეიძლება, რომ “სტეჩკინის” სისტემის იარაღიდან გასროლით, ზევიდან ქვევით, თავი მოეკლა ზვიად გა-მსახურდიას. ეს არის ნასროლი. პირველმა ტყვიამ, ეტყობა, რბილობში გაიარა, ხოლო მეორე ტყვია თავის ქალაში დაახალეს და მოკლეს.

აბსურდია, რომ ზევიდან ვინმე თავს იკლავდეს და ყურიდან გამოსდიოდეს ტყვია.

მე ვფიქრობ, რომ ყოველივე ეს რამდენიმე წამშია გაკეთებული. მკვლელმა თავისი საქმე გააკეთა, აიღო ფული და წავიდა.

---

[237] უაღრესად ნიშანდობლივია, რომ კ.გამსახურდიას კომისია, რომელიც სხვა მოწმეებიდან დაჟინებით მოითხოვდა ზუსტი თარიღების, დროის, მოვლენების ადგილმდებარეობის, სხვა დამსწრეთა და მოწმეთა ვინაობის, ასე განსაჯეთ დამსწრეთა ჩაცმულობის და სხვა მსგავსი წვრილმანი დეტალების შესახებ ინფორ-მაციას — ამ თვალსაზრისით საოცარ და პრინციპულ გულმავიწყობას იჩენს „მისი, სასარგებლო“ მოწმეების მიმართ — და, **არავითარ დეტალებს არ ჩაეძიება**! კიტოვანისთვის ისიც კი არ უკითხავთ ზ.გამსახურდიას სიკვდილის დროისთვის რა თანამდებობა ეკავა და ამდენად რა სანდო და დოკუმენტირებული ინფორმაცი-ის წყაროებს ფლობდა თანამდებობიდან გამომდინარე.

[238] რა თქმა უნდა კომისია (სხვა მოწმეების გამოკითხვებისგან განსხვავებით) არ აფიქსირებს თუ სად, როდის, რა გარემოში, რომელი მოწმეების თანდასწრებით („ვიწრო წრე“) მიიღო გამოკითხულმა ეს ინფორმაცია.

შოთა კვირაია ერთხელ ვნახე მთვრალი, რომლის ნალაპარაკებიდან ჩანდა, რომ ზვიად გამსახურდიას ლიკვიდაცია მათ მოახდინეს. მაგრამ არა პირადად კვირაიას მიერ[239].

მე ამას ვიძახი: **ჯერ ერთი, როდის იყო, რომ თვითმკვლელი მუცელზე იდებდა იარაღს[240]**, თანაც ამ სიმძიმეს. ზვიად გამსახურდია მოკლულია შევარდნაძის პირდაპირი დავალებით.

ავთანდილ მარგიანს ებარა ფინანსური სისტემა და შევარდნაძის დავალებით მან გამოიტანა ეს თანხა - 50.000 დოლარის ოდენობით - და გადაუხადა ქილერს. ეს ინფორმაცია არის იმ წრიდან, სადაც მარგიანმა ერთ–ორ კაცს უთხრა. მე ამას მერე ვიტყვი, ამის თქმა ახლა არ შეიძლება, აჯობებს, თუ ამ ეტაპზე ჩვენ რაღაცეებისგან თავს შევიკავებთ[241].

მე მოსმენილი მაქვს ლოთი ქობალიასა და შევარდნაძის საუბარი შემდეგი ტექსტით: "ჩემო ლოთი", ხოლო ის კი - "ბატონო ედუარდ" საერთოდ, ძალიან თბილი დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთთან და, სხვათა შორის, შევარდნაძეს არ უნდოდა ლოთის დაჭერა.

შევარდნაძეს ჩემზე აქვს ნათქვამი, მე ეგ ცოცხალი არ მჭირდებაო.[242] ეს იყო აფხაზეთის ომის დროს. მე როდესაც უკან დავბრუნდი, მან განაცხადა: კიტოვანი რატომ ჩამოიყვანეთ ცოცხალიო.

რასაც მე ვლაპარაკობ, ეს ყოველივე შესანიშნავად უწყოდა გია გულუამ, ამიტომაც გია გულუა უნდა განადგურებულიყო, როგორც მოწმე, რაც ასეც მოხდა.

უნდა გითხრათ, რომ აფხაზეთის ჩაბარება დაიწყო შევარდნაძემ და დაამთავრა."

იგორ გიორგაძის გამოკითხვიდან [243]:

(ქ.მოსკოვი, 2010 წლის 27 იანვარი)

"მე ვადასტურებ, რომ ჟურნალ "ზავტრას" თვის მიცემულ ინტერვიუში მე ვთქვი: სახელმწიფო მეთაურს მოვახსენე, ზვიად გამსახურდია ალყაში მყავს-მეთქი. მან თქვა: **ზვიად გამსახურდია მე ცოცხალი არ მჭირდებაო[244]**. რუსული მედიისთვის მიცემულ ინტერვიუში ვთქვი, რომ ზვიადი მოკლეს, მის მკვლელობაში თანხა იყო გადახდილი და, რაც მთავარია, შემსრულებლები რომლებმაც ამის შესახებ იციან, მზად არიან, ჩვენება მისცენ გამოძიებას [245].

---

239 რა თქმა უნდა კომისია (სხვა მოწმეების გამოკითხვებისგან განსხვავებით) არ აფიქსირებს თუ სად, როდის, რა გარემოში, რომელი მოწმეების თანდასწრებით მიიღო გამოკითხულმა ეს ინფორმაცია „მთვრალი" კვირაიასგან.

240 ხელის ცეცხლსასროლი იარაღით **თვითმკვლელობების 25%–ში სწორედაც რომ იარაღი თვითმკვლელის ხელში რჩება და თუ იგი დაწოლილია სწორედ მუცელზე ესვენება**! – მაგრამ კრიმინალისტიკის ეს ფართოდ ცნობილი ფაქტი არ კომისიამ და მით უმეტეს არც „მე ვიძახი" კიტოვანმა არ იციან.

241 „საპარლამენტო" კომისია, რომელიც სხვა შემთხვევებში ჩაკირკიტებით ყოველ დეტალს იძიებს ტანსაცმლის ჩათვლით, ასეთი „მოწმეების" ზღაპრებზე აწერინებს ხელს „პარლამენტს".

242 **ძალზე საინტერესო და ნიშანდობლივი ფრაზაა** — შეადარეთ ქვემოთ გიორგაძისა და სიგუას „აღსარებას"... — **თურმე შევარდნაძე კიტოვანსა და ზ.გამსახურდიაზე ზუსტად ერთიდაიგივე სიტყვებით საუბრობდა** — მაგრამ, ზვიადის მიმართ მას ჩანაფიქრი გამოუვიდა — კიტოვანის მიმართ რატომღაც ვერ გამოუვიდა ☺...

243 უაღრესად ნიშანდობლივია, რომ კ.გამსახურდიას კომისია, რომელიც სხვა მოწმეებისგან დაუინებით მოითხოვდა ზუსტი თარიღების, დროის, მოვლენების ადგილმდებარეობის, სხვა დამსწრეთა და მოწმეთა ვინაობის, ასე განსაჯეთ დამსწრეთა ჩაცმულობის და სხვა მსგავსი წვრილმანი დეტალების შესახებ ინფორმაციას — ამ თვალსაზრისით საოცარ და პრინციპულ გულმავიწყობას იჩენს „მისი, სასარგებლო" მოწმეების მიმართ — და, **არავითარ დეტალებს არ ჩაეძიება**!

244 იხ ზემოთ — კიტოვანზე ზუსტად ეგ ფრაზა უთქვამს შევარდნაძეს. საინტერესო და მეზღაპრეობის წარმომჩენი ნიშანდობლივი დამთხვევაა.

245 და, მკვლელობის დადასტურების ასეთი ფანტასტიკური შესაძლებლობა არ გამოიყენა კოკოს კომისიამ! ძალზე და უკიდურესად საეჭვოა – რატომ?

24 სექტემბერს ზვიად გამსახურდია სამეგრელოში დაბრუნდა. ჩვენ ეს წინასწარ ვიცოდით, ასევე ვინ დახვდებოდა და რამდენი კაცი. ეს ვიცოდით რადიოკავშირის მეშვეობით, სადაც ლოთი ქობალია ყველანაირად ცდილობს, დააჯეროს პრეზიდენტი, რომ მისი ჩამოსვლა აუცილებელი არის და, რაც მთავარია, შედეგიანიც იქნება. ხალხი მზად არის, მას გვერდში დაუდგეს.

ნოემბრის დასაწყისში ფოთში ჩამოდის ბალტინი. მე შევარდნაძისგან მივიღე ბრძანება, რომ ჩავსულიყავი და შევხვედროდი მას, რათა ბალტინთან შეთანხმებით და მისი სამხედრო ძალის გამოყენებით საქართველოში სამოქალაქო ომი დაგვემთავრებინა. ეს იყო 9 ნოემბერს. ბალტინს ფოთში მარგიანი დახვდა.

როდესაც ზუგდიდი დაეცა, ლოთი ქობალია აფხაზეთის გავლით საქართველოდან გავიდა. პრეზიდენტი გამსახურდია ჯერ იმყოფება აფხაზეთში, შემდეგ სამეგრელოს მაღალმთიან ზონაში[246].

ოპერაცია, რომელიც ჩატარდა და რომელსაც მერე ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობა დაერქვა, ჩემი ოპერატიული მონაცემებით, ინფორმაციის მიღების საფუძველზე, მაძლევს უფლებას, რომ ვთქვა: ჩემი **ღრმა რწმენით**[247], ზვიად გამსახურდია მოკლეს.

მე დამჭირდა ოპერატიული მოქმედებების განხორციელება, რომ მიმეღო მომხდარზე რეალური სურათი, რომლის შესახებაც ინფორმაცია მომიტანა არა ჩემმა მოადგილემ, არამედ ჩემ მიერ სპეციალურად გაგზავნილმა პიროვნებამ, ამან მაფიქრებინა, რომ იზოლაციაში ვიყავი.

კომისიის სხდომაზე მოხსენება გააკეთა მარგიანმა: საბუთი შედგენილია, კაცმა (გამსახურდიამ) თავი მოიკლაო. მე ვკითხე: სერიოზულად ლაპარაკობ ამას-მეთქი? თქვენ ყველანი ნორმალურები ხართ-მეთქი? და თქვენ ყველანი ამას ხელს მოაწერთ-მეთქი? – კიო. მოაწერეს ხელი, მომცეს ოფიციალურად. მე ვუთხარი, ამას ხელს არ ვაწერ-მეთქი. ჩემი და ამათი თანდასწრებით მარგიანი იღებს ყურმილს და ურეკავს შევარდნაძეს და ატყობინებს, როგორც მას სჩვევია, ხუმრობით, რომ იგორი ხელს არ აწერს ამ დოკუმენტსო, ამბობს, ექსპერტიზაა ჩასატარებელიო. მან შემოუთვალა: მე ვიცი მაგისი პოზიცია, ნუ, არ აწერს, არ აწერს, რა ვქნაო?

გია გულუას ჯგუფიდან არის ინფორმატორი[248], რომელიც წინასწარ ავრცელებს ინფორმაციას, რომ პრეზიდენტმა თავი მოიკლა და უკვე ეძებენ კოსტუმს მის გასაპატიოსნებლად. ამ დროს ზვიადი ჯერ კიდევ ცოცხალია, როდესაც ვრცელდება ინფორმაცია მის თვითმკვლელობაზე, და ერთი კაცი ორი დღით ადრე ყიდულობს მისთვის კოსტუმს.

მინდა გითხრათ, რომ ჩემი ანალიზით, იქ უცხო პირი, ვერავინ ვერ მივიდოდა, დავალება შეასრულა იმ ხალხმა ვინც იყო უშუალოდ მასთან კონტაქტში, ანუ პირველი წრე. ჩვენ გვქონდა ინფორმაცია, რომ პრეზიდენტმა გამსახურდიამ ფული ჩამოიტანა. თანხაც იყო ნახსენები - **ორი მილიონი ამერიკული დოლარი**[249]. ეს თანხა მას დუდაევმა მისცა. სად არის ეს თანხა? საერთოდ ფული ჩანს? არ გაგიკვირდეთ, თანხა, რომელიც ნახსენები იყო, ძალიან მცირეა. თუ გვერდში ორი მილიონი მიდევს, შეიძლება სულმაც წამძლიოს კაცს. გეუბნებით, რომ მე გამოვრიცხავ გარედან შემოსულ პიროვნებას.

---

246 სამეგრელოს მაღალმთიან ზონაში ზ.გამსახურდია არ ყოფილა — ესეც არ იცის ამ კა–გე–ბისტმა.

247 ეს ჩეკისტიც, „თვითმკვლელობის **რწმენაზე**“ საუბრობს, რადგანაც არავითარი მამტკიცებელი ფაქტები არ გააჩნია. და, სულ დაავიწყდა, რომ ადრე ანდრეი კარაულოვთან ინტერვიუში თავდაჯერებული და ვითომც კარგად ინფორმირებული აცხადებდა, რომ „ზვიად გამსახურდიას გვამს გამომავალი ჭრილობა სადღაც მარცხენა ყბასთან აღენიშნებოდა“–ო. ეს უხერხული და გიორგაძის არაკომპეტენტურობის მამხილებელი ფაქტი, ამჯერად კომისიამაც მიივიწყა, თუმცა თავისივე შუალედურ დასკვნებში სპეკულაციებისთვის ინტენსიურად იყენებდა.

248 ტიპობრივი თვალთმაქცობა: „არის ინფორმატორი“, რომელიც უცნობია და არავითარი მტკიცებულება არ არსებობს, რომ ეს მირაჟი რაღაც ინფორმაციას ავრცელებდა.

249 ამით ძალზე კარგად ჩანს, რომ კომისია ყოველგვარი კრიტიკული ანალიზის გარეშე ხარბად ყლაპავს ნებისმიერ ჭორსა და სიცრუეს, ოღონდ კი ეს რამენაირად წაადგეს მათს სანუკვარ მკვლელობის ვერსიას. ძალზე ნიშანდობლივია! ზ.გამსახურდიას, რომელსაც ორი მილიონი დოლარი ჰქონია, დასდევდა მკვლელი ანუ „ქილერი“ რომელსაც ვითომც 50 ათას დოლარს დაპირდნენ... და კიდევ უფრო ნიშანდობლივია, რომ საპარლამენტო(!) კომისია ასეთ პრიმიტივიზმებს დასკვნით დოკუმენტში აქვეყნებს „პარლამენტის“ დასტურით.

ავთო იოსელიანმა, მახსოვს, გააკეთა განცხადება, ჩვენ ვაკონტროლებთ მის გარემოცვას და გარემოცვის გარემოცვასო[250].

ვინ გაისროლა, ეს უკვე დეტალია, მაგრამ პირველი გარემოცვის გარეშე ის ამას ვერ გააკეთებდა.

როგორც არ უნდა გვინდოდეს, არაფერი არ გაირკვევა, ვიდრე ედუარდ შევარდნაძე არ წარსდგება სასამართლოს წინაშე. აუცილებელი არ არის, რომ მას დახვრეტა მიუსაჯონ, მაგრამ სასამართლო უნდა ჩატარდეს, სადაც პროცესუალურად უნდა დაისვას კითხვები და ყოველივე ამას ექნეს სამართლებრივი ძალა.

მიმაჩნია, რომ პირველი პრეზიდენტის **მკვლელობა,** მომხდარი 1993 წლის დასასრულსა და 1994 წლის დასაწყისში, ჩემი ღრმა რწმენით უნდა განვიხილოთ შევარდნაძის ბიოგრაფიისა და მისი ცხოვრების მთლიან კონტექსტში, როგორც გოგიჩაიშვილის ფანჯრიდან გადმოხტომა, მისი ქალიშვილის თვითმკვლელობა, დილაუთენია ერთადერთ "გრუზავიკთან" პატარიძის შეჯახება, კობახიძის დახვრეტა, ფინანსთა მინისტრის დვალიშვილის თვითმკვლელობა, სოლიკო ხაბეიშვილის მკვლელობა.

ყველაზე დაინტერესებული პირი, რომ ზვიად გამსახურდია ცოცხალი არ დარჩენილიყო, არის ედუარდ შევარდნაძე, ხოლო ისინი, ვინც ამასთან დაკავშირებული, არიან ნელ-ნელა ქრებიან."

თენგიზ სიგუას გამოკითხვიდან[251]:

(ქ.თბილისი, 2010 წლის 25 თებერვალი)

"1993 წლის 23 სექტემბერს ზვიად გამსახურდია ჩამოიყვანეს გროზნოდან სენაკში, რასაც მოჰყვა სამხედრო შეიარაღებული ფორმირებების, ლოთი ქობალიას ხელმძღვანელობით, გააქტიურება, რომელთაც იწყეს სვლა აღმოსავლეთ საქართველოსკენ. უშიშროების საბჭოს სხდომაზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა მაშინდელი სახელმწიფოს მეთაური და მის შემადგენლობაში შედიოდნენ ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები, იქნებოდა ძალიან სერიოზული საუბარი, თუ რა ღონისძიებები უნდა გატარებულიყო, მაგრამ არ იქნებოდა საუბარი რომელიმე პიროვნების ლიკვიდაციაზე.

ცნობილია, რომ ორმა უწყებამ–უშიშროების სამინისტრომ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ–შექმნა სპეცრაზმები, რომლებიც კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ ზვიად გამსახურდიასა და მისი დაცვის ჯგუფს[252]. მაშინდელ ხელისუფლებას ძალიან გაუჭირდა ლოთი ქობალიას შეიარაღებული გვარდიისათვის წინააღმდეგობის გაწევა, რის გამოც შევარდნაძემ მოლაპარაკება გამართა რუსეთ-უკრაინის გაერთიანებული ფლოტის ხელმძღვანელთან ადმირალ ბალტინთან. არის ინფორმაცია, რომ გაღებულია საკმაოდ დიდი თანხა მის მოსასყიდად. ის ჩართეს სამხედრო ოპერაციებში ქობალიას რაზმის წინააღმდეგ რის შემდეგაც ქობალიას რაზმი დამარცხდა. ამ სამხედრო ოპერაციების ჩატარების შემდეგ იწყება სწორედ ის პერიოდი, როდესაც უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების მიერ შექმნილი სპეცრაზმები იწყებენ ზვიად გამსახურდიას დევნას.

პრესაში[253] გამოქვეყნებულია ინფორმაცია, სადაც იგორ გიორგაძე პირდაპირ ამბობს, რომ შევარდნაძეს შესთავაზა, შემიძლია დავაპატიმრო ზვიად გამსახურდია და მე-

---

[250] რა თქმა უნდა კომისია (სხვა მოწმეების გამოკითხვებისგან განსხვავებით) არ აფიქსირებს თუ სად, როდის, რა გარემოში, რომელი მოწმეების თანდასწრებით მიიღო გამოკითხულმა ეს ინფორმაცია.

[251] უაღრესად ნიშანდობლივია, რომ კ.გამსახურდიას კომისია, რომელიც სხვა მოწმეებისგან დაჟინებით მოითხოვდა ზუსტი თარიღების, დროის, მოვლენების ადგილმდებარეობის, სხვა დამსწრეთა და მოწმეთა ვინაობის, ასე განსაჯეთ დამსწრეთა ჩაცმულობის და სხვა მსგავსი წვრილმანი დეტალების შესახებ ინფორმაციას — ამ თვალსაზრისით საოცარ და პრინციპულ გულმავიწყობას იჩენს „მისი, სასარგებლო" მოწმეების მიმართ — და, **არავითარ დეტალებს არ ჩაეძიება**! სიგუასათვის ისიც კი არ უკითხავთ ზ.გამსახურდიას სიკვდილის დროისთვის რა თანამდებობა ეკავა და ამდენად რა სანდო და დოკუმეტირებული ინფორმაციის წყაროებს ფლობდა თანამდებობიდან გამომდინარე.

[252] კომისიამ თუნდაც ერთი დადასტურებული და სანდო ფაქტიც კი ვერ მოიპოვა, რომ „სპეცრაზმები კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ ზვიად გამსახურდიასა და მისი დაცვის ჯგუფს" – ვერც ერთი!

[253] სასაცილოა, რომ კომისიის ეს ძვირფასი მოწმე პრესაში წაკითხულებს უყვება კომისიას.

ორე დღეს მოგგვაროო. პასუხი ასეთი იყო: **ცოცხალი ზვიად გამსახურდია მე არ მჭირდებაო**[254]. ეს პირდაპირი დავალება არ არის, მაგრამ ირიბი დავალება უკვე არის.

იგორ გიორგაძე წერს თავის ინტერვიუში, ცხადია, მე ეს დავალება არ შევასრულეო. მაგრამ მას შემდეგ დავალებას იღებს მაშინდელი უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე გენერალი ავთანდილ იოსელიანი[255].

ოფიციალური ვერსიაა, რომ პრეზიდენტმა "სტეჩკინით" მოიკლა თავი. "სტეჩკინი" ვინც იცის, ეს არის მძიმე იარაღი, 1 კგ-ზე მეტი, თვითმკვლელობის შემდგომ იატაკზე უნდა ეგდოს და ხელიც გადავარდნილი უნდა ჰქონდეს, ამას ნებისმიერი ექსპერტი დაგიდასტურებთ[256]. ეს არის ინსცენირებული, რომ მას ეს იარაღი უკავია და მუცელზე უდევს. იარაღი არის ნივთმტკიცება, ხოლო ის არის გაპრიალებული, გაპოხილი, არავითარი ანაბეჭდი მასზე არ არის. ისმება კითხვა: რატომ? ტანსაცმელი, რომელიც ეცვა გარდაცვალების დროს ზვიად გამსახურდიას, არის ბოლომდე გაპრიალებული, ბოლომდე გარეცხილი და არც სისხლის ნაკვალევი არ ეტყობა. ეს არის სპეციალური ქმედებები კვალის დასაფარავად.

ქილერს შეეძლო შემოეღო ფანჯარა, ესროლა და ჩუმად გაპარულიყო, მაგრამ მასრა იქ უნდა იყოს და გარდაცვლილს ასეთი პოზა არ უნდა ჰქონდეს. თამარ დეკანოსიძემ ჩემთან საუბარში განაცხადა: **მეტრანახევარზე ახლოს არ მიმიშვეს გვამის დასათვალიერებლად**[257], რაც მე ვნახე, ძალიან მაეჭვებს ის ვერსია, რომ აქ იყოსო თვითმკვლელობა.

მოსკოვიდან იყო ჩამოსული საქართველოს ყოფილი მაღალჩინოსანი, რომლის სახელსა და გვარს შემდგომ მივაწვდი კომისიას[258]. იყო ასეთი დაკვეთა, რომ დიდი თანხის ფასად დაქირავებულიყო ქილერი ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციისთვის. შეხვედრა შედგა თბილისის ზღვაზე თენგიზ კიტოვანთან[259], რაზედაც შემთავაზებელმა თენგიზ კიტოვანისგან სასტიკი უარი მიიღო. ეს შეხვედრა შედგა 1991 წელს, სადღაც ნოემბრის ბოლოსკენ.

პრეზიდენტის დევნაზე დავალებას ღებულობენ ძალოვანი სტრუქტურების პირველი პირები, გამორიცხულია, ასეთი დავალება სხვა პირებს მიეღოთ.

მე შეხვედრა მქონდა გია გულუასთან. გია გულუამ გახსნა საიდუმლო საქმე საქართველოში ნარკოტიკების გადატანასთან დაკავშირებით. იგი ჩემთან იყო ამოსული, მე უკვე კარგა ხნის გადამდგარი ვარ და მითხრა, ასეთი ამბები ხდება საქართველოშიო და აღმიწერა ეს გზა. მერე მე ვუთხარი, შედი ახლავე შევარდნაძესთან და მოახსენე-მეთქი, იქიდან მოვდივარ, ყურიც არ დამიგდოო, მითხრა. მესამე დღეს გულუა მოკლეს.

მე სასაცილოდ მეჩვენება ქვეყნის პირველი პირის ლიკვიდაციაში 50.000 დოლარის გადახდა. ჩემზე რომ მკითხეთ, ჩემს ლიკვიდაციაში 250.000 დოლარზე იყო საუბარი, ამიტომ საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მკვლელობაში 50.000-ზე კი არა, შეიძლება ნახევარ მილიონზე იყოს საუბარი[260]."

---

254 უსაინტერესოესი ფრაზეოლოგიური დამთხვევაა — შეადარეთ ზემოთ თენგიზ სიგუას „აღსარებას"... — **თურმე შევარდნაძეს ზუსტად ერთიდაიგივე ფრაზა უთქვამს კიტოვანზე და ზ.გამსახურდიაზე**! ზ.გამსახურდიას მიმართ თურმე შესძლო აღსრულება, მაგრამ — კიტოვანის მიმართ კი ვერა... — ალბათ იმიტომ, რომ კიტოვანი ზვიადზე უფრო ჭკვიანია ☺.!.

255 აქ კომისია ვნებიანად აფიქსირებს სიგუას მიერ მას მედიაში ყურმოკრულ ჭორებს.

256 კვლავ კრიმინალისტიკის ფაქტოგრაფიისა და სტატისტიკის ამაყი უცოდინრობა.

257 საინტერესოა, რომ კოკოს კომისია დეკანოსიძის „**მეტრანახევარზე შორიდან დათვალიერების**" შედეგებზე აგებს თავის მსჯელობებს „მეორე ნატყვიარის" შესახებ — რომელსაც არც ერთი ის მოწმე, რომელსაც გვამი ხელის შეხებით აქვთ გასინჯული და უახლოეს მანძილიდან დათვალიერებული არ აღნიშნავს.

258 რა თქმა უნდა კომისიამ ეს წარმატებით დაივიწყა.

259 ძალზე საინტერესოა, რომ თავად კომისიის მიერ გამოკითხული ენთუზიასტურად გაწყობილი კიტოვანი ამ ძალზე არსებით გარემოებაზე არაფერს ამბობს!

260 სიგუას კალკულაციები „პირველი პირის ლიკვიდაციის" ღირებულების შესახებ და ამის ასახვა „საპარლამენტო" კომისიის დასკვნაში ფრიად კომერციულ პრობლემად აქცევს ტრაგედიას.

შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძის გამოკითხვიდან:

(ქ.თბილისი, 2010 წლის 4 მარტი)

“31–ში, ღამით, ვიმყოფებოდი, გვარი ზუსტად არ მახსოვს, მაგ ქალის, სახელი ლუდმილა... მაგრამ მანამდე ხდება ასეთი რაღაცა, როდესაც მივიდა იქამდე საქმე, თუ ვინ უნდა გაჰყოლოდა პრეზიდენტს, პრეზიდენტი მე მომიტრიალდა და მითხრა: შენ უნდა წამოხვიდე ჩემთან ერთადო.

სხვებზე არაფერი არ უთქვამს. გზაში თუ ვინმემ გაგვაჩერა, ახლა არ მახსოვს.

ოთახებს შორის კარი არ იყო, ერთ ოთახში იმყოფებოდნენ პრეზიდენტი და ბესარიონ გუგუშვილი, მეორეში - მე და რობინზონი, ისე რომ რობინზონი პრეზიდენტის საწოლს ნახევრად ხედავდა.

იმ დღეს ჩვენთან მოვიდა ზაურ ჩუხუა და ერთიერთზე ესაუბრა პრეზიდენტს. პრეზიდენტმა ჩუხუას წასვლის შემდეგ გვითხრა: დღეს ადრე დავიძინოთ, ხვალ ადგილი უნდა გამოვიცვალოთო.

პირველ საათსა და ორმოც წუთზე **გვესმის გასროლის, ძლიერი ხმა მე და რობინზონი ჩაცმულები წამოვხტით უცებ.** პრეზიდენტთან ლამფა ანთებული იყო. [... ხოლო ამის შემდეგ აღწერს გარდაცვლილი პრეზიდენტის მდგომარეობას საწოლში, თუ როგორ ჰქონდა პრეზიდენტს “სტეჩკინიანი” ხელი მუცელზე დადებული, ასევე დასძენს, რომ მას თავისი თვალით არ უნახავს, პრეზიდენტმა როგორ მიიბჯინა **შუბლზე**[261] იარაღი, მაგრამ მე პრეზიდენტი რა მდგომარეობაშიც ვნახე, ეს იყო კლასიკური თვითმკვლელობაო.]

მე კარგად ვაცნობიერებ, რომ “სტეჩკინი” ცხრა და ორია, მაგრამ წინა ჩვენებებში გამომძიებელი წერდა ჩემს დაკითხვას ფურცელზე პასტით, ახლა კი ნაბეჭდია და, ეტყობა, მან ჩაწერა 4-5 მმ.

პრეზიდენტის თავის ქალაზე ვნახეთ ერთი შემავალი ჭრილობა, ხოლო <u>გამომავალს ვერ ვპოულობდით</u>. სახეზე სხვადასხვა ზომის დაზიანებები არ ჰქონია, რაც დაფიქსირებულია 2004 წლის 17 თებერვლის ოქმში.

გარდაცვლილ პრეზიდენტს რომ შევხედე, არც ხელები ჰქონდა შეხვეული და არც პირი – აკრული, მხოლოდ ბალიშის ქვეშ ჰქონდა ამოდებული ბიბლია ინგლისურ ენაზე.” [...მაგრამ აქვე ბაჩუკი გვანცელაძე ეთანხმება მასპინძლის – ლუდმილა აბშილავას ჩვენებას, რომ პრეზიდენტს ბალიშის მაგიერ თავქვეშ ამოდებული ჰქონდა ოჯახის ბიბლიოთეკიდან გადმოღებული წიგნები.

ასევე აღნიშნავს, რომ მისი თანდასწრებით ნაპოვნი იქნა მასრა, მაგრამ გუგუშვილმა აიღო თუ მარგველანმა, არ ახსოვს. ასევე ამბობს, რომ პრეზიდენტს თავი შეხვეული ჰქონდა მარლით.]

იგივე მკვლელობაა, პრეზიდენტს რომ ასე აწამებენ, ასე ატარებენ, ორჯერ ენგურს გადააცურინებენ, საჭმელში რაღაცას გაურევენ და რომ მოგიტრიალდება პრეზიდენტი დაცვის წევრს და **გეტყვის, რომ ლოდი მაქვს მუცელშიო,** მე სხვას ვერაფერს ვერ დავარქმევ ამას. ეს იგივე შევარდნაძის დავალებაა და იგივე ფულია ამაში გადახდილი და ათასი უბედურება.

მე პირადად არ დამინახავს, რომ ბატონ ზვიად გამსახურდიას შუბლზე იარაღი მიებჯინა, ან, მით უმეტეს, გაესროლა, ნეტა ეგ დამენახა.

არაფერი, **იმ ადგილზე, სადაც ტყვია შესული იყო, მომწვარი ჰქონდა,** ვარსკვლავისებური ანაბეჭდი[262] არ მინახავს.

[...ბაჩუკი გვანცელაძე ამბობს, რომ პრეზიდენტს შვიდი სხვადასხვა ზომის დაზიანება და შეიძლება მეტიც, რა თქმა უნდა, ჰქონდა.]

შევარდნაძე თუ ამბობს გაზეთ “ასავალ-დასავალში”, რომ ზვიადი მოკლეს, თვითონ ყოფილა ამის შემოქმედი.”

---

261 რა შუაშია „შუბლი“?

262 ამაზე ეტყობა, რომ კოკო ამასაც თავის აკვიატებულ საყვარელ „შტანც მარკაზე“ ეკითხებოდა...

გორა კეკენაძის გამოკითხვიდან:

(ქ.თბილისი, 2010 წლის 4 მარტი)

“გაზ 24” მარკის მანქანით მოვიდნენ ძმები ჩუხუები და გვითხრეს, რომ ოჯახი, სადაც ჩვენ და პრეზიდენტი გადასვლას ვაპირებდით, ოთხ კაცზე მეტს ვერ დაიტევსო. მანქანაში ჩასხდნენ ბატონი ბესარიონი, ბატონი ზვიადი, ბაჩუკი და რობინზონი. ბატონმა ზვიადმა გვითხრა, რომ ორ საათში დაბრუნდებოდა მანქანა და ჩვენც გადაგვიყვანდა, მაგრამ ჩვენთვის არავის აღარ მოუკითხავს. 29-ში ჩვენთან მოდის ანზორ მებონია და გვეუბნება: იარაღი ჩამაბარეთ, თქვენ აღარავინ მოგაკითხავთო, რაზედაც ჩვენ, რა თქმა უნდა, არ დავთანხმდით. ამის შემდეგ, 31-ში, გამთენიისას ჩვენთან მოდის გულიკო ტიბუა, რომელსაც მივყვებით მე და ზაზა ბურჯანაძე. დაახლოებით კილომეტრ-ნახევრის გავლის შემდეგ ჩვენ ვჩერდებით, ტიბუა შედის ერთ-ერთ ოჯახში, საიდანაც გამოდის რობინზონ მარგველანი.

იგი გვეუბნება, პრეზიდენტმა თავი მოიკლაო. **მე ახლაც ვადასტურებ, რომ ნასროლი იყო ახლო ბჯენით**[263] და შემავალი ტყვიის დიამეტრი იყო 5-6 მილიმეტრი. გაურკვეველია, 9-მილიმეტრიან “სტეჩკინს” როგორ უნდა დაეტოვებინა 5x6 მილიმეტრიანი ჭრილობა?”

[...პრეზიდენტმა თავი მოიკლა თუ მოკლეს გორა კეკენაძე დუმს[264].

გორა კეკენაძის თქმით, მას ბადრი ზარანდიას ჯგუფის წევრმა ვინმე “პუშკინამ” შესთავაზა პრეზიდენტის კახეთის რეგიონში გადაყვანა და დაპირდა, რომ მათ ისეთი კაცი ჩაუჯდებოდათ მანქანაში, რომელიც უზრუნველყოფდა მათ შეუფერხებელ მგზავრობას, რაზედაც გორა კეკენაძისგან უარი მიიღო.]

ჰამლეტ გულორდავას გამოკითხვიდან:

(ქ.თბილისი, 2010 წლის 14 აპრილი)

[...ჰამლეტ გულორდავა იყო ბადრი ზარანდიას პარტიზანული ჯგუფის წევრი. 1993 წლის ნოემბერში სოფ. ოჩვინარაში შედგა შეხვედრა, რომელზედაც უნდა გადაწყვეტილიყო საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ლიკვიდაციის საკითხი. ამ შეხვედრას ესწრებოდნენ: ბადრი ზარანდია, “პუშკინა”, ბესო ხარებავა, ზურაბ შონია (ბატონი გულორდავა დამსწრეთაგან ასახელებს მხოლოდ გარდაცვლილებს[265], ხოლო ცოცხლების დასახელებისგან გადამღები ჯგუფის წინ ამ ეტაპზე უარს აცხადებს).]

“ბეჟან წურწუმია და გია ქანია არიან გია გულუას თანამშრომლები.

კენჭისყრას უშუალოდ მე არ ვესწრებოდი[266], **მაგრამ სხვა ყველა დეტალი ვიცი.** “პუშკინა” ჩემი ძმაკაცი იყო და ასევე იქ მყოფი პირები. როდესაც მათ ვკითხე, ყველამ ერთი და იგივე მითხრა. მათ ხელის აწევით დაადასტურეს თანხმობა პრეზიდენტის ლიკვიდაციაზე.

უნდა გათამაშებულიყო ორი სცენარი: პირველი ვერტმფრენის სცენარი, ვერტმფრენს რომელსაც გია გულუა მოიყვანდა და რომლითაც პრეზიდენტს ვითომ ჩეჩნეთში გადააფრენდნენ. რეალურად კი ვერტმფრენი ჰაერში უნდა აფეთქებულიყო. მეორე გეგმის მიხედვით, პრეზიდენტზე, რომელიც იმყოფებოდა მუჟავაში თენგო ქარდავასთან, უნდა განხორციელებულიყო თავდასხმა და ამგვარად მომხდარიყო მისი ლიკვიდაცია.

ეს იყო რვაკაციანი დაჯგუფება, მაგრამ შემდეგ ერთი დაბრუნდა და თქვა, ღალატიაო. **ამ შეხვედრას ესწრებოდნენ პრეზიდენტის დაცვის ორი წევრი–ვაჟა ქინჭარაული და**

---

263 ერთ–ერთი დადასტურება იმისა, რომ გამოკითხულებთან არ იყო შეთანხმებული და დაზუსტებული ტერმინოლოგია — ნასროლთან დაკავშირებით გამოთქმა „ახლო ბჯენი“ სრული უაზრობაა.

264 გაუგებარია, რატომ დაუსვეს გ.კეკენაძეს ეს შეკითხვა როდესაც ცნობილია, რომ იგი არაა თვითმხილველი და ამდენად მისი აქ მოტანილი ცნობები რაიმე ფაქტობრივ საფუძველს მოკლებულია.

265 გარდაცვლილებზე ცრუპენტელობა იოლია, ისინი ხომ თავს ვერ გაიმართლებენ.

266 კოკოს კომისიისთვის „მოხერხებული მოწმეა“ — ისევე როგორც „მოხერხებული მოწმეების“ უმეტესობას **ამასაც თითონ, საკუთარი თვალით არ უნახავს, საკუთარი ყურით არ მოუსმენია** — მაგრამ „ყველა დეტალი იცის“! „გაფუჭებული ტელეფონის“ ეფექტის კომისიის მიერ გამოყენების კიდევ ერთი ფაქტი — მონაყოლის–მონაჯორის დოკუმენტად წარმოჩენა!

ირაკლი გოგაძე[267]**,** რომელთაც ამ ოპერაციებში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. ამ შეხვედრას ესწრებოდა თენგო ქარდავა, იგივე "სმერტნიკა", ვისთანაც პრეზიდენტი იმყოფებოდა მუჟავაში. მან ამ შეხვედრასთან დაკავშირებით გააფრთხილა პრეზიდენტი, რის შემდეგაც პრეზიდენტმა ადგილსამყოფელი შეიცვალა.

პრეზიდენტის დაცვის წევრები ჭინჭარაული და გოგაძე დარჩნენ ბადრი ზარანდიას ჯგუფთან[268], რის შემდეგაც მათ მისცეს ცხენები, რათა მუხურში გადასულიყვნენ და იმერეთის ბატალიონს შეერთებოდნენ."

[ეს ხალხი, გულორდავას განაცხადით, ორივე ლიკვიდირებულია, ალბათ მუჟავაში, ან მის ახლოს მდებარე გზაზე. **არიან მოწმეებიც, რომლებიც იქ იყვნენ**[269]. ალბათ შეეშინდათ, რომ ამ შეხვედრასთან დაკავშირებით პრეზიდენტს ამბავს მიუტანდნენ. ამრიგად ბადრი ზარანდიას ჯგუფმა მისცა მათ ცხენები, რათა ისინი გასულიყვნენ წალენჯიხიდან.

ზარანდიას ჯგუფს პრეზიდენტის ლიკვიდაცია უნდა, მაგრამ ისე, რომ ამ ორს დაბრალდეს. ამ შეხვედრაზე ასევე იმყოფებოდა გენერალი გია გულუა. ჰამლეტ გულურდავას განაცხადით, როდესაც ეს დაჯგუფება წავიდა პრეზიდენტის მოსაკლავად, მათ ნახეს "სმერტნიკას" მეზობელი, უსინათლო, ხანდაზმული კაცი, რომელმაც იცოდა პრეზიდენტის ზუსტი ადგილსამყოფელი. იგი მაგრად სცემეს, მაგრამ ვერაფერი ათქმევინეს. როდესაც ეგონათ მოკვდაო, მას შემდეგ დაანებეს თავი. ამის შემდეგ დაბრუნდნენ ზუგდიდში, ტაქსოპარკთან, სადაც განლაგებული იყო უშიშროების ქვედანაყოფი და იქ ჩააბარეს იარაღი. ეს ხალხი გახლდათ ბადრი ზარანდიასა და გია გულუას თანამებრძოლები.

როგორც ჰამლეტ გულორდავამ განაცხადა, ბადრი ზარანდიას თქმით, მას პრეზიდენტის მკვლელობაში სთავაზობდნენ **ერთ მილიონ დოლარს** და საქართველოდან უსაფრთხოდ გაყვანას. მას ამას სთავაზობდნენ უშიშროების ის მაღალჩინოსნები, რომლებიც იმყოფებოდნენ ქალაქ ზუგდიდში, ტაქსოპარკის ტერიტორიაზე.]

„ბადრის ვუთხარი, ძმაო, შენ საქმეს გაგაკეთებინებენ და შემდეგ მოგიშორებენ-მეთქი.

"პუშკინას" საქმე თუა გამოძიებული? მისი მკვლელი აგერ დადის, თბილისში, საწყალი "კონგი" მოატყუეს, ხუთი კაცი მოაკვლევინეს და თხუთმეტი დააჭრევინეს ხელყუმბარით.

„**მე მოგაძებინებთ ვაჟა ჭინჭარაულისა და ირაკლი გოგაძის გვამებს**[270].

ბადრი ზარანდიას "სტეჩკინის" სისტემის პისტოლეტი აჩუქა გია გულუამ. პრეზიდენტის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც მე და ბადრი ზარანდია ვიმალებოდით, ზარანდიას თან ჰქონდა გულუას ნაჩუქარი ეს "სტეჩკინის" პისტოლეტი. გამოდის, საქმეში ფიგურირებს ორი "სტეჩკინის" სისტემის პისტოლეტი."

ქ.ფოთის უშიშროების ყოფილი უფროსის მურმან წაქაძის გამოკითხვიდან:

(ქ.ფოთი, 2010 წლის 20 აპრილი) „მე გამოვრიცხავ იმ ვერსიას, რომ პირადად მე შევხვედროდი ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებიდან ორ-სამ დღეში მისი დაცვის უფროსს რობინზონ მარგველანს. აქვე აღვნიშნავ, რომ მარგველანი არ იყო ის პიროვნება, რომელსაც ჩემი ნებართვის გარეშე ვინმე შეხვდებოდა მითუმეტეს, იმ პერიოდში. თუმცა არც ეგ არის გამორიცხული, რადგან მაშინ ჩვენ გარშემო ტრიალებდა ძალოვანი სტრუქტურის მრავალი წარმომადგენელი. ისინი ჩვენთან მოდიოდნენ, წყვეტდნენ სხვადასხვა

---

[267] ძალზე არსებითია! ამ — „ყველა დეტალი იცის"-მა — **ჭინჭარაულსა და გოგაძეს მოღალატურ შეკრებაში მონაწილეობაში სწამებს ცილს**. და, ასეთ „ყველა დეტალი იცის" მოწმეებზე აგებს კოკოს კომისია თავის „მტკიცებულებებს".

[268] აქ კი ეს მოწმე სწორს ამბობს — ჭინჭარაული და გოგაძე მართლაც დატოვა ზ.გამსახურდიამ ზარანდიას ბანაკში და ისინი მხოლოდ ზ.გამსახურდიას ჯგუფის ზედა კარვებში ასვლის შემდეგ წავიდნენ — იმერეთის ბატალიონის საპოვნელად, რომელზეც ჭორები დადიოდა: „ჯერ კიდევ იბრძვიანო".

[269] ძალზე არსებითია, რომ კომისია არ დაინტერესებულა ამ ძვირფასი მოწმეების არათუ გამოკითხვით, არამედ მათი ვინაობითაც კი.

[270] მერე? მოაძებინა? და თუ არ–ვერ მოაძებინა სიცრუისთვის პასუხი აგო?

საკითხს და იყენებდნენ შენობას. აგრეთვე დავადასტურებ, რომ 31 დეკემბრიდან 5 იანვრის ჩათვლით ფოთში არც ავთო იოსელიანი და არც რეალიზაციის ჯგუფი არ ყოფილან. გენერალი გია გულუა ჩვენთან იშვიათად მოდიოდა. ის უფრო ძირითადად პოლიციის შენობაში იმყოფებოდა. რუსეთის სასაზღვრო ჯარების ადმირალ ბალტინთან შეხვედრებს მარგიანი და გიორგაძე აწყობდნენ. შეხვედრა ოფიციოზთან ხდებოდა მალთაყვის სასტუმრო კომპლექსში, ამ შეხვედრებს რამდენჯერმე ესწრებოდნენ შევარდნაძე და მარგიანი. შეხვედრების შინაარსი არ ვიცი. მე ძირითადად ორგანიზაციული საკითხებით გახლდით დაკავებული. **ბალტინმა ფოთში 5000 - მდე ცოცხალი ძალა და ასევე დიდძალი ტექნიკა შემოიყვანა.**[271]

ჯავშნიანი მანქანები ფოთის სამხედრო პორტიდან ეკლესიის ქუჩამდე იყო ჩამწკრივებული. პრეზიდენტი გამსახურდია იმ პერიოდში ერთხელ არის ნამყოფი ფოთში, სადაც პრეფექტურაში ხალხმრავალი მიტინგი ჩაატარა. ამიტომ მის გარემოცვაზე რაიმე ინფორმაციას მე არ ვფლობდი.“

ქ.ზუგდიდის უშიშროების ყოფილი უფროსის თემურ გაბუნიას გამოკითხვიდან:

(ქ.ფოთი, 2010 წლის 20 აპრილი)

„ქ.ზუგდიდში, ტაქსოპარკის ტერიტორიაზე, იყო დისლოცირებული უშიშროების ქვედანაყოფი[272], ის ავტონომიურად მოქმედებდა და ჩვენთან კონტაქტში არ შემოსულა, მათ შორის, არც ავთო იოსელიანი და არც სხვა. ჩემთან მოსული იყო ერთ–ერთი ჯგუფის ხელმძღვანელი გენერალი გია გულუა. მამამისი ჩემი თანაკლასელი იყო და მას კარგად ვიცნობდი. მასთან ურთიერთობდა ბადრი ზარანდია. გია გულუასა და ბადრი ზარანდიას კარგი ურთიერთობა მაშინაც გამოჩნდა, როცა გადამალული იარაღის ნაწილი, რომელიც პრეზიდენტ გამსახურდიას მხარდამჭერებს ეკუთვნოდა, ზარანდიამ გია გულუას ჩაბარა. სად მოხდა ეს, არ ვიცი, მაგრამ ეს რომ ნამდვილად ასე იყო, ცნობილი ფაქტია. ამის შემდეგ პრეზიდენტი გამსახურდია, როდესაც აღმოჩნდა სოფ. მუჟავაში, გია გულუამ აღნიშნულთან დაკავშირებით, მიიღო ინფორმაცია. როდესაც პრეზიდენტი გამსახურდია გადის მუჟავადან, მაშინ შედის იქ გულუას ხალხი. შემდეგ ის პიროვნება, ვის ოჯახშიც იმყოფებოდა პრეზიდენტი გამსახურდია, მიიყვანეს პოლიციაში და მას შეურაცხყოფაც მიაყენეს. შემდგომ მე ვალიკო ზარანდიაც დავიცავი, როცა მას შეურაცხყოფდნენ. საქმე ის იყო, რომ პრეზიდენტ გამსახურდიას ხალხს ბადრი ზარანდია უკვე ეჭვქვეშ ჰყავდათ, ამიტომ მათ მიაცემინეს გამსახურდიას ზარანდიასათვის დავალება, ხოლო თვითონ გადაადგილდნენ სხვა რაიონში. შემდეგ იყო ასეთი ფაქტი, როდესაც დამირეკა ავთანდილ იოსელიანმა და მითხრა, რომ თუ ხმა მიმიწვდებოდა[273] პრეზიდენტ გამსახურდიასათვის მეთქვა, რომ აჭარაში გადასულიყო, რადგან იოსელიანის განაცხადით, აქ ცუდი ვითარება იყო შექმნილი. ეს ხდებოდა დაახლოებით დეკემბერში. ჩემი სამსახური ინფორმაციას ითხოვდა, თუ რა ხდებოდა რეგიონში და მეც ყოველივეს გადავცემდი ცენტრალურ აპარატს. პრეზიდენტის გარემოცვა თავიდან სულ რაღაც 25 კაცისგან შედგებოდა. ეს ყოველივე შესანიშნავად იცის წალენჯიხის ყოფილმა მერმა ზურა გუჩუამ. ვისაც ამ საქმეში ხელი ერია, არც ერთი აღარ არის ცოცხალი. ღმერთი ხედავს ყველაფერს.

პრეზიდენტი და მისი პირადი დაცვა ფრთხილად გადაადგილდებოდნენ, რომ არ გაშიფრულიყვნენ. **დაგიდასტურებთ რუსეთის სპეცრაზმის “ლეტუჩი მიშ”–ის ზუგდიდში ყოფ-**

---

271 კომისიის „სანდო მოწმეთა“ არაინფორმირებულობის ტიპობრივი მაგალითი – ბალტინის ძალები თითქმის ზუსტად ორჯერ ნაკლები იყო, ვიდრეს ეს „თვითმხილველი“ აცხადებს. რა ფასი აქვს ასეთ „ჩვენებებს“?

272 ნიშანდობლივია, რომ კომისია არ დაინტერესებულია ამ ქვეგანაყოფის დისლოცირების საწყისი და საბოლოო თარიღებით.

273 აქედან გარკვევით ჩანს, რომ ა.იოსელიანმა რომელისაც ვითომც ზ.გამსახურდიას გარემოცვაში არაერთი აგენტი ჰყავდა, სინამდვილეში არც ასეთი აგენტები ჰყავდა და არც ზ.გამსახურდიას ადგილმდებარეობა არ იცოდა.

ნას. ეს ჯგუფი რიცხობრივად ბევრი არ იყო, მაგრამ საკმაოდ მობილური იყო[274]. პრეზიდენტის **დაღუპვა შევიტყვე 31–ში შუადღისთვის [275].**"

ჯონსონ კვარაცხელიას გამოკითხვიდან:

(ქ.ზუგდიდი, სოფელი ჯიხაშკარი. 2010 წლის 27 მაისი)

"მოგახსენებთ, რომ 1993 წლის 20 დეკემბერს ჩემთან მოვიდა გუჯუჯი ებრალიძე, რომელსაც, მისივე თხოვნით, ჩემთან სახლში უნდა მოეყვანა, ისე, რომ არავის გაეგო პრეზიდენტი მის თანმხლებ რამდენიმე პირთან ერთად. 22 დეკემბერს, დაახლოებით 5–6 საათისთვის[276] ვახო ზარანდიამ თავისი მანქანით[277] მოიყვანა პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, ბესარიონ გუგუშვილი, რობინზონ მარგველანი, ბაჩუკი გვანცელაძე, ზაზა ბურჯანაძე და გორა კეკენაძე. სახლში აღნიშნულ პირებს წინ ვახო ზარანდია მოუძღვოდათ. ჩემთან, შინ, გუჯუჯი ებრალიძეც დახვდათ. პრეზიდენტსა და მის გარემოცვასთან შემდეგ დღეებში **მოდიოდნენ გუჯუჯი ებრალიძე და ვახტანგ ზარანდია.** პრეზიდენტისა და მისი თანმხლები პირების ჩემთან ყოფნის დროს მოხდა ასეთი ფაქტი – **ვახტანგ ზარანდია დააკავეს თუ ჩაბარდა სამართალდამცავ ორგანოებს.** ზუსტად ვერ გეტყვით, ასევე **დააკავეს თუ თვითონვე ჩაბარდა გუჯუჯი ებრალიძეც,** რომლის მეზობლად ცხოვრობდა მისივე ახლობელი, აფხაზეთის უშიშროების თანამშრომელი ვინმე მხეიძე. ებრალიძე მხეიძემ დაკავებისთანავე გამოაშვებინა და მიიყვანა თავის სახლში. ყოველივე ამის შემდეგ იგი მეოთხე დღეს მოვიდა ჩემთან, სახლში, და მკითხა, პრეზიდენტი აქ არისო? იგი პრეზიდენტს ესაუბრა და აღნიშნულთან დაკავშირებით ყველაფერი უამბო. კიდევ მოვიდნენ ძმები ანატოლი და ზაურ ჩუხუები, რომლებსაც მოჰყვა მურმან ჯიქია. მე ისინი სახლში არ შემოვიპატიჟე, მაგრამ ჩუხუამ განაცხადა, რომ ვიცი, შინ ვინც გყავს და თუ რამე დაგჭირდათ, ჩვენ აქ ვართო. ეს ყოველივე ხდება 28–ში პრეზიდენტმა და თანმხლებმა პირებმა ჩემთან სულ ექვსი დღე დაჰყვეს. ისინი 28–ში წავიდნენ **დაახლოებით 6 სთ–ზე[278]**. ამას იმიტომ ვიხსენებ, რომ ხალხი ჩანდა ჯერ კიდევ მინდორზე, როდესაც გადაადგილდებოდნენ, 6 საათი ჯერ კიდევ არ იქნებოდა[279]. პრეზიდენტს არაფრით არ უნდოდა წასვლა, იგი ოთახებში ბოლთას სცემდა. ბოლოს მითხრა: მაგდებ, ბიჭო, სახლიდანო? რაზედაც ვუპასუხე, სახლი სულ არ მჭირდება, თქვენ გქონდეთ, მაგრამ **ეს თქვენი ხალხია, რაღაც დადის და ყვირის, <u>სულ შპიონებით იყო სავსე აქაურობა</u>[280]**. ღმერთი მეგონა დაცვის ბიჭები, ღმერთები კი არა, არ ვიცი, ვინ არიან და რა არიან. პრეზიდენტი რომ წავიდა, მოწესრიგებული იყო, გაუპარსავი იყო, მაგრამ ძალიან დიდი წვერიც არ ჰქონ-

---

274 ამასთან არაა მითითებული სად იყო ეს რუსული საბრძოლო ჯგუფი განლაგებული და კონკრეტულად სად, რა დროს ნახა მოწმემ იგი, გააჩნია თუ არა მას სხვა დამადასტურებელი ფაქტები, დოკუმენტები ან მოწმეები.

275 ეს „მოწმე" ცრუობს! ნიშანდობლივია, რომ კომისია მას არ ეკითხება და არ ინტერესდება თუ სად, საიდან, ვისგან, რა გზით გაიგო ამ „მოწმემ" ზ.გამსახურდიას დაღუპვის შესახებ. ასეთ მნიშვნელოვანი ინფორმაციაზე უშიშროების უფროსს რაიმე ოფიციალური რეაგირება უნდა მოეხდინა — რომელიც დოკუმენტურად დაფიქსირებულიც უნდა იყოს (რატომ არ ასახელებს) ან თუნდაც მოწმეს? **კომისია არც კი სთხოვს — როგორც პრაქტიკულად ყველა სხვა შემთხვევაში — რაიმე დამადასტურებელს, სამტკიცებელს.**

276 დილის? საღამოს?

277 აქ ჯ.კვარაცხელიას მეხსიერება ღალატობს — ვ.ზარანდიას უაზ–ი შუა გზაზე ტალახში მოსრიალდა და ხევში ჩაცურდა — ამდენად, კვარაცხელიას სახლამდე საკმაო მანძილი, ჯიხას ციხის გავლით სვენებ–სვენებით და ნელ–ნელა ფეხით გავიარეთ. — ასეთი უზუსტობები ტიპობრივია კომისიის დოკუმენტში.

278 დილის? საღამოს? კომისია, რომელიც მოწმეებისგან სკურპულეზულ სიზუსტეს მოითხოვს, დასკვნით დოკუმენტში და დაკითხვა–გამოკითხვებში სავსებითაც არ ინტერესდება დღე–ღამის რომელ ნაწილში მოხდა ესა თუ ის მოვლენა.

279 კვარაცხელიას ეს ნაამბობი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ კომისიის მოწმეები დროის აღსაწერად საათის, რადიოს, ტელევიზიის ან სვა რაიმე დროის საზომ ინსტრუმენტს კი არ იყენებენ, არამედ — მოსაზრებითი შეფასებებით კმაყოფილდებიან...

280 სიტუაციის სახლის პატრონის მიერ ასეთი აღწერისა და ასეთი ჩვენების მერე კომისია მიიჩნევს, რომ **ზ.გამსახურდია აქ „გამოზამთრებას აპირებდა"**.

და. **პრეზიდენტმა მითხრა, რომ კოლიტი ჰქონდა**[281] და მაწონს ჭამდა ხშირად სხვა საჭმელთან შედარებით. ერიდებოდა ხორცეულს. დაცვის თანამშრომლები ზომიერად სვამდნენ, პრეზიდენტის გადასაყვანად ჩემთან სახლში მოვიდა ზაურ ჩუხუა, მანქანა ქვევით იყო გაჩერებული, მანქანით ანატოლი, მისი ძმა, ელოდებოდა სასაფლაოებთან. ზაურ ჩუხუას მოსვლამდე პრეზიდენტის გადაყვანაზე სხვა ოჯახში საუბარი არ ყოფილა. ზაურმა თქვა, გუჯუჯი ებრალიძემ გამომგზავნა, ეს ადგილი გაცემული არის და პრეზიდენტი უნდა გადავიდეს აქედანო. ამას შეიძლება დავუმატო, რომ ჩემთან სახლში ყოფნის მეორე დღეს, როდესაც პურის საყიდლად წავედი, გუჯუჯის ნათესავმა მითხრა, მომილოცავს, სტუმრები გყოლიაო. **პრეზიდენტის ადგილსამყოფელი უკვე ადრევე იყო გაცემული.** ჩუხუამ იმდენი ილაქუცა, ესენი აქედან უნდა წავიყვანო და ისეთი ადგილი მოვნახე, კაცი ახლო არ ცხოვრობს და შეძლებთ გარკვეული დროით გარეთ გამოსვლასო, მაგრამ როგორც გავიგე, ის სახლი ქუჩასავითაა, წინ მეზობელი ცხოვრობს, გვერდით მეზობელია. აქ თქვეს შემდეგ გუგუშვილმა და მარგველანმა, გარეთ დღისით ვერ გავდიოდითო. მაგრამ მათ გაკეთებული ჰქონდათ მეორე დღესვე, რაც უნდოდათ. 30 დაღამდა, 31 არ იყო გათენებული, <u>საათზე არ დამიხედავს მაგრამ დილის სამი საათი იქნებოდა</u>[282]. გულიკო ტიბუა მოვიდა და დაცვის ორი ბიჭი, რომლებიც ჩემთან იყვნენ დარჩენილები, ბურჯანაძე და კეკენაძე უნდა წავიყვანოო. შუა ეზომდე რომ მივედით, გაცილებისას ტიბუამ წყნარად მითხრა, პრეზიდენტმა თავი მოიკლაო. მეორე დილას იმ კაცმა, რომელმაც მომილოცა, სტუმრები გყოლიაო, მომისამძიმრა პრეზიდენტის გარდაცვალება. პრეზიდენტის გადაყვანის შემდეგ ჩემთან მოვიდა მებობნია, რომელთანაც ბურჯანაძესა და კეკენაძეს შეკამათება და ჩხუბი მოუვიდათ. პრეზიდენტის გადმოსვენება ჩემთან არავის შეუთანხმებია. იგი პირდაპირ მოასვენეს. მებობნია მანამდე ჩემთან არასდროს ყოფილა. ჩემთან მოვიდა ზურაბ გუჩუაც, მე არ ვიცი, საიდან გაიგო გარდაცვლილი პრეზიდენტის ადგილსამყოფელი. პრეზიდენტის გასაპატიოსნებლად მე მივეცი საპარსი. მათ ვედროში ჩაასხეს წყალი, დაამატეს არაყი და ისე წმენდდნენ პრეზიდენტის სხეულს. **პრეზიდენტს აპატიოსნებდნენ ბურჯანაძე და გვანცელაძე,** ხოლო მარგველანი და კეკენაძე საფლავს თხრიდნენ. პრეზიდენტს აქ **მოვუყვანეთ ექიმი ჯალაღონია და გავუკეთეთ ბალზამირება. ექიმმა მითხრა, ეს კაცი მოწამლულია, სანამ მოკლავდნენო**[283]**, იმიტომ რომ კაცი რომ მოკვდება, შეშდება, მის სხეულს კი თავისუფლად უმოძრავებდა ყველაფერი.** პრეზიდენტისა და მისი გარემოცვის ჩემთან ყოფნის დროს, რობინზონს ვიღაც კვარაცხელია აკითხავდა, ვითომ რაღაც გეგმას ამუშავებდნენ, თბილისს რომ დასცემოდნენ, თვითმფრინავებიც გვყავს და ყველაფერიცო. მგონი, ეგ კვარაცხელია ლეკუხორადან იყო. პრეზიდენტის სასახლისთვის ფიცრები მე მქონდა სახლში. პრეზიდენტი ჩემს ეზოში დაკრძალეს. პრეზიდენტი რვაში გადაასვენეს. რვაში გუჯუჯიმ და ვიღაცებმა აურზაური ატეხეს, მოიტაცებენ, უნდა გადავასვენოთო. აფხაზეთის უშიშროების თანამშრომელმა გია მხეიძემ კი გამომიძახა და მითხრა, მეც მოგეხმარებით გადასვენებაშიო. მხეიძესთან გუჯუჯი ებრალიძეც იყო და მის სახლში იმალებოდა. პრეზიდენტი მოყვანის დღესვე დავასაფლავეთ, იმავე საღამოს მარგველანმა ხუთას-ხუთასი დოლარი ამოიღო, მისცა გვანცელაძესა და ბურჯანაძეს და გროზნოში გააგზავნა. რობინზონს ჰქონდა ასდოლარიანები, ბევრი. ჩემს ბავშვსაც აჩუქა. რობინზონ მარგველანი ჩემთან 1996 წელს მოვიდა, მაგის დატოვებული პისტოლეტი იყო "სტეჩკინი". ოცი მაკაროვის ტყვია ჰქონდა, ერთი აკლდა, ჩემმა ბიჭმა დათვალა. რობინზონმა თვითონ დამალა მიწაში "სტეჩკინი" ბეჭედთან ერთად. აპრილში ჩემი ბიჭი ჩამოვიდა რუსეთიდან, იგი ჯარში მსახურობდა და კარგად ესმის იარაღი. ამოვთხარეთ იმიტომ, რომ <u>**არ დაუანგებულიყო**</u>**. რობინზონი 2000 წელს სამჯერ მოვიდა ჩემთან, მას არ მოსწონდა, რომ არ დავუბრუნე პირადად მას "სტეჩკინი", რომელიც ქუდთან,**

---

281 უტყუარი და უცილობელი ნიშანი იმისა, რომ **ზ.გამსახურდია ავადმყოფობდა**.

282 ესეც ტიპობრივია: „საათზე არ დამიხედავს მაგრამ დილის სამი საათი იქნებოდა". და — ასეთია კომისიის მიერ მოვლენათა დროითი ასპექტების დადგენის ზოგადი წესი!

283 ეს კიდევ ერთი მინიშნება იმაზე, რომ ზ.გამსახურდია ავადმყოფობდა — რის უარყოფასაც დაჟინებით ცდილობს კომისია — მოწამვლა განა ავადმყოფობა არ არის?

სვიტრთან და <u>**რაღაცებთან ერთად**</u> **მანანას გავუგზავნე**[284], მაგრამ რობინზონი იარაღს და ბეჭედს ითხოვდა. მემუქრებოდა, გადაგბუგავო და ერთ ამბავში იყო. მანანამ კი მითხრა, რომ ნახავ, <u>ააორთქლეო</u>[285]. **იარაღი მანანას გავუგზავნე ზუგდიდის მოსამართლე <u>ნატო აკობიას</u> და სკოლის დირექტორი <u>ანზორ გვაჯიას</u> ხელით**[286]."

კარლო ღურწკაიას გამოკითხვიდან:

(ქ.ზუგდიდი, 2010 წლის 27 მაისი)

"1993 წლის 24 დეკემბერს ჩემთან მოვიდნენ ძმები ზაურ და ანატოლი ჩუხუები და მთხოვეს, რომ ოთხი კაცი შემენახა, რომლებიც მათი განაცხადით, დეპუტატები იყვნენ. 1993 წლის 27 დეკემბერს თეთრი "24"–ით მოვიდნენ ჩემთან, მე შევხვდი მეგრული სტუმართმოყვარეობით, შევეგებე ქიშკართან და შემოვიპატიჟე სახლში. იქნებოდა დაახლოებით 22 საათი და 15 წუთი. მკითხეს, მეგრული ხომ იცითო? სითბო გაქვსო? საჭმელი მზად გვქონდა, მაგრამ არაფერი არ უჭამიათ. პრეზიდენტმა მითხრა, მაჩვენეთ ჩემი საწოლი ოთახიო. მან ყველა ოთახი შემოიარა და დაწვა. შემოსვლისას ხელკეტი ეკავა. ჰქონდა ოდნავ მოზრდილი წვერი. შავი მაღალძირიანი ფეხსაცმელი ეცვა, ტანზე ნაბდის მაგვარი სამოსი ჰქონდა მოსხმული. მე იგი ტელევიზორში მყავდა ნანახი. <u>თავზე ქუდი ეხურა, ჩეჩნებს რომ ახურიათ ფაფახი</u>. მეუღლემ საწოლი გაუშალა. მასთან ყოველდღე ზაური და ანატოლი ჩუხუები მოდიოდნენ. სტუმრები სახლის შიდა კიბიდან ადიოდნენ მეორე სართულზე. დარაბები და კარები სახლის შიდა მხრიდან იყო დაკეტილი. **პრეზიდენტი საჭმელს არ ღებულობდა.** ეს ამბავი მოხდა ოცდაათში. პრეზიდენტმა ჩაი მოითხოვა. ჩაი დაულევია, რის შემდეგაც დავწექით დასაძინებლად. ასე, პირველის ნახევარი იყო, როცა მეუღლემ გამაღვიძა რაღაც წაიქცა ზევითო. იმ წუთში ფეხზე ავდექი, ბიჭებმა მორთეს ყვირილი, კარლო ბიძია, ამოდი ჩქარა, ჩქარაო. ვერც ჩავიცვი, ისე ავირბინე. პრეზიდენტმა თავი მოიკლაო. მერე რა ვიცი, იმ მომენტში გული გამისკდა ლამის. ბიჭებმა მითხრეს, შენ გააპატიოსნეო. მივედი, მაგრამ ხელებმა კანკალი დამიწყო, გავასწორე, შევალამაზე, **თავი მიყუდებული ჰქონდა საწოლის დაფასთან,** იარაღი მე არ მინახავს. გადმოვაბრუნე და საფეთქლიდან სისხლი მოსდიოდა. **კეფის მარცხენა მხარეს თითი შემივარდა, ორი თითი.** პრეზიდენტს **თმები ოდნავ ჰქონდა საფეთქელთან შეტრუსული**[287]. მე არ მინახავს არაფერი, არც იარაღი და არც მასრა. **სისხლიანი ბალიში მე მქონდა შენახული, ის თბილისში წაიღეს, ასევე საწოლის დაფაც, რომელიც ამოტეხილი იყო.** პრეზიდენტს ხელები და სახე მე ავუკარი. გარდაცვალების შემდეგ მე წავედი და მოვიყვანე ძმები ჩუხუები. რობინზონს ჩემი შვილი ნუკრი გაჰყვა. ჩუხუების გარდა, იმავე ღამეს ჩემთან მოვიდა წალენჯიხის პრეფექტი ზურაბ გუჩუა და ანზორ მებონია, ორ დაცვის ბიჭთან ერთად. ოცდათერთმეტში, გვიან ღამით, გადაასვენეს პრეზიდენტი. დაცვის ბიჭები სულ სახლში იყვნენ. ჩვენთან სახლში არავინ არ შემოსულაო, ამბობდნენ დაცვის ბიჭები. პრეზიდენტის ცხედარი "სეტკა-ლეჟანკაზე", ორ ლეიბზე ესვენა და ისე გადაასვენეს. პრეზიდენტი პირველ იანვარს გადაასვენეს. დაცვის ორი ბიჭი როდესაც მოვიდა, მათ ჩემთან სახლში დახვდათ ანზორ მებონია და მათ შორის ჩხუბი მოხდა. პრეზიდენტი პირველ იანვარს გადაასვენეს ჩემი სახლიდან. რამდენიმე წლის შემდეგ ჩემთან პროკურატურიდან დასაკითხად მოვიდა ვინმე ძაგნიძე."

---

284 ნიშანდობლივია, რომ „რაღაცეებით" კომისია სულაც არ დაინტერესებულა... აგრეთვე – კიდევ დასტური იმისა, რომ თანმხლებები შეეცადნენ ზ.გამსახურდიას ნივთები შეძლებისდაგვარად გადაერჩინათ და შეენახათ. და – კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ გამოძიებისთვის საკვანძო ნივთმტკიცებები მანანა არჩვაძეს აქვს მიტაცებული!

285 **მარგველანის მოკვლა** დაუვალებია კვარაცხელიასათვის **არჩვაძეს – და ვითომც არაფერი?**

286 ფრიად ნიშანდობლივია, რომ არაარსებით წვრილმანებში მოკირკიტე კომისიამ, რომლის ყველა დასკვნაში დიდი აუიოტაუია იმის თაობაზე თუ „სად გაქრა იარაღი" რომლითაც თვითმკვლელობა მოხდა – არ დაინტერესდა, არ იპოვა და არ გამოჰკითხა **ნ.აკობია** და **ა.გვაჯია**

287 კვლავ ძალზე ახლო მანძილიდან ნასროლის დადასტურება.

ექსპერტ–პათოლოგანატომების ლევან ჩაჩუასა და ზაზა ოქრუაშვილის გამოკითხვიდან[288]:

(ქ.თბილისი, 2010 წლის 24 მაისი)

ლევან ჩაჩუა: უბრალოდ, შეგვახედეს, სასახლეს თავი ახადეს და რისი დანახვაც შევძელით ახლო მანძილიდან, მხოლოდ ეს იყო.

ზაზა ოქრუაშვილი: ესეც დიდი ძალისხმევით.

ლევან ჩაჩუა: ამის საფუძველზე შეიქმნა ის აქტი. **დათვალიერების აქტში წერია, რომ თავის ქალაში ტყვიის შემავალი ხვრელი არის 6,3 მმ (სმ?)**. დიახ, ასეა, ხელით ვერ შევეხე გვამს. ჩეჩნეთის წარმომადგენელი იანდარბიევი გვიწევდა წინააღმდეგობას. მათ ასევე წინააღმდეგობა გაუწიეს საგამოძიებო ორგანოებს. ანზორ ბალუაშვილმა უთხრა, დაგიჭერ ახლავეო, რის გამოც გაგიუდა, აქ მე სამთავრობო დონეზე ვარ ჩამოსულიო. სენაკში, აეროპორტში, პრეზიდენტის სასახლეს სულ რაღაც მაქსიმუმ ათი წუთი მოხადეს თავი და მაშინ დავათვალიერეთ. ხელის შეხების საშუალება არ მოგვცეს, თითით მოსინჯვის უფლებაც კი არ მოგვცეს. ჟურნალისტებს არ მისცეს გადაღების საშუალება. ყველაფერი ხუთ წუთში დამთავრდა. რაც ვნახეთ, ამოვკრიფეთ უცბად და გადმოვიტანეთ ქაღალდზე. ეს ოქმი არის იმ ქმედების ამსახველი, რაც მოხდა იმ დღეს, მაგრამ ერთ-ერთ მონაკვეთში შეტანილია გვამის გარეგნული დათვალიერება. რაც ვნახეთ, **ეს არ ყოფილა სრული დათვალიერება**[289], მთელ ოქმზე რაც დავწერეთ, იმაზე მოვაწერეთ ხელი, რისი დაწერის შესაძლებლობაც მოგვეცა. **საფეთქლის მიდამოში აღენიშნებოდა დაახლოებით, 0,6 მმ-0,7 მმ (სმ?) დიამეტრის მქონე მოშავო ფერის უბანი, აქ მეტი არაფერზეა ლაპარაკი. <u>ამ კვლევით ჩვენ ამას შემავალ ჭრილობას ვერ დავარქმევთ.</u>** ის რაც დავწერეთ, ის დავადგინეთ, მეტი ვერაფერი. 0,6 მმ-0,7 მმ (სმ?), რაც ჩაწერილია ოქმში, **შეიძლება თვალის ზომით 0,9 მმ (სმ?) ყოფილიყო. მე არ გამოვრიცხავ, რომ ამხელა ცდომილებაც ყოფილიყო.** ქსოვილი შენარჩუნებული იყო თავის ქალაზე, მე არ ვიცი, ცხედარს ჰქონდა თუ არა ბალზამირება გაკეთებული. როგორც წესი, თუ შემურვა იყო ჩატარებული, 0,9-დიამეტრიანი შეიძლება გაზომო და 0,7-ც იყოს, კლებადობისკენ წავა, თუ პროცესი განადგურებისკენ არ წავიდა და ხრწნა არ დაიწყო. შეიძლება შეჭმუხვნა მომხდარიყო ქსოვილის შემურვის გამო. ასეთი დაზიანების ოვალური ფორმის უბანი აღენიშნება მარცხენა ყვრიმალის უკანა ნაწილში საფეთქლის თმოვან ნაწილთან ახლოს. როდესაც ამას იკვლევ ჩვეულებრივად, უამრავი პარამეტრია, ტერფის ძირიდან დაშორებით დაწყებული და ა.შ.. ეს ორივე ჭრილობა რომ შეადარო და თქვა, ეს ორივე ჭრილობა ერთი იარაღითაა მიყენებული, ამისთვის აუცილებლად უნდა გაზომო, როგორც ერთი, ისე მეორე ტერფის ძირიდან და ამის მიხედვით შეგიძლია თქვა, რომ ან ზევიდან ქვევით იყო გასროლა, ან პირიქით. <u>ჩვენ არ მოგვცემია არანაირი საშუალება, რომ გაგვეზომა</u>, ასეთ დროს დაზიანება იზომება ტერფის ძირიდან მისი დაშორებით. ამოსვენებისას კუბო დაზიანებული არ ყოფილა. ამდენი ხნის შემდეგ ძვლები არ დაიშლებოდა, უბრალოდ დაცალკევდებოდა და რბილი ქსოვილები განადგურდებოდა. ძვლები რა მდგომარეობაში იყო, ჩვენ არ გვიწერია, როსტოვის დასკვნაში თუ წერია, რომ 9 ნეკნია გატეხილი, თუ რაიმე ფიზიკური ზემოქმედება არ მოხდებოდა, ეს არავითარ შემთხვევაში არ იქნებოდა. დაზიანებები რაც აღნიშნულია ოქმში, ამას ჩვენ დაზიანებებს ვერ დავარქმევთ, **მე ვერც იმას დავარქმევ დაზიანებას, ცეცხლსასროლი იარაღით რაც არის მიყენებული, რადგან მხოლოდ გარეგნული, ისიც ვიზუალური დათვალიერებით იმის თქმა, რომ ეს ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული დაზიანებაა, ასე არ ხდება.** აუცილებლად უნდა გამოიკვლიო ყველა შრე, ნახო, ძვლებზე რა ხდება და თავის ტვინზე რა ხდება. ყურის რაღაც ნაწილი მოწყვეტილი რომ ყოფილიყო, ამის შესახებ აუცილებლად დავწერდით. 48 საათის შემდეგ გაშეშების მოხსნა იწყება. ორი საათის მერე იწყება საღეჭი კუნთებიდან გაშეშება, ხოლო მოხსნა თეორიულად იწყება 24 საათში, ანუ რა პოზაშიც დაფიქსირდა სხეულის თუ კიდურის გაშეშება, იმ პოზაშივე დარჩება. 48 საათის შემდეგ იწყება მოხსნა და 72 საათის

---

288 პრაქტიკულად ეს ექსპერტები კოკოს კომისიის ყველა „აღმოჩენას“ აბათილებენ.

289 ნიშანდობლივია — „ეს არ ყოფილა სრული დათვალიერება“ — და ასეც იყო — ხოლო კომისია ამ ხალხისგან ითხოვს და შემდგომ სავსებით სარწმუნო წყაროდ, მამტკიცებელ დოკუმენტად იყენებს და ავრცელებს.

შემდეგ გაშეშება ისევ უნდა მოიხსნას. დიახ, ზუსტად ასე წერია სახელმძღვანელოებში, რომ იწყება 48 საათის შემდეგ და მთავრდება 72 საათის შემდეგ. თუ ადგილი ჰქონდა მიბჯენით სროლას, სულ არ არის საჭირო, იარაღი იყოს დამუხტული. ფუჭი მუხტიც კი საშინელებას ახდენს. თუ იქნება 3000 ატმოსფეროზე მეტი გარე წნევა, გამოკვლეულია, ჩვეულებრივად იარაღებში გარე წნევა გასროლის დროს, თუ გასროლა მოხდა მიბჯენით, საერთოდ საშინელებას ახდენს თავის არეში. **ჩვენ აქ რაც დავწერეთ, პრაქტიკულად დიდი ღირებულება არა აქვს. ჩვენ არ მოგვეცა საშუალება, რაღაც იოტისოდენი სინათლე შეგვეტანა[290], თუნდაც გარეგნული დათვალიერებით.** თავის უკანა ნაწილში ქრილობა ძვალმაც შეიძლება მიაყენოს, შეიძლება ძვალმაც გაანგრიოს. გვამის ცნობადობა აშკარა იყო, ლურჯი პიჯაკი ეცვა, სათვალე ედო და ფეხსაცმელები გვერდზე ელაგა, კარგად მახსოვს. გვამის ბალზამირებას რაც შეეხება, გააჩნია, ვინ როგორ აკეთებს, კლასიკურად და წესიერად კეთდება ბარძაყის არტერიიდან, როცა მთელი სხეულის მოვლა ხდება ამ წამლით, მაგრამ ამ შემთხვევაში არ უნდა იყოს მთლიანობა დარღვეული. თუ როსტოვის ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია 9 ნეკნის მოტეხილობა, მაშინ უნდა იყოს ფიზიკური ზემოქმედება. ასევე **თავის ქალის სამ ნაწილად დაშლა[291], ეს არ არის ბუნებრივი, არამედ ცალსახად ფიზიკური ზემოქმედების შედეგი უნდა იყოს. ნლებს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს.** ყურის ზედა ნაწილის მოწყვეტას რაც შეეხება, რომ მენახა, აუცილებლად მივუთითებდი ოქმში.

ზაზა ბურჭანაძის გამოკითხვიდან:

(ქ.თბილისი, 2010 წლის 14 აპრილი)

“პრეზიდენტმა ჯონსონ კვარაცხელიას სახლი დატოვა 27 დეკემბერს, გვიან ღამით, როდესაც დაწყებული იყო უკვე 28 რიცხვი, ანუ იყო უკვე 28. საათი თორმეტს იყო გადაცილებული. ჩემი და კეკენაძის დარჩენა ჯიხაშკარში უბრალოდ სპონტანურად მოხდა. მოვიდნენ ძმები, ზაურ და ანატოლი ჩუხუები ავტომანქანა “გაზ–24”–ით. მე და გონა კეკენაძე საბარგულშიც კი ვსხდებოდით, მაგრამ ზვიადმა არ ქნა, არ არის საჭიროო და გვითხრეს, საქმეებს რომ მოვაგვარებთ, თქვენს წასაყვანად დავბრუნდებითო. გზაში პიკეტები არისო. მანძილი ჯიხაშკარიდან ხიბულამდე რაღაც 4–5 კილომეტრია. ჯონსონ კვარაცხელია ჩუხუებს კარგად იცნობდა. ჩვენ არავინ არ გაგვიგზავნია ხიბულაში და იმედი გვქონდა, რომ მოგვაკითხავდნენ. პრეზიდენტის გადასვლის შემდეგ ჩვენთან გამოაგზავნეს ანზორ მებონია, რომელმაც მე და გონას განგვიცხადა: იარაღი ჩამაბარეთ და მე გაგაცილებთ სენაკამდეო, რაზედაც ჩვენ უარი განვუცხადეთ. მერე ის კაცი ხიბულაში მოვიდა, სადაც უკვე გარდაცვლილი პრეზიდენტი ესვენა. ყოველივე ამის გამო, მე მას ფიზიკური შეურაცხყოფა მივაყენე. მებონიას ზურაბ გუჩუაც მოჰყვა. გამოდის, რომ მებონიასთან ერთად გუჩუამაც იცოდა პრეზიდენტის გარდაცვალება და მე არ ვიცოდი. 31 დეკემბერს ჯონსონ კვარაცხელიას სახლში მოდის გულიკო ტიბუა, რომელიც გვეუბნება, რომ რობინზონი გელოდებათ და წავიდეთ ერთი პიროვნების სახლშიო. ჩვენ მალევე მივედით, იმ უცხო სახლში შედის გულიკო ტიბუა, რის შემდეგაც რობინზონი გამოვიდა. მარგველანი როდესაც გამოვიდა, გვითხრა, პრეზიდენტმა თავი მოიკლაო. ეს ხდება, როდესაც 31 დეკემბერი თენდება. ჩვენ რომ იქ მივედით, უკვე დილის ექვსი საათი იყო. აქვე გეტყვით, რომ მე გზაში არც ერთი პიკეტი არ მინახავს. ჩუხუები ბევრ რამეს იტყუებიან. ღურწკაიების სახლში რომ მივედით, პრეზიდენტის საწოლთან იარაღი იდო. გარდაცვლილ პრეზიდენტს ჩემი ნაჩუქარი პულოვერი ეცვა, პიჯაკი არ სცმია. პირი აკრული. ჰქონდა ქრილობა შეხვეული არ ჰქონდა. მე გავპარსე და მე დავბანე მთლიანად ტანი, მე გავაპატიოსნე. **ორი ნატყვიარი ჰქონდა თავის ქალაში - ერთი შემავალი და მეორე მხრიდან გამომავალი,** ყური მრგვლად ჰქონდა მოწყვეტილი, ანუ ნახევარმთვარესავით იყო. სხვა არავითარი დაზიანება არ მინახავს. ტყვია შესული იყო შუა საფეთქელში. მე არასოდეს არ მიფიქრია, რომ მან თავი მოიკლა, თუმცა, არ ვიცი, ვერ გეტყვით. “სტეჩ-

---

290 ნამდვილად „იოტისოდენა სინათლეც“ კი ვერ შეიტანეს კომისიის ამ ძვირფასმა გამოკითხულებმა...

291 საინტერესოა როგორ ახსნიდა კოკოს კომისია თავის ასეთი დაზიანებების ოჯახის მიერ შეუმჩნევლობას თუნდაც გროზნიში გადასვენებისას?

კინი” პრეზიდენტს ერთმა ჩვენმა გვარდიელმა აჩუქა. გულუას თავისი იარაღი ჰქონდა, ეს სხვა “სტეჩკინია”. გასროლის ხმა არავის არ გაუგია, მე ვფიქრობ, მათ იქ ეძინათ და რაც მოხდა არავის არ გაუგია. **პრეზიდენტს მუცელი აწუხებდა,** მაგრამ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მყარად გამოიყურებოდა. გაპატიოსნების შემდეგ ახალი შარვალ–კოსტუმი პრეზიდენტს გუჯუჯი ებრალიძემ მოუტანა.”

რომეო კუჭუხიძის გამოკითხვიდან:

(ქ.თბილისი, 2010 წლის 14 აპრილი)

“გვანცელაძემ როდესაც მითხრა, პრეზიდენტმა თავი მოიკლაო და ხელში “სტეჩკინი” ექჭირაო, მე ვუთხარი, ამხელა იარაღი როგორ, თქვენ სად იყავით-მეთქი. მან თქვა, რომ **ჩაეძინა, რადგან ჩუხუების მოტანილი წითელი ღვინო დალია**[292]. პრეზიდენტმაც ცოტა მოსვაო. მან მე მაჩვენა პრეზიდენტის შარვალ–კოსტუმი, რომელიც უკვე გაწმენდილი იყო და არავითარი კვალი არ ეტყობოდა. ღვინო არ დაულევია მხოლოდ ბესარიონ გუგუშვილს. **არის კაცი, რომელსაც მეტსახელად “სმერტნიკა” ჰქვია, გვარად ქარდავა. მან მითხრა, რომ ბატონ პრეზიდენტს ყველას მიტოვება უნდოდა, მათ შორის, გუგუშვილისაც, რადგან იმდენი ღალატი ნახა. მას უთხრა, შეგიძლია, საღამოს ორი ცხენი მოიყვანოო და ჩვენ ავორთქლდეთო**[293]**. როდესაც ქარდავამ ჰკითხა, ბესარიონს რა ვუყოთო, არა მარტო მე და შენო.** ამ დროს მუშავაში გამოდის შონია, “პუშკინა”, და ეუბნება “სმერტნიკას”, შენ არ იცი, რომ პრეზიდენტთან საუბარი მარტო ბადრი ზარანდიას შეუძლიაო. ეს ლაპარაკი შედგა მას შემდეგ, მთებში რომ ავიდნენ, როდესაც ბადრი ზარანდიამ იარაღი ჩაადბარა. მე ბათუმში შემხვდა ბაჩუკი გვანცელაძე და მაჩვენა რაღაცები. მას შემდეგ დაიწყო საუბარი, რომ ვითომ პრეზიდენტის პირადი ნივთებიდან რაღაცები გაქრაო. პრეზიდენტის ყვითელი ფერის დღიური, მე მეჭირა ხელში. მასში ეწერა გოეთეს სტატიები, გერმანული არ ვიცი, მაგრამ ქართულადაც ჰქონდა ჩანაწერები. გამოდის, რომ გვანცელაძეს პრეზიდენტის პირადი ნივთები გროზნოში არ წაუღია.”

ვალტერ შურღაიას[294] გამოკითხვიდან [295]:

(ქ.თბილისი, 2010 წლის 25 მაისის) “**მე მჯერა, რომ პრეზიდენტი თავს არ მოიკლავდა.** პრეზიდენტმა დამიბარა 1993 წლის 31 დეკემბერს, ახალი წლის ღამეს და აღმორნდა, რომ 30-ში პრეზიდენტმა თავი მოიკლა. რა, პრეზიდენტი მე მიბარებდა თვითმკვლელობის მოწმედ? მასთან ჩემს შეხვედრას ბლოკავდა მისი დაცვის უფროსი მარგველანი. მე და ჩემი თანამებრძოლი მიშა დადიანი მივედით ჯიხაშკარში, მივედით დათქმულ ადგილას, სადაც ტრაქტორი დაგვხვდა, და მარგველანს უნდა წავეყვანეთ პრეზიდენტთან. მე მითხრეს 28-29-ში, რომ 31 ში მივსულიყავი დათქმულ ადგილას; მაგრამ ჩემთან მოსული მარგველანი მეუბნება, რომ პრეზიდენტი თავს შეუძლოდ გრძნობს და შეხვედრა არ შედგებაო. მე არ ვიცოდი, იმ დროს პრეზიდენტი ზუსტად სად იმყოფებოდა. შემდეგ როგორც გავიგე, სადაც მარგველანი მე შემხვდა, იქედან პრეზიდენტი კილომეტრ-ნახევარში ყოფილა. შემდეგ გავიგე, რომ პრეზიდენტი გადაუსვენებიათ წითელი ტრაქტორით, რომლითაც მარგველანი იყო მოსული. ჩემთვის დღესაც გაუგებარია, როგორ უნდა

---

292 დაცვის „მიძინების“ კიდევ ერთი შემოქმედებითი ფანტაზია.

293 ამ მონათხრობიდან გამოდის, რომ აღნიშნულმა ქარდავამ ზ.გამსახურდიას უღალატა და მისი შველის თხოვნა ურეაქციოდ დატოვა — მეტიც, არც არავის გაანდო, აცნობა რომ ზ.გამსახურდიას შველა და დახმარება სჭირდებოდა. ნიშანდობლივია ასეთი ტიპის ჯორიჯნულ–ქვენაარზებიანი და არასანდო ინფორმაციის ფართო გამოყენება კომისიის მიერ.

294 ეს შურღაია ცნობილი პროვოკატორი, ფალსიფიკატორი, აფერისტი და მეზღაპრეა. იგი ერთ–ერთი იდეოლოგი და გავლენის აგენტი იყო ზ.გამსახურდიას აფხაზეთში ორჯერადი ევაკუაციისა. აქვე, ქვემოთაა ვ.ზარანდიას ჩვენება, რომ გამსახურდიამ შურღაიას არ ენდობოდა და მის მიღებაზე უარი განაცხადა.

295 „— მე ჩემს მოსისხლე მტერსაც არ ვუსურვებ იმ მდგომარეობაში ყოფნას, როგორშიც ბესარიონი და რობინზონი არიან! თუ მართლები არიან და ამდენი ხნის მანძილზე ასეთი მოთმინებით იტანენ ამდენ ცილისწამებასა და ბრალდებას, მართლა საშინელებაა! მაგრამ“... (ვ.შურღაიას ინტერვიუ გაზ. „ასავალ–დასავალს“, 26 მარტი 2012)

გაწმინდოს, გაპოხოს და შეინახოს დაცვის უფროსმა "სტეჩკინის" იარაღი[296]. პირველი იყო თუ ორი, ვერ გეტყვით, ზაურ ქობალიამ გამომიგზავნა კაცი, რომელმაც მითხრა, პრეზიდენტი დაიღუპაო. არსებობდა ვინმე ჯერო ჯიქია, გადამდგარი მილიციის პოლკოვნიკი, რომელსაც ზვიადის გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე რობინზონ მარგველანმა "სტეჩკინის" სისტემის პისტოლეტი მიუტანა და უთხრა, ეს არის პრეზიდენტის "სტეჩკინი" და შემინახეო, არავის არ მისცე, შემდეგ გამოგართმევო. ჯიქიამ იარაღი გამოართვა და შეინახა. ამის შემდეგ გადის დრო და ჯიქია, როდესაც იგებს, პრეზიდენტმა თავი "სტეჩკინით" მოიკლაო, არ იჯერებს, რადგან "სტეჩკინი" მას ჰქონდა შენახული თავისთან. იგი ახალსოფლელი იყო.

კომისიაზე მყოფი ერთ-ერთი მოწმის განაცხადით დასტურდება "სტეჩკინის" წარმომავლობა და ადგილსამყოფელი. მე და ზაურ ქობალია, როდესაც დაგვაპატიმრეს, იმ წუთში გაგვაქანეს სენაკში, სადაც გველოდებოდა სპეციალური თვითმფრინავი. ტრაპთან იდგნენ კვირაია და უშიშროების მინისტრის მოადგილე იოსელიანი. გია გულუა ამოვიდა თვითმფრინავში და პირდაპირ გვითხრა, მე რომ ადრე გამეხსნა ეს ამბავი, უფრო ადრე დამთავრდებოდა ეს საქმეო. მე ამას ირიბ აღიარებას ვეძახი. თვითმფრინავ "ЯК-40", როდესაც ამოვარდა გია გულუა, შოთა კვირაიამ დაუძახა, ხელი არ დაარტყაო, ხელს არ დავარტყამო და გვაგინებდა უშვერი სიტყვებით. შემდეგ გია გულუა, მე როგორც ვიცი, მისულა მეუღლესთან და უთქვამს, მე ისეთი რაღაც ჩავიდინე, არ მაცოცხლებენო. არის პოლიტიკოსი ზვიად ძიძიგური, რომელსაც კამერაში ბადრი ზარანდიამ მოუყვა, რომ ჩემი ბავშვი ტყვედ ჰყავდათ აყვანილიო და იქ შეიქმნა ჯგუფი და დაისვა საკითხი, თუ ვინ იყო ზვიადის განადგურების მომხრე. ერთ კაცს ხომ ვერ გადავაყოლებთ საქართველოსო. ყველამ ასწია ხელი და მეც ავწიე ხელიო. მაგრამ ზარანდია თავს იმით იმართლებს, რომ ზვიადს შეუთვალა, რომ პრეზიდენტი მას არ ნდობოდა, მეორე მხრივ, ფეხდაფეხ მისდევდა ზვიადს და მზად იყო ეს საქმე გაეკეთებინა, მაგრამ მას ეს შანსი არ მიეცა. ზარანდია მთელი თავისი ჯგუფით მონაწილეობდა დევნაში. ასევე გეტყვით, რომ აფხაზეთის უშიშროების თანამშრომელი მხეიძე ზვიადის **მკვლელობამდე** კაი ხნით ადრე, მივიდა გუჯუჯი ებრალიძესთან, უთხრა მას, მე გავაკეთებ ისე, რომ შენ არავინ არ შეგეხება და პასუხს არავინ მოგთხოვსო. მიჰყავს მხეიძეს გუჯუჯი ებრალიძე ფოთის უშიშროებაში და 3-4 საათი ამყოფებენ იქ. გუჯუჯი იქიდან გამოდის და ხდება სხვა პიროვნება, თავისი მოქცევითა და ლაპარაკით, თავისი აგრესიით. ეს იმას ნიშნავს, რომ გუჯუჯი გადაიბირეს. რის შემდეგაც ხდება სოფლის გამგებელი. მე მყავს ხალხი, რომელმაც ბევრი რამ იცის, ის კი არა, აქ რაღაც მეორეხარისხოვან რაღაცებს რომ ჰყვებიან. დავუშვათ, იმავე "სტეჩკინზე" უარესი ფაქტები ვიცით, მაგრამ დაგვიცავს სახელმწიფო? მკვლელი როცა მიხვდება, რომ მას დაადგები, მოწმესაც მოკლავს. იციან, მკვლელი ვინ არის. მე ვამბობ, რომ პრეზიდენტი მოკლულია და ვინ არის ამის ჩამდენი, ეს იცის ერთ-ერთმა ჩემმა თანამებრძოლმა. როდესაც სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება, მე მაშინვე შეგახვედრებთ ამ ადამიანს."

სოსო თორიას გამოკითხვიდან:

(ქ.თბილისი, 2010 წლის 25 მაისი)

"პრეზიდენტი როდესაც გროზნოში გადაასვენეს, მე იქ ვიმყოფებოდი. მსგავსს რამეს, რომ კუბოს ახდის დროს მარგველანს რამე იარაღი ამოეღო, მე გამოვრიცხავ. მარგველანი გროზნოში "სტეჩკინით" დადიოდა თუ არა, მე ვერ გეტყვით, რადგან იგი ჩვენთან არ ცხოვრობდა. პრეზიდენტის გარდაცვალებაზე მარგველანთან როდესაც გვქონდა საუბარი, მან იმდენი წინააღმდეგობრივი რამ მოჰყვა, რომ კითხვის დასმა აღარ მინდოდა. მე მაშინვე გამიჩნდა ეჭვი, რომ ისინი რაღაცას მალავდნენ. პირველი შეკითხვა ასეთი დავუსვი: თუ ასეთი პრობლემები და სიტუაცია იყო, რატომ კაცი არ გამოაგზავნეთ-მეთქი, ხომ იცოდით, რომ ჩვენ ნებისმიერი შემთხვევისთვის მზად ვიყავით? მე ვიცოდი, რომ ბატონი ზვიადი გროზნოში არ დაბრუნდებოდა, მისი ხასიათიდან გამომდინარე. იგი ამა-

[296] ზემოთაა ჯ.კვარაცხელიას მონათხრობი, რომ გადამალული ნივთებიდან რაც კი არ იყო დაკონსერვებული ყველაფერი დაიუანგა და გაფუჭდა. ეს ასაბუთებს შენახვისას დაკონსერვების აუცილებლობას.

ყი კაცი იყო და დამარცხებული გროზნოში არ დაბრუნდებოდა. ამას ის სიკვდილს ამჯობინებდა. მე პრეზიდენტმა ზუგდიდში ჩამოსვლის მეორე დღესვე უკან გამაგზავნა, 25-ში გადავფრინდი უკან. პრეზიდენტს ვესაუბრებოდი რადიოსადგურის მეშვეობით. პრეზიდენტს არ უთქვამს, ჩამოდითო. ამაზე მინიშნებაც კი არ ყოფილა. მე ვკითხე დაცვის თანამშრომლებს, გუგუშვილს, მარგველანს, კეკენაძეს, თუ თქვენ როგორ ჩამოხვედით-მეთქი აქ, თუ მაშინდელი ხელისუფლების დახმარება და ნება არ იყო?. მე მოგახსენებთ, ჩემი ინტერვიუდან, ტყვიის მეორე გასროლასთან დაკავშირებით. პრეზიდენტი როდესაც გროზნოში გადმოასვენეს, გადავასვენეთ გროზნოს პროზექტურაში. იქ **დავიბარეთ პათოლოგანატომი.** პროზექტურაში მე თვითონ გავაპატიოსნე და დავბანე[297]. შემავალი ჭრილობა იყო საფეთქელთან და ყელთან კვალი იყო, რომელიც ნატყვიარს ჰგავდა. ამის გარშემო, შემავალი ნახვრეტივით იყო. კისერთან, ჭრილობების გარშემო ჩალურჯებული იყო, **მერე პათოლოგანატომმა დააფიქსირა, რომ მცირე კალიბრით არის ნასროლიო**[298]. პათანატომმა აიღო რუსულად "შუნტს" რომ ეძახიან და ფრთხილად შეიყვანა ხვრელში. იგი თავისუფლად შევიდა. ამით დაამტკიცა, რომ ნატყვიარი შემავალი იყო. გამომავალზე არ გასულა. ყოველ შემთხვევაში ამის თაობაზე არ უწერია. ქვემოთ, ქვედა ტრამვა, იმდენად წვრილი იყო, რომ პათოლოგანატომმა თქვა, ეს პატარა კალიბრის ტყვიააო. ჩვენი ვარაუდით, გამოსავალი უკან იყო, იქ, სადაც ფუძის ძვალია. ხელი მოვკიდე და იქ უკვე იყო დამახინჯებული, მოვსინჯე ისე ფრთხილად, რომ არ დაგვეზიანებინა. ტყვიის შემავალი ტრაექტორია არის ზემოდან ქვემოთ. "სტეჩკინი" ცოტა გრძელი იარაღია და სპეციალურად თუ გინდა, მაშინ შეიძლება გააკეთო ეს ტრაექტორია; მაგრამ ადამიანი როცა თავს იკლავს, ზემოდან ქვემოთ უნდა დაიჭირო "სტეჩკინი", თანაც ისე, თმები არ უნდა შეეტრუსოს. **რატომ არ არის თმები შეტრუსული**[299], ალი ხომ გამოდის "სტეჩკინიდან"? დენთის ნამცეცები როგორც ნახშირი ისე შედის და რჩება ქსოვილში და ჭრილობის გარშემო. ეს ნამცეცები დაფიქსირებული არ იყო. პრეზიდენტს შელურჯებული ჰქონდა ნეკნებთან და ფეხებთან, შელურჯებული ჰქონდა ფრჩხილები."[300]

ბატალიონ ჯიხას უფროსის ვახტანგ ზარანდიას გამოკითხვიდან:

(ქ.თბილისი, 2010 წლის 9 ივნისი)

"1993 წელს, როდესაც ჩვენი ნაწილები უკან იხევდნენ, მომეცა შესაძლებლობა და პრეზიდენტს შევხვდი სოფელ ჩქვალერში. ეს იყო 1993 წლის აპრილში. პრეზიდენტის დაცვის უფროსი რობინზონ მარგველანი შემხვდა და მითხრა, პრეზიდენტი წასული არისო, როგორც შემდგომ გავარკვიე, პრეზიდენტი სოფ. მუჟავას მთებში მწყემსებთან, კარვებში, ყოფილა ასული. იქ დამხვდა გუჯუჯი ებრალიძე, რომელმაც მოახსენა პრეზიდენტ გამსახურდიას, რომ ასაკის გამო აღარ შეუძლია ბატალიონის ხელმძღვანელობა და მე დამნიშნეს ბატალიონის უფროსად. პრეზიდენტს თუ ვინმესთან დაკავშირება უნდა, მე მაგზავნიდა ყველგან. მოგახსენებთ, რომ მუჟავაში განთავსებული იყო ბადრი ზარანდიას ჯგუფი, იქვე იყო "შოშიას", დათო ხაზალიას, ჯგუფიც. ბადრი ზარანდიასთან იმყოფებოდა ზურაბ შონია (პუშკინა). ბადრი ზარანდიამ მითხრა: ზუგდიდში შემოყვანილია ოთხ-

---

[297] ეს ცრუპენტელა სხვას არავის ასახელებს, ვითომც მარტო იყო როდესაც ზ.გამსახურდია დაიბანა და გაპატიოსნდა და ნიშანდობლივია, რომ კომისიაც არ ეკითხება სხვა დამსწრეთა შესახებ.

[298] ქრონიკული მატყუარას მორიგი სიცრუე, რომელიც ამხელს თვით მას და რომელიც არაფრით დადასტურდა როსტოვის ექსპერტიზის დასკვნაშიც. ამავე დროს ნიშანდობლივია, რომ ეს ცრუპენტელაც ვერ ასახელებს რომელიმე სანდო და შემოწმებად მოწმეს. და, თუ ასეთი რამ მართლაც შენიშნა, რატომ არ შეტყობინა ქვრივს და შვილებს? ან ვის შეატყობინა საერთოდ? დამალა?

[299] თორიას ცრუპენტელობას მისი ეს გამონათქვამი ბრწყინვალედ ასაბუთებს! ქვემოთ იხილეთ ფოტო სურათები სადაც დეტალურად მოჩანს, რომ შესასვლელი ხვრელის გარშემო თმებიც შეტრუსულ-დამწვარია და კანიც გარუჯული!

[300] კოკოს კომისიის ტიპობრივი ცრუპენტელა „მოწმე" — სატელევიზიო ინტერვიუში, რომელიც კოკოს კომისიას მეორე შუალედურ დასკვნაში მოწმის რანგში გაჰყავს ეს სუბიექტი ხელის დადებით უჩვენებს, რომ ტყვიის ყელში შემავალი ხვრელი კეფაში დიდი გამოტეხილით გამოდიოდაო — რაც ვერაფრით ვერ მოხდება თუ ტყვიამ ძალზე არსებითად არ დაღეწა კისრის მალები და რაც არ არის დადასტურებული არც როსტოვის ექსპერტიზის დასკვნაში. იხ. ვიდეო DVD-ზე:
Video/crupentelebi_sharadze_da_toria.flv

მოცკაციანი სპეცდანიშნულების რაზმი, თუ საიდან, მან არ იცოდა. ფაქტობრივი ხელისუფლება ბადრი ზარანდიას იარაღისა და ტექნიკის ჩაბარებას თხოვდა, მან ამის შესახებ მკითხა, თუ როგორ მოქცეულიყო. ჩვენ ლაპარაკის საშუალებას არ გვაძლევდა ჩემთვის უცნობი ოთხი პირი. როგორც შემდგომ გავარკვიე, ისინი გენერალ გია გულუას ხალხი იყო. ხელით რაც შეეძელი, წამოვიღე ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი. მე და შონია მივედით პრეზიდენტთან და ყოველივე ზემოაღნიშნული მოვახსენეთ. იქ გადაწყდა, რომ პრეზიდენტს მე გადავიყვანდი დასამალად, რადგან ბადრი ზარანდია, მოსალოდნელი იყო, თავის დაჯგუფებას დაშლიდა, მის გარშემო ყველგან შევარდნაძის ხალხი იყო. ერთი კვირა პრეზიდენტი მე უნდა გადამემალა, შემდეგ კი გზები გამოჩნდებოდა. ამ საუბარს ესწრებოდა გუჩუაც. შეხვედრა დავნიშნეთ ჯაჭვის ხიდთან, სოფ. ლიასთან.

მე წამოვედი, გზაში შემხვდა ზუგდიდის პოლიციის თანამშრომელი გია ჭანია. მან გამომკითხა, თუ სად ვიყავი და სად მივდიოდი. პრეზიდენტი თავისი დაცვით წამოსულა სოფ.ობუჯში, ანზორ მებონიას სახლში. შემდეგ პრეზიდენტმა გამოაგზავნა კაცი და შემომითვალა, რომ უნდა გადამეყვანა სხვა სახლში. პრეზიდენტმა გამომკითხა ახალი სახლის მდებარეობა. ამ დროისთვის პრეზიდენტი სრულიად ჯანმრთელია. როდესაც მივედით ჯონსონ კვარაცხელიას სახლში, იქ სუფრა უკვე გაშლილი იყო. გუჯუჯი ებრალიძეც იქ დაგვხვდა. დავლიეთ და დავშორდით. აქვე მოგახსენებთ, რომ ბადრი ზარანდიას დაჯგუფებაში შედიოდნენ: შონია (მოადგილე), ხარებავა, ჭანია, ბეუან წურწუმია, ძმები სარიები[301]. აქვე ავღვნიშნავ, რომ მოსკოვში შევხვდი "პუშკინას" (შონიას) და გამოვთქვი მასთან პრეტენზია, თუ რატომ დაადასტურეს მან და ბადრი ზარანდიამ ხელის აწევით წინადადება პრეზიდენტის ლიკვიდაციაზე. შონიამ მაშინ ყველაფერი ბ.ზარანდიას გადაბრალა. მაშინ ზარანდია უკვე ციხეში იყო. მან ის გამოიყვანა ცუდი. ამის შემდეგ "პუშკინა" მოკლეს სამეგრელოში. ვერ მოვახერხე მათი შეხვედრა. ზარანდია თავს იმით იმართლებდა, რომ ხელი ავწიე, მაგრამ პრეზიდენტი გავაფრთხილეო. ასევე მოგახსენებთ, გია ჭანია ზუგდიდის პოლიციის თანამშრომელი იყო და გენერალ გია გულუასთან თანამშრომლობდა. ასევე გოჩა და გია სარიებიც გია გულუასთან უშუალოდ თანამშრომლობდნენ. ერთ-ერთი გულუას სიძე იყო. ბადრი ზარანდია როდესაც დაიჭრა, მაშინ ჩვენი დაჯგუფებები ტყეში იყვნენ გაბნეული. ზარანდიას საავადმყოფოში ყოფნის დროს გადავწყვიტეთ მისი საავადმყოფოდან გამოხსნა. შევადგინეთ გეგმა. მეომრების გარდა უნდა ყოფილიყვნენ ძმები სარიები. ჩვენთან ერთად იყო ასევე "პუშკინა" (შონია). ოპერაცია შევათანხმეთ, დავგეგმეთ, რის შემდეგადაც სარიები იძახიან: ოპერაცია თუ ჩაიშალა, ვიცით, ბადრი რომელ ოთახშიც არის და ხელყუმბარები უნდა შევაგდოთ და მოვკლათო. მე ამაზე უარი განვაცხადე, ჩვენი მეომარია და ჩვენივე ხელით რატომ უნდა მოვკლათო. მაგრამ ისინი ამტკიცებდნენ, ბადრიმ ისეთი რაღაცეები იცის, ყველაფერს ათქმევინებენ და ამისთვის საჭიროა მისი სიკვდილიო. ისე, ერთი წელიწადია, რაც ძმები სარიები არ მინახავს, მე ქუთაისის ციხეში დავტოვე ისინი. მათი დედაც ციხეშია. ისინი სასჯელს ნარკოტიკების გასაღებისათვის იხდიან. სარიების ბებია ცხოვრობს სოფ. ჯაღრაში. მათ ვალტერ შურღაიასთან შეხვედრა დამინიშნეს თავიანთი ბებიის სახლში. პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია იმყოფება სოფ. ჯაღრაში, მებონიას ოჯახში. **ვალტერ შურღაიას ვუთხარი, თუ პრეზიდენტი დამთანხმდება შეხვედრაზე, კი, ბატონო-მეთქი.** შურღაიასა და სარიებს ეგონათ, რომ პრეზიდენტი მუჟავაში იყო. მათ გოჩა ოთხოზორია გამომაყოლეს. **პრეზიდენტმა შეხვედრაზე უარი თქვა**[302].

გოჩა ოთხოზორიამ შემომატარა მთელი ქალაქი და შემდეგ თვითონ პირდაპირ მილიციაში შევიდა. ნახევარი საათის მერე ერთი თხუთმეტი კაცი გამოვიდა და დამიჭირეს. მერე მისულან ჯონსონის სახლში და უთქვამთ, ეს კაცი რომ დაიჭირეს, შეიძლება ათქმევინონო. ბატონ ზვიადს უთქვამს, ის ბიჭი არ გამყიდისო და ხუთი დღე კიდევ დარჩა იმ ოჯახში. მე კი შვიდი თვე ვიჯექი ციხეში. ჩუხუები ჩემს ბატალიონში ირიცხებოდნენ, დიდი მეგობრობა ჰქონდა ჩუხუას ზარანდიასთან, ზარანდიას-ჭანიასთან, ჭანიას-სარიასთან

---

301 საინტერესოა „დაჯგუფება" რომელშიც 5-6 ან თუნდაც 10-12 მებრძოლი შედიოდა.

302 ნამდვილად ასე იყო და ზ.გამსახურდიამ უარი თქვა პროვოკატორ ვ.შურღაიასთან შეხვედრაზე მისდამი უნდობლობის საფუძველზე.

და სარიები გულუას დიდი მეგობრები იყვნენ. პრეზიდენტი და მისი გარემოცვა ჯიხაშკარიდან ხიბულაში ჩუხუებმა გადაიყვანეს. შემდეგ მე მივედი მათთან და ვუთხარი: ცოცხალი კაცის დამალვა უფრო ძნელია, ვიდრე მიცვალებულის და კარგია, თუკი თავი მოიკლა?! რატომ გადმოასვენეთ გაყიდულ ჯონსონ კვარაცხელიას სახლში-მეთქი. იმასაც ვიტყვი, რომ ცხედარი ჯონსონის სახლში რომ გადამალეს, იქ გია მხეიძე მუშაობდა. ის გუჯუჯის ნათესავი იყო. მან დაატერორა მოხუცი კაცი, რომ ვითომ სია ჰქონდა ნანახი, რომელშიც გუჯუჯი ებრალიძის ცოლ-შვილი შეტანილი იყო, როგორც დასახვრეტი ხალხი. ბოლოს ჯონსონი მივიდა მხეიძესთან და უთხრა, რომ ცხედარი მასთან იყო. გ.მხეიძემ განუცხადა, რომ თუ მას გადასცემდა ცხედარს, ის (ანუ მხეიძე) დიდ თანამდებობას მიიღებდა და მათი (ანუ ჯონსონის და გუჯუჯის) დაცვაც არ გაუჭირდებოდა. ის და გუჯუჯი ებრალიძე ჯონსონს ეუბნებოდნენ, დამალვას აზრი არა აქვს, უნდა მოგვცეთ ცხედარიო.

ყოველივე ამის შემდეგ ჩვენი მებრძოლი მამია ხაცავა მიდის გულიკო ტიბუასთან და ეუბნება, გუჯუჯი ებრალიძის და გია მხეიძის საქციელი მე არ მომწონსო, რის შემდეგაც ბიჭებთან ერთად ჯონსონის სახლიდან მოიპარეს ცხედარი და ზარანდიას სახლში გადამალეს. მხეიძე ამ დროს თბილისში წამოსულა და ედუარდისთვის მოუხსენებია ყოველივე. მხეიძემ შევარდნაძეს პირობა მისცა: ვიცი, პრეზიდენტი სადაც არის და ან ცოცხალს მოგიყვან ან მკვდარსო. მაშინ ზუგდიდისკენ ჟურნალისტების კოლონებმა დაიწყეს სვლა. როდესაც ვერ მონახეს, გაბრაზებული მხეიძე ჩემთან კამერაში შემოვიდა. როდესაც ჩემგან პასუხი ვერ მიიღო, შემდგომ ის და თავისი მოაზრეები ცხედარს ყველა სასაფლაოზე ეძებდნენ. გუგუშვილი და მარგველანი ყოველივე ამას თვალს ადევნებდნენ ანდრიას სახლიდან.

პრეზიდენტის დაცვაზე მოგახსენებთ: აბსოლუტურად არაფერს არ აკეთებდნენ, ისინი რომ არ ყოფილიყვნენ, **ჩვენ უკეთესად დავიცავდით**[303]. მათ მეგრული არ იცოდნენ, ქართულად ლაპარაკობდნენ და ზედმეტ ყურადღებას იქცევდნენ, კონტაქტები არ ჰქონდათ, ამიტომ მათ არავინ დაეხმარებოდა. მისულა ჩემთვის უცნობი პიროვნება და გაუფრთხილებია ჩემი ხალხი, ბადრი ზარანდიას არ ენდოთო. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ვკითხე, როგორ მოვქცეულიყავით, რადგან **ჩვენს ხალხზე ნადირობდნენ,** იყო შეტაკებები და **მასობრივი დაჭერები,** მან მითხრა, ორი თვე თავი შეინარჩუნეთ, ფორმაში მოდით, ჩემი შვილიც ჩამოვა[304], გვერდში ამოგიდგებათ და შემდეგ შეიქმნება სამხედრო საბჭოო; უნდა დავმორჩილებოდით ბოკუჩავას, იგი ლოთის მოადგილე იყო. **სამხედრო საბჭოში მოვიაზრებოდით**[305]: ვახო კვარაცხელია, რაფო კვარაცხელია, შუქრი ჯომიდავა, რომეო კუჭუხიძე, გოჩა ნაჭყებია და მე, ვახტანგ ზარანდია. იყო პრეზიდენტის ბრძანება, რომლის თანახმადაც უფროსობიდან დაწყებული პურის დამრიგებლით დამთავრებული ყველა განთავისუფლებული იყო.

მუჟავაში შონია მეუბნება, რომ პრეზიდენტს ვერტმფრენით გროზნოში წასვლა შევთავაზეთ, რაზედაც უარი მივიღეთ, რადგან საჰაერო სივრცეს რუსები აკონტროლებენ და ჩამომაგდებენო. მაგრამ თუ თავის მოკვლა უნდოდა, რატომ არ გარისკა? თუ ერთი კვირით წაიყვანეს პრეზიდენტი, ორ დღეში მან რატომ მოიკლა თავი? ეს ჩემთვის გაუგებარია. მე ერთი რამ ვიცი: **პრეზიდენტი სიკვდილს არ აპირებდა,** პირიქით. სიკვდილი რომ დაეპირებინა, გვეტყოდა, იარაღი ჩააბარეთო და ახალი საბჭოს შექმნას არ დაიწყებდა. პიკეტებს მაშინ მთავრობისა და მხედრიონის ბინძური სამსახურები აყენებდნენ, ჯონსონ კვარაცხელიას სახლიდან კარლო ღურწკაიას სახლამდე სამი ან ოთხი კილომეტრია. ასევე ვერ მოგახსენებთ, დღის შუქზე გასულები როგორ მივიდნენ თერთმეტ საათზე ღუ-

---

303 ამასთან არ ასახელებს, ვინ არიან ეს „ჩვენ“, რათა ისინიც გამოიკითხონ აღნიშნულის შესაძლებლობა–ზე – პირობებში, როდესაც „ჩვენს ხალხზე ნადირობდნენ, იყო შეტაკებები და მასობრივი დაჭერები“. მასობრივად დაჭერილები დაიცავდნენ უკეთესად?

304 ნეტა რომელ მამაც **მამისიმედ** შვილზე საუბრობდა ზ.გამსახურდია? — ნუთუ მამაცი კოკო ჰყავდა მხედველობაში — თუმცა ესეც ალბათ პოპულარული მეგრული ხალხური ფოლკლორის ნაწილია.

305 ფრიად ნიშანდობლივია — თუ რატომ არ შესთავაზა ზ.გამსახურდიას დაცვით უკმაყოფილო ვ.ზარანდიამ ზ.გამსახურდიას რეალისტური, დასაბუთებული მასალით დაცვის შეცვლა ან განახლება და თუ ასეთი რამ შესთავაზა – რა პასუხი მიიღო. ამ ვახო ზარანდიას ძლიერი მანია გრანდიოზა დაემართა ეტყობა და თავი ერთ–ერთ მხედართმთავრად წარმოიდგინა — ბევრს დაუზიანდა ფსიქიკა იმ უმძიმეს სიტუაციაში.

რწკაიას სახლში. ამ დროისთვის ყველა დაჯგუფება ტყეში იყო გასული. ბადრი ზარანდიას ხალხი იარაღის ჩაბარების შემდეგ დაიშალა და ყველა თავის რაიონში წავიდა.

პრეზიდენტ გამსახურდიაზე "სტეჩკინის" სისტემის იარაღი არ მინახავს. პრეზიდენტის ავადმყოფობასა და შეუძლოდ ყოფნას გამოვრიცხავ. შეიძლება თვითონ გუგუშვილი იყო ცუდად რაღაც უმი ხორცი უჭამია, როგორც თვითონ თქვა.

ბესარიონი და დაცვის წევრები სვამდნენ, ქეიფობდნენ, დროს ატარებდნენ პრეზიდენტის გარდაცვალების შემდეგ, მთელს სოფელს ხორცი არ უჭამია, ისინი კი მიირთმევდნენ[306].

გუჯუჯი ებრალიძეს მე იმაში ვამტყუნებ, რომ დათანხმდა ჯონსონ კვარაცხელიასთან ერთად პრეზიდენტის ცხედრის გადაცემაზე. **ჯონსონი ტყუის, როდესაც ამბობს, რომ პრეზიდენტი ჩემთან აპირებდა გამოზამთრებასო**[307].

ზურაბ გუჩუამ იცოდა, რომ პრეზიდენტი ჯონსონის სახლში იყო.

უბრალოდ, იტყუებიან, როდესაც ხმას ავრცელებენ, წერილი დატოვაო. მე რომ მოვთხოვე წერილი, რაღაც ლექსები გამომიტანეს. იგრძნობოდა მიზანმიმართული წნეხი, რათა ხალხი პრეზიდენტის თვითმკვლელობაში დაერწმუნებინათ. თავისუფლად შეეძლოთ შესულიყვნენ ღურწკაიას სახლში და ემოქმედათ. ბადრი ზარანდიამ გავლენა რუსების ჯარების განდევნის დროს მოიპოვა, როდესაც მან იარაღები იგდო ხელთ. თვით ლოთისაც კი ეშინოდა, არ დამიპირისპირდესო. ამიტომ ეგ კომენდანტად დანიშნეს და ჩუხუა მაკონტროლებლად დაუნიშნეს. სამთავრობო ძალებთან შეიძლებოდა ეთანამშრომლათ: შურღაიას, ოთხოზორიას და ბატალიონების უფროსებს. აშკარა იყო, რომ გულუას ხალხი დასდევდა და ეძებდა პრეზიდენტს[308]. ღურწკაიას სახლში თავისუფლად შეეძლოთ შესვლა: ზარანდიას, შონიას, სარიებს, ჭანიას. კიდევ მინდა ვთქვა, რომ ყველაფერი ეპატია ჭანიას. მან ფეხბურთის სტადიონზე სამასი კაცის წინაშე დახვრიტა ბესო კუტალია."

---

306 ვ.ზარანდიას მონათხრობი ასახავს, თუ **რაოდენ მძიმე იყო, თუნდაც ეკონომიკური თვალსაზრისით (ფიზიკურ საშიშროება რომ არც გავითვალისწინოთ), ზ.გამსახურდიას ჯგუფის (მაქსიმუმ 10–12 ადამიანის, საშუალოდ კი 6–7 ადამიანის) მოვლა-გამოკვება იმ სოფლებისთვის (ცალკეულ ოჯახებს რომ თავი დავანებოთ) რომლებსაც ისინი ეკედლებოდნენ**: ამ შემთხვევაში ვ.ზარანდია ჩივის, რომ მთელი სოფლის საჭმელი ბ.გუგუშვილს და ზ.გამსახურდიას სამ დარჩენილ მცველს (დანარჩენი ორი დასაფლავებისთანავე გროზნოში წავიდა) ანუ სულ ოთხ ადამიანს გამოუჭამია.
ზ.გამსახურდიას ჯგუფის ჩქვალერის მიმდებარე მთებში თავის შეფარვის პერიოდში გამოკვების სირთულეებზე საუბრობს აგრეთვე ზურაბ ფიფია:
• **ზ.ფიფია**: — ჩემმა „ოჯახმა", ანუ **ჩემმა სოფელმა ორი დეკეული, ორი ღორი, თიკანი** დაუკლა პრეზიდენტს! წაბლით ვიკვებებოდითო, ბატონმა ბესარიონ გუგუშვილმა რომ თქვა, ძალიან მეხამუშა. პრეზიდენტის პატივისცემაზე ფიქრობდა ყველა და გეტყვით მათ ვინაობასაც: ომიკო შეროზია, გია ფიფია, ელგუჯა ფიფია, ნიკო კვარაცხელია, გოჩა ფიფია, ჯანი და ნიკა შეროზიები... ამ ხალხს არაფერი დაუკლია ბატონი ზვიადისთვის!
• **გ.მამაცაშვილი**: — და **ამდენმა ადამიანმა, ყველამ იცოდა**, სადაც აფარებდა თავს დევნილი პრეზიდენტი?
• **ზ.ფიფია**: — **კი, ეს ყველამ იცოდა! აბა რა?! ...ორმოცდაათ კაცამდე იყო იმ დროს პრეზიდენტის გარემოცვაში** (ეტყობა გულისხმობს იმ ადამიანთა რიცხოვნობას, რომელიც დასაქმებული იყო ზ.გამსახურდიას ჯგუფის უზრუნველყოფით და პირველ რიგში კი გამოკვებით).
„ასავალ დასავალი", 2010, 4 ნოემბრ., გვ. 24 – იხ. DVD-ზე:
Documents/asavali_2010-oct-4_fifia_margvelani.pdf
ამის მერე წესით უნდა გაჩნდეს კითხვა – თუ ზ.გამსახურდიას მცირე პარტიზანული ჯგუფის გამოკვება ასეთი ურთულესი ფაქტორი იყო და მათ გამოკვებას ერთ სოფელში ათობით ადამიანის ჩარევა დასჭირდა, ხოლო სოფელი კი საკვებისგან გაიცალა და დაიმშა – როგორ იქნებოდა შესაძლებელი სერიოზული რიცხოვნობის დაცვის უზრუნველყოფა?
და – ბოლოს – ვ.ზარანდიასა და ზ.ფიფიას მონათხრობი (რაც ასე თუ ისე ასახავს საკმაოდ გავრცელებულ შეხედულებას) – რა შუქში წარმოსახავს იმ წრეების მდგომარეობასა და დამოკიდებულებას, რომლებიც ნებით თუ უნებლიედ იძულებულნი გახდნენ დახმარებოდნენ დევნილ ზ.გამსახურდიას?
307 ამ შემთხვევაში ვ.ზარანდია სწორ ინფორმაციას იძლევა, მართლაც მცდარ ინფორმაციას იძლევა ჯ.კვარაცხელია.
308 ამ „აშკარა"-ს მამტკიცებელ სანდო ფაქტს კი ვერაფერს ამბობს გამოკითხული. როგორც პრაქტიკულად ყველა კომისიის მიერ სხვა გამოკითხული.

ირანდა კალანდაძის გამოკითხვიდან:

(ქ.თბილისი, 2010 წლის 12 აგვისტო)

„2005 წლის გაზაფხული იყო, ვმუშაობდი გაზეთ „პრეზიდენტში“, რომელიც გაზეთ „ასავალ–დასავალის“ დამატებაა. წაგვიყვანეს ზუგდიდში ლუდმილა ღურწკაიასთან. ჩვენ წინასწარ ვიცოდით, რომ ეს ამბავი ზვიად გამსახურდიას უკავშირდებოდა. ზუგდიდში კი არა, [სოფელს] ეძახდნენ ჭაქვინჯს. მისი მეუღლე კარლო რუსეთში წასულა. ასევე მისი შვილი და, შესაბამისად, ჭაქვინჯში მარტო ვერ იცხოვრებდა. მე მისგან უნდა ამეღო ინტერვიუ. იგი ცხოვრობდა ზუგდიდში, მდინარის პირას, პატარა სახლში. ლუდმილა მაშინ ორმოცდაათი წლიდან სამოცდაორ წლამდე იქნებოდა. ჩემს კითხვაზე, რა გადაგხდათ თავს-მეთქი, მიპასუხა, მე თავიდან არ ვიცოდი, ვინ უნდა მოსულიყო 1993 წელს ჩემთან სახლში. იცოდა კარლომ და მითხრა, რომ სტუმრები უნდა მოვიდნენო. ჩემმა გოგონამ დაინახა, რომ ჩვენთან, ოჯახში, პრეზიდენტი მოვიდა. მე პრეზიდენტი სურათებით მყავდა ნანახი. ჩვენ მხოლოდ ჩაის გაკეთება მოვასწარით. ზვიადმა მითხრა, მე არაფერი მინდაო. ცოტა ხანს რაღაცებზე ილაპარაკეს და შემდეგ თავად მოინდომა დაძინება.

ლუდმილამ მითხრა, მე პრეზიდენტი ვერ ვიცანიო. აქედან გამომდინარე, შეგიძლიათ გააკეთოთ დასკვნა.

შემდეგ პრეზიდენტი ზევით ავიდა, დაათვალიერა სახლი, ამოირჩია ოთახი და განაცხადა, მე აქ დავწვებიო. ლოგინები დაგებული გვქონდა. პრეზიდენტი ძალიან დაღლილი იყო. მე ავყევი პრეზიდენტს ლამფით, რადგან სინათლე არ იყო.

შემდეგი დღეები როგორ იყო, ლუდმილას არ უთქვამს, არც თარიღი დაუსახელებია, თუ რამდენი დღე გაჩერდა პრეზიდენტი მათთან.

მე ზუგდიდში წავედი, რადგან მაინტერესებდა მკვლელობის თუ თვითმკვლელობის დეტალები. ზოგიერთი 27 დეკემბერს ასახელებდა, ასევე დაფიქსირებულია 28, ან 31 დეკემბრამდე. ლუდმილას მონაყოლიდან ისე გამოიკვეთა, რომ მკვლელობა თუ თვითმკვლელობა მიყვანის დღესვე მოხდა. **ლუდმილამ როგორც თქვა, იგი <u>მძიმე ტაშტის</u>, ან შიფონერის დავარდნის ხმამ გამოაღვიძა. ის ხან “შიფონერს” ხმარობდა, ხან “ტაშტს”** და <u>იძახდა, ორჯერ დავარდნის ხმა გავიგონე</u>[309], შემდეგ ზევიდან – ბიჭების ჩოჩქოლიო. ლუდმილამ კარლო გააღვიძა და სანამ კარლო გაიღვიძებდა, ზევით მისი შვილი ნუკრი ავარდა. მანვე განაცხადა, მეორე დღეს ახალი წელი იყო და სახლში მიცვალებული ხომ არ მეყოლებოდაო, პრეზიდენტი იმავე დღეს გადაასვენესო.

შემდეგ მივედი ზაურ ჩუხუასთან, სადაც დაიწყო საუბარი თარიღებზე. ზაური ამბობდა, ხალხი რომ იძახის ეს ოცდაშვიდში იყოო, სიცრუეაო და იმ ხალხს ლანძღავდა. ყველაფერს ჯონსონ კვარაცხელიას აბრალებდა და თავს იმართლებდა. ზაურისთან სახლში დაგვხვდა მისი ძმა ანატოლი ჩუხუა, რომელმაც მაჩვენა ზვიადის სკამი. მისი თქმით ამ სკამზე მჯდარა ზვიად გამსახურდია ჩუხუებთან სტუმრობისას, ვიდრე ის პრეზიდენტი გახდებოდა. ზაურის თქმით, როდესაც მან პრეზიდენტი მოინახულა ღურწკაიების სახლში, ის საწოლზე იჯდა და მითხრა, **ავად ვარო.** მე კი მივუგე, ასეთი ავადმყოფობა (შარდის შეუკავებლობა)[310] მამაჩემსაც სჭირდა-მეთქი. ოცდაათ დეკემბერს ვიფიქრე, რომ სახლში დავწვები-მეთქი. ორი საათი იყო დაწყებული, როდესაც კარლო ღურწკაია მოგვადგა კარს და გვითხრა, პრეზიდენტმა თავი დაიღუპაო. ანატოლი ჩუხუამ კი განაცხადა, ოცდათერთმეტში, საღამოს, მივედით მე და მურთაზი კაჭარავაო. როდესაც ზევით ავედით, ვნახეთ, რომ პრეზიდენტი გაპატიოსნებული იყო. **ნატყვიარი ისე აღენიშნებოდა, როგორც აღწერენ.** ლოგინის თავზე ნატყვიარი ეტყობოდა. კარლოს გაუპატიოსნებია, ხელი გადაგდებული ჰქონდა, ნატყვიარი საფეთქელზე ჰქონდაო, ანასხლეტი კედლებზე ეტყობოდა. ბესარიონმა მთხოვა, შემეტყობინებინა გუჯუჯი ებრალიძისთვის და ზურაბ გუჩუასთვის. რობინზონმა და ბესარიონმა გამაგზავნეს გულიკო ტიბუასთან, ღამის ათი საათი იქნებო-

---

309 „გაფუჭებული ტელეფონის“ პრინციპის ზეიმი, გამდიდრებული უსაზღვრო ფანტაზიებითა და დაბეზღების უინით...

310 სინამდვილეში ზ.გამსახურდია უჩიოდა არა შარდის შეუკავებლობას, არამედ — პროსტატის ავადმყოფობის გამო შარდის შეკავებას. ზოგიერთი, ზ.გამსახურდიასთან გროზნოში დაახლოებული პირი იმასაც კი ყვებოდა, რომ ზ.გამსახურდიას გროზნოში ექიმებმა პროსტატის კიბო დაუდგინესო...

და, 31 დეკემბერს, თან მურთაზ კაჭარავა მახლდა. ვუთხარი, რომ პრეზიდენტმა თავი მოიკლა–მეთქი და მას დავავალე, ეცნობებინა ზურაბ გუჩუასთვის. დავბრუნდი კარლოს ოჯახში. მაშინ დაიწყეს ლაპარაკი იმ ორი დაცვის ბიჭის მოყვანაზე. გულიკოსთან მივედით და ვუთხარით, რომ ის ბიჭები მოეყვანა კარლოს სახლამდე. გადაწყდა პრეზიდენტის ჯიხაშკარში გადასვენება. მურთაზ კაჭარავამ ტრაქტორის მართვა იცოდა, ხუბულავასაგან წამოვიყვანეთ ტრაქტორი, მერე წამოვიღე ბალიში, ლეიბი, "ლეჟანკა", მერე ლეიბი გავშალეთ ტრაქტორზე და იქ დავასვენეთ პრეზიდენტის ცხედარი. მერე ანდრო მებონიამ თქვა, მე გავაკეთებ კუბოსო. მერე გულიკო დავიბარეთ ხუბულავას სახლში, რომ ამბობ 28–ს, 29–ს, როდის მოვედი შენთან–მეთქი, მან მიპასუხა, რიცხვი საერთოდ არ მიხსენებიაო. ანატოლი ჩუხუამ ზვიადს, სანამ პრეზიდენტი გახდებოდა, "მარგოლინი-ს" მარკის იარაღი აჩუქა და უთხრა, ეზოდან გასვლის შემდეგ ას მეტრში გაისროლე, ეს ძველი წესი არისო."

ზუგდიდის კომენდანტის ბ.ზარანდიას დის მარინა ზარანდიას გამოკითხვიდან:

"1992 წლის დეკემბერში ბადრი ლენინგრადიდან ზუგდიდში ჩამოვიდა. იგი ლენინგრადში სწავლობდა. ეს ის პერიოდია, როდესაც მხედრიონის შემოსევაა. ბადრიმ დაინახა რა ეს ქაოსი, გადაწყვიტა, ჩამდგარიყო ეროვნული მოძრაობის რიგებში. მას უზომოდ უყვარდა თავისი კუთხე. საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ დააფასა მისი დამსახურებები და ზუგდიდის კომენდანტად დანიშნა. ზუგდიდის კომენდატურაში მის გვერდით იყვნენ სლავა ინჯია, იგი ოჩამჩირელი იყო, ძმები ბიწაძეები, ბეჟან ნურწუმია, ბესო იზორია, ძმები გია და გოჩა სარიები, ბესო ხარებავა, ჰამლეტ გულორდავა და ასევე ჩვენი ოჯახისთვის სრულიად უცნობი პირები. ამ ადამიანებთან ერთად ბადრი თავის საქმეს აკეთებდა და ჩვენ მათში ეჭვი არ გვეპარებოდა. ზვიად გამსახურდიას გაქცევის შემდეგ ბადრისთვის ცნობილი გახდა, რომ მის რიგებში, კომენდატურაში ბევრი ხალხი შევარდნაძის ხელისუფლების შემოგზავნილი იყო. იმ პერიოდში კონკრეტულად ვერ გეტყოდით, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან ესენი იყვნენ გია და გოჩა სარიები. აღსანიშნავია, რომ მათი ნათესავი იყო გენერალი გია გულუა. ზუგდიდში მხედრიონის შემოსვლამ ქალაქი ქაოსში ჩააგდო. პოლიტიკოსთა უმრავლესობა მიმოიფანტა. ჩემი ძმა გამოსავალს ეძებდა. ლოთი ქობალია იმალებოდა, პრეზიდენტიც არ ჩანდა. ბადრი ესაუბრა გურამ ლაკიას. მას ჰკითხა, სად იყო პრეზიდენტი და საერთოდ აეხსნა რა ხდებოდა. გურამ ლაკია შტაბის უფროსი გახლდათ. მას ბადრიმ იარაღიც კი დაუმიზნა, ყოველივე ამის შემდეგ. **ბადრიმ თხუთმეტიოდე ბიჭი შემოიკრიბა.** წაიღეს სურსათი, შეიარაღება და წავიდნენ მუჟავაში. მე და ჩემი რძალი ბავშვთან ერთად წალენჯიხაში დავრჩით. ეს იყო დეკემბრის შუა რიცხვებში. ოთხი დღის შემდეგ ჩემი ძმა ცხენით ბრუნდება ჩვენთან. მან გვითხრა, რომ ურთულესი სიტუაცია იყო, რადგან მთელი სოფელი ჯვარი მხედრიონით იყო გადაჭედილი. ბადრისთვის მიუწოდებიათ ინფორმაცია, რომ ვითომ ჩვენი სახლი დამწვარი იყო. ეს ჭორი ბადრის მოსატყუებლად გაავრცელეს. ჯვარიდან ზუგდიდამდე გამოსავლელი იყო სოფელი ლია. სოფ. ლიაში კოცონი ყოფილა დანთებული და იქ დაუნახავს ბესო ხარებავა მხედრიონელებთან ერთად. ხარებავა ახლოს იყო ბადრისთან. მხედრიონი კი ეროვნული მოძრაობის პირველი მტერი იყო. ჩვენთვის ნათელი გახდა საქმის ძალიან ცუდი ვითარება.

საერთოდ, პრეზიდენტის მუჟავაში აყვანა, მე მაინც ვთვლი, რომ პროვოკაცია იყო. ჯერ ერთი, იქ აყვანას ცოდნა უნდოდა, თუ სად მიჰყავდათ და რა პირობები დახვდებოდათ.

ბადრი ზარანდიას თქმით, პრეზიდენტი მოტყუებით ჩამოიყვანეს. ბადრიმ ზუსტი დეტალები არ იცის, დაწვრილებით ყოველივე "პუშკინამ" იცოდა. ბადრი ზარანდია და ზურა შონია მოტყუებით მიიყვანეს ძმები სარიების ოჯახში, სადაც <u>ბადრის თავისი ცოლ–შვილი დატყვევებული დახვდა. ამ სახლში მოწამლეს ბადრის შვილი სლავა</u>. სარიების ოჯახში სხდომაზე უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ პრეზიდენტის ლიკვიდაცია. ამ სხდომაზე ბადრი ზარანდიასაც აუწევია ხელი. <u>მისთვის მიუნიშნებიათ, რომ თუ იგი ხელს არ აწევდა, ბავშვს მოკლავდნენ</u>. ეს ყოველივე ხდება ზუგდიდში, გია და გოჩა სარიების ოჯახში. ბადრის

სჯეროდა, რომ უაღრესად ღვთისმოსავი გამსახურდია თავს არ მოიკლავდა. მისი თქმით, ზვიადი თვითმკვლელობამდე უნდა მიეყვანათ, ასევე იძახდა, რომ **ზვიადს ფეხები ჰქონდა გასივებული და სტრესულ მდგომარეობაში იყო.** ბადრი ბოლომდე დარწმუნებული არ იყო, რომ ეს ყველაფერი გია გულუას გაკეთებული იყო. მისი თქმით, გულუას ადვილად შეეძლო მისი (ზარანდიას) მოკვლა, მაგრამ რატომღაც თავს იკავებდა. ბადრის თქმით, პრეზიდენტის ლიკვიდაციის ოპერაციაში გია გულუა ყველაფერს წელავდა. იგი მაინც ეჭვობდა ეს ოპერაცია გია გულუას მიერ იყო შესრულებული თუ არა.

ჩემი ძმა სარიებს ოჯახში ჰყავდათ დატყვევებული და უნდოდათ მისი განადგურება. შევიტყვე რა ყოველივე, მივუვარდი მათ, დავემუქრე ჩემი ნათესავების შეკრებით და სახლ–კარის გადაწვით, რის შემდეგაც მათ შეეშინდათ და იგი ჩვენი ნათესავის ოჯახში გადაიყვანეს. ბადრის დასანახავად არ უნდოდა ისინი.” (ქ.თბილისი, 2010 წლის 12 აგვისტო).

უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმების კომისიის თავმჯდომარის, გივი თაქთაქიშვილის გამოკითხვიდან:

(ქ.თბილისი, 2010 წლის 10 აგვისტო)

“1993 წელს, საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სამეგრელოში, კერძოდ, ზუგდიდში ყოფნის დროს მე ჩავედი მასთან, მაგრამ ზუგდიდიდან უშუალოდ პრეზიდენტის ბრძანებით სამუშაოდ ფოთში გადამიყვანეს. ფოთში პრობლემები შეგვექმნა აფხაზეთიდან ლტოლვილებთან დაკავშირებით, კერძოდ, მათ განსახლებასთან დაკავშირებით. მე გადავფრინდი ბათუმში ასლან აბაშიძესთან მოსალაპარაკებლად. საკითხი დადებითად გადაწყდა, მაგრამ ჩავრჩი ბათუმში, რადგან ფოთი უკვე დაკავებული იყო ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ. ბათუმიდან მოსკოვში გადავფრინდი. ეს იყო დეკემბრის შუა რიცხვები. მოსკოვში შევხვდი გურამ აბსანძეს, რომელმაც განმიცხადა, რომ პრეზიდენტი უზრუნველყოფილია დაცვით და არავითარი პრობლემა არ აქვსო. მე პირადად პრეზიდენტის დავალებით ვარ ჩამოსულიო. იგი არ მიიჩნევდა, რომ პრეზიდენტი სასიკვდილო საფრთხეში იყო, იგი კავშირებს ეძებდა. 1994 წლის 5 იანვარს ტელევიზიით ვიგებ, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტი გარდაიცვალა. ამის შემდეგ შელაპარაკება მომივიდა აბსანძესთან და გადავფრინდი გროზნოში. ეს იყო 1994 წლის 15 იანვარს. იქ უკვე დამხვდნენ რობინზონ მარგველანი, ბაჩუკი გვანცელაძე და ზაზა ბურჯანაძე. **მოგვიანებით ჩამოვიდა ბესარიონ გუგუშვილი მეუღლესთან ერთად**[311]. მათთან საუბრის დროს ყურადღება გავამახვილე იმ ფაქტზე, რომ მათი ნაამბობი ერთმანეთს არ ემთხვეოდა. კერძოდ, გუგუშვილისა, მარგველანისა და გვანცელაძის. გუგუშვილმა განაცხადა, დავჯდებით, ჩამოვყალიბდებით და ერთიანად მოვყვებითო. მხოლოდ თვითმკვლელობის ფაქტს არ ამბობდნენ ზაზა ბურჯანაძე და გოჩა კეკენაძე. თვითმკვლელობის ვერსიაზე შეჩერება შეუძლებელი იყო, რადგან საამისოდ საკმარისი ფაქტები არ არსებობდა. იქ მყოფთ გვიკვირდა, ერთად იყვნენ და რატომ ჰყვებიან ამბავს სხვადასხვანაირადო? შთაბეჭდილება დამრჩა, რომ პრეზიდენტს თავი არ მოუკლია. მათ იცოდნენ ეს და სხვანაირად უნდოდათ მოეყოლათ, ამაზე მიდიოდა საუბარი. გუგუშვილთან, გვანცელაძესთან და მარგველანთან ერთად **სუფრასთან მოგვიხდა ჯდომა**[312], გვინდოდა ამ საკითხებთან დაკავშირებით გველაპარაკა. ჩემი გაკვირვება გამოიწვია იმან, რომ სუფრის ბოლოს წამოდგა რობინზონ მარგველანი და განაცხადა: ზვიადის საქმე ჩემთან ერთად დაიმარხებაო. მე ეს ძალიან გამიკვირდა. მარგველანმა ისიც განაცხადა, რომ <u>გუგუშვილმა მომცა წამალი, დაიძინეთ, ნუ ნერვიულობთო</u>[313]. **როდესაც გროზნოს პროზექტურაში**

---

311 კოკოს ეს უბადრუკი მოწმე იმდენად გაუცნობიერებელია სიტუაციაში, რომ ისიც კი არ იცის, რომ ბესარიონის ცოლ–შვილი 1992 წლის გაზაფხულიდან გროზნოში ცხოვრობდნენ — ასეთივე დონისაა მისი სხვა „ფასეული“ ინფორმაციებიც.

312 მოწმემ აქ უკვე ქართული სუფრის ტრადიციების მომენტი გააქტიურა — სადღეგრძელოების საგამომძიებლო ასპექტი...

313 ძალზე ცუდი და სუსტი დასაძინებელი წამალი მიუცია გუგუშვილს — რახან გასროლის ხმის გაგონებისთანავე უცებ, დაუყონებლივ გაუღვიძიათ, ზე–წამომხტარან და პრეზიდენტის საძილე ოთახში შევარდნილან...

ცხედრის სანახავად შევედი და ცხედარს დავაკვირდი, თავი დეფორმირებული არ ჰქონდა, სხეულზე 4–5 დაზიანება ჰქონდა, ჩემთან ერთად ამას აკვირდებოდა მოსკოვში მცხოვრები აბლოთია[314]. სიკვდილის შემსწრენი ამტკიცებდნენ, პრეზიდენტს "სტეჩკინი" ჰქონდაო. რაც შეეხება ტყვიის მასრასა და გულას, თავიდან იძახდნენ, რომ ავიღეთ და შევინახეთო, ამას ამბობდა რობინზონ მარგველანი. გუგუშვილი კი იძახდა, გაქრაო. პრეზიდენტის ქვრივი, ქალბატონი მანანაც ამბობდა თავს არ მოიკლავდაო. სხდომები იმართებოდა გროზნოში, მაგრამ ხელშეკრულებები ოჯახსა და დაცვას შორის იქ არ წყდებოდა.

ბესარიონ გუგუშვილი ჩეჩნეთის სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსად დაინიშნა, უზენაესი საბჭოს დროებით თავმჯდომარედ ბიძინა ჩოლოყაშვილი ავირჩიეთ, **ხოლო ქალბატონი მანანა პრემიერი გახდა**[315]."

ავთანდილ რცხილაძის გამოკითხვიდან:

(ქ.თბილისი, 2010 წლის 10 სექტემბერი)

"პრეზიდენტის გარდაცვალების ამბავი თურქეთის ქალაქ ტრაბზონში შევიტყვე, ეს იყო 1994 წლის 5 იანვარი. მე იმავე საღამოს დავბრუნდი ქ.ბათუმში. 9 იანვარს გავედი ბათუმიდან და ჩავედი გროზნოში. ამ დროს იქ ჩამოვიდნენ ბესარიონ გუგუშვილი და რობინზონ მარგველანი. მე მახსოვს მარგველანის სიტყვები: იმ სახლში, სადაც ბოლო დღეები გაატარა პრეზიდენტმა მეორე სართულზე ვიყავითო. ბესო გუგუშვილი და პრეზიდენტი ერთ ოთახში იყვნენ, ჩვენს ოთახებს შორის გამყოფი კარი არ იყო და კარის ნაცვლად ფარდა იყო ჩამოფარებულიო. გასროლის ხმა რომ გავიგე, წამოვხტი, შევვარდი იმ ოთახში, სადაც პრეზიდენტი იმყოფებოდა და დავინახე შემდეგი სურათი: პრეზიდენტი ნახევრად წამომჯდარი იყო საწოლზე, ზურგით მიყრდნობილი იყო საწოლის თავს, თავი გადავარდნილი ჰქონდა ოდნავ მარცხნივ და დაბლა ნიკაპით იყო მკერდზე დაყრდნობილი, ხელი ჩამოვარდნილი იყო საწოლზე და იმავე საწოლზე იარაღი ეგდო. ჩემს შეკითხვაზე, თუ რა სისტემის იარაღი იყო, მან მიპასუხა, რომ ეს იყო "სტეჩკინი". მეორე დაცვის წევრმაც იგივე დააფიქსირა. ჩემს შეკითხვაზე, დაინახეთ თუ არა, პრეზიდენტმა როგორ მიიბჯინა იარაღი, მათ მიპასუხეს, მხოლოდ გასროლის ხმა გავიგეთო. ბესარიონ გუგუშვილმა კი მიამბო, რომ პრეზიდენტი თავს საკმაოდ ცუდად გრძნობდა. მას ტაშტი ედგა თავის საწოლთან მარჯვენა მხარეს. ჩვენ გვერდიგვერდ ვიწექითო. ვიწექი საწოლში და ნახევრად ვთვლემდი, უცებ გავიგე ტაშტის გახახუნების[316] ხმა, ტაშტის, რომელიც იდგა იატაკზე. წამოვდექი და ელდა მეცა: პრეზიდენტს თავი ჰქონდა გადავარდნილი მარცხენა მხარეს. ნახევრად იყო წამომჯდარი საწოლზე და მიყრდნობილი იყო. შევამჩნიე, რომ მარცხენა ყურის არესთან მოსდიოდა სისხლი, იქ, სადაც გამომავალი ჭრილობა იყო. მერე დავიყვირე: არიქა, ბიჭებო, პრეზიდენტი ცუდად არის–მეთქი და წამოვხტი ლოგინიდან. ბიჭებიც ოთახში შემოვიდნენ. ისიც იმავეს იმეორებს, რასაც მარგველანი: ხელი გადმოვარდნილი ჰქონდა საწოლიდან და იარაღი "სტეჩკინი" ეგდო მის სხეულთან.

პრეზიდენტი სამეგრელოდან გროზნოში 1994 წლის 17 თებერვალს ჩამოასვენეს. აეროპორტში უამრავი ხალხი დახვდა. აეროპორტიდან პრეზიდენტი მივასვენეთ გროზნოს საქალაქო საავადმყოფოს პროზექტურაში. **პირველ წუთებში მე პროზექტურაში არ შევსულვარ, პირველივე წუთებიდან იქ იყვნენ სოსო თორია და დაცვის ბიჭები. ბიჭებს ვუთხარი, პრეზიდენტს როდესაც გახდით, მეც მინდა დათვალიერება–მეთქი. როდესაც შევედი და პრეზიდენტს დავხედე, მინდოდა დამემახსოვრებინა ნატყვიარის მდგომარეობა. ნატყვია-**

---

[314] როგორც ვხედავთ ამ თვითმხილველმა **თაქთაქიშვილმაც – ისევე, როგორც ცხედრის მნახველმა ყველა სხვა მოწმემ** (ერთის, სოსო თორიას გარდა) – **ვერ დაინახა ყელში შემავალი მეორე ნატყვიარი**, რომელიც ასერიგად სჭირდება კოკოს კომისიას. ნიშანდობლივია ისიც, რომ კომისია **არ დაინტერესდა ხსენებული აბლოთიათი**.

[315] ეს მართლაც ძალზე არსებითი ფაქტია და მდედრი სეთურის ანუ მ.არჩვაძის მოტივაციაზე მრავლისმეტყველი.

[316] თასის დახეთქების ხმა ამან „გახახუნებად" აქცია.

<u>რი იყო მარჯვენა საფეთქელთან შემავალი ჭრილობა, ხოლო გამომავალი– მარცხენა ყურთან</u>. პირველი შემავალი ჭრილობა არის საფეთქლიდან მაღლა, ხოლო გამომავალი არის შესამჩნევად დაბლა. დაახლოებით 20–25 გრადუსი იქნებოდა დახრილობა. ადამიანი როდესაც თავს იკლავს, ის ან საფეთქელთან სწორად მიიდებს ტყვიას, ან პირში ჩაიდებს, ან ყბის ქვეშ. ასეთი ტრაექტორიით თვითმკვლელობა ფანტასტიკურად მეჩვენება. დანარჩენი იყო გვამურ ლაქებს რომ ეძახიან. ლაქები იყო ნეკნების ადგილას. შიგნით, **ჩვენთან ერთად იყო ჩეჩნეთის პათოლოგანატომი**[317].

1994 წლის მაისიდან იანვრის ჩათვლით დაპატიმრებული ვიყავი, ჩემთან მოსული იყო უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე ავთანდილ იოსელიანი, რომელიც მეუბნებოდა, რომ მეღიარებინა დანაშაულები: სამშობლოს ღალატი, შეიარაღებულ ორგანიზებულ დაჯგუფებათა მეთაურობა, უკანონო ბანდფორმირებების შექმნა კონსტიტუციური ხელისუფლების დამხობის მიზნით. მეცინებოდა, რა თქმა უნდა, ეს დანაშაულები მე არ ვაღიარე. შემდეგ ჩემთან მოვიდა საქართველოს გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე ანზორ ბალუაშვილი, საუბარი იყო დაახლოებით სამი საათი გაგრძელდა. მან მკითხა: შენ პროზექტურაში ხომ დაათვალიერე პრეზიდენტის ცხედარიო. მე დადებითი პასუხი მივეცი. **შემდეგ მეკითხება, ნიკაპის ქვეშ შენ არ შეგინიშნავს ნატყვიარიო?**[318] **არა–მეთქი. როგორ კაცო ნატყვიარი ვერ შეამჩნიეო?!, რატომ მალავო? რა არის ამაში ისეთიო?, არა–მეთქი, მე რაც ვნახე, ისიც ვუთხარი. მერე შეიცხადა, შენ დაკვირვებული კაცი ხარ და როგორ ვერ შეამჩნიეო? ნუ მალავ, რა არის აქ ისეთიო? არა–მეთქი, ბატონო ანზორ, მე არ შემიმჩნევია და თუ იყო, არ ვიცი–მეთქი.**[319]

ისიც კარგად მახსოვს, რომ საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილემ **ანზორ ბალუაშვილმა თქვა: ის ნატყვიარი ნიკაპის ქვეშ ყველამ დააფიქსირა ამოცნობის დროს და შენ ვერ დაინახეო?**[320]. მე მას ვუთხარი, რატომ დამიჭირეთ, გამოიძიეთ, რაში ვარ დამნაშავე–მეთქი?, იარაღი მე არ მჭერია და არ მიბრძოლია. მე არც იარაღთან და არც გვარდიასთან არავითარი კავშირი არ მქონია.”

რობინზონ მარგველანის გამოკითხვიდან:

(ქ.თბილისი, 2010 წლის 16 სექტემბერი)

“პრეზიდენტს ოცდაათკაციანი პირადი დაცვიდან გროზნომდე 12 ადამიანი გავყევით, მერე გზა და გზა შევავსეთ სოხუმის გვარდიის ბიჭებით, რომლებიც ეროვნული მოძრაობიდან მოდიოდნენ ჩვენთან ერთად და გამოცდილი და სანდო ადამიანები იყვნენ.

მთლად იმ ბიჭებს ნუ დავაბრალებთ, რომ არ გამოგვყვნენ და ჩვენ გვერდით არ იყვნენ იმ დროს, ისინი იმიტომ არ გამოგვყვნენ რომ, გასვლა იყო არაორგანიზებული.

“ბუნკერში” რომ ჩავედით, მერე დაიგეგმა გასვლა, სადაც კოპალიანი, ზვიად ძიძიგური, გია უჩავა, გოჩა ბახია და დილარ ხაბულიანი, მე მგონი, პატარა ოთახში შეიკრიბნენ

---

317 ეს ჩეჩენი პათანატომი, რცხილაძის სიტყვებიდან გამომდინარე მთლად არა კვალიფიცირებული ან მოღალატე ჩანს, რახან კოკოს კომისიის საპირისპიროდ ვერ შეამჩნია რომ ტყვიის შემავალი და გამომავალი ხვრელები თვითმკვლელობას გამორიცხავდა და ეს დუდაევს არ შეატყობინა რომელიც დარწმუნებული იყო თვითმკვლელობაში (რაც ზ.გამსახურდიას დასაფლავების ცერემონიაზე საგანგებოდ აღნიშნა).

318 დოკუმენტურადაა დამტკიცებული, რომ **შევარდნაძის რეჟიმი უკიდურესად დაინტერესებული იყო ზ.გამსახურდიას მისივე გარემოცვის მიერ მკვლელობის ვერსიით**: Ex-georgian President A Suicide. „Chicago Tribune“, January 05, 1994. Zviad Gamsakhurdia, the ousted Georgian president who has been leading a rebellion, killed himself after being surrounded by pro-government forces, Russian news agencies quoted his wife as saying Wednesday. The reports by Interfax and ITAR-Tass could not be immediately confirmed. **Georgian officials suggested Gamsakhurdia, 54, may have been shot in a quarrel with his supporters**.

319 კიდევ ერთი ფრიად ფასეული თვითმხილველი მოწმე იმისა, რომ არავითარი „მეორე ნატყვიარი“ არ არსებობდა.

320 ეს ფრიად ფასეული ინფორმაციაა და სავსებით აბათილებს კომისიის მიერ იმის მტკიცებას, რომ შევარდნაძის რეჟიმის გამოძიება არ განიხილავდა მკვლელობის ვერსიას — პირიქით, კარგად ჩანს რეჟიმის გამომძიებლების მცდელობა რაიმე დადასტურებული ინფორმაცია მოიპოვონ მეორე ნატყვიარზე — რაც დაადასტურებს მკვლელობას — რომელშიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ **დადანაშაულდებოდა ზ.გამსახურდიას გარემოცვა**!

და იქ გადაწყვიტეს, როგორც ჩანს, “ბუნკერის” დატოვება. “ბუნკერიდან” ამოსვლის დროს ქვევით მთლიანად შუქები გამოთიშეს, ბოლოს გენერატორი ჩავრთეთ, ისიც გაითიშა და იმ სიბნელეში ვაი–ვაგლახით გამოვაღწიეთ. აქ მანქანებს ზოგს “პროვოდები“ ჰქონდა დაგლეჯილი, ზოგში საწვავი არ იყო და, აქედან გამომდინარე, ბევრმა დაცვის ბიჭმა ფიზიკურად ვერ შეძლო წამოსვლა. ბევრიც ორი დღით ადრე გავიდა ბუნკერიდან. ესენი იყვნენ სამმართველოდან 9 კაცი, ეს ბიჭები მიიღეს, როცა ძველი დაცვის ბიჭები გაათავისუფლეს, შარვაძე იყო დაცვის უფროსი და იმის მერე დამეკისრა მე. მე თვითონ ბატონმა ზვიადმა ამირჩია, უკან არ დაბრუნებულან ის ბიჭები და ამიტომ მოხდა აქედან გასვლა.

გროზნოში, ალბათ იანვრის ბოლო და თებერვლის დასაწყისი იქნებოდა 1992 წლის, დავალება იყო, რომ ზუგდიდში ჩავსულიყავით შტაბში, იმიტომ რომ იქ გელოდებიან და იქიდან იწყება ახალი შეტევა და განმათავისუფლებელი მოძრაობაო.

1992 წლის 9 მარტს გავათავისუფლეთ ზუგდიდი და სამეგრელოს ტერიტორია. სამეგრელოს ტერიტორია გავათავისუფლეთ ერთ დღეში, მერე ჩვენი კუთვნილი ავტომანქანა “ნივა” იდგა სოხუმში და უკვე აფხაზები იყვნენ ჩამდგარი გალის გზაზე. პიკეტი გვქონდა გასავლელი, ერთმა სოხუმელმა გვარდიელმა გადმომიყვანა ავტომანქანა ნივა და ერთი–ორი დღე დარჩა ჩვენთან, მერე ის გავაცილე და რომ ჩამოვსვი, მანქანა მოვაბრუნე და ამიტეხეს სროლა, ამის შემდეგ გავაჩერე მანქანა და მაშინ დამაპატიმრეს.

მიზეზად ის დამისახელეს, რომ ვითომ ის გვარდიელი შემოსული იყო ჩვენთან ინფორმაციის მოსაწოდებლად, აფხაზეთში რა ხდება, როგორ, რანაირად და მსგავსი ტიპის ინფორმაციის ვითომ მოწოდების მიზნით. წამიყვანეს, ეშერაში იყო მაშინ მათი გვარდიის შტაბი, მიყვანისას გაარკვიეს, თუ ვინ ვიყავი და რას წარმოვადგენდი. უცბად განთავისუფლების ბრძანება გასცა გენერალმა, აკრბა იყო, მაგრამ მერე გაიგო ლომინაძემ და გადამიყვანეს სოხუმის იზოლატორში.

ლომინაძეს შევხვდი, სანამ სამეგრელოს გაათავისუფლებდნენ ერთი კვირით ადრე გალში, იქიდან ვემზადებოდით სამეგრელოს გასათავისუფლებლად. ბიჭებმა ანძა გათიშეს, საიდანაც მთელი აფხაზეთი იღებდა ტელემაუწყებლობას. ანძა რომ გაითიშა, ბატონი ლომინაძე ჩამობრძანდა გალში და შევთანხმდით, რომ ანძა ჩაგვერთო და მისგან ამის სანაცვლოდ ხელუხლებლობის გარანტია მივიღეთ, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების საშუალება გვქონოდა.

იზოლატორში ჯდომის დროს, ლომინაძეს განცხადებით მივმართე, მაგრამ პასუხი მივიღე, რომ თბილისში არის წასულიო და ჯერ არ ჩამოსულაო. მერე მისი მოადგილე იყო აფხაზი აკრბა იყო თუ? ზუსტად არ მახსოვს და იმან მითხრა, რომ თქვენ, თბილისში გადასაყვანად გამზადებენო, ბატონმა ედუარდმა თქვენი თავი მოითხოვაო. მაგრამ მერე ბიჭებს გავაგებინე, რომ მიმართულება შეეცვალათ და აფხაზეთისკენ წამოსულიყვნენ. ლომინაძემ მათი შემოსვლა რომ გაიგო, მთელი “ბოევიკები” იქით მიდიოდნენ, მერე ნება იბოძა და გამათავისუფლა, იარაღიც დამიბრუნა და ავტომანქანაც და გამომაცილეს სამეგრელოში.

გალისთაზე რომ გადმოსხეს დესანტი, იმ დღეს ჩასული ვიყავი, მაგრამ ჩემი ბიჭები გუმისთაზედაც იბრძოდნენ და შიგ სოხუმშიც. მე დავალება მქონდა პრეზიდენტისგან, რომ სვანეთ–სამეგრელოს გზა მეკონტროლებინა და მეტ-ნაკლებად ვაკონტროლებდი კიდეც. ამ ორი კუთხის გადაკიდების მცდელობა იყო, მაგრამ მოვახერხე, რომ მშვიდობა შემენარჩუნებინა.

ამ დროს ქობალია უკვე უკრაინაში იყო გაქცეული, ლოთი ქობალიას არც ერთ ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია, სამეგრელო მაქვს მხედველობაში, როცა სამეგრელოს ვათავისუფლებდით, ჩვენი მოქმედება პარტიზანული იყო. ვცდილობდით, რომ ეს ყველაფერი უსისხლოდ დასრულებულიყო.

როცა ილორში ვიყავით, ლოთის ცოლ-შვილი ჩვენთან ერთად იყო მეზობელ სახლში და გურამ აბსანძემ რომ მოიყვანა აფხაზების დელეგაცია, პრეზიდენტთან გვეუბნება, ბიჭებო, ყველაფერი კარგადაა, ორ სამ დღეში თბილისში ვიქნებით და გაშალა პურ–მარილი, ახლდა რამდენიმე აფხაზი და იქ, ცალკე დავიტოვეთ ოთახში ის აფხაზები, გურამ აბსანძე, ბატონი ბესარიონ გუგუშვილი და პრეზიდენტი თავისთავად. იქ საუბარი იყო

რომ ბატონ ზვიადს უნდა ეღიარებინა აფხაზეთის დამოუკიდებლობა, რაზედაც ბატონმა ზვიადმა უარი თქვა, მე ჩემი სკამის გულისთვის საქართველოს ვერ გავყიდიო. გავიდა 5 წუთი და დაიშალა ეს სუფრა, ეს დელეგაცია ქუჩაში გავიდა და რაციით ესაუბრა თავის ხელმძღვანელობას, რომ ჩვენ დაუყოვნებლივ დაგვეტოვებინა აფხაზეთის ტერიტორია. ეს ხდება 1993 წლის 5 ნოემბრის ღამეს.

თენგიზ კიტოვანი გავიცანი ეგრეთ წოდებული ბორბალსო ავტონომიის გამოცხადების დროს, როცა ქვემო ქართლში თათრები აჯანყდნენ, მაშინ აქტიურად ვიყავი ჩართული ეროვნულ მოძრაობაში და ტყვია–წამალსა და იარაღს ვეზიდებოდით ქვემო ქართლის სოფლებში. იმ დროს გავიცანი თენგიზ კიტოვანი, მერე მთელი ეროვნული მოძრაობა. მასთან ჩვეულებრივი ურთიერთობა მქონდა. ოთარ ფაცაციასთან ნორმალური ურთიერთობა მქონდა. მივდიოდი ფაცაციასთან და ვთხოვდი, რომ გზის ფული მოეცა, ერთი ორჯერ დამაფინანსა. ეს იყო სულ.

ავთანდილ მარგიანი ჩემი მეუღლის ნათესავია, მარგიანი ეროვნულ მოძრაობაში, როცა სამაჩაბლოში ვიბრძოდით, ფაქტობრივად, ჩვენთან იდგა. მარგიანისა და ქობალიას მოლაპარაკების შედეგად დელეგაცია ჩამოვიდა სამეგრელოში, რომ განეხილათ დახმარების საკითხი, მაშინ მეც მივედი იქ და აი იმ სხდომაზე მართლა ვიყავი, ოღონდ გვიან. როგორც კი დამთავრდა ეს სხდომა, გამოვედი. დერეფანში იდგა ზარანდიას ორი თანამებრძოლი, შეიარაღებულები. წინ გამოვიდა თემურ ფიფია, შევარდნაძის აპარატის უფროსი იყო და კიდევ ვიღაცა ახლდა, დაუმიზნეს ავტომატები, რომ თქვენ სამეგრელოს ღალატობთო და მე არ გვასროლინეო. იმ საღამოს სუფრა გაუშალეს, ვისხედით იმ სუფრასთან, მერე რომ ადგნენ, მითხრეს, ცაიშამდე გაგვაცილეო, კი ბატონო გაგაცილებთ მეთქი, ადგა მარგიანი, გაიხადა თავისი “დუბინკა” და ჩამაცვა მე, ეს ამბავი მიუტანეს პრეზიდენტს გროზნოში. როდესაც ჩავედი პრეზიდენტთან, პირადად მოვახსენე ყველაფერი.

მე გროზნოდან პრეზიდენტი არ მიშვებდა, მაგრამ დაჟინებით მოითხოვა მანანა ძოძუაშვილმა, იმდროინდელმა ჯანმრთელობის მინისტრმა. ძოძუაშვილი და კოპალიანი სოხუმში გადაფრინდნენ, იქ დაიჭირეს პრეზიდენტის მდივანი ლალი მაისურაძე, რომელსაც პრეზიდენტის ბეჭედი ჰქონდა, ის ბეჭედი წაართვეს და ორი კვირის მერე ძოძუაშვილი ჩამოდის გროზნოში და დაჟინებით ითხოვს, რომ მე წავსულიყავი სამეგრელოში, ვითომ მთელი სვანეთი მე მელოდებოდა იქ და მე ვიყავი ყველაფრის გადამწყვეტი, მაგრამ აღნიშნული ასე არ იყო.

გია ყარყარაშვილი იმიტომ დააკავეს რომ ჩვენთან საბრძოლველად ჩამოვიდნენ, სამეგრელო რომ გავათავისუფლეთ, პირველად მაშინ მყავდა აყვანილი 120 კაცი ქუთაისის, მხედრიონის და გვარდიის. გია ყარყარაშვილი ჩამოვიდა მათ განსათავისუფლებლად ვერტმფრენით, მე იმ დღეს სვანეთში გახლდით, იმიტომ რომ იქ ჩვენი დაცვის იარაღი იყო და იმის წამოსაღებად ჩავედი.

ბიჭებმა რომ გაიგეს, ყარყარაშვილი ჩამოსულიაო, დაირაზმნენ და მეც მომძებნეს. ჩვენი მხრიდან ოცდაათი მებრძოლი ვიყავით.

დავუწყე მოლაპარაკება, რომ აზრი არა აქვს წინააღმდეგობის გაწევას, აგერ ბენზინის მანქანა გვყავს, გამოვუშვებთ ამას და ამოიწვებით–მეთქი, მერე ნება იბოძეს და დაგვნებდნენ, დაყარეს იარაღი.

შინაგან საქმეთა მინისტრი რომან გვენცაძეც მოლაპარაკებაზე იყო ჩამოსული. სუფრა გაუშალეს. მივიდნენ იმ სუფრაზე და დააკავეს, წაიყვანეს აფხაზეთის მიმართულებით.

მე იქ არ ვყოფილვარ, რატომ წაიყვანეს ჩემთვის დღემდე გაურკვეველია, მე ახლა, ორი წლის წინ, გავიგე, აფხაზეთში ომი რომ მიმდინარეობდა რომან გვენცაძის დასახსნელად გარკვეული თანხა ჩაუტანიათ.

ალბათ ლოთი ქობალია იყო სარდალი, რომელიც მოლაპარაკებებს აწარმოებდა.

არ მახსოვს ზუსტად, გვენცაძის მერე სარალიძე დააპატიმრეს, მე ამ დროს გროზნოში ვიყავი, გროზნოში ჩამოვიდა ჩემი ძმა რამაზ მარგველანი, აწ განსვენებულ ლერი ნაკანთან ერთად და მთხოვეს, რომ დავით სარალიძეს თანხას სთხოვენო. მივედი ბატონ ზვიადთან, ავუხსენი, ასეთი მდგომარეობა არის–მეთქი, აიღო ზვიადმა ყურმილი, დარეკა ზუგდიდში და გაათავისუფლებინა სარალიძე.

ჩვეულებრივი ურთიერთობა გვქონდა მაშინ ყველას ერთად. პატივს ვცემდით ერთმანეთს, ერთად ვიბრძოდით, ერთი იდეისთვის და ერთი საქმისთვის, მაგრამ ოთარ უბილავასთან მართლა ძალიან დაძაბული ურთიერთობა მქონდა, იმიტომ რომ, თუ რამე ინტრიგა ხდებოდა, ოთარ უბილავა იყო იქ. სვანებისა და მეგრელების გადაკიდებაზე ის მუშაობდა. ქობალიას მოადგილედ ითვლებოდა.

ინტრიგანი იყო და ჩვენი მოშორება უნდოდა, ოთარ უბილავას იდეა იყო გროზნოში რაციის დამონტაჟება, რომელსაც მთელი საბჭოთა კავშირი უსმენდა. მე როცა გროზნოში მივდიოდი, ვიძახდი, რომ მივდივარ სვანეთში. იმან იფიქრა, ახ, რობინზონი წასულია სვანეთშიო, ჩავიდა გროზნოში და ჩაიტანა ამბები ჩემზე.

ვალტერ შურღაია როდესაც შევიდა ტელევიზიაში, მე იმ დღეს სოხუმში ვიყავი და გროზნოში უნდა წავსულიყავი. დაველაპარაკე გროზნოში ბატონ პრეზიდენტს და მითხრა, რომ წადი სამეგრელოში, გაარკვიე, რა ხდება. იმიტომ რომ ბატონ ზვიადს არ ჰქონდა ინფორმაცია ტელევიზიის აღებასთან დაკავშირებით. დავბრუნდი ზუგდიდში. ზუგდიდში ზის ეს ოთარ უბილავა შტაბში და იძლევა მითითებებს. მე მითხრა, შენი ბიჭები მარტვილში არიანო. წავედი მარტვილში. მარტვილი განთავისუფლებული იყო, დავბრუნდით ნაქალაქევში სენაკის რაიონში, და იქ შემხვდა და მითხრა, თქვენ ახლა წახვალთ სოფელ სუჯუნაშიო და იქიდან გამთენიისას დაფნარს გადაკეტავთო. ტყვია–წამალი არა გვაქვს საკმარისი–მეთქი, მე დილით გამოგიგზავნიო. წავედით. გახდა 10 საათი არაფერი, 12 საათი არაფერი და თან გვითხრა ადგილი – ორსართულიანი კორპუსი იყო შუა მინდორში, გულმა მიგრძნო, რომ რაღაც ცუდადაა საქმე. გამოვიყვანე ბიჭები და წავედით სოფელთან ახლოს ტყე იყო და იქ გავჩერდით, გადის 2 საათი და შემოდის 8 სამხედრო კამაზი, ოთხი “ბეტეერი”, მხედრიონი და არტყამენ “კრუგს“ ამ სოფელს. რა იცოდა მხედრიონმა, რომ ჩვენ იქ ვიყავით? ეს ოთარ უბილავამ გამოგვიგზავნა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ღვთის დახმარებით გავერიდეთ. იქ სიმინდის ყანები იყო ცხენისწყლამდე და იმას გავყევით, სამი დღე–ღამე მოვუნდით ფეხით იქიდან წალენჯიხაში რომ შეგვეფარებინა თავი. აი ეს იყო ოთარ უბილავა.

ბადრი ზარანდიას თავისი ჯგუფი ჰყავდა. ჩემი ჯგუფი დაკომპლექტებული იყო ძირითადად პრეზიდენტის დაცვის ბიჭებით და ბადრი ზარანდიასთან ბატალიონი კი არ ჩამოვაყალიბე, შევფიცეთ ერთმანეთს მეგრელ-სვანთა კოლხური ძმობა, რათა ერთგული ვყოფილიყავით ბოლომდე ქვეყნისა და პრეზიდენტისა.

არავინ დაგვიდგა გვერდში, არც ბოკუჩავა, არც უბილვა, არავინ. ზარანდია იდგა მუუავაში თურმე, მაგრამ იქ ტყეში ინფორმაცია მოჰქონდათ პრეზიდენტთან. ფახულანის მაღლა ტყეებში ვიყავით, რომ ვითომ ზარანდიას სამასი კაცი ჰყავს და დასარტყმელად ემზადება. იქ მოხდა ის, რომ პრეზიდენტს ჩამომაშორეს 5 დღე–ღამე და გადაიყვანეს ზარანდიასთან, იქ იყო დაახლოებით 15 კაცი, რა 300 კაცი?!

იქ მეგზურობას გვიწევდნენ წალენჯიხის პრეფექტი ზურაბ გუჩუა და მისი მოადგილეები. გუჩუა საერთოდ ბოლომდე მეგზურობას გვიწევდა, როდესაც ჯიხაშკარიდან ხიბულაში გადავდიოდით, ის ჩამოგვშორდა. თავიდან არავინ არ იცოდა, რომ პრეზიდენტს ბადრი ზარანდიასთან წაიყვანდნენ. იდეა იყო, რომ პრეზიდენტს ერთ–ერთ ოჯახში გადაიყვანდნენ სადაც ის ცალკე იქნებოდა და ვერავინ მიაგნებდა. ერთ–ერთ ოჯახში მიჰყავდათ პრეზიდენტი, ყველამ ასე ვიცოდით.

ერთი ღამე ოჯახში გაათენა და მეორე დღეს აღმოჩნდა ბადრი ზარანდიას ბანაკში, სადაც 1993 წლის 19 ნოემბრიდან 28 ნოემბრამდე იმყოფებოდა.

მე პრეზიდენტს არასდროს არ ვშორდებოდი, მერე გაიხმეს პრეზიდენტი გვერდზე, იქ რაღაც ესაუბრნენ “წრუწუნამ” (ზ.ფიფიამ) და ვიღაც ბიჭმა, მერე მოტრიალდა პრეზიდენტი და მეუბნება: რობინზონ, შენ ეს ბიჭებიო, ვინც რჩებოდნენ, სტუდენტები გვახლდნენ ორი გოგო და ორი ბიჭი, გააცილე რამენაირადო. მე გამოგიგზავნი კაცს და მერე გადმოხვალ ჩემთანო.

ჩვენ ვიყავით ფახულანის მთაში, სადაც ვცხოვრობდით და საიდანაც პრეზიდენტი წაიყვანეს. პრეზიდენტმა მითხრა, აქედან ფეხი არ მოიცვალო, მე კაცს გამოგიგზავნი და სადაც ვიქნები, იქ მოგიყვანსო. მეც ველოდებოდი იქ. გავიდა ორი

დღე, არავინ არ გამოჩნდა, მესამე დღეს ამოვიდა 21–კაციანი ჯგუფი. ჩვენთან ერთად იბრძოდნენ ჩვენი გვარდიელები, “შოშია” იყო ხელმძღვანელი. მაგრამ მე გამიკვირდა, მითხრეს რომ ბაბუ ვნახეთო (ბაბუ მხედველობაში ჰყავდათ პრეზიდენტი), სად ნახეთ–მეთქი, გადიოდა დაბლა სოფლიდანო. მე ცოტა დავეჭვდი, როგორ, კაცო, 3 დღეა და ახლა გადის გარეთ? თან ინფორმაცია მაქვს, რომ ფახულანი მთლიანად გადაკეტილი აქვს მხედრიონსა და გვარდიას. მერე გაირკვა, რომ იქ ისინი გამოგზავნეს ჩვენს დასარბევად (ბურჯანაძე, ქინქარარული, გოგაძე), მაგრამ ის არ იცოდნენ, რომ მე იქ ვიყავი და ისინი ჩემ წინააღმდეგ არ აიღებდნენ იარაღს, იმიტომ რომ ხობში როდესაც ვიბრძოდით, სამი ბიჭი დაიჭრა და ყველამ მიატოვა, მე გამოვიყვანე ისინი, არ დავტოვე, ჩამოვიყვანე საავადმყოფოში და ახსოვდათ ეს სიკეთე, ამიტომაც არ აღმართეს ჩემ წინააღმდეგ ხელი, თუმცა შეეძლოთ, იქ დავერბიეთ, 21 კაცი იყო და 4 ჩვენ ვიყავით.

მე ქობალიასა და შევარდნაძის საუბრებისთვის არ მომისმენია. ის კი გავიგე, რომ მერე ერთმანეთს შეხვედრიან ანაკლიაში და იქ რა მოლაპარაკება ჰქონდათ ეს არ ვიცი. მაგრამ თუ იმ კაცს ხვდები, ესე იგი შეთანხმებას აღწევ, ხომ?!

ენგურჰესის რაღაც ყოფილი საწყობები იყო, ქოხები, ენგურ ჰესს რომ აშენებდნენ იქ არის ტუნელი, ტუნელით გადის ის წყალი აგრეგატთან, და იქ ცხოვრობდა პრეზიდენტი.

ჩამოსვლისას პრეზიდენტმა მითხრა: მადლობა ღმერთს, რომ ცოცხალი დაბრუნდი, აქედან უნდა წავიდეთ სასწრაფოდო. ეს ნაძირალა ბადრი ზარანდია გია გულუას ხვდებაო. იქ, შესასვლელში, თვითონ ბატონ ზვიადს უბრძანებია ბარიკადების გაკეთება, რომ მძიმე ტექნიკა ვერ შესულიყო. მეორე დილით გავუდექით გზას, დავტოვეთ ბადრი ზარანდიას ბანაკი და პრეზიდენტმა მითხრა, მიბრძანა, ორი ბიჭი დამეტოვებინა ბანაკში და გაეგოთ – რა მიზნები ჰქონდა ბადრი ზარანდიასა და მის დაჯგუფებას. ამ ბიჭებს მერე გადავიყვანთო. მეც დავტოვე ირაკლი და ვაჟა ქინქარარული. ორი დღის მერე გავაგზავნე გონა კეკენაძე და ის ბიჭები არ დახვდნენ. პასუხი ასეთი იყო: ისინი მოასხდნენ ცხენებს და თბილისისკენ წავიდნენო. მე ვაფიქსირებ იმას, რაც ჩემ თვალთა ხედვაში და ყურთასმენაში ხდებოდა.

ბადრი ზარანდიას ახლდა ზუგდიდის განყოფილების ორი პოლიციის თანამშრომელი, ერთი, ბადრი ზარანდიას ნათლია თუ მეჯვარე, ზუგდიდის პოლიციაში მუშაობდა, ოთხოზორია იყო თუ? გვარი არ მახსოვს. ჩვენ ვიყავით ბრმის ოჯახში. ბადრის ვუთხარი: ბიჭო, ეს როგორ გაბედე, ამათი მოყვანა–მეთქი. აუ, ჩვენი ძმები არიან ნუ გეშინიაო. მე, ბადრი ზარანდია, ის ორი პოლიციის თანამშრომელი ცალკე ოთახში ვსხედვართ პრეზიდენტთან ერთად და ეუბნება ბადრი ზარანდია პრეზიდენტს, ბატონო ზვიად, ჩვენ გარანტიას გაძლევთ, ან სომხეთის საზღვარზე გაგაცილებთ, ან აზერბაიჯანის საზღვრამდეო. მე ვუთხარი, ბადრი, იცი–მეთქი სად არის სომხეთის საზღვარი და სადაა აზერბაიჯანის საზღვარი–მეთქი?, როგორ არაო. მერე იქამდე მთელი თბილისი უნდა გავიაროთ და როგორ მეთქი?, ვერტმფრენითო. ამაზე უარი განვუცხადეთ და წავიდნენ. “პუშკინა” ელოდებოდათ გარეთ და ინფორმაცია მოვიდა, რომ ვახო ზარანდიას ჯიხაშკარიდან უნდა მოეყვანა მანქანა და უნდა გადავსულიყავით ჯიხაშკარში. “პუშკინას” ვუთხარით, შენ დარჩიო, ისინი გავუშვით და მოიყვანა მანქანა “მაზი”. ჩვენ იმ საღამოსვე გავემზადეთ გამოსასვლელად იმიტომ, რომ ის ადგილი გაყიდული იყო, რადგანაც ზარანდიამ ორი პოლიციელი მოიყვანა, უკვე გასაგები იყო ჩვენთვის და დავტოვეთ იმ ბრმის სახლი. გადმოვედით სოფელში, რომელსაც ჭალა ჰქვია, ზურა გუჩუას ბიძაშვილის ოჯახში. ჩვენ რომ ღამე დავტოვეთ, 10 საათზე, იმ სახლს გამთენიისას თავს დასხმოდნენ და იქ 13 წლის ბიჭიც დაუჭრიათ, ტანკებით მისულან იმ ბრმის ოჯახში, ასე დავაღწიეთ თავი და გამოვასწარით იმ საღამოს დაჭერას თუ დახვრეტას.

ბადრი ზარანდიას ნაჩუქარი არავითარი “სტეჩკინი” არ ჰქონია პრეზიდენტს. ეს იარაღი სოხუმი რომ დაეცა იმ დღეს, იმ საღამოს, ბატონი ზვიადი ღამეს ლოთისთან ათევდა, იქ ვიყავით და მე მთხოვა, რომ მთელი ბიჭები წამეყვანა და დავხმარებოდით ლტოლვილებს ენგურის ხიდიდან ცენტრში გადმოსვლაში. იქ რამდენი-

მე ბიჭი დავტოვე, დაცვა თავისთავად, როგორც ყოველთვის მორიგეობით. იმ საღამოს გია გულუა მოადგა თურმე ენგურს და ბიჭებს განუიარაღებიათ ის და მისი ჯგუფი. პრეზიდენტთან ბევრი პისტოლეტი მოუტანიათ, აუღიათ "სტეჩკინი" და მიუციათ პრეზიდენტისთვის. მე ახლა გავიგე, ავთო პაკელიანს მიუცია, რომელიც ერთ–ერთი ჩვენი თანამებრძოლი იყო.

პროკურატურაში რომ დადგა საკითხი და იქამდე რომ მივედით, თუ სად იყო იარაღი, იქ ვთქვი, რომ ცხედარს ამოვუდე და წავიღე გროზნოში. მერე ბალუაშვილმა დამიძახა, კაცო, ჩემს თავს აჭერინებო? და რაღაცა შეასწორა ჩემს ჩვენებაში. მე არ მახსოვს ახლა, როგორ შევასწორეთ, მაგრამ **სინამდვილეში ის იარაღი პრეზიდენტის სახელმწიფო ბეჭედთან ერთად შევინახე, ჯონსონ კვარაცხელიას სახლის უკან, ტყეში, იდგა დიდი ხე, გავთხარე ორმო, გავახვიე "ტრიაპკაში", მერე ცელოფანში, მერე რეზინაში და იქ დავმარხე,** ეს ამბავი მხოლოდ მე და ჯონსონ კვარაცხელიამ ვიცოდით.

ჯონსონ კვარაცხელია გავაფრთხილე, რომ უჩემოდ დამარხული ნივთებისთვის ხელი არ ეხლო, არც მე, მის გარეშე ხელს არ ვახლებდი. <u>პროკურატურაში იმიტომ ვუთხარი ასე, რომ როცა პრეზიდენტის ცხედარი ვალიკო ზარანდიას ოჯახში აღმოაჩინეს, საწყალი კაცი წაიყვანეს, იმდენი სცემეს, რომ ერთ თვეში გარდაიცვალა. მე ვიფიქრე, თუ ჯონსონ კვარაცხელიას ოჯახში "სტეჩკინს" მიაგნებენ, ისევე მოექცევიან იმ საწყალს – მეთქი, აქედან გამომდინარე, ამ მომენტში პროკურატურას არასწორი ჩვენება მივეცი</u>. **იარაღი არ გამიპრიალებია, მე ის "ტრიაპკაში" გავახვიე, მერე ცელოფანში, მერე რეზინაში, რომ არ გაფუჭებულიყო. ხელი მოვკიდე ისეთნაირად, რომ ის ტარი, ტარზე იყო კვალი, ვისაც ეკავა, და მე ისეთნაირად მოვკიდე ხელი, რომ ჩემი კვალი ტარზე არ დარჩენილიყო.**

არა მგონია, გუგუშვილი მაგას ამბობდეს, რომ იარაღი გაპრიალებული იყოს და გაპოხილი[321], იმიტომ რომ **გუგუშვილმა ნახა, ხელიდან როგორ ავართვი პრეზიდენტს "სტეჩკინი"**. მერე, როდესაც იარაღზე მივედი ჯონსონ კვარაცხელიასთან, მითხრა: ის ქალბატონ მანანა არჩვაძეს მივეციო. მე ვუთხარი, რატომ მიეცი მანანა არჩვაძეს?, რა ესაქმებოდათ იმ იარაღთან–მეთქი? ის ცოლი იყოო. მერე რა რომ ცოლი იყო? შევკამათდით მე და ჯონსონი და წამოვედი. მერე კიდევ მივედი, **ორი იარაღი იყო შენახული, გვანცელაძისა და ბურჯანაძისა, პისტოლეტებიც და ავტომატებიც. ისინიც წაღებული იყო, ჯონსონს ჰქონდა ჩაბარებული.**

"სტეჩკინის" და "მაკაროვის" ტყვია ერთი და იგივეა[322]. მე რომ მჭიდი ვნახე, "სტეჩკინის" ტყვიები ეწყო. "მაკაროვის" იგივე არის, "სტეჩკინიც" და "მაკაროვიც" ერთი და იმავე ტყვიას ისვრის. ტყვიები "მაკაროვის" იყო, რადგან უფრო ადვილად შეიძლებოდა შოვნა.

გადაადგილების დროს ჩვენ გავიგეთ ბრმის ოჯახზე თავდასხმის შესახებ. დანარჩენ ოჯახებს რომ თავს ესხმებოდნენ, ამას ჩვენ ვერ ვიგებდით, არავინ არ გვაწვდიდა ინფორმაციას, თქვენ რომ წახვედით, თავს დაგვესხნენო.

გადავადგილდებოდით ტყიან ადგილებში. სოფელ პალურში ბადრი ზარანდია ორჯერ მოვიდა და მან შეგვატყობინა, რომ ჩამოყვანილი ჰყავთ 80 – კაციანი სპეცდანიშნულების ნაწილი – "ალფას" ჯგუფი და ნადირობენ პრეზიდენტზე და ჩემზეო. ვითომ საქართველოს სპეცნაზის სახით, მე ვაპირებ რუსეთში გაქცევას, ჯიხაშკარში მყავს, ჯაღრაში, ბებია – ბაბუა და თქვენ იქ დაგაბინავებთ, ვერავინ ვერ მოგაგნებთო. მეორე ღამეს ბატონმა ზვიადმა მითხრა: წადი, შეხვდი და აუკრძალე

---

321 ტელევიზია „იმედისთვის" მიცემულ ინტერვიუში მართლაც, გამოვთქვი მოსაზრება, რომ იარაღი სტეჩკინი დაზეთილ ანუ დაკონსერვებული შეინახეს (თუმცა ჩემი თვალით ეს პროცესი არ დამინახავს — არავითარი „გაპრიალება" არ მიხსენებია), რათა არ დაჟანგებულიყო – მეთქი. აგრეთვე ამის თქმის შემდეგ, მაშინათვე დავუმატე, რომ არ მინახავს „სტეჩკინის" პატრონობის პროცესი. პრაქტიკულად იგივეს ადასტურებს მარგველანი, რომ მიუღია ზომები იარაღის დაჟანგვისგან დასაცავად, დასაკონსერვებლად.

322 რ.მარგველანის ამ განცხადებამ ფრიად გააოცა კომისიის თავმჯდომარე კოკო გამსახურდია — გაირკვა, რომ მან აქამდე არ იცოდა, რომ „ძლიერი სტეჩკინი" სუსტი „მაკაროვის" ტყვიებს ისვრის!

ჩვენთან კავშირიო. წავედი. ბადრის ვუთხარი: შენ წადი, თავს უშველე და ჩვენ მივხედავთ ჩვენს თავს – მეთქი.

გუჯუჯი ებრალიძე მთაში დავიბარეთ, მერე წალენჯიხის ჯგუფის უფროსი და დავუთქვით დღე, რომ შეკრებილიყვნენ და დაგვეწყო მოქმედება. კაციშვილი არ გამოცხადდა. ჯამბული ბოკუჩავა იქვე, სადღაც ახლოს, ყოფილა მუჟავასთან, მხოლოდ და მხოლოდ წამოვიდა ვახო ზარანდია – ბატალიონ ჯიხას ხელმძღვანელი, რომ გადავეყვანეთ.

როცა მე იქ დამტოვეს, მაშინ გიორგი გამოსულა რაციაზე, ზვიადს უთქვამს, არ გაბედოთ გროზნოსთან დაკავშირება და საერთოდ გათიშეთ ხაზიო.

გულუა რომ დააპატიმრეს, მე ქობალიას შტაბში ვიყავი და ატყდა სროლა, ციხე იქვეა, პრეზიდენტი გამოვიდა შტაბიდან, უნდა წავსულიყავით და იქვე რამდენიმე წუთით ადრე გია გულუა გაქცევიათ ციხიდან. აი, ასე ადვილად, დღისით – მზისით.

ტვირთი, რომელიც დაგვქონდა 250 კგ–ს იწონიდა, თუ რამდენს არ ვიცი. დაგვქონდა იარაღი, ტყვია–წამალი, "ნაღმმტყორცნელები", "მუხები". პრეზიდენტს ორი დიდი ხელჩანთა ჰქონდა. რომლებშიც პირადი ნივთები ელაგა. მერე გზადაგზა რაღაცებს ვტოვებდით. ვახო მოვიდა ერთხელ, სოფელ „ლიაში" მაგრამ იქ არის, ბეწვის ხიდს რომ ეძახიან, გადმოსასვლელი, ხიდის ბოლოში უნდა გადმოვსულიყავით ჭალიდან და უნდა გადავსულიყავით პალურში, მაგრამ იქვე, 100 მეტრში, მხედრიონის პიკეტი იყო, ცეცხლი ენთო და ვახომ ვერ გაბედა, იქ მოსვლა. მანქანა დამალა, "პუშკინა" გავაგზავნეთ. ველოდეთ "პუშკინას", გავიდა 3 სააათი, არ მოვიდა, მერე ავდექით და დავბრუნდით უკან. თენდებოდა.

ბადრიმ თქვა, სპეცრაზმია ჩამოსულიო და მეც დამიჭერენ და თქვენცო. მათ ყველას ოთარ ფაცაცია განაგებდა, ჩემ გარდა, მე არ ვემორჩილებოდი, იმიტომ რომ არასწორი მიმართულებით მიჰყავდა ყველაფერი.

ბაჯელიძე ერთი რიგითი მებრძოლი იყო, რომელიც ჯგუფში მივიღეთ. პრეზიდენტი არ იცნობდა მას. მე ის ჩვენს რიგებში მაშინ მივიღე, სამეგრელოში როცა ვიბრძოდით, ამ დროს პრეზიდენტი გროზნოში იმყოფებოდა. მე იქ ბევრი ბიჭები მყავდა ჯგუფში, მაგრამ ისინი დაცვის წევრებად არ ითვლებოდნენ...

როცა პალურში გადავედით, ზურა გუჩუამ კაცი გაგზავნა ჯაღრაში, მოაყვანინა ანზორ მებონია, რომელსაც უთხრა, რომ თავშესაფარი გვჭირდებოდა. ასე აღმოვჩნდით სოფელ პალურიდან ჯაღრაში. ერთი ღამე საფიფიოში გავათენეთ. მერე იქიდან წავედით წალენჯიხის ჩაის მეურნეობა იყო, იქ, მთელ ღამეს წვიმდა. მერე ცხენის "ტაჭკა" გამოგვიყვანეს და იმაზე დავსვით პრეზიდენტი, გუგუშვილი და კეკენაძე. **პრეზიდენტი თავს შეუძლოდ გრძნობდა.**

დაღამდა თუ არა, მოვიდა სანდრო გეგენია და გავყევით მას. წავედით ფეხით. მერე მებონიამ თქვა, წინ მე წავალ და პატარა ტრაქტორს მოვიყვან, სანამდეც იქნება გზაო. დავსხედით ამ ტრაქტორზე და აგვიყვანა სახლში. დღე და ღამე ჩემთვის გაერთიანებული იყო, დრო, რიცხვი არ ვიცოდი. იქ რამდენიმე დღე გავატარეთ, შემდეგ მებონია გავაგზავნეთ ვახო ზარანდიასთან. ვახო მოვიდა ჩვენთან, მოიყვანა "ვილისი", ჩავსხედით, გადაგვიყვანა და მოგვათავსა ჯონსონ კვარაცხელიას სახლში. მეორე დღეს ვახოს საკვები უნდა მოეტანა. მოვიდა გუჯუჯი ებრალიძე და გვეუბნება, რომ ვახო ზარანდია დაიჭირეს, ზუგდიდში რომ დაინახეს ვახო ზარანდია, აიყვანესო. მეორე დღეს ზუგდიდში გუჯუჯი ებრალიძეც აუყვანიათ.

გია მხეიძე აფხაზეთიდან ლტოლვილი იყო და ჯიხაშკარში ცხოვრობდა, ზედ ტრასაზე, ეს აფხაზეთის უშიშროების თანამშრომელია და ლტოლვილი რომ იყო, იქ ქონდა სახლი. დაინტერესებული იყო ჩვენი გადადგილებით, არ ვიცი, ვისი დავალებით. გუჯუჯიც დაიჭირეს: <u>მესამე დღეს მოდის გუჯუჯი და პრეზიდენტს ეუბნება, მე დამაპატიმრეს, მაგრამ, როგორც მოხუცი გამათავისუფლეს და მე გთხოვ, შეიძლება, წამებას ვერ გავუძლო და საერთოდ გამათავისუფლო ყველაფრისგან და წავალ ჩემ გზაზეო. პრეზიდენტმა მადლობა უთხრა, რომ ასე გულახდილად თქვი</u>

ყველაფერიო[323]. წავიდა ებრალიძე და მოვიდნენ ძმები ჩუხუები. ჯონსონ კვარაცხელიამ ჩუხუები არ შემოუშვა, უთხრა, რომ პრეზიდენტი მასთან არ იმყოფებოდა. ამის შემდეგ ისინი წავიდნენ.

გუჯუჯი ებრალიძეს რაც შეეხება, პრეზიდენტმა ბიჭებს დაავალა, რომ ყველა ჯგუფის ხელმძღვანელები შეკრებილიყვნენ და მაშინ გავიცანით. პრეზიდენტთან მოვიდნენ მუჟავაში. ბადრი ზარანდიასგან რომ წავედით და ტყეში რომ ვიყავით, მწყემსის კარავში, იმ დროს.

ჯონსონ კვარაცხელიას ვუთხარით, რომ ისინი მერაბ ჩუხუას მამა და ბიძა არიან და ალბათ სანდო პირები არიან, გააგებინე, რომ მოვიდნენ – მეთქი. უკვე ერთი მეგზური დაგვიჭირეს, მეორე მეგზური დაგვიჭირეს, ეს ადგილი უკვე გაყიდულია და ხომ უნდა წავიდეთ სადღაც? თავი ხომ უნდა შევაფაროთ სადმე? ჩვენ არავის ვიცნობთ, სად წავიდეთ, ვისთან მივიდეთ, როგორ მივიდეთ და, აქედან გამომდინარე, მეგზური გვჭირდებოდა. დაღამებული იყო პრეზიდენტი რომ გადავიყვანეთ, ალბათ ერთი საათის. არ ვიცი, 27 იყო თუ რა იყო. ვერ გეტყვით 26 თუ 27. სამი დღე დავყავით იქ. ჩვენ თვითონ მივხვდით. ორი მებრძოლი, იმ სახლში გადავედით თუ არა, ეგრევე დაგვიჭირეს.

ჩვენ თვითონ დავასკვენით და პრეზიდენტმაც, რომ სასწრაფოდ უნდა გამოგვეცვალა ადგილი, მაგრამ სად წავსულიყავით?..

მე მგონია, ჩუხუებს ინფორმაცია გულიკო ტიბუამ მიაწოდა, გულიკო ტიბუას ელაპარაკნენ. გუჯუჯი ებრალიძემ და მერე გულიკო ტიბუამ, როგორც მე ვიცი, მოიყვანა ჩუხუები. მეორედ უკვე ჯონსონ კვარაცხელიას ვუთხარი, მან ხომ გააბრუნა ის ჩუხუები. მერე ვუთხარით, რომ ისევ მოეყვანა, მოეძებნა, რომ გადაადგილებაში დაგვხმარებოდნენ, ვინაიდან ჩუხუას მამა დეპუტატი იყო და პრეზიდენტთან და ჩვენთან დაახლოებული პირი. ამიტომ, სრული ნდობა გამოვუცხადეთ.

ადგილსამყოფლის გამოცვლასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები, მე არ მიმიღია. **გადაწყვეტილებებს პრეზიდენტი იღებდა. გადაწყვეტილებას წასვლაზე ყოველთვის პრეზიდენტი იღებდა.**

სად მივდიოდით, ჩვენ არ ვიცოდით. მარტო ის ვიცოდით, რომ სანდო ოჯახში მივდიოდით.

მე ვიცი, რომ პრეზიდენტმა ანზორ მებონიას უთხრა: მაგდებ, ბიჭო, სახლიდანო, და არა ჯონსონ კვარაცხელიას.

ღურწკაიას სახლში მგონი 27–ში გადავედით, დაახლოებით საღამოს 8 საათი იქნებოდა.

გზაში 3 საათი დაგვჭირდებოდა. ისე, დაგვიანებით მივედით. ჩქარა ვერც მივდიოდით, რადგან დატვირთულები ვიყავით. თანაც საათსა და დროს ვერ ვაკონტროლებდით. ის 35 დღე იყო თუ რაღაც, ტყეში რომ ვიყავით. დრო გაჩერებული იყო ჩვენთვის. ასე, რომ ამას მე დაზუსტებით ვერ გეტყვით.

სოფელში რომ შევედით, იქ "ბირუასავით" იყო, კაცები იდგნენ, არ გავუჩერებივართ. რომ ვკითხე ვინ არიან ესენი–მეთქი, ჩვენი ხალხია, ჩვენ დავაყენეთ, ასეთი პასუხი გაგვცა ანატოლი ჩუხუამ, რომელიც საჭესთან იჯდა.

სახლში რომ შევედით, ვთქვით, კაცო, აქ ადგილის მეტი რა ყოფილა, ბიჭები რატომ დავტოვეთო? არა, ახლა ლოგინები არაა იმდენიო. იატაკზე დავწვებოდითო ვუთხარით. ხვალ გადმოგიყვანთო, გვითხრეს ძმებმა ჩუხუებმა. მეორე დღეს გვიან მოვიდნენ, რაღაც საჭმელი მოიტანეს. ვეუბნები, რატომ არ გადმოიყვანეთ. დღე იმდენი საქმე გვქონდა, ვერ მოვასწარით, აი, ხვალ უსიკვდილოდ გადმოვიყვანთო.

მესამე დღეს ანატოლი საერთოდ არ გამოჩნდა.

---

[323] კეთილშობილური, თავმდაბალი და ობიექტური საქციელის მაგალითი — რაც ძალზე მრავალჯერ ვნახეთ სამეგრელოში მალვის პერიოდში...

ამოვიდა ზაურ ჩუხუა, მოიტანა ქათამი, მარწყვი... ეს მაშინ, როდესაც პრეზიდენტი შიმშილობს. თუმცა სანამ ეს მოხდებოდა, **წინა ღამით ექიმიც მოვაყვანინეთ, რადგან პრეზიდენტი ცუდად იყო.**

ექიმი ჩუხუამ მოიყვანა, თავისი სოფლელი, მაგრამ ზვიადმა არ მიიღო.

პრეზიდენტს ექიმის მოყვანა არ უთხოვია, ჩვენ მოვითხოვეთ ექიმი, რადგან იგი საქმელს არ ჭამდა. ჩუხუებმა გვითხრეს, რომ რამდენიმე დღით აქ გავჩერებულიყავით, შემდეგ კი უკეთეს ადგილს ნახავდნენ. ღურწკაიებთან ღამე მივედით, სიბნელეში შევედით პირველ სართულზე, გავიარეთ მეორე ოთახი, მერე – მესამე ოთახი. მესამე ოთახიდან კიბე იყო. მაღლა ასასვლელი შევამოწმეთ, ავედით იმ კიბით ზევით, შიგნით ყველაფერი შევამოწმეთ, დარაბები დახურული იყო და "რეიკებით" იყო ჩარაზული ყველა ფანჯარა.

პრეზიდენტი კარლო ღურწკაიას რამდენიმე წუთს ელაპარაკა.

ჩვენ ჩუხუებმა გვითხრეს, რომ ოთხ კაცზე მეტს ოჯახი ვერ მიიღებს და დაცვის ორ წევრს მერე გადმოვიყვანთო. ჩუხუებს ვუთხარი: აქ ადგილი ყოფილა და რატომ დატოვეთ ისინი–მეთქი, მეორე დღეს გადმოვლენო.

საერთოდ, ტყეში რომ გავედით, იმის მერე პრეზიდენტს წვერი არ გაუპარსავს, თეთრი წვერი ჰქონდა, კაი მოზრდილი. ზედ ნაბადი ჰქონდა თეთრი ფერის და პალტო.

ნაბადი ჰქონდა, მაგრამ ჩაცმით არ ეცვა, პალტო ეცვა მოცისფრო, ნაცრისფერი სვანური ქუდი ეხურა.

ტყეში სულ სვანური ქუდი ეხურა. მე ვაჩუქე, სვანეთში ვიყავი და მთხოვა, სვანური ქუდი მომიტანეო და ჩამოვუტანე. იმ ქუდით დადიოდა მთელ წელს.

ტყეში რაც გავედით, წვერი არ გაუპარსია პრეზიდენტს. სად უნდა გაეპარსა? დაბანით ჩვენ არ ვიბანდით და ორი თვე ტანზე გაუხდელად ვიყავით.

ჩვენი მოთხოვნის მიუხედავად, ჩუხუებს დაცვის ბიჭები არ გადმოჰყავდათ. ფახულანის ტყეში გასვლის შემდეგ ნელ–ნელა გვაშორებდნენ დაცვას.

ირაკლი გოგაძე ბესარიონ გუგუშვილის დაცვის წევრი იყო.[324]

გადაწყვეტილებებს პრეზიდენტი იღებდა, თუ ვინ წავსულიყავით და ვინ დარჩენილიყო ბადრი ზარანდიას ჯგუფში. გოგაძესა და ვაჟა ჭინჭარაულზე ეს გადაწყვეტილება მე მივიღე, იმიტომ რომ ირაკლი და ვაჟა ბადრი ზარანდიას კომენდანტურაში ეხმარებოდნენ მუშაობაში და ყველას, იქ მყოფ ბიჭებს, კარგად იცნობდნენ.

ჭინჭარაული და გოგაძე იმიტომ დავტოვე, რომ პრეზიდენტმა ბრძანა, ორი ბიჭი დატოვეო. ამას ყველა ადასტურებს, ვინც გვახლდა, აბსოლუტურად ყველა. პრეზიდენტმა ბრძანა, ორი ბიჭი დატოვე ბანაკში, რომ ბადრი ზარანდია რას მოიმოქმედებს, ორი დღე დააკვირდნენ და მერე გადავიყვანოთ ჩვენთანო.

მჯერა, რომ პრეზიდენტმა თავი მოიკლა. რომ ვნახე, სვიტრი ეცვა. პიჯაკი არ სცმია, პიჯაკი იქ, სკამზე, იყო ჩამოკიდებული.

დაცვის წევრებიდან იქ ორი კაცი ვიყავით, ბაჩუკი გვანცელაძე და მე, რობინზონ მარგველანი, რომელიც **პირველი მივედი, იარაღი ხელიდან ავართვი[325] და გაპატიოსნება დავუწყე.** პირველი მე შევედი ოთახში, რაც დავინახე, იმას გეუბნებით. **მე ავართვი იარაღი ხელიდან** და მე და კარლო ღურწკაიამ გავაპატიოსნეთ პრეზიდენტი. პრეზიდენტს ეცვა სვიტრი, რომელიც მე ვუყიდე ზუგდიდის ბაზრობაზე – აცივდა, რობიზონ, თხლად მაცვია და სვიტრი მიყიდეო. წავედი, ვუყიდე სვიტრი, რომელიც მწვანე ფერის იყო.

იმ საღამოს მოვიდა ზაურ ჩუხუა, პრეზიდენტმა გვთხოვა, რომ სალაპარაკოდ დაგვეტოვებინა ისინი. ზაურ ჩუხუა და პრეზიდენტი მარტო დავტოვეთ. ჩვენ ჩამოვედით დაბლა, პირველ სართულზე. ერთ 20 წუთს, თუ ნახევარ საათს ისაუბრეს,

---

[324] ირაკლი გოგაძე, განათლებული, ზრდილობიანი და ენების მცოდნე ახალგაზრდა, დედამისმა მომიყვანა და მთხოვა შენთან დაიტოვე თორემ ფრონტისკენ იწევსო — მაგრამ ცოტა ყურთ აკლია და ფრონტზე აუცილებლად დაიღუპებაო. ირაკლი ოფიციალურად პრემიერ–მინისტრის რეფერენტად იყო გაფორმებული — თუმცა ხალხი ფიქრობდა, რომ იგი პირადი მცველი იყო.

[325] ზუსტად – როგორც კი იარაღი დაინახა მაშინათვე გამოგლიჯა ხელიდან.

მაგრამ რა ილაპარაკეს, ეგ არ ვიცი. მათი საუბრის შემდეგ ჩუხუა მოდის და გვეუბნება, პრეზიდენტი გეძახითო. ჩვენ ავედით, ჩუხუა წავიდა. ჩვენ ვსხედვართ, ვსაუბრობთ, დაგვიძახა პრეზიდენტმა და გვითხრა: ბიჭებო, ამაღამ დაიძინეთ, დაისვენეთ და ხვალ ადგილი უნდა გამოვიცვალოთ, დიდი გზა გველისო. პრეზიდენტის სიტყვა კანონი იყო ჩვენთვის და წამოვწექით. მე და ბაჩუკი რაღაცას ვჩურჩულებდით, ვლაპარაკობდით და პრეზიდენტმა ჩაახველა. მე ამით მენიშნა, ალბათ გაჩუმდით და დაიძინეთო, ჰო–და, ვართ ასე გატრუნული. არ ვიცი, თორმეტის ნახევარი იყო თუ პირველის ნახევარი, **გავიგე სროლის ხმა და ამ სროლის ხმამ წამომაგდო ლოგინიდან.** წამოვედი აქეთ პრეზიდენტის ოთახისკენ, აქ უკვე გუგუშვილიც კარებთან დამხვდა, მე ერთი 4–5 ნაბიჯი ალბათ დამჭირდებოდა მისასვლელად, არიქა, რობიზონ, პრეზიდენტი, მგონი, ცუდადააო.

მგონი, **პრეზიდენტი ცუდადააო, წამოხტა გუგუშვილი სროლის მერე.** პრეზიდენტის ოთახში ლამპის ნათურა გვედგა, რომელიც დაწეული იყო, ოდნავ ბუუტავდა. გუგუშვილი ისედაც ახლომხედველია და უცბად ვერ შეამჩნევდა იარაღიდან ამოსულ ვერანაირ ბოლს[326], მერე მე მოვუარე გვერდით, ლოგინთან მივედი და დავიღრიალე, ვაიმე დავიღუპეთ–მეთქი, ამასობაში ისინიც ამოვარდნენ ზევით, ცოლ-ქმარი და, იყო იქ კედლებზე თავის რახუნი და მთელი ამბები. **მერე პრეზიდენტს იარაღი ავართვი ხელიდან,** ჩვეულებრივი "სტეჩკინი"–ს სისტემის პისტოლეტი.

ეს "სტეჩკინი", მერე გავარკვიე, გვიან, გროზნოდან რომ დავბრუნდი, გია გულუასთვის წაურთმევიათ ბიჭებს და პრეზიდენტს აჩუქეს.

მე ვადასტურებ, რომ პრეზიდენტი 31–ში გარდაიცვალა.

პრეზიდენტი რომ დაიღუპა, მეორე დღეს, 30-31-ში დაიღუპა, 30 ღამე და 31 ღამე 12 საათი იყო, თუ 12:30 საათი[327]. აი ესე იყო მიახლოებით.

ერთი დღე ღურწკაიების სახლში გვყავდა გარდაცვლილი პრეზიდენტი. ახლა 31 ღამე მოდის 1-ში, ზაურ ჩუხუამ მოიყვანა პატარა ტრაქტორი, წინ რომ აქვს "კუზავო", და იმით გადავასვენეთ, იმიტომ რომ ოჯახმა თქვა, ახალ წელს სტუმრებს ველოდებით და ასე როგორ დავხვდეთო, ჩვენც შეგვეშინდა და გადავასვენეთ პრეზიდენტი ღურწკაიების ოჯახიდან.

გროზნოში რომ ჩავიდნენ სამეგრელოდან, გურამ აბსანძე მანანა არჩვაძეს ეუბნება, ნუ გეშინია, საქმე კარგადაა, ძველი დაცვა მოშორებულიაო. ეს ის პერიოდი იყო, მე რომ მოშორებული ვიყავი 5 დღით.

გუგუშვილს იარაღი არ უნახავს, იმიტომ რომ ღრიალებდა. ვტიროდით გუგუშვილიც, ბაჩუკიც და მეც. ვერ ნახავდა, თანაც ახლომხედველია. ის ბოლს ვერ დაინახავდა, ეს გამორიცხულია.

პრეზიდენტს თუ რამე დოკუმენტი ჰქონდა, აბსოლუტურად ყველაფერი დაწვა.

პრეზიდენტი რომ იწვა, ბალიში აწეული ჰქონდა რაფაზე და თავი ჰქონდა ასე ჩამოდებული. **საფეთქელთან, მარჯვენა მხარეს, ადგილი ამომწვარი ჰქონდა.**

მაგ ფორმაში ვნახე მე. ძალიან კარგი მეხსიერება მაქვს, მე მივედი მასთან პირველი და მე დამხვდა ასეთ ფორმაში, **იარაღი მე ავართვი ხელიდან.** ბაჩუკი უკან მომყვა. მე რომ დავიღრიალე, ვაიმე, დავიღუპეთ–მეთქი, ისიც იმ დროს სროლის ხმამ წამოაგდო.

იარაღი რომ ავართვი ხელიდან, ეს ხელი ასე ჩამოვარდა. აქედან სისხლი წამოვიდა და იატაკზე ხმაც გავიგონე იმ სისხლის. მანამდე ბაჩუკი ღრიალებდა, ბესოც ღრიალებდა. ისინი ალბათ ვერ აღიქვამდნენ იმ ფორმით, როგორც მე აღვიქვი.

ბატონმა ზვიადმა იარაღ "სტეჩკინის" შესახებ რაღაცები მკითხა– "ადინორჩნიზე–" როგორ დგებაო და რაღაც. მე ყველაფერი ავუხსენი, ჯონსონ კვარაცხელიასთან ყოფნის დროს, ავუხსენი, ესე "ადინორჩნია", ესე – "ორერედი"– მეთქი: მერე მე ვუ-

---

326 აქ რ.მარგველანს მხედველობაში აქვს ჩემს საგაზეთო ინტერვიუში რემარკა იმის შესახებ, რომ მაკაროვი, როდესაც იგი დავინახე ჯერ კიდევ „ხრჩოლავდა", „ბოლავდა" ანუ დენთისა და ზეთის სუნი ასდიოდა.

327 12:30 ანუ 24:30 ანუ შემდეგი დღის 00:30

თხარი, ბატონო ზვიად, შემოსასვლელ ოთახში ვარ, ვწევარ – მეთქი და ეს იარაღი მათხოვე – მეთქი, რომ ავტომატი ცოტა მოუხერხებელია – მეთქი რა. რომ რამე მოხდეს, რობიზონ, მე არავისზე ნაკლები სროლა არ ვიციო და შენთან გამოვიქცე იარაღზეო? ამის მერე მე ვინ ვიყავი, რომ პრეზიდენტი განმეიარაღებინა.

პრეზიდენტი იარაღს ფლობდა, მაგრამ "სტეჩკინი" მაშინ ახალი შემოსული იყო, მხოლოდ უშიშროებას ჰქონდა.

გაურკვეველია, სოსო თორიას ნათქვამი ორი ნატყვიარის შესახებ. სოსო თორია ძაღლივით ორჯერ გააგდეს დაცვიდან.

როცა პრეზიდენტი ჯიხაშკარში დავმარხეთ, ცხრა–ათი დღის მერე ბიჭები იმ ოჯახში მოვიდნენ, უშიშროება დადისო და მიაგნებენო. შევკრიბე ჯიხაშკარის მეომარი ბიჭები და ვთხოვე, დამეხმარეთ, პრეზიდენტი გადავასვენოთ, რომ მკვდარი არ წაგვართვან–მეთქი. ამოვთხარეთ პრეზიდენტი, ცხენის "ტაჩკა" მოიყვანეს, იმაზე დავასვენეთ და 5 კილომეტრით გადავაადგილდით, ვალიკო ზარანდიას ოჯახთან ახლოს, ალბათ იქიდან 100–200 მეტრში.

იქვე, გვერდზე, მდინარე ჩამოდის, ქვეშაა დიდი გამოქვაბული. შევედით ამ გამოქვაბულში და ვეძებთ, სად და როგორ გადავმალოთ ცხედარი, სად დავმარხოთ. იქ ერთმა ბიჭმა თქვა, აგერ, ბიძაჩემი ცხოვრობს, ვალიკო ზარანდიაო. ადრე ბიჭები იყვნენ და წამო, ვთხოვოთ იმას, იქნებ შეგვიშვას სახლშიო. მივედით მე და ის ბიჭი და ვთხოვეთ ვალიკოს. ასეთი მდგომარეობაა – მეთქი. დაიწყო ტირილი და თქვა: მერჩივნა, ცოცხალი პრეზიდენტი მოგეყვანათო.

პრეზიდენტი მეორე სართულზე ავასვენეთ. მეორე ღამეს სასახლე გადმოიტანეს და ჩავასვენეთ. რომ გათენდა, დავიწყე დათვალიერება, თუ სად დამემარხა პრეზიდენტი. სახლიდან მოშორებით, ერთი 50 მეტრი იქნებოდა, დიდი ფარდული იყო, ყველაფერი იქ ელაგა. მე ვუთხარი, ერთი ის ფარდული დამათვალიერებინე–მეთქი, ჩავედი და იქ შევარჩიე ადგილი. კუთხეში ამოვთხარეთ, ჩავასვენეთ და ჩალა დავაფარეთ ზემოდან.

გია მხეიძე სოხუმში მინახავს, გია კუპრავასთან ერთად, ის არის უკრაინაში.

პრეზიდენტი იძახდა, ცოცხალი თავით ამათ არ ჩავუვარდები ხელში, არც ცოცხალი, არც მკვდარიო, თუ რამე მოხდეს, აქ დამმარხეთო, ასე გაგვაფრთხილა ხიბულაში ყოფნის დროს.

აქედან გამომდინარე, ჩვენ არავითარი უფლება არ გვქონდა, პრეზიდენტის ცხედარი გამოგვეჩინა, სანამ ოჯახიდან ინფორმაციას არ მივიღებდით. ოჯახში გავაგზავნეთ ბურჯანაძე და გვანცელაძე. ამიტომ ხდებოდა მისი კონსპირაციულად გადასვენება.

ჩუხუამ ექიმი მოიყვანა.

ჩუხუას ახალგაზრდა ბიჭი ახლდა, იქნებოდა ალბათ 17 –18 წლის.

ღურწკაიას სახლში იყვნენ თავად ცოლ–ქმარი და თავის შვილი–ვაჟი.

როდესაც ეს ამბავი მოხდა, პირველი კარლო ღურწკაია ამოვიდა. კარლო ამოვიდა იმიტომ, რომ მე დავუძახე: კარლო, გაპატიოსნებაში დამეხმარე– მეთქი, იმიტომ რომ მე გაგიჟებული ვიყავი, მთელი ტანით ვცახცახებდი, ეს სურათი რომ ვნახე.

ჩუხუას ბიჭს სახელით მივმართავდი. ის გამყვა კეკენაძისა და ბურჯანაძის მოსაყვანად. პრეზიდენტი რომ გარდაიცვალა და ბიჭების მოსაყვანად რომ წავედი, გზად შემხვდა. გულიკო ტიბუას სახლში დამხვდა ვალტერ შურღაია. გზა ხომ არ ვიცოდი, ღამე წამოვედით მანქანით და ამ ღურწკაიას ბიჭმა თქვა: მე ვიცი გზაო და წამყევი–მეთქი ვთხოვე. ავიკიდე ჩემი იარაღი და წავედით. ტიბუა ცხოვრობს გზის აქეთ, ჯონსონ კვარაცხელია კი ცხოვრობს გზის მეორე მხარეს, "პერევალივით" არის ასასვლელი. ეს ბიჭი გავაგზავნე ტიბუასთან და დავუბარე, რომ ტიბუა გამოსულიყო განმარტოებით, გამოვიდა ეს ტიბუა და ვუთხარი, ასეთი მდგომარეობაა და ბიჭები გადმომიყვანონ სასწრაფოდ – მეთქი. კაიო, მე წავალ, შენ დამელოდეო. შემიყვანა სახლში და იქ დამხვდა ვალტერ შურღაია ოცდათერთმეტში. ვალტერ შურღაიას მანამდე ჯიხაშკარში უძებნია პრეზიდენტი, ჩვენ ვიყავით ლიაში, თუ ფახულანში ვიქნებოდით, როდესაც ბატონ პრეზიდენტს უთხრეს, ვალტერ

შურღაია გეძებთო. იმ ნაძირალა გარეწრის სახელი არ გამაგონოთო, აი ზუსტად ასე თქვა და ახლა კი გაოგნებული ვარ, ვალტერს აქ რა უნდა. მაგრამ მეკითხება, პრეზიდენტი სად არისო? ვუთხარი: 3–4 დღეს ჩამომაშორეს – მეთქი, რაღაც საქმეზე ვიყავი წასული, მეც ვეძებ – მეთქი. ვალტერმა აიღო წერილი და გადმომცა, ეს პრეზიდენტს გადაეციო. მე უცბად ხასიათი შევიცვალე, რომ ვალტერს არ შეემჩნია ჩემთვის რამე. ამასობაში გადმოიყვანეს ეს ზაზა და გოჩა. ვალტერი დავტოვეთ და ჩვენ წავედით.

ხასიათი შევიცვალე, რომ ვალტერს არ გავეშიფრე, გაჭირვებაში რომ ვარ და ეს უბედურება დამემართა.

ვალტერ შურღაია მანამდეც იყო ნამყოფი ჯიხაშკარში, რადგან ეძებდა, პრეზიდენტი სად არისო. იმ წერილში რაც ეწერა, გუგუშვილმა წაიკითხა: <u>მე მობილიზაციას მოვახდენ, აფხაზეთისა და სამეგრელოს დამოუკიდებლობა გამოვაცხადოთ და ზვიადი დაჯდება თბილისშიო</u>. ეს წერილი გუგუშვილს ჰქონდა და რა უყო, არ ვიცი. იგივე გაუმეორა აბსანძემ ილორში და იმიტომ გამოყარეს აფხაზეთიდან.

გულუას ხელის აწევით რა დამტკიცდა, მე არაფერი ვიცოდი. ეს არის იგივე ჭორი. ვეუბნები, ვინმემ მოიტანეთ ის კასეტა, ან ვინმე დამსწრე ხომ უნდა არსებობდეს, არ ვიცი არაფერი, ეს მე ვიცი ჭორის დონეზე.

ზარანდია თავიდან კაი ბიჭი იყო, საათივით აწყობილი, შემდეგ ზარანდია შესვეს წამალზე და მერე წავიდა ხელიდან. მერე მისი მხრიდან ცოტა ყაჩაღობასაც ჰქონდა ადგილი.[328]

ეს ამბავი რომ მოხდა, ჩვენ <u>მასრა ამოვიღეთ. იქ იყო იარაღთან ერთად, ბეჭედთან ერთად შენახული</u>. ტყვია ვერ ვიპოვეთ, დავძებნეთ მაგრამ გათიშულები ვიყავით. ლეიბში იყო გახვეული, თუ სად იყო, ვერ ვიპოვეთ.

იარაღი, მასრა და ბეჭედი ეს უკვე ჯონსონ კვარაცხელიას და მანანას უნდა მოსთხოვონ. სად წაიღეს მასრა, ბეჭედი და "სტეჩკინი". მე ეს სამივე შევახვიე ჯერ ტილოში, მერე ცელოფანში და ისე შევინახე.

გადასვენების დროს ოქმი შედგა, რომელსაც ხელს აწერენ საქართველოს დელეგაცია, ჩეჩნები, ინგუშები, არასამთავრობოები. ბოჭორიშვილი და თავის ნათესავები იყვნენ და აი ეს ხალხი აწერს ხელს, აწერს იმაზე, რომ ჩვენ აქ ყოფნით ვადასტურებთ, რომ ეს არის საქართველოს პირველი პრეზიდენტის ცხედარი, დანარჩენი იქ არავითარი ექსპერტიზის ოქმი არ შემდგარა.

გარეგნული დათვალიერებით დაზიანებები კი არ ჰქონდა. ცხედარს ჭიები ჰქონდა დასეული, აქ შავი "ტოჩკა" ჰქონდა, ობი ჰქონდა მოდებული და კადრში დაზიანებად ჩანდა.

უბედურება ისაა, რომ **ცხედარს ობიც ჰქონდა, დაზიანებულიც იყო, ჭიებიც ეხვია,** ზოგ ადგილას ამოჭმული ჰქონდა და ზოგ ადგილას შავი ლაქა აჩნდა, იმიტომ რომ 50 დღე საფლავში იდო, მერე ორჯერ გადავასვენეთ და, შესაბამისად, ცხედარმა ხრწნა დაიწყო.

გასროლილმა ტყვიამ პრეზიდენტს აპწკთან გაუარა და იმიტომ მოწყდა ის, თორემ დაბლა რომ გაევლო, მთლიანად ყურს მოჰგლეჯდა, ალბათ ისე გაიარა, რომ...

მე არავიზე თავდადებული არა ვარ, მე ის ვთქვი, რაც ვნახე. ადვოკატი არა ვარ მე და არც არავისი მფარველი.

50 დღის დამარხული კაცი, რომელიც ამ ხნის მერე ამოვთხარეთ, გაიხსნა, მოხვდა ჰაერი, მერე ერთ დღესა და ღამეს დაუმარხავი იყო. სანამ დაღამდებოდა, მანამდე ვერ მოვასწარით ვერაფერი. ცხედარმა ხრწნა დაიწყო, მერე დავმარხეთ, მერე ისევ ამოვთხარეთ, ისევ მოხვდა ჰაერი.

---

328 მაგალითად — ჩვენს ზარანდიას ბანაკში ყოფნის პერიოდში — იმისათვის რომ თავისი შეიარაღებული ჯგუფი, ჩვენ და კიდევ შემოკრებილი სხვა მებრძოლები გამოეკვება (ერთ მომენტში დაახლოებით 30 კაცამდე) — ზარანდიას მოუწია სვანეთისკენ გზაზე საკვებით დატვირთული კერძო მანქანის გაჩერება და საკვების **ექსპროპრიაცია.** ფრიად სავალალო ფაქტი, მაგრამ იმ მწარე რეალობის ამსახველი — თუ რატომ იყო ძნელი ზ.გამსახურდიასთვის დიდი შეიარაღებული რაზმის ყოლა იმ პერიოდში.

ეკლესიაში რომ გადავასვენეთ, პროზექტურაში ხელახლა დაამუშავეს და გადმოვასვენეთ ეკლესიაში. ეკლესიიდან რომ სახლში გადავასვენეთ, უკვე ვერავინ ჩერდებოდა იქ სუნის გამო. ამიტომ დავხურეთ სასახლე და გავუკეთეთ "შპაკლი". **ცხედარი გროზნოში მთელმა ოჯახმა ნახა, აბსოლუტურად ყველამ ნახა** და ისინი ვერ იტყოდნენ მაშინ ნატყვიარს, ასეთი რამ რომ ყოფილიყო? 17 წლის შემდეგ ამბობენ?

თავიდან პრეზიდენტს არავითარი დაზიანებები არ ჰქონია, დაწყებული იყო ხრწნა, ნალექები ქონდა, ლაქები იმ დროს. იმის მერე, გროზნოში, რამდენ მეტრს ჩადიოდა ბომბები მიწაში, ვინ იცის? იმ დაბომბვის მერე შეიძლება დაიმტვრა და დაზიანდა პრეზიდენტის ცხედარი.

პრეზიდენტის ცხედარი იმ დროს შვილებმაც ნახეს. **გროზნოში ჯოხარმა ექსპერტი მოიყვანა,** სანამ დავმარხავდით, არ მოგვცილებია იქიდან და თქვა "ონ შტო სვეტოო ბილ"? ესე იგი გამაგრებულიც არ იყო და ამ კაცმა თქვა "ონ შტო სვიატიმ ბილ" და სამ დღესა და ღამეს არ მოგვშორებია, თავჩაღუნული იჯდა.

მე არც ერთ დეპუტატთან არ მილაპარაკია, მხოლოდ მანანას მოვუყევი ყველაფერი დეტალურად. **პირველ ერთ კვირას ხმა არ ამოუღია არავის, მერე მოსკოვიდან დარეკეს, რომ თვითმკვლელობას ნუ მიაწვებითო, მერე დაიწყო უკვე ჩვენზე ბრალდებები და ცილისწამებები.**

არ ვიცი, ვინ დარეკა, მაგრამ ზარი მოსკოვიდან იყო ქალბატონ მანანასთან, დარეკა ვიღაც ქართველმა.

ქალბატონი მანანა, სანამ ეს ზარი იქნებოდა, მანამდე კარგად იყო ჩვენთან. ამ ზარის შემდეგ დაიწყო ჩვენი შეურაცხყოფა. ქალბატონმა მანანამ, ჩვენი თხოვნის მიუხედავად არ ჩაატარებინა ექსპერტიზა.

საქართველოში რომ მოვდიოდით, მე ვიცოდი, ცხედარი სად იყო, სხვამ არავინ იცოდა და მითხრა: **რობინზონ, იქ არავინ არ შეახო ცხედარს, რომ გადმოვასვენებთ, აქ ჩავატარებთ ექსპერტიზასო.**[329] ამის გამო მე დავთანხმდი გადასვენებას, თორემ მე ეგ რომ მცოდნოდა, რომ იქ მომატყუებდა და ექსპერტიზას არ ჩაატარებდა, საფლავს არავის არ ვაჩვენებდი. როსტოვში ჩატარდა 17 წლის მერე, არა და ექსპერტიზა უნდა ჩატარებულიყო მაშინ.

"საიდუმლოს თან წავიღებ", არა მგონია, მე მაგი მეთქვას. მხედველობაში მქონდა, რომ პრეზიდენტის საფლავს არ ვაჩვენებდი არავის და ამ საიდუმლოს წავიღებდი თან.

შეიძლება ვთქვი კიდეც, იმიტომ რომ მე არავის არ გავუმხელდი, ოჯახის გარდა. საფლავის საიდუმლოზე იყო ლაპარაკი.

სხვა არაფერი საიდუმლო არ მქონია.

ადრე იმიტომ არ დამკითხეს, რომ ვიმალებოდი და 1997 წლამდე, თავი არ დავაჭერინე.

გროზნოდან, მე და მანანამ, როდესაც ვიკამათეთ, დამარხვის მეორე დღეს განაცხადა, მარგველანმა და ამათმა მოკლეს პრეზიდენტიო. ვუთხარი: ჩაატარე ექსპერტიზა, თუ არა და ტყუილ ბრალდებებს თავი დაანებე – მეთქი. დაღუნა თავი გაიღიმა და მერე ამომხედა, მე ვიცი, რასაც ვაკეთებო.

ავდექი, ავიღე ჩემი "ვეშმეშოკი" და მოვდივარ, გამომეკიდნენ გიორგი და ცოტნე: რობინზონ, ჩვენ ხომ ვიცით, რომ შენზე უფრო ერთგული არავინ ჰყავდა მამაჩვენს და შენ უყვარდი ყველაზე ძალიანო. მე როგორ დავრჩები – მეთქი, დედათქვენი და დეიდათქვენი მკვლელს მეძახიან–მეთქი.

წამოვედი ბათუმში, ბათუმში ყოფნისას ზაზას და გორჩას უნდა გამოევლო ჩემთვის. ველოდებოდი იმათ, ისინი ჩამოვიდნენ. ჩემთან არ მოვიდნენ, ვინაიდან **მანანა არჩვაძემ დაავალა, რომ თქვენ მოკლავთ რობინზონ მარგველანს,** თუ არა და თქვენ უარეს დღეში ჩაგყრითო. აქედან გამომდინარე, ისინი ვერ შემხვდნენ მე, იმიტომ რომ მანანა რომ გაიგებდა, რომ შემხვდნენ და მისი დავალება არ შეასრულეს, მერე შავ დღეში ჩაყრიდა ერთსაც და მეორესაც. მერე გამოვიპარე ბათუ-

[329] მდედრი სეთურის ჩვეული ფლიდი მოღალატური ეშმაკობის მაგალითი.

მიდან, ჩამოვედი თბილისში, ორი თვე ვიყავი თბილისში, მერე ლემშვენიერაში, სტიქიით ჩამოსახლებული სვანები ცხოვრობდნენ იქ. დაიღუპა ერთი კაი კაცი და სვანეთში გადაასვენეს. გავყევი ჭირისუფალს სვანეთში და ვიყავი ამ ხნის განმავლობაში ჩემთან, სოფელში. ჩემთან ერთად მყავდა ნემო ბურჭულაძე, რომელიც მესტიის რაიონში იყო, მერე მომწყინდა მეთქი, სანამდე უნდა გავიქცე? ავდექი ერთ მშვენიერ დღეს და ჩამოვედი სახლში. გაიგო გიგლა გობეჩიამ და მოვიდა ჩემთან. ვისაუბრე იმასთან და მესამე დღეს მომადგა უშიშროების, თუ პროკურატურის თანამშრომელი. მითხრეს, უნდა დაიკითხოო, კი, ბატონო, მზად ვარ დაკითხვისთვის – მეთქი. იმის მერე დამიწყეს დაკითხვა და დევს იქ ჩემი ჩვენება.

ჯაღრიდან ბათუმში ჩვენ ოტელოს მანქანით წავედით. მანამდე არავითარი მანქანით გადაადგილება არ მომხდარა. კი, ბატონო, იყო ძველი "ზაპოროუეცი", ეს ოტელო და მისი ცოლი ხანში შესული იყვნენ, დავსხით წინ, მე და გოჩა ჩავსხედით უკან, კაციშვილს არ გავუჩერებივართ, გაგვაჩერეს წყალწმინდაში რუსებმა და მე პასპორტი მქონდა სხვა გვარსა და სახელზე აღებული, იმიტომ რომ ჩემი გვარ–სახელით გროზნოში ვერ დავდიოდი.

ასე მოვახერხე ბათუმში ჩასვლა. მივედით კერვალიშვილთან, რომელიც "წმინდა ილია მართლის" წევრი იყო, ნინო ნოღაიდელი "ჰელსინკის" კავშირის თავმჯდომარე იყო და ეროვნულ მოძრაობაში იყვნენ. იმათთან მივედით და ისინი დაგვეხმარნენ. ბათუმში ბილეთი ავიღეთ, გადავფრინდით მინვოდში და იქიდან ჩავედით მერე გროზნოში.

მომხდართან დაკავშირებით, ჩვენ, ბიჭები, ერთნაირად ვერასდროს ვერ ვილაპარაკებთ, იმიტომ რომ ყველას თავისი ხედვა აქვს, ყველას თავისი ფსიქოლოგიური მომენტი აქვს. იმ გაჭირვების დროს შეიძლება ზოგმა კივილი დაიწყოს და ზოგმა სიცილი, ამიტომ ერთნაირ ჩვენებას ვერც ბესარიონ გუგუშვილი, ვერც ბაჩუკი, ვერც მარგველანი ვერ მისცემენ ვერავის, მაშინ "დიქტანტივით" გამოვა, რომ ვიღაც გვკარნახობს და ჩვენ ვწერთ.

მე მითქვამს და კიდევაც ვიტყვი, არ მინახავს პრეზიდენტზე მიბჯენილი "სტეჩკინი" და არც ის მინახავს ვინმეს დაემიზნებინოს. მაგრამ მე რომ იმ ოთახში შევედი და სურათი დავინახე, ეს მალაპარაკებს იმას, რომ ეს თვითმკვლელობა იყო. ეს არის ჩემი აზრი, მაგრამ მე არავის არ ვუმტკიცებ. ისევ ვიმეორებ, ეს არის ჩემი აზრი, რომ ის სურათი, რაც მე იქ დამხვდა, არის თვითმკვლელობა.

ის სამი ადამიანი, ვინც მასთან ვიყავით, ვიხრებით თვითმკვლელობისკენ და სხვა ვინ რას ლაპარაკობს ვარაუდებით, არ ვიცი. მე არავისი დარწმუნება არ მინდა, მე გეუბნებით იმ სიმართლეს, თუ ვინმეს სიმართლე აინტერესებს, რაც იქ ხდებოდა. მე ბრალს კი არ ვდებ პრეზიდენტს, მე ის მიყვარდა და თავს ვდებდი მისი სიცოცხლისთვის, მაგრამ ის მდგომარეობა იყო რასაც გეუბნებით. **საჭმელს რო ვაძალებდით: იცით ბიჭებო, ხევში რომ მიდის წყალი და დიდ ლოდს რომ ჩადებ, აი ისე მაქვს გაჭედილი მუცელშიო.**

შეუძლებელი იყო სახლში სხვა ვინმე შემოსულიყო. **საფეთქელთან ადგილი ამოშავებული და ამომწვარი იყო. მოყვითალო ფერის იყო. მოყვითალოდ იყო ამომწვარი.**

მე სასოწარკვეთილებაში ვიყავი და მერე რომ გადავასვენეთ, გაპატიოსნებით ზაზამ გააპატიოსნა, მოვიყვანეთ ექიმი ჯალაღონია, რომელმაც ბალზამირება გაუკეთა პრეზიდენტის ცხედარს.

პრეზიდენტის ცხედარი დარბილებული იყო, როცა ჩვენ პირველად ამოვთხარეთ. ცხედარი ჩეჩნეთშიც რბილი იყო, რომ ამოვთხარე და გადავასვენე მაშინაც რბილი იყო, სასახლეში რომ ჩავასვენე და დავმარხე, იქაც რბილი იყო.

ეს ფაქტი რომ მოხდა, ღურწკაიების ბიჭი, მეზობელთან იყო.

ჩვენ სანამ დავწვებოდით და სანამ ის მოვიდოდა, ჩუხუა, მანამდე ვიყავი პრეზიდენტთან. ზევით ღურწკაიას ბიჭი ვერ ამოვიდოდა ისე, რომ ჩვენ არ შეგვემჩნია. დაბლა სანამ ვიყავით, სადაც ასასვლელი კიბეები იყო მაღლა სართულზე, იქ ვიჯექით.

ბურჯანაძე ვერ მოიგონებს, მაგრამ პრეზიდენტი გულაღმა ვერ იწვებოდა, იმიტომ რომ გულაღმა რომ ყოფილიყო, იქ ბესარიონ გუგუშვილსაც უნდა მიეღო გარკვეული დაზიანება.

სროლის დროს პრეზიდენტს ბესარიონ გუგუშვილისკენ ჰქონდა სახე.

პრეზიდენტს არავითარი მარლები არ ჰქონია, გადასვენების დროს ზეწარი ჰქონდა გადაფარებული. ცხედარი თავისი ლეიბით გადავასვენეთ.

ის ლეიბი მერე ჯიხაშკარში დაწვეს. ლეიბით დავასვენეთ, იმიტომ, რომ სხვანაირად ვერ გადავასვენებდით, საკაცე ჩვენ არ გვქონდა და არაფერი. შემავალი ტყვია "მაკაროვისა" იყო."[330]

ზაურ ჩუხუას გამოკითხვიდან:

(ქ.თბილისი, 2010 წლის 10 ოქტომბერი)

"როგორც გადმომცეს, პრეზიდენტმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. კარლო ღურწკაიას ოჯახში როდესაც მივედი, სადაც გარდაცვლილი პრეზიდენტი იმყოფებოდა, დაცვის ბიჭები თავებს იხოცავდნენ, რობინზონს თმა ჩამოჰქონდა, ბაჩუკი თავს მიწას ურტყამდა, არც მე ვიყავი ნორმალურ მდგომარეობაში.

მე არ მითქვამს, რომ 20 დღის განმავლობაში პრეზიდენტმა წონაში 20კგ. დაიკლო. ეს ჩემი სიტყვები არაა, პასუხს ვაგებ. 20 დღე ჩემთან არ იყო პრეზიდენტი, მხოლოდ სამი დღე იმყოფებოდა და საიდან მეცოდინებოდა ასეთი რამ?

ზვიად გამსახურდია ჯერ პრეზიდენტი არ იყო, ჩემი ძმის, ანატოლის, ოჯახს რომ სტუმრობდა.

მამაჩემმა ზვიად გამსახურდიას "მარგოლინის" სისტემის იარაღი აჩუქა. იქ მარტო ბატონი ზვიადი კი არა, მერე მტრებად რომ იქცნენ, ისინიც იყვნენ. ყველა იქ იყო: კიტოვანი, ვაჟა ადამიაც; ასათიანი თამადა იყო, თვითონ ბატონმა ზვიადმა დანიშნა, ბევრი იყო 20 ან 30 კაცი იქნებოდა, მათ შორის, მარგველანიც.

24 დეკემბერს გულიკო ტიბუა მოვიდა ჩემთან და მითხრა, **პრეზიდენტი ძალიან ცუდად არის, საჭმელს არ ჭამს**, ვახტანგი დაიჭირეს, გუჯუჯიც ციხეშიაო. პრეზიდენტი გადასაყვანია, ადგილი უნდა იპოვოთ და თქვენთან უნდა გადმოიყვანოთო. რა მეთქვა მე? უარს ხო ვერ ვეტყოდი?! კი, ბატონო – მეთქი, ვუთხარი. ეს ხდება, ჩემი აზრით, 25 დეკემბერს, შეიძლება ვცდები თარიღის დასახელებაში, ზუსტად არ ვიცი. ტიბუა ვინ გამოაგზავნა, მე არ ვიცი, ეს უნდა ვკითხოთ თვითონ ტიბუას და იტყვის, ვინ გამოაგზავნა.

პრეზიდენტის გადმოყვანის თარიღი, როგორც მახსოვს, 27 რიცხვია, მე ასე მახსოვს.

ჩვენ 6 კაცი ვისხედით მანქანაში: პრეზიდენტი, გუგუშვილი, გვანცელაძე, მე, მარგველანი და მძღოლი. რა დრო დაგვჭირდებოდა იქ მისასვლელად? "გლუშიტელი" ჩამოგვივარდა გზაში, მერე ტყვია–წამალი მიგ ვქონდა, ჩემოდნები, გატენილი იყო მანქანის საბარგული. სავალად იქ ცუდი გზაა, აღმართია და იმ აღმართში ჩამოუვარდა მანქანას "გლუშიტელი". მერე ჩემმა ძმამ იშოვა რაღაც "პროვოდი", ჩავიდა, ქვემოთ მიაბა, ცოტა დრო გავიდა ამასობაში. ერთი საათი ნამდვილად არ დაგვჭირვებია მანქანის შესაკეთებლად. შევაკეთეთ მანქანა და გზა განვაგრძეთ. სულ სამი თუ ოთხი კილომეტრის სავალი გვქონდა.

ჯონსონ კვარაცხელიას სახლიდან ღამით გავედით, დღისით ვერანაირად ვერ წავიდოდით. ქვეყანა იწვოდა და თქვენ წარმოგიდგენიათ, რა ამბავი იყო? დაღამებული იყო, რომ გადავედით. 6 საათზე(?), არ ვიცი ზუსტად, მე დრო არ დამინიშნავს. ჩვენ ღურწკაიამდე არავისთან ვყოფილვართ, ან ვინ მიგვიღებდა, არსად გვქონდა სხვაგან წასასვლელი. ის კი არა, გააფთრებულ ზვიადისტებთან ვიყავით და ყველამ უარით გამოგვისტუმრა.

ღურწკაიას სახლამდე მისასვლელად 5 საათი ნამდვილად არ დაგვჭირვებია, მაქსიმუმ, ჰა, ვთქვათ 40 წუთი, ერთი საათი იყოს. ვინ გაგვიბედავდა ჩვენ გზაში გაჩერებას, როცა მეზობლები "ცენტრალკებით" იდგნენ, ვითომდა სახლებს იცავდნენ. ორი ადგილი

---

330 ამის თქმის შემდეგ კ.გამსახურდიას შეკითხვიდან გაირკვა, რომ თურმე მას არ სცოდნია, რომ „სტეჩკინი" „მაკაროვის" ვაზნებს ისვრის — მაგალითი ზოგადად კომისიის არაპროფესიონალიზმისა

გამოვიარეთ, სადაც იდგნენ. რა გინდათ–მეთქი და ისედაც არ მოსულან ახლოს. ვინ გამიბედავდა მაგას. ჩემი მეზობელი გამაჩერებდა მე? მხედრიონი არ დამესხას თავსო, იმიტომ იდგა თორემ.

პრეზიდენტს რა ეცვა, ნამდვილად არ მახსოვს.

გია მხეიძეს მე არ ვიცნობდი, ის იყო იქ ყველაფერი და მაგისი სახელის ხსენებაც არ მინდა.

გულიკო ტიბუა, მგონი, ცოტა ხანი წამოვიყვანეთ. იმიტომ რომ მეორე კაცი გვერდით, რომ მეჯდა მახსოვს. გულიკო თვითონ ამბობს, წამომიყვანესო და ყველაფერი კიდევ მე არ მახსოვს.

დაცვის ბიჭებს რაც შეეხება, მე ერთი კაცი ვიცოდი, იქ ორი დაცვის წევრი ყოფილა თურმე. მე არც ვიცოდი, იმ ბიჭებს არც ვიცნობდი. იქ ორი ბიჭი კისკისებდა გოგონებთან, ორი თუ სამი გოგო იყო, იმ ოთახში, არც რობინზონი მიცნობდა.

პრეზიდენტი ცუდად იყო. ასე მეუბნებოდა, ბიჭო, კარამდე ვერ მივდივარო. სიარული უჭირდა. მე შევთავაზე, პირველად რომ მივედი სხვა ადგილას გადასვლა, იქ უფრო ნაკლები საშიშროება იქნება მეთქი, არაო მე არასად არ წავალო, მითხრა. მე ჭიშკრამდე ვერ მივდივარო.

პრეზიდენტი ცუდად იყო, ალყაშია სოფელი, სად მიგყავარო, მითხრა. პრეზიდენტს არც ტრავმა და არც ნაიარევი არ ჰქონია. პრეზიდენტის ნათქვამს ვლაპარაკობ მე, ბატონო.

მე არ მინახავს, პრეზიდენტს ორი ბოთლი არაყი დაელია. მე რაც მითხრა, იმას ვამბობ.

ეზომდე ხელში ჯოხი ჰქონდა[331], ბიჭები მიჰყვებოდნენ გვერდით, მე ჩემოდანი და კიდევ რაღაცები მიმქონდა, არ შემიხედავს, ხელი მოკიდეს თუ არა ბიჭებმა პრეზიდენტს, რომ გადაადგილებულიყო.

ჩვენ ღურწკაიებით არ დაგვიწყია ადგილსამყოფლის მოძიება. გულიკომ რომ გვითხრა, ჩვენ ყურადღება, პირველ რიგში, ბატონი ზვიადის მომხრეებზე შევაჩერეთ. ბოლოს მივედით კარლოსთან. საჭმელს რაც შეეხება, საქონელი მყავს და დავკლავო. ისეთი დრო იყო, საჭმელი ჭირდა მაშინ. კარლომდე სხვა ოჯახებშიც ვიყავით მისულები, მაგრამ არ გვიღებდნენ. მესამე ოჯახში მივედით, სადაც "ატაპლენია" ჰქონდათ, შიგნით, ტუალეტი, აბანო, ყველაფერი. მეზობელი მოიმიზეზა, მტერია ჩემი, მემდურისო და უარი თქვა. შემდეგ იყო კარლო.

ჩვენ ვუთხარით კარლოს, რომ სამ კაცს მივუყვანდით.

კარლოს სამი კაცი იმიტომ ვუთხარით, რომ შემეშინდა, ბევრს არ მიგვიღებს - მეთქი. ჩვენს თხოვნას კარლო ღურწკაია დათანხმდა.

მერე მითხრა რობინზონმა, რომ მეორე საღამოს გადმოსაყვანი არიან ბიჭები. კი, ბატონო - მეთქი, მე ვუთხარი. წადი, წაიყვანე ვინმე, აგერ არის საცალფეხო გზა და ფეხით გადმოიყვანეთ - მეთქი.

მე რობინზონს არ გავუგზავნივარ ბიჭების მოსაყვანად, ამდენი დრო არ მქონია. მე პირდაპირ მეორე ღამეს წავედი.

პრეზიდენტს ჩემთვის არაფერი არ უთქვამს, ზოგადად, ცხოვრებაზე ლაპარაკობდა. მართალი გითხრათ და ბატონ ზვიადს კაცის სახელს ვერ უხსენებდით, მაშინვე განრისხდებოდა და გვეტყოდა, დამანებეთ თავიო. **მე ბატონ ზვიადს ვუთხარი, საქართველოში რა მდგომარეობაც იყო და მის თავს რაც ხდებოდა, გროზნოში გავგზავნიდი კაცს, რომელიც დუდაევს შეატყობინებდა ყველაფერს, მაგრამ უარი მითხრა. დუდაევმა რა უნდა მიშველოსო.** არავინ არ მყავს მე ერთგული, აი ჩემი ერთგულებიო, ბიჭებისკენ გაიშვირა ხელი.

მე პრეზიდენტის ულტიმატუმებზე არაფერი არ ვიცი. მსგავსი საუბარი ჩემთან არ ყოფილა. სარიებს შეიძლება ვიცნობდე, კონკრეტულად გვარი და სახელი გამიგონია, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ აი ეს არის სარია - რომ შემხვდეს, შეიძლება ხელი ჩამოვართვა, მაგრამ სახელითა და გვარით არ მახსოვს.

---

331 ნამდვილად — ფეხზე ვერ იდგა მტკიცედ, აქანავებდა და ამიტომ ჯოხს იშველიებდა.

პრეზიდენტი რომელ ოთახშიც ესვენა, მე იქ არ შევსულვარ, არ შემეძლო. გასვენების ღამეს მეორე ოთახში ამიყვანეს ძალიან, შედი, ბიჭო, დაიტირეო. ავედი და ვერ შევძელი, ჩამოვედი ისევ ქვედა სართულზე. პრეზიდენტის გარდაცვალების შემდეგ დაცვის ბიჭებიდან არც ერთი აღარ მინახავს.

კარლო ღურწკაია აკეთებდა პრეზიდენტის სუფრებს 31–ში, ღამით, იგონებდა რაღაცას და ზვიადისტები იკრიბებოდნენ, იქ ვხედავდი ზოგიერთ დაცვის წევრს.

პრეზიდენტის ჩაცმულობას რაც შეეხება, ღია ჯემპრივით, მახსოვს, რომ ეცვა, მაგრამ დანამდვილებით ვერ გეტყვით. წვერი გაპარსული არ ჰქონია. გაუპარსავი იყო.

პრეზიდენტი, ბადრი ზარანდიას ბანაკში რომ ყოფილა ასული, ეს მერე გავიგე და გულნაწყენობა იყო მაგარი. ისე ხალხის ნათქვამითაც მოდიოდა ხმა იქიდან, რომ ბადრი ზარანდიას ჰყავს ბლოკირებული. იქ ვითომდა აშინებდა ბადრი ზარანდია, რომ შევარდნაძეს **ზანგები** ჰყავდა მოყვანილი **ამერიკიდან** და მთელი ამბავი.

გარდაცვალებამდე რამდენიმე საათით ადრე ავედი პრეზიდენტთან და უკვე ცუდად არის კაცი. ჩემდა უნებურად ვთქვი: "რა ვქნა, ამის დედა ვატირე - მეთქი, რა?", მეგონა არ გაუგონია პრეზიდენტს, თურმე გაიგონა და არ გასულა ორი წუთი, მეძახის: ბიჭო, რატომ ნერვიულობო, არაფერი არ მშველისო, მითხრა. ამ დაავადებით მამაჩემი იყო ავად და ოპერაციის მეტმა ვერაფერმა უშველაო.

დაცვის ბიჭები სვამდნენ თუ არა, არ ვიცი. მე საერთოდ არ ვეტანები დასალევს. სანამ იქ ვიყავი, მთვრალი არავინ არ მინახავს და ერთი - ორი ჭიქა კარლოს სახლში რომ არ დაელია კაცს, არ შეიძლებოდა. კარლოს ღვინო უყვარს მაგრად და "ბოჩკებით" ჰქონდა სასმელი. მე არ დამილევია იქ.

პრეზიდენტი რომ გარდაიცვალა, 30 იყო, მაგრამ ასე მითხრეს, რომ თენდებოდა უკვე 31 და 31 ჩათვალეს. კარლო ღურწკაიამ მომაკითხა და მითხრა: პრეზიდენტმა თავი მოიკლაო.

მე არ დამიფიქსირებია, პრეზიდენტს ბოხოხი თუ ეხურა. უკან მოვდიოდი და რომ შევიდა სახლში, სად არის ჩემი ოთახიო, იკითხა. ავიდა პირდაპირ. ცეცხლი თუ გაქვთო, იკითხა.

სვანური ქუდი ეხურა პრეზიდენტს. ფაფახი არ მინახავს. კარლო ტყუილს არ იტყოდა, მაგრამ ნაბადი საიდან მოვიდოდა, ნაბადი კი არა, მანქანაში ძლივს შევატიეთ ჩემოდნები, "სუმკები", ტყვია-წამალი, "ვეშმეშოკები".

ნაბადი და ფაფახი არ დამავიწყდებოდა, გზაში არ მინახავს და ხელით თუ მიქონდათ, სინათლე არ იყო და არ დამინახავს.

პრეზიდენტი აიყვანეს ბიჭებმა ოთახში.

მანქანის კარი გაუღეს და პრეზიდენტი გადმოიყვანეს, გადადგა ფეხი, გაუკეთეს ხელკავი და შეიყვანეს შიგნით, სახლში.

პრეზიდენტი თავისი ფეხით დადიოდა. თავქვეშ ბიბლია დაიდოვო ბიჭებმა მითხრეს, გვანცელაძემ და რობინზონმა.

თეთრი, მოცისფრო „გაზ.24" – ით წამოვიყვანეთ პრეზიდენტი კარლოსთან, ჩემი ძმის მანქანა იყო.

მანქანას "სიდენიები" რა ფერის[332] ჰქონდა, არ მახსოვს.

პრეზიდენტი უკან, შუაში, იჯდა."

ანატოლი ჩუხუას გამოკითხვიდან:

(ქ.თბილისი, 2010 წლის 10 ოქტომბერი)

"პრეზიდენტი გარდაიცვალა 30 დეკემბერს, საღამოს; რომ დადგა უკვე 31 რომ თენდებოდა იმ დროს მოხდა ეს. მე რომ მივედი, ცხედარი გაპატიოსნებული იყო. ზეწარი გადაფარებული ჰქონდა. თავქვეშ ბალიში ედო ალბათ, ზუსტად არ მახსოვს. პრეზიდენტს ნატყვიარი შევამჩნიე, მარჯვენა საფეთქლიდან გამომავალი ჭრილობა, *მარცხენა კეფის მიდამოში იყო.

[332] კომისიონერები ამას ავტო მანქანის სკამების ფერს ეკითხებიან, კიტოვანი, სიგუა და სხვა „თავისი" ყბედების გამოკითხვისას კი არავითარი, საერთოდ არავითარი დეტალები არ უკითხავთ...

თმა შეტრუსული ჰქონდა თუ არა, არ დავკვირვებულვარ. ნატყვიარი საწოლის დაფაზე ჩანდა.

იქ ერთი ნატყვიარი იყო მაშინ და **მეორე ტყვია იყო თუ არა, მე ვერ დაგიმტკიცებთ.** მე ექსპერტი არ ვარ და ვერ გეტყვით.

ჩვენთან მოვიდა გულიკო ტიბუა. იმ დღეს მე არ გახლდით სახლში. მოვიდა და ასე და ასე მოხდაო გვითხრა. გუჯუჯი ებრალიძემ გამომაგზავნა და პრეზიდენტი უნდა წამოიყვანოთო. მოვედი და მითხრა ზაურმა, ჩემმა ძმამ, ასეა საქმეო. წავედით სოფელ ხიბულაში, ვისთანაც კარგად ვიყავით. მე ბავშვობიდან იქ ვცხოვრობ და ყველა მიცნობს, მეზობელი სოფელია, მივედით ოჯახებში და ზოგიერთმა - ლტოლვილები გვყავსო, ზოგიერთმა გვერდით - ლტოლვილები არიანო და არ მიგვიღეს. გამოვბრუნდით. წამოვედით, უკვე სახლში მოვდივართ და მაშინ გამახსენდა კარლო ღურწკაია.

კარლო ღურწკაია და მე ერთად ვნადირობდით და კარგად ვიყავით ერთმანეთთან. ჩავედით კარლოსთან, ასეა კარლო საქმე-მეთქი და ერთი 5-6 კაცი უნდა მოგიყვანოთ თქო, დაგვთანხმდა. სხვებთან ვისთანაც მივედით, **იმათთვის მე არ მითქვამს პრეზიდენტს მოგიყვან - მეთქი, ყველას ვუთხარი პარლამენტარები მომყავს მეთქი.** დაგვთანხმდა კაცი და რაზე დამემალა. მე ვუთხარი კარლოს, პრეზიდენტი უნდა მოგიყვანოთ-მეთქი, გაუხარდა. წამოვედით მე და ზაური, იმ ღამეს ჩავედით ჯიხაშკარში.

ეს ხდება 26-ში ალბათ, პირველად რომ ჩავედი. ჩავედით და ავიდა ზაური (ჯონსონი მაღლა ცხოვრობს, იქ მანქანით ვერ ავიდოდი), მე ქვევით გავჩერდი, ზაური ცოტა ხანი დარჩა იქ და ჩამოვიდა, არ წამოვიდაო და წავედით სახლში. მეორე დღეს ისევ მოვიდა გულიკო, დათანხმდა პრეზიდენტიო და უნდა წამოიყვანოთო, წავედით და წამოვიყვანეთ.

მივედით, მე კიდევ არ ავსულვარ ზევით, ქვევით ველოდებოდი, სასაფლაოსთან. ისინი ჩამოვიდნენ, ცოტა ხანი დააგვიანეს. ეს სახლი, როგორც გითხარით, ჯონსონ კვარაცხელიას ეკუთვნოდა.

მე ჯონსონის სახლში საერთოდ არ ვარ ნამყოფი.

რა დროს მივედით, ზუსტ საათს ვერ გეტყვით, საღამო იყო, შებინდებული. დაღამებული იყო, მაგრამ 12 საათი არ იყო. ავიდა ზაური, ცოტა ხანი დაიგვიანეს და ჩამოვიდნენ გუგუშვილი, პრეზიდენტი, ზაური და დაცვის ორი წევრი. მე გავაღე მანქანის კარები, ჩასხდნენ. ტყვია-წამალი და ბარგი საბარგულში ჩავყარეთ და წამოვედით. დაცვის რომელიმე წევრი თუ იძახდა, საბარგულში ჩავჯდებით და ისე წამოვალთ, თუ ადგილი არ არის მანქანაშიო, ასეთი რამ მე არ გამიგონია. მე ჩემი მანქანით ვიყავი, დავქოქე მანქანა და წამოვედით, ალბათ ხართ იქ ნამყოფი, გზა არის ძალიან ცუდი. მე იქით, ჯიხაშკარში რომ ჩავსულიყავი პირდაპირი გზა არის იქ, სადაც მხედრიონი დათარეშობდა მთელს ჯიხაშკარში კი არა, ყველგან, და იმ ცუდი გზით ამიტომ ვარჩიე წასვლა. ერთ ადგილას მანქანა დავარტყი და "გლუშიტელი" ჩამომივარდა, გავაკეთე და განვაგრძეთ გზა.

თუ რა დროში მოხდა ეს ყველაფერი არ ვიცი, საათს ჩავინიშნავდი იქ? მანქანის შესაკეთებლად დიდი დრო არ დამჭირვებია. დავქოქე ისევ მანქანა და წამოვედი. ჯიხაშკარიდან გზაზე რომ გახვალ, იქ, ერთ 800 მეტრში არის ქაქვინჯის ასახვევი, იქ ავუხვიე, წამოვედი იქიდან და მივიყვანეთ პრეზიდენტი და თანმხლები პირები კარლოს სახლში.

დაგჭირდებოდა იქ მისასვლელად ალბათ 40 წუთი.

"გლუშიტელი" მე იქ არ გამიკეთებია, მივაბი და ერთი ხუთი წუთით შევყოვნდით, მეტი არა. რომ მივედით, კარლო დაგვხვდა შუა ეზოში და შევედით შიგნით. შესვლისას ზვიადმა მეგრულად ჰკითხა კარლოს: "სიტიბე ქორენიაო?", სითბო თუ არისო. შევედით შინ, გაუწყვიათ პურ-მარილი. პრეზიდენტმა: არა გენაცვალე, მე არ შევჭამო. სახლს შიგნიდან აქვს ასასვლელი ზედა სართულზე, იქიდან ავიდა და დაწვა, ჩამოვიდნენ ბიჭები მერე ქვევით და წამოვედით უკან.

4 საათი რად უნდოდა კარლო ღურწკაიას სახლამდე გზას, რა არის ჯონსონის სახლიდან იქამდე?.

გზაში პიკეტი იყო, ძარცვები ხდებოდა და მოსახლეობა თოფით გამოსული იყო პიკეტებზე, მაგრამ ჩემს მანქანას იქ 5 წლის ბავშვიც ცნობდა და ვინ გამაჩერებდა მე?! **არავის არ გავუჩერებივართ.** მხედრიონი შიგნით შემოსული მე არ მინახავს.

გზად არავის გავუჩერებივართ, ჩვენ ვართ-მეთქი დავუძახე და წავედით, ჩემს მანქანას ვინ გააჩერებდა იქ?

პრეზიდენტის გარდაცვალების ღამეს ავედი, მე ეს ამბავი გამაგებინა კარლომ, ოჯახის პატრონმა. მე სახლში არ ვიყავი, მეზობლის სახლში ვიყავი. იმ ღამესაც არ ვყოფილვარ შინ, ზაური იყო იქ, მე ადგილს ვეძებდი და დათიკო ჯიქიას ოჯახში ვიყავი. იქ შევთანხმდით: უნდა მომეყვანა დათიკო ჯიქიას ოჯახში პრეზიდენტი, იქიდან უნდა გადმომეყვანა იქ, ქაქვინჯში, იმ ოჯახში რძალი ექიმი იყო და დათიკომაც ექიმზე ნაკლები არ იცოდა, პრეზიდენტი ცუდად იყო და იქ უნდა მიმეყვანა, პირობებიც უკეთესი იყო იქ, აბანო ჰქონდათ, ტუალეტი შიგნით ჰქონდათ. მისთვისაც არ მითქვამს, პრეზიდენტი რომ იყო. კი, გენაცვალეო, მითხრა.

გია მხეიძეს ვიცნობდი. ის იქ რას აკეთებდა, არ ვიცი, მე მას არ შევხვედრივარ.

დაცვის ბიჭებზე რობინზონმა თქვა: მეორე დღეს ჩავალო და მე ამოვიყვანო. ფეხით ჩავიდოდა და ამოიყვანდა, რა არის იქ ისეთი მანძილი?

ჩემი მანქანით ბევრს ვერ ვირბენდი, რადგან ჩემს მანქანას ყველა ცნობდა. პრეზიდენტის წამოსაყვანად ვერსად ვერ ვიშოვე სხვა მანქანა, **ყველას დაშლილი ჰქონდა მანქანა,** მე რომ გამაგზავნა გუგუშვილმა, წადი და გუჯუჯის გააგებინე, რომ მანქანა იშოვნოსო, ჩემი მანქანა მაგიტომ გამოვიყენე იმ დროს.

მანქანაში წინ, მგონი, გვანცელაძე იჯდა, არ მახსოვს ზუსტად.

პრეზიდენტი და გუგუშვილი წინ არ ისხდნენ, ვიცი, და დაცვა იყო ალბათ.

გუჯუჯისთან რომ მივედი, გუჯუჯი არ დამხვდა სახლში. ჩემი მანქანით არ წავსულვარ, მეზობელს ჰყავდა ძველი "03" და იმით წავედი. რომ მივედი, გუჯუჯი გავიკითხე იქ და არ არისო მითხრეს. აგერ არისო ქალი და გოგო მაღაზიაში, გამოვიდნენ ისინი. სად არის გუჯუჯი-მეთქი, არ ვიციითო, მითხრეს. მოვბრუნდი და წამოვედი. მივედი გულიკოსთან, გულიკომ ხომ იცოდა ყველაფერი?! მე ვუთხარი, ასეა გულიკო საქმე, ასეა-მეთქი და გააგებინე გუჯუჯის, მანქანაც არ გვყავს-მეთქი, მხედრიონი ართმევდა მანქანას და ძარცვავდა, მერე გუჯუჯი არ მოსულა იქ. მამრიკომ გააგებინა თურმე ზურა გუჩუას და მოვიდა ანზორ მებონია იქ და მერე იყო, მანქანა ვერ ვიშოვე, ტრაქტორი ვიშოვე და იმით გადავასვენეთ. ვითხოვე ის ტრაქტორი და ის ბიჭი – მურთაზ კაჭარავა ჩვენთან იყო ეროვნული მოძრაობიდან და იარაღიც ეჭირა, ვინც დავსვი იმ ტრაქტორზე და იმით გადაასვენეს ბატონი ზვიადი.

მე გავყევი "საერამანძოს" ეძახიან, იქამდე და იქ ჩამოვედი.

ლეიბით გადავასვენეთ პირდაპირ, რადგან "ლეჟანკიანად" არ დაეტია. ლეიბი მე სახლიდან მოვიტანე, მაგრამ იმ ლეიბით, რომელზედაც იყო ბატონი ზვიადი, იმით გაასვენეს იქიდან. მე რომ მოვიტანე ლეიბი და ბალიში, იქ დარჩა, იმ ოჯახში, და ბალიში კარლოს სახლში იყო, ლეიბი არა, ლეიბი წაიღეს.

მე არც იარაღი მინახავს და არც ტყვიის მასრა. ამასთან დაკავშირებით მათთვის არც მიკითხავს და არც იყო ამაზე ლაპარაკი. გარდაცვლილს შარვალ-კოსტუმი ეცვა. **შუბლზე ჭრილობა** მახსოვს მრგვალი ფორმის იყო. პრეზიდენტის გადასვენების დროს გია მხეიძე არ ყოფილა.

მანქანა ჩემი იყო და საჭესთან მე ვიჯექი. პრეზიდენტი იჯდა მანქანაში, უკან, შუაში. პრეზიდენტს აქეთ-იქიდან ვინ ეჯდა, არ მახსოვს.

ბადრი ზარანდიას ვიცნობდი, მე თვითონ იარაღი მეჭირა და როგორ არ ვიცნობდი ბადრისთან შემავალ ხალხს, ზოგიერთს ვიცნობდი.

"პუშკინას" (შონიას) ვიცნობდი, მეტს–არავის."

გიორგი სარიას პროკურატურის დაკითხვიდან:

(ქ.თბილისი, 2010 წლის 25 ოქტომბერი)

...

მონაწილეობდით თუ არა ზუგდიდში შექმნილ სამხედრო კომენდატურის საქმიანობაში, რომელსაც ბადრი ზარანდია ხელმძღვანელობდა, თუ კი -რა იყო ხსენებული კომენდატურის შექმნის მიზანი,

პირადად თქვენ რა ფუნქციას ახორციელებდით მის შემადგენლობაში, ასევე რა ამოცანას ისახავდით ამ კომენდატურის მეშვეობით?

მოწმის პასუხი: აღნიშნულ სამხედრო ფორმირებას სამხედრო კომენდატურა ერქვა თუ სხვა რამ სახელი, არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ იგი შექმნილი იყო ქ.ზუგდიდში ელემენტარული წესრიგის დასამყარებლად და რამდენადაც ვიცი, იგი ბადრი ზარანდიამ შექმნა, თუმცა მის საქმიანობაში მე არანაირი მონაწილეობა არ მიმიღია და არც ამ კომენდატურის მეშვეობით პირადად მე რაიმე მიზანს ვერ განვახორციელებდი, რადგან მასში მე არანაირი ფორმით არ ვმონაწილეობდი.

რითი იყო სამხედრო კომენდატურა დაკავებული ზვიად გამსახურდიას გროზნოდან ზუგდიდში დაბრუნების დროს /1993 წლის 24 სექტემბერი/ და როგორი იყო პირადად თქვენი და სამხედრო კომენდატურის დამოკიდებულება ზვიად გამსახურდიას საქართველოში დაბრუნებასთან დაკავშირებით?

მოწმის პასუხი: თუ რითი იყო დაკავებული ხსენებული კომენდატურა ზვიად გამსახურდიას საქართველოში დაბრუნების პერიოდში, ვერ მოგახსენებთ. მე თვითონ ამ დროს ჩასული ვიყავი სოხუმის რაიონში, სადაც ბრძოლები მიმდინარეობდა და მახაჭქადან სოფლის მოსახლეობას სამშვიდობო ადგილებში გადმოსვლაში ვშველოდი.

რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს, გიჩვენებთ, რომ ზვიად გამსახურდიას საქართველოში დაბრუნების ფაქტისადმი უარყოფითი დამოკიდებულება არ მქონია.

გქონდათ თუ არა უშუალო ურთიერთობა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან, დადებით შემთხვევაში - რაში გამოიხატებოდა იგი?

მოწმის პასუხი: ზვიად გამსახურდიასთან ცხოვრების არც ერთ მონაკვეთში უშუალო ურთიერთობა არ მქონია.

გქონდათ თუ არა უშუალოდ ურთიერთობა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გარემოცვასთან, დადებით შემთხვევაში - რომელ კონკრეტულ პირებთან და რაში გამოიხატებოდა მათთან თქვენი ურთიერთობა?

მოწმის პასუხი: ზვიად გამსახურდიას ახლო გარემოცვასთანაც არ მქონია ოდესმე რაიმე ურთიერთობა.

იცნობდით თუ არა აწ გარდაცვლილ გენერალ გია გულუას, დადებით შემთხვევაში, რა ურთიერთობა გქონდათ მასთან?

მოწმის პასუხი: გენერალი გია გულუა ჩემი ძმის გოჩა სარიას, მეუღლის ბიძაშვილი იყო. მასთან რაიმე საგანგებო ახლო ურთიერთობა არ მქონია, გარდა ამ ნათესაური ურთიერთობისა.

ზვიად გამსახურდიასთან დაკავშირებულ რაიმე საკითხზე უშუალოდ გქონდათ თუ არა შეხვედრა გია გულუასთან სამეგრელოში ან სხვაგან?

მოწმის პასუხი: როგორც ზემოთ გიჩვენეთ, სამეგრელოში თუ სხვაგან ზვიად გამსახურდიასთან დაკავშირებულ რაიმე საკითხზე მე გია გულუასთან შეხვედრა არ მქონია.

არის თუ არა თქვენთვის რაიმე ცნობილი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სოფელ მუჟავასა და მუჟავას მთებში ასვლის კონკრეტულ დროსთან და გარემოებებთან დაკავშირებით, დადებით შემთხვევაში, რამდენი დღე დაჰყო იქ ზვიად გამსახურდიამ და აღნიშნული თქვენთვის ცნობილი შეიქმნა მუჟავაში იმ დროს თქვენი პირადი ყოფნის გზით თუ სხვათა გადმოცემის მიხედვით?

მოწმის პასუხი: ჩემთვის უცნობია პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სოფელ მუჟავასა და მუჟავას მთებში ასვლის კონკრეტული დრო რამდენადაც არც პირადად ვყოფილვარ ხსენებულ ადგილებში და არც სხვისი გადმოცემით ვიცი რამე ამ საკითხების თაობაზე.

ცნობილია თუ არა პირადად თქვენთვის სოფელ მუჟავასა და მუჟავას მთებში ზვიად გამსახურდიას ცალკეულ პირებთან თუ პირთა ჯგუფებთან შეხვედრის შესახებ?

მოწმის პასუხი: არც აღნიშნული კითხვის ირგვლივ არის რაიმე ჩემთვის ცნობილი, იმ მიზეზით, რომლის თაობაზე უკვე ზემოთ გიჩვენეთ.

იყავით თუ არა ბადრი ზარანდიას გვერდით იმ დროს /იმ დღეს/, როცა მან, თავისი შეიარაღებული ჯგუფის დისლოკაციის ადგილად მუჟავაში, უბან „ომუნჩქვე“-სთან, არსებული წყალსაქაჩის ტერიტორია აირჩია - წინააღმდეგ შემთხვევაში - როდის და ვისი მეშვეობით გაიგეთ მითითებულ ადგილზე ბადრი ზარანდიას ჯგუფის ყოფნის შესახებ და პირველად როდის ახვედით მასთან?

მოწმის პასუხი: გიჩვენებთ წინა კითხვის ანალოგიურად, რომ მუჟავაში, სადაც შეიძლებოდა დაბანაკებული ყოფილიყო ბადრი ზარანდიას შეიარაღებული ხალხი, მე ეს ადგილი არ ვიცი, რადგან მე იქ არასოდეს არ ვყოფილვარ. იყო მხოლოდ ერთი შემთხვევა, როცა სოფელ ჯვარიდან ზუგდიდისკენ ვბრუნდებოდი, ავტომაგისტრალზე იდგა ბადრი ზარანდიას შეიარაღებული ხალხი, რომელიც კითხულობდა, თუ რა მდგომარეობა იყო ზუგდიდისა და წალენჯიხისაკენ და რამდენად აკონტროლებდნენ ახალი ხელისუფლების სამხედროები ამ ტერიტორიებს. ჩემი მათდამი განმარტების მიცემის შემდეგ ისინი მივატოვე და დავბრუნდი ზუგდიდში.

სულ რამდენი შეირაღებული პირი ირიცხებოდა ბადრი ზარანდიასთან პრეზიდენტის მუჟავაში ყოფნის დროს, რა ასაკობრივი შემადგენლობის, სოციალური ჯგუფებისა და საბრძოლო გამოცდილებისა იყვნენ ხსენებული პირები?

მოწმის პასუხი: ჩემ მიერ ზემოთ მიცემული ჩვენებიდან გამომდინარე მე სულ მქონდა რა მათთან რამდენიმე წუთიანი კონტაქტი, არ შემიძლია გიჩვენოთ, თუ რამდენი შეირაღებული პირი ირიცხებოდა ბადრი ზარანდიას მებრძოლებში და რა სამხედრო გამოცდილება ჰქონდათ მათ. აქვე ვამატებ: ეს ერთადერთი კონტაქტი მოხდა ჯვარიდან ზუგდიდისკენ მგზავრობის დროს.

არის თუ არა რაიმე თქვენთვის ცნობილი სოფ. მუჟავაში შეიარაღებულ პირთა ჯგუფის დისლოკაციის ადგილზე პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან ძმების, ზაურ და ანატოლი ჩუხუების, ჯიხაშკარის გამგებლის, გუჯუჯი ებრალიძის ან სხვა პირთა ამოსვლისა და შეხვედრის შესახებ, დადებით შემთხვევაში - პირადად თუ ესწრებოდით ამ შეხვედრებს, რა ინტენსივობისა იყო ეს შეხვედრები და რა საკითხებზე?

მოწმის პასუხი: არ ვესწრებოდი რა ადგილზე, ასეთი შეხვედრების გამართვის ირგვლივ მე არაფერი არ ვიცი და არც სხვისგან მსმენია აღნიშნულის შესახებ.

რა არის თქვენთვის ცნობილი ზარანდიას ბანაკში გენერალ გია გულუას ვიზიტებთან და ბადრი ზარანდიასთან მის მიერ წარმოებული მოლაპარაკებების თაობაზე?

მოწმის პასუხი: მე ასეთი ფაქტის ირგვლივ არაფერი არ ვიცი.

არის თუ არა თქვენთვის რაიმე ცნობილი გენერალ გია გულუას მუქარასთან დაკავშირებით, რომ ის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციით გაუსწორდებოდა?

მოწმის პასუხი: არც ამდაგვარი მუქარების შესახებ მსმენია რაიმე.

არის თუ არა თქვენთვის რაიმე ცნობილი სამეგრელოში პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დევნილობისა და თავშეფარებულობის პერიოდში ქ.ზუგდიდსა და სამეგრელოს სხვა ქალაქებსა თუ რაიონებში საქართველოს ან რუსეთის /ან ორივეს ერთად/ სპეცდანიშნულების რაზმის მოქმედებასთან დაკავშირებით?

მოწმის პასუხი: აღნიშნულთან დაკავშირებით ჩემთვის რაიმე კონკრეტული ცნობილი არ არის.

არის თუ არა თქვენთვის რაიმე ცნობილი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთვის ვინმეს მხრიდან ქვეყნის უპირობო დატოვების შესახებ ულტიმატუმის წაყენებასთან დაკავშირებით?[333]

მოწმის პასუხი: პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთვის ვინმეს მხრიდან ქვეყნის უპირობო დატოვების შესახებ ულტიმატუმი წაეყენებინოს, ამის შესახებ არაფერი არ ვიცი.

პირადად თქვენ ხომ არ მიგიციათ წინადადება ზვიად გამსახურდიასთვის, რათა მას დაეტოვებინა საქართველო?

მოწმის პასუხი: მე, როგორც ზემოთ განვმარტე, არასოდეს არ მქონია შეხვედრა ზვიად გამსახურდიასთან, არათუ მისთვის ქვეყნის დატოვების წინადადების მიცემა.

არის თუ არა თქვენთვის რაიმე ცნობილი - ზვიად გამსახურდიას კატეგორიულად გაეფრთხილებინოს და აეკრძალოს ბადრი ზარანდიასთვის გენერალ გია გულუასთან შეხვედრები და, მიუხედავად ამისა, ბადრი ზარანდიას მაინც განეგრძოს მასთან შეხვედრა, დადებით შემთხვევაში - რა ფორმით ხდებოდა ბადრი ზარანდიასა და ბანაკის შეიარაღებული სხვა პირების გია გულუასთან თანამშრომლობა?

მოწმის პასუხი: აღნიშნულთან დაკავშირებით ჩემთვის რაიმე ცნობილი არ არის.

არის თუ არა თქვენთვის ცნობილი, თუ რა მიზეზებმა განაპირობეს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიერ სოფელ მუჟავასა და მუჟავას მთების დატოვება?

მოწმის პასუხი: ჩემთვის ასევე ცნობილი არ არის გამსახურდიას მიერ მუჟავას დატოვების მიზეზებთან დაკავშირებით.

არის თუ არა თქვენთვის ცნობილი, ადგილობრივი პირებიდან ვინ გამოაცილა პრეზიდენტი თავშეფარების ადგილად შეგულებულ მუჟავადან?

მოწმის პასუხი: მე ვერაფერს ვერ ვუჩვენებ გამოძიებას, ადგილობრივი პირებიდან თუ ვინ გამოაცილა პრეზიდენტი, ვიმეორებ რა მერამდენედ, რომ ფიზიკურად მე იქ არ ვყოფილვარ.

გაქვთ თუ არა ნათესაური კავშირები სოფელ ჯიხაშკარში მცხოვრებ ოჯახებთან?

მოწმის პასუხი: ჩემს თაობაში რაიმე ნათესაური კავშირი სოფელ ჯიხაშკარში მცხოვრებ ოჯახებთან არა გვაქვს. ხოლო წინა თაობაში თუ იყო ასეთი ნათესაური კავშირი, არ ვიცი. აქვე ვამატებ: ასეთი ნათესაური კავშირი დღემდე ჩემთვის უცნობია.

---

333 არავის ზ.გამსახურდიასთვის „ულტიმატუმი“ არ წაუყენებია. იყო მხოლოდ საქართველოდან გასვლის შეთავაზებები და გასვლის გზების შესაძლებლობების განხილვა. შევარდნაძის ძალაუფლებისგან „ულტიმატუმი“ რომ ყოფილიყო, ეს იმას ნიშნავდა რომ შევარდნაძე დაინტერესებული იყო ზ.გამსახურდიას საქართველოდან უვნებლად გასვლით. მოწმეებმა არ იციან სიტყვა „ულტიმატუმის“ მნიშვნელობა.

პირადად თქვენთვის იყო თუ არა ცნობილი სოფელ ჯიხაშკარში და ხობის რაიონის ტერიტორიაზე პრეზიდენტის გადაადგილებისა და ადგილსამყოფლის შესახებ, დადებით შემთხვევაში - ვისი მეშვეობით და დახმარებით ფლობდით აღნიშნულ ინფორმაციას?

მოწმის პასუხი: მე არანაირი ინფორმაცია არ გამაჩნდა და არც სურვილი მქონდა, მცოდნოდა, თუ რა ტერიტორიებზე გადაადგილდებოდა პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

არის თუ არა თქვენთვის რაიმე ცნობილი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის გეგმის კენჭისყრასთან დაკავშირებით, დადებით შემთხვევაში - სად, როდის, რამდენჯერ და რა შემადგენლობით გაიმართა იგი, როგორი იყო თითოეული მონაწილის პოზიცია აღნიშნულ საკითხზე?

მოწმის პასუხი: აღნიშნულის შესახებ მსურს გიჩვენოთ, რომ თუ მას საერთოდ ადგილი ჰქონდა, მე არ ვიცი, რამეთუ მასში მონაწილეობა არ მიმიღია და არც სხვისგან მსმენია რაიმე აღნიშნულთან დაკავშირებით.

არის თუ არა თქვენთვის რაიმე ცნობილი ბადრი ზარანდიასა და ზურაბ შონიას /„პუშკინას“/ მეუღლეების, ასევე ზარანდიას შვილის, სლავას, ტყვედ აყვანისა და ქ.ზუგდიდში, ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში, რამდენიმე დღით მათ გამოკეტვასთან დაკავშირებით, რათა ამ გზით იძულებული გაეხადათ ზარანდია და შონია /„პუშკინა“/, დათანხმებოდნენ პრეზიდენტის ლიკვიდაციის გეგმას, დადებით შემთხვევაში - ვინ შეიპყრო ხსენებული პირები, ვის საცხოვრებელ სახლში ჰყავდათ ისინი, რა ვადაში და პირობით გაათავისუფლეს?

მოწმის პასუხი: კითხვაში ხსენებულ პირთა დატყვევებასთან დაკავშირებით მხოლოდ დღეს მესმის პირველად.

ზვიად გამსახურდიას სიცოცხლის პერიოდში, 1993 წლის დეკემბრის ბოლო დღეებში, კერძოდ, 27-29 დეკემბერს, თქვენ თქვენს ძმასთან ან სხვა ვინმესთან ერთად იმყოფებოდით თუ არა სოფლების ჯიხაშკარისა და ძველი ხიბულის გასაყარზე, საღურწკაიოს უბანში, დადებით შემთხვევაში - რა მიზნით?

მოწმის პასუხი: მითითებულ დროს ხსენებულ ადგილებში არც მარტო და არც სხვა პირთან ერთად მე არ ვყოფილვარ.

ფოტომასალისა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიისათვის ცალკეული მოწმეების გამოკითხვების მიხედვით, ზვიად გამსახურდიაზე ნასროლი იყო, სავარაუდოდ, ორი ტყვია - ყელისა და თავის არეში. ხომ არ არის თქვენთვის რაიმე ცნობილი კონკრეტულად აღნიშნულთან დაკავშირებით?

მოწმის პასუხი: გამოძიებას ამ ნაწილშიც ვერაფერს ვერ ვუჩვენებ, რამდენადაც ჩემთვის სრულიად უცნობია არათუ კონკრეტულად, ზოგადადაც კი, ზვიად გამსახურდიას დაღუპვის გარემოებები.

პირადად ხომ არ მიგიღიათ რაიმე სახით მონაწილეობა ზვიად გამსახურდიას დაღუპვაში?

მოწმის პასუხი: მე არანაირი მოტივი არ შეიძლებოდა მქონოდა, პირადად თუ სხვებთან ერთად რაიმე ვნება მიმეყენებინა ზვიად გამსახურდიას ჯანმრთელობისა თუ სიცოცხლისათვის, თან უკვე განვმარტე, რომ ჩემთვის სრულიად უცნობია არათუ კონკრეტულად, ზოგადადაც კი, ზვიად გამსახურდიას დაღუპვის გარემოებები.

დაკითხვას ესწრებოდა ადვოკატი: მებრძოლი ქკადუა

დაკითხა პროკურორმა: რ. ზარანდიამ

გოჩა სარიას პროკურატურის დაკითხვიდან:

(ქ.თბილისი, 2010 წლის 25 ოქტომბერი)

...

მონაწილეობდით თუ არა ზუგდიდში შექმნილ სამხედრო კომენდატურის საქმიანობაში, რომელსაც ბადრი ზარანდია ხელმძღვანელობდა, თუ კი -რა იყო ხსენებული კომენდატურის შექმნის მიზანი, პირადად თქვენ რა ფუნქციას ახორციელებდით მის შემადგენლობაში, ასევე რა ამოცანას ისახავდით ამ კომენდატურის მეშვეობით?

მოწმის პასუხი: სამხედრო კომენდატურა შექმნილი იყო ქ.ზუგდიდში წესრიგის დასამყარებლად. მის საქმიანობაში მე არანაირი მონაწილეობა არ მიმიღია და არც ამ კომენდატურის მეშვეობით პირადად მე რაიმე მიზანს არ ვახორციელებდი, რადგან მასში მე არანაირი ფორმით მონაწილეობა არ მიმიღია.

რითი იყო სამხედრო კომენდატურა დაკავებული ზვიად გამსახურდიას გროზნოდან ზუგდიდში დაბრუნების /1993 წლის 24 სექტემბერი/ დროს და როგორი იყო პირადად თქვენი და სამხედრო კომენდატურის დამოკიდებულება ზვიად გამსახურდიას საქართველოში დაბრუნებასთან დაკავშირებით?

მოწმის პასუხი: რითი იყო დაკავებული კომენდატურა ზვიად გამსახურდიას საქართველოში დაბრუნების პერიოდში, არ ვიცი. მე თვითონ ზვიად გამსახურდიას საქართველოში დაბრუნების შესახებ გავიგე პირდაპირ ტელევიზიით.

საკუთრივ კომენდატურის ხალხს ზვიად გამსახურდიას საქართველოში დაბრუნების ფაქტისადმი რა დამოკიდებულება გაანდა, არ ვიცი, მე პირადად სამეგრელოს მოსახლეობის უმეტესობის ანალოგიურად მეიმედებოდა, რომ აღდგებოდა კანონიერი ხელისუფლება და ქვეყანაში ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვლებოდა.

გქონდათ თუ არა უშუალო ურთიერთობა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან, დადებით შემთხვევაში - რაში გამოიხატებოდა იგი?

მოწმის პასუხი: ზვიად გამსახურდიას პირველად შევხვდი ბადრი ზარანდიასთან ერთად ზუგდიდში მე-4 საშუალო სკოლის წინ განლაგებულ შტაბში. პრეზიდენტთან მივედი თხოვნით, გაეთავისუფლებინა ზუგდიდის ციხეში დაპატიმრებული ჩემი მეუღლის ბიძაშვილი გენერალი გია გულუა, რამდენადაც მას იმ დროს ჰქონდა ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემა. პრეზიდენტმა თხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი მითხრა იმ მოტივით, რომ გია გულუას დაქვემდებარებაში იყო სატრანსპორტო პოლიციის 5000-მდე თანამშრომელი და ამას შეეძლო ხელი შეეშალა ქვეყანაში კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის. მეორე შეხვედრა მე პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან მქონდა მუუავაში, სადაც დაბანაკებული იყო ბადრი ზარანდიას შეიარაღებული რაზმი და მე ბადრი ზარანდიამ ერთ-ერთი პიროვნების პირით, რომელსაც ამუამად ვერ ვიხსენებ, შემომითვალა მენახა იგი. მეც ავედი მუუავაში და შევხვდი ბადრი ზარანდიას, რომელიც აწყობდა ზვიად გამსახურდიას საქართველოდან გაყვანის გეგმებს, პრეზიდენტმა უარი განაცხადა ერთ-ერთ გეგმაზე, რომლის მიხედვითაც გამსახურდია საქართველოდან გაყვანილი უნდა ყოფილიყო აზერბაიჯანის მიმართულებიდან და მოითხოვა სხვა გეგმის დამუშავება, ჩვენ, ფაქტობრივად უკეთესი გეგმა ვერ შევთავაზეთ.

გქონდათ თუ არა უშუალო ურთიერთობა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გარემოცვასთან, დადებით შემთხვევაში - რომელ კონკრეტულ პირებთან და რაში გამოიხატებოდა მათთან თქვენი ურთიერთობა?

მოწმის პასუხი: გარდა ზვიად გამსახურდიასი, მის ახლო გარემოცვასთან არ მქონია ოდესმე რაიმე სახის ურთიერთობა.

ზვიად გამსახურდიასთან დაკავშირებულ რაიმე საკითხზე უშუალოდ გქონდათ თუ არა შეხვედრა გია გულუასთან სამეგრელოში ან სხვაგან?

მოწმის პასუხი: სამეგრელოში თუ სხვაგან ზვიად გამსახურდიასთან დაკავშირებულ რაიმე საკითხზე მე გია გულუასთან შეხვედრა არ მქონია, მიუხედავად იმისა, რომ მასთან შეხვედრები ხშირად მქონდა როგორც ჩემთან, ისე მასთან, სახლში.

არის თუ არა თქვენთვის რაიმე ცნობილი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სოფელ მუუავასა და მუუავას მთებში ასვლის კონკრეტულ დროსთან და გარემოებებთან დაკავშირებით, დადებით შემთხვევაში - რამდენი დღე დაჰყო იქ ზვიად გამსახურდიამ და აღნიშნული თქვენთვის ცნობილი შეიქმნა მუუავაში იმ დროს თქვენი პირადი ყოფნის გზით თუ სხვათა გადმოცემის მიხედვით?

მოწმის პასუხი: პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სოფელ მუუავასა და მუუავას მთებში ასვლის კონკრეტული დრო და იქ დარჩენის ხანგრძლივობა ჩემთვის უცნობია, თუმცა გარდა ზუგდიდის ერთი შეხვედრისა, თუ სწორად მახსოვს, მუუავაში მას შევხვდი ერთხელ ან ორჯერ. აქვე ვაკონკრეტებ, ზ.გამსახურდიას შევხვდი ერთხელ ზუგდიდში და მეორედ - მუუავაში. მეტი შეხვედრა მასთან არ მქონია.

არის თუ არა რაიმე თქვენთვის ცნობილი სოფ. მუუავაში შეიარაღებულ პირთა ჯგუფის დისლოკაციის ადგილზე პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან ძმების, ზაურ და ანატოლი ჩუხუების, ჯიხაშკარის გამგებლის, გუჯუჯი ებრალიძის ან სხვა პირთა ამოსვლისა და შეხვედრის შესახებ, დადებით შემთხვევაში - პირადად თუ ესწრებოდით ამ შეხვედრებს, რა ინტენსივობისა იყო ეს შეხვედრები და რა საკითხებზე?

მოწმის პასუხი: მე პრეზიდენტთან მათ შეხვედრებთან დაკავშირებით არაფერი არ ვიცი და საერთოდ არ ვიცნობ დასახელებულ პირებს.

სულ რამდენი შეიარაღებული პირი ირიცხებოდა ბადრი ზარანდიასთან პრეზიდენტის მუუავაში ყოფნის დროს, რა ასაკობრივი შემადგენლობის, სოციალური ჯგუფებისა და საბრძოლო გამოცდილების იყვნენ ხსენებული პირები?

მოწმის პასუხი: ბადრი ზარანდიასთან იქნებოდა დაახლოებით 10-15 შეირაღებული ახალგაზრდა, რა ოჯახებიდან იყვნენ ისინი, მე არ ვიცი და არც მათი საბრძოლო გამოცდილების შესახებ ვიცი რაიმე.

რა არის თქვენთვის ცნობილი ზარანდიას ბანაკში გენერალ გია გულუას ვიზიტებთან და ბადრი ზარანდიასთან მის მიერ წარმოებული მოლაპარაკებების თაობაზე?

მოწმის პასუხი: რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ზვიად გამსახურდიას სურდა, მას შეხვედროდა გია გულუა, რაზედაც ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა. ამის შემდეგ ბადრი ზარანდია შეხვდა გია გულუას. თუ რის შესახებ ისაუბრეს მათ, ჩემთვის უცნობია, სხვა შეხვედრები მათ ერთმანეთთან ჰქონდათ თუ არა, არ ვიცი.

არის თუ არა თქვენთვის რაიმე ცნობილი გენერალ გია გულუას მუქარასთან დაკავშირებით, რომ ის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციით გაუსწორდებოდა?

მოწმის პასუხი: ამდაგვარი მუქარების შესახებ მე არაფერი არ მსმენია.

არის თუ არა თქვენთვის რაიმე ცნობილი სამეგრელოში პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დევნილობისა და თავშეფარებულობის პერიოდში ქ.ზუგდიდსა და სამეგრელოს სხვა ქალაქებსა თუ რაიონებში საქართველოს ან რუსეთის /ან ორივეს ერთად/ სპეცდანიშნულების რაზმის მოქმედებასთან დაკავშირებით?

მოწმის პასუხი: ზვიად გამსახურდიას სამეგრელოში დასდევდა მთელი პოლიცია და ჯარი სხვადასხვა დანაყოფებით. კონკრეტულად თუ რომელი დანაყოფი რა ფუნქციას ახორციელებდა, ჩემთვის უცნობია ისევე, როგორც რუსული რაიმე სპეცსამსახურების საქმიანობის შესახებ.

არის თუ არა თქვენთვის რაიმე ცნობილი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთვის ვინმეს მხრიდან ქვეყნის უპირობო დატოვების შესახებ ულტიმატუმის წაყენებასთან დაკაშირებით?[334]

მოწმის პასუხი: ასეთი რამ ჩემთვის უცნობია.

პირადად თქვენ ხომ არ მიგიციათ წინადადება ზვიად გამსახურდიასთვის, რათა მას დაეტოვებინა საქართველო?

მოწმის პასუხი: ასეთი წინადადება მე პრეზიდენტისთვის არ მიმიცია და არც რაიმე მოტივი გამაჩნდა, მისთვის მიმემართა ამდაგვარი ულტიმატუმით.

არის თუ არა თქვენთვის რაიმე ცნობილი - ზვიად გამსახურდიას კატეგორიულად გაეფრთხილებინოს და აეკრძალოს ბადრი ზარანდიასთვის გენერალ გია გულუასთან შეხვედრები და, მიუხედავად ამისა, ბადრი ზარანდიას მაინც განეგრძოს მასთან შეხვედრა, დადებით შემთხვევაში - რა ფორმით ხდებოდა ბადრი ზარანდიასა და ბანაკის შეიარაღებული სხვა პირების გია გულუასთან თანამშრომლობა?

მოწმის პასუხი: დასმული კითხვის ირგვლივ ჩემთვის რაიმე ცნობილი არ არის.

არის თუ არა თქვენთვის ცნობილი, თუ რა მიზეზებმა განაპირობეს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიერ სოფელ მუჟავასა და მუჟავას მთების დატოვება?

მოწმის პასუხი: პრეზიდენტის მიერ მუჟავას დატოვების მიზეზებთან დაკავშირებით ჩემთვის ასევე ცნობილი არ არის.

არის თუ არა თქვენთვის ცნობილი, ადგილობრივი პირებიდან - ვინ გამოაცილა პრეზიდენტი თავშეფარების ადგილად შეგულებულ მუჟავადან?

მოწმის პასუხი: აღნიშნული ჩემთვის უცნობია, რამეთუ იმ დროს მე მუჟავაში არ ვყოფილვარ.

გაქვთ თუ არა ნათესაური კავშირები სოფელ ჯიხაშკარში მცხოვრებ ოჯახებთან?

მოწმის პასუხი: რამდენადაც ვიცი, ჯიხაშკარში მცხოვრები ნათესავები არ გვყავს.

პირადად თქვენთვის იყო თუ არა ცნობილი სოფელ ჯიხაშკარში და ხობის რაიონის ტერიტორიაზე პრეზიდენტის გადაადგილებისა და ადგილსამყოფლის შესახებ, დადებით შემთხვევაში - ვისი მეშვეობითა და დახმარებით ფლობდით აღნიშნულ ინფორმაციას?

მოწმის პასუხი: კითხვაზე გიჩვენებთ, რომ მე არანაირი ინფორმაცია არ გამაჩნდა და არც სურვილი მქონდა, მცოდნოდა, თუ რა ადგილებს იცვლიდა პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

არის თუ არა თქვენთვის რაიმე ცნობილი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის გეგმის კენჭისყრასთან დაკავშირებით, დადებით შემთხვევაში - სად, როდის, რამდენჯერ და რა შემადგენლობით გაიმართა იგი, როგორი იყო თითოეული მონაწილის პოზიცია აღნიშნულ საკითხზე?

მოწმის პასუხი: ასეთი რაიმეს შესახებ მე არანაირი ინფორმაცია არ გამაჩნია.

არის თუ არა თქვენთვის რაიმე ცნობილი ბადრი ზარანდიასა და ზურაბ შონიას /„პუშკინას“/ მეუღლეების, ასევე ზარანდიას შვილის, სლავას, ტყვედ აყვანისა და ქ.ზუგდიდში, ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში, რამდენიმე დღით მათ გამოკეტვასთან დაკავშირებით, რათა ამ გზით იძულებული გაეხადათ ზარანდია და შონია /„პუშკინა“/ დათანხმებოდნენ პრეზიდენტის ლიკვიდაციის გეგმას, დადებით შემთხვევაში - ვინ შეიპყრო ხსენებული პირები, ვის საცხოვრებელ სახლში ჰყავდათ ისინი, რა ვადაში და პირობით გაათავისუფლეს?

---

[334] არავის ზ.გამსახურდიასთვის „ულტიმატუმი“ არ წაუყენებია. იყო მხოლოდ საქართველოდან გასვლის შეთავაზებები და გასვლის გზების შესაძლებლობების განხილვა. შევარდნაძის ძალაუფლებისგან „ულტიმატუმი“ რომ ყოფილიყო, ეს იმას ნიშნავდა რომ შევარდნაძე დაინტერესებული იყო ზ.გამსახურდიას საქართველოდან უვნებლად გასვლით. მოწმეებმა არ იციან სიტყვა „ულტიმატუმის“ მნიშვნელობა.

მოწმის პასუხი: ხსენებულ პირთა დატყვევების შესახებ მე პირველად მესმის.

ზვიად გამსახურდიას სიცოცხლის პერიოდში, 1993 წლის დეკემბრის ბოლო დღეებში, კერძოდ, 27-29 დეკემბერს, თქვენ თქვენს ძმასთან ან სხვა ვინმესთან ერთად იმყოფებოდით თუ არა სოფლების ჯიხაშკარისა და ძველი ხიბულის გასაყარზე, საღურწკაიოს უბანში, დადებით შემთხვევაში - რა მიზნით?

მოწმის პასუხი: ხსენებულ დროს არ მახსოვს და ამის გამო არ გამოვრიცხავ ჩემი ავტომანქანით ეს ადგილები გამევლოს, ოღონდ რაიმე დროით გაჩერებით არ გავჩერდებოდი.

ფოტომასალისა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიისათვის ცალკეული მოწმეების გამოკითხვების მიხედვით, ზვიად გამსახურდიაზე ნასროლი იყო სავარაუდოდ ორი ტყვია - ყელისა და თავის არეში. ხომ არ არის თქვენთვის რაიმე ცნობილი კონკრეტულად აღნიშნულთან დაკაშირებით?

მოწმის პასუხი: არაფერი არ ვიცი იმაზე მეტი, რაც არაერთხელ გადაცემულა საქართველოს ტელევიზიით. არც ის ვიცი, პრეზიდენტმა გავრცელებული ვერსიის მიხედვით თავი მოიკლა, თუ მეორე გავრცელებული ვერსიის მიხედვით ის მოკლეს.

პირადად ხომ არ მიგიღიათ რაიმე სახით მონაწილეობა ზვიად გამსახურდიას დაღუპვაში?

მოწმის პასუხი: რაიმე მოტივი და საბაბი პირადად თუ სხვებთან ერთად ხელმეყო ზვიად გამსახურდიას სიცოცხლე, არ მქონია.

დაკითხა პროკურორმა: რ. ზარანდიამ

არსენ მესხიას გამოკითხვიდან:

(ზუგდიდის რაიონი, სოფ. მუჟავა, 2010 წლის 5 ნოემბერი)

“ზვიად გამსახურდია სოფელ მუჟავაში 20 ნოემბერს ამოვიდა. ბადრი ზარანდიას ბანაკში მუჟავაში ამოსვლიდან მეორე თუ მესამე დღეს მოვიდა. მე რაღაც დავალებაზე ვიყავი წასული. ისინი ჯვარიდან მუჟავაში წამოვიდნენ. ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ დაახლოებით ასეა, პრეზიდენტი რომ ამოვიდა მუჟავაში, მეორე თუ მესამე დღეს მე მოვედი აქ. გია გულუა მე არ მინახავს, მაგრამ ბიჭებმა თქვეს, გია გულუას მანქანა და გია გულუას კაცი მოვიდაო, ბადრი ზარანდიასთან მივიდნენ და თქვეს რომ გია გულუას ხალხი იყო, გია გულუას ხალხი ბანაკში დადიოდა.

ბოლოს გოგაძე და ჭინჭარაული მე ვნახე, მუჟავადან, ბანაკიდან, რომ გადიოდნენ ცხენებით, ორნი იყვნენ და კიდევ ორი მეგზური მიჰყვებოდათ, ყველანი იარაღით იყვნენო. ეს ბიჭები ვინც გააცილა, სახით ვიცნობ.

ისინი პრეზიდენტის ბრძანებით წავიდნენ. პრეზიდენტი ამ დროს ჯერ კიდევ ბადრი ზარანდიას ბანაკში იმყოფებოდა[335]. ბანაკში პრეზიდენტი და ბესარიონი 4–5 დღეს დაცვის გარეშე იმყოფებოდნენ. როდესაც პრეზიდენტმა გადაწყვიტა ჭყეპზენში ასვლა, იმ დილას შეუერთდნენ დაცვის ბიჭები. იქაც პრეზიდენტმა დაახლოებით 4–5 დღეს დაჰყო.

ტყუილია, რომ ვითომ გოგაძე და ჭინჭარაული პრეზიდენტმა დატოვა ბადრის გასაკონტროლებლად.”[336]

დავით ქარდავას გამოკითხვიდან:

(ზუგდიდის რაიონი, სოფ. მუჟავა, 2010 წლის 5 ნოემბერი)

“იქნებოდა 21, ან 22 რიცხვი, როდესაც პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ამოვიდა მუჟავაში. მიახლოებით ეს იქნება 1993 წლის 24 ნოემბერი ან 22 ნოემბერი, შეიძლება ვცდები. 13 ნოემბერს ზუგდიდში შემოვიდა მხედრიონი, აი 13-დან უკვე გადადიან გალი-

---

[335] ეს უზუსტობაც ამ „მოწმის“ არაინფორმირებულობაზე მიუთითებს – გოგაძე და ჭინჭარაული ზარანდიას ბანაკიდან წავიდნენ მას შემდეგ, რაც იქიდან წავიდა ზ.გამსახურდია.

[336] ეს „მოწმე“ ცრუობს — პირველი, რომ ბ.ზარანდიას ბანაკში მივედით პრეზიდენტის მცველების ბ.გვანცელაძისა და გ.კეკენაძის თანხლებით და ისინი სულ ჩვენთან იყვნენ. გოგაძე და ჭინჭარაული კი შემდეგ — რ.მარგველანთან ერთად შემოგვიერთდნენ. მეორე სიცრუე — როდესაც ზარანდიას ბანაკიდან ზედა კარვებში წავედით ზ.გამსახურდიამ გოგაძე და ჭინჭარაული ბანაკში დატოვა და მეთვალყურეობა დაავალა — ეს ჩემს თვალწინ მოხდა.

სკენ. **ბატონი ზვიადი რომ ამოვიდა ბადრი ზარანდიას ბანაკში, ახლდა ბესარიონი მარტო. დაცვის არცერთი წევრი არ იყო.**[337]

თენგო იყო ერთი ქარდავა და მე. დაცვის წევრები მოვიდნენ როცა მივდიოდით იმ დღეს. ვტოვებდით ამ ბანაკს. აქ ვიყავით მიახლოებით ერთი 3–4 დღე.

დაცვა არ ყოფილა, იმ დილას მოვიდნენ, შემოგვიერთდნენ და წავედით, აქ ისინი არ ყოფილან შიგნით, აქ ღამე არ უთენებიათ მათ.

4–5 დღე ზვიადმა აქ იცხოვრა. დაცვა შეუერთდა წასვლის დღეს, დილას.

ისინი იქით ჩქვალერში დარჩნენ და იქიდან გადმოყვანა არც ისე ადვილი იყო და ფაზამ გადმოიყვანა ისინი. კენზაში პრეზიდენტმა დაახლოებით 4–5 დღე დაჰყო.

კარავში რობინზონი დაჯდა, გვანცელაძე იყო სულ იმასთან და მერე დღე ერთად ვიყავით. ღამით, მეორე კარავი იყო და იქ ვიკრიბებოდით, დავუშვათ და რაღაც მოხდა, პირველი ჩვენ მივიღებდით მომსვლელს.

ზვიადმა ბიჭები აქ არ დატოვა. მე ის ბიჭები არ მინახია.

არსენამ მითხრა, რომ ეგ ბიჭები გავიდნენო ცხენით გზაზე. მერე არ ვიცი ის ხალხი და დაცვა არ ყავდა.

როდესაც ბადრი ზარანდია, პუშკინა, ჭანია პრეზიდენტს შეხვდნენ, გაიმართა რა თქმა უნდა კონფიდენციალური საუბარი ერთმანეთში, დახურული საუბარი, ამის შემდეგ ერთ დღეში პრეზიდენტი ტოვებს ბანაკს. ტოვებს და მიდის უკვე ლიაში. ეს არის უკვე გზა, რომელიც მიდის ჯაღრისკენ და ჯიხაშკარისკენ. ანთიას სახლში დავრჩით ჩვენ, რომ კვალი დაკარგულიყო. იქ ჩვენ ერთი დღე გავჩერდით. გია გულუა აქ მე არ მინახავს, მაგრამ ბადრი იქ, გარეთ, შეხვდა, სადღაც, ჩაბალახი დაიხურა ბადრიმ და იქ შეხვდა, მე არ ვიცი. ეს შეხვედრა მოხდებოდა 26–27–ში, მიახლოებით ასე.

ამას მოჰყვა პრეზიდენტის წასვლა ქყეპზენში.”

ნუკრი ღურწკაიას გამოკითხვიდან:

(ქ.ზუგდიდი, 2010 წლის 5 ნოემბერი)

“მაშინ 21 წლის ვიყავი. პრეზიდენტის მოსვლას მე არ დავსწრებივარ.

მე მაშინ მოვედი, როცა ეს ხალხი მოვიდა. მეძინა და მეორე დღეს გავიგე მშობლებისგან, რომ ასეთი დიდი სტუმარი გვყოლია სახლში. მე საერთოდ არ მინახავს პრეზიდენტი.

მათი მოსვლის თარიღს ზუსტად ვერ გეტყვით, დეკემბრის 28, 27-იო ყველა ასე ამბობს, ზუსტად ვერ გეტყვით. იქნებოდა ალბათ 9 საათი, 10 სთ, ალბათ, არ ვიცი. ზუსტად ვერ გეტყვით. არც მახსოვს ახლა, რამდენი წელია გასული მას შემდეგ. **მოვიდნენ ნუ 7 საათის, 8 საათის მერე ალბათ**[338]. პრეზიდენტი ძირს ზედა სართულიდან საერთოდ არ ჩამოდიოდა. ჩვენთან დაჰყო 31-მდე მგონი.

ეს შემთხვევა რომ მოხდა, 30 იყო თუ 31, რა ვიცი ახლა, ჩვენ ვიწექით და დედაჩემმა გაგვაღვიძა, მე და მამაჩემი ერთად ვიწექით მაშინ ქვევით. რიცხვი არ მახსოვს ზუსტად 30 იყო თუ 31. საათს ვერ გეტყვით, ღამე იყო. ზამთარში უკვე ღამეა 5 საათის შემდეგ.

ლამპის შუქზე ზევით ავედით, ხმაური იყო, რა ნაბიჯების ხმა ისმოდა. რომ ავედით და ხმა იყო: კარლო ბიძია, გვიშველე, კარლო ბიძია, დავიღუპეთო. ლამპის შუქი მკრთალად ანათებდა, რომ ავედი, დავინახე, პიროვნება ასე იწვა და თავი მაღლა ჰქონდა. **ერთი შევხედე მარტო და ოთახიდან გამოვედი.**[339]

---

[337] ესეც ცრუობს — ბ.ზარანდიას ბანაკში მივედით პრეზიდენტის მცველების ბ.გვანცელაძისა და გ.კეკენაძის თანხლებით და ისინი სულ ჩვენთან იყვნენ.

[338] რა თქმა უნდა ნუკრი ღურწკაიას ეს ჩვენება კომისიას არ აწყობს და უგულველჰყო — რამდენადაც გზაში ყოფნის კომისიისთვის სასურველი „საეჭვო“ 4–5 საათს ვერ უდგება...
არაა განმარტებული დილის–დღის საათები იყო თუ საღამოს–ღამისა!

[339] როგორც ამ გამოკითხვიდან ირკვევა — ამ ყმაწვილს „ლამპით“ ოდნავ განათებულ სივრცეში სულ რამდენიმე წუთით შემოუჭყეტია — ისტერიის ვითარებაში და მე, მაგალითად იგი მაშინ და იქ არც კი დამამახსოვრდა.

იმ დროს ზევით იყო: ის სვანი რომ არის, მარგველანი, და - მეორე გვანცელაძე, გუგუშვილიც, რა თქმა უნდა. ჯერ გვერდზე ოთახში ვიდექი ცოტა ხანი და მერე ქვევით ჩამოვედი. პრეზიდენტს რაღაცა ეცვა მაგრამ რა ვიცი ახლა. მე პრეზიდენტის უბრალოდ სახე დავინახე და მეტი არაფერი.

სისხლი არ დამინახავს, მე უბრალოდ ოთახში შევედი. პრეზიდენტს თავი ჰქონდა მარცხნიდან მარჯვნივ, წვერი ჰქონდა. პრეზიდენტის გადასვენება, მე მგონი, მეორე დღეს მოხდა. პრეზიდენტი გარეთა კიბიდან ჩამოასვენეს. მე ქვევით ვიყავი, ამას არ ვესწრებოდი.

მეორე დღეს ჩუხუებიც მოვიდნენ, მეორე დღეს მოვიდნენ თუ იმ ღამით?! ზუსტად ვერ გეტყვით.

მე და რობინზონი წავედით ჯიხაშკარში. ხიბულიდან ჯიხაშკარამდე მანძილი იქნება ერთი ხუთი კილომეტრი, ექვსი. წავედით ფეხით. გზაში არავინ შეგვხვედრია. ჯიხაშკარში ორივე ერთად ჩავედით და გზაში მითხრა რობინზონმა, უმოკლესი გზა ხო არ იციო ჯიხაშკარამდეო.

მივედით ჯონსონის სახლში, კიდევ დაგვხვდა ვიღაც ერთი ბიჭი თუ ორი, ზუსტად ვერ გეტყვით, ერთი იყო თუ ორი, ახლა არ მახსოვს. გზაში არც იქითობისას შეგვხვედრია ვინმე და არც აქეთობისას..

ტრასით არ გვივლია, "ჩერეზ" ჭაქვინჯით, ნუ ახლა ტყე და ღელე არ გვივლია."

არკადი შონიას გამოკითხვიდან:

(ზუგდიდის რაიონი, სოფ. მუჟავა, 2010 წლის 5 ნოემბერი)

"ზვიად გამსახურდიას დაცვის წევრები წავიდნენ თავად პრეზიდენტის დავალებით, ზვიადმა მე მითხრა ამათ უშოვეთ ცხენები და გადიანო საქმეზე, ხოლო ცხენებს ხვალ პატრონს დაუბრუნებთო.

მათი წასვლის შესახებ ყველამ იცოდა, ბადრი ზარანდია იყო აქ და ყველამ იცოდა, ვინც აქ იყო. ბადრიმ იცოდა, "პუშკინამ" იცოდა, მე ვიცოდი, არსენამ იცოდა.

ბეჟან წურწუმიამ იცოდა. ბეჟანი იმ დღეს იყო აქ, ბეჟანი რომ მოვიდა აქ, ბატონი ზვიადი გამოვიდა და მითხრა, ცხენები უშოვეთ ამ ხალხსო. ცხენები ჩვენ მოვიყვანეთ, ჭუბინა ჰქვია ერთს, გვარი არ ვიცი. ორი ძმაა, ჭინჭარაული და ისინი დასხდნენ ცხენებზე. "პუშკინამ" გაატანა "პულიმიოტის" იარაღი, მეორეს - ავტომატი და წავიდნენ აქედან, მეორე დღეს არ დაბრუნდა ცხენი და დაიკარგნენ ისინი.

ეს ბიჭები რომ წავიდნენ, რობინზონი არ ვიცი და მეორე, გვანცელაძე, კი აქ იყო. ეს როდის იყო, რიცხვს ვერ გავიხსენებ ახლა."[340]

გოდერძი მებონიას გამოკითხვიდან:

(წალენჯიხის რაიონი, სოფ. ჯაღრა, 2010 წლის 6 ნოემბერი)

"პრეზიდენტი აქ დაახლოებით 22 დეკემბერს მოვიდა ალბათ, ზუსტად არ მახსოვს. თანმხლები პირებიდან ერთი იყო მამრიკო ზარანდია. მაგრამ მერე მამრიკო აქ დარჩა, თუ იმათ გაჰყვა, ეს არ ვიცი. ჩვენთან ცხოვრობდა, თავისთავად, ბიძაჩემი და ბიცოლაჩემი, მე აქ დავრჩი და ზურაბი გუჩუა იმ საღამოს აქ იყო ჩვენთან. ყველა დაცვის წევრი წავიდა, აქ არავინ არ დარჩენილა. ესენი იყვნენ; კეკენაძე, ბურჯანაძე, მერე მარგველანი და გვანცელაძე, ზუსტად არ ვიცი, ვინც მოჰყვებოდნენ ისინი, მათ შორის, ბესარიონი. ბიძაჩემმა უთხრა: ბევრ ხალხს მე ვერ შევინახავ, მაგრამ შემიძლია პრეზიდენტთან ერთად ერთი–ორი კაცი შევიფაროო.

პრეზიდენტი ჯანმრთელობის მხრივ გადასარევად[341] არ იყო, მაგრამ არც ისეთი დაუძლურებული იყო, როგორც ესენი[342] ახასიათებენ.

---

[340] კიდევ ერთი მტკნარი სიცრუე — ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ ზემოთა კარვებისკენ წავედით ეს ორი ზარანდიას ბანაკში დარჩნენ. მით უმეტეს, მისი ჩვენებიდან ჩანს, რომ ჩვენი გასვლისას ზედმეტი ცხენები ბანაკში არ იყო — რაც იყო მას ჩვენი ბარგი აჰკიდეს და თან წამოიყვანეს.

პრეზიდენტს მაშინ შარვალ–კოსტუმი ეცვა. კოსტუმი ნაცრისფერი იყო. შიგნით პულოვერი ეცვა საყელოიანი, მთლად მაღალი საყელოთი არა. პალტო არ ეცვა, ჩვენ აქ რომ მოვიყვანეთ, მაშინ ნაბადი ეცვა, თეთრი, მოთეთრო ნაბადივით. ბიძაჩემმა ყველა ისინი ერთად მოიყვანა, სოფელი არის "სამესხიო" იქიდან, მაგრამ საიდან მოდიოდნენ, ეს არ ვიცი.

პრეზიდენტი მე მანქანიდან გადმოსული არ მინახავს. მე რომ მივედი, პრეზიდენტი იქ დამხვდა. ბიძაჩემმა მითხრა, შენ იქ მოდიო და იქ არაფერი არავის არ უთხრაო. ღამე გადავედი და იმ ღამით იქ ვიყავი, სანამდე არ მოვიდნენ, მანამდე არ წამოვსულვარ.

პრეზიდენტს თავზე ქუდი ეხურა, სპორტული ქუდივით იყო, მგონი, მოშავო იყო. სპორტული, წარწერებით კი არა, მაგრამ მოშავო იყო, ისეთი ქუდი ეხურა. "უშანკა" არ იყო, რაღაც კოხტა ქუდი იყო. სამხედრო ქუდი არ იყო.

პირველად პრეზიდენტმა საჭმელი არ ჭამა. არ ვიცი, პრეზიდენტთან ვინ მოდიოდა, აქ ძირითადში არავინ არ მოსულა. გუჩუა საერთოდ არ გასულა, აქ იყო სულ. რობინზონი გადიოდა ხანდახან. ეზოს გარეთ თუ, არა ეზოს გარეთ სად წავიდოდა, ადგილები არ იცოდა, მაგრამ ისე გარეთ დადიოდა.

პრეზიდენტის წასვლის მიზეზი ის იყო, რომ ვიღაცას უთქვამს, ანზორის სახლში პრეზიდენტი უნდა იყოს და ვიღაც კვარაცხელიაო. ეს ამბავი ვინ თქვა, ზუსტად არ ვიცი.

ეს იყო 1993 წლის დეკემბერში, 22 დეკემბერს, და 28-ში წავიდა, მგონი, ასე მახსოვს, ცხრის ნახევარი იყო მაქსიმუმ.

პრეზიდენტი რომ წავიდა, ის დღეები აქ ვიყავი, არსად არ წავსულვარ. ბიძაჩემმა იფიქრა, არ დამიჭირონო და პრეზიდენტის წასვლის შემდეგ შინ აღარ მოდიოდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში. პრეზიდენტი იმიტომ კი არ წავიდა, სახლი გაყიდულიაო, მისი წასვლა დაცვის რომელიღაცა წევრმა გადაწყვიტა. პრეზიდენტს არ გადაუწყვეტია აქედან წასვლა. მე მგონი, რობინზონმა გადაწყვიტა. პრეზიდენტსა და დაცვას მხოლოდ ავტომატები ჰქონდათ, მეტი შეიარაღება მე არ მინახია.

პრეზიდენტი რომ ჩავაცილეთ მდინარე ბეჩამდე, იქ მამრიკო და კიდევ ერთი ბიჭი იყვნენ, ყველაფერი ოპერატიულად მოხდა, უცებ მანქანა მოვიდა და წავიდნენ. ჩვენ აქეთ წამოვედით და ისინი - იქით.

რაღაც რუსული მანქანა იყო ბობიკს რომ ვეძახით, "უაზი ბობიკი".

გარდაცვლილი პრეზიდენტი მე ნანახი არ მყავს, მე არ მინახავს, ბიძაჩემს ყავს ნანახი და ზურა გუჩუას. სად გადაყავდათ პრეზიდენტი არ ვიცი.

არც ცოცხალი და არც მკვდარი პრეზიდენტი იმის შემდეგ მე არ მინახავს.

აქ მოვიდა ორი კაცი და მათ მოიტანეს ამბავი, რომ პრეზიდენტმა თავი მოიკლაო, მაგრამ ის პიროვნებები მე არ მინახია. ამის გაგონებაზე, ბიცოლაჩემმა კივილი დაიწყო. პირველი იანვარი იყო, მგონი.

მეორე დღეს მოვიდნენ აქ, ჩვენთან, ახალი წლის დილას, ორი ბიჭი იყო, მე იმათ არ ვიცნობ და შენ იცნობო, მეუბნება, მაგრამ დღესაც ვერ ვიხსენებ, აქაური ბიჭები იყვნენო. მეგრელები იყვნენ, აქაურებიო.

აქედან პრეზიდენტი ნაბდით წავიდა. იმიტომ მახსოვს ის ნაბადი, რომ ერთად მივდიოდით მე და ის. პრეზიდენტს არც დაცვის წევრზე მოუკიდია ხელი და არც სხვა ვინმეზე, მე მომკიდა ხელი და კიდევ, რომ იცოდეთ, ჩვენ პირველები მივდიოდით, არც უკან და არც შუაში.

კრემისფერი ნაბადი ეცვა."

---

341 „ჯანმრთელობის მხრივ გადასარევად არ ყოფნა" — ჯანმრთელობის ფრიად საინტერესო მდგომარეობაა — კომისიისთვის ალბათ სავსებით გასაგები. „არც **ისეთი** დაუძლურებული იყო" — აბა როგორი დაუძლურებული იყო — „ასეთი"?

342 ვინ „ესენი" და სად ასაბუთებენ? საიდან იცის ვინ როგორ ასბუთებს? ხომ არ კარნახობდნენ გამოკითხვისას?

კახა მოლაშხიას გამოკითხვიდან:

(წალენჯიხის რაიონი, სოფ. ულურია, 2010 წლის 13 ნოემბერი)

“ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს ეროვნული მთავრობა რომ მოვიდა ხელისუფლების სათავეში, მაშინ შეიქმნა ეროვნული გვარდია. მე ვიყავი წალენჯიხის ბატალიონის ეროვნული გვარდიის ოფიცერი.

ეს გახლავთ 1990-1991 წლები, რაც ხალხმა უზენაესი საბჭო აირჩია და უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდია უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია იმის მერე.

ჩემი საცხოვრებელი ადგილია წალენჯიხის რაიონი სოფელი ნაკიფუ.

ჩემთან მოვიდნენ ზვიად გამსახურდიას გარემოცვის წევრები, ეს იყო დაახლოებით 1994 წელი, 3 თუ 4 იანვარი. მოიყვანეს ჩემთან ბესო გუგუშვილი, რობინზონ მარგველანი და გოჩა კეკენაძე. ისინი, ჩვენი სოფლელი კაცია - მაგდამ მოლაშხიამ მოიყვანა „მაზით“.

მანამდე იყო რაფო. რაფო ჩემი მეზობელია, აქაური კაცია, ნაკიფუელია რაფო კვარაცხელია. რაფო იყო ერთი 10 დღით ადრე, ესე იგი 25 ან 26-ში 1993 წლის დეკემბერს.

რაფომ მითხრა: კახა, რომ მოვიყვანოთ ზვიადი, შევინახავთ და დავმალავთო აქ? მე ვუთხარი: კი ბატონო მოიყვანეთ, არანაირი პრობლემა არ არის, **უბრალოდ, ძალიან ბევრი კაცი არ ახლდეს თან, ერთი-ორი კაცი მაქსიმუმ მოიყვანე** და არანაირი პრობლემა არ არის - მეთქი. ეს ის პერიოდია, მხედრიონი რომ შემოსული იყო ზუგდიდში, მთელს სამეგრელოში, და **არანაირი საშუალება არ იყო დიდი რაოდენობით ხალხის შეფარებისა**[343].

ამის მერე რაფო მე აღარ მინახავს და იმის მერე მოვიდა ჩემთან მაგდამი და მეუბნება: მოგიყვანთ ბესარიონ გუგუშვილსა და მის გარემოცვასო. ეს იყო 1994 წლის 3, ან 4 იანვარი, მე დავთანხმდი.

საღამოს დაახლოებით 3 თუ 4 რიცხვია, საღამო ხანს მოდიან, დაახლოებით 7 საათზე, საღამოს რომ ღამდებოდა იმ პერიოდში, 19 საათზე. იმ დღეს არ ველოდებოდი, ვიყავი სახლში და მოჰყავთ ესენი: ბესო გუგუშვილი, რობინზონ მარგველანი და გოჩა კეკენაძე.

სტუმრები სახლში შევიყვანეთ, დედაჩემმა სუფრა გააწყო, მეზობლად ცხოვრობს ზვიადის მომხრე, პოეტი კაცი რინოს კვარაცხელია, ისიც ჩაწერილია ფილმში “დინების საწინააღმდეგოდ”. რინოსი შეეკითხა სტუმრებს: პრეზიდენტი როგორ არის და როგორ გრძნობს თავსო. პრეზიდენტი უსაფრთხო ადგილას არის, არანაირი საფრთხე არ ემუქრებაო, განაცხადა რობინზონ მარგველანმა.

ვიმღერეთ კიდეც სუფრაზე და არანაირი დაძაბულობა არ იყო.

ჩემთან, სახლში, დავყავით დაახლოებით ორი დღე, ე.ი. 5-6 იანვრამდე.

ამის შემდეგ მე გადამყავს ეს კაცი მამიდაჩემის სახლში, სოფ. ნაკიფუში, აქვე.

მამიდაჩემთან ვისხედით სუფრასთან, არ ვიჩემებ, რომ მაინცდამაინც 7 რიცხვი იყო, არქივშიც იქნება ეს ინფორმაცია “რუსთავი 2”-ის არქივში. ტელევიზიამ გამოაცხადა, რომ მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ გროზნოდან გვაცნობა, რომ ზვიად გამსახურდიამ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე სამეგრელოს ერთ-ერთ სოფელშიო. ამ დროს **აღფრთოვანებული**[344] **სახით წამოდგა ბესო გუგუშვილი** და ასეთი სიტყვები თქვა: “მალადეც”, ქალბატონო მანანა, ლოთი ქობალიას გვარდია, ერთ მხარეს, და მანანა არჩვაძე, მეორე მხარეს. ა, “მალადეც”, მანანა. აბსოლუტურად ფხიზელ მდგომარეობაში ამბობს ბესო გუგუშვილი ამ სიტყვებს. საერთოდ არ სვამდა, **ისეთი გაციებული იყო, რაღაც წამლებს სვამდა.**[345]

---

343 დადასტურება იმისა, რომ იმ გაჭირვებულ პერიოდში მრავალრიცხოვანი სტუმრების გამოკვება ფრიად ჭირდა.

344 „აღფრთოვანება“— რა თქმა უნდა აქ გუგუშვილის უარყოფით კონტესტში გამოსაჩენადაა...

345 ტელევიზიით გადმოცემული მართლაც ფრიად დამაიმედებელი და სასიხარულო იყო ჩვენს მდგომარეობაში — ნიშნავდა იმას, რომ ჩვენმა გაგზავნილებმა წარმატებით (რაც სრულებითაც არ იყო გარანტირებული) ჩააღწიეს გროზნიში და გადასცეს ოჯახს ის დუდაევს სამწუხარო ამბავი. ეს, აგრეთვე ნიშნავდა იმას, რომ რამდენიმე დღეში (მაშინ ასე შეგონა) მოსალოდნელი იყო მოხერხდებოდა ზ.გამსახურდიას ცხედრის გროზნიში გადასვენება, გვამის გაკვეთა, სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზა და „ცხელ კვალზე“

ამის შემდეგ **გოჩა ცუდად გახდა, გავიდა გარეთ, ჩვენც გავედით გარეთ, დაემხო იქ პატარა გასასვლელი კარია, იმაზე, და ტირილი დაიწყო.** მივიდა რობინზონი, რა გჭირსო, ბიჭო, შენ ვაუკაცი კაცი ხარო, რა მოგივიდაო. არაყი მოუტანა ერთი ჭიქა და ის დაალევინა, ამის მერე ადიან ზევით. იქ მე არ ავსულვარ. მეორე სახლია იქ, ზევით, და იქ ავიდნენ, სადაც იწვნენ ისინი, რობინზონი, გოჩა და ბესო. იქ რაღაც დაილაპარაკეს, რა დაილაპარაკეს, არ ვიცი. ამის მერე ჩამოდის ჩემთან რობინზონი და მეუბნება, კახა, ჩვენ უნდა წავიდეთ, ახლა შენ იცი, გაუფრთხილდი პრემიერ-მინისტრს, ვეუბნები ნურაფერის ნუ გეშინიათ, ყველაფერი კარგად იქნება - მეთქი.

რობინზონი და გოჩა კეკენაძე სამოქალაქო ფორმაში იყვნენ ჩაცმულები, გაპარსული და მოწესრიგებულები იყვნენ.

ავტომატები ჰქონდათ, ჰქონდა ნაგანი. ავტომატი ჰქონდა გოჩას, იმას სადგომიანი "პადსტოლნიკიანი" რობინზონს, ბესოს ჰქონდა "მაკაროვი", სულ მე მაძლევდა, მაინც არ ვიცი ხმარება, ვერ ვიხმარ და შენ გქონდესო. და რომ დამყავდა, ყოველთვის მე მქონდა ის "მაკაროვი".

როგორც კი გამოცხადდა ეს ყველაფერი, იმ დღესვე გავიდნენ ესენი ჩემგან. ბესო მაგის მერე მყავდა დაახლოებით ერთ 20 დღეს კი არა და 1 თვეც ალბათ, 20 დღეს მაინც.

ბესოს ნაგანი, ძაან პატარა ნაგანი იყო, "ბარაბნიანი" ნაგანი იყო, პატარა.

ბესარიონ გუგუშვილი, მამიდაჩემი ცხოვრობს მუხურში და, იქ მყავდა გარკვეული დრო.

კვარაცხელია, ღუდა კვარაცხელიას სახლში, მერე იქ ახლა ჩვენი პაროლი იყო ასეთი - იმ წითელ ნაგანზე შემოხვეული იყო წითელი "იზოლენტა", ვინც მოვიდოდა ჩემთან, უბრალოდ ჩემთან კი არა მამაჩემთან, მამაჩემმა იცოდა ჩვენი ადგილსამყოფელი, მეტი კაციშვილმა არ იცოდა.

შახუ მოლაშხიაა მამაჩემის სახელი და გვარი, მამაჩემთან მოვიდოდა პიროვნება, აჩვენებდა ნაგანს, რომელზედაც შემოხვეული იყო წითელი იზოლენტა და ეს იყო პაროლი. ეს წითელი ნაგანი რობინზონს ჰქონდა.

მერე იქ მამაჩემმა მოიყვანა "ბელარუსი", იმავე ტრაქტორით მოიყვანა ჯემალ გამახარია. დაახლოებით ერთი საათნახევარი ესაუბრა ბესო გუგუშვილს, მაგრამ მე შიგნით არ შევსულვარ და რაზე ისაუბრეს, არ ვიცი.

მერე მოვიდა ისევ მამაჩემი და ისაა, რომ აუცილებლად უნდა გადმოვიყვანოთ ნაკიფუში ისევ გუგუშვილი, იმავე საღამოს ავდექით ღამის 12 საათზე და გადმოვიყვანეთ ჩემთან, სახლში, მეორე დღეს მოვიდნენ კი არა და მოვიდა ერთად ერთი კაცი, "ბელარუსი" ტრაქტორით მოვიდა და ბესოს უნდოდა ჩემი წაყვანა, შენც წამოდიო, მაგრამ იმან უთხრა, ვინც "რულზე" იჯდა, ვერ დავეტევითო.

ამ კაცს რა ერქვა, არ ვიცი, რომელი რიცხვი იყო, ეს ნაღდად არ მახსოვს, მაშინ უკვე თოვლი იყო, თოვლი იდო რა.

მამიდაჩემთან ბესო გუგუშვილი და მე დაახლოებით 10 დღე ვიყავით. მერე იქიდან მოვიყვანეთ სახლში და მეორე დღეს წაიყვანეს.

ბესარიონი ამის შემდეგ ძალიან ცუდად იყო. თვითონ ბესარიონი რაღაც სისხლს ახველებდა და წამლებს სვამდა[346]. დასალევს საერთოდ არ ეკარებოდა, თუ დალევდა, ერთ პატარა ჭიქა არაყს გადაჰკრავდა, მეტს საერთოდ არ სვამდა და გაიძახოდა, რომ ზვიადი ძალიან ცუდად იყო... ყველამ უღალატაო, საქმელს არ ჭამდა ბოლოსო, ნერვიულობდაო რაღაც.

მე მართალს გეტყვით, რომ უფრო ზვიადს ველოდებოდი და მოიყვანეს გუგუშვილი. ზვიადი უნდა მოეყვანათ და ესენი მოიყვანეს.

ბესარიონ გუგუშვილი, რობინზონ მარგველანი და გოჩა კეკენაძე, სამივე, დაახლოებით საღამოს 19:00 სთ იყო მაგდამ მოლაშხიამ მომიყვანა, "მაზი" ჰყავდა, კონტეინერი რომ აქვს, და იმით მომიყვანა.

ობიექტური გამოძიების ჩატარება თვითმკვლელობის ადგილზე — რაც ჩვენს მიმართ საშინელი ეჭვების გაქარვებას უდრიდა. არსებითია იმის დამოწმება რომ ბ.გუგუშვილი ამ დროს მძიმედ ავადმყოფობდა.

[346] მკითხველი მიხვდება, რომ ადამიანი რომელიც კარგა ხნის განმავლობაში სისხლს ახველებს მძიმედ უნდა ავადმყოფობდეს.

იმ საღამოს, როცა გამოაცხადეს ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის შესახებ ტელევიზორში, იმ საღამოს რობინზონ მარგველანი და გორა კეკენაძე წავიდნენ, რობინზონმა დამაბარა: აბა, შენ იცი, გაუფრთხილდი პრემიერ-მინისტრს, ჩვენ უნდა წავიდეთო. გააცილა ჩემმა მამიდაშვილმა ბესო ბელქანიამ. მიიყვანა მაგდამ მოლაშხიასთან, ვინც მე მომიყვანა ესენი თავის დროზე, იმასთან მიიყვანა.

იქ რამდენი ხანი გაჩერდნენ, ეს არ ვიცი. მერე იმ საღამოს ჩემმა მამიდაშვილმა მიიყვანა ისინი ჭიშკრამდე და მამიდაშვილი გამობრუნდა, მერე სად წავიდნენ, არავინ არ იცის. იმის მერე მე რობინზონს და გორას არ შევხვედრივარ.

ვისთანაც მიიყვანა ეს იყო ანზორ მებონიას ცოლის ძმა.

შემდეგ მე აღარანაირი კონტაქტი მათთან არ მქონია. უბრალოდ, მე რატომღაც მგონია, რომ ისინი იქ არ გაჩერდებოდნენ, ისინი უფრო წავიდოდნენ ჯიხაშკარის მხარეს და იქით, როცა გამოაცხადეს ზვიადმა თავი მოიკლაო, მაშინვე წავიდნენ.

ბესარიონ გუგუშვილს მოსვლის დროს ჩვენ შევეკითხეთ: სად არის პრეზიდენტიო. ბესო და დაცვა გვეუბნებოდნენ, რომ პრეზიდენტი უსაფრთხო ადგილასაა, არავითარი საფრთხე არ ემუქრება, ახლა უნდა გაუფრთხილდეთ პრემიერ-მინისტრს ბესარიონ გუგუშვილსო, მეორე დილით ავდექით და მეუბნებიან, რომ რაღაც სიგარეტი, ბრიტვა და რაღაცები გვჭირდებაო, მომცეს 50.000-იანი, წავედი წალენჯიხაში საყიდლად, წალენჯიხაში რომ ვყიდულობდი ამ რაღაცებს, ვნახე ჩვენი ახლობელი დარეჯან ქანტურია, ამერიკაში ცხოვრობს ახლა, დარეჯანი მეუბნება, რომ ტირის ქალი რა, კახა, მართალი არის, რომ ლაპარაკობენო, ზვიადმა თავი მოიკლაო?[347] ტყუილია–მეთქი, საიდან მოიტანე-მეთქი ვეუბნები და რა ვიციო, მთელ წალენჯიხის რაიონში ამას ლაპარაკობენო. არა, ტყუილია – მეთქი, არ ინერვიულო შენ, ყველაფერი კარგად იქნება–მეთქი. წამოვედი სახლში და მეკითხება ბესო, რა ხდება ახლა წალენჯიხაში, რას ლაპარაკობენო. მე ვეუბნები, რომ წალენჯიხაში შემხვდა ერთი ახლობელი და მეუბნება რომ ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა. ბესო მეუბნება, არაფერია, კახა, ეს ხომ ჩვენი გავრცელებული ჭორებიაო.

მე ვიფიქრე, რომ მათ ასეთი ჭორები პრეზიდენტის უსაფრთხოების მიზნით გაავრცელეს – მეთქი და მათთვის ამ საკითხთან დაკავშირებით არაფერი აღარ მიკითხავს.”

მამრიკო ზარანდიას გამოკითხვიდან:

(ქ.თბილისი, 2010 წლის 19 ნოემბერი)

“1993 წლის 22 დეკემბერს მივედი ვახტანგ ზარანდიასთან, სადაც დამხვდა ანზორ მებონია, პრეზიდენტის მაშინდელი მასპინძელი. მებონია წავიდა. იმავე დღეს, ღამით, ვახტანგ ზარანდია მე და მანუჩარ ზარანდიას გვეუბნება: წამოდით, გვჭირდებითო. ანზორ მებონიას სახლის მიმართულებით წავედით. გზაში ერთ ადგილას გააჩერა მანქანა და გვითხრა: თქვენ აქ დარჩითო. თავად კი ფეხით წავიდა. ვახტანგ ზარანდია ჩვენთან საათნახევრის შემდეგ დაბრუნდა. სოფ. ჯაღრიდან გადმოსასვლელ ადგილას გააჩერა მანქანა. დავინახეთ, ექვსი შეიარაღებული პირი, რომლებიც ჩვენკენ მოემართებოდნენ, მათგან ერთ–ერთი ვიცანი, რობინზონ მარგველანი იყო. შემდეგ გუგუშვილიც ვიცანი. ვახტანგ ზარანდიამ გვითხრა, თქვენ ფეხით წადითო. ერთ-ერთმა წვერებიანმა კაცმა თქვა: რატომ, ესენიც დაეტევიანო. ეს იყო პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. მას ჩვენი წაყვანა უნდოდა, მაგრამ ვახო ზარანდიამ უარი განაცხადა. პრეზიდენტს სამხედრო ქუდი ეხურა, ნაბადი არ ჰქონია, რაღაც მოსასხამში იყო. რაც შეეხება თარიღს, 23 დეკემბერი შემოდიოდა. ფიზიკურად პრეზიდენტი კარგად გამოიყურებოდა და ავადმყოფობის არაფერი ეტყობოდა. ნახევარმთვარე იყო 29 თუ 30 ნოემბერი იქნებოდა, ვახოსთან სახლში მოვიდა მირიან ქარდავა და უთხრა, რომ მას გაყოლოდა, მაგრამ ვახო ზარანდია არ გაჰყვა. ვახტანგ ზარანდიას მაგიერ მე მომიწია ფეხით წასვლა სოფ. მუჟავაში. იქ “პუშკინა” (ზურა შონია) დაგვხვდა. “პუშკინა” გაგვიმასპინძლდა და ღამე იქ გავათიეთ. მეორე დილით ბადრი ზარანდია დავინახე. ბადრი ზარანდია მოვიდა ჩემთან და მითხრა: წადი ახლა და შენ ვახოს უთხარი, შენ ვინც გინდა, ის კაცი აქ არის და აქ ხარ საჭიროო. მე წა-

[347] არსებითია — ეს ხდება ზ.გამსახურდიას თვითმკვლელობიდან ლამის ერთი კვირის შემდეგ. კომისიას რომ ჰკითხო, ისეთი „ჩვენებები“ შეაგროვეს, რომ ზ.გამსახურდიას სიკვდილის ამბავი თითქოს 28–30 დეკემბერს უკვე ცნობილი იყო.

მოვედი, იქ მეტი არავის არაფერი უთქვამს. მუჟავის ბანაკში მარტო ბესარიონ გუგუშვილი დავინახე. რაფო კვარაცხელია და მე წამოვედით ჩხოროწყუში, სადაც გუჯუჯი ებრალიძე და გულიკო ტიბუა იყვნენ. მათ შემდეგ შემოუერთდათ რომეო კუჭუხიძე და ვახო ზარანდია. შემდეგ ისინი ჩემგან განმარტოვდნენ და რაღაც ისაუბრეს. ჩემთვის არაფერი არ უთქვამთ, თუ რა ხდებოდა, მხოლოდ გუჯუჯიმ თქვა, მე აწი მოხუცი ვარ და არ შემიძლია, ყველაფერს ვახოს გადავაბარებო.

ვახო ზარანდია მეორე დღეს სოფელში მხვდება, მას თავის მანქანაში რაცია ედგა. პრეზიდენტის ხსენება საერთოდ არ ყოფილა. ჯიხაშკარიდან, ჩვენი სოფლიდან, იყო აფხაზეთის უშიშროების თანამშრომელი გია მხეიძე. მე მას ვიცნობდი, მაგრამ მასთან ახლოს არ ვყოფილვარ. 10 თუ 12 ნოემბერი იქნებოდა, ვახო ზარანდიამ მე წამიყვანა კაპო ტიბუას ოჯახში, იმ ღამეს იქ ვიყავი. გუჯუჯი ებრალიძეც იქ დამხვდა. მეორე დილით მოვიდნენ გულიკო ტიბუა, გია მხეიძე, გუჯუჯი ებრალიძის ბიჭი. გია მხეიძემ განგვიცხადა, ჩვენთან დადექითო. იარაღი ჩაგვაბარეთ და ხელს არავის არ მოგკიდებთო. გია მხეიძე უშიშროების თანამშრომელი იყო და მისი ნათქვამი "ჩემს გვერდზე დადექითო", რას ნიშნავდა? მან განმარტა, ჩემს ხალხს შემოვიყვან და მათ გვერდით იყავითო. ჩემგან უარი მიიღო.

გია მხეიძეს რა მიზანი ჰქონდა, ახლაც არ ვიცი. გია მხეიძის მამა ცხოვრობს ჯონსონ კვარაცხელიადან 150 მეტრის მოცილებით. ვახოს არ უთქვამს ჩემთვის, პრეზიდენტი სად მიიყვანა და როგორ დააბინავა.

რამდენიმე დღეში ვახო დააკავეს. მე მივედი გუჯუჯი ებრალიძის სახლში და მინდოდა მეთქვა ეს ამბავი, მაგრამ გუჯუჯი შინ არ დამხვდა. მითხრეს, რომ დილით გია მხეიძემ მოაკითხა და ზუგდიდში წავიდნენ. ჯონსონ კვარაცხელიას ოჯახს მე არ ვიცნობდი.

30 დეკემბერს, მახსოვს, რომ შევიტყვე პრეზიდენტის გარდაცვალების ამბავი. დილის ათი საათი იქნებოდა. ეს ამბავი გულიკო ტიბუამ მითხრა, პრეზიდენტმა თავი მოიკლაო. მას არ უთქვამს, ეს ინფორმაცია საიდან ჰქონდა. ინფორმაციის წყაროდ, მგონი, ჩუხუა დაასახელა. მე ვმონაწილეობდი პრეზიდენტის ჯონსონ კვარაცხელიას სახლიდან ვალიკო ზარანდიას სახლში გადასვენების პროცესში, ოცამდე კაცი ვიყავით. პრეზიდენტი 8 იანვარს, გამთენიისას, გადავასვენეთ. კეკენაძე და მარგველანი იყვნენ იქ. ეგენი ნანახი მყავდა პირველ-ორ რიცხვში ჩვენთან, სოფელში, ყოფნის დროს, ტერიტორიაზე ვხედავდი. 2–ში, თუ 3–ში, რობინზონ მარგველანი ვახო ზარანდიას სახლში ვნახე.

გია მხეიძემ იცოდა პრეზიდენტის საფლავი ჯონსონ კვარაცხელიას სახლში რომ იყო, თუმცა მის დასაფლავებას იქ არ დასწრებია.

სანამ პრეზიდენტის გარდაცვალების ამბავს შევიტყობდი, გულიკო ტიბუა და სხვები იძახოდნენ, პრეზიდენტი ავად არისო. მე ამ ინფორმაციას არ დავეთანხმე, რადგან პირადად ჯაღრაში მყავდა ნანახი. ამოსვენების დროს დავაკვირდი პრეზიდენტის სახეს და დავაფიქსირე, რომ ნატყვიარი იყო მარჯვენა მხარეს შემავალი, ხოლო გამოსული მარცხენა დაბლითა მხარეს. გამომავალ ჭრილობას როდესაც შევეხე, ძვლები ხრჭიალებდა."

კახა მიქაიას გამოკითხვიდან [348]:

(ქ.თბილისი, 2010 წლის 13 დეკემბერი)

ეროვნული მოძრაობის აქტივისტი ზუგდიდში 1991 - 1993 წლებში

"ფილმის „დინების საწინააღმდეგოდ" გადაღების დროს საკმაოდ დეტალურად დავამუშავეთ ეს საკითხი. ჩუხუებთან ერთად, ღურწკაიების ოჯახში აღინიშნებოდა 30 დეკემბერს პრეზიდენტის გარდაცვალების დღე. აქ ვიყავით ჩუხუები, ღურწკაიები და ჩემი მეგობრები. ჩემი ინტერესი იყო, თუ რა მოხდა, ისინი იწყებდნენ თხრობას, თუ როგორ მოიკლა თავი პრეზიდენტმა და ამ ყველაფრის ინსცენირებას.

ჩემთვის პრეზიდენტის თვითმკვლელობის ინსცენირება აღუწერიათ, როგორც ანატოლი, ისე ზაურ ჩუხუას. ასეთი ინსცენირებების დროს ძმებ ჩუხუებთან ერთად იყო კარლო ღურწკაიაც. ერთ-ერთი ჩუხუა თითით აჩვენებდა იარაღის მიმართულებას ზემოდან-ქვე-

---

[348] ამ „მოწმის" მონათხრობი მთლიანად სხვა ადამიანების მონაყოლების გადამღერებაა, და ასეთს კოკოს კომისია დასკვნით დოკუმენტში დაფიქსირების ღირსად თვლის.

მოთ - მარჯვნიდან მარცხნივ. მათი განმარტებით, პრეზიდენტმა ამ მიმართულებით იმიტომ ისროლა, რომ გამომავალი ტყვია ბესო გუგუშვილს არ მოხვედროდა. გასროლილ ტყვიის გულაზე აცხადებდნენ, რომ დაიკარგა. ამბობდნენ, რომ პრეზიდენტმა თვითმკვლელობის შემდეგ იარაღი მუცელზე დაიდო. მათ ეს თავად თუმცა არ უნახავთ, მაგრამ სჯეროდათ გვანცელაძის, გუგუშვილისა და მარგველანის მონათხრობისა. ამის შემდეგ იწყებდნენ ტირილსა და მოთქმას. ჩუხუები აგრესიას გამოხატავდნენ ჯონსონ კვარაცხელიას მიმართ, რომელიც ზვიად გამსახურდიას წინა მასპინძელი იყო.

კარლო ღურწკაია ასევე იხსენებდა ზვიად გამსახურდიასთან პირველ შეხვედრას სოფ. ძველ ხიბულაში. იგი გადმოვიდა მანქანიდან ნაბდით, ფაფახითა და ხელკეტით. შეკითხვა იყო: სითბო ან ცეცხლი თუ გაქვთო? პირველად დანახვისას იცნო თუ არა პრეზიდენტი ღურწკაიამ, იგი სხვადასხვა დროს პასუხობდა ხან „კის“, ხან „არას“. ღურწკაიას მონათხრობით, იგი რასაც ჰყვება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სიზმარში ნახა დიდი ხნის წინ. დაახლოებით 1998 წლიდან ჩაეყარა საფუძველი კარლო ღურწკაიას ოჯახში ზვიად გამსახურდიას სულის მოხსენიების დღის აღნიშვნას.

ავთო იოსელიანს ჩემთვის აქვს ნათქვამი, რომ ზვიად გამსახურდიას გარემოცვის გარემოცვიდან იყვნენ ჩემი აგენტებიო. მათი მონათხრობის სიმართლესთან დაკავშირებით ეჭვი ყოველთვის მქონდა. ეს ეჭვი უფრო გაღრმავდა ფილმის „დინების საწინააღმდეგოდ“ გადაღების შემდეგ[349].

ზარანდია „ძველი ბიჭი“ იყო, შემდეგ პოლიციაში უნდოდა მოღვაწეობა, შემდეგ კი აღმოჩნდა ეროვნულ მოძრაობაში. მას ლობირებდა ყოველთვის მერაბ ჩუხუა. ლუდმილა ღურწკაია ამბობდა, რომ გაიგონა რაღაც ხმა, რის შემდეგაც, მაშინვე ავიდა ზედა სართულზე, ხან კი აფიქსირებდა, რომ გაიგონა რაღაც ხმა, მაგრამ არ ასულა მაღლა. მათ არ უნდოდათ, რომ მენახა წინა მასპინძელი ჯონსონ კვარაცხელია. ფაცაცია იყო შუამავალი ზვიადისტებსა და შევარდნაძეს შორის. ლოთი სვამდა მის სადღეგრძელოს.

მერაბ ჩუხუას ეკითხებოდა დამოუკიდებელი ჟურნალისტი გიგლა გობეჩია: ბიძაშენმა და მამაშენმა რატომ არ მოიყვანეს პრეზიდენტის დაცვის დატოვებული ბიჭები, რომლებიც მანქანაში ადგილის არქონის გამო დატოვესო. მან უპასუხა, პიკეტი იყო და ამიტომ ვერ შეძლესო. ამ დროს თურმე ზაურ ჩუხუა ზუგდიდში მიდის წამლის ჩამოსატანად.

აღნიშნული იმით ახსნეს, რომ იმ დროს უფრო მნიშვნელოვანი იყო პრეზიდენტისთვის წამლის მოტანა, ვიდრე დაცვის ბიჭების გადმოყვანა.”

პრეზიდენტის პირადი დაცვის წევრის ბადრი გოგელაშვილის გამოკითხვიდან [350]:

(ქ.თბილისი, 2010 წლის 21 დეკემბერი)

“ჩემი ინფორმაციით, რომელიც მივიღე პრეზიდენტის დაცვის უფროსის რობინზონ მარგველანისგან, პრეზიდენტის სამოსთან დაკავშირებით, მან პირად საუბარში განმიცხადა, რომ პრეზიდენტის ტანსაცმელი ჩამოტანილი ჰქონდა ქალაქ ბათუმში ქალბატონ ლამარა კერვალიშვილთან. იყო თუ არა აღნიშნულ ტანსაცმელზე სისხლის ლაქები ჩემთვის უცნობია. შემდეგ მე შევიტყვე ისევ რობინზონ მარგველანისგან, რომ ეს ტანსაცმელი მან ჩამოიტანა თბილისში პრეზიდენტის ოჯახისთვის გადაცემის მიზნით. შემდგომ რობინზონის თხოვნით, მე პირადად დავურეკე პრეზიდენტის ვაჟს ბატონ ცოტნე გამსახურდიას და მოვახსენე, რომ მისთვის მარგველანს სურდა პრეზიდენტის ტანსაცმლის გადაცემა, რომელმაც განაცხადა თანხმობა; მაგრამ ცოტნე გამსახურდიას მოულოდნელად რუსეთში გამგზავრება მოუხდა, რის გამოც მისთვის ტანსაცმლის გადაცემა ვერ მოხერხდა. აღნიშნულ ტანსაცმელს რა ბედი ეწია შემდგომში, ჩემთვის უცნობია.”[351]

---

[349] ნიშანდობლივია, რომ კოკოს ეს გავლენის აგენტი ფუნდამენტურად იკვებება კოკოსვე ფალსიფიცირებული ფილმით ანუ მელიის კუდია, რომელიც მელიას მოწმედ მოჰყავს.

[350] კომისია არასოდეს იწუხებს თავს დაადგინოს ნამდვილად, დოკუმენტურად იყო თუ არა ესა თუ ის გამოკითხული მოწმე ნამდვილად, ფორმალურად „პრეზიდენტის პირადი დაცვის წევრი“, ან თუ იყო რა პერიოდში იყო.

[351] ესეც კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ სიკვდილის მოწმეები შეეცადნენ მაქსიმალურად შეენახათ და შეენარჩუნებინათ გამოძიებისა და ექსპერტიზისათვის საჭირო ნივთები.

თამარ ძნელაძის გამოკითხვიდან:

(ქ.თბილისი, 2010 წლის 28 დეკემბერი)

”1993 წლის 24 სექტემბერს გროზნოდან პრეზიდენტი ჩამობრძანდა ზუგდიდში. პრეზიდენტს ახლდნენ ბადრი გოგელაშვილი, გურამ აბსანძე, სოსო თორია და სხვები. პრეზიდენტთან ერთად ილორში გადავედით 30–31 ოქტომბრის ღამეს, სადაც ხუთი დღე დავყავით. მეგზურობას რობინზონი გვიწევდა. სოფელ ილორში განთავსებული ვიყავით სამ ოჯახში. ჩვენთან ერთად იმყოფებოდა გურამ აბსანძე და ლოთი ქობალიას ოჯახი. ხუთში, თუ 6-ში ღამეს ვიმყოფებოდით სვანეთისკენ მიმავალ გზაზე, ერთ – ერთ სოფელში, მოხუცი ცოლ – ქმრის ოჯახში. აქედან 7–ში დავბრუნდით სამეგრელოს სოფ. ჩქვალერში, სადაც დავსახლდით კარვებში. პრეზიდენტიც იმყოფებოდა კარავში. ამ დროს პრეზიდენტის თანმხლები პირები ვიყავით ჩვენ და პირადი დაცვის წევრები. რობინზონმა თავისი ძმა კლიმენტი მარგველანი და ლერი გირგვლიანი სვანეთში გაუშვა ვერტმფრენის მოსაძებნად, რომ იგი ისევ გროზნოში გადაეყვანათ. აგრეთვე საუბარი იყო პრეზიდენტის სვანეთში გადაყვანაზე, რაზედაც პრეზიდენტმა კატეგორიული უარი განაცხადა. ჩქვალერის ტყეში 7 ნოემბრიდან 22 ნოემბრამდე დავყავით. შემდეგ ჩვენ წამოვედით სახლებში. ჩქვალერში მცხოვრებმა პიროვნებამ ჩამოგვიყვანა ტყიდან და გაგვაცილა სახლებში. ხოლო პრეზიდენტი ჩვენს წამოსვლამდე ორი დღით ადრე წაიყვანეს. **პრეზიდენტს გაყვნენ პირადი დაცვის წევრებიდან ბაჩუკი გვანცელაძე და გოჩა კეკენაძე, მეგზურთან ერთად. მეგზური იყო ზურა ფიფია (წრუწუნა), პრეზიდენტს აგრეთვე ახლდა ზურაბ გუჩუა** [352]. ტყეში ამოდიოდნენ ზურაბ ფიფიას ახლობლები. პრეზიდენტი როდესაც უკვე მუჟავის მიმართულებით იყო წასული, ტყეში – კარვებში ამოვიდა ერთ – ერთი შეიარაღებული დაჯგუფების ხელმძღვანელი - “შოშია”, თავის ჯგუფთან ერთად. რობინზონ მარგველანის დანახვაზე მათ პრეზიდენტი იკითხეს; მაგრამ რობინზონ მარგველანმა რა უპასუხა, არ მახსოვს. “შოშიამ” თავის ხალხთან ერთად აქ ერთი ღამე დაჰყო. მე მხოლოდ ის გავიგე, რომ რობინზონი და პირადი დაცვის წევრები, გვანცელაძის და კეკენაძის გარდა, “შოშიებთან” ერთად წავიდნენ.”

ნანა ზულიაშვილის გამოკითხვიდან:

(ქ.თბილისი, 2010 წლის 29 დეკემბერი)

”არჩილ საჯაია საბურთალოზე ცხოვრობდა, იგი პროფესიით ფილოლოგ–ისტორიკოსი[353] გახლდათ, ახლა 65–66 წლის იქნებოდა, მისი გარდაცვალება ჩემი მეგობრისგან გავიგე. თბილისში ყოფნის დროს, რამდენადაც მე მახსოვს, ტელევიზიაში მუშაობდა, განათლებული და ერუდირებული პიროვნება იყო.[354]

არჩილ საჯაიას კავშირი ჰქონდა ბესარიონ გუგუშვილთან. არჩილ საჯაიას მეგობრობას ბესარიონ გუგუშვილთან დაადასტურებენ: მანანა ზუბიაშვილი, მანანა როსტევანიშვილი და თედო ჯაფარიძე, მაშინდელი და შემდგომი პერიოდების საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამდებობის პირები.

არჩილ საჯაია ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ ხშირად დადიოდა გროზნოში. ჩემი მასთან ურთიერთობა შედგა ჩემი მეზობლების – ზუბიაშვილების ოჯახში.

გოგებაშვილის ქუჩაზე, ჩემი საცხოვრებელი სახლის წინ, შევხვდი არჩილ საჯაიას. ეს გახლდათ 1994 წლის იანვრის ბოლოს თებერვლის დასაწყისში, როდესაც საქართველოს პირველი პრეზიდენტი უკვე გარდაცვლილი იყო. ბატონმა არჩილმა მიამბო თავისი და ბესარიონ გუგუშვილის საუბრის შესახებ გროზნოში, რომელიც შედგა ბესარიონის სამეგრელოდან ჩეჩნეთში დაბრუნებიდან მალევე. მან აღნიშნა, რომ გუგუშვილი გაოგნებულ მდგომარეობაში დახვდა. შეკითხვაზე, თუ როგორ დაიღუპა პრეზიდენტი, გუგუშვილმა მას მოუთხრო შემდეგი:

---

[352] ნამდვილად ასე იყო და ეს აბათილებს მონაჭორს, თითქოს ზ.გამსახურდია მითითებული რამდენიმე დღე „დაცვის გარეშე იყო“.

[353] მტკნარი ტყუილი, არჩილი სწავლობდა ფსიქოლოგიას და მერე ფილოსოფიას.

[354] აბსოლუტურად არასწორი და ყალბი მონათხრობი — მთლიანად, არც ერთ სწორ ფაქტს არ შეიცავს.

როდესაც ბესარიონ გუგუშვილი და პრეზიდენტი თანმხლებ პირებთან ერთად მანქანით გადაადგილდებოდნენ, საღამო ხანს ისინი გაჩერებული იქნენ პიკეტზე შავნიღბიანთა შეიარაღებული რაზმის მიერ. გუგუშვილის თქმით, იგი ძალიან ზრდილობიანად გადმოიყვანეს მანქანიდან, აღნიშნული პირები ქართულ ენაზე არ საუბრობდნენ, მათ გუგუშვილს თვალები აუხვიეს, სხვა მანქანაში გადასვეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს, ბოლოს ის მიიყვანეს მცირე ზომის ხის სახლში, სადაც დაახლოებით ორი დღე დაჰყო. სახლს შეიარაღებული პირები იცავდნენ და არ აძლევდნენ მას სახლის დატოვების საშუალებას, კონტაქტში არ შემოდიოდნენ, თუმცა პურსა და წყალს აწვდიდნენ. დაახლოებით ორი დღის შემდეგ გუგუშვილი წაიყვანეს სხვა სახლში, სადაც პრეზიდენტი და მისი დაცვის წევრები იმყოფებოდნენ. გუგუშვილის თქმით, მას პრეზიდენტის ცნობა ძალიან გაუჭირდა, იმდენად შეცვლილი დახვდა პრეზიდენტი. ეს პიროვნება თან ზვიადი იყო, თან არა, იგი ხმას აღარ იღებდა, გადაადგილება თითქმის აღარ შეეძლო, საჭმელს აღარ იღებდა, სვამდა მხოლოდ წყალს. გუგუშვილის მისვლიდან მეორე ღამეს მან თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. მე ვკითხე არჩილ საჯაიას, როგორ მოახერხა გუგუშვილმა სამეგრელოს დატოვება და გროზნოში ჩამოსვლა. გუგუშვილმა საჯაიას უთხრა, რომ გზაში მას არავინ შეხვედრია და არავის გაუჩერებია, იგი დაუბრკოლებლად ჩავიდა აჭარაში, საიდანაც შემდეგ ჩავიდა გროზნოში.[355]"

ლამარა კერვალიშვილის გამოკითხვიდან:

(ქ.თბილისი, 2010 წლის 17 იანვარი)

(იმდროინდელი ბათუმის სამკვერვალო ფაბრიკის დირექტორის მოადგილე, ეროვნული მოძრაობის აქტივისტი).

"პრეზიდენტის გროზნოში დაკრძალვიდან სამი დღის შემდეგ ბათუმში ჩამოვიდა რობინზონ მარგველანი. ეს იყო თებერვლის ბოლოს, მარტის პირველ რიცხვებში. რობინზონ მარგველანმა მთხოვა, შემეგროვებინა პრეზიდენტის ტანსაცმელი სამეგრელოს რეგიონში.

ბათუმიდან ჩავედი ზუგდიდში, ხოლო შემდეგ ზუგდიდიდან - ჯიხაშკარში გრამიტონ ზარანდიას ოჯახში, რომელსაც შეგროვებული ჰქონდა პრეზიდენტის სამოსი. მას ყველაფერი ჰქონდა, გარდა ნაბდისა და დიდი ხელჯოხისა. ტანსაცმელი: 1. რუხი ფერის პალტო; 2. სამხედრო დათბუნული "ბუშლატი"; 3. 2 კოსტუმი (შარვალი და პიჯაკი) ერთი – რუხი, მეორე – ყავისფერი, 4. თეთრი პატარა ზოლებიანი პერანგი; 5. ღია ნაცრისფერი ჟაკეტი; 6. ორი სპორტული შარვალი; 7. სვანური ქუდი და ყურებიანი შავი "უშანკა" სამხედრო ქუდი; 8. ნაქსოვი ქუდი; 9. თბილი "ბათინკები" ნაცვამ მდგომარეობაში; 10. რეზინის ჩექმები; 11. საწვიმარი, რომელზედაც გუგუშვილმა განაცხადა, რომ ეს მას ეკუთვნოდა; 12. ხუთი ცალი წინდა, 13. ქვედა და ზედა საცვლები, 5–6 წყვილი; 14. ერთი საკანცელარიო ჟურნალი, რომელშიც პრეზიდენტს ჩანაწერები ჰქონდა გაკეთებული, 15. სუფთა ბლოკნოტი; 16. ნესესერი, 17. ჩემთვის უცნობი მალამო (საცხი) ტუბებში, ბამბა და დოლბანდი; 18. წითელ საქაღალდეში ჩაწყობილი ხატები, ჯვრები და პატარა ქვის ნატეხი; 19. საფულე, რომელშიც პატარა ბავშვის სურათი იდო; 20. აგრეთვე იყო მოყავისფრო ზოლებიანი ნაქსოვი ჯემპრი, რომელზედაც აღინიშნებოდა დიდი ზომის სისხლის ლაქა კისრის არეში და მარცხენა სახელოზე პატარა ზომის სისხლის ლაქა, ასევე ნაცრისფერ შარვალზე, უკან სათავესთან, აღენიშნებოდა პატარა სისხლის ლაქა[356].

ეს სამოსი გრამიტონ ზარანდიამ გადმომცა 1994 წლის თებერვლის ბოლოს, მარტის დასაწყისში, ხოლო მე ჩავაბარე რობინზონ მარგველანს, რომელმაც მითხრა, რომ იგი

---

355 აბსურდული ფანტაზიების ფრიად სპეციფიური სახე — ზვიად გამსახურდიას ევრაზიის ერთ–ერთ მონასტერში ყოფნის მსგავსი. მაგრამ ფრიად ნიშანდობლივი კოკოს კომისიის მასალის შერჩევის სტილისათვის — რაც უფრო აბსურდულია, მით უფრო სასარგებლოა...

356 ფრიად თვალნათელი დადასტურება იმისა, რომ კომისიის დასკვნის მტკიცება თითქოს „**ექსპერტიზისთვის საჭირო ყველა ნივთიერი მტკიცებულება**" ვიღაცამ გაანადგურა მტკნარი სიცრუეა. სიკვდილის მოწმეებმა და მათი დამხმარეებმა (დევნისა და ძალვის ვითარებაში) შეინარჩუნეს, გადაარჩინეს ზ.გამსახურდიას იარაღის, სამოსისა და პირადი ნივთების მაქსიმალურად შესაძლებელი რაოდენობა.

ელაპარაკა ჩემთვის უცნობ მოძღვარს, რომელსაც ქალბატონი მანანასთვის უნდა მიეტანა.

ჩემი ინფორმაციით, **პრეზიდენტის ზემო აღნიშნული სამოსი ამჟამად აქვს ქალბატონ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას.**

მე რობინზონ მარგველანთან საუბრის დროს აგრეთვე დავინტერესდი, თუ სად იყო ის ტანსაცმელი, რომელშიც, მათი თქმით, პრეზიდენტმა თავი მოიკლა. მან მითხრა, ჩვენ ეს ტანსაცმელი, პრეზიდენტს სასვენებელში ჩავატანეთო.”

ნორა ნიკოლაძე-ლომსიანიძის გამოკითხვიდან:

(ქ.თბილისი, 2011 წლის 25 იანვარი)

”პრეზიდენტის **მკვლელობამდე**[357] დაახლოებით ერთი თვის წინ, ნოემბრის მეორე ნახევარში (ზუსტად რიცხვი არ მახსოვს), ქუთაისში ჩემს სახლთან ახლოს შემხვდა ბაჩუკი გვანცელაძის მეუღლე – ირინე კვინიხიძე. შევეკითხე, იცოდა თუ არა რამე თავისი მეუღლის ან პრეზიდენტის შესახებ, სად იმყოფებოდნენ ან როგორ მდგომარეობაში იყვნენ. ირინემ მიპასუხა, რომ ძალიან ცუდად არიან, ყველა ფეხის გადადგმაზე შევარდნაძის ხალხი დასდევთ, ტყე-ტყე დაეხეტებიან, ხან სად აფარებენ თავს და ხან სად, **პრეზიდენტი თითქმის სიკვდილის პირას არის, ფეხები დასიებული და დაწყლულებული აქვს, არაფერს ჭამს და სვამს, ასე რომ მისი დღეები დათვლილიაო.** ჩემს შეკითხვაზე, თუ საიდან იცოდა ყოველივე ეს, მან მიპასუხა, ბაჩუკი გუშინწინ ღამით ჩამოვიდა და წუხელ ღამით გაბრუნდაო. თან დაამატა: ყველას ზაფხულის ტანსაცმელი შემორჩათ, სიცივით ითოშებიან და ბაჩუკი იმისთვის ჩამოვიდა, რომ ყველასთვის ზამთრის ტანსაცმელი წაეღოო. თუკი ყოველ ნაბიჯზე დასდევენ[358], როგორ მოახერხა ქუთაისში ჩამოსვლა, ძალიან გაურისკავს–მეთქი, ვუთხარი მე. ღამ–ღამობით ახერხებსო[359], მიპასუხა ირინემ. კიდევ მინდოდა რაღაცები მეკითხა, მაგრამ მან ბოდიში მომიხადა, არ მცალია, ბავშვი მყავს ცეკვის წრიდან გამოსაყვანიო.”

22.07. წინააღმდეგობის მოძრაობის წევრის, ქალაქ ზუგდიდის კომენდანტის ბადრი ზარანდიას **ჩანაწერებიდან**[360]:

1992 წლის თებერვალი, აბაშა.

მე, ჯემალ ქობალიამ, ხარებავამ... სულ ორმოცმა მებრძოლმა გავმართეთ ბრძოლები, რის შედეგადაც ხიდი აბაშაში არ იქნა აფეთქებული. ჯემალ ქობალიამ არ მომცა საშუალება, რუსების განიარაღებისა. ამავე დროს ვალტერ შურღაია ხვდება ჯაბა იოსელიანს ტარიელ ქანთარიას ძმის ხელშეწყობით. ტარიელ ქანთარია ოთარ ფაცაციას მარჯვენა ხელია. ქალაქ ზუგდიდში დაყაჩაღებული იქნა სომხეთის ყველა მანქანა. გია უჩავამ ზუგდიდში მოწინააღმდეგეზე შეტევის შესაძლებლობა არ მოგვცა.

ტარიელ ქანთარია ოთარ ფაცაციას მარჯვენა ხელია.

ზუგდიდში ამ დროს ზუგდიდის მხედრიონიც იდგა, ალეკო ქარდავას მეთაურობით, რომელსაც თხუთმეტამდე შეიარაღებული მებრძოლი ჰყავდა.

1992 წლის მარტი (პარტიზანული მოძრაობა).

ტყვია–წამლით გვამარაგებს გაბუნია, ზუგდიდის უშიშროების უფროსის ბიძაშვილი. მან ფაიფურის დასახლებაში ჩვენთან მოიტანა ტყვიამფრქვევი, ტყვიები და შემდეგ ჩვენ გაგვინაწილა 24 ტომარა. ზუგდიდის აღებაში მონაწილეობას ვღებულობდით 18 კაცი. მილიცია გაფრთ-

---

357 ნიშანდობლივია რომ ნახსენებია „მკვლელობა“, თითქოს ეს დამტკიცებული ფაქტი იყოს.

358 და, განა საიდან ან რითი დასტურდება რომ „ყოველ ნაბიჯზე დასდევენ“?

359 ფანტასტიკები... არაერთხელ, ერთი ღამის განმავლობაში (ფეხით) სამეგრელოდან ქუთაისში ჩასვლა–ჩამოსვლა, და ასეთ რამეს კომისია ყოველგვარი დაზუსტებისა და გადამოწმების გარეშე აქვეყნებს.

360 სხვაგან ბ.ზარანდიას მისი პატიმრობისას მოგონებებზე აგებული „**ჩანაწერები**“ კომისიის მიერ მის „**დღიურებად**“ მოიხსენება – რათა ამ დოკუმენტის ფაქტოგრაფიული ფასეულობა გააზვიადონ.

ხილებული არ იყო, რის შედეგადაც დაიღუპნენ თანამშრომლები. ზუგდიდის კომბინატის სასტუმრო დაწვეს გია უჩავამ, ზაზა მჭედლიძემ და ბახიამ. ბრძოლაში მონაწილეობდნენ ძმები ზარქუები, მიქავები, ხარებავა, მესხია, ოთხოზორია და სხვ. ბრძოლის ასპარეზზე ნელ–ნელა ჩნდება სხვადასხვა დაჯგუფება. ჯემალ ქობალიას, ზაზა მჭედლიძესა და ბახიას შორის შეჯახება მოხდა, სრული განუკითხაობაა. მარტის ბოლოს ციხიდან უშვებენ გია ყარყარაშვილს და ზურა თელადეს. მიშა დადიანმა მათ ძმაკაცობა შეჰფიცა ეკლესიაში. თბილისელების დაჯგუფება, რომელსაც გია უჩავა ხელმძღვანელობს, მხოლოდ ყაჩაღობით არის გართული. მარტის ბოლო რიცხვებში შევდივართ ფოთში. ჯვარელ ცეზარ ჯიბლაძეზე პრეზიდენტი იტყვის: - ეს ყაჩაღი დაცვაში რისთვის გინდათო. ჯიბლაძემ გაყიდა მთაში პრეზიდენტის ყოფნის ამბავი. კერძოდ, სოფ. ჩქვალერში, როცა პრეზიდენტი იმყოფებოდა, იგი პრეზიდენტის დაცვის "ტოიოტას" ფირმის მანქანით დადიოდა ჯვარში და სიგარეტებს იღებდა, ხომ იცით, რისთვისაც მინდაო. ჩვენ მაშინ უკვე გახიზნულები ვიყავით.

ზუგდიდში ჩამოყალიბებულია: ჯემალ ქობალიას, სლავიკ მინჯიას, ანზორ ჩხეიძისა და იურა ბაძაღუას დაჯგუფებები, მათთან ერთად მოქმედებენ ჯვარელებიც. ამ პერიოდში ყალიბდება წალენჯიხისა და ჯიხას დაჯგუფებები. ყალიბდება "ფიფას" ჯგუფი. ჩვენთან დაიჭრება ენვერ ქობალია. შემდეგ კლავენ გაურკვეველ ავარიაში. მკვდარი რატომღაც პირველად ბეჟან წურწუმიამ იპოვა. ჩვენი დაჯგუფება იმყოფება კომბინატში, ჯუტი ხუბუტიას სახლში. ხუბუტია კონტაქტშია ოთარ ბულიასთან. ოთარ ფაცაცია აძლევს ჯუტის ბენზინს გასაყიდად. ზუგდიდში იმყოფება სვანთა საძმო, რომელსაც რეზო გვირგვლიანი ხელმძღვანელობს. რობინზონმა იგი ზუგდიდიდან გააგდო, თუ რისთვის ახლაც უცნობია. ლოთი ისევ დამალულია. ამ პერიოდში გორა და ვალტერ შურღაია დაჭერილები არიან ტელევიზიის აღებისთვის. ჩვენ მივდივართ, მაგრამ რიკოთზე გვხვდება ძლიერი დაჯგუფება. ზუგდიდში ჩამოდის ურიდია მერაბი, რომელსაც ოთარ ფაცაციას კაბინეტში ხვდება სლავიკა. იქმნება კიდევ ერთი ახალი დაჯგუფება შოშია ხაზალიას მეთაურობით, სოფ. ორსანტიაში. ქალაქში კვლავ განუკითხაობაა, ზუგდიდში ჩამოდის გრიშა შონია. იჭერენ თენგიზ ბულიას. ჯემალ ქობალია ითხოვს "ომონის" შექმნას წალენჯიხის ოპერაციის დასაწყებად.

1992 წელი, წალენჯიხა, ივლისი.

ბრძოლაში მონაწილეობენ: რომეო კუჭუხიძე, ბადრი ზარანდია, სლავიკა ინჯია და ჯემალ ქობალია, ბრძოლის ველიდან გაიქცა ჯამბულ ბოკუჩავა, დაჭრილის გაყვანის მიზეზით. წალენჯიხის ბრძოლის შემდეგ გადავდიოვართ გალში. წალენჯიხის ბრძოლის დროს პოზიციები მოხსნა ოთარ უბილავამ, რის შემდეგაც ალყა შემოგვარტყეს და დაიღუპა ჩვენი თხუთმეტი კაცი. მარტვილის ზონას კურირებდა ვალერი გაბელია. ჯამბულ ბოკუჩავამ შექმნა სოხუმის კომენდანტურა. აგვისტოში ავარიაში ვხვდებით. ამის შემდეგ ჩვენთან მოვიდა ზვიად ლელაძე და გვაუწყა, რომ ზუგდიდში ჩამოსული იყო რომან გვენცაძე. მე, ლელაძის მეშვეობით, ლოთიმ მითხრა, რომ ჩვენ უნდა აგვეყვანა გვენცაძე და მისი თანმხლები პირები. აყვანის შემდეგ რატომღაც ისინი წაიყვანეს გალში, კერძოდ, კოხორაში. გორა ბახიამ ოთარ ფაცაციას მოსთხოვა ათი მილიონი. ეს ყველაფერი ჯუტისთვის გახდა ცნობილი. სლავიკამაც მას დაუჭირა მხარი, რათა ოთარ ფაცაციასთვის არ წაერთმიათ ფული. მეორე დღეს დაიწყო ომი აფხაზეთში.

გაურკვეველ ვითარებაში გაიქცა ალექსანდრე კავსაძე, რომელიც ოთარ უბილავამ და იური ბაძაღუამ წაიყვანეს. რომან გვენცაძის გამოსახსნელად ჩაერთვნენ კანონიერი ქურდები პაატა ჩლაიძე, ხაშურელი ქურდი და ბუია, ასევე სენაკელი ქურდი. მათ რომეო კუჭუხიძესთან ჰქონდათ მოლაპარაკება და რომეომ ითამაშა მათ გაშვებაში მთავარი როლი. არადა, მათი დაჭერა ლოთის პრეზიდენტისგან არ ჰქონია დავალებული. ამის შემდეგ ჯუმბერ მაქაცარია რატომღაც ჩვენს ხალხს ბათუმში უგვარებს ავტომატების საკითხს, გაურკვეველია, ბათუმში ვინ იყო ჩვენი ხალხი.

მინისტრების აყვანის დროს საქმის კურსში არ უნდა ყოფილიყო ვალტერ შურღაია, ეს ლოთის ნათქვამი იყო; მაგრამ მათი აყვანის დღეს ვალტერი იქ აღმოჩნდა, სადაც ვცემეთ. მეორე დღეს კი ვალტერი მიტინგზე გამოვიდა, სადაც მე, ქოქო ვაჩაბერიძემ და სლავიკამ მიტინგი დავურბიეთ, რის შემდეგაც ვალტერ შურღაია ზუგდიდიდან გავაძევეთ. ვალტერის ზუგდიდიდან გაძევების შემდეგ არენაზე უკვე სხვადასხვა პოლიტიკოსები გამოდიან. გორა ოთხოზორია იცავს პურკომბინატს ოთარ ფაცაციას თხოვნით. ზუგდიდში ჩამოდის პრეზიდენტის დაცვის უფროსი რობინზონ მარგველანი, რომელიც ჩემთან ერთად ქმნის კოლხურ ლაშქარს. ჩვენ ვიფიცებით ხატზე, მაგრამ რობინზონს არც ხატის სჯერა და არც ჯვრის. ის ზეგავლენას ახდენს სვანებზე და მათ საქმიანობაზე. რობინზონსა და ოთარ უბილავას შორის ხდება დაპირისპირება, რობინზონის წინააღმდეგ გამოდის რომეო და შვარცი. ეს ამბავი ხდება ზუგდიდის კომენდანტურაში. ამის შემდეგ რობინზონი იღებს გროზნოდან წერილს, სადაც ოთარ უბილავა აგინებს ლოთი ქობალიას, რის გამოც ოთარს აგდებენ გვარდიის სამმართველოდან. რობინზონის დაცვის წევრებმა ისევ მთავარი როლი ითამაშეს. ქოქო ვაჩიბერიძე გამოდის სოსო თო-

რიას წინააღმდეგ, რომელმაც იარაღი არ აყიდინა გროზნოში. ასეთ პერიოდში რომეო კუჭუხიძეს ტონობით ჩაი გააქვს წალენჯიხის ფაბრიკიდან. მერაბ ჩუხუა ამ დროს სასწრაფოდ გამოდის სცენაზე ვალერი გაბელიასთან და თამაზ ჟორჟოლიანთან ერთად. ერთი მოითხოვს საქმის განჭვრეტას, მეორეს კი ლოთის ღალატის ტოლფასობას უმტკიცებენ. გამოვდივარ მიტინგზე და ვამბობ, რომ აფხაზეთს უჭირს და იქ არის საომარი. პრეზიდენტთან უშუალო კავშირი არ გვაქვს.

აფხაზეთში ომის მიმდინარეობის დროს გაურკვეველია თუ ვინ და სად იბრძვის. ერთმანეთს ეჯახებიან ჯამბული და რომეო. რის შემდეგაც რომეო გამოჰყავთ თამაშიდან. დაზვერვის უფროსი უნდა იყოს ოთარ უბილავა, რის გამოც დაეჯახნენ ისინი ერთმანეთს. გაურკვეველ ვითარებაში ხდება სენაკისა და სხვადასხვა ბატალიონის ჩამოყალიბება. აღსანიშნავია ერთი მომენტი, ჩვენი ერთ–ერთი წევრი ბეჟან კიკალეიშვილი კლავს სრულიად უდანაშაულო პიროვნებას, რომელიც დაიჭირა რომეო კუჭუხიძემ და გადასცა ლოთის. მეორე დღეს კი ადგილობრივი მაფია გვიპირისპირდება. აფხაზეთის ომის პერიოდში აღსანიშნავია, რომ ჯემალ ქობალია აფხაზეთში იძულებით იქნა გაშვებული, ვინაიდან ლოთიმ ის მოღალატედ გამოაცხადა. მისი თქმით, სლავიკ მინჯია და კიდევ რამდენიმე კაცის მკვლელობა მის დაგეგმილად გამოცხადდა. ჯემალის აფხაზეთში წასვლის შემდეგ იგი გვიჩვენებს, თუ როგორ მიირთმევდა საჭმელს ჯაბა იოსელიანთან ერთად. ამით ჯემალის კარიერა დამთავრდა.

აფხაზეთის ომის მსვლელობის პერიოდში ორჯერ იყო ისეთი შემთხვევა, რომ შეიძლებოდა სისხლი დაღვრილიყო. ერთ–ერთი მათგანი იყო ჯაბას ზუგდიდიდან გატაცების საკითხი, ხოლო მეორე, სოხუმიდან მძიმე ტექნიკის გამოყვანის საკითხი. ორივე ასეთ რთულ სიტუაციაში ლოთი რატომღაც ასლანთან აღმოჩნდა სტუმრად. არადა შესაძლებელი იყო დიდი სისხლის ღვრა. აფხაზეთიდან მძიმე ტექნიკის გამოყვანის მომენტში ზვიადმა დარეკა ტელეფონით, თუ ლოთი სასწრაფოდ არ გამოჩნდებოდა ზუგდიდში, მას მოუხსნიდა უფლებებს. ზაურ ქობალიამ მიაწოდა პრეზიდენტს ინფორმაცია, რომ ჩემთან ერთად ვალტერი მოქმედებდა აფხაზეთიდან იარაღის გამოტანაში. პრეზიდენტმა გამოაცხადა, თუ ვალტერი თავს გამოიჩენს, მის დეპუტატობის აღდგენაზე ვიფიქრებო. არავითარი მონაწილეობა განიარაღებაში არ მიმიღია. ანზორ ჩხეიძეს ჩემთან ერთად შეხვედრაზე წამოსცდა, რომ ის აბსანძის კაცი იყო. აფხაზეთიდან ჩვენი გამოძევების დღეს მთელ შეიარაღებულ შემადგენლობასთან მოვიდა პრეზიდენტი. პრეზიდენტმა მთაში თქვა, ამათ მე მომატყუეს და ჩამომიყვანესო. აფხაზეთის დაცემის შემდეგ დაიწყო სასწრაფოდ ფოთის აღების დაგეგმვა. გავიგე, გუჯუჯი ებრალიძის ხალხს ჩაის კომბინატი პირწმინდად დაუტაცებიათ. რუსეთთან მოლაპარაკებას აწარმოებდა გურამ ლაკია. ერთხელ მეც დავესწარი, მაგრამ მაშინ სერიოზული არაფერი უთქვამს. ლოთის დაცვის ერთ–ერთ წევრს წამოსცდა, ჩვენ ვიბრძვით სრული ავტონომიისათვის, რად გვინდა თბილისიო. ეს იყო სოსო კაკულია. რუსების შემოტევისას ფოთიდან ბათუმში ერთად გაიქცნენ ვალერი გაბელია და თამაზ ვაშაძე. გზაში შემხვდნენ მერაბ ჩუხუა, გია მამფორია, ნუგზარ მოლოდინაშვილი, რომლებმაც მითხრეს, რომ სოსო ჟღენტი "ჩაჯმულია", ლოთი მოღალატეა და მე უნდა ამეღო ხელში სარდლობა. ფოთიდან მათთან შეხვედრის შემდეგ მე პირდაპირ ზუგდიდში ჩავედი. ზუგდიდში ერთმანეთს ეჯახებოდნენ პოლიტიკური დაჯგუფებები და საშინელი ქაოსი სუფევდა. აქ იყვნენ აფხაზეთიდან გადმოსული დევნილები და ხდებოდა არეულობები, ყოველივე ეს გარედან იმართებოდა. გენერალ გია გულუას გაქცევა ციხიდან ჩემთვის ცნობილი იყო. სწორედ ზემოთ აღნიშნული გარემოებების გამო მასზე ხმა არ ამოვიღე, მიუხედავად იმისა, შემეძლო ეს აღმეკვეთა. მაგრამ უბრალოდ არ შევუშალე ხელი, ვინაიდან იგი პრეზიდენტის დისკრედიტაციისთვის უფრო იყო დაჭერილი. აფხაზების შემოყვანის შემთხვევაში ისინი მოითხოვდნენ გენერლის გადაცემას, რომელიც მთელი აფხაზეთის ბრძოლის დროს იქ იმყოფებოდა.

პრეზიდენტი ამ გაქცევასთან დაკავშირებით გამოვიდა ტელევიზიით და უარყოფითი შეფასება მისცა. ეს უმჯობესი იყო, ვიდრე ის, რომ იგი აფხაზეთის წარმომადგენლებისთვის გადაეცათ, ან მოღალატეებს მისგან ფული აეღოთ. აფხაზებისა და სხვა ეროვნებების შემოყვანა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ისტორიაში შეიძლება არასწორ ნაბიჯად დაიწეროს. არადა მისი სახელის გასატეხად იყო ეს ყველაფერი გაკეთებული. აფხაზების შემოყვანამ გარკვეული უთანხმობა გამოიწვია ეროვნული გვარდიის რიგებში. აფხაზები და სხვა ეროვნების "ბოევიკები" ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, ხელი გამოიღეს ბინძურმა პოლიტიკოსებმა, რის გამოც იძულებული ვიყავი, ისევ ბრძოლაში ჩავბმულიყავი.

რა ხდება გაქცევის წინ?

პრეზიდენტი დიდი ხანი არ იმყოფებოდა ლოთის სახლში. პრეზიდენტი ერთ ღამეს ხან ერთი სვანის სახლში ათენებს, მეორე დღეს, სადღაც სხვის სახლში. პრეზიდენტი ბოლო დღეებში უბრალო კაცივითაა, მხოლოდ თავის დაცვის გვერდით. ექვს ნოემბერს

ყველაზე ბოლოს მე ვტოვებ ზუგდიდს. დატოვების წინ ჩვენ ხელთ არსებულ მანქანებს ვანადგურებ, "გრადის" მანქანასაც.

რა ხდება ბანაკში პირველ დღეებში?

ჩვენ ოციოდე მეომრით ავდივართ მთაში. ბანაკში მისვლამდე ჯვარში გვხვდება ჯვარის ბატალიონი. ზუგდიდში უკვე შემოვიდნენ. ჩემს შეკითხვაზე, ვინ იყვნენ ისინი? მიპასუხეს, რომ ოთარ უბილავას ბრძანებას ასრულებდნენ. მაშინ როცა ეს საგუშაგო ჩვენ არაფერში არ გვჭირდებოდა. ესეც ხომ თავის მხრივ ღალატის ტოლფასი შეიძლება იყოს. მთაში ყოფნის პირველ კვირას ჩვენ შევისწავლეთ ბანაკის ირგვლივ ყველა ბილიკი. განვალაგეთ ტყვიამფრქვევები და ტექნიკა. აქ ჩემთან ერთად იმყოფებოდნენ გორიდან, ზუგდიდიდან, რუსთავიდან. შემდეგ ჩემთან მოვიდა წინა საგუშაგოდან კაცი, რომელმაც მითხრა, რომ ჯამბულის ხალხი მკითხულობდა. მე და კუსავა ერთმანეთს შევხვდით სოფ.ფახულანში. ჯამბულის თქმით, ჩვენთვის უკეთესი იყო, მხარში დავდგომოდით კიტოვანისა და ფაცაციას მიერ ორგანიზებულ მოსალოდნელ გადატრიალებას. ამ საკითხთან დაკავშირებით მომავალ კვირას უნდა შევხვედროდი სოფ.ლიაში, მერაბ ნანავას სახლში, ოთარ ფაცაციას. ერთ დღეს როზბაქმა და მისმა ძმამ მითხრეს, რომ მათ, რამდენიმე დღეში, ღამის საათებში ჩემი დახმარება დასჭირდებოდათ, მე, რა თქმა უნდა მათ დახმარებას დავპირდი. გარკვეული პერიოდის შემდეგ ისინი დათქმულ დღეს ჩემთან მოვიდნენ და ჩვენ ჭალის ბილიკების გადავლით მდინარე ენგურის ხიდზე ჩავედით, სადაც გავიგე, რომ ბატონი ზვიადი და ბესარიონ გუგუშვილი უნდა მოსულიყვნენ. დათქმულ დროზე პრეზიდენტის ამალა არ გამოჩნდა, რის გამოც ჩვენ ძალიან შეწუხებულები ვიყავით. ღამის ოთხ საათზე გამაღვიძეს, ხიდზე პრეზიდენტის ამალა გამოჩნდაო. ჩვენ ერთმანეთს შევხვდით ჭალის ასასვლელ ზოლზე. გადავედით მუჟავაზე და გამთენიისას წავიხემსეთ ძმებ არქანიების სახლში, რომლებიც მეგზურობდნენ ბატონი ზვიადის გადაადგილებას. ბატონმა ზვიადმა იმ საღამოს მომიყვა, რა ხდებოდა იმ პოზიციებზე, რომლებიც ჩვენ დავტოვეთ. ეს იყო ერთ–ერთი დიდი შემზარავი სურათი. ბატონი ზვიადის სიტყვებით, ის გაჰყვა ლოთის, ცხოვრობდნენ ილორის წმინდა გიორგის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, კერძო მოსახლის სახლში. ერთი სიტყვით, იქ პრეზიდენტისთვის საბოლოოდ გახდა ცნობილი, რომ ლოთი მოღალატე იყო. ამის შემდეგ ლოთიმ მიატოვა ზვიადი და წავიდა გაურკვეველი მიმართულებით. პრეზიდენტის დაცვის ერთ–ერთი წევრის ბაჩუკის თქმით, პრეზიდენტს უთხრეს, რომ ლოთის დიდი ოდენობით ფული ჰქონდა თან. ამასთანავე, მოღალატეც იყო და ამიტომ ისინი გაანადგურებდნენ ლოთის, რაზედაც პრეზიდენტმა უარი განაცხადა, წავიდეს თავისი სახელიც ეყოფა ჩემგანო. აქვე აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტთან ვიღაც ორი გოგო იმყოფებოდა, ჟურნალისტები, რის გამოც პრეზიდენტი უწყრებოდა თავისი დაცვის უფროსს, იქ კარავში ხვევნა–კოცნა რომ გამიმართეო. რობინზონი ეუბნებოდა, ის გოგოები ჩვენი მომხრეები იყვნენო. პრეზიდენტი გაუწყრა და ამის შემდეგ რობინზონი პრეზიდენტს ახლოს არ გაკარებია.

პრეზიდენტმა გიორგობის დღეს, 1993 წლის 23 ნოემბერს, ჩემს ბანაკში გადმოინაცვლა. ეს იყო ჩვენი შეხვედრა. აქვე აღვნიშნავ ერთ ფაქტს: წინა დღით ჯუტის ბიჭი და მისი მეგობარი ამოვიდნენ და გვითხრეს, ჯვარში ზვიადისტები შეიპყრესო. მეორე დღეს კი ჩვენთან გოჩა რაფავა ამოვიდა და გვკითხა, თუ რა ვიცოდით ბატონ პრეზიდენტზე. როცა უკვე ჩვენთვის ცნობილი გახდა პრეზიდენტის შესახებ, ბატონი ზვიადი ავტომანქანა "ურალით" გადმოვიყვანეთ. მე ცხენით მოვუძღოდი წინ. მეორე დილით პრეზიდენტის საძებნელად წამოსული გოჩა რაფავა ისევ ამოვიდა. ბატონმა ზვიადმა მკითხა, თუ ვინ იყო ეს პიროვნება და ვისთან ჰქონდა ურთიერთობა. როცა ვუთხარი, რომ იგი ვალტერ შურღაიას კაცი იყო, პრეზიდენტმა მასთან შეხვედრა არ ისურვა. აგრეთვე აუკრძალა თავის დაცვას, გასულიყო გარეთ. მიუხედავად ამისა, რობინზონი რატომღაც მაინც გამოვიდა და თავი დაანახა; ხოლო თვითონ გოჩას ვკითხე, თუ რა ჰქონდა პრეზიდენტისთვის გადასაცემი. **როცა ზუგდიდში ვალტერ შურღაიას შევხვდი, მან მითხრა, ჩვენ გვინდა პრეზიდენტთან შეთანხმებით ბრძოლა დავიწყოთ სამეგრელოს ავტონომიისთვის.** აქ წალენჯიხის პრეფექტი ზურაბ გუჩუა, მისი მოადგილე, ზურის ცოლი და შვილი იმყოფებოდნენ. პრეზიდენტმა ჩვენთან ყოფნის მეორე დღეს გადაწყვიტა, დაეთვალიერებინა

პოზიციები. პრეზიდენტი და გუგუშვილი ნაბდებში იყვნენ, თეთრ ნაბადში იყო პრეზიდენტი, წაბლისფერში – გუგუშვილი.

პრეზიდენტს "სტეჩკინის" ტიპის პისტოლეტი ჰქონდა, ბესარიონს კი – "მაკაროვისა".

დაცვის წევრები ნაღმტყორცნებითა და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით იყვნენ შეიარაღებული. პრეზიდენტის დაცვას მოჰქონდა დაახლოებით 200 (ორასი)–300 (სამასი) კგ. წონის ნივთები. პრეზიდენტს ჰქონდა ფული, დაახლოებით ერთი სანტიმეტრი ზომით სულ ასდოლარიანი კუპიურები.

სოფ. მუჟავაში, როზბაქის სახლში, შევხვდი რომეო კუჭუხიძეს, მაგრამ რომეომ ბრძოლაზე უარი თქვა. ამ პერიოდში მთაში ჩემთან შესახვედრად ამოვიდა გია გულუა. მანამდე კი ამოვიდნენ ბესო ხარებავა და სარია. გენერალმა გია გულუამ, რომელსაც მოჰყვა გული დადიანიც, ბევრი ილაპარაკეს აფხაზების გარშემო. სირცხვილი ვჭამეთო. იგი აფხაზეთის საკითხებში ჩვენ ჩაბმას მოითხოვდა. აქვე ჩემს გასაგონად თქვა, რომ ლოთი აქ არ იყო და ისიც ცნობილია, თუ რისთვის ამოვიდა გულუა. აინტერესებდა, მე თუ ვეტყოდი რამეს პრეზიდენტის შესახებ, მაგრამ პრეზიდენტის შესახებ მასთან არ მილაპარაკია. როდესაც საუბარი თავიდან ბოლომდე გადავეცი ბატონ პრეზიდენტს, იგი დამშვიდდა.

მეორე დღეს პრეზიდენტი ყურს უგდებდა თავისი შვილების ხმას გროზნოდან, მაგრამ გვიბრძანა, რომ რაციაზე არ გავსულიყავით[361]. აქვე აღსანიშნავია ერთი ფაქტი: ჯუტი ხუბუტია აგზავნის თავის ბიჭებს, რომელთა მეშვეობითაც გაიგო, რომ ზვიადი ჩვენთან იმყოფება. ჩვენთან ამოვიდა გალის მხედრიონის უფროსი დათო შენგელია. დათო შენგელია ჩემგან მოითხოვდა ჯაბა იოსელიანთან შეხვედრას, რაც მე ზვიადს მოვახსენე. შენგელია შეგვპირდა "ადიალებსა" და ლეიბებს. ბატონმა ზვიადმა გადაწყვიტა სხვა ადგილზე გადასვლა. გადავწყვიტეთ მანევრი, რომ ვითომ პრეზიდენტი სვანეთისკენ წავიდა. შევთანხმდით, რომ მოკავშირე უნდა ყოფილიყო ზური შონია. პრეზიდენტი მე მტოვებდა ყველა ფორმირების უფროსად. **დილით ტელევიზიით გამოვიდნენ სოსო ჟღენტი და ელიავა, რომლებმაც ომს უაზრო უწოდეს.** პრეზიდენტმა დაიბარა: გუჯუჯი ებრალიძე, ვახო ზარანდია და რაფო კვარაცხელია, მაგრამ გუჯუჯიმ ბატალიონის მეთაურობიდან გადადგომა ისურვა, მოხუცი ვარო. ვინც ბრძოლას გააგრძელებს ხმა ამოიღოსო, თქვა რაფო კვარაცხელიამ. მე უნდა ვყოფილიყავი პარტიზანული მოძრაობის უფროსი. აქვე აღვნიშნავ, რომ სანამ პრეზიდენტი ჩვენთან იყო, ჩვენთან ამოვიდნენ ნაული ჯიქია და ჯუმბერ მაქაცარია, რომლებიც დაშლისკენ მოგვიწოდებდნენ. ერთი თვის წინ ზვიადისტები იყვნენ, ახლა კი ყველა სხვა გზას ეძებდა. ლოთი ამ პერიოდში საქართველოდან იყო გაქცეული. ყოველივე ამ სიტუაციის შემდეგ მე მრჩებოდა ერთი ვარიანტი, გამეყვანა საქართველოდან საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, მაგრამ იყო საფიქრალი, თუ როგორ გამეყვანა, რადგან ყველა გზა მოჭრილი იყო. ამ პერიოდში, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩემთან ამოვიდნენ ბესო ხარებავა, გოჩა სარია, ბეჟან წურწუმია და გია სარია. ასე რომ მრჩებოდა ერთადერთი გზა – ისინი გამომეყენებინა ჩემი ჩანაფიქრის განსახორციელებლად, რადგან მათ საშვიც ჰქონდათ და იარაღის ტარების უფლებაც. ამ პერიოდისთვის გოჩა ოთხოზორია უკვე ზუგდიდში დადიოდა, ხოლო ანზორ ხეიძე სამხედრო პოლიციაში იყო.

გულრიფშის ბატალიონის უფროსმა, შოთა კვარაცხელიამ ურთიერთობა დაიწყო ჯვრის ბატალიონის უფროსთან, ისიც გვარად კვარაცხელია იყო. მათ დაიწყეს მთაში ამოსვლა და ბიჭების გადაბირება, დაშინება, რომ სოფელ ჯვარში ტექნიკა ბლომად იყო. ძნე-

---

361 ამ ფაქტის მოწმე ათიოდ ადამიანი და ბევრად მეტი იმისა, რომ **მალვის 50 დღის განმავლობაში ზ.გამსახურდიას ერთხელაც არ განუცხადებია სურვილი დაკავშირებოდა თავის ოჯახს**. ზ.გამსახურდიას ოჯახთან აქ ხსენებული რაციით დაკავშირება იოლად იყო შესაძლებელი რამდენადაც რაცია საბარგო მანქანაზე იყო დამონტაჟებული და კავშირის სეანსი შეიძლებოდა ზარანდიას ბანაკიდან ფრიად მოშორებული ადგილიდან მომხდარიყო, რაც სავსებით გამორიცხავდა ზ.გამსახურდიას ადგილმდებარეობის დადგენის შესაძლებლობას.

ლად თუ წარმოვიდგენდი მე, ბადრი ზარანდია, როცა გოჩას თავისი ხალხი მოუკლეს, მას შემდეგ იარაღით ამოსულიყო ჩემთან და ბრძოლა გაგვეგრძელებინა, მაგრამ რატომღაც ასე არ მოხდა. არადა მისი ორი მეომარი სოფ. ნარაზენში გენერალ გია გულუას ხალხის მიერ დახვრეტილი იქნა. ასეთმა მდგომარეობამ, რაზედაც ზემოთ მქონდა საუბარი, იძულებული გამხადა, მეფიქრა პრეზიდენტის საქართველოდან გაყვანაზე, ამასთანავე, გამომეყენებინა ჩემი თანამებრძოლები, რომელთაც ცოტა ხნით ადრე ჩემი ცოლის გადამალვა მოახერხეს მხედრიონის დაჯგუფებისაგან. როგორც ზემოთ აღვნიშნე, მე ჯაბა იოსელიანთან შეხვედრაზე უარს ვამბობდი, რის შემდეგაც მოსალოდნელი იყო ჩემი ოჯახის დატერორება. ისინი მილიციის თანამშრომლის ბინაში იყვნენ გადაყვანილნი. მრჩებოდა ერთადერთი ვარიანტი, გამომეყენებინა ჩემი თანამებრძოლები ჩემი ჩანაფიქრის აღსრულებისათვის. სანამ ამას ჩემი თანამებრძოლები გაიგებდნენ, მინდოდა მომეხსენებინა პრეზიდენტისთვის ჩემი გადაწყვეტილების შესახებ და გამეგო მისი აზრი. საღამოს, ამის შესახებ, მე და ზურაბ შონიამ შევიტყეთ, რომელმაც იცოდა პრეზიდენტის ახალი ადგილსამყოფელი - ეს იყო სოფელ მუჟავას ტებენას დასახლებაში. ჩვენი მისვლის დროს პრეზიდენტის დაცვის უფროსი იქ არ დაგვხვედრია. ბატონ ბესარიონ გუგუშვილს ეძინა. მხოლოდ ბატონი პრეზიდენტი იყო ოთახში. რის შემდეგაც მისი დაცვის წევრი ბაჩუკი შემოგვიერთდა. ჩვენ საუბარი დავიწყეთ ყველაფრის ირგვლივ, რაც ხდებოდა. საჭირო იყო პრეზიდენტის სასწრაფოდ საქართველოდან გაყვანა, რაზედაც იგი დაგვთანხმდა. პრეზიდენტის დაცვის წევრი ბაჩუკი ითხოვდა ბრძოლის გაგრძელებას, პრეზიდენტმა მას საუბარი შეაწყვეტინა. ეს უკვე არარეალური იყო. მთაში ჩვენი მეგობრები რომ ამოსულიყვნენ, ჩვენ აღარც ტყვია – წამალი გვქონდა და **აღარც პროდუქტები.** პრეზიდენტს ვაცნობე ჩემი თანამებრძოლების შესახებ, ვისთანაც კავშირი მქონდა. პრეზიდენტმა ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა მათთან შეხვედრა. პრეზიდენტთან შეხვედრისას აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჯვარის ბატალიონის მებრძოლების უმრავლესობა გულრიფშის ბატალიონს შეერთებია. ამის შემდეგ ჩვენთან, მთაში, ამოვიდნენ გორა იზორია, გია ქანია, მილიციის თანამშრომლები, ბესო ხარებავა, ბეჟან წურწუმია, გოჩა და გია სარიები მე და ზურაბ შონია, რომლებიც შეხვდნენ პრეზიდენტს. მათთან საუბარში პრეზიდენტმა მიანიშნა მილიციის განყოფილებაში ჩაბარებაზე. პრეზიდენტი უარზე იდგა, სვანეთის დასახლებაში ასვლაზე, რომელიც პრეზიდენტის დაცვის უფროსმა შემოგვთავაზა, ან კახეთის მიმართულებით, რომელიც უარყოფილი იყო. ერთადერთ დასაშვებ გზად ხევსურეთს მიიჩნევდა. ერთი სიტყვით, პრეზიდენტს გადაწყვეტილი ჰქონდა ორი ვარიანტი: ან ჩაბარებოდა მილიციის თანამშრომლებს, ან რამენაირად ხევსურეთში მოხვედრილიყო. გამოზამთრების შემდეგ გადავსულიყავით გროზნოში. პრეზიდენტის დაცვის ორი **წევრი ჭინჭარაული და გოგაძე გააცილა წალენჯიხელმა გალში მცხოვრებმა გვარდიელმა,** რომელიც უკან უნდა დაბრუნებულიყო, რადგან მისი ძმა ჩვენთან ერთად იმყოფებოდა. მათი ვინაობა ცნობილი იყო ბუთხუზ ხარჩილავასთვის, რომელმაც ესენი კომენდანტურაში მოიყვანა, მაგრამ პრეზიდენტის დაცვის წევრების წაყვანის შემდეგ ისინი ბანაკში აღარ დაბრუნებულან. მათი დარჩენა ბანაკში (გოგაძე, ჭინჭარაულის) გამოწვეული იყო პრეზიდენტის დაცვის უფროსთან მათი დამოკიდებულებით. პრეზიდენტის შეხვედრის შემდეგ ჩვენთან ამოვიდა გოჩა სარია და გვაუწყა, რომ მეორე დღეს მოსალოდნელი იყო თავდასხმა. რის შემდეგაც მე იძულებული გავხდი, დამეშალა ბანაკი. მოქალაქე შევარდნაძემ გასცა ბრძანება პრეზიდენტ გამსახურდიას ლიკვიდაციასთან დაკავშირებით. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, ბესარიონ გუგუშვილი, პრეზიდენტის დაცვის უფროსი და სამი წევრი საქართველოს ეროვნული გვარდიის ზუგდიდის კომენდანტურის ოცდაათამდე გვარდიელი და მე, ბადრი ზარანდია, 1993 წლის ნოემბრის ბოლოს აღმოვჩნდით ოხაჩუეს მთის ქვემო "რიადზე", მდინარე ილორის სათავეებთან, ალყაშემორტყმული. ჩვენთვის გადაკეტილი იყო სვანეთისკენ მიმავალი გზაც. პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ უარი განაცხადა სვანეთში ასვლაზე, ხოლო სამეგრელოს ტერიტორიაზე ჩვენ წინააღმდეგ ზუგდიდში შეიარაღებული მხედრიონი იდგა, ჰყავდათ ოცდაათამდე საბრძოლო ტექნიკა, ხუთი ერთეული რუსული "ტ–72"–ის ტიპის ტანკი. ქალაქ სენაკს აკონტროლებდნენ შავი ზღვის სამხედრო ფლოტის ქვედანაყოფები თეკლათის გადასახვევიდან თამადის გზის მონაკვეთამდე. ჩვენი ბანაკიდან ექვსი კილომეტრის მოშორებით შემოყვანილი იქნა ქუთაისის ბატალიონი დევი ჩაკვეტაძის მე-

თაურობით, რომელსაც სამოცი შეიარაღებული კაცი ჰყავდა, ხუთი საბრძოლო მანქანა და "გრადის" ტიპის საარტილერიო მანქანა. მას მოჰყვებოდა გულრიფშის რაიონის შინაგანი ჯარების ბატალიონი შოთა კვარაცხელიას მეთაურობით. ერთი სიტყვით, სამეგრელოს გზა ჩვენთვის მოჭრილი იყო. აფხაზეთის ტერიტორიაზე გადასვლაზე კი ლაპარაკი ზედმეტი იყო. დათქმულ დღეს მე და ჩემი უახლოესი პირი დაველოდეთ ჩვენს თანამებრძოლებს სოფელ ლიაში, რათა შემდგომში დაგვეწყო ქალაქ ზუგდიდის გავლით პრეზიდენტის აღმოსავლეთ საქართველოში გაყვანა, რა დროსაც მე და ჩემთან მყოფი პირი ჩვენმა თანამებრძოლებმა დაგვატყვევეს. **ქალაქ ზუგდიდში ტყვეობაში ჩემთან ერთად აღმოჩნდა ჩემი შვიდი თვის შვილი სლავიკ ზარანდია და ორსულად მყოფი მეუღლე თამრიკო ქარდავა.** ჩემი ყოფილი თანამებრძოლები პატარა სლავიკას განადგურების მუქარით ჩემგან მოითხოვდნენ, შემესრულებინა ბერბიჭაშვილის როლი, რის გამოც იძულებული გავხდი, დამეწყო თამაში. მე მოვახერხე პრეზიდენტის გაფრთხილება, რომ არ შემხვედროდა არც მე და არც ჩემი სახელით გამოგზავნილ ნებისმიერ პიროვნებას. ამის შემდეგ პრეზიდენტი ჩემთან კავშირზე არ გამოსულა.

ფართო საზოგადოებას დააინტერესებდა, ვინ იდგა ჩემი თანამებრძოლების უკან, ვისგან მოდიოდა ბრძანება მთავარსარდლის განადგურების შესახებ და ვინ იყო უშუალოდ ქალაქ ზუგდიდში ცენტრიდან გადმოსროლილი ამ ბრძანების შესასრულებლად. ქალაქ ზუგდიდში პრეზიდენტის განადგურების საკითხს უშუალოდ ხელმძღვანელობდა უშიშროების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ სპეცრაზმის **"ალფას"**[362]**.** დაჯგუფების უფროსის მოადგილე პოლკოვნიკი ბასიკაშვილი, რომელსაც ჩემმა თანამებრძოლებმა ხუთჯერ – ექვსჯერ შემახვედრეს ქალაქ ზუგდიდის "ტაქსოპარკის" ტერიტორიაზე, სადაც მაშინ "ალფას" დაჯგუფება იყო დისლოცირებული. პოლკოვნიკ ბასიკაშვილის თქმით, პრეზიდენტის მკვლელი აუცილებლად ზვიადისტი უნდა ყოფილიყო[363]. ამასთანავე, პრეზიდენტის ფიზიკურად განადგურების შემდეგ პრეზიდენტის სხეულს წაიღებდნენ კახეთის რეგიონში, რითაც კვალი უნდა მოესპოთ. **მე მეძლეოდა 1.000.000 (ერთი მილიონი) ამერიკული დოლარი, რომელიც, მისი თქმით, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას თან ჰქონდა-**[364]. ამასთანავე, საზღვარგარეთ გასვლასაც მპირდებოდნენ. მისი მხრიდან ჩემ მიმართ მუქარას ადგილი არ ჰქონია, ვინაიდან მუქარას თავად ჩემი თანამებრძოლები ახორციელებდნენ. შეკითხვაზე, თუ ვინ იძლეოდა ბრძანებას, პასუხი იყო შემდეგი: საქართველოში პირველი კაცი. დიახ, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მოკვლის ბრძანება მოქალაქე ედუარდ შევარდნაძისგან მოდიოდა. **პრეზიდენტი და <u>პრემიერ–მინისტრი</u> უნდა დახოცილიყვნენ მათი გაანგარიშებით დეკემბრის პირველ ნახევარში.**[365] როგორც კი დარწმუნდნენ, რომ პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ჩემთან შეხვედრაზე არ გამოდიოდა, მას შემდეგ ჩემი თავი გადააბარეს მაშინდელ ზუგდიდის შ.ს. სამმართველოს პოლკოვნიკ ადამიას. სრულიად შემთხვევით ჩემმა მშობლებმა და ნათესავებმა გაიგეს **ჩემი ცოლ–შვილის დატყვევება** და მათი ჩარევით მოხდა მათი გათავისუფლება. გათავისუფლების მეოთხე დღეს შევხვდი ჩემს ერთგულ მეომარს და დავიწყე პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ძებნა, რა დროსაც შევხვდი ერთ–ერთ პოლიტიკოსს და მოვახსენე მომხდარის შესახებ. მესამე დღეს საქართველოს ტელევიზიით გამოაცხადეს, რომ საქართველოს პრეზიდენტი მოკლეს. საქართველოს ბედუკუღმართ ისტორიას ალბათ დასჭირდება თუ ვინ იყვნენ ჩემი თანამებრძოლები:

1. ბეჟან წურწუმია, 1992 წლის მარტიდან დაწყებული იბრძოდა ჩემს გვერდით, 1992–93 წელებში მონაწილეობა მიიღო თითქმის ყველა საომარ ოპერაციაში. ერთი წელი ცხოვრობდა ჩემს საკუთარ სახლში, ეს იყო ყველაზე აქტიური წევრი, რომელსაც უნ-

---

362 აქ „**ალფა**" ფიგურირებს — სხვაგან „**ლეტუჩიე მიში**"...

363 კიდევ ერთი დადასტურება, რომ როგორც შევარდნაძის მთავრობას, ასევე სააკაშვილისასაც სჭირდებათ გამსახურდიას სიკვდილი მისსავე გარემოცვას, მის მომხრეებს დააბრალოს, რასაც თავგამოდებით ემსახურება კოკო გამსახურდია პირადად და მისი კომისიაც.

364 რა „ჭკვიანები" არიან, მკვლელობას მოსაკვლელისვე ფულით აფინანსებენ.

365 ზარანდიას ეს ცნობა, რომ ტერაქტის სამიზნე ზ.გამსახურდიას გარდა იყო გუგუშვილი ძალზე დიდ ლოგიკურ სირთულეს უნდა უქმნიდეს ზოგადად „გამოძიებას" და განსაკუთრებით კომისიას, აგრეთვე არსებითია დრო – „დეკემბრის პირველი ნახევარი".

დოდა პრეზიდენტის სიკვდილი. მზად იყო, თვითონ ესროლა ბატონი ზვიადისთვის. მუქარა პატარა სლავიკას სიკვდილით დასჯის შესახებ მოდიოდა მისგან. სამაგიეროდ, ღალატის ფასად დღეს ქალაქ თბილისში აჩუქეს ბინა.

2. ბესიკ ხარებავა – კანონიერების აღსადგენად 1992 წლიდან ჩემ გვერდით იბრძოდა.

3. გია სარია – 1993 წლის იანვრიდან იყო ჩვენ გვერდით, იბრძოდა აფხაზეთში.

4. გოჩა სარია – ამ უკანასკნელის ძმა, ერთ–ერთი ორგანიზატორი ბეჟან წურწუმიასთან ერთად. ზოგიერთ სხვა საკითხსაც ნათელს მოჰფენს ჩემს ხელთ არსებული ინფორმაცია. კანონიერი ხელისუფლების აღდგენის დროს, რომლის მასალების ორიოდე ეგზემპლიარი 1992–93 წლებში მომხდარი მოვლენების შესახებ ქვეყნის გარეთ დევს, რომლებიც დიდი საგანძური იქნება ჩვენი ერის ისტორიისთვის.

რომეო კუჭუხიძის მხარე ბრალს სდებდა პრეზიდენტის დაცვას, რომ გროზნოში იარაღი იაფ ფასში არ აყიდინეს. კერძოდ, საუბარი ეხებოდა სოსო თორიას[366], რომ ეს იყო ვალტერ შურღაიას ერთ–ერთი დაახლოებული პირის, მიშა დადიანის, სისხლით ნათესავი. პრეზიდენტმა მიშა დადიანი სამხედრო საბჭოში შეიყვანა, ხოლო რომეო კი გამოიყვანა. რასაც, თავის მხრივ, დიდი უკმაყოფილება მოჰყვა.

ერთ-ერთმა ჩემმა თანამებრძოლმა გურამ მამფორიამ, რომელიც დატოვებული იყო ქალაქ ზუგდიდში, ჩემი ქალაქ ფოთში ყოფნისას გზაში დაიჭირა გურამ აბსანძის ძმა, რომელიც მიუძღვოდა პურის ფქვილით დატვირთულ კოლონას, როგორც შემდეგ ჩემთვის გახდა ცნობილი, აბსნაძის ძმა უცემიათ კომენდანტურაში.

რაც შეეხება, რომ ლოთი ქობალიას 2500 გვარდიელი ჰყავდა, ეს სიცრუეა, სულ ეროვნული გვარდიის რიგებში 2000 კაცი იქნებოდა, მათ შორის, ზუგდიდის კომენდანტურაში – 150 კაცი, წალენჯიხის ბატალიონში – 150 კაცი, სენაკის ბატალიონში – დაახლოებით 100–150 კაცი, გურიის პოლკში – 200 კაცი. ჯიხა ოდიშის ბატალიონი დაახლოებით 200 კაცი. კისავის ჯგუფი 30–40 კაცი. № 16 ბატალიონი 30–40 კაცი. ბატალიონი კოლხეთი დაახლოებით 60 კაცი. სპორტსმენთა ბატალიონი რამდენიმე კაცისაგან შედგებოდა. ჯვარის ბატალიონი 40–60 კაცი. გორის ბატალიონი 20–30 კაცი. ზურა ირემაძის 40 კაცი, სპორტული სამსახური 40 კაცი. ტრადიციონალისტები 30 კაცი.[367]

რა როლი ითამაშა ოთარ ფაცაციამ ზუგდიდის ბინძურ თამაშებში?

ფაცაცია არც ძებნაშია და არც ჩანს, როგორც მთავარი ობიექტი. არადა, ოთარ ფაცაცია აკონტროლებდა თითქმის ყველა დაჯგუფებას, რაც მიგვანიშნებს, რომ ოთარ ფაცაცია უცებ პრემიერ–მინისტრად დაინიშნა. მასთან ერთად ამ თამაშს თამაშობდა ოთარ უბილავა. ზაურ ქობალიას, სასამართლო პროცესზე დაკითხულმა ერთ–ერთმა მოწმემ უჩვენა, რომ ის პრეფექტად დანიშნეს ოთარ ფაცაციამ, თემურ ფიფიამ და ვახტანგ ქობალიამ. გორა ოთხოზორიას სასამართლოზე გორამ უჩვენა, რომ ოთარ ფაცაციას თხოვნით იცავდა წისქვილ–კომბინატს. ზუგდიდში ტარდებოდა თათბირი რეგიონალურ დონეზე. ეროვნული გვარდიის შტაბში ყოფნისას ლოთი ქობალიამ მთხოვა, გავყოლოდი თათბირზე, იქ თათბირზე იმყოფებოდა, ორმოცამდე სხვადასხვა ორგანიზაციის დირექტორი. მომხსენებლები გამოდიოდნენ თათბირზე სხვადასხვა რაიონიდან. ბოლოს ლოთიც გამოვიდა სიტყვით. მე თათბირი მივატოვე, იქიდან გამოსულს შემხვდა პროკურორი კიაზო მანია და მილიციის უფროსი თორნიკე ქირია, რომლებსაც შევპირდი, რომ გავაჩენდი გვარდიელებს და დავშლიდი მათ. ხოლო იმ საღამოს გაეშალათ სუფრა კომბინატში, სადაც პრეზიდენტის დაცვის უფროსს მარგველანს მარგიანმა ტყავის დუბლიონკა აჩუქა. სწორედ ასეთი ქმედებების შემდეგ ოთარ ფაცაცია ჩვენს ნათქვამს აინუნშიც არ აგდებდა. და ბოლოს ისე გათავხედდა, რომ ჩვენი ძმების სასაფლაოების გინებაც

---

366 მართლაც გროზნოში იარაღის ყიდვები **ს.თორიამ** ჩაიგდო ხელში და ქორვაჭრობით, შესასყიდი ფასის მანიპულირებით სერიოზული თანხები მიითვისა, მოიპარა — სწორედ ეს მისი საქმიანობა იყო იმის მიზეზი, რომ იგი არ დარჩა სამეგრელოში ზ.გამსახურდიას დასაცავად და კვლავ გროზნიში დაბრუნდა იარაღით ვაჭრობის გასაგრძელებლად (გამსახურდიას ოჯახი შემდგომ მას მამათმავლობაშიც ადანაშაულებდა).

367 ესეც ტიპობრივი მაგალითია იქ იმ დროს გამეფებული აღრიცხვისა და თვლის მანკიერებისა — ჩამონათვალის ჯამი ოდნავ აღემატება 1100 კაცს (ანუ ზარანდიასვე დაწერილ 2000–ის თითქმის ნახევარი) — საიდანაც, უკეთეს შემთხვევაში მებრძოლი 150–200 იქნებოდა და სულ ეს იყო „პრეზიდენტ ზ.გამსახურდიას შეიარაღებული ძალები“ ანუ „პრეზიდენტის გვარდია“.

დაიწყო, რის გამოც მე მომიწია დამეცხრილა მისი კაბინეტი. მას შემდეგ ოთარი თავის სამუშაო კაბინეტში კი ხანი აღარ ყოფილა. მას და გრიშა ქობალიას პირდაპირი კავშირი ჰქონდათ მოსკოვთან.

იმ საღამოს ოთარ ფაცაცია და კუკური როგავა მოჰყავთ გვარდიის შტაბში, რის შემდეგაც **მათ ვართმევთ ვერტმფრენსა** და იარაღს, **რომლის გადაცემაც გვინდა პრეზიდენტისთვის,** მაგრამ ლოთი ყველა ღონეს ხმარობს ვერტმფრენების დასაბრუნებლად. ლოთი გვირეკავს ზუგდიდში და გვეუბნება, რომ ვერტმფრენი საჭირო იყო დაჭრილების გადასაყვანად, მე იძულებული ვიყავი ვერტმფრენი გამეშვა.[368] რაც შეეხება გრიშა ქობალიას, ის იყო მეორე ფიგურა ფაცაციას შემდეგ. მის ხელში იყო ტელევიზია.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყველა დაჯგუფების დასაყრდენ წერტილს წარმოადგენდნენ ლოთი ქობალიას დისშვილი და ლოთის მეზობლები.

ვინ გადავიდა ეროვნული მოძრაობიდან საწინააღმდეგო დაპირისპირებაში?

ჯერ კიდევ მთაში ყოფნის პერიოდში სამთავრობო ჯარების მხარეს გადავიდა სენაკის ბატალიონის მეთაური კაკო ელიავა. შემდეგ „კოლხეთის ბატალიონის“ მეთაური ანზორ ჩხეიძე შევიდა პოლიციაში. კიტოვანის მხარეს გადავიდა სოსო ჟღენტიც. იმ პერიოდში, როცა აფხაზეთში გააფთრებული ომი მიდიოდა, ლოთი ქობალია თავის სახლს აშენებდა.

რა უნდოდა გურამ აბსანძეს?

დევნილობაში ყოფნისას, უკვე იმის შემდეგ, რაც უშიშროების მუშაკებს შევხვდი, ჩემთან ამოვიდა გურამ მამფორია და მითხრა, რომ მოსკოვში მიბარებდნენ. მე ზური შონია გავაცილე მოსკოვში, სადაც შეხვდა გურამს, იქიდან დაბრუნებული ზური გურამის თხოვნით, ანუ ბრძანებით, მეუბნებოდა, რომ დამევიწყებინა ბეჟან წურწუმიას როლი პრეზიდენტის განადგურების მოთხოვნაში. მიზეზად კი მას მოჰყავდა, რომ ბეჟანმა უღალატა იდეას და არა ჩვენო. მთიდან ჩამოსვლის შემდეგ მე ისევ შემხვდა გურამისგან გამოგზავნილი ზური შონია, რომელმაც გადმომცა გურამის სიტყვები, მეცხოვრა სადმე რუსეთის ქალაქში და ის მომივლიდა ჩემს ცოლ–შვილთან ერთად. ამავე დროს შემხვდა ყველა ის სამხედრო დაჯგუფების ხელმძღვანელი, რომლებიც დაჭერილები არ იყვნენ. ისინი უკვე ქმნიდნენ ახალ სამხედრო დაჯგუფებას. ისინი იბრძოლებდნენ სამეგრელოს ავტონომიისათვის. თათბირს ესწრებოდნენ ვახო ზარანდია, ანზორ ჩხეიძე და გოჩა არაჩემია, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით მოხდა ეს შეხვედრა. თათბირს ესწრებოდა გურამ მაქაცარიას ძმა როლანდ მაქაცარია, რომელიც თათბირზე გაურკვეველი ბატალიონის სახელით გამოდიოდა. ამ ყველაფერს მოსკოვიდან გურამ აბსანძე მართავდა. ყოველივე ამის შემდეგ მე გადავწყვიტე უარი მეთქვა ამ თამაშში მონაწილეობაზე, ვინაიდან ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ეს პოლიტიკისკენ მიმავალი გზა იყო. ყოველივე ამის შემდეგ ოთარ უბილავა და გურამ აბსანძე ერთმანეთს დაეჯახნენ. ეროვნული გვარდიის სამმართველოს შტაბის ყველა, დაწყებული გვარდიის სამმართველოს უფროსიდან განყოფილების უფროსამდე კონტროლირებადი იყო, გაურკვეველია საიდან დაინიშნენ ისინი ამ თანამდებობებზე.

მე ლოთი ქობალიასგან მოვითხოვდი, გაგვენადგურებინა ქალაქ ზუგდიდში მოქმედი შეიარაღებული ბანდფორმირებები, რომელთა უმრავლესობა მისი მეზობლები იყვნენ. ლოთიმ მომცა სიტყვიერი ბრძანება, ამეყვანა მისი მეზობლები, ძმები ვეკუები, ჩამომერთმია მათთვის იარაღი და გამენადგურებინა ისინი, რის გამოც მე მოვთხოვე ლოთის ქაღალდზე დაეწერა ბრძანება. ასევე იყო კიდევ ერთი ფაქტი, როდესაც ლოთიმ ჩემგან მოითხოვა თავისი ერთ–ერთი მეზობლის დაჭერა. ლოთის შესახებ მათ ძალიან ბევრი იცოდნენ ჯერ კიდევ ოსეთში ბრძოლის პერიოდიდან. მათი განადგურების შემდეგ მე დამიპირისპირდებოდა ზუგდიდის მოსახლეობა, რის შემდეგაც თვითონ ლოთი ჩემ წინააღმდეგ მიიღებდა ზომებს.

შენიშვნა: როგორც პროკურატურის მიერ წარმოებული დაკითხვებიდან ამოღებული მასალა, ისე დროებითი საპარლამენტო კომისიის მიერ ჩატარებული

---

[368] ფრიად დამახასიათებელი მომენტი — შვეულმფრენი (ვერტმფრენი), რომელსაც სიცოცხლე შეეძლო გადაერჩინა პრეზიდენტისთვის და მთავრობის სხვა წევრებისთვის და რომელიც მინისტრთა კაბინეტისა და უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სპეციალური დადგენილებით ლეგიტიმური ხელისუფლების საკუთრებაში გადმოვიდა. და — რომლის ერთი მფრინავი პირადად დავითანხმე, რომ კარგი ანაზღაურების საფასურად ჩვენთან დარჩებოდა სამუშაოდ — უკან დაუბრუნეს (არსებითად ვ.ქობალიამ) შევარდნაძის ხუნტას — რომელთანაც ზოგს რომ ჰკითხოთ — „სამოქალაქო ომის“ ვითარებაში ვიყავით.

გამოკითხვები, დასკვნით დოკუმენტში, შეტანილია დაიჯესტის ფორმით, მათში სტილი არ არის დაცული, თუმცა ყველა ჩვენების შინაარსი ზუსტადაა გადმოცემული. ხოლო ბადრი ზარანდიას **დღიურს**[369] რაც შეეხება, მასში ავტორის სტილი პრაქტიკულად დაცულია.

22.08. №7494802 სისხლის სამართლის საქმეზე დაკითხულ პირთა პროკურატურისათვის მიცემულ ჩვენებებსა და საპარლამენტო კომისიის გამოკითხვებში გამოვლენილი ფაქტების შეუსაბამობები და ურთიერთ წინააღმდეგობები [370] [371]

◈ ბ.გუგუშვილის ჩანართი

ქვემორე მასალა ცალსახად ადასტურებს, რომ კოკოს კომისიონერებს არ აქვთ უნარი კოპლექსურად და ღრმად გაანალიზონ დაგროვილი ფატობრივი მასალა; არ შეუძლიათ კრიტიკულად, საღი აზრით მიუდგენ მას; არ ძალუძთ გამოხშირონ არასწორი, ყალბი, მცდარი, წუნიანი ინფორმაცია. პირიქით, კომისია მთელი ძალით ცდილობს ინფორმაციული ქაოსის შექმნას და მკითხველი ამ ქაოსის მახეში გამოიმწყვდიოს.

1 დევნილი პრეზიდენტის გზა სამეგრელოს რეგიონში

როდესაც პრეზიდენტი 1993 წლის 2 ნოემბერს მის თანმხლებ პირებთან ერთად მესამედ გადავიდა აფხაზეთის ტერიტორიაზე, იგი სოფელ ილორში ცოლ-ქმარ ტუუბების ოჯახში დააბინავეს. 1993 წლის 5 ნოემბერს სოფ. ილორში, რუსლან ქიშმარიას ძმის, მერაბ ქიშმარიას სახლში პრეზიდენტი შეხვდა გუდაუთის სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენლებს. პრეზიდენტმა აფხაზების დელეგაციის მოთხოვნაზე ეღიარებინა აფხაზეთის დამოუკიდებლობა, რომლის სანაცვლოდაც პრეზიდენტი აღიდგენდა თავის კანონიერ უფლებამოსილებას, კატეგორიული უარი განაცხადა. საპასუხოდ აფხაზეთის დელეგაციამ მოითხოვა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასგან აფხაზეთის დატოვება. პრეზიდენტი თავისი გარემოცვით სამეგრელოს რეგიონში დაბრუნდა. მის თანმხლებ პირთა შორის უკვე აღარ იმყოფებოდნენ ვიცეპრემიერი გურამ აბსანძე და შეიარაღებული ძალების სარდალი ვახტანგ (ლოთი) ქობალია.

როგორც თითქმის ყველა მოწმის ჩვენებაშია აღნიშნული, პრეზიდენტი გრძნობდა რა მდევრის სიახლოვეს სამეგრელოს ტერიტორიაზე, პრაქტიკულად ყოველი მომდევნო დღის შემდეგ იცვლიდა ადგილსამყოფელს[372]**.** კერძოდ,

---

[369] აქ ბადრი ზარანდიას მოგონებები კოკოს კომისიის დასკვნაში „**დღიურად**“ მოიხსენება იმ მიზნით, რომ მათი **დოკუმენტურობისა და სანდოობის დონე აამაღლონ**. სინამდვილეში კი — როგორც ტექსტიდან მოსჩანს — ეს მხოლოდ-და-მხოლოდ **მოგონებებია** დაწერილი ნახსენები მოვლენებიდან კარგა ხნის გასვლის შემდეგ — როგორც ჩანს ბადრის პატიმრობისას.

[370] აქ მითითებულ-ჩამოთვლილი და განხილული „შეუსაბამობები და ურთიერთ წინააღმდეგობები“ უმთავრესად გამოწვეულია და შედეგია როგორც საპროკურორო გამოძიებისას, ასევე — კომისიის მიერ ჩატარებული გამოკითხვების მეთოდოლოგიური ნაკლოვანებებით და ხარვეზებით, დაკითხვა-გამოკითხვის ერთიანი სტანდარტების უქონლობით და ზოგადად დაბალი საგამომძიებლო კვალიფიკაციით, მიკერძოებით და მკვლელობის ვერსიის „დაკვეთით“.

[371] კომისია ძალუმად ეჭიდება თვითმკვლელობის მოწმეთა ანუ თვითმკვლელობის ვერსიის დამცავთა ჩვენებებში „წინააღმდეგობებს“, მაგრამ შეგნებულად უყურადღებოდ ტოვებს თვალნათელ და უხეშ წინააღმდეგობებს „თავისიანი“ ანუ მკვლელობის ვერსიის მამტკიცებელი მოწმეებისა თუ დაკითხულ-გამოკითხულთა ჩვენებებში. ერთგან მიკროსკოპით ეძებს ხარვეზებს და მეორეგან კი თვალშისაცემს ვერ ხედავს!

[372] ამავე დროს არაერთგან კომისია ისე წარმოადგენს საქმეს, თითქოს ზ.გამსახურდიას ვიღაცეები დაატარებდენ და დაჰყავდათ.

5–6 ნოემბერს პრეზიდენტმა და მისმა თანმხლებმა პირებმა ღამე გაათიეს **სოფელ ჯვ-რის** მიმდებარე ტერიტორიაზე, რობინზონ **მარგველანის ნათესავთან**[373], მოხუცი ცოლ-ქ-მრის ოჯახში.

6 [374] ნოემბრიდან 20 ნოემბრამდე პრეზიდენტი და მისი თანმხლები პირები ცხოვრ-ობდნენ ძირითადად **ჩქვალერის ტყეში** დადგმულ კარვებში, საიდანაც გასული იყვნენ სხ-ვადასხვა მიმართულებით ოჯახებში. პრეზიდენტი თავის გარემოცვასთან ერთად ადიოდა წალენჯიხის მაღალმთიან სოფლებში. მისი მეგზურობა ითავა წალენჯიხის რაიონის პრე-ფექტმა ზურაბ გუჩუამ და მისმა მოადგილეებმა კინწურაშვილმა და ჟვანიამ.

20 - 21 ნოემბერს პრეზიდენტი იმყოფებოდა სოფ.**მუჟავაში, ოთარ და ვახო არქანიე-ბის** ოჯახში,

21 ნოემბერს კი იქვე, **არველოდ ჩხაპელიას** ოჯახში.

21 ნოემბრიდან 26 ნოემბრამდე პრეზიდენტმა ბადრი **ზარანდიას ბანაკში** ბესარიონ გუგუშვილთან ერთად **ყოველგვარი დაცვის გარეშე** 4-5 დღე გაატარა[375].

26 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე პრეზიდენტი ავიდა **ქყეპზენის მთებში, მეცხვარეების კარვებში.** მას როგორც მთებში, ისე წალენჯიხის რაიონის სოფ. ჩვინარეში რამდენჯერმე შეხვდნენ გენერალ გია გულუასა და ბადრი ზარანდიას დაჯგუფების წევრები, რომლებ-მაც <u>ულტიმატუმი წაუყენეს</u>[376] ქვეყნის დატოვების მოთხოვნით. მანამდე, 16-17 ნოემ-ბერს სოფ. ჩვინარეში შედგა პრეზიდენტის ლიკვიდაციის გეგმა. აქ შეიკრიბა დაახლოე-ბით 17 ადამიანი, მათ შორის, ბადრი ზარანდია, ზურაბ შონია, ძმები გია და გოჩა სარი-ები, გოჩა ხარებავა, ბეჟან წურწუმია და ხელის აწევით დაადასტურეს პრეზიდენტის ლიკ-ვიდაციის გეგმაზე თანხმობა, საიდანაც გაემართნენ იმ ოჯახში, სადაც ეგულებოდათ პრეზიდენტი და მისი პირადი დაცვა. რადგანაც ისინი აღნიშნულ ადგილზე არ დახვდნენ, მათ მოსთხოვეს ოჯახის წევრებს ინფორმაცია პრეზიდენტის გადაადგილების მარშრუტის შესახებ. უარის მიღების გამო, მათ სასტიკად სცემეს ოჯახის მასპინძელი, ბრმა მოხუცე-ბული კაცი და მისი 13 წლის შვილიშვილი.

პირველი დეკემბრიდან 4 დეკემბრამდე პრეზიდენტი იმყოფებოდა **სოფ.მუჟავაში, არ-ჩილ და ზაურ ანთიების** ოჯახში. მან გაფრთხილების გამო, რამდენიმე საათით ადრე, და-ტოვა ანთიების ოჯახი, რის გამოც ხსენებული ოჯახი დაარბიეს და გაანადგურეს. ამის შემდეგ პრეზიდენტის გადაადგილების თანმიმდევრობა ასეთია:

4 დეკემბრიდან 5 დეკემბრამდე **სოფ.ფახულანი, გულიკო გუჩუას** ოჯახი,

5-6 დეკემბერი სოფ.**პალური, გივი პაჭკორიას ო**ჯახი (სოფ.ლიას მახლობლად);

6 დეკემბერი სოფ.**ლია, ჩიგო გუჩუას** ოჯახი,

6 დეკემბრიდან 9 დეკემბრამდე სოფ.**ტყაია, გურამ სამუშიას** ოჯახი;

9 დეკემბრიდან 12 დეკემბრამდე სოფ.**ჩხორია, პალმირო თორდიას** ოჯახი;

12 დეკემბერი სოფ.**ზედა ეწერი, გონელი თორდიას** ოჯახი;

13 დეკემბერი სოფ.**ნაცატუ, გიული გაბედავას** ოჯახი;

13 დეკემბრიდან - 14 დეკემბრამდე სოფ.**ობუჯი, თამადა მესხიას** ოჯახი;

14 დეკემბრიდან 22 დეკემბრამდე სოფ.**ჯაღრა, ანზორ მებონიას** ოჯახი;

22 დეკემბრიდან 27 დეკემბრამდე სოფ.**ჯიხაშკარი, ჯონსონ კვარაცხელიას** ოჯახი;

---

373 იქ ყოფნისას, იმ დროს არ ვიცოდი და არ გამიგია, რომ მასპინძლები რომელთაც კერძო სასტუმრო ჰქონდათ მოწყობილი მარგველანის ნათესავები იყვნენ. არაა გამორიცხული, რომ ესეც კომისიის მონა-ტორს ჰგავს.

374 7 ნოემბერს ჩამოვედით ენგურის ხეობიდან და 7–8 ნოემბრის ღამე გავათენეთ სოფელში, ხოლო ჩქვა-ლერის მიმდებარე მთებში ავედით 8 ნოემბერს და ვიყავით დაახლოებით 11–12 დღე-ღამე (დაახლოებით 20 ნოემბრამდე).

375 მტკნარი ტყუილი – დაცვის გარეშე არასდროს დავრჩენილვართ და განა თუნდაც ზარანდიას რაზმი იმ პერიოდში ზ.გამსახურდიას დაცვა არ იყო?

376 არავის ზ.გამსახურდიასთვის „ულტიმატუმი“ არ წაუყენებია. იყო მხოლოდ საქართველოდან გასვლის შეთავაზებები და გასვლის გზების შესაძლებლობების განხილვა. შევარდნაძის ძალაუფლებისგან „ულტიმა-ტუმი“ რომ ყოფილიყო, ეს იმას ნიშნავდა რომ შევარდნაძე დაინტერესებული იყო ზ.გამსახურდიას საქარ-თველოდან უვნებლად გასვლით.

27 დეკემბრიდან 1 იანვრამდე **ძველი ხიბულა, კარლო ღურწკაიას** ოჯახი.[377] [378] [379]

1 იანვარს გარდაცვლილი პრეზიდენტი გადაასვენეს სოფელ ჯიხაშკარში, ჯონსონ კვარაცხელიას ოჯახში და იქვე დაკრძალეს.

საპარლამენტო კომისიის[380] მამრიკო ზარანდიას 2010 წლის 19 ნოემბ გამოკითხვით მუუავაში, ზუგდიდის კომენდანტი ბადრი ზარანდია 1993 წლის 29 ან 30 ნოემბერს ბატალიონ ჯიხაშკრის უფროსთან, ვახტანგ ზარანდიასთან აგზავნის მირიან ქარდავას, რის შედეგადაც ვახტანგ ზარანდიას ნაცვლად მუუავაში ბადრი ზარანდიასთან მიდის ამავე ბატალიონის წევრი მამრიკო ზარანდია, რომელიც ხვდება ბადრი ზარანდიას და აბარებს ვახტანგ ზარანდიას, სასწრაფოდ გამოცხადდეს მასთან. პიროვნება, რომლითაც დაინტერესებულია ვახტანგ ზარანდია, პრეზიდენტი გამსახურდიაა. ორი, სამი დღის შემდეგ ვახტანგ ზარანდია ცხადდება პრეზიდენტთან და სთავაზობს სანდო ოჯახს (იგულისხმება ანზორ მებონიას ოჯახი სოფ.ჯაღრაში), ამ სახლიდან დაახლოებით სამასი მეტრის მოშორებით მდებარეობს ბადრი ზარანდიას დაჯგუფების აქტიური წევრების, გორა და გია სარიების ბებიისა და ბაბუის სახლი, სადაც ციხიდან გაქცევის შემდეგ იმალებოდა თვით გენერალი გია გულუა, რომელიც იყო გორა სარიას მეუღლის ბიძაშვილი. ვახტანგ ზარანდია არ შეხვდა პრეზიდენტს იმ მოტივით, რომ ვითომ იმ ტერიტორიაზე მხედრიონი პიკეტირებდა და პრეზიდენტი თავისი დაცვითა და მეგზურით (წალენჯიხის პრეფექტი ზურაბ გუჩუა) ფეხით მივიდა ანზორ მებონიას ოჯახში.

22 დეკემბრიდან პრეზიდენტი ვახტანგ ზარანდიას გადაჰყავს სოფ. ჯიხაშკარში, კერძოდ, ჯონსონ კვარაცხელიას სახლში, საიდანაც დაახლოებით ორას მეტრში მამრიკო ზარანდიას გამოკითხვით, დროებით ცხოვრობს თავის ბებიასთან და ბაბუასთან აფხაზეთის უშიშროების ოფიცერი გია მხეიძე. გია მხეიძე აქტიურად ეძებს პრეზიდენტს და იკვლევს მის ადგილსამყოფელს. იგი ხვდება ბატალიონ "ჯიხაშკრის" მებრძოლებს და ხელმძღვანელობას და ყველასგან მოითხოვს თავის დაქვემდებარებაში ყოფნას. ეს ის გია მხეიძეა, რომელმაც ვახტანგ ზარანდიას გამოკითხვით, დაკავებული გუჯუჯი ებრალიძე დაკავებიდან სამ საათში გაანთავისუფლა ფოთის უშიშროების სამსახურიდან. პრეზიდენტის გარდაცვალების შემდეგ ის აქტიურად ეძებდა მისი დაკრძალვის ადგილს.

ზაურ ჩუხუას გამოკითხვით, 25 დეკემბერს თითქოს მას სთხოვეს თავის ძმასთან, ანატოლისთან ერთად პრეზიდენტის უსაფრთხო ადგილზე გადაყვანა. ამის შემდეგ პრეზიდენტთან მიდის ზაურ ჩუხუა, ხოლო პრეზიდენტი, მისივე განაცხადით, ვერ მიჰყვება იმ მოტივით, რომ ცუდად არის და სიარული არ შეუძლია. ყოველივე აღნიშნული ბათილდება ოჯახის მასპინძლის ჯონსონ კვარაცხელიას გამოკითხვით. ჯონსონ კვარაცხელია საპარ-

---

[377] ამრიგად, ზ.გამსახურდია არანაკლებ 15 ოჯახში ცხოვრობდა შესწავლილ დროში — რაც იმ პერიოდში იმას ნიშნავდა, რომ პრეზიდენტის შეფარებისთვის 15 ოჯახი ჩავარდა უდიდეს საშიშროებაში — მათ ემუქრებოდათ გადაწვა, ძარცვა, ცემა, დაჭრა და მკვლელობაც კი — რისთვის? რა იყო ზ.გამსახურდიას სამეგრელოში დარჩენისა და კვლავ ჩეჩნეთში გასვლაზე უარის მიზანი?

[378] 15 ოჯახში, რომელმაც შეიფარა ზ.გამსახურდია, საშუალოდ 2–3 წევრი ცხოვრობდა და ამდენად, მხოლოდ შემფარებელი ოჯახის წევრების რიცხვი — რომლებსაც ახლო კონტაქტი ჰქონდათ ზ.გამსახურდიასთან დაახლოებით 2 თვის განმავლობაში სულ ცოტა 35 სრულასაკოვან ადამიანს აჭარბებდა.

[379] ნიშანდობლივია, რომ კომისია გამოკითხვებისას არ დაინტერესებულა გაეგო ზ.გამსახურდიას მასპინძელი ოჯახების წევრებისგან და იმ პირებისგან, რომლებიც მას შეხვდნენ და გაესაუბრნენ:

- ზოგადად რა სახელმწიფოებრივი დონის გეგმები ჰქონდა ზ.გამსახურდიას — ანუ **რატომ ეწეოდა იგი საკუთარი და ამას გარდა მის გარშემო მყოფ ათეულობით ადამიანის სიცოცხლის რისკს**
- აპირებდა თუ არა **ჩეჩნეთში გაბრუნებას** ან სადმე **გასვლას საქართველოდან**
- ჰქონდა თუ არა ზ.გამსახურდიას ამ ოჯახების წევრების მეშვეობით საკუთარი ოჯახისთვის, ქართული საზოგადოებრიობისთვის ან დუდაევისთვის **რაიმე წერილის, ცნობების ან თუნდაც მოკითხვის** გადაცემის მცდელობა. ეს სავსებით უსაფრთხო იყო რამდენადაც გზავნილი წამღებს შეიძლებოდა გადაცემოდა მაშინ, როდესაც ზ.გამსახურდია თავშესაფარს იცვლიდა ან სხვა ოჯახში გადადიოდა.
- მიმართა თუ არა ზ.გამსახურდიამ ვისმეს და რაიმე თვალსაზრისით **შველის ან დახმარების** შესახებ

[380] ამის შემდეგ კომისია ღრმააზროვნად იკვლევს თუ შევარდნაძის ძალოვანი სტრუქტურების რომელი წარმომადგენელი (ან მისი ახლო ნათესავი) ცხოვრობდა იმ ოჯახების ახლო–მახლო რომლებშიც იმალებოდა ზ.გამსახურდიას ჯგუფი – თითქოს სამეგრელოში შეიძლება მოინახოს თუნდაც ერთი ისეთი სოფელი რომელშიც ან რომლის მახლობლადაც არც ერთი შევარდნაძის რეჟიმის წარმომადგენელი არ ცხოვრობდეს. თითიდან გამოწოვილი ეჭვების გახურებისა და გაბუქების ტიპობრივი შემთხვევაა!

ლამენტო კომისიის გამოკითხვაში აფიქსირებს, რომ მას ზაურ ჩუხუა არათუ სახლში, ეზოშიც კი არ შეუშვია.

გაურკვეველია აგრეთვე ფოთის უშიშროებიდან ახლად გამოხსნილი გუჯუჯი ებრალიძის მოსაზრება, (რომელსაც უკვე კავშირი აღარ აქვს პრეზიდენტთან) თუ რა მიზნით აგზავნის ერთერთ მებრძოლს, გულიკო ტიბუას ჩუხუებთან პრეზიდენტის ადგილსამყოფლის გამოსაცვლელად. ანატოლი და ზაურ ჩუხუები კვლავ მიდიან ჯონსონ კვარაცხელიასთან ჯიხაშკარში და პრეზიდენტი მის სამ თანმხლებ პირთან ერთად გადაჰყავთ სოფელ ძველ ხიბულაში, გზისპირა სახლში, რომელიც ლუდმილა და კარლო ღურწკაიებს ეკუთვნოდა. ანატოლი და ზაურ ჩუხუები პირადი დაცვის ორ წევრს, ზაზა ბურჯანაძესა და გოჩა კეკენაძეს ტოვებენ ჯონსონ კვარაცხელიას სახლში იმ მოტივით, რომ ახალ სახლში ისინი ვერ მოთავსდებოდნენ. ასევე ჩუხუები პროკურატურისთვის მიცემულ ჩვენებებში აცხადებენ, ოჯახის მასპინძლებმა არ იცოდნენ, მათთან პრეზიდენტი რომ მიდიოდა.

საპირისპიროდ პროკურატურისთვის მიცემული ჩვენებებისა და საპარლამენტო კომისიის გამოკითხვისა, გაზეთ "ასავალ დასავალში" (2007 წლის 2-8 ივლისი, N 27 669) ანატოლი ჩუხუა აცხადებს, რომ იგი კარლო ღურწკაიასთან შეთანხმებული იყო რომ 6-7 კაცს მიიყვანდა პრეზიდენტთან ერთად, რამაც კარლო ღურწკაია აღაფრთოვანა. იგივეს იმეორებს ანატოლი ჩუხუა საპარლამენტო კომისიის გამოკითხვაში.

რობინზონ მარგველანი საპარლამენტო კომისიის გამოკითხვაში აცხადებს, რომ ლუდმილა და კარლო ღურწკაიების სახლი დამატებით არა ორ, არამედ გაცილებით მეტ ადამიანს დაიტევდა.

2. პრეზიდენტის პირადი დაცვის ჩამოცილება[381] და ულტიმატუმი მუშავაში

ამონაწერი ბადრი ზარანდიას პირადი დღიურიდან: "როდესაც მე და ზურა შონია პრეზიდენტს ახალ ადგილსამყოფელში ვეახლეთ, ეს იყო სოფ. მუჟავას ერთერთი დასახლება. პრეზიდენტის დაცვის უფროსი იქ არ დაგვხვდა. ბესარიონ გუგუშვილს ეძინა. პრეზიდენტის ირგვლივ რაც ხდებოდა ყველაფერი მოვახსენე და მას საქართველოდან სასწრაფოდ გაყვანა შევთავაზე. პრეზიდენტმა თანხმობა განაცხადა. ჩვენი საუბრის შემდეგ ბატონ ზვიადს მოვახსენე ჩემი თანამებრძოლების შესახებ, რომ მათ ჰქონდათ საშვები, რომლის გამოყენებაც ჩვენ შეგვეძლო. მოვიდა მთელი ჩვენი საძმო. მთაში ამოვიდნენ გოჩა ოთხოზორია, გია ჭანია ორივე მილიციის თანამშრომელი, გოჩა ხარებავა, ბეჟან წურწუმია, გია და გოჩა სარიები. შეხვედრაზე წავიყვანე ზურაბ შონია, გოჩა ხარებავა, გოჩა სარია, ბესო იზორია. მათ პრეზიდენტს წაუყენეს ულტიმატუმი[382]. პრეზიდენტმა მოუსმინა რა მათ, გადაწყვიტა ჩაბარებოდა ქალაქ ზუგდიდის მილიციის განყოფილებას. პრეზიდენტმა უარი განაცხადა სვანეთის დასახლებაში ასვლაზე, რაც პრეზიდენტის დაცვის უფროსმა შემოგვთავაზა. აგრეთვე უარი თქვა კახეთის მიმართულებით წასვლაზე. ერთადერთი, რაც პრეზიდენტმა დასაშვებად მიიჩნია იყო ხევსურეთში გადასვლა. ერთი სიტყვით, პრეზიდენტმა გადაწყვიტა ან ჩაბარებოდა მილიციის თანამშრომლებს ან მოხვედრილიყო ხევსურეთში, ხოლო გამოზამთრების შემდეგ გადასულიყო გროზნოში. პრეზიდენტის დაცვის ორი წევრიც ვაჟა ჭინჭარაული და ირაკლი გოგაძე გააცილა წალენჯიხელმა სოფ. ჯგალში მცხოვრებმა გვარდიელმა, რომელიც უკან უნდა დაბრუნებულიყო, მისი ვინაობა ცნობილი იყო ბუთხუზ ხარჩილავასთვის, მაგრამ პრეზიდენტის დაცვის წევრების წაყვანის შემდეგ ის ბანაკში აღარ დაბრუნებულა."

---

381 „ჩამოცილება" სიცრუეა, დეზინფორმაცია და ფალსიფიკატია და შემდგომ მოდის ამ ფალსიფიკატზე დაფუძნებული ზედნაშენი ფალსიფიკატები და დეზინფორმაციები...

382 უზუსტო ტერმინია, ნაკლებგანათლებული ადამიანის ნახმარი, რომელმაც ამ სიტყვის მნიშვნელობა არ იცის. სინამდვილეში ზ.გამსახურდიასადმი ეს იყო შეთავაზებები, სავალდებულო აღსრულების პირობის გარეშე რაც დამახასიათებელია ულტიმატუმისთვის. არავის ზ.გამსახურდიასთვის „ულტიმატუმი" არ წაუყენებია. იყო მხოლოდ საქართველოდან გასვლის შეთავაზებები და გასვლის გზების შესაძლებლობების განხილვა. შევარდნაძის ძალაუფლებისგან „ულტიმატუმი" რომ ყოფილიყო, ეს იმას ნიშნავდა რომ შევარდნაძე დაინტერესებული იყო ზ.გამსახურდიას საქართველოდან უვნებლად გასვლით.

არსენ მესხიას 2010 წლის 5 ნოემბრის საპარლამენტო კომისიის გამოკითხვით, პრეზიდენტი და ბესარიონ გუგუშვილი მუჟავის ბანაკში მოიყვანა ქარდავამ (მეტსახელად "სმერტნიკამ"). პრეზიდენტს თან ახლდა **მხოლოდ** ბესარიონ გუგუშვილი[383]. პრეზიდენტმა 4-5 დღე აქ იცხოვრა, როდესაც პრეზიდენტი ჭყეპზენის მთებში ადიოდა, იმ დღეს შეუერთდა პრეზიდენტს პირადი დაცვა. ისინი ჩქვალერში იყვნენ დარჩენილები და ფაზა ქარდავამ მოიყვანა. არსენ მესხიას თქმით, ვაჟა ჭინჭარაული და ირაკლი გოგაძე მუჟავის ბანაკიდან მოსვლის დღესვე პრეზიდენტმა რაღაც კონკრეტული დავალებით სადღაც გააგზავნა. ისინი მას შემდეგ აღარ უნახავთ. ვაჟა ჭინჭარაული და ირაკლი გოგაძე ბადრი ზარანდიას ბანაკში არც ერთი დღე არ ყოფილან, რაც პრეზიდენტის დაცვის მიერ შეგნებულად არის მოგონილი.

ანატოლი ჩუხუას 2010 წლის 27 ოქტომბერს საპარლამენტო კომისიის გამოკითხვით, პრეზიდენტის დაცვის უფროსმა რობინზონ მარგველანმა მას უთხრა, რომ როდესაც დასჭირდებოდა ჯიხაშკარში პრეზიდენტის დაცვის დატოვებული ორი წევრი, თავად ჩავიდოდა ფეხით და მათ გადაიყვანდა.

რობინზონ მარგველანის 2010 წლის 16 სექტემბრის საპარლამენტო კომისიის გამოკითხვით, როდესაც პრეზიდენტი და თანმხლები პირები ღურწკაიების სახლში მივიდნენ და ნახეს იქ ორსართულიანი სახლი, მათ განუცხადეს ანატოლი და ზაურ ჩუხუებს, რომ იქ ადგილი საკმარისზე მეტი ყოფილა და პირადი დაცვის ორი წევრი წინა მასპინძელთან, ჯიხაშკარში რატომ დაატოვებინეს. მარგველანის თქმით, ანატოლი და ზაურ ჩუხუები მათ დაპირდნენ დარჩენილი დაცვის ორი წევრის მეორე დღესვე გადმოყვანას, მაგრამ ხან რას იმიზეზებდნენ და ხან რას. დაცვის ბიჭები არც მეორე დღეს არ გადაუყვანიათ და არც მესამე დღეს, ხოლო შემდეგ ანატოლი ჩუხუა საერთოდ აღარ გამოჩენილა, ეს მაშინ, როდესაც დარჩენილი დაცვის ორი წევრის გადაყვანას არაერთგზის კატეგორიულად მოითხოვდა პრეზიდენტი.

ბადრი ზარანდიას **დღიურის**[384] მიხედვით, რობინზონ მარგველანმა პრეზიდენტს შესთავაზა "სვანეთის დასახლებაში" გადასვლა, რომელიც მდებარეობს წალენჯიხის რაიონის სოფ. ჯვრის მახლობლად და ჰქვია ზედა ეწერი. ეს მაშინ, როდესაც აღნიშნული ტერიტორია უკვე დაკავებული ჰქონდათ "მხედრიონის" შენაერთებს. იმავე ბადრი ზარანდიას დღიურში ვკითხულობთ, რომ პრეზიდენტს ასევე შესთავაზეს სვანეთში ასვლა, რაზედაც მან უარი განაცხადა.

ვახტანგ ზარანდიას საპარლამენტო კომისიის გამოკითხვით, როდესაც ის შეხვდა პრეზიდენტის დროებით ჩამოცილებულ დაცვის უფროსს რობინზონ მარგველანს, ამ უკანასკნელმა, ვახო ზარანდიას მოსთხოვა მის მანქანაში მოთავსებული რადიოგადამცემი, რომელიც თავად დაიტოვა. აღნიშნული რადიოგადამცემით შესაძლებელი იყო ბადრი ზარანდიას ბანაკში დამონტაჟებულ რადიოგადამცემთან დაკავშირება[385]. ხსენებულ რადიოგადამცემს რობინზონ მარგველანი და ზაზა ბურჯანაძე ერთი სიტყვითაც არ ახსენებენ არც პროკურატურისადმი მიცემულ ჩვენებებში და არც საპარლამენტო კომისიის გამოკითხვებში.

რადიოგადამცემის არსებობას, თავის საპარლამენტო კომისიის გამოკითხვაში აგრეთვე **ადასტურებს კახა მოლაშხია**[386], რომელიც აცხადებს, რომ პრეზიდენტის გარდაცვა-

---

[383] **დამახასიათებელი მტკნარი სიცრუე**. ამ პერიოდში ზ.გამსახურდიას და ბ.გუგუშვილს იცავდნენ **გვანცელაძე და კეკენაძე**...

[384] ბ.ზარანდიას მოგონებებზე დაფუძნებულ ჩანაწერებს, ზუსტადაც რომ მოგონებებს კომისია აქ კვლავ სპეკულაციურად „დღიურად" მოიხსენიებს.

[385] იმ დროისთვის რომელიც აქაა აღწერილი ბ.ზარანდიას ბანაკი აღარ არსებობდა და აღარც ბანაკის **საბარგო მანქანაში** (და არა „**ბანაკში**") ჩამონტაჟებული რადიოგადამცემი. მით უმეტეს რომ კომისიას არავითარი დაზუსტებული ინფორმაცია არ გაჩნია რა რადიოგადამცემი ჰქონდა ვ.ზარანდიას მანქანაში (ტიპი, მარკა), შეეძლო თუ არა ამ რადიოგადამცემს აკუმულატორის გარეშე მუშაობა და ასე შემდეგ. მოკლედ – მორიგი უსაფუძვლო მონაჭორი და ზღაპარი. ყველაზე უფრო ნიშანდობლივია რომ რაიმე **რადიოგადამცემის რეალური გამოყენების შესაძლებლობის ფაქტი, მიზანი** კომისიის მიერ ვერ დასტურდება!

[386] კომისიის ბინძური ნამუშევრის კიდევ ერთი მაგალითი: ტექსტიდანვე ჩანს, რომ კახა მოლაშხია ვერაფერსაც ვერ „ადასტურებს" — იგი „გაფუჭებული ტელეფონის" პრინციპით მხოლოდღა გადმოსცემს მისი ერთ–ერთი ნათესავის მონათხრობს. საკუთრივ ეს ნათესავი კი კომისიას არ გამოუკითხია. ისევ,

ლების შემდეგ, როდესაც პრეზიდენტის თანმხლები პირები სოფ.ნაკიფუში იმყოფებოდნენ, **მისმა ერთ - ერთმა ნათესავმა დააფიქსირა,** მისსავე სახლთან, **როგორ ესაუბრებოდნენ უცნობ პირს რადიოგადამცემით რობინზონ მარგველანი და ბესარიონ გუგუშვილი.**[387]

3. პრეზიდენტის ჯიხაშკარიდან ძველ ხიბულაში გადაყვანის მიზეზი[388]

1993 წლის 22 დეკემბრიდან 28 დეკემბრის ჩათვლით, პრეზიდენტი, სოფელ ჯიხაშკარში, ჯონსონ კვარაცხელიას სახლში იმყოფებოდა. ოჯახის მასპინძლის, ჯონსონ კვარაცხელიას 2010 წლის 27 მაისის საპარლამენტო კომისიის გამოკითხვით, **პრეზიდენტი მის ოჯახში გამოზამთრებას აპირებდა, რისთვისაც პრეზიდენტმა გარკვეული თანხა შესთავაზა კვარაცხელიას საკლავისა და საკვები პროდუქტების შესაძენად.**[389]

გულიკო ტიბუას პროკურატურის 1999 წლის 15 თებერვლის დაკითხვის თანახმად 1993 წლის დეკემბრის ბოლოს გულიკო ტიბუა, გუჯუჯი ებრალიძის თხოვნით წავიდა სოფ. ქაქვინჭში ზაურ და ანატოლი ჩუხუებთან და სთხოვა, რომ მოეძებნათ შედარებით უსაფრთხო ადგილი პრეზიდენტის გადასაყვანად.

ზაურ ჩუხუას 2010 წლის 27 ოქტომბრის საპარლამენტო კომისიის გამოკითხვით, მასთან გულიკო ტიბუა მივიდა 1993 წლის 25 დეკემბერს. ამის შემდეგ ზაური და ანატოლი

ყველაზე უფრო ნიშანდობლივია რომ რაიმე **რადიოგადამცემის რეალური გამოყენების შესაძლებლობის ფაქტი, მიზანი** კომისიის მიერ ვერ დასტურდება!

387 ასე ხდება ბუზის კამბეჩად გაბერვა! არავითარი რადიოგადამცემი მოწყობილობა თვითმკვლელობის მოწმეებს არ გააჩნდათ — მტკნარი ტყუილი და ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფი. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ კვლავ ადგილი აქვს შეუმოწმებელი და შეუმოწმებადი სხვისი მონათხრობის სარწმუნო წყაროდ მოტანის მცდელობას (კ.მოლაშხია ყვება ვიღაც ნათესავის მონაჭორს). – იმ ოჯახში სადაც აღნიშნულ დროს ვიყავით, როგორც ბუნდოვნად მახსოვს, ჰქონდათ ბატარეებზე მომუშავე ტრანზისტორული რადიომიმღები ე.წ. „სპიდოლა“, რომლის ჩართვაც რამდენჯერმე მოხერხდა ახალი ამბების გასაგებად (შემდეგ ბატარეები „დაჯდა“ და რადიომიმღებიც საბოლოოდ დადუმდა) – რადგანაც ელექტროენერგიის უქონლობის გამო უმეტესწილად ვერც ტელევიზიას ვუყურებდით და არც ქსელური რადიო არ მუშაობდა.

388 კომისიის დასკვნის ეს განყოფილება უდავოდ ყველაზე სულელური და ბრიყვულია – ამ თვალსაზრისით კომისიისა და საქართველოს პარლამენტის სახეა.

389 კომისიისთვის ზ.გამსახურდიას ჯგუფის მიერ ჯიხაშკარის დატოვების მიზეზი გ.ებრალიძისა და ვ.ზარანდიას დაპატიმრების ამბის გაგების შემდეგ თითქოს გასაკვირი არ უნდა იყოს. მით უმეტეს, როდესაც კომისიის ამავე დასკვნის პირველ თავში უწერიათ „**პრეზიდენტი გრძნობდა რა მდევრის სიახლოვეს სამეგრელოს ტერიტორიაზე, პრაქტიკულად ყოველი მომდევნო დღის შემდეგ იცვლიდა ადგილსამყოფელს**“. და — ასეთ ვითარებაში რატომღაც ზ.გამსახურდიას მანც და მაინც ჯ.კვარაცხელიას ოჯახში განუზრახავს „გამოზამთრება“.

მაგრამ ეს კომისიის მხოლოდ ერთი მცირე ხრიკია — მისსავე მეორე შუალედურ დასკვნაში უწერიათ: «ვახტანგ ზარანდიამ, რომელმაც ზვიად გამსახურდია 1993 წლის დეკემბერში კონსპირაციულად გადაიყვანა 2 ახალ სახლში, კერძოდ, ჯაღრასა და ჯიხაშკარში, განაცხადა შემდეგი: 1) პრეზიდენტს მისთვის გაუმხელია ძველი სამხედრო საბჭოს სრული შემადგენლობით დათხოვნის ფაქტი – იგულისხმება ვახტანგ – ლოთი ქობალია და მისი პირადი შემადგენლობა - და მის მიერ ახლად დანიშნული სამხედრო საბჭო, ასევე ახალი ტაქტიკის მონახაზი.» შემდეგ კომისია ღრმაზროვან და ბრძნულ დასკვნას აკეთებს: «**აქედან ჩანს, რომ პრეზიდენტს მკაფიო სამოქმედო გეგმა ჰქონდა, თავისი გაწერილი ვადებით, რომლის განხორციელებასაც ფიქრობდა გაზაფხულის დადგომისთანავე.**» და აგრძელებს: «ამასვე ადასტურებს თავის ჩვენებაში მოწმე ჯონსონ კვარაცხელიაც, რომლის სახლში დარჩენასაც პრეზიდენტი გაზაფხულამდე გეგმავდა.» შეკითხვები: იმ სავალალო და უსუსურ მდგომარეობაში, რომელშიც ყველასგან მიტოვებული და თითებზე ჩამოსათვლელი თანმხლებების ამარად დარჩენილი ზ.გამსახურდია აღმოჩნდა 1993 წლის დეკემბერში - მიაჩნია თუ არა კომისიას საღ და რეალისტურ აზრთან დაახლოებულად ზემოთნახსენები „დათხოვნები“ და „დანიშვნები“? რამდენადაა საღ და რეალისტურ აზრთან დაახლოებული შეიარაღებული მამაკაცების ჯგუფის, მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ერთ სახლში რამდენიმე თვე შეუმჩნევლად გაჩერება - ინტენსიური ძებნის ვითარებაში (მაშინ, როდესაც მანამდე ყოველ 2-4 დღეში ერთხელ იცვლიდა ბინას უსაფრთხოებისთვის) – მით უმეტეს ისეთ ბინაში, რომელიც თვით კომისიის აზრით უკვე „გაყიდული“ იყო გ.ებრალიძის მიერ? რამდენადაა საღ და რეალისტურ აზრთან ახლოს 1994 წლის გაზაფხულზე ზ.გამსახურდიას მიერ „ახალი ტაქტიკით“ „ძმათამკვლელი სამოქალაქო ომის“ განახლების გეგმა? კოკო და მისი კომისია (განსაკუთრებით ვითომ-ზვიადისტობა) ვერ ხვდება, რომ ზ.გამსახურდიას მიერ აღნიშნული „მოხსნა-დანიშვნებისა“ და „ძმათამკვლელი სამოქალაქო ომის“ განახლების მოტივისა და სხვა მსგავსი მონაჭორების კომისიის დოკუმენტში შეტანითა და საჯარო გავრცელებით ისინი სასტიკ მორალურ ზიანს აყენებენ პრეზიდენტ ზ.გამსახურდიას და ამითი მთლიანად ლეგიტიმურ ხელისუფლებას – თუ, განგებ, სპეციალურად და ბოროტი განზრახვით აკეთებენ ამას?

ჩუხუები წავიდნენ სოფ. ჯიხაშკარში, ჯონსონ კვარაცხელიას სახლში. ზაურ ჩუხუა ესაუბრა პრეზიდენტს, რომელმაც განუმარტა, რომ ავად იყო და ჭიშკრამდე მისვლასაც კი ვერ შეძლებდა. ამ მიზეზით პრეზიდენტმა უარი განაცხადა ადგილსამყოფლის შეცვლაზე.

აქვე აღსანიშნავია, რომ ოჯახის მასპინძელი ჯონსონ კვარაცხელია, 2010 წლის 27 მაისს, საპარლამენტო კომისიის გამოკითხვაში აცხადებს, რომ ანატოლი და ზაურ ჩუხუები თავისი სახლის ეზოშიც კი არ შეუშვა, იმ მოტივით, რომ მასთან უკვე სტუმრად აღარავინ იმყოფებოდა, ამის შემდეგ ანატოლი და ზაურ ჩუხუებმა უთხრეს: "ჩვენ ვიცით სახლში ვინც გყავს და მას თუ რამე დასჭირდეს, უთხარი, რომ ჩვენ აქ ვართ".

1993 წლის 28 დეკემბერს, ჯონსონ კვარაცხელიას საპარლამენტო კომისიის გამოკითხვით, მის სახლში ისევ მივიდნენ ანატოლი და ზაურ ჩუხუები. ზაურ ჩუხუამ უთხრა: გუჯუჯი ებრალიძემ გამომაგზავნა და მითხრა, ეს ადგილი გაცემულია და პრეზიდენტი ჯონსონის სახლიდან უნდა გადაიყვანო. ისეთი ადგილი შევარჩიე, კაციშვილი ახლოს არ ცხოვრობს და თავისუფლად შეძლებთ სახლის ეზოში გამოსვლას. პრეზიდენტს ჯონსონ კვარაცხელიას სახლიდან წასვლა არ უნდოდა და ჯონსონისთვის უთქვამს: "შენი სახლიდან მაგდებ ბიჭო"?

ვიდრე პრეზიდენტი ჯონსონ კვარაცხელიას სახლში მივიდოდა, ჯონსონ კვარაცხელიას გუჯუჯი ებრალიძის ნათესავი შეხვდა და პრეზიდენტის სტუმრობა მიულოცა. ვიდრე პრეზიდენტი ჯონსონ კვარაცხელიას სახლში მივიდოდა, ეს ამბავი უკვე წინასწარ იყო გახმაურებული.

ჯონსონ კვარაცხელიასთან პრეზიდენტის ყოფნის დროს სტუმრობდნენ ვახო ზარანდია - მისი მეგზური სოფ. ჯაღრიდან სოფ. ჯიხაშკრამდე და გუჯუჯი ებრალიძე. კვარაცხელიას თქმით, პრეზიდენტის სხვა ადგილას, მისი სახლიდან გადაყვანის მიზეზად ზაურ და ანატოლი ჩუხუებმა შემდეგი ინფორმაცია დაასახელეს, ვითომ ვახო ზარანდია დაიჭირეს, თუ თავად ჩაბარდა ზუგდიდის პოლიციას, ხოლო გუჯუჯი ებრალიძე დაკავებული იყო უშიშროების სამსახურის მიერ. ჯონსონ კვარაცხელიას ცნობით გუჯუჯი ებრალიძე მხოლოდ სამი საათით დააკავეს. იგი უშიშროებიდან პირადი თავდებით გაათავისუფლა აფხაზეთის უშიშროების თანამშრომელმა გია მხეიძემ, რომელიც დღე და ღამ მასთან იყო, რადგან მფარველობდა გუჯუჯი ებრალიძეს. ყოველივე ზემოთქმული ეყრდნობა ჯონსონ კვარაცხელიას 2010 წლის 27 მაისს დროებითი საპარლამენტო კომისიის გამოკითხვას[390].

რობინზონ მარგველანმა 1993 წლის 25 დეკემბერს, როდესაც შეიტყო ჭიშკართან ზაურ და ანატოლი ჩუხუების მისვლა, მისივე 2010 წლის 16 სექტემბერს, საპარლამენტო კომისიის გამოკითხვით, მასპინძელს უსაყვედურა, თუ რატომ გაუშვა ამ უკანასკნელმა ზაურ და ანატოლი ჩუხუები, ისინი სანდო ხალხი არიანო.

ჯონსონ კვარაცხელიას საპარლამენტო კომისიის გამოკითხვის მიხედვით, პრეზიდენტი მისგან დაუკითხავად მიასვენეს მის ოჯახში და შემდეგ მისსავე ეზოში დაკრძალეს. ამის შემდეგ, რამდენიმე დღეში, გუჯუჯი ებრალიძემ და მისმა თანმხლებმა პირებმა დაიჟინეს, რომ გარდაცვლილი პრეზიდენტი უნდა გადავასვენოთ, რადგან მისი ცხედრის მოტაცების საფრთხე არსებობსო. გია მხეიძემ კი, ჯონსონ კვარაცხელია (ამ უკანასკნელის ცნობით) თავისთან დაიბარა და დახმარება შესთავაზა.

გოჩა კეკენაძე 2004 წლის 13 მარტს და რობინზონ მარგველანი 1997 წლის 22 თებერვალს პროკურატურის დაკითხვებში აცხადებენ, რომ გარდაცვლილი პრეზიდენტის საფლავის ადგილმდებარეობით დაინტერესებული იყო აფხაზეთის უშიშროების ოფიცერი გია მხეიძე.

პრეზიდენტი როდესაც გადაიყვანეს ჯონსონ კვარაცხელიას სახლიდან კარლო ღურწკაიას სახლში, დარჩენილ პრეზიდენტის დაცვის ორ წევრთან ზაზა ბურჯანაძესთან და გოჩა კეკენაძესთან, მივიდა პრეზიდენტის წინა მასპინძელი ანზორ მებონია სოფელ ჯაღრიდან და უთხრა მათ, რომ პრეზიდენტმა ისინი თითქოსდა მიატოვა. მანვე პირადი დაც-

---

390 ასეთ, აქ აღწერილ პირობებში, როდესაც წამ–და–უწუმ აკავებდნენ და იჭერდნენ ისეთ ადამიანებს, რომლებმაც იცოდნენ ზ.გამსახურდიას ჯიხაშკარში კვარაცხელიას სახლში ყოფნა — რა გასაკვირია, რომ ზ.გამსახურდია ამ ბინას უკვე საშიშად თვლიდა („გაყიდულად") და ადგილის გამოცვლაზე ზრუნავდა?

ვის წევრებს სთხოვა იარაღის ჩაბარება და შესთავაზა სენაკამდე გაცილება. გოჩა კეკენაძის 2004 წლის 13 მარტს მიცემული ჩვენებით ეს 1993 წლის 30 დეკემბერს მოხდა.

აქ საყურადღებოა ერთი გარემოება: პრეზიდენტის კარლო ღურწკაიას სახლში გადაყვანის შემდეგ, ზაურ და ანატოლი ჩუხუების თქმით, უკვე გაცემულ ჯონსონ კვარაცხელიას სახლში[391] რამდენიმე დღით დატოვეს პრეზიდენტის პირადი დაცვის ორი წევრი, აგრეთვე პრეზიდენტის გარდაცვალების შემდეგ ჯონსონ კვარაცხელიას "გაცემულ" სახლში ხუთი დღით დარჩა პრეზიდენტის პირადი დაცვის უფროსი რობინზონ მარგველანი და პრეზიდენტის პირადი დაცვის წევრი გოჩა კეკენაძე.[392]

აგრეთვე ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი გარემოება, საიდან იცოდა ანზორ მებონიამ პრეზიდენტის ადგილსამყოფელი, მაშინ როდესაც თვით პრეზიდენტის პირადმა დაცვამაც კი არ იცოდა, თუ რომელ სოფელში და ვის ოჯახში გადაჰყავდა ვახტანგ ზარანდიას პრეზიდენტი (საპარლამენტო კომისიისათვის 19 ნოემბერს მამრიკო ზარანდიას გამოკითხვით).

მოცემულ საქმეზე პროკურატურას გუჯუჯი ებრალიძე არ დაუკითხავს. პროკურატურას ეს შეეძლო განეხორციელებინა 1997 წლიდან 2001 წლამდე, ანუ ებრალიძის გარდაცვალებამდე. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების შემდეგ გუჯუჯი ებრალიძე დანიშნეს სოფელ ჯიხაშკარის გამგებლად, რომელიც ამ თანამდებობაზე გარდაცვალებამდე დარჩა.

4. პრეზიდენტის სოფ. ჯიხაშკარიდან ძველ ხიბულაში გადაყვანის გარემოებები [393]

რობინზონ მარგველანის 1997 წლის 20 თებერვალს პროკურატურისადმი მიცემული ჩვენების მიხედვით, ისინი ჯიხაშკარიდან ძველი ხიბულის მიმართულებით გვიან ღამით გავიდნენ. ეს მოხდა 26 თუ 27 დეკემბერს, ღამით. საათს ვერ იხსენებს. აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მარგველანი 1997 წლის 20 თებერვალს პროკურატურის მიერ წარმოებულ დამატებით დაკითხვაში ვერ იხსენებს ბოლო მასპინძლის, იმ ოჯახის მასპინძლის გვარსა და სახელს, სადაც აღესრულა პრეზიდენტი და თავად რობინზონ მარგველანმა, მისივე თქმით, 4 დღე გაატარა. მასპინძელ კარლო ღურწკაიას რობინზონ მარგველანი მოიხსენიებს როგორც ვინმე "ლადოს", ან "ვალიკოს" [394].

შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძე 2004 წლის 26 აპრილს პროკურატურის ჩვენებაში სოფელ ჯიხაშკარიდან გასვლის დროს არ ასახელებს[395], კარლო და ლუდმილა ღურწკაიების სახლში მისვლის დროს ასახელებს ღამის თორმეტ საათს, ან უფრო გვიან.

---

[391] აქ კომისია საკუთარ იმ მოსაზრებას ეწინააღმდეგება, თითქოს ზ.გამსახურდია ჯ.კვარაცხელიას სახლში რამდენიმე თვის განმავლობაში დარჩენას ანუ „გამოზამთრებას", გაზაფხულამდე დარჩენას აპირებდა.

[392] ამ დროისთვის უკვე ცნობილი იყო, რომ ზ.გამსახურდია დაიღუბა, გროზნოსა და თბილისს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკება ცხედრის გროზნოში გადასვენებაზე — ხოლო ინტერესი მისი თანმხლებების მიმართ არსებითი და ძლიერი აღარ იყო. — ფაქტობრივად აღარავის აინტერესებდა ზ.გამსახურდიას „ვიღაც" მცველები!. — ძნელი მისახვედრი და წარმოსადგენია? — სად ზ.გამსახურდიას შეპყრობა და სად გოჩა კეკენაძის...

[393] კომისიის მიერ გაყალბების მცდელობის კიდევ ერთი მაგალითი — მოწმეების სახვადასხვა დროს და სხვადასხვა ასპექტში გამოთქმული მონათხრობებით უონგლიორობისა და ფაქტების მანიპულირებისა — რათა რაიმე „ხელმოსაჭიდი" მოიპოვონ. ამასთანავე — ჯიხაშკარიდან ძველ ხიბულამდე მგზავრობის ვერც ერთ ვერსიას ვერ იყენებენ იმისათვის, რათა მიუსადაგონ იგი მკვლელობის ვერსიას. **ძალზე არსებითია, რომ კომისია არც ერთხელ და არასდროს არ დაინტერესებულა იმითი, მოწმეების მიერ მითითებული დრო (საათი) ეფუძნებოდა თუ არა რაიმე ხელსაწყოს, ინსტრუმენტის (ანუ საათის, ტელევიზიის, რადიოს) ჩვენებებს თუ „შეფასებითი", „მოსაზრებითი", „მიახლოებითი" იყო.**

[394] იმ დროსა და იმ სიტუაციებში რომელშიც გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი და მძიმედ ავადმყოფ ზ.გამსახურდიას თანმხლები ჯგუფი იყო — ის რასაც კომისია ეკითხება მაგალითად მარგველანს — აბსოლუტურად მეათეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა და სწორედ ამდენად არც დასამახსოვრებლად ღირდა — ამ საკითხებზე ბუნებრივ გარემოებას კომისია ბუზიდან კამეჩად ბერავს — ოღონდ კი ეჭვები გააბუქოს მოწმეების მიმართ.

[395] „არ ასახელებს" რას ნიშნავს? მალავს? თუ არ ახსოვს?

ზაური ჩუხუა 1999 წლის 10 თებერვალს პროკურატურის ჩვენებაში, დროს საერთოდ ვერ ასახელებს და ამბობს, რომ ჯიხაშკარიდან ძველ ხიბულამდე მისასვლელად მხოლოდ 20 წუთი დასჭირდათ.

ანატოლი ჩუხუა 1999 წლის 12 თებერვალს პროკურატურის ჩვენებაში სოფ. ჯიხაშკარიდან გასვლის დროს ასახელებს 23-24 სთ-ს, რიცხვს არ ასახელებს, ხოლო ძველ ხიბულაში მისასვლელად თუ რა დრო დასჭირდათ, არ აკონკრეტებს.

ჯონსონ კვარაცხელია 1999 წლის 12 თებერვალს პროკურატურის ჩვენებაში მისი ოჯახიდან პრეზიდენტის ჯიხაშკრიდან ძველი ხიბულის მიმართულებით გასვლის არც საათს და არც რიცხვს არ უთითებს.

ზაზა ბურჯანაძე და გოჩა კეკენაძე 2004 წლის 13 მარტის და 2004 წლის 3 მაისის პროკურატურის ჩვენებებში აღნიშნულთან დაკავშირებით არაფერს ამბობენ.

გოჩა კეკენაძე 2010 წლის 4 მარტს საპარლამენტო კომისიის გამოკითხვაში უკვე უთითებს მისთვის მანამდე უცნობ პრეზიდენტის სოფელ ჯიხაშკარიდან ძველ ხიბულაში გადასვლის თარიღს, იგი აღნიშნავს, რომ გასვლის დრო იყო 26 დეკემბრის ღამის საათები.[396]

ზაზა ბურჯანაძე 2010 წლის 14 აპრილს საპარლამენტო კომისიის გამოკითხვაში მისთვის მანამდე უცნობ პრეზიდენტის სოფ. ჯიხაშკარიდან ძველ ხიბულაში გადაყვანის თარიღს იხსენებს და ამბობს, რომ 27-28 დეკემბერი, ხოლო დრო, მისი თქმით, იყო ოცდაოთხ საათს (ანუ, შუაღამეს) გადაცილებული.

ზაურ ჩუხუა 2010 წლის 27 ოქტომბერს საპარლამენტო კომისიის გამოკითხვაში პრეზიდენტის სოფელ ჯიხაშკარიდან ძველ ხიბულაში გადაყვანის თარიღს უკვე იხსენებს და ამბობს, რომ ეს იყო 27 დეკემბერი, ღამის საათები. ეს ფაქტი ზაურ ჩუხუას არ დაუფიქსირებია პროკურატურისთვის მიცემულ ჩვენებაში.

ანატოლი ჩუხუა 2010 წლის 27 ოქტომბრის საპარლამენტო კომისიის გამოკითხვაში პრეზიდენტის სოფელ ჯიხაშკარიდან ძველ ხიბულაში გადაყვანის თარიღს უკვე იხსენებს და ამბობს, რომ ეს იყო 27 დეკემბერი, ხოლო ნაცვლად 23-24 საათისა, რომელიც პროკურატურისთვის მიცემულ ჩვენებაში დააფიქსირა, ამბობს, რომ შებინდებული იყო.

ჯონსონ კვარაცხელია 2010 წლის 27 მაისის საპარლამენტო კომისიის გამოკითხვაში პრეზიდენტის ჯიხაშკარიდან ძველ ხიბულაში გადაყვანის თარიღად, **განსხვავებით პროკურატურისათვის მიცემული ჩვენებისაგან,** ასახელებს 28 დეკემბერს, დაახლოებით, 18 საათს და ამბობს, რომ ჯერ კიდევ ბუნებრივი ნათება იყო და ჩანდა თუ ხალხი მინდორზე როგორ გადაადგილდებოდა.

კარლო ღურწკაია 1993 წლის 27 დეკემბერს პროკურატურისთვის მიცემულ ჩვენებაში პრეზიდენტის სოფელ ჯიხაშკარში მასთან, მისვლის თარიღს ასახელებს 27 დეკემბრის დაახლოებით 22 საათს, ანალოგიურ თარიღსა და დროს აფიქსირებს კარლოს მეუღლე ლუდმილა აბშილავა.

კარლო ღურწკაია 1999 წლის 5 თებერვალს პროკურატურისთვის მიცემული ჩვენების აღნიშნულ ნაწილს უცვლელად იმეორებს საპარლამენტო კომისიის გამოკითხვაში.

კარლო ღურწკაიას ვაჟი ნუკრი ღურწკაია 2010 წლის 5 ნოემბერს საპარლამენტო კომისიის გამოკითხვაში პრეზიდენტის მათთან მისვლის თარიღად ასახელებს 27-28 დეკემბერს, ხოლო დროდ – 19-20 საათის შემდეგ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ დაკითხულა ჯონსონ კვარაცხელიას ქალიშვილი, რომელიც ამ დროს შინ იმყოფებოდა. არ დაკითხულან პროკურატურის მიერ აგრეთვე კარლო ღურწკაიას ქალიშვილი და მისი ვაჟი ნუკრი. მათ სახლში ყოფნას ოჯახის წევრები მალავდნენ. ამის შემდეგ ნუკრი ღურწკაიამ ჩაიდინა სისხლის სამართლის და-

---

[396] აქ კომისია იყენებს მისთვის ხელსაყრელ ბუნდოვან განსაზღვრებას „ღამის საათები“ და არ განმარტავს თუ რას ნიშნავს ეს „ღამის საათები“ – დღე–ღამის ბნელ პერიოდს (რაც ზამთარში 18–19 საათიდან იწყება) თუ დღე–ღამის 24 საათიანი ციკლის საათების რომელიღაც დიაპაზონს (ვთქვათ 22 საათიდან 08 საათამდე).

ნაშაული–მკვლელობა, რომელიც შემდეგ შესაბამისი უწყებების მხრიდან დაკვალიფიცირდა, როგორც აუცილებელი მოგერიება.[397]

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ შეგნებულად არ არის დასმული შეკითხვები პროკურატურის გამომძიებლების მხრიდან და შესაბამისად არ არის გამოკვეთილი პრეზიდენტის გადაყვანის თარიღი და დრო სოფელ ჯიხაშკარიდან ძველ ხიბულაში, რამაც წარმოშვა მოცემულ ჩვენებებსა და გამოკითხვებში დამატებითი შეუსაბამობები და ურთიერთწინააღმდეგობები. წარმოდგენილი პირებიდან, აგრეთვე ვერც ერთი ვერ მიუთითებს თუ ვის გვერდით იჯდა პრეზიდენტი სოფელ ჯიხაშკრიდან ძველ ხიბულაში გადაყვანისას ავტომანქანა "გაზ 24"–ში, რომელიც ეკუთვნოდა ანატოლი ჩუხუას. აგრეთვე აღნიშნული პირები ვერ იხსენებენ გადაადგილებისას მათ განლაგებას ავტომანქანაში.

ზაურ ჩუხუას საპარლამენტო კომისიის 2010 წლის 27 ოქტომბრის გამოკითხვიდან ინტერესს იწვევს ერთი დეტალი, პრეზიდენტის გადაყვანის დროს, როდესაც ვერ მოინახა ადგილი ავტომანქანაში პრეზიდენტის პირადი დაცვის ორი წევრისთვის, როგორ გამოძებნეს ადგილი გულიკო ტიბუასთვის [398].

ზაურ ჩუხუას 2010 წლის 10 ოქტომბერს საპარლამენტო კომისიის გამოკითხვით, მან 1993 წლის 25 დეკემბერს შეიტყო რა გულიკო ტიბუას მეშვეობით პრეზიდენტის სურვილი სხვა სახლში გადასვლის შესახებ, მივიდა ჯონსონ კვარაცხელიას სახლში და ესაუბრა პრეზიდენტს. აქვე, ზაურ ჩუხუა აღნიშნავს, რომ პრეზიდენტი შეუძლოდ იმყოფებოდა, უჩიოდა მუცლის ტკივილს.

ჯონსონ კვარაცხელიას 2010 წლის 27 მაისს საპარლამენტო კომისიის გამოკითხვით, მან ზაურ და ანატოლი ჩუხუები თავისი სახლის ეზოშიც კი არ შეუშვა და განუცხადა, რომ პრეზიდენტი იქ არ იმყოფებოდა. გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, თუ საიდან იგონებს ზაურ ჩუხუა ყოველივე ზემოაღნიშნულს.

ანატოლი ჩუხუას 2010 წლის 10 ოქტომბრის საპარლამენტო კომისიის გამოკითხვით, დაცვის რომელიმე წევრი თუ ამბობდა, რომ საბარგულში ჩასხდებოდნენ და ისე წავიდოდნენ, რადგან მანქანაში ადგილი არ იყო, მას ასეთი რამ არ გაუგონია. ანატოლი ჩუხუას თქმით, მანქანასთან მისულები იყვნენ პრეზიდენტი, ბესარიონ გუგუშვილი, რობინზონ მარგველანი და შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძე. მას იქ მეტი არავინ უნახავს.

2010 წლის 14 აპრილს ზაზა ბურჯანაძის საპარლამენტო კომისიის გამოკითხვით, მათ გადასაყვანად ჯონსონ კვარაცხელიას სახლიდან ძველ ხიბულაში მივიდნენ ზაურ და ანატოლი ჩუხუები ავტომანქანა "გაზ 24"ით. ის და გოჩა კეკენაძე საბარგულშიც კი სხდებოდნენ, მაგრამ პრეზიდენტმა საჭიროდ არ ჩათვალა.

ზაურ ჩუხუა ფილმში "დინების საწინააღმდეგოდ" (იხ. ფილმის I ნაწილი, 2007 წ.) საუბრობს სოფელ ჯიხაშკარიდან ძველი ხიბულისაკენ მიმავალ გზაზე, როდესაც იგი პრეზიდენტთან და მის თანმხლებ პირებთან ერთად გადაადგილდებოდა, რაღაც პიკეტის მსგავს წინაღობაზე: "სოფელიც მოტყუებული იყო, ზოგჯერ ხალხის პიკეტები იყო, ვითომ ხალხი ხეს ჭრიდა და მხედრიონს უკეტავდა გზას. ეს ძალიან ჩაფიქრებული იყო ბინძური სამსახურებიდან, იმიტომ რომ ჩვენ არ გვემოძრავა მანქანით. ხალხმა არ იცოდა და ახლა ხალხს რაა, მაგრამ რომ მივადექით ერთ პიკეტს, ვინ ხართო, ნუ ახლა, მანქანა იცნეს ჩვენ ვართ მეთქი, სხვა არავინ არ არის. ჰო, კარგი, კარგი მიბრძანდით, მიბრძანდითო. მეორე ადგილასაც ასე, შეიძლება ძალიან უნდოდათ, მაგრამ ვერ მოვიდოდნენ ალბათ" [399].

---

[397] ეს ამ ნუკრის კრიმინალურ მიდრეკილებებზე მიუთითებს? მაშინ ზვიად გამსახურდიაზეც შეიძლება ითქვას, რომ რადგან მისი ვაჟი ცოტნე შემდგომ მკვლელობის არაერთი მცდელობის ჩამდენი გახდა და ამისთვის ციხეშიც იჯდა ამიტომ გამსახურდიები საერთოდ სანდოები არ არიან.

[398] იჯდა კია ეს ტიბუა მანქანაში? მე არ მახსენდება და მისი ადგილიც არ იყო, ისედაც ნ–ნი ვისხედით.

[399] ჩუხუას მონათხრობ ამ ეპიზოდში „პიკეტს“ წარმოადგენდა კოცონთან მჯდომი სამი–ოთხი სოფლელი, რომლიდანაც მგონი ერთი იყო სანადირო თოფით შეიარაღებული — ჩუხუას მანქანა არც კი შეუჩერებია და არ მათთან ახლოს არ მიუყვანია და შორიდანვე, ღია ფანჯრიდან გადასძახა რაღაც მეგრულად. შეუჩერებლად განვაგრძეთ გზა. — ზოგადად კომისიას ჯიხაშკარიდან ხიბულაში მგზავრობის პერიპეტიები უზომოდ გაბერილი და გაბუქებული აქვს რათა როგორმე „გადაბას“ ეს ზ.გამსახურდიას დატყვევებას და შემდეგ

2010 წლის 10 ოქტომბერს საპარლამენტო კომისიის გამოკითხვაში ზაურ ჩუხუა იგივეს იმეორებს, თუმცა მეორე პიკეტთან გაჩერებაზე არაფერს ამბობს. ამავე დროს იგი აცხადებს, რომ მანქანა დაახლოებით ოცი ოცდაათი წუთით შეჩერდა იმის გამო, რომ ჩამოვარდა "გლუშიტელი".

რობინზონ მარგველანი საპარლამენტო კომისიის გამოკითხვაში, ახსენებს არა პიკეტს, არამედ სოფლის "ბირჟის" ხალხს. ზაურ ჩუხუამ მანქანაში მსხდომთ განუცხადა, რომ ეს ადამიანები მისი თანასოფლელები იყვნენ. რობინზონ მარგველანის თქმით, მანქანა არ გაჩერებულა, მაგრამ სვლა ოდნავ შეანელა.

შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძე საპარლამენტო კომისიის გამოკითხვით, მანქანის გაჩერებას არც ადასტურებს და არც უარყოფს, მხოლოდ აფიქსირებს, რომ გვერდით არ გაუხედავს.

მამრიკო ზარანდიას საპარლამენტო გამოკითხვის მიხედვით აღნიშნულ პერიოდში "მხედრიონი" და მსგავსი გასამხედროებული შენაერთები გაყვანილი იყო სოფელ ჯიხაშკარიდან და ძველი ხიბულიდან.

კომისიისთვის გაუგებარი რჩება, რა საჭირო იყო ამ შემთხვევაში პიკეტირება მშვიდობიანი მოსახლეობის მიერ, ან რა მიზანს ემსახურებოდა პრეზიდენტისა და მისი თანმხლები პირების მანქანის დროებითი შეჩერება, მით უმეტეს, თუ მოსახლეობისთვის აღნიშნული მანქანა ნაცნობი იყო.

ნანა ზულიაშვილის 2010 წლის 29 დეკემბრის საპარლამენტო კომისიის გამოკითხვით, რომელიც **ეყრდნობა ბესარიონ გუგუშვილის გამონათქვამს არჩილ საჯაიასადმი**[400], პრეზიდენტი მის თანმხლებ პირებთან ერთად მანქანით გადაადგილების დროს გააჩერა შავნიღბიანმა შეიარაღებულმა რაზმმა, სადაც ბესარიონ გუგუშვილი დააკავეს და გადმოიყვანეს მანქანიდან, რის შემდეგაც ის თვალებახვეული წაიყვანეს და ორი დღე მისთვის უცნობ სახლში იმყოფებოდა. როდესაც იგი მიიყვანეს იმ სახლში, სადაც პრეზიდენტი იმყოფებოდა თავისი დაცვის ორ წევრთან ერთად, მას პრეზიდენტი იმდენად შეცვლილი ეჩვენა, ამოცნობა გაუჭირდა. იგი მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაში იყო, ვერ გადაადგილდებოდა და ვერ მეტყველებდა. ბესარიონ გუგუშვილის იქ მისვლიდან მეორე საღამოს პრეზიდენტმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. თარიღი და სოფლის დასახელება დაკონკრეტებული არ არის. კომისიამ ეს ცნობა მხედველობაში მიიღო, თუმცა ის მისი გადამოწმების საშუალებას მოკლებულია.[401]

5. პრეზიდენტის ჩაცმულობა სოფელ ჯიხაშკარიდან ძველ ხიბულამდე მიმავალ გზაზე [402]

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გამოძიების მხრიდან 1994 2004 წლებში, მთავარი მოწმეების მიმართ, არ დასმულა არანაირი შეკითხვა პრეზიდენტის ჩაცმულობის შესახებ, სოფელ ჯიხაშკარიდან ძველ ხიბულამდე მიმავალ გზაზე. რაც აისახა საპარლამენტო კომისიის მიერ წარმოებულ გამოკითხვებში, კერძოდ, ჯონსონ კვარაცხელია 2010 წლის 27 მაისს საპარლამენტო კომისიის გამოკითხვაში მიუთითებს, რომ პრეზიდენტი გავიდა შემდეგი ჩაცმულობით: ორბორტიანი, ნაცრისფერი პიჯაკით, სამხედრო ყურებიანი "უშანკა" ქუდით, პალტო ჩანთაში ედო. ანალოგიურ ჩაცმულობას აღწერს პრეზიდენტის წინა მასპინძლის, სოფ.ჯაღრის მკვიდრის ანზორ მებონიას ძმისშვილი გო-

---

წამებით მოკვლას. — თუმცა ამავე დროს არც ხიბულაში ზ.გამსახურდიას მიპარვით მკვლელობის ვერსია უნდა რომ დათმოს!

400 ტიპობრივი მზაკვრული და ბინძური დეზინფორმაცია — „გუგუშვილის გამონათქვამად საჯაიასადმი" აცხადებენ ვიღაც მესამე პირის მონაჭორს...

401 კვლავ გადაუმოწმებადი, გარდაცვლილი ადამიანის ვითომ მონათხრობის, არსებითად ზღაპრის მოტანის მცდელობა დასაჯერებელ ფაქტად. მეტიც: თითქოს მხოლოდ ამ შემთხვევაშია კომისია გადამოწმების „საშუალებას მოკლებული", როდესაც დასკვნაში ასობით გადაუმოწმებადი ჭორია ჩაქსოვილი.

402 კვლავ მცდელობა ლამის 20 წლის შემდეგ აღადგინონ იმ პერიოდში მოწმეთათვის აბსოლუტურად უმნიშვნელო და ნაკლებად დასამახსოვრებადი ფაქტები. განსაკუთრებით ანეკდოტური და ნიშანდობლივია „**ჩეჩნური ფაფახი**". აქვე ვთქვათ, რომ როდესაც კომისია გაესაუბრა „მის სასარგებლო" მოწმეებს კიტოვახს, სიგუას, გიორგაძეს და სხვა „მოწმეებს" იგი სრულებით არ დაინტერესებულა რაიმე დეტალებით — დროით, ადგილით, სხვა მოწმეებით და ა.შ. — ჩაცმულობა იქით იყოს!

დერძი მებონიაც. ამის საპირისპიროდ, კარლო ღურწკაია 2010 წლის 27 მაისს საპარლამენტო კომისიის გამოკითხვისას მის სახლში პრეზიდენტის მისვლისას მის ჩაცმულობას შემდეგნაირად აღწერს: ტანზე ნაბდის მაგვარი სამოსი ჰქონდა მოსხმული, **თავზე ეხურა ფაფახი, ჩეჩნურის მსგავსი** და ეცვა **მაღალძირიანი** ფეხსაცმელები.

რობინზონ მარგველანი საპარლამენტო კომისიის გამოკითხვაში, აღნიშნულთან დაკავშირებით ამბობს, რომ პრეზიდენტს ეხურა მისი ნაჩუქარი სვანური ქუდი, ხოლო ნაბდის მსგავს სამოსს ის საერთოდ არ ახსენებს.

რობინზონ მარგველანის პროკურატურისადმი მიცემული ჩვენებებიდან ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მას არ უხსენებია ძველ ხიბულაში მდებარე სახლის მეპატრონეები, რომლებმაც პრეზიდენტს ბოლო მასპინძლობა გაუწიეს. პრეზიდენტის თანმხლები პირებისა და ზაურ და ანატოლი ჩუხუების ცნობით ესენი არიან კარლო ღურწკაია და ლუდმილა აბშილავა, ხოლო გამომძიებლის შეკითხვაზე, თუ ვის ეკუთვნოდა ძველ ხიბულაში მდებარე სახლი, რობინზონ მარგველანი კარლო ღურწკაიას ნაცვლად ვიღაც "ლადოს" ასახელებს.

6. პრეზიდენტის გარდაცვალების თარიღი და საათი [403]

პროკურატურისათვის მიცემულ ჩვენებაში, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებითაც არის შეუსაბამობები; კერძოდ, რობინზონ მარგველანი 1997 წლის 20 თებერვალს პროკურატურისათვის მიცემული ჩვენებით პრეზიდენტის გარდაცვალების თარიღად ასახელებს 1993 წლის 31 დეკემბერს, დაახლოებით 01 საათსა და 00 წუთს.

შალვა (ბაზუკი) გვანცელაძის 2004 წლის 27 აპრილს პროკურატურისადმი მიცემული ჩვენებით, პრეზიდენტი გარდაიცვალა 1993 წლის 30 დეკემბერს, გვიან ღამით.

კარლო ღურწკაიას 1999 წლის 5 თებერვალს პროკურატურისათვის მიცემული ჩვენებით პრეზიდენტის გარდაცვალების თარიღია 31 დეკემბრის 01 საათი და 30 წუთი. ხოლო, მისი მეუღლე ლუდმილა აბშილავა 1999 წლის 12 თებერვალს თავის ჩვენებაში იგივე ფაქტს აფიქსირებს 1993 წლის 30 დეკემბრის რიცხვით.

გორა კეკენაძის 2004 წლის 13 მარტს პროკურატურისათვის მიცემულ ჩვენებაში 1993 წლის 29 დეკემბერს მათთან მივიდა უცნობი პიროვნება, სახელად გულიკო, რომელმაც ისინი რობინზონ მარგველანს შეახვედრა. რობინზონ მარგველანმა მათ განუცხადა, რომ პრეზიდენტმა თავი მოიკლა. რამდენიმე საათში გორა კეკენაძე უკვე გარდაცვლილი პრეზიდენტის ადგილსამყოფელში მივიდა. რამდენიმე წინადადების თქმის შემდეგ, გორა კეკენაძის აზრით, ეს მოხდა 1993 წლის 31 დეკემბერს. როგორც ვხედავთ, შეუსაბამობას ადგილი აქვს თვით ერთსა და იმავე ჩვენებაშიც კი.

ზაზა ბურჯანაძის 2004 წლის 3 მაისს პროკურატურისათვის მიცემული ჩვენებით მსგავსად გორა კეკენაძის ჩვენებისა, მათ მოაკითხათ უცხო პიროვნებამ, რომელმაც ისინი გზაში რობინზონ მარგველანს შეახვედრა. აქ მათ შეიტყვეს პრეზიდენტის გარდაცვალება. როდესაც მივიდნენ სახლში, სადაც გარდაცვლილი პრეზიდენტი ესვენა, გადაწყვიტეს, რომ იგი 31 დეკემბერს ჯონსონ კვარაცხელიას სახლში გადმოესვენებინათ. აღნიშნულს ადასტურებს ჯონსონ კვარაცხელია საპარლამენტო კომისიის გამოკითხვაში, რომლის თქმითაც პრეზიდენტის ცხედარი მასთან 31 დეკემბერს მიასვენეს.

მამრიკო ზარანდიას 2010 წლის 19 ნოემბერს საპარლამენტო კომისიის გამოკითხვით, 1993 წლის 30 დეკემბერს დილის 10 საათზე ან 10 საათსა და 30 წუთზე. გულიკო ტიბუამ მამრიკო ზარანდიას პრეზიდენტის თვითმკვლელობის ამბავი შეატყობინა.

---

403 15 თვიანი „მუშაობის" შემდეგ კოკოს კომისიამ მისი მამის სიკვდილის თარიღის დაგდენაც კი ვერ შეძლო — სავალალოა... თუმცა კომისიის მიერ მოწმეთა ჩვენებებისა და გახსენებების ჟონგლიორობისა და მანიპულაციის მიუხედავად — საკმაოდ მტკიცედ იკვეთება, მოწმეთა უმეტესობის მიერ — სიკვდილის თარიღიც და დროც — 30 და 31 დეკემბრის მიჯნა, პლიუს–მინუს 30–60 წუთი — რაც საავსებით დამაჯერებელად და ზუსტადაა აღწერილი და რეალურად არსებულ ისტერიულ, სტრესულ ვითარებაში. ისევ ისე და მერამდენედ — კომისია მოწმეებს არ ეკითხება და არ აფიქსირებს — რის საფუძველზე ასახელებენ ისინი დროს — **საათის ან სხვა ხელსაწყოს ჩვენების შემოწმებაზე**, თუ მხოლოდ მათს ინტუიციაზე....

გაზეთ “პრეზიდენტის” კორესპონდენტის ირანდა კალანდაძის 2010 წლის 12 აგვისტოს საპარლამენტო კომისიის გამოკითხვით, ლუდმილა აბშილავას მონათხრობიდან ისე გამოიკვეთა, რომ პრეზიდენტის მკვლელობა თუ თვითმკვლელობა ძველ ხიბულაში მიყვანის დღესვე მომხდარა.

რობინზონ მარგველანი დროებითი საპარლამენტო კომისიის გამოკითხვით, პრეზიდენტის გარდაცვალების თარიღად ასახელებს 1993 წლის 31 დეკემბერს. იმავე გამოკითხვაში, როდესაც მას უთხრეს, რომ 30 დეკემბერს რუსეთის საინფორმაციო საშუალებებით 19 საათზე უკვე ცნობილი იყო, რომ ზვიად გამსახურდიამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა[404], ამის შემდეგ რობინზონ მარგველანმა გარდაცვალების დღედ უკვე 30 დეკემბერი დაასახელა.

პრეზიდენტის ცხედარი გარდაცვალების მეორე საღამოს ძველი ხიბულიდან ზაურ და ანატოლი ჩუხუების მიერ მოყვანილი “დვშ–ს“ ტიპის ტრაქტორით გადაასვენეს ჯონსონ კვარაცხელიას სახლში, რომელიც სოფელ ჯიხაშკარში მდებარეობს. ტრაქტორს მურთაზ კაჭარავა მართავდა. პრეზიდენტის ცხედარი მეორე დღესვე დაკრძალეს ეზოში. დასაფლავებიდან 5-6 დღეში პრეზიდენტის გვამი ამოასვენეს და გადაასვენეს **ვითომდაც კონსპირაციის მიზნით**[405] ისევ სოფელ ჯიხაშკარის მკვიდრის, ვალიკო ზარანდიას კუთვნილ სახლში. დროებითი საპარლამენტო კომისიის გამოკითხვაში მამრიკო ზარანდია ადასტურებს ამ ფაქტს: მისი თქმით, გადასვენებაში 20-მდე ადამიანი მონაწილეობდა. დროებითი კომისიის მიერ მოპოვებული ინფორმაციით გვამის ე.წ. კონსპირაციულ გადასვენებას [406] ახორციელებდნენ შემდეგი პირები:

რობინზონ მარგველანი	ბუთხუზ ზარანდია
გოჩა კეკენაძე	ზაალ ბაგატელია
იგორ ჯალაღონია	ენვერ ზარანდია
ზურაბ ხარებავა	ენკო ხუბუა
რობერტ ხარებავა	გენადი შონია
პაატა მირცხულავა	გელა შონია
გულიკო ტიბუა	ზურაბ მესხია
ზაურ ტიბუა	რომან კონჯარია
რამინ ხაცავა	მამრიკო ზარანდია
გენული ზარანდია	

7. გარდაცვლილი პრეზიდენტის ჩაცმულობა და მდგომარეობა საწოლში [407]

რობინზონ მარგველანის 1997 წლის 20 თებერვალს პროკურატურისათვის მიცემული ჩვენებით, გარდაცვლილი პრეზიდენტი მწოლიარე მდგომარეობაში იყო, ზედა ტანი ოდნავ წამოწეული ჰქონდა. გადაწოლილი იყო მარცხნივ და თავი საწოლის თავზე ჰქონდა

---

[404] მტკნარი, ბინძური, ბოროტი სიცრუე — ფრიად დამახასიათებელი კოკო გამსახურდიასა და მისი პუტჩისტებით დაკომპლექტებული კომისიისთვის: რუსეთის რომელმა საინფორმაციო საშუალებებმა გამოაცხადეს 30 დეკემბრის 19 საათზე გამსახურდიას თვითმკვლელობა? სადაა შესაბამისი დოკუმენტი?

[405] აქ ტერმინით „ვითომდაც“ კოკოს კომისია შეთქმულებაზე აკეთებს აქცენტს, თითქოს და სულაც არ იყო რეალური ჯ.კვარაცხელიას ბაღში ზ.გამსახურდიას საფლავის შევარდნაძის გამომძიებლების მიერ აღმოჩენა.

[406] კომისია აქ ჯამბაზობს — ვითომც არ იცის, რომ ჩამოთვლითა დიდი უმეტესობა გადასასვენებელი ტერიტორიის შორეულ პერიმეტრს იცავდა და თვალითაც არ დაუნახავს საკუთრივ გადასვენების პროცესი! მათ რომ რაიმე არსებითი ცოდნოდათ ამ გადასვენებაზე, კომისია ამას აუცილებლად „გამოიძიებდა“ და გააპიარებდა.

[407] აქ კომისია ცდილობს ერთ მაჩვენებლამდე დაიყვანოს დასტრესილი მოწმეების მიერ სხვა და სხვა დროს (დაახლოებით 4–5 საათის დიაპაზონში) და სხვა და სხვა ვითარებაში, სხვადასხვა განათებაში დანახული და მათთვის იმ მომენტისათვის ძალზე ნაკლებმნიშვნელოვანი ფაქტები. სავსებით მიჩქმალულია, რომ დროის ამ მონაკვეთში შემსწრეებმა უკვე დაიწყეს მიცვალებულის გაპატიოსნებისთვის სავსებით აუცილებელი ქმედებები — თვალების დახუჭვიდან და ყბის აკვრიდან დაწყებული... — გაასწორეს იგი საწოლში და ასე შემდეგ.

მიდებული, ისე, რომ სახე ოდნავ მობრუნებული ჰქონდა მარცხნივ. მარგველანი გარდაცვლილი პრეზიდენტის ჩაცმულობის შესახებ საწოლში არაფერს ამბობს. მისი თქმით, როდესაც იგი პრეზიდენტთან მივიდა, პრეზიდენტს მარჯვენა საფეთქლიდან სისხლი სდიოდა. მარჯვენა ხელი ჩამოდებული ჰქონდა კალთაზე და ხელში ეჭირა "სტეჩკინის" კონსტრუქციის პისტოლეტი.

შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძის 2004 წლის 27 აპრილის პროკურატურისადმი მიცემული ჩვენებით, **გარდაცვალებამდე რამდენიმე საათით ადრე**[408] პრეზიდენტს ეცვა პიჯაკის შარვალი, მის შიგნით კი სპორტული თბილი შარვალი, ზემოთ ეცვა მონაცრისფრო პერანგი წვრილი, მოთეთრო ფერის ზოლებით, ზემოდან გადაცმული ჰქონდა მუქი ლურჯი ფერის პულოვერი, პიჯაკი არ ეცვა. ფეხზე ეცვა შავი ფერის ქუსლიანი ფეხსაცმელი. შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძემ, როდესაც გაიგონა გასროლის მსგავსი მჭახე ხმა, იგი ფეხდაფეხ მიჰყვა რობინზონ მარგველანს. პრეზიდენტი, რომელიც იწვა თავის ადგილას, ოღონდ ცოტა მაღლა წამოწეული, თავი და ტანის კორპუსი მარცხენა მხარეს ჰქონდა გადაწეული. მარჯვენა "სტეჩკინის" პისტოლეტიანი ხელი დადებული ჰქონდა მუცლის არეში ცოტა ქვემოთ. პისტოლეტი ხელში ეჭირა. მარჯვენა მხარეს საფეთქელთან ეტყობოდა ნატყვიარი და იქიდან სდიოდა სისხლი. ფეხები გამართული ჰქონდა საწოლის გასწვრივ. ფეხსაცმელი არ ეცვა. ნატყვიარის გარშემო ადგილი გაშავებული იყო და მის ახლოს თმაც შესამჩნევად შეტრუსული ჰქონდა. პრეზიდენტს სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა.

ლუდმილა აბშილავას 1999 წლის 5 თებერვლის პროკურატურისადმი მიცემული ჩვენებით მან დაახლოებით ღამის 12 საათზე გაიგონა რაღაც საგნის დავარდნის ძლიერი, ყრუ ხმა. კარლო (მისი მეუღლე) გააღვიძა და უთხრა, რომ ზევით რაღაცა ხდებოდა. ზევიდან შემოესმა პრეზიდენტის თანმხლებ პირთა ყვირილი, ვაიმე დავიღუპეთ, პრეზიდენტმა თავი მოიკლაო. იგი ათ წუთში ზევით ავიდა. ყვირილი გრძელდებოდა. ლუდმილა აბშილავა როდესაც ზედა სართულის ოთახში შევიდა, პრეზიდენტს ხელები და სახე აკრული ჰქონდა. პრეზიდენტი ესვენა თავის ლოგინზე. ტანზე ეცვა შარვალი და პიჯაკი, რამაც ლუდმილას გაკვირვება გამოიწვია, ვინაიდან პრეზიდენტს ლოგინში სპორტული პიჟამა ეცვა. ლუდმილა აბშილავამ მისივე თქმით, დაახლოებით ერთი საათით ადრე პრეზიდენტს ჩაი აუტანა. ბალიში და საბანი ლოგინზე აღარ იყო, თავის ქვეშ ამოდებული ჰქონდა ოჯახის ბიბლიოთეკიდან გადმოღებული წიგნები.

კარლო ღურწკაიას 1999 წლის 5 თებერვალს პროკურატურისათვის მიცემული ჩვენებით, 1993 წლის 31 დეკემბერს 00 საათსა და 30 წუთზე მას მოესმა რაღაც გასროლის ხმა, რომელიც კარადის დაცემის ხმას მიამსგავსა, ამას მოჰყვა ზედა სართულიდან ყვირილი, პრეზიდენტმა თავი მოიკლაო. კარლო ღურწკაიამ მაშინვე აირბინა ზევით და საშინელი სურათი დაინახა. ბიჭებმა კარლოს სთხოვეს, რომ პრეზიდენტი გაეპატიოსნებინა. იგი როდესაც მიუახლოვდა პრეზიდენტის ცხედარს ზვიადი იწვა მარცხენა მხარეს. თავი საწოლის დაფასთან მარცხენა მხრით ჰქონდა დადებული, მარჯვენა ხელი–გაშლილი, გაშვერილი, მარცხენა ხელი კი ტანქვეშ ჰქონდა ამოდებული. პიჯაკი და შარვალი ეცვა. ტანით მთლიანად ლოგინზე იწვა. ფეხებზე მხოლოდ წინდები ეცვა. გასისხლიანებული იყო ბალიში, ლეიბის ნაწილი, ლოგინი, იატაკი. ცხედარი ჯერ კიდევ თბილი იყო. კარლო ღურწკაიამ ხელი თავზე დაადო პრეზიდენტს და იგრძნო თუ როგორ ჩაუვარდა თითი თავის ქალის უკან, მარცხენა ადგილას, სადაც დიდი დაზიანებები აღენიშნებოდა. ძვალი გატეხილი იყო. კარლო ღურწკაია მიხვდა, რომ ეს გამოსასვლელი ხვრელი იყო. დაათვალიერა პრეზიდენტის სახე, წინა მხრიდან, მარჯვენა საფეთქლის მიდამოსთან აღენიშნებოდა დაზიანება, პატარა ზომის ნახვრეტი.

გორა კეკენაძის 2004 წლის 13 მარტს პროკურატურისათვის მიცემული ჩვენებით, როდესაც ის პრეზიდენტთან მივიდა და ზაზა ბურჯანაძესთან ერთად გარდაცვლილს ზეწარი გადახადა, ნახა, რომ პრეზიდენტს **საფეთქელთან კანი გაშავებული,** თავი სულ გა-

---

408 კვლავ დეზინფორმაციისა და ფაქტების გაბუნდოვანება–გაყალბების მცდელობა — ლოგინში ჩაწოლილი გარდაცვლილის ტანსაცმელზე მსჯელობისას იყენებენ ცნობას მის ჩაცმულობაზე რამდენიმე საათით ადრე ზეზეურად ყოფნისას და არა უშუალოდ საწოლში წოლისას და თანაც ეს ისეთ პირობებში ხდება, როდესაც დასახელებული მოწმის დაწვრილებითი გამოკითხვის შესანიშნავი საშუალება გააჩნდა კომისიას.

სისხლიანებული, ხოლო **პირი აკრული ჰქონდა.** იქვე საწოლთან იდო პისტოლეტი "სტეჩკინი". მათივე თქმით ისინი პრეზიდენტის გარდაცვალებიდან ერთ საათში ან საათ–ნახევარში მივიდნენ ბოლო სახლში. რაც შეეხება დროს, იმ დროისთვის ალბათ ღამის ორის ნახევარი, ან სამის ნახევარი იქნებოდა.

ზაზა ბურჯანაძის 2004 წლის 3 მაისს პროკურატურისთვის მიცემული ჩვენებით, ზვიად გამსახურდია იწვა თავის საწოლში გარდაცვლილი, **ზეწარგადაფარებული.** „ტაშტზე" წვეთწვეთად სდიოდა სისხლი, რომელიც ხმას გამოსცემდა. პრეზიდენტს **ხელები და პირი აკრული ჰქონდა.**

წალენჯიხის პრეფექტი, ზურაბ გუჩუა 2004 წლის 7 აგვისტოს პროკურატურისათვის მიცემულ ჩვენებაში ამბობს, რომ როდესაც მას ანზორ მებონიამ პრეზიდენტის გარდაცვალების ამბავი შეატყობინა, იგი დაუყოვნებლივ მივიდა ძველ ხიბულაში. გარდაცვლილი პრეზიდენტი საწოლზე ესვენა. მას **თეთრი მარლით ჰქონდა შეხვეული თავი,** საფეთქლის არეში სისხლიანი გამონაჟონი ეტყობოდა.

რობინზონ მარგველანის 2010 წლის 16 სექტემბერს საპარლამენტო კომისიის გამოკითხვით, როდესაც რობინზონ მარგველანი გარდაცვლილ პრეზიდენტთან მივიდა ნახა, რომ მას სვიტრი ეცვა. პიჯაკი არ ცმია, პიჯაკი იქვე სკამზე იყო ჩამოკიდებული, კვლავ ადასტურებს, რომ პრეზიდენტს ეცვა მწვანე ფერის სვიტერი, რომელიც მან ზუგდიდის ბაზრობაზე უყიდა.

კარლო ღურწკაიას 2010 წლის 27 მაისს საპარლამენტო კომისიის გამოკითხვით, პრეზიდენტს საწოლში ეცვა შარვალი და სვიტრი; აღნიშნული პირდაპირ ეწინააღმდეგება კარლო ღურწკაიას (მისივე) 1999 წლის 5 თებერვლის პროკურატურისადმი მიცემულ ჩვენებას, სადაც იგი ამბობს, რომ გარდაცვლილ პრეზიდენტს ეცვა პიჯაკი და შარვალი.

ნუკრი ღურწკაიას 2010 წლის 5 ნოემბრის საპარლამენტო კომისიის გამოკითხვით, როდესაც იგი პრეზიდენტის საწოლ ოთახში ავიდა დაინახა, რომ პრეზიდენტი იწვა, თავი მაღლა ჰქონდა მარცხნიდან მარჯვნივ, მას სისხლი არ დაუნახავს.

8. პრეზიდენტის თავის ქალაზე შემავალი და გამომავალი ნატყვიარის აღწერილობა და დაზიანება საწოლის დაფაზე [409] [410]

რობინზონ მარგველანის 1997 წლის 20 თებერვალს პროკურატურისათვის მიცემული ჩვენებით, პრეზიდენტს ტყვია მოხვედრილი ჰქონდა მარჯვენა საფეთქელთან და გამოსული იყო მარცხენა ყურის ზედა ნაწილში. გულა ვერ იქნა ნაპოვნი.

შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძის 2004 წლის 27 აპრილს პროკურატურისათვის მიცემული ჩვენებით, პრეზიდენტს პისტოლეტი ხელში ეჭირა. მარჯვენა მხარეს საფეთქელთან ეტყობოდა ნატყვიარი და სდიოდა სისხლი. **ნატყვიარის გარშემო ადგილი გაშავებული იყო და მის ახლოს თმაც შესამჩნევად შეტრუსული ჰქონდა** [411]. გაპატიოსნებისას იგი შემთხვევით წააწყდა გამავალ ჭრილობას, რომელიც მდებარეობდა მარცხენა ყურის ძირში. ტყვიას მოწყვეტილი ჰქონდა ყურის ზედა ნაწილი. ნატყვიარიდან სისხლი სდიოდა, სადაც ჩაუდეს ბამბა. ნატყვიარი დაახლოებით იქნებოდა 45 მმ დიამეტრის. გამომავალი ადგილი როდესაც ვნახეთ, იგი უფრო დიდი იყო, დაახლოებით 2 მმ-ით და იმ ადგილას ტყვიას მოგლეჯილი ჰქონდა ყურის ზედა ნაწილი.

---

[409] კომისიის უდიდესი მცდელობების მიუხედავად ქვემოთ მოხსენებული 9 მოწმიდან 8 ადასტურებს მხოლოდ ერთი ნატყვიარის არსებობას და მხოლოდ ერთი, ცნობილი ცრუპენტელა სოსო თორია (რომელიც ამავე წიგნში მხილებულია სიცრუეში მის მიერ ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში) ადასტურებს ყელზე კიდევ ერთი შემავალი ტყვიის ხვრელის არსებობას.

[410] აქ არის ერთი ძალზე არსებითი ფაქტორი, რომელსაც კვლავ ჩქმალავს და რომელზეც თვალს ხუჭავს კომისია: კერძოდ, ფაქტია, რომ **არავის არ დაუნახავს გასროლისა და ტყვიის მოხვედრის მომენტში იწვა ზ.გამსახურდია ლოგინში**, (თუ იწვა — რა პოზაში იწვა), თუ — **წამომჯდარი იყო ლოგინზე** (და დაეცა–მიწვა უკვე გასროლის, სიკვდილის შემდგომ).

[411] ბ.გვანცელაძის სიტყვების დამამოწმებელ მრავლისმეტყველ მაღალხარისხოვან ფოტოსურათებს გადაღებულს საქართველოს პროკურატურის ფოტოგრაფის მიერ ზ.გამსახურდიას საქართველოდან ჩეჩნეთში გადასვენებისას (იხ. კადრები ვიდეო დოკუმენტიდან ქვემოთ) კომისია ბოროტი განზრახვით ასაიდუმლოვებს და არ აქვეყნებს.

კარლო ღურწკაიას 1999 წლის 5 თებერვლის პროკურატურისადმი მიცემული ჩვენებით, მან გარდაცვლილ პრეზიდენტს ხელი თავზე, რომ დაადო, იგრძნო თუ როგორ ჩაუვარდა თითი, კერძოდ, თავის ქალის უკანა მარცხენა ადგილას, სადაც დიდი დაზიანება აღენიშნებოდა. ძვალი გატეხილი იყო. მიხვდა, რომ ეს გამოსასვლელი ხვრელი იყო. მან პრეზიდენტის სახე წინა მხრიდან დაათვალიერა. მარჯვენა საფეთქლის მიდამოსთან აღენიშნებოდა დაზიანება–პატარა ზომის ნახვრეტი. მასრა შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძე, რობინზონ მარგველანი ან ბესარიონ გუგუშვილი აიღებდა. ზუსტად იცოდა რომ მასრა იპოვეს, ტყვიის გულა კი – ვერა.

გონა კეკენაძის 2004 წლის 13 მარტის პროკურატურისადმი მიცემული ჩვენებით, პრეზიდენტს როდესაც ზეწარი გადახადეს მას **საფეთქელთან კანი ჰქონდა გაშავებული,** ხოლო თავი სულ გასისხლიანებული. თითებით დეტალურად გასინჯეს პრეზიდენტის თავი, მაგრამ ვერსად დაზიანება ვერ აღმოაჩინეს გარდა მარცხენა ყურის არისა, სადაც ტყვიას მრგვლად მოეწყვიტა ყურის ზედა ხრტილი, საიდანაც სდიოდა სისხლი.

ზაზა ბურჯანაძის 2004 წლის 3 მაისის პროკურატურისადმი მიცემული ჩვენებით, მათ როდესაც პრეზიდენტს ზეწარი გადახადეს საფეთქელთან **კანი იყო დამწვარი** და თავი სისხლიანი ჰქონდა. ზაზა ბურჯანაძის განცხადებით მას არასდროს უფიქრია, რომ პრეზიდენტმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მისი თქმით, ის ვარაუდობს, რომ ამ ფაქტის დროს დაცვას ეძინა და თავადაც არ იციან, იქ რა მოხდა.

ანატოლი ჩუხუას 1999 წლის 12 თებერვალს პროკურატურისათვის მიცემული ჩვენებით, პრეზიდენტი ლოგინზე იწვა პიჯაკსა და შარვალში ჩაცმული. მან დაათვალიერა ცხედარი და ნახა შემავალი და გამომავალი დაზიანება. შემავალი იყო მარჯვენა მხრიდან ყურის უკანა ადგილას, ხოლო გასული იყო მოპირდაპირე მხარეს უფრო უკან, თანაც საწოლის დაფაზე აღენიშნებოდა დაზიანების კვალი.

რობინზონ მარგველანის 2010 წლის 16 სექტემბერს საპარლამენტო კომისიის გამოკითხვით, გარდაცვლილ პრეზიდენტს **საფეთქელთან მარჯვენა მხარეს ადგილი ამომწვარი ჰქონდა.** გასროლილმა ტყვიამ პრეზიდენტს ყურის აპწკთან გაუარა და მოწყვიტა ყურის ნაწილი. თავიდან პრეზიდენტს არავითარი დაზიანებები არ ჰქონია. ამოშავებული და ამომწვარი იყო საფეთქელთან ადგილი. ამომწვარი იყო მოყვითალოდ. შემავალი ტყვია "მაკაროვის" იყო. რობინზონ მარგველანის თქმით მისთვის გაურკვეველია სოსო თორიას ნათქვამი პრეზიდენტის ცხედარზე ორი ნატყვიარის შესახებ. გარდაცვლილ პრეზიდენტს იარაღი რობინზონ მარგველანმა აართვა ხელიდან.

შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძის 2010 წლის 4 მარტს საპარლამენტო კომისიის გამოკითხვით, პრეზიდენტის თავის არეში შემავალი ტყვია მარჯვნიდან იყო. გაპატიოსნებისას ნახეს შემავალი ჭრილობა, მაგრამ გამომავალი ჭრილობა ვერსად ნახეს. ცხედრის განბანვის დროს ხელი ყურზე მოუხვდათ, ყურის აპწკიდან აპწკს შორის სისხლმა ამოასხა. ყურის ადგილი პრეზიდენტს მოკვნეტილი ჰქონდა. მიხვდნენ, რომ გამომავალი ჭრილობა იყო ყურის აპწკს შორის. სხვა ვერანაირი ჭრილობა მათ ვერ ნახეს. მასრა ნაპოვნი იქნა. პრეზიდენტის საწოლის დაფაზე იყო რაღაც დაზიანება, რომელიც ამოტკეჩილი იყო დაახლოებით 6-7 მმ–ი. ზომის. შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძის თქმით მას არ უნახავს რომ პრეზიდენტს მიბჯენილი ჰქონოდა იარაღი, მითუმეტეს, მისი გამოკვრისას. ვარსკვლავისებური ანაბეჭდი მას პრეზიდენტის საფეთქელზე არ დაუნახავს[412], **დააფიქსირა მხოლოდ ჩალურჯება.** მისი თქმით "სტეჩკინზე" მაყუჩი არ ყოფილა.

ანატოლი ჩუხუა 2010 წლის 27 ოქტომბრის საპარლამენტო კომისიის გამოკითხვაში მიუთითებს, რომ პრეზიდენტს შემავალი ნატყვიარი მარჯვენა საფეთქლიდან ჰქონდა, ხოლო გამომავალი იყო მარცხენა კეფის მიდამოში. **თმა შეტრუსული ჰქონდა.** ნატყვიარი ასევე მოხვედრილი იყო საწოლის თავის დაფაზე.

ზაზა ბურჯანაძე 2010 წლის 14 აპრილს საპარლამენტო კომისიის გამოკითხვაში, პრეზიდენტის თავის არეში აღნიშნულ ნატყვიარს აფიქსირებს, როგორც ერთი მხრიდან შესულს და მეორე მხრიდან გამოსული ფორმით. გამომავალ ტყვიას პრეზიდენტისათვის

---

412 კოკოს კომისია კვლავ ჯუტად „ამუშავებს" ავადმყოფურად აკვიატებულ „შტანცმარკის" ფაქტორს, გაბრუებული იმ ფანტაზიებით, რომ თვითმკვლელობისას ეს „შტანცმარკა" სავალდებულოა.

მოეწყვიტა ყური ნახევარმთვარისებრად, ხოლო ტყვია შესული იყო შუა საფეთქელში. ტყვია თავის ქალას არ შეხებია.

გონა კეკენაძე 2010 წლის 4 მარტს საპარლამენტო კომისიის გამოკითხვაში, აფიქსირებს, რომ პრეზიდენტს შუბლთან გარშემო **ჰქონდა შტრიხისებრი ნაბექდი.** იგი ადასტურებს, რომ სროლა განხორციელდა ახლო ბჯენით. სადაც შემავალი ჭრილობა იყო პრეზიდენტს **ის ადგილი გაშავებული ჰქონდა.** პრეზიდენტის საწოლის დაფა დაზიანდა "რიკოშეტის" შედეგად. ჭრილობიდან გაპატიოსნებისას სისხლი უწყვეტად სდიოდა. ტყვია გამოსულიყო ყურის კანსა და კანს შუა თავის ქალაში. მას არსად ჰქონდა გამომავალი მრგვალი ხვრელი.

სოსო თორია 2010 წლის 25 მაისს საპარლამენტო კომისიის გამოკითხვაში, აფიქსირებს: „პრეზიდენტს პროზექტურაში აღენიშნებოდა ორი ნატყვიარი, კერძოდ, საფეთქლისა და ყელის არეში. შემავალი ჭრილობა იყო საფეთქელთან და <u>ყელთან, რომელიც ნატყვიარს ჰგავდა</u>, ამის გარშემო შემავალი ნახვრეტივით იყო. მაკაროვის ტყვია გლუვია და როდესაც ქსოვილში შედის ტოვებს ნახევს, ან ჯვარედინ ნახევს, ან კუთხეებიან ნახევს. საინტერესოა, რომ მოხვედრის დროს ეს ალბათ ქსოვილის თვისებაა, ტყვიას იქით კი არ შეაქვს ეს ნახევი, არამედ ბრუნდება უკან და შემავალი ჭრილობა ისეთი წვრილი იყო, რომ ასანთის ღერი შეეტეოდა და ნახევები არ იყო. საფეთქელთან და ყელთანაც იგივე ხასიათის იყო, ძალიან ვიწრო. ახლა აქ იმდენი ვიწრო ქსოვილია, ხელის მოკიდებაც არ შეიძლებოდა, რადგან შეიძლება დაზიანებულიყო. შემავალი ჭრილობა ამის მსგავსი იყო, მაგრამ <u>კისერთან ჩალურჯებული იყო ჭრილობის გარშემო</u>. პათანატომმა დააფიქსირა, რომ მცირე კალიბრით იყო ნასროლი. რაც გააკეთა ეს იყო, რომ აიღო მავთულის მაგვარი, სამედიცინო იარაღი და შეიყვანა ნაჭრილობევში თავისუფლად, რითაც დამტკიცდა, რომ ნატყვიარი იყო შემავალი. გამჭოლი „სკვაზნიო" არ გასულა. ყელთან ნატყვიარზე თქვა, რომ ეს პატარა კალიბრის ტყვიაა. <u>პირველი ტყვიის გამოსავალი იყო უკან, იქ სადაც ფუძის ძვალია</u>. პრეზიდენტს <u>თმები შეტრუსული არ ჰქონდა</u>. კვალი თითქმის არ რჩება როდესაც იარაღი მაყუჩიანია. ფრჩხილები შელურჯებული ჰქონდა. ნეკნებზე და დაბლა ფეხებზეც შეინიშნებოდა სილურჯე".[413]

ავთანდილ რცხილაძე 2010 წლის 10 სექტემბერს საპარლამენტო კომისიის გამოკითხვაში აფიქსირებს, რომ 1994 წლის 17 თებერვალს, როდესაც პრეზიდენტის გვამი ქალაქ გროზნოში ჩაასვენეს იგი შევიდა პროზექტურაში და დაათვალიერა პრეზიდენტის ცხედარი. ნატყვიარი იყო მარჯვენა საფეთქელთან შემავალი შესამჩნევი ჭრილობა. ზომები არ იცოდა. გამომავალი ჭრილობა იყო მარცხენა ყურთან. პირველი შემავალი ჭრილობა იყო საფეთქელთან მაღლა, ხოლო გამომავალი შესამჩნევად დაბლა. დახრილობა დაახლოებით 20-25 გრადუსი იქნებოდა. თვითმკვლელობა ფანტაზიად მიიჩნია. დანარჩენი იყო გვამური ლაქები რომ ჰქვია. გვამური ლაქები იყო ნეკნების ადგილას. 1994 წლის მაისიდან შემდეგი წლის იანვრის ჩათვლით ავთანდილ რცხილაძის თქმით, როცა ის დაკავებული იყო, მასთან ციხეში შევიდა მაშინდელი გენერალური პროკურორის მოადგილე ანზორ ბალუაშვილი. საუბარმა დაახლოებით სამ საათს გასტანა. ბალუაშვილმა ავთანდილ რცხილაძეს ჰკითხა: "მე ვიცი, რომ შენ პროზექტურაში პრეზიდენტის ცხედარი დაათვალიერე, ნიკაპის ქვეშ ნატყვიარი არ შეგინიშნავს?" რცხილაძემ უპასუხა: შესაძლოა იყო, თუმცა მე არ მინახავს. ანზორ ბალუაშვილმა შეკითხვა გაუმეორა და დასძინა: „რატომ მალავ?", შემდეგ შეიცხადა, შენ დაკვირვებული კაცი ხარ და როგორ ვერ შეამჩნიე?, მაგრამ ავთანდილ რცხილაძემ აღნიშნული საბოლოოდ იუარა. მაშინ გენერალური პროკურორის მოადგილემ უთხრა, რომ **ამოცნობის დროს ნატყვიარი ნიკაპის ქვეშ ყველამ დააფიქსირა** და შენ როგორ ვერ დააფიქსირეო.[414]

---

[413] თორიას მონაჭორის ამ მცირე ამონარიდში ხაზგასმული ადგილები ადასტურებენ რომ იგი იტყუება და ცრუობს — ხოლო კომისია კი ამას ყოველგვარი კრიტიკის გარეშე, ხარბად ეწაფება. მით უმეტეს, რომ ეს სწორედ ის პათანატომია რომლის მოხსენების საფუძველზეც ჯ.დუდაევმა და ზ.იანდარბიევმა თვითმკვლელობის ვერსია სრულად გაიზიარეს!

[414] ა.რცხილაძის გამოკითხვიდან ნათლად დასტურდება, რომ სიცრუეა ფართოდ გავრცელებული ჭორი, ვითომც — „შევარდნაძის რეჟიმს მხოლოდ თვითმკვლელობის ვერსია აწყობდა". — შევარდნაძის რეჟიმს (არსებითად ისევე, როგორც სააკაშვილის რეჟიმს, რომლის დაკვეთასაც ასრულებს ეს კომისია) სწორედაც რომ ყველაზე უფრო აწყობდა ზვიად ზ.გამსახურდიას მისივე გარემოცვის (!) მიერ მკვლელობის ვერსია,

პრეზიდენტის საწოლის დაფაზე, პრეზიდენტის გარდაცვალების შემდეგ, აღმოაჩინეს ნატყვიარი[415], რასაც ადასტურებენ პროკურატურისათვის მიცემული ჩვენებებით დაცვის პირადი წევრები, მასპინძლები კარლო ღურწკაია და მისი მეუღლე ლუდმილა აბშილავა, აგრეთვე საქმეზე დაკითხული მოწმე ანატოლი ჩუხუა, რომელიც მიუთითებს, რომ საწოლის დაფაზე შენიშნა **ნატყვიარი,** დაახლოებით 6 მმ–ი. დიამეტრის.[416]

საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფმა ამოიღო აღნიშნული „დეესპეზგან“ დამზადებული მართკუთხედი ფორმის, მუქი ყავისფერი საწოლის თავის დაფა, რომლის ზომებია: 94x55 სანტიმეტრი, ხოლო სისქე 17 მილიმეტრი, დაფის შიგნითა მხარეს ზემოდან ქვემო მიმართულებით 7,5 სმ-ზე და მარჯვენა კიდიდან 49,5 სმ-ზე შეინიშნება დეფექტი ჩაღრმავების სახით, მაქსიმალური ზომით 2,6/1,7 სმ–ი და მაქსიმალური სიღრმით 4 მმ-ი. აღნიშნული საგნის დათვალიერების 2004 წლის 3 მარტის ოქმში არის საქმეზე დაკითხული მოწმის ლუდმილა აბშილავას განმარტება, კერძოდ, იგი ამბობს, რომ ეს არის იმ საწოლის თავის მხარის დაფა, რომელზედაც იწვა პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია 1993 წლის 31 დეკემბერს.

9. ავადმყოფობდა თუ არა პრეზიდენტი [417] [418]

პრეზიდენტის ავადმყოფობას თავის ჩვენებებში იყენებენ ძმები ზაურ და ანატოლი ჩუხუები და მიუთითებენ, რომ პრეზიდენტი ძლიერ ავად იყო. ზაურ ჩუხუა კონკრეტულად უთითებს, რომ პრეზიდენტს მუცელი აწუხებდა და ვითომ არ შეეძლო სიარული, დამოუკიდებლად ორასი მეტრის გავლაც კი. იგივეს იმეორებს თავის ჩვენებაში შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძე, თითქოს პრეზიდენტმა მას უთხრა, რომ ის მოწამლული იყო. არის ისეთი მომწამვლელი ნივთიერებები, რომლებიც გარკვეული პერიოდის შემდეგ იწყებენ მოქმედებებსო. პრეზიდენტის მასპინძლები ანზორ მებონია სოფ. ჯაღრიდან, კარლო ღურწკაია და მისი მეუღლე ლუდმილა ღურწკაია სოფ. ძველი ხიბულიდან **მიუთითებენ პრეზიდენტის მხრიდან საკვების მიუღებლობაზე.**

ანზორ მებონია აცხადებს, რომ პრეზიდენტი მასთან ყოფნის დროს იყო მხოლოდ რძის ნაწარმზე, რასაც კატეგორიულად უარყოფენ საქმეში არსებული მასალებით მირიან მებონია, ანზორ მებონიას ძმისშვილი, პრეზიდენტის დაცვის წევრები ზაზა ბურჯანაძე და გორა კეკენაძე. პრეზიდენტის ავადმყოფობას კატეგორიულად უარყოფს აგრეთვე ბადრი ზარანდია და მისი გარემოცვა. არსენ მესხია და მირიან ქარდავა აცხადებენ, რომ პრეზიდენტი ჩვეულებრივად იკვებებოდა ხორცის ნაწარმით და მთაში, სუსხიან ზამთარში, არც ტკივილებს უჩიოდა. იგი ორჯერ გადმოვიდა და გადალახა მდინარე ენგური. ჯონსონ კვარაცხელიას ჩვენებით კი მასთან მისულმა პრეზიდენტმა სუფრას უთამადა და

რომელის შეთხზვასაც (როგორც ა.რცხილაძის სიტყვებიდან ნათლად ჩანს) ინტენსიურად ცდილობდა შევარდნაძის გამოძძიებელი ა.ბალუაშვილი — ორი ნატყვიარის დადგენა რა თქმა უნდა მძლავრად გამორიცხავდა თვითმკვლელობას და შევარდნაძის რეჟიმს (არსებითად ისევე, როგორც სააკაშვილის რეჟიმს, რომლის დაკვეთასაც ასრულებს ეს კომისია) საფუძველს მისცემდა დაედგინა მკვლელობა — რომელშიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაადანაშაულებდა ზ.გამსახურდიას გარემოცვას.

[415] არავითარი მტკიცებულება არ არსებობს, რომ საწოლის დაფაზე ამოტეხილი ნატყვიარი იყო.

[416] ამ დასკვნაში არ არის აღნიშნული ჩაატარა თუ არა პროკურატურამ საწოლის აღნიშნული დაფის კრიმინალისტიკური ანალიზი „ნატყვიარში“ პისტოლეტის ტყვიის ქიმიური და ფიზიკური ნაწილაკების არსებობისა და მასში ბიოლოგიური ნარჩენების (სისხლი და სხვ) არსებობის დასადასტურებლად — რის გარეშეც შეუძლებელია საწოლის ამ დაზიანებას „ნატყვიარი“ ეწოდოს.

[417] ზ.გამსახურდიას ავადმყოფობის დადგენისას კომისია მის ჩვეულ ხრიკს იყენებს — ადარებს ერთმანეთს იმ მოწმეთა ჩვენებებს, რომლებმაც სხვადასხვა დროს ნახეს პრეზიდენტი ან ნახეს ძალზე უმნიშვნელო დროის განმავლობაში და სხვ. ამავე დროს — იმ პირების უმეტესობა, რომლებმაც პრეზიდენტი ახლოს, საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ნახეს და თვალყურს ადევნებდნენ მას მისი სიცოცხლის **ბოლო დღეებში** — პრაქტიკულად ყველა ადასტურებს მის ავადმყოფობას.

[418] ყოველგვარი სარკაზმისა და ნიშნისმოგების გარეშე, კოკოს კომისიას აუცილებლად უნდა შევახსენოთ, თუ როგორ უცებ და მოულოდნელად გარდაიცვალა კომისიის აქტიური თანამშრომელი, საბჭოთა კა–გე–ბე–ს (სახუშკომის) გენერალ–მაიორი მ.ოსაძე — ადამიანი თითქოს ჯანმრთელად, უაღრესად აქტიურად და მხნედ გამოიყურებოდა, ძალზე ხშირად ჩანდა ტელევიზიაში როგორც კომისიის თანამშრომელი — ტელემაყურებლები და საზოგადოებრიობა კი ვერ ამჩნევდა მის სასიკვდილო დაავადებას და მოსალოდნელ, მოახლოებულ და გარდუვალ სიკვდილს.

ერთ ლიტრამდე არაყიც კი დალია, **ჯონსონ კვარაცხელია თან დასძენს, რომ პრეზიდენტი დიეტაზე იმყოფებოდა. მას კოლიტი აწუხებდა**[419] და ერჩივნა რძის ნაწარმის მიღება. ჯონსონ კვარაცხელიას პრეზიდენტისთვის არ შეუმჩნევია რაიმე სახის ტკივილი და ფეხითაც ნორმალურად დადიოდა. მისი სახლიდან იგი ყველას დაუხმარებლად საკუთარი ფეხით გავიდა, ჩაიარა დაღმართი და ჩაჯდა მანქანაში. კომისიის წევრებმა საკუთარი თვალით ნახეს ხსენებული ციცაბო დაღმართი ჯონსონ კვარაცხელიას სახლთან. თუკი დავუშვებთ, რომ პრეზიდენტმა ის მართლაც ჩაიარა, ჩნდება კითხვა, თუ როგორ შესძლო ზოგიერთი მოწმის თქმით, ავადმყოფმა და **სრულიად დაუძლურებულმა**[420] ადამიანმა დამოუკიდებლად აღნიშნული გზის ჩავლა. მამრიკო ზარანდიას დროებითი საპარლამენტო კომისიის გამოკითხვის მიხედვით მანამდე პრეზიდენტმა ჩაიარა ანზორ მებონიას სახლთან მდებარე **ურთულესი დაღმართი**[421] სოფელ ჯაღრაში, სადაც მიწის გრუნტი დამუშავებული იყო სასოფლო სავარგულისთვის. ჯაღრაში მდებარე სახლის მფლობელის, ანზორ მებონიას ძმისშვილის, გოდერძი მებონიას ცნობით, **პრეზიდენტი მას დაეყრდნო ხსენებული დაღმართის ჩავლისას**[422].

ზაურ ჩუხუას ინფორმაციას პრეზიდენტის მძიმე ავადმყოფობის და დაუძლურების შესახებ ეწინააღმდეგება ჯონსონ კვარაცხელიას საპარლამენტო გამოკითხვაში თქმული: პრეზიდენტმა, როდესაც საუბარი იყო მისი ადგილსამყოფელის შეცვლაზე, მაშინვე იკითხა, შესძლებდა თუ არა ეზოში **თავისუფლად გადაადგილებას**[423]. ამაზე ზაურ ჩუხუამ მიუგო, რომ <u>ახლომახლო არავინ ცხოვრობდა და ეს შესაძლებელი უნდა ყოფილიყო</u>. აქ იგულისხმება სოფელი ძველი ხიბულა, კარლო და ლუდმილა ღურწკაიების სახლი.

---

419 კვარაცხელიას რა თქმა უნდა არ ჰკითხეს **როგორ დაადგინა პრეზიდენტის კოლიტის დიაგნოზი** და არც ის თუ რა მიზეზით და რა გარემოებების გამო გახდა იგი იძულებული **ღამის 4 საათზე სოფელში კარ და კარ ეძებნა ოყნა ზ.გამსახურდიასთვის** — ნაწლავების იმდენად მწვავე ტკივილებს განიცდიდა ავადმყოფი.

420 კომისია კვლავ მისივე მოგონილ სიცრუესა და სიყალბეს „ეკამათება“: მოწმეებს არსად უთქვამთ, რომ ზ.გამსახურდია „სრულიად დაუძლურებული“ იყო.

421 კვლავ კომისიის ბინძური „მხატვრული ალეგორიები“: შეფასებების რომელი შკალით შეფასდა ეს ბილეკი „ურთულესად“?

422 რატომ დაეყრდნო თუ თავს კარგად გრძნობდა? — სხვებსაც დასჭირდათ დაყრდნობა?

423 რითი ასაბუთებს ეს „ეზოში თავისუფალი გადაადგილების“ შესახებ შეკითხვა ზ.გამსახურდიას კარგ ჯანმრთელობას? შეკითხვიდან ნათლად ჩანს, რომ ზ.გამსახურდია გულისხმობდა ფარულ, უსაფრთხო გადაადგილებას.

10 **მკვლელობის**[424] იარაღი და გარდაცვლილის სხეულზე აღბეჭდილი ტყვიის დიამეტრი[425] [426]

დაცვის წევრების განმარტებით, პრეზიდენტი სამეგრელოში „სტეჩკინის“ სისტემის პისტოლეტს ატარებდა. მათივე განმარტებით, აღნიშნული პისტოლეტი აჩუქა ზუგდიდის კომენდანტმა ბადრი ზარანდიამ, რომელიც მან გია გულუას აართვა.

საპარლამენტო კომისიის გამოკითხულ პირთა განმარტებებით დადგინდა, რომ ბადრი ზარანდიას თავისი “სტეჩკინის” სისტემის პისტოლეტი თავადვე ჰქონდა გარდაცვალებამდე. „სტეჩკინის“ სისტემის პისტოლეტი პრეზიდენტს გროზნოდან ზუგდიდში დაბრუნებისას აჩუქა ეროვნული გვარდიის ერთ–ერთმა წევრმა ავთო პაკელიანმა.

პროკურატურის მასალებში არსებული ჩვენებების საფუძველზე, რობინზონ მარგველანმა აღნიშნული „სტეჩკინის“ კონსტრუქციის სისტემის პისტოლეტი დამარხა ჯონსონ კვარაცხელიას ეზოში პრეზიდენტის სახელმწიფო ბექედთან ერთად, რასაც ადასტურებს ოჯახის პატრონი ჯონსონ კვარაცხელია.

რობინზონ მარგველანი პროკურატურისადმი მიცემულ ჩვენებებში მიუთითებს, რომ პრეზიდენტის კუთვნილი „სტეჩკინის“ სისტემის პისტოლეტი დაცვის სხვა წევრების ზაზა ბურჯანაძის, შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძის, კეკენაძის „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტებთან ერთად ჩაალაგა გარდაცვლილი პრეზიდენტის სასახლეში და გადაიტანა ქალაქ გროზნოში. იგი პირადად ატარებდა „სტეჩკინის“ სისტემის კონსტრუქციის პისტოლეტს. გაურკვეველია **ზემოაღნიშნული „სტეჩკინის“ კონსტრუქციის იარაღთაგან რომელი**[427] ამოთხარეს ჯონსონ კვარაცხელიას საცხოვრებელი სახლის ეზოდან და რომელი იარაღი ინახება გამსახურდიების ოჯახში.

პრეზიდენტის პირადი დაცვის წევრების შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძის 2004 წლის 27 აპრილს პროკურატურისათვის მიცემული ჩვენებით, პრეზიდენტის მარჯვენა საფეთქელთან შემავალი ჭრილობა იყო 4x5 მმ–ის. ზაზა ბურჯანაძის 2004 წლის 3 მაისს პროკურატურისათვის მიცემული ჩვენებით, პრეზიდენტის საფეთქელთან არსებული შემავალი ჭრილობის დიამეტრი 5x6 მმ იყო. გოჩა კეკენაძის 2004 წლის 13 მარტს პროკურატურისათვის მიცემული ჩვენებით, პრეზიდენტის საფეთქელთან შემავალი ჭრილობის დიამეტრი 5x6 მმ–ის იყო.

საპარლამენტო კომისიის გამოკითხვიდან შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძის განცხადებით 4x5 მმ–ი. დიამეტრის ჭრილობა დაწერა პროკურატურის გამომძიებელმა და ეს ჩანაწერი მისი დაკითხვის ოქმში თავად შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძეს არ ეკუთვნის.

---

424 კომისიამ აქ მოხერხებულად შემოაპარა ტერმინი „**მკვლელობა**“, რომელიც ასახავს მის ფარულ მიზანს — ნებისმიერი ბინძური ხერხით და მეთოდით საზოგადოებას ჩაუნერგოს მკვლელობის ვერსია — თუმცა ზოგადად „მკვლელობაზე“ არ საუბრობენ და არც ამ დასკვნით დოკუმენტში სიკვდილის მიზეზად ცალსახად „მკვლელობა“ არ უწერიათ.

425 შემავალი ტყვიის ხვრელის დიამეტრი (ვითომ 7 მმ) და გამომავალი ნახვრეტის მდებარეობა (ვითომ მარცხენა ლოყაში) ზ.გამსახურდიას თვითმკვლელობასთან დაკავშირებულ სპეკულაციების უმთავრესი ასპექტი იყო როსტოვის საექსპერტო დასკვნის გამოჩენამდე — ანუ მთელი 15 წლის განმავლობაში და ეს ასეცაა ასახული, მაგალითად კომისიის პირველ შუალედურ დასკვნაში. ზოგადად კომისია ამ შემთხვევაშიც ფაქტის გარემოებების მიჩქმალვის ტაქტიკას იყენებს, ანუ **არ აღნიშნავს, რომ გამოკითხული პირებიდან არც ერთს არ გაუზომია საფეთქელში შემავალ ტყვიის ხვრელის დიამეტრი საზომი ხელსაწყოთი და ისინი მხოლოდ ზერელე, თვალზომით შეფასებას იძლევიან — ამასთანავე შეშუპებული, დენთის ალისგან დამწვარი ქსოვილების არსებობისას**. შემავალი ნახვრეტის დიამეტრით სპეკულაციები სავსებით ჩაკლა როსტოვის საექსპერტო დასკვნამ — რომელშიც ზუსტი ზომაა მოცემული და ეს ზომა **ზუსტად ემთხვევა მოწმეების მიერ იმთავითვე ნახსენებსა** და 15 წლის განმავლობაში ეჭვქვეშ დაყენებულ „სტეჩკინის“ კალიბრს.

426 მკვლელობის იარაღზე საუბარის უფლება კომისიას მხოლოდ პირობით აქვს, რადგანაც თვით კომისიის თვალსაზრისით, ზ.გამსახურდია სასტიკად ნაწამები იყო — და, კომისიის თვალსაზრისის ჭრილში აბსოლუტურად უცნობია, ამ წამების შემდეგ იგი ცოცხალი დარჩა, თუ — წამებისგან გარდაიცვალა. ამდენად — კომისიის თვალსაზრისის ჭრილში ისიც კი უცნობია **შემჩნეული ნატყვიარი მიაყენეს ჯერ კიდევ ცოცხალ ადამიანს თუ უკვე მკვდარს**.

427 აქ კოკოს კომისიამ „სტეჩკინები“ მაგიურად ამრავლა და აბარტყა.

ზაზა ბურჯანაძე 2010 წლის 14 აპრილს საპარლამენტო კომისიის გამოკითხვაში კვლავ ადასტურებს 5x6 მმიან ჭრილობას პრეზიდენტის თავის ქალაზე.

გოჩა კეკენაძე 2010 წლის 4 მარტს საპარლამენტო კომისიის გამოკითხვაში კვლავ ადასტურებს 5x6 მმიან დაზიანებას პრეზიდენტის თავის ქალაზე.

№7494802 სისხლის სამართლის საქმეში არსებულ, საგამოძიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებლის ოთარ ჯაფარიძის 05. 2001 №18212001 წერილში ვკითხულობთ: „რობერტ მარგველანის განმარტებით ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა „სტეჩკინის“ კონსტრუქციის **მაყუჩიანი**[428] პისტოლეტით, რომელიც ამოღებული და გამოკვლეული არ ყოფილა.“

ქ.როსტოვის მიერ გაცემული რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის სახელმწიფო სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის (დათარიღებულია 06 26 მარტი, 2007 წ.) განმარტებით, გვამს თავის ქალაზე მარჯვენა საფეთქლისა და სოლისებრი ძვლის საზღვარზე, თხემის ძვლისა და სოლისებრი ძვლის საზღვრიდან 0,6 სმ-ით ქვევით და მარჯვენა ყვრიმალისა და შუბლის ძვლის საზღვრიდან 2,2 სმ-ით უკან აღენიშნება მომრგვალებული გამჭოლი ნახვრეტი, რომლის დიამეტრი 0,9 სმ–ია[429], რომლის ზედა ნაწილი ნახევარმთვარის ფორმისაა. ქვედა ნაწილს აქვს სამკუთხა ფორმის დეფექტი.

რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის სახელმწიფო სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, აღნიშნული დაზიანებები, შესაძლებელია გამოწვეული იყოს „ПМ“ ით მაკაროვის პისტოლეტით. „АПС” - ავტომატური პისტოლეტი “სტეჩკინის”, “ვალტერის”, “სმიტის”, “ვესონის”[430], “ბერეტა-ს”ს, სისტემის იარაღებით. ჩამოთვლილი იარაღების ტყვიის დიამეტრი 9 მმ–ია.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ბუნებრივად ჩნდება კითხვა, საქმეზე დაკითხული პირები როგორ უთითებენ 4x5მმ–იანი, 5x6მმ–იანი დიამეტრის შემავალ ჭრილობას პრეზიდენტის თავის ქალაზე და როგორ იზიარებენ აღნიშნულს პროკურატურის გამომძიებლები, მაშინ, როდესაც ზემოხსენებული იარაღებიდან გასროლილი ტყვიის მასრები ბევრად აღემატებიან მათ მიერ დასახელებულ დიამეტრებს. ამ ფაქტს ექსპერტი ასე ხსნის, რომ ჭრილობის დიამეტრი არ ემთხვევაო ტყვიის გულის დიამეტრს (იხ. ზემოთ შენიშვნა 161-164 გვ.).[431]

აღნიშნულთან დაკავშირებით, ვერც ერთი მოწმე ვერ ასახელებს გამომავალი ტყვიის აღწერილობასა და რადიუსს[432]. აგრეთვე აღწერენ არარეალურ გამომავალი ტყვიის ტრაექტორიას. ტყვიამ, რომელმაც გაიარა მარცხენა ყურის უკანა ნაწილში აღნიშნავენ, რომ მოწყვიტა ყურის ზედა ხრტილი და არ უთითებენ ტყვიის მიერ დაზიანებული ადგილიდან სისხლის არსებობას. ზოგიერთი მოწმისთვის კი ეს ფაქტი შეუმჩნეველია[433].

რობინზონ მარგველანის 1997 წლის 20 თებერვალს პროკურატურისათვის მიცემული ჩვენებით, გარდაცვლილ პრეზიდენტს ხელჩანთაში ჰქონდა ნაგანის ტიპის ცეცხლსასრო-

---

428 შეუძლებელია მარგველანს ეთქვა, რომ პისტოლეტი მაყუჩიანი იყო — გამომძიებელი ჯაფარიძე აქ უხეშად ცრუობს. სხვა ადგილას კომისია აღნიშნავს, რომ „მაყუჩის“ ვერსიის მოწმე დაიკარგა, გაქრა!!! ვერც კომისიას მარგველანის ამ სიტყვების რაიმე დამადასტურებელი **დოკუმენტი** ვერ მოაქვს!

429 კომისია საკუთარ ინტრიგებში მთლად გაიხლართა, დაიბნა და ვეღარ ასხვავებს ტყვიის მოხვედრით მიყენებულ რბილი ქსოვილების დაზიანებას–ჭრილობას, რომელიც სიკვდილის მოწმეებმა დაინახეს, და — ნეშტის, ჩონჩხის თავისქალაში, ძვლებში ტყვიის მიერ შენგრეულ შესასვლელ ხვრელს, რომლის ზომებსაც როსტოვის ექსპერტიზა იძლევა! და, ასეთი კომისიაა საქართველოს „პარლამენტის“ სახე...

430 არც „სმიტის“ და არც „ვესონის“ სისტემის იარაღი არ არსებობს — არის „სმიტ–ვესონის“ სისტემის იარაღი.

431 კვლავ დაუინებით მეორდება სპეკულაციები ტყვიის შემავალი ხვრელის დიამეტრზე და კვლავ იმალება ის ფაქტი, რომ არც ერთ გამოკითხულს არ გაუზომია ეს ხვრელი რაიმე საზომი ინსტრუმენტით და საუბრობენ მხოლოდ თვალზომით ზომაზე — შეშუპებული, დენთის ალით დამწვარი ქსოვილების ვითარებაში.

432 სამაგალითო ტერმინია „გამომავალი ტყვიის აღწერილობა და რადიუსი“... თითქოს მოწმეებს სასა–მართლო–სამედიცინო ექსპერტების ცოდნა უნდა ჰქონოდათ!

433 აქ კომისია, ბოროტი განზრახვით, ჩქმალავს უძვირფასესი მოწმის, სპეციალისტის, ექიმის დ.ჯალაღონიას (რომელმაც ცხედარს ბალზამირება გაუკეთა) ზუსტი ტერმინებით აღწერილ ჩვენებას ტყვიის გამომავალი ხვრელის შესახებ და მხოლოდ ანატომიის უცოდინარი მოწმეების არაზუსტი ტერმინებით აღწერას ებღაუჭება.

ლი იარაღი, რომელიც “გეკოს” ტყვიებს ისროდა. პრეზიდენტი თავისი პირადი ხელჩანთიდან აღნიშნულ იარაღს არ იღებდა. პრეზიდენტის გარდაცვალების შემდეგ ხსენებული იარაღი არსად არ ფიგურირებს. აგრეთვე არ არის დადგენილი რა ბედი ეწია აღნიშნულ იარაღს.

რობინზონ მარგველანი 1997 წლის 21 თებერვალს პროკურატურის დაკითხვისას მიუთითებს, რომ გარდაცვლილ პრეზიდენტს სასვენებელში ჩაუწყო ყველა იარაღი. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ დროებითი კომისიის 2010 წლის 16 სექტემბერს გამოკითხვისას მან განაცხადა, რომ 1999 წელს იგი მივიდა სოფელ ჯიხაშკარში, ჯონსონ კვარაცხელიას სახლში, სადაც ეგულებოდა მისი და ჯონსონ კვარაცხელიას მიერ დამარხული ზაზა ბურჯანაძისა და გორა კეკენაძის პისტოლეტები და ავტომატები. აღმოჩნდა, რომ ხსენებული იარაღები ჯონსონ კვარაცხელიას უკვე ჩაბარებული ჰქონდა, თუ სად–უცნობია. ეს კი შეუსაბამობაშია პროკურატურისათვის მისივე მიცემულ ჩვენებასთან.

11. შემთხვევის ადგილიდან ექსპერტიზისთვის[434] საჭირო **ყველა**[435] მტკიცებულებების განადგურება[436]

გარდაცვლილ პრეზიდენტზე იარაღის გარდა[437], განადგურებულია **დანაშაულის**[438] ყველა კვალი. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საგნების ის მონაკვეთები, სადაც

---

434 კომისია კვლავ უგულველყოფს ზ.გამსახურდიას გროზნიში გადასვენებისას მიღწეულ საერთაშორისო შეთანხმებას, რომლის შესაბამისადაც: 3. ოჯახის წევრები და სიკვდილის მოწმენი კატეგორიულად უარს ამბობენ გამსახურდიას სიკვდილთან დაკავშირებულ გამოძიებასა თუ რაიმე გამოკვლევაში მონაწილეობაზე. 4. პრეზიდენტ გამსახურდიას ოჯახი კატეგორიულად უარს ამბობს, რომ გარდაცვლილის ცხედარი გაკვეთონ, გამოიკვლიონ ანდა განახორციელონ რაიმე სხვა მოქმედება, გარდა უშუალოდ ადგილზე ამოცნობისა. ამდენად — გამსახურდიის სიკვდილის მოწმეებს არავითარი სამართლებრივი მოვალეობა არ უკისრიათ რაიმე ექსპერტიზისთვის რაიმე მტკიცებულებების წარსადგენად. — თუმცა ეს სამართლებრივი ასპექტი სულაც არ აწუხებს საქართველოს „საკანონმდებლო“ ორგანოს კომისიას.

435 ძალზე არსებითია სწორედ ეს გამოყენებული ტერმინი „**ყველა**“ — და ეს დამიზნებულია იმაზე, რომ თითქოს მოქმედებდა შეთქმულ მკვლელთა ჯგუფი, რომლიც შეგნებულად და გამიზნულად სპობდა ნივთიერ მტკიცებულებებს. ამავე დროს თვით კომისიის დოკუმენტებში მოტანილი მრავალი ფაქტი ადასტურებს, რომ თვითმკვლელობის მოწმეები ყოველნაირად, პირადი რისკის ფასად შეეცადნენ შეძლებისდაგვარად და მაქსიმალურად შეენარჩუნებინათ ნივთების მაქსიმალური რაოდენობა. და — თუ არ ჩატარდა „ცხელ კვალზე“ სრულ მასშტაბოვანი და ზედმიწევნითი საგამომძიებლო-საექსპერტო ღონისძიებები — ეს მხოლოდ ზ.გამსახურდიას ოჯახის და ქვრივის დაუნინების გამო — რომელთაც დაგეგმილი ჰქონდათ ქმრისა და მამის სიკვდილის გარემოებებით ათწლეულების განმავლობაში ანგარებითი სპეკულაციები. ზ.გამსახურდიასთან დაკავშირებული ნივთების გადარჩენისთვის გაწეულ მცდელობების დასახასიათებლად კმარა თუნდაც აქვე დასკვნაში **ლამარა კერვალიშვილის მონათხრობი** ან კომისიის მიერვე მოტანილი ცნობა, რომ „**დასისხლიანებული ბალიში**“ რომელზეც თავი ედო გარდაცვლილს შენახული იქნა და პროკურატურას გადაეცა.

436 კომისია არაერთგან აღნიშნავს, თუ რა დიდ საშიშროებაში ვარდებოდნენ ის ოჯახები, რომლებმაც ზ.გამსახურდია შეიფარეს — დასკვნის ამ თავში კი მათ „ავიწყდებათ“, რომ ზ.გამსახურდიას სიკვდილის „მტკიცებულებების“ შენახვა იმ ოჯახისთვის, რომლიც ამას გააკეთებდა — სასიკვდილო საშიშროებას წარმოადგენდა. ზოგადად — ზ.გამსახურდიას თვითმკვლელობიდან 15 წლის შემდგომ და ისეთ ვითარებაში, როდესაც იმთავითვე საქართველოსა და ჩენნეთის შეთანხმებით სიკვდილის მოწმეები არავითარი გამოძიებაში არ მიიღებდნენ მონაწილეობას — საოცარია დასკვნის ამ თავში წარმოდგენილი პრეტენზიები. და — თუ ეს პრეტენზიები კიდეც არსებობს — ისინი მიმართული უნდა იქნენ პირველ რიგში ზ.გამსახურდიას ოჯახისადმი (რომელმაც კატეგორიული უარი განაცხადა გამოძიებაზე), თვით კოკო გამსახურდიასადმი (რომელსაც არაფერი უშლიდა ოფიციალური გამოძიების აკრძალვის ვითარებაში თავად ჩასულიყო სამეგრელოში და შეეგროვებინა „ყველა მტკიცებულება“) და ბოლოს იმ სახელმწიფო სტრუქტურებისადმი რომელსაც ევალებათ შესაბამისი სამუშაოების ჩატარება და რომლებიც კომისიის სამართლებრივ სფეროში არიან და და უპირველესად ზ. გამსახურდიას ქვრივის მიმართ, რომელიც თავისი ბინძური საქმიანობით ოჯახიონის „მდედრი სეთურის“ პერსონაჟს დაემსგავსა!

437 კომისია აქაც ცილისმწამებლობს პირველ რიგში ზ.გამსახურდიას სიკვდილის მოწმეთა მიმართ, რადგან მშვენივრად იცის, რომ იარაღი „სტეჩკინი“ ზ.გამსახურდიას გარემოს მიერ სანდოდ იქნა შენახული ჯიხაშკარში და რომ ეს იარაღი და გასროლილი მასრაც შემდგომ მიითვისა და ახლაც უნდა ჰქონდეს გადამალული ან მანანა არჩვაძეს ან კი ოჯახიონის სხვა წევრს.

438 ისე წერს კომისია „**დანაშაულზე**“ თითქოს უკვე უცილობლად დაემტკიცებინოს მკვლელობა. მაგრამ, ეს ტერმინი **ამხელს კომისიის არაობიექტურობას, მიკერძოებას, აღვირახსნილ უსამართლობას და დაჟინებულ გამყალბებლობას**.

ძნელია სისხლის კვლების განადგურება. კერძოდ, იატაკის ღარები, პლინთუსების ქვეშ, ტანსაცმლის ნაკერები, ღილები და ჯიბის სარჩული.

სისხლის გუბის მკვეთრი საზღვრები მიუთითებს გვამის პირველადი მდგომარეობის შეუცვლელობაზე. მოწმეები კი ერთმანეთისაგან განსხვავებულ მდგომარეობაში აღწერენ მიცვალებულს, რაც არანაირად დამაჯერებელი არ არის.

თვითმხილველები პრეზიდენტის გვამს აღწერს სხვადასხვაგვარად. მისი მდგომარეობით დაწყებული და ჩაცმულობით დამთავრებული. რობინზონ მარგველანი და შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძე უთითებენ, რომ პრეზიდენტს იარაღიანი ხელი მუცელზე ჰქონდა დადებული, ხოლო კარლო ღურწკაია აღნიშნავს, რომ პრეზიდენტს მარჯვენა ხელი გაშლილ მდგომარეობაში საწოლიდან გადმოვარდნილი ჰქონდა[439].

შემთხვევის ადგილზე სისხლის არარსებობა სხეულის დაზიანებისას, რომელიც სისხლდენას იწვევს მიუთითებს იმაზე, რომ გვამი გადატანილია დანაშაულის ადგილიდან, რასაც საპარლამენტო კომისიის გამოკითხვაში აღნიშნავს ნუკრი ღურწკაია. მისი თქმით პრეზიდენტის სხეულზე სისხლის კვალი მისთვის შეუმჩნეველი დარჩა.[440]

გვამის ტანსაცმელზე ახალი და გამშრალი სისხლის ნაღვენთები წარმოიქმნება გვამის გადატრიალებისას. სხეულის თრევისას ტანსაცმელზე ზოლად წარმოიქმნება ლაქა წანაცხების სახით. რომეო კუჭუხიძის საპარლამენტო კომისიის გამოკითხვით, პრეზიდენტს გარდაცვალების დროს რომელი ტანსაცმელიც ეცვა, ნახა გარეცხილი, ქალაქ ბათუმში შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძესთან. აღნიშნული მოქმედებით განადგურდა სისხლის კვალები.

სხეულის დაზიანების მომენტში დაზარებულის ვერტიკალურ მდგომარეობაში ყოფნაზე შეიძლება მიუთითებდეს ტანსაცმელზე ვერტიკალური ჩამონაღვენთებისა და ფეხსაცმელზე წვეთისებური ლაქების არსებობა. აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტს ფეხსაცმელი არ ეცვა, თუ ვერ ჩააცვეს (იხ. 1994 წლის 17 თებერვლის დათვალიერების ოქმი)[441].

სისხლის გუბის არსებობა მიანიშნებს დიდ სისხლდენაზე. იგი წარმოიშობა მსხვილი სისხლძარღვების დაზიანების, ან შედარებით წვრილი სისხლძარღვებიდან ხანგრძლივი სისხლდენით. სისხლის გუბის ფორმა და ზომა დამოკიდებულია არა მარტო დაღვრილი სისხლის რაოდენობაზე, არამედ იმ საგნის თვისებაზე რაზედაც იგი მოხვდა. ერთ-ერთი თვითმხილველი ზაზა ბურჯანაძე, რომელიც შემთხვევის ადგილზე მიყვანილი იქნა მომხდარი ფაქტიდან რამდენიმე საათის შემდეგ, პროკურატურისადმი მიცემულ ჩვენებაში განმარტავს, რომ პრეზიდენტის საწოლთან იდგა “ტაშტი”, რომელზედაც წვეთავდა გარდაცვლილი პრეზიდენტის თავის არედან მომდინარე სისხლი [442].

აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჯონსონ კვარაცხელიას პროკურატურისთვის 1999 წლის 12 თებერვალს მიცემული ჩვენებით, ასევე რობინზონ მარგველანის პროკურატურისთვის 1997 წლის 22–27 თებერვალს მიცემული ჩვენებით, გარდაცვლილი პრეზიდენტის ორივე ლეიბი, ხიბულიდან ჯიხაშკარში გადასვენების შემდეგ, დიზელის დასხმით დაიწვა და განადგურდა ჯონსონ კვარაცხელიას ეზოში. მოწმეთა არც ერთ ჩვენებაში მითითებული არ არის თუ სად გაქრა პრეზიდენტის საბანი, ხოლო რაც შეეხება პრეზიდე-

---

439 კვლავ კომისიის მანიპულირება დროის ფაქტორით. არაა გათვალისწინებული, რომ თვითმხილველებმა მიცვალებული სხვადასხვა დროის ინტერვალებში ნახეს – რომელი დროის განმავლობაშიც დამსწრეები ცხედარს აწესრიგებდნენ – დაუკრიფეს ხელები გულზე, გაასწორეს ლოგინზე, დაუხუჭეს თვალი, აუკრეს პირი და ასე შემდეგ... კარლო ღურწკაიას გვამთან მისვლის მომენტისთვის, პისტოლეტი მას ხელიდან უკვე გამორომეული ჰქონდა რ.მარგველანის მიერ.

440 ლოგინის ბალიში, ლეიბი დასვრილი იყო სისხლით, აგრეთვე სისხლი იყო დაღვრილი იატაკზე, რასაც ადასტურებს ყველა მოწმე და რისი დადგენა ათწლეულების შემდეგაც კი შესაძლებელია იატაკის ფიცრების მიკრობიოლოგიური და ქიმიური ექსპერტიზით.

441 კვლავ კომისიის არაკომპეტენტურობისა და მიკერძოების გამოვლენა! კომისიას „დაავიწყდა“, რომ 1994 წლის 17 თებერვლის დათვალიერებისას ზ.გამსახურდია იწვა არა იმ კუბოში, რომლითაც იგი სიკვდილის მესამე დღეს დაასაფლავეს და ეცვა არა ის ტანსაცმელი და ფეხსაცმელი (რომელიც მას პირველ კუბოში ჩასვენებისას ჩააცვეს) გახდილი სახით „გაპატიოსნებისა“ და ბალზამირების შემდეგ – არამედ მეორედ გადასაფლავების დროს იგი ჩააწვინეს ახალ კუბოში, ჩააცვეს ახალი ტანსაცმელი და კუბოშივე ჩაუდეს ახალი ფეხსაცმელი (რამდენადაც ხრწნის დაწყების გამო ვეღარ ჩააცვეს ფეხზე).

442 სისხლი იღვრებოდა მიცვალებულის პირიდან, დიდი ოდენობით შემავალი ხვრელიდან – ისხმებოდა ბალიშზე, შედეგ ლეიბზე და ბოლოს უმეტესწილად იატაკზე.

ნტის ბალიშს, იგი ვითომ რელიკვიის სახით, ინახებოდა ძველ ხიბულაში, ღურწკაიას ოჯახში.[443]

ოჯახის დიასახლისის ლუდმილა აბშილავაღურწკაიას 1999 წლის 5 თებერვალს პროკურატურისათვის მიცემული ჩვენებით, წლების განმავლობაში მან პრეზიდენტის ბალიში დაშალა, გარეცხა და შეუცვალა პირი. ამის შემდეგ, აღნიშნული განახლებული ბალიში 2004 წლის საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ამოიღო და საქმეში ინახება, როგორც ნივთმტკიცება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რაც შეეხება პრეზიდენტის ტანსაცმელს, პრეზიდენტის პირადი დაცვის წევრის ბადრი გოგელაშვილის ინფორმაციით, მან ის მიიღო პრეზიდენტის დაცვის უფროსის რობინზონ მარგველანისგან. პრეზიდენტის სამოსთან დაკავშირებით, მან პირად საუბარში, ბადრი გოგელაშვილს განუცხადა, რომ პრეზიდენტის ტანსაცმელი ჩაუტანა ქალაქ ბათუმში ქალბატონ ლამარა კერვალიშვილს. იყო თუ არა აღნიშნულ ტანსაცმელზე სისხლის ლაქები მისთვის უცნობია. შემდეგ მან შეიტყო ისევ რობინზონ მარგველანისგან, რომ ეს ტანსაცმელი მან ჩაიტანა უკვე თბილისში პრეზიდენტის ოჯახისთვის გადაცემის მიზნით. შემდეგ რობინზონ მარგველანის თხოვნით, ბადრი გოგელაშვილმა პირადად დაურეკა პრეზიდენტის ვაჟს, ბატონ ცოტნე გამსახურდიას და მოახსენა, რომ მისთვის რობინზონ მარგველანს სურდა პრეზიდენტის ტანსაცმლის გადაცემა, რაზედაც მან თანხმობა განაცხადა, მაგრამ ცოტნე გამსახურდია მოულოდნელად რუსეთში გაემგზავრა და მისთვის ტანსაცმლის გადაცემა ვერ მოხერხდა. აღნიშნულ ტანსაცმელს, თუ რა ბედი ეწია შემდგომში ბადრი გოგელაშვილისთვის უცნობია.[444]

ლამარა კერვალიშვილის 2011 წლის 17 იანვარს საპარლამენტო გამოკითხვისას პრეზიდენტის კუთვნილი ტანსაცმლიდან მისი ყურადღება მიიქცია მოყავისფრო ზოლებიანმა ნაქსოვმა ჯემპრმა, რომელზედაც აღინიშნებოდა დიდი ზომის სისხლის ლაქა კისრის არეში და მცირე ზომის სისხლის ლაქა მარცხენა სახელოზე. ასევე ნაცრისფერ შარვალზე, უკან, სათავესთან აღინიშნებოდა მცირე ზომის სისხლის ლაქა. რობინზონ მარგველანი საპარლამენტო გამოკითხვაში ახსენებს ჯემპრს, რომელიც პრეზიდენტს გარდაცვალების მომენტში ეცვა. თუკი დავუშვებთ, რომ ეს მართლაც ასე იყო, გაუგებარია, ორი სისხლმდენი, ჭრილობაში შემავალი და ჭრილობიდან გამომავალი როგორ შეიძლება მეტი მოცულობის სისხლის კვალს არ ტოვებდეს პრეზიდენტის სამოსზე, ვიდრე ზემოაღნიშნულ გამოკითხვაშია მითითებული[445]. ლამარა კერვალიშვილის შეკითხვაზე, თუ სად წავიდა ის ტანსაცმელი, რომელშიც, მთავარი მოწმეების თქმით, პრეზიდენტმა თავი მოიკლა, მარგველანმა განაცხადა, რომ ეს ტანსაცმელი მათ პრეზიდენტს სასვენებელში ჩაატანეს. აღნიშნულ ჯემპრსა და შარვალზე რობინზონ მარგველანს ლამარა კერვალიშვილთან საუბრისას არაფერი უთქვამს.[446]

---

[443] ზ.გამსახურდიას ჯიხაშკარში გადასვენება ამ ოჯახის უსაფრთხოების მიზნით პროკურატურისგან გასაიდუმლოებული იყო და აგრეთვე ოჯახის უსაფრთხოებისათვის განადგურდა ის დიდი ზომის და იოლად საპოვნი ნივთმტკიცებები, რომლებითაც შევარდნაძის ხუნტის გამოძიებას შეეძლო ეს ოჯახი დაეღუპა....

[444] ამ ფაქტებით ძალზე კარგად ჩანს, რომ არავინ არსებითად სერიოზულად და რეალურად არ დაინტერესებულა ზ.გამსახურდიას ტანსაცმლით შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში. ხოლო ათწლეულისა და მეტი დროის შემდეგ ამ ტანსაცმლით კომისიის „დაინტერესება“ წმინდა სპეკულაციური მიზნებით მოხდა...

[445] კომისია ბრიყვულად „ივიწყებს“ და ჩქმალავს, რომ იმ დროს, როდესაც ზ.გამსახურდიას თავში მიყენებული ჭრილობიდან სისხლი სდიოდა — იგი იწვა და ამდენად არსებითი ოდენობის სისხლი ვერაფრით ვერ დაისხმებოდა მის ჯემპრზე (სისხლი თავიდან ჩაედინებოდა ბალიშის ზედა ნაწილზე, იქიდან კი ლეიბს გავლით ისხმებოდა იატაკზე)

[446] თითქოს მარგველანი რაიმეთი იყო ვალდებული ვინმე კერვალიშვილის წინაშე, რათა დაწვირელებით და დეტალურად მოეყოლა მისთვის ყველაფერი – აი, ასე მაიმუნობს კომისია!

12. ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის წევრების დაკავება პრეზიდენტის სამშობლოში დაბრუნებამდე [447]

ნაწყვეტი გოჩა კეკენაძის 2004 წლის 14 მარტს პროკურატურის დაკითხვიდან: “1992 წლის მარტის თვეში, ქალაქ თბილისში, გოგებაშვილის ქუჩაზე, კომენდანტის საათის დარღვევის გამო დამაკავა მთაწმინდის მილიციის ქვეგანყოფილების თანამშრომელმა, რომლის გვარიც არ მახსოვს. მთაწმინდის მილიციაში დავყავი სამი დღე. იქ მე მნახა ჩემმა ნაცნობმა მილიციის თანამშრომელმა გოგი ქებურიამ, რომელსაც ჩემი დახმარება უნდოდა, მაგრამ ვერ შეძლო. ამის შემდეგ გადამიყვანეს ქალაქ თბილისის მთავარ სამმართველოში, სადაც თვრამეტი დღე დავყავი. როგორც მახსოვს გამათავისუფლეს თვრამეტ აპრილს. სამმართველოში ყოფნის დროს ორჯერ მომინახულა სამმართველოს უფროსმა გია გულუამ, რომელიც ადრე ჩვენთან მსახურობდა დაცვის ასეულში და კარგად მიცნობდა. შემდგომ როგორც გავიგე, ჩემი უფრო ადრე გათავისუფლება გადაუწყვეტიათ, მაგრამ გია გულუას უთქვამს: იჯდეს, რა ეჩქარება, დალპეს მანდო.”

ნაწყვეტი შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძის 2004 წლის 21 აპრილის პროკურატურის დაკითხვიდან:

“1992 წლის იანვრის თვეში, დილის შვიდ საათზე, ქუთაისში, სახლში მომაკითხეს ომონის წარმომადგენლებმა და დამაკავეს. ბრალი წამიყენეს კომენდანტის საათის დარღვევისათვის. ამის შემდეგ ვერტმფრენით გადმომიყვანეს ქალაქ თბილისში. აღნიშნული ბრალდებით დაკავებული ვიყავი 20–25 დღე ქალაქ თბილისის მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების იზოლატორში. ამის შემდეგ გამათავისუფლეს.”

ზაზა ბურჯანაძე თუმცა დაკავებული არ ყოფილა. იგი თბილისში რჩება პრეზიდენტის მიერ მთავრობის სასახლის დატოვების შემდეგ. ნაწყვეტი ზაზა ბურჯანაძის 2004 წლის 12 მარტს პროკურატურის დაკითხვიდან:

“1992 წლის ექვს იანვარს, პრეზიდენტმა თავის თანმხლებ პირებთან ერთად დატოვა სამთავრობო რეზიდენცია. ჩემს განკარგულებაში მყოფი ავტომანქანა “გაზ24” ვერ დავქოქე. იძულებული გავხდი ჩემი განყოფილების ბიჭებთან ერთად ფეხით გავყოლოდი კოლონას. ლესელიძის ქუჩაზე ჩავედით, სადაც უკვე სროლები მიმდინარეობდა. იყვნენ დაჭრილები. პრეზიდენტის ესკორტი გადავიდა მეტეხის ხიდზე. მე და სხვა ჩემთან ერთად დარჩენილი დაცვის ბიჭები მივედით ერთერთი თანამშრომლის ოჯახში, სადაც ღამე გავათენეთ. დილით ქუჩაში ცალ-ცალკე გამოვედით და სახლებში წავედით. დაახლოებით ხუთი დღე ქუჩაში არ გამოვსულვარ. ამის შემდეგ წავედი ზესტაფონში.”

ნაწყვეტი რობინზონ მარგველანის 2010 წლის 16 სექტემბერს საპარლამენტო კომისიის გამოკითხვიდან:

„1992 წლის 9 მარტს, გალში, პიკეტირების დროს, გამაჩერეს და დამაპატიმრეს. დაპატიმრების მიზეზად ჩემთან მყოფი ერთერთი გვარდიელის ყოფნა დამისახელეს, რომელიც ვითომ ინფორმაციის მოსაწოდებლად იყო შემოსული. გადამიყვანეს ეშერაში, გვარდიის შტაბში. აფხაზეთის შსს მინისტრის გივი ლომინაძის ბრძანებით მომათავსეს სოხუმის იზოლატორში. გივი ლომინაძე, ჩემს დაკავებამდე, შემხვდა ქალაქ გალში. მებრძოლებს ანძა გაეთიშათ, საიდანაც მთელი აფხაზეთი იღებდა ტელემაუწყებლობას. ჩვენ შევთანხმდით, რომ ანძას ჩავრთავდით, სანაცვლოდ კი, აფხაზეთის ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების გარანტიას ვიღებდით. სოხუმის იზოლატორში შემხვდა ლომინაძის მოადგილე არშბა, რომელმაც განმიცხადა: „მოემზადე თბილისში გადასაყვანად, რადგან თქვენი თავი ბატონმა ედუარდმა მოითხოვაო. ყოველივე ამის შემდეგ ჩემთან მოვიდა გივი ლომინაძე და გამათავისუფლა. ავტომანქანაც დამიბრუნა და სამეგრელოშიც გამომაცილა.“

---

[447] დასკვნის ეს თავი ფრიად სპეციფიკურია და მისი დანიშნულება ისაა, რომ კიდევ ერთხელ დაამტკიცოს რამდენად უუნარო სამხედრო მეთაური და არაადეკვატური ადმინისტრატორი იყო ზ.გამსახურდია — რომელმაც საკუთარი დაცვის სანდო ადამიანებისგან დაკომპლექტება ვერ მოახერხა — არაფერი რომ ვთქვათ დასკვნის სხვა მასალებისა — რომლებიდანაც ისე მოსჩანს, თითქოს ზ.გამსახურდიას ძალოვანი სტრუქტურები და საპრეზიდენტო გვარდიაც კი ლამის მთლიანად მოღალატეებისგან, კრიმინალებისგან და ნარკომანებისგან შედგებოდა. და, მაშინ ისმის შეკითხვა — იყო თუ არა ასეთი უუნარო, არაადეკვატური, უვიცი უზენაესი მთავარსარდალი უდიდესი უბედურების მომტანი მთელი საქართველოსთვის და იმ ოჯახებისთვის რომლებიც მან უდიდეს საფრთხეში ჩააგდო მისი შეფარებისთვის?

როგორც საქმიდან ჩანს, პრეზიდენტის პირადი დაცვის პრაქტიკულად ყველა წევრი დაკავებული იქნა ერთი და იმავე ბრალდებით კომენდანტის საათის დარღვევისთვის. ყველა მათგანს, გარდა რობინზონ მარგველანისა, იზოლატორში შეხვდა გენერალი გია გულუა, შემდგომში შინაგან საქმეთა ჯგუფის კოორდინატორი, რომელიც სდევნიდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას. რობინზონ მარგველანს კი სოხუმის იზოლატორში პირადად შეხვდა აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრი გივი ლომინაძე. წინასწარ რა ინტერესები და გეგმები ჰქონდა გენერალიტეტს, ეს ცალკე საკითხია, რომელიც სხვა დონეზე გამოძიებას მოითხოვს[448].

13. პრეზიდენტის თანმხლები პირები მისი გარდაცვალების შემდეგ

2004 წლის 26 აპრილს შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძის პროკურატურისადმი მიცემული ჩვენებით, პრეზიდენტის გარდაცვალების შემდეგ 2 ან 3 იანვარს ის და ზაზა ბურჯანაძე ანზორ მებონიამ გააცილა ცენტრალურ გზამდე. სატვირთო ავტომანქანით გადავიდნენ სამტრედიამდე, ხოლო იქიდან ჩავიდნენ ქალაქ ბათუმში. ბათუმიდან სატრანსპორტო თვითმფრინავით გადაფრინდნენ ქალაქ მინვოდში, შემდეგ კი ტაქსით ჩავიდნენ ქალაქ გროზნოში.

2004 წლის 3 მაისს ზაზა ბურჯანაძის პროკურატურისათვის მიცემული ჩვენებით, 2 იანვარს მას და შალვა გვანცელაძეს დაევალათ ქალაქ გროზნოში წასვლა. მათი მეგზური იყო გენო ზარანდია. ისინი ჩავიდნენ ჯერ ხხოროწყუში, შემდეგ კი ქალაქ სენაკში, სენაკიდან "ელექტრიჩკით" ჩავიდნენ ქალაქ სამტრედიაში. ამის შემდეგ გადავიდნენ ქალაქ ბათუმში, ბათუმიდან თვითმფრინავით ქალაქ მინვოდში, ხოლო შემდეგ ტაქსით გადავიდნენ ქალაქ გროზნოში.

გონა კეკენაძის 2004 წლის 13 მარტს პროკურატურისათვის მიცემული ჩვენებით, 10, თუ 11 იანვარს ვალიკო ზარანდიას მეზობელმა სპეციალურად ჩაისვა თავისი მეუღლე და ის და რობინზონ მარგველანი ჩაიყვანა ქალაქ ბათუმში, იქიდან კი გადავიდნენ ქალაქ მინვოდში და ტაქსით მივიდნენ ქალაქ გროზნოში. მეორე დღეს ქალაქ გროზნოში ჩაფრინდა გუგუშვილი[449], რომელიც ქალაქ ბათუმში ჩამოუყვანია ისევ იმ ოტელოს, რომელმაც კეკენაძე და მარგველანი ჩაიყვანა ქალაქ ბათუმში.

შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძის 2010 წლის 4 მარტის საპარლამენტო კომისიის გამოკითხვით ის და ზაზა ბურჯანაძე წამოვიდნენ სამეგრელოდან ფეხით, ქალაქ სენაკიდან ქალაქ ქუთაისში „კამაზით" ჩავიდნენ. ის ღამე ქუთაისში გაჩერდნენ, შემდეგ კი ჩავიდნენ ბათუმში და ბათუმიდან გადაფრინდნენ ქალაქ გროზნოში. ამის საპირისპიროდ ზაზა ბურჯანაძე 2004 წლის 3 მაისს პროკურატურისთვის მიცემული ჩვენებაში წერს: „მე დამავალეს გროზნოში წასვლა, რათა ამბავი ჩამეტანა მომხდართან დაკავშირებით. მე ვუთხარი, მე რატომ უნდა წავიდე, წავიდეს ის, ვინც უშუალოდ დაესწრო იმ უბედურების ღამეს. შემდეგ ბატონმა ბესარიონ გუგუშვილმა გვთხოვა მე და ბაჩუკის, რომ ეს ამბავი ქალბატონ მანანასთვის ჩვენ ჩაგვეტანა. იმავე ღამეს მე, ბაჩუკი და ჩვენი მეგზური გენო ზარანდია ფეხით ჩავედით ჯერ ხხოროწყუში, ხოლო შემდეგ სენაკში. სენაკიდან ელექტრიჩკით ჩავედით სამტრედიაში. ამის შემდეგ წავედით ბათუმში, ბათუმიდან ჩვენმა ნაცნობებმა, კერძოდ გია თავზარაშვილმა თვითმფრინავის ბილეთი აგვიღო და გავფრინდით მინვოდში. მინვოდიდან ტაქსით ჩავედით გროზნოში." აუხსნელია, როგორ წავიდა ორი კაცი გროზნოში თან ერთად, თან სხვადასხვა ტრანსპორტით და მარშრუტით[450].

---

448 კომისიის ანალიტიკური პოზიციიდან და მიდგომიდან გამომდინარე ზ.გამსახურდიამ ან ვერ იპოვა საქართველოში ათიოდე სანდო პირი საკუთარი დაცვის დასაკომპლექტებლად, ან — ავადმყოფურად, შეგნებულად და აკვიატებულად დაცვაში აჰყავდა კომპრომეტირებული, საშიში კავშირების მქონე პირები... აქვე ჩვენი მხრიდან ვიკითხავდით: თავად კოკო გამსახურდია განა არ ხვდებოდა მამამისის მტრებს და არ იღებდა მათგან ოცდაათ ვერცხლს?

449 კომისია მისსავე ტყუილებში გაიხლართა. მისი აზრით ბ.გუგუშვილი 12 თუ 13 იანვარს წასულა სამეგრელოდან გროზნიში. სინამდვილეში კი ეს კარგა ხნის შემდეგ მოხდა.

450 კომისია კვლავ საკუთარ შეთხზულ სიცრუეს ებრძვის — თითქოს ამ მცველებს სხვადასხვა ტრანსპორტით და მარშრუტით ემგზავროთ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, **აუხსნელი რჩება, როგორ მოახერხეს იმ პირებმა, რომლებიც ზვიად გამსახურდიას სიცოცხლეში, მხოლოდ ღამღამობით გადაადგილდებოდნენ ჩუმად, რათა მდევრისთვის შეუმჩნეველი დარჩენილიყვნენ. პრეზიდენტის გარდაცვალების შემდეგ, დღისით, მზისით[451], თავისუფლად ჩავიდნენ სხვადასხვა ადგილებში და შემდეგ თავისუფლად გადაფრინდნენ ქალაქ გროზნოში.[452]**

14. პრეზიდენტის სამარხისა და გვამის მდგომარეობა[453]

რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის სახელმწიფო სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, იუსტიციის სამინისტროს გამომძიებლის მიერ დათვალიერებული იქნა შემთხვევის ადგილი. დათვალიერებული იქნა ქალაქ გროზნოში ზვიად გამსახურდიას სამარხი, საიდანაც განხორციელდა პრეზიდენტის ექსჰუმაცია. საფლავის სიღრმე იყო მეტრ–ნახევრიდან ორ მეტრამდე, რომელშიც განთავსებული იყო წითელი ფერის სასვენებელი, **საფლავის კედლები ამოშენებული იყო წითელი აგურით.** დახურული სასვენებელი ამოღებული იქნა მიწის დონეზე[454]. **სასახლის დაფებზე შეინიშნებოდა დეფორმირება და დაფების დარღვევა[455]**. აღსანიშნავია ასევე ის ფაქტი, რომ გამომძიებელი, რომელიც ახორციელებს ექსჰუმაციას, ვალდებულია აღნიშნოს საფლავის მდგომარეობა: ხომ არ არის მიწა ჩაწეული ან ჩავარდნილი, რაც აუცილებლად უნდა აღინიშნოს შემთხვევის დათვალიერების ოქმში – რაც არ არის მითითებული დასკვნაში. ამიტომაც ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ირიცხება ექსპერტის ვარაუდი მიწის დაწოლის შედეგად გვამის დაზიანებაზე.[456]

---

451 კვლავ დამახასიათებელი მხატვრული გაფორმებები და ფალსიფიკაცია „დღისით, მზისით“... — თუნდაც მაგალითისთვის გუგუშვილმა ბათუმამდე გვიან ღამით იმგზავრა მესამეხარისხოვანი გზებით...

452 ამ შემთხვევაში კომისიას თავი გულუბრყვილო ბავშვად მოაქვს — თითქოს არ იცის და არც წარმოუდგენია, რომ საზოგადოებრივად ცნობადი სახე და დევნის ობიექტი, სამიზნე იყო თავად ზ.გამსახურდია და არა საზოგადოებისთვის პრაქტიკულად უცნობი მისი მცველები — მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა ზ.გამსახურდიას სიკვდილი. ამასთანავე კომისიამ ვითომც არ იცის, რომ იმავე პერიოდში სამეგრელოდან საკმაოდ იოლად და მშვიდობიანად გამოაღწია ზ.გამსახურდიას თანამებრძოლთა ასობით საზოგადოებრიობისათვის ძალზე ცნობილმა სახეებმა (უზენაესი საბჭოს დეპუტატები, მინისტრები და მოადგილეები) და ამათზე მცირედ ნაკლებად ცნობილმა პირმა. კომისიამ ისიც იცის, თუმცა ჩქმალავს, რომ გუგუშვილს ეროვნული ხელისუფლების მომხრეებმა დაუშბადეს აფხაზეთიდან ლტოლვილის ყალბი ცნობა (როგორიც იმ პერიოდში ათასობით ლტოლვილისთვის მასობრივად გაიცემოდა), გუგუშვილის იერ შეცვლილი ფოტოსურათით — რომლითაც შემდგომ მან გამოაღწია სამეგრელოდან და თვითმფრინავით ჩააღწია ჯერ მინვოდში, შემდეგ – გროზნიში. და – ყველაფერ ზემოთქმულს თავი რომ დავანებოთ – შევარდნაძის რეჟიმსა და ჩეჩნეთს შორის, საერთაშორისო დამკვირვებლების მეთვალყურეობით **გაფორმებული შეთანხმებით – სიკვდილის მოწმეების საქართველოდან შეუფერხებელი გასვლა გარანტირებული იყო**.

453 დოკუმენტის ამ თავში კომისია ჩქმალავს და მალავს **ყველაზე არსებით გარემოებას** – იმას, რომ ნეშტის **თავისქალა დამტვრეულ–დამსხვრეული** იყო და მეტიც, თავის ქალას ზოგიერთი ძვლური **ნაწილი აკლდა**! ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომისიის იმ სპეკულაციებთან დაკავშირებით, თითქოს ზ.გამსახურდია სასტიკად იყო ნაწამები და მას წამებისას დამტვრეული ჰქონდა მენჯის ძვალი, ნეკნები და სხვა.

454 კომისია ნეშტის ექსგუმაციის შესახებ ზღაპარივით ყვება და ბოროტი განზრახვით არ აქვეყნებს ექსჰუმაციის მიმდინარეობისა და კუბოს მდგომარეობის ამსახველ ფოტოსურათებსა და ვიდეომასალას რომელსაც რუსეთის ტელევიზიების ათობით კორესპონდენტი და რუსეთის პროკურატურის ოფიციალური ფოტოგრაფი იღებდა – რაც ნათელს გახდიდა კომისიის გამყალბებლობას.

455 კომისიის ტიპობრივი თვალთმაქცობისა და ტექსტის გაყალბების შემთხვევა — ამავე „დასკვნის“ 208 გვერდზე უწერიაა (რუსულიდან ქართულად თარგმანი): „**კუბოს ფიცრები ლპობის პროცესის შედეგად დაზიანებულია და დაშლილია**“. რისთვის დასჭირდა კომისიას „**კუბოს ფიცრები ლპობის პროცესის შედეგად დაზიანებულია და დაშლილია**“-ს გადაკეთება „**სასახლის დაფებზე შეინიშნებოდა დეფორმირება და დაფების დარღვევა**“-დ? — იმისთვის, რათა შემდგომ ამტკიცონ, რომ კუბო არ იყო იმდენად დაზიანებული, რომ ვერ დაეცვა ნეშტის ძვლები დამტვრევისაგან.

456 კომისია ცბიერობს, აცხადებს, რომ „მიწის დაწოლის შედეგად გვამის დაზიანებას“ გამორიცხავს ის, რომ როსტოვის ექსპერტიზის დასკვნაში არაფერია ნათქვამი სამარხის ზედაპირის მდგომარეობაზე. ხოლო იმას, რომ ამის აღნიშვნა და დაწვრილებითი აღწერა მოხდა ექსგუმაციის ოქმში იგი ასაიდუმლოვებს, ისევე როგორც თვით ექსგუმაციის ოქმის ორიგინალს. აგრეთვე, აქ კომისიას „გამორჩა“ ის ფაქტი, რომ ტერიტორია, რომელზეც გროზნიში მდებარეობდა ზ.გამსახურდიას საფლავი — **უსასტიკესად დაბომბილი იყო მძიმე არტილერიით** — იმდენად, რომ ძალიან გაჭირდა საფლავის პოვნა რაიმე ორიენტირების მიხედვით,

ამავე სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია ცხრა ნეკნის გატეხვა, ბოქვენისა და მენჯის ძვლის მოტეხილობები.

1994 წლის 17 თებერვლის დაკრძალვის ადგილიდან გვამის ამოღებისა და გარეგანი დათვალიერების ოქმში (სოფ. ჯიხაშკარი, ქ. სენაკი) აღნიშნულია, რომ ამოთხრის შედეგად, ოთხმოცი სანტიმეტრის სიღრმეზე გამოჩნდა სასვენებლის სახურავი, სასვენებლის თავსა და ბოლოში შემორტყმული და შეკრული ჰქონდა ლითონის მსხვილი მავთული, სასვენებელში ჩასვენებული იყო გამსახურდიას გვამი. სასვენებელი მთლიანი იყო. სასვენებლის სახურავის ახდისას დაფიქსირდა, რომ სასვენებელი სტანდარტულად იყო გაფორმებული ჩალისფერი ქსოვილით. დათვალიერდა გვამის ხილული ტანსაცმლით დაუფარავი ნაწილები. კერძოდ, თხემისა და ორივე საფეთქლის არე, სახის არე, კისრის ზედა მესამედის წინა ზედაპირი და ორივე ზედა კიდურის ხელის მტევნების ზურგის ზედაპირი. მიცვალებულს აღენიშნებოდა "ოვალური ფორმის მოშავო ფერის უბანი", ზომით–1,5x1 სმ-ზე, "მარცხენა ყვრიმალის უკანა ნაწილში, საფეთქლის თმოვან ნაწილთან ახლოს". გვამს ,,ზედა ტუჩის შუა მესამედის წინა ზედაპირზე აღენიშნებოდა დაახლოებით 1 სმ-ის სიგრძის მქონე მოშავო ფერის ჩაღრმავებული უბანი, მარჯვენა ყვრიმალის არეში კი დაახლოებით 1,5x1 სმ–ის, ნიკაპის შუაში დაახლოებით 3x2,5 სმ–ის, მარცხენა ყვრიმალზე დაახლოებით 5x4 სმ–ის და შუბლთხემ–საფეთქლის საზღვარზე მარცხნივ, დაახლოებით 3x2 სმ-ზე აღენიშნებოდა მუქი მორუხო ფერის გამუქებული უბნები. გვამის გარეგნულ დათვალიერებაში მონაწილეობდნენ, როგორც მთავრობის წარმომადგენლები, ასევე სპეციალისტ-მედიკოსები ვ.ბოჭორიშვილი, თ.დეკანოსიძე, რ.კაპანაძე, ო.ოქრუაშვილი და ლ.ჩაჩუა. გვამის გარეგანი დათვალიერების შედეგად, სპეციალისტ-მედიკოსებმა დააფიქსირეს შემდეგი დაზიანებები[457] თავის არეში: "მარჯვენა საფეთქლის მიდამოში აღინიშნება მრგვალი ფორმის დაახლოებით 0,6x0,7 სმ. დიამეტრის მქონე მოშავო ფერის უბანი ზომით – 1,5x1,0 სმ. აღენიშნება მარცხენა ყვრიმალის უკანა ნაწილში, საფეთქლის თმოვან ნაწილთან ახლოს. ზედა ტუჩის შუა მესამედის წინა ზედაპირზე აღინიშნება დაახლოებით 1 სმ სიგრძის მოშავო ფერის ჩაღრმავებული უბანი მარჯვენა ყვრიმალის არეში დაახლოებით 1,5x1,0 სმ, ნიკაპზე შუაში დაახლოებით 3,0x2,5 სმ, მარცხენა ყვრიმალზე 5,0x4,0 სმ, და შუბლთხემ–საფეთქლის საზღვარზე მარცხნივ, დაახლოებით 3,0x2,0 სმ-ზე აღენიშნება მუქი მორუხო ფერის გამუქებული უბნები."

საწოლში მწოლიარე ადამიანს აღნიშნული შვიდი სხვადასხვა სახის დაზიანება თავის არეში არ შეიძლება მიეყენებინა თავისივე ხელით, თავისსავე თავისთვის. სოსო თორიას თქმით პრეზიდენტს ქალაქ გროზნოს პროზექტურაში აღენიშნებოდა ორი ნატყვიარი, კერძოდ, საფეთქლისა და ყელის არეში[458].

ავთანდილ რცხილაძის თქმით ზვიად გამსახურდიას ცხედარზე გროზნოს პროზექტურაში, ნეკნების არეში შენიშნა დალურჯებები. წარმოდგენილ საქმეზე პროკურატურისა და საპარლამენტო კომისიის მიერ დაკითხული პირები პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების თარიღად ასახელებენ 30-31 დეკემბერს. **ექიმი დავით ჯალაღონია, რომელმაც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ცხედარს 31 დეკემბერს ბალზამირება გაუკეთა,** აცხადებს რომ მიცვალებულთან 36 საათის შემდეგ მოიყვანეს და ასეთი დიდი დროის გასვლის შემდეგ კი ძნელი იყო გვამის ბალზამირება.

ვინაიდან დაბომბვების შედეგად ისინი აღარ არსებობდნენ. მიჩქმალეს რა დასკვნაში ეს ძალზე არსებითი გარემოება — აქვე, ამავე ტექსტში შეგნებულად ამახინჯებენ კუბოს ფიზიკურ მდგომარეობას: „კუბოს ფიც რები ლპობის პროცესის შედეგად დაზიანებულია და დაშლილია".

457 კომისია აყალბებს — „დაზიანებებად" ასაღებს შემჩნეულ ზედაპირულ ღაქებსა და გამუქებებს — გამოწვეულს ცხედრის დაობებით, ლპობითა და ხრწნით.

458 კომისია ჩქმალავს, რომ ს.თორია აგრეთვე აღნიშნავს ყელში შემავალი ხვრელის შესაბამისი გამოსასვლელი ხვრელის არსებობას კეფაში, კისერთან ახლოს — რაც ნათელს ხდის მისი ნათქვამის სიყალბეს!

22.09. დროებითი საპარლამენტო კომისიის მიერ მოწვეული ექსპერტების დასკვნები №7494802 სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით

მას შემდეგ, რაც დროებითმა საპარლამენტო კომისიამ მოიპოვა 1994 წლის 17 თებერვლის დათვალიერების ოქმი და ქალაქ როსტოვში ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის 2007 წლის დასკვნა, კითხვით მიმართა ექსპერტს, პროფესორ **გია დეკანოზიშვილს** – შესაძლებელი იყო თუ არა გვამის თავის ქალაზე მარჯვენა საფეთქლის არეში შემავალი ტყვია და გამომავალი თხემის ძვლის მარცხენა შუა ნაწილზე, რომელიც მთავრდება გამქოლი ნახვრეტით, უკანა ნაპირზე მოხვედროდა საწოლის დაფას და თუ არა, შესაძლებელია თუ არა აღნიშნული დაფა დაეზიანებინა მასზე მეორე ნასროლ ტყვიას, რასაც აღნიშნავს საპარლამენტო კომისიის გამოკითხვაში პრეზიდენტის დაცვის ერთერთი წევრი სოსო თორია, ქალაქ გროზნოს პათანატომზე დაყრდნობით. (იხ. მე–6 ნაწილის დასკვნა)

მოცემულობა:

ზვიად გამსახურდიას ნეშტზე რუსეთის ქალაქ დონის როსტოვში, 2007 წლის მარტში ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა; საქმეში არსებული ჩვენებები; საგამოძიებო კომისიის მიერ მოპოვებული ჩვენებები; ცეცხლსასროლი იარაღის „АПС“-ის (“სტეჩკინის” სისტემის პისტოლეტი) და „АПБ“ს (ე.წ. “სტეჩკინის” სისტემის პისტოლეტი მაყუჩით) ტექნიკურ ტაქტიკური მონაცემები; ცეცხლსასროლი იარაღი „АПС“-ის (“სტეჩკინის” სისტემის პისტოლეტი) ექსპერიმენტული გასროლის შედეგები.

ამონარიდი ქ. როსტოვში ჩატარებული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნიდან [459]:

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი გვამის ნარჩენები ნამდვილად ეკუთვნის ზვიად გამსახურდიას;

თავის ქალის პირდაპირი, დახრილი და გამქოლი განათების პირობებში შეუიარაღებელი თვალით, ვიზუალური, ასევე უშუალოდ სტერეომიკროსკოპით გამოკვლევისას გამოვლენილია შემდეგი დაზიანებები (გამოყენებულია ბინოკულარული სტერეომიკროსკოპი МБС-2):

1. ქალაქ როსტოვში ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, **თავის ქალის სარქველი დეფორმირებულია და თავის ქალის ფუძე ისეა <u>დაშლილი</u>, რომ მისი აწყობა ვერ მოხერხდა.**[460]

2. გვამს თავის ქალაზე მარჯვენა საფეთქლისა და სოლისებრი ძვლის საზღვარზე, თხემის ძვლისა და სოლისებრი ძვლის საზღვრიდან 0,6 სმ-ით ქვევით და მარჯვენა ყვრიმალისა და შუბლის ძვლის საზღვრიდან 2,2 სმ-ით უკან აღენიშნება მომრგვალებული გამქოლი ხვრელი (დაზიანება №1) – დიამეტრით 0,9 სმ, რომლის ზედა ნაწილი ნახევარმთვარის ფორმისაა. ქვედა ნაწილს აქვს სამკუთხა ფორმის დეფექტი ზომებით – 1,8x0,4x1,6 სმ. ხვრელის ნაპირები: გარეთა ძვლოვან ფირფიტაზე არის სწორი, გლუვი, წამახვილებული, კომპაქტური ნივთიერების ანატკეცისა და ამოფხვნის გარეშე; შიდა ძვლის ცირკულარული ანატკეცი სიგანით 0,2 სმ საერთო ზომით 1,2x1,4 სმ. ამრიგად, დაზიანებას აქვს კონუსის ფორმა,

---

[459] არაერთი საჯარო შეპირების მიუხედავად კომისიამ **არ გამოაქვეყნა როსტოვის ექსპერტიზის დასკვნის რუსული ორიგინალი**, რაც ბადებს **სრულიად სამართლიან ეჭვს** იმის შესახებ, რომ კომისიის მიერ შესრულებული ქართული თარგმანი არ ასახავს საკმაო სიზუსტით რუსული ორიგინალის ტექსტს და იგი „შელამაზებულია“ მკვლელობის ვერსიის სასარგებლოდ.

[460] ძალზე საინტერესო და ნიშანდობლივია, რომ, თუ ნეშტის თავისქალა, ისევე როგორც სხვა ძვლები წამების დროსაა დალეწილი როგორ ვერ შენიშნეს ეს ცხედრის გროზნიში გადასვენების მრავალრიცხოვანმა მოწმეებმა და ზ.გამსახურდიას ოჯახის წევრებმა რომლებმაც ცხედარი გროზნის პროზექტურაში დეტალურად დაათვალიერეს და მის კანზე უმცირეს ლაქებსაც კი მიაქციეს ყურადღება.

რომლის ფუძე მიმართულია თავის ქალის შიგნითა მხარეს. გამჭოლი ხვრელიდან წინა უკანა და ქვედა კიდიდან გადის სამი რადიალური გამჭოლი ბზარი. წინა კიდიდან, გამოდის გამჭოლი, თავის ქალის გარშემოწერილი რადიალური ბზარი, რომელიც გადის შუბლის ძვლის შუა ნაწილზე (შუბლის ძვალზე გამავალი შუა ნაწილიდან მარჯვნივ 2,4 სმ–ის მანძილიდან, ძირითადი ბზარიდან გამოდის მარჯვნიდან მარცხნივ ირიბად აღმავალი 3,5 სმ სიგრძის ბზარი), შემდეგ მარჯვენა საფეთქლის ძვალზე (მეორე დაზიანებაზე, რომელიც ქვემოთაა აღწერილი), ზიგზაგისებურად ვრცელდება თხემის ძვლის მარცხენა შუა ნაწილზე, რადიალურად გადადის თხემის ძვლის მარჯვენა ნაწილზე და მთავრდება გამჭოლი ხვრელის უკანა ნაპირზე. მარცხენა საფეთქლის ძვალზე აღნიშნულ რადიალურ ბზარზე ფორმირდება ორი არასწორი მრავალკუთხა ძვლის ნამტვრევი, ზომებით 3,7x2,5x2,7 სმ და 3,8x1,7x3,4 სმ. გამჭოლი ხვრელის ქვედა კიდიდან რადიალური ბზარი მიემართება სოლისებრი ძვლის გასწვრივ–ქვემოთ 3,2 სმ სიგრძეზე, შემდეგი ძვლის ფრაგმენტები არ არსებობს.

3. მარცხენა საფეთქლის ძვლის შუაში, თხემის ძვლის საფეთქლის კიდეს (ქიცვისებრი ნაწილის) ზედა კიდედან ქვემოთ 3,7 სმ, მარცხენა გარეთა სასმენი ხვრელის ზედა კიდედან ზევით 0,4 სმ, საფეთქლის ძვლის კიდეს (ქიცვისებრი ნაწილის) თხემის უკანა ნაწილიდან 2,5 სმ-ზე არსებობს არასწორი მრავალკუთხა ფორმის გამჭოლი ხვრელი (დაზიანება №2[461]) ზომებით 1,7x1,4x1,5 სმ. ზემოხსენებული მარცხენა საფეთქლის ძვალზე არსებული ორი არასწორი მრავალკუთხა ძვლის ნამტვრევი წარმოადგენს გამჭოლი ხვრელის ზედა და წინა კედლებს. ხვრელის ნაპირები: ძვლის ფირფიტის შიგა მხრიდან შედარებით სწორია, წვრილად დაკბილული, კომპაქტური (ღრუბლისებრი) ნივთიერების ანატკეცისა და ამოფხვნის გარეშე; გარე მხრიდან ზედა ნაპირზე არის ცირკულარული ანატკეცი სიგანე 0,1-0,2 სმ და საერთო ზომით 1,9x1,7 სმ. ამრიგად მეორე დაზიანება არის ფუძით გარეთ მიმართული კონუსური ფორმის. ამ დაზიანების ნაპირებიდან გამოდის ორი წინა და უკანა რადიალური ბზარი, რომლებიც არის ზემოხსენებული პირველი დაზიანების წინა და უკანა ნაპირებიდან გამოსული რადიალური ბზარების გაგრძელება.

ტყვიის მოძრაობის მიმართულებაა მარჯვნიდან მარცხნივ, **რამდენადმე** ზემოდან ქვემოთ, **რამდენადმე** წინიდან უკან, რაზედაც მიუთითებს შემავალი და გამომავალი ხვრელები.[462]

თავის ქალაზე არსებული **ცეცხლსასროლი იარაღიდან გამოწვეული დაზიანება შესაძლებელია მიყენებული იქნა ჭვარტლის წარმოქმნის მანძილზე, არ არის გამორიცხული მიბჯენასთან მიახლოებული გასროლა, რაზედაც მიუთითებს ახლო დისტანციაზე გასროლის ფაქტორები, კერძოდ შემავალ ნახვრეტზე სურმის-სტიბიუმის არსებობა**[463]. სურმა წარმოადგენს ვაზნის კაფსულის (ფალია, ფისტონი) ქიმიური შემადგენლობის, ერთ–ერთ ელემენტს, რომელიც ვაზნის დეტონაციისას ასწრებს გასროლის დროს დენთის აირებთან ერთად რეაგირებას (დენთის აირებთან ერთად, კაფსულის შემადგენელი ელემენტების ნაწილი ტოვებენ ლულის არხს). ამრიგად, თავის ქალის აღნიშნული დაზიანება შესაძლებელია მიყენებული იქნეს ცეცხლსასროლი პისტოლეტით, როგორიც არის ПМ (პისტოლეტი “მაკაროვი”). გა-

---

[461] ტყვიის გამომავალი ხვრელის მდებარეობის როსტოვის ექსპერტიზისეულმა დაზუსტებამ საბოლოოდ ჩაკლა ათწლეულის განმავლობაში საზოგადოებრიობის მოსატყუებლად და გამოსათაყვანებლად გამიზნული სიცრუე, თითქოს გამომავალი ჭრილობა ლოყა–ყბის არეში იყო. ამ სიცრუის მომგონთა (მთავარი ფალსიფიკატორი იყო გ.შარაძე) მიზანი იყო გამომავალი ხვრელის ასეთი უცნაური მდგომარეობით დაესაბუთებინათ თვითმკვლელობის შეუძლებლობა...

[462] როსტოვის ექსპერტიზის აქტში წერია: несколько.

[463] კიდევ ერთი დადასტურება, რომ გასროლა ძალზე ახლო, თითქმის მიბჯენით მანძილიდან მოხდა. ზოგადად როსტოვის ექსპერტიზის აქტის ამ ნაწილმა სავებით დაასამარა კოკო გამსახურდიასა და მისი საპარლამენტო კომისიის მცდელობები რამენაირად, ფაქტობრივი მასალიდ დაესაბუთებინათ მკვლელობის ვერსია!

მორიცხული არ არის ცეცხლსასროლი იარაღის სხვა სახეობები, როგორიცაა АПС, “ვალტერი”, “სმიტი” და “ვესსონი”, “ბერეტა”.

2. საქმეში არსებული ჩვენებები;

მთავარი მოწმეების ჩვენებებით დაზიანებები, რომელიც არსებობს ზვიად გამსახურდიას თავის ქალაზე, მიყენებულია თვითმკვლელობის შედეგად 20 ცალი 9X18 ПМ ვაზნით დამუხტული ავტომატური „АПС“-ს (“სტეჩკინი”) პისტოლეტით, რომელიც ეჭირა ხელში და ედო მუცელზე. გვამი იყო ოდნავ წამომჯდარ[464] მდგომარეობაში, მიყუდებული საწოლის საზურგეზე.

3. საგამოძიებო კომისიის მიერ მოპოვებული ჩვენებები;

ყველა მოწმე, რომელიც შეესწრო შემთხვევას ან საშუალება მიეცა ზვიად გამსახურდიას ცხედართან ჰქონოდა შეხება ადასტურებს, რომ ცხედარი იყო წამომჯდარ მდგომარეობაში[465], მიყუდებული[466] საწოლის დაფაზე[467]. ცხედარს მარჯვენა საფეთქელთან აღენიშნებოდა მრგვალი შემავალი ხვრელი დაახლოებით–6–7 მმ, რომლის გარშემოც **არ აღენიშნებოდა დამწვრობა ან რაიმე განსაკუთრებული სხვა ნიშანი**[468]. მარცხენა მხარეს ყურის უკან აღენიშნებოდა ტყვიის გამომავალი ხვრელი ძვლების ნამტვრევებით.

4. ცეცხლსასროლი იარაღების АПС-ის (პისტოლეტი “სტეჩკინი”) და АПБს (პისტოლეტი “სტეჩკინი” მაყუჩით) ტექნიკურ–ტაქტიკური მონაცემები;

АПС პისტოლეტი “სტეჩკინი”:
კალიბრი– 9x18 ПМ;
წონა ტყვიების გარეშე–1220 გრამი;
წონა ტყვიებით–1420 გრამი;
სიგრძე–225 მმ;
ლულის სიგრძე–140 მმ;
მჭიდის მოცულობა–20 ვაზნა;
ტყვიის საწყისი სიჩქარე–315-340 მ/წ
ლულის მიერ წარმოებული ენერგია–348-353 ჯოული;
სასხლეტის დაშვებისთვის საჭირო ძალა–25-30 ნიუტონი;

---

[464] **არც ერთი** თვითმხილველი მოწმე არ ადასტურებს რომ ცხედარი იყო „წამომჯდარ“ მდგომარეობაში.

[465] კვლავ მტკნარი სიცრუე – **არც ერთი** თვითმხილველი მოწმე არ ადასტურებს რომ ცხედარი იყო „წამომჯდარ“ მდგომარეობაში!

[466] არც ერთი თვითმხილველი მოწმე არ აცხადებს, რომ „ცხედარი მიყუდებული“ იყო საწოლის დაფაზე! აღნიშნული იქნა მხოლოდ ის ფაქტი რომ „ცხედრის თავი იყო მიყუდებული“ ლოგინის თავზე. ასეთი პატარ–პატარა სიყალბეებით კომისია წვეთი-წვეთ „ამყარებს“ მკვლელობის ვერსიას.

[467] კომისია ჩქმალავს იმ ფაქტს, რომ არც ერთ მოწმეს არ დაუნახავს თუ სხეულის როგორ მდგომარეობისას მოხდა გასროლა — ანუ, ლოგინზე წამომჯდარი იყო ზ.გამსახურდია თუ იწვა დაახლოებით იმ პოზაში, რომელშიც იგი დაინახეს!

[468] აქ კომისია მტკნარ სიცრუეს წერს — თვით ამ დასკვნაში მოტანილ მასალებში მოწმეების უმეტესობა თავის ჩვენებებში ადასტურებენ და თანაც არაერთგზის, თმების შეტრუსვას, დენთის კვალს და დამწვრობა–შერუჯვას ჭრილობის გარშემო. ეს სიცრუე კი კომისიას სჭირდება იმისთვის, რომ „დაადასტუროს“ დაშორებული მანძილიდან გასროლა — რაც მკვლელობის ვერსიას წაადგებოდა... სულ მცირე — ბურჯანაძის, გვანცელაძის, ღურწკაიას, მარგველანის, კეკენაძის, ჩუხუას და ჯალაღონიას — თვით ამ დასკვნის ტექსტებში მოტანილი არანაკლებ 12 შემთხვევაა სადაც ნახსენებია გასროლით მიყენებული დამწვრობა, რომელიც ტყვიის შემავალი ხვრელის გარშემო წარმოიშვა! ამავე დროს, კომისიის დასკვნაზე დართულია პროკურატურის მიერ გადაღებულ ფოტოები რომლებიდან არც ერთი არაა ისეთი, რომელზეც მოჩანდეს **მარჯვენა საფეთქელი და ტყვიის შემავალი ხვრელი** – ეს შეგნებულადაა გაკეთებული იმიტომ, რომ ამ სურათებზე თვალნათლივ მოჩანს შემავალი ხვრელის გარშემო ძალზე ახლო გასროლით დამწვარი, ტყვიის წამლისგან ჩაშავებული კანი და შეტრუსული თმები!

სასხლეტის დაშვებისთვის საჭირო ძალა თვითგადატენვით–55-70 ნ.
АПБ–იგივე, ნაკეთობა 6П13:
კალიბრი– 9x18 ПМ;
წონა ტყვიების გარეშე–1650 გრამი, მაყუჩით და მხარსადებით (კონდახი);
საერთო სიგრძე–450 მმ;
საერთო სიგრძე მხარსადებით–785 მმ;
ლულის სიგრძე–140 მმ;
მჭიდის მოცულობა–20 ვაზნა;
ტყვიის საწყისი სიჩქარე–290 მ/წ;
სასხლეტის დაშვებისთვის საჭირო ძალა 25–30 ნიუტონი;
სასხლეტის დაშვებისთვის საჭირო ძალა თვითგადატენვით 55–70 ნ.

5. ცეცხლსასროლი იარაღი АПС–დან (პისტოლეტი "სტეჩკინი") ექსპერიმენტული გასროლის შედეგები [469] :

კვალწარმოქმნის მექანიზმის დასადგენად განხორციელდა გასროლა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან "АПС" (პისტოლეტი "სტეჩკინი"), რომელიც დაფიქსირდა ციფრული ფოტოაპარატით – CANON 500D (FulHD 1920X1080, 30 კადრი წამში) და დამუშავდა კომპიუტერული პროგრამით Corel Videostudio Pro X3; ამოღებული იქნა ერთი კადრი.

კადრზე თვალსაჩინოებისათვის დატანილი იქნა ზომები – რომლის შედეგადაც დადგინდა[470]:

„შტანცმარკა"– წარმოიქმნება მიბჯენილი გასროლისას;
ქსოვილის ნარღვევი წარმოიქმნება ლულიდან 30-33 მმ–ის მანძილზე;
გარუჯვა–წარმოიქმნება ლულიდან 80-88 მმ მანძილზე;
ქვარტლი–წარმოიქმნება ლულიდან 100-200 მმ მანძილზე;
დენთის მარცვლოვანი ნარჩენები–წარმოიქმნება ლულიდან 200-300 მმ–ის მანძილზე.[471]

6. შემთხვევის ადგილიდან ამოღებული დაპრესილი ნახერხისგან (დსპ) დამზადებული საწოლის დაფა.

დაფა და მისი ზომები – მართკუთხა, 940x550 მმ (94x55 სმ)

დაფის დაზიანების მდებარეობა – მარჯვენა კიდიდან 495 მმ (49,5 სმ), მარცხენა კიდიდან 428 მმ (42,8 სმ), ზედა კიდიდან – 75 მმ (7,5 სმ).

დაფის დაზიანების ზომები – 16x17x4 მმ (1,6x1,7x0,4 მმ).

---

469 საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ ეს „ექსპერიმენტი" ისევე ბინძურად წარიმართა, როგორც კომისიის ყველა სხვა „ექსპერიმენტი" — კერძოდ გასროლებისას პისტოლეტის ლულის წინ — სხვადასხვა მანძილზე — არ იყო მოთავსებული საგანი–წინაღობა, რომლის ფიზიკური თვისებებიც ადამიანის თავის თვისებებს მიემსგავსებოდა. სავსებით მოსალოდნელია, რომ ასეთი საგანი–წინაღობა **არსებითად შეცვლიდა ლულიდან გამოვარდნილ ალების კონფიგურაციასა და ზომებს**. ამასთანავე — **ტყვიის მყარ საგანში შესვლაც გარკვეულად იმოქმედებდა ალის მახასიათებლებზე**.

470 გაყალბებული „ექსპერიმენტის" შედეგები — ექსპერიმენტისას გასროლა(ები) არ წარმოებული რაიმე ადამიანის თავის მაგვარი და თავის მახასიათებლებთან დაახლოებული სხეულის მიმართ (გასროლებისას ლულის წინ არავითარი წინაღობა არ არსებობდა) — ამდენად ამ „ექსპერიმენტის"დადგენილებები არაპროფესიული, თაღლითური და ყალბია!

471 თვით კომისიის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტი, — ერთის მხრივ **დამწვრობა ტყვიის შემავალი ხვრელის გარშემო** (რასაც პრაქტიკულად ყველა მოწმე ადასტურებს) და მეორე მხრივ როსტოვის ექსპერტთა მიერ **შემავალი ხვრელის ძვალში სტიბიუმის აღმოჩენა** — ადასტურებს, რომ <u>გასროლა მოხდა ძალზე ახლო მანძილიდან — დაახლოებით 50–100 მმ</u> მანძილიდან — რაც **ტიპობრივია პისტოლეტით თვითმკვლელობებისას**. **ძალზე მნიშვნელოვანია**, რომ კომისიის ექსპერიმენტისას **არ გასინჯეს სტიბიუმის კვალის მანძილები** — რომელსაც მიუთითებენ როსტოველი კრიმინალისტები და რაც ადასტურებს ახლო მანძილიდან გასროლას!

22.10. მოცემულობის ანალიზი

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შესაძლებელია ითქვას:

სახეზეა **თავის ქალის ფუძის ნაწილების დეფორმაცია და დაშლა** ისე, რომ მისი აწყობა–რეკონსტრუქცია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ლაბორატორიულ ინსტრუმენტული გამოკვლევის ჩატარებისას (2007 წლის მარტი) შეუძლებელი გახდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოცემული შემთხვევა შეუძლებელია გრუნტის ზემოქმედების შედეგი იყოს[472], აგრეთვე სავარაუდოდ ნაკლებად შესაძლებელია ცეცხლსასროლი იარაღის გასროლის შედეგად თავის ქალაში შემავალ აირებს გამოეწვია თავის ქალის ფუძის დეფორმაცია და დაშლა ისე, რომ **მისი რეკონსტრუქცია ვერ მოხერხდა.**

ყველაზე მაღალი ალბათობით, ყოველივე აღნიშნული, შესაძლებელია გამოწვეული იყოს რაიმე ზემოქმედებით. ასევე დიდი ალბათობით, მოცემულ დაზიანებაზე არ იგულისხმება იმ ტყვიის ზემოქმედება, რომლის მარჯვნიდან მარცხნივ მიმართული არხიც დაფიქსირებულია მიცვალებულის თავის ქალაზე. მოცემული დაზიანება თავის უკანა ნაწილს მოიცავს, სადაც დასკვნის თანახმად, ტყვიის არც შემავალი, არც გამომავალი ხვრელი არ ფიქსირდება.

რაც შეეხება გასროლას, იგი უნდა განხორციელებულიყო **არა ნაკლებ 100–200 მმ–ის მანძილიდან და უფრო შორი მანძილიდან**[473], რადგან **არ შეიმჩნევა**[474] მიბრჯენითა და ახლო მანძილისთვის დამახასიათებელი დაზიანებები: "**შტანცმარკა**", ქსოვილის ჯვარედინი ნახეთქი, **სიდამწვრე**[475]**.** აღნიშნულს ადასტურებს, ქალაქ როსტოვში ჩატარებული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა სადაც ვკითხულობთ "თავის ქალაზე არსებული ცეცხლსასროლი იარაღიდან გამოწვეული (ცეცხლნასროლი) დაზიანება შესაძლებელია მიყენებული იქნა ქვარტლის წარმოქმნის მანძილზე."[476] ექსპერიმენტულად დადგინდა, რომ ცეცხლსასროლი იარაღიდან АПС (პისტოლეტი "სტეჩკინი") ქვარტლის წარმოქმნის მანძილია ლულიდან 100-200 მმ–ი და ზემოთ.

დენთის წვის შედეგად წარმოქმნილი აირები ლულის გამოსასვლელთან 50–55 მმ მანძილზე 1500–3000[477] გრადუს C–ს აღწევს. რაც იწვევს კანზე არა მარტო დენთის დამწვარი, თუ დაუმწვარი ნაწილაკების არსებობას, არამედ თერმული და ქიმიური ზემოქმედების კვალის წარმოქმნასაც. რაც ცხედარს ტყვიის შემავალ ხვრელზე არ აღენიშნებოდა.

დაზიანება მიყენებულია მხოლოდ ტყვიის კინეტიკური ენერგიის ხარჯზე, აირების ზემოქმედების გარეშე, რაც არ გამორიცხავს მაყუჩიანი АПБ–დან ან მსგავსი პისტოლეტი-

---

472 როსტოვის დასკვნაში არ არის საუბარი იმაზე, რომ ჩონჩხის დაზიანებები გამოწვეულია „გრუნტის ზემოქმედების შედეგად" – აქ კომისია უსინდისოდ ტყუის! როსტოვის დასკვნის შესაბამისად ჩონჩხის დამტვრევა–დამსხვრევა შეეძლოთ გამოეწვიათ კუბოს დალეწილ–დაშლილ ფიცრებს – რომლებსაც თავის მხრივ დაბომბვების შედეგად გრუნტის დარტყმითი ზემოქმედება იწვევდა. ანუ ჩონჩხი კუბოს ფიცრებმა დაამტვრიეს, დაამსხვრიეს იმიტომ, თვით კუბოს დამპალ ფიცრებს დაარტყა საფლავის მდებარეობის ადგილას საარტილერიო დაბომბვით შეძრულმა გრუნტმა.

473 აქ კომისიამ უკვე ჩამოახურდავა საზოგადოებისთვის არაერთხელ მირთმეული 50 სანტიმეტრი და დავიდა თვითმკვლელობებისთვის ფრიად დამახასიათებელ 10 სანტიმეტრზე!

474 საინტერესოა რას გულისხმობს კომისია ამ „არ შეიმჩნევა"–ში – როდის, რა გარემოებებში მოხდა ეს დაკვირვება რომელმაც „არ შეამჩნია" სიდამწვრე და სხვა დაზიანებები?

475 აქაც და კიდევ ერთხელ კომისია უგულველყოფს – ბურჯანაძის, გვანცელაძის, ღურწკაიას, მარგველანის, კეკენაძის, ჩუხუას და ჯალაღონიას – თვით ამ დასკვნის ტექსტებში მოტანილ არანაკლებ 13 შემთხვევას სადაც ნახსენებია **გასროლით მიყენებულ დამწვრობა–შერუჯვა ტყვიის შემავალი ხვრელის გარშემო**!

476 კვლავ სიცრუე და გაყალბება – სინამდვილეში როსტოვის დასკვნაში აღნიშნულია რაც აქ უწერიათ: „თავის ქალაზე აღმოჩენილი ცეცხლნასროლი დაზიანება შესაძლოა მიყენებული ყოფილიყო ახლო მანძილიდან, ჭვარტლის მოქმედების ფარგლებში", – მაგრამ **კომისიამ შეგნებულად მიმალა** როსტოვის დასკვნის ამ წინადადების ბოლო: „<u>**არ არის გამორიცხული, რომ მიბჯენასთან მიახლოებული მანძილიდან**</u>, <u>რასაც მოწმობს **ახლო მანძილიდან გასროლის ნიშნების არსებობა**.</u> <u>კერძოდ შემავალი ხვრელის არეში და მის კიდეებზე **სტიბიუმის კვალი**</u>."

477 სასაცილო „სიზუსტეა": ზედა ზღვარი **ორჯერ მეტია** ქვედაზე!

დან გასროლას ახლო ან მიბჯენასთან მიახლოებული მანძილიდან, რადგან მაყუჩი გამონატყორცნ აირებს აკავებს მასში არსებულ სექციებში.[478]

მოწმეები, რომლებმაც ნახეს თავის ქალაზე შემავალი ჭრილობა აფიქსირებენ 6-7 მმ დიამეტრს, რაც შესაძლებელია გამოწვეული იყოს კანის ელასტიურობის გამო. ტყვიის გულა, კინეტიკური ენერგიის ზემოქმედებით, კანთან შეხებისას გაიყოლებს კანს მოძრაობის მიმართულებით, გაჭიმავს, შემდეგ ამოგლიჯავს პატარა ნაწილს და დაუბრუნდება თავის ფორმას, უფრო ნაკლები დიამეტრის ხვრელის სახით, ვიდრე თავად ტყვიის გულაა (კომენტარი გვ.168) რომლის გარშემოც შეიმჩნევა ტყვიის გულაზე არსებული სხვადასხვა ნივთიერებების გაწმენდის კვალი. შემავალი ხვრელის ზომა არ ემთხვევა ტყვიის დიამეტრს, იგი ყოველთვის მასზე ნაკლებია. ასეთ შემთხვევაში აირების ზემოქმედებას ადგილი არ აქვს.

ქალაქ როსტოვში ჩატარებული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში ასევე ნათქვამია: "ტყვიის მოძრაობის მიმართულებაა მარჯვნიდან მარცხნივ, **რამდენადმე** ზემოდან ქვემოთ, **რამდენადმე**[479] წინიდან უკან, რაზედაც მიუთითებს შემავალი და გამომავალი ხვრელები". აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ავტომატური პისტოლეტის "სტეჩკინის" (მისი წონა დამუხტულ მდგომარეობაში 1420 გრამია[480]) ხელში დაჭერა თვითმკვლელობის მიზნით, ლულით 100-200 მმ მანძილზე და ისე, რომ ტყვის მიმართულება იყოს მარჯვნიდან მარცხნივ, **რამდენადმე** ზემოდან ქვემოთ, **რამდენადმე** წინიდან უკან–ფიზიკურად შეუძლებელია.[481]

თუნდაც შესაძლებელი ყოფილიყო თვითმკვლელობის მიზნით ავტომატური პისტოლეტის "სტეჩკინით" განხორციელებულიყო საფეთქლის არეში სროლა იმ მიმართულებით, როგორიც აღწერილია ქალაქ როსტოვში ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნაში, მსროლელი (ამ შემთხვევაში თვითმკვლელი) იძულებული იქნებოდა მიეტანა იარაღის ლულა თავის ქალაზე, რაც უმეტეს შემთხვევაში გამოიწვევდა საფეთქლისა და სოლისებრი ძვლის განგრევას, ცეცხლსასროლი იარაღის ლულიდან გამოტყორცნილი აირების მეშვეობით, რომლის წნევა ლულაში არის 1200-2000 კგ/სმ^2 და ლულის გარეთ ეცემა გავრცელების მანძილის შესაბამისად[482]. აღნიშნული ასევე გამოიწვევდა დიდი რაოდენობის სისხლისა და სხვადასხვა სხეულის ნაწილაკების გამოდინება-გამოფრქვევას შემავალი და გამომავალი ხვრელებიდან, რაც მოწმეთა ჩვენებებსა და საპარლამენტო კომისიის მიერ მოპოვებულ მასალებში არ ფიგურირებს.

ავტომატური პისტოლეტის "სტეჩკინის" ლულიდან ტყვიის გამოტყორცნის ენერგია არის 348–353 ჯოული, ე.ი. ცეცხლსასროლი იარაღის საკეტის უკუცემის ძალა თითქმის იგივეს, რადგან "სტეჩკინის" მოდელის პისტოლეტს არ აქვს მოძრავი ლულა და უკუცემის ენერგია სრულად გადაეცემა ცეცხლსასროლი იარაღის საკეტს და შემდეგ, ინერციულად სახელურს, რაც ზემოთ აღწერილი ფორმით გასროლის განხორციელების შემთხვევაში გამოიწვევდა მისი ხელიდან გავარდნას.[483]

---

478 კომისია იმის მაგიერ, რომ სერიოზული მეცნიერული წყაროები გამოიყენოს და მიუთითოს კვლავ მეზოაპრეობს და გამუდმებით მკვლელობის ვერსიის განსამტკიცებლად.

479 როსტოვის ექსპერტიზის აქტში წერია: несколько.

480 არასწორია: წონა დამუხტულ მდგომარეობაში 1220 გრამია ანუ 200 გრამით ნაკლებია.

481 რას ემყარება ეს „შეუძლებლობა" გაუგებარია — მოსაზრების განსამტკიცებლად არაა მოტანილი არავითარი მეცნიერული ან სტატისტიკური კრიმინოლოგიური მასალა. ხოლო მასალა რომელიც ჩვენ მოგვაქვს ამავე დოკუმენტში საილუსტრაციოდ – ამტკიცებს რომ მსგავსი შემთხვევები მსოფლიოში ათასობითაა რეგისტრირებული.

482 აღნიშნულიც კომისიის მიერ რაიმე სასამართლო ექსპერტიზის გარეშე, მსოფლიო კრიმინალისტიკის მასალებისა და სტატისტიკის გარეშე სავსებით დაუსაბუთებელი აბსტრაქტული და არაპრაქტიკული მსჯელობებია.

483 აქაც, იმის მაგივრად, რომ რაიმე პრეცედენტული მასალა, მტკიცებულება მოიტანოს ან დაიმოწმოს მეცნიერული ლიტერატურა — კომისია ფანტაზიურ თეორეტიზებას ეწევა.

საწოლის საზურგეზე არსებული დაზიანება გაურკვეველი წარმომავლობისაა[484], რადგან არ ჩატარებულა მეტალიზაციაზე შემოწმება. თუ დავუშვებთ (ზოგიერთი მოწმის ჩვენების საფუძველზე) იმ მოსაზრებას, რომ დაზიანება საწოლის დაფაზე გამოიწვია თავის ქალიდან, გასროლის შემდეგ გამომავალმა ტყვიამ, მაშინ ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი გვამის მდებარეობისა და ტყვიის მიმართულებასთან დაკავშირებით. რადგან ამ შემთხვევაში ადამიანი უნდა წოლილიყო საწოლის ნაპირზე მოუხერხებელ მდგომარეობაში[485], როცა გასროლა მარჯვნიდან მარცხნივ, **რამდენადმე** ზემოდან ქვემოთ, **რამდენადმე**[486] წინიდან უკან, თვითმკვლელობის შემთხვევაში შეუძლებელია.

დავუშვათ, რომ მოწმეები, რომლებიც საუბრობენ საწოლის თავის დაფაზე დარჩენილ დაზიანებაზე, სიმართლეს ამბობენ. პროკურატურაც, რომელმაც მტკიცებულების სახით ამოიღო ხსენებული დაფა, ასევე ვარაუდობს ნატყვიარის კვალს[487], ლოგიკურად, ისმის კითხვა, თუ ზვიად გამსახურდიამ თვითმკვლელობა განახორციელა მარჯვნიდან მარცხნივ, ზემოდან ქვემოთ, მაშინ, რა ტრაექტორიით წავიდა ტყვია, რომ საწოლის დაფა დაზიანებულია[488] მარცხნიდან მარჯვნივ, ანუ დაზიანება საპირისპირო მიმართულებითაა გადახრილი და ეს მაშინ, როდესაც ქალაქ როსტოვში ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნაში ზუსტად არის აღწერილი შემავალი და გამომავალი ტყვიის ტრაექტორია მარჯვნიდან მარცხნივ, **რამდენადმე** წინიდან უკან, **რამდენადმე**[489] ზემოდან ქვემოთ.

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს პათანატომ ნინო კიკაბიძის დასკვნები.

დასკვნები ეყრდნობა ქალაქ როსტოვში ჩატარებული ექსპერტიზის მონაცემებს, რომლის მიხედვითაც ცხედარს ნეკნებზე აღენიშნებოდა არაპირდაპირი მოტეხილობები, ეს ნიშნავს იმას, რომ მატრამვირებელი ძალა (საგანი) მოდებული იყო მისგან დაშორებულ მიდამოში, რამდენად ცალკეული ზემოქმედების შედეგად განვითარდა ეს დაზიანებები, ამაზე მსჯელობა შეუძლებელია. მარჯვენა მხარეს დაზიანებები მეორედან მეათე ნეკნის ჩათვლით მოტეხილობა აღენიშნება ლავიწშუა ხაზზე. მათგან მითითებულია, რომ მეექვსე და მეშვიდე მარცხნივა მხრივ ნეკნზე და მეორე მარჯვენა მხრივ ნეკნზე ეს არის არასრული მოტეხილობა, რაც ნიშნავს, რომ ნეკნი სრულად არ არის დაზიანებული, ანუ დაზიანება არ მოიცავს ნეკნის მთელ სისქეს, კერძოდ კი ამ კონკრეტულ შემთხვევაში, აღნიშნულ ნეკნებზე გარეთა ძვლოვანი ფირფიტა არ არის დაზიანებული. აღნიშნულ ნეკნებზე უნდა ვიგულისხმოთ რაიმე სახის მექანიკური ზემოქმედება[490].

კომისიის მოწვეული სპეციალისტი[491]: სხეულის რა ნაწილზე შეიძლება ყოფილიყო მექანიკური ზემოქმედება, რომელმაც გამოიწვია მარჯვენა და მარცხენა მხარეს ნეკნების დაზიანება?

---

484 კოკოს კომისიის ფრიად დამახასიათებელი გონებრივი ტყლარჭვის მაგალითი — სხვაგან კომისიის დოკუმენტებში არაერთგზისაა აღნიშნული თითქოს „საწოლის საზურგეზე“ არსებული ამონატეხი ნატყვიარს წარმოადგენს!

485 არავითარი მტკიცებულება არაა, არავის დაუნახავს — იწვა და როგორ პოზაში იწვა გასროლის მომენტში მიცვალებული, თუ - წამომჯდარი იყო ლოგინზე. ამის ცოდნის გარეშე კი კომისიის მთელი ეს გრძელი მსჯელობები წყლის ნაყვაა.

486 როსტოვის ექსპერტიზის აქტში წერია: несколько.

487 კვლავ — არავითარი ექსპერტიზით გამაგრებული მტკიცებულება იმისა, რომ საწოლის დაფაზე დაზიანება ნამდვილად ნატყვიარია — არაა.

488 არავითარი მტკიცებულება იმისა, რომ საწოლის დაფა ნამდვილად ტყვიამ დააზიანა კომისიას არ გაეჩინა — ამის მიუხედავად, რახან ეს მკვლელობის ვერსიას შეიძლება წაადგესო — კომისია უსინდისოდ განაგრძობს საწოლის დაფის ტყვიით დაზიანების სიცრუის ექსპლუატაციას..

489 როსტოვის ექსპერტიზის აქტში წერია: несколько.

490 ეს „დასკვნები“ სავსებით უგულველყოფს როსტოვის აქტში აღწერილ კუბოს სიდამპლით გამოწვეულ მძიმე დაზიანებებსა და დაბომბვების შედეგად გრუნტის დაწოლის შედეგად კუბოს ფიცრებისა და გრუნტის მიერ ნეშტის დამტვრევა-დაზიანებას.

491 „მოწვეული სპეციალისტი“ ანუ კუდი რომელიც მელას მოწმედ მოჰყავს. არც ერთი ობიექტური და მიუკერძოებელი „მოწვეული სპეციალისტი“ კომისიას არ ჰყოლია — ყველა ისინი, ისევე როგორც კომისიის მთელი შემადგენლობა იმთავითვე დაკომპლექტებული იყო მკვლელობის ვერსიის თავგამოდებული მომხრეებით და ძირითად წარსულში პუტჩისტების სამსახურში აღზევებული კაკუნებით.

პათანატომი: ვინაიდან აქ არის არაპირდაპირი მოტეხილობები, დაზიანების მიმყენებელი ძალა მოდებული იყო მათგან დაშორებულ მიდამოში.

ნეკნების დაზიანებას რაც შეეხება, ამ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია განვითარებული იყოს რაიმე მკვრივი, ბლაგვი საგნის წინა და უკანა მიმართულებით, რაღაც კომპრესიის მაგვარი ზემოქმედებით, მხოლოდ, აქვე დასამატებელია, რომ ჩვენ არ შეგვიძლია განვსაზღვროთ ყველა ნეკნი ერთდროულად მოტყდა თუ თანმიმდევრობით.

კომისიის მოწვეული სპეციალისტი: რას შეეძლო გამოეწვია ბოქვენის ძვლისა და მენჯის ძვლის მოტეხილობა?

პათანატომი: ბოქვენის ძვლის ზედა ტოტისა და საჯდომის ძვლის ქვედა ტოტის მოტეხილობა აღწერილობიდან გამომდინარე, განვითარებული უნდა იყოს ბლაგვი მექანიკური ძალის ზემოქმედებით. დაზიანებიდან დაშორებულ მიდამოში ზემოქმედებით. (დაშორება დაახლოებით იგულისხმება რამდენიმე სანტიმეტრით).

დასკვნის აღწერილობით ნაწილში არ ჩანს მარცხენა მენჯის ძვალი ცალკეულ ფრაგმენტებად არის წარმოდგენილი თუ არა და აღნიშნული მოტეხილობები იზოლირებულია და მოსაზღვრავს ფრაგმენტებს თუ ფრაგმენტაციის გარეშეა განვითარებული.

თავის ქალა

პათანატომი: თავის ქალა შედგება ქალა სარქვლისაგან, ფუძისაგან და სახის ნაწილისაგან. ექსპერტიზაზე წარმოდგენილი იყო თავის ქალის 20 მცირე ზომის ფრაგმენტი და სამი დიდი ზომის ფრაგმენტი.

ეს ოცდასამი ძვლოვანი ფრაგმენტი წარმოადგენდა თავის ქალის სხვადასხვა მიდამოების ფრაგმენტებს. ვინაიდან თავის ქალაზე აღინიშნება ცეცხლნასროლი დაზიანება შემავალი და გამომავალი ხვრელით, თავის ქალის ფრაგმენტაციის იზოლირებულად განხილვა არა რეკომენდირებულია, იგი უნდა განხილულ იქნეს ცეცხლნასროლ დაზიანებებთან ერთად. ცეცხლნასროლი იარაღიდან ჭურვის გასროლის შედეგად ჭურვი და თანმხლები ფაქტორები, კერძოდ, აირები ბლაგვი ძალის სახით მოქმედებენ.

◈ ბ.გუგუშვილის საგანგებო ჩართული შენიშვნა

ძალზე ნიშანდობლივია და სულაც არ არის შემთხვევითო კომისიის ამ „ხელის“ ექსპერტის მიერ თავისქალის დაზიანებების განხილვის უგულველყოფა და აი რატომ:

როსტოველი ექსპერტი მიუთითებს თავისქალის მძიმე დაზიანებებზე და მის რამდენიმე ფრაგმენტად დატეხვაზე

«თავის ქალას ზოგადი დახასიათება :

ჩატარდა თავის ქალას ძვლების რეკონსტრუქცია: მსხვილი და წვრილი ნატეხები **შეერთებულია მავთულითა** და სპეციალური სანთლის მასტიკით. **ნატეხების ნაწილის ერთმანეთთან მისადაგება ვერ მოხერხდა.** თავის ქალას თაღის **ძვლებისა და ძირის დეფორმაცია მკაფიოდ გამოხატულია და ძვლების ერთმანეთში ჩასმა ვერ მოხერხდა**»

ნეკნებზე და მენჯის ძვალზე არსებული მოტეხილობები გამორიცხული არ არის განვითარებულიყო რაიმე მექანიკური ძალის ზემოქმედებით სიცოცხლეში ან გარდაცვალების შემდეგ[492].

კომისიის მოწვეული სპეციალისტი: რა იწვევს გვამური გაშეშების მოხსნას ან მის არ განვითარებას?

პათანატომი: გვამური გაშეშება არის ერთ–ერთი სიკვდილის შემდგომი ნაადრევი ცვლილება. მისი განვითარება იწყება სიკვდილის დადგომისთანავე, თუმცა გამოვლინება ოდნავ მოგვიანებით, სიკვდილიდან დაახლოებით 2–4 საათის შემდეგ, თუმცა ზოგიერთი ავტორის აზრით ის შეიძლება 1–3 საათშიც გამოვლინდეს. გვამური გაშეშება ერთდროულად სხეულის ყველა ჯგუფის კუნთებში არ გამოვლინდება. თავდაპირველად ის ვლინ-

---

492 კვლავ მცდელობები საფლავის ადგილის რუსეთ–ჩეჩნეთის ორი ომის დროს მძიმე და ხანგრძლივი დაბომბვების შედეგად კუბოსთვის და ჩონჩხისთვის მიყენებული დაზიანებები გაასაღონ 1993 წელს სიკვდილის პერიოდში მიყენებულ დაზიანებებად.

დება სახის კუნთებში და ვრცელდება დაღმავალი გზით. სიკვდილიდან დაახლოებით 8–12 საათში გვამური გაშეშება მოიცავს სხეულის ყველა ჯგუფის კუნთს. გვამური გაშეშების მოხსნა სიკვდილიდან დაახლოებით 2–3 დღის შემდეგ ხდება.

როსტოვის ექსპერტიზის დასკვნას დართული ფოტოები, რომლებსაც აქ წარმოვადგენ – სრულ წარმოდგენას იძლევიან იმაზე, რომ თავისქალის დაზიანებები და მაგალითად შუბლის ძვლის დატეხვა–დაფრაგმენტება რომელიც ნეშტის თავი ქალას შეემჩნევა – ზ.გამსახურდიას საქართველოდან გროზნიში გადასვენების დროს მრავალრიცხოვან თვითმხილველებს და მათ შორის პათანატომებს ვერაფრით ვერ დარჩებოდათ შეუმჩნეველი.

სურათებზე გარკვევით ჩანს, რომ თავისქალის ერთ–ერთი ყველაზე ძლიერი ძვალი – შუბლის ძვალი გატეხილია (და როსტოველი პათანატომის მიერ მავთულითაა შეერთებული) ისეთ ადგილზე, რომელიც თმებით არაა დაფარული. რამდენადაც გროზნოში გადასვენების დროს სწორედ თავი ჩანდა დაუფარავი და იგი მთელი, გაუტეხავი იყო – ეს ძლიერი არგუმენტია იმის სამტკიცებლად, რომ როგორც თავისქალის დამტვრევა, ასევე ჩონჩხის დამტვრევა მოხდა უკვე გროზნოში საფლავში, კუბოს დაზიანებებისა და საფლავის ტერიტორიის დაბომბვებისას.

სწორედ ამიტომაა, რომ კომისიის გავლენის ქვეშ მყოფმა პათანატომმა არ გაამახვილა ყურადღება თავისქალის დაზიანებებზე – რაც ზოგადად კომისიის არაკეთილსინდისიერებაზე მეტყველებს.

კომისიის მოწვეული სპეციალისტი: თუ შეიძლება ადამიანს სიკვდილიდან დაახლოებით 20 საათის განმავლობაში არ აღენიშნებოდეს გვამური გაშეშება და შეეცვალოს მას სხეულზე ტანსაცმელი?

პათანატომი: სიკვდილიდან ოცი საათის განმავლობაში გვამური გაშეშება უნდა ჩამოყალიბდეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ის გამოვლინდება სიკვდილიდან დაახლოებით 2–4 საათის შემდეგ. რაც შეეხება ცხედარს– აქტიური მოძრაობების შესრულება არ შეუძლია. გარდაცვლილს გარდაცვალების შემდეგ, მიზანმიმართული მოქმედების შესრულება არ შეუძლია.

კომისიის მოწვეული სპეციალისტი: შესაძლებელია თუ არა რაიმე მომწამვლელი ნივთიერებას გამოეწვია ისეთი მდგომარეობა, რომ გვამური გაშეშება არ ჩამოყალიბებულიყო?

პათანატომი: პირადად ასეთი შემთხვევა ჩვიდმეტი წლის პრაქტიკაში არ მქონია, თუმცა რეკომენდირებულია ტოქსიკოლოგის კონსულტაცია.

კომისიის მოწვეული სპეციალისტი: გარდა ცეცხლნასროლი დაზიანებისა, პრეზიდენტის ცხედარზე მიყენებულ დაზიანებებს შეეძლო თუ არა გამოეწვია სიკვდილი?

პათანატომი: იზოლირებულად აღებული ნეკნების და მენჯის ძვლების მოტეხილობები არ მიეკუთვნება სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებებს. თუმცა გასათვალისწინებე-

ლია მოტეხილობებს თან ახლდა თუ არა შესაბამის მიდამოებში განლაგებული შინაგანი ორგანოების დაზიანებები.

კომისიის მოწვეული სპეციალისტი: ექსპერტის დასკვნაში მითითებული **დაზიანებები პრეზიდენტის სხეულზე არის თუ არა ბრძოლის ან თავდაცვის შედეგი?**

პათანატომი: **აღნიშნულ საკითხზე ძვლოვანი მასალიდან გამომდინარე მსჯელობა შეუძლებელია.**

კომისიის მოწვეული სპეციალისტი: **მოცემულ შემთხვევაში რამ განაპირობა სიკვდილის დადგომა?**

პათანატომი: **მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში <u>სიკვდილის მიზეზის კონკრეტული დადგენა შეუძლებელია</u>** გვამის სრული სკელეტირების გამო, თუმცა, თავის მიდამოში გამჭოლი ცეცხლნასროლი დაზიანებების არსებობა საშუალებას გვაძლევს ექსპერტის დასკვნის მონაცემებზე დაყრდნობით ვთქვათ, რომ <u>არ არის გამორიცხული, (შესაძლებელია) სიკვდილი დამდგარიყო თავის მიდამოს გამჭოლი ცეცხლნასროლი ჭრილობის შედეგად</u>.

კომისიის მოწვეული სპეციალისტი: იმ შემთხვევაში, თუ არის შემავალი და გამომავალი ჭრილობები–შემავალი მარჯვენა საფეთქელთან, ხოლო გამომავალი საპირისპირო მხარეს ყურის უკანა ნაწილში, როგორი იქნება სისხლის დენა?

პათანატომი: ნებისმიერი სიცოცხლის დროინდელი დაზიანება (ჭრილობა) სისხლმდენია. სისხლდენის ინტენსივობა დამოკიდებულია აღნიშნულ მიდამოში არსებული, დაზიანებული სისხლძარღვების კალიბრზე და დაზიანებულ მიდამოში სისხლძარღვოვანი ქსელის განვითარების ინტენსივობაზე.

სასამართლო - სამედიცინო ექსპერტ ლ.ჩაჩუას საპარლამენტო კომისიის გამოკითხვით:

ქალაქ როსტოვში ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით გვამზე დაფიქსირებული დაზიანებების შესახებ ექსპერტმა დროებითი საპარლამენტო კომისიის 2010 წლის 24 მაისს გამოკითხვისას განაცხადა, რომ ნეკნები, მენჯის ძვალი და ბოქვენის ძვალი თავისით ამ <u>წლების განმალობაში</u> არ გატყდებოდა, თუ არ იქნებოდა რაიმე ფიზიკური ზემოქმედება-[493]. იგივე შეიძლება ითქვას თავის ქალის დაზიანებების შესახებაც. რაც შეეხება მოწმეების (ზაზა ბურჯანაძე, გოჩა კეკენაძე, შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძე) მიერ ნახსენებ ყურის ზედა ნაწილის მოწყვეტას, ექსპერტის თქმით, მას რომ მსგავსი რამ დაეფიქსირებინა, აუცილებლად დაწერდა ამის შესახებ.[494]

დროებითი საპარლ. კომისიის მიერ ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტი [495]

საპარლამენტო კომისიის გამოკითხვების საფუძველზე, როგორც საქმეზე არსებული მოწმეები აფიქსირებენ პრეზიდენტის გარდაცვალების ღამეს შემოესმათ "ტაშტის", ან

---

[493] საფლავის ადგილის მძიმე და ხანგრძლივ დაბომბვებს რუსეთ–ჩეჩნეთის ორი ომის დროს კომისია, ისევე როგორც მის მიერ მიწვეული ანუ მოსყიდული „სპეციალისტები" სავსებით უგულველყოფენ და ხსენების ღირსადაც კი არ მიიჩნევენ — თავი რომ დავანებოთ მათი მსჯელობისას ამ მასიური საარტილერიო და საჰაერო დაბომბვების ანგარიშში მიღებას.

[494] კვლავ სრული უგულველყოფა რეალური მდგომარეობისა, რომ კუბო დამპალი და ჩანგრეული იყო სიძველისა და დაბომბვების შედეგად. კვლავ შიშველი თეორეტიზება...

[495] აღნიშნული „ექსპერიმენტი", განსხვავებით ზ.გამსახურდიას სიკვდილის მომენტის შესაბამისი სიტუაციის–მდგომარეობისა, ჩატარდა ქსოვილის ფარდებისა და ლოგინის რბილი გაწყობის გარეშე ცარიელ ანუ გაძლიერებული რეზონანსის მქონე ხის ჭერიან, კედლებიან და იატაკიან ოთახში. პისტოლეტის ლულა და ამდენად გასროლა მიმართული იყო არა ლოგინის რბილი გაწყობისაკენ (ბალიში, ლეიბი, საბანი), რომელსაც ხმის დახშობის დიდი კოეფიციენტი აქვს – არამედ ჭერისკენ სიცარიელეში. გასროლის მომენტში პისტოლეტის ლულის წინ არ იყო რაიმე საგანი, რომელსაც ხმის დახშობის ისეთივე ფიზიკური თვისებები ექნებოდა, როგორც ადამიანის თავს. და ბოლოს — ხმის ძალის განსასაზღვრავად არ ყოფილა გამოყენებული რაიმე სპეციალური ხმის სიმძლავრის ანუ დეციბელების გასაზომი ხელსაწყო!

შიფონერის დავარდნის მსგავსი ხმა, რომელსაც ასოცირებენ ცეცხლსასროლი იარაღის გასროლის ხმასთან.

კარლო და ლუდმილა ღურწკაიების სახლიდან, სადაც გარდაიცვალა პრეზიდენტი, დაახლოებით ოცდაათ მეტრში მდებარე მეზობლის ხის სახლში არ გაუგიათ იარაღის გასროლის ხმა ან გასროლის მსგავსი რაიმე მოქმედებით განპირობებული ხმაური.

2010 წლის 6 ნოემბერს საპარლამენტო კომისიამ საზოგადოებრივ მაუწყებელთან ერთად მოწვეული სპეციალისტების ორგანიზებით ჩაატარა საგამოძიებო ექსპერიმენტი:

ექსპერიმენტი ჩატარდა ხობის რაიონის სოფ. ძველ ხიბულაში, კარლო ღურწკაიას სახლში, მეორე სართულზე, სადაც მთავარი მოწმეების ცნობით აღესრულა საქართველოს პირველი პრეზიდენტი დაახლოებით 22 საათზე. ოთახის ფართობი დაახლოებით 15 კვმ. ოთახში განათავსეს იგივე ავეჯი, რაც 17 წლის წინ: კარადა, ორი საწოლი დაშლილ მდგომარეობაში და ორი პატარა მაგიდა. სახლს ჰქონდა ჰერმეტულად დახურული კარები და ფანჯარა[496]. იატაკი ნორმალურ მდგომარეობაში იყო.

გასროლის ხაზზე უსაფრთხოების მიზნით კარადა გადაადგილებული იქნა შესასვლელი კარებიდან მარჯვენა მხარეს და მის ადგილზე დამონტაჟდა ტყვიის დამჭერი. გასროლა განხორციელდა "ნორინკოს" მოდელის პისტოლეტიდან, რომელსაც აქვს უძრავი ლულა და დაახლოებით "სტეჩკინის" მსგავსი ტექნიკურ-ტაქტიკური პარამეტრები.

უსაფრთხოების მოთხოვნათა დაცვის შესაბამისად გასროლა განხორციელდა ჰორიზონტალური ხაზიდან ოცდაათი გრადუსით ზემოთ, ტყვიის დამჭერის მიმართულებით. **ხმის დასაფიქსირებლად გამოყენებულია იაპონური სისტემის პროფესიული ვიდეოკამერა,** რომელსაც აქვს ხმის ფიქსირების მაღალი ხარისხი, მისი შემდგომი დამუშავების პარამეტრებით.

განხორციელდა სამი ექსპერიმენტული გასროლა. პირველი გასროლა–დახურულ ოთახში, სადაც მთავარი მოწმეების ცნობით გარდაიცვალა პრეზიდენტი, ამავე ოთახში განთავსებული იყო **ხმის დამჭერი ვიდეოკამერა**[497]. გასროლის შემდეგ დაფიქსირდა ცეცხლსასროლი იარაღიდან განხორციელებული შესაბამისი ხმოვანება[498].

მეორე შემთხვევაში **ხმის დამჭერი ვიდეოკამერა** განთავსდა პირველ სართულზე, სადაც პრეზიდენტის გარდაცვალების დროს იმყოფებოდნენ პრეზიდენტის მასპინძლები. მოცემულ შემთხვევაშიც გასროლის შემდეგ დაფიქსირდა ცეცხლსასროლი იარაღიდან განხორციელებული შესაბამისი ხმოვანება.

მესამე შემთხვევაში **ხმის დამჭერი ვიდეოკამერა** განთავსდა ღურწკაიების სახლიდან (სადაც გარდაიცვალა პრეზიდენტი), დაახლოებით ოცდაათ მეტრში მდებარე მეზობლის ხის სახლში. ამჯერად ხის სახლის ნაცვლად კაპიტალურ შენობაში, პირველ სართულზე, სადაც იმ დროს იმყოფებოდნენ ოჯახის წევრები. მოცემულ შემთხვევაშიც გასროლის შემდეგ დაფიქსირდა ცეცხლსასროლი იარაღიდან განხორციელებული შესაბამისი ხმოვანება[499].

◈ ბ.გუგუშვილის საგანგებო შენიშვნა კომისიის მიერ „სტეჩკინის" მახასიათებლების გაყალბებაზე

ჯერ ერთი, ზემოთ მონათხრობი „ექსპერიმენტის" გადმოცემისას, დასკვნის ავტორებს (რომლებიც მოწმეებისგან მიკროსკოპულ დეტალებს მოითხოვენ) „დაავიწყდათ" დაეფიქსირებინათ ჩინური კლონი–პისტოლეტების მწარმოებლის, „ნორინკოს" მათ მიერ გამოყენებული პისტოლეტის მარკა – რათა დავრწმუნებულიყავით, რომ „ექსპერიმენტისას" გამოყენებული „ნორინკო" თავისი მახასიათებლებით (და უპირველეს გასროლის ხმის სიძლიერით) მართლაც შეესაბამება „სტეჩკინს".

---

[496] „ჰერმეტულობის" არსზე და თავისებურებებზე კომისიას ეტყობა საკუთარი მოსაზრებები გააჩნია!

[497] „ხმის დამჭერი ვიდეოკამერა" როგორც ჩანს კომისიის რაღაც საიდუმლო და მხოლოდ მისთვის ცნობილი ხელსაწყოა...

[498] ნიშანდობლივია, რომ ასეთი დიდი შრომით მოპოვებული „დაფიქსირებული ხმოვანების" მონაცემები კომისიის დასკვნაში არაა მოცემული!

[499] და – სადაა „ხმოვანების" ეს დაფიქსირებული მონაცემები? – კომისიის დოკუმენტში ისინი არ ჩანს, რატომ?

საბაზისო ინფორმაცია განსჯისთვის 1.„სტეჩკინისა“ და 2.„პარაბელუმის“ ვაზნების ძალის შედარება:

1. აფეთქ. წნევა **23,206 psi**, ტყვია 5.4-**6.2 გრ,** სიჩქ 298-**325 მ/წმ,** ენერგ 313-**505 ჯოული**

2. აფეთქ. წნევა **34,084 psi**, ტყვია 7.5-**9.5 გრ,** სიჩქ 360-**435 მ/წმ,** ენერგ 518-**704 ჯოული**

თუ შევეცდებით კომისიის მიერ მიჩქმალული ინფორმაცია „განვშიფროთ“ – აღმოვაჩენთ, რომ როგორც „ექსპერიმენტის“ ვიდეო დოკუმენტში ჩანს: გამოყენებული იქნა Norinco NZ-85B, რომელიც (როგორც „ნორინკოს“ ყველა 9 მმ პისტოლეტი) იყენებს **„პარაბელუმის“ 9×19 მმ** ვაზნებს - რომლებიც **უფრო ძლიერია (გასროლის ხმითაც)** ვიდრე „მაკაროვი-სტეჩკინის“.

ამავე დროს „ნორინკოს“ ვერც ერთი პისტოლეტის ლულის სიგრძე (უგრძესი 115 მმ) ვერ შეედრება „სტეჩკინისას“ (140 მმ) – რაც თავისთავად იმას ნიშნავს, რომ უფრო მოკლე ლულის გამოსასვლელში გაცილებით ძლიერი ვაზნის დენთის აფეთქებით უფრო ძლიერი ხმა გამოიცემა.

თუნდაც მხოლოდ „მაკაროვის“9×18 მმ და „პარაბელუმის“9×19 მმ ვაზნების ვიზუალური შედარება არაპროფესიონალსაც კი იოლად მიახვედრებს, რომ კომისიის მიერ (და, ზოგადად მკვლელობის მომხრეების მიერ) უსაშველოდ გაბუქებული ზღაპარი „სტეჩკინის“ სიძლიერეზე **რუსული ჩამოსხმის** ფანტასტიკაა და მეტი არაფერი.



Norinco-თი გასროლის „ექსპერიმენტის“ ფოტო (ტელეგადაცემიდან)

სურათებზე: პისტოლეტები „სტეჩკინი“(მარცხნივ) და Norinco NZ-85B (მარჯვნივ):
„მაკაროვის“9×18 მმ და „პარაბელუმის“9×19 მმ ვაზნების შედარება.

ზოგადად – სხვადასხვა პისტოლეტების ხმის ძალა დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან და 155-165 dB ფარგლებშია. შესადარებლად – ავტომობილის საყვირის (სიგნალის) ხმის სიძლიერე = 110 dB, „ვუვუზელასი“ ფეხბურთის გულშემატკივრები რომ იყენებენ = 120 dB-ია და არსებითად ძლიერ უახლოვდება პისტოლეტისას

ფართოდ გავრცელებული პისტოლეტების ვაზნები. ნათლად ჩანს, რომ „მაკაროვის“ ვაზნა (მარცხნიდან პირველი) რომელსაც იყენებს „სტეჩკინი“ ყველაზე პატარა და ამდენად ყველაზე სუსტია

ზ.ხუციშვილი სამხედრო ექსპერტი ფილმი “დინების საწინააღმდეგოდ”[500] 2007[501]

“არ მგონია გუგუშვილი სამხედრო განხრით ნავარჯიშები ყოფილიყო[502], ანუ მოუმზადებელი იქნებოდა ხომ?! ამას ემატება, რომ ადამიანს სძინავს. იგი შოკში ჩავარდებოდა, უბრალოდ, შოკში და სუსტი გულის მქონე ადამიანს შეიძლება ინფარქტი მიეღო საერთოდ. სულ ცოტა, რომ დაყრუვდებოდა და პირველ წამებში ვერაფერს გაიგებდა, თუ რა ხდება, რაშია საქმე? რატომ მაგაზე არ ამახვილებს ყურადღებას გუგუშვილი?

“ტაშტის” ვარდნის ხმას უდრის “სტეჩკინის” გასროლის ხმა?, იგივე “მაკაროვის” სისტემის პისტოლეტის გასროლის ხმა? უძლიერესი პისტოლეტია”.[503]

---

500 ფილმი იხ. DVD-ზე: Video/kokos_dinebis-sacinaagmdegod.flv

501 „სამხედრო ექპერტის“ ბავშვური, პრიმიტიული, სამარცხვინო მსჯელობების მაგალითი — კოკო გამსახურდიას სტილში — საქართველოს პარლამენტის დოკუმენტის დონეზე — მით უმეტეს ამის წინა ქვეთავის „ექსპერიმენტის“ ტელევიზიით ჩვენების შემდგომ — როდესაც ასობით ათასმა ადამიანმა საკუთარი ყურით მოისმინა პისტოლეტის „გამაყრუებელი“ ხმა. „სამხედრო ექსპერტ“ ხუციშვილის ჭკუით კი პისტოლეტის გასროლის ხმა დიდი კალიბრის ზარბაზნის გასროლის ხმასავით ყოფილა თურმე...

502 „არ მგონიაზე“ დაფუძნებული მსჯელობები, ფრიად ტიპობრივი კომისიისთვის.

503 „მაკაროვისა“ და „სტეჩკინის“ პისტოლეტების „უძლიერესებში“ ჩაწერაც კომისიის პრიმიტივიზმსა და მარტივ, პროვინციულ-ქუჩურ აზროვნებაზე მიუთითებს.
იხ. DVD-ზე ვიდეოები თასის დაცემის ხმის სიძლიერის შესახებ (დასტური იმისა, რომ თასის დაცემის ხმა აღწევს 100 დეციბელს და ფრიად უახლოვდება „მაკაროვისა“ და „სტეჩკინის“ გასროლის ხმის ძალას) და „მაკაროვის“ სიძლიერის შედარება „ტე-ტე“-სთან:
Video/stechkimis_udzlureba.wmv
Video/tt_vs_makarov.wmv
Video/tasis_dacemis_xmis_dzala.mp4

დროებითი საპარლამენტო კომისიის კომენტარი

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მთავარი მოწმეების ჩვენებებიდან გამომდინარე ბესარიონ გუგუშვილი მომხდარი ფაქტის შემდეგ დაუყოვნებლივ დგება საწოლიდან, რომელიც პრეზიდენტის საწოლის გვერდით მდებარეობს და მიემართება გვერდით ოთახში პრეზიდენტის პირადი დაცვის ორი წევრის მოსახმობად[504]. ოთახების გამყოფი კედელი ხის არის, კარების გარეშე და ჩამოფარებულია ფარდა, ნახევრად ღია მდგომარეობაში[505]. აღნიშნული დაცვის წევრების ოთახიდან აგრეთვე მოემართებიან ნახევრად მძინარე მდგომარეობაში მყოფი დაცვის უფროსი რობინზონ მარგველანი და დაცვის წევრი ბაჩუკი გვანცელაძე, ისე, რომ მათზე როგორც ნორმალურ ადამიანებზე არ ვრცელდება ცეცხლსასროლი იარაღიდან განხორციელებული შესაბამისი ხმოვანების ადეკვატური მდგომარეობა. სწორედ აქედან იღებს სათავეს მთავარი მოწმეების მხრიდან არაადეკვატური და ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებები და გამოკითხვები[506].

22.11. ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობისას ხელისუფლების მაღალი თანამდებობის[507] პირთა ჩვენებები:

2010 წ 25 იანვ. გვარდიის ყოფილი სარდალი და თავდაცვის ყოფილი მინისტრი თ.კიტოვანი პრეზიდენტ ზ.გამსახურდიას **მკვლელობის** [508] შესახებ

"ზვიად გამსახურდია არ არის თვითმკვლელი. იგი მოკლულია ედუარდ შევარდნაძის სპეციალური დავალებით, რომელიც განახორციელეს შსს მინისტრმა შოთა კვირაიამ, გენერალმა გია გულუამ, ყოფილმა უშიშროების მინისტრის მოადგილემ ავთანდილ იოსელიანმა. ამ საქმეში აგრეთვე გარეულია მაშინდელი პრემიერ მინისტრი ავთანდილ მარგიანი. ზვიად გამსახურდიას სამშობლოში დაბრუნების შემდეგ შევარდნაძეს გაუჩნდა პირდაპირი მტერი და მას ემუქრებოდა ჩამოგდება. აქედან გამომდინარე, შევარდნაძემ დაიწყო ფიქრი, თუ როგორ მოესპო ზვიად გამსახურდია. მან დავალება მისცა შოთა კვირაიას, გია გულუას, ავთანდილ იოსელიანს და ავთანდილ მარგიანს. ეს პირები იყვნენ გარეული ზვიად გამსახურდიას მკვლელობაში. ედუარდ შევარდნაძის დავალებით, მარგიანი და დევდარიანი ჩავიდნენ ადმირალ ბალტინთან მოლაპარაკების მიზნით. თანხის

---

[504] კომისიის ფუჭი ფანტაზიები, სინამდვილეში კი: გუგუშვილმა გასროლის ხმის გაგონებისთანავე 1) შეხედა პრეზიდენტს, 2) მოეჩვენა რომ იგი აღებინებს, 3) იყვირა „არიქა აღებინებს", და იმავდროულად წამოხტა ლოგინიდან და გაიქცა ლოგინის მეორე მხარისაკენ — ამასობაში გვერდი აუარა იმ ოთახის კარებს, სადაც მანამდე იწვნენ მცველები, 3) კარებიდან მას შემოასწრო მარგველანმა და წინ მოექცა ლოგინის მეორე მხარეს სირბილში. გვანცელაძემ ოდნავ დააგვიანა და გუგუშვილის უკან მოექცა. ამდენად ლოგინის მარჯვენა მხარეს, რომელზეც იწვა ზ.გამსახურდია მოექცა ჯერ მარგველანი, შემდეგ — გუგუშვილი და ბოლოს გვანცელაძე. იხ. DVD-ზე მოდელირებული ვიდეო ზ.გამსახურდიას თვითმკვლელობის პირველი წამების შესახებ:
Video/khibula_31-12-1993_00-30.wmv

[505] ეს „ნახევრად ღია მდგომარეობაც" კომისიის „მხატვრული გადახვევა" და მცირე „ვირ-ეშმაკობაა" — **აღნიშნული ფარდა ყოველთვის მთლიანად და სრულად ღია იყო**.

[506] „არაადეკვატური და ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებები" — თუ არის კიდეც — გამომდინარეობს არაადეკვატური და ურთიერთგამომრიცხავი პასუხის მაპროვოცირებელი შეკითხვებიდან და შეკითხვების დამსმელთა უდიდესი სურვილიდან წაიყვანონ მსჯელობა მათთვის სასურველ მხარეს — ანუ მცდარ მხარეს.

[507] აქ კომისია ჩვეულ ფალსიფიკაციას მიმართავს – მალავს იმ ფაქტს, რომ ზ.გამსახურდიას სიკვდილის დროისათვის არც კიტოვანს და არც სიგუას რაიმე „მაღალი თანამდებობები" აღარ გააჩნდათ და ამდენად არც რაიმე არსებით ინფორმაციაზე არ მიუწვდებოდათ ხელი. ამ შემთხვევაში კომისია დახარბებულია კიტოვანის, სიგუასა და გიორგაძის ცრუპენტელობაზე – რაც ქართული საზოგადოებრიობისთვის ფართოდაა ცნობილი.

[508] ტერმინი „მკვლელობა" აქ და კომისიის არაერთ დოკუმენტში თვალნათლად წარმოაჩენს მის არაობიექტურობასა და მიკერძოებას სწორედ მკვლელობის ვერსიის მიმართ!

რაოდენობას მე ვერ გეტყვით, მაგრამ ბალტინი უფულოდ აქ არ ჩამოვიდოდა. მას არანაირი უფლება არ ჰქონდა შემოსულიყო საქართველოს ტერიტორიაზე. ბალტინს თავისი უფროსებისგან ჰქონდა ნებართვა და ამიტომაც შემოვიდა ფოთში. ეს იყო სწორედ ის დამანგრეველი ძალა რომლის შემდეგაც დაიშალნენ ზვიად გამსახურდიას მომხრეები.

ავთანდილ მარგიანმა ერთერთი საუბრის დროს თავის ახლობელთან[509] თქვა – მე გადავიხადე 50.000 (ორმოცდაათი ათასი) ამერიკული დოლარი ზვიად გამსახურდიას მკვლელობაშიო. ამის შემდეგ მე ვამტკიცებ[510], რომ ზვიად გამსახურდია მოკლულია. მე ვიძახი[511], რომ ზვიად გამსახურდია არის ორი ტყვიით მოკლული. არ შეიძლება "სტეჩკინის" სისტემის იარაღით, ზემოდან ქვემოთ ნასროლით თავი მოეკლა ზვიად გამსახურდიას, ეს არის ნასროლი. პირველმა ტყვიამ ეტყობა რბილობში გაიარა, ხოლო მეორე ეტყობა ზემოდან დაახალეს და მოკლეს. ერთი ტყვია არის საწოლში. ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი რამდენიმე წამშია გაკეთებული. ავთო იოსელიანის დაჯგუფებამ ყველაფერი იცოდა გამსახურდიას გადაადგილების შესახებ. შოთა კვირაია ერთხელ ვნახე ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფი, რომელმაც ისე თქვა რაღაც, რომ ეს უთუოდ მათი გაკეთებული იყო.

თვითმკვლელი კაცი როდის იყო მუცელზე იდებდა ასეთი სიმძიმის იარაღს. ფინანსური სისტემა ებარა მარგიანს, მან შევარდნაძის დავალებით გამოიტანა 50.000 (ორმოცდაათი ათასი) ამერიკული დოლარი და გადაიხადა პრეზიდენტის მკვლელობაში. ეს ინფორმაცია არის იმ წრიდან, სადაც მარგიანმა გაამხილა აღნიშნული ინფორმაცია, ამას დეტალურად შემდგომში ვიტყვი.

ლოთი ქობალიას და ედუარდ შევარდნაძეს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ."

2010 წლის 27 იანვარი. უშიშროების ყოფილი მინისტრი იგორ გიორგაძე პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას **მკვლელობის** [512] შესახებ

„პრეზიდენტ გამსახურდიას მკვლელობაში შემსრულებლების დონეზე განიხილებიან შს მინისტრი შოთა კვირაია და აწ განსვენებული გენერალი გია გულუა. ამას ჩვენ ვერ გავექცევით. სახელმწიფო მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს როდესაც მოვახსენე, რომ ზვიად გამსახურდია ალყაში მყავს–მეთქი, მან მითხრა – მე ცოცხალი არ მჭირდებაო. ამ საქმის შესრულებაში გადახდილი იყო თანხა, სხვათა შორის ეს დიდი თანხა არ არის. **შემსრულებლებმა ვინც იციან აღნიშნულის შესახებ, მზად არიან ითანამშრომლონ გამოძიებასთან**[513]. პროკურატურაში არ არის მასალები, რომლებიც დაადასტურებენ მის მკვლელობას და ასევე არ მოიპოვება მასალები, რომლებიც დაადასტურებენ მის თვითმკვლელობას. ჩვენ ვიცოდით ზვიად გამსახურდიას ჩამოსვლაც და მას ვინც აეროპორტში უნდა დახვედროდა ის პირებიც. ბატონი ზვიადი ღია რადიო კავშირით ესაუბრებოდა ლოთი ქობალიას. ეს ჩანაწერები ჩვენ გვქონდა. იქ საუბარში ვახტანგი (ლოთი) ყველანაირად ცდილობდა დაეჯერებინა პრეზიდენტი, რომ მისი ჩამოსვლა აუცილებელი და რაც მთავარია შედეგიანი იქნებოდა.

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა მის ჩამოსვლამდე ოთხი დღით ადრე 1993 წლის 20 სექტემბერს. გია გულუამ პრაქტიკულად

---

509 კვლავ და ისევ ვითომც სხვისი (ანონიმის) მონაყოლის მოყოლები, „გაფუჭებული ტელეფონი". დამახასიათებელია ისიც, რომ „კრიტიკულად" განწყობილი და წვრილმანებში ჩამკირკიტებელი კოკოს კომისია ამჯერად სავსებითაც არ დაინტერესებული „ახლობლის" ვინაობით და არ უცდია თვით ეს „ახლობელი" გამოეკითხა.

510 კომისია არც იმითი დაინტერესებულა თუ რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით „ამტკიცებს" ეს ქრონიკული და პათოლოგიური ცრუპენტელა.

511 პუტჩისტი თენგიზ ცრუ „იძახის", ყვირის...

512 ტერმინი „მკვლელობა" აქ და კომისიის არაერთ დოკუმენტში თვალნათლად წარმოაჩენს მის არაობიექტურობასა და მიკერძოებას სწორედ მკვლელობის ვერსიის მიმართ!

513 ჯერ ერთი, რომ „შემსრულებელი" ჰქვია მკვლელს ანუ ეს არის მკვლელობის შემსრულებელი! პარადოქსია – გამსახურდიას მკვლელები თურმე მზად არიან ითანამშრომლონ!!! ამ „შემსრულებლებს" გიორგაძე კომისიის მიერ გამოკითხვაში სულაც აღარ ახსენებს – ნიშანდობლივია. გამოკითხვისას კომისია არც იმით დაინტერესებულა გაეგო გიორგაძისგან კონკრეტულად და პირადად ვის ჰყავდა ზ.გამსახურდია ალყაში, როდის და სად.

იცოდა პრეზიდენტ გამსახურდიას გადაადგილება. მქონდა ინფორმაცია[514], რომ ზვიად გამსახურდიასთვის ეძებდნენ ჩასაცმელს, ჯერ მაშინ, როდესაც ის ცოცხალი იყო. წინასწარ ვრცელდება უკვე ინფორმაცია, რომ კაცმა თავი მოიკლა. თვითმკვლელობამდე ორი დღით ადრე ერთი კაცი ყიდულობს პრეზიდენტისთვის უკვე პიჯაკს მის გასაპატიოსნებლად. ჩემი ანალიზით, შემთხვევის ადგილზე უცხო პირი ვერ მივიდოდა. ოთხმოცდაცხრამეტი მთელი ცხრა მეათედი პროცენტით მე გამოვრიცხავ, რომ იქ ვინმე შეიპარა, ასევე გამოვრიცხავ თვითმკვლელობას. ე. ი. მივდივართ იქამდე, რომ **ეს დავალება შეასრულა იმ ხალხმა ვინც მასთან უშუალოდ კონტაქტში იყვნენ, ანუ, პირველი წრე, მასთან ვინც იმყოფებოდა, უცხო იქ ვერ შეევიდოდა.**“[515]

2010 წლის 25 თებერვალი. ყოფილი პრემიერ მინისტრი თენგიზ სიგუა ზვიად გამსახურდიას **მკვლელობის** [516] შესახებ

„1993 წლის 23 სექტემბერს ზვიად გამსახურდია ჩამოიყვანეს გროზნოდან სენაკის აეროპორტში, იქედან გადაიყვანეს ზუგდიდში, ამის შემდეგ გააქტიურდა სამხედრო შეიარაღებული ფორმირება. ესენი იყვნენ შსს და უშიშროების სამინისტროს სპეცრაზმები. მოლაპარაკება გამართეს რუსეთ-უკრაინის გაერთიანებული შავი ზღვის ფლოტის ხელმძღვანელობასთან, კერძოდ, ადმირალ ბალტინთან. არის ინფორმაცია, რომ ბალტინის მოსასყიდად გაღებულია საკმაოდ დიდი თანხა. ამ გზით იგი ჩართეს სამხედრო ოპერაციაში. ამ ოპერაციის შედეგად ქობალიას რაზმი დამარცხდა და უკვე იწყება ზვიად გამსახურდიას დევნა, ამ ორი უწყების შექმნილი რაზმების მიერ.

უშიშროების მინისტრის იგორ გიორგაძის თქმით, სადაც იგი ღიად ამბობს[517], რომ ჩემი რაზმი კვალდაკვალ მისდევდა ზვიად გამსახურდიასო, პრეზიდენტის გარემოცვიდან ჰქონდა ზუსტი ინფორმაცია მისი ადგილსამყოფელის შესახებ. გიორგაძემ როდესაც შესთავაზა სახელმწიფო მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს, შემიძლია დავაპატიმრო გამსახურდია და მეორე დღესვე მოგგვაროო, შევარდნაძის პასუხი იყო ასეთი, ცოცხალი ზვიად გამსახურდია მე არ მჭირდებაო. გიორგაძის თქმით მან ეს დავალება არ შეასრულა, მაგრამ მისი გვერდის ავლით ანალოგიური დავალება მიიღო მისმა პირველმა მოადგილემ ავთანდილ იოსელიანმა. ოფიციალური ვერსია, რომ პრეზიდენტმა „სტეჩკინის“ სისტემის პისტოლეტით მოიკლა თავი, სინამდვილეს არ შეესაბამება. კერძოდ, „სტეჩკინის“ სისტემის იარაღი იწონის კილოგრამზე მეტს[518] და აქედან გამომდინარე, <u>გასროლის შემდეგ იარაღი იატაკზე უნდა ეგდოს, ამას ნებისმიერი ექსპერტი დაადასტურებს</u>. ამ დროს გაკეთებულია ინსცენირება, რომ გასროლის შემდეგ პრეზიდენტს იარაღი ხელში უკავია და მუცელზე უდევს. დაცვის უფროსი იმდენად განსწავლული უნდა იყოს, რომ თვითმკვლელობის იარაღი არ გააპრიალოს. ამ პროცედურის შემდეგ წაშლილია ანაბეჭდების კვალი. ზვიად გამსახურდიას იარაღი **ბოლომდეა გაპრიალებული**[519], პრეზიდენტი გაპატიოსნებულია, მისი სამოსი გარეცხილი და გაპრიალებულია, ყველაფერია გაკეთებული კვალის დაფარვის მიზნით.

---

514 კვლავ უსაბუთო მოჭორვები და მეზღაპრეობა – გებისტი ვერ ასახელებს თუ საიდან და ვისგან ჰქონდა „ინფორმაცია“.

515 იხარე კოკო – აი ისიც – გაბახებული გებისტის უმძლავრესმა გონებამ გამოთვალა „მკვლელი“– ის ერთადერთი, „პირველი წრიდან“ რომელიც დაჟინებით ამტკიცებს, რომ გასროლისას მხოლოდ ის იყო გარდაცვლილის ახლოს – ბესარიონ გუგუშვილი.

516 ტერმინი „მკვლელობა“ აქ და კომისიის არაერთ დოკუმენტში თვალნათლად წარმოაჩენს მის არაობიექტურობასა და მიკერძოებას სწორედ მკვლელობის ვერსიის მიმართ!

517 თითქოს კაგებეს უსტაბაში ბოზის ეს „ღიად თქმა“ სანდო დოკუმენტი ან საბუთი, მტკიცებულება იყოს.

518 „სტეჩკინი“, რომელიც სხვაგან ორ-ეკილოგრამებოდათ აქ ერთ-ეკილოგრამებათ, მაგრამ ამის მიუხედავად ორივე შემთხვევაში ძალზე ემძიმებათ.

519 „ბოლომდე გაპრიალებულიო“ ისე ამბობს, თითქოს საკუთარი თვალით ნანახი ჰქონდეს... „ბოლომდეც“ ძალზე ძლიერი არგუმენტია.

ცნობილი პათანატომის თამარ დეკანოსიძის თქმით, დათვალიერების დროს გვამთან მეტრ–ნახევარზე ახლოს არავინ მიუშვეს. იმ გარეგნული დათვალიერებით, რაც მე ვნახე, ძალიან მეეჭვება, რომ იყოს თვითმკვლელობა.”

როდესაც ოპოზიცია თბილისის ზღვაზე დაბანაკდა, მოსკოვიდან ჩამოვიდა ერთ–ერთი მაღალჩინოსანი, თბილისის მეტროპოლიტენის ყოფილი ხელმძღვანელი ნოდარ ბერიძე, რომელმაც თენგიზ კიტოვანს განუცხადა, რომ უშუალოდ ედუარდ შევარდნაძის დავალებით იყო მოსული. მისი თქმით, დავალების არსი მდგომარეობდა იმაში, რომ დაქირავებულიყო „ქილერი“ ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციისთვის, რაზედაც ამ პიროვნებამ სასტიკი უარი მიიღო თენგიზ კიტოვანისგან.”

[თენგიზ სიგუა ასევე მიიჩნევს, რომ 50.000 ამერიკული დოლარი ზვიად გამსახურდიას ლიკვიდაციისთვის არის ძალიან მცირე თანხა. თენგიზ სიგუა დღესაც **ღრმად არის დარწმუნებული**[520], რომ ეს იყო მკვლელობა.]

22.12. საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის მიერ ჩატარებული გამოკითხვებისა და საქართველოს მთავარი პროკურატურიდან გამოთხოვილი №7494802 სისხლის სამართლის საქმის მასალების შემაჯამებელი დასკვნები

◈ ბესარიონ გუგუშვილი შენიშვნები „დასკვნის“ ამ ნაწილთან დაკავშირებით

ბუნებრივია ეს „შემაჯამებელი დასკვნები“ ეფუძნება ზემოთ მოტანილ კომისიის მიერ გაყალბებულ ინფორმაციასა და ცნობებს, დეზინფორმაციასა და უსაგნო ჭორებს. ანუ ეფუძნება არასანდო, მანკიერ, არასრულფასოვან, ხარვეზებიან მასალას — რომელიც ზემოთ უკვე საკმაოდ დეტალურად გავაკრიტიკე.

ამიტომ — ამჯერად ტექსტის ხელახალ დეტალურ გარჩევას არ დავიწყებ და მხოლოდ ცალკეული შენიშვნებით შევიზღუდები.

ერთ არსებით ასპექტს კი მაინც აქვე აღვნიშნავ საგანგებოდ, რადგან კომისიის ერთ ერთი უმთავრესი მოტივი ისაა, რომ შევარდნაძის რეჟიმს არ აწყობდა ზ.გამსახურდიას მკვლელობის ვერსია და აწყობდა მხოლოდ თვითმკვლელობის ვერსია. იმის დასამტკიცებლად, რომ შევარდნაძის რეჟიმს სწორედ მკვლელობის ვერსია აწყობდა მკითხველის ყურადღებას ორ დოკუმენტირებულ ფაქტზე (სხვაც მრავალია) გავამახვილებ:

პირველი:

ქვემოთ მოტანილი „ჩიკაგო ტრიბუნის“ 1994 წლის 5 იანვრის ცნობა მტკიცე დასაბუთებაა იმის, რომ შევარდნაძის რეჟიმი უკიდურესად და ძლიერ დაინტერესებული სწორედ და ზუსტად იყო ზ.გამსახურდიას მისივე გარემოცვის მიერ მკვლელობის დამტკიცებით! ზუსტად ისევე, როგორც ამითი დაინტერესებულია სააკაშვილის რეჟიმი და მისი კოკო გამსახურდიას საპარლამენტო კომისია.

აი რას წერს „ჩიკაგო ტრიბუნი“:

Ex-georgian President A Suicide. „Chicago Tribune“, January 05, 1994.

Zviad Gamsakhurdia, the ousted Georgian president who has been leading a rebellion, killed himself after being surrounded by pro-government forces, Russian news agencies quoted his wife as saying Wednesday. The reports by Interfax and ITAR-Tass could not be immediately confirmed. Georgian officials suggested Gamsakhurdia, 54, may have been shot in a quarrel with his supporters.

---

520 კომისიის რწმენის სიძლიერის შემოწმების დეტექტორმა, ანუ პუტჩისტი სიგუას „ღრმა რწმენამ“ დაადგინა და ეს კოკოს კომისიას რა თქმა უნდა უძლიერეს მტკიცებულებად მიაჩნია.

ანუ – გაზეთი წერდა: გამსახურდიას ქვრივმა განაცხადა ზ. გამსახურდიამ თავი მოიკლაო. მაგრამ საქართველოს „ოფიციოზი“ ანუ **შევარდნაძის რეჟიმი თვლის, რომ ალბათ გამსახურდია მის მხარდამჭერებთან შეკამათებისას მოკლესო!**

ნუთუ ამის შემდეგ ვინმე სინდისიანი კიდევ იკამათებს იმაზე – სჭირდებოდა და აწყობდა და დაინტერესებული იყო თუ არა შევარდნაძის რეჟიმი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის ვერსიის დამტკიცებით.

და ამ ცნობაში ისიც გარკვევით და არაორაზროვნად ჩანს, რომ <u>შევარდნაძის რეჟიმისთვის ყველაზე სანუკვარი იყო ზ.გამსახურიას მისივე გარემოცვის მიერ მოკვლა</u>! ზუსტად იგივე ვერსია აწყობს ყველაზე მეტად სააკაშვილის რეჟიმსა და მის საპარლამენტო კომისიას.

მეორე:

თვით კომისიის დასკვნაშივე არის ასეთი დოკუმენტირებულ ფაქტი – იხილეთ კომისიის მიერ **ა.რცხილაძის** გამოკითხვის ტექსტი, სადაც რცხილაძე აღწერს თუ როგორ ცდილობდა შევარდნაძის პროკურორი ა.ბალუაშვილი მის იძულებას მიეცა ყალბი ჩვენება **მეორე ნატყვიარზე** – რაც მკვლელობის ვერსიას ძნელად დასაძლევს გახდიდა.

მესამე:

კომისიის მიერ როსტოვის ექსპერტიზის დასკვნის „მოპოვების“ შემდეგ კომისიის უზომო პიარული კამპანია ეფუძნებოდა იმ სენსაციას, რომ ვითომც როსტოვის დასკვნიდან გამომდინარე, რომელშიც აღნიშნულია ნეშტის ძვლების დაზიანებები – გამსახურდია ჯერ სასტიკად აწამეს და მხოლოდ შემდეგ – ორი გასროლით საფეთქელსა და ყელის არეში მოკლეს (თან ორი სხვადასხვა კალიბრის იარაღით)!

კომისიისა და კოკოს პარტიის ერთ-ერთი რეკლამირებული „ზვიადისტი“ წევრი (შემდგომ კოკოს მიერ ბაშკია ძაღლივით გაგდებული) იქამდეც კი მივიდა (ანუ დამდაბლდა) რომ ისეთი ზღაპარიც კი შეთხზა თითქოს გამსახურდიას წამებისას ხელის ფრჩხილებიც კი დააგლიჯეს – ს.ბრეგაძემ „ქრონიკისათვის“ 04.05.2010 მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ «გამსახურდია ჯერ აწამეს და შემდეგ მოკლეს... ცხედარს[521]... ცალ ხელზე არა აქვს ფრჩხილები...»[522].

სიკვდილის დაკვეთის დამტკიცებით გაბრიყვებულმა ს.ბრეგაძემ, რომელსაც მიაჩნია, რომ კომისიამ უკვე უცილობლად დაამტკიცა ზ.გამსახურდიას მკვლელობის ფაქტი. აქედან გამომდინარე, ამ საბრალომ, თავისი სისულელის გამო ვერ გათვალა, რომ ფრჩხილების არქონას ასე თუ ისე შეამჩნევდნენ გროზნოში პროზექტურაში ცხედრის დათვალიერების დროს და იმდენადაა შეპყრობილი სიკვდილის დაკვეთის იმიტაციებით, რომ მზად არის თავის წარმოდგენებში სასტიკად აწამებინოს პრეზიდენტი და ფრჩხილები დააგლეჯინოს მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთია მავანთა. სხვა მხრივ – ფრჩხილებისა (რაც ნამდვილად აკლდა როსტოვში წარდგენილ ნეშტს) და სხვა ძვლების დაკარგვა იმას მოწმობს, რომ – კუბო ძლიერ დამტვრეულ-დაღლილი იყო და ძვლები გრუნტს იმდენად შეერივნენ, რომ ექსგუმაციისას მათი სრულად მოკრება შეუძლებელი გახდა.

მაგრამ, როგორც მკითხველი ნახავს კომისიის დასკვნით დოკუმენტში სასტიკი წამების ასპექტი – რომელიც ძვლების დაზიანებებიდან გამომდინარე ჯერ ერთი, რომ ლოგინზე მწოლიარე ადამიანზე ვერ იქნებოდა მიყენებული და მეორეც, რომ ასეთ წამებას საკმაო დრო დასჭირდებოდა და ვერც უხმაუროდ ვერ მოხდებოდა – პრაქტიკულად მიჩუმათებული და მიჩქმალულია.

მეოთხე:

ზ.გამსახურდიას ნეშტის გროზნიში ექსგუმაციის ზოგადი ხედების ტელერეპორტაჟები საქართველოში ასობით ათასმა ადამიანმა ნახა და ისიც ნახა, რომ ექსგუმაციას ფოტო და ვიდეო რეპორტიორთა საკმაოდ დიდი გუნდი აფიქსირებს, მაგრამ – საკვირველი ისაა, რომ <u>კომისიამ არ მოიპოვა და ამითი საზოგადოებას დაუ-</u>

---

521 ამ ჭკუამოკლეს ცხედარი და ნეშტი ერთმანეთისგან ვერ გაურჩევია.

522 იხილეთ DVD-ზე: Videos/bregvadze_frchkhilebi.wmv

მალა ის ვიდეო და ფოტომასალა, რომელშიც ასახულია ექსგუმირებული კუბოს მდგომარეობა და მასში ნეშტის მდგომარეობა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ თუ კუბო მართლა ისეთ კარგ მდგომარეობაში იყო, რომ მას შეეძლო ეხსნა დაბომბვებისას ნეშტის ჩონჩხის ძვლები დამსხვრევისგან – კოკოს კომისია ყველაფერს გააკეთებდა იმისთვის, რომ ეს დოკუმენტური მასალა ფართოდ გაეპიარებინა და აგრეთვე დაერთო კომისიის დასკვნითი დოკუმენტისთვის თავისი ვერსიის განსამტკიცებლად.

ჩვენ კი – რახან ეს ასე არ გაკეთდა – უნდა ვირწმუნოთ ექსგუმაციის შესახებ იმ რუსული მწირი მასალისა რომელიც გვამცნობს კუბოს ძლიერ დაზიანების შესახებ, რასაც შეეძლო ჩონჩხის ძვლების დამტვრევა გამოეწვია[523].

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის მიერ ჩატარებული გამოკითხვებისა და საქართველოს მთავარი პროკურატურიდან გამოთხოვილი №7494802 სისხლის სამართლის საქმის მასალების შემაჯამებელი დასკვნები და შეფასებები

აღნიშნული საქმე ისე აღძრა გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ ა.ბალუაშვილმა, რომ მითითებული არ იყო სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლი და საქმის ნომერი. შესაბამისად, საქმის ნომერი და ბარათი არ გაგზავნილა საინფორმაციო ცენტრში.

მიუხედავად ზემოაღნიშნულ მოწმეთა ჩვენებებში გამოვლენილი შეუსაბამობებისა და იმ პასუხგაუცემელი კითხვებისა, რომლებიც ასახულია წარმოდგენილ საქმეში, საქართველოს მთავარ პროკურატურაში, 1994 წლის 10 იანვარს აღძრული სისხლის სამართლის საქმე 2004 წლიდან დღემდე შეჩერებულია და დღემდე არ არსებობს მათ მიერ მოპოვებული არც ერთი რეალური მტკიცებულება არც პრეზიდენტის თვითმკვლელობის და არც მკვლელობის შესახებ.

ამავე დროს, საქართველოს პროკურატურის მასალებში საქართველოს პრეზიდენტის გარდაცვალების ერთადერთ მიზეზად მხოლოდ თვითმკვლელობა სახელდება, რომელიც მომდინარეობს როგორც მთავარი მოწმეებისგან (რობინზონ მარგველანი, შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძე, ზაზა ბურჯანაძე, გონა კეკენაძე), ასევე მათთან დაკავშირებული პირებისგან (კარლო ღურწკაია, ლუდმილა აბშილავა, ძმები: ზაურ და ანატოლი ჩუხუები), რომლებიც აგრეთვე მოწმის სტატუსით დაიკითხნენ.

საქმის გაცნობისას ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ გამოძიებას არ დაუკითხავს ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების ძალოვანი სტრუქტურის არც ერთი წარმომადგენელი და თანამდებობის პირი. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ სწორედ ეს სტრუქტურები ახორციელებდნენ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დევნას 1993 სექტემბერ–დეკემბერში. ასევე აღსანიშნავია, რომ ზვიად გამსახურდიას სამშობლოში დაბრუნებამდე 1 დღით ადრე, 1993 წლის 23 სექტემბერს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ აღძრა და წარმოებაში მიიღო სისხლის სამართლის საქმე რამდენიმე ათეული მუხლით საქართველოს პრეზიდენტისა და კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ. საქართველოს უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე, გენერალი ავთანდილ იოსელიანი ფილმში "დინების საწინააღმდეგოდ", რომელიც 2007 წელს ტელეეთერით გავიდა, პირდაპირ მიუთითებს: "საქართველოს პრეზიდენტს ეს ორი ჯგუფი ეძებდა შინაგან საქმეთა სამინისტრო და უშიშროების სამინისტრო... **გარემოცვა არ იყო ჩვენთან დაკავშირებული, გარემოცვა, რომ ყოფილიყო, მაშინ ჩვენ გვეცოდინებოდა მისი საბოლოო ადგილსამყოფელი.** ჩვენ კავშირი გვქონდა გარემოცვის გარემოცვასთან. სა-

[523] იხილეთ DVD-ზე: Videos/gamsaxurdias_neshtis_gadalageba_plastikshi.flv

დაც მოძრაობდა ვიცოდით ამ დონეზე. მე ახლა აგენტურას ვერ გეტყვით, რადგან მაგის უფლება არ მაქვს.” (იხ. ფილმის პირველი ნაწილი ინტერვიუ ა.იოსელიანთან)[524].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იკვეთება გამოძიების არათანმიმდევრული და ტენდენციური მოქმედება 1994-2003 წლებში განხორციელებული სისხლის სამართლის საქმის მიმართ. დროებითი საპარლამენტო კომისია სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის შემდეგ მიიჩნევს, რომ აღნიშნულ წლებში არ არსებობდა აღნიშნული საქმის გამოძიების პოლიტიკური ნება. ამის გამო **განადგურდა ყველა კვალი,**[525] რასაც შესაძლებელია საგამოძიებო და კრიმინალისტიკური კუთხით გარკვეული შედეგის დადგომისთვის ხელი შეეწყო. მოწმეებისა და უშუალო თვითმხილველების ურთიერთგამომრიცხავი და არსებულ საქმესთან შეუსაბამო ჩვენებები ეფექტიანი საგამოძიებო მოქმედებების გარეშე უშედეგოა. აღსანიშნავია ასევე, რომ მომხდარი დანაშაულის უშუალო შემსრულებლებისა და თანამონაწილეების თითქმის ნახევარი ლიკვიდირებულია ან გარდაცვლილი. თუ რატომ არ არსებობდა საქმის გამოძიების პოლიტიკური ნება, ამ შეკითხვაზე პასუხი უნდა გასცენ უპირველეს ყოვლისა “სახელმწიფოს მეთაურმა”, შემდეგ პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, ასევე მისი ხელისუფლების უმაღლესი რგოლის წარმომადგენლებმა.

პრეზიდენტის ჯიხაშკარიდან ძველ ხიბულაში გადაყვანის თარიღსა და დროს დაკითხული პირები ჩვენებებში ურთიერთგამომრიცხავ დღეებსა და საათებს ასახელებენ[526]. გამოძიების მსვლელობისას აღნიშნულ საქმეზე არ დაკითხულან ამ ოჯახის სხვა წევრები, რომლებიც შემთხვევის დროს შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ.

წინააღმდეგობრივია პრეზიდენტის გადაყვანის აღწერა მოწმეების მიერ ჯიხაშკარიდან ძველ ხიბულაში. მანქანაში ვერ გამოიძებნა ადგილი პრეზიდენტის პირადი დაცვის ორი წევრის, ზაზა ბურჯანაძისა და გოჩა კეკენაძის გადასაყვანად, მაშინ როდესაც მანქანაში ადგილი მოინახა ერთ-ერთი გვარდიელისთვის, **გულიკო ტიბუასათვის**[527]. ასევე ძველ ხიბულაში მდებარე კარლო ღურწკაიას კუთვნილ ორსართულიან სახლში არ აღმოჩნდა ჯიხაშკარში, ჯონსონ კვარაცხელიას კუთვნილ სახლში დატოვებული ზაზა ბურჯანაძის და გოჩა კეკენაძის ადგილი, მიუხედავად იმისა, რომ ძველ ხიბულაში მდებარე კარლო ღურწკაიას კუთვნილ სახლში ამის შესაძლებლობა ნამდვილად იყო.

პროკურატურის მიერ წარმოებულ დაკითხვებში ყურადღება არ გამახვილებულა არც პრეზიდენტის ჩაცმულობაზე გზაში, არც მის მდგომარეობაზე საწოლში და არც გარდაცვალების დროსა და თარიღზე. პირიქით, ამის საპირისპიროდ კომისიის მიერ ჩატარებული გამოკითხვებით ვიგებთ, რომ ოჯახის მასპინძელმა პრეზიდენტი ამოიცნო მხოლოდ ზედა ტუჩით და მისი სიმაღლე ვერ განსაზღვრა, ჩაცმულობაზე, რომ არაფერი ვთქვათ.

პრეზიდენტის გადაადგილებას სამოთხ კილომეტრზე, მათივე ჩვენებებით დასჭირდა ოცი წუთი და ამ დროს გაურკვეველი რჩება თუ შებინდებისას გასულნი (დაახლოებით 18:00 საათზე) როგორ მივიდნენ ღამის 22 საათზე, 22 საათსა და 30 წუთზე კარლო ღურწკაიას კუთვნილ სახლში[528].

გარდაცვლილი პრეზიდენტის მდგომარეობას საწოლში, მოცემულ საქმესთან დაკავშირებით დაკითხული მთავარი მოწმეები ასევე ურთიერთგამომრიცხავად და წინააღმდე-

---

[524] ამ და სხვა მსგავს „მტკიცებულებებს“ უკან არ დგას არავითარი შემოწმებადი და გადამოწმებადი ფაქტობრივი მასალა – მოწმეების ჩვენებები, ადგილების, დროის, გარემოებების მითითებით.

[525] ჯერ ერთი რომ ფარიად არსებითი ოდენობის მატერიალური კვალი იქნა შენარჩუნებული და გადარჩენილი სიკვდილის მოწმეების მიერ და მეორეც – თუ ყველა მართლა ყველა კვალი განადგურდა, მაშინ გამოძიებაც უაზრო ყოფილა.

[526] ცრუობს კომისია – იმისდა მიუხედავად, რომ მოწმეების გამოკითხვისას არ დაინტერესებულან რა ობიექტური ხელსაწყოთი სარგებლობდნენ ისინი დროს დასადგენად (საათი, რადიო, ტელევიზია) – პრაქტიკულად ყველა მოწმე გარდა ერთისა დაახლოებით ერთ დროს ასახელებს – რაც ღამის ოცი წლის წინანდელი მოვლენების გახსენებისას საკმაოდ ზუსტ მასალას იძლევა.

[527] მე პირადად არ მახსენდება თუ მანქანაში იჯდა ხსენებული გ.ტიბუა და არც დამატებით ერთი ადამიანისთვის მანქანაში ადგილი არ იყო – მაგ. უკანა სკამზე ისედაც ოთხნი ვისხედით.

[528] აქაც კომისია უგულველყოფს ღამის ათეული მოწმის ჩვენებას და მხოლოდ იმ ერთის ჩვენებას ეყრდნობა რომლის ნათქვამიც კომისიას აწყობს.

გობრივად აღწერენ. ბოლო მასპინძელი–ლუდმილა ღურწკაია-აბშილავა პრეზიდენტის გარდაცვალებიდან პირველიდან მეორე სართულზე სახლის შიდა კიბით ავიდა რამდენიმე წუთში. პრეზიდენტს სახე და ხელები მისი თქმით უკვე აკრული ჰქონდა. ტანზე ეცვა შარვალი და პიჯაკი, რამაც ლუდმილა აბშილავა გააკვირვა, ვინაიდან მომხდარ ფაქტამდე ერთი საათით ადრე, როდესაც პრეზიდენტს ჩაი მიართვა მას საწოლში სპორტული პიჟამა ეცვა. ბალიში და საბანი საწოლზე აღარ იყო. თავქვეშ ამოდებული ჰქონდა ოჯახის ბიბლიოთეკიდან გადმოღებული წიგნები.

ასევე სხვადასხვა თარიღი სახელდება პრეზიდენტის გარდაცვალების დღედ, 30-31 დეკემბერი. თვით ცოლ-ქმარი ღურწკაიები აფიქსირებენ გარდაცვალების სხვადასხვა რიცხვს. ერთერთი უშუალო მოწმის მამრიკო ზარანდიას გამოკითხვით, პრეზიდენტის გარდაცვალება მან 29 დეკემბერს დღის საათებში შეიტყო. აღნიშნული ინფორმაციის მომწოდებლად ის რამდენიმე წყაროს ასახელებს.

პრეზიდენტის თავის ქალაზე შემავალი და გამომავალი ნატყვიარის აღწერილობა ასევე ურთიერთ წინააღმდეგობრივია, კერძოდ, შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძის თქმით, მან როდესაც დაათვალიერა პრეზიდენტის ცხედარი, თავის ქალაზე ნახა მხოლოდ შემავალი ტყვია მარჯვენა საფეთქლის მიდამოსთან, ხოლო გამომავალი ნატყვიარი მისი თქმით პრეზიდენტს არ ჰქონდა, რამაც ის გააკვირვა[529].

მოწმეები ასევე განსხვავებულ დიამეტრს ასახელებენ შემავალი ტყვიის რადიუსად (4-5 მმ). მოწმე ნუკრი ღურწკაიას, კარლო ღურწკაიას ვაჟის გამოკითხვით, იგი როდესაც ავიდა და ნახა საწოლში გარდაცვლილი პრეზიდენტი, ვერ შენიშნა პრეზიდენტის ცხედარზე სისხლის კვალი. პრეზიდენტის პირადი დაცვის წევრების თქმით, ვერ აღმოაჩინეს ვერც ტყვიის გულა და ვერც მასრა. ოჯახის მასპინძლის კარლო ღურწკაიას ჩვენებით კი, მასრა იპოვეს, მაგრამ თუ ვინ აიღო, არ იცოდა. დაცვის უფროსმა რობინზონ მარგველანმა საპარლამენტო კომისიის გამოკითხვით, პროკურატურის ჩვენებისაგან განსხვავებით განაცხადა, რომ იპოვა მასრა და იგი შეინახა ჯონსონ კვარაცხელიას ეზოში პრეზიდენტის იარაღთან და სახელმწიფო ბეჭედთან ერთად.

პრეზიდენტის საწოლის დაფაზე აღმოჩენილია 6-7 მილიმეტრის ზომის დაზიანება. აღნიშნული დაფიქსირებულია პროკურატურის მასალებში, როგორც ტყვიისმიერი დაზიანება[530]. ისმის კითხვა, ხომ არ არის ეს პრეზიდენტზე მიყენებული იმ მეორე ტყვიის კვალი, რომელიც პრეზიდენტს ქალაქ გროზნოს პროზექტურაში აღენიშნებოდა. აღნიშნულს დაცვის ერთერთი წევრის სოსო თორიას თქმით, ადასტურებდა გროზნოს პათანატომი, რომ ეს იყო პრეზიდენტის ცხედარზე მეორე მცირე კალიბრიანი იარაღით მიყენებული ჭრილობა ყელის არეში. პათანატომმა დააფიქსირა ეს, აიღო მავთულის მსგავსი სამედიცინო იარაღი და შეიყვანა ნაჭრილობევში, იმის დასადასტურებლად, რომ შემავალი ჭრილობა იყო ნატყვიარი და გამჭოლად არ იყო გასული[531] .

მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში, გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებლის ო.ჯაფარიძის

---

529 კომისია კვლავ მალავს ყველაზე ფასეული მოწმის ექიმ ჯალაღონიას პროფესიულ ცოდნაზე აგებულ ჩვენებას და დამოწმებას ტყვიის შემავალი და გამომავალი ხვრელების ადგილმდებარეობისა და მდგომარეობის შესახებ: გაზეთ „ასავალ-დასავლისათვის“ (2010, 5–11 ივლისი) მიცემულ ინტერვიუში კოკო გამსახურდია აწ გარდაცვლილ ექიმ დავით ჯალაღონიაზე, რომელმაც ბალზამირება გაუკეთა ჯიხაშკარში ზ.გამსახურდიას ცხედარს, განაცხადა: «ფილმის (ფილმი „დინების საწინააღმდეგოდ“) შემქმნელი ჯგუფის წევრმა **ნათია თოიძემ ინახულა ეს პიროვნება**, <u>თუმცა, მასთან საუბრის ჩანაწერი არ არსებობს</u>. სხვათა შორის, როგორც ნათია იხსენებს, ბატონი ჯალაღონია, მძიმე ავადმყოფობის გამო, შეკითხვებზე არაადეკვატურ პასუხებს სცემდა.» — დიახ, ჯალაღონიას ჩანაწერი, რომელიც გადამღებმა ჯგუფმა ინახულა (და რომლის მონათხრობიც არსით მიუღებელი იყო მკვლელობის ვერსიით გატაცებულთათვის) არ არსებობს და ეს იმ დროს და ისეთ ვითარებაში როდესაც არსებობს და ხსენებულ ფილმში ჩართულია მრავალი მონაჭორისა და ზღაპრის ჩანაწერი.

530 არავითარი საექსპერტო დასაბუთება არ არსებობს, რომ საწოლის დაფაზე დაზიანება ტყვიის მიერაა გაკეთებული, ისევე, როგროც არაა არავითარი დასაბუთება რომ დაზიანება შეიცავს ან ტყვიის ან ზ.გამსახურდიას ბიოლოგიურ მასალას.

531 სოსო თორიას სიცრუე კარგად დადასტურდა მის მიერ ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში — სადაც იგი ცრუობს ვითომ იყო კიდევ ერთი ნასროლი ყელში, რომლის დიდი გამომავალი ხვრელი იყო კეფაში! — რაც კატეგორიულად არ დასტურდება როსტოვის ექსპერტიზის დასკვნით.

№18. 05.2001. წერილში ვკითხულობთ: რობინზონ (რობერტ) მარგველანის თქმით, ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა "სტეჩკინის" კონსტრუქციის **მაყუჩიანი** პისტოლეტით[532], რომელიც ამოღებული და გამოკვლეული არ ყოფილა.

განსაკუთრებულ საქმეთა უფროსმა გამომძიებელმა ო.ჯაფარიძემ, წერილობით აცნობა რა ადამიანის უფლებათა დამცველ არასამთავრობო საზოგადოებას, მიუთითა წყარო, საიდანაც ჰქონდა მას ეს ინფორმაცია, თუმცა მარგველანის ჩვენებების შესწავლამ ეს არ დაადასტურა. როგორც ჩანს, **გამქრალია მაყუჩის არსებობის შესახებ პირველწყარო**[533]. ძნელი სავარაუდოა, რომ განსაკუთრებულ საქმეთა უფროს გამომძიებელ ო.ჯაფარიძეს უბრალოდ შეშლოდა და სიტყვა "მაყუჩი" გამოეყენებინა ისე, რომ ამის არსებობის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონოდა რომელიმე წყაროდან, მოწმის ჩვენებიდან და სხვა. თვითონ მაყუჩის არსებობის ფაქტი უკვე გამორიცხავს თვითმკვლელობის ვერსიას, რადგან მაყუჩი იარაღს კიდევ უფრო აგრძელებს და სრულიად გამორიცხავს თვითმკვლელის მიერ მისი ხელში დაჭერისა და სროლის განხორციელების შესაძლებლობას იმ კუთხით, რომელზედაც მოწმეები და ქალაქ როსტოვში ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა მიუთითებს. სხვათა შორის, მაყუჩის არსებობაზე გარკვეულ წილად მიუთითებს თვითონ რობინზონ მარგველანისა და კარლო ღურწკაიას მეუღლის ლუდმილა აბშილავას განცხადებები, რომ მათ შემოესმათ სროლის ყრუ ხმა. ამგვარი ხმა სწორედ მაყუჩიანი იარაღიდან განხორციელებულ გასროლაზე მიუთითებს.

კომისიამ მოიპოვა ზუგდიდის ყოფილი კომენდანტის, ბადრი ზარანდიას დღიური, რამაც სინათლე მოჰფინა პრეზიდენტის ყოფნას წალენჯიხის რაიონში აფხაზეთიდან გადმოსვლის შემდეგ. უშუალო თვითმხილველთა გამოკითხვებიდან კომისიამ მოიპოვა ინფორმაცია, რომ პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ბესარიონ გუგუშვილთან ერთად მუჟავაში ბადრი ზარანდიას ბანაკში ისე მივიდა, რომ მას არ ჰყავდა **პირადი დაცვის არც ერთი წევრი 4-5 დღის განმავლობაში**[534]. მუჟავასა და ჭყებზენის მთებში პრეზიდენტს რამდენჯერმე შეხვდნენ და ულტიმატუმიც წაუყენეს ზუგდიდის კომენდანტის ბადრი ზარანდიას დაჯგუფების წევრებმა და მათივე რიგებში მყოფმა პოლიციის თანამშრომლებმა. ულტიმატუმის[535] თანახმად პრეზიდენტს უნდა დაეტოვებინა ქვეყანა, ვერტმფრენის, ან წითელ ხიდზე გადასვლით, რომლის უზრუნველყოფასაც თავად დაჰპირდნენ. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ მუჟავაში ყოფნისას გენერალ გია გულუასთან დაკავშირებული პირებისთვის პრობლემა არ იყო პრეზიდენტთან შეხვედრა, რომელიც ერთხელ მუჟავაში დაცვის გარეშეც კი დარჩენილა 4-5 დღის განმავლობაში.

ურთიერთგამომრიცხავი და წინააღმდეგობრივია პრეზიდენტის ავადმყოფობასთან დაკავშირებით მიცემული ჩვენებები და გამოკითხვები[536]. რამდენჯერმე მეორდება, თითქოს პრეზიდენტი, რომელიც სამეგრელოს ათეულობით სოფელსა და პუნქტს გადადიოდა ფეხით, ღამეებს ათევდა ტყესა და მთაში და იმყოფებოდა იმდენად შეუძლოდ, რომ ვერ გადაადგილდა ეზოს ჭიშკრამდეც კი[537]. როგორც ჩანს, განსაკუთრებული ყურადღების

---

532 მტკნარი სიცრუე – მარგველანს არასოდეს და არსად განუცხადებია „მაყუჩიანი" პისტოლეტის შესახებ.

533 ეს ის „მაყუჩია" – რომელიც კომისიის შუალედურ დასკვნებში მკვლელობის ვერსიის მამტკიცებელი ერთ–ერთი ბურჯი იყო! ბოლოს გაწვალებულ კომისიას სავსებით „დაეკარგა" და „გაუქრა" მისი ვერსიისთვის აგრერიგად აუცილებელი „მაყუჩი" – რომელიც ბუნებაში არასოდეს არსებობდა.

534 ესეც მტკნარი სიცრუე რომელიც არაერთი მოწმის მიერ არის მხილებული.

535 არავის ზ.გამსახურდიასთვის „ულტიმატუმი" არ წაუყენებია. იყო მხოლოდ საქართველოდან გასვლის შეთავაზებები და გასვლის გზების შესაძლებლობების განხილვა. შევარდნაძის ძალაუფლებისგან „ულტიმატუმი" რომ ყოფილიყო, ეს იმას ნიშნავდა რომ შევარდნაძე დაინტერესებული იყო ზ.გამსახურდიას საქართველოდან უვნებლად გასვლით.

536 სულ პირიქით – მოწმეების უმეტესობა, რომელსაც ზ.გამსახურდიასთან მეტ ნაკლებად ხანგრძლივი და ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ბოლო პერიოდში ერთხმად ადასტურებენ მის ფრიად მძიმე, ავადმყოფურ მდგომარეობას და ზოგად დასუსტებას.

537 კომისიის ტიპობრივი ხრიკი – უგულველყოს მოწმეების ჩვენებები იმის შესახებ, რომ ზ.გამსახურდიას **ჯანმრთელობა გაუარესდა ბოლო პერიოდში** და რომ ამ **ბოლო პერიოდში უკვე არავითარი რთული გადასვლები ან ტყეში თავის შეფარება აღარ ხდებოდა** – სწორედაც რომ ზ.გამსახურდიას შეუძლოდ ყოფნის გამო. მეტიც – არც ერთ მოწმეს არ აქვს მიცემული ჩვენება, რომ: „ვერ გადაადგილდა ეზოს ჭიშკრამდეც კი"! – ამ ფრაზას კომისია თითონ ზღაპრავს და მოწმეებს მიაწერს.

გამახვილება პრეზიდენტის ტკივილებზე მუცლის არეში და ამ ფაქტორის დამძიმება ცალკეული მოწმის მიერ მიზნად ისახავს შემდგომში მათ მიერვე გავრცელებული თვითმკვლელობის ვერსიის გასამართლებლად კიდევ ერთი საფუძვლის გამოძებნას.

რაც შეეხება იარაღს, დაცვის წევრების განმარტებით, პრეზიდენტი სამეგრელოში "სტეჩკინის" სისტემის პისტოლეტს ატარებდა, რომელიც მას ბადრი ზარანდიამ აჩუქა, მაგრამ ბადრი ზარანდიას გარდაცვალებისას თავისი კუთვნილი იარაღი თვითონვე ჰქონდა-[538]. საპარლამენტო კომისიის გამოკითხვით "სტეჩკინის" კონსტრუქციის იარაღი აჩუქა ერთერთმა გვარდიელმა ავთო პაკელიანმა. ერთერთი "სტეჩკინის" სისტემის იარაღი ჩამარხა რობინზონ მარგველანმა ჯიხაშკარში, ჯონსონ კვარაცხელიას სახლის ეზოში. ამავე დროს, რობინზონ მარგველანი პროკურატურისადმი მიცემულ ჩვენებებში მიუთითებს რომ "სტეჩკინის" სისტემის პისტოლეტი და პრეზიდენტის პირადი დაცვის წევრების "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტები სასახლეში ჩაულაგა გარდაცვლილ პრეზიდენტს და გროზნოში სასახლიდან თვითონვე ამოიღო.

ზემოთქმულიდან გამომდინარე გაუგებარია, სად არის იარაღი, რომლისგანაც განხორციელდა გასროლა[539].

ამ მნიშვნელოვან საკითხზეც ერთმანეთის გამომრიცხავი ჩვენებები არსებობს.

რობინზონ მარგველანს თუ დავუჯერებთ, ზვიად გამსახურდიას ორივე იარაღი, ერთი „სტეჩკინი", რომლისგან განხორციელებული გასროლითაც, რობინზონ მარგველანისა და სხვათა მტკიცებით გარდაიცვალა საქართველოს პირველი პრეზიდენტი, ხოლო, მეორე „ნაგანი", რომლის არსებობის შესახებ რობინზონ მარგველანმა მხოლოდ პრეზიდენტის გარდაცვალების შემდეგ შეიტყო და თითონ დაიტოვა, შემდეგ ქალაქ გროზნოში წაიღო და ვიღაც ჩეჩენ მეგობარს მიაბარა. მანანა არჩვაძე-გამსახურდიას კი უთხრა, რომ ვითომ ეს იარაღები სამეგრელოში იყო დამალული.

გოჩა კეკენაძის განცხადებით კი რობინზონ მარგველანმა და თვითონ გოჩა კეკენაძემ ეს იარაღები, პრეზიდენტის სხვა ნივთებთან ერთად, ჯონსონ კვარაცხელიას ეზოს შორიახლოს, მიწაში ჩამარხეს. ამასვე ადასტურებს, ნაწილობრივ, თავად ჯონსონ კვარაცხელიაც, რომელიც იმასაც ამბობს, რომ 1994 წლის გაზაფხულზე მან ჩამარხული ნივთები მანანა არჩვაძე-გამსახურდიას გამოგზავნილ პირებს გადასცა და, რომ ამ ნივთებს შორის იყო "სტეჩკინის" პისტოლეტი, მაგრამ „ნაგანის" რევოლვერი იქ არ ყოფილა.

ამ ორი, ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებებიდან ჩანს, რომ რომელიღაც მოწმე გამოძიებას ცრუ ჩვენებას აძლევს? თუმცა, რომელი მათგანიც არ უნდა იყოს სწორი, უდავოა, რომ საქმეში არ არსებობს იარაღი, რომლისგანაც თითქოს განხორციელდა გასროლა; ის ფაქტი, რომ ეს იარაღი უკვალოდ გაქრა, თვით რობინზონ მარგველანისა და ზვიად გამსახურდიას გარემოცვის სხვა წევრების მოქმედების ან უმოქმედობის შედეგია[540].

ცხადია, რომ ამ იარაღის არსებობა დიდ როლს ითამაშებდა თვითმკვლელობის ან რომელიმე სხვა ვერსიის დადასტურების ან უარყოფისათვის. შესაბამისად, არსებობს გონივრული ეჭვი იმისა, რომ იარაღი სპეციალურად გადამალეს ან/და გაანადგურეს იმისათვის, რომ ის გამოძიებას ხელში არ ჩავარდნოდა[541].

ასევე უცნობია, თუ სად გაქრა მასრა და გული, რომლისგანაც დაიღუპა პრეზიდენტი-[542].

ამ შემთხვევაშიც ერთობ საეჭვო გარემოებები იკვეთება:

---

[538] თითქოს შეუძლებელი იყოს, რომ ზარანდიას ერთზე მეტი „სტეჩკინი" ჰქონოდა...

[539] არავითარი გაურკვევლობა ამ საკითხში არ არის – პისტოლეტი სტეჩკინი ჯ.კვარაცხელიამ გაუგზავნა მ.არჩვაძეს. იხ. ვიდეო დოკუმენტი DVD-ზე: Video/kvaracxelia_stechkini.wmv

[540] კომისია, მოწმეებისგან იმ ფუნქციების შესრულებას მოითხოვს, რაც მათ არ ევალებოდათ და ევალებოდა გამოძიებას – რომელიც ქვრივის ბოროტი, კრიმინალური აკვიატების გამო ვერ ჩატარდა ვერც საქართველოში, ვერც ჩეჩნეთში და ვერ თბილისში 2007 წელს!

[541] თუ ეგრეა დასაჭერი და ძალით დასაკითხი ყოფილა მ.არჩვაძე – როგორც „იარაღის სპეციალურად გადამმალავი"!

[542] არაერთი მოწმისა და თვითმხილველის ჩვენებაა თუნდაც ამავე დასკვნაში, რომ პისტოლეტიც და გასროლილი მასრაც რომლებიც ინახებოდა სამალავში ჯ.კვარაცხელიას სახლის მახლობლად **წაიღო მანანა არჩვაძის წარმომადგენელმა** – როგორც ჩანს კომისიას ეშინია ამაზე პასუხი მოსთხოვოს ქვრივს და ამიტომ შეგნებულად ბუნდოვანს ხდის საკითხს.

რობინზონ მარგველანი ირწმუნება, რომ ტყვიის გულა და მასრა ეძებეს, მაგრამ ვერ იპოვეს[543]. ამის საწინააღმდეგოდ, კარლო ღურწკაია, რომლის სახლშიც გარდაიცვალა პრეზიდენტი, გადაჭრით ამბობს, რომ მასრა იმავე ღამეს იპოვეს, მაგრამ რომელმა აიღო ის, რობინზონ მარგველანმა, შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძემ თუ ბესარიონ გუგუშვილმა არ იცის. იმავე მოწმის ცნობით, ტყვიის გულა არ უპოვიათ.

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც სერიოზული წინააღმდეგობაა სხვადასხვა პირების ჩვენებებს შორის, თანაც ისეთ მნიშვნელოვან ნივთმტკიცებასთან დაკავშირებით, როგორიც არის გასროლილი ტყვიის გულა და მასრა. ამ შემთხვევაშიც რომელიღაც მოწმე ცრუობს. უფრო მეტიც, თუ კარლო ღურწკაიას ჩვენება სწორია, და ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში სწორედ კარლო ღურწკაიას ჩვენებაა უფრო სანდო, ვიდრე რობინზონ მარგველანისა, რადგან პრეზიდენტის გარდაცვალების ფაქტის მიმართ კარლო ღურწკაია ნეიტრალური პირია. ასეთ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ რობინზონ მარგველანმა, პრეზიდენტის გარემოცვის დანარჩენმა პირებმა, ან სულაც სხვა, უცნობმა პირმა რაღაც მოსაზრებით შეგნებულად გააქრეს საქმისათვის ესოდენ დიდი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულება.

იარაღის გულასა და მასრის გარდა, განადგურებული და გამქრალია შესაძლო სისხლის კვლების ამოღების ყველა შესაძლო ნივთები, კერძოდ, ლეიბები დაწვეს მთავარმა მოწმეებმა, არ ჩანს საბანი, ბალიში გარეცხა პრეზიდენტის ბოლო მასპინძელმა ოჯახის დიასახლისმა[544], ხოლო ბალიშის პირი გაქრა. პრეზიდენტის სამოსიდან ნაწილი გამქრალია, ნაწილი კი–გარეცხილი.

გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს ის ადამიანები, რომელთაც შეეძლოთ გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციების მოწოდება ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებებზე. 1994 წელს მოკლეს გენერალი გია გულუა, 1998 წელს–ზურაბ შონია, იგივე "პუშკინა", 2003 წელს კი–ბადრი ზარანდია.

1994 წლის 17 თებერვლის დაკრძალვის ადგილიდან გვამის ამოღებისა და გარეგანი დათვალიერების ოქმში, რომელსაც ხელს აწერს 21 ადამიანი, აღნიშნულია პრეზიდენტის ხილულ ადგილებზე, კერძოდ სახეზე ექვსი სხვადასხვა ზომისა და ფორმის დაზიანება[545]. კომისიას არ შეუძლია იმსჯელოს მათ წარმომავლობაზე. ამასთანავე, რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის სახელმწიფო სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად (გაცემულია ქ.როსტოვის მიერ, დათარიღებულია 06-26 მარტით, 2007 წელი) დათვალიერებულ იქნა პრეზიდენტის სამარხი, საიდანაც განხორციელდა პრეზიდენტის ექსჰუმაცია. საფლავის სიღრმე იყო მეტრ–ნახევარი, კედლები ამოშენებული იყო წითელი აგურით, სასახლის დაფაზე შეინიშნებოდა დეფორმაციები და დაფების დარღვევა. ამავე სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია პრეზიდენტის სხეულზე ცხრა ნეკნის გატეხვა, ბოქვენისა და მენჯის ძვლის მოტეხილობები[546]; ხოლო ქ.როსტოვში ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნაში გამოთქმულია ექსპერტის ვარაუდი, რომ ეს დაზიანებები შესაძლოა გამოეწვია გრუნტის მასების ზემოქმედებას, რომლებმაც დროთა განმავლობაში ჩააღწიეს მიცვალებულის სასვენებელში. ***კომისია მიიჩნევს, რომ გამოთქმული ვარაუდი არ არის***

---

543 მტკნარი, თავხედური სიცრუე.

544 რამდენადაც ყველა ოჯახი, რომელსაც ზ.გამსახურდიასთან ჰქონდა შეხება მისი მალვის პერიოდში დარბეულ–დაწიოკებული იქნა — არ უნდა იყოს გაუგებარი და გასაოცარი თუ რატომ მოსპეს მათ ზ.გამსახურდიას დიდი ზომის და სადამსჯელო ორგანოების მიერ იოლად მოსაძებნი ნივთები. რამდენადაც ზ.გამსახურდიას ოჯახმა იმთავითვე უარი განაცხადა ზ.გამსახურდიას დაღუპვის გარემოებების გამოძიებაზე — არაფერი უშლიდა თვით ოჯახის წევრებსა და თუნდაც კოკო გამსახურდიას დროულად, 7 იანვრისთანავე როდესაც საჯაროდ გაცხადდა გამსახურდიას თვითმკვლელობა — ჩასულიყვნენ სამეგრელოში და პირადად მოეძიებინათ, შეეგროვებინათ და დაეცვათ საჭირო ნივთმტკიცებები.

545 კომისიის გამყალბებლობის დამადასტურებელია, რომ კომისიის დასკვნით დოკუმენტს არ ახლავს, არ აქვს დართული ზ.გამსახურდიას გადასვენებისას ქუთაისში პროკურატურის პროფესიული ფოტოგრაფის მიერ გადაღებული არც ერთი ფოტოსურათი, რომელზე ჩანდეს ზ.გამსახურდიას თავის მარჯვენა საფეთქელი და აქ ნატყვიარი, დამწვარი კანი, დენთის კვალი და შეტრუსული თმები!!!

546 აქაც ბოროტი, კრიმინალური განზრახვით მიჩქმალულია ის ფაქტი, რომ სავსებით დალეწილი და ფრაგმენტირებულია თავისქალა, რომელიც ათობით ადამიანმა ნახა ცხედრის გროზნიში გადასვენებისას.

დამაჯერებელი, გამომდინარე იქიდან, რომ ამავე დასკვნის თანახმად სასახლე იყო არა გატეხილი, არამედ დეფორმირებული[547]. კომისიის მიერ მოწვეულმა პათანატომმა ნინო კიკაბიძემ გრუნტის მასის ზემოქმედების განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა ზემოხსენებული მოტეხილობების წარმოქმნაში უარყო.

ეს საკითხი პირდაპირ კავშირშია იმ გარემოებასთან, რომ 1994 წლის 17 თებერვალს პრეზიდენტის ცხედარს არ ჩაუტარდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. როგორც ცნობილია, ჯანდაცვის სამინისტრომ ამ დროს ჩამოიყვანა რამდენიმე უცხოელი ექსპერტი. სახელმწიფომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზაზე უარის თქმის საბაბად დაასახელა მანანა არჩვაძე-გამსახურდიას მიერ ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნებული წერილი, რომელიც უნდობლობას უცხადებდა "ხუნტის" მიერ ჩატარებულ ექსპერტიზას. კომისია თვლის, რომ საგამოძიებო ორგანოების მიერ ზვიად გამსახურდიას გვამისთვის ექსპერტიზის ჩაუტარებლობა იმ არგუმენტით, რომ პრეზიდენტის ოჯახი ამის წინააღმდეგი იყო, მოკლებულია კანონიერ საფუძველს. სამართლებრივ სახელმწიფოში საგამოძიებო ორგანოები ვალდებული არიან ჩაატარონ საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევა[548]. თუ ასეთი გამოკვლევისთვის საჭიროა ექსპერტიზის ჩატარება, იგი უნდა ჩატარდეს. უდავოა, რომ ყოველთვის, როდესაც არსებობს გვამი, მას უნდა ჩაუტარდეს სხვადასხვა სახის ექსპერტიზა, მათ შორის, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რათა დადგინდეს სიკვდილის მიზეზი. როდესაც ასეთი ექსპერტიზა არ ტარდება, ცხადია, საგამოძიებო ორგანოს პრეტენზია ვერ ექნება, რომ მან ჩაატარა საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევა. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში ექსპერტიზის ჩაუტარებლობა საგამოძიებო ორგანოს მიერ კანონის მოთხოვნის შეუსრულებლობის, ანუ კანონის დარღვევის ტოლფასია. რაც შეეხება ოჯახის პოზიციას, კანონის თვალსაზრისით მას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს, რადგან ოჯახის ესა თუ ის სურვილი საგამოძიებო ორგანოს მიერ კანონის დარღვევის საფუძველი ვერ გახდება[549].

კრიმინალისტის მოცემულობის ანალიზის თანახმად, გასროლა უნდა მომხდარიყო **არა ნაკლებ 100–200 მმ მანძილიდან**[550] და ზემოთ, რადგან არ შეიმჩნევა **ბჯენითა** და **<u>ახლო</u> მანძილისთვის დამახასიათებელი დაზიანებები როგორიცაა "შტანცმარკა"**[551], ქსო-

---

547 კვლავ კომისიის ტიპობრივი თვალთმაქცობისა და ტექსტის გაყალბების შემთხვევა — ამავე „დასკვნის" 208 გვერდზე უწერიათ (რუსულიდან ქართულად თარგმანი): „**კუბოს ფიცრები ლპობის პროცესის შედეგად დაზიანებულია და დაშლილია**". რისთვის დასჭირდა კომისიას „კუბოს ფიცრები ლპობის პროცესის შედეგად დაზიანებულია და დაშლილია"-ს გადაკეთება „სასახლე იყო არა გატეხილი, არამედ დეფორმირებული"-დ? — იმისთვის, რათა შემდგომ ამტკიცონ, რომ კუბო არ იყო იმდენად დაზიანებული, რომ ვერ დაეცვა ნეშტის ძვლები დამტვრევისაგან. და — თუნდაც დეფორმირებული ყოფილიყო — განა ძლიერი დეფორმირება საკმარისი არ იქნებოდა უძლიერესი დაბომბვების პირობებში კუბოს დეფორმირებულ-დამპალ-დაღლილი ფიცრების მიერ ნეშტის ძვლების დასამსხვრევად?

548 და ამას წერს კოკოს კომისია, იმ კოკოსი, რომელმაც მიუხედავად არაერთი საჯარო განცხადებისა (და გადმოსვენების კომისიის თავმჯდომარის ე.ხერხეულიძის დაქადნებების მიუხედავად) ვერ მიაღწია სასამართლო-საგამომძიებლო და სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებას თუნდაც 2007 წელს ზ.გამსახურდიას ნეშტის გროზნოდან თბილისში გადმოსვენებისას.

549 ამას „ოჯახზე" წერს კოკო — რომელსაც ამ ოჯახისა ისე ეშინია, როგორც ცეცხლისა. ოჯახზე, რომელიც მას, კოკოს ძაღლადაც არ აგდებდა და არ აგდებს... ოჯახზე, რომელმაც 2007 წელს ნეშტის თბილისში გადმოსვენებისას, თავად კომისიის მეთაურის კოკო გამსახურდიას კატეგორიული მოთხოვნის მიუხედავად, თავხედურად კვლავ არ მისცა საგამომძიებლო ორგანოებს ექსპერტიზის ჩატარება. რატომ არ ატეხა დიდი და ძლევამოსილი სკანდალი მაშინ კოკომ?

550 მკითხველს შევახსენებ, რომ კომისია თითქმის ერთი წლის განმავლობაში შეუვალი სიბრძნითა და კატეგორიულობით ამტკიცებდა, რომ გასროლა არანაკლებ 50 სანტიმეტრის სიშორიდან მოხდაო...

551 კოკოს კომისია აქაც ცრუობს — **ახლო მანძილიდან სროლისას „შტანცმარკა" არ ჩნდება(!)** — იგი ჩნდება მხოლოდ **მჭიდროდ ბჯენით** სროლისას — როდესაც ლულა მიჭერილია ადამიანის კანზე და არა სხვა პირობებში.

Штанцмарка (нем. stanzen — «чеканить», «штамповать» + Marke — «метка», «клеймо») — отпечаток контура дульного среза оружия на коже вокруг входного отверстия раны при выстреле в упор. Данный отпечаток образуется, когда в момент производства выстрела **дульный срез оружия плотно прижат к поверхности тела («плотный упор»)**. В случае, **когда между дульным срезом и поверхностью тела имеется <u>минимальное расстояние</u> — штанцмарка при выстреле <u>не возникает</u>**.

ვილის ჯვარედინი ნახეთქი, სიდამწვრე. აღნიშნულს ადასტურებს ქ.როსტოვში ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა: „თავის ქალაზე არსებული ცეცხლსასროლი იარაღიდან გამოწვეული (ცეცხლნასროლი) დაზიანება შესაძლებელია მიყენებული იქნა ქვარტლის წარმოქმნის მანძილზე“[552]. ექსპერიმენტულად დადგინდა, რომ ცეცხლსასროლი იარაღიდან “АПС” (პისტოლეტი „სტეჩკინი“) ქვარტლის წარმოქმნის მანძილი არის ლულიდან 100–200 მილიმეტრი და ზემოთ.

დენთის წვის შედეგად წარმოქმნილი აირები ლულის გამოსასვლელთან 50–55 მმ მანძილზე აღწევს 1500–3000^{0}C. რომელიც იწვევს კანზე არა მარტო დენთის დამწვარი, თუ დაუმწვარი ნაწილაკების არსებობას, არამედ თერმული და ქიმიური ზემოქმედების კვალის წარმოქმნასაც, რაც ცხედარს ტყვიის შემავალ ხვრელზე არ აღენიშნებოდა[553].

დაზიანება მიყენებულია მხოლოდ ტყვიის კინეტიკური ენერგიის ხარჯზე, აირების ზემოქმედების გარეშე, რაც არ გამორიცხავს მაყუჩიანი АПВ (АПВ-გარეგნულად ავტომატური პისტოლეტის „სტეჩკინის“ მაგვარი, მაყუჩით) ან მსგავსი პისტოლეტიდან გასროლის წარმოებას, ახლო ან მიბჯენასთან მიახლოებული მანძილიდან, რადგან მაყუჩის მიერ ხდება გამონატყორცნი აირების შეკავება, მასში არსებულ სექციებში.

მოწმეები, რომლებმაც ნახეს თავის ქალაზე შემავალი ჭრილობა აფიქსირებენ 6–7 მილიმეტრის დიამეტრს, რაც შესაძლებელია გამოწვეული იყოს კანის ელასტიურობის გამო. ტყვიის გულა, კინეტიკური ენერგიის ზემოქმედებით, კანთან შეხებისას გაიყოლებს კანს მოძრაობის მიმართულებით, გაჭიმავს, შემდეგ ამოგლიჯავს პატარა ნაწილს და უბრუნდება თავის ფორმას, უფრო ნაკლები დიამეტრის ხვრელის სახით, ვიდრე თავად ტყვიის გულაა, რომლის გარშემოც შეიმჩნევა ტყვიის გულაზე არსებული სხვადასხვა ნივთიერებების გაწმენდის კვალი. შემავალი ხვრელის ზომა არ ემთხვევა ტყვიის დიამეტრს, იგი ყოველთვის მასზე ნაკლებია. ასეთ შემთხვევაში აირების ზემოქმედებას ადგილი არ აქვს.

ქ.როსტოვში ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნაში ასევე ნათქვამია: “ტყვიის მოძრაობის მიმართულებაა მარჯვნიდან მარცხნივ, **რამდენადმე** ზემოდან ქვემოთ, **რამდენამდე** წინიდან უკან, რაზედაც მიუთითებს შემავალი და გამომავალი ხვრელები”. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ავტომატური პისტოლეტის “სტეჩკინის” (რომლის წონა დამუხტულ მდგომარეობაში 1420 გრამია[554]) ხელში დაჭერა თვითმკვლელობის მიზნით, ლულით 100–200 მილიმეტრის მანძილზე და ისე, რომ ტყვის მიმართულება იყოს მარჯვნიდან მარცხნივ, **რამდენადმე** ზემოდან ქვემოთ, **რამდენამდე**[555] წინიდან უკან, ფიზიკურად შეუძლებელია[556].

თუნდაც შესაძლებელი ყოფილიყო თვითმკვლელობის მიზნით ავტომატური პისტოლეტის “სტეჩკინით” განხორციელებულიყო საფეთქლის არეში სროლა იმ მიმართულებით, როგორიც აღწერილია ქ.როსტოვში ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნაში, მსროლელი (ამ შემთხვევაში თვითმკვლელი) იძულებული იქნებოდა მიეტანა იარაღის ლულა თავის ქალაზე, რაც უმეტეს შემთხვევაში გამოიწვევდა საფეთქლისა და სოლისებრი ძვლის განგრევას, ცეცხლსასროლი იარაღის ლულიდან გამოტყორცნილი აირების მეშვეობით, რო-

---

ანუ თუ გასროლისას ლულასა და კანს შორის თუნდაც მინიმალური, ძალზე მცირე მანძილია, ინტერვალია მაშინ „შტანცმარკა“ არ გაჩნდება.

552 კომისიას არ აწყობს და სავსებით მიივიწყა, რომ როსტოვის ექსპერტებმა შემავალ ხვრელში აღმოაჩინეს **სტიბიუმი** და წერია, რომ: „არ არის გამორიცხული, რომ „**მიბჯენითთან მიახლოებული მანძილიდან**“ რასაც მოწმობს ძალზე ახლო მანძილიდან გასროლის ნიშნების არსებობა, კერძოდ შემავალი ხვრელის არეში და მის კიდეებზე **სტიბიუმის კვალი**.“

553 მტკნარი სიცრუე — როსტოვის დასკვნაში გარკვევით და არაორაზროვნადაა აღნიშნული რომ შემავალი ხვრელის ძვლებში აღმოჩნდა სტიბიუმის კვალი. ეს კი სწორედ და ზუსტად იმას ნიშნავს, რომ თერმული და ქიმიური ზემოქმედების კვალი, ცხედარს ტყვიის შემავალ ხვრელზე სწორედაც რომ აღენიშნებოდა!

554 ზუსტად 200 გრამი წაუმატეს... — გრამებით მწონავებმა.

555 როსტოვის ექსპერტიზის აქტში წერია: несколько.

556 კომისიის ამ დაუსაბუთებელ „მტკიცებულებებს“ ძალზე დამაჯერებლად აბათილებს დასავლური მეცნიერული კრიმინალისტიკა — მეცნიერულ ნაშრომებში აღნუსხული და აღწერილია ასეთივე მახასიათებლების მქონე ათასობით შემთხვევა (იხ. ბესარიონ გუგუშვილის შენიშვნები კომისიის საექსპერტო საქმიანობასთან დაკავშირებით).

მლის წნევა ლულაში შეადგენს 1200–2000 კგ/სმ^2 და ლულის გარეთ ეცემა გავრცელების მანძილის შესაბამისად. აღნიშნული მოქმედება ასევე გამოიწვევდა დიდი რაოდენობის სისხლის და სხვადასხვა სხეულის ნაწილაკების გამოდინება-გამოფრქვევას შემავალი და გამომავალი ხვრელებიდან; რაც მოწმეთა ჩვენებებსა და ასევე საგამოძიებო კომისიის მიერ მოპოვებულ მასალებში არ ფიგურირებს.

ავტომატური პისტოლეტის "სტეჩკინის" ლულიდან ტყვიის გამოტყორცნის ენერგია შეადგენს 348–353 ჯოულს, ე.ი. ცეცხლსასროლი იარაღის საკეტის უკუცემის ძალა შეადგენს თითქმის იგივეს, რადგან "სტეჩკინის" მოდელის პისტოლეტს არ აქვს მოძრავი ლულა და უკუცემის ენერგია სრულად გადაეცემა ცეცხლსასროლი იარაღის საკეტს და შემდეგ ინერციულად სახელურს, რაც ზემოთ აღწერილი ფორმით გასროლის წარმოების შემთხვევაში **გამოიწვევდა მისი ხელიდან გავარდნას**[557].

ქალაქ როსტოვში ჩატარებული სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, თავის ქალის სარქველი არის დეფორმირებული და თავის ქალის ფუძე ისეა დაშლილი, რომ მისი აწყობა ვერ მოხერხდა. დიდია ალბათობა იმისა, რომ ყოველივე აღნიშნული, შესაძლებელია გამოწვეული იყოს რაიმე ზემოქმედების შედეგად. აგრეთვე, მოცემულ დაზიანებაზე არ იგულისხმება იმ ტყვიის ზემოქმედება, რომლის მარჯვნიდან მარცხნივ მიმართული არხიც დაფიქსირებულია მიცვალებულის თავის ქალაზე. მოცემული დაზიანება თავის უკანა ნაწილს მოიცავს, სადაც დასკვნის თანახმად, ტყვიის არც შემავალი, არც გამომავალი ხვრელი არ ფიქსირდება. საწოლის საზურგეზე არსებული დაზიანება გაურკვეველი წარმომავლობისაა, რადგან არ ჩატარებულა მეტალიზაციაზე შემოწმება. თუ დავუშვებთ, ზოგიერთი მოწმის ჩვენების საფუძველზე იმ მოსაზრებას, რომ დაზიანება საწოლის დაფაზე წარმოქმნილია თავის ქალიდან გასროლის შემდეგ გამომავალი ტყვიის მიერ, მაშინ ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, გვამის მდებარეობისა და ტყვიის მიმართულებასთან დაკავშირებით. რადგან ამ შემთხვევაში ადამიანი უნდა წოლილიყო საწოლის ნაპირზე მოუხერხებელ მდგომარეობაში, რა დროსაც გასროლის წარმოება მარჯვნიდან მარცხნივ, **რამდენადმე**[558] ზემოდან ქვემოთ, **რამდენამდე** წინიდან უკან თვითმკვლელობის შემთხვევაში შეუძლებელია.

კომისიის მიერ მოპოვებული მასალები და მათზე დაყრდნობით გაკეთებული დასკვნები პრაქტიკულად აბათილებს თვითმკვლელობის ვერსიას, რომელიც ერთადერთ მსჯელობის საგნად იქცა 1994-2004 წლებში პროკურატურის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეში*[559]*.

გამოძიება ვალდებული იყო დაემუშავებინა და შეემოწმებინა ყველა სხვა ვერსია, რომელსაც მოცემულ სიტუაციაში ჰქონდა არსებობის უფლება. რატომ დაიჯერა გამოძიებამ ასე იოლად თვითმკვლელობის ვერსია ან რატომ არ მიმდინარეობდა პარალელურად მუშაობა **მკვლელობის** მიმართულებით[560] ანდა რატომ არ გამოითქვა ეჭვი, რომ მკვლელს ან მკვლელებს **შეეძლოთ სიკვდილის მუქარით იძულებული გაეხადათ რობინზონ მარგველანი, შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძე, ბესარიონ გუგუშვილი და ზვიად გამსახურდიას ახლო გარემოცვის სხვა პირები მიეცათ ჩვენებები და განმარტებები თვითმკვლელობის ვერსიის სასარგებლოდ?**[561]

---

557 აქ კომისია ფსევდო კრიმინალისტიკურ, ყალბ მსჯელობებს სთავაზობს საზოგადოებას იმის მაგივრად რომ გააცნოს მსოფლიო კრიმინალისტიკის მიერ დაგროვილი უზარმაზარი მასალა მსგავსი თვითმკვლელობების შესახებ (რომლის ნაწილი აქვე წარმოვადგინეთ) — რომელიც კომისიის ამ „ღრმააზროვანი" მსჯელობებისგან ქვას ქვაზე არ სტოვებს.

558 როსტოვის ექსპერტიზის აქტში წერია: несколько.

559 ვერც კომისიის მიერ მოპოვებული „მასალები" და ვერც კომისიის „დასკვნები" ვერ აბათილებს თვითმკვლელობის ვერსიას! ეს რა თქმა უნდა, **კომისიის სურვილი და ოცნებაა** — მაგრამ მათთვის სამწუხაროდ მათი დასკვნა არანაკლებ ჩაბინძურებული აღმოჩნდა უზუსტობებით, დეზინფორმაციით, სიცრუითა და სიყალბით — როგორც მისი წინამორბედი ყველა უკანონო, არალეგიტიმური „გამოძიება".

560 კვლავ ცრუობს კოკოს კომისია — თუნდაც ამავე დასკვნაში მოტანილი **ავთანდილ რცხილაძის გამოკითხვიდან** შშვენივრად ჩანს, რომ პროკურორი ბალუაშვილი მას აძალებდა მეორე ნატყვიარის არსებობის აღიარებას — რაც სავსებით გამორიცხავს თვითმკვლელობას!

561 თუ ეს ასეა, რატომ არ შეიძლება კოკო და მისი კომისია ცრუ მიმართულებას, ვერსიას ავითარებდეს და აყალბებდეს გამორჩენის მიზნით? რატომაც არა? ამას გარდა, ზემოთ საკმარისზე მეტი ფაქტი მოვიტანეთ

სისხლის სამართლის მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არსად იკვეთება ის გარემოება, რომ გამოძიებას 1994-2004 წლებში ჰქონდა რაიმე სხვა ვერსია გარდა იმისა, რასაც მას რობინზონ მარგველანი და სხვანი სთავაზობდნენ. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე მისი აღძვრიდან სულ რაღაც ორ თვეში შეწყდა. ასევე **არ ჩანს საქმის გარემოებათა ყოველმხრივ, ობიექტურად და სრულად გამოკვლევის სურვილი**[562] გამოძიების მოქმედებაში სისხლის სამართლის საქმის წარმოების განახლების შემდეგაც. ამას მოწმობს გამოძიების მიერ განხორციელებული არათანამიმდევრული და დაგვიანებული საგამოძიებო მოქმედებები, რომლებიც დეტალურად არის აღწერილი ამ დასკვნაში.

რობინზონ მარგველანის, შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძის და სხვათა დაკითხვის ოქმები არ შეიცავს არავითარ მინიშნებას იმის შესახებ, რომ გამოძიება ოდესმე სერიოზულად დაინტერესდა იმ აშკარად წინააღმდეგობრივი, ურთიერთ გამომრიცხავი, რეალობასთან შეუსაბამო და ხშირად საღ აზრს მოკლებული განცხადებებით, რომლებსაც ეს პირები აკეთებდნენ დაკითხვის დროს. მათი დაკითხვის ოქმები მხოლოდ მოწმეთა თხრობითი ჩვენებებისგან შედგება, ხოლო გამომძიებლების მიერ აქა-იქ დასმული კითხვები არც ერთ შემთხვევაში არ იყო მიმართული იქითკენ, რომ გამოაშკარავებულიყო და ახსნილიყო ის აშკარა წინააღმდეგობები, რომლებზედაც, ვფიქრობთ, საკმაოდ ფართოდ ვისაუბრეთ ზემოთ[563].

კომისიას მიაჩნია, რომ ჯერ კიდევ არის საკმარისი რეზერვები იმისათვის, რომ დადგინდეს ჭეშმარიტება. ამისათვის შეიძლება საჭირო იყოს მოწმეების ხელახლა დაკითხვა, შემთხვევის ადგილიდან ამოღებული მტკიცებულებების დეტალური შესწავლა, შესაძლოა აუცილებელი გახდეს გვამის ხელახალი ექსჰუმაციაც. გარდა ამისა, შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით აუცილებელია ბესარიონ გუგუშვილის დაკითხვის ორგანიზება[564] და სხვა.

კომისიას ასევე მიაჩნია, რომ იმ მოწმეების მიმართ, რომლებიც ითანამშრომლებენ გამოძიებასთან და მისცემენ სწორ, ობიექტურ, რეალობის შესაბამის ჩვენებებს[565], უნდა გამოყენებულ იქნეს სათანადო დაცვის საშუალებები, რომლებსაც ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ მოწმეები შეეცდებიან კვლავ დაუმალონ გამოძიებას და საერთოდ საქართველოს საზოგადოებას სიმართლე და მხარს დაუჭერენ თავიანთ ძველ ჩვენებებს, რომლებიც არა მხოლოდ ურთიერთგამომრიცხავია, არამედ საღ აზრს ეწინააღმდეგება, მაშინ მათ კიდევაც პასუხი უნდა აგონ შეგნებულად ცრუ ჩვენებების მიცემისათვის[566].

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, საპარლამენტო კომისია სთხოვს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს, გამოიყენონ კომისიის მიერ მოკვლეული ახალი ფაქტები და გარემოებები და მოახდინონ სათანადო რეაგირება.

იმის საილუსტრაციოდ, რომ შევარდნაძის ხუნტას ყველაზე უფრო ზ.გამსახურდიას მისი გარემოცვის მიერ ან გარემოცვის ღალატით მკვლელობა აწყობდა!

[562] ჩემი შენ გითხარი – გული მოგიკალიო. ამას წერს კომისია, რომელიც სინდის-ნამუს გარეცხილი სუბიექტურობითა და გაყალბებებით ხასიათდება.

[563] თვით კომისიის მიერ 15 თვის განმავლობაში ჩატარებულმა ათობით დაკითხვა-გამოკითხვებმა ვერაფერი ახალი და განსხვავებული ვერ წარმოაჩინეს, ვერ შეცვალეს მანამდე პროკურატურის მიერ დადგენილი ზოგადი სურათი და ვერაფრით არსებითით ვერ გაამაგრეს კომისიის სანუკვარი **მკვლელობის ვერსია.**

[564] ბ.გუგუშვილის დაკითხვა კოკო გამსახურდიასი და მისი პუტჩისტი კრიმინალებით დაკომპლექტებული „საპარლამენტო“ კომისიის იდეა ფიქსი გახდა. ამავე დროს სწორედ ბ.გუგუშვილის მხრივ არსებობს ყველაზე ვრცელი, სრული, შემოწმებადი და ზუსტი ინფორმაცია ზ.გამსახურდიას სიკვდილისა და მისი გარემოებების შესახებ – მასობრივად ტირაჟირებული როგორც ტელევიზიით, აგრეთვე – გაზეთებით.

[565] რა თქმა უნდა აქ იგულისხმება გიორგაძის, კიტოვანის, სიგუას მსგავსი უსინდისო გარეწრები.

[566] საინტერესოა რომ მუქარა მიმართულია არა ცრუ ჩვენებების მიმცემებისადმი, არამედ – „საღ აზრს“ რომ ეწინააღმდეგება ისეთი ჩვენებების მიმცემებისადმი – რამდენადაა საკითხის ასე დაყენება ფორმალური სამართლის ნორმების მიმართ სწორი – მკითხველისთვის მიგვინდია.

22.13. დანართები

რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის მე-16 სასამართლო-სამედიცინო და კრიმინალისტიკური ექსპერტიზების სახელმწიფო ცენტრის ექსპერტთა კომისიის დასკვნა [567] [568]

(დასკვნითი დებულებები)
რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრო
ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქი
მე-16 სასამართლო-სამედიცინო და
კრიმინალისტიკური ექსპერტიზების სახელმწიფო ცენტრი

ექსპერტთა კომისიის დასკვნა № 12
სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა
(უცნობი ადამიანის ძვლოვანი ნაშთების)

2007 წ. 6 – 12 მარტი ქ. დონის როსტოვი

ჩეჩნეთის რესპუბლიკის პროკურატურის დანაშაულთა გამოძიების სამმართველოს, ტერორისტული ხასიათის დანაშაულთა გამოძიების განყოფილების უფროსი გამომძიებლის, მეორე კლასის იურისტის ა.კუჩეროვის 2007 წ. 5 მარტის დადგენილების საფუძველზე, ექსპერტთა კომისიამ შემდეგი შემადგენლობით:

…ჩამონათვალი…

ჩაატარა უცნობი ადამიანის გვამის საკომისიო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა.

…

საექსპერტო გადაწყვეტილების მისაღებად დასმულია კითხვები:

”1. არის თუ არა სამარხის ადგილზე აღმოჩენილი ძვლოვანი ნაშთები ერთი ადამიანის გაჩონჩხებული გვამი რამდენიმე ადამიანის გვამების ჩონჩხის ფრაგმენტებია?

2. პირის სქესი, სიმაღლე და ასაკი, რომლის გვამი წარმოდგენილია გამოსაკვლევად.

3. რამდენ ხანს იმყოფებოდა გვამი მისი აღმოჩენის ადგილზე?

4. არის თუ არა წარმოდგენილ ძვლოვან ნაშთებზე დაზიანებები? რა ხასიათისაა ისინი? მათი წარმოქმნის მექანიზმი და ხანდაზმულობა? **რომელი მათგანია მიყენებული სიცოცხლეში და რომელი - სიკვდილის დადგომის შემდეგ?**

5. **არის თუ არა გაჩონჩხებული გვამის თავის ქალას დათვალიერების შედეგად დადგენილი დაზიანებები მიყენებული ცეცხლსასროლი იარაღით? თუ არის, რა ხასიათისაა ისინი - გამჭოლი, ბრმა თუ შეხებითი?**

6. იარაღის სახეობა და კალიბრი, რომლიდანაც ესროლეს დაზარალებულს?

7. **შესაძლებელია თუ არა დადგინდეს გასროლის მანძილი? იყო თუ არა მიბჯენით გასროლა?**

8. **რა მიმართულებისაა ნატყვიარი ჭრილობის არხი?**

9. **როგორი სავარაუდო ურთიერთგანლაგება ჰქონდათ იარაღსა და დაზარალებულს გასროლის მომენტში?**

---

[567] კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ როსტოვის დასკვნის რუსული დედანი (რომელიც „დაშიფრულად“ გამოცხადდა) კომისიამ მრავალჯერადი შეპირებების მიუხედავად არ გამოაქვეყნა და ამდენად ფრიად საეჭვოა, რომ კომისიის დასკვნაში მოტანილი ქართული თარგმანი ჯერ ერთი არასრულია და მეორეც გაყალბებულია.
იხ. ვიდეო დოკუმენტი DVD-ზე: Video/kokos_komisia_ganshifrva_28-04-2010.mp4

[568] როსტოვის დასკვნიდან დავტოვე ძირითადში მათი დასკვნები და მათ მიერ შემჩნეული არსებითი გარემოებები და ფაქტოგრაფია…

10. **სიკვდილის დადგომის მიზეზი** და ხანდაზმულობა?

11. **არის თუ არა სიკვდილი მიზეზობრივ კავშირში იმ დაზიანებებთან, რომლებიც გვამზე იქნა აღმოჩენილი?**"

ექსპერტთა განკარგულებაშია:

1. გაჩონჩხებული ძვლოვანი ნაშთები;
2. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი;
3. ელექტრონული ფაილები ზ.კ.გამსახურდიას გამოსახულებით;
4. 2007 წლის 20 მარტის №18-0583ПР-07 ფაქსი ზ.კ.გამსახურდიას მონაცემებით - დაბადების თარიღი, სიკვდილის თარიღი და მისი სიმაღლე სიცოცხლეში.

საქმის ვითარება

დადგენილებიდან ცნობილი გახდა, რომ "... 2007 წლის 2 მარტს ჩეჩნეთის რესპუბლიკის პროკურატურას მიმართა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე ცოტნე ზვიადის ძე გამსახურდიამ სამართლებრივი დახმარებისთვის, რათა დადგენილიყო მისი მამის - საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდიას საფლავის ადგილმდებარეობა და გადაეცათ მისთვის ნეშტი ხელმეორედ დასაფლავებისათვის. 2007 წლის 3 მარტს სამძებრო სამუშაოების მსვლელობისას ც.ზ.გამსახურდიას მიერ მითითებულ ადგილზე აღმოჩენილ იქნა საფლავი ადამიანის ძვლოვანი ნაშთებით, რომლებიც, ც.ზ.გამსახურდიას აზრით, ეკუთვნის მამამისს. აღმოჩენილი ნეშტი დათვალიერებულია და სამარხიდან ამოღებულია..."

გამოკვლევა

1. წარმოდგენილი დოკუმენტების გამოკვლევა

1.1. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის გამოკვლევა

2007 წლის 2 მარტს ჩეჩნეთის რესპუბლიკის პროკურატურის დანაშაულთა გამოძიების სამმართველოს, ტერორისტული ხასიათის დანაშაულთა გამოძიების განყოფილების გამომძიებლის, მეორე კლასის იურისტის ა.ბ.კუჩეროვის მიერ შედგენილ შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში ჩაწერილია: "2007 წლის 3 მარტს 15 საათსა და 55 წუთზე დათვალიერებულ ადგილზე, 1,5 მ სიღრმეზე მიწის ქვეშ, აღმოჩენილია ზ.კ.გამსახურდიას საფლავი, რომელიც დაახლოვებით 2 მეტრი სიგრძისაა (წარწერა გაურკვეველია). გათხრის შედეგად, მითითებულ სიღრმეზე აღმოჩენილ იქნა წითელი ხის კუბო. დახურული კუბო ამოღებულ იქნა მიწის ზედაპირზე. ამასთანავე, **კუბოს ფიცრები ლპობის პროცესის შედეგად დაზიანებულია და დაშლილია**..."[569]. შემდეგ წერია: "...დარწმუნებით ამოვიცანი ზ.კ.გამსახურდიას წითელი აგურით გარშემორტყმული საფლავი, კუბოში აღმოჩენილი ყველა სარიტუალო საგანი და ნივთი, ასევე ტანსაცმელი მამაჩემის ზ.კ.გამსახურდიას ნეშტზე.".

[569] ძალზე არსებითია, რომ ამ ფაქტს კომისია თავისი დასკვნის ტექსტში ყველგან შეგნებულად აყალბებს და ისე წარმოადგენს საქმეს, თითქოს კუბო მცირედ დაზიანებული ყოფილიყოს... ამასთან კომისიამ ან არ გამოითხოვა ან კიდევ მიმალა ექსგუმაციის მიმდინარეობისა და საფლავში კუბოს მდგომარეობის ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალა.

2. გარეგანი გამოკვლევა

გამოსაკვლევად წარმოდგენილია **მწვანე პლასტიკური ტომარა**[570], სიგრძეზე შეკრული "ელვა" ტიპის შესაკრავით. ტომარაზე მიმაგრებულია თეთრი ქაღალდი წარწერით "ადამიანის გვამის ძვლოვანი ნაშთები, აღმოჩენილი და ამოღებული სამარხიდან 2007 წლის 3 მარტს ჩეჩნეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ქ. გროზნოში, რომლებიც, სავარაუდოდ, ეკუთვნის საქართველოს რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტს ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდიას.". ჩეჩნეთის რესპუბლიკის პროკურატურის დანაშაულთა გამოძიების სამმართველოს, ტერორისტული ხასიათის დანაშაულთა გამოძიების განყოფილების უფროსი გამომძიებლის, მეორე კლასის იურისტის ა.ბ.კუჩეროვის და ორი დამსწრეს ხელმოწერები. ტომრის გახსნისას შიგნით აღმოჩნდა ნაცრისფერ სუდარაში გახვეული ადამიანის გაჩონჩხებული ძვლოვანი ნაშთები. სუდარის გაშლისას ძვლოვან ნაშთებთან ერთად **აღმოჩენილია დიდი რაოდენობით ქვიშიანი გრუნტი**[571], მამაკაცის ორი ზედა პერანგი, 2 ჰალსტუხი, ერთი წყვილი ლურჯი ფერის შალის წინდა, დაძენძილი, მუქი ფერის ქსოვილის სამი ფრაგმენტი, ტერფის ძვლებზე აცვია შავი ფერის შალის წინდები. ქვემოთ მოყვანილია გვამზე აღმოჩენილი ტანსაცმლისა და საგნების დეტალური აღწერილობა.

სუდარის გაშლისას აღმოჩენილია ადამიანის 191 მთელი და ფრაგმენტირებული ძვალი, **ხორხის ხრტილი (4 ცალი)**[572], **3 ფრჩხილი**[573] და 25 კბილი.

გამოკვლევისას აღმოჩენილი ძვლები:

- თავის ქალას 3 დიდი ძვალი (თაღი, ძირი და სახის ნაწილი), ასევე ძვლების 20 წვრილი ფრაგმენტი;
- ქვედა ყბა;
- ენისქვეშა ძვალი;
- მარცხენა და მარჯვენა ლავიწი;
- მარცხენა და მარჯვენა ბეჭი;
- 24 ნეკნი (არის ასევე ნეკნების 9 ნატეხი);
- ხერხემლის 24 მალა;
- მენჯის 2 ძვალი (არის ასევე 1 ნატეხი);
- გავის ძვალი;
- მკერდის ძვალი ხმლისმაგვარი წანაზარდით;
- მარცხენა და მარჯვენა მხარის ძვალი;
- მარცხენა და მარჯვენა ბარძაყის ძვალი;
- **მარცხენა ხელის მტევნის 24 ძვალი;**
- **მარჯვენა ხელის მტევნის 21 ძვალი;**[574]
- **მარცხენა ტერფის 25 ძვალი;**
- **მარჯვენა ტერფის 26 ძვალი;**
- მარცხენა და მარჯვენა დიდი წვივის ძვალი;

---

570 აქედან მოჩანს ის არსებითი გარემოება, რომ როსტოვის ექსპერტიზის დასკვნა საგანგებოდ არ განიხილავს ექსგუმაციის მიმდინარეობასა და კუბოს მდგომარეობას, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ნეშტის ძვლების დაზიანებების მიზეზების განხილვისას.

571 ეს კი იმის მიმნიშნებელია, რომ კუბოს **ლპობით დაზიანებისა და დაბომბვების შედეგად**, როდესაც **კუბო განიცდიდა ძლიერ დაწნევებსა და დარტყმებს** გრუნტის მიერ – იგი **დაიშალა, დიდ ნაწილად ჩაინგრა და ჩატეხა–დაამსხვრია ნეშტის ძვლები** — ამავე დროს **შიგ ჩაიყარა დიდძალი გრუნტი**.

572 ესეც არსებითია — როდესაც ცდილობენ დაამტკიცონ მეორე ნატყვიარი ვითომც ყელში — ასეთი რომ ყოფილიყო **ხორხის ხრტილებზეც** დარჩებოდა რაიმე ნიშნები!

573 სად გაქრა დანარჩენი ფრჩხილები? — **სამეგრელოდან გროზნოში გადასვენებისას გამსახურდიას ყველა ფრჩხილი გააჩნდა**!

574 საინტერესოა და ნიშანდობლივია რომ კომისია არ ამახვილებს ყურადღებას ხელის მტევნის ძვლების დაკარგვაზე, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მომხდარიყო როდესაც კუბო ძალზე დალეწილი, დამტვრეული იყო – იმდენად, რომ მასში მყოფი მცირე ძვლები გარე გრუნტს შეერივნენ და გაუჩინარდნენ!

- მარცხენა და მარჯვენა მცირე წვივის ძვალი;
- მარცხენა და მარჯვენა სხივის ძვლები;
- მარცხენა და მარჯვენა იდაყვის ძვალი.[575]

ნეშტს მიეკუთვნა სარეგისტრაციო ნომერი 4-07.

ნეშტი ყავისფერია, მოსვრილია მუქი რუხისფერი ქვიშიანი გრუნტით. ძვლები მშრალია, უცხიმო, შედარებით მძიმე, კორტიკული შრეები ხორკლიანია. თავის ქალას ბრტყელი ძვლები და ნეკნები შედარებით ადვილად იღუნება და უმნიშვნელო ძალვისას განიცდის დეფორმაციას. ცალკეულ ძვლებზე (წელის მალები, ბარძაყის ძვლების ყელი, სახსრების ზედაპირი და დიდი წვივის ძვლების აპოფიზები) შეინიშნება ძვლის ოსტეოფიტები.

სახსრების ზედაპირის კონგრუენტობა, მათი ანატომიური შესაბამისობა, გარეგნობა (ფერი, მასიურობა, სიგრძე, ასაკობრივი ცვლილებები, რელიეფის გამოხატულობა და სხვა), ასევე "ზეკომლექტური" ძვლების არარსებობა იმაზე მიუთითებს, რომ ძვლოვანი ნაშთები ერთ ადამიანის გვამს ეკუთვნის.

გამოკვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი დაზიანებები:

1. **თავის ქალა მრავალნამსხვრევიანი მოტეხილობით**[576]: თავის ქალას სტრუქტურის 3 შემადგენელი ძვლოვანი ფრაგმენტი: 12,5x16,0x11,0 სმ ზომის თავის ქალას თაღი; თავი ქალას ფუძე კეფის ძვლით 16,0x15,0x17,0 სმ ზომის; სახის ძვლოვანი ჩონჩხი 13,0x12,5x8,5 სმ ზომის. მოტეხილობების ხაზები, რომლებიც 3 ძვლოვან ფრაგმენტს ყოფენ, არასწორი, უბნებით, რომელზეც არ არის ძვლოვანი ქსოვილი. დაზიანებების დეტალური აღწერილობა მოყვანილია ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევების განყოფილებაში თავის ქალას რეკონსტრუქციის შემდეგ.

2. ნეკნის 9 ნატეხი, ზოგიერთი ნატეხის კიდეები ერთმანეთს შეეთავსება და მათი მორფოლოგიური თავისებურებანი მსგავსია. არის VI–VIII მარცხენა ნეკნის დაზიანებები მარცხენა წინა იღლიისქვეშა ხაზის გაყოლებით და II–X მარჯვენა ნეკნისა - ლავიწის შუა ხაზის გაყოლებით. VI, VII მარცხენა და II მარჯვენა ნეკნი ხასიათდება არასწორი, არასრული "ნაძვის შტოს" ტიპის მოტეხილობითა და ბზარით, ძვლის დაზიანებების გარეშე ნეკნების გარეთა ძვლოვან ფირფიტაზე, ძვლის ნივთიერების უმნიშვნელო ჩამოფშვნით და მცირე ბზარებით ჩამოფშვნის ზონაში ძვლის ფირფიტის შიგნითა ზედაპირზე. VIII მარცხენა და III–X მარჯვენა ნეკნი - არასწორი, მთლიანი მოტეხილობებით შედარებით სწორი, წვრილი დაკბილული კიდეებით ნეკნების გარეთა ძვლოვანი ფირფიტის ("დაჭიმვის" ზონა) ჩამოტეხვისა და კომპაქტური ნივთიერების ჩამოფშვნის გარეშე, შიგნითა მხრიდან - არასწორი კიდეებით, ძვლის კომპაქტური ნივთიერების ჩამოფშვნით ("შეკუმშვის" ზონა).

3. მენჯის ძვლებზე აღმოჩენილია მარცხნივ გამავალი მოტეხილობა: ბოქვენის ძვლის ზედა შტოზე და საჯდომი ძვლის ქვედა შტოზე. მოტეხილობების ხაზები: გარეთა ძვლოვანი ფირფიტისა შედარებით სწორია, მსხვილად დაკბილული, ჩამოტეხვის გარეშე და კომპაქტური ნივთიერების ჩამოფშვნის გარეშე ("დაჭიმვის" ზონა); შიგნითა - წვრილად დაკბილული ძვლის კომპაქტური ნივთიერების ჩამოფშვნით, სიგანე 0,2–0,4 სმ ("შეკუმშვის" ზონა).

სტომატოლოგიური სტატუსის აღწერილობა მოყვანილია ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევების შესაბამის ნაწილში.

---

[575] კიდევ ერთი არსებითი გარემოება — **გარკვეული რაოდენობის ძვლები და ძვლის ნაწილები დაკარგულია** — რაც აგრეთვე **მიუთითებს კუბოს ჩანგრევაზე და მასში დიდი რაოდენობით გრუნტის ჩაქცევაზე — რომლებშიც ძვლები და ძვლის ნატეხები შეერია, რის გამოც ვეღარ აღმოაჩინეს**.

[576] თავის ქალის აღნიშნული ძალზე ძლიერი დაზიანებები ვერაფრით ვერ დარჩებოდათ შეუმჩნეველი იმ საკმაოდ მრავალრიცხოვან პირებს, რომლებმაც გვამი დეტალურად დაათვალიერეს თუნდაც საქართველოში და თუნდაც ჩეჩნეთში. ასეთი ძლიერი დაზიანებები შესაძლოა მხოლოდ და მხოლოდ დაბომბვების დროს კუბოს ჩანგრევისგან მომხდარიყო!

გამოკვლევაზე ნეშტთან ერთად წარმოდგენილი ტანსაცმლისა და საგნების აღწერილობა

...

უცნობი ადამიანის გვამთან აღმოჩენილი საგნების გამოკვლევა

...

ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევები

ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევები ჩატარდა უცნობი ადამიანის პიროვნების დამახასიათებელი საერთო და კერძო ნიშან-თვისებების დასადგენად, ძვლოვანი ნაშთების დაზიანებების დეტალური გამოკვლევის, სამარხის ხანდაზმულობის პროგნოზირებისა და პიროვნების იდენტიფიკაციის, ობიექტებზე გასროლის პროდუქტების გამოვლენის მიზნით.

3.1 ქიმიურ-კრიმინალისტიკური გამოკვლევა

უცნობი მამაკაცის თავის ქალას ძვლების ჩამონარეცხის შემცველი მარლის ტამპონების ქიმიურ-კრიმინალისტიკური გამოკვლევისას აღმოჩენილია: **სტიბიუმის შენატანი (გასროლის პროდუქტების ყველაზე დამახასიათებელი ელემენტი)**[577] მარჯვენა საფეთქლის ძვლის გარეთა ზედაპირის ჩამონარეცხში და №1 დაზიანების კიდეების ჩამონარეცხში (სავარაუდოდ, შემავალი ცეცხლნასროლი დაზიანება). №2 დაზიანების (სავარაუდოდ, გამომავალი დაზიანება) კიდეების ჩამონარეცხში არ არის აღმოჩენილი სტიბიუმის მნიშვნელოვანი შენატანი. გამოკვლევები ჩაატარა ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის მე-16 სასამართლო-სამედიცინო და კრიმინალისტიკური ექსპერტიზების სახელმწიფო ცენტრის ექსპერტ-ქიმიკოსმა ი.ვ.ბრასლავსკაიამ. სპეციალისტის დასკვნა № 26, 16.03.07 წ.

ძვლოვანი ნაშთები და ტანსაცმელი გრუნტისგან გაირეცხა და გაიწმინდა.

3.2. თავის ქალას ზოგადი დახასიათება[578]:

ჩატარდა თავის ქალას ძვლების რეკონსტრუქცია: მსხვილი და წვრილი ნატეხები შეერთებულია მავთულითა და სპეციალური სანთლის მასტიკით. ნატეხების ნაწილის ერთმანეთთან მისადაგება ვერ მოხერხდა. თავის ქალას თაღის ძვლებისა და ძირის დეფორმაცია მკაფიოდ გამოხატულია და ძვლების ერთმანეთში ჩასმა ვერ მოხერხდა.[579]

ყველა შემორჩენილი კბილი მასტიკის საშუალებით ჩასმულია კბილის ბუდეებში. სტომატოლოგიური გამოკვლევები მოცემულია დასკვნის შესაბამის ნაწილში.

თავის ქალას ანატომიურ-მორფოლოგიური გამოკვლევები ჩატარდა მისი დაზიანებების გამოკვლევის შემდგომ.

თავის ქალას ვიზუალური გამოკვლევებისას, შეუიარაღებული თვალით, პირდაპირი და ირიბი განათების საშუალებით, ასევე უშუალოდ სტერეომიკროსკოპიის ჩატარებისას საშუქზე და ბინოკულარული სტერეომიკროსკოპის (МБС-2) საშუალებით აღმოჩენილია შემდეგი დაზიანებები:

---

[577] სტიბიუმის შენატანის აღმოჩენა (მით უმეტეს თხუთმეტი წლის შემდეგ) ცალსახად აქარწყლებს შორი და საშუალო მანძილიდან სროლის შესაძლებლობას და ამდენად **რჩება მხოლოდ ახლო მანძილიდან — მიჯრამდე სროლის შესაძლებლობა**.

[578] ნიშანდობლივია — იმის ფონზე, რომ კომისიამ მრავალი ათეული სურათი შექმნა „მკვლელობის“ საილუსტრაციოდ — მათ „ვერ მოახერხეს“ ქვემოთ აღწერილი დაზიანებების სადემონსტრაციო სურათები დაერთოთ დასკვნითი დოკუმენტისთვის — რომელ ნაკლსაც მე შევავსებ.

[579] ასეთი ძლიერი დაზიანებები ცხედარს იმთავითვე (სიკვდილისთანავე) რომ ჰქონოდა — ეს ვერაფრით ვერ დარჩებოდათ შეუმჩნეველი თუნდაც გროზნოს პროზექტურაში დათვალიერებისას! ამით — კიდევ ერთ–ხელ დასტურდება, რომ კუბოს ჩანგრევის შედეგად ძვლებმა ძალზე არსებითი დარტყმები და დაზიანებები მიიღეს.

როსტოვის დასკვნაში დოკუმენტირებული ზ.გამსახურდიას თავისქალა. კარგად ჩანს ტყვიის შემავალი (მარჯვენა საფეთქელში წარბის გასწვრივ) და გამომავალი ხვრელების ადგილას დამსხვრეული ძვლები.

1. მარჯვენა საფეთქლის ძვლის თხემისა და სოლისებრი კიდეების ზღვარზე სოლისებრი-თხემის ნაკერიდან 0,6 სმ-ით ქვემოთ და მარჯვენა შუბლ-ყვრიმალის ნაკერიდან 2,2 სმ-ით უკან აღმოჩენილია მრგვალი ფორმის გამჭოლი ხვრელი (დაზიანება №1), რომლის ზედა კიდეს ნახევარმთვარის ფორმა აქვს დიამეტრით 0,9 სმ, ხვრელის ქვედა კიდეს აქვს ძვლის ქსოვილის სამკუთხედი ფორმის დეფექტი 1,8x0,4x1,6 სმ ზომის. ხვრელის კიდეები: ძვლის ფირფიტის გარეთა ზედაპირისა - სწორი, გლუვი, წაწვეტილი, ჩამოტეხვისა და კომპაქტური ნივთიერების ჩამოფშვნის გარეშე; შიგნითა ზედაპირისა - ერთიანი ძვლის ცირკულარული ჩამოტეხვით 0,2 სმ ზომისა და 1,2x1,4 სმ საერთო ზომის. ამგვარად, დაზიანებას აქვს კონუსის ფორმა, რომლის ფუძე თავის ქალას ღრუსკენაა მოქცეული. გამჭოლი ხვრელიდან გადის 3 გამჭოლი რადიალური ბზარი: წინა, უკანა და ქვემო კიდეებიდან. წინა კიდიდან გადის გამჭოლი რადიალური ბზარი, თავის ქალას თაღის მთელ გარშემოწერილობაზე, მარჯვნიდან მარცხნივ შუბლის ძვლის შუა ნაწილზე (შუბლის ძვალზე 2,4 სმ-ით მარჯვნივ ძირითადი ბზარის შუა ხაზიდან გადის ირიბად აღმავალი ბზარი მარცხნიდან მარჯვნივ 3,5 სმ სიგრძის), შემდეგ გადის მარცხენა საფეთქლის ძვალზე (მეორე დაზიანებაზე, ქვემოთაა აღწერილი), ზიგზაგურად გადის მარცხენა თხემის ძვლის შუა ნაწილში და რადიალურად მარჯვენა თხემის ძვალზე, შემდეგ თავდება გამჭოლი ხვრელის უკანა კიდეზე. მარცხენა საფეთქლის ძვალზე მოცემულმა რადიალურმა ბზარმა ჩამოაყალიბა ორი არასწორი მრავალწახნაგა ფორმის ძვლის ნამსხვრევი, 3,7x2,5x2,7 სმ და 3,8x1,7x3,4 სმ ზომის. გამჭოლი ხვრელის ქვედა კიდეზე – რადიალური ბზარი გადის ქვემოთ, საფეთქლის ძვლის 3,2 სმ სიგრძის სოლისებრ კიდეზე. შემდეგ ძვლის ფრაგმენტი არ არის.

2. მარცხენა საფეთქლის ძვლის შუა ნაწილში თხემის ზედა კიდის ქიცვიანი ნაწილიდან 3,7 სმ-ით ქვემოთ, მარჯვენა დაფის ჩაღრმავების ზედა კიდიდან 0,4 სმ-ით ზევით და თხემის უკანა კიდის ქიცვიანი ნაწილიდან 2,5 სმ-ით წინ არის არასწორი მრავალწახნაგა ფორმის გამჭოლი ხვრელი 1,7x1,4x1,5 სმ (დაზიანება №2[580]). მარცხენა საფეთქლის ძვალზე აღმოჩენილი ზემოაღწერილი არასწორი

[580] ტყვიის გამომავალი ხვრელის მდებარეობის დაზუსტებამ როსტოვის ექსპერტიზის დასკვნის მიხედ–ვით, საბოლოოდ გააცამტვერა ათწლეულის განმავლობაში საზოგადოებრიობის მოსატყუებლად და გამო–სათაყვანებლად შეთითხნილი სიცრუე იმის შესახებ, რომ თითქოს გამომავალი ჭრილობა ლოყა–ყბის არეში იყო. ამ სიცრუის მომგონთა (მთავარი ფალსიფიკატორი იყო გ.შარაძე) მიზანი იყო გამომავალი ხვრელის ასეთი უცნაური მდგომარეობით დაესაბუთებინათ თვითმკვლელობის შეუძლებლობა...

მრავალწახნაგა ფორმის ორი ძვლის ნატეხი წარმოადგენს აღნიშნული გამქოლი დაზიანების ზედა და ქვედა კედელს. ხვრელის კიდეების დაზიანებები ძვლის ფირფიტის შიგნითა ზედაპირისა - შედარებით სწორი, წვრილად დაკბილული, ჩამოტეხვისა და კომპაქტური ნივთიერების ჩამოფშვნის გარეშე; გარეთა ზედაპირზე - ცირკულარული ნატეხით, რომელიც გამოხატულია ნახვრეტის ზედა კიდეზე 0,1-0,2 სმ სიგანისა და საერთო ზომით 1,9x1,7 სმ. ამგვარად, მეორე დაზიანებას აქვს კონუსის ფორმა, რომლის ფუძეც გარეთა მხარესაა მოქცეული. ამ დაზიანების კიდეებიდან გამოდის ორი რადიალური ბზარი: წინა და უკანა კიდეებიდან, რომლებიც რადიალური ბზარის გაგრძელებაა ზემოაღწერილი პირველი დაზიანების წინა და უკანა კიდეებიდან.

თავის ქალას ძვლების მნიშვნელოვანი დეფორმაციის გამო, სქესისა და რასის გამოვლინების კრანიომეტრიული მეთოდიკები გამოყენებული არ იყო. სქესისა და რასის დიაგნოსტიკა კრანიოსკოპული გზით განხორციელდა.

3.3. სქესის კრანიოსკოპური დიაგნოსტიკა

…

ამგვარად მიღებული დიაგნოსტიკური კოეფიციენტი აღემატება ავტორის მიერ დადგენილ ზღვრულ დონეს და საშუალებას იძლევა გავაკეთოთ სარწმუნო დასკვნა იმის შესახებ, რომ გამოკვლეული თავის ქალა ეკუთვნის მამრობითი სომატური სქესის (მამრობითი სომატური ტიპის) ადამიანს (93,53% ალბათობით).

3.4. რასის დიაგნოსტიკა თავის ქალას მიხედვით

…

ამდენად, გამოვლენილი რასობრივი ნიშნების ერთობლიობა საშუალებას გვაძლევს აზრი გამოვთქვათ, რომ გამოსაკვლევი თავის ქალა მიეკუთვნება ევროპეოიდული რასის ინდივიდის ჩონჩხს.

3.5. სტომატოლოგიური სტატუსის გამოკვლევა

…

3.6.2. ასაკის განსაზღვრა ექტოკრანიალური ნაკერის შეხორცების ვადების მიხედვით

3.6.3 ბიოლოგიური ასაკის პროგნოზირება კბილების მჭრელი კიდის და საღეჭი (ოკლუზიური) ზედაპირის ცვეთის ხარისხის მიხედვით

3.7. სხეულის სიგრძის პროგნოზირება პოსტკრანიალური ჩონჩხის ძვლების მიხედვით

3.8. დამარხვის დროის დადგენა

ამგვარად გამოსაკვლევად წარმოდგენილი ძვლების ნარჩენების მდგომარეობის შეფასებისას (სრული გაჩონჩხება, ხრტილებისა და იოგების არარსებობა, ძვლის ტვინის არარსებობა, გამოშრობა, სიმტკიცე, გამოფიტვა) დამარხვის სიღრმის, ნიადაგის მაჩვენებლების და კუბოში გამოკრული ნაჭრის და ტანსაცმლის არსებობის გათვალისწინებით დამარხვის ვადა დგინდება 7–20 წლის დიაპაზონში, უფრო სავარაუდოა 10–15 წელი.

3.9. შედარებითი საიდენტიფიკაციო გამოკვლევა

სასამართლო–სამედიცინო დიაგნოზი

თავის ქალას ერთი, ცეცხლნასროლი, გამქოლი, ტყვიით მიყენებული შეღწევადი დაზიანება თაღისა და ფუძის ძვლების მრავალნამსხვრევიანი მოტეხილობით.

არაპირდაპირი მოტეხილობები: მარცხენა VI-VIII და მარჯვენა II-X ნეკნების; მარცხენა ბოქვენის ძვლის ზედა და მარცხენა საჯდომი ძვლის ქვედა ტოტების.

გამოხატული გვიანდელი გვამური მოვლენები – სრული გაჩონჩხება.

დასკვნები

ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე, დადგენილებაში დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემისას ექსპერტებმა დაასკვნეს:



А). Дырчатый перелом в правой височной кости (повреждение № 1) является входным отверстием, на что указывает его округлая форма, ровные края, циркулярный скол внутренней костной пластинки и наличие одного из компонентов продуктов выстрела – сурьмы.

Дырчатый перелом в левой височной кости (повреждение № 2) является выходным отверстием, о чем свидетельствует его неправильная многоугольная форма, большие размеры и наличие скола на наружной костной пластинке.

Б). Пулевой канал имеет направление: справа налево, несколько сверху вниз и несколько спереди кзади, на что указывает взаимное расположение входного и выходного отверстий.

Е). Огнестрельное повреждение, обнаруженное на черепе, могло быть причинено выстрелом с близкой дистанции,

როსტოვის დასკვნის ამონარიდი ფილმიდან „დინების საწინააღმდეგოდ“

1. გამოსაკვლევად წარმოდგენილი ძვლის ნაშთები ერთი ადამიანის გვამს ეკუთვნის, რაზეც მიუთითებს მათი ერთნაირად გამოხატული მორფოლოგიური ნიშნები (ფერი, მასიურობა, სიგრძე, ასაკობრივი ცვლილებები, რელიეფი), ასევე ძვლების სახსრების ზედაპირთა კონგრუენტობა და მათი ანატომიური შესაბამისობა.

მოცემული ძვლების ნაშთები ეკუთვნის მამაკაცის გვამს, რომლის სხეულის სიგრძე დაახლოებით შეადგენდა 182–184 სმ, ასაკი დაახლოებით 50–55 წელს, რაზედაც მეტყველებს ჩატარებულ გამოკვლევათა შედეგები. გვამის დამარხვის ვადაა 10–15 წელი.

2. ჩატარებული საიდენტიფიკაციო გამოკვლევების საფუძველზე დადგენილია, რომ წარმოდგენილი ძვლების ნარჩენები ეკუთვნის ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდიას, დაბადებულს 1939 წელს, რასაც მოწმობს საორიენტაციო, ზოგადი და ცალკეული კერძო ნიშნების თანხვედრა, აგრეთვე სიცოცხლეში გადაღებული ფოტოსურათებისა და თავის ქალას გამოსახულების ფოტოშეთავსების დადებითი შედეგები.

3. ძვლების ნარჩენების გამოკვლევისას აღმოჩენილია: **თავის ქალის ერთი, ცეცხლნასროლი, გამქოლი, ტყვიით მიყენებული შეღწევადი დაზიანება** თაღისა და ფუძის ძვლების მრავალნამსხვრევიანი მოტეხილობით. არაპირდაპირი მოტეხილობები: მარცხენა VI-VIII და მარჯვენა II-X ნეკნები; აგრეთვე მარცხენა ბოქვენის ძვლის ზედა და მარცხენა საჯდომი ძვლის ქვედა ტოტებისა.

თავის ქალას აღნიშნული დაზიანება ცეცხლსასროლი იარაღის ტყვიითაა მიყენებული, რასაც მოწმობს ჭრილობის გამქოლი ხასიათი, ხვრელოვანი მოტეხილო-

ბები, დეფექტების კონუსისებური ფორმა და მცირე ზომები, ძვლის კომპაქტური ნივთიერების კიდეებში მთლიანი ცირკულარული გადატეხა, რადიალური ნახეთქები, ასევე N1 დაზიანების (მარჯვენა საფეთქლის ძვალზე) ადგილზე სტიბიუმის არსებობა.

ა) **მარჯვენა საფეთქლის ძვლის** ხვრელოვანი მოტეხილობა (N1 დაზიანება) შემავალი ხვრელი, რასაც მოწმობს მისი მომრგვალებული ფორმა, თანაბარი კიდეები, შიდა ძვლის ფირფიტის ცირკულარული ჩამოტეხვა და **გასროლის პროდუქტის ერთ–ერთი კომპონენტის – სტიბიუმის არსებობა.**

მარცხენა საფეთქლის ძვლის ხვრელოვანი მოტეხილობა (N2 დაზიანება) გამომავალი ხვრელი რასაც მოწმობს მისი უსწორმასწორო მრავალწახნაგოვანი ფორმა, დიდი ზომები და ჩამოტეხვა ძვლის გარეთა ფირფიტაზე.

ბ) ნატყვიარ არხს აქვს მიმართულება: **მარჯვნიდან მარცხნივ, <u>ოდნავ</u> ზემოდან ქვევით და <u>ოდნავ</u> წინიდან უკან**[581], რასაც მოწმობს შემავალი და გამომავალი ხვრელების ურთიერთგანლაგება.

გ) თავის დაზიანების მიყენების მომენტში იარაღის ლულის ჭრილი, საიდანაც გაკეთდა გასროლა, მიმართული იყო მარჯვენა საფეთქლის ძვლის მარჯვენა გვერდითი ზედაპირისკენ, რასაც მოწმობს შემავალი ცეცხლსასროლი ხვრელის ანატომიური ლოკალიზაცია. იარაღის ლულის გრძივი ორიენტაცია შეესაბამებოდა ნატყვიარი არხის მიმართულებას.

დ) ტყვია, რომლითაც თავის ქალას დაზიანებაა მიყენებული, 0,9 სმ დიამეტრისა იყო, რასაც მოწმობს შემავალი ცეცხლნასროლი ნატყვიარის ზომები.

ე) თავის ქალას აღნიშნული დაზიანება მიყენებულია ერთი გასროლის შედეგად, რასაც მოწმობს ერთი შემავალი ხვრელის, ერთი გამომავალი ხვრელის და ერთი ნატყვიარი არხის არსებობა.

ვ) თავის ქალაზე აღმოჩენილი <u>ცეცხლნასროლი დაზიანება შესაძლოა მიყენებული ყოფილიყო ახლო მანძილიდან[582], ქვარტლის მოქმედების ფარგლებში, არ არის გამორიცხული, რომ **მიბჯენითთან მიახლოებული მანძილიდან**[583]</u>, რასაც მოწმობს ახლო მანძილიდან გასროლის ნიშნების არსებობა, კერძოდ შემავალი ხვრელის არეში და მის კიდეებზე **სტიბიუმის კვალი.** სტიბიუმი ტყვიის **კაპსულის** შედგენილობის ერთ–ერთი ქიმიური ელემენტია. (ტრასირებადი ტყვიის გამოკლებით – რომლის გულის მთავარი ნაწილიც ტყვია–სტიბიუმის შენადნობისგანაა დამზადებული), კაფსულის შემადგენელი ნივთიერებები სრულად ასწრებს რეაგირებას დეტონაციის და დენთის მუხტის ინიციირების მომენტში (დენთის გაზებთან ერთად ლულის არხიდან მხოლოდ ცალკეული ქიმიური ელემენტები გამოდის, რომლებიც კაფსულის დატენვის შემადგენელ ნივთიერებებში შედის). ამიტომ თავის ქალას აღნიშნული დაზიანება შეიძლება მიყენებული ყოფილიყო საწარმოო (ქარხნული) დამზადების მაკაროვის პისტოლეტის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღით, არ გამოირიცხება ცეცხლსასროლი იარაღის სხვა სახეობები მაგალითად სტეჩკინის ავტომატური პისტოლეტი, ვალტერი, სმიტი და ვესონი, ბერეტა.

4. VII-VIII მარცხენა და II მარჯვენა ნეკნის არასრული მოტეხილობა ბზარი, VIII მარცხენა და III-X მარჯვენა ნეკნების მოტეხილობა, ასევე მარცხენა ბოქვენის ძვლის ზედა და მარცხენა საჯდომი ძვლის ქვედა ტოტების მოტეხილობა არაპირდა-

---

581 როსტოვის დასკვნაში და კომისიის სხვა დოკუმენტებში წერია „несколько“, რაც ქართულად „რამდენადმეს“ ნიშნავს! აქ, დასკვნით დოკუმენტში კი უწერიათ „**ოდნავ**“, რაც აუცილებლად იწვევს როსტოვის ექსპერტიზის დასკვნის გაყალბებას და გაურკვევლობის დათესვას.

582 გამოტოვებულია სიტყვა „**გასროლით**“ ანუ უნდა იყოს „ახლო მანძილიდან გასროლით“.

583 როგორი არასასიამოვნო და მოუხერხებელიც არ უნდა იყოს კომისიისათვის ექსპერტების ამ ობიექტურ და მეცნიერულ მტკიცებულობაზე დაფუძნებული დასკვნა (**სტიბიუმის არსებობა**) — იგი ძლიერ ამაგრებს და ამყარებს თვითმკვლელობითი გასროლის ვერსიას და ქვას ქვაზე არს სტოვებს დამორებიდან სროლის სიცრუისგან!

პირია და წარმოიქმნა ზეწოლის მექანიზმით, რასაც მოწმობს მოტეხილობათა ხასიათი: გარეთა ძვლის ფირფიტის მხრიდან მოტეხილობათა ხაზები შედარებით თანაბარია, მსხვილი დაკბილვით, ჩამონატეხის და კომპაქტური ნივთიერების ჩამოფშვნის გარეშე (გაჭიმვის ზონა), შიდა ფირფიტის მხრიდან – დაკბილვით წვეტებით, კომპაქტური ნივთიერების ჩამოფშვნით (შეკუმშვის ზონა) და შესაძლოა მოტეხილობების ლოკალიზაციის ადგილებიდან მოშორებით **ტრავმის გამომწვევი ძალის ზემოქმედებით წარმოქმნილიყო კუბოს სახურავის ნაწილების ზეწოლით, როდესაც მას მიწის სიმძიმე დააწვა**[584].

5. <u>სიკვდილის მიზეზის უტყუარი დადგენა, ისევე როგორც იმის მტკიცება, რომ ჩონჩხის აღნიშნული დაზიანებები სიცოცხლეშია მიყენებული, შეუძლებელია</u> გვიანდელი გვამური მოვლენების გამო (სრული გაჩონჩხება). თუმცაღა აღმოჩენილი დაზიანებების მორფოლოგიური ნიშნები და ხასიათი (ცეცხლნასროლი ტრავმა) საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ სიკვდილი შესაძლოა დამდგარიყო თავის ცეცხლნასროლი ნატყვიარი გამჭოლი ჭრილობის შედეგად თავის ტვინის ნივთიერების დაზიანებით.

ქიმიურ–კრიმინალისტიკური გამოკვლევა

გამოკვლევა რენტგენოსპექტრული ფლუორესცენტული ანალიზის მეთოდით

დასკვნა

უცნობი მამაკაცის თავის ქალას ძვლებიდან ჩამონარეცხიანი მარლის ტამპონების ჩატარებული გამოკვლევის შედეგად **აღმოჩენილია სტიბიუმის** (გასროლის პროდუქტების ყველაზე დამახასიათებელი ელემენტის) **კვალი** მარჯვენა საფეთქლის ძვლის გარეთა ზედაპირისა[585] და №1 დაზიანების (სავარაუდოდ შემავალი ცეცხლნასროლი დაზიანების შემავალი ხვრელი) კიდეების ჩამონარეცხში.

№2 დაზიანების (სავარაუდოდ გამომავალი დაზიანება) კიდეების ჩამონარეცხში სტიბიუმის დიაგნოსტიკურად მნიშვნელოვანი კვალი არ აღმოჩნდა.

22.14. ◈ ბ.გუგუშვილის საგანგებო შენიშვნა

ფრიად ნიშანდობლივია, რომ კომისიის დასკვნითი დოკუმენტის თანდართული ფოტომასალა არ შეიცავს თუნდაც ერთ ფოტოს, რომელზეც გამსახურდიას ცხედარის თავი გადაღებული იყოს მარჯვენა მხრიდან — ანუ იმ მხრიდან, სადაც, საფეთქელთან იყო ტყვიის შემავალი ხვრელი და აღინიშნებოდა ძალზე არსებითი დამწვრობა. — თუ რატომ გაკეთდა ეგრე — ამაზე ფიქრი მკითხველისთვის მიგვინდია...

ყველა ნიშანი, რომელიც შეემჩნეოდა ზ.გამსახურდიას ტყვიის შემავალ ხვრელს მარჯვენა საფეთქელში — **კანის დამწვრობა, თმების შეტრუსვა, გარუჯვა, დენტის კვალი** და ა.შ. — თუნდაც ამ ფოტოს თვალსაზრისით ადასტურებს, რომ **გასროლა მოხდა დაახლოებით 30–50 მმ (3–5 სმ.) სიშორიდან** — ანუ ძალზე ახლო ან მიბჯენასთან დაახლოებული მანძილიდან და მაქსიმუმ **არაუმეტეს 100–200 მმ (10–15 სმ) სიშორიდან.** რაც ფრიად დამახასიათებელია თვითმკვლელობებისთვის და ათასობით შემთხვევაშია რეგისტრირებული.

---

584 ეს დასკვნა, იმ ფაქტთან ერთად, რომ „კუბოს ფიცრები ლპობის პროცესის შედეგად დაზიანებულია და დამლილია“ და, რომ „ძვლოვან ნაშთებთან ერთად აღმოჩენილია დიდი რაოდენობით ქვიშიანი გრუნტი“ სავსებით უსუსურს ხდის კომისიის მცდელობებს წარმოაჩინოს საქმე ისე, თითქოს ნეშტის აღმოჩენილი დაზიანებები მის დაკრძალვამდე (თუნდაც მოკვლამდე — წამება და სხვ.) მოხდა.

585 **ძალზე ახლო მანძილიდან ან მიბჯენასთან დაახლოებული მანძილიდან** გასროლის უტყუარი ნიშანი.



გასროლებისას პისტოლეტის ლულის წინ — სხვადასხვა მანძილზე — არ იყო მოთავსებული საგანი-წინაღობა, რომლის ფიზიკური თვისებებიც ადამიანის თავის თვისებებს მიემსგავსებოდა. სავსებით მოსალოდნელია, რომ ასეთი საგანი-წინაღობა არსებითად შეცვლიდა ლულიდან გამოვარდნილ ალების კონფიგურაციასა და ზომებს. ამასთანავე — ტყვიის მყარ საგანში შესვლაც გარკვეულად იმოქმედებდა ალის მახასიათებლებზე.

კომისიის დასკვნაზე დართულია პროკურატურის მიერ გადაღებულ ფოტოები რომლებიდან არც ერთი არაა ისეთი, რომელზეც მოჩანდეს **მარჯვენა საფეთქელი და ტყვიის შემავალი ხვრელი** – ეს შეგნებულადაა გაკეთებული იმიტომ, რომ ამ სურათებზე თვალნათლივ **მოჩანს შემავალი ხვრელის გარშემო ძალზე ახლო გასროლით დამწვარი, ტყვიის წამლისგან ჩაშავებული კანი და შეტრუსული თმები!!!**

- თუ შეიძლება მითხარით, ზუსტად სად ჰქონდა ტყვია პრეზიდენტს ნასროლი?

- ზუსტად მარჯვენა საფეთქლის ოდნავ დაბლა, თვალის გასწვრივ, მოჩანდა შემავალი ტყვიის ადგილი და გამოდიოდა მარცხენა მხარეს, უკან, დვრილისებრ მორჩში და ყველაფერი გამონგრეული ჰქონდა. უცებ გავიაზრე, საწოლის თავზე არსებული ტყვიის ანაბეჭდი ემთხვეოდა თუ არა თვალის გასწვრივ ნასროლი ტყვიისას და მივხვდი, რომ ემთხვეოდა.

- ბალზამირებისას რაიმე უცნაური ხომ არ შეგინიშნავთ?

- უცნაური კი არა, იმ დვრილისებრ მორჩს რომ მივადექი, სადაც ტვინი გარეთ იყო გამოსული, ცუდად გავხდი და დაცვის ერთ-ერთ წევრს ვთხოვე, ამ ჟანეს შპრიცით შეუშვი-მეთქი წამალი.

ექიმ ჯალაღონიას სიტყვები[586]

Cadaveric spasm

Cadaveric spasm is a term used to describe the instantaneous tightening of a hand or other body part at the time of death. Note the weapon clutched tightly in the left hand of this victim of a self-inflicted gunshot wound through the head. p. 281
Injury and Death Investigations

[586] იხ. გაზეთის PDF ჯალაღონიას ინტერვიუთი: Documets/jalagonia_mamuli_2005.pdf

23. ზ.გამსახურდიას თვითმკვლელობის იარაღზე თითების ანაბეჭდებით სპეკულაციების უსუსურობა

კოკოს კომისიის დასკვნებში, მისივე ფსევდო-დოკუმენტურ ფილმსა და მკვლელობის ვერსიის თავწაკლული ფანების მრავალრიცხოვან მას მედიის პუბლიკაციებში ეს დილეტანტი „გამომძიებლები“ ისე აყენებენ საკითხს, თითქოს თვითმკვლელობის იარაღზე ანუ პისტოლეტ „სტეჩკინზე“ თითების ანაბეჭდებით შესაძლებელი ყოფილიყოს მკვლელობა-თვითმკვლელობის ზუსტად დადგენა და მეტიც — „მკვლელის“ დადგენა. და, რომ, ზ.გამსახურდიას სიკვდილის მოწმეების მოპყრობა თვითმკვლელობის იარაღ „სტეჩკინის“ მიმართ რაღაც თვალსაზრისებით საეჭვოდ ჩანს.

ამ და ასეთი მოსაზრებების დილეტანტიზმი და უსუსურობა რამდენიმე ფაქტორის გაუთვალისწინებლებიდან გამომდინარეობს.

ერთი ისაა, რომ წინასწარ განზრახული მკვლელობის შემსრულებელი და მით უმეტეს მკვლელობის ვერსიის ფანების მიერ ამოჩემებული „ქილერი“ ანუ პროფესიული მკვლელი იმისთვის, რომ არ დატოვოს საკუთარი თითების ანაბეჭდი იარაღზე ყოველთვის იყენებს ხელთათმანს ან ნებისმიერ ქსოვილს, ან კიდევ, დამატებით, გასროლის შემდეგ იარაღს ზედმიწევნით ასუფთავებს საკუთარი თითების ანაბეჭდებისგან და შემდეგ მასზე აღბეჭდავს მოკლულის თითების ანაბეჭდებს.

მეორე ისაა, რომ ზ.გამსახურდიას თვითმკვლელობის მოწმეებს, ისინი რომ რაღაცნაირად დაკავშირებული, ჩათრეული ყოფილიყვნენ მკვლელობის ვერსიის ფანების მიერ მოზღაპრულ შეთქმულებაში მონაწილეობაში (და მეტიც — მკვლელობაში) სავსებით საკმარისი დრო და შესაძლებლობა გააჩნდათ რათა პისტოლეტი საგულდაგულოდ გაეწმინდათ თავისი (ან გარეშე მკვლელის) თითების ანაბეჭდებიდან და შემდეგ იგი ისევ ხელში ჩაებღუჯებინათ მიცვალებულისთვის — რათა იარაღზე სწორედაც რომ ზ.გამსახურდიას ხელისა და თითების ანაბეჭდები დარჩენილიყო. ამის შემდეგ მათ ასე დამუშავებული პისტოლეტი შეეძლოთ სავსებით უსაფრთხოდ გადაეცათ გამოძიებისთვის — რითაც კატეგორიულად და საბოლოოდ მოსპობდნენ თვითმკვლელობის იარაღზე თითების ანაბეჭდების ნებისმიერ პრობლემას.

ასე, რომ — ბოროტი განზრახვის არსებობისას „მკვლელის“ თითების ანაბეჭდების არსებობა-არარსებობის „პრობლემა“ სავსებით უსაფუძვლოა და მარტივი აზროვნების შედეგია: სწორედაც რომ ბოროტი განზრახვისა და შეთქმულების შემთხვევაში თვითმკვლელობის იარაღზე **აუცილებლად** იქნებოდა ზ.გამსახურდიას თითების ანაბეჭდები და ეს იარაღი ამ სახით თვითმკვლელობის შემდეგ მოკლე ხანში **აუცილებლად** ხელთ ექნებოდათ შევარდნაძის ხუნტის გამომძიებლებს!

ხოლო, თვითმკვლელობის იარაღის მიმართ ზ.გამსახურდიას მცველების ასეთნაირი მოპყრობა იმ პირობებში (დევნა) სავსებით ბუნებრივი და ყოველგვარ ქვენა აზრებს მოკლებული იყო — მათ შეძლებისდაგვარად დააკონსერვეს იარაღი და იგი სანდო ადგილას გადამალეს, რათა ნებისმიერი კეთილსინდისიერი გამოძიებისთვის შეენარჩუნებინათ — საიდანაც ეს იარაღი შემდგომ ზ.გამსახურდიას ბოროტმა ქვრივმა მიიტაცა.

24. ჩეჩნეთის პროკურორი კუზნეცოვი ექსჰუმაციის შედეგებზე

ГРОЗНЫЙ, 3 мар - РИА Новости. Прокурор Чечни Валерий **Кузнецов** заявил, что говорить о наличии признаков насильственной смерти бывшего президента Грузии Звиада Гамсахурдиа можно будет только после судебно-медицинской экспертизы. Останки экс-президента обнаружены в субботу в Грозном, и при их осмотре в черепе с правой и левой сторон в височной части обнаружены два отверстия, сообщил источник.

"Останки полностью скелетированные, и по внешним признакам утверждать, что смерть наступила в результате насильственных действий, неправомерно", - сказал Кузнецов РИА Новости.

По факту обнаружения останков назначена доследственная проверка, по результатам которой будет решен вопрос о возбуждении уголовного дела.

По словам Кузнецова, **решение о возбуждении дела будет зависеть от того, найдут ли при проведении экспертизы признаки насильственной смерти или нет.**[587]

როგორც ჩეჩნეთის პროკურორის კუზნეცოვის განცხადებიდან ჩანს, ექსჰუმაციის შემდგომ ნეშტის შესწავლის შედეგების მიხედვით საუბარი ძალადობრივ სიკვდილზე ანუ მკვლელობაზე არამართებულია. ამას გარდა კუზნეცოვი აღნიშნავს, რომ თუ როსტოვის ექსპერტიზა მკვლელობის ნიშნებს იპოვიდა, ჩეჩნეთში მკვლელობის გამო გამოძიება დაიწყებოდა.

პირველ რიგში ეს განცხადება არსებითია იმით, რომ ჩეჩნეთის პროკურატურამ იმის მიუხედავად, რომ ჩონჩხის ნაწილები და თავისქალა დამტვრეული იყო, არ მიიჩნია ისინი ძალადობრივი სიკვდილის ნიშნად — განსხვავებით კოკოს კომისიისა, რომელმაც სწორედ ამ ფაქტორის გამო წამოწია ვერსია წამებით მოკვლის შესახებ..

კოკოს კომისიამ აღნიშნული ფაქტორი სავსებით მიჩქმალა და საზოგადოებრიობას არ გააცნო თუ რა დასკვნა იქნა გამოტანილი ჩეჩნეთის პროკურატურის მიერ როსტოვის დასკვნაზე დაფუძნებით; ისევე როგორც არ გააცნო საზოგადოებრიობას თუ რა მდგომარეობაში იყო კუბო ექსჰუმაციისას.

---

587 http://www.rambler.ru/news/events/northerncaucasia/9845617.html
http://www.rian.ru/defense_safety/investigations/20070303/61516569.html
http://lenta.ru/news/2007/03/03/zviad1
http://www.regnum.ru/news/791047.html

25. ჩონჩხის დამსხვრევის მთავარი მიზეზი: [გროზნოში საფლავის სასტიკი დაბომბვები]

ზ.გამსახურდიას რეზიდენცია და საფლავი გროზნოში რუსეთ-ჩეჩნეთის პირველი ომის შემდეგ

ზ.გამსახურდიას რეზიდენცია და საფლავი გროზნოში რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომის შემდეგ, 2007 წ.

ზ.გამსახურდიას რეზიდენცია და საფლავი გროზნოში რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომის შემდეგ, 2007 წ.

ზ.გამსახურდიას რეზიდენცია და საფლავი გროზნოში რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომის შემდეგ, 2007 წ.

ზ.გამსახურდიას რეზიდენცია და საფლავი გროზნოში რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომის შემდეგ, 2007 წ. ექსჰუმაციისას დამსხვრეული კუბო არა ჩანს!

ზ.გამსახურდიას რეზიდენცია და საფლავი გროზნოში რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომის შემდეგ, 2007 წ.

[სურათები] თვალნათლივ ადასტურებენ თუ რაოდენ ძლიერად იყო ზ.გამსახურდიას საფლავის ტერიტორია დაბომბილი ორი ომის განმავლობაში – რაც განმარტავს თუ რატომ იყო კუბო ჩალეწილი, რამაც გამოიწვია აგრეთვე ჩონჩხის ძვლების დამტვრევაც.

26. სურათები რომელსაც კომისია მალავს

ცხედრის მარჯვენა საფეთქელზე ტყვიის შემავალი ხვრელი და დენთის მიერ დამწვარ-გარუჯული უბანი, შეტრუსული თმები.[588]

[588] ფერადი სურათები იხ. DVD-ზე, ფოლდერში: Images/





როგორც თვით კომისიის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის მასალა ადასტურებს 4-5 სანტიმეტრის დიამეტრის დენთის ალის მიერ დამწვარ-გარუჯული უბანი და შეტრუსული თმები 3-4 სმ, მაქსიმუმ 5-6 სმ სიშორიდან გასროლის შედეგია[589].

აქ მოტანილზე ბევრად უკეთესი, პროფესიულ დონეზე გადაღებული ფოტო სურათები აქვს პროკურატურას და კომისიასაც – მაგრამ მათ ეს სურათები შეგნებულად და ბოროტი განზრახვით დამალეს!

589 იხილეთ ვიდეო DVD-ზე: Video/zg_natkviari_safetqelze.wmv

27. კომისიის მიერ ვიზუალური მასალის ფალსიფიცირება

გაწვდით კომისიის მიერ „საბოლოო დასკვნაზე“ დართული მნიშვნელოვანი და არსებითი ვიზუალური მასალის **აშკარა ფალსიფიკაციის** მაგალითს, რომელიც ვითომ ასახავს ზ.გამსახურდიასთვის მარჯვენა საფეთქელში ნასროლი ტყვიის ტრაექტორიას და აქვე შესადარებლად როსტოვის ექსპერტთა დასკვნის მასალებს:



ტყვიის გამჭოლი ტრაექტორია

რეალური **კოკოს კომისიის დასკვნაში**

ტყვიის ტრაექტორიის **კომისიის** მიერი ფალსიფიცირებული სურათი, რომელზეც ტყვიის შემავალი ხვრელი რამდენიმე სანტიმეტრით მაღლაა ნაჩვენები (საფეთქელზე ბევრად მაღლაა), ანუ ტრაექტორია სპეციალურად და ბოროტი განზრახვით წარმოჩენილია ზედმეტად დახრილი ზემოდან ქვემოთ.

როსტოვის დასკვნაში დოკუმენტირებული ზ.გამსახურდიას თავის ქალა. კარგად ჩანს ტყვიის შემავალი (მარჯვენა საფეთქელში წარბის გასწვრივ) და გამომავალი ხვრელების ადგილას დამსხვრეული ძვლები.



ტყვიის შემავალი და გამომავალი ხვრელები **როსტოვის დასკვნის შესაბამისად** —მიმართულება: „**რამდენადმე** ზევიდან ქვევით“ — სურათები, რომლებიც ამხელენ კომისიას.

28. კოკოს კომისიის ბრიყვული შეცდომები: ტრაექტორია

კოკოს კომისიის დასკვნაში დაფიქსირდა მისი წევრებისა და მიწვეული სპეციალისტების მძვინვარე არაკომპეტენტურობა და მიკერძოებულობა, რამაც განაპირობა საგამომძიებლო საქმის თვალსაზრისით მრავალი უხეში და მიუტევებელი შეცდომა.

კომისიის არაკომპეტენტურობასა და მიკერძოებულობას აღრმავებდა და ამწვავებდა ის გარემოებაც, რომ კომისიის მუშაობის არც ერთ ეტაპზე, არ მომხდარა არც შუალედური დასკვნების და მით უმეტეს, არც საბოლოო დასკვნის დამოუკიდებელი, ობიექტური ექსპერტების მიერ რეცენზირება-ოპონირება და კრიტიკული ანალიზი.

საბოლოო დასკვნასა და მას მედიაში, განსაკუთრებით ტელევიზიაში უძლიერესი პიარ-კამპანიის დროს — კომისიის კონცეპციის ერთ-ერთი ძალზე სერიოზული შეცდომების კვანძად იქცა გარდაცვლილის მარჯვება საფეთქელში არსებული ტყვიის შემავალი ხვრელის, მარცხენა საფეთქელში ტყვიის გამომავალი ხვრელისა და საწოლის დაფაზე არსებული ეგრეთწოდებული „ნატყვიარის“ დილემა — ანუ ტყვიის ტრასის დილემა.

ტყვიის ტრაექტორია კომისიის ფანტაზიით

საწოლის თავის დაფაზე, რომელიც პროკურატურის გამოძიებას აქვს ხელთ, მართლაც არსებობს პატარა ამონატეხი — რომელიც ამ საქმეში უკვე ტრადიციად

ქცეული მიკერძოებისა და არასერიოზულობის მეოხებით განიხილება როგორც იმ ტყვიის მიერ წარმოქმნილ ამონატეხი — რომელმაც ზ.გამსახურდიას თავისქალაში გამჭოლი ხვრელი გამოიწვია.

მაგრამ, საქმე იმაშია, რომ საწოლის დაფაზე არსებული ამონატეხი ვერაა და არაა სანდოდ და ცალსახად კვალიფიცირებული: როგორც მაინც და მაინც, სავადლებულოდ და აუცილებლად პისტოლეტის ტყვიის მიერ წარმოქმნილი.

მასში ვერ იქნა აღმოჩენილი ტყვიის მიერ თავისქალის გამომავალი ხვრელიდან ტყვიის მიერ გამოფრქვეული ორგანიკის (სისხლი, ტვინი და ა.შ.) ნიშნები და ვერც ტყვიის ლითონის ნარჩენები, რომელიც აუცილებლად უნდა ყოფილიყო — რამდენადაც გარდაცვლილის თავი ძალზე ახლო მანძილზე იგულისხმება ლოგინის დაფასთან — და ეს ვიზუალურადაც კარგად ჩანს. ეს რომ მართლა ნატყვიარი იყოს ხის ზედაპირი მთლად დათხვრილი უნდა იყოს სისხლითა და სხვა ორგანიკით — რომლის DNA ანალიზით შესაძლებელი იქნებოდა დადგენა თუ ვის ეკუთვნოდა ის ორგანიკა.

ამდენად — საწოლის დაფაზე არსებული (ნატყვიარად გასაღებული) ამონატეხი, მანამ, სანამ არ დამტკიცდება, რომ იგი ნამდვილად სწორედ ტყვიის მიერაა წარმოქმნილი, რომელმაც მიცვალებულის საფეთქლებში გაიარა, ვერ იქნება და არც უნდა იყოს მხედველობაში მიღებული ტყვიის ტრაექტორიის დადგენისას!



ამონატეხი ლოგინის თავის დაფაზე – მიაქციეთ ყურადღება, რომ ამონატეხი არაა დათხვრილი სისხლითა და სხვა რაიმე ორგანიკით

ეს ერთი ძალზე არსებითი ფაქტორი...

მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი კი ისაა, რომ არც კომისიას, არც პროკურატურის გამოძიებას და არც საერთოდ არავის არ აქვს ზუსტი, უცილობელი და სანდო ინფორმაცია იმის შესახებ **იწვა გარდაცვლილი ლოგინში გასროლის მომენტში, წამომჯდარი იყო თუ რაიმე შუალედურ პოზაში იმყოფებოდა — რამეთუ არავის გასროლის მომენტი არ დაუნახავს.**

რამდენადაც ვერაფრით ვერ გამოირიცხება, რომ გასროლის მომენტში მიცვალებული არ იწვა — არამედ წამომჯდარი ან თუნდაც რამდენადმე წამოწეული იყო — ტყვიის ტრაექტორიის შესახებ როგორც კოკოს კომისიის მიერ დასკვნაში წარმოდგენილი ანალიზი და მასზე დაფუძნებული დასკვნები, ასევე პროკურატურის მიერ გაკეთებული დასკვნები ჰაერში გამოკიდებული და სამართლებრივად ბათილი რჩება...

და, **თუ გასროლისას გარდაცვლილის პოზის გაურკვევლობას კიდევ მივუმატებთ იმ ფაქტორს, რომ ლოგინის თავის დაფაზე არსებული ამონატეხი ძალზე**

საეჭვოა რომ ნატყვიარი იყოს — კოკოს კომისიის კონცეპციის ყველაზე არსებითი ლოგიკური საფუძვლები სავსებით შერყეული და ბათილია.[590]

29. ზ.გამსახურდიას ხორხის ხრტილები და ენისქვეშა ძვალი დაუზიანებელი აღმოჩნდა

რუსეთის მე-16 სასამართლო-სამედიცინო და კრიმინალისტიკური ექსპერტიზების სახელმწიფო ცენტრის ექსპერტთა კომისიის დასკვნაში № 12, 2007 წ. 6 – 12 მარტი, ქ.დონის როსტოვი — რომელსაც იმოწმებს კოკოს კომისია — აღნიშნულია:

სუდარის გაშლისას აღმოჩენილია ... **ხორხის ხრტილი (4 ცალი)**... გამოკვლევისას აღმოჩენილი ძვლები: – **ენისქვეშა ძვალი**...



ის, რომ, როსტოვის ექსპერტთა კომისიის განკარგულებაში აღმოჩნდა ზ.გამსახურდიას ჩონჩხის ეს ნაწილები: ხორხის ხრტილი (4 ცალი) და ენისქვეშა ძვალი, აგრეთვე ის ფაქტი, რომ ეს ნაწილები დაუზიანებელი იყო (ისევე, როგორც კისრის მალები და თავისქალის ქვედა ნაწილი) — სავსებით აბათილებს კოკოს კომისიის იმ მონაჯორს, რომ ზ.გამსახურდიას ყელის არეში კიდევ ერთი ნატყვიარი ჰქონდა — იმიტომ, რომ — ასეთი ნატყვიარის შემთხვევაში აუცილებლად დაზიანებული იქნებოდა ან ხორხის ხრტილი, ან ენისქვეშა ძვალი, ან კისრის მალები, ან კეფის ძვლები ან რამდენიმე ერთად.

ამასვე უნდა დავამატოთ ის ფაქტი, რომ ყველა მოწმე, რომელმაც ზ.გამსახურდიას ცხედარი დაათვალიერა ჯერ ხიბულაში და შემდეგ ჯიხაშკარში კატეგორიულად უარყოფს ყელის არეში რაიმე ნატყვიარის, ტყვიის შემავალი ხვრელის არსებობას და საერთოდაც რაიმე მეორე ნატყვიარის არსებობას. ყელის არეში ტყვიის შემავალი ხვრელის უდაო, უეჭველ არსებობას ვერ ადასტურებენ ვერც ის მოწმეები, რომლებმაც ძალზე დაობებული და ლპობა-ხრწნით უკვე დაზიანებული ცხედარი — რომლსაც სახეზე გარკვევით ემჩნეოდა რამდენიმე გვამური ლაქა (ლპობის შედეგი) — დაათვალიერეს მისი გროზნიში გადასვენების დროს ქუთაისის აეროპორტში.

---

590 ლოგინის თავზე ამონატეხით როგორც ნატყვიარით მრავალჯერადი და აკვიატებული მანიპულირების მიუხედავად, ბოლოს კომისია იძულებული გახდა აღენიშნა, რომ: „საწოლის საზურგეზე არსებული დაზიანება გაურკვეველი წარმომავლობისაა“.

გროზნიში ცხედრის პროზექტურაში დათვალიერებისას კი ყელში ტყვიის შემავალი ხვრელის არსებობას უარყოფს ყველა მოწმე, რომელმაც ცხედარი დაათვალიერა. ცრუობს მხოლოდ ერთი ადამიანი: **ს.თორრია,** რომელიც იმითაც კი არ კმაყოფილდება, რომ ვითომ ყელის არეში შემავალი ჭრილობა შეამჩნია და ამასთანავე მის შეთხზულ სიცრუეს კიდევ მეტად აღრმავებს — თანაც ტელეგადაცემისას საკუთარ ხელს იდებს მისი თავის შესაბამის ადგილას — რომ: **„გამომავალი ჭრილობა იყო შედარებით დიდი, უკან, ესე იგი ფუძის ძვალთან ახლო“** (რუსთავი 2, „კურიერი“, 27.04.2010).

ს.თორრია უჩვენებს ტყვიის შემავალი ხვრელის მდებარეობას
ს.თორრია უჩვენებს ტყვიის გამომავალი ხვრელის მდებარეობას





ტყვიის ტრასა თორრიას სიტყვების შესაბამისად — დაზიანებული უნდა ყოფილიყო ხორხის ხრტილები და/ან ენისქვეშა ძვალი, კისრის მალები და თავისქალის კეფის ქვედა ნაწილი

ფრიად ნიშანდობლივია, რომ გროზნის პროზექტურაში ცხედარი დაათვალიერა გიორგი გამსახურდიამაც — მას რომ შეემჩნია ყელის არეში რაიმე ჭრილობის ნიშანი ეს მაშინათვე გახდებოდა დიდი სკანდალის საფუძველი! მეტიც — საერთოდ ვისმეს ზ.გამსახურდიას გროზნიში გადასვენების დროს ყელის არეში მეორე ტყვიით მიყენებული ჭრილობა (თუნდაც ზემოხსენებულ ს.თორრიას) რომ შეემჩნია — ესეც მაშინათვე ფართოდ გახმაურდებოდა და სკანდალის საფუძველი გახდებოდა.

გვამური ლაქების ნატყვიარად გასაღების (უცოდინრობის, გამოუცდელობისა და მიკერძოების გამო) მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ქუთაისში დათვალიერების დროს შემჩნეული და საქართველოს პროკურატურის მიერ ფოტოებზე დაფიქსირებული ლაქა ლოყაზე, რომელიც **გ.შარაძის** ყოვლად უპასუხისმგებლო განცხადებების შედეგად წლების განმავლობაში ითვლებოდა ტყვიის გამომავალ ხვრელად და ასეთადაც იყო აღნიშნული კოკოს კომისიის შუალედურ დასკვნებშიც.

30. დერეფნებისა და „კოლიდორების“ გასაოცარი პარადოქსი

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სიკვდილისა და მასთან დაკავშირებული გარემოებებით ყველაზე უფრო ბინძური მიდრეკილებებითა და ქვენა აზრებით დაინტერესებულთა შორის განსაკუთრებული პოპულარულობით სარგებლობს მათი აზრით ძლიერი შეკითხვა-პროვოკაცია: „როგორ შეძლეს ზვიად გამსახურდიას სიკვდილის მოწმეებმა შევარდნაძის რეჟიმის დახმარებისა და ხელშეწყობის გარეშე ანუ დერეფნის თუ ‘კოლიდორის’ გარეშე სამეგრელოდან ჩეჩნეთში გაღწევა?“.

იმ პერიოდის სამეგრელოში ზ.გამსახურდიას მომხრეების თავის შეფარებისა და მოძრაობის უსაფრთხოების თემა შესაძლოა ზოგადად საინტერესოც იყოს და არა მხოლოდ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სიკვდილთან დაკავშირებულ საკითხებთან დაკავშირებით, არამედ — იმის გათვალისწინებითაც, რომ 1993 წლის ბოლოს და 1994 წლის დასაწყისში აქ თავს აფარებდენ მანამდე ზუგდიდში ჩასული უზენაესი საბჭოს ათობით დეპუტატი, მინისტრთა კაბინეტის წევრები – მინისტრები, პრეფექტები და სხვა თანამდებობის პირები და ეროვნული ძალების გამოჩენილი პიროვნებები, რომელთაგან პრაქტიკულად ყველამ შეძლო სამშვიდობოს გაღწევა — ამიტომ აქ შედარებით ვრცლად განვიხილავ. თუმცა მათ მიმართ ზემოხსენებული „კოლიდორული“ პროვოკაციული შეკითხვები რატომღაც არაა აქტუალური.

არა ერთი, არამედ ორი „კოლიდორი“

ზემოხსენებული — ბინძური მიდრეკილებებით ატაცებულები და ქვენა აზრებით ატაცებულები — რატომღაც არასოდეს სვამენ დერეფნებისა და „კოლიდორების“ შესახებ შეკითხვას ჩვენი ჩეჩნეთიდან საქართველოში შემოსვლის ასპექტში — რომელიც არანაკლებ და შესაძლოა უფრო მძიმე ვითარებაშიც კი მოხდა (ყოველ შემთხვევაში ლტოლვილების ცნობილი ფაქტორი აფხაზეთში ომის კატასტროფამდე შეუდარებლად ნაკლები იყო).

არაკეთილმოსურნეებს სურთ ისე წარმოადგინონ საკითხი თითქოს საქართველოში ჩეჩნეთიდან შემოსვლა უპრობლემო იყო და მხოლოდ გასვლა გახდა საპრობლემო.

ჩემს სამეგრელოში ჩასვლას შედარებით დეტალურად მხოლოდ იმისთვის აღვწერ, რათა ნათელი გავხადო, რომ ასეთი გზით სამეგრელოში ჩამოსვლა ზოგადად სავსებით შესაძლებელი იყო და ამ გაკვალული გზით კონსტანტინე მამისიმედ გამსახურდიასაც ჩემზე უფრო იოლად შეეძლო ესარგებლა — ისევე როგორც ათობით უზენაესი საბჭოს წევრმა, მინისტრმა, პრეფექტმა და ზ.გამსახურდიას ხელისუფლების სხვა ფუნქციონერებმა ისარგებლეს — თუ, რა თქმა უნდა, მამასთან ერთად ბრძოლის წყურვილი აწუხებდა და მის მხარეზე იყო ამ ბრძოლაში.

შემოსასვლელ „კოლიდორთან“ დაკავშირებით მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ ზვიადის დავალებით (არსებითად კი ბრძანებით) ჩეჩნეთიდან სამეგრელოში (უზენაესი საბჭოს სესიის სხდომის მოსამზადებლად) რუსეთისა (მინვოდი) და ბათუმის, აჭარის გავლით ჩავედი საიდუმლოდ, კონსპირაციულად — ჩემი მამიდაშვილის ჯემალ კობერიძის პასპორტით (ჯემალი ტყუპისცალივით მგავდა). ბათუმში დამხვდნენ მინისტრები აბსანძე და ვაშაძე, მათ ახლდა ზ.გამსახურდიას მომხრე ზუგდიდის მილიციის ფორმიანი ოფიცერი — რომლის ავტორიტეტიც უნდა დაგვხმარებოდა აჭარაში და ნაწილობრივ არაკონტროლირებად ტერიტორიებზე გავლისას. მაგრამ, როდესაც ფოთს გავცდით — წინ, ხიდზე დავინახეთ შევარდნაძის ბანდების პიკეტი და იძულებულნი გავხდით ფოთში, ერთი მეგობარი ოჯახისთვის შეგვეფარებინა თავი. ფოთიდან მხოლოდ ღამე შევძელით გასვლა, ნავით რიონი გადავლახეთ და შემდეგ ფეხით რამდენიმე საათი ვიარეთ ზღვის სანაპიროს გასწვრივ — სანამ ერთ სოფელში გამყოლმა მოტორიანი ნავი არ გვიშოვნა. ამ ნავმა ანაკლიაში ჩაგვიყვანა.

რამდენად კონტროლდებოდა შევარდნაძის რეჟიმის მიერ სამეგრელო პრეზ.ზ.გამსახურდიას სიკვდილის შემდგომ პერიოდში?

ამ საკითხთან დაკავშირებით ყველაზე არსებითია იმის შეცნობა (თუმცა ეს საყოველთაოდ ცნობილი უნდა იყოს), რომ დასავლეთ საქართველოში ეროვნული ხელისუფლების შეიარაღებული ძალების დამარცხება გამოიწვია არა შევარდნაძის რეჟიმის შეიარაღებული ძალების სიძლიერემ — არამედ ბალტინის რუსეთ-უკრაინის საექსპედიციო ძალების, ბათუმის რუსული სამხედრო ბაზის ტანკებისა და ძერჟინსკის დივიზიის ინტერვენციამ. აფხაზეთში მეორე გადასვლისას პრეზიდენტის სიტყვიერი განკარგულებით მის ერთგულ ძალებს მიეცათ სახლში დაბრუნების წინადადება. თუმცა — სამეგრელოს ბალტინის და მის ზურგს ამოფარებული შევარდნაძის ბანდების ოკუპაციისა და ბანდიტური რეპრესიების დაწყების შემდგომ — ზ.გამსახურდიას შეიარაღებული მომხრეების საკმაო ნაწილმა სამეგრელოს ტყეებს შეაფარა თავი მცირე პარტიზანული რაზმების სახით, რომლებიც პასიურ წინააღმდეგობას უწევდნენ შევარდნაძის ბანდებს. ერთ-ერთი ასეთი პარტიზანული რაზმი იყო მაგალითად ბადრი ზარანდიას რაზმი, რომელსაც ზ.გამსახურდია და მისი თანმხლები ჯგუფი რამდენიმე დღით შეეფარა. ყველასთვის ცნობილია, რომ ამ პარტიზანული რაზმების ერთმა ნაწილმა „ვარდების რევოლუციამდეც“ მოაღწია.

რაც შეეხება შევარდნაძის „შეიარაღებულ ძალებს“ — აფხაზეთში წაგებულ ომში კრიტიკული დანაკარგების შემდგომ ამ „ძალების“ სამეგრელოში შემოსული უდიდესი ნაწილი არსებითად არა დისციპლინირებულ და ნაკლებ დისციპლინებულ ბანდებს წარმოადგენდნენ — რომლებიც უმთავრესად მოსახლეობის ძარცვით იყვნენ დასაქმებულები. ძალზე ნიშანდობლივია ისიც, რომ — განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბალტინის ინტერვენციული ძალები სამეგრელოდან გავიდნენ — შევარდნაძის ძალების ანუ არსებითად ბანდების დიდი უმეტესობა უმეტეს დროს კონცენტრირებული იყვნენ რაიონულ ცენტრებში, საერთოდაც ვერ ბედავდნენ ჯავშნიანი ტექნიკის მხარდაჭერის გარეშე რაიონულ ცენტრებს მეტ-ნაკლებად დაშორებული სოფლების პატრულირებას, განსაკუთრებით ერიდებოდნენ ტყიან ადგილებს და ვერც ღამით ბედავდნენ რა რაიონული ცენტრებიდან გასვლას, პატრულირებას და რაიმე ქმედებებსა და ოპერაციებს. ამდენად — ღამის პერიოდში რაიონული ცენტრების გარდა სხვა ტერიტორიები არსებითად რაიმე კონტროლის გარეშე იყვნენ და იქ მხოლოდ ყაჩაღების ბანდები დათარეშობდნენ.

იმ პერიოდში თუნდაც თბილისშიც უმძიმესი ეკონომიკური და სოციალური ვითარება ჩამოყალიბდა და იოლი წარმოსადგენია როგორი იყო მდგომარეობა სამეგრელოში — რომელიც თვეების განმავლობაში შევარდნაძის რეჟიმს ეკონომიკურ ბლოკადაში ყავდა მოქცეული. ჩვენი სამეგრელოში ყოფნის პერიოდში რაიონული ცენტრების გარდა (და ისიც ხან და ხან) პრაქტიკულად არსად არ იყო ელექტრობა, არ მუშაობდა და სავსებით მოშლილი იყო სატელეფონო კავშირგაბმულობა — არსებით წილად იმიტომ, რომ ჩამოჭრილი და მოპარული იყო ელექტრო და სატელეფონო გაყვანილობის მავთულისა და კაბელის უდიდესი ნაწილი.

იმას, რომ ავტომობილით გზაზე გასვლა საშიში იყო ბანდიტების მძარცველური თავდასხმების გამო, ემატებოდა ის, რომ უშოვარი გახდა საწვავი (განსაკუთრებით ბენზინი). შარაგზებზე — რომლებსაც ზოგჯერ საათობით ვადევნებდი თვალს მთებიდან ძლიერი ბინოკლით — დღის დიდი ნაწილი ისე გაივლიდა, რომ არც ერთი ავტომანქანა არ ჩაივლიდა. ხალხი ათობით კილომეტრებზე ფეხით დადიოდა. ორ შემთხვევაში დეკემბერსა და იანვრის ბოლოს ჩვენი მასპინძელი დიასახლისები ახლობლების გასვენებაში ფეხით წავიდნენ 30-40 კილომეტრით დაშორებულ სოფლებში.

საბოლოო ჯამში 1993 წლის ნოემბერ-დეკემბერში და 1994 წლის იანვარში სამეგრელოში სიტუაცია შეიძლება დახასიათდეს როგორც ანარქია, ქაოსი და უკონტროლობა.

აღნიშნულის გამო და მეოხებით 1993 წლის ნოემბერ-დეკემბერში (ზვიადის სიცოცხლისას) და 1994 წლის იანვარში ღამე მთელ სამეგრელოში გადაადგილება გინდა ფეხით და გინდა არამთავარ გზებზე ავტომობილით საკმაოდ უსაფრთხოდ შეიძლებოდა (და თუ საფრთხე იყო იგი ყაჩაღებიდან უფრო მოდიოდა ვიდრე შევარდნაძის „ძალოვნებისგან“).

ახალი სოციუმი სამეგრელოში

1993 წლის ბოლოს და 1994 წლის დასაწყისში სამეგრელომ შეიფარა ათობით ათასი ლტოლვილი აფხაზეთიდან — მოსახლეობის ნახევარს ლტოლვილები შეადგენდნენ. ყოველ დასახლებაში ასობით, ათასობით გაჩნდნენ ადგილობრივი მოსახლეობისთვის მანამდე უცნობი პირები, ახალი – უცნობი სახეებით გაივსო სამეგრელოს სოციუმი. თითქმის ყოველ სახლში, ყოველ ოჯახში თუნდაც ერთი ლტოლვილი ყავდათ შეფარებული, ბევრ ოჯახში კი რამდენიმე, ზოგანაც კი რამდენიმე ოჯახი. სამეგრელოს დასახლებებში უკვე აღარავინ აქცევდა ყურადღებას უცნობს — ზოგან უცნობები თითქმის მეტი იყვნენ ვიდრე მკვიდრები, ნაცნობები. გარკვეულწილად ეს მოვლენა თბილისმაც განიცადა — მაგრამ თბილისთან შედარებით სამეგრელოში ახალი, საზოგადოებრივად, სოციალურად უცნობი მოსახლეობის ფაქტორი შეუდარებლად დიდი იყო.

პირადი შენიღბვა და კონსპირაცია

ლტოლვილთა მასობრივი შემოდინების გავლენის გარემოში, თუნდაც ძებნილი პიროვნებისთვის — თუ მისი სახე ძალზე „ცნობადი“ არ იყო — შეფარული, გასაიდუმლოებული, კონსპირაციული ცხოვრება და გადაადგილება არსებით სირთულესა და პრობლემას არ წარმოადგენდა. ხოლო მეტ-ნაკლებად ცნობილ პიროვნებას უეჭველად სჭირდებოდა სახისა და იერის მცირეოდენი შეცვლა.

ამ აუცილებლობიდან გამომდინარე — გავიპარსე ულვაშები, შევიცვალე თმის ვარცხნილობა და მით უმეტეს ძალზე სოფლურად ჩაცმული, ბრეზენტის ლაბადიანი, სალდათის კირზის ჩექმებიანი „ლტოლვილი“ გავხდი. გულშემატკივრები დამეხმარნენ — გადამიღეს ფოტო და მიშოვნეს ლტოლვილის საბუთი. ოჯახებში შეფარვებისას მასაღებდნენ აფაზეთის რომელიმე ეროვნული მოძრაობის ორგანიზაციის აქტივისტად.



„კოლიდორის“ საოცარი პარადოქსი

საზოგადოებრივი აზრის „კოლიდორით“ მანიპულირების მოყვარულების გასაწბილებელი — ამჯერად სავსებით უძლეველი ფაქტობრივი და დოკუმენტირებული ფაქტორის არსებობას შეგახსენებთ. ახლა უკვე საქვეყნოდ ცნობილია, რომ პრეზ.ზ.გამსახურდიას ჯიხაშკარში დასაფლავებისთანავე მისი ორი მხლებელი ბაჩუკი გვანცელაძე და ზაზა ბურჯანაძე სამგლოვიარო შეტყობინებით გავაგზავნეთ

გროზნიში. 5 იანვარს, დილაუთენია წარგზავნილები უკვე გროზნიში იყვნენ და ოჯახს ტრაგედიის შესახებ აცნობეს. დაიწყო მრავალ დღიანი, მარათონული მოლაპარაკებები გროზნოსა და თბილისს შორის ზ.გამსახურდიას ცხედრის გროზნიში ოჯახის სურვილისებრ და ოჯახის განსაკუთრებული მოთხოვნების გათვალისწინებით გადასვენების შესახებ. ამის შემდგომ ორ-სამ დღეში, ანუ 7-10 იანვარს ოჯახმა უკვე ჩამოაყალიბა ქართული საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი „5 მოთხოვნა“ — რომლებზეც საბოლოო ჯამში შევარდნაძის რეჟიმი იძულებული იყო დათანხმებოდა.



„კოლიდორისტებს“ ამ ხუთი მოთხოვნიდან მხოლოდ ერთზე მივაქცევინებთ ყურადღებას:

«პრეზიდენტის ოჯახის ხუთი მოთხოვნა

მიეცეს ხელშეუხებლობისა და საქართველოდან დაუყონებლივ გამოსვლის გარანტიები ოჯახს, სიკვდილის მოწმეებსა და სხვა პირებს, რომლებიც მონაწილეობენ ცხედრის გადასვენებასთან დაკავშირებულ მოქმედებაში.

ოჯახი დაბეჯითებით მოითხოვს ამ მოთხოვნების შესრულებას. »

წყარო:
„საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია“. გვ.33.
[დაბადებიდან 65 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოცემა]. თბილისი,
2004. გამომცემლობა „ზანი“.

როგორც ხედავთ ბატონო და ქალბატონო ქრონიკულად გაკვირვებულო „კოლიდორისტებო“ — ბესარიონ გუგუშვილისთვის, აგრეთვე რობინზონ მარგველანისა და გოჩა კეკენაძისთვის „კოლიდორის“ შექმნა შევარდნაძის რეჟიმის მიერ — ჩეჩნეთის მთავრობისა და საერთაშორისო დამკვირვებლების ჯგუფის შუამდგომლობითა და გარანტიით — თვით ზ.გამსახურდიას ოჯახის და კერძოდ პირადად პრეზიდენტის ქვრივის ქ-ნი მანანა არჩვაძის ერთ-ერთი კატეგორიული მოთხოვნა იყო.

აქედან გამომდინარე — თუ კი ვინმემ იზრუნა ბ.გუგუშვილისთვის „კოლიდორის“ შექმნაზე ეს იყო ქ-ნი მანანა არჩვაძე, ჩეჩნეთის მთავრობა და საერთაშორისო დამკვირვებელთა ჯგუფი ლიტველი პარლამენტის წევრების მონაწილეობით.

აქვე უნდა დაბეჯითებით აღვნიშნო, რომ, ქ-ნი მ.არჩვაძის მზრუნველობით უზრუნველყოფილი „კოლიდორით“ ვერც ბ.გუგუშვილმა და ვერც მარგველანმა და

კეკენაძემ ვერ ისარგებლეს ძალზე მარტივი გარემოების გამო — მათ არაფერი იცოდნენ „ოჯახის 5 მოთხოვნის“ შესახებ (მისი არსებობის შესახებ მხოლოდ გროზნიში ჩასვლის შემდეგ გაიგეს) და იძულებულნი იყვნენ სამეგრელოდან უაღრესად კონსპირაციული, საიდუმლო ხერხებითა და გზებით გამოსულიყვნენ.

შხამ მოყრილი მადლი...

მადლობის მეტი რა გვეთქმის ზ.გამსახურდიას თანამებრძოლებს და სიკვდილის მოწმეებს ქ-ნ მანანა არჩვაძისადმი ჩვენი „კოლიდორით“ უზრუნველყოფისთვის და საქართველოდან გროზნიში ჩვენს უსაფრთხო ჩასვლაზე მზრუნველობისთვის — თუმცა ჩვენი მადლიერების გრძნობას ის აყენებს ჩრდილს, რომ შემდგომ თვით ქნ-მა მ.არჩვაძემ დაივიწყა მის მიერ ბოძებული „კოლიდორის“ მადლი და თავად ჩაეწერა ექსტრემისტ „კოლიდორისტების“ რიგებში... მდედრი სეთური ისტერიული ფსიქოპატი არჩვაძე – თავისი განუყრელი ვირეშმაკა კაკო-თაბაგარეებით და ასინეთა-კუდიანებით...

აქვე უპრიანია მოვიტანოთ საქართველოს საგამომძიებლო ორგანოების მიერ ბესარიონ გუგუშვილის **საერთაშორისო ძებნაში** გადაცემის ფაქტი, რომელიც ფრიად მრავლისმეტყველია. იხილეთ რუსეთის ფედერაციის ძებნილთა მონაცემთა ბაზის შესაბამისი დოკუმენტი, ცირკულარი ნომერი 1998/151:

მონაცემთა ბაზიდან ამონარიდიდან ირკვევა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის ვაკის განყოფილება 1994 წლის 30 მაისს მოითხოვს დამნაშავის, სისხლის სამართლის 66, 78 და 73 მუხლებით ბრალდებული ბესარიონ პაატას ძე გუგუშვილის დაკავებას, რომელიც თურმე ემალება გამოძიებას. ამასთან, შეწყვეტილია თუ არა ამჟამად ანუ 2010-იანებში საერთაშორისო ძებნის საქართველოს ეს მოთხოვნა – გასაიდუმლოვებულია.



Результаты поиска

Карточка 1 из 1 | Федеральный розыск

Циркуляр 1998/151 Шифр СКРЫЛСЯ ОТ СЛЕДСТВИЯ

Фамилия ГУГУШВИЛИ — Вооружен

Имя БЕСАРИОН — Особо опасный

Отчество ПААТОВИЧ — Ранее судим

Дата рождения 01.01.1940 — Пол МУЖ

Место рождения ГССР Г. ТБИЛИСИ

Паспорт — Национальность ГРУЗИН

Статья СТ.66;СТ.78;СТ.73

Номер уголовного дела — Дата возбуждения

Номер розыскного дела 03008/94 — Дата заведения 30.05.1994

Инициатор розыска МВД РЕСПУБЛИКИ ГРУЗИЯ ВАКИНСКИЙ УВД

Мера пресечения АРЕСТ

Особые приметы

Дата постановления 05.03.1998 Дата ЗИЦ 08.04.2002

(с) ГУВД г. Москвы 2007 г.

Назад | Вперед | Печать | Выход

31. მოკლედ: ზ.გამსახურდიას სიკვდილის გარემოებები და საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლება

- 1994 წლის 10 იანვარს საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილემ ანზორ ბალუაშვილმა რუსეთის ფედერაციის საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნებული ინფორმაციებისა და მანანა არჩვაძე – გამსახურდიას განცხადების საფუძველზე აღძრა და თავის წარმოებაში მიიღო სისხლის სამართლის №7494802 საქმე.
- 1994 წლის 10 მარტს საგამოძიებო ჯგუფის გამომძიებელმა ო.ჯაფარიძემ გამოიტანა დადგენილება "თვითმკვლელობით ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ფაქტზე აღძრული №7494802 სისხლის სამართლის საქმის დანაშაულის შემთხვევის არარსებობის გამო შეწყვეტის“ შესახებ. 2004 წელს ხელახლა წამოწყებულ გამოძიებას წინ უსწრებდა სააკაშვილის სახელმწიფოს ფაქტობრივი მეთაურისათვის ძალზე უხეში და მიუტევებელი იურიდიული ლაფსუსი. გაგაცნობთ ამონარიდს სააკაშვილის სიტყვებით:
- «პრეზიდენტი სააკაშვილი კი საპატრიარქოდან იძლეოდა კომენტარს: **„მე როგორც ქრისტიანი ადამიანი, დარწმუნებული ვარ, ზვიად გამსახურდია თავს არ მოიკლავდა“**. სააკაშვილის თქმით, ასეთი დიდბუნებოვანი ადამიანი იმ დროისათვის მიუღებელი იყო და **იგი მოკლეს** იმ ადამიანებმა, რომელთაც საქართველოს დამოუკიდებლობა არ უნდოდათ».591
- 2004 წლის ე.წ. "ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ვ.ხმალაძემ და მ.არჩვაძემ (ტ.ფუტკარაძის შუამავლობით) ოფიციალური წერილით (2004.02.02) მიმართეს მ.სააკაშვილს. წერილის პასუხად, მ.სააკაშვილის მიერ შეიქმნა: "1991-1993 წლებში განვითარებული მოვლენების შედეგად განხორციელებული ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლის, **საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის,** ასევე ხელისუფლების შეცვლის მიზნით ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული ფაქტების, გარემოებებისა და თანამდევი (1991-2003 წლებში მომხდარი და სხვ.) მოვლენების შემსწავლელი **სახელმწიფო კომისია“** – დიახ, ზუსტად და სწორედ „ფიზიკური ლიკვიდაციის“.
- ამ კომისიის შექმნამდე ანალოგიური მიზნით, საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით, გენერალური პროკურორის მოადგილის, უზენაესი საბჭოს წევრებისა და საზოგადოების წარმომადგენელთა შემადგენლობით კიდევ **ორი კომისია** შეიქმნა, რომელთაც იურიდიული დოკუმენტის შექმნა ვერ შეძლეს; კერძოდ: ნ.გაბრიჭიძის 2003 წლის 29 დეკემბრის №50-მ ბრძანებით შეიქმნა "ერთობლივი კომისია“ შემდეგი შემადგენლობით: გ.ჯიქია, ვ.გელაშვილი, გ.ბერძენაძე, მ.არჩვაძე, ვ.ფხალაძე, ბ.აფრასიძე, ა.ჟღენტი, ტ.ფუტკარაძე, გ.კერვალიშვილი. 2004 წლის 18 თებერვლის ი.ოქრუაშვილის № 17-მ ბრძანებით კი შეიქმნა "ერთობლივი კომისია“: კ.კობერიძე, ვ.გელაშვილი, ვ.ჯანყარაშვილი, ტ.ფუტკარაძე, მ.რაფავა, ჯ.ზარანდია.
- აღნიშნული სამივე კომისია შეიქმნა მ.არჩვაძის მოთხოვნების საფუძველზე.
- მალე ამ სამ კომისიას მიემატა **მეოთხე კომისიაც:** საქართველოს გენერალური პროკურორის 2004 წ. 8 ივლისის №17-მ ბრძანებით „საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მიმართ აღძრული და წარმოებით შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმის მასალების მიხედვით, 1991-1993 წლებში განვითარებული, ასევე 2003 წლის ჩათვლით თანამდევი ცნობილი მოვლენების შესწავლისათვის შეიქმნა საქართველოს გენერალური პროკურატურის, 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრთა და საზოგადოების წარმომადგენელთა ერთობლივი კომისია შემდეგი შემადგენლობით: გ.ჯანაშია საქართველოს გენერალური პროკურორის პირველი მოადგი-

591 გაზეთი „რეზონანსი“,№90, ორშაბათი, 5 აპრილი, 2004 წელი

ლე; გ.ბადრიაშვილი ქ.თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი; ტ.ფუტკარაძე 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი; მ.ტაბიძე ფილ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; მ.რაფავა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; გ.ანდრიაძე საქართველოს საპატრიარქოს საპარლამენტო მდივანი.

- 2009 წლის 22 ოქტომბრის, საქართველოს პარლამენტის №1902–IIს დადგენილების საფუძველზე, შეიქმნა „საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისია“ შემდეგი შემადგენლობით: კონსტანტინე გამსახურდია (თავმჯდომარე), ლაშა თორდია (მოადგილე), რატი მაისურაძე (მდივანი), ბეჟან ხურციძე, ჯონდი ბაღათურია, ნაული ჯანაშია, რომან მარსაგიშვილი, ნუგზარ ერგემლიძე, ლევან ვეფხვაძე, რატი სამყურაშვილი, თემურ წურწუმია.
- 10.11.2009 წ. ჩატარდა კომისიის პირველი სხდომა, კომისიის თავმჯდომარემ მოკლედ ისაუბრა კომისიის მიერ ახლო მომავალში განსახორციელებელი საქმიანობის შესახებ.
- საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა, 22 თებერვალი, 2011: „საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლითაც საკანონმდებლო ორგანო საქართველოს მთავარ პროკურატურას მიმართავს გამოიყენოს საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის მიერ მოკვლეული მასალები და მტკიცებულებები და გამსახურდიას გარდაცვალების საქმის ობიექტური გამოძიება ჩაატაროს. მანამდე პარლამენტმა დროებითი კომისიის დასკვნა მოისმინა. კომისიის თავმჯდომარემ, კონსტანტინე გამსახურდიამ 15 თვიანი მუშაობის შედეგად მოკვლეული მასალებისა და მტკიცებულებების ძირითად ასპექტებზე ისაუბრა, რაც მთლიანად გამორიცხავს ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის ვერსიას. კომისიის წევრებმა თავიანთ გამოსვლებში საკითხის ისტორიულ მნიშვნელობასა და მის მიმართ საზოგადოების ინტერესზე გაამახვილეს ყურადღება. პარლამენტმა ცნობად მიიღო კომისიის მიერ წარმოდგენილი დასკვნა.კ.გამსახურდიამ და კომისიის წევრებმა მზადყოფნა გამოთქვეს, რომ საქმის ინტერესებიდან გამომდინარე აქტიურად ითანამშრომლებენ პროკურატურასთან.“

32. В.ГУГУШВИЛИ: ОБРАЩЕНИЕ К СЕЙМУ ЛИТОВСКОЙ РЕСПУБЛИКИ

Обращение

Сейму Литовской Республики
Председателю Сейма г-же **Иряне Дягутене**

Копии: Членам Международной группы по контролю над выполнением требований семьи З.Гамсахурдиа по перезахоронению покойного З.Гамсахурдиа из Западной Грузии в Грозный от Литовской Республики г-ну **Альгирдасу Патацкасу** и г-ну **Витаутасу Ейдукайтису**

Уважаемые законодатели,
Уважаемый Председатель,
Дамы и Господа

Вынужден обратиться к Вам ввиду невозможности обратиться к Правительству Чеченской Республики Ичкерия, которое выступало главным участником нижеописанного дела и ввиду того, что господа Альгирдас Патацкас и Витаутас Ейдукайтис в 1994 году были официально приглашены Правительством Чеченской Республики Ичкерия и вдовой Президента Республики Грузия Звиада Гамсахурдиа г-жой Мананой Арчвадзе-Гамсахурдиа – которая в начале января 1994 г. сообщила мировым средствам массовой информации о самоубийстве Гамсахурдиа – в состав "Международной группы по контролю над выполнением

требований семьи З.Гамсахурдиа по перезахоронению покойного З.Гамсахурдиа из Западной Грузии в Грозный" (далее "Международная группа ").

Интересы семьи, вдовы Президента Республики Грузия Звиада Гамсахурдиа г-жи Мананы Арчвадзе-Гамсахурдиа в Грозном осуществлял представитель семьи, временный Председатель Верховного Совета Грузии (во временной эмиграции) г-н Мераб Кикнадзе.

Одной из основных задач Международной группы было, совместно с правительственной делегацией Чеченской Республики возглавляемой Вице-президентом Чечни Зелимханом Яндарбиевым, настаивать на соблюдении властями Шеварднадзе категорических условий поставленных семьей Гамсахурдиа во главе со вдовой г-жой Мананой Арчвадзе-Гамсахурдиа:

«Требования семьи покойного Президента Звиада Гамсахурдиа

- Предоставить возможность независимо и незамедлительно перезахоронить покойного З.Гамсахурдиа на территорию Чеченской Республики, где проживает семья
- Представить гарантии неприкосновенности и возможность незамедлительно выехать из Грузии членам семьи, свидетелям смерти и другим лицам, которые участвуют в действиях по перезахоронению покойника
- Члены семьи и **свидетели смерти категорически отказываются от участия в каком-либо расследовании или исследований в связи со смертью Гамсахурдиа**
- Семья президента Гамсахурдиа **категорически запрещает проводить медицинское вскрытие, исследование или любое другое действие над трупом** кроме опознания на месте
- Семья покойного **требует создать международную группу, которая будет контролировать выполнение вышеуказанных требований**[592]

Семья настоятельно требует выполнения вышеуказанных требований»

В течение упорных переговоров, в которых участвовали и представители Литвы, и в которых Грузинская сторона жестко настаивала на необходимости проведения судебно-медицинской экспертизы – вышеуказанные требования семьи З.Гамсахурдиа, поддержанные правительством Чеченской Республики Ичкерия и Международной группой, были в конце-концов учтены властями Грузии. Этим – свидетелям смерти З.Гамсахурдиа, которые также согласились не настаивать на судебно-медицинском исследовании трупа Гамсахурдиа на предмет подтверждения признаков самоубийства – официально были даны гарантии обеспечения их непривлечения и неучастия в каком-либо расследовании или исследований в связи со смертью Гамсахурдиа.

Важно, что вышеуказанные гарантии были даны свидетелям смерти З.Гамсахурдиа на уровне межгосударственного, межправительственного соглашения между Чеченской Республикой Ичкерия и Республикой Грузия при содействии и посредничестве Международной группы в состав которого входили и официальные представители Литвы.

Я, свидетель смерти З.Гамсахурдиа В.Гугушвили от имени всех свидетелей смерти жалуюсь – Сейму Литовской Республики и Членам Международной группы от Литовской Республики г-ну А.Патацкасу и г-ну В.Ейдукайтису – на нарушение гарантий данных нам, свидетелям смерти – на уровне межгосударственного, межправительственного соглашения с участием представителей Литовской Республики в качестве членов Международной группы – на предмет и в аспектах нашего непринуждения к участию в каком-либо расследовании или исследований в связи со смертью Гамсахурдиа.

Сообщаю о деталях:

Новоизбранный Президент Грузии Саакашвили в 2004 году в публичном выступлении при массовом собрании публики, в популистических целях, отраженном во многих средствах медиа сказал: "**Я как христианин, убежден, что Гамсахурдиа не мог покончить жизнь самоубийством. Он был убит**..."[593] Из слов Саакашвили явно следует что за утверждением убийства З.Гамсахурдиа стоят не юридические обоснования но внеправовые и антиправовые религиозные взгляды и убеждения.

Во исполнение этого популистического указания Саакашвили, власти Грузии начиная с 2004 года предприняли масштабное и необъективное правительственное, прокурорское и парламентское расследование смерти З.Гамсахурдиа.

Распоряжением администрации Президента Саакашвили 21 февр. 2004 года была создана правительственная "Комиссия по изучению фактов, условий... **физической ликвидации** Президента Грузии Звиада Гамсахурдиа" чем заведомо, не имея каких либо веских доказательств против объявленной версии самоубийства

---

[592] Цитируется по: Первый Президент Грузии Звиад Гамсахурдиа, с.33. Тб. 2004, изд-во "Зани"; А также: Г.Шарадзе, Смерть и похороны Звиада Гамсахудриа, Издательство "Народная Книга (Сахалхо тсигни)";, Тб., 1995 (გ.შარაძე, ზვიად გამსახურდიას სიკვდილი და დასაფლავება, „სახალხო წიგნი“, თბ., 1995)

[593] Газ. "Резонанси", №90, 5 апр., 2004

поддерживалась и заведомо утверждалась версия убийства – политически поддерживаемая со стороны Президента и Правительства Грузии.

В том же 2004 году Прокуратуре Грузии было приказано начать расследования "убийства Гамсахурдиа". Расследование, предпринятое Прокуратурой допросившей несколько сотен свидетелей, длившееся более пяти лет и но не имеющей заключения судебно-медицинской экспертизы зашло в тупик и было приостановлено. Политический заказ, данный Прокуратуре Президентом Саакашвили не мог быть выполнен.

Для того, чтобы вывести расследование смерти З.Гамсахурдиа за пределы более или менее жестко ограниченных процессуальных рамок формального прокурорского расследования – с Окт. 2009 года в течение 15 месяцев над этим "заказом" Саакашвили работала "Временная Парламентская комиссия по изучению вопросов связанных со смертью первого президента Грузии Звиада Гамсахурдиа" (далее "Парламентская комиссия") **возглавляемая сыном З.Гамсахурдиа** Константином Гамсахурдиа – человеком который изначально, без всяких веских доказательств категорично настаивал на версии убийства.

Целью Парламентской комиссии было непременно выполнить заказ Саакашвили и "доказать" что З.Гамсахурдиа не покончил жизнь самоубийством, а был схвачен спецподразделением власти Шеварднадзе, подвержен пыткам, при которых у него были переломаны множество ребер, берцовая кость, размозжена на много кусков голова – а за тем был убит двумя выстрелами – в висок и в горло. По телеканалам Грузии новости в течение последних двух лет – несмотря на то что не существует показаний очевидцев, правовых, прокурорских или судебных доказательств – систематически начинаются пропагандистским лозунгом "Гамсахурдиа был убит", "Они убили Гамсахурдиа" и т.п.

Члены Международной группы от Литовской Республики г-н А. Патацкас и г-н В. Ейдукайтис имели возможность лично осмотреть покойника и удостовериться что наличествует лишь одна сквозная пулевая рана в правый висок и нет никакого пулевого ранения в горло, кроме того они воочию имели возможность удостовериться, что голова и череп покойного не носят следов насилия и тем более череп не разбит – как на этом настаивает Парламентская комиссия.

В Акте судебно-медицинской экспертизы проведенного в Ростове при перезахоронении останков З.Гамсахурдиа из Грозного в Тбилиси в Марте 2007 г. (Русские оригиналы которого и семьей и Парламентской комиссией хранится в тайне от общественности) отмечено наличие лишь одного пулевого ранения в правом виске, кость которого помечена вкраплениями стибиума-сурьмы[594] – что весьма типично именно для самоубийства и подтверждает выстрел с очень близкого расстояния (включая выстрел в упор, или приближенный к тому). А переломы костей объясняются нажимом досок разрушенного от гнили гроба и от прессинга грунта на гроб на месте захоронения, которая подвергалась интенсивным бомбардировкам в течение Русско-Чеченских войн.

Материалы Акта судебно-медицинской экспертизы проведенного в Ростове, и являющийся единственным документом основанным на объективном исследовании останков – подтверждающие большую вероятность самоубийства (ввиду отсутствия заключения судебно-медицинской экспертизы о вскрытии трупа 1994 г.) – были полностью игнорированы или же извращены Парламентской комиссией в сфабрикованном им "Заключении".

Сообщаю также, что при предпринятых в Грузии "расследованиях" не только грубо нарушаются гарантии данные свидетелям смерти на международном и правительственных уровнях при перезахоронении З.Гамсахурдиа из Грузии в Чечню без проведения тогда (в 1994 г.) необходимой по закону судебно-медицинской экспертизы – свидетели смерти и соратники З.Гамсахурдиа принуждаются к пристрастным, унизительным, издевательским допросам в указанной Временной комиссии и прокуратуре – нередко для потехи публики показываемых по телеканалам Грузии – а по отношению тех которые имеют возможность не участвовать в этих унижениях ведется травля во всех средствах масс медиа. Свидетелей смерти Гамсахурдиа в прессе нередко называют "укрывателями, пособниками убийц Гамсахурдиа" и даже "убийцами Гамсахурдиа" – чем грубо нарушаются их права и нарушается принцип презумпции невиновности. Власти Грузии, члены Парламентской комиссии не только не противодействуют этим нарушениям законности, презумпции невиновности и но и поощряют их своими репликами и выступлениями.

Прошу также учесть что, несмотря на знание об информированности и посредничестве вышеуказанной Международной группы с участием Литовских представителей (и даже зная о наличии в Интернете видеозаписей работы Международной Комиссии по перезахоронению в Чечне и в Грузии) – ни Грузинская Прокуратура, ни Временная Комиссия не обратились к Литовским членам Международной группы для получения от них объективной информацией и разъяснений, также как и не обратились к оставшимся в живых членам Комиссии по перезахоронению с Чеченской стороны.

---

[594] Antimony

Просьба:

От имени свидетелей смерти З.Гамсахурдиа прошу Сейм Литовской Республики и членов Международной группы г-на А.Патацкаса и г-на В.Ейдукайтиса:

- Защитить свидетелей смерти З.Гамсахурдиа от произвола Грузинских властей в правовых аспектах и выразить протест правительству Грузии за нарушение гарантий защиты свидетелей смерти З.Гамсахурдиа от принуждения их участия в расследовании предпринятым в Грузии в целях политического популизма – чем грубо нарушается межгосударственное, межправительственное соглашение между Чеченской Республикой Ичкерия и Республикой Грузия января-февраля 1994 года, заключенное при содействии и при свидетельстве Международной группы в состав которого входили представители Литвы.
- Подтвердить официальным письмом-напоминанием Парламенту Грузии и Прокуратуре Грузии, что свидетелям смерти З.Гамсахурдиа была дана гарантия и было официально обещано со стороны Грузинских властей, что они не будут привлекаться к какому-либо расследованию или исследованию в связи со смертью З.Гамсахурдиа – поскольку гарантом и ответственным за версию самоубийства является семья З.Гамсахурдиа в лице вдовы М.Арчвадзе-Гамсахурдиа – так как именно по требованию семьи не была проведена судебно-медицинская экспертиза покойника – что лишает любое расследование совершенно необходимых исходных данных, практически исключает возможность объективного расследования и одновременно лишает свидетелей смерти З.Гамсахурдиа фундаментального объективного документированного экспертного материала для защиты факта увиденного ими самоубийства.
- Поддержать и защитить свидетелей смерти З.Гамсахурдиа в Европейских правозащитных организациях и институциях от произвола Грузинских властей с целью обеспечения действия данных им в 1994 году вышеуказанных гарантий.
- Содействовать в обретении оригиналов документов: Акта эксгумации останков З.Гамсахурдиа в Грозном в 2007 г. и сопутствующих фото документов; Заключения доследственной проверки Прокурором Чечни Валерием Кузнецовым проведенного при эксгумации и по итогам судебно-медицинской экспертизы; Акта судебно-медицинской экспертизы проведенного в Ростове при перезахоронении останков З.Гамсахурдиа из Грозного в Тбилиси в Марте 2007 г.

Свидетель смерти З.Гамсахурдиа
Виссарион Гугушвили
Премьер-министр правительства З.Гамсахурдиа
Имеющий политическое убежище в Финляндии
03.06.11

33. ЗАЯВЛЕНИЕ ЧЛЕНА ПАРЛАМЕНТА ЛИТОВСКОЙ РЕСПУБЛИКИ АЛЬГИРДАСА ПАТАЦКАСА — ЧЛЕНА ПАРЛАМЕНТСКОЙ ДЕЛЕГАЦИИ, МЕЖДУНАРОДНОГО СВИДЕТЕЛЯ ПРИ ПЕРЕЗАХОРОНЕНИЙ ОСТАНКОВ ПРЕЗИДЕНТА ЗВИАДА ГАМСАХУРДИА ИЗ ГРУЗИИ В ГРОЗНЫЙ 1994 Г

2011.09.01

Председателю парламента Грузии
господину **Давиду Бакрадзе**
Генеральному прокурору Грузии
господину **Зурабу Адеишвили**,
Председателю межпарламентской групы
Грузия – Литва господину **Гиоргий Канделаки**

ЗАЯВЛЕНИЕ

17 февраля 1994 г. я, Альгирдас ПАТАЦКАС, член парламента Литовской республики в составе парламентской делегаций непосредственно учавствовал в перезахоронений останков первого президента независимой Грузии Звиада Гамсахурдиа как международный свидетель, присутствовал при раскопке и открытии гроба в селе Дзвели Хибула, подписал соответствующие документы. Как мне стало известно, обстоятельства смерти президента, хотя и были проведены исследования, в грузинском обществе до сих пор обсуждается. Считаю своим моральным и

гражданским долгом дать показания и готов предстать перед соответствующей комиссией или другими следственными структурами. Думаю, что показания единственного международного свидетеля принесли бы пользу в окончательном раскрытии обстоятельств этих трагических событий грузинской историй.

С уважением – Альгирдас Патацкас
Сигнатар Акта восстановления независимости Литвы
Член парламента Литвы (1990-2000)

P.S. Мой адрес
Algirdas Patackas
K. Petrausko 13a-29
44155 Kaunas
LITHUANIA
e-mail algirdas@vydija.lt
tel. +370 689 52467

34. ОБРАЩЕНИЕ К ИММИГРАЦИОННЫМ ВЛАСТЯМ АВСТРИИ В ЗАЩИТУ И ОБОСНОВАНИЕ ПРАВА НА ПОЛИТИЧЕСКОЕ УБЕЖИЩЕ ГРАЖДАНИНА ГРУЗИИ РОБЕРТА (РОБИНЗОНА) МАРГВЕЛАНИ

Уважаемые Дамы и Господа

Роберт (Робинзон) Маргвелани на момент суицида совершенного Президентом Грузии Звиадом Гамсахурдиа, являлся Начальником его личной охраны. Р.Маргвелани отважно, смело, преданно и честно выполнял свои служебные обязанности в условиях войны, поля боевых действии и партизанского положения. Однако, течением обстоятельств, уже в настоящее время и вопреки своей воле, он оказался замешанным в весьма опасное для него и его семьи непримиримое политическое противостояние между Легитимной Властью Грузии в лице Правительства Грузии в Эмиграции (возглавляемой премьер-министром правительства З.Гамсахурдиа, свидетелем гибели З.Гамсахурдиа Виссарионом Гугушвили) и фактической, нелегитимной властью Грузии возглавляемой "президентом" М.Саакашвили. В связи с этим следует особо отметить, что восстановление Законной Власти и возвращение Правительства из эмиграции весьма актуально в настоящее время в масс медиа Грузии и значительная часть оппозиции Саакашвили поддерживает идею проведения выборов назначенных на 2013 именно Законной Властью, Правительством Грузии в Эмиграции.

Опасаясь роста влияния Правительства Грузии в Эмиграции и лично его главы В.Гугушвили, режим Саакашвили начал правительственное (комиссии), судебное (прокурорское) и парламентское (парламентская временная комиссия) преследование В.Гугушвили и других приближенных З.Гамсахурдиа с целью обвинения их в убийстве или в заговоре с целью убийства или же в сокрытии фактов убийства З.Гамсахурдиа. Правительственные средства масс медиа Грузии ведут оголтелую пропагандистскую кампанию для поддержки версии убийства З.Гамсахурдиа вопреки показаниям очевидцев его суицида.

Для понимания ситуации и обстоятельств дела следует учесть специфику происшедших явлений:

В первых числах января 1994 года семье З.Гамсахурдиа – его вдове г-же Манане Арчвадзе(-Гамсахурдиа), которая к тому времени имела временное убежище в независимой Чеченской Республике возглавляемой Президентом Дж.Дудаевым, и проживала в столице в Грозном, свидетелями суицида З.Гамсахурдиа было сообщено о факте самоубийства. М. Арчвадзе немедленно сообщила о суициде мировым средствам масс медиа, а также обратилась к Президенту Дж.Дудаеву с просьбой способствовать и содействовать перезахоронению погибшего З.Гамсахурдиа в Грозный.

Правительство ЧРИ, согласно просьбы вдовы создало Правительственную Комиссию (Делегацию) по Перезахоронению З.Гамсахурдиа, а также привлекло к посредничеству и сотрудничеству с Комиссией Группу международных посредников-наблюдателей в том числе от Парламента Литовской Республики. Литовцы господа Альгирдас Патацкас и Витаутас Ейдукайтис в 1994 году были официально приглашены Правительством Чеченской Республики Ичкерия и вдовой М.Арчвадзе в состав “Международной группы по контролю над выполнением требований семьи З.Гамсахурдиа по перезахоронению покойного З.Гамсахурдиа из Западной Грузии в Грозный” (далее “Международная группа“).

Основной задачей Международной группы было, совместно с правительственной делегацией Чеченской Республики возглавляемой Вице-президентом Чечни Зелимханом Яндарбиевым, настаивать на соблюдении властями Шеварднадзе категорических условий поставленных семьей Гамсахурдиа во главе со вдовой М.Арчвадзе :

«Требования семьи покойного Президента Звиада Гамсахурдиа

Члены семьи и **свидетели смерти категорически отказываются от участия в каком-либо расследовании или исследований в связи со смертью Гамсахурдиа**

Семья президента Гамсахурдиа категорически запрещает проводить медицинское вскрытие, исследование или любое другое действие над трупом кроме опознания на месте

Семья покойного требует создать международную группу, которая будет контролировать выполнение вышеуказанных требований

Семья требует выполнения вышеуказанных требований в кратчайшее время

Манана Арчвадзе-Гамсахурдиа, 13.01.1994 » [595]

В течение упорных переговоров, которые длились более месяца, в которых участвовали и представители Литвы, и в которых Грузинская сторона жестко настаивала на необходимости проведения судебно-медицинской экспертизы – вышеуказанные требования семьи З.Гамсахурдиа, поддержанные правительством Чеченской Республики Ичкерия и Международной группой, были в конце-концов учтены властями Грузии. Этим – свидетелям смерти З.Гамсахурдиа, которые также согласились не настаивать на судебно-медицинском исследовании трупа Гамсахурдиа на предмет подтверждения признаков самоубийства – официально были даны гарантии обеспечения их не-привлечения и неучастия в каком-либо расследовании или исследований в связи со смертью Гамсахурдиа ввиду того, что **версия самоубийства, суицида поддерживалась семей З.Гамсахурдиа которая брала на себя роль гаранта версии суицида**.

Важно, что вышеуказанные гарантии были даны свидетелям смерти З.Гамсахурдиа на уровне межгосударственного, межправительственного соглашения между Чеченской Республикой Ичкерия и Республикой Грузия при содействии и посредничестве Международной группы в состав которого входили и официальные представители Литвы.

Гарантий данные свидетелям смерти – на уровне межгосударственного, межправительственного соглашения с участием Представителей ЧРИ, представителей Литовской Республики в качестве членов Международной группы – на предмет и в аспектах их не-принуждения к участию в каком-либо расследовании или исследований в связи со смертью Гамсахурдиа в настоящее время грубо нарушены.

Сообщаю о деталях:

Новоизбранный „Президент“ Грузии Михаил Саакашвили в 2004 году в публичном выступлении при массовом собрании публики, в популистических целях декларировал: “**Я как христианин, убежден, что Гамсахурдиа не мог покончить жизнь самоубийством. Он был убит...**”[596] Из слов Саакашвили явно следует что за его утверждением убийства З.Гамсахурдиа стоят не юридические обоснования и доказанные факты – но внеправовые и антиправовые религиозные взгляды и убеждения.

Имея в виду жесткий, исключительно централизованный характер режима Саакашвили сейчас лично он является всесильным "заказчиком" и покровителем версии убийства.

Во исполнение вышеуказанного популистского указания а фактически **приказа Саакашвили**, власти Грузии начиная с 2004 года предприняли масштабное и необъективное правительственное, прокурорское и парламентское "расследование" смерти З.Гамсахурдиа.

Например характерно что распоряжением администрации Президента Саакашвили 21 февр. 2004 года была создана правительственная “**Комиссия по изучению фактов, условий... физической ликвидации (т.е. убийства) Президента Грузии Звиада Гамсахурдиа**” чем заведомо, не имея каких либо веских доказательств против ранее официально объявленной версии самоубийства поддерживалась и заведомо утверждалась недоказанная и беспочвенная версия убийства – политически поддерживаемая со стороны „Президента“ и „Правительства“ Грузии.

---

[595] Цитируется по: Первый Президент Грузии Звиад Гамсахурдиа, с.33. Тб. 2004, изд-во “Зани”. А также: Г.Шарадзе, Смерть и похороны Звиада Гамсахурдиа, Издательство “Народная Книга (Сахалхо тсигни)”, Тб.

[596] Газ. “Резонанси”, №90, 5 апр., 2004

В том же 2004 году Прокуратуре Грузии было приказано начать расследования “убийства Гамсахурдиа”. Расследование, предпринятое Прокуратурой допросившей несколько сотен свидетелей, длившееся более пяти лет и но не имеющей заключения судебно-медицинской экспертизы зашло в тупик и было фактически приостановлено. Политический заказ, данный Прокуратуре „Президентом“ Саакашвили не мог быть выполнен.

Для того, чтобы вывести расследование смерти З.Гамсахурдиа за пределы более или менее жестко ограниченных процессуальных рамок формального прокурорского расследования – с Окт. 2009 года в течение 15 месяцев над этим “заказом” Саакашвили работала “Временная Парламентская комиссия по изучению вопросов связанных со смертью первого президента Грузии Звиада Гамсахурдиа” (далее “Парламентская комиссия”) возглавляемая сыном З.Гамсахурдиа Константином Гамсахурдиа – человеком который изначально, без всяких веских доказательств категорично настаивал на версии убийства – желая чтобы его отца З.Гамсахурдиа Грузинская Православная Церковь признала Святым, что разумеется невозможно если З.Гамсахурдиа покончил жизнь самоубийством.

Между тем, опросы общественного мнения убедительно доказывают что не менее 30% населения Грузии считают З.Гамсахурдиа Святым – что делает социальное, общественное положение свидетелей самоубийства З.Гамсахурдиа еще более тяжелым – позволяют правительственным структурам "правосудия" применять против свидетелей самоубийства жесткие меры.

Целью Парламентской комиссии возглавляемой сыном З.Гамсахурдиа – было непременно выполнить заказ Саакашвили и “доказать” что З.Гамсахурдиа не покончил жизнь самоубийством, а был или убит его ближайшим окружением, или пал жертвой заговора и убийства скрываемым окружением или же З.Гамсахурдиа был схвачен спец-подразделением власти Шеварднадзе, подвержен пыткам, при которых у него были переломаны множество ребер, берцовая кость, размозжена на много кусков голова – а за тем был убит двумя выстрелами – в висок и в горло (что скрывается окружением З.Гамсахурдиа из-за страха или подкупности).

По телеканалам Грузии новости в течение последних двух лет – несмотря на то что не существует показаний очевидцев, правовых, прокурорских или судебных доказательств – систематически начинаются пропагандистским лозунгом “Гамсахурдиа был убит”, “Они убили Гамсахурдиа” и т.п.

В Акте судебно-медицинской экспертизы проведенного в Ростове, Россия при перезахоронении останков З.Гамсахурдиа из Грозного в Тбилиси в Марте 2007 г. (Русские оригиналы которого и семьей и Парламентской комиссией хранится в тайне от общественности) отмечено наличие лишь одного пулевого ранения в правом виске, кость которого помечена вкраплениями стибиума[597]-сурьмы – что весьма типично именно для самоубийства и подтверждает выстрел с очень близкого расстояния (включая выстрел в упор, или приближенный к тому).

Материалы Акта судебно-медицинской экспертизы проведенного в Ростове, и являющийся единственным документом основанным на объективном исследовании останков – по мнению Ростовских экспертов подтверждающие большую вероятность самоубийства (ввиду отсутствия заключения судебно-медицинской экспертизы о вскрытии трупа 1994 г.) – были полностью игнорированы или же извращены Парламентской комиссией в сфабрикованном им “Заключении”.

При предпринятых в Грузии “расследованиях” не только грубо нарушаются гарантии данные свидетелям самоубийства на международном и правительственных уровнях при перезахоронении З.Гамсахурдиа из Грузии в Чечню без проведения тогда (в 1994 г.) необходимой по закону судебно-медицинской экспертизы – но свидетели смерти и соратники З.Гамсахурдиа – в том числе и первую очередь Р.Маргвелани – принуждаются к пристрастным, унизительным, издевательским допросам в указанной Временной комиссии и прокуратуре – нередко для потехи публики показываемых по телеканалам Грузии – а по отношению тех лиц которые имеют возможность не участвовать в этих унижениях ведется травля во всех средствах масс медиа.

Свидетелей самоубийства З.Гамсахурдиа в прессе нередко называют “укрывателями, пособниками убийц Гамсахурдиа” и даже “убийцами Гамсахурдиа” – чем грубо нарушаются их права и нарушается принцип презумпции невиновности. Власти Грузии, „Правительство“, „Парламент“, члены Парламентской комиссии не только не противодействуют этим нарушениям законности, презумпции невиновности и но и поощряют их своими публичными репликами и выступлениями.

Необходимо также учесть что, несмотря на знание об информированности и посредничестве вышеуказанной Международной группы с участием Литовских представителей (и даже зная о наличии в Интернете видеозаписей работы Международной Комиссии по перезахоронению в Чечне и в Грузии) – ни Грузинская Прокуратура, ни Временная Комиссия не обратились к Литовским членам Международной группы для получения от них объективной информацией и

[597] Antimony

разъяснений по поводу гарантий данных свидетелям самоубийства З.Гамсахурдиа, также как и не обратились к оставшимся в живых членам Комиссии по перезахоронению с Чеченской стороны.

Считаю совершенно необходимым защитить представлением политического убежища в Вашей стране свидетеля самоубийства З.Гамсахурдиа Р.Маргвелани от произвола Грузинских властей грозящих ему и его семье насилием, необоснованным судебным преследованием, принуждением к даче ложных показаний, а также социальным унижением и проявлением ненависти со стороны религиозных фанатиков желающих причисления З.Гамсахурдиа к лику святых.

См. также Приложение

Виссарион Гугушвили
Премьер-министр правительства З.Гамсахурдиа
Глава Правительства Грузии в эмиграции
Fri, 11 Nov 2011

Finland, 01280 Vantaa, Rajakentänkuja 5
http://www.facebook.com/mtavroba
http://www.facebook.com/besarion.gugushvili
http://besarion.wordpress.com
http://www.youtube.com/BPGvideo

ПРИЛОЖЕНИЕ

Иллюстративные и документальные материалы в защиту и обоснование права на политическое убежище гражданина Грузии Роберта (Робинзона) Маргвелани

Плейлисты видео документов:

Перезахоронение Гамсахурдиа 1994 Работа Правительственной Комиссии по Перезахоронению З.Гамсахурдиа в Грозном и Тбилиси
http://www.youtube.com/playlist?list=PLC406C8DFF2E5B243
Работа Парламентской Комиссии
http://www.youtube.com/playlist?list=PLAC91B3F5AFFA38A2
Материалы из прессы связанные с работой Парламентской Комиссии
http://www.box.net/bpgdocs/1/88386559
В.Гугушвили: Обращение Сейму Литовской Республики
http://wp.me/ph17g-g1

To: bmi-bag-einlaufstelle@bmi.gv.at
Cc: vissarion gougouchvili besarioni@gmail.com
Received: by 10.151.39.5 with SMTP id r5cs43553ybj; **Fri, 11 Nov 2011 04:25:22** -0800 (PST)
FROM: **Besarion Gugushvili** (Vissarion Gougouchvili), Rajakentankuja 5 A, 1, 01280 Vantaa, Finland
TO: **Graz Direktor des Bundesasylamtes I.A.Feiel**, Republik sterreich Bundesasylamt, Rabenstrasse 88 A-8010 Graz Austria, Mr.I.A.Feiel
Attached document regarding asylum of Robert (Robinson) Margvelani from Georgia.
Respectfully
Vissarion Gougouchvili

რობერტ (რობინზონ) მარგველანმა ამ წერილის საფუძველზე 2012 წლის მარტში ავსტრიაში პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო.

35. რედაქტორისგან

დიდი შრომა გასწიე ემიგრაციული მთავრობის პრემიერ-მინისტრო და მარტო იყავი ბარაბას გზაზე მოსიარულეთა ათასეულების ცილისწამების მხილებაში! სრულიად დარწმუნებული ვარ შენი და ზოგადად სიმართლის გამარჯვებაში!

ღმერთმა დაგლოცოს და გაგაძლიეროს რწმენაში სრულიად საქართველოს ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის იმედად. ქართველი კაცის სიმართლეში გახარების და მართლმადიდებლობაში გახარების იმედად!

შენს სიმართლეში თუ ერთი უბრალო ქართველის ხმაც შეიძლება როგორმე აისახოს და დაფიქსირდეს, ეს უაღრესად დიდი პატივი იქნებოდა ჩემთვის, ვინაიდან ზვიადისეულად ქრისტეს გზით სირულის მოშურნედ გამოჩნდი.

ამ ნაშრომის შეფასებას მართალი მღვდლის (მღვდ. გიორგი სხილაძე) მართალი სიტყვებით დავამთავრებ: „რა იყო ის მთავარი მიზეზი, რის გამოც მაცხოვარი ურწმუნო მღვდელმთავრებმა და მწიგნობრებმა სასიკვდილოდ გაიმეტეს? – მხილება. „ცხრა ნეტარებიდან“ ორი სწორედ მხილებით სიმართლეს შეეხება (მ.: 5,10-12): „ნეტარ არიან სიმართლისათვის (იგულისხმება: სიმართლის თქმისთვის – გ.ს.) დევნილნი, ვინაიდან მათია ცათა სასუფეველი“; „ნეტარ ხართ თქვენ, როცა დაგიწყებენ გმობას, დევნას და ცრუმეტყველნი დაგწამებენ ყოველგვარ ბოროტს ჩემი გულისთვის. გიხაროდეთ და ილხენდეთ, ვინაიდან დიდია თქვენი საზღაური ზეცაში, რადგან ასევე სდევნიდნენ წინასწარმეტყველთაც“

გულიდან ამოხეთქილი „მართლმადიდებელი პრეზიდენტი თავს არ მოიკლავდა“-თი დაეჭვებულ მამულიშვილებს

მშვიდობა!

მამულიშვილთა ერთი ნაწილი დაეჭვებულ-დაკომპლექსებულია ზვიად გამსახურდიას მიერ მოყვასისასთვის თავგანწირვით და მისი საქციელი ქრისტიანობაში დასაგმობი თვითმკვლელობის რანგში აჰყავთ. ამას ეშმაკურად იყენებენ ისევ ზვიად გამსახურდიას და ეროვნული, ლეგიტიმური ხელისუფლების უბოროტესი მტრები და მდევნელები. მათ შორის საქართველოს პუტჩისტი „პატრიარქი“ და 1991-1993 წლების სამხედრო პუტჩის შედეგად ხელისუფლების სათავეში უკანონოდ მოსული კრიმინალური ბანდების მეთაურნი ე. შევარდნაძიდან დაწყებული მ. სააკაშვილით დამთავრებული. იგივეს გაიმეორებს მომავალი მილიარდერის სავარაუდო კრიმინალური ბანდა! ეს ყველაფერი მათ ჭირდებათ იმისათვის რომ მუდმივად ეჭვის ქვეშ იდგეს ემიგრაციული მთავრობის ლეგიტიმური პრემიერ-მინისტრის კეთილ-სინდისიერება, ერთგულება და მამულიშვილობა! ამით სურთ დაასამარონ საერთასორისო სატანისტურ შეთქმულებას სასწაულებრივად გადარჩენილი ლეგიტიმური ხელისუფლება!

ქართველ ერს დღესაც უკლავენ იმას, რაც დაგვიტოვა ზვიად გამსახურდიამ და ეროვნულმა ხელისუფლებამ. ამიტომ, ამ კომპლექსს უნდა დავუპირისპიროთ წმინდა სამოციქულო ეკლესიის მართლსწავლება ასეთი სიკვდილის შესახებ, რომელსაც ქვემოთ მოვიყვანთ. დღევანდელი სასულიერი იერარქია, რომელიც აშკარად მონაწილეობდა პუტჩში და კანონიერი ხელისუფლების მიტაცებაში, შეგნებულად დუმს ამ სწავლების შესახებ და ფარისევლურად, „მართლმადიდებელი პრეზიდენტი თავს არ მოიკლავდა“ ვარაუდით ცდილობს ხალხის დაეჭვება-დაკომპლექსება-დაბრკოლებას. ე.ი. რადგან იციან ერის სურვილი ზვიად გამსახურდიას წმინდანად შერაცხვის შესახებ, ამისათვის მათი სწავლების მიხედვით მხოლოდ სხვის მიერ მოკლულია თურმე წმინდანობის ღირსი. „მკვლელობა“ კი რა თქმა უნდა ისევ ზვიად გამსახურდიასა და კანონიერი ხელისუფლების ერთგულ ხალხზე სურთ ჩამოწერონ! ეს არის მზაკვრული გეგმა, რომელიც სიცრუის მამამ დაუკვეთა ზვიად გამსახურდიას ნამდვილ მკვლელებს და ქართველის ერის ჯალათებს! იხ. ქვემოთ ამ კატეხიზმოს შესახებ!

„თუ ვინმეს ძალისმიერ გაუპატიურებას უპირებენ და შესაძლო მსხვერპლი იძულებით იკლავს თავს, ასეთს ეს ქმედება, რომელიც, ბუნებრივია იუდა ისკარიოტელივით უიმედობის გამო კი არ ჩაიდინა, არამედ სიბილწის თავიდან ასაცილებლად, ქალწულმოწამეობად ეთვლება; ასევე, თუ სამართლიან ომში, ბრძოლაში ან მსგავს შემთხვევაში ვინმე თავს აიფეთქებს ანუ მტერს თავს შეაკლავს საკუთარი ჯარის, ჯგუფის, მოყვასის გადასარჩენად, ან საკუთარი სხეულით გააუვნებელყოფს სხვების (ან სხვის) დასაღუპავად ასამოქმედებელ ნაღმს ან ჩაშლის ტერორისტულ აქტს, ან თავს იკლავს მოწინააღმდეგეთა ალყაში მოქცეული ისეთი პიროვნება, ვინც სახელმწიფო ან სხვა მნიშვნელოვან საიდუმლოს ფლობს და დატყვევების შემთხვევაში, მოსალოდნელია მისი გამჟღავნება და ეროვნული დონის, მასშტაბის საშიშროება თუ არა, სირცხვილი მაინც, – ასეთი, წმ. ათანასე ალექსანდრიელის გამოთქმები რომ ვიხმაროთ, „პატივის ღირსია და მათ სახელზე მათი სიმართლის მქადაგებელი ძეგლები აღიმართება“ (მისი „ეპისტოლე ამონ მონოზვნის მიმართ“). ასეთებმა, დიდი ალბათობაა, წმიდანობის მადლსაც კი მიაღწიონ, სიტყვისაებრ მაცხოვრისა: იმაზე დიდი სიყვარული არავისა აქვს, ვინც თავს დასდებს მეგობრისათვის.“ მღვდელი გიორგი სხილაძე

თუ ვინმე იტყვის რომ ზვიად გამსახურდიას „საპრეზიდენტო სავარძლით“ იმისთვის მისდევდნენ ისე როგორც სისხლზე დაგეშილი მგლები, რომ საქართველოს მმართველობის სადავეები ჩაებარებინათ მაშინ რაღა გვეთქმის?! არ დაგავიწყდეთ, რომ ამ დროს პატრიარქმა საქართველოს კანონიერ მეთაურად კრიმინალი ედუარდ შევარდნაძე აკურთხა, ხოლო დევნილობიდან საქართველოში დაბრუნებული კანონიერი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია - ტერორისტად, ყაჩაღად და კრიმინალად გამოცხადდა!

„მართლმადიდებელი პრეზიდენტი თავს არ მოიკლავდა“ ვარაუდით პრეზიდენტის ნამდვილი მკვლელები ახლა იმათ ხოცავენ, რომელებსაც ზვიად გამსახურდიამ საკუთარი თავგანწირვით სიცოცხლე შეუნარჩუნა! ნუთუ გეცოტავებათ ზვიად გამსახურდიას სიკვდილის შემდეგ, ამ ვარაუდით შეიარაღებული, კანონიერი ხელისუფლების აშკარა მტრების მიერ სხვა და სხვა დროს და სხვადასხვა მიზეზით მოკლულ მამულიშვილთა რაოდენობა?!

საქართველოს რესპუბლიკის ემიგრაციული მთავრობის ვიცე-პრემიერი
იოსებ ღუდუშაური
ფინეთი/ჰელსინკი
09.11.2012

36. ბ.გუგუშვილის მიმართვა საქ. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ მ.კიკნაძეს 11 მარტი 1994



ჩანაწერებისათვის

ჩანაწერებისათვის

ჩანაწერებისათვის

ტირაჟი 500 ცალი.
A5 (148x210), 320 გვ.

დაიბეჭდა შ.პ.ს. “გამომცემლობა გრიფონი”-ს სტამბაში.
თბილისი, აკ.წერეთლის გამზ. 72. grifoni@inbox.ru 0322 355 360.